ალექსანდრე ყაზბეგი

ძოწისფერი

84Гг1
ძ 279

შემდგენელნი:

გ. გვერდწითელი
რ. თვარაძე

სარედაქციო კოლეგია:

გრ. აბაშიძე
ე. მალრაძე
ა. სულაკაური
გ. ფანჯიკიძე
თ. ჯილაძე
ვ. ჯავახაძე
რ. ჯაფარიძე



F-71426

70301—019
К———————194—86
М 601 (08) 86

ელგუჯა

1864 წელს დაჰკრა საქვეყნოდ სასიამოვნო საათმა და გამოცხადდა გლეხკაცების განთავისუფლება — ბატონ-ყმობის გადავარდნა! ხალხის ერთი მხარე — გლეხკაცობა და იმათი თანამგრძნობელნი გატაცებულნი იყვნენ სიამოვნებით და მეტის-მეტად გადაჭარბებულს სარგებლობას და სიკეთეს მოელოდნენ ახალის წესებისაგან. მეორე მხარე — მებატონეები კი გულ-ს კანკალით უყურებდნენ იმ დამოკიდებულების მოსპობას, რა-მელიც საუკუნოებით არსებობდა ბატონსა და ყმის შუა.

განთავისუფლებულს გლეხებს ეგონათ, რომ ამ დღიდგან იმათი კეთილდღეობა, გამდიდრება და მოსვენება შეიქნა უეჭველ მოვლინებად; მებატონეები კი ჰფიქრობდნენ, რომ დღე-იდგან ლუკმა გაუწყდათ და გუშინდელი იმათი მეხრეები დღეს მბრძანებლებად გაუხდებოდნენ.

გაიარა პირველმა აღტაცების ჟამმა და ხალხი ცოტა დამ-შვიდდა. გლეხებმა დაინახეს, რომ იმათი იმედი მეასედადაც არა მართლდება და მებატონეებმაც, — რომ იმათი ისეთი ში-ში ამაო ყოფილა, რადგანაც ახალ დებულებას ისეთი კუდები გამოუჩნდა, რომელიც ნაყმევის კეთილდღეობას პირდაპირ ნაბატონარის სურვილზედ აგდებს.

მცირე მემამულე-მებატონე არ დაავალა ახალმა წესდებამ, რომ თავის მოყმეებისათვის მამული მიეცა, და გადასახლება კი რაცა ღირს, — ნამეტნავად ჩვენის გლეხკაცობისათვის, — თქვენ თითონ კარგად მოგეხსენებათ.

დიდი მამულების პატრონები თუმცა დაავალა ამ წესდებამ, რომ მიეცათ ნადელი, მაგრამ ტყე მებატონის განკარგულებაში დარჩა და გლეხკაცი, რომელიც უტყეოდ ვერ გასძლებს, და-აყენა ისევ მებატონისაგან დამოკიდებულებაში.

გლეხკაცებმა დაუშვეს ისევ თავები; მებატონეები კი გაიმართნენ წელში.

მაგრამ ამათი დამოკიდებულება კიდევ, როგორც იქნება, გასაძლებია; გასაძლებია მისთვის, რომ ახლო მომავალზედ იმედი გვაქვს. მაგრამ, წარმოიდგინეთ ერთი გვარი განთავისუფლებული ყმების მდგომარეობა, იმ განთავისუფლებული ყმებისა, რომელთაც არავითარი მამული არ არგუნა კანონმა.

ესენი გახლავან შინა-მოსამსახურეები, რომელთაც არ ეჭირათ მამული, არა ჰქონდათ თავიანთი სახლ-კარი.

წარმოიდგინეთ-მეთქი იმ ხალხის მდგომარეობა, რომელთაც არც სოფელი იკარებს, არც მებატონე აძლევს რასმეს და არც თავისუფალს სახელმწიფო მიწებზედ ასახლებენ!

მთაში საზოგადოდ იყო ჩვეულებად ტყვეების მოყვანა და იმათი დამონავება: იმათ აყენებდნენ თავიანთ სახლში და ხმარობდნენ თავიანთ ბატონურის ძალის დასაცველად. ამის გამო კარგა ბლომად გროვდებოდნენ მთის მებატონეების სახლში ამგვარი ყმები, რომელთაც არც მიწა ეჭირათ, არც ცალკე სახლი ჰქონდათ და მუშაობდნენ მებატონის საკუთარს მამულზედ უსასყიდლოდ, მარტო ლუკმა პურისათვის და ზედ ჩასაცვამის კონკ-ძონძებისათვის! მთელი იმათი შრომიდგან არ შენახულა იმათთვის იმდენი, რომ ერთი ფეხის დადგმა მიწა ან ერთი ძროხა თავის საკუთრებად დაენახათ.

ამ მდგომარეობაში იყვნენ ეს ბედისაგან განწირულნი, როდესაც განთავისუფლების ხმამ გრგვინვასავით გაიარა საქართველოში და ამ საცოდავებსაც, სხვებთან ერთად, ქუდი მოახდევინა და მადლობა შეაწირვინა ღვთისათვის.

მოდი და ნუ გაუხარდებოდათ საცოდავებს, როდესაც ზოგს იმათგანს კიდევ ახსოვდა, რომ მამა ჩერქეზში, დედა ქისტებში და თითონ საქართველოში ყოფილა გაყიდ-გამოყიდული!..

მოდი და ნუ გაუხარდებოდათ ახალი დებულება, რომლის ძალითაც დღეს თავის საყვარელს შვილს, ცოლს, დედას, სატრფოს ველარ გააშორებდნენ!

მართლათაც სასიხარულო იყო, მაგრამ დიდს ხანს გასწია იმათმა სიამოვნებამ და სიხარულმა? თავისუფლების შემდეგ დაინახეს, რომ თუმცა დედას შვილისაგან, საქმროს საცოლესაგან, ცოლს ქმრისაგან ველარ განაშორებენ, ველარ გაყიდ-

გამოყიდიან როგორც პირუტყვებს, მაგრამ ამათ ყველას ჭამა, ცხოვრება უნდა და ისინი კი ახალმა წესდებამ დააგდო ხელგაშვერილ ღატაკებად! იქამდის შემაძრწუნებელი იყო იმათი მდგომარეობა, რომ ზოგს ზედ დასახური საბანი და ქვეშ გასაშლელი ნაბადიც კი არ გაჰყოლიათ მებატონისაგან.

ეს ხალხი გაიფანტა სხვადასხვა ადგილებში და აქამდინაც ისევ ისე ხელგაშვერილები დადიან და თავის შესაფარებელი ადგილი ვერ უპოვნიათ, მაშინ, როდესაც ათასი თავისუფალი ადგილები არის, რომელზედაც ადვილად შეიძლებოდა იმათი დასახლება და, ეხლა უსარგებლო სახელმწიფო წევრთაგან, გაეშენებინათ სარგებლობის მომცემი ხალხი. ვინ იცის, საიდგან გადმოკარგულს სკაპცებს, დამახინჯებულებს ზნეობითაც და კაცობითაც, აძლევენ ადგილებს, — ამ საცოდავს ღმერთისაგანაც და კაცისაგანაც მოძულებულთ დასახლება უფრო მაღლი არ იყო?

აი ამათ ცხოვრებიდგან მინდა უძღვნა მკითხველს რამდენიმე მოთხრობა. მხოლოდ ეს წინასიტყვაობა საჭიროდ დავინახე, რადგანაც საქართველოში ბევრმა არც კი იცის, რომ ამგვარი ყმებიც იყვნენ და ასობით ხალხი ამ დებულებამ ასეთს განმღატაკებელს და უნუგეშო მდგომარეობაშიც დააყენა.

I

დარიალის ვიწროებში, სადაც ეხლა მშვენიერი გზატკეცილი მიდის და შავ კლდეებს შუა გველსავით იკლაკნება, უწინ მხოლოდ ბილიკები იყო, რომელზედაც ცხენების ქარავნები ძლივს დადიოდა. ეს გზა მოდიოდა ჩრდილოეთ კავკასიიდგან საქართველოში ჯერ ლარსის ვიწრო ხეობაზედ, მაგრამ რაკი დარიალის უზარმაზარ მთებს მოადგებოდა, იქ კლდე იყო გახვრეტილი და გზა ქანქანით გაყვანილი, რომლის სათაურშიაც მოხევეთა ყარაულები იდგნენ და საქართველოს დაუპატიჟებელ სტუმრებისაგან იცავდნენ.

ერთს ცივ ღამეს, როდესაც ნისლს მოებურა და უფრო მომეტებულად დაებნელებინა იქაურობა, ამ ქანქანის ნაპირას გაეჩალებინათ ცეცხლი რამდენიმე ყარაულს და გარს შემოსხდო-

მოდნენ. იქვე დაერთოთ ნადირის (ჯიხვის) მწვადები და ვახშმის მომზადებას ელოდნენ.

ამ დროს მოისმა ცხენის ფეხის ხმა. ყარაულებმა დაავლეს თოფებს ხელი და ერთს წუთში ჩაესაფრნენ გზის აქეთ-იქით მდებარე ქვების უკან. ეს ისე სწრაფად და ჩუმად მოხდა, რომ კაცი ვერ შეამჩნევდა მათ მოძრაობას, და გულდანდობილი მგზავრი ადვილად ჩაუვარდებოდა ხელში...

გაიარა რამდენიმე წუთმა ამ მდგომარეობაში, როდესაც ერთი ცხენოსანი გამოჩნდა და გულადად შემოვიდა ჩასაფრებულთა შუაში. აქამდისინ გაჩუმებული ყარაულები, რომელთაც თოფები გადმოეშვირათ ქვებზედ და თითონაც გაქვავებულს სურათებს დამზგავსებოდნენ, ერთბაშად ჩამოცვივდნენ და ცხენოსანს გარს შემოერტყნენ.

— ვინა ხარ? — ჰკითხა ერთმა ყარაულთაგანმა.

— მე, ოსი მახამეთა, სენი წირიმე! — მიუგო ცხენოსანმა...

— საიდგან ან სად მიხვალ?

— ცოფიკაშვილთან... მე იმის სტუმარი ხარ.

— ეგ რაღა გაქვს ნაბადში გახვეული? — ჰკითხა ისევ იმ ყარაულმა, რომელმაც ცხენოსანს უნაგირზედ გარდი-გარდმო გადებული ნაბადში შეხვეული რაღაც შეამჩნია.

— ეს ქალია, სენი წირიმე, ესეც იმასთან მიგყავს.

— სად გინადირნია, სად? — ჰკითხეს ღიმილით.

— ცერქეზიდგან მოიტაცე, — ჩვეულებრივ იცრუა ოსმა...

— აი შენი ხენცელაის მადლი კი გამიწყრეს!.. — დაცინვით გაიკამათა მოხევემ.

— სენმა მზემ, ცერქეზიდგან...

— კარგია-ღა, ჩე... არ გიცნობ, რაიცა ხარ? ე მანდ სულონანთას (ოსის მებატონეები) იყიდდა და აქ კი გვატყუებს ჩერქეზში მოვიტაცეო.

— არა, ცემა მზემ.

— კარგია, კარგი! — მკაცრად გააწყვეტინა სიტყვა მოლაპარაკე ყარაულმა და გაუბრუნდა თავის ამხანაგს.

— აბა, ღმერთს არ მოეტყუების, ეს ჩერქეზში ვერ გავიდოდა.

— ოსი არაა, შენაი ჭირაიმე, ჩერქეზში საით გავიდოდა? — უპასუხა ერთმა.

— რაი არიან ოსებ ?.. კატები არიან, ცხო რაი?

— ელგუჯა! — წამოიძახა ისევ იმ ყარაულმა, რომელმაც პირველად დაუწყო მახამეთას ლაპარაკი და რომელიც იმათში თავობდა.

— რაი გინდა?

— წადი, წაჰყევ ემასა, მიიყვანე ჩოფიკაანთასა და თუ აქ მოგვატყუა, ძაღლსავით მოჰკალ და გადააგდე.

— აგრე.

— გზაზე თუ გაქცევა დააპირა, მაშინაც არ დაინდო.

— აგრე! — განიმეორა მოხევემ.

ელგუჯა იყო ყმაწვილი ჭაბუკი ოცდაორი წლისა, ტანადი, წამოსადეგი, ხევში განთქმული ვაჟკაცობით და „ქამანდრობით“. ამასთანავე, როგორც მომეტებული ნაწილი მოხევეებისა, გულწრფელი და საიმედო. ელგუჯამ გაიდო თოფი მხარზე და შესძახა მახამეთას:

— იარე!

მახამეთამ გასწია წინა, ელგუჯა კი მიჰყვა უკან სიბრთხილით, რომ სიტყვით-სიტყვამდე ნამდვილად შეესრულებინა თავისი უფროსის ბრძანება. იმ დროს ღმერთსაც ნუ ექნა, რომ მახამეთას ოდნავათაც არის ცხენი გაებრუნებინა და გზის იქით გადაეყენებინა, — ელგუჯა იმას ძაღლსავით მოჰკლავდა და გადააგდებდა.

ამგვარად მიდიოდნენ ისინი ჩუმად, ხმაგაკმენდილები; მახამეთა დარწმუნებული, რომ მცველს თვალი ფრთხილად უჭირავს და მცველი კი დარწმუნებული, რომ თუ მახამეთამ გაბედა რამე, მაშინ იმის ტყვიას შორს ვერ წაუვა. თუნდა რომელისამე მიზეზით ტყვია დასცდენოდა და მახამეთას გაქცევა მოეწადინა, მაშინ მაინც ადვილად წინ მოექცეოდა ელგუჯა, რადგან ქვეითი იყო და საქვეითო ბილიკი ერთი-ორად ამოკლებდა ცხენისთვის მიხვეულ-მოხვეულს გზასა.

მიაღწიეს სოფელს სტეფანწმინდას და მივიდნენ პირდაპირ გაგი ჩოფიკაშვილის კარებთან, სადაც ელგუჯა წინ წადგა და ხმამაღლა დაიძახა:

— გაგი!.. ჰა გაგიი! გაგი!

ამ სიტყვებზედ თოფი გადმოეშვირა დერეფანზედ საფრად გაკეთებულის კედლიდგან და მოისმა:

— ვინაა მანდ, ვინ ჰკივის?

— მე ვარ, ელგუჯაი.

— რაი ამბავია ამ შუაღამისას?

— აი ერთაი კატაი მოვიყვანე, — სთქვა ელგუჯამ და გაჰხედა ოსსა.

— მარტოა?

— არა... ქალაი რაიმე ჰყავს.

გაგი წყნარა გაბრუნდა, გააღვიძა ბიჭები, რომლებიც იმის ძახილზედ შეიარაღებულნი, გაშიშვლებულის თოფებით გამოვიდნენ.

ეს ის დრო იყო, როდესაც საქართველო რუსეთის მფარველობის ქვეშ შედიოდა და, მაშასადამე, დრო არეულობისა და მუდამ ბრძოლისა ამ მფარველობის ქვეშ შესვლის მსურველთა და მოწინააღმდეგეთა შორის. ამიტომ, რასაკვირველია, უიარაღოდ არავინ დადიოდა.

— ონისე, გადი-ღა, გახედე!.. — სტუმარი სასტუმროში შეიყვანე, ტყვე რომ მოუყვანია, დედაკაცებს მიაბარე... იცოდნენ, თუ გაჰქცევიათ, თავიანთ თოლების მეტი აღარა იხსნისრა...

ონისემ გასწია ბრძანების აღსასრულებლად, მაგრამ გაგიმ ისევ შეაყენა, რაღაცა წაიბუტბუტა და ხმამაღლა დაუმატა:

— მოიცა, მე თითონ ჩამოვალ.

გაგიმ მაშინვე იცნო მახამეთა, რომელთანაც არა ერთხელ ჰქონია ამგვარი ვაჭრობა. ეს იყო მიზეზი, რომ ისინი ერთმანერთს მეგობრულად მიესალმნენ, ჩამოართვეს ხელი და ტკბილად დაიწყეს ლაპარაკი.

მახამეთა გამოუტყდა, რომ ეს ქალი ჩერქეზი იყო და ერთს ქრისტს ოსებში გასასყიდად მოეყვანა. აქ მახამეთა შეხვედროდა და გაგისთვის ეყიდა. ამ სიტყვებს დაუმატა ქალის ქება, რომელიც ტანადობით ისარს ემზგავსებოდა და ტუჩები ახლად გაღაშლილს ვარდსა.

გაგიმ ქალს მოჰხადა ყაბალახი, მიუახლოვდა პირისახესთან და მუშტრის თვალით დაუწყო შინჯვა.

— მართლა ლამაზი უნდა იყოს! — წარმოსთქვა იმან ბოლოს და გაუბრუნდა ელგუჯას: — შენ მაინც დაღალული ხარ, ეგ ქალი ამ საწოლაში შეაგდე და შენც გარედ კარებთან მოუწექ ამაღამ... კარის გადმორაზა კი არ დაგავიწყდეს.

ელგუჯამ ქალი წაიყვანა, გაგი კი მახამეთას გაუძღვა სასტუმროში, სადაც უნდოდა ძვირფასის სტუმრისთვის თავი მოეჭონა, რათა ცოტაც არის უფრო იაფად დაესვა ახლად მოყვანილი ქალი.

ელგუჯამ ქალი შეიყვანა „საწოლაში“, აუნთო ჩირაღი და, რა შეხედა, გაშტერებული დარჩა. იმის თვალს წარმოუდგა ისეთი მშვენიერი, მიმზიდავი, თხუთმეტ-თექვსმეტი წლის ქალი, რომელმაც მოულოდნელად გული აუცახცახა და ძარღვებში სისხლი აუდუღა. რასა შვრებოდა, სად იყო — იმას სრულიად გარდაავიწყდა. ის შეეპყრო მარტო ერთს სურვილს, რომ ასე განუწყვეტლივ ეყურებინა ამ ქალის მშვენიერებისათვის და დამტკბარიყო იმ გრძნობით, რომელსაც პირველად გაეღვიძა იმის გულში. ქალი კი იდგა ფერმიხდილი, დაღონებული, თვალებდაშვებული და გატაცებული რაღაცა ღრმა ფიქრით.

ელგუჯას აწუხებდა იმისი მდგომარეობა. უნდოდა დასამშვიდებელი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ენა არ იცოდა და, თუნდა სცოდნოდა კიდეც, ძნელად შეეძლო სიტყვის წარმოთქმა, რადგანაც არის ხოლმე ისეთი მდგომარეობა კაცის ცხოვრებაში, როდესაც გრძნობ, იტანჯები, გინდა წარმოსთქვა რამე, მაგრამ ენა აღარ გემორჩილება და სიტყვა ვეღარ გიპოვნია. სწორედ ამგვარს მდგომარეობაში იყო ელგუჯაც.

ბოლოს მოხევე გონს მოვიდა, გაამაგრა „ჩირაღი“ კედელში, უჩვენა იქვე დალაგებულს საბან-გობანზედ და ანიშნა იმათი გაშლა. კიდევ ცოტა ხანს დარჩა, შეხედა, ამოიოხრა და გამობრუნდა. კარებთან რომ მოვიდა, ერთი კიდევ მიიხედა, დაინახა, რომ ქალის თვალები ელგუჯასაკენ იყვნენ მოქცეულები და ისეთის სახით უყურებდნენ, თითქოს იმათაც ეგრძნოთ მოხევის გულის მოძრაობა და ისინიც თანაუგრძნობდნენ, მადლობას ეუბნებოდნენ...

ელგუჯამ ვეღარ მოითმინა, გადახტა და გულში ჩაიკრა ქალი, რომელიც შეშინებული და აღელვებული, რაღაცა გამოუცდელის გრძნობისაგან დამონებული მკერდს ძალზედ ეკვროდა.

ამ წუთებში გამოცხადებოდა წადილი, შიში, სიყვარული, ბრძოლა აღძრულს გრძნობასთან, მაგრამ იმათგან ვერც ერთი კი ვერ გეტყოდათ — რა მოსდიოდათ, რასა შვრებოდნენ, ან ასე რად იქცეოდნენ და სხვა რიგად არა?

ღმერთმა იცის, დიდხანს გაგრძელდებოდა ეს იმათთვის სანეტარო წამები, ან სადამდის მიაღწევდა, თუ ამ თავის დავიწყებიდამ არ გამოეყვანა ხმაურობას, რომელიც სასტუმროს კარებიდგან მოისმა.

ელგუჯამ უკანასკნელად ძალზედ მოუჭირა მკლავები, აღგზნებულად აკოცა, გამოვარდა გარეთ მთვრალსავით, გიჟსავით და გულის ძგერით კარებთან მიწვა.

ეზოში გამოსულიყო გაგი და განკარგულებას აძლევდა ბიჭებს, რომ სტუმარს რიგიანად დახვედროდნენ.

რაკი ბიჭები გაგზავნ-გამოგზავნა, სახლის პატრონმა გამოსწია იმ „საწოლასაკენ“, სადაც ტყვე იყო დამწყვდეული. მახამეთამ იმას იმდენი მშვენიერება უამბო ამ ქალისა, იმდენი გამტაცებელ სურათებად დაუხატა ქალის მიხვრა-მოხვრა, იმისი ტუჩები, თვალები, თმები, რომ გაგი სრულებით დაიბნა და ათასმა უპატიოსნო წადილმა შეიპყრო იმისი გარყვნილი გული... გაგიმ ვეღარ მოითმინა გათენებამდის და იმ ღამესვე უნდოდა დამტკბარიყო ჩერქეზის ქალის მშვენიერებით.

მივიდა იმ ადგილამდის, სადაც ელგუჯა იწვა, შესდგა ცოტა ხანს და ყური დაუგდო. ელგუჯა ხვრინავდა, თუმცა ძილი არც კი მიჰკარებოდა. ამან გაამხნევა გაგი. წყნარად გადააბიჯა ელგუჯას, შეაღო კარები და შევიდა საწოლს ოთახში. რაწამს კარი მოიხურა, ელგუჯა ფეხზედ წამოვარდა და გაშმაგებულის თვალებით დაუწყო სარკმელიდგან ყურება.

ქალმა დაინახა თუ არა უცხო კაცი შესული, ცახცახით კედელს მიეკრა. გაგი კი, რაწამს ქალს შეხედა, მაშინათვე შეიპყრო პირუტყუულმა გრძნობამ და ჩასისხლიანებულის თვალებით იმისკენ გასწია.

ქალს შეეშინდა, შეჰყვირა და უფრო მიიკუნჭა კედლისაკენ. ელგუჯას თვალები აენთო, გული აემღვრა, წაავლო ხანჯალს მთრთოლვარე ხელი და მრისხანებით უყურებდა. კიდევ ერთი წუთი, გულმა ვეღარ გაუძლო და გიჟივით შევარდა.

— ვინაა აქა? რაი ყვირილია? — წარმოსთქვა იმან ისე, თითქოს ქალის ყვირილს გაეღვიძებინა.

გაგი შეკრთა, ის თავის გუნებაში ათას რიგად ლანძღავდა ელგუჯას, რომელმაც დაუშალა ასეთს დროს და დაუპატიჟებ-

ლად შემოვარდა, მაგრამ სირცხვილისაგან ველარა მოახერხა-რა და მხოლოდ ეს-ღა უთხრა:

— არც ვინა! მე ვარ, მე! კარის დასათვალიერებლად მოვედი... — შემდეგ გაიფიქრა: „დღეს თუ არა, ხვალ ხომ ჩემი იქმნება“, და ისევ ელგუჯას გამოუბრუნდა: — ახლა კი წავიდეთ, დავწვეთ! კარებს კლიტე დაადე, ისიც ეყოფა...

II

გათენდა დილა და მზის სხივებმა ოქროს გვირგვინი დაადგეს ყირვანწვერს.

გაღვიძა დაძინებულმა სოფელმა, ხალხმა დაიწყო მოძრაობა; სოფელთან ერთად გაგის სახლშიაც ადგნენ. დედაკაცებმა გაიგეს ჩერქეზის ქალის ტყვედ მოყვანა და ერთი ჩურჩული გაძართეს ამ შემთხვევის შესახებ. ყველას უნდოდა ჩქარა ენახა ტყვე, ჩქარა შეეტყოთ მისი ვინაობა, თავგადასავალი. ბოლოს შემოვიდა ერთი ბიჭი, მოიტანა გასაღები და გადასცა დედაკაცებს.

— გაგიმა ა-იქ საწოლაში ქალაი არისო და ის გამოიყვანეთო, — უთხრა იმან.

— ვინ ქალია? მართლა ჩერქეზია?.. რამდენის წლისაა? ლამაზია თუ არა? — მისცვივდნენ აქეთ-იქით დედაკაცები.

— აბა რაი ვიცი, მე თითონაც არ მინახავს... კარგად მოუარეთო გაგიმა.

— თავად რაიღა იქნა? — ჰკითხა ვიღაცამ.

— გაგის კაცი რაიმე მოუვიდა და გათენებისას ხევსურეთს წავიდა.

— რაისათვის წავიდოდა?

— კარგისთ-ღა, გახედეთ იმ ქალსა, მშიერი იქნებისა... — გააწყვეტინა ლაპარაკი დიასახლისმა. — წადი-ღა, ჯაჯალავ, წაიღე კლიტე და გამოიყვანე.

ჯაჯალა იყო უმცროსი ამ სახლში და ამისათვის ყველას შეეძლო მისი ბრძანება და იმასაც უნდა აესრულებინა უფროსების სურვილი. თუნდაც ასე არა ყოფილიყო, ჯაჯალა დიდის სიხარულით წავიდოდა და გამოიყვანდა ტყვესა, ემსახურებო-

და იმას და ყოველის ღონისძიებით ეცდებოდა ტყვის ნუგეშის ცემას, რადგანაც თითონ ჯაჯალაც ასეთივე ტყვის ქალი იყო და კარგად ახსოვდა თავის დედის ნაამბობი ტყვის მდგომარეობაზედ და იმის გულის მოძრაობაზედ. იმან იცოდა ცოტაოდენი ჩერქეზული, რომელიც დედას ესწავლებინა.

ჯაჯალას შესვლაზედ ტყვე შეკრთა და მაშინათვე ფეხზედ წამოიჭრა. ჯაჯალა მივიდა, საჩქაროდ დასვა და თანაგრძნობით დაუწყო ლაპარაკი:

— იჯექ, იჯექ! დაღალული იქნები, — უთხრა მოსულმა ჩერქეზულად. ჩერქეზის ქალმა გაიკვირვა თავის ქვეყნის ენის გაგონება და სიხარულით წამოსძახა:

— მაშ აქაც ლაპარაკობენ ჩერქეზულად?

— რად არა!.. ჰაი, ჰაი რო ლაპარაკობენ... შენ ნუ გეშინიან, აქაც ისეთივე კაცები არიან, როგორც ჩერქეზში.

— მაშ არ მაწვალებენ, არ მომკვლენ?

— ბედშაო, განა ურჯულოები ვართ?.. შენ ნუ გეშინიან.

— მე კი ისე შემაშინა წუხელ ერთმა კაცმა... ისეთი შეხედულებისა იყო, ისეთი თვალები ჰქონდა, რომ კინაღამ გულს შემომეყარა... თუ ის ყმაწვილი ბიჭი დროზე არ შემოსულიყო, უთუოდ მომკლავდა.

ჯაჯალა მიხვდა, რომ ამ ქალის შემშინებელი გაგი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ყმაწვილი ბიჭი ვიღა იყო, ვერ მოეაზრა.

— შენ ჩერქეზი ხარ? — ჰკითხა ჯაჯალამ.

— ჩერქეზი ვარ.

— დედაჩემიც ჩერქეზი იყო!..

— მართლა?..

— მართლა... ისიც შენსავით იყო მოტაცებული... სახელად რაიღა გქვიან?

— მზაღო.

— პური არ გშიან?

— არა.

— წავიდეთ, შეჭამე რამე, თორემ ეგრე გული გადაგელევა.

— სად წავიდეთ?

— ჩვენ დედაკაცებთან.

ამ სიტყვებით ისინი გამოვიდნენ და წავიდნენ სამყოფო სახლში, სადაც დედაკაცები მიეხვივნენ ახლად მოსულს ჩერქე-

ზის ქალს და თავიდგან ფეხებამდინ ისე დაუწყეს სინჯვა, თით-ქოს ადამიანს პირველადა ჰხედავდნენ.

ბოლოს ყველანი დამშვიდდნენ, დაადგნენ თავთავიანთ საქ-მეს და მზალოზედ ზრუნვა კი ჯაჯალას მიანდვეს.

მზალოს უკვირდა, რომ აქამდის არსადა სჩანდა ის ყმაწვი-ლი ბიჭი, რომელიც ისე მოეწონა და ისე მოულოდნელად გულში ცეცხლი ჩაუგდო. იქნება ისე სწრაფად გაჰქრა ელგუ-ჯას სიყვარული, როგორც სწრაფად დაიბადა? მზალოს ამაზედ უნდოდა ელაპარაკნა ვისთანმე, მაგრამ ვერა ბედავდა, რადგა-ნაც ვერავის ენდობოდა... ის მახინჯი, თვალებჩასისხლიანებუ-ლი გაგი რაღა იქნა? ფიქრობდა ისა, თუმცა კი ამას გაგის მო-უსვლელობა ახარებდა.

გაგიმ და ელგუჯამ ძლივს მოასწრეს გამოსვლა სახლიდგან, როდესაც ერთი ცხენოსანი გაგის გალავნის კარებთან მოვიდა, საჩქაროდ ჩამოხდა, გასწია სახლის პატრონთან და შეატყო-ბინა მთიულეთ-გუდამაყრელების არეულობის შესახებ: იმათ რუსები ემწყვდიათ მთიულეთის ჭალებში და გაგის საჩქაროდ იბარებდნენ, როგორც ხევის ხალხის ერთს მოთავეს. იქ მთი-ულები შეყრილიყვნენ ბატონიშვილის ალექსანდრეს თაოსნო-ბით, რათა წინაღდგომოდნენ რუსების მოძრაობას. გაგიმ იმ ღამესვე გასწია იქითკენ და ელგუჯაც თან წაიყვანა.

აი ეს იყო მიზეზი, რომ ელგუჯამ შორიდგან მაინც ვეღარ მოჰკრა თვალი თავის შეუდარებელს ჩერქეზის ქალსა, რომელ-საც მთის მდინარესავით აუჩუხჩუხა სისხლი.

გზად მიმავალი ელგუჯა ფიქრობდა თავის მშვენიერს მზა-ლოზედ და გულში ყოველგვარს ლანძღვას უგზავნიდა მთიუ-ლებს ასე უდროოდ არეულობისათვის.

ელგუჯა მიდიოდა ლაშქრად, მაგრამ გული კი შინ დარჩე-ნოდა. იქამდისინ შეეპყრო იმის გონება მზალოზედ ფიქრსა, რომ ათას საშუალებასაც კი ეძებდა, რომ შინ როგორმე დაბ-რუნებულიყო... ბოლოს გადასწყვიტა, რომ ის დიაცსავით იქ-ცეოდა და იმ დროს, როდესაც იმის მოძმენი საერთო მტერ-თან შებმას აპირებდნენ, ეს კი შინისკენ იწევს, საყვარელს ქალთან საარშიყოდ. ელგუჯა ვაჟკაცისათვის შესარცხვენად უყურებდა ამისთანა დროს ტოლ-სწორების და საქმის თავის მორიდებას და შინ მყუდროებაში მოფარებას... „კაცი ვარ.

ჭუდი მხურავს, წავალ, ვაჟკაცობას გამოვიჩენ, ვისახელებ თავსა და სამსახურს გაუწევ თემობასა. როცა შინ მშვიდობით დავბრუნდებით, მაშინ ვითხოვ გაგისაგან იმ ქალსა და ისიც მომცემს“.

ელგუჯას არ გაუმართლდა იმედი: ცხარე ბრძოლის მაგიერად ხალხი საჩქაროდ დაამშვიდა სხვადასხვა საჩუქრებით მთაში მეორე ძალის მჭონებელმა მებატონემ და გაგის ელგუჯასთან ერთად შინ დაბრუნება მოუხდა.

ამ დროს საქართველოში მოემატა კიდევ რუსის ჯარები, რომელთაც საჭირო ადგილები და სოფლები დაიჭირეს და იქამდინ გაამაგრეს, რომ ყოველივე მოძრაობა მთის ხალხისაგან თითქმის შეუძლებელი შეიქნა.

გაგიმ დაინახა თავისი მდგომარეობა, დაინახა საითკენ უფრო სასარგებლო იყო იმისთვის და გადადგა რუსებისაკენ, რომლისათვისაც მისცეს აფიცრობა.

ეს ყველა ისე საჩქაროდ მოხდა და ისეთ აღელვებულ მდგომარეობაში იყო მაშინ საქართველო, რომ ყველას დაავიწყდა თავიანთი საერთო საქმე და მოვალეობა. რასაკვირველია, გაგისაც არ ასცდა ესევე მდგომარეობა, რომელმაც გადაადებინა თუ გადაავიწყა თავისი პირუტყული გულისთქმა ტყვის შესახებ. ამის მიზეზით ელგუჯას დარჩა თავისუფალი დრო მზაღოსთან ეარშიყნა, და ისიც სარგებლობდა, რამდენადაც ენის უცოდნელობა ნებას აძლევდა.

ჯაჯალა, რომელიც თარჯიმანობდა შეყვარებულთა შორის, და მზაღო დამეგობრდნენ ისე რიგად, რომ დამალული აღარა ჰქონდათ-რა. რასაკვირველია, არც ელგუჯასთან იყო იმათი საიდუმლო დაფარული. შეყვარებულებმა გარდასწყვიტეს, რომ ელგუჯამ უნდა ითხოვოს მზაღო, მისცეს, რაც უნდა ურვადი სთხოვოს გაგიმ, და თუ ვინიცობაა, ეს არ დაიყაბულებდა, მაშინ ელგუჯა მოიტაცებდა თავის სატრფოს...

ასე მიდიოდა დღეები, კვირეები და საქმე როგორღაც ვერა ბოლოვდებოდა გაგის იქ უყოფნელობის გამო. იმას უკანასკნელად ჩააბარეს რამდენიმე ჯარისკაცი და ეგზეკუციად გზავნიდნენ სხვადასხვა დამნაშავე მთის ხალხის ადგილებში; ამისთვის გაგი შინ მოსასვლელად ვეღარ იცლიდა და ელგუჯას ვერ მოესწრო იმასთან მოლაპარაკებაც.

III

ერთს მთვარიან საღამოს, როდესაც მთელი მოხევეები სათიბად იყვნენ გასულნი, გაგის მთიბლებსაც დაენთოთ ცეცხლი, შემოეკიდნათ ქვაბით საკლავი (ცხვარი) და ვახშამს ამზადებდნენ. მთიბელი დედაკაცები და კაცები ცეცხლს შემოსხდომოდნენ გარშემო და არაჩვეულებრივი მხიარულის პირსახით ელოდნენ საჭმლის მომზადებას. ხალხს ჯერ კიდევ ვერ გამოერკვიათ, თუ რა მომავალი მოელოდა ახალ შემთხვევათა გამო, და ამისთვის ძრწოლით მოელოდნენ მომავალს, რომელშიაც ხედავდნენ, სამართლიანად თუ უსამართლოდ, სხვა ხალხისაგან, სხვა გვარ-ტომობისაგან თავიანთ თავზედ ძალის მოტანას, გაბატონებას. ამ აზრის გავრცელებას ეხმარებოდა მაშინდელი ზოგიერთი ჩინოვნიკების ველური საქციელი.

რა თქმა უნდა, რომ ამ მთიბლებს შორის ახალი ტყვეც ერია. ეს გამოსულიყო განაპირებით და დაღონებულის თვალებით გასცქეროდა ყირვანწვერს, რომელსაც მთვარის შუქი დასდგომოდა და მშვენიერს ფერად შეეცვალა დილის სურათი.

ხალხი დასხდა ვახშმად. დაუძახეს მზალოსაც. ის იყო კერძებს აწყობდნენ ჯამებში, როდესაც ცელ მხარზედ გადებული ერთი მთიბელი მოვიდა და შესძახა:

— გამარჯვება თქვენს საქმესა!

— გადღეგრძელოს ღმერთმა, — უპასუხეს სტუმარს და მოიწვიეს ვახშმად.

— გადმოხე, აქ გადმოხე! — ადგილი მისცეს ელგუჯას.

საზოგადოდ მთაში ამგვარს შემთხვევის დროს ერთი მეორისგან თავს არ ივიწროებს და მარტო მუშა თავისუფლად მიდის მეზობელ მუშებთან, დროებას ატარებს და პურსა სჭამს. ელგუჯა კი გაგის მთიბლებს კარგად იცნობდა, რადგანაც იმათთან ერთი სოფლელი იყო, ამას გარდა ყარაულობის დროს ხშირად დადიოდა გაგის სახლში.

ვახშმის შემდეგ, როცა ყველანი მიწვნენ-მოწვნენ და ღრმა ძილში შევიდნენ, ელგუჯა გაცურდა იმ მხარისკენ, სადაც მზალო იწვა. ელგუჯას მისვლაზედ ქალმა წამოჰყო თავი, მაგრამ რაკი იცნო, ხმა გაკმინდა. ელგუჯამ ანიშნა, რომ გაჰყოლოდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმას და წყნარა, პარვით გასწიეს ბურახულის ტყისკენ, რომელიც იქვე ახლო-მახლო იწყებოდა.

გაჩუმებულნი, სულგანაბულნი და ხმაგაკმენდილნი მიდიოდნენ, როგორც უსულო მოჩვენებანი, ვიდრე ტყეში შევიდოდნენ; მაგრამ რაკი ტყის სიხშირემ დაჰფარა ისინი და სხვისი თვალი ვეღარ მისწვდებოდა, ელგუჯა ერთბაშად გამოუბრუნდა ქალსა, მოჰხვია ძლიერი მკლავები, ჩაიკრა გულში და დაუწყო კოცნა... ეხლა თითო-ოროლა სიტყვა ესწავლა მზალოს ქართულად და ეს აძლევდა საშუალებას უმოწმოდ შეეტყობინათ ერთმანერთისათვის თავიანთი გულის პასუხი, თავიანთი გულის მოძრაობა.

პირველის ტრფიალების შემდეგ, ელგუჯამ ოხვრით და მწუხარებით გამოუცხადა, რომ მას გაგისთვის შუაკაცი გაეგზავნა და მზალო ეთხოვნა, მაგრამ გაგის უარი გამოეცხადებინა და ახლა სხვა საშუალება აღარა რჩებოდა, რომ მზალო გაეტაცნა.

— რას იტყვი?.. წამომყვები თუ არა?

— თავი იმად მომიცია, რომ საცა გინდა, იქ წამიყვან...

— თუშებში უნდა გაგიყვანო.

— სადაც გინდა.

— რომ მოგწყინდეს, მაშინ რაღასა იქ?

— ჩვენი მხრის ქალებს ძნელად შეუყვარდებათ, მაგრამ ვინც შეუყვარდებათ, ის იმის მბრძანებელია!.. მიბრძანე, რაც გინდა.

ამ სიტყვებზედ ელგუჯამ გატაცებულის კოცნით უპასუხა.

— მე ყველაფერი მოვამზადე... აქვე ტყეში ცხენები მყავს და იარაღი დამალული მაქვს... გუდამაყრის ხეობაზედ ვერ წავალთ, იქ გზებიც შეკრულია და ვიწრო ხეობაც არის, მთიულეთზედ უნდა წავიდეთ.

— შენ იცი.

— მაშ ნუღარ ვიგვიანებთ, ჩემო მზეო!

— შენ იცი.

— ხომ არ გეშინიან, არა?

— შენთან?.. — ისეთის ხმით უპასუხა, რომ ელგუჯას შერცხვა.

ამ სიტყვებზედ ელგუჯამ სამჯერ წყნარად, მაგრამ ხან-

გრძლივ დაუშტვინა. ცოტა ხანმა გაიარა და იმათ წინ მოულოდნელად ერთი ყმაწვილი შეიარაღებული ბიჭი გადმოხტა.

— გივარგი, შენა?

— ჰო, მე ვარ.

— იარაღი რაი უყავ?

— აი აქაა! — უპასუხა ახალმოსულმა და მიაწოდა ერთი ხელი იარაღი.

— ცხენები.

— ცხენებიც, ა-იქ არიან, — უთხრა გიორგიმ და ანიშნა იქვე ხშირს ტყეზედ.

— მაშ წადი, მოიყვანე!

გიორგი ცხენებისათვის წავიდა, ელგუჯა კი წყნარად, ჩუმად და პირმოკუმული იჭურვებოდა. აშკარად სჩანდა, რომ იმას გარდაეწყვიტა ადვილად არავისთვის დაენებებინა თავისი მშვენიერი მზაღო და, თუ გზაში ვინმე გადაეღობებოდა, მაშინ იაფად არ დაესვა ეს თავხედობა.

მოვიდა გიორგი, მოიყვანა ცხენები და შესხდნენ.

როდესაც ყველანი მზად იყვნენ წასასვლელად, ელგუჯა მიუბრუნდა გიორგის:

— გიორგი!

— რაი გინდა?

— მე საჭირბოროტო გზას ვადგევარ, მაი, შენ კი დაბრუნდი შინა!

— რას ამბობ? — გაიკვირვა იმან.

— ვინ იცის, რაი შემემთხვას, შენ რაისთვის-ღა უნდა გაიფუჭო თავი!

— ძმად განა იმად გავფიცულვარ, რომ ეგენი მითხრა? — გულნაკლულად უპასუხა გიორგიმ. — კარგია-ღა, იარე, დროს ნუღარა ვკარგავთ.

— მაშ მოდიხარ?

— მო... სადაც შენ მოჰკვდები, მეც იქ უნდა მოვკვდე.

— შენ იცი! — უპასუხა ელგუჯამ და მოიხადა ქუდი. — ღმერთო დიდებულო, წვერისა სპარსთ ანგელოზო! შენ მოგვიმართე ხელი, შენი წყალობა გაგვატანე! — წყნარად წარმოსთქვა.

— ღმერთო, უადგილო-ადგილას მოჰკითხე ამხანაგის მოღალატეს, — დაუმატა გიორგიმ.

— ამინ! — წარმოსთქვეს ორთავემ ერთად.

კიდევ რამდენიმე წუთი ასე ქუდმოხდილები დარჩნენ და ჩუმად ევედრებოდნენ იქაურს ჯვარ-ანგელოზებს; ამ ვედრებაში იყო რაღაცა დიდებული, ძლევამოსილი მუქარა, რომელსაც იმედი და ნუგეში შეერთებოდა.

ბოლოს ორთავ ქუდები დაიხურეს.

— გაგვიძეღ! — დახძახა ელგუჯამ.

გიორგიმ შემოჰკრა ცხენს მათრახი, მხედრის ცხენი წინ გახტა და იმას გაჰყვა მზაღო და ბოლოს ელგუჯა.

IV

გიორგის ბელადობით ჩუმად და სიფრთხილით მიდიოდნენ ჩვენი მგზავრები. გასცდნენ სოფ. კობს, სადაც ყველაზე მეტად ეშინოდათ, მშვიდობიანად და გაუდგნენ გადასავალ მთებს. ისინი მიეშურებოდნენ მთიულეთის ჭალებს, სადამდინაც უნდოდათ ღამე ჩაჰყოლოდათ, რადგანაც აქედგან დაბურვილი ტყეები იწყებოდა, და თავის დაფარვა ადვილად შეიძლებოდა; ასე ჰფიქრობდნენ ჩვენი მგზავრები და ამისათვის წამდაუწუმ ცას შესცქეროდნენ, რომელზედაც ვარსკვლავებს დრო უნდა ეჩვენებინათ.

— გასწი, გივარგი, გასწი! — ეუბნებოდა ელგუჯა თავის ბელადს, — ცისკარი სულ გადაიხარა და ღამე კაიშაურშიაც ვეღარ ჩაგვყვება.

— ღმერთი მოწყალეა, — უპასუხებდა გიორგი და გადუქნევდა მათრახს თავის ერთგულს ცხენს, რომელიც მიაჩაფჩაფებდა იმ გვარის ძუნძულით, რომელსაც მთაში „მგლურს“ უწოდებენ, და ამგვარად სიარულიც გზას ძალიან ამოკლებს.

ალიონმა აიწია. დედამიწა განათდა. გამოჩნდა მშვენიერი ვაკე ქვეშის აღმართისა. აქ ბუნება სრულებით შეიცვალა მშვენიერის მდიდარის სურათებით. ველ-ბუჩქებიან მინდორს გარს შემორტყმოდა ტყიანი მთები, რომელიც აქა-იქ მთიულებს გაეჩეხათ, გაეტეხათ სახნავებად და სათაურში თავიანთი ციხე-დარბაზი გაემართათ.

სასიამოვნო, გამაცოცხლებელი ნიავი, რომელიც განუწყ-

ვეტლივ დაჰქროდა ამ ადგილებში, აგრილებდა შუბლს და მოგზაურებს უფხიზლებდა, უღვიძებდა დაღალულს გონებას. წმინდა, ანკარა წყაროები ჩამოჩუხჩუხებდნენ და რაღაცა სიტკბოებით უალერსებდნენ კაცის ყურს. ჩიტებსაც კი გაეღვიძათ და ჭიკჭიკით ქებას ასხამდნენ ბუნების ძალას. ყველა ისე რიგად იყო მოწყობილი, რომ კაცს ანატრებდა აქ ჩამოხდომას, მწვადის შეშიშხინებას და ცოტა ხანს თვალის მოტყუებას. იმ ადგილებს ამ გვარი მოქმედება არამც თუ მარტო ხალხზედა — პირუტყვებზედაც კი ჰქონდა. იმათ იტყუებდა მსუქანი, ნოყიერი, მწვანე ბალახი, შემკული ათასფეროვანის და სურნელოვანის ყვავილებით.

ელგუჯამ გაჰხედა ამ სურათებს და გული აუძგერდა. იმან დანატრა იმ ბედნიერებს, რომელთაც თავისუფლად შეეძლოთ ამ ადგილების მშვენიერებით დატკბობა.

ელგუჯა რომ ამ ფიქრებში იყო და სურათებით გაეტაცნა ოცნებას, გიორგიმ ერთბაშად ცხენი შეაყენა.

— რაი ამბავია? — ჰკითხა ამხანაგმა.

— აგერ ქვეშის ალმართთან რაიმე ცხენიანები ამოჩდნენ... მაი, ამ ბუჩქებში მივაბრუნოთ ცხენები, თორემ მეტად განათდა.

— აგრე! — მოკლედ უპასუხა ელგუჯამ და დაიწყო იქითკენ ცქერა, საითაც გიორგიმ ცხენიანები უჩვენა.

ამათ გააბრუნეს ცხენები და შევიდნენ ბუჩქნარებში, რომელნიც იმათ საკმაოდ ფარავდნენ კაცის თვალისაგან. იქ ჩამოხდნენ, გაშალეს ნაბადი და ზედ დასვეს მზალო. გიორგიმ ცხენები ცოტა მოშორებით წაიყვანა, ჩაუკრა თავები და საძოვარზედ მიუშვა; თითონ კი თოფი მოიმარჯვა, ფალია გაძოუცვალა და ისე უზრუნველად წამოწვა მხარ-თეზოძედ, თითქოს თავის სახლში იყოო. ელგუჯა წყნარად გავიდა გზის ნაპირად და ბუჩქებში, გზის პირად ისეთი სამზვერავი ადგილი დაიჭირა, საიდანაც თვით უხილავი ყველაფერს დაინახავდა და თვალყურის დევნა შეეძლო.

ცხენოსნები, რიცხვით ოცდახუთამდე, თანდათან ახლოვდებოდნენ იმ ადგილს, ისეთის წყობილობით მოდიოდნენ, თითქო საომრად გამზადებულანო. წინ მოუძღვებოდა ბელადი, შემდეგ ოთხ-ოთხი ჯარად დაწყობილიყვნენ.

როდესაც ისინი მოახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ელგუჯა თავის ამხანაგებით გადასულიყო, უცნობი მგზავრების ბელადმა ცხენი ერთბაშად შეაყენა და დაუწყო მიწას ჩხრეკა. სხვები წამოეწივნენ და ჰკითხეს გაჩერების მიზეზი. მოწინავემ უპასუხა:

— ცხენების კვალია და არ ვიცი, საით მოვიდოდა.

— აქ ცხენებს რაი უნდა! — სთქვა უფრო ჭაღარაშერთულმა კაცმა, რომელიც უფროსობდა და რომელშიაც ბრჭყვიალა პაგონებით გაგის იცნობდით.

იმანაც დააყენა ცხენი, გადმოიხარა გვერდზედ და წარბებშეჭმუხვნილმა კვალს შინჯვა დაუწყო; გვერდით რამდენჯერმე აუარ-ჩამოუარა, მაგრამ ისე კი, რომ თავის ცხენისათვის უწინდელი კვალი არ წაეშლევინებინა.

— სამნი ყოფილან! კვალი აშკარაა!.. ცხენები დასაჭედები ყოფილან... — ნაწყვეტ-ნაწყვეტ წამოიძახებდა ისე, თითქოს თავის თავს ელაპარაკებოდა. მართლადაც, თუ დააკვირდებოდით ახლად დანამულს მიწას, ადვილად შეამჩნევდით უნალო ცხენების ნაფეხურს და ჩლიქების იმგვარ ბეჭდებს, რომელსაც „ბაყაყს“ ეძახიან და დედამიწას მხოლოდ მაშინ დაეტყობა, როდესაც ცხენი უნალო არის.

— ეს კაი კაცები არ უნდა იყვნენ! — წამოიძახა ბოლოს თავის აღებით გაგიმ.

— კაი კაცები რომ იყვნენ, გზას რად აგვიქცევდნენ?

— მანდეთ ბილიკი გზა ხომ არა მიდის-რა? — მიუბრუნდა გაგი მთიულს, რომელიც თან ახლდა.

— არა, შენი კვნესა-მე, არა... მანდეთ გზას რაი უნდა: სოფელი არსად არის და არა ცხო!

— სოფლები როგორ არ არის, მაშ აი-ის რეებია? — ჰკითხა გაგიმ და გაუშვირა ხელი იმ მთისაკენ, სადაც აქა-იქ გვერდოებზედ მთიულების სახლები მოჩანდა.

— სოფლებია, შენი კვნესა-მე, მაგრამ გზა მაგაზედ არ არის... ეგეთი ხევი ჩამოუდის შუა, ლომისის მადლმა, რომ ფრინველიც ვერ გადაფრინდების.

— მაშ ისინი ამ ჭალაში უნდა იყვნენ?

— მა სად ჯანაბას წავიდოდნენ, რა ვიცი!.. ამ მთისკენ ხე-

ვი არის, ექეთკენ ეგეთი კლდეა, რომ კაცს გადახედვა შეეზარება.

ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ გართულნი, როდესაც ზევით დალმართებიდგან ერთი ცხენოსანი გამოჩნდა, რომელიც ძალზედ მოაჭენებდა. ის აღარც დალმართებს უყურებდა, აღარც ღორღებს და ხევებს, სადაც ცხენისათვის საკმაო იყო მხოლოდ ერთი ბორძიკი, რომ მხედარი სულით ხორცამდე დაკარგულიყო. აშკარად ეტყობოდა, რომ ის რაღაცა საჭირო საქმეზედ მოესწრაფებოდა. ეს მხედარი დაინახა იქ მყოფმა ხალხმა და დაუწყეს ყურება.

ელგუჯამაც, რომელიც მღელვარებით თვალს ადევნებდა იქ მოსულებს, შეჰკრა თვალი მომავალს მხედარს და გულში რაღაცა უსიამოვნება იგრძნო.

— ეგ თუ იქნება, ჩვენი მდევარი უნდა იყოს!..

ელგუჯას ძალიან კარგად ესმოდა, რომ, თუ გაგიმ შეიტყო ქალის მოტაცება და იმათი აქ ყოფნა, მაშინ საქმე უსისხლოდ აღარ გათავდებოდა და ახირებული მებატონე არაფრისთვის არ მოითმენდა ამისთანა სირცხვილს და უპატიურობას. იმის სახლიდგან ქალის მოტაცება საკმარისი შეურაცხყოფა იყო. ელგუჯა თავის თავისათვის არა სწუხდა, იმან იცოდა, რომ ღირსეულად დაუხვდებოდა ძალის მომტანს, მაგრამ აქ იმას გარედ ის იყო, ვისიც ერთი ამოსუნთქვა ერჩივნა მთელს თავის სიცოცხლეს. აი ესა სტანჯავდა და გულს უთუთქავდა. ამისთვისა ფიქრობდა ისე გამწარებული და ჭირის ოფლი გადასდიოდა; დიახ, მოხევე მარტო რომ ყოფილიყო, ბევრს ფიქრს არ გამოუდგებოდა და აქამდინაც გააცნობდა თავის თოფის სიმარჯვეს შარიანს მგზავრებს, რომელთაც თავი დაენებებინათ თავიანთი გზისთვის და გამოჰკიდებოდნენ ვიღაცა კაცების ცხენების კვალს.

ელგუჯას გული იმაზედ მოსდიოდა, რომ გაგი შესდგა აქა და კვალს სინჯვა დაუწყო მაშინ, როდესაც იმას გზა აუქცევს, დაუთმეს, მოერიდნენ და ამ შემთხვევაში კი მთაში მოსისხლე მტერიც ჩამოეხსნებოდა და აღარ გამოეკიდებოდა. სანამ ელგუჯა ამ ფიქრებში იყო, ცხენოსანი მოუახლოვდა გაგის და იმის ამხანაგებს; იმათ კარგად იცნეს ეს ცხენოსანი.

— რაი ამბავია, მარტიავ? — შორითვე შესძახა გაგიმა.

— რაი-ღა რაი ამბავი, ელგუჯამ ქალი გაგვტაცა, სახლი შეგვირცხვინა, თავი მოგვჭრა მთელს თემში...

— აჰუ... მაშ ელგუჯამ გაბედა? ელგუჯამა?!

— ელგუჯამა, მაშ ცხომ ვინა?

— კაცები არ იყავით? ქალი როგორ-ღა მოატაცებინეთ? თქვე ქალაჩუნა დიაცებო, თქვენა!.. ქუდის მაგივრად მანდილი უნდა გეხუროთ... ფუი, თქვენს ნამუსს!

— ღამე გაიტაცა, ქურდულადა, თორემ ჩვენც კი მამას შვილები ვართ.

გაგიმ, როგორც გამოცდილმა კაცმა, მაშინადვე იფიქრა, რომ ამ ცხენის კვალს ელგუჯასთან უეჭველად რომელიმე დამოკიდება უნდა ჰქონოდა და მოიწადინა უეჭველად ეპოვნა ცხენები და იმათი პატრონები დაეჭირა.

ელგუჯამ სიტყვით-სიტყვამდე გაიგონა მარტიას და გაგის ლაპარაკი და გაეშურა გიორგისკენ, რათა შეეტყობინებინა, რომ იმათი დამალვა გამოაშკარავდა და გაგი დაჭერას უპირებს. ამხანაგებმა მაშინვე ცხენებს თავი დაანებეს, სტაცეს ქალს ხელი და გაიქცნენ სიმაგრის მოსაძებნად, რომელიც იქ სადმე უთუოდ უნდა ყოფილიყო. იმათ უნდოდათ ისეთი ადგილის პოვნა, სადაც უშიშრად შესძლებოდათ ქალის შეფარება და შემდეგ... შემდეგ გაეგებინათ ამ ხალხისათვის, თუ რა „შავ ბიჭებთან“ აქვსთ საქმე, ან რა ადვილი იქნებოდა ორი თავგადადებული მოხევის ხელში ჩაგდება.

როგორც ზევითა ვსთქვით, ეს მინდორი ერთის მხრით ისეთის ფიწალო კლდეს მიებჯინებოდა, საიდანაც ფრინველი თუ ჩაფრინდებოდა, თორემ კაცისაგან ჩასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო. მეორე მხარეს ჩამოუდიოდა დიდი ხევი. სწორედ ამ კლდის თავზედ, ხევის აქეთ, იმათ იპოვეს ისეთი ადგილი, როგორსაც ეძებდნენ. ამ კლდიდგან რამდენიმე ნაბიჯს აქეთ თითქოს განგებ ამ შემთხვევისათვის, ამართულიყო პატარა გორაკი, რომელიც თავს დაჰყურებდა და მბრძანებლობდა მინდორს. ამ გორაკის სათაურის ნაპირებზედ კბილებსავით სალი კლდეები აშვერილიყო და შუაში პატარა ჩაღრმავება შეედგინა. ამ ტაფობზედ ოცი-ოცდაათიოდ კაცი თავისუფლად მოთავსდებოდა. რაწამს დაინახეს ეს ადგილი, სიხარულით გაექანენ.

— ღმერთი ჩვენსკენაა, გივარგი, — დაიძახა ელგუჯამ.

— ერთი იქ ავიდეთ-ღა და მაშინ ვუჩვენებთ თამაშას! — უპასუხა გივარგიმ.

მზალო, რომელიც, აქამდისინ ფერმიხდილი და გაჩუმებული, რაღაცა მთრთოლვარე მდგომარეობაში იყო, უკანასკნელმა სიტყვებმა გამოიყვანეს სასოწარკვეთილებიდგან და ხმა ამოაღებინეს.

— მაშ იქ რომ ავიდეთ, აღარა გვინდა-რა, შიში აღარა გვაქვს?

— ღმერთი მოწყალეა! — მისცა პასუხი ელგუჯამ.

— რაი უნდათ ჩვენგან, რაი? — ისეთის მწუხარებით წარმოსთქვა მზალომ, რომ კაცს გული აუდუღდებოდა.

— რაი უნდათ? — იკითხა გიორგიმ. — ის უნდათ, რომ თითო-თითოდ ძაღლებსავით ჩავხოცავთ აქა და ფრინველების საკორტნ მძოვრად დავყრით.

— მაშ ომი იქნება, უნდა ერთმანეთი დახოცოთ?.. ღმერთო!.. ღმერთო!.. — მწუხარებით წარმოსთქვა ქალმა.

— ნუ გეშინიან, ცხენებს რომ იპოვნიან, გაგის გაუმაძღარი თვალები იმითაც დაკმაყოფილდება; აქაც რომ მოვიდნენ, ჩავხოცავთ! — მოკლედ მოუჭრა ელგუჯამ და წარბები შეიჭმუხნა.

— ეგეთ ცხარე დღეს დავაყენებთ, წვერის სპარს-ანგელოზის მადლმა, რომ თითონვე თავ-ბედს იწყევლიდნენ.

ამ ლაპარაკში იმათ მიაღწიეს გორის თავს, სადაც გამაგრდნენ იმდენად, რამდენადაც შესაძლებელი იყო ორი კაცისაგან, მზალოს უჩვენეს ისეთი ადგილი, სადაც ტყვია ვერ მისწვდებოდა და დაარიგეს, რომ იმ ადგილას არ მოსცილებოდა. ბოლოს გაშალეს ნაბდები, ზედ დაყარეს ტყვია-წამლით სავსე მასრები და თოფებს საპირისწამლე შეუცვალეს. როცა ეს მზადება გაათავეს, ელგუჯამ წამოიძახა:

— ახლა გვეწვივნენ, თუ თავი მოსძულებიათ!.. კაი სტუმრები არიან, მაგრამ, ღვთის მადლმა, ჩვენც კარგი მასპინძლები დავუხვდებით... არა, გივარგი?..

— ჰაი, ჰაი, რომ დავუხვდებით! — იყო პასუხი.

V

ამ უკანასკნელმა შემთხვევამ გაგი არც მცირედ დააფიქრა. იმ დროს, როდესაც ეგონა, რომ თავის თვალთმაქცურის ქცევით ამაღლდებოდა, პატივსა და ძალას მოიპოვებდა; იმ დროს, როდესაც აფიცრობა მიიღო, დიდი ხელმწიფე-იმპერატორის სამსახურში შევიდა, — ვიღაცა ელგუჯა წინ გადასდგომოდა, შეერცხვინა იმის სახელი, წაერთვა ქალი და საქვეყნოდ მასხარად გაეხადა! გაგი სწუხდა, იტანჯებოდა და ის კი ვერ მოეხერხებინა, რა-რიგად გადაეხადა თავის შემარცხვენელისათვის. უწინდელი დრო რომ ყოფილიყო, ამგვარი შემთხვევისათვის გაგი შეჰყრიდა თემობას, ბჭეებს ამოირჩევდა და თემის დებულებას და გარდაწყვეტილებას უნდა დამორჩილებოდა; მაგრამ ეხლა ხომ უწინდელი დრო აღარ იყო?.. თემობას დაეკარგა თავისი ძალა, ხალხის ნების ასრულება შეუძლებელი შექმნილიყო და მის ბედ-იღბალზედ ზრუნვა თვითეულს პირს ჩაეგდო ხელში. გაგიც ერთი ამ ძალის მქონეთაგანი შეიქმნა და, მაშასადამე, ელგუჯას თავხედობას მარტო უბრალო ვადახდევინება არ ეყოფოდა; ის სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს და, რამდენადაც შეიძლება, მომეტებულად ეწვალოს!.. იძახდა გაგი თავის გუნებაში.

ამაზედ ფიქრობდა გაგი რამდენსამე ხანს და გარდაწყვეტილება ვერა მიეღო-რა. ბოლოს დაღვრემილი შუბლი გაეშალა და პირისახეზედ რაღაც უპატიოსნო ღიმილმა გაურბინა, აიღო თავი და მკაცრის ხმით წამოიძახა:

— მარტია!

— შენი კვნესა-მე! — უპასუხა მთიულმა და წინ წადგა.

— გასწი ეხლავე ქვეშესა და ნაჩალნიკს შეატყობინე, რომ რამდენიმე ბუნტმა კაცმა იმ დროს, როდესაც მე ხელმწიფე-იმპერატორის სამსახურში ვიყავ, სახლი ამიკლეს და დედაკაციც მომტაცეს.

— კარგი, შენი კვნესა-მე, კარგი!

— უთხარი: ეგ ყველა იმისთვის ჩაიდინეს, რომ რუსების სამსახურში ვარ... შეატყობინე, რომ ეხლა იმ მოღალატეებს აქ მოვასწარ და ჯარები მოგვაშველოს, რომ დავიჭიროთ.

— ჯარები? — გაკვირვებით იკითხა მარტიამ.

— მაშა! ხელმწიფე-იმპერატორის მოღალატენი რუსის ჯარებმა უნდა დაიჭიროს!

— ჯარები რად გვინდა, შენი კვნესა-მე, განა ჩვენ კი არ ვეყოფით? — წყენით უპასუხა მარტიამ, რომელმაც გაგის სიტყვები დასამცირებლად მიიღო... — ერთი გვიბრძანე კია და, ლომისის მადლმა, ღვთის რისხვას შევყრით, სადღა წაგვივლენ?

— არა, რუსები უფრო აწვალებენ, — მკაცრად წარმოსთქვა გაგიმ და მერმე თითქოს თავისათვის დაუმატა: — მარტო სიკვდილი რას კმარა!

— მტრები შენი არიან, შენი კვნესა-მე, და სისხლიც შენვე უნდა აიღო, ცხვები რაღად გინდა?

— იმად, რომ სამაგალითოდ აწვალონ, — მისცა პასუხად გაგიმ და შეიჭმუხნა წარბები. მარტიამ თავი ჩაჰკიდა და რაღაცა საგონებელში ჩავარდა. როგორც ეტყობოდა, ის არა ჩქარობდა გაგის სიტყვების აღსრულებას.

— გასწი რაღა! რაღას ელი?

— მაი, აგრემც შეგეწევა ლომისის მადლი, — ქუდის მოხდით და ხვეწნით დაიწყო მარტიამ, — აბა, რაი მადლია იმათი წვალება?.. მტრები არიან — მოვკლათ და გადავყაროთ, ცხო რაღა გვინდა? თორემ, თუ იმათ ჩაუცვივდნენ ხელში, ურიებასავით აწვალებენ, აგრემც შემეწევა პირიმზე.

— აწვალებენ?.. ო, თუკი აწვალებენ, ცხო რაღა მინდა! — წამოიძახა გაგიმ და პირუტყვულის სურვილის ელვა გამოკრთა მის თვალებიდგან.

— ნუ იზამ მაგას, შენი მუხლების ჭირიმე, ნუ!.. სათემოდ ლექსს გამოგვითქმენ, ლომისის მადლმა და, შევრცხვებით. ამოდენა ხალხს სამს კაცზედ მისვლა ვერ გაგვიბედნია, სიკვდილი არაა?.. მიბრძანე და მარტო მე გადავალ ხმალ-და-ხმალ, გა, შენი რისხვა არა მაქვს!

რამდენადაც მარტიას რცხვენოდა გაუბედაობა, იმდენად მტრების სატანჯველში მიცემა არ ეთანხმებოდა იმის შეხედულებას. და იმის აზრით კი რუსების ხელში ჩავარდნით ყველა კაცი უნდა დატანჯულიყო. მარტია არ იყო დამნაშავე, რომ ასეთი აზრი შეედგინა ახალ გვარ-ტომობის ხალხზედ, რადგანაც ის მოწმად დასწრებოდა იმ სამარცხვინო მოქმედებას,

რომელსაც ზოგიერთი იმათი წარმომადგენლები ჩაიდენდნენ. მაგალითად, ის იყო დამსწრე „ორი მთიულის მათრახებით მოკვლისა, რომლებსაც ყაზახებმა უწყალოდ სცემეს გზის კეთებაში, მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ერთს ყაზახს ცხენი წაუბორძიკდა. ზამთარში გზის მუშები თოვლის დროს არ გაუშვეს, რომ თავი შეეფარებინათ; ჩამოვიდა ზვავი და სამი კაცი დაახრჩო თოვლმა; დედაკაცები შეაბეს მარხილებში და ცემა-ტყეპით ბარგს აზიდვინებდნენ;“ ის იყო მოწამე, როგორც „ახალნურში ერთმა ჩინოვნიკმა ორი ოსი დაიჭირა, ჩაუსვრიმა გეჯაში სხვადასხვა უწმინდურება“, რომლის სახელის მოყვანასაც აქ ვერ ვბედავთ მკითხველის პატივსაცემათ, „და ის აკეძა ძალდატანებით“.

მარტიას ამგვარი მაგალითები, მომხდარი სხვადასხვა პირებისაგან, მრავალი ჰქონდა და ამიტომაც ის ასე ფიქრობდა, როგორც დანარჩენი თავისი მოძმეები... ამის მიზეზით, თუმცა ელგუჯას მოქმედება, იმისი აზრით, ისეთი დანაშაულობა იყო, რომლისთვისაც უნდა დასჯილიყო და სისხლით გარდაწყვეტილიყო, მაგრამ იმის წვალება და კაცობის დამცირება მაინც უპატიოსნებად მიაჩნდა.

გაგის აზრი რუსების ყოფაქცევის შესახებ არ განირჩეოდა მარტიას აზრისაგან და სწორედ ამ მიზეზით უნდოდა იმათ ხელში ელგუჯას ჩაგდება.

— გასწი, გასწი, რაღას უყურებ? — გაჯავრებით დასძახა გაგიმ.

— წავალ, წავალ, შენი კვნესა-მე, — რაღაცა შეწუხებით უპასუხა მარტიამ და გააბრუნა ცხენი.

როდესაც ის გაბრუნდა და გზას გაემართა, გაგიმ ისევ მოაბრუნა და ჰკითხა:

— აქ ახლო-მახლო სიმაგრე თუ არსად არის?

— როგორ არ არის, არის, — უპასუხა მარტიამ და გაიშვირა ხელი იმ გორაკისაკენ, სადაც ელგუჯა თავის ამხანაგებით ჩაესაფრა: — ა-იქ ეგეთი სიმაგრეა, ღმისის მადლმა რომ კაცს თუ ტყვია წამალი ექნა, მთელი წელიწადი ფიქრი არ უნდა.

— კარგია, ახლა შეგიძლიან წახვიდე, ვინძლო ჩქარა იარო.

— კარგი, კარგი, ჩქარა ვიცლი, — უპასუხა მარტიამ, გააბრუნა ცხენი და გააქროლა.

პირისახეზედ ეტყობოდა, რომ იმისი აზრი რაღაზედაც მუშაობდა; ბოლოს ერთბაშად უკან მოიხედა, გაგის მხარეს, მრისხანედ დაუქნია მათრახი და შესძახა:

— არ გაიგონე ჩემი და ახლა დამაცა, შე ბუგრიანო.

ამ ადგილში გზა ცოტა ხვეულად მიდიოდა, ისე რომ მარტია აღარ უჩანდათ გაგის და იმის ამხანაგებს. მარტიამ ერთი კიდევ მოიხედა უკან, იშვირა ფეხი, გადაფრინდა ისე გაჭენებულის ცხენიდამ და შურდულსავით შეერია ბუჩქებში, ის გარბოდა გორისაკენ, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდა, რომელზედაც ელგუჯა იყო; ხანდახან ამოიძახებდა რაღაცა სიტყვებს, რომელიც პირდაპირ ნაყოფი იყო იმის გახურებულის აზროვნებისა.

— სიკვდილი არ კმარა, შე ცოდვიანო, განა? არ გეყოფა იმათი სისხლი... შენ იმათი წვალება გინდა და ვნახოთ... მაშ კარგი, მეც იქ მივალ... ან მეც იმათთან მოვკვდები და ან დავიხსნი როგორმე!..

ამ სიტყვებით და მუქარით მარტია მიეშურებოდა აშკარა წადილით, რომ ელგუჯას შეერთებოდა და გაგის უპატიოსნო დამამცირებელის წადილისათვის გარდაეხადა.

ამ ხანში არც გაგი დარჩა უსაქმოდ. იმან გარდაწყვიტა, რომ საშუადღეოდ ქვეშიდან ჯარი მოეშველებოდა, მაგრამ, სანამ ისინი მოვიდოდნენ, ამას დაწვრილებით უნდოდა ადგილის დათვალიერება, შესწავლა და შეტყობა — თუ სად იმალებიან ისინი, ვისაც ისე დღის გამწარებას უპირებდა.

გაგიმ მისცა განკარგულება, რომ ხალხი გაიფანტოს, შევიდეს ამ ბუჩქებში და კარგად ათვალიეროს დამალულები. თუ ვინცობაა შეხვდებოდნენ სადმე, ეცადნენ, რომ ცოცხლები დაიჭირონ და იარაღის ხმარება არ გაბედონ, თუ საქმე განსაკუთრებით არ გაჭირდებოდა.

ამგვარად ხალხმა პირჯვარი გადაიწერა, ახსენა თავიანთი სალოცავები, გაიფანტა და შევიდა ტყეში. ყველა გრძნობდა, რომ გაგის ბრძანების აღსრულება ძნელი იყო და თავგადადებული შეიარაღებული ხალხი ადვილად არ დანებდებოდა. ისინი მიდიოდნენ სიფრთხილით, თითქმის ყველა ბუჩქის სინ-

ჯვით და იმ მთრთოლვარე მდგომარეობაში იყვნენ, რომელ-შიაც კაცს აყენებს საზოგადოდ ომი. ცოტა სიარულის შემდეგ ისინი შეხვდნენ სამს შეკაზმულს ცხენს, რომელნიც დამშვიდებული, ფრუტუნით სძოვდნენ ბალახს. გაგი მისდევდა ამ ხალხს უკან და სადაც შესანიშნავ რასმე შეამჩნევდა, იმ მხარეს გადადიოდა. ამ ყოფით გაჩუმებულნი, შუბლშეჭმუხვნილნი დადიოდნენ ისინი ამ ადგილებში, როდესაც მარტიამ მიაღწია იმ გორაკს, სადაც ელგუჯა იყო. გიორგიმ პირველმა მოჰკრა იმას თვალი და ჩაცმულობაზედ მაშინვე იცნო, რომ მომავალი მთიული უნდა ყოფილიყო.

— ელგუჯავ! მოდი-ღა, აგერ მთიული რამე მორბის და არ ვიცი ვინ იქნება.

— აბა სადაა? — გადმოიხედა ელგუჯამ. — მართლა მთიული ყოფილა.

— მთიულეთს მოკეთე თუ არვინა გყავს? — ჰკითხა ისევ გიორგიმ.

— არა.

— მაშ ვინ იქნება... სამტროდ მოდის თუ სამშვიდობოდ?

— აბა რაი ვიცი!.. აი ეხლავ გავიგებ, — სთქვა ელგუჯამ და გადაუშვირა თოფი. — შესდექ, თორემ, ღვთის მადლმა, მანდვე გაგაცივებ!

მარტია შესდგა და მშვიდობა შესძახა.

— ვინა ხარ ან რაი გინდა? — ჰკითხა ელგუჯამ.

— მე მარტიაი ვარ, ხანდოსხეველი მთიული... ძმად მწადის თქვენთან გაფიცვა.

ორთავ მოხევეს გაუკვირდა უცნობი მთიულის ამგვარი წადილი.

— მარტიაუ! — ცოტა ფიქრის შემდეგ უპასუხა ელგუჯამ, — თუ გვატყუებ, მაი, უკან გაბრუნდი, კაი ვაჟი ხარ მართალია, მაგრამ ჩვენც არ დაგიცვივით უკან, უბრალოდ თავს ნუ გაგვაფუჭებინებ.

— ლომისა იყოს თქვენი თავდები... თქვენს მოღალატეს ღედამც შეერთოს ცოლად.

ამ სიტყვების შემდეგ ელგუჯა მიუბრუნდა გიორგის და უთხრა:

— მე თოფის ნიშანს არ მოვაცილებ მარტიას, შენ კი ჩადი

და ძმად გაეფიცე, ვინ იცის, იქნება ეგეც ჩვენსავით შეწუხებულია და ამისთანა ალაგას კი ერთი მეტი კაცი მთელი ლაშქარია.

გიორგიმ ხმაამოუღებლივ წამოაყენა თოფი ფეხზედ და გადმოეშო გორაკიდგან. ჩჩარა ჩავიდა მარტიასთან და შორიახლო დადგა.

— გზა მშვიდობისა! — უთხრა გიორგიმ.

— მშვიდობა მოგცეს ლომისამა!

— ავიხსნათ იარაღი და ძმად გავიფიცნეთ.

— აგრე, შენი კვნესა-მე.

ორთავ იარაღი შემოიხსნეს, დაყარეს მიწაზედ, მივიდნენ ერთმანერთთან, ამოიღეს ტყვიები და გაცვალეს. ამის შემდეგ გადაეხვივნენ ერთმანერთს და სამჯერ აკოცეს. შემდეგ შეჰფიცეს ერთმანერთს, რომ უკანასკნელს სულის აღმოხდამდი ერთმანერთს არ უღალატონ. აიღეს ისევ იარაღი და ავიდნენ ელგუჯასთან, რომელიც თავის რიგზედ გაეფიცა მთიულს ძმად. მარტიამ უამბო გაგის საქციელი, იმისი სურვილი და, რადგანაც მარტიამ ვერ იკისრა ამისთანა სამარცხვინო ბრძანების აღსრულება, ამისათვის მიმართა იმათა, რომ ან უშველოს რითიმე და ან იმათთან მოკვდეს.

ამ ლაპარაკში მოახლოვდა გორას გაგი თავის ხალხით, რომელთაც გარდასწყვიტეს, რომ ელგუჯა აქ უნდა შეფარებულიყო, რადგანაც ველ-ტყიანებში ვერსად იპოვნეს. გაგი წამოდგა წინა და ხმამაღლა დაიძახა:

— ელგუჯა, ვიცით, რომ მანდა ხარ დამალული, გადმოიხედე-ღა, ერთს-ორს სიტყვას გეტყვით!

ამ სიტყვებზე პასუხი არავინ მისცა და ისევ გაგის მოუნდა ლაპარაკი:

— აი მშიშარავ, მშიშარავ!.. თუ ეგრე გეშინოდა ჩემი დანახვისა, ქალი რაღად მოიტაცე?.. გადმოიხედე-ღა ერთ წამსა, თუ დედაკაცი არა ხარ!

ამ სიტყვებმა გააცეცხლეს ელგუჯა, რომელიც მთლად ამართული გადმოდგა კლდეზედა.

— რაიც მშიშარა ვარ, ეგ შენც იცი, მაგრამ ღვთის მადლსა, გაგი, შენს სისხლში ნუ გაგვრევ, გზა დაგვანებე... ქალი გამიმტაცნია, რაც თემობის წყობილებაა, გადაგიხდი ურვადს და ჩამოგვეხსენ.

— ღმერთმა შენც შეგარცხვინა და თემიც!.. ეხლავ ;გამოდ აქა და ეგ უნამუსოც გამოიყვანე, თორემ სიცოცხლე მაქვს შავი დღე დაგაყენო!

— გაგი, თემს ნუ ლანძღავ, არაა წესი... არც დედაკაცის ლანძღვა არის ვაჟკაცის საკადრისი, თორემ, ღვთის მმადლმა სისხლი ყელში მოვიდა.

ამ მუქარამ გაგი გააცეცხლა და გადაავიწყა წინაანდელი თავისი მოაზრება.

— ერთი უყურეთ მაგ ძაღლს, მაგასა-და? რა-რიგ ლაპარაკი დაიწყო!.. ახალე, ბიჭებო!

ამ სიტყვებთან ერთად ავარდა კომლი და რამოდენიმე თოფის ხმა მოისმა. ტყვიებმა ხრიალი მოიღეს იმ ალაგას, სადაც ელგუჯა იდგა. ამან მოასწრო გადაფრენა ქვების უკან და დაიძახა:

— მაშ ეგრე, გაგი, რაკი არ დაგიშლია-და, ახლა ჩვენი ხლა ნახე... რაც აქ სისხლი დაიღვაროს, შენმა სულმა ზღოს!

გავარდა სამი თოფი და გაგის ამალიდან სამი მსხვერპლი დაეცა დედამიწაზედ, რომელთაც სისხლი თქრიალით გაადიოდათ იარებიდგან...

VI

გაიმართა თოფის სროლა, რომლის შედეგიც იყო გაგის მომხრეთაგან კიდევ რამდენიმე კაცის სიკვდილი; ამათ საქმე ისე გაუჭირდათ, რომ თავის შესაფარს ადგილებს ძებნა დაუწყეს.

ეს ხალხი გაიფანტა და მიეფარა-მოეფარა აქა-იქ ;გაფანტულს ქვებსა და ხრამებს. თითონ გაგიმაც, რასაკვირველია, მოძებნა უშიშარი ადგილი და ლანძღვით და ქადნით მოელოდა დაბარებულს ჯარს. ის იმედს არა ჰკარგავდა, რომ რამდენ ხანსაც უნდა გაგრძელებულიყო ამგვარი მდგომარეობა, ბოლოს ელგუჯა მაინც ხელში უნდა ჩავარდნოდა, რადგანაც გაგი აქ ადგილებს არ მოშორდებოდა და გორაზე მომწყვდეულებს ყოველის მხრით გამოსასვლელს გზას შეუკრავდა. სროლა მაინც არა სწყდებოდა, თუმცა ტყვიები უბრალოდ იკარგებოდა და პირდაპირ თავის დანიშნულებას ველარ ასრულებდა.

ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც გაგი მღელვარებით წამდაუწუმ ცას შეჰყურებდა და დაღრეჯილი სახით წამოიძახებდა:

— რაი ღმერთი გაუწყრათ აქამდე, რაი მოუვიდათ? აგერ შუადღეც გადავიდა... მარტია სად-ღა დაიხაფრა?!

ამ მღელვარების მიზეზი ის იყო, რომ გაგიმ აშკარად დაინახა, რომ იგი ელგუჯას და იმის ამხანაგებს ვერც დაიჭერდა და ვერც დახოცავდა; ადგილის მდებარეობამაც დაანახვა, რომ იმ მცირედის ხალხით, რომელიც გაგის ახლდა, ყველა მხარეს გზას ვერ შეუკრავდა მომწყვდეულებს, და იმათ ადვილად შეეძლოთ ღამე ყარაულებს გასხლტომოღნენ და სამუდამოდ ხელიდგან წასვლოდნენ.

რამდენადაც გაგი აქ იტანჯებოდა, იმდენად გორაზედ მყოფთ ნუგეში ეძლეოდათ და იმედი ჰქონდათ, რომ ღამის სიბნელესთან ერთად იმათ გაეხსნებოდათ გზა და მშვიდობიანად გადარჩებოდნენ თავიანთ მოსისხლეებს.

— ახლა დასვენებაც შეგვიძლიან, ლომისის მადლმა! ისინი ველარც კი გაჩუჩუნდებიან.

— არა მგონია, რომ გაგიმ ეგრე მოისვენოს... აბა რაი ენაღვლება, თუ იმის საქმეზედ ცხვები გაწყდებიან? — უპასუხა ელგუჯამ.

— თითონ უკან იმალება და ცხვებს კი გვახოცინებს, — დაუმატა გიორგიმ.

— არა, შენი კვნესა-მე, არა, ეხლა ხალხი დამშვიდდა და გაგის აღარავინ დაუჯერებს. აი წეღან, სანამ ხალხი შეხურებული იყო — მანამ იყო საშიში, თორემ ეხლა ფიქრი აღარ გვინდა, — სთქვა ესა და დამშვიდებულმა, თითქოს თავის აზრის დასამტკიცებლად, გადმოიღო თოფი და დადო ნაბადზე.

საღამო მოახლოვდა, რომ ეს სამი მეგობარი ისევ ამ მუსაიფში იყვნენ; ელგუჯა ერთბაშად წყნარა ჩამოცურდა თავის ადგილიდგან, წყნარად აიღო თოფი ხელში და გორაზე გადაუწვა.

— რა დაინახე? — ჰკითხა ჩუმად გიორგიმ, თითქოს ეშინოდა, რომ იმის სიტყვებს არ დაეშალა.

— აბა, ა-იქ გახედე-ღა, — უთხრა იმან და ხელი გაუშვირა სწორედ კლდის პირისაკენ.

გიორგიმ და მარტიამ მიიხედეს იქით და გაშტერებულნი დარჩნენ. ზედ კლდის პირზედ, სადაც მინდორი თავდებოდა, გაგი, რამდენიმე ცხენოსანთან ერთად, ქვეშეთისკენ მიაჭენებდა.

— ეგ გაგი ძაღლი არაა, თქვენი ჭირიმეთ? სად ჯანაბაში მიდის?

ელგუჯა ამ ლაპარაკის დროს ნიშანში იღებდა გაგის.

— აბა რა ვიცი, სად მიდის, მაგრამ ღვთის მადლმა, სადაც გინდა მიდიოდეს, მშვიდობით-კი ვეღარ ჩავა.

ამ სიტყვებთან ერთად, გავარდა თოფი და თოფის ხმასთან ერთად გაგის ცხენი ყალყზედ შედგა, წატრიალდა კლდისაკენ, წაიტორტმანა და მხედართან ერთად გადავარდა კლდეზედ.

ეს ყველა ისე მოულოდნელად და საჩქაროდ მოხდა, რომ გაგის ამხანაგებმა შველა ვერ მოასწრეს, და როდესაც კლდეზე გადაიხედეს, ხევში დაინახეს დაფლეთილ-დამახინჯებული კაცი და ცხენი.

გაგის მოსწყენოდა ჯარისა და ნაჩალნიკის პასუხის ლოდინი და ეფიქრა თითონ წასულიყო იმათ სანახავად. მართალია, იმან იცოდა, რომ აქ ვეღარ მოასწრობდა ელგუჯას, მაგრამ, ამის სამაგიეროდ, ქვეით შეუკრავდა გზებს და იქ მაინც ჩახოცავდა იმ ძაღლებს, რომელნიც ასე გაუძალდნენ და ამდენი ზარალი მისცეს. აი ეს იყო მიზეზი, რომ გაგის ვხედავდით იმ კლდის ნაპირზედ, რომლიდგანაც ისეთი უბედური მგზავრობა მოუხდა.

გაგის ამხანაგები ჩამოხტნენ ცხენებიდგან, იჟღავჟღავეს, ილაპარაკეს და ბოლოს გადასწყვიტეს, რომ წავიდნენ და ამ უბედურებაზედ ნაჩალნიკს შეატყობინონ, რადგანაც გაგის ვეღარაფრით ვერ უშველიდნენ.

გაგის კლდეზედ გადავარდნა გორაზედ სიხარულით მიღეს.

— ლომისამ გაუმარჯოს შენს მარჯვენას! — ქუდის მოხდით შესძახა მარტიამ.

— ჰე! — ნიშნის მოგებით წარმოსთქვა გიორგიმ, — ეგ ძაღლიც ჩაკვდა!

ელგუჯამ კი ჩამოიღო თოფი, გადიწერა პირჯვარი და დაღონებულის ხმით წარმოსთქვა:

— რაისთვის შემოგვაკლა თავი, რაისთვის? ღმერთს არ მოეტყუების, რომ ნების-ხებად ჩემს მოძმეზედ ხელს არ მივიტანდი...

— მოძმე კი არა, მოღალატეა! — წარბებშეჭმუხვნით დასძახა მარტიამ, — ძმებსაც უღალატა და თემობასაც!..

— ძაღლი იყო და ძაღლურად მოკვდა... ღმერთმა ტყვიაც აღარ აღირსა, ისე მურდლად მოკლა.

ამ დროს სრულებით შემოღამდა და იმათი წასვლის დრო მოახლოვდა. ელგუჯამ გასწია მზაღოსაკენ, რომელიც უნდა მოემზადებინა და შეეტყობინებინა, რომ ერთი უპირველესი იმის მტერთაგანი აღარ არის ქვეყანაზედ და რომ ეხლა ვეღარავინ გაჰყრის იმათ.

მზაღო დილიდანვე ფერმიხდილი იჯდა დაჩვენებულს ალაგას, გულისხეთქით მოელოდა საქმის გათავებას. იმჟამად იმას ყოველისფერი დაჰვიწყებოდა და გაეტაცნა მარტო მეგობრის მზრუნველობას. იმას ეშინოდა, რომელიმე თავხედ ტყვიას მსხვერპლად არ შეეწირა ერთ-ერთი იმათგანი, რომელნიც ისე ვაჟკაცურად იცავდნენ ამ ქალის სახელსა და თავისუფლებას. მზაღო მზად იყო გვერდს ჩამოსდგომოდა თავის მეგობრებს და იმათთან ერთად გაეყო ბედი-უბედურება, მაგრამ ის შეხედულება, რომელიც ჩერქეზებში მიეღო და რომელიც ქალს სრულს მონობას აჩვევს, ნებას არ აძლევდა ელგუჯას სიტყვას გადასულიყო; ამისთვისაც იჯდა დაჩვენებულს ადგილას, თუმცა ასე გაძლება სიკვდილზედ უფრო ძნელად მიაჩნდა. ქალი ლოცულობდა, ეხვეწებოდა ღმერთს და ყოველს სროლაზედ შემკრთალი, შეშინებული წარმოუთქმელის სატანჯველით გულში გამოვიდოდა საფარიდგან და შეხედავდა თავის მეგობართა; როდესაც იმათ უვნებლებს და კარგად მყოფებს დაინახავდა, იმის სიხარულს ბოლო აღარ ჰქონდა. ისევ დაბრუნდებოდა თავის ადგილზედ, დაეცემოდა მუხლებზედ და მდუღარე ცრემლით ღმერთს მადლობას სწირავდა.

ჩერქეზი ლოცულობდა, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ იმის სათხოვარში არ გამოიხატებოდა სურვილი ერთის მხრიდგან ვისიმე სიკვდილისა და მეორეს კი გადარჩენისა; ის ითხოვდა, რომ ყველაფერი მშვიდობიანად გათავებულიყო, არავინ არ მომკვდარიყო და შეყვარებულის გულის მინიჭებულებით

ყველასათვის სიხარულს, ბედნიერებას და მშვიდობას ისურვებდა.

ამ მდგომარეობაში იყო მზაღო, როდესაც ელგუჯა დაინახა, რომელიც იმასთან მიდიოდა. რაწამს ქალმა თვალი მოჰკრა, სიხარულით იმისაკენ გაეჭანა და მეტის მღელვარებისაგან გაწითლებული კისერზე ჩამოეკიდა.

— გათავდა, წავიდნენ?.. ბრძოლა ხომ აღარ გექნებათ?.. ოჰ, ღმერთო! გმადლობ, გმადლობ, რომ მშვიდობიანად გადაარჩინე!

— მზაღო,. ჩემო მზეო! — მღელვარებით წარმოსთქვა ელგუჯამ, — ნუ გეშინიან.

— წავიდნენ, თავი დაგვანებეს?..

— ჰო, ჰო!.. დაგვანებეს!

— მაშ წავიდეთ, წავიდეთ ჩვენცა, რაღას ვუყურებთ?

— წავიდეთ, ჩემო გულო, წა!

ამ დროს მარტია და გიორგიც მოვიდნენ, ახსენეს ღმერთი და წუნარა ჩავიდნენ გორაკიდგან. დარწმუნებულნი, რომ იმათ არავინ ხედავდა, ისინი წუნარა სიფრთხილით მიიპარებოდნენ ბუჩქებს შუა, სადაც გაგის დანარჩენი ყაზახები ეგულებოდათ. მშვიდობიანად ჩავიდნენ ქვეშის დაღმართზე და ეს ალაგებიც გაიარეს.

ქვეშეთის ცოტა ქვემოდგან არის ერთი ეკლესია, რომელსაც ნაღვარავი ჰქვიან. ის ადგილი მაშინ ტყიანი იყო და იქ ბევრმა განდეგილმა მთის კაცმა შეაფარა თავი და გადარჩა იმ დროს უსამართლო დევნისაგან.

ჩვენი მგზავრებიც აქ მოეშურებოდნენ, რადგანაც გათენებას მოეღწია და მეტს გზას ველარ გაივლიდნენ ღამით, და დღე სიარული კი ჯერ კიდევ საშიში იყო. როდესაც მოგზაურები დალაგდნენ, გიორგიმ და მარტიამ თოფები აღეს და წავიდნენ საყარაულოდ. ელგუჯა და მზაღო საყდრის გალავანში დარჩნენ. მთვარემ ამოყო წვერი და ნაზად მოჰფინა იქაურობა თავის სხივით.

— აქ ხომ აღარ მოვლენ? — ჰკითხა მზაღომ ელგუჯას.

— არა, არა... ნუ გეშინიან.

— მე კი ისე მგონია, რომ აქაც არ მოგვისვენებენ.

— არ მოგვისვენებენ და, რაც იქ წაიღეს, აქაც იმას წაიღებენ!

— ახ, ღმერთო! რატომ არ ჩამოგვეხსნებიან, რა უნდათ ჩვენგან, რა?.. — მწუხარებით წარმოსთქვა ქალმა.

— ის უნდათ, ჩემო ყველავ, ისა, რომ შენ მეტისმეტად ლამაზი ხარ! — გატაცებით უთხრა ელგუჯამ და მიიკრა გულზედ. — მაგრამ, ღვთის მადლმა, — გააგრძელა იმან, — მთელი ქვეყანა მტრად რომ გადამეკიდოს, მაშინაც არავის დაგითმობ.

მზაღომ ამ სიტყვებზედ დაღუნა თავი, მთლად აენთო სიხარულის ცეცხლით და, თუმცა ტუჩები მთრთოლვარეთ უცახცახებდნენ, სიტყვა კი ვეღარ წარმოეთქვათ. და ან რა უნდა ეთქვათ იმისთანა დროს?.. ეს იყო იმისთანა წამები, როდესაც კაცს მარტო გრძნობა შეუძლიან და მხოლოდ ერთი შეხედვა, ერთი ამოქშენა მთელი წლის საუბარზედ მეტს გამოსთქვამს, მეტს აგრძნობინებს.

ისინიც გრძნობდნენ სრულს ბედნიერებას, რაღაცა უმაღლეს სიხარულს და უანგარიშოდ ეძლეოდნენ ამ მღელვარების მონებას. ელგუჯას თავი წყნარ-წყნარად მოეხარა, დაუახლოვდა ქალის აღგზნებულ პირისახეს, რომელიც სასიამოვნოდ ულუტუნებდა და გამოურკვეველს მდგომარეობაში შეჰყავდა. ერთი წამი კიდევ და მოულოდნელად, მოუფიქრებლად იმათი ტუჩები შეუერთდნენ ერთმანერთს და ორივ თავდავიწყებამ სრულიად დაიმონავა...

ამ ნეტარებაში იყვნენ, როდესაც თოფი გავარდა და შეყვარებულები გამოიყვანა ამ მდგომარეობიდგან. თოფის ხმაზედ გაცივდა კიდევ რამდენიმე თოფი და მოისმა ყვირილის ხმა იმ ხმარეს, სადაც მარტია და გიორგი ყარაულად იდგნენ. ელგუჯა გაიჭრა იქითკენ და თვალწინ წარმოუდგა შემაძრწუნებელი სურათი, რომელიც არ მიემსგავსებოდა ამ რამდენიმე წამის წინ ნაგრძნობს. მარტიას და გიორგის გარს შემოხვეოდნენ სალდათები, რომელთაც მამაცად იგერიებდა ეს ორი, მეგობრობისათვის თავგადადებული კაცი.

რამდენიმე კაცს, რომლებიც დარჩენილიყვნენ გაგის ამალიდგან გორაკის მახლობლად ელგუჯას და იმის ამხანაგების სათვალიერებლად, დაენახათ გაპარულები, მიჰყოლოდნენ ჩუმად უკან და გაქცეულების ბინა შეენიშნათ; ამაზედ შეეტყო-

ბიხებინათ ნაჩალნიკისათვის, რომელსაც მკაცრი განკარგულება მოეხდინა და წაეყვანა მთელი როტა. აი ეს სალდათები გასულდნენ, რომლებიც მარტიას და გიორგის ბუზებსავით გარს ეხვეოდნენ.

ელგუჯა ხმალამოწვდილი გადახტა და გაქანდა თავის ამხანაგებისაკენ: წინ სალდათი გადაუდგა და მიუშვირა შუბი. ელგუჯამ შუბს ხელი გაავლო, აიცდინა და ისე მარდად და ძალზედ წამოუსვა ხმალი კისერში, რომ ამ უბედურის ტანი და თავი ცალ-ცალკე გაგორდა. რამდენსამე გაბრძოლების შემდეგ, ელგუჯა შეუერთდა თავის ამხანაგებს, თუმცა ამ შეერთებამ ბევრი აღარა უშველა-რა. იმ ადგილას, სადაც ისინი იდგნენ, ხალხი ერთბაშად შეჯგუფდა და ბურთსავით შეიკრა. იქ რაღაც გამოურკვეველი მოძრაობა იყო. როდესაც ხალხი გაიშალა, დედამიწაზედ რამდენიმე დამახინჯებული და დაჩეხილი ბსხვერპლი გამოჩნდა. მათ შორის იცნობდით ელგუჯასა და იმის ორ ამხანაგსაც, უწყალოდ შუბებით დაცხავებულთა... ელგუჯა გულღმა პიოდაღებული ეგდო და მკერდიდგან რამდენიმე ალაგას თქრიალით სისხლი გადმოსდიოდა. ერთი სალდათი მივიდა და კიდევ რამდენჯერმე ჩასცა შუბი...

რაღა თქმა უნდა, რომ მზაღოს დაიჭერდნენ.

VII

მზაღო დიდ დამნაშავესავით სიფრთხილით მიჰყავდათ სალდათებს, რომელნიც შემთხვევას არ უშვებდნენ ისე, რომ უზრდელად არ დაეცინათ იმის მდგომარეობისათვის და არ გამოეჩინათ თავიანთი შეუბრალებლობა.

ქალი მისდევდა გამარჯვებულებს პირმოკუმული და გაფითრებულის სახით. იმის მიმზიდველი, ჟუჟუნა თვალები მეტის მწუხარების ცეცხლით გამშრალიყვნენ და გარეგნულად განიხედებოდნენ. ქალმა ჯერ კიდევ არ იცოდა, თუ სადამდინ მიეღწივა დღევანდელს უბედურებას...

აი, იმ ადგილსაც მიაწიეს, სადაც ძალა და სიმართლე ერთმანერთს შებმოდნენ და ამ ბრძოლის მსხვერპლნი, ზოგი გულღმა, ზოგიც პირქვე, შესაზარად დამახინჯებულნი, ეყარნენ

ზოგი მათგანი, ახლად აშლილის წვერ-ულვაშით, თითქოს გაღიმებულის პირისახით, დასცინოდნენ ხალხის ამდენს უსამართლობას და ველურ ქცევას. ზოგს ვაჟკაცურის მკერდიდგან ჩამოეწყვიტათ საკინძი და, თითქოს განგებ, გამოეჩინათ ვაჟკაცური ჭრილობა.

ელგუჯაც, რომელსაც ჯერ კიდევ ხელი არ მოეშორებინა ხმლისათვის, თითქოს ხელახლად საბრძოლველად იწვევდა მტრებს, განაპირებით ეგდო. მზაღომ შეჰკრა თვალი და წაიბარბაცა, მაგრამ ისევ ჩქარა შეიმაგრა თავი და შესდგა. ფერი ეცვალა, მუხლები აუკანკალდა და წნორის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო...

— გაიარე, გაიარე! — მკაცრად უბრძანა ერთმა სალდათთაგანმა და, როდესაც ნახა, რომ მისი ბრძანება აუსრულებელი რჩებოდა, უფრო მკაცრის და მბრძანებელის ხმით გააგრძელა: — შენ, არ გესმის? გასწი-მეთქი!.. — და ამ სიტყვებთან ერთად ისე ძალზედ წაჰკრა თოფის კონდახი, რომ ქალი წატორტმანდა და, თუ მეორე სალდათს არ დაეჭირა, ღორღებში გადავარდებოდა.

მზაღო შეკრთა მეტისმეტი ტკივილისაგან და გამწარებულმა ისეთის თვალით შეხედა ასე ერთგულად სამსახურის აღმასრულებელს, თითქოს იქვე გაქრობას უპირებდა.

— თვალებს რას აჭყეტ? გასწი, გასწი! — კიდევ უთხრა იმან, გაავლო ხელი და რამდენიმე ნაბიჯი ძალით გადაადგმევინა. ამ დროს ქალი ერთბაშად გაუსხლტა ხელიდგან თავის ძალდამტანებელს და წარმოუთქმელის მწუხარე ღრიალით გაქანდა ელგუჯასაკენ, რომლისათვისაც უკანასკნელი მშვიდობა უნდოდა ეთქვა, მაგრამ იქამდის ვეღარ მიაღწია, ძალამ უღალატა და ღონემიხდილი იქვე დაეცა.

სალდათები მისცვივდნენ, ასწიეს ისე გულშემოყრილი და იქვე მომავალი მთიულის ურემს შეუგდეს, რომელსაც უნდა ბატონ ნაჩალნიკთან წაეღო.

გახარებულთ „საისტორიო გამარჯვებით“ გასწიეს სიმღერით ქვეშეთისაკენ და მკვდრების დასამარხად კი რამდენიმე მთიული დააგდეს; იმათ მხოლოდ სალდათების დამარხვა ჰქონდათ ნაბრძანები და იმ ბუნტი კაცებისა კი — ისე დაყრა,

რათა გამვლელ-გამომვლელს ენახა, თუ რაგვარს სასჯელს მიაღწევს ამგვარი მოუსვენაო ხალხი.

როდესაც სალდათები დააპატიმრეს, ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ რაწამს ფეხის ხმა მიწყნარდა, ტყიდგან გამოვიდა ერთი მოხუცებული, ჭაღარა შერთული კაცი და რამდენიმე ყმაწვილი შეიარაღებული მთიული. მოხუცებული მივარდა მარტიას და დაუწყო სინჯვა.

— მომკვდარა, მოუკლავთ ძაღლებს! — წარბშეჭმუხვნით წარმოსთქვა იმან.

— სხვებიცა ნახე, შენი კვნესა-ბე, ბერდიავ, სხვებიცა! თუ დაუხოციათ, დავმარხოთ, ასე ნუ დავყრით, ნადირი გააფუჭებს, ქრისტიანები არიან.

ბერდიამ გასინჯა გიორგიც, რომელზედაც იმედგარდაწყვეტილმა ხელი ჩაიქნია, და გადავიდა ელგუჯასაკენ. ამ უკანასკნელს დაუწყო კარგა ხანს სინჯვა, რამდენჯერმე გაუჩხრიკა ჭრილობანი და კარგახანს აკვირდებოდა იმის პირისახეს.

— ა, ბედშავ ვაჟაო!.. სულ არ დაუხვრეტიათ!.. ამისათვის ყოფილა დედის ძუძუ ალალი!..

— ცოცხალია, ცოცხალი? — გულისძგერით ჰკითხეს ყმაწვილმა მთიულებმა, რომელნიც თავს დასდგომოდნენ ელგუჯას და მოწიწებით უყურებდნენ იმის ვაჟკაცობის ბეჭედს — გულში ჭრილობას.

— უფალმა უწყის! ჯერ კი სუნთქავს-და...

— ბერდიავ, ბერდიავ! ეგებ მოარჩინო ეგ ვაჟი, ლომისა მადლსა.

— უფალმა უწყის! — წარმოსთქვა იმან მოკლეთ და ისევ მიუდგა იარების სინჯვას და ჩხრეკას. — არც ერთი ჭრილობა სასიკვდილო არაა!

— მაშ იმედი გაქვს?

— უფალმა უწყის! ღვთისა და ნაღვარევის ბრძანებას წინ ვინ წაუდგება!.. წადით, მათარებით წყალი მოიტანეთ, ცდა ჩემი იქნების და ბრძანება კი უფლის აღსრულდების.

რამდენიმე მთიული გაიქცა იქვე წყაროსთან და მათარებით მოარბენინეს წყალი. სხვებმა მოუთხარეს საფლავი მარტიას და გიორგის, რომელთაც ერთად უპირებდნენ დასაფლავებას.

ბერდიამ მობანა ელგუჯას იარები, ჩხირით გაუსინჯა სიღ-

რჩება, მიმართულება, ამოიღო დაძენძილი კანაფი ჩანთიდგან, გაიხსნა მარილიას ერბოში და გაუკეთა სანახავები; შემდეგ ნო ყარა ოღაცა დანაყილი ბალახი და შეუკრა ჭრილობები. კოჭამეკრული პიროი გაუხსნა ხანჯლით და პირში რამდენიმე ჯვეთი რაღაცა წამლისა ჩაასხა.

როდესაც ყველა ეს გაათავა, წყნარად დაიბანა ხელები და დამშვიდებულმა წარმოსთქვა:

— ნაბადი მოიტანეთ და ჭიმბარიანთ კარს წაიღეთ, იქ სინიასას მიიტანეთ, ის საიმედოა — თავის სახლში დააწვენს.

— კარგი, შენი კვნესა-მე, კარგი, თვალის დახამხამებაზედ ავიყვანთ! — წარმოსთქვა ერთმა და გაშალა თავისი თეთრი ნაბადი, რომელიც გვერდზედ კოხტად ჰქონდა მოგდებული. იმას მიეშველნენ რამდენიმე სხვა მთიულებიც, დაასვენეს ელგუჯა ნაბადზე და ისე წაიღეს. სხვები კი, ბერდიას თაოსნობით, მიუდგნენ მარტიას და გიორგის დამარხვას.

როდესაც დახოცილები სამარეში ჩაასვენეს, ბერდიამ, როგორც უფროსმა, საჭიროდ დაინახა გამოსასალმებელი სიტყვის წარმოთქმა; ის აქებდა მიცვალებულთა გულადობას და ვაჟკაცურად სიკვდილს; პირდებოდა, რომ ამგვარად სიკვდილისათვის გახარებულნი დაუხვდებოდნენ საიქიოს იმათნი წინაპარნი და სიამოვნებით მიიღებდნენ იმათ „უკუნითი უკუნისამდე“ დაუვიწყარს მოქმედებას. ბოლოს სიტყვები შემდეგით გაათავა:

— ლომისის მადლმა, თითონ თამარ-პირიმზე მიგიძღვებათ მეუფესთან!.. თავად უამბობს თქვენს ვაჟობას და თავის გვერდს შკამს დაგიდგამთ... ვაი ამითი, რომ ადრე დაიხოცენით და თქვენი მარჯვენა ველარ გააცივებს მტრის გულს!.. გმარხავთ იმისთვის, რომ ნადირს არ გაეფუჭებინა თქვენი პირისახე, მაგრამ, ღვთის მადლმა, უწინ ყორნები ამოგჭამდნენ თვალებსა — თქვენისთანა ვაჟკაცებს აბა ყორნის მეტი რაი მიუდგებოდა? თქვენ ცხონება, დამრჩოთ დანახვა და გაგონება! სისხლს სისხლი გასწმენდს, ვაჟკაცს — გულადობა, მტრისგან უშიშრობა! სცხონდით, სცხონდით, სცხონდით!.. — მერმე შეიჭმუხნა წარბები, აიღო სამჯერ მიწა და მიაყარა: — მიწა ხართ და მიწად იქეცით! — ყოველ მიწის მყრაზედ წარმოსთქვამდა ის.

ამ სიტყვების შემდეგ ჩუმად და წყნარად მიეხვივნენ იქ მყოფი მთიულები და საჩქაროდ ამოავსეს სამარე მიწით და დაღვრემილები, შეჭმუხვნილის სახით შეუდგნენ მთებს, რომ პირველსავე შემთხვევაში იგენიც ისე ვაჟკაცურად და სასახელოდ დახოცილიყვნენ.

ამ ხანში მზაღო მიიყვანეს ქვეშეთში, სადაც იდგა ნაჩალნიკი და კიდევ რამდენიმე ჯარის უფროსები. ჩერქეზის ქალი ხევშიაც კი ეუცხოვებოდათ და, წარმოიდგინეთ, აქ, მთის აქეთ, სადაც მმართველებად სხვა ქვეყნის ხალხი იყო, რა მოქმედება უნდა ჰქონოდა?

ყველა, დიდი თუ პატარა, გარბოდა მზაღოს სანახავად, რომელიც ერთი-ორად საინტერესო ხდებოდა იმისთანა შემთხვევის შემდეგ, როგორც იმისი გატაცება და იმისთვის ამდენი სისხლის ღვრა.

წარმოიდგინეთ ქალის მდგომარეობა, რომელსაც გული სევდითა და ვარამით გავსებოდა, ითხოკდა სრულს მარტოებას, რათა თავისუფლად შესძლებოდა გულის „ამობოხრა“.

იმან ნახა თავისი გულითადი მეგობრები, თავისი სანატრელი ელგუჯა ისე დამახინჯებული, დაჩეხილები, — ვინ იცის, იქმნება ცოცხლებიც იყვნენ და ისე უპატრონოდ, მოუვლელად, უნუგეშოდ დაყრილები ცხარე მზეში, — ამას არამც თუ იმათზე მზრუნველობის ნებას აძლევდნენ, არამედ იმდენადაც კი არ უსვენებდნენ, რომ მარტოობაში თავისი ტანჯვა ცრემლებით შეემსუბუქებინა.

ყველას უნდოდა იმისი ნახვა, იმისი გასინჯვა; ყველა ცდილობდა კარგად გაესინჯათ იმისი სახე, მისი თვალები, წარბები და ამისათვის დაურიდებლად გარს ეხვეოდნენ: პირდაპირ შესცქეროდნენ პირისახეში და ღიმილით ოხუნჯობდნენ იმის შესახებ, და ეს ოხუნჯობა არ იყო მოკლებული გარყვნილს, ცინიკურს აზრებს.

— რა ლამაზი ყოფილა! ეშმაკმა წაიღოს მაგისი თავი! — წარმოსთქვა ერთმა აფ^ცერთაგანმა.

— ლამაზი და მერე როგორი ლამაზი! — გაზმორებით უპასუხა მეორემ.

— ეხლა ეგ რომ რუსეთში მყოლოდა... ლაზათიანს მარ-

ხილში შებმული ზარებით და ეჟვნებით ცხენები და სტრელნაში! — წარმოიდგინა კიდევ ერთმა.

— აბა, იქ იქნებოდა ამბავი, აი?

— ტუჩებს უყურეთ, ტუჩებს, მარჯანს არ მიუგავს? ტუჩები რა, ერთი თვალებს შეხედეთ, თვალებს!

— ქალი კი არა, ცეცხლია, ცეცხლი!

ისე სინჯავდა და ლაპარაკობდა ეს ხალხი, თითქოს ჩერქეზის ცხენი ჩაეგდო ხელში და იმის ასოების ღირსება-ნაკლულევანებას შეეხებოდა საქმე. ნაჩალნიკიც მობრძანდა თავის ამალით. ის ყოველის ღონისძიებით ცდილობდა იქ მყოფების ყურადღება მიექცია თავის ღირსებისათვის. ამან, ზურგზედ ხელებდაწყობილმა, აუარ-ჩამოუარა ქალსა, რამდენჯერმე ნიკაპს ხელი მოჰკიდა და ძალად მიაღებინა თავისკენ თავი. შემდეგ გააცმაცუნა მსუნაგ ძაღლსავით პირი, მოილოკა ტუჩები და განკარგულება მოახდინა, რომ სატუსაღოში შეეგდოთ და ფრთხილად მოქცეოდნენ. თითონ კი დაბრუნდა შინ და სადილად მიიპატიჟა აფიცრები, რომელთ წინაშეც, — „დღევანდელი გამარჯვების შემდეგ“, — ღვინო კოკებრივ ისხმოდა.

ასე ქეიფით გაატარეს საღამომდის აფიცრებმა, ღვინოზე თავისუფლად მიშვებულებმა, ზედიზედ გადაჰკრეს აზარფეშები, თითქოს ეშინოდათ — მშვენივრად დროსგასატარებელი დრო არ დაჰკარგოდათ: მითვრენ და იქვე თავმოჭრილსავით მიეყარნენ.

თავს ინახავდა მარტო ნაჩალნიკი, ეს იყო მიზეზი, რომ სუფრიდგან მარტო ის ადგა მხოლოდ შეზარხოშებული. ამ დაპატიჟებით ხალხის მმართველს სურდა, როგორც იქმნებოდა, თავიდგან მოეშორებინა სხვები, რომელთაც შეეძლოთ იმისი სურვილის დაშლა და ეს სურვილი კი იყო — უეჭველად და რაც უნდა მოსვლოდა — მზაღოს პატრონად გახდომა. ის ფიქრობდა იმ წამაცდენ სიამოვნებაზედ, რომელიც ამ ქალს უნდა მოეტანა იმისთვის: ხატავდა თავის აზროვნებაში სხვადასხვა სურათებს, რომელთა მოქმედებაც ადნობდა და სიამოვნების სისუსტეში შეჰყვანდა.

მოვიდა ის დროც, როდესაც წარმოიდგინა, რომ თავის სურვილის აღსრულებაში მოყვანა შეიძლებოდა, და ამისათვის

დაიბარა თავისი ერთგული კაცი, გაგზავნა ქალთან და მოაყვანინა, ვითომც ჩვენების ჩამოსართმევად.

წარბებშეჭმუხვნილმა ნაჩალნიკმა შეიყვანა ქალი თავის ოთახში, მაგრამ რაწამს კარები შეიკეტა, ერთბაშად მკაცრ მბრძანებლიდგან გარყვნილ არშიყად გადაიქცა.

— ძალიან უნდა გიხაროდეს, ჩემო კარგო, რომ მე მოგეწონე! — უთხრა იმან და მოხვია ხელი.

ქალი ვერ მიმხვდარიყო, თუ რასა ნიშნავდა იმისი საუბარი, მაგრამ როდესაც გაიგო, ერთბაშად გაუხტა ხელიდგან და სწვდა ხანჯალს, რომელიც იქვე სტოლზედ ეგდო.

— შესდექ, თუ წერას არ აუგდიხარ! — შესძახა მრისხანედ ქალმა და მომზადებული დადგა კედელთან.

ნაჩალნიკი მზაღოს ისეთ გარყვნილ ქალად უყურებდა, რომელმაც ვიღაცა მოხევეებთანაც კი იკისრა გაქცევა, და ამისათვის დარწმუნებული იყო, რომ პირველშივე იმის სურვილის გამოცხადებას დიდ ბედნიერებად ჩასთვლიდა. ამისათვისაც გაბედა ამ კაცმა პირდაპირ, დაურიდებლად თავისი არშიყობა. წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში უნდა ჩავარდნილიყო, როდესაც ქალისაგან ამისთანა წინააღმდეგობა დაინახა! ნაჩალნიკი რამდენსამე ხანს გაჩერებით შეჰყურებდა გაცეცხლებულს ქალს, რომელსაც თვალები ცეცხლსავით ანთებოდა და მომზადებულიყო ყოველგვარ ბრძოლისათვის თავის ნამუსის დასაცველად. პირველი გაშტერების შემდეგ ნაჩალნიკმა გაიღიმა, რადგანაც აზრში გაურბინა, რომ „ქალები ყოველთვისინ თავს ძალად ინაზებენ — და მზაღოც ქალი არისო“.

— ნეტავ იცოდე, რა-რიგად გიხდება ეგ ჯავრობა!.. — უთხრა ნაჩალნიკმა, — სწორედ დასახატი ხარ!.. კარგია, გეყოფა ხუმრობა!.. — ამ სიტყვებთან ერთად ხელის მოკიდება მოისურვა. ქალმა ისეთი ხმით შეჰყვირა და მოუქნია ხანჯალი ამ კაცს, რომ იმან საჭიროდ დაინახა უკან დახევა.

ყველა პატიოსანი კაცი, ამგვარ შემთხვევის შემდეგ, თუნდ ის მართლა სიყვარულითაც ყოფილიყო გატაცებული, თავს დაანებებდა ნამუსის დამცველ ქალს, მაგრამ ამ „პატივსაცემ“ პირს კი ვერ შეაყენებდა ეს საბუთები: იმას თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა თავი დაენებებინა მზაღოსათვის და, ოღონდაც თავის საწადელისათვის კი მიეღწია–და, ის რას დასდევდა ქალის ხვეწნას და თხოვნას.

წინააღმდეგობის შემდეგ მზაღო იმისთვის ერთი-ორად უფრო მიმზიდველი ვეჩვენა. მაგრამ როგორ რა უხდა ექნა, რომ მიეღწია თავის სურვილისათვის? იმან ყველაზედ უკეთესად დაინახა თავის მოკატუნება და მოტყუებით მოქმედება, რადგანაც ნებაყოფლობით და ძალით არა გამოდიოდა-რა.

— მე ძალიან მოხარული ვარ, რომ მაგდენს დანაშაულებასთან გარყვნილი მაინც არა ყოფილხარ. კარგი, შენ დაისჯები, როგორც ხელმწიფე-იმპერატორის მოღალატე. შენ და შენმა მეგობრებმა მოკალით ერთგული აფიცრები... სხვები ძალლებივით დავხოცეთ და შენც სიკვდილით დაისჯები.

— ელგუჯას შემდეგ მეც მოვკვდე-რა!..

— შენ გაწვალებენ, გტანჯავენ, ჩამოგახრჩობენ...

— გიაურებმა წვალების მეტი რა იციან?.. თქვენ იმდენი ვაჟკაცობა ვინ მოგცათ, რომ კაცი პირდაპირ მოკლათ?.. თქვენ გულადები მაშინა ხართ, როცა ერთზედ ათი მოდახართ! დეე სხვებს შეეშინდეთ მაგისი, მე არ მეშინიან!

ამ ლაპარაკის დროს ნაჩალნიკი თანდათან უახლოვდებოდა მზაღოს და, როდესაც ეს უკანასკნელი ლაპარაკით გატაცებული იყო, ნაჩალნიკმა გადასდგა უკანასკნელი ნაბიჯი, მისწვდა იმას ხანჯლიან ხელში და მაგრა დაუჭირა მაჯა.

— აა! — სიხარულით შესძახა იმან, — ახლაც წამოხვედი?

ქალმა ტკივილისაგან და ჯავრისაგან შეჰყვირა და უცებ განეთავისუფლებინა შეტაცებული ხელი, მაგრამ ნაჩალნიკს ისე მაგრა მოეჭირა მაჯაზედ, რომ ძვლებს ჭახჭახი გაჰქონდა და თითები ხორცში ჩასხდომოდა.

— ტყუილად-ღა იბრძვი, ჩემო ჩერქეზო, ტყუილად, შენი ნაზი ხელები ვეღარ დამსხლტება!

ქალი იბრძოდა და ღმერთს იწოდებდა მოწმად ამგვარ უპატიოსნო ძალდატანებისათვის, მაგრამ უპატრონოს თვით ღმერთიც განზედ უდგება და ხალხიც. იმას თანდათან აკლდებოდა ძალა. მკლავის ძარღვები უსუსტდებოდა და მწუხარებით ხედავდა, რომ ჩქარა ბრძოლას ვეღარ შესძლებდა. ბოლოს მკლავი სრულებით დაუბუჟდა, თითები უნებლივ გაეშალა და ხანჯალი თავისთავად წკრიალით დაეცა ფეხებთან. აქ ქალმა დაუწყო მუდარა, ხვეწნა. აფიცებდა, რაც კი საფიცარი ჰყავდა. აბრალებდა თავის თავს, მაგრამ რა საქმე ჰქონდა თავმოყვა-

რეობისაგან გაზვიადებულს ნაჩალნიკს ან ხვეწნასთან, ან თხოვნასთან, ოღონდაც თავის მიზნისათვის მიეღწია. ის მოელოდა წუთის, თუმცა უპატიოსნოს, მაგრამ მაინც სიამოვნებას, და ეს საკმარისი იყო, რომ ის დაყრუებულიყო რომელიმე კაცობრიული სიტყვის ჩაგონებისათვის.

მკლავებიდგან გადავიდა ტანზედ და მაგრა მოხვია ხელები; ბრძოლა შეიქმნა უფრო მწარე, გაშმაგებული. ქალს ამ დროს თითქოს ღონე ემატებოდა გაუპატიურების შიშით და კაცს კი — უპატიოსნო სურვილის აღსრულების დაახლოვებით.

ასე იბრძოდნენ ორნივ, მაგრამ მზაღოს ჩქარა დაეტყო, რომ თანდათან ღონე აკლდებოდა და აშკარად კაცი სძალავდა. კიდევ რამდენიმე წუთი და დასუსტებული, ძლივსღა მსუნთქავი მეტის მღელვარებით, დაღალული ქალი აიყვანა ნაჩალნიკმა, მიიკრა გულზედ და გამხეცებულმა დაუწყო ლოშნა. ბოლოს მიიტანა ქალი იქვე მდგომ ტახტთან, რომელზედაც დასვა. აქ კიდევ რამდენჯერმე გაიბრძოლა მზაღომ, მაგრამ ჩქარა ღონემიხდილი და თითქმის გულშემოყრილი გადაესვენა ტახტზედ.

VIII

სალდათებმა, რომელთაც ჩაიბარეს მზაღო, საჭიროდ დაინახეს მასხარად აგდება იმის უბედურებისა. თავისუფალის ღიმილით ელაზღანდარავებოდნენ იმას და ისეც მოწამლულს, დაშხამულს გულში კიდევ საწამლავს ასხამდნენ.

— რა ჰქენ, გოგო, ნაჩალნიკმა ჩამოგართვა ჩვენება? — ეუბნებოდა ერთი.

— კარგად გამოიძია, კარგად?.. — დასცინოდა მეორე.

ქალი წითლდებოდა, თრთოდა და აღარ იცოდა, რა ექნა ან სად დაემალა თავი. ის იწოდა სირცხვილისაგან, სანატრელი ჰქონდა ამჟამად მიწა გახეთქილიყო და თან ჩაეტანა, თუმც კი სიკვდილისაც ისე ეშინოდა, როგორც თითონ სიცოცხლისა, რადგანაც, იმის ფიქრით, საიქიოს უეჭველად ელგუჯას უნდა შეხვედროდა და რაღა თვალით უნდა შეეხედნა იმისთვის? მართალია, დამნაშავე არ იყო, მაგრამ ხანჯალი ხომ ხელში ჰქონდა: თავის ძალის დამტანებელი ვერ მოჰკლა, თავის თავი

როგორ-ღა დაირჩინა ცოცხალი?!. მაშ ელგუჯა დაჰკარგა? დაჰკარგა სამუდამოდ! ის ველარ გაბედამდა საიქიოს იმასთან შეყრას. ასე ფიქრობდა მზაღო და ამისთვისაც იმის სატანჯველი ერთი ორად უმეტესი იყო, სანამ იმ ხალხისა, რომელიც საიქიოსაგან რომელიმე მოსვენებას მაინც მოელის. სხვას, სიკვდილს შემდეგ, სიხარულის იმედი მაინცა ჰქონდა, და ამას კი სიკვდილისაც ეშინოდა; სხვას საიქიოს სატრფოს ნახვის სიამოვნების იმედი ჰქონდა, და ეს კი საიქიოსაც ისეთს სატანჯველს მოელოდა, როგორც სააქაოს. ბოლოს მიაღწივეს საპყრობილეს, რომელშიაც შეაგდეს, და უფროსმა მცველმა საჭიროდ დაინახა კიდევ რაოდენიმე საწამლავის ჩასხმა ამ ქალის გულში, თითქოს საკმარისი არ იყო ის ცეცხლი, რომელიც უწყალოდ სდაგავდა იმას.

— აქა ბრძანდებოდეთ, ქალბატონო, სანამ ნაჩალნიკი კიდევ დაგიბარებს ჩვენების ჩამოსართმევად, — უთხრა მცველმა ღიმილით.

ამ სიტყვებზედ სხვა იქ მყოფ სალდათებმა გაიხარხარეს და იქ მყოფი მთიულები კი დააფიქრა, შეაჭმუხვნინა წარბები და ერთმანერთში ჩურჩული დააწყებინა.

— ლომისის მადლმა, ესეთიც არა გვინახია-რა!.. — წარმოსთქვა ერთმა, — რა ამბები ხდება, გაბრიელავ? გინახავს როღისმე დიაცის ეგრე გაუპატიურება?

— არა, არა, შენი კვნესა-მე, არც მინახამს და არც გამიგონია... ორი მოსისხლე ხმალ-ამოღებული ერთმანერთზედ რომ მისულიყო, დიაცი თავშალს გაუშლიდა შუაში და მაშინვე გაშველდებოდნენ ერთმანერთს, ესენი კი... — აღარ გაათავა სიტყვები და ჩაიქნია ხელი.

— აბა, ქალის გატაცებაც ბევრჯერ მომხდარა, ძალადობაცა. მაგრამ, ვისაც გაუტაცნია, ცოლადა სდომებია, თორემ ამისთანა საქმეს ვინ იზამდა? მაგისთანა საქმის ჩამდენს, პირიმზის მადლმა, მტერი თუ მოკეთე, ყველა მტრად გადაეკიდებოდა.

— ესენი კი დასცინიან! — გაკვირვებით სთქვა კიდევ ერთმა.

ამ ლაპარაკში იყვნენ სატუსაღოს კარებთან მოგროვილი მთიულები, როდესაც იასაული მივიდა და დასძახა:

— რას უდგეხართ აქა? წამოდით, ბეგარა მოვიდა!

— შეშა ეხლა არ მოვუტანეთ? ღმერთი აღარა გყავსთ?

— გამოიარეთ, გამოიარეთ, ნუ ლაპარაკობთ, თორემ ეხლავ ყაზახები მოვლენ და სულ მათრახით ტყავს გაგაძრობენ!

— რაზედ გაგვაძრობენ, რას გვემართლებიან?..

— მაშ ხელმწიფეს სამსახური არ უნდა? — ამაყად დაიძახა ნაცვალმა, თითქოს მართლა ხელმწიფის სამსახური უსამართლობაში იყოს.

ცოტა ლაპარაკის შემდეგ მართლა მოვიდნენ ყაზახები და წაუშინეს მათრახებით ხალხს, რომელიც გაიშალა და წავიდნენ ურმების შესაბმელად.

— ურჯულოები ყოფილან, ლომისის მადლმა, ურჯულოები, ხარებს ჩლიქები წასცვივდა ამდენის მუშაობითა და მაგათგან კი შებრალება აღარ იქნა...

„ჩავცვივდით საგონებელში, როგორც კამბეჩი მორევში“ — პასუხის მაგიერ მწუხარებით შემღერა ერთმა მთიულმა, გაუკრა აპეური ხარს და გადაჰკრა სახრე, თითქო იმაზედ უნდოდა ყველა ჯავრის ამოყრა...

ამ ხანში ნაჩალნიკი გამობრძანებულიყო ბალკონზედ და საქართველოში ახლადშემოღებულ სასმელს (ჩაის) მიირთმევდა. იმისი პირისახე რაღაც სულელურს, თავმოყვარე სიამოვნებას გამოსთქვამდა. რამდენიმე მთიული შორიახლო მინდორზედ იდგა და ბატონს ელოდა (მაშინ ნაჩალნიკს ასე ეძახდნენ), რომელსაც მოწყალება უნდა მოეღო და მოესმინა იმათი საჩივარი. ნაჩალნიკი დიდი ხანია რაცა ხედავდა იმათ, მაგრამ, ვითომც მეტის ამაღლებისათვის ხალხის თვალში მეტს აცდევინებდა. ბოლოს მოიღო მოწყალება და ჰკითხა:

— ვინა ხართ თქვენ?

— ჩვენ ბედუაანთ-კარელები გახლავართ, შენი კვნესა-მე! — ქუდის მოხდით უპასუხეს იმათ.

— რა გინდათ?

— ყაზახები ჩაგვიყენეს, შენი კვნესა-მე, და იმათ გაგვატყავეს... ერბო აღარ შეგვარჩინეს და ყველი, ქათამი და კვერცხი.

— მაშ ყაზახებზედა ჰბედავთ ჩივილს? ყაზახებო! — და-

ძახა იმან და ამ სიტყვებზედ გამოცვივდნენ ყაზახები. — მათრახები ამათ, მათრახები!

ბრძანების აღმსრულებლებმაც დაუარეს სამართლის მძებნელ მთიულებს და ჩქარა გაფანტ-გამოფანტეს.

ნაჩალნიკი სიამოვნებით უყურებდა ამ სურათს, მაგრამ ეს სიამოვნება ჩქარა ჩაეშალა, რადგანაც მინდორზედ ერთი ვიღაც აფიცერი რამდენიმე ყაზახით გამოჩნდა.

ჩამოხტა ცხენიდგან, მოვიდა ნაჩალნიკთან და გადასცა რაღაცა პაკეტი. ნაჩალნიკმა გახსნა, წაიკითხა და გაფითრდა, რადგანაც ეწერა ბრძანება, რომლითაც სვიმონა ჩოფიკაშვილი მთის ხალხის მმართველად ინიშნებოდა და ძველს კი უმაღლესი მთავრობა იბარებდა.

არ გაუვლია რამდენიმე წამს, როდესაც ქვეშის დაღმართზედ გამოჩნდნენ რამდენიმე ცხენოსანი და თამამად მივიდნენ ნაჩალნიკის კარებთან: წყნარა ჩამოხტნენ, ამოვიდნენ უფროსთან და ცივად მიესალმნენ. ეს გახლდათ სვიმონ ჩოფიკაშვილი, გაგის სახლისკაცი და მოადგილე ძველი უფროსისა, რომელსაც იმისთვის ადგილი უნდა ჩაებარებინა.

IX

ამ მოთხრობის გასაგრძელებლად საჭიროა გავაცნოთ სვიმონ ჩოფიკაშვილი.

საქართველოს რუსების მფარველობის ქვეშ შესვლამდინაც სვიმონ ჩოფიკაშვილი იყო ერთი მიღებულ კაცთაგანი მეფესთან. ამას ებარა მთელი მთის ხალხი და ის სიმაგრეები, რომელსაც კავკასიის კარს უწოდებენ — დარიელა.

ეს პირი ჯერ წინააღმდეგი იყო რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლისა, მაგრამ უკანასკნელს რჩევაზედ, რომელიც მეფის სასახლეში იყო გამართული, შეიტყო მეფის გარდაწყვეტილი სურვილი და, როგორც მეფის ერთგულთაგანი, რომელსაც მეფის წადილის წინააღმდეგობა მომაკვდავ ცოდვად მიაჩნდა, დამორჩილდა ბრძანებას და მიემხრო შეერთების მსურველთა.

რჩევის შემდეგ ისევ თავის მთებში დაბრუნდა და, მეფის

ბრძანებისამებრ, თავის თაკზედ მიიღო ზრუნვა მომავალს რუსებზედ.

ის გულმოდგინედ ასრულებდა ამ სამსახურს და ცდილობდა მეფე გიორგის აღსრულებოდა ის წადილი და ის სარგებლობა, რომელსაც მეფე და მისი მომხრენი ამ მფარველობისაგან მოელოდნენ. რუსებმაც ჩქარა შენიშნეს სვიმონ, რადგანაც დაინახეს იმისი გავლენა მთაში და თავის მხრითაც ჯარების შესახებ მიანდეს სხვადასხვა განკარგულება. რასაკვირველია, ეს იმათთვის სასარგებლო პირი კიდეც დააჯილდოვეს და პირდაპირ მაიორის მუნდირით და ეპოლეტებით მხარბეჭი აუყვავეს.

სვიმონის ამგვარმა მდგომარეობამ შური აღუძრა გაგის, რომელსაც სამუდამო ზრუნვად შეექნა სვიმონის დამცირება, რომ იმისი ადგილი თითონ დაეჭირა. ამისათვის გაგი შეუჩნდა ალექსანდრე ბატონიშვილს, დაარწმუნა, რომ რუსების შემოსვლის მიზეზი მხოლოდ სვიმონ იყო, და ეს რომ არ ერეოდეს საქმეში და არ უშლიდეს, რუსების განდევნა ადვილი იქმნებოდაო. ბატონიშვილი წინადვე იცნობდა სვიმონს, როგორც ერთ სასარგებლო და ჭკვიან კაცს და ამისათვის იმის დაცემა იქამდის არ უნდოდა, სანამ იმის მომხრობას არ სცდიდა.

ალექსანდრემ, რომელსაც ხევსურეთში თავის მომხრე ჯარები შეეყარა, გამოუგზავნა კაცი სვიმონს და ითხოვდა მისგან სრულს მორჩილებას, ხევიდგან რუსების გარეკას და ამ უკანასკნელებისათვის შემოსასვლელ გზების შეკვრას. ამ ბრძანების აღსრულებისათვის მეფე* პირდებოდა დიდს პატივს და წყალობას, მაგრამ უკეთუ სვიმონ არ დამორჩილდებოდა, მაშინ ემუქრებოდა სარჩო-საბადებელის გადაწვას და ცოლ-შვილით ამოწყვეტას.

— როცა დრო იყო, მეც ვიძახოდი: რად გვინდა რუსებიმეთქი? მაგრამ მეფემა ბრძანა, შემოუშვიო, და მეც მეფის ბრძანებას საით გადაუვლიდი? — წარმოსთქვა სვიმონმა და ჩაჰკიდა თავი.

— მაშ ეხლა, ეხლა რას აპირებ?

— ეხლა გვიან-ღაა, გვიან!..

---

* იგულისხმება ალექსანდრე ბატონიშვილი (რედ.).

— მაშ რა პასუხს აძლევ ბატონიშვილს, იმის მხარეს არ იჭერ?

— არა.

— რას ამბობ? ხომ სულ ამოგწყვეტავს, სახლ-კარს ამოგიწვავს!

— რაი უყო?.. თუ რუსების შემოშვება არ გინდოდათ, მაშინ წინადვე უნდა გეფიქრათ, თუ არა და ეხლა, როცა ყველა სიმაგრეები ხელში ჩაიგდეს, მე რით-ღა განვდევნო?!

— გაიგე კარგა, რომ რუსებს მეფე მფარველობასა სთხოვს და...

— მეც ეგრე მგონია!.. აბა, რაი უყო? მეფეს ეგრე უნდა.. — რაღაც მწუხარებით წარმოსთქვა სვიმონმა და დაეტყო, რომ ის მოქმედებდა თავის სურვილის წინააღმდეგ.

გაკვირვებული მოციქულები ყურს უგდებდნენ სვიმონის გადაწყვეტილებას, ისინი იცნობდნენ სვიმონს მთის კაცად, რომლისთვისაც თავისუფლება ყველაზედ უმაღლესი ჯილდო არის, და ეს კი თავის თავს და თავის ქვეყანას სხვა გვარტომობის ხალხს მონად აძლევდა. მონად აძლევდა ამისთვის, რომ თითონაც დარწმუნებული იყო, რომ საქართველო რუსების ბატონობას ვერ გადარჩებოდა.

— მაშ ბატონიშვილს რა პასუხს უთვლი?

— ბატონიშვილსა? ჩემგან ხვეწნა და მუდარა მოახსენე: მეფეს ნუ ეწინააღმდეგება და საქართველოს ძალას შუაზე ნუ ჰყოფს... თუ ერთად ვიქნებით, რუსები კიდევ ვერას გვიზამენ, მაგრამ, თუ შუა გავიყავით, მაშინ ჩვენი საქმე წასულია!.. ჩავიდეს მეფესთან, მოუდგეს გვერდსა და რაიცა რუსებთან პირობები გვაქვს, ისინი აასრულებინოს! თორემ თუ ეგრე მოვიქეცით, ჩვენ ერთმანერთთან ბრძოლაში დავიქანცებით, დავსუსტდებით, და რუსები კი თავიანთ წადილს აასრულებენ... ჩავიდეს მეფესთან, ჩა! მეფე ღვთისაგან არის დანიშნული, იმის გულის პასუხს კაცი ვერ მისწვდების, — მეფეს ყველა უნდა ემორჩილებოდეს.

— უბრთხილდი, სვიმონ, ბატონიშვილი განრისხდება მაგ პასუხით და მაშინ ველარავინ გიხსნის.

— რა უყო!.. მეფის ბრძანებას და სურვილს ვერ გადავალ. და, თუ მეფე ბრძანებს, მარტო მე შევებმი რუსებს.

ამ პასუხით გაისტუმრა იმან შუაკაცები, რომელთაც ბატონიშვილს ამ სიტყვების აზრი სრულებით სხვარიგად გადასცეს. იმათ ჩააგონეს, რომ სვიმონ ღალატობს სამშობლოსაც და თითონ მეფესაც, რომ სვიმონს ხალხის მოსვენება და თავისუფლება ბრჭყვიალა ტანისამოსზედ გაუცვლია.

ბატონიშვილმა გამოისტუმრა ჯარები სვიმონის დასასჯელად და გაგის ჩააბარა იმათზედ უფროსობა. ეს ამბავი სვიმონს შეატყობინეს და ის თავის ცოლშვილით გაიხიზნა ჩერქეზეთში, თავის ცოლის სამშობლოში, სადაც რამოდენიმე ხანს დარჩა.

სვიმონს ისე საჭაროდ მოუხდა თავის სახლიდგან გაქცევა, ისე მოულოდნელად, რომ ძლივს მოასწრო ცოცხალი თავის გახწევა და საქონელი, სიმდიდრე თუ სხვა ბარგი, ყველაფერი იქ დარჩა და შეიქმნა განადგურებული შემოსეულის ჯარისაგან.

სვიმონის სახლი გაცარცვეს, შემდეგ ცეცხლი წაუკიდეს და, რისაც წაღება ვერ შეძლეს, მთლად ჩაბუგეს. ეს იყო მიზეზი, რომ სვიმონ აქამდის არსადა სჩანდა და არ მოქმედებდა.

სვიმონ სწორედ იმ ხანში დაბრუნდა შინ, როდესაც ელგუჯამ ქალი გაიტაცა და გაგი კლდეზედ გადააგდო. ამავე ხანში დანიშნეს მთის ხალხის ნაჩალნიკად და როგორც მეფე გიორგიმ, ისე რუსის მთავრობამაც დიდის პატივით მიიღეს, წყალობით უნდოდათ აღედგინათ იმისი დაცემული ოჯახი. თუმცა გაგი შორი ნათესავი იყო სვიმონისა, მაგრამ იმის მემკვიდრე მაინც ეს უკანასკნელი უნდა ყოფილიყო, რადგანაც თითონ გაგი უშვილოდ ამოწყდა და არც ახლო ნათესავი დარჩენია. ამისათვის, როგორც სხვა საცხოვრებელი, მზაღოც სვიმონის საკუთრებად უნდა შექმნილიყო.

სვიმონმა ჩაიბარა ნაჩალნიკობა, შეუდგა ახალს სამსახურს და ჩქარა ისეთი გავლენა და ძალა მოიპოვა საზოგადოდ მთის ხალხში, რომ ყველა შურითა და კრძალვით უყურებდა.

რაკი სვიმონის ამბავი და სიჩუმის მიზეზი შევიტყეთ, ეხლა შეგვიძლიან დავუბრუნდეთ ისევ ჩვენის მოთხრობის გმირებს და თვით მოთხრობის მიმდინარეობას.

მზაღო შეაგდეს საპყრობილეში და, როდესაც ის მარტოკა

დარჩა, მხოლოდ მაშინ შეიძლო თავისუფლად მწუხარებას მისცემოდა. პირველი გაშტერების, გაბრუების შემდეგ დიდხანს შეგუბებულ ცრემლებს გზა გაეხსნათ და დაიწყო ტირილი ცხარედ, ქვითინით.

ამ ტირილის დროს იმას აგონდებოდა ყოველივე შემთხვევა თავის წარსულიდგან და როდესაც რომელიმე სურათი თვალწინ წარმოუდგებოდა, სტიროდა გულადუღებით, ვერ მოასწრებდა აღძრული გრძნობის მიწყნარებას, გამოხატული სურათის გატარებას, როდესაც გუნებაში გამოეხატებოდა ახალი სურათი უფრო სანატრელი, უფრო სასიამოვნო და უფრო შესანიშნავი დასაკარგავად, და ცოტა ხანს შეწყვეტილი ცრემლები ისევ მდუღარედ ღაპა-ღუპით გადმოედინებოდა.

ყოველგვარ მწუხარებას ცრემლი უფრო შეამსუბუქებს ხოლმე და კაცს დაუმშვიდებს თუ დაუჩლუნგებს გრძნობის ძალას და აგდებს დაღალულსავით რაღაცა უძლურებაში. მზაღოსაც ასე მოუვიდა. როდესაც გული კარგა იჯერა ტირილით, როდესაც იმის დაღალულმა ტვინმა ვეღარ შესძლო თავისუფლად მუშაობა, ის მიეგდო და დაიძინა.

კარგა ხანს იმას არავინ აწუხებდა, რადგანაც ყველანი გართული იყვნენ ახალი ნაჩალნიკის დანიშვნით და ძველის გამოცვლით.

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც საპყრობილეში შევიდნენ და მზაღოს გამოუცხადეს, რომ ნაჩალნიკი იბარებდა.

ქალს გული გადაუტრიალდა, რადგანაც არ იცოდა ძველი ნაჩალნიკის გამოცვლა და მოელოდა ისევ იმ ძალადობას და დამცირებას, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად მიაყენეს.

— არ წამოვალ, არა! — შესძახა იმან სიანჩხლით და შიშით დაიწყო ცახცახი.

— წამოდი, თორემ ძალად წაგიყვანენ და უფრო ცუდია.

— უკაცურებო, გიაურებო!.. სხვა მაგის მეტი რა შეგიძლიათ? ლეჩაქები მაინც დაიხურეთ, თქვენ კაცები კი არა, დაცები ხარ, დიაცები!.. ვაჟკაცისაგან დიაცის ძალადობა?!.. წყეულიმც იქმნებით, წყეულიმც, თქვე გიაურებო, თქვენა!

— წამოდი, წამოდი! — მკაცრად გაუმეორეს იმას.

მზაღო შესდგა ერთს წუთს, გაიღიმა და თვალები ცეცხლით

აენთო, სჩანდა, რომ იმის თავში რაღაცა აზრმა ელვასავით გაირბინა.

— მაშ თქვენ გინდათ რომ წამოვიდე?.. კარგი, კარგი... წამოვალ, წავიდეთ ჩქარა... — საჩქაროდ და მთრთოლვარეს ხმით წარმოსთქვა იმან და გაჰყვა გამოგზავნილ კაცს.

ქალი მოელოდა თავის მტარვალის ნახვას, რომელსაც გადახდას უპირებდა და ამისათვის ემზადებოდა. მაგრამ წარმოიდგინეთ იმისი მდგომარეობა, როდესაც ძველი ნაჩალნიკის მაგიერად სვიმონი დახვდა და ჩერქეზულად, ტკბილად უთხრა:

— შენ უბედურება შეგმთხვევია, მე გულითადი მწუხარე ვარ იმ უკაცურობისათვის. ვინც შენ ეგრე მოგპყრობიან, დიაცურად მოქცეულან.

— ღმერთო, ღმერთო! — ამის მეტი ვერა წარმოსთქვა-რა ქალმა და ჩაეკეცა მუხლები. სვიმონ მიეშველა, დასვა ტახტზე და დააცალა იქამდინ, სანამ ქალი გულს გაიმაგრებდა.

— მე მინდა გამოვისყიდოთ ის უკაცურობა, რომელიც შენთვის მოუყენებიათ, მთხოვე რა გინდა?

მზალომ შეხედა მადლობის თვალით და ამ ალერსიანის სიტყვებით გული სიხარულით აევსო.

— მიშველე, მიშველე, დამიხსენ ამ გიაურების ხელიდგან! — შესძახა მწუხარებით ქალმა.

— ეხლა ნუღარ გეშინიან, ვეღარას გიზმენ.

მზალომ ამდენი მწუხარებისა და დამცირების შემდეგ ძლივს გაიგონა ტკბილი სიტყვა და ამასთან თავის სამშობლო ენაზედ. იმას კიდევ ეჭირებოდა ეს დამამშვიდებელი სიტყვები, რომელთაც მკურნალ ნეკტარად დაუარა იმის დაჩაგრულ გულსა და არეულ გონებას.

ქალი სიხარულმა აღიტაცა, ააღელვა და პირველივე სიტყვებით შეეხო იმ საგანს, რომელსაც ყველაზედ მომეტებულად შეეპყრო იმისი გონება.

— ელგუჯა, ელგუჯა მოკლეს! — წამოიძახა იმან. — და ისე გადაადგეს... დამარხვის ნებაც აღარ მისცეს.

— ჩვენი მთის ხალხი მკვდარს დაუმარხავს არ დააგდებდნენ!.. — წარბებშეჭმუხვნით წარმოსთქვა სვიმონმა.

რაწამს ეს მხარე დააკმაყოფილა მზალომა, ბაშინ თავში სხვა აზრმა გაურბინა, სხვა ფიქრი, მწუხარებით სავსე, აღეძრა.

— იქნება ცოცხალი იყო? — წამოიძახა იმან და სახე დაეპრანჭა მწუხარებით. — იქნება ცოცხალი იყო და ისე დამარხეს?

— ჩვენმა ხალხმა ცოცხლისა და მკვდრის გარჩევა კარგად იცის და თუ ცოცხალი იყო, არ დამარხავდნენ...

— მაშ ცოცხალი რომ დარჩენილიყო, რას უზამდიეხ? — ჰკითხა და გულის კანკალით დაუწყო პასუხს ლოდინი.

— ჩვენი ხალხი მტერთან იქამდისინ შეუბრალებელი არის, სანამ ღონიერია, მაგრამ თუ დასუსტდა, უბედურებაში ჩავარდა, მაშინ იმასთან მტრობა დიაცობად მიაჩნია. ელგუჯას აქ მტრებიც არავინ ჰყოლია, თუ ცოცხალი გადარჩა, მასპინძელი აღმოუჩნდებოდა და შეიფარებდა.

— მართლა, მართლა?.. — წამოიძახა იმან და მაშინვე დაუმატა: — ელგუჯა, ელგუჯა ცოცხალი იყო! იმას წაიყვანდა ვინმე... დიახ, ცოცხალი იყო... მე თითონა ვნახე სუნთქავდა, კიდეც შეინძრა და ამოიოხრა!.. — მზაღო გატაცებით ლაპარაკობდა, რადგანაც იმედმა წარმოუდგინა სხვადასხვა შეუძლებელი სურათები, და გატაცებულს სუყველა ოცნების წარმოდგენა ნამდვილს ჭეშმარიტებად მიაჩნდა და აღგზნებულ აზროვნობის მოლანდება ნამდვილს მოქმედებად მიეღო. ელგუჯას მართლადაც რომ ამოეოხრა, განძრეულიყო, დალაპარაკებოდა კიდეც, მზაღო ისე გაბრუებული იყო, რომ ვერაფერს შეამჩნევდა.

— შენ ლაპარაკობ ჩვენს ენაზედ, შენ ჩერქეზის ქალი გყავს ცოლად, შენ გესმის, როგორ შეუძლიათ ჩვენი მხრის ქალებს სიყვარული... შემიბრალე, მოანახვინე ელგუჯა, შეიტყე სად არის და გამიშვი მოვუარო.

— ელგუჯამ სახლისკაცი მომიკლა, იმას ჩემი სისხლი ჰმართებს! — წარმოსთქვა სვიმონმა.

— იალაჰ! — წამოიძახა მზაღომ, რომელიც სვიმონს თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა გაგის ნათესავად: — მაშ გაგი, გაგი შენი ნათესავი იყო?

— ჩემი ნათესავი იყო, მაგრამ ნუ გეშინიან მაგისი. ელგუჯას რომ კარგამყოფს შევყროდი, მოვკლავდი, მაგრამ ეხლა, სხვა არის!.. ელგუჯა თუ ცოცხალია, სიკვდილთან გასწორებული იქნება.

— მაშ სიკვდილს რომ გადარჩენილიყოს, რას უზამ? — ეულისძგერით იკითხა ქალბა.

— თუ კარგად იქნა, ვოვკლავ, და ნახევარ კაცზედ კი სისხლის აღება აღარა ღირს, — ეგ კაცს არ შეშვეხის.

— რისთვის, რისთვის მოჰკლავ, რა დააშავა?

— სახლის კაცი მომიკლა.

— მართალია, მაგრამ თითონაც უპირებდნენ მოკვლას.

— მაინც ჩვენი სისხლი ჰმართებს.

— შეიბრალე, შემიბრალე! გევედრები... შენი ცოლის, შენი შვილების გულისთვის!

— არ შემიძლიან.

— ღმერთო, ღმერთო! შენ დააკელ იმას რომელიმე სხეული და სიკვდილს კი გადაარჩინე! — წარმოსთქვა მზაღომ და დაიწყო გულმხურვალედ ლოცვა და მდუღარე ცრემლები გადმოეღინა.

სვიმონს ჩქარა გული მოულბო ამ სურათმა.

— გაგი ბოროტი იყო და ბოროტად გაიარა იმისმა ღღეებმა, — წყნარად დაიწყო სვიმონმა: — იმის სისხლი არც კი უნდა მომეძებნა, მაგრამ ჩვენი მთის ჩვეულება მოითხოვს, რომ სისხლი არ შევარჩინო. ელგუჯა რომ მკვდარი იყოს, მაშინ იმისი გვარიდგან უნდა მომეკლა ვინმე. ეხლა გაძლევ სიტყვას, რომ უკანასკნელს საშუალებას ვიხმარებ და სისხლს აღარ დავღვრი. შევყრი სამების სამსჯავროში თემობასა და რასაც ხალხი გადასწყვეტს, დავმორჩილდები.

თუმცა ამგვარად სისხლის საქმის გარდაწყვეტა მთაში მოხდებოდა ხოლმე, მაგრამ ეს ისეთი ძნელი საქმე იყო, იმდენი შუაკაცებისა და ხვეწნის შემდეგ თავდებოდა, რომ დაბოლოებამდის ერთი წელიწადი მაინც გაივლიდა. სვიმონი კი, ის სვიმონი, რომელიც იმავე მთის ჩვეულებაში იყო აღზრდილი, ერთბაშად ასე ჩქარა მორჩილდებოდა ქალის ხვეწნას. რასაკვირველია, ამის მიზეზი იყო იმის გულკეთილობა და ჭკუის გამჭრიახობა, მაგრამ გაგის სიკვდილს უფრო ღვთის სამართლიანს რისხვას მიაწერდა და ელგუჯას კი ღვთის სურვილის ალმასრულებელ იარაღად უყურებდა.

X

როდესაც ესენი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც სვიჩონის მტრის შეუბრალებელი გული თითქმის დამონებოდა მზაღოს ცრემლს, — ამ დროს ქიმბარიანთ-ქარს, ნინიას სახლის დერეფანში ერთი ავადმყოფი იწვა და რაღაცას ბოდავდა. იმისი შეხვეული თავი, ფერმკრთალი პირისახე ადვილად დაგარწმუნებდათ, რომ ეს კაცი დაჭრილი უნდა ყოფილიყო.

— მზაღო! მზაღო! — საშინელის ხმით წამოიძახა იმან და წამოიწია.

მთიულის მოხუცი დედაკაცი, რომელიც აქამდის თავით უჯდა და თხილის შტოთი მოუსვენარს ბუზებს უგერებდა, მისწვდა და ისევ მიაწვინა. ავადმყოფი დამორჩილდა მოხუცს, რადგანაც მეტის სისუსტისაგან ბრძოლა ვეღარ შესძლო. ავადმყოფი გადაესვენა საგებელზედ და ცოტა ხანს მიჩუმდა. დედაკაცი კი წარმოუთქმელის მწუხარებით დიდხანს დაჰყურებდა იმას. ბოლოს თვალები გაუბრწყინდა და კილოზედ მარგალიტის მარცვალივით ცრემლი გადმოეკიდა, რამდენჯერმე გათრთოლდა, გაციმციმდა, იმას მოჰყვა მეორე, მეორეს მესამე და დაუწყო ნაკადულსავით დენა.

ამ ბებერს მოაგონდა თავისი შვილი, რომელიც ამ რამოდენიმე ხნის წინად მტრის უსამართლო ხელს გაეციებინა, და გაეციებინა ისე, რომ თვალების დასახუჭად დედის ხელი ვერც კი მიჰკარებოდა.

რამდენადაც მოხუცი მეტს უყურებდა დაჭრილს ვაჟკაცს, იმდენად მეტის მზრუნველობით ეკიდებოდა.

რასაკვირველია, მკითხველი მიხვდებოდა, რომ ეს დაჭრილი ელგუჯა უნდა ყოფილიყო და იმის მომვლელიც ერთი გულკეთილი მთიული დედაკაცთაგანი.

ცოტა ხანს კიდევ ისე მისუსტებული იწვა ელგუჯა, ხოლო შემდეგ წყნარად გაახილა თვალები და წარმოსთქვა:

— სადა ვარ, რა ამბავია? — იკითხა იმან დასუსტებულის ხმითა და მოხუცს ყურება დაუწყო.

— ნინიაისასა ხარ, ბედშაო, ნინიაისასა! — უპასუხა მოხუცმა.

— ნინიაისას? — გაკვირვებით წარმოსთქვა იმან და დაუმატა: — ვინ ნინიაი არის, ან აქ რაი მინდა?

— გაყუჩდი! გაყუჩდი! ექიმმა თქვა, ლაპარაკი გაწყენსო.

— მაშ ავადა ვარ?.. ჰო, მეც არ მიკვირდა, ღონე ასე რამ გამომაცალა-მეთქი... ამ ხელს რაიღა მოსვლია, რომ ვეღარ ვხმაროб?

— არც რა, არც რა, მაგ მხარეს თუ იწექი და დაგიბუჟდა.

— დამიბუჟდა? — კიდევ წყნარად იკითხა იმან და ჩაფიქრდა. ელგუჯას თავის თავისთვის ჯერ კიდევ ანგარიში ვერ მიეცა, რადგანაც დასუსტებულ სხეულს გონების ძალა მეტად მიესუსტებინა. შემდეგ თითქოს თავში გაუელვა რაღაცა აზრმა, შეკრთა, ჩაფიქრდა და ყოველისფერი მოაგონდა.

— მზაღო, მზაღო რა უყვეს! — წამოიძახა ავადმყოფისაგან ძნელად წარმოსადგენის ხმით. ისე ძნელი, ისე შესაწუხებელი იყო იმისათვის ეს მოგონება, რომ ტკივილები გადაავიწყდა და ზეზე წამოდგომა შეიძლო. დედაკაცს შეეშინდა და გარედ გამოვარდა ვისმეს დასაძახებლად. იმას პირველი სწორედ ის ყმაწვილი მთიული შეხვდა, რომლის ნაბდითაც ელგუჯა მოიტანეს.

— არიქა, მათიაუ! მიშველე, შენი კვნესა-მე, მიშველე! — შესძახა დედაკაცმა.

— რაი ამბავია? — დაუძახა მთიულმა და გაეშურა დედაკაცისაკენ, რომელმაც აუხსნა, საქმე რაშიაც მდგომარეობდა.

მთიული საჩქაროდ შევიდა სახლში, რომელშიაც ელგუჯა პირველის გაბრძოლების შემდეგ დასუსტებული ტახტზედ მიწოლილიყო, რადგანაც მკლავიდგან სისხლი წავარდნოდა. მათია მიეშველა და ჭრილობის შეკრულობა გაუმაგრა.

ელგუჯას თუმცა სისხლი შესწყდა და ტკივილს ვეღარა გრძნობდა, მაგრამ მის მაგიერ უძლურების სიბრაზემ აიტანა. მეტის მწუხარებით ცრემლები გადმოედინა.

— კარგია, იყუჩე! — დასძახა მათიამ და შეიჭმუხნა წარბები: — დიაცი ტირის, ვაჟკაცი კი სისხლს იღებს, — დაუმატა იმან ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— ჰო, მართალს ამბობ, დიაცი ტირის და ვაჟკაცი კი სისხლს იღებს! — გაიმეორა ელგუჯამ, მოიწმინდა თვალები და ამ დღიდგან იმის თვალზედ ცრემლი აღარ გაბრწყინვებულა.

XI

ცოტა ხანმა გაიარა; ელგუჯამ სიჩუმეში ვეღარ გასძლო და იკითხა თავის სანატრელ მზაღოს ამბავი.

მათიამ თავიდგან ბოლომდე ყველაფერი დაწვრილებით უამბო და აუწერა იმისი ამხანაგების მარტიასი და გიორგის გმირული სიკვდილი. ბოლოს უამბო მზაღოს მდგომარეობა, თუმცა ზოგიერთი დაწვრილებული შემთხვევა კი დაუმალა, რადგანაც ეშინოდა ამ ამბავს ავადმყოფზე მეტისმეტად ცუდი მოქმედება არა ჰქონოდა.

— ეხლა ის ქალაი სვიმონთან არის და ეგრე უვლიან, ლომისის მადლმა, როგორც თავის შვილსა, ერთი ჩქარა გორჩი და კიდევ გავიტაცოთ.

ამ სიტყვებზედ ელგუჯას სიამოვნების ღიმილმა გაურბინა პირისახეზედ, მაგრამ ისევ ჩქარა გაქრა და წარმოუთქმელის წუხარებით წარმოსთქვა:

— რაი-ღა უნდა მოვრჩე ნახევარი კაცი! ხელი მე აღარ გამაჩნია და ფეხი.

— ნუ გეშინიან, შენი კვნესა-მე, ნუ! ბერდიაი ამბობს: ისე მოვარჩენო, როგორც დედის მუცლიდან დაბადებულაო.

მართლადაც ელგუჯა განსაცვიფრებელის სასწაულით არამც თუ სიკვდილს გადარჩა, არამედ იმის ჭრილობანი ისე ბედნიერად მომხდარიყო, რომ არც სიცოცხლისათვის იყო საშიში და არც დასახიჩრდებოდა.

— გიორგი მომიკლეს, მარტია მომიკლეს, მე რაღად მინდოდა ცოცხალი თავი? — გააგრძელა ელგუჯამ და გაახრჭიალა კბილები.

— იმად, რომ სისხლი აიღო.

— მართალს ამბობ, მართალს! ღმერთმა იმიტომ გადამარჩინა, რომ იმათი სისხლი ავიღო! და გეფიცები წმინდა გიორგის, თუ ღმერთმა ცოცხალი გადამარჩინა, იმათ სისხლს არ შევარჩენ.

— აი შენი კვნესა-მე, შენი! — გატაცებით წამოიძახა მათიამ: — ვაჟი იყავ და ვაჟური სიტყვაცა სთქვი!

— ღონივრები არიან, მათიავ, ღონივრები... რაი ქნას ერთმა ათასთან? — წარმოსთქვა ელგუჯამ და ისევ დაფიქრდა.

— კაცს კაცზედ მეტი ღონე არა აქვს, შენი კვნესა-მე, არა, ლომისის მადლმა!.. ერთს ერთი ტყვია გააცივებს. ჩვენც თითო გამოვარჩიოთ ხოლმე და მთაში კიდევ არ დალეულა ვოჟები, ძმობილებს კიდევ ვიშოვით.

— ვოჟები კი არიან, მაგრამ პირი აღარ არის, კაცს ველარ გაუგია: ვინ მტერია და ვინ მოკეთე... მაგრამ რაი უყოთ, თუნდა დუნია ჩემ მტრად გადაიქცეს, იმასაც არ შევარჩენ სისხლსა.

— ლომისის მადლმა, მეც მოგყვები... ნაღვარევი იყოს თავდები, სადაც შენ მოჰკვდე, მეც შენთან დავლიო სული!

— მთიულნი ვაჟკაცნი ხართ, კაცს არ უღალატებთ, უსამართლობას ვერ მოითმენთ!.. მაგრამ ჩემი გულისათვის ორთ გაიშავეს დღე, ორთ დალიეს უდროვოდ სული, ჭირი შენ რაისთვის-ღა უნდა გადაგკიდო?

— აბა რაიღა ჭირი იქნება ამ სიცოცხლეზედ უარესი?! და ველარ შეგვინახავს და ცოლი! ბარემ სულ გავწყდეთ.

— მართალს ამბობ, მართალსა! დავიხოცნეთ, თუ სიკვდილის დღე მოსულა. კაცი ერთხელ დაიბადების, ერთხელ უნდა მოკვდეს...

— მაშ დავიხოცნეთ, თუ აგრეა! — წარბებშეჭმუხვნით წარმოსთქვა ელგუჯამ.

ამ უკანასკნელ სიტყვებზედ კიდევ რამდენიმე მთიული შემოვიდა, რომელიც, მთის ხალხის ჩვეულებისამებრ, ავადმყოფის საკითხავად მოსულიყვნენ. ყველანი მიესალმნენ ელგუჯას და ამ სალამში რაღაცა მოწიწებით ექცეოდნენ, იმათ საქციელში იყო გამოხატული ის პატივისცემა, რომელსაც მოიპოვებს ხოლმე უსამართლობის მსხვერპლი და ამ უსამართლობის წინააღმდეგობას თავის გმირულის ვაჟკაცობით დაამტკიცებს.

თუმცა თითონ ელგუჯას დღევანდლამდი არ იცნობდნენ, მაგრამ დღეს ისინი ხედავდნენ იმის იარებს, ესმოდათ იმისი ლომებრივი გულადობა, უშიშრობა, — და ეს საკმაო იყო, რომ იმას ხალხის პატივისცემა მოეპოვა.

უეჭველად ასეც უნდა ყოფილიყო იმ ხალხში, „სადაც კაჟაი ხალხი სჯობია“ და სადაც რიგიანი ქალი არ გათხოვდებო-

და იმისთანა კაცზედ, რომელსაც თავ-პირი დაჭრილობის ნიშნებით დამახინჯებული არ ექნებოდა.

ლაპარაკი სულ ერთსა და იმავე საგანს შეეხებოდა და ეს საგანი იყო ხალხის მდგომარეობა. ყველას რომელიმე უსამართლობა და ხალხზედ ძალის მიტანა გაეგონა, ყველა აშაზე ლაპარაკობდა, ყველას ეტყობოდა გულის ღრენა და აშკარა სურვილი შეერთებისა, ერთად შებრძოლებისა ხალხის შემაწუხებელ მდგომარეობასთან, რომელსაც ბოლო აღარ უჩანდა და თანდათან ფესვებს იმაგრებდა... ხალხს ერთი იმედი-ღა ჰქონდა და ეს იმედი იყო — სვიმონ ჩოფიკაშვილი, რომლის სახელიც, ხალხის რწმუნებით, „ხელმწიფის კარებზედ იყო დაწერილი“. ეხლა სვიმონ მათი მაზრის მმართველი იყო. მაგრამ რა შეეძლო იმას იმდენ ბედის მძებნელ ხალხთან, რომელთაც ხელი აეღოთ სინიდისზე, ნამუსზე და გამოქცეულიყვნენ საქართველოში, რათა ასცდენოდნენ თავიანთ ქვეყანაში კანონიერ სასჯელს; გამოქცეულიყვნენ საქართველოში, ჩაეგდოთ მმართველობა ხელში და ისე შემაგრებულიყვნენ, რომ თვით მართებლობისგან დანიშნულ მოთავეებსაც ვერა გაეწყოთ-რა იმათთან.

ამავე ხანში გავარდა ხმა, რომ გიორგი მეფეს ვიღაცა შუაკაცები გაუგზავნია რუსეთშიაო, რომ ეს ხალხი სანდო პირები არ არიან და თავიანთ ქვეყანას და ხალხს უეჭველად დაღუპავენო. ეს ხმები უფრო ამღელვარებდა ხალხს, რომელიც დაჩვეული იყო საქვეყნო საქმის ერის დაკითხვით გადაწყვეტას და ეხლა კი რაღაცა საიდუმლო გაეხადათ.

ელგუჯა დარწმუნდა, რომ ხალხის აზრი ერთდება, იმათი კანტიკუნტად ამოჩენილი გულის მღელვარება გროვდება და ერთმანერთს ეკვანძება; ის დრო, როდესაც ხალხი გრგვინვასავით ერთხმად გამოაცხადებს თავის უკმაყოფილებას, შორს აღარ იყო.

— როდის იქნება ეს დღე, როდის? — წამოიძახა ელგუჯამ, როდესაც მარტო მათიასთან დარჩა.

— რაი დღე?

— ის დღე, როცა ყველა ხმალს გაივლებს ხელსა.

— ღმერთმა უწყის!

ამ დროს ნინია შემოვიდა და მეგობრებმა შესწყვიტეს ლაპარაკი.

ნინიას დაფიქრებული პირისახე ამტკიცებდა, რომ რაღაცა საშუხარო აბრავი უნდა სცოდნოდა. ის შემოვიდა, დაჯდა, წყნარად ჯიბიდგან ამოიღო ჩიბუხი, გამობერტყა ხელის გულზედ, მერე ამოიღო ქისა, გაფშვნიტა თამბაქო, ჩაყარა ჩიბუხში და ისევ ისე აუჩქარებლად დაუწყო ტალკვესს კვესება. მოუკიდა ჩიბუხს, გამოუშვა რამდენჯერმე კომლი და ამოიხრა.

— ელგუჯავ, თუშებში უნდა გაგგზავნო! — დაიწყო იმან.

ელგუჯამ კარგად ვერ გაიგო ნინიას სიტყვები და გაშტერებული უყურებდა.

— მართალია, ეხლა შენ დასუსტებული ხარ, მაგრამ რაი ვუყოთ, ცხოფრივ არ იქნების... ძველი ნაჩალნიკი ქალაქში ჩასულა და დაუბეზღებიხარ. ეხლა იქიდგან კაცები გამოუგზავნია, რომ — ცოცხალი თუ მკვდარი — იქ უნდა ჩაგიტანონ.

— აჰუ, ნინიაუ, აჰუ!! ცოცხალ-მკვდარს სტუმარს ჰაგისთვის როგორ ჰგზავნი თუშებში? — წამოიძახა მათიამ: — ერთს სტუმარს ვეღარ შევინახავთ? მაშ თავი ცოცხალი რაღად გვინდა? გავსწყდეთ ყველანი და სტუმარი კი შევინახოთ.

— ჰაი, ჰაი! — ჩაცინებით წარმოსთქვა ნინიამ. — ჩვენებურები იყვნენ, კიდევ ვაჩვენებდი როგორ ვატრიალებდი ფრანგულსა, მაგრამ ჯარს რაი ვუყო?.. ვერც სტუმარს დავიხსნით და ჩვენს თავსაც უბრალოდ წავახდენთ.

— ეგ ურჯულოები სტუმარზედაც ხელს გვაღებინებენ? არა, ნინიავ, არა! ჩვენი სოფლის სიკვდილი იქნება, რომ ერთი სტუმარი ვერ შევინახოთ და სხვებს მივაყენოთ კარზედა.

— იყუჩე, ვაჟო! შენ ჯერ ბავშვი ხარ და სისხლი გიდუღს...

— ნინია, შენი სტუმარი ვარ და რაც გინდა ის მიყავ! — წარმოსთქვა ელგუჯამ. — შენ უფროსი კაცი ხარ და რაც შენ გინდა, იმას თავს ვინ გადაუვლის.

— ღომისა იყოს მოწამე, რომ არ იქნების, — ჟინიანად წარმოსთქვა მათიამ...

— კარგია, მათიაუ, წმინდის გივარგის თავით გეხვეწები — გაყუჩდი!.. — მიუბრუნდა ელგუჯა: — მე მოვრჩები თუ მოვკვდები, უფალმა უწყის, და ჩემთვის რაი-ღა სისხლის დაღვრა გინდათ?.. ისეც ცოტა სისხლი არ დაიღვარა.

— სტუმარი, სტუმარი ცხოთ მივაყენოთ კარზედა? — არ ისვენებდა მათია, — სიკვდილი არაა!

— იყუჩე! — წარბებშეჭმუხვნით და მბრძანებელის ხმით წარმოსთქვა ნინიამ. — დღეს მე ვარ უფროსი და მე ეგრე მინდა.

ამ სიტყვებმა თითქოს ენა ჩაუგდეს მათიას, რომლისათვისაც, როგორც ყველა მთის ხალხისათვის, უფროსის ბრძანება, უფროსის ნება ხმაამოუღებლად და გადაუბრუნებლად უნდა ასრულებულიყო.

— განა მე კი არ მესმის, რომ ესეთის ავადმყოფის ცხოთა კარს მიყენება სირცხვილია, მაგრამ გაჭირებამ მოიტანა და აგრე უნდა იყოს... შენ, მათიავ, ამაღამ მოამზადებ რამდენიმე მარჯვე ბიჭს და გაისტუმრებ ხარნაულისას... ისე კი წადით, რომ გუდამაყრის ხეობას ღამე ჩაგყვესთ და მერე ფიქრი აღარ გინდათ!

როგორცა სთქვა ნინიამ, მათიაც ისე მოიქცა. საღამოსთვის მოამზადეს რამდენიმე მთიულის მარჯვე ბიჭი, გააკეთეს, დაწნეს თხილის ფოთლიანი შტოების საკაცე, სილბილისთვის ზედ გაშალეს თივა და ზეიდგან ნაბადი. ყველა ამ სამზადისს ეტყობოდა სრული მზრუნველობა.

როდესაც ყველაფერი მომზადდა, მათია შევიდა ელგუჯასთან და დაითხოვა დედაკაცები, რომელნიც იქ ისხდნენ. მარტოკა რომ დარჩნენ, მიუბრუნდა ელგუჯას და უთხრა:

— ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... ვინ იცის ვინ მოკვდების და ვინ დარჩების!.. სათქმელი თუ არა გაქვს-რა?

— მათიავ, ღვთის მადლმა, ძმაზედ უკეთესად გიყურებ...

— შენს მოღალატეს მტერზედ მოქნეული ხმალი ტარშიამც გადაუტყდების! — უპასუხა მათიამ.

— აბა რაი დაგიმალო, ვინ იცის, რამდენს მთას იქით მიდივარ და გული კი აქ მრჩების...

— ლომისა შეგეწევის, ჩქარა მორჩები და ისევ აქ მოხვალ.

— მოვრჩები თუ არა — ეგ უფალმა უწყის, მაგრამ აქედგან წასვლით გული მიღონდების.

— რათა, შენი კვნესა-მე, რათა?

— ვაჟკაცისათვის გულჩვილობა სიკვდილია და ცხოს არც ვეტყოდი, მაგრამ რაი დაგიმალო: მიყვარს, ძალზედ შემიყვარდა.

— გიყვარდეს, შენი კვნესა-მე, ხმ!.. გული ცხოს როდის ეკითხების.

— სანამ აქ ვიყავ, მეგონა, ის ჩვენთან არის-მეთქი, დამშვიდებული ვიყავ და ეხლა!.. — ჩაიქნია ხელი და ამოოხრა.

— ეხლა რაიღაა?

— ეხლა თითქოს გულიდგამ რაიღაცა მწყდების! აქამდის ხმა მაინც მოდიოდა იმაზედ, ეხლა ვინ-ღა რას შემატყობინებს, ვინ-ღა რას გამაგებინებს!

— ღმერთი იყოს შენი თავდები, როგორც ძმა, ისე დავიჭერ იმაზედ თვალყურსა... შენ ნუ რა გენაღვლების რა... ჩვენი ხალხი სულ მიდის-მოდის თუშებში და სიტყვას იქაც შოგაწვდენ ხოლმე.

— არიქა, არიქა, მათიაისი, თორემ სულ დავილევი, — წამოიძახა ავადმყოფმა.

— შენთვის ძმა დამირქმევია და, თუ შენს გულის საყვარელს ვუღალატო, დედის ძუძუმც მომიჭრია...

— შენი ჭირიმც დამილევია, შენი! ეხლა თუნდ ცის კიდურთან გავალ, ჯავრი აღარ მექნების... არას გაუჭირებ, თუ შენ ცოცხალი ექენ.

— ცხო რაიღა გინდა, მითხარ?

— ცხო?.. — წარმოსთქვა ელგუჯამ და დაიწყო აჩქარებული ქშენა. ეტყობოდა, რომ ამ საგანზე გაკვრით ლაპარაკი ისეც უჭირდებოდა და რა უნდა მოსვლოდა, როდესაც ძალად წარმოსათქმელი სიტყვები გულს მეტად შემოსწოლოდა. მათიამ შეამჩნივა ეს მდგომარეობა.

— რაისთვის მიმალავ რასმე, რად არ მეუბნები? განა შენი ძმა არა ვარ?.. როგორც ღმერთს არ ეღალატების, ისე შენა! თუ არ მენდობი?

— აჰუ! მაგას როგორ ამბობ?! შენც რომ არ გენდო, მაშ ვიღას უნდა ვენდო?

— კარგია, მითხარ ყველა.

— აგრე, აგრე!.. არას დაგიმალავ... მზაღო დიაცია, დიაცი კი მალე მოტყუვდების... შენი ჩემთან წამოსვლა საჭირო არაა; მე რაი მინდა, თქვენებურებიც წამიღებენ და შენ კი ქვეშეს წადი.

— მერე?

— ნახე, როგორც იყოს, ნახე! უთხარ, რომ ცოცხალი ვარ, ისევ ისე მიყვარხარ-თქო, თუ ღმერთმა გადამარჩინა, თავს არ დაგანებებ-თქო... მაგრამ... მაგრამ, თუ მიღალატე, თუ ქვეყანაში გამაწბილე, ქუდი მომხადე-თქო, მაშინ!.. მაშინ ორი თვალის მეტი ვეღარა გიხსნის-რა-თქო.

— კარგი, შენი კვნესა-მე! წავალ, სიცოცხლედ რომ დამიჯდეს, ვნახავ და ვეტყვი, ყველასფერს ვეტყვი...

— ვიცოდი, რომ დამიჯერებდი! — წარმოსთქვა ელგუჯამ და თვალები სიხარულის ცეცხლით გაუბრწყინდა.

მზაღოს მისწვდებოდა იმისი სიტყვები, ის გაიგონებდა და თავის ტუჩებით წარმოსთქვამდა ელგუჯას სახელს! განა ამაზედ მეტი ბედნიერება იქნებოდა შეყვარებულისთვის?

იმ წუთებში ელგუჯა ისე გატაცებული იყო ამ ფიქრებით, რომ მზაღოს მშვენიერი სახე, ნაზი ტანი, ჟუჟუნა თვალები გონებაში ეხატებოდა და ისიც გატაცებითა, გაუმაძღრად შესცქეროდა წარმოდგენილს სურათს: შესტრფოდა და ციურს სიამოვნებას ბოლო აღარა ჰქონდა.

მთიულებმა, რომელნიც შემოვიდნენ და მოაგონეს წასვლის დრო, გამოიყვანეს ელგუჯა ამ ტკბილი ოცნებიდამ...

ყველანი მოემზადნენ, დაჭრილი წყნარად ჩააწვინეს საკაცეში, რომელიც ოთხმა ღონიერმა მთიულმა ასწია და გზას გაუდგნენ. აქეთ-იქით მისდევდნენ ათი-თორმეტი თოფებიანი მთიული და წინ მათია ბელადად მიუძღოდა.

ასე მიდიოდნენ იმ ადგილამდინ, სადაც გზა გაყოფილი იყო და მათია ქვეშისაკენ უნდა გაბრუნებულიყო. მგზავრებმა ცოტა შეისვენეს.

მათიამ დაუძახა ყველას, რათა დაეცვალათ ტყვიები და ყველასთან ძმად გაფიცულიყო. როდესაც ყველა ეს გაათავეს, ერთბაშად წამოიძახა:

— დედამც შეურთამს ცოლად, ვინც ერთმანერთს უღალატოს!

— დედამც შეურთამს!.. — გაიმეორეს სხკებმა და გაემართნენ თავიანთ გზას: მათია — ქვეშესაკენ და დანარჩენი — თუშებისაკენ.

XII

მზაღო შევიდა სვიმონის სახლში სრულიად დარწმუნებული, რომ მოსვენებას მოიპოვებდა და დრო დარჩებოდა ეფიქრა სანტრელს ელგუჯაზედ და თავის მდგომარეობაზედ, მაგრამ იმედმა უღალატა.

მართალია, სვიმონ ტკბილად ექცეოდა, იმისი ცოლი ეალერსებოდა მზრუნველის და კეთილის გულით, მაგრამ სახლობაში, რომელიც გავსებული იყო სხვადასხვა დამონებულ, ხასიათ-გაფუჭებულ მოსამსახურეებით, ათას გულმოსაკლავს და დამჩაგვრელს უსიამოვნებასა ხედავდა. ქალს აშკარად დასცინოდნენ, მასხარად იგდებდნენ იმის წარსულს უბედურებას ძველ ნაჩალნიკთან, და ეს ყველა ერთად ღალავდა, ასუსტებდა.

გოგოებს ჰყვანდა თავთავისი ამორჩეულები, ყველა უარშიყდებოდა ვისმე და ესენი კი აშკარა უპირატესობას აძლევდნენ მზაღოს, და ეს ცოტა მიზეზი არ იყო, რომ ათვალწუნებინათ საბრალო ქალი.

თუნდა ეს ასეც არ ყოფილიყო, რამდენიმე დღის უბედურებამ მზაღოს ისე გაუტეხა გული, რომ თითონაც ეჭვიანი, დაუნდობელი შეიქნა და სხვების მხიარულება მასხარად აგდებათ მიაჩნდა.

მართლაც რა იქნება ისეთი სატანჯველი, როდესაც კაცს გაუტყდება გული და პირდაპირ ვეღარავისთვის შეუხედნია იმის შიშით, რომ თანაგრძნობის მაგიერ მასხარად აგდება არ დაინახოს?

ამ სატანჯველს ემატებოდა კიდევ ელგუჯაზედ ფიქრი, რომელზედაც ხანდისხან ხმა მისწვდებოდა ხოლმე, იცოდა, რომ არ მომკვდარიყო და დაჭრილს კი ვინ იცის, როგორ უვლიდნენ, რა გაჭირვებაში იყო?

იქნება იმ დროს, როდესაც მზაღო იმაზედ ფიქრობდა, ელგუჯა სულმობრძავი იყო, სულსა ლევდა და მომვლელი კი არავინა ჰყვანდა.

იქნება უკანასკნელ სიტყვებში სიყვარულით ახსენებდა მზაღოს სახელს და ის კი იქ არ იყო. ასე ფიქრობდა ჩერქეზის ქალი და ეს ფიქრები მწუხარების ჟრუანტელად დაურბენდა

სხეულში... მერე წარმოუდგებოდა, რომ ელგუჯას მზაღოს უბედურება შეტყობილი ჰქონდა, ზიზღით და წყევლით ახსენებს იმის სახელს, — და ეს ფიქრები ლახვარსავით დაუვლიდა გულში.

ვერავის ანდობდა თავის გულის დარდს, ვერავის უბედავდა და ყველა მწუხარება უგროვდებოდა: ეს ამძიმებდა და ერთიორად მეტად სტანჯავდა.

ამბობენ, — და სწორეც არის, — რომ კაცის მწუხარებს ისე ვერა შეამსუბუქებს-რაო, როგორც მოლაპარაკება, მინდობა მეორე პირთან თავის მწუხარებისაო. მზაღოს კი ესეთი პირი არავინა ჰყვანდა და ყველა ფიქრი, ყველა მოსაზრება უნდა შთაბეჭდოდა იმის გონებაში, გრძნობიანი გულის ცეცხლით თითქოს გამომცხვარიყოს და სამუდამოდ მოჩოთირე, მტანჯავს გრძნობად დარჩენოდა გულში.

ერთს მთვარიანს საღამოს მზაღო გამოსულიყო და იქვე სახლთან მდგომს წიფლის ხესთან თავის ფიქრებს ეძლეოდა. მშვენიერი ბუნება კაცის გრძნობას უალერსებდა რაღაცა გულდამამშვიდებელის ძალით. ზაფხულის სითბო შეიცვლებოდა მსუბუქის ნიავით, რომელიც ნაზად გაურბენდა ფოთლებს და სასიამოვნო შრიალს აატეხინებდა. აქა-იქა მოფენილი ყვავილები დამატკბობელს სურნელებას გამოსცემდნენ, აძლევდნენ ქარსა და ისიც ჰფენდა ყოველს ადგილს. ახლომახლო წყარო ჩამოჩხრიალებდა და თითქო ნანას ეუბნებოდა დაძინებულს ბუნებას.

მზაღო იდგა რაღაცა უგრძნობელ მომხიბვლელს მდგომარეობაში.

იქვე ახლო მყოფი ბუჩქები თითქოს ქარისაგან შეინძრა და ისევ გაჩერდა. ქალი ისე შეკრთა, ისე შეაშინა ამ მოულოდნელობამ, რომ ხმა ვეღარ ამოიღო და გაშეშებულსავით დარჩა იმავ ადგილს. ბუჩქები გადიწია და ვიღაცა უცნობი ვეფხვსავით გადმოხტა.

— შენ და და მე ძმა! — შესძახა კაცმა მისვლის უმალ.

— რაი გინდა ჩემგან, ვინა ხარ? თავი დამანებე! — შეშინებულის და მთრთოლარეს ხმით ეუბნებოდა ქალი: — მომშორდი, თორემ დავიყვირებ!

— იყუჩე, ქალაუ!.. სამშვიდობოდ მოვსულვარ!.. შენს მოღალატეს ლომისამ უღალატოს.

ქალს კიდევ ვერ გაეგო, რას ელაპარაკებოდნენ და ყოველის ღონისძიებითა ცდილობდა თავიდგან მოეშორებინა ეს კაცი.

— შენი არა მინდა-რა, გამიშვი, გამიშვი!

— მე ძალადობას არ ვხმარობ. დიაცთან ძალადობა რაი ვაჟკაცის წესია.

— მაშ რაი გინდა, რაი? რაისთვის თავს არ მანებებ?

— იმისათვის, რომ სიტყვა მაქვს, ელგუჯამ დამაბარა.

— ელგუჯამ! — გიჟსავით წამოიძახა და მთიულს მათიას გაშტერებულმა დაუწყო ყურება.

— ჰო, ელგუჯამ! ჩემთან ძმად ნაფიცია, შენც და-ძმობას გეუბნები.

— ელგუჯა, ელგუჯა!.. მაშ გადარჩა, კარგად არის, არ მომკვდარა? — გულის კანკალით ჰკითხავდა მზაღო.

— ლომისის მადლმა, რომ კარგად არის, სულ შენზედ ლაპარაკობს, სულ შენს გონებაშია.

— მაშ უყვარვარ?.. უყვარვარ? არ დავვიწყებივარ? მითხარ, გაფიცებ, რაც კი საფიცარი გყავს.

— ელგუჯაი ვაჟია, ვისაც ერთხელ შეიყვარებს, სამარეც ვეღარ გადაავიწყებს.

— მორჩება? კარგა შეიქნება? მითხარი! ოჰ, ღმერთო! აგრე ცოტას რად ლაპარაკობ? — ეუბნებოდა მზაღო, რომელსაც უნდოდა, რომ განუწყვეტლივ ეამბო იმისთვის ყველაფერი დაწვრილებით, რაც კი შეეხებოდა ელგუჯას ცხოვრებას, და ეს სურვილი ისე ძლიერი იყო, რომ ლაპარაკსაც ვეღარ ასწრობდა და წამდაუწუმის კითხვით მათიას საუბარს აწყვეტინებდა.

— ელგუჯა ეხლა თუშებში გავგზავნეთ; იქ უფრო უშიშარს ალაგს იქნება და რა წამს სრულებით მორჩება, მაშინვე ჩამოვალთ და წაგიყვანთ, ასე დამაბარა ელგუჯამ: ჩემი ფიქრი ნუ გექნებისო, მე ეგრე არ დაგაგდებო... ვინძლო, შენც არ დამივიწყოო.

— წამიყვანე, წამიყვანე ეხლავ!.. ის ავად იყოს და მე გვერდით არა ვყვანდე, რაი ჩემი სიცოცხლეა!

— იყუჩე, იყუჩე! შენი წაყვანა ეხლა საით იქნების?.. შენ რომ იქ იქნა, ელგუჯა შენის ცქერით სულ დაილევის.

— მაშ რაი-ღა მეშველება მე დაღუპულს? საით-ღა უნდა გაუძლო იმის უნახაობას... რაც იმას მომაშორეს, იმის ამბავი ასე დაწვრილებით პირველად მესმის.

— ლომისა იყვეს შენი თავდები, ოღონდაც შენ მშვიდობიანად იყავ და მალ-მალ შეგატყობინებ ხოლმე ელგუჯას ამბავს.

— ჰო, ჰო! შემატყობინე! მადლია შენთვისაც.

— მაშ მშვიდობიანად იქნები? დაიფიცე.

— ოღონდაც ელგუჯას მშვიდობიანად ნახვა მეღირსოს, და მე... ცხო რაი-ღა მინდა?

ამ მუსაიფით გაათავეს იმათ და დასდვეს პირობა, რომ მათია ყოველ შაბათობით მზაღოსთან უნდა შეიყაროს ხოლმე. ამ პირობის შემდეგ ისინი გაიყარნენ, — მზაღო დაკმაყოფილებული დარჩა ელგუჯას ამბავის შეტყობით და მათია კი — გახარებული თავის მეგობრის სურვილის აღსრულებით.

მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ამ გაყრის შემდეგ მათიას ნამდვილი სიხარულის მაგიერად, რაღაცა სევდა მოაწვა და თითონაც ვერ გაეგო, თუ რასა გრძნობდა და რა უნდოდა, ან ამ მდგომარეობაში რად ჩავარდნილიყო...

ამ დროსვე სვიმონის სასტუმროში იყვნენ შეყრილნი თემის უფროსი კაცები, რომელთაც სისხლის სამართალი უნდა გარდაეწყვიტათ ელგუჯასა და სვიმონის შორის. ყველანი ჯოხებით, თმა-წვერგათეთრებულნი, ისხდნენ სკამზედ და დამშვიდებულ-დარბაისლურად სჯიდნენ ამ სამწუხარო შემთხვევას. ერთი, ყველაზედ უფროსი, ასრულებდა თავმჯდომარის მოვალეობას და დანარჩენები ისეთის კრძალვით და პატივცემით ეკიდებოდნენ მას, რომ კაცი გაშტერებული დარჩებოდა.

აქ იყვნენ მოწმეები, მოჩივარი სვიმონ ჩოფიკაშვილი და ელგუჯას შორეული მოკეთეები, იმის მხრით მოლაპარაკენი.

საქ-სამი, ოთხ-ოთხი კაცი თითქოს ცალ-ცალკე კრებას შეადგენდა და ჩუმად სჯიდნენ, ლაპარაკობდნენ გასარჩევს საქმეზედ. მოხუცი თავმჯდომარე წამოდგა, მოიხადა ქუდი და წყნარა პირჯვარი გადაიწერა.

— სმენა იყოს და გაგონება!

ერთბაშად ყველანი წამოდგნენ და ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ კაცი ბუზის გაფრენასაც კი გაიგონებდა.

— ხალხნო და ჯამაათნო! თქვენ ყველამ იცით, რაისთვისაც ხართ აქ შეყრილი. ორი მოსისხლე გვარი უნდა გაასამართლოთ... თუ ვინმე ერთ-ერთი მხრის ან მოწინააღმდეგე ხართ ან მოკეთე, განშორდით თემის ყრილობას: კაცის გული რბილია! მიდგომ-მოდგომით არ წარმოსთქვათ... თორემ ცოდოა... ხალხის წინაშე სირცხვილი... საიქიოს ჯოჯოხეთი! ვინაა ეგეთი, — გაგვშორდეს! ვინაა ეგეთი, — გაგვშორდეს! ვინაა ეგეთი, — გაგვშორდეს!

ამ სიტყვების შემდეგ რამდენმამე კაცმა დაიხურა ქუდი და გავიდნენ საბჭოდგან.

ამის შემდეგ მოხუცმა ისევ დაიწყო:

— ღმერთო დიდებულო, ღმერთო! ხევ-მთიულეთის ჯვარანგელოზნო! თქვენ წინაშე არის შეყრილი თემის ხალხი... თქვენ მოგკეცით ძალა და ჩაგვაგონეთ, რომ ჩვენის უგუნურობით უსამართლობა რაიმე არ მოვახდინოთ!

— ამინ შენს მადლსა! — დაიძახეს დანარჩენებმა.

— და თუ ჩვენში გამოვიდა ვინმე ისეთი, რომ მიდგომით სიტყვა დახარჯა, სწორე ჩვენება არ მოგვცა, რაიმე დაიმალა, — თქვენი რისხვა გააყოლეთ შვილის შვილამდე.

— ამინ შენს მადლსა! — კიდევ იყო ხალხის პასუხი.

— ისეთი კაცი გამოაკელ ტოლ-სწორებს, აცოცხლე დიდხანს, მაგრამ სამასხარაოდ გაჰხადე, მოსვენებას ნუ ვისცემ!

— ამინ შენს მადლსა!

— აბა, ახლა კი დასხედით, თქვენს ღმერთს შეხედეთ, თქვენს სულს გაუფრთხილდით, დაფიქრდით და ისე თქვით!

ხალხმა დაიხურა ქუდები და დამშვიდებულად დალაგდა. ყველას პირისახეზედ ეტყობოდა განსაკუთრებით დაკვირვება თავიანთ მოვალეობაზედ და კარგად ესმოდა, რა მნიშვნელობაც ჰქონდა იმათ სიტყვებს ორ გვარეულობისადმი.

პირველი გამოიწვია თავმჯდომარემ სვიმონ ჩოფიკაშვილი, როგორც მომჩივარი. სვიმონ გავიდა შუა ადგილას, მოიხადა ქუდი, დაიჩოქა ცალ მუხლზედ და დაიწყო თავისი საჩივარი, რომელშიაც გამოხატა გაგის სიკვდილის მიზეზი, ამტყუნებდა ელგუჯას და ითხოვდა გასამართლებას.

იმის შემდეგ გამოიწვიეს ელგუჯას შორეული ნათესავები, როგორც დამცველნი იმის გვარეულობის ინტერესისა.

ისინიც, როგორც სვიმონ, ისე გავიდნენ შუა ადგილას, დაიჩოქეს და ამტკიცებდნენ, რომ ელგუჯას ხელით არ იყო მოკლული გაგი და სისხლის ძიება ამ შემთხვევაში არ ეკუთვნოდა ჩოფიკაშვილებს.

როდესაც ორთავ მხრისაგან მოისმინეს ჩვენება, თავმჯდომარე ისევ წამოდგა და საჭიროდ დაინახა რამდენისამე სიტყვის წარმოთქმა.

— ხალხო, სმენა იყოს და გაგონება!.. დღეს ისეთი დღე მოგვადგა, რომ ჩვენ თითონაც ვეღარ გაგვიგია, რაი ჭირი დატრიალდა, რაი მეხი დაგვატყდა თავზედ... გეხვეწებით ამ მოხუცის თავით, უფრთხილდით ერთმანერთსა, უბრალოდ მტრობას უფრთხილდით!.. იქნების ხვალ და ზეგ ეგეთი დღე დაგვადგეს, რომ თითოს თავი ათასად დაგვიფასდეს... მშვიდობიანობას ეცადეთ, თქვენი ჭირიმეთ, მშვიდობიანობას.

ამ სიტყვების შემდეგ გამოიწვიეს მოწმეები, რომელთაც ჩამოართვეს ჩვენება.

შემდეგ დაიბარეს მზაღო, როგორც ერთი უმთავრესი მოწამე, რომლისაგანაც გაგება უნდოდათ — ძალით იყო გატაცებული თუ თავის საქმროს ნებით გაჰყვა. მაგრამ ქალი არ წამოჰყვა და იმის საკითხავად ორი კაცი გაგზავნეს, რომელთაც მოუტანეს შემდეგი პასუხი:

— ის ქალაი ამბობს, რომ თავის ნებით გაჰყვა, უყვარდა და იმისთვის; რომ ღვთისგან იმედი არა ჰქონდეს ელგუჯას გადარჩენისა, მაშინ თავს მოიკლამდა, რომ საიქიოსაც-კი იმას არ მოშორებოდა.

ამ პასუხის შემდეგ ბჭეების მეტი ყველანი დაითხოვეს და დაიწყეს გასჯა და აწონა ყველა ჩვენებისა და გაგონილისა.

რაკი მოსამართლენი მარტოკა დარჩნენ, ისევ დაიყვნენ ჯგუფებად და დაიწყეს ერთმანერთში მოლაპარაკება.

შემდეგ ისევ შეგროვდნენ. უხუცესმა დაიჭირა თავისი ადგილი, სხვები უფროსობით ჩამომწკრივდნენ გვერდით და უფროსობითვე დაიწყეს თავიანთის აზრის წარმოთქმა. ასე რიგად გასწია რამდენიმე საათმა, რომლის შემდეგაც დაიბა-

რეს მომჩივარ-მოპასუხის მხარენი თემის ყრილობის გარდაწყვეტილების მოსასმენად.

როდესაც ისინი შემოვიდნენ და ადგილი დაიჭირეს, უხუცესი წამოდგა და უთხრა მომჩივრებს შემდეგი:

— თქვენის თხოვნით და სურვილით ჩვენ შევიყარენით თემის კაცნი და რაიცა უფალმა გვაგონა, ისე გავასამართლეთ. ჩვენი გარდაწყვეტილება უნდა მტკიცედ ასრულდეს თქვენგან და, თუ ვინმემ მოინდომოს თემის გაუგონრობა, ის გაგდებული იქნების თემისაგან, აღარ ჩაითვლების ჩვენს სისხლად და ხორცად, აღარც ექნების ადგილი ჩვენ კერასთან. უნდა დაიფიცოთ ამაზედ!

— რაისთვის არ დავიფიცამთ!.. თემის სიტყვა საით გატყდების! — უპასუხეს მომჩივრებმა.

— შემოიყვანეთ დეკანოზები, — ბრძანა თავმჯდომარემ.

ამ სიტყვებზე შემოვიდა ორი დეკანოზი, რომელთაგანაც ერთს ეჭირა ხელში მერდინის დროშა, რომელსა ჰქონდა ასხმული სხვადასხვა სიდიდის ხატები, ჯვრები, ზარები და შეწირული ნივთები; მეორესაც — ვერცხლის ჯვარი მერდინშივე შეხვეული.

იმათ შემოსვლაზედ ყველანი ფეხზედ წამოდგნენ და ქუდები მოიხადეს. დეკანოზები მივიდნენ და დადგნენ უხუცესის აქეთ-იქით.

ყველანი რომ დამშვიდნენ, ისევ უხუცესმა დაიწყო პირველი სიტყვა:

— მოდით, დაიფიცეთ!

მომჩივრები მივიდნენ, პირჯვარი დაიწერეს, მუხლი მოიყარეს და ხელი მოჰკიდეს დროშას.

— ღმერთო დიდებულო! — დაიწყო ერთმა დეკანოზმა: — ღმერთო, ივანე ნათლისმცემელო, წვერისა სპარს-ანგელოზო, ხევის სამებაო, ღუდის ყოვლადწმიდაო, ლომის მთავარმოწამეო, შენი მადლი შეაწია ამ ხალხსა!

— ამინ შენს მადლსა! — იყო პასუხი.

— შენ არიდე შფოთი და მწუხარება, ჩამოაგდე ამის შემდეგ მშვიდობიანობა ჩვენს თემობაში!

— ამინ შენს მადლსა!

— საშვილიშვილოდ გააყოლე შენი წყალობა საქართვე-

ლოს ერთგულსა, თემის პირის შემნახავსა, ძმა-ნათესავის გამტანსა, საწყლის შემბრალებელსა, მშვიდობიანობის დამთესსა!

— ამინ შენს მადლსა!

— თემის პირის გამტეხს კი, ნათესავის დაუნდობელს, მამულისა და მეფის მოღალატეს ნუ მისცემ ნურსად მოსვენებას!

— ამინ შენს მადლსა!

— ნუ მისცემ ამისთანა კაცს ნურც სახლს, ნურც თავშესაფარს, ნურც კერას, ნუ მოაკვლევინებ ნადირს, ნუ გაამარჯვებინებ მტერზედ!

— ამინ შენს მადლსა!

— აბა, ემთხვიეთ ხატებს! — გაათავეს დეკანოზებმა და დააჟღრიალეს ზარები. ხალხი, რომელიც აქამდის დაჩოქილი იდგა, ეხლა წამოიშალა, მომჩივრები კრძალვით და მოწიწებით ემთხვივნენ დროშას, ჯვარს და დაიჭირეს ისევ თავიანთი ადგილი.

უხუცესი (თავმჯდომარე) წამოდგა და კრებას შემდეგი გარდაწყვეტილება გამოუცხადა.

„ელგუჯამ მართალია ქალი გაიტაცა და ამითი სირცხვილი მიაყენა ჩოფიკაშვილის სახლს, მაგრამ ძალადობა არ უხმარია და ქალი თავისის ნებით წაჰყოლია.

„გაგი შეხვედრია წინ და თავის სახლის პატივის დაცვისათვის შეჰბმია ელგუჯას და იმასაც თავისი ამხანაგებით თავიანთი თავის დასაცველად იარაღი უხმარიათ, რომლის შედეგიც რამდენიმე კაცის სიკვდილი ყოფილა.

„ელგუჯას გაგის ცხენი დაუჭრია და ამ მიზეზით გაგი გადავარდნილა კლდეზედ და დამსხვრეულა.

„მერე რუსის ჯარებს დაუხოცნიათ ელგუჯას ამხანაგები, თითონ ელგუჯა მძიმედ დაუჩეხიათ და ქალი წაურთმევიათ.

„ჩვენ ჩვენის გონებით, ჩვენის ჭკუით გავასამართლეთ ეს ხალხი და გადავწყვიტეთ:

„რადგანაც გაგის ამალაში დახოცილები ორი ყოფილა ჩვენებური, ელგუჯას ამხანაგების სიკვდილი — იმათ სისხლში.

„გაგის კლდეზედ გადავარდნა არ არის პირდაპირი ელგუჯას ხელით სიკვდილი და სისხლი არ ეძიება ამისთვის. ამის სამაგიეროდ ელგუჯას ჩამოერთოს მამული და მიეცეს სვიმონ ჩოფიკაშვილს... სვიმონმა თავის მხრით გაიღოს ელგუჯას საექიმო.

„ელგუჯას ნათესაობა, თემის კაცების დასწრებით, მოვიდეს ხარითა და ლუდით გაგის საფლაკზედ შესახვეწად.

„ქალი დარჩეს სვიმონს, როგორც ნასყიდი, და, თუ ელგუჯამ წაყვანა მოინდომა, ურვადად გადაეხადოს ორმოცი ძროხა.

„ამის შემდეგ ელგუჯას და სვიმონის გვარეულობაში ჩამოვარდეს ძმობა, მეზობლობა და სიყვარული“.

ეს სიტყვები ყველასაგან მიღებული იყო წესიერის მორჩილებით, და მასუკან გაიშალა „სიფრო“ პურის საჭმელად, რომელზედაც სადღეგრძელოები უწყვეტლივ ისმოდა.

VIII

მზალო გულის კანკალით ელოდა ამ გარდაწყვეტილებას, თუმცა წინადვე დაიმედებული იყო სვიმონისაგან!..

წარმოიდგინეთ ქალის სიხარული, როდესაც გაიგო, რომ ელგუჯას სიცოცხლეს აღარავინ შეეხებოდა და ისიც ცოცხალი დარჩებოდა. მართალია, ის არ არგუნეს ელგუჯასა და ურვადი ისეთი დაუნიშნეს, რომ იმის გადახდა შეუძლებელი იყო, მაგრამ თუნდა გათხოვების ნება რომ მიეცათ კიდეც, განა თითონ გათხოვდებოდა? ეს მან კარგად არ იცოდა, თუმცა მზად იყო დღესვე თავი შეეწირა თავის სიყვარულის საგნისათვის.

ამჟამად იმას დავიწყებოდა თავისი თავი და მხოლოდ თვალწინ უდგა ელგუჯას სიცოცხლე, რომელსაც ბედნიერების მოპოება შეეძლო.

გაიარა ამ ღამემ და იქ მყოფთ ცხოვრებამ მიიღო ისევ ჩვეულებრივი მიმდინარეობა: მუშა ხალხისათვის დადგა ისევ ის მთრთოლარე მოუსვენრობა, რომელიც თითქმის ჩვეულებად გარდაექცათ იმ უბედური წლების ხალხს.

ერთ დღეს მზალო გარეთ იჯდა და საჩოხე მატყლსა სჩეჩავდა. გვერდით უჯდა ჯაჯალა, რომელიც მზალოს პირველ მოყვანაში ალერსიანის სიტყვით შეხვდა. ჯაჯალა ამ დღეებში მოსულიყო მეორე სოფლიდგან და ისევ ისე თანაგრძნობით ექცეოდა, ისევ ისე გულმხურვალედ ეკიდებოდა მზალოს საქმეს და შდგომარეობას, როგორც უწინ.

როდესაც ისინი ერთად მუშაობდნენ და ერთმანერთს უამ-

ბობდნენ სხვადასხვა ამბებს თავიანთ ცხოვრებიდგან, ერთბაშად სიტყვა გაწყვიტეს, ფეხზედ წამოდგნენ — იმათ დაინახეს სვიმონა, რომელიც იმათკენ მიდიოდა.

დედაკაცებს რომ გაუსწორდა, შესდგა და ჯაჯალა წყლისთვის გაგზავნა. მოახლე სირბილით გაეშურა თავის ბატონის ბრძანების აღსასრულებლად.

მზაღო და სვიმონ მარტონი დარჩნენ; ეს უკანასკნელი მიუბრუნდა ქალსა:

— კმაყოფილი ხარ თემის გარდაწყვეტილებისა? სისხლი აღარ დაიღვრება.

— თემი გონიერია, შენი წყალობა ნუ მომაკლოს ღმერთმა!

— ეხლა სად არის ელგუჯა?

ამ კითხვაზედ ქალი შეშინდა, ეგონა, რომ სვიმონ სისხლის საძიებლად ეძებდა იმის ბინადრობას და გაფითრდა.

— ნუ გეშინიან, მითხარ!.. მე სიტყვა მოგეც, რომ იმის სიცოცხლე დაფარულია... თუნდა ეგეც არ ყოფილიყო, თემის გარდაწყვეტილება ჩემთვის გაუტეხელია.

— მე რაი ვიცი? — კიდევ უნდობლად წარმოსთქვა მზაღომ.

— შენ იცი და თუ იმისთვის კეთილი გინდა, უნდა გამაგებინო.

— არ ვიცი, არა, შენი ჭირიმე!

— არ გინდა სთქვა, შენი ნებაა, — მე ძალას აღარ დაგატან, მხოლოდ იმას კი გეტყვი, რომ შეატყობინო, მოშორებით წავიდეს. მე თითონ გავაგებინებდი, მაგრამ მეშინიან, ხალხში ხმა არ გავარდეს, რომ მე ელგუჯას ბინადრობა ვიცი.

— თემმა ხომ მოგარიგათ, შენ აღარ ემტერები და რაისიღა უნდა გეშინოდეს?

— შენ ჯერ ბავშვი ხარ... მე მყავს მტრები და ჩემი მტრები ელგუჯას მტრებიც არიან.

— მე არ მესმის, რას ამბობ?

— იმას, რომ ძველი ნაჩალნიკი ჩავიდა ქალაქს და ცდილობს ელგუჯასაგან გაგის მოკვლა მე დამაბრალოს. მითომც მე მოვისყიდე.

— მაშ რაი-და გვეშველება? — შეშინებით წარმოსთქვა მზაღომ.

— ისა რომ, როგორც იყოს, ელგუჯას გააგებინე ეს ამბავი, ის გიჟი არაა, თითონ იპოვის საშუალებას.

— ვისის პირით შეუთვალო, საით გავაგებინო? — კიდევ იეშმაკა მზაღომ.

— ეგ ჩემი საქმე არაა... — უპასუხა სვიმონმა ისეთის კილოთი, რომ ადვილად დარწმუნდებოდით, იმან ყველაფერი იცოდა, მაგრამ რომელიმე მოაზრების მიზეზით თითონ არ უნდოდა ემოქმედნა.

სვიმონ წავიდა. რაწამს ის მოეფარა იქვე აშენებულს საიასაულოს, ჯაჯალა სირბილით მოვიდა და ლიტრით წყალი მოიტანა.

— რა იქმნა ბატონი?

— წავიდა... იმან შენ განგებ გაგგზავნა, ჩემთან ლაპარაკი უნდოდა... — უპასუხა მზაღომ და გარდასცა, რაზედაც იმათ ლაპარაკი ჰქონდათ, შემდეგ გამოუტყდა, რომ წარსულს შაბათს ერთი მთიული, სახელად მათია, იყო და იმან ყველაფერი უამბო ელგუჯას შესახებ.

შემდეგ ლაპარაკი გადავიდა სხვადასხვა საგნებზედ, რომელიც შეეხებოდა იმათ წარსულ ცხოვრებას. მზაღოს ეჭირვებოდა ისეთი მეგობრის მიშველება, როგორიც ჯაჯალა იყო, რადგანაც იმის გულს ამდენი მარტოობა აღარ შეეძლო და მოგროვებული ნაღველი ითხოვდა გარედ გამოსვლას.

როდესაც ენა მოიჯერეს ლაპარაკით, გულს ჩამოხადეს მომეტებული ბარგი და ცოტაოდენი დაამშვიდეს, შინ წავიდნენ. მზაღო ეხლა უფრო გულადად შედიოდა, რადგანაც ისეთს ქომაგს და მეგობარს გვერდით ჰხედავდა, როგორც ჯაჯალა იყო.

იმათ გარდაწყვიტეს, რომ შაბათამდინ, როგორც იქნებოდა, მოითმენდნენ და შაბათს მათიასაგან გაიგებდნენ ელგუჯას ამბავს დაწვრილებით. გაატანდნენ იმისთვის საგულეს და საჩოხეს, რომელიც უთუოდ საშაბათოდ ამ ორ ქალს უნდა მოესწროთ.

როდესაც ესენი ამ გაცხარებულ საქმეში იყვნენ, მათიას ცხვარი გაერეკა საძოვარზედ. თითონ დაყუდებული იყო შვინდის კომბალზედ და მთებს გაჰყურებდა. ცხვრები ერთიერთმანერთის შურით ერთმანერთს წინ გადურბენდნენ და გაუმაძღრად სწიწკნიდნენ ბალახს.

ცხვარი ძოვნით მიდიოდა და ჰშორდებოდა მწყემსს, რომელიც ისევ იმ ადგილს გაუნძრეველად იდგა და ერთის ალაგისთვის მიეჭცია თვალები. საკვირველი იყო, რომ ყოველთვის მუყაითი მათია, განთქმული მწყემსი, რომელიც ერთს ბიჯსაც არ მოშორდებოდა თავის საქონელს — დღეს ასე ჩაფიქრებულიყო და ერთს ალაგს მისციებოდა. იქნება ბუნების იმ ჴშვენიერმა სურათმა გაიტაცა, რომელნიც თვალწინ ეხატებოდნენ? არა, ის იმ დროს არც ამ ამაყად აყუდებულს მთებსა ხედავდა, არც მშვენივრად გადაფენილს ტყეებს, არც ნაჩხატებს, რომელიც ჩხრიალით თეთრ რძესავით ქაფდებოდა, გადმოდიოდა კლდეებიდამ და ათას წინწკლებად იფანტებოდა, არც მწვანედ მოდებულს ველებს, რომელიც ათასფერის სურნელოვან ყვავილებით ბუნებას შეემკო. მაშ რა უნდა ყოფილიყო იმ-ჟამად ამ კაცის გონების ასე რიგად მიმზიდველი და გამტაცებელი?

ეს რამოდენიმე დღე იყო, რაც მათიას ეს ჩვეულება დასჩემდა და ჯერ თითონაც კარგად ვერ გამოერკვია ამის მიზეზი, თუმცა ყოველ ამ დაფიქრებასთან ერთად თვალწინ წარმოუდგებოდა ხოლმე მომღიმარე სახე მშვენიერის ქალის, რომელიც თავის ჟუჟუნა თვალებით, მათიასავე უნებურად, იქამდინ იზიდავდა იმის გონებას, სანამ თავდავიწყებამდინ არ მიიყვანდა ხოლმე. და რა ამ მდგომარეობამდის მივიდოდა, ისეთს სანატრელს, თუმცა ტანჯვით სავსე გრძნობაში შედიოდა, რომ იმასთან გაყრა წარმოუდგენელ უბედურებად მიაჩნდა.

ვისი სურათი იყო, რომელმაც მათიას ქვის გული ისე მაგრად შებოჭა?

ის გახლდათ ჩერქეზის ლამაზი ქალი, ელგუჯას სატრფო, რომელიც მათიას უნებურად სოლსავით ჩასჭედოდა გულში.

პირველში მთიულს ეგონა, რომ ეს სიყვარული იყო დაძმური, რომელიც დაბადებულიყო ელგუჯას მდგომარეობის და თანაგრძნობის გამო, მაგრამ რამდენიც ხანი გადიოდა, რამდენსაც მეტს აკვირდებოდა ამ საქმეს და ცდილობდა თავიდამ მოეშორებინა აღძრული გრძნობა, იმდენად უფრო ცოცხლად ეხატებოდა მზაღოს სახე და სწყუროდა მასთან განუშორებლად ყოფნა, იმის ყურება და ალერსი.

მათია უბრალოდ არწმუნებდა თავის თავს, რომ მაცდურს შეეპყრო, რომელსაც უნდოდა ეღალატებინა ძმობისა, მეგობ-

რობისა და წესისათვის; უბრალოდ ცდილობდა შეეყენებინა თავისი გრძნობა, რომელსაც დღითი-დღე ემატებოდა ცეცხლი და უმეტესად უდუღებდა სისხლსა. ყოველ ამგვარ ძალდატანების შემდეგ დაუმორჩილებელი გრძნობა უმეტესის ძალით იჩენდა თავს.

ამ რამდენიმე დღეში მხიარული, მოცინარი და უზრუნველი მათია შეიქმნა დაფიქრებული, დაღონებული, ყმაწვილურმა, კარგა მყოფ ფერმა დაჰკარგა ელვარება, გაიცრიცა და გაყვითლდა, გახდა და თვალები ჩაუცვივდა.

მეზობლები უყურებდნენ მათიას, უკვირდათ იმისი ცვლილება და მიზეზს ვერ მიმხვდარიყვნენ. როდესაც მათიას ამ საგანზე ვინმე დაელაპარაკებოდა, ის პასუხის მაგივრად ამოიოხრებდა, გააკეთებდა ყალიონს და ძალზედ წევას დაუწყებდა. და თუ ვინმე მოახერხებდა აელაპარაკებინა, მაშინ მთიული პირდაპირ პასუხს მაინც არ აღირსებდა, ლაპარაკს სხვა საგანზედ გადაიტანდა, თითქოს ეშინოდა ამ გრძნობის სხვასთან გაზიარებისა.

მათია ჯერ კიდევ დაფიქრებული იდგა, როდესაც ერთი კაცი გამოჩნდა მოპირდაპირე მთის წვერზედ და ხტუნა-ხტუნაობით დაეშვა თავქვე. როგორც მომავალს ეტყობოდა, ისიც მთიული მწყემსი უნდა ყოფილიყო. იმას, უეჭველია, მათია შეემჩნია და პირდაპირ იმისაკენ წამოსულა.

როდესაც უცნობი იმ ადგილს მოახლოვდა, სადაც მათია იყო, გაშტერდა და გაკვირვებით დაუწყო ყურება მწყემსსა და იმისაგან დაშორებულს ცხვარს. ცხვარი, დაფანტული, ტყეში შესულიყო და პატრონი კი დაფიქრებული თაკისათვის იდგა. მწყემსის ამგვარმა უყურადღებობამ ახლადმოსული იქამდინ გააჯავრა, რომ გულმა ვეღარ მოუთმინა და შესძახა:

— მათიაუ! ჰა, მათიაუ!

მათია შეკრთა, ჩამოისო პირზედ ხელი და მიიხედ-მოიხედა.

— რაი მოგსვლია, მათიაუ!.. ცხორი დაიღუპა! აგერ ტყეში შესულა.

— რაი უყო, — ანგარიშმიუცემლად წარმოსთქვა იმან. უცნობი მიუახლოვდა მათიას და შეტევით უთხრა:

— უგონოთ თუ არა ხარ? ცხორი გაგპარვია-მეთქი.

— აბა, რაი ცხორი? — ერთბაშად შეკრთა მათია და დაფაცურდა. — საით წავიდა, — წამოიძახა იმან და, რა თვალი შეჰკრა ტყეში შემავალს ცხვარსა, მაშინვე იმათკენ გაიქცა.

ახალმოსული მწყემსი გაშტერებული დარჩა, შენდეგ ერთბაშად წამოიძახა:

— თუ გაგიჟდა! — და უკან გამოუდგა, რათა ეშველა მათიასთვის ტყიდგან ცხვრების გამორეკა.

როდესაც ორნივე გამოვიდნენ და ცხვრებიც გამოიყვანეს ტყიდგან, მხოლოდ მაშინ იცნო მათიამ ახლადმოსული, რომელიც იმათი მწყემსი იყო და ხარნაულებისას გაეგზავნათ.

— მოხვედ მშვიდობით, ივანე! — მიესალმა მათია.

— მშვიდობა მოგცეს ლომისამა! — იყო პასუხი.

— რასა იქს ელგუჯაი?

— კარგადაა.

— ექიმი დააყენეს?

— ეგეთი ექიმი დააყენეს, ლომისის მადლმა, რომ თემობაში ბადალი არა ჰყავს!

— რას ამბობს, ჩქარა მორჩებაო?

— ორ-სამ კვირაზედ ფეხზედ წამოვაყენებო.

— ღმერთმა ქნას, გისმინოს ლომისამ! ჩემთან ხომ არა დაგაბარა-რა? — ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მათიამ.

— აბა შენთანაც რო არა დაებარებინა-რა, მაშ ვისთანღა დამაბარებდა?.. დღე ერთია და შენი მოგონება ათასი... უთხარი მათიასაო, რომ ჩქარა შემატყობინოს თავისი ამბავიო... მნახოსო.

— ვნახამ, ვნახამ, — რაღაცა მწუხარებით წარმოსთქვა მათიამ.

— შენი ძმობის იმედი მაქვს, რომ რაიც სიტყვა გითხარ, ისე აასრულებო.

— ჰაი, ჰაი, რომ ავასრულებ! მაშ არ ავასრულებ? იმის სიტყვა გაუტეხელი ბევედია ჩემთვის, — რაღაცა გაშმაგებით წარმოსთქვა მათიამ და შემდეგ დაუმატა: — შენ ამ ცხორს მიჰხედე, დაღალული იქნები, კიდეც დაისვენებ და ცხორსაც უპატრონებ; მე კი სხვაგან საქმე მაქვს და იქ წავალ. ჯალაბობაში თუ მიკითხეს, უთხარ: მატყლის ვაჭრები მოვიდნენ-თქო და იმათ გაჰყვა ქვეშესა-თქო.

— აგრე, შენი კვნესა-მე.

— ცხორი წყალზედ ჩააბრუნე, იქ უფრო გრილია, რიყეზედ დეეყრება.

ამ სიტყვების შემდეგ ჩოხის კალთები ჩაიკეცა ქამარში, გადაიგდო თოფი მხარზედ და გასწია ქვეშეთისაკენ.

ის მიდიოდა ჩქარა, გაქანებული, მაგრამ ჩქარის მისვლის სურვილი თითქოს გზას უგრძელებდა და მოუთმენლად წამოიძახებდა: „აღარ გათავდა ეს ბაითალმანი!“ მზე რომ გადაიწვერა, იმან მიაღწივა ქვეშეთს და, რადგანაც ცოტა ადრე იყო და არ უნდოდა ვისმე შეჰხვედროდა, ამისათვის დაიმალა იქვე ტყეში და გულის ძგერით მოელოდა იმ წუთს, როდესაც სანატრელს მზაღოს დაინახავდა.

თუმცა ერთი რამ აშინებდა მათიას: და ეს ის იყო, რომ სანახავად დანიშნული დღე შაბათი იყო და ის კი მოსულიყო პარასკევს. რასაკვირველია, ეს შიში მიემატა იმის მოუთმენელს მოლოდინს და სატანჯველი ერთი-ორად გაუცხარდა.

— რომ არ მოვიდეს, მთელი ღამე აქ უნდა გავშეშდე! — წამოიძახებდა თავისთვის და მერე ისევ დაუმატებდა: — ლომისა მოწყალეა, ის ჩააგონებს და გამოვა.

გაიარა საათმა, ორმა, მაგრამ თითქოს განგებ, არავინ სჩანდა. ყოველ წუთს გავლაზედ იმას მოთმინება ეკარგებოდა და მომეტებულად იჩენდა შეყვარებული კაცის ნიშნებს.

ბოლოს ეს იმედიც დაჰკარგა და გაემზადა პირდაპირ სვიმონის სახლში წასულიყო და მზაღო ენახა, თუმცა აშკარად ხედავდა გარს შემორტყმულ დარაჯებს, რომელთაც ყოველ ღამე უყენებდნენ ნაჩალნიკის სადგურს.

ის იყო ფეხი გადადგა იქ მისასვლელად, როდესაც დაინახა იმისკენ მომავალი ორი ქალი, რომელთაც დააშლევინეს მოუფიქრებელი გარდაწყვეტილების აღსრულება. იმათ დანახვამ მათიას სული გააკმენდინა და გულისძგერა შეუყენა. ის მოეფარა ხეს და ცოტა ხანს ძგერისაგან შეყენებულმა გულმა ხელახლად დაუწყო მოუთმენლად ძგერა და სულთქმა გაუხშირდა: კანკალმა აიტანა, როგორც ციებით ავადმყოფი, და ეზად იყო გადაჭრილიყო, მოეხვია ძლიერი ხელები მზაღოსათვის და დაეკოცნა იმ გაშმაგებულის, თავდამავიწყებელის გრძნობით, რომლის გადმოცემაც სიტყვით არ შეიძლება.

ქალები, რომელშიაც მზაღოს და იმის მეგობარს ჯაჯალას იცნობდით, მივიდნენ ხესთან და ცოტა ხანს შესდგნენ.

— აი, ზედ ამ ალაგზედ, — დაიწყო მზაღომ, — ზედ ამ ალაგზედ პირველად გაახარა ჩემი გული მათიას სიტყვებმა. პირველად გავიგე სიმართლით ელგუჯას ამბავი.

ამ სიტყვებმა მათიას დანასავით გაუარეს და მწარედ დაუსერეს გული; მაგრამ ჩქარა დაჰმორჩილდა ბედს.

— იქნება მათიაი გატყუებს, ცხვისგან მოგზავნილი კი არ იყოს! — გააფრთხილა ჯაჯალამ.

— მატყუებს?.. რაისათვის მომატყუებს!.. არა, ის ეგეთი კაცია, რომ კინც ერთხელ ნახავს, მაშინათვე მიენდობა... არა, იმან და-ძმობა მითხრა და მე მრწამს იმისი სიტყვა.

— არც მოსტყუვდები, ლომისის მადლმა! — წამოიძახა მათიამ, რომელმაც სიამოვნებით გაიგონა საყვარელი ქალისაგან ეგეთი ნდობა. — შენ მე მენდობი და, სიცოცხლედ რომ დამიჯდეს, ვერ მოგატყუებ, ვერ გიღალატებ.

ამ სიტყვების შემდეგ ის წყნარა, ჩუმად მივიდა ქალებთან და წყნარადვე უთხრა:

— საღამო მშვიდობისა!

ქალებს ისე შეეშინდათ, რომ გაქცევაც კი დააპირეს, მაგრამ რა მზაღომ თვალი შეჰკრა მათიას და იცნო, სიხარულით გაექანა. ჯაჯალა მოშორდა იმათ.

— მათიაუ, მათიაუ! გენაცვალოს ჩემი თავი, — უთხრა მზაღომ და მოავლო ხელი.

მათიაც კანკალებდა და მღელვარება ნებას არ აძლევდა ხმა ამოეღო. პირველსავე ხელის მოკიდებაზედ იმას ეგონა ცეცხლის მოხვედრა ხელში, რომელიც განუწყვეტლად, რაღაცა ძალით, გადადიოდა მათიას ხელებში, უვლიდა გულში, თავში, მთელს სხეულში, თავბრუს ახვევდა და შეჰყვანდა ბურანში. გონება და აზროვნება ჰღალატობდა... ბოლოს მოჰხვია მკლავები, მიიკრა გულზედ და გაშმაგებულმა რამდენჯერმე აკოცა. შეშინებული მზაღო გამოუსხლტა მათიას ხელიდგან და იქვე გაჩერდა.

— რას სჩადი, არა გრცხვენიან? — ყველრებით უთხრა იმან: — შენ და-ძმობა მითხარ, გენდე და...

— ჰო, ჰო, დაძმობა გითხარ, — წარმოსთქვა მათიამ, რო-

მელიც გონს მოვიდა, — და თუ გიღალატო, სადაც არ მოველოდე, ღმერთმა იქ მკითხოს.

ქალი დამშვიდდა, დარწმუნდა, რომ ეს გატაცება ძმური გრძნობა იყო; კაცმა კი იფიქრა, რომ ამგვარი ბედნიერების ღირსი არ ყოფილა და ღმერთს მზადო სხვის სასიხარულოდ გაუჩენია.

— დღეს არ მოგელოდდი, — უთხრა მზაღომ.

— დღეს მოვიდა კაცი, ელგუჯას ამბავი მომიტანა, მეც ველარ მოვითმინე და დღესვე წამოველ.

— მერე რაი ამბავი მოგივიდა?

— ელგუჯა კარგადაა. მოკითხვა შემოუთვლია. რაი უჭირს ბედნიერსა?.. სამარის პირს რომ ყოფილიყო და შენი სახელი გაეგონა, გაცოცხლდებოდა, გა... ღვთის მადლსა.

— დამირჩა შენი თავი, მათიაუ, რომ შემატყობინე იმის ამბავი... ჩქარა ადგებაო?

— ჩქარა.

— მაშ სულ კარგად იქნება?

— ადგება, ადგება, მაგის ფიქრი ნუ გაქვს!

— მოუკვდა ჩემი თავი! იქნება მომვლელიც არავინა ჰყავს!

— რისთვის არ ეყოლების, დობილებს გაიჩენდა.

— დობილებს? — ჰკითხა მზაღომ და ეჭვმა გაურბინა გულში.

— რაი გაგიკვირდა? — ჰკითხა მათიამ და ჭმუნვით დაუწყო ყურება.

— არა, არ გამკვირვებია... — შერცხვა მზაღოს, — მაგრამ რა ვიცი, რიგზედ მოუელის ვინმე?

— მაშ მე რომ დაჭრილი ვიყო, შენ არ მომივლიდი? — ჰკითხა მათიამ და დაღონებულმა დაუწყო ყურება.

— არ მოგივლიდი? მე დღესვე მზად ვიყავ თავი გადამედო შენთვის, თუ შენ გაჭირვებიდან დაგიხსნიდი, ერთს წამს არ დავფიქრდებოდი, სიცოცხლეს შეგწირავდი.

— ვიცი... მართალს ამბობ.

— მართალს, ეგრემც შემეწევა ღმერთი!

— შენ კეთილი გულისა ხარ, ყველა გაჭირვებულს აგრე მოეჭცეოდი! — წარმოსთქვა ოხვრით მათიამ, რომელსაც უნ-

დოდა, რომ მზაღოს იმისადმი სხვა გრძნობაცა ჰქონოდა და არა მარტო უბრალო კაცთმოყვარეობა.

ამ სიტყვების შემდეგ რამოდენიმე ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც დაარღვია ჯაჯალას მოსვლამ.

— წავიდეთ ჩქარა, შინა გვკითხულობენ, — უთხრა მზაღოს.

— აი, ეს მათიაი ჩემი ძმად-ნაფიცი.

ჯაჯალამ თავი დაუკრა და ხელი ჩამოართვა.

— ღვთის მადლმა, ეგრე მიამა შენი ნახვა, როგორც მზის ამოსვლა, — წყნარის თავის დაკვრით უთხრა ჯაჯალამ.

— შენი ნახვა მეც გამიხარდა, ლომისის მადლმა, — იყო პასუხი.

— ჩემი დობილის ძმობილი ჩემიც ძმობილია! ცხო, რასა იქ თავათ, ჯალაბობით, საქონლით?..

— დამირჩა შენი თავი.

— რაი ამბავი მოგვიტანე ელგუჯაისი?

— მშვიდობა, მშვიდობა.

— ხვალ კიდევ მოხვალ? — ჰკითხა მზაღომ.

— თუნდა სულ აღარ წავალ ამ ტყიდგან, არა, ლომისის მადლმა!

— მაი, მათიაისი! ხვალ ამ დროს გამოდი აქა, ჩოხას მოგცემთ და კვირას წადი ელგუჯასთან, ჩოხაც წაუღე და შენ თავადაც ნახე.

— აგრე.

— შენ უფრო დაწვრილებულს ამბავს შეგვატყობინებ. თავადაც ხომ გინდა ელგუჯას ნახვა?

— ჰაი, ჰაი, რომ მინდა!

—წავიდეთ, წავიდეთ, — ისევ გააწყვეტინა ჯაჯალამ, — თორემ თქვენ ელგუჯაზედ ლაპარაკს ხვალამდინაც ვერ გაათავებთ და შინ კი გვეძახიან.

ამ სიტყვებს შემდეგ ისინი გამოესალმნენ ერთმანერთს და დასდვეს პირობა მეორე დღეს ისევ იმ ალაგას შეყრილიყვნენ.

XVI

გაიარა კარგა ხანმა იმათი გაყრის შემდეგ, მაგრამ მათია ისევ ისე იდგა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

ბოლოს მოიაზრა, რომ ღამეს იქვე ტყეში გაატარებდა, მეორე დღეს მიზეზს რასმე მოიგონებდა, გავიდოდა დუქნებში და ამაობაში საღამოც მოაღწევდა.

— წავალ, ადგილს ამოვირჩევ და მივწვები!—ოხვრით წარმოსთქვა მათიამ და შევიდა ტყეში.

ღამე გარეთ გატარებას დაჩვეული მიწვა ერთს მინდორზედ და დახუჭა თვალები. დაძინებას აპირებდა, მაგრამ ძილი დაჰკარგოდა და ყურებში თითქოს ვიღაცა ჩასჩიჩინებდა: „შენ გინდა დაიძინო, მაგრამ მე არ დაგაძინებ; შენ გინდა ის ქალი გადაივიწყო, მაგრამ მე არ გადაგავიწყებ!“

მათიამ ამოიოხრა და მეორე გვერდზედ გადაბრუნდა.

მთვარე, რომელიც იმ ღამეს თითქოს განგებ ისე გაკაშკაშებულიყო, დედამიწას ნაზ სხივებს ჰფენდა და კაცის გულს ჩღელვარებას, მწუხარებას უღვიძებდა. მათიას გადაბრუნებაზედ მთვარის შუქი პირდაპირ პირისახეზედ მიადგა და ძალათი თვალები გაახელინა. მთიული ამობრუნდა გულაღმა და მთვარეს გატაცებით ყურება დაუწყო. შუქი თანაგრძნობით უალერსებდა იმის გახურებულს გრძნობას და ეუბნებოდა: „შენ უბედური ხარ და მე, მარტო მე თანაგიგრძნობ. მე მომენდე, მე არასოდეს არ გაგცემ, მარტო მე შემიძლიან შენი საიდუმლოს შენახვა“...

ასეთი მოქმედება ჰქონდა მთვარეს მათიაზედ, და იმანაც გაშალა თავისი გული, თავისი გრძნობა და ყველა, ყველაფერი მიანდო შეყვარებულთ საერთო მოწამეს.

მაშ ვისთან უნდა გამოტეხილიყო ვისთვის უნდა ეთქვა, რომ თავისი ძმად-ნაფიცის მიჯნური, რომლისთვისაც და-ძმობა უთქვამს, შეჰყვარებია იქამდის, რომ გონებიდგან შლის, სულს უხუთავს და მოსვენებას არ აძლევს? ამ წკალებით გაატარა მთელი ღამე, მაგრამ მათიას თვალს ძილი არ მიჰკარებია. ღამემ დღისაგან გაყრა დაიწყო და მათია ფეხზედ წამოდგა; მივიდა იქვე ახლოს წყაროსთან და რამდენიმე მუჭა წყლით გაიგრილა გახურებული შუბლი და თვალები, ახსენა ღმერთი და

გასინჯა თოფი, რომელსაც ფალია დანოტიებოდა, და გამოუცვალა. ერთბაშად ტყიდგან მოესმა რაღაცა ფაჩიფუჩი, თითქოს ხმელ წიწკებს ვიღაცა ამტვრევდა. ცოტა ხანმა გაიარა და რამდენიმე ნაბიჯზედ დათვის ღრიალი შემოესმა და ამ ღრიალთან გამოჩნდა უზარმაზარი მხეცი, ორის პატარა ბელით.

ძნელად იქმნება ისეთი საშიში მხეცი, როგორათაც დათვი, როდესაც თავის შვილებით არის და იმათ რომელსამე განსაცდელში ჰხედავს. საზოგადოდ მშიშარა, რომელიც კაცის დანახვაზედ უკუმოუხედავად გამქცევი, თუ დაჭრილი არ არის, — შვილებთან ის მძვინვარე, შეუპოვარი ჰხდება და თავგანწირვით იბრძვის.

აქედგან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა განსაცდელშიაც უნდა ყოფილიყო მათია.

მათიას არამც თუ შეეშინდა ამ მოულოდნელის სტუმრისა, კიდევაც გაუხარდა.

დათვს შეეძლო იმის სიკვდილი, მაგრამ ამჟამად ეს სასიხარულოც კი იყო მათიასათვის.

დათვი გამოვიდა თუ არა, შესდგა და ბღუილით დაღუნა თავი, მიწას დაჰსუნა და ძლიერის ტოტებით თხრა დაუწყო, თითქოს სამარეს უმზადებდა ვისმე.

მათიამ რამდენიმე ნაბიჯი უკან წასდგა, მოეფარა მოჭრილს ხეს, მოამზადა თოფი და ხანჯალი ნახევრამდინ ამოსწია. მათია ისე დაწყნარებით ემზადებოდა, თითქოს იქ არაფერი ამბავი იყო და ამ შემთხვევას კიდეც მოელოდა.

— გინდა შენი ძალა გამოსცადო?.. მობრძანდი, ვნახოთ... — ამ სიტყვებთან ერთად მათიამ ჩახმახი წამოაყენა. დათვმაც თითქოს იგრძნო ბრძოლის მოახლოება და შესდგა უკანა ტოტებზედ. რამდენიმე წუთს ისინი თვალითა ზომავდნენ ერთმანერთს და განრისხებულნი ცეცხლებსა ჰყრიდნენ თვალებიდგან: კაცი და მძვინვარე მხეცი აპირებდნენ შებმას!

რამდენიმე წუთიც და დათვი საზარელის ღრიალით გადმოხტა. იმის გადმოხტომასთან ერთად გავარდა თოფი და დათვი ყირამალა გადატრიალდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა და ეძგერა მათიას. მათიამ თვალის დახამხამების უმალ თოფი გადააგდო იქით, გაიკრა ხანჯალს ხელი და წინ მიაგება. მხეცი და კაცი ორნივ გაგორდნენ დედამიწაზედ, რომელზედაც რამოდე-

ხიმე ხანი იბრძოდნენ და ფართხალობდნენ. მერე ორნივ გაჩუმდნენ და რაოდენსამე ხანს ისე გაუნძრევლად დარჩნენ. ბოლოს კაცი წამოდგა გამარჯვებული, თუმცა არც ის დარჩენ ილიყო უნიშნოდ და მხარში ეგრძნო დათვის კბილების ძალა. სწორედ იმ დროს, როდესაც მხეცს კბილები მოევლო მათიასთვის, ამის ხანჯალსაც შიგ გულში გაევლო მხეცისთვის და მისი ძალა დროზედ დაედუნებინა.

მათია წამოდგა, გაწმინდა ხანჯალი, ჩააგო ქარქაშში და შემდეგ მოიბანა და შეიხვია მსუბუქი ჭრილობა. მივიდა, გასინჯა დათვი, რომელსაც მკერდში მოხვედროდა ტყვია, მაგრამ შიგნით კი ვეღარ შეეტანა და ვერ დაემორჩილებინა.

ამ შემთხვევამ მათია ცოტაოდენი გაართო, მაგრამ, რა წამს ბრძოლას მორჩა და ფათერაკი აიცდინა, იმის აზრები ისევ მზაღოს მიუბრუნდა და გულმა შფოთვა დაუწყო. იმან იფიქრა, რომ დათვს გახდიდა ტყავსა, წაუღებდა სვიმონს საჩუქრად და ამითი შეეძლო არამც თუ ეხლა, არამედ ყოველთვის სვიმონის სახლში თავისუფლად სიარული. როგორც მოიაზრა, ისეც მოიქცა: გახადა ტყავი, წამოიკიდა ზურგზედ და გაიტანა ქვეშეს, სადაც სვიმონი სახლის გვერდით მინდორზე იყო და რამდენიმე მთიულს ელაპარაკებოდა. რაწამს ნაჩალნიკმა ასეთი საჩუქარი დაინახა და გაიგო მათიასაგან დათვის ასე გულადად სიკვდილი, დიდად იამა და ჰკითხა:

— თუ არ დაგგლიჯა?

— არა, შენი კვნესა-მე, ისე ცოტა რამ გამკენწლა.

— იქნება ძალიან ხარ დაჭრილი?

— არა, შენი კვნესა-მე, არა მინდა-რა.

— წაიყვანეთ ესა და კარგი პური აჭამეთ, დაასვენეთ, დაღლილი იქნების, — უბრძანა სვიმონმა იქვე მყოფს იასაულებს, — მაგრამ ვისი გვარისა ხარ?

— მე, შენი კვნესა-მე ნადიბაიძე გახლავარ.

— ვისი შვილი?

— ნინიაისი, შენი კვნესა-მე.

— ნინია მთელს მთიულეთში ვაჟკაცობით და გულადობით განთქმულია... მიხარიან, რომ ღირსეულს ღირსეული შვილი ჰყოლია... წადი, წადი, დაისვენე: დღეიდგან ჩემი სახლი შენთვის ღიაა, როცა გინდოდეს, მოხვიდოდე.

— შენი ჭირი მომცა ლომისამ, — თავის დაკვრით უპასუხა გახარებულმა მათიამ, რომლისათვისაც ყველაზედ მომეტებული წყალობა ეს იყო.

რა მათია შეიყვანეს სასტუმროში, რომელიც სვიმონს ცალკე ჰქონდა გამართული, მაშინათვე ყველანი მიეხვივნენ, დაუწყეს კაცს მილოცვა, დათვის ტყავს კი — სინჯვა, რომლის თავი, კბილები და ტოტები განსაცვიფრებელის სიდიდისა იყვნენ. მზალომაც გაიგო მათიას გამარჯვება და იქ მივიდა, მაგრამ იმის შიშით, რომ მათიასაგან მისი ცნობა სხვებს არ გაეგოთ, მოშორებით და კრძალვით დადგა.

— გაიარე, ქალაუ, ჯაჯალას უთხარ, სტუმარს საჭმელი მოუმზადოს! — უთხრა იმას ერთმა იასაულთაგანმა.

მზალო სიხარულით გაიქცა, რათა მითი მაინც გამოეცხადებინა მათიასათვის თავისი თანაგრძნობა. ჩქარა მოუტანეს სადილი, ჩქარა მოშორდნენ იასაულები და დანარჩენი ხალხი მათიას, რომელიც მარტო მზალოს და ჯაჯალას დარჩა. ისინი წრფელის გულით ულოცავდნენ მთიულს და უხაროდათ მისგან ამგვარი გამარჯვება, რომელმაც ვაჟკაცობის და გულადობის სახელი მისცა თავიანთ მეგობარს მათიას. თუმცა მთიულს უხაროდა ეს მდგომარეობა, მაგრამ სახეზედ სიამოვნების ღიმილი მაინც არ მოსვლია.

— მადლობა ღმერთს, რომ მშვიდობით გადარჩი! — მეხუთედ და მეექვსედ ეუბნებოდა მზალო.

— რაის მაქნისი ვარ, რო გადავრჩი? — უპასუხა დაღონებულმა მათიამ და ჩაფიქრდა.

— ალალია შენი დედის ძუძუ! — უთხრა ჯაჯალამ. — ღმერთსამც შეურგია შენთვის! — მემრე მიუბრუნდა დათვს: — ააუ... პირი რამოდენად დაუღია, — გაიკვირვა იმან.

— რომ მოვეკალ, იქნება უკეთესი ყოფილიყო, — ისევ იმ გულდათუთქვით წარმოსთქვა მათიამ.

— რაისათვის, რაისათვის? — შეტევით მისწვდნენ ქალები.

— ისე! — მხრების აწევით, ბედშავად უპასუხა იმან და ჩაღუნა თავი. ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ მზალომ:

— ჩოხას „ბატარა“ სირმა-ღა აკლია, მზის ჩასვლამდინ გავათავებთ.

— თქვენ იცით.

— მაშ ხვალ წახვალ?

— ჰაი, ჰაი, რო წავალ! შენის გულისთვის იქ კი არა, ლომისის მადლმა, ჯოჯოხეთშიაც კი ჩავალ.

— რაია, ბეჩა! შენ სულ შენი ელგუჯაი გაგონდება!.. — შეეხუმრა ჯაჯალა, — პური მაინც შეაჭამე.

ამ სიტყვებზედ მათიამ მადლიერის თვალით შეხედა.

— რაი ხარ, ღვთის მადლმა! — გაწითლებით და მორცხობით უთხრა მზაღომ.

— მაშ რაია, სულ ელგუჯა და ელგუჯა! ბატარა დაასვენე.

— არა მინდა-რა, შენი კვნესა-მე! თუ კი თქვენ როგორმე გაგახარებთ, ეგ ჩემთვისაც სიხარულია.

სადილი გაათავეს, მათია დაიბარა სვიმონმა, რომელსაც ძალიან მოეწონა და იასაულად უნდოდა დაენიშნა; ქალები კი წავიდნენ და გულმხურვალედ, ფაცა-ფუცით მოეკიდნენ საქმეს.

საღამოზედ ჩოხა მზად იყო და მათიამ წაიღო ელგუჯასთან.

იქნებოდა გლეხების ვახშმობა, როდესაც მათიას გამოუჩნდა ხარანაულების სახლი და მოესმა ძაღლების ყეფა. იმ დროს ის თავის განუშორებელს ფიქრში იყო და ძაღლების ხმაურობამ შეაკრთო. მთიული შედგა და წამოიძახა:

— რა პირით უნდა შევხედო ელგუჯას?.. — და მერე დაუმატა: — რაი ჩემი ბრალია, მიყვარს და რაი უნდა ვქნა!..

იმასა სტანჯავდა გრძნობა, რომელიც ცეცხლსავით უვლიდა გულში და რომლის მოშორებაც უნდოდა, მაგრამ ძალა აღარ სწვდებოდა. ყოველი იმის სხეული, ყოველი ასო, ყოველი ნიჭი მზაღოს შეეპყრო, დაემორჩილებინა და თავის დახსნის შეცდა მხოლოდ მომეტებული წვალება-ღა იყო. ერთი აზრი-ღა უმაგრებდა გულს და ეს აზრი იყო ძმად ნაფიცის წინაშე მოვალეობა, მაგრამ, ვინ იცის, დიდხანს შეიძლებდა ამით ბრძოლას?

მათია მივიდა ხარანაულების სახლთან და სახლის პატრონს შეუძახა. ძაღლები გადმოესივნენ, მაგრამ ყმაწვილმა თუშმა, რომელიც გადმოეშველა, მოაშორა და შესძახა:

— გზა მშვიდობისა, მათიაუ!

— მშვიდობა მოგცეს უფალმა!

ისინი შევიდნენ იმ საწოლში, რომელიც ელგუჯასათვის დაეთმოთ. წარმოიდგინეთ უკანასკნელის სიხარული, როდესაც მათია დაინახა. იმან აღარ იცოდა სიხარულით რა უნდა ექნა და როგორ მოჰქცეოდა; არ იცოდა საიდგან დაეწყო ლაპარაკი ან როგორ მისალმებოდა.

მათიაც სწორედ ამავე მსზგავს მდგომარეობაში იყო, თუმცა იმათი მღელვარება სხვადასხვა მოპირდაპირე საბუთისაგან წარმოსდგებოდა.

ათასჯერ ერთსა და იმავე საგანზედ იწყებდნენ ლაპარაკს და ყოველთვის გაუთავებელი რჩებოდათ.

ელგუჯას ნაწრთობს და გამოცდილს, გამაგრებულს აგებულებას ადვილად აეტანა თავისი ჭრილობა და ახლა ზოგიერთს ალაგას იარები არ შეჰკვროდა, თორემ სხვაფრივ სრულებით კარგად იყო და თავისუფლად სიარული შეეძლო.

პირველი მისალმების შემდეგ სტუმრებს ვახშამი მოუტანეს და უფროსი ხარანაულიც იქ შემოვიდა. რა ვახშამზედ დასხდნენ, ლაპარაკი გადავიდა თემის ყრილობაზედ და იმათ გადაწყვეტილებაზედ, რომელმაც ელგუჯა სრულიად გააღარიბა და ულუკმოდ დააგდო.

— ელგუჯაუ!.. — დაიწყო ხარანაულმა: — ღმერთს ლუკმა მოუცია ჩემთვის, ღვთის მოწყალება არა მაკლია-რა, ცხორონიცა მყავს... დასახლდი აქ, დადექ ცხორში და დაგიზიარებ.

— დამირჩა შენი თავი! ღმერთიც იმად გაძლევს საცხოვრებელს, რომ ეგეთი ხარ.

— მართალის გულით გეუბნები, აგრემც ხელს მომიმართავს ლაშარის ჯვარი!

— არა, შენაი ჭირაიმე, მე ერთს უბედურს გზას გამოვკიდებივარ და დეე უბედურად გავიარო!

— რაი გინდა ქნა, თემის გარდაწყვეტილებას ხომ არ შეებმი?

— თემის წინააღმდეგობა საით იქნების?.. თემის სიტყვა ღვთის ბრძანებაა, კაცი ვერ გადავა იმას.

— ვაჟკაცს ვაჟკაცური სიტყვა ექნების! — მოუწონა ხარანაულმა.

— მაშ რასა იქ?

— რაი ვიცი! დედამიწა დიდია და ცა მაღალი, ყველას დაიტევს.

— მაი, აგრე ნუ, ელგუჯავ! — ჩაურია სიტყვა მათიამ, — ხარანაულნი შეძლებული გვარია, დადექი მაგათას, მოკეთდი, დამშვიდდი და შემდეგ რასაც ღმერთი გვაგონებს, ისე მოვიქცეთ.

— ეგრე ჰქენ, ეგრე, ელგუჯაუ! — დაუმატა ხარანაულმა, — აქ დაგაქორწინებ, თითონ მე მოგგვრი ქალსა!.. ლაშარის ჯვრის მადლმა, ვისაც შენ დამისახელებ, იმას მოგგვრი. აი დედიჩემის ღმერთსა! ქალს როგორ ვინმე დაგვიჭერს! ჩემი ბალღები შენთვის სულ გასწყდებიან!

— ამას ამორჩეულიცა ჰყავს, — მოაგონა მათიამ: — იმას ვეღარ უღალატებს.

— მაშ ის მოუყვანოთ! — წამოიძახა ხარანაულმა მხიარულად, ჩაიტეხა ქუდი და დაუმატა: — თითონ მე წამოგყვებით მაყარში... ყაბულს არა ხარ?

ბევრი უარის შემდეგ ელგუჯა დაჰყაბულდა, დადგა ხარანაულებისას, რომელთაც მათიას დასწრებით ოთხმოცი ცხვარი დაუზიარეს.

მათიამ, ელგუჯამ და კიდევ რამდენიმე ყმაწვილმა ბიჭებმა პირობა დასდვეს, რომ რაწამს ელგუჯა ცოტა უკეთ შეიქმნებოდა, მზაღოს მოიტაცებდნენ.

XV

მათია ჩამოვიდა შინა და მზიურ-ქვეშესკენ გაემართა, რადგან ელგუჯას ამბით მზაღო უნდოდა გაეხარებინა. მთიული პირველში თითონაც ხარობდა ქალის ამგვარად გახარებას, მაგრამ რამდენადაც ქვეშეს უახლოვდებოდა, იმდენად გული ელეოდა. იყო ისეთი წუთიც, როდესაც მათია სრულებით გამობრუნებასა და გადაკარგვას აპირებდა იმ ადგილებიდგან, სადაც ასეთი სატანჯველი ასტეხოდა.

— სიტყვა?.. ფიცი?.. — იტყოდა გამწარებული მთიული და გააგრძელებდა გზას.

ამ ხანში მზაღო და ჯაჯალაც მათიაზედ და ელგუჯაზედ

ლაპარაკში იყვნენ. ისინი სხვა გოგოებთან ერთად წასულიყვნენ მახლობელს ჭალაში თხილისა და მარწყვის მოსაკრეფად. ჭალაში ყველანი ჯგუფ-ჯგუფად დაიყვნენ და ისე დაიფანტნენ. შუადღემ მოაღწივა და ჩამოცხა. ქალები მივიდნენ არაგვის პირთან, ჩრდილში დასხდნენ.

ქალებს თითქოს მოსწყენოდათ ერთმანერთთან საუბარი და ეხლა გაჩუმებულნი თავთავიანთ ფიქრს ეძლეოდნენ.

— ძალიან გიყვარს ელგუჯაი? — ბოლოს გაწყვიტა სიჩუმე ჯაჯალამ და დაუწყო ყურება მზაღოს.

— ბეჩა, მაგას რაღა კითხვა უნდა? განა შენ კი არ გიყვარს მათიაი?

— რაი უყოთ, რომ მიყვარს?.. ჩემი ძმაა და ძმასავით მიყვარს. ის ყველა ქალს შეუყვარდება, — ოხვრით დაუმატა ჯაჯალამ და გაჩუმდა.

მზაღოს პირისახეზედაც ღიმილი გამოიხატა. გახედა მოსაუბრეს და ერთბაშად წამოიძახა:

— გონჯია მათიაი, გონჯი!

— რაი სთქვი ეგა? — წამოწევით და გაკვირვებით შეხედა ჯაჯალამ.

— გონჯია-მეთქი მათიაი, — იმავე ხმით გაიმეორა მზაღომ, რომელსაც გუნებაში გაურბინა ბავშვურმა სურვილმა — ჯაჯალა გაეჯავრებინა.

— ხუმრობ, — უპასუხა ქალმა და ხეს მიეყუდა.

— კი არ ვხუმრობ, მართალს ვამბობ, იმას ქალი არ მითხოვდება.

— რად არა?

— იმად, რომ გონჯია.

— დიახ, გონჯია!.. შენი ელგუჯაი ემჯობინება, არა? — ვეღარ მოითმინა ჯაჯალამ.

— ჰაი, ჰაი, რომ სჯობს. მათიაი რაი კაცია?

— აგრე რაისთვის ლაპარაკობ, ღვთის მადლსა? — წყენით უპასუხა ჯაჯალამ.

ამაზედ შეჰყვნენ ერთმანერთს და საქმემ იქამდის მიაღწივა, რომ ჯაჯალამ ტირილი დაიწყო. მზაღოს არ უნდოდა მეგობრის წყენა და ამისათვის მოეხვია ჯაჯალას ყელზედ და დაუწყო კოცნა.

— ავაი, ჯაჯალაუ! რას სჩადი?.. მე გეხუმრებოდი, ბეჩა, და შენ კი მართლა ტირილი დაიწყე?.. დაჩუმდი, შენაი ჭირაიმე, დაჩუმდი..: ღვთის მადლმა, ალალ დას არ ეყვარება მათიაი ისე, როგორც მე მიყვარს.

მაგრამ უბრალოდ აჩუმებდა მზაღო ჯაჯალას, რომელსაც ღაპაღუპით გადმოსდიოდა ცრემლები და ამბობდა:

— არავის არ უყვარვარ, ყველას ვეჯავრები, შენც, შენც კი გეჯავრები.

კაცი ვერ იტყვის, როდემდინ გაგრძელდებოდა ქალების საუბარი, თუ იმათ სმენას სხვა დედაკაცების ხმაურობა არ მისწვდომოდათ. ისინი შეყრილიყვნენ და ამხანაგებს შინ წამოსასვლელად ეძახდნენ.

ჯაჯალამ საჩქაროდ მოიწმინდა თვალები, შესდგა რაოდენსამე ხანსა და დაღონებულს მზაღოს ყურება დაუწყო; უკანასკნელმა არ იცოდა, რითი გაესწორებინა თავისი შეცდომა, უნებურად ჯაჯალას წყეინება. ასე იდგნენ კიდევ რაოდენიმე ხანს, თითქოს გაბუტულები არიანო; მერე შეხედეს ერთმანერთს, ორთავ გაიღიმეს და მოეხვივნენ ერთმანერთს, ორთავეს ერთმა და იმავე აზრმა გაუელვა თავში, და ეს აზრი შეეხებოდა სინანულს. ამ დროს კიდევ მოესმათ სხვების ძახილი და სახლისკენ გაიქცნენ გულის კანკალით.

როდესაც ყველანი შეგროვდნენ, ჯაჯალამ დაიწყო სიმღერა, იმას სხვებმა მისცეს ბანი და ასე გასწიეს შინისაკენ. ჯაჯალას ქალმნებში ქვიშა ჩასცვივნოდა და სიარულს უშლიდა. ის დაჯდა გზის პირს მიწაზედ, გაიხადა ქალმნები და ბერტყა დაუწყო. ამაობაში ამხანაგები კარგა გასცილდნენ და მოეფარნენ ცხვირწამოწვდენილს კლდესა. ჯაჯალა ცდილობდა ჩაეცვა ქალმნები და მოსწევოდა თავის ამხანაგებს, მაგრამ, როგორც ყოველთვის არის ხოლმე, როცა კაცს ეჩქარება, უფრო უგვიანდება, ვეღარ ჩაეცვა ქალმანი და ძაბრიგანა მეათედ უსხლტებოდა. შორი-ახლო ტყეში შუბი გამოჩნდა, რომელიც წყნარწყნარად ირხეოდა და გზაზედ გამოვიდა ყაზახი, რომელსაც ჯაჯალას გვერდით უნდა გაევლო. ქალს შეეშინდა, წამოავლო ქალმნებს ხელი, მაგრამ ყაზახმა მხოლოდ შეხედა და ჩუმად გაიარა; ბოლოს შესდგა ცოტა ხანს, მოაბრუნა ცხენი, ჩამოხტა

და დაუფიქრდა. შემდეგ გაქანდა შეშინებულის ჯაჯალასკენ და ხელი გაავლო.

— კარგი, კარგი, მარუშკა, — უთხრა იმან დაღმეჯით, რომელსაც ღიმილი უნდა მოესწავებინა.

— დაგიბრმეს თოლი! გამიშვი, მომეცალე, — გაეშვებინა ქალი და გაემართა წასასვლელად.

— რა გაყვირებს? აი, ფულს მოგცემ, — უთხრა ყაზახმა და წინ გადაუდგა.

ყაზახმა ამოიღო ჯიბიდგან კოპიტიანი, რომლისათვისაც სარკიდგან ანაფხეკი ვერცხლის წყალი წაესვა და ვერცხლისფრად დაეფარა.

— არ მინდა, არა! თქვენგან სიცოცხლეც კი არ მინდა, არამც თუ ფული! მომშორდი.

— რასა ჰკივი?.. აქ არავინ არის და არც არავინ მოგეშველება. აიღე, უყურე, როგორი ვერცხლის მანეთია... მოდი, შენის ნებით მაკოცე, თორემ ინანებ.

ქალს არ ესმოდა რუსული, მაგრამ კარგადა ხედავდა, რომ ამ ყაზახს ჩვეულებრივი უპატიოსნება განეზრახა და ძალდატანება მოეწადინა.

— რაიღა მეშველება დაღუპილს! — წამოიძახა ჯაჯალამ და მეორე მხარეს გატრიალდა გასაქცევად.

საგულის ბოლოები ქარისაგან გაფრიალდა, ყაზახს პირდაპირ ხელში მოხვდა; იმანაც მაგრა მოჰკიდა ხელი და მიიზიდა თავისკენ; ჯაჯალამ დაინახა, რომ ვეღარ გაექცეოდა, გამობრუნდა და დაუწყო უზრდელს თავ-პირში ცემა; გამხეცებულმა ყაზახმა მაგრად მოხვია მკლავები, აიყვანა ხელში და დადორბლილის ტუჩებით დაუწყო ლოშნა. ქალი იბრძოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, მაგრამ რას გახდებოდა კაცთან, რომელსაც გადაეწყვიტა უეჭველად იმისი შეურაცხყოფა. ჯაჯალას ღონე უსუსტდებოდა. ბრძოლაში ყაზახმა სიხარულით გარდააქცია, ქალმა შიშით ცახცახი დაიწყო; სისუსტე დაყვირების ნებასაც კი აღარ აძლევდა და სწორედ იმ დროს, როდესაც იმედი უნდა გარდასწყვეტოდა, ვიღასიც ღონიერი ხელი წამოსწვდა ყაზახს კისერში, გადაატრიალა იქით და ბურთსავით დასცა.

ჯაჯალამ შეხედა და დაინახა მათია, რომელიც თითქოს მ-

წიდგან ამოსულიყო და ასე დროზედ მოესწრო იმისთკის.

— წადი, კარგია! — ბრძახებით შესძახა მათიამ და მიუბრუნდა ყაზახს.

ქალმა წინააღმდეგობა ვეღარ გაბედა და დარცხვენილი შინისკენ გაიქცა.

— აი, შე დაუნდობელო ძაღლო, შენა... ცხო რაი შეგიძლიანთ, თუ არა დიაცთან ბრძოლა! — შესძახა მათიამ და წამოაყენა ყაზახი.

ყაზახი ისევე გამოჭიმული იდგა, მაგრამ რა შეხედა მათიას, განიჭიმა.

— დამნაშავე ვარ, ბატონო, — წამოიძახა შეშინებულმა ყაზახმა.

— დამნაშავე კი არა, ძაღლი ხარ და ძაღლსავით დაუნდოდ იქცევი! აბა დედა შეირთე ცოლად, თუ შენი ძაღლობა არა სცადო.

ყაზახი ისევე გამოჭიმული იდგა, მაგრამ რა შეხედა მათიას, განირისხებულს სახეს და ამოღებულს ხანჯალს, დაეცა მუხლის ჩოქზედ და დაუწყო ხვეწნა:

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ! თქვენო ბრწყინვალებავ! მომიტევეთ... მოიღეთ ღვთიური მოწყალება.

მათია ყურს არ უგდებდა, მიდიოდა ყაზახისკენ განრისხებული, მაგრამ რა შეხედა იმის შიშისაგან დამახინჯებულს სახეს, ზიზღით წამოიძახა:

— ხანჯალს პირუტყვებზედაც ვხმარობ, მაგრამ შენზედ კი არ წავბილწავ, არ გავმურტლავ, ცოდოა.

შემდეგ მივიდა, შეუკრა ხელები, აჰყარა იარაღი, გახადა შალვარი და ისე შესვა ცხენზედ, რომელიც დააყენა გზაზედ და გაუშვა.

ასე ადვილად გადარჩენით გახარებული ყაზახი სიხარულით მიაჭენებდა ქვეშეთისკენ მაშინ, როდესაც მათია ყაზახს ზიზღით უყურებდა და იძახდა:

— სხვა კაცს რომ მოსვლოდა ეგეთი საქმე, მაშინ თავად ეცდებოდა ცხენიდგან მაინც გადმოვარდნილიყო, თავი ქვაზედ გაეხეთქა და აგრე სასირცხვილოდ კი არ გამხდარიყო... ეგ კი, უყურეთ-ღა როგორ მიაჭენებს!.. აჰუ! შეგირცხვათ კაცობა! — ხელის ჩაქნევით წამოიძახა იმან.

ამ დროს ყაზახმა მიაღწივა ერთს ფერდოს, რომელიც მუდამ იშლებოდა და წვრილ-წვრილად ჩამოდიოდა გზაზედ. ერთბაშად რაღამაც იჭექა და მოხეთქილი კლდე წამოვიდა ხრიალით, ამ ხმაზედ ცხენი დაფრთხა და განზედ გახტა; ყაზახმა თავი ველარ დაიჭირა და გადმოეკიდა, უბედურმა უზანგიდან ფეხი ველარ დააბწია და ამან კი ცხენი უფრო დააფრთხო; ათრია პატრონი და უკანა ფეხების ცემით თავი მთლად გაუნაყა და პირისახე შესაზარად დაუგლიჯა.

— რაისიც ღირსი იყო, ლომისამაც ისე მოუმართა ხელი... ძაღლს ძაღლური სიკვდილი მიერგების! — სთქვა იმან და გამობრუნდა. მათიას გულში ამ სურათმა სიბრალულის ნაპერწკალიც კი არ აღძრა. იქამდისინ აბეზარს მოსულიყო, რომ ჩვეულებრივს სიბრალულსაც კი ველარ გრძნობდა.

მათიამ ზიზღით გადაყარა ყაზახის ტანისამოსი და იარაღი, რომელსაც ისე უყურებდა, როგორც უწმინდურს რასმეს, და თავის გზას გაუდგა.

ქვეშეს ის შევიდა თავისუფლად, რადგანაც ეხლა მალვის მიზეზი აღარა ჰქონდა.

მზაღო მოელოდა, რადგანაც ჯაჯალას შეეტყობინებინა მთიულის ნახვა, თავის შემთხვევაზედ კი ყოველისფერი დაემალა.

იმათ დიდხანს ლაპარაკი არ დასცალდათ, რადგანაც მათიას სვიმონმა დაუძახა. მზაღომ გაიგო მხოლოდ, რომ ელგუჯა კარგად იყო, ჩქარა მორჩება და მზაღოს გაიტაცებდნენ, რადგანაც ელგუჯას ურვადის მიცემა ვერ შეეძლო.

მათია შევიდა სვიმონთან, რომელიც სავარძელში იჯდა და რაღაცა ქაღალდებს ჰკითხულობდა.

— საღამო მშვიდობისა! — თავის დაკვრით უთხრა მათიამ სვიმონს.

— ო, მათია!.. გამარჯვება შენი, როგორა ხარ?

— კარგად! შენი კვნესა მომცა ლომისამ!..

— მამაშენს არ დაეკითხე: გაყენებს იასაულად თუ არა?

— რად არა, შენი კვნესა-მე! შენთან ხლების ღირსიც არა ვარ.

— შენ ძალიან მომეწონე და იასაულად კიდეც ჩაგწერე... ცხენით გინდა იყო თუ ქვეითად?

— ჩემთვის რა ბედენაა, შენი კვნესა-მე... როგორც შენ გინდა.

— მაშ კარგი, მე ცხენიანად ჩაგწერ და შენ კი ქვეითი იქნები. თუ ცხენი დაგჭირდა როდისმე, ერთ-ერთს ჩემს ცხენზედ შეჯდები.

— შენ იცი, შენი კვნესა-მე!

— ეხლავე დარჩები თუ შინ წასვლა კიდევ მოგიხდება?

— შინ ჩასვლა მინდა, შენი კვნესა-მე... აქ ახლო სოფელში ვიყავ, საქმე მქონდა და მამაჩემს სიტყვა უნდა ჩავუტანო.

— კარგი...

მათიამ თავი დაუკრა და გაბრუნებას აპირებდა, მაგრამ სვიმონმა ისევ მოაბრუნა:

— ელგუჯა მართლა თქვენსა იწვა?

მათია შეკრთა ამ მოულოდნელს კითხვაზედ, რადგანაც ეგონა, რომ სვიმონი გაუწყრებოდა, მაგრამ თავი ჩქარა შეიმაგრა და ამაყად უთხრა:

— იწვა, შენი კვნესა-მე.

— ძმად ხომ არა ხარ იმასთან გაფიცული?

— ვარ, შენი კვნესა-მე.

სვიმონს იამა, რომ მათიამ ასეთი გულადობა გამოიჩინა; მით უფრო, რომ უკანასკნელმა კარგად იცოდა, რომ ელგუჯა სვიმონის მოსისხლე მტერი იყო და ვინც უნდა გამასპინძლებოდა მას, მთის მებატონეს სასიამოვნოდ არ უნდა დარჩენოდა.

— ეხლა სად-ღა არის?

— არ ვიცი, შენი კვნესა-მე!

— არ იცი? — ჰკითხა სვიმონმა და დაუწყო გამომცდელის თვალებით ყურება.

— არა.

— იცი, რა გითხრა, მათიაუ? მე შენთან ძმად გაფიცვა მინდა.

— ნუ, შენი კვნესა-მე! რაი ღირსი ვარ შენს ძმობას?

— ეგ მე ვიცი... პირდაპირ მითხარ: რატომ არ გინდა ჩემი ძმობა?.. ვაჟკაცი პირდაპირი უნდა იყოს.

მათია გასწორდა და ამაყად შეხედა სვიმონს:

— შენ რაისთვი-ღა არ მეუბნები პირდაპირ?

— მეც პირდაპირ გეტყვი.

— მაშ კარგი... მე შენთან ძმობა იმად არ მინდა, რომ ელგუჯასთან ვარ ნაფიცი და შენ კი ჩემი ძმობილობა იმის დასაღუპად გინდა. ძმადნაფიცს არ ეღალატება, როგორც ლომისასა. ჩემგან ფიცი ვეღარ გატყდების, თუნდა დღესვე ჩამომახრჩო... ეხლა გითხარ ყველა... უთხარ დამიჭირონ, შემკრან, დამხვრიტონ და მე ჩემს სიტყვას არ გადავალ, ფიცს არ ვუღალატებ.

— ნუ ჩქარობ, ვაჟო! — უთხრა სვიმონმა მათიას და წყნარა ამოიღო ნაწილები, რომელიც გულზედ ეკიდა. — ამათ გეფიცები, რომ ღალატი არ გავივლო გულში... არც ეგეთი კაცი ვარ, ღვთის მადლმა, რომ ღალატით ვიცხოვრო. მე ყველაფერი ვიცი — ისიც ვიცი ეხლა ელგუჯა სად არის! იმის გატანჯვა, სიკვდილი არ მინდა, ღმერთი იყოს შენი თავდები.

— მაშ რა გინდა? — გაშტერებით იკითხა მათიამ და დაუწყო ყურება.

— მკითხავ? გინდა შეიტყო, რაი მინდა? კარგი, ყველას გეტყვი: მართებლობა ელგუჯას ხელმწიფის მოღალატედ უყურებს და იმისი ან დაჭერა, ან სიკვდილი განუზრახავსთ; მეც მომივიდა ქაღალდი, რომელშიაც იწერებიან, — ხალხს გამოვუცხადო, რომ ვინც ელგუჯას ცოცხალს დაიჭერს, ორმოცს ვერცხლის მანეთს მისცემენ, და ვინც მოკლავს — ოცდახუთს.

— ვერე? მე ან უნდა მოვკლა, ან ცოცხალი დავიჭირო, არა? — თითქმის დაცინვით წარმოსთქვა მათიამ.

— ბალღო, შენ გული წმინდა გაქვს და სიტყვა წინ გირბის!

— რაი უყო, შენი კვნესა-მე!.. თუ კაცთან მტრობა მექნა, მევე გადავახდევინებ, სხვას შემწეობას არა ვსთხოვ... ფულის გულისთვის ძმას ვერ ვუღალატებ, ვერა, ლომისის მადლმა!

— ვიცი, ვიცი, მათიაუ, და ჩემი გულის პასუხსაც იმისთვის განდობ.

— თუ კი იცი, მაშ რაღადა მცდი, შენი კვნესა-მე?!

— იმად, რომ ელგუჯა უნდა გადავარჩინოთ.

— შენ გინდა გადაარჩინო? — გაკვირვებით წამოიძახა მათიამ, რომელიც სრულებით არია სვიმონის სიტყვებმა.

— გიკვირს?

— ჰაი, ჰაი, რო მიკვირს!

— ელგუჯა მეტად ვაჟკაცია, რომ კაცმა სასიკვდილოდ გამოიმეტოს... ის ჩემი მეზობელია, ჩემთვის სირცხვილია იმის სიკვდილის სურვილი... დაიჯერე, ღმერთი იყოს შენი თავდებიი, მე არ მინდა იმისი სიკვდილი.

— შენ რომ სხვა იყო, არ დაგიჯერებდი, — ცოტა ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა მათიამ, — მაგრამ შენი კი მჯერა... მითხარი, რაი გინდა?

სვიმონს სიამოვნება გამოეხატა პირისახეზედ და ღიმილით უთხრა:

— ყური დამიგდე... მე არ შემიძლიან ეს ქალალდი დავმალო. ქვეყანაში ავი კაცი არ დაილევა... საქვეყნოდ რომ გახდეს ეს ქალალდი, მეშინიან, ფულმა არ დასძლიოს ვინმე და მართლა არ მოჰკლან ელგუჯაი!

— ჩვენში ეგეთი არც ვინ არ გამოვა, — ამაყად უპასუხა მათიამ.

— მეც აგრე მგონია, მაგრამ სიფრთხილეს თავი არ სტკივა... შენ შეჰყარე შენი მეგობრები, რომლებზედაც იმედი გქონდეს, მოიყვანე აქა და იმათ გამოვუცხადებ! ისინი ჯვარს დაუსმენ ამ ქალალდს და ისე დაუბრუნებ ქალაქში, რომ მეც გასამართლებელი საბუთი მქონდეს.

— ვის გაჰგზავნი, შენი კვნესა-მე?

— ქალალდებს... გაიგე?

— გავიგე, შენი კვნესა-მე.

— ეხლაც არ გამეფიცები?

— ეხლა ჩემი თავი, როგორც გინდა, ისე იმსახურე; შენი კვნესა-მე! მათია გაჩვენებს, რომ ის მთიულია და იცის მეგობრობა!

ერთმა კვირამ გაიარა ამ შემთხვევის შემდეგ, როდესაც სვიმონის სახლში მათია და სვიმონი, მოხუცი კაცების დასწრებით, ძმად იფიცებოდნენ.

როგორც სვიმონს უნდოდა ბრძანების ხელის მოწერა, მათიამ სწორედ ისე მოუხერხა და ამის შემდეგ დადგა იასაულად.

XVI

ეს შემთხვევა მათიას პირველში უხაროდა, რადგანაც მზაღოსთან უფრო დაახლოვდებოდა და ყოველთვის იმის ცქერა თავისუფლად შეეძლო. მაგრამ, საუბედუროდ, ისე არ მოუხდა, როგორც ეგონა.

მზაღოს ყოველდღიური შეხვედრა იმას კი არ ამშვიდებდა, უფრო ამღელვარებდა და უდუღებდა სისხლს. საკმარისი იყო იმისთვის ერთი შეხედვა, ერთი დალაპარაკება, ერთი გაღიმება მზაღოსაგან, რომ მათია გაფითრებულიყო და იმ მდგომარეობამდინ მისულიყო, როდესაც ადვილად შეეძლო ყოველი დანაშაულობა მოეხდინა.

ამავე დროს, მზაღოს სასიხარულოდ, ელგუჯას კარგად მყოფობაზედ ხმა მოდიოდა. ჯაჯალა, რომელსაც გაგიჟებით შეჰყვარებოდა მათია, იტანჯებოდა, რადგანაც აშკარად ამჩნევდა მათიასაგან მზაღოს სიყვარულს. ყველაზედ მეტად ამას სტანჯავდა მათიასთან შეყრა და ლაპარაკი, რადგანაც მთიულის სიტყვები მზაღოს ყოველთვის ნაზად და სიყვარულიანად შეეხებოდა ხოლმე. ჯაჯალა იტანჯებოდა და ხანდისხან იქამდისინაც კი მივიდოდა, რომ კინაღამ შესძახებდა: „რაისთვი მტანჯავ, რას მემართლები?“ მათიას არც ამ ქალის დატანჯვა უნდოდა და ვერცა ხედავდა მის ამ სატანჯველს.

გულდანაღველებულს ჯაჯალას ვერ გაებედნა გაჩუმებულიყო, არ ეპასუხნა მათიასთვის, და თუმცა მძიმე, ძალიან მძიმე იყო იმისთვის მხაღოზედ ლაპარაკი, როდესაც გული სულ სხვა საუბარს ითხოვდა, მაინც ასრულებდა მთიულის სურვილს.

ერთს დღეს მათია მეტად დაღონებული იყო, თუმცა განსაკუთრებითი დაღონების მიზეზი არა ჰქონდა რა და ცხოვრების მიმდინარეობა არავითარს ცვლილებას არ წარმოადგენდა. ერთს მშვენიერს საღამოს, როდესაც სვიმონ ფასანაურში წასულიყო იქ დახოცილის ყაზახების საქმის გამოსაძიებლად და დამნაშავეების მოსაძებნად, ქვეშეთში სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო, თითქმის ბუნებაც კი გაჩუმებულიყო, რაღასაც მოელოდა.

მშვენიერი საღამო, ნათელი მთვარე, ნაზი ბუნება განმარ-

ტოებულ ოცნებისთვის იზიდავდა კაცს. მათია გამოვიდა საიასაულოდგან, წყნარა გაიარა მინდორი და არაგვის პირს ჩავიდა. წყალი ჩხრიალით თითქოს უალერსებდა დაძინებულს ბუნებას.

ეს ხმა ამ მყუდროში ისე ტკბილად მოისმოდა, ისე უყვავებდა მათიას, რომ მისი რკინის გული მოალბო და ათასგვარი ფიქრი აღუძრა, ერთიერთმანერთზედ სანატრელი, შეუძლებელი. ის შევიდა ოცნებაში და წარმოიდგინა თავისი თავი ბედნიერად, რომელსაც ალერსით ახარებდა მზალო. იმ წუთში ის დარწმუნებული იყო, რომ ამ ქალს მარტო ის უყვარდა, მარტო იმაზედ ფიქრობდა და ქვეყანაზედ არავისზედ არ გასცვლიდა!.. მთიული ოცნებამ იქამდინაც კი გაიტაცა, რომ საყვარელი ქალი მთელი თავის მშვენიერებით თვალწინ წარმოუდგა. ხელსა ჰკიდებდა ნაზ ტანსა, შეჰყურებდა მშვენიერს ჟუჟუნა თვალებში და პირი ისე ახლოს მიეტანა, რომ თითქმის სუნთქვასაც კი გრძნობდა. მათიას თვალწინ ეხატებოდა გიშრის ფერი თმები, რომელიც ქარს გაეწეწა და წყნარად არხევდა, ხვდებოდა იმის პირისახეს და სასიამოვნო ღუტუნით ნეტარების მღელვარებას აღუძრავდა... მათია ნიავის მსგავსი ჩურჩულით, სავსეს კრძალვით და უმანკოებით, წარმოსთქვამდა ფიცს სამუდამო სიყვარულისა და ერთგულებისას. მათია დარწმუნებული იყო, რომ ეს ყველა არამც თუ ოცნების ნამუშავარი იყო, რომელშიაც გულს ისე დაეჯალდა გონება, რომ თავის სასურველს სურათებს ცოცხალს ჰეშმარიტებად წარმოუდგენდა...

როდესაც მათია ამ ნეტარებაში იყო, ერთმა კაცმა გამოიჩქეფა არაგვი, ამოვიდა გორაზედ და მთიულის წინ გაჩერდა. ახალმოსულმა დაუწყო იმას ყურება და უკვირდა, რომ უკანასკნელი მას არამც თუ არავითარს ყურადღებას არ აქცევდა, თითქოს არც კი ამჩნევდა მის მოსვლას.

— მათიაუ, მათიაუ! — უთხრა იმან და ხელი დააღო მხარზედ.

ამ სიტყვებზედ მათია ისე შეკრთა, რომ ახალ-მოსული შეაშინა.

— ბეჩა! რაი მოგივიდა?! ვეღარ მიცანი?

— ჰა!.. შენა ხარ?.. ჰო, შენა, შენა... — და ამ სიტყვებთან ერთად გა'შკრა ხელები.

ახალგაზრდულს ეგონა, რომ იცნო და გადახვევნას უპირებდა, მაგრამ მათია ისევ ისე შეუნძრევლად იდგა, და მხოლოდ მაშინ მოვიდა გონსა, როდესაც უცნობმა მკლავი დაუჭირა და დაუწყო ნძრევა.

— ვინა ხარ! — ოხვრით გაეშვებინა ისა და უკან მიდგა.

— ბედშაო ჩემო თავო!.. რაი მოგსვლია, ვეღარ მიცანი?

მათიამ შეხედა და დაინახა, რომ იმის წინ ელგუჯა იდგა.

მკითხველს შეუძლიან წარმოიდგინოს, რა სატანჯველიც უნდა ეგრძნო მათიას გულს, როდესაც თავისი მეტოქე დაინახა! სანატრელის მდგომარეობიდამ სწორედ იმ დროს, როდესაც ოცნებას ისე სასიამოვნოდ გაეტაცნა, გამოიყვანა იმ კაცმა, რომელსაც მზაღო ეკუთვნოდა და რომლისთვისაც შეუბმელად, უცდელად უნდა დაეთმო!.. არამც თუ მხოლოდ უნდა დაეთმო, არამედ თითონ უნდა მიეცა შემწეობა, ეშველა იმათ შეერთებისათვის.

გრძნობაგავსებულ მათიას სატანჯველი ნაღველად გადმოედინა, აგრძნობინა თავის მდგომარეობა. მთიულმა თავი ვეღარ შეიმაგრა და თითქმის ქვითინით გადაეხვია ძმად-ნაფიცს, რომელმაც მათიას ქცევა ნახვის სიხარულად მიიღო.

— ელგუჯა, ელგუჯა, შენი კვნესა-მე!..

— კარგი, მათიაუ, ღვთის გულისათვის, გაყუჩდი!.. რაი მოგსვლია, ბედშაო?

— არაფერი, არაფერი! — დარცხვენით წარმოსთქვა იმან და გული შეიმაგრა. — ცხო, როგორ ხარ, საიდამ?

— ვმადლობ უფალსა, კარგადა ვარ...

— ხომ მორჩი, აღარა გტკივა-რა?

— ვმადლობ უფალსა... თავად რაღასა იქ?

— მე რაიღა საკითხავი ვარ! რაი მიჭირს? — მწარის ღიმილით მისცა პასუხი.

— ცხო? მთიულეთს რაი ამბავია?

— არც რა.

— მზაღო როგორაა? რაისთვის არას მეუბნები?..

— მზაღო?.. ჰო, რაი უჭირს ბედნიერსა... კარგადაა, შენ გელის, შენს გონებაშია! — საჩქაროდ დაიწყო მათიამ, რომელ-

საც ამ საგნის შეხება ისე ამღვრევდა. — წავიდეთ! ეხლავ გამოვიყვან!..

ამ სიტყვების შემდეგ ისინი წავიდნენ იმ წიფელთან, რომლის გვერდითაც მათიამ მზაღო პირველად ნახა, ელგუჯა იქ დააგდო და თითონ კი მზაღოს მოსაყვანად წავიდა.

ელგუჯა მოუთმენლად ელოდა ქალის მოსვლას და თითო გავლილი წუთი წლებად ეჩვენებოდა. ერთბაშად გაიშრიალა რალაცამ და ელგუჯას მკლავებში მიესვენა გონებადაკარგული მზაღო.

— შენა ხარ, შენა?! კიდევ მშვიდობით გხედავ?! — გატაცებით ჩასჩურჩულებდა მზაღო.

— დამშვიდდი, ჩემო ყველავ! ნუ გეშინიან, ეხლა აღარ გაგიყრებით... გცივა?.. ეგრე რა გაკანკალებს?

— არა, არ მცივა, არა... — და ამ სიტყვებთან ერთად მაგრა მიეკუნჭებოდა ელგუჯას.

ბოლოს, როგორც იყო, იმათი გონება დონს დაადგა და ელგუჯამ უთხრა:

— მზაღო, მოემზადე, შენს გასატაცებლად ჩამოველ!

— ჩემს გასატაცებლად? — თითქო შეკრთა.

— ჰო, შენს გასატაცებლად. რად შეგეშინდა? — ჰკითხა ელგუჯამ და გაკვირვებით დააცქერდა.

— არა, არა, მე არ შემშინებია... შენთან რისა უნდა მეშინოდეს!..

— მაშ რას ამბობ, რად გაგიკვირდა?

— არ გამკვირვებია... არა, მაგრამ... ვაი თუ კიდევ გამოგვეკიდნენ, კიდევ ვაი-ვაგლახი მოხდეს...

— ჩემო ყველავ!.. — მოხვევნით გააწყვეტინა ელგუჯამ. — სულ ჩემზედა ფიქრობ!

— არა, არა, ეგრე მეყვარები, ნუ გამიტაცებ!..

— ეგ შეუძლებელია.

— ეგ შეუძლებელია?.. — ჩაფიქრდა ქალი და ერთბაშად წამოიძახა: — აგრე უნდა იყოს, აგრე... დამიჯერე, თავი დამანებე... მე უბედური ვარ, ამდენი მსხვერპლიც კმარა...

— ათი იმდენი მსხვერპლიც რომ მოხდეს, თაკს მაინც არ დაგანებებ.

— არ ვღირვარ მაგათა, არა! — წამოიძახა მზაღომ და ტი-

რილით მიეყრდნო ელგუჯას. ის ტიროდა მდუღარედ, თრთოლვით და აღელვებით. აშკარად სჩანდა, რომ რაღაცა მძიმე ლოდი აწვა გულზედ, რომლის გამოთქმაც უნდოდა და ვერ გაებედნა.

ელგუჯა დაღვრემილი, შეწუხებული შეჰყურებდა, თითქოს იმასაც ეგრძნო მზაღოს მდგომარეობა.

„იქნება აღარ ვუყვარვარ?..“ — თავში გაუელვა ელგუჯას.

როდესაც მზაღომ გული მოიჯერა ტირილით, ელგუჯამ წყნარა მოიშორა გულიდგან, დაუჭირა პირისახე, ააწევინა თავი და პირდაპირ თვალებში შეხედა.

— მზაღო! შენ რაღაცა გაქვს სათქმელი, რატომ პირდაპირ არ მეუბნები? ხვალ თუ ზეგ ჩემი ცოლი იქნები, განა ცოლს ქმართან დამალული უნდა ჰქონდეს რამე?

მზაღოს ტანში ჟრჟოლამ გაურბინა ამ სიტყვებზედ; იმან დახარა თავი და რაღაცა წაიბუტბუტა.

— ვაჟკაცს ჭირში გამაგრება უნდა, მითხარ.

მზაღო ებრძოდა თავის გრძნობას, მერმე ერთბაშად დაეცა მუხლებზედ და მწუხარებით წამოიძახა:

— დამნაშავე ვარ... თავი უნდა მომეკლა, მაგრამ შენი ნახვის სურვილმა შემიშალა ხელი...

ამ სიტყვებზედ ელგუჯა ხანჯალს მისწვდა, მაგრამ თავი შეიკავა, ისევ დაიკრიფა გულხელი და ისე შეჰმუხვნილი უყურებდა.

— მითხარ, რაი ამბავია?

მზაღო მოუყვა თავის გაწბილების ამბავს, რომელზედაც ლაპარაკი მთელ სიცოცხლედ უღირდა.

— ეხლაც არ დარწმუნდები, რომ შენი ღირსი აღარა ვარ?

— ბარემ, ბარემ მინდოდა აგრე მეთქვა, მაგრამ რაი ვქნა, რომ მიყვარხარ ჩემ თავზედ მეტად!.. მიყვარხარ... — ელგუჯამ ძალზედ მიიკრა გულზედ მზაღო და დაუწყო გაშმაგებით კოცნა.

რამდენიმე დღის შემდეგ ხარანაულების მთაზედ შედიოდა მეფიონი, რომელთა შორის ელგუჯას თავის საცოლე მზაღოც იცნობდით. მაყრებმა შესძახეს:

მოვდივართ, მოგვიხარიან,
მოგვყავს დედალი ხოხობი!

XVII

ილგუჯა და მზაღო დასახლდნენ ხარანაულებისას, სადაც მტერი ისე ადვილად ვერ მიუდგებოდა და, მაშასადამე, იმათი ცხოვრება უნდა წასულიყო ტკბილად და მშვიდობიანად. ელგუჯა დადიოდა ცხვარში და თავის მუყაითობით და სიფრთხილით ყველას აკვირვებდა. მზაღოს თითქმის ყოველდღე აჰქონდა იმასთან მთაში ჯერი. ისინი დასხდებოდნენ ხოლმე რომელიმე მთის ფერდობზედ ან სერზედ, მაღლა, მაღლა, ისე მაღლა, რომ ბევრჯერ ნისლი და ღრუბელი იმათ ქვეით მოიქცეოდა; მაშინ ამაყად შეეძლოთ ეთქვათ, რომ ღრუბელს ფეხითა ვთელავთო! აქ იალაღზედ ხუმრობდნენ, ხარობდნენ, იცინოდნენ.

- ასე გადიოდა დღეები, კვირეები...

ამ დროს ორი ამათი მეგობარი ქვეშეთში ერთ რიგის ცეცხლით იწოდნენ, თუმცა ამ ცეცხლის აღმგზნებელი სრულიად სხვადასხვა პირი იყო.

ესენი გახლდნენ მათია და ჯაჯალა. მათია, რომელსაც არ ავიწყდებოდა მზაღო, და ჯაჯალა, რომელიც თავგანწირულებამდის მიეყვანა მათიას სიყვარულს.

მზაღოს მოტაცებისთვის სვიმონს განსაკუთრებით ყურადღება არ მიუქცევია და თითონ მდევარი, რომელიც გამოუყენა, ხალხის თვალად იყო გაგზავნილი და ამისთვის მდევრის მოთავედ მათია დაენიშნა. ეჭვი არ იყო, რომ მათია ელგუჯას უეჭველად შემწეობას მისცემდა და არასოდეს არ გამოეკიდებოდა, როგორც მოსისხლე. ყველა იცოდა სვიმონმა და სწორედ ამისათვის დანიშნა მათია მდევრის მოთავედ.

სწორედ ამავე ხანებში მთიულთა შორის მოვიდა ამბავი საქართველოს რუსეთთან შეერთებისა. ეს ხმა სწრაფად გავარდა ხალხში და მთელი საქართველო შეარყია.

რასაკვირველია, რომ მთაც არ დარჩენილა უგრძნობლად და უმოქმედოდ ამ საერთო მოძრაობის დროს და აქაც ისეთი მთრთოლვარე დღეები დადგა, როგორც დანარჩენს საქართველოში. მათიასთვის ეს საგანი კიდევ იმითი იყო სხვებზე გადაჭარბებით საწყენი, რომ ყველაზედ ხშირად შეხვდებოდა ხოლმე იმ დროის რუსი ჩინოვნიკების უთავბოლო და უსამართლო

მოქმედებას. ამას ემატებოდა კიდევ ყაზახების და სალდათების ცხენცური ქცევა და, რასაკვირველია, დაშინებულებს არ უნდოდათ ეს შეერთება.

ამ მდგომარეობით ისარგებლეს ალექსანდრე ბატონიშვილის მომხრეთა და დაინახეს საუმჯობესო წუთად ხალხის ასაჯანყებლად. ისინი ყველა შესაძლო და შეუძლებელს ხმას ავრცელებდნენ რუსების შესახებ და უფრო აღელვებდნენ ისეც გულამღვრეულს მთიულთა, მოხევეთა და ფშავ-ხევსურთ..

ჯალაბაურები მთიულეთის ერთი განთქმული გვართაგანი იყო და მოხუცს აბდია ჯალაბაურს დიდი პატივი და სახელი ჰქონდა დამსახურებული. ის საქმე, რომელშიაც ეს მოხუცი მიიღებდა მონაწილეობას, უეჭველად თავგამობმული შეიქმნებოდა და ამისთვის ყველა მთიული დაუფიქრებლად აბდიას სრულის ნდობით მიემხრობოდა ხოლმე.

ერთს დღეს აბდიას კალოზედ შეყრილიყო რამდენიმე მთიული და რაღაცას ლაპარაკობდნენ. ყველას პირი-სახეზედ ეტყობოდა ჩაფიქრება, ჭმუნვარება; ყველას ეტყობოდა, რომ ყრილობის მიზეზი მეტად აღელვებდა: არც ჩვეულებრივი სიცილი და ხუმრობა, არც სიმღერა, არც ოხუნჯობა! არაყიც კი, ის უეჭველი საჭიროება ყოველგვარი ყრილობისა, არსადა სჩანდა. ყმაწვილ მთიულებს აერჩიათ უფროსების მოშორებით ალაგი და იქ შეგროვებულიყვნენ; ყკელა ამათგანს ხელში ეჭირა რომელიმე იარაღი, რომელსაც ისე უვლიდნენ, სწმენდავდნენ და მართავდნენ, როგორც „გულის საყორელს“.

აშკარად სჩანდა, რომ ეს კრება არ იყო ჩვეულებრივი. უეჭველია, განსაკუთრებით რაღაცა ამბავი ხდებოდა, და ეს ამბავი უნდა შეხებოდა საერთოდ ყველას, რადგანაც იქ ხედავდით გაოფლიანებულს, დაღალულს ცხენებს, რომელთაც თავისი პატრონები შორის ადგილიდან უნდა მოეყვანათ.

ამ კრებას წამდაუწუმ ემატებოდნენ ახალ-ახალი მოსულები, რომელთაც იქ მყოფთაგანი რამდენიმე კაცი ჩუმად წინ მიეგებებოდა, ჩუმად მიესალმებოდა და ჩუმადვე მიაცილებდა მოხუცს მოხუცებთან და ყმაწვილს — ყმაწვილებთან.

ბოლოს მოისმა სიმღერის ხმა და გამოჩნდნენ დეკანოზები დროშებით, რომელთაც სამასამდინ შეიარაღებული, ქუდმოხდილი კაცი სიმღერით მოსდევდნენ. ეს ხმა იყო რაღაცა დიდე-

ბული, ვაჟკაცური, მაგრამ შემაწუხებელი, რომელიც მომღერლებს შიგ გულის საძირკვლიდგან სწყდებოდა და მაღალის ბანით მედგრად გადაქცეული ჰაერში გრგვინვასაკით გაივლიდა.

კალოზედ მყოფი ხალხი წამოცვივდა ფეხზედ, მოიხადა ქუდები და პირჯვრისწერით წინ მიეგება.

ყველანი მოწიწებით მიდიოდნენ, ყველანი გულმხურვალედ უყრიდნენ მუხლს იმ წმინდა დროშებსა, რომელნიც არაერთხელ წინ გასძღოლოდნენ ბრძოლის ველზედ და არაერთხელ იქიდგან გამარჯვებულნი და სახელოვანნი დაებრუნებინათ.

დროშები მოასვენეს კალოზედ და დაასვენეს ნიშთან, რომელიც იქვე კალოს ნაპირზედ უბრალო ჭაჭებისაგან იყო აშენებული. დეკანოზები მოუდგნენ გვერდს და დანარჩენი ხალხი კი გაიშალა მინდორზედ, რომელიც იქვე, კალოს ქვეით, გადაშლილიყო. ყველანი გაჩუმდნენ და გაინაბნენ, ყველამ ხმა გაკმინდა, სული განაბა. ცოტა ხანმა გაიარა სიჩუმეში და მოისმა ზარების ჟღრიალი.

— ამწყალობნებენ, ამწყალობნებენ! — შეინძრა ხალხი. ყველამ მიაქცია თვალები დეკანოზებს და ქუდებ-მოხდილებმა დაიჩოქეს.

დეკანოზებმა დაიწყეს ხალხის დამწყალობნება, რომელშიაც ხვეწნას გამოსთქვამდნენ ღმერთთან და წმინდანებთან, რომ იმათ არ დაეგდოთ თავის ხალხი და დახმარებოდნენ იმათ გაჭირვებაში, დაეხსნათ მტრის ხელიდგან და მფარველად ყოლოდათ უბედურებაში. ეხვეწებოდნენ, რომ, როგორც მრავალჯერ, ეხლაც გამოეჩინათ თავისი სასწაული და ქართველი ხალხისათვის თვალები აეხილებინა...

ამის შემდეგ ისინი შეუდგნენ იმათ „შეკვრასა“, ვინც მათ შორის მოღალატე გამოვიდოდა და ვინც ამ მოღალატეს ან დაიფარავდა, ან დაინდობდა და ან რომელიმე შემწეობას აღმოუჩენდა.

ყოველ ამ სიტყვაში სჩანდა ხალხის საერთო სურვილი, საერთო გულის ძგერა, გულის ნაღველი, რომელიც შეგუბებულიყო დიდი ხნის სატანჯველით, და დღეს კი ვეღარაფერს დაემაგრებინა, გადმოეხეთქა გარს შემოზღუდული სიმაგრე და წარმოუდგენის სისწრაფით მთელს ხალხს მიეღო...

ყოველ დალოცვის შემდეგ აღელვებულ ხალხში გრგვინვასავით გაივლიდა:

— ამინ შენს მადლსა!

და ეს საერთო ფიცი, საერთო უბედურებისაგან გამოხმობილი ხმა, თითქოს ერთიორად ამხნევებდა, აგულადებდა და ამაგრებდა იქ მყოფებს.

ლოცვა და ფიცი რო გათავდა, აბდია წამოდგა და დეკანოზებთან ავიდა. იმასთან წავიდა რამდენიმე მოხუცი; დანარჩენი ხალხი კი გაიყარა თავთავის საზოგადოებად და თითო საზოგადოებიდგან რიგრიგად გამოვიდოდა წინამძღოლი და მედროშე, მივიდოდა დროშასთან, რომელიც აბდიას ეჭირა ხოლმე, მოუყრიდა მუხლსა, ემთხვეოდა და სახალხო სიწმინდეს მოწიწებით ჩაიბარებდა, შემდეგ ჩამოვიდოდა და თავის საზოგადოებას უერთდებოდა; ხალხი მიეშურებოდა დროშას მთხვეოდა, გალობით და პატივით მიელო.

აშკარადა სჩანდა, რომ ამ ხალხს დიდი რწმუნება ჰქონდა თავიანთ დროშებზედ და იმათი პატივისცემა იქამდისინ მიაღწევდა, რომ ადვილად არც დაჰკარგავდნენ და არც დაანებებდნენ ვისმე; ისინი დიდიდგან პატარამდინ გაწყდებოდნენ და ხალხის ეროვნობის დამაკავშირებელს ნიშანს არ დაჰკარგავდნენ.

როდესაც ეს ყველა გათავდა, — მედროშეთ ჩაიბარეს თავიანთი დროშები და სხვადასხვა თანამდებობის პირნი იქმნენ ამორჩეულნი, — ხალხი თითქოს დაწყნარდა.

ამ წუთიდგან მეთაურები უბრალო ხალხისაგან ერთბაშად ისეთს მბრძანებლებად გადაიქცნენ, რომელთა სიტყვასაც ყოველი უარის უთქმელად ასრულებდა, და ამორჩეულებიცა გრძნობდნენ თავიანთ ძალას და მნიშვნელობას.

აბდია გავიდა ცალკე და დაიძახა:

— მეთაურნი აქ გამოვიდნენ!

იმისი სიტყვები ხალხში რამდენჯერმე გამეორდა და მათგან თითო-თითოდ, ამაყად გამოდიოდნენ მეთაურნი და მიდიოდნენ აბდიასთან.

როდესაც ყველანი შეგროვდნენ, ისინი დასხდნენ განსაკუთრებით მარტონი და დაიწყეს სჯა თავიანთ მდგომარეობის შესახებ.

— ხალხო! გაიგეთ, რომ რუსის ხელმწიფესთან გაგზავნილები დაბრუნდნენ?

— გავიგეთ, შენი კვნესა-მე, გავიგეთ!

— მეფე გივარგის სიკვდილიც გაიგეთ?

— ეგეც გავიგეთ, შენი კვნესა-მე!

— გაიგეთ, შუაკაცებს რაიც პასუხი მოუტანიათ?

— გავიგეთ, მაგრამ კარგად ვერ ჩაგვისმენია.

— აი, ქალაქიდგან მოსული სტუმარი თითონ გეტყვისთ! — შეჭმუხვნილის სახით წარმოსთქვა აბდიამ და მიუბრუნდა იქ შორიახლო მდგომს მთიულს: — წადი, სტუმარი მოიყვანე.

მოვიდა სტუმარი, რომელსაც ქართლული ტანისამოსი ეცვა და თავიდგან ფეხებამდინ შეიარაღებული იყო. სტუმრის მოსვლაზედ ყველანი ფეხზედ წამოდგნენ და მიესალმნენ. იმანაც ზდაბლად დაუკრა თავი და უთხრა:

— მშვიდობა ვაჟკაცს მთიულებს!

— ნუ მოგიშალოს ლომისამ მშვიდობა! — იყო საერთო პასუხი.

აბდიამ მოიპატიჟა ქართველი, თავის გვერდით მისცა ადგილი და ყველანი ისევ დალაგდნენ.

— სტუმარო, — დაიწყო აბდიამ, — ამ ხალხს გაგონება უნდა, რაიც საქართველოში ხდება... მართალია, რომ გვიღალატეს, გაგვყიდეს?

— მართალია, მართალი... დღეის იქით თქვენ ველარ იხილავთ თქვენს მეფეს, თქვენ აღარ გეყოლებათ თქვენი საკუთარი მეფე.

ამ სიტყვებმა ხალხში ნაპერწკალივით გაიარა და იქამდინ აალელვა, რომ კარგა ხანმა გამოიარა, სანამ ახალმოსულს სალაპარაკოდ დრო დარჩებოდა.

— გაჩუმდით, გაიგონეთ! — ბოლოს წარმოსთქვა აბდიამ და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

— თქვენ ყველას გაგონილი გაქვსთ, რომ განსვენებულმა მეფე გიორგიმ რუსეთს შუაკაცები გაგზავნა იმ პირობათა შესაკრავად და დასამტკიცებლად, რა პირობითაც რუსები ჩვენში უნდა დარჩენილიყვნენ. ჩვენ ყველას ისე გვჭონდა გაგებული და გარდაწყვეტილი, რომ რუსეთს, როგორც მართლმადიდებელს ხალხს, ძმური ხელი უნდა გამოეშვირა ჩვენთვის და

შეერთებულის ძალით წინააღვდგომოდით მაჰმადიანებს; მაგრამ მეფე მაინც ჩვენი უნდა გვყოლოდა. ამის სამაგიეროდ ჩვენ უნდა შეგვენახა ის ჯარები, რომელიც საქართველოში იქნებოდა და ცოტაოდენი მახტის მაგიერი ხარჯი გვეძლია მათთვის.

— რად გვინდოდა ისინი, შენი კვნესა-მე? ათასჯერა ვყოფილვართ ეაჭირვებაში, მაგრამ ჩვენვე მოგვიშორებია თავიდგან! — წარმოსთქვა რამდენიმე პირმა.

— მაგაზედ ეხლა ლაპარაკი გვიანაც არის და მეტიც. მეფემა და ხალხმა აგრე დაინახეს უკედ, აგრე ამჯობინეს თავის ქვეყნისთვის და აგრე გადასწყვიტეს... ამ პირობათა შესაკრავად მეფემ გაგზავნა შუაკაცები, რომელნიც დაბრუნდნენ და ქალაქში სწორედ მეფის სიკვდილის დღეს შემოვიდნენ. ისინი ჯერ ისევ ვერაზედ იყვნენ, ქალაქში არ შემოსულიყვნენ და მეფე არ ენახათ, როდესაც, ჩვენდა ვაგლახად, მეფემ დალია უმანკო სული... დიაღ, მეფემ დალია სული, და იმის უკანასკნელი ჟამი მნახველს გულს მოუკლავდა, ისე იტანჯებოდა განსვენებული. იმის სიკვდილის შემდეგ შემოვიდნენ ქალაქში რუსეთს გაგზავნილი კაცები და მაშინდელმა მართებლობამ გამოაცხადა მეფე გიორგის სურვილად — საქართველოს რუსეთის მფლობელობის ქვეშ შესვლა!.. ეს ხმა ზარსავით დაგვეცა თავს, რადგანაც ჩვენ რუსეთისგან მფარველობა გვინდოდა და მოულოდნელად ყმად კი გადავიქეცით... მართლა მეფემ გარდასცა საქართველო, თუ გაგზავნილებმა გამოსცვალეს ქაღალდები და მეფე კი ქალაქში მოწამლეს, როგორც ხმა გამოვიდა, — ეხლაც არავინ იცის...

ამის შემდეგ პირობა შეჰკრეს, რომ რუსის ჯარებს, რომელთაც ათიოდე დღეზედ უნდა ჩამოეარათ, გზები ისე შეუკრან ფასანაურის ვიწროებში, რომ ველარც წინ წავიდნენ და ველარც უკან; მოხევეთაც მოელაპარაკონ, რომ იმათაც დარიელის ხეობა შეჰკრან და სულიერი აღარ გადმოაჭაჭანონ.

ამის შემდეგ კრება დაიშალა და ყველანი გარდაწყვეტილებისამებრ წავიდ-წამოვიდნენ, გზების შეკვრას შეუდგნენ.

დაცარიელებულს ადგილზედ მხოლოდ ერთი კაცი-ღა დარჩა, რომელიც მძიმე ფიქრებს წაეღო, მაგრამ მალე გონს მოვიდა, შეიბერტყა და წამოიძახა:

— აბა, ელგუჯაუ! ბატარაი გაბრძოლება გინდოდა და დროც მოვიდა.

ეს კაცი გახლდათ მათია, რომელსაც ხალხის არეულობა თავის ძმადნაფიცისათვის უნდოდა შეეტყობინებინა.

XVIII

მშვენიერად გამწვანებულს ფერდობზედ ლამაზად შეფენილიყო ქაღალდივით თეთრი ცხვარი და წყნარ-წყნარად ძოვნით მიდიოდა. ორი ყოჩი ქვეით ჩამორჩენილიყო და თავგანწირვით იბრძოდნენ; უეჭველად რომელიმე „შიშაქი“ სადაოდ გახდომოდათ და არც ერთი თავს არ ინანებდა, ოღონდაც სატრფოს მოწონებით და არჩევით გაბედნიერებულიყვნენ. ყოჩები უკან-უკან წავიდოდნენ, გაუდგებოდნენ ერთმანერთს განზედ და, როდესაც საკმაოდ განშორდებოდნენ, კამარით და ლაზათიანის ხტუნაობით, ყელმოღერებულები ერთი ერთმანერთისკენ გაექანებოდნენ, მიახლოვებულნი შუბლს ერთმანერთს მედგრად აჯახებდნენ, შემდეგ გაბრუებულები ფრუტუნით გაიქნევდნენ ოავს და ისევ ხელმეორედ განშორდებოდნენ, რათა ხელ-ახლად ეცადათ თავიანთი რქების, კისრის და თავის სიმაგრე და ძალა. იქამდინ მიდიოდა იმათი თავგანწირულება და სურვილი გამარჯვებისა, რომ ბევრჯერ შეტაკების შემდეგ ორნივ თავრეტდასხმულნი გადაიქცეოდნენ უკან და რაოდენიმე ხანი ისე უსულონი ეყარნენ. გარეშე კაცს რომ შეეხედა იმათ ბრძოლისათვის, ეგონებოდა, რომ მებრძოლნი შუაზედ გაიხეთქდნენ შუბლს, მაგრამ მწყემსი, რომელიც ფარას სათავეში მოქცეოდა, სიამოვნებით უყურებდა იმათ ბრძოლას. მთიული ყოჩების გაშველებას არც კი სცდილობდა, რადგან ძალიან კარგად იცოდა, რომ მათი დამშვიდება, სანამ ერთი მათგანი გამარჯვებული არ შეიქმნებოდა, შეუძლებელი იყო; სანამ ერთს მათგანს არ ელირსებოდა ალერსიანის ყმუყუნით გავლა თავის სატრფო შიშაქის წინ და მეორეს კი, შერცხვენილ და თავდახრილს, — ფარაში დამალვა, მათი დაცხრომაც წარმოუდგენელი იყო.

მწყემსი დაყრდნობილიყო თავის შვინდის კომბალზედ და

დასცქეროდა ცხვარს, რომელსაც მეტის მეტად წინ არ უშვებდა, რომ უფრო გულიანად ეძოვათ და წინ გასულთ უკანებისათვის ბალახი არ ექელათ.

დიდის გაბანჯგლულის ფეხებით და შესაზარის შეხედულობის ქოფაკს ერთ მაღლობზედ ამოერჩია ალაგი და იქიდგან დარაჯობდა ცხვარსა.

ერთბაშად ძაღლი წამოვარდა, შეჰყმუვლა და გაექანა ერთი ქედისკენ, რომლიდგანაც ერთი დედაკაცი ამოჩნდა. ძაღლი მივიდა ქალთან, დაუწყო ლაქუცობა, წკმუტუნით ყეფა და ზედ ხტებოდა: ეტყობოდა, ახალმოსულის ნახვამ ძაღლი მეტისმეტად გაახარა. ქალიც თავის ნაზი ხელებით უალერსებდა და უყვავებდა პირუტყვს. რაწამს მწყემსმა თვალი მოჰკრა მომავალს ქალსა, სახემ გაუღიმა, თუმცა დიდი ხანი იყო, რაც ამგვარად ხშირად ხარობდა ხოლმე, მაგრამ გულმა ისე დაუწყო ძგერა, თითქოს შეყრის პირველი დღე ყოფილიყო.

ისინი მივიდნენ ერთმანერთთან, სიხარულით მოეხვივნენ და დასხდნენ. ქალმა მოიხსნა გუდა, ამოალაგა ხაჭაპურები, ყველი და ქადა. პირველის ალერსის შემდეგ დაიწყეს პურის ჭამა.

— ქალაუ, მთიულეთით თუ არვინ მოსულა? — ჰკითხა ელგუჯამ, რომელსაც, უეჭველია, მკითხველი იცნობდა.

— არა, — უპასუხა ქალმა.

— რაისთვისღა იგვიანებენ? — წარმოსთქვა ელგუჯამ და დაფიქრდა.

— სოფელში კი ამბობენ, რომ რაღაც არეულობა არის მთიულეთსაო, და არ ვიცი...

— არეულობაო?

— ვაჟები ლაშქრად ემზადებიან.

— მეფისას რას ამბობენ, ვინა დგებაო?

— არ ვიცი... ხალხი გიორგის გლოვობს, ყველა უფროსებმა წვერი დაიყენეს.

— რას გვარგებს წვერის დაყენება? ღვთის მადლსა!

ამ დროს ძაღლი, რომელიც იქვე იწვა და ენაზებოდა მზაღოს, წამოვარდა და, გაანჩხლებული, ყეფით გაექანდა გზისაკენ, სადაც ერთი მთიული მგლურის ნაბიჯით შემოდიოდა. თუშური ქუდი კოხტად გვერდზედ მოქცეოდა და უმშვენებდა სიცოცხ-

ლით სავსე პირისახეს, ჩოხის კალთები განიერს ღვედის ქამარში ისე ჩაეკეცა, როგორც სიარულში და ომის დროს იკეთებენ ხოლმე. ქამარზედ მოზრდილი ხანჯალი წელს უმშვენებდა. სასწრაფო და საპირისწამლე, ორკენვე მხარ-იღლივ გადაკიდებული, ამტკიცებდნენ, რომ მეომარი უნდა ყოფილიყო; გაშიშვლებული თოფი, მხარზედ გადადებული, მზის სხივზე კრიალებდა. მთელი იმისი მიხრა-მოხრა ამტკიცებდა სიამაყეს და გულადობას. შეკრული და გაფრთხილებული, ისე გულადად მოდიოდა, რომ მტერსაც კი მისი ნახვა სასიამოვნოდ მიაჩნდებოდა, დამიზნებულს თოფს შეაყენებინებდა, რომ საკმაოდ დამტკბარიყო იმის მშვენიერებით.

— მათია, მათია! — წამოიძახა ელგუჯამ, რაკი მთიული დაინახა და გაექანა. ძაღლი გაშმაგებით დაეძგერა ახლადმოსულს.

— ჰა, ახგამ, შე ბაითალმანო! ახგამ! — დასძახა ელგუჯამ ძაღლსა, რომელიც მაშინვე გამობრუნდა და კუდი დაუშვა. — ბედშავო! აფთარავ! მოკეთე ვეღარ გიცვნია?.. — უფრო მშვიდობიანად დაუმატა ელგუჯამ.

— ელგუჯას გამარჯვება! — შემოსძახა მათიამ.

— გაგიმარჯოს, მათიაუ!

ამ დროს მზალოც მოვიდა, მაგრამ ვაი იმ მოსვლას!.. რაწამს მათიამ თვალი შეჰკრა, მაშინვე ფერი ეცვალა და წაიბარბაცა.

— რაი მოგივიდა? — მიეშველა ელგუჯა.

— არც რა, არც რა!.. თავს რეტი რამე დამესხა... — უპასუხა მათიამ და თვალებდაშვებული წყნარად მიუბრუნდა მზალოს: — დას გაუმარჯოს!

— აუ, ბედშავო ჩემო თავო, მე კი გული გამიხეთქე-და, რაიღა გამარჯვებისა?.. დაჯექ, დაჯექ, არ წაიქცე! — ეუბნებოდა მზალო.

— არა მიშავ-რა, შენი კვნესა-მე! ცხელი დღეა, მზემ ძალა თუ დამატანა.

— წადი-ღა, წყაროდგან წყალი მოიტანე! — მიუბრუნდა ელგუჯა მზალოს, რომელიც საჩქაროდ გაბრუნდა.

— ნუ ირჯები, შენი კვნესა-მე, ნუ, არა მინდა-რა, გაიარა!.. — წარმოსთქვა მათიამ, თუმცა თავს ძლივს-ღა იმაგრებდა.

მთიული იმ დროს ჯოჯოხეთის ცეცხლსა გრძნობდა, მაგრამ ყოველს ღონისძიებასა ხმარობდა, არ შეემჩნივათ.

ისინი მივიდნენ ბინასთან, დასხდნენ და დაიწყეს ლაპარაკი.

— რაი ანბავია მთიულეთს? — დაიწყო ელგუჯამ.

— რაი ანბავი, ომი იქნების.

— ომი?! — სიხარულით წამოხტა ელგუჯა.

— ჰო, ომი.

— ვისთან?

— რუსებთან.

— ძლივს!.. აბა დედალ-მამლობა ახლა გამოჩნდების, აი! ან სიტყვებზედ მზაღო შეჰკრთა და წყნარად ჰკითხა:

— შენც თუ არ წახვალ?

— მე? მე ყველაზედ მეტი მიზეზი მაქვს... ჩადი შინ და ხარანაულთ უთხარ, ცხორს მოეპატრონენ, და მე კი წავალ, საცა ჩემი ტოლ-სწორები იქნებიან...

მზაღო ჩუმად წამოდგა, ჩუმად გამოესალმა მათიას და ჩუმად თვალებში ცრემლმორეული გაემართა გზას.

მათია და ელგუჯა კი დაფიქრებულნი, გაჩუმებულნი დარჩნენ; ბოლოს უკანასკნელს გულმა ვეღარ მოუთმინა და უთხრა მათიას:

— პატარა ხანს ცხვარზედ თვალი დაიჭირე, შინ რაიმე დამავიწყდა, წავალ, იმ ქალას მოვეწევი და დავაბარებ!

— აგრე, — იყო მოკლე პასუხი.

ელგუჯა გამოუდგა თავის ცოლს, რომელსაც ჩქარა მოეწია.

— ქალაუ, მოიცადე-ღა!

მზაღო შესდგა და მადლიერის თვალით შეხედა.

— რაი გინდა?

— მე სოფელში აღარ ჩამოვალ, აქედგან წავალ პირდაპირა.

— კიდევ ომი, კიდევ ხალხის წყვეტა! — წამოიძახა მზაღომ გულის კანკალით.

— რაი ვუყოთ, მტერს პასუხი უნდა, ძალის მომტანს — წინააღმდეგობა.

— ჩამოხვიდოდი, ბალღებს მაინც გამოეთხოვებოდი, — უთხრა მზაღომ, რომელსაც თავის ქმარი ვერ დაეთმო.

— მეტი ნახვა — მეტი მწუხარება იქნების. ბალღებს რაი უნდათ? კეთილი მეზობლები არ დაილევის და შენ კი თავს არ დაანებებ, უპატრონოდ არ დაჰყრი...

— აუ, რას მეუბნები?

— იმას, რომ ფიცი უნდა მომცე... ყველანი სიკვდილის შვილები ვართ... ვინ იცის, ცოცხალი მოვალ თუ არა... თუ მომკლეს, მამობაც შენ უნდა გაუწიო და დედობაც.

— უწინამც დღე დაგველევა, სანამ მაგ დღეს მოვესწრებოდეთ.

— ვინ იცის... ვაჟკაცი ნამუსისა და ბრძოლისთის არის გაჩენილი, დედაკაცი — შვილების ალსაზრდელად... მაშ შემომფიცე, რომ შენს მოვალეობას აასრულებ — შენს შვილებს თავს არ დაანებებ.

— ვფიცავ შენს თავს, — ძლივს წარმოსთქვა მზაღომ, ტირილით ჩაეკრა გულში და ისე დარჩნენ რამდენიმე ხანსა.

— კარგია, კარგი! ღმერთი მოწყალეა... კიდევ შევიყრებით...

მზაღომ მაგრად მოხვია ხელები და თრთოლვით, თუმცა თავშეკავებით, ტიროდა; ელგუჯასაც გული დაუწყდა და თითონვე ეშინოდა, რომ ჩქარა არ გაწყვეტილიყო სიყვარულის სასიამოვნო ჯაჭვი. მაგრამ მოაგონდა მათია, მოაგონდა თავისი მოვალეობა, გაიფიქრა: „გულჩვილობა დიაცთ წესია“, — და ცოლს წყნარად გააშვებინა ხელები, შეხედა თვალებში, მოეხვია, გატაცებით აკოცა და საჩქაროდ გამობრუნდა.

— დაიცა, ცოტა ხანს კიდევ! სათქმელი მაქვს რაიმე! — დაიძახა მზაღომ, მაგრამ გვიან-ღა იყო: ელგუჯა გადაეფარა იქვე ახლოდ მყოფს ქედს. მოხევე მიეშურებოდა თავის ძმადნაფიცისაკენ, რათა ერთად წასულიყვნენ და გვერდს მისდგომოდნენ თავიანთ მოძმეთ და ერთადვე წინააღსდგომოდნენ შეწაძრწუნებელს უსამართლოებას.

მეორე დღეს ამოვიდნენ ხარანაულების ბალღები, რომელთაც ჩაიბარეს ცხვარი.

ელგუჯამ და მათიამ გასწიეს მთიულეთისაკენ.

გზაში ისინი აგროვებდნენ თავისავით თავგამოდებულს ბიჭებს.

სანამ დანიშნულს ალაგს მივიდოდნენ, ოცამდინ ბიჭი შეიყარნენ, მაგრამ ისეთი ბიჭები, რომელთაგანაც ერთი ათად დაფასდებოდა.

ისინი პირველსავე შეყრაზედ ძმად გაიფიცნენ, დასდვეს

პირობა, რომ ყველანი ერთად გადიჭცნენ და ერთის სახელით იმოქმედონ, ერთმა ყველასთვის გადასდოს თავი და ყველამ ერთისათვის.

მაგრამ ეს ფიცი საჭიროც არ იყო, ისინი თავიანთის აღზრდით, თავის შეხედულებით და ჩვეულებით თავიანთ მოვალეობად ხედავდნენ ერთმანერთის შველას, ერთმანერთისათვის თავგადადებას. ასეც უნდა ყოფილიყო იმ ხალხში, რომელიც დედის ძუძუსთან ერთად შესწოვდნენ და ჩაინერგავდნენ ამხანაგის მოღალატის ზიზღსა და სიძულვილს. იმ ხალხში, რომელთაც ზღაპარი თუ ლექსი ამ საგანზე ტრიალებდა და უნერგავდა გულში ამ ამაღლებულს შეხედულებას.

ეს არის ეხლა აბდია უნდა ენახათ, შეეტყობინათ მისთვის თავისი აზრი და საუბარი იმაზედ, თუ რა რიგად უნდა ემოქმედნათ.

— მაშ გავწყდეთ ყველანი და სირცხვილს კი ნუ შევირჩენთ! — წამოიძახა ელგუჯამ.

— გავწყდეთ, გავწყდეთ! — იყო საერთო პასუხი.

— რაი-ღა ვიქმნებით, თუკი ჩვენი მეფეც აღარ გვეყოლება?

— არცა რა... ღვთის მადლმა...

— მერმე როგორ მოუკლავთ უღმერთოებს?.. მოუწამლავთ!

— სიკვდილი მოღალატეს! სიკვდილი!..

ამ დროს მოვიდა ერთი მთიული, რომელიც სვიმონს გამოეგზავნა მათიასთან.

— გამარჯვება ვაჟებს! — მისვლის უმალეს წამოიძახა იმან.

— გაგიმარჯოს! გაგიმარჯოს!

— მაოიაი აქაა?

— აქა ვარ, რაი გინდა?

— სვიმონმა გამომგზავნა, მათიას უთხარი, აბდია და სხვა უფროსი კაცები წამოიყვანოს და ეხლავე აქ ამოვიდესო.

— რას იტყვით, ვაჟებო? — ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა მათიამ ამხანაგებს.

— სვიმონ კაი კაცია, ღალატით არ მოიქცევის... ადი აბდიასთან და როგორც იმან გითხრას, ისე მოიქეც. მაგრამ ძალიან კი მაინც ნუ ენდობი, რუსის სამსახურშია... ისინი აძლევენ ფულსა და იშმაკმა არ წასძლიოს.

XIX

რვა საათი იქნებოდა ღამისა, როდესაც ქვეშეთში, სვიმონის სახლის კარებზედ, რაღაცა მოძრაობა იყო. შეკაზმული ცხენები და შებმული ურმები ამტკიცებდნენ, რომ აქ ან ვიღაცანი მოსულიყვნენ და ან მიდიოდნენ სადმე.

თითონ სვიმონიც, ჩაშალვარებული, მთლად შეიარაღებული რაღაცა მღელვარებაში იყო. ეტყობოდა, რომ სადღაც მიემზადებოდა და მოუთმენლად რაღაცას თუ ვიღაცას ელოდა.

წამდაუწუმ შედიოდნენ და გამოდიოდნენ იმასთან სხვადასხვა პირნი, რომელთაც მმართველი ჩუმად, იდუმალად მოელაპარაკებოდა და მაშინვე გამოისტუმრებდა.

ათჯერ მომეტებულად ჰკითხავდა სვიმონი ბიჭებს: „ხომ არ მოსულან?“ თუმცა ძალიან კარგად იცოდა, რომ თუ მოსულიყო ვინმე, მაშინვე შეატყობინებდნენ. ბოლოს ბიჭი საჩქაროდ შემოვარდა და შეატყობინა იმის მოსვლა, ვისაც ისე სულსწრაფად მოელოდა სახლის პატრონი.

—შემოიყვანე, ჩქარა, რაღას ელი? — უთხრა იმან და ბოლოს დაუმატა: — სანამ აქ იქნება, არავინ შემოუშვა!

ბიჭი გავიდა, გაიღო ხელახლად კარები და შემოვიდა მათია მთლად შეიარაღებული. იმისი ჩაცმულობა, უკან გადაკეცილი ჩოხის კალთები და ყველა საჭირო საომარი იარაღი ამტკიცებდა, რომ ლაშქრად სადმე უნდა ყოფილიყო.

— მადლობა ღმერთსა! — მოუთმენლად წარმოსთქვა სვიმონმა, — რა ჰქენ? მიამბე ჩქარა!

— ყველანი ვნახე, შენი კვნესა-მე, — უპასუხა მათიამ.

— უთხარი?

— ჰაი, ჰაი, რომ ვუთხარ.

— მერე რა გითხრეს?.. არ წამოვიდნენ?

— არა, შენი კვნესა-მე!.. ისინი ამბობენ, რომ თუ ხალხისათვის კეთილი გინდაო, შენ თითონაც ჩამოხვალ აქაო.

— მე? მე უნდა ვეახლო იმათ? — გაკვირვებით და ამაყად წარმოსთქვა სვიმონმა.

— ჰაი, ჰაი, რომ უნდა წახვიდე!

— როგორ? შენც მაგას ამბობ?.. მე დღეს მთაში პირველ ჯაცად ვითვლებოდე და უნდა იმათ ვეახლო?

— აბდიამ შემოგითვალა, შენი კვნესა-მე: „დღეს მთიულთ უფროსებს ისეთი ძნელი საქმე აწევსთ კისერზედაო, რომ დასამთქნარებლად ვერ მოსცილდებიან თავიანთ ადგილებსაო! თუ შენ მართლა კეთილი გინდაო ან ხალხისათვის, ან მამულისათვის, მაშინ ჩვენთან ჩამოსვლასაც არ დაიზარებო“.

ამ სიტყვებმა არა მცირედ დააფიქრეს სვიმონ, რომელმაც რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახ'ში მათიას წინ და შესდგა. სვიმონს პასუხი ვერ გადაეწყვიტა, რადგანაც მართლა მოსაფიქრებელი იყო მისვლა აჯანყებულს მთიულებთან, რომელნიც სვიმონს, როგორც ერთს მართებლობის წარმომადგენელს და, მაშასადამე, იმის მომხრეს, არ ენდობოდნენ.

ან აღელვების, ამ საერთო არეულობის დროს მცირედი ეჭვის შეტანაცა კმაროდა, რომ კაცის სიცოცხლე ჩალადაც აღარ დაფასებულიყო. გამწარებულებს სამართლიანად თუ უსამართლოდ მცირედი ეჭვი ეყოფოდათ, რომ კაცისთვის თავი ისე წაეჭრათ, როგორც ქათმისათვის. სვიმონ არ იყო ლაჩარი და სიკვდილს ბევრჯერ პირდაპირ შეჰყროდა, მაგრამ უბრალოდ სიკვდილი, თავგაუმართლებლად შთამომავლობის წინაშე, მხოლოდ უბრალო ეჭვის გამო, არ უნდოდა. ამასთან ერთად ის კაცი იყო და აგონდებოდა თავის ცოლ-შვილი, რომელიც ხალხის სიბრაზის უეჭველს მსხვერპლად შეიქმნებოდნენ, თუ თითონ აუტყდებოდა რამე. მართალია, ის მამულისშვილი იყო, ქართველი და ქართველური გრძნობა ჰქონდა, თავის მოვალეობადა ხედავდა მისულიყო ხალხში და გაჭირვებაში გვერდს მოსდგომოდა თავის მოძმეთ, თუნდა ეს სიცოცხლედაც დასჯდომოდა, მაგრამ უსაბუთოდ და უსარგებლოდ სიკვდილი კი არ ესმოდა. იმან ერთხელ და სამუდამოდ გარდასწყვიტა, რომ მხოლოდ იმ აზრების აღსრულებას შესდგომიყო, რომელნიც ხალხისათვის, იმის შეხედულებით, სასარგებლონი იქმნებოდნენ.

სვიმონ ჩაფიქრდა და დაღონდა. სახე წამდაუწუმ ეცვლებოდა. ერთბაშად თავში გაუელვა აზრმა: გაფრთხილება რომ სილაჩრე ეგონოსთ! მთლად გაფითრდა, შესდგა კიდევ ცოტა ხანს, აცოიოხრა, მივიდა ახლოს და გარდაწყვეტით უთხრა:

— კარგი, წამოვალ.

ამ სიტყვების შემდეგ გავიდა იმ ოთახიდგან, მოამზადა სახ-

ლობა, რომელიც გაისტუმრა ლარსის სიმაგრეში, ოსების მებატონეებთან.

გამოსალმების დროს გულმა ვერ მოუთმინა და უმოწყმოდ, ცალკე დარჩენილმა, მიიკრა გულში თავისი ცოლი, რომელსაც, ვაჩუმებულს და გაფითრებულს, ისიც ვეღარ გაებედნა, რომ ეკითხა, თუ რა ხდება და რას უნდა მოელოდეს? აღელვებულმა სვიმონმა მხურვალედ დაჰკოცნა თავის შვილები და გუნებაში გაუარა ფიქრმა: „ვინ იცის, კიდევ ეღირსება თქვენს შშობელს თქვენი მკერდთან მიკვრა?“ გაჰფიქრა ესა და გულში რაღაცა ადუღდა და მთელს აგებულებას მოედო.

ისა ჰხედავდა, რომ სუსტდებოდა, მაგრამ მოაგონდა მამული, მოძმენი, რომელნიც ისეთს გაჭირვებაში იყვნენ, და ხელის ჩაქნევით წამოიძახა:

— წადით, წადით! ღმერთი იყოს თქვენი მფარველი! — ამ სიტყვების შემდეგ ურმები გაჭრიალდა და გაჰყარა შვილები მამას, რომელიც საჩქაროდ გამობრუნდა და დამშვიდებულის ნაბიჯით შევიდა მათიასთან.

— მზადა ვარ, წავიდეთ, ავასრულოთ ჩვენი მოვალეობა!

ისინი შესხდნენ ცხენებზედ, გაიყოლეს კიდევ ერთი მთიული და გასწიეს აბდიასაკენ, სადაც უფროსი ხალხი და ლაშქრის მოთაურები შეყრილიყვნენ.

არავინ არ მოელოდა, რომ სვიმონ ბატონი, — როგორც მაშინ მთის ხალხი ნაჩალნიკს ეძახდა, დასაჩუქრებული და დაყვავებული რუსის მმართველობისაგან, — არ გაწყრებოდა და თითონ მოვიდოდა ხალხთან. წარმოიდგინეთ გაკვირვება, როდესაც იმათთან შევიდა ერთი დარაჯთაგანი და გამოუცხადა სვიმონის მოსვლა.

აბდია და რამდენიმე მოხუცი სტუმარს გამოეგებნენ გარედ, სადაც მიესალმნენ სვიმონს დიდის მოკრძალებით და პატივით შეიწვიეს.

— ბატონო სვიმონ! ძვირფასი სტუმარი ხარ ჩვენთვის, ლომისაა მოწამე... მიხარიან, რომ ჩემს ქოხში გხედამ, — დაბლა თავის დაკვრით უთხრა აბდიამ.

— მთიულნი ვაჟკაცნი არიან, სტუმართმოყვარულნი! ჩემთვის სახელია შენისთანა მასპინძელი, — ზრდილობიანადვე უპასუხა მოსულმა.

— აი, შენი კვნესა-მე, ჩემი სახლი, მობრძანდი, შენ ბატონი და ჩვენ კი შენი ყურმოჭრილი ყმები, — ამ სიტყვებით აბდიამ შეიპატიჟა სახლში, სადაც ქვაბით საკლავი ჯერ კიდევ საკიდლიდგან არ გადმოეღოთ და წყნარად ჩუხჩუხებდა.

სტუმარ-მასპინძელნი დასხდნენ და სიჩუმე ჩამოვარდა რამოდენიმე ხანს. ყველანი რაღაცა უხერხულობასა ჰგრძნობდნენ.

— აბდიაუ! მე დაგიბარეთ, მაგრამ თქვენ არ მოხვედით. არ მენდენით თუ რა იყო? — დაიწყო სვიმონმა.

— არა, შენი კვნესა-მე, შენ როგორ არ გენდობოდით? შენც ჩვენი სისხლი ხარ და ჩვენი ხორცი, განთქმული ვაჟკაცობით და გულადობით... შენ როგორ არ გენდობოდით?

— მაშ რად არ მოხვედით?

— იმად, რომ უფროსები ვინც არიან, ჯარის მოთავედ ამოარჩიეს და თავთავის ალაგს თავს ვერ დაანებებდნენ.

— დღეს თქვენ უფროსად მე ვარ დაყენებული, და რაკი მე გიბარებდით, კიდეც უნდა ამოსულიყავით.

— უფროსად? — ამაყად წარმოსთქვა აბდიამ, — შენ ცხო ხალხისაგან ხარ დაყენებული უფროსად და ჩვენ-კი ჩვენი ხალხისაგანა ვართ ამორჩეულნი... შენი ქომაგნი სტუმრად არიან მოსულნი, დღეს თუ ხვალ უნდა წავიდნენ და ჩვენ კი მემკვიდრენი ვართ... უფროსები ჩვენგან არიან ამორჩეულები, შენთან რად უნდა მოსულიყვნენ?

— ვაჟკაცს ვაჟკაცური სიტყვა ექნების! თემის გარდაწყვეტილებას აკი მეც დავმორჩილდი და მოვედი.

— მაშ ჩვენი ხარ, შენი კვნესა-მე, ჩვენი? — სიხარულით წამოიძახა აბდიამ.

— ცოცხალიც და მკვდარიც! ღმერთია გულთა მხილავი.

— აგრე, შენი კვნესა-მე, აგრე, — მღელვარებით მოეხვია აბდია, — შენი ჭირიც დამილევია, რომ ეგ სიტყვები გამაგონე!

— მაშ რასაც აპირებთ, რატომ მე კი არ მატყობინებთ? გგონიათ მე კი არ მეწვის გული მამულისათვის? გგონიათ მე კი არ ვხედავ, რომ ვიღუპებით? მეც ვიწვი, მეც ვიტანჯები, მაგრამ აჩქარებითა სოფელი არვის მოუჭამია.

— მაშ რას გვირჩევ? რას გვეტყვი?

— ჯერ დაწვრილებით გამაგებინეთ, რას შვრებით, რა

აპირებთ და მაშინ ერთად ვარჩიოთ, ძმებსავით მოვილაპარაკოთ.

— ძმებსავით, შენი კვნესა-მე, ძმებსავით!

— აბა, მაშ დაიწყეთ!

— ეგ მარტო მე არ შემიძლიან, აი უფროსები აქ არიან; მაგათაც დავეკითხნეთ.

— მაშ, მაშ, მაგათაც უნდა დავეკითხნეთ!

— უფროსნო და მეთაურნო, რას იტყვით?

ამ კითხვის შემდეგ რაოდენიმე ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, მერე წამოდგა ერთი და დაიწყო:

— ჩვენ დასამალი არა გვაქვს-რა. ჩვენ გარდავწყვიტეთ, რომ ან გავწყდეთ და ან ისევ ჩვენი მეფე გვეყოლოს... ვინც თავისს თავს ქართველად უყურებს, უნდა მოგვიდგეს; ვინც არ მოგვიდგება, ის წყეული იქნება, მოღალატე, მოძმეთა და ხალხის გამყიდი, იუდის კერძი. ვინც ეგეთია, მოგვშორდეს.

— ქართლი თაობს და ჩვენ კი საქართველოს ნაწილი ვართ. უკან ვერ დავდგებით, — დაუმატა მეორემ.

— ეგ ყველა კარგი. მეც მაგ აზრისა ვარ, მაგრამ რას აპირებთ? — დაიწყო ისევ სვიმონმა.

— ხალხო, უთხრათ ყველა? — იკითხა კიდევ აბდიამ.

— უთხრათ, უთხრათ! დასამალი რაი გვაქვს? — ერთხმად წამოიძახა ხალხმა.

ამის შემდეგ აბდიამ უამბო სვიმონს როგორც ქალაქიდგან მოსული სტუმრის ნალაპარაკევი, აგრეთვე თავიანთი გარდაწყვეტილება გზების შეკვრისა და ჯარის მომწყვდევის შესახებ.

სვიმონ ჩაფიქრდა ამ სიტყვებზედ და რაოდენიმე ხანი ისე დარჩა.

— ხალხო! — დაიწყო იმან, — მე მგონია, რომ თქვენში ისეთი ვერავინ გამოვა, რომელმაც სთქვას: „სვიმონს სიკვდილის ეშინიან, სვიმონს თავისი თავი თავის ხალხზედ და ქვეყანაზედ მეტად უყვარს!“ ვფიცავ, რაც კი სალოცავები მყავს, ვფიცავ, რაც უფრო ძვირფასად მიმაჩნია ამ ქვეყნად — დღესვე რომ შეიძლებოდეს ჩემი ცოლ-შვილის მსხვერპლად მოტანით მამულის დახსნა, იმათაც კი არ შევიბრალებდი, მე თითონ ჩემის ხელით ყელებს დავჭრიდი, მაგრამ ეგ არას უშველის მამულს. ვერცა რას მარტო ჩვენ ვუშველით, თუ ყველანი არ

შევგროვდით, არ შევერთდით. ასე ნაწილ-ნაწილად მღელვარება და თავის გაწირვა მხოლოდ ხალხს გაგვიწყვეტს. თქვენ შეტყობილი გაქვსთ, რომ ქართლი აჯანყებულა და მე კი ზედმიწევნით ვიცი, რომ ქართლი, ჯერ ყიზილბაშების და ამ ახალის მოულოდნელობისაგან, შემდეგ შინაურის განხეთქილებისა და უკმაყოფილობისაგან თავბრუდახვეული, ძალას მოკლებულია, მთვრალსავით გარეტიანებული დარაცრაცებს. იქ თითონაც არ იციან რა დაიწყონ და ვის მიმართონ... თუ ქართლში ფხიზლად ვინმე დარჩენილა, ისინიც ცალ-ცალკე გამდგარან, ხედავენ საქმის დაწყობის შეუძლებლობას და ამისათვის დროს ელიან...

ხალხი სულგაკმენდილი ყურს უგდებდა იმის ლაპარაკს, მაგრამ, რაწამს გაათავა, ყველა ერთბაშად აყაყანდა, ყველას უნდოდა პასუხი მიეცა.

— ქართლი აღსდგა, ქართლი ეხლა ომობს, — დაიწყო ერთმა, — ჩვენც მხარი უნდა მივსცეთ!.. ნუ გაუშვებთ, ვოჟებო, მომდინარს რუსებს, თორემ ეგენიც ჩავლენ, მიემატებიან დანარჩენებს და ისევ ჩვენს მოძმეთ დაუწყებენ ჟლეტას!

— მართალს ამბობს, მართალს! — დაეთანხმდნენ ყველანი.

— ხალხო! მომწონს თქვენი თავგანწირულება, მამულისათვის სისხლის დაღვრის სურვილი, მოძმეთ მიშველების წადილი, — ეგ მაღალი გრძნობაა და მის წინაშე მეც ქედს ვიხრი, მუხლს ვიდრეკავ; მაგრამ ყველაზედ უწინ დაფიქრება და გონივრებაა საჭირო იმ ხალხთათვის, ვინც ხალხისაგან ერთხელ უფროსებად იქმნებიან ამორჩეულნი. დამიჯერეთ, მოდით, ქალაქს გავგზავნოთ კაცები, შეიტყონ, გაიგონ ან იქ რაი ანბავი ხდება ან სხვაგან საქართველოში, და რაიც ანბავი მოგვიტანონ, ჩვენც იმისდაგვარად დავიჭიროთ საქმე.

ეს სიტყვები მოეწონა ყრილობის ნაწილს, მაგრამ გაფრთხილებულმა აბდიამ წარმოსთქვა:

— ვოჟებო, ეგრეც არ იქნებაის... სვიმონმა კარგა სთქვა, ჩვენი კაცები გავგზავნოთ, დეე შეიტყონ ქართლის ანბავი, მაგრამ ჯარის გაშვება კი მაინც არ შეიძლების. ჯარი ვიმწყვდიოთ და სანამ გაგზავნილები სიმართლეს არ მოგვიტანენ, მანამდის ჯარს კი ნურც გაუშვებთ და ნურც არას ვავნებთ, თუ საქმე თავად არ გაგვიჭირეს.

— აი, შენი კვნესა-მე, შენი, აბა ეგ არის სიტყვა, აი! — მოუწონა ყველამ.

სვიმონიც დაჰყაბულდა ამაზედ და ფიცი ჩამოართვა, რომ სანამ გაგზავნილი კაცები არ დაბრუნდებოდნენ პასუხით, მანამ მთიულები ხელს შეინახამდნენ და, თუ ვინიცობაა, ქართლი მართლა აჯანყებული იყო, მაშინ შეერთებულს მთიულებს ქართლთან ერთად ერთგულად უნდა გაეწია საერთო საქმე. მაშინ სვიმონიც თავისი მხრით თავგადადების პირობას აძლევდა.

ამ საღამოზედვე რამდენიმე მარჯვე ბიჭი ამოირჩიეს, დაფიცეს და საჩქაროდ ქართლში ამბის შესატყობად გაგზავნეს.

ყრილობა დაიშალა. ლაშქრის მოთავეები თავთავიანთ ბანაკზედ წავიდნენ; სვიმონი კი ქვეშეთს დაბრუნდა, სადაც რუსის ჯარებს უნდა დახვედროდა და მიეღო.

XX

დილის ათი საათი იქნებოდა, როდესაც ქვეშეთში რაღაცა არეულობა მოხდა; ხალხი მიდი-მოდიოდა, ყველას პირისახეზედ რიღაცის მოლოდინი ეტყობოდა, მათი თვალები ხშირად მიექცეოდნენ ქვეშის დალმართს, რომელზედაც უწინ ისეთის გაჭირვებით დადიოდნენ ხოლმე და შეუბრალებელს ზვავებს და კლდის ნაშალებს იმდენი მსხვერპლი მიჰქონდა.

ქვეშის დალმართი ჩამოდიოდა ქვეშის ხეობაში გარდიგარდმო ჩადგმულს მთაზედ, რომელიც ამ სოფელს თითქოს გახგებ მოჰფარებოდა, რათა დაეცვა ჩრდილოეთის ცივის ქარებისაგან.

ზედ მთის წვერზედ გამოჩნდა რამდენიმე ორთვლიანი, ბარგით დატვირთული ურემი და გადმოემართა თავდალმართზედ. აშკარად ეტყობოდა, რომ ეს ურმები მოხევეებისა უნდა ყოფილიყო. მაგრამ ყველას გასაოცებლად, არც ერთი მოხევე მათ არ მოზდევდა. იმათ სამაგიეროდ ხარებს რუსის სალდათები მოერეკებოდნენ და წინ ერთი აფიცერი ბელადსავით მოუძღვებოდა.

ეჭვი არ იყო, რომ მოხევეთა ურმებს ჯარის ბარგი მოჰქონ-

და. მაგრამ თვით მეურმეები სად მოხაფრულიყვნენ, ან საყოველთაო საკეთილისთვის თავი რისთვის დაენებებინათ, კაცი ძნელად მოიფიქრებდა.

ურმები ისე გაჭედილი იყო ბარგით, რომ საცოდავს საქონელს ბოლომაობა უჭირდებოდა.

მხოლოდ ერთი ურემი განერჩეოდა დანარჩენებს: მისი ბარგი სრულიად არ მიემსგავსებოდა სხვა ურმებისას, რადგანაც გაეუჭყიანებულის ტომრების, „მარანკების“ და სალდათების სხვა იარაღის მაგივრად, რამდენიმე მოხევე გულაღმა ამოებრუნებული დაეკრათ. მათი ჩალურჯებული და ჩასისხლიანებული პირისახე უცნაურად დარუმბებულიყო და სიმსივნეს თვალები მთლად დაეფარა.

ურმები ქვეშეთს ჩამოვიდნენ, შემოგროვდნენ იქავ მდებარე ბინდორზე და გაჩერდნენ. აფიცერმა ნაჩალნიკი იკითხა და ცაშინვე მასთან გამოსაცხადებლად წავიდა.

ახლადმოსული მიუახლოვდა მმართველს, გამოიჭიმა წესისამებრ მის წინაშე და შუბლთან ხელის მიტანით გამოუცხადა, რომ ყველანი და ყველაფერი მშვიდობიანად მოვიყვანეო და მოვიტანეო.

— მაშ მშვიდობიანად იმგზავრეთ? — იკითხა სვიმონმა და დაუმატა: — დიდი მოხარული ვარ, დიდი.

— მშვიდობიანად, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! — შუბლთანვე ხელის მიტანით გაიმეორა აფიცერმა. — მართალია, მოხევეთ... ისე... ცოტა თითქოს არეულობის მოხდენა დააპირეს, მაგრამ, — სიამაყით დაუმატა იმან, — მკაცრი განკარგულება მოვახდინე და მთიელები მშიშარა კურდღლებსავით გაიფანტნენ.

სვიმონს, როგორც ეტყობოდა, არ ეამა ეს სიტყვები, რადგანაც წარბები რაოდენადმე შაეჭმუხნა და ქვევითა ტუჩმა თრთოლა დაუწყო.

აფიცერმა მმართველის სიჩუმე თავის საქციელის წასაქეზებლად ჩასთვალა და უფრო გაბედულად გააგრძელა:

— რამდენიმე მოხევე, მოწინააღმდეგეთ მოთავენი, დაჭერილები ჩამოგიყვანეთ. სამაგალითოდ უნდა გადაახდევინოთ, რომ ხალხმა გაიგოს, რაც მოუვა რუსის ჯარის და იარაღის მოწინააღმდეგეს; მე მგონი, რომ მათი ჩამოხრჩობაც-კი მეტი

არ იქნებოდა... ხალხზედ დიდი გავლენა ექნებოდა და ვეღარაფერს გაბედავდნენ.

— რა განკარგულებაც უნდა მოვახდინო, მაგის რჩევას მე თქვენ არა გკითხავთ, — ვეღარ მოითმინა სვიმონმა. — გთხოვთ მხოლოდ თქვენი ვალი აღასრულოთ, დაჭერილები ჩამაბარეთ და რასაც უზამ, ეგ ჩემი საქმე იქნება.

აფიცერმა ენა ჩაიკვნიტა და ამრეზილი ურმებისკენ გაბრუნდა.

არაქათ-გაწყვეტილი მოხევეები ცემას ისე დაესუსტებინა, რომ ძლივს-ღა იძროდნენ და ახსნის შემდეგ ასადგომად შველა დასჭირდათ.

სვიმონმა შეხედა მათს ტანჯულსა და ნაწვალებს სახეს, მთლად აინთო და განრისხებული მკაცრად მიუბრუნდა ჯარის უფროსს:

— განა ეგრე მოქცევა შეიძლება?.. მაგ მოქმედებით მთელს ხალხს ააჯანყებთ! მაგისთვის იცით რა პასუხისგებაში მიეცემით?

— მეტი ღონე აღარ გახლდათ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! — იმართლა თავი უფროსმა: — ასე რომ არ მოვქცეულიყავ, ბარგი მთას იქით გადმოსატანი დარჩებოდა... მაგასთანავე, ქართველების ვალია, ყოველ რუსს, როგორც ბატონს, კრძალვით და მოწიწებით მოექცნენ.

სვიმონს თვალები აენთო და გაჯავრებით უთხრა:

— არამც-თუ მხოლოდ უგულო, გაუზრდელიც კი ყოფილხართ... მოითმინეთ, მოწყალეო ხელმწიფევ! ყოველისფერს გამოვიძიებ და თქვენს უმართებულო საქციელს დაწვრილებით თბილისში შევატყობინებ... ხალხის მომხრობის მაგიერ, თქვენ თითქოს განგებ ყოველის ღონისძიებითა სცდილობთ რუსებსა და ქართველებს შორის უთანხმოება ჩამოაგდოთ!.. არა მგონია, რომ მართებლობის სურვილი ეგ იყოს.

— მე ჩემს ვალს ვასრულებდი და რუსეთის იარაღის პატივს ვიცავდი.

— შემცდარი ხართ, მოწყალეო ხელმწიფევ, შემცდარი! უსამართლობა არავისთვის არც ღირსებად ჩაითვლება და არც პატივსაცემ მოქმედებად!.. აბა შეხედეთ: ეს რა არის? — უჩვენა ხალხის მმართველმა მოხევეებზედ.

საცოდავებს, მოჯაყჯაყე ურემზე დაკვრისა და თოკების გადაჭირების გამო, ნაჯები და წვივები მთლად გადახეხოდათ. ტანისამოსი შემოსცარცოდათ და ნაგლეჯი, სისხლშემხმარი, მტვერჩამკვდარი ხორცი ნაკუთ-ნაკუთად ეკიდათ. საზარელი და საზიზღარი სანახავი იყო მათი მდგომარეობა. რუსი-კი ისე გულგრილად შეჰყურებდა, თითქოს თვალწინ ფრიად ჩვეულებრივი სურათი ეხატებოდა.

— რაი ღმერთი გაგიწყრათ? — მიუბრუნდა სვიმონ მოხევეებს.

— რა ვიცით! — კვნესით და ოხვრით უპასუხეს იმათ. — საქონელი ჯვართ-ვაკეს მოვუშვით და ვაძოვებდით... თავადაც კარგად მოგეხსენება, რომ საქონელი, მართალია, პირუტყვები არიან, მაგრამ ჭამა იმათაც უნდა... მშივრები საით იმუშავებენ?.. ეს რუსები მოვიდნენ და ცემა დაგვიწყეს... რაღაცას გვეჯიყჯიყებოდნენ, მაგრამ ჩვენ ენა არ ვიცოდით და თოლმაჯი-კი არა გყვანდა! ვერა გავიგეთ-რა... ძალიან რო შეგვაწუხეს... სული ტკბილია, შენაი ჭირაიმე!.. ჩვენც ხელი გამოვიღეთ, მაგრამ ერთს ათასთან რაი გაუვა? ვინც გაქცევა შესძლო, ძაღლსავით სიკვდილს გაქცევა ამჯობინა, და ვინც ვეღარ შესძლო — აი ეს დღე დააყენეს...

— მაგათ ხარები გამოუშვეს და გაპარვას აპირებდნენ, — ჩაურთო აფიცერმა, რომელსაც თავის გამართლება უნდოდა, — ეგ ბრიყვი და ბარბაროსი ხალხია, განა მაგათ დაეჯერებათ რამე?

— ყოველ შემთხვევაში თქვენზედ მომეტებული, მოწყალეო ხელმწიფევ, — მკაცრად მოუჭრა სვიმონმა.

— არა, თქვენო... — დაიწყო ისევ ჯარის უფროსმა, მაგრამ ხალხის მმართველმა გააწყვეტინა.

— კარგი, კარგი! მაგას შემდეგ გამოვიძიებ, — წარბებშეჭმუხვნით წარმოსთქვა სვიმონმა და დაუმატა: — შეგიძლიანთ მიბრძანდეთ და თქვენს ჯარს მიხედოთ.

ამის შემდეგ გამოუბრუნდა იქ მყოფ იასაულებს, რომ ნაწამები მოხევენი სადმე დაეწვინათ და ექიმი დაეყენებინათ. უკანასკნელი სიტყვების გათავება ძლივს მოასწრო იმან, როდესაც მომავალი ჯარიც ქვეშის აღმართზედ გამოჩნდა; ისინი

წყნარად ჩამოდიოდნენ. არაგვის პირს, პატარა მინდორზედ მოწინავე ჯარს ბინა დაეცა და სადილს უმზადებდა.

როდესაც ყველანი დანიშნულს ადგილს ჩამოიკრიბნენ და დაბანაკდნენ, მათი უფროსი მაზრის მმართველმა მიიპატიჟა და ჩვეულებისამებრ გაუმასპინძლდა.

— მე უნდა მოგელაპარაკოთ, — სადილის შემდეგ დაიწყო სახლის პატრონმა.

— მიბრძანეთ, — უპასუხა სტუმარმა და უზრუნველად გადაწვა კრესლოში.

ჯარის უფროსი, როგორც დანარჩენი, საქართველოში პირველად მოსული რუსები, როგორც მთის ხალხს, აგრეთვე მათ ჩვეულებას და ზნეობას სრულიად არ იცნობდა.

ახლადმოსულებს ჩაგონებული ჰქონდათ, რომ ქართველები უზრდელნი, ბრიყვნი, გარეგანნი და ბარბაროსები არიანო; რომ მათზედ გავლენა მხოლოდ ძალდატანებით და სიმკაცრით შეიძლებაო; ამისთვის ყოველი რუსი მოხელე საქართველოში, პირველსავე ფეხის შემოდგმაზედ, თავის მოვალეობადა ხდიდა ადგილობრივ მცხოვრებლებს ამ აზრის თანახმად მოქცეოდა, რამდენადაც შეიძლებოდა სიმკაცრე და შეუბრალებლობა გამოეჩინა.

— პირდაპირ საქმიდგან დავიწყებ... — მოჰყვა სვიმონი. — ხალხი აჯანყებულია და თქვენგან გზის გაგრძელება შეუძლებელია.

— შეუძლებელია? — ღიმილით იკითხა სტუმარმა და დაუმატა: — მაგასა ვნახავთ...

— რაოდენსამე ხანს აქ დაიცადეთ და გაძლევთ სიტყვას, რომ მშვიდობიანად გაივლით.

— ეხლაც წინ ვერავინ გადამიდგება, — მკაცრად მიუგო უფროსმა.

— მთის ხალხს არ იცნობთ და აგრე იმიტომ ლაპარაკობთ... თქვენ არ იცით, ამ ერთ მუჭა ხალხს რა შეუძლიან და რა თავგანწირვით იციან ბრძოლა.

— მხოლოდ უბრალო ფარი-ფურობაა, გარწმუნებთ, — ხოკლედ მოუჭრა სტუმარმა.

სვიმონმა უკმაყოფილოდ შეხედა და უთხრა:

— შემცდარი აზრი შეგიდგენიათ... მთიულები გულადნი

და ვაჟკაცნი არიან, გაჭირვებაში თავგანწირვით იბრძვიან.

— ეს დარწმუნებული კაო, რომ ივეს იარაღს წინ ვერავინ გადაუდგება.

— ეს კი დარწმუნებული ვარ, რომ თუ წასვლა გაჰბედეთ, მაგ ადგილას ცოცხლად კაცოიცვლით და ბევრსაც იცახცახებთ.

— ბაგასაც ვნახავთ, ვცადავთ... — მოიბოხა ხმა.

— ჩვენი ვალი იყო ყველაფერი შემეტყობინებინა და ახლა თქვენი ხებაა.

— უცოალოდ ნუ სწუხართ. ჩემის ჯარით მთელს საქართველოს ისე ბოვივლი, ოთა ყინ გადადგომაც კი ვეთავიი გაბიბედოს.

სვიმონს ეშინოდა, რომ ხალხი ამ ჯარს არ შესტაკებოდა და უსარგებლოდ სისისლისღვრა არ მომხდარიყო. სვიძოიცა იცოდა, რომ ხალხს, უკეთუ ორძოლა მოხდებოდა, გაოდა ხარალისა, არავითარი საოგებელი აო ექნებოდა, თუძცა რუსებს მთლად ამოწყვეტდხეი.

სრულიად სხვა რიგად ფიქრობდა ჯარის უფროსი. ის დარწმუნებული იყო, რომ მის იძალს წინ ვერავიი გადუდგებოდა, იაეტხავად „ბრიყვი, გაუზრდელი და უგუნური ძთიელები“, როცელთაც ჯოხების ძეტი სხვა იარაღიც კი არ აქვთ-რა, და თუ მცირედი შეტაკება მოხდებოდა, ეს კიდეც უხაოოდა, რადგახაც ეს აუცილებლად ჯილდოს და პატივს ძოუმატებდა.

— ჩემს რჩევას არ იჯერეთ? — უკახასკნელად კითხა სვიმონმა.

— აჰ, გავათაოთ მაგაზედ ლაპარაკი!.. არა ღირს.

სვიმონ გულსაკლულად გამობრუნდა და თავისათვის წაიბუტბუტა:

— მაშ მიბრძანდით და ნახამთ თქვენს ყოფას.

სვიმონმა ძლივს მოასწრო გასვლა, როდესაც წელანდელი აფიცერი შემოვიდა და უფროსის წინ გამოიჭიმა. ამ მდგომარეობაში გაუნძრევლად იდგა და მოწიწებით მოელოდა თავის მბრძანებელთან ლაპარაკის დაწყობას.

უფროსი ტახტზედ მიწოლილიყო და ნოყიერის სადილის შემდეგ ზარმაცად სთვლემდა. კარგა ხანმა გაიარა და დაზარმაცებულმა სარდალმა თვალები გაახილა, შეხედა შემოსულს და ისევ განსვენებას მიეცა. როდესაც კარგა ხანმა გაიარა და უფ-

როსმა უმცროსს საკმაოდ ალოდინა, მაღალხარისხოვანმა სტუმარმა ხელახლად გაახილა თვალები და აფიცერს ხელახლად ცქერა დაუწყო.

— როგორ იმგზავრე? — გააბედნიერა კითხვით უფროსმა, ნაგრამ ასე გაფრთხილებით კი, რომ თავის ღირსება არ დაემცირებინა და ზარმაცად დაამთქნარა.

— კარგად, თქვენო აღმატებულებავ, კარგად.

— გზაში უსიამოვნობა ხომ არა შეგმთხვევია-რა?

— მეურმეები ცოტაოდნად გამიჯიუტდნენ, მაგრამ მალე მოვაჭკვიანე.

— მაგათ, რაც შეიძლება, მკაცრად უნდა მოექცეთ, ბატონო აფიცერო, მკაცრად, თორემ დაყვავებით ვერას შეასმენთ.

— ყველანი გავალახვინე და მოთავენი ურემზე დაკრულები აქ ჩამოვიყვანე, — სიამოვნების ღიმილით მოახსენა წაქეზებულმა აფიცერმა.

— ეგენი კი არ გაალახვინე? — ისეთის ხმით იკითხა ღენერალმა, თითქოს მწყურვალი წყალს ითხოვდა.

— ცოტაოდენი.

— ცოტაოდენი კი არა, ისე უნდა გეცემნათ, რომ სამუდამოდ დახსომებოდათ.

— მაზრის უფროსმა მაგისთვისაც საყვედური მომცა, თქვენო აღმატებულებავ, — ფრთხილად გაუტარა სიტყვა გამოქნილმა აფიცერმა.

— რაო? — გაგრძელებით წარმოსთქვა წარბებშეჭმუხვნილმა ღენერალმა, თუმც ძალიან კარგად გაიგონა მოსაუბრის სიტყვები.

— იმას მოგახსენებდით, თქვენო აღმატებულებავ, რომ მაზრის უფროსმა საყვედური მომცა-მეთქი.

— როგორ თუ საყვედური?.. საყვედური ჩემს აფიცერს?.. ო... ო... ეგ ხომ სრული თავის დავიწყებაა!.. ვერ უყურებთ ამას! — შფოთავდა ჯარის მოთავე. — დაჭერილები რა უყავით? — ჰკითხა.

— მაზრის უფროსს ჩავაბარე.

— დამიძახეთ, ეხლავე აქ მოვიდეს მაზრის უფროსი! — ცხარობდა ღენერალი. — დაჭერილები თუ ერთი კარგად არ გავაწკეპლინე, არ შეიძლება... წადით, დამიძახეთ.

— თვით მაზრის უფროსსაც უბრძანეთ რამე, თქვენო აღ- მატებულებავ, თორემ მეტად თავს გასულა.

— რასაკვირველია, რასაკვირველია!.. მაგათ თუ ნება მიეცათ, კაცი ვეღარას გააგონებს... წადით და ეხლავ აქ გამომიგზავნეთ.

აფიცერი გავიდა, მათი აღმატებულება კი კარგა ხანს შფოთავდა და სიბრაზით იძახდა: „მაგას ვერ უყურებთ? ჩემს აფიცერს, ჰა?“ შემდეგ მიელუშა ტახტზედ, რამდენჯერმე წაილუღლუღა: „ჩემს აფიც... აფი... აფი...“ დაამთქნარა, ძილისაგან თავმოჭრილმა სიტყვა ვეღარ გაათავა, ამოუშვა ხვრინვა და ტკბილს განსვენებას მიეცა.

საღამოზედ სვიმონსა და ღენერალს ამ საქმის შესახებ დიდი ბაასი ჰქონდათ, მაგრამ მაზრის მმართველმა ისეც შეწუხებული და დასუსტებული მოხევენი საწვალებლად აღარ დაანება.

დაღამდა და ყველანი განსვენებას მიეცნენ. ჯარის ბანაკის სურათი აქა-იქ გაჩაღებულმა ცეცხლებმა სრულიად შესცვალა; დარაჯათ დაყენებულს სალდათებისთვის დაღალვას ძილი მოეგვარა და განუწყვეტლივ სთვლემდა. ირგვლივ სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო. ახლოს ჩამომდინარე არაგვიც კი თითქოს მისუსტებულიყო და წყნარი ხუილი-ღა გაჰქონდა; ათასში ერთხელ რომელიმე ცხენი დაიფრუტუნებდა და გაფრთხილებულს მცველებს თვალს გააჭყეტინებდა; ბოლოს ყველას ჩაეძინა, ყველა გაჩუმდა. ამ საერთო განსვენებას განშორებოდნენ მხოლოდ ის მთიულები, რომელნიც შეთქმულთ ბანაკიდგან რუსის ჯარების სათვალთვალოდ გამოეგზავნათ. ისინი ჯარის ბანაკს გარს უვლიდნენ და დაწვრილებით ტყობილობდხენ მათ რიცხვსა და იარაღის სიმრავლეს.

ამ მომზვერალთა შორის ელგუჯა და მათიაც ერივნენ; ისინიც ბანაკის ერთს მხრისაკენ ტყეს შეჰფარებოდნენ და ხმა გაკმენდილნი, თავიანთ მოვალეობას აღსრულებდნენ.

ამ სიჩუმეში კარგა ხანმა გაიარა, როდესაც ფოთლების შრიალი მოისმა. ამხანაგები შეკრთნენ და ერთმანერთს ხელი წაჰკრეს. მოხევეთ ძალიან კარგად ესმოდათ, რომ სიფრთხილით უნდა მოქცეულიყვნენ, რათა უცაბედო ხმაურობით ღა-

მ-ს მშვიდობიანობა არ დაერღვიათ და მით რუსის ჯარების ყარაულების ყურადღება არ მიექციათ.

ერთბაშად რაღაცა შრიალი მოისმა და ამხანაგები შეკრთნენ.

— თოფი არ ახალო, — წასჩურჩულა ელგუჯამ.

— არა, — უპასუხა მათიამ და ორთავენი, ხანჯლებზე ხელდადებულნი, ხეს მოეფარნენ.

შრიალი კიდევ მოისმა და ადამიანის გაფრთხილებული ფეხის ხმა აშკარად გაარჩიეს.

— გამოდი-ღა, გამოდი, ვიღაცა ხარ და ნახავ, რა დღესაც მოესწრები, — ძლივს მოასწრო ელგუჯამ თავისთვის წყნარად წამოეთქვა, როდესაც შტოები გადიშალა და მის წინ ვიღაცა უცნობი პატარა ბიჭი, თავიდგან ფეხებამდის შეიარაღებული, გადმოხტა. ამხანაგებმა გზა გადაუღობეს.

— ვინა ხარ? — წყნარად ჰკითხა ელგუჯამ და ხელი გაავლო.

— რაში გეკითხება ვინა ვარ! — უპასუხა უცნობმა და დაუმატა: — მოკეთე კი ვარ და სხვა რაი-ღა გინდათ?

— აქ რად მოსულხარ, რაი საქმე გაქვს? — მკაცრად გაიმეორა მოხევემ, რომელსაც ახლადმოსულის ნაზი ხმა აკვირვებდა.

— იმად მოველ, რომ თქვენთან სიკვდილი მწადის, — ბიჭმა მოკლედ მიუგო.

— განა გვიცნობ? — მეტად და მეტად ჰკვირდებოდა ელგუჯა.

— ჰაი, ჰაი, რომ გიცნობთ: შენ ელგუჯაი ხარ, მოხევე და ა ის-კი მათიაი, მთიული, — მისცა პასუხი პატარამ.

— შენც მოხევე თუ არა ხარ?

— ჰაი, ჰაი, რო მოხევე ვარ.

— იცი, ბალღო, რაი გითხრა: შენს წერას აუგდიხარ, თორემ აქაც არ მოხვიდოდი... მაი შინ დაბრუნდი, წადი, შენს პატრონებს მიხედე, ტყუილ-უბრალოდ თავს ნუ გაიფუჭებ და შენს ცოდოში ნუ გაგვხვევ.

— შინ საიდღა წავალ? ვიღა მყავს?

— ობოლი ხარ?

— მამა მყვანდა და აი ემაგ ძაღლებმა მომიკლეს, — გა-

იშვირა ჯარის ბანაკისკენ ხელი. — ძმა მყვანდა, მაგათ მუშაობაში თოვლმა ჩამიჩუმქრა. მარტო მეღა დავრჩი და სადღა უნდა წავიდე?.. ბარემ მეც მაგათ მომკლან. ჩემი სისხლიც ცოდვად მაგათ დაიდონ.

— ნუ გეშინიან, ღმერთი ხელს მოგიმართავს, — უთხრა მათიამ.

— იქნება ვერ მომკლან და ჩემს მოვალეობაგან სისხლი ავიღო... ო... ო... როგორ დავლევდი მაგათ სისხლს, როგორ დავეწაფებოდი!

— კარგი, ბალღო, კარგი! ბალღი ხარ, მაგრამ ვაჟკაცსავით ლაპარაკობ... კაცმა სისხლი უნდა აიღოს და მტრის მტრობით სიკვდილამდის არ უნდა გაძღეს.

— ლომისის მადლმა, ეგეთ ბალღსაც პირველად ვხედავ! — გატაცებით წამოიძახა მთიულმა.

— მაშ კარგი, — მიუბრუნდა ელგუჯა, — ჩვენთან იყავ, ორი ძმა ვართ და მესამე ძმა შენ იქნები.

ამ სიტყვების შემდეგ ისინი ისევ ჯარის თვალიერებას მოჰყვნენ და როდესაც ყოველისფერი შეიტყეს, რაც-კი მათთვის საჭირო იყო, თავიანთ ბანაკისკენ გასწიეს.

XXI

გათენდა დილა და ჯარმა მზადება დაიწყო; ისინი ეშურებოდნენ, რადგანაც ფასანაურის ვიწროები სინათლითვე უნდოდათ გაევლოთ.

ჯარის სარდალთან განუწყვეტლივ სხვადასხვა მოხელენი ბრძანების მისაღებად შედიოდ-გამოდიოდნენ. უფროსიც, ჩვეულებრივის მედიდურობით, განკარგულებას აძლევდა. ხალხს რაღაცა განსაკუთრებითი მოძრაობა ეტყობოდა; ყველას პირისახეზედ ანგარიშმიუცემელი მზრუნველობა და აღშფოთება ეწერა. მათ შორის ხმა გავრცელებულიყო, რომ მთიულებს გზები შაეკრათ და, მაშასადამე, დღეს თუ ხვალ იმათთან შეტაკება აუცილებელი ხდებოდა. ბრძოლა მით უფრო საშიშრად და ყურადღების მიქცევის ღირსად დაინახეს, როდესაც გათენებასთან ერთად იმ ადგილების მდებარეობა და სიმაგრე

თვალწინ მძლავრად წარმოუდგათ. იმათ შენიშნეს, რომ გზას აქეთ-იქით ატეხილი ხშირი უდაბნო ტყე ჰქონდა და ეს-კი მტერს ყოველსგვარს შემწეობას აღმოუჩენდა და მათგან შეუმჩნევლად ამოქმედებდა. ყველას მოაგონდა თავისი სახლკარი, მიწაწყალი, ცოლშვილი, და ოდესმე მოძულებულს გაყინულს სამშობლოს ეხლა ნათელი შუქი დასდგომოდა, ნეტარებით იხსენებდნენ. მათ აგონდებოდათ თავთავიანთი გულის სატრფო, რომელიც შორს ქვეყანაში უპატრონოდ, ვინ იცის ვის სათამაშოდ, გასახარებლად დარჩენოდათ!.. ძალიან სწუხდნენ, რომ იმათზედ ამ სამოთხის მსგავს ადგილებსაც-კი მოქმედება აღარა ჰქონდა, რადგანაც ვინ იცის ბედი ვის რას შეახვედრებდა, ვის რა რიგად გაუღიმებდა. აღარავინ იცოდა ერთი წუთის შემდეგ რა მოელოდა, რა რიგად გაუტრიალდებოდა ბედის ჩალხი და ეს უცოდინარობა ყველას გულს უწყალებდა; ყოველს ფეხის გადადგმასთან, ყოველ ნაბიჯზედ, ყოველ ხესთან, ყოველის ბუჩქის მიახლოვებასთან რუსები შეუბრალებელს სიკვდილს მოელოდნენ, რომელიც არც ჭაბუკს და არც მოხუცს არ დაინდობდა.

რისთვის შორდებოდნენ თავის სამშობლოს, რისთვის დაეკარგათ მოსვენებული ცხოვრება და რისთვის გადმოხვეწილიყვნენ ამ ადგილებში, თითონაც არ იცოდნენ. მოდიოდნენ თავდახრილები და თავიანთი მოქმედების ანგარიში ვერ მიეცათ.

დაჰკრეს ბარაბანს, ჩაჰბერეს საყვირს და იმათ უნდა დაეწყნათ აღძრული მოგონებანი, რადგანაც სარდალმა ჯარის ბანაკით აყრა ბძანა; საკრავების ხმა ჯერ არ შეწყვეტილიყო, როდესაც სვიმონ ღენერალთან მოვიდა და მისი შეჩერება კიდევ ერთხელა სცადა.

— თქვენო აღმატებულებავ! როგორც მაზრის უფროსი, ჩემს ვალათა ვრაცხ კიდევ ერთხელ გამოგიცხადოთ, რომ აქედან ჯარის დაძვრა საშიში არის.

— უბრალოდა სწუხდებით, ბატონო მაზრის უფროსო! გარწმუნებთ, რომ გზას მშვიდობიანად გავივლით და ხმის გაცემას ვერავინ გაგვიბედავს.

ღენერალს მოართვეს ჩინებული ცხენი, რომელზედაც შებრძანდა, გააკუნტრუშა და ბეგზედ გადადგა; მის წინ გაიჭიმა დარაზმული ლაშქარი.

— მშვიდობა თქვენდა! — მედიდურად დასძახებდა დოინჯშემოყრილი უფროსი და პასუხად მიიღებდა:

— ვისურვებთ მშვიდობას თქვენი აღმატებულებისათვის.

როდესაც ჯარმა გაიარა, უფროსმაც გააჩაქჩაქა ცხენი და შიგ შუა ჯარში შაერია. სალდათები მლიკროდნენ და ცდილობდნენ თავი უზრუნველს მამაცებად გაძახეჩინათ, მაგრამ ცუდი მხიარულებაა, როდესაც თავის თავს ანგარიშს ვერ აძლევ ვისის მიზეზით ეძლევი ფათერაკსა... ერთბაშად შავი ღრუბელი გამოჩნდა; ჰაერი შედგა, თითქო იმ ადგილს თავის დღეში ქარს არ გაექროლა; ჩამოცხა კიდეც. ღრუბელი თანდათან იზრდებოდა, თითქოს უხილავი ძალა ჰბერავდა; ცა ტყვიის ფრად მოიქცა. ერთბაშად დაჰქროლა ქარმა და იქაურობას კორიანტელი აადინა; ფოთლებმა შრიალი დაიწყეს, მაღალი ხეები შეირყა და თითქოს ვიღაცას ემუქრებოდნენ, თავების ქნევა დაიწყეს. ქარი ისევ ჩავარდა, ხმაურობა შესწყდა, ისევ ჩამოცხა და სულთქმა გაძნელდა. ერთბაშად იჭექა, იგრიალა და წამოვიდა ხშირი შხაპუნა, ქარიშხალში არეული წვიმა. მთებიდგან ჩამონადენი პატარა წყლები წუთზედ ნიაღვრებად გადაიქცა, ისეთს ნიაღვრებად, რომლის მომდინარეობასაც წინ ვეღარა უმაგრდებოდა-რა; ქვიშა, ქვა, უზარმაზარი ხეები ითხრებოდნენ, ძირიანად იგლიჯებოდნენ და ერთმანერთში დომხალივით არეული შეუყოვნებლივ დამაყრუებელის გრიალით თავქვე მოჰქროდნენ. ძირგამოთხრილი ბეგები წამდაუწუმ ხევებში ხრიალით ჩაწვებოდნენ და ერთი ორად ადიდებდნენ გასქელებულს და შედედებულს ქვა-ტყე არეულს ტლაპოს. ეს ჩამოდიოდა გზებზედ და ჭალებზედ და სადაც ვაკე ადგილი დახვდებოდა, იქ მაღალს გორებად აიგებოდა. წინადვე საომრად დაწყობილმა ჯარმა მოთმინება დაჰკარგა, რადგანაც ნიაღვრის გამო წალეკილს გზაზედ გაჭირვებითა ძლივსღა მიიზლაზნებოდა; ურმები, ცხენოსანნი და მოქვეითენი სულ ერთმანერთში აირივნენ; ყველა ჰყვიროდა, ყველა რიგს აძლევდა, მაგრამ რადგანაც მოთავე არა სჩანდა, გამგონიც აღარავინ იყო. ერთმანერთის სიტყვა აღარ ესმოდათ, ურმები და ცხენები მიუხედაობის გამო თონთლო მიწაში ეფლობოდნენ და მათი მშველელი კი არავინა სჩანდა. ბინდმა მოაღწია, მაგრამ იმათ რამდენიმე ვერსის გავლის მეტი ვერ მოესწროთ.

ჯარი ფასანაურის იმ ვიწროებში შევიდა, სადაც არაგვის პირზედ გაყვანილ გზას აქეთ-იქით მაღალი, დაბურვილი ტყეები მისდევდა; აქ დამალულიყვნენ მთიულები და დაუპატიჟებელს სტუმრებს მოუთმენლად მოელოდნენ.

მოწინავე ჯარმა იმ გაჭრილს კლდეს მიაღწია, სადაც ვიწრო ხეობაში, გზის გარდი-გარდმო, უხელოვნო, მაგრამ მკვიდრი კედელი დაინახეს; ხეები და ფიჩხები, რომელთაც ქვა და მიწა ჰქონდათ დაყრილი, გასასვლელს გზასა ღობავდა და მიმავალთ გზას უკრავდა. მაგრამ, როგორც ეტყობოდა, ეს შენობა საჩქაროდ იყო აგებული და მის გამკეთებლებს უფრო სიმკვიდრეზე ეფიქრათ, ვიდრე მის ლაზათსა და შნოზედა. ადგილ-ადგილ ხეებსა და ფიჩხებს უსწორმასწოროდ თავები გამოეყოთ და მიდგომას მით უფრო აძნელებდნენ. კედელზედ ვიღაცა მთიული, გაშიშვლებულის თოფით დადიოდა და განუწყვეტლივ გზას გამოჰყურებდა; აშკარადა სჩანდა, რომ ვიღაცას მოელოდა; რაწამს კაცმა მომავალს ჯარს თვალი შეჰკრა, მაშინვე თოფი ჰაერში გაისროლა და დაიძახა:

— მტრები მოდიან, ვაჟებო! მტრები!

ამ ძახილთან ერთად მთიულთა ურიცხვთა გუნდმა კედელის იქიდგან თავები ამოყვეს, თოფები გადმოიშვირეს და მიმავალს ჯარს ლოდინი დაუწყეს. სანგლის დამცველები მოემზადნენ, რომ სროლით მიეღოთ ძალისძალ მომავალი ჯარი და მათს მიახლოვებას უცდიდნენ... სალდათებმა ხალხი დაინახეს, შესდგნენ და გაკვირვებით ლაპარაკი დაიწყეს. სანგალზედ ერთი მოხუცი გადმოდგა და მაღალის ხმით დაიძახა:

— ჩვენ, მთიულებმა, გადავწყვიტეთ, რომ გზები შეგიკრათ და აგრეც მოვიქეცით. უკან გაბრუნებაც რომ გინდოდესთ, კეღარ გახვალთ, რადგანაც იქიდგანაც სანგლები გაგიკეთეთ... თუ გონსა ხართ, დაგვმორჩილდით, თორემ, ღვთის მადლმა, აქედგან ცოცხალი ვერავინ გავა.

ამ ჯარში უფროსად მყოფი აფიცერი მთიულის სიტყვებზედ აირია და კარგა ხანი მოუნდა, სანამ პასუხს მოახერხებდა. ბოლოს, როგორც იყო, თოლმაჯის შემწეობით შეატყობინა, რომ მთელი ჯარის უფროსად ღენერალი არის დანიშნული და იმის შეუტყობინებლად პასუხის მიცემა არ შეეძლო.

— მაშ წადი და იმას შეატყობინე, — უთხრა მთიულმა.

აფიცერმა ჯარი შეაყენა და თითონ ღენერალისკენ გაჰკურცხლა. სარდალი ცუდს გუნებაზედ იყო, რადგანაც ავდარს საკმაოდ შაეწუხებინა და ვისაც-კი თვალს შეჰკრავდა, ჯავრს იმაზედ ყრილობდა.

— თქვენო აღმატებულებავ! მთიულებს გზა შეუკრავსთ... გაყლა შეუძლებელია... იძულებული შევიქენ ჯარი შემეყენებინა... — მისვლის უმალ მოახსენა აფიცერმა.

— რაო? — თვალები დაუბრიალა უფროსმა. — დამთვრალხართ და მთიულები მოგჩვენებიათ.

— არა, თქვენო აღმატებულებავ! ეს არის ეხლა იქიდგან გიახლებით... სანგლები გაუკეთებიათ და ხალხი მთლად შეიარაღებულია.

— შეიარაღებულიო?.. ჰა, ჰა, ჰა! — დასცინა ჯარის მოთავემ და დაუმატა: — გეუბნებით, დამთვრალხართ და მთიულები მოგლანდებიათ-მეთქი... ქართველებს იარაღი ვინ მისცა, რომ მაგ სისულელით მაწუხებთ?

— მოგახსენებთ, რომ შეიარაღებულები გახლავან-მეთქი და ხალხიც ბლომად არის.

— მე-კი გეუბნები, შიშის გამო მოგჩვენებიათ და გაუგებლობის გამო-კი გიბრძანებთ ეხლავ მორიგ აფიცერთან წახვიდე, მისცე თქვენი ხმალი და შეატყობინო, რომ სამს დღეს გატუსაღებთ.

— თქვენი ნება გახლდესთ, თქვენო აღმატებულებავ! — შუბლთან ხელის მიტანით თავი დაუკრა აფიცერმა.

— მეომარს ლაჩრობა არ შეშვენის, ბატონო აფიცერო! გესმისთ?.. თქვენ შემთხვევა გეძლევათ, რომ თავი გამოიჩინოთ ვაჟკაცობით და მამაცობის სახელი დაიმსახუროთ... და თქვენ-კი ამგვარის შემთხვევის დროს სიხარულის მაგივრად გული გაგხეთქიათ!.. მიკვირს თქვენი საქციელი... ორიოდ თავზედ ხელაღებული მთელს ლაშქრად მოგჩვენებიათ და მზადა ხართ მათ წინ იარაღი დაჰყაროთ! წადით, ეხლა მიპატიებია და შემდეგში-კი გაფრთხილდი, თორემ კავკასიაში ჩინების მიღების მაგივრად ეგ პაგონებიც აგეყრება და ცარიელი დამრჩები. გასწიე ეხლავ, ეხლავ მიხედე შენს ჯარს და თუ მართლა რამდენიმე თავზედ ხელაღებულს მთიულს წინ გადადგომა გაუბედნია, მათრახებით ტყავი გააძერი... მხოლოდ არ დაგავიწყ-

დეს: ბრძოლაში, თუნდა ეს საჭიროც არ იყოს, ცხენოსნებმაც და არტილერიამაც მონაწილეობა უნდა მიიღოს... შემდეგში... რაპორტში მოსახსენებლად გამოგვადგება... დღევანდელი დღისთვის ჯილდო ყველამ უნდა მიიღოს... გასწით და მტკიცედ აასრულეთ ჩემი ბრძანება.

აფიცერმა თავი დაუკრა, გატრიალდა და ბრძანების აღსრულებას დაჩვეულმა თავის ჯარისკენ გასწია. თუმცა ის მიდიოდა დარწმუნებული, რომ ბრძანების მიცემა უფრო ადვილი იყო, ვიდრე მისი აღსრულება, მაგრამ რა ექნა? სამხედრო წოდების დისციპლინა მას ვალადა ზდებდა.

როდესაც თავის ჯარში მივიდა, მან ღენერლის ბრძანებისა თანახმად შესძახა:

— გასწორდით, მოემზადეთ, გასწით! — მომზადებული სალდათებიც დამორჩილდნენ.

ამ მოძრაობამ მთიულები გააკვირვა, რადგანაც რუსების მოქმედება სიგიჟეთ მიაჩნდათ და სანგლების აღების შეუძლებლობას აშკარად ხედავდნენ.

— გაგიჟდნენ თუ რაი მოუვიდათ? — მთიულებმა ერთმანერთს შეხედეს და გაშტერებული კითხულობდნენ: — სად მოეხირებიან?!

— ახალეთ, ახალეთ, ვაჟებო! რაღას უყურებთ, მაგ ძაღლებს! — დასძახა მთიულთ მოთავემ და ერთად გაცვინულის თოფების გრიალმა ჰაერი შეარყია.

შეთხელდა მოწინავე რაზმი და აირია. ოცამდის კაცი თითქოს მანქანებით მიწაზედ წაწვა. მოისმა ყიჟინა და შეფერხებულმა რუსებმა ისევ წინისაკენ გაიწიეს, მაგრამ პირველმა სროლამ რაზმი სრულიად არია და სალდათებს ჯერ თავშესაფარი ადგილები მოაძებნინა, მერე უკუქცევაც აკადრებინა; ისინი გარბოდნენ გულგახეთქილები, იარაღს გზაში ყრიდნენ, რათა ცოტათიც არის შემსუბუქებულიყვნენ, მაგრამ გაბრუნებამაც ვეღარ უშველა: მათ ტყეში შეფარებულ მთიულების სროლა სდევნიდა და შეუბრალებელი ტყვია რუსებს ხან აქ წააჩოქებდა და ხან იქ.

გაცხარებულმა სროლამ იმ ადგილსაც მიაღწია, სადაც ღენერალი იყო; იქაც გაიმართა თოფების ტკაცა-ტკუცი და მხოლოდ ეხლა დარწმუნდა ჯარის უფროსი, რომ ქართველებს

იარაღი ჰქონიათ, რადგანაც მის გარშემო ტყვიებმა ზუზუნი დაიწყეს და ურიცხვი ხალხი ფართხალით სულსა ლევდა.

— ეშმაკები, ქაჯები!.. სულ გაგვწყვეტენ ეგ შეჩვენებულები, — იძახდა გაფითრებული ღენერალი და საჩქაროდ უმატებდა: — ჯარი უკან დაბრუნდეს, უკან!..

ამ სიტყვებთან ერთად თითონაც გამოაბრუნა ცხენი და უკან გაჰქუსლა; მას გაჰყვა რამდენიმე ცხენოსანი და უპატრონოდ დარჩენილი ჯარი-კი მეტად აირია. ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ უფროსებს გადარჩენის იმედი ეძლეოდათ. როდესაც ერთ ხევს მიაღწიეს, გახარებულებმა ცხენებს შეუტიეს: ჰფიქრობდნენ, ბეგს გადაეფარებოდნენ და ტყვიებისაგან თავს დაიფარავდნენ, მაგრამ, მიახლოების უმალ, სწორედ იმ ბეგს იქიდგან რამდენიმე თოფი გამოვარდა და ღენერალს გვერდიდგან ორი ამხანაგი მოუსხლიტა. უფროსმა ცხენს ჯილავი მოსწია და მთლად გაფითრდა.

— აქაც გზა შეუკრავსთ მაგ უღმერთოებს! — ცხენის გამობრუნებასთან ერთად წამოიძახა იმან და იქ მყოფებს მიუბრუნდა: — ღვთის გულისათვის, გვიშველეთ რამე! — მაგრამ ვინ რას უშველიდა, როდესაც ყველას თავთავის თავი გასჭირებოდა და თავის სიცოცხლეზედ ზრუნვას შედგომოდა.

სარდალი აშკარად დარწმუნდა, რომ ბრიყვს და გაუთლელს ქართველებს, — როგორც იმ ხანში კავკასიის აქეთა მხარის მცხოვრებლებს ეძახდნენ, — ძალიან კარგათა სცოდნიათ შემთხვევით სარგებლობა, ჩინებული იარაღი ჰქონიათ და სანაქებოდ სცოდნიათ მათი ხმარება. სარდალს მოაგონდა სვიმონი და მწარედ ამოიოხრა.

ღამე თანდათან ახლოვდებოდა, იქაურობას შავს სუდარასავით სიბნელე ეხურებოდა, მწუხრად იბურებოდა, და თუმცა ხალხი ერთმანერთს ვეღარა ხედავდა, მაგრამ თოფის ხმა მაინც არა სწყდებოდა და მასთან ერთად გამოიძახებოდა უსიამოვნო ალი.

თოფის სროლა შესწყდა და მოქანცულმა ხალხმაც შეიქაქანა, რადგანაც თვალი ვეღარ არჩევდა და ტყვია თავის დანიშნულებას ვეღარ აღსრულებდა. იშვიათად თუ სადმე გაიელვებდა თოფი, რომ უბედურს მტერს შეხვედრილ კაცისთვის სიცოცხლე გაეჭრო. მხოლოდ ერთს ადგილს, პატარა ვაკე მინ-

დორზედ, რამდენიმე კაცი შეჯგუფებულიყო და ხელჩართული გაემართათ. ეს გახლდათ ელგუჯა თავის ამხანაგებით, რომელნიც ბრძოლის ჟინს მეტად გაეტაცნათ და მტერზედ ჯავრის ამოყრა სალაღობო მეჯლისად გადაჰქცეოდათ. იმათ რუსთა საერთო გუნდიდგან რაოდენიმე ნაწილი მოეწყვიტათ და დამთვრალს ვეშაპებსავით დარეოდნენ.

ისინი გამგელებულსაკით იბრძოდნენ, აჩვენებდნენ თავიანთის მკლავის ძალას, ხმლის მჭრელობას და, თუ პირველისავე დაკვრით მიწასთან ვერ გაასწორებდნენ, სამუდამოდ დასახსომებელს ნიშანს მაინც დაადებდნენ. იქავ ტრიალებდა უცნობი პატარა ბიჭიც, რომელიც ელგუჯას და მათიას ქვეშეს შეხვდა და, რაც-კი შეეძლო, თავგანწირვით იბრძოდა. მაგრამ ეს ბიჭი ერთბაშად შესდგა, სიმწარით დაიკივლა, გააღრჭიალა კბილები და სალდათის შუბით გულგანგმირული ძირს დაეცა. გამხეცებული სალდათი შეუბრალებელის ხარხარით გაექანა და გამწვეტებულის შუბით მიწაზედ მილურსმას უპირებდა, მაგრამ იელვა ელგუჯას ხმალმა და უღმერთო რუსი მხარ-იღლივ გადასხიპა. წაქცეულს ბავშვს მათიამ თვალი შეჰკრა, ცალის ხელით ბურთსავით აიტაცა, მეორეში ხმალი მოიმარჯვა და უნდოდა ბრძოლის ველიდგან გაეყვანა. ვიღაცა რუსი წინ გადაუდგა, მაგრამ ის ვეფხვსავით გაქანდა გზაზედ გადამღობისაკენ და, ვიდრე ელგუჯა მიეშველებოდა, თავგაჩეხილს სალდათს მიწაზედ ფართხალი დააწყებინა. კიდევ რამდენჯერმე ხმლის მოქნევა, ამხანაგებმა გზა გაიპეს და ტყეში შევიდნენ.

იმათ დაანთეს ცეცხლი და დაიწყეს იარების ბანა და შეხვევა. იქავ აწეწილს თივაზედ დააწვინეს პატარა ბიჭიც, რომელსაც მათია და ელგუჯა ჭრილობას უხვევდნენ, მაგრამ სისხლი ვერ შაეწყვიტათ. ბიჭი ჯერ კიდევ ჰფეთქავდა და რუსის შუბით ჩანგრეულს მკერდზედ ხელს იდებდა. ბოლოს მიყუჩდა და მიილუშა; ტკივილებმა თითქოს გადუარა და თვალები აახილა, გრძნობას მოვიდა და ამხანაგებს საცოდავად შახედა. ის დააშტერდა მათიას, რომელიც მის გვერდით დაჩოქილი ღ. დაღონებული იდგა.

— თვალები გაახილა! — სიხარულით წარმოსთქვა მათიამ.

— მათიაუ, გადარჩი? — დაიკვნესა ბიჭმა და ქშენით და

ღიმილით დაუმატა: — მადლი უფალს, რომ თქვენ მაინც ცოცხლები ხართ.

— ბეჩაო, ჩემო თაო! შენ რაიღა გიჭირს? — ანუგეშა ელგუჯამ, მაგრამ თვალი-კი მოარიდა.

— არც-რა, — ოხვრით წარმოსთქვა ბიჭმა. — რაი უნდა მიჭირდეს?.. მოვკვდები და ყველა გათავდების.

— სუ-ღა, ჩე! ნახავ, როგორ მალე მორჩები, — წარმოსთქვა მათიამ.

დაჭრილმა შეხედა, გაიღიმა და ქშენას მოუმატა.

— აქ მოდი, მათიაუ!.. — მიხრწნილის ხმით წარმოსთქვა იმან. — ხელი მომეც... აღარ მოვრჩები, აღარ... — მწუხარებით დაუმატა იმან და მთიულისკენ ხელი გაიშვირა. — მშვიდობით, მათიაუ, მშვიდობით, ელგუჯავ, შენცა... უფალმა გახაროსთ...

— რას უბნობ, რაი მოგსვლია?.. შენს მეტი დაჭრილი აღარავინ ყოფილა, თუ რაი ამბავია?

ბიჭმა შეხედა, თვალები გაუშტერა და ცრემლები გადმოეღინა.

— არა, აღარ მოვრჩები!.. ან რაის მაქნისია სიცოცხლე?..— იმედგადაწყვეტით წარმოსთქვა იმან და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — ვერ მიცან?.. მე... მე ჯაჯალაი ვარ.

— ჯაჯალა?! — გაკვირვებით წამოიძახეს ორთავ ამხანაგებმა, რომელთაც აქამდის დრო არ მისცემოდათ პატარა ბიჭს დაჰკვირვებოდნენ.

— მათიაუ!.. შენთან ცხოვრება არ ხდებოდა და უშენოდ სიცოცხლე-კი არ შემეძლო... არ შემეძლო და... აჰა, ვკვდები... მე შენ მიყვარდი და შენ-კი ცხო... საით-ღა მეცოცხლა? — ამ სიტყვებმა ორივ ამხანაგი იქამდის გააშტერა, რომ პასუხი ვეღარ მოეხერხებინათ და პირგამშრალი გაუნძრევლად იდგნენ.

— მშვიდობით, მათიაუ!.. მშვიდობით, ელგუჯავ, მზაღო... მზაღო მომიკითხე... უთხროდე, მომიგონოდეს... ღვთის მადლმა, ისიც ძალზედ მიყორდა... — ქალი მიილუშა, თვალები დახუჭა და გაჩუმდა. მერე ერთბაშად შეკრთა, გაიბრძოლა და წამოიწია, შეხედა მათიას და თვალი გაუშტერა.

— ბეჩაუ! ერთაი, ერთაი მაინც მაკოცე... მომასვენე... — გაწყალა ქალმა ხელები და გახურებულს ტუჩებთან მიიკრა მთი-

ულის ცრემლით დალორთხილი სახე, მაგრამ წადილი ვეღარ შეუსრულდა. ქალმა დაიხრიალა, ხელები ჩამოუცვივდა და კოცნისთვის მომზადებული ტუჩები ჰაერში ოდნავ-ღა შეინძრა, წუთიც და გაღიმებულს სახეს სიკვდილმა მოასწრო და ისე გაყინა.

სწორედ ამავე დროს რუსების ბანაკიც თითქმის აღწერილის სურათის მსზგავს მდგომარეობაში იყო. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ დაკოდილთა ხელები ამაოდ აღიპყრობოდა ზეცისკენ, შველას ამაოდ ითხოვდა, რადგანაც მათი მზრუნველი არსადა სჩანდა, მშობლიური ხელი თვალს არ უხუჭავდა.

თვით ღენერალს მოენახა უშიშარი ადგილი, იქ ჩამომხტარიყო და იქვე მიეწვია ვისაც-კი რომელიმე რჩევის მიცემა შეეძლო. გულგახეთქილი ყველას ეხვეწებოდა ჯარი განსაცდელიდგან დაეხსნა და მისთვის ღირსეული ჯილდო მიეღო. მთიულებმა დაუმტკიცეს, რომ რუსების დასახვედრად თოფებიც საკმაო ჰქონდათ და სალდათებზედ უკეთაც სცოდნოდათ მათი ხმარება. როდესაც ღენერალს ძალა დაადგა, ნება უნებლიე ქართველების შესახებ აზრი უნდა გამოეცვალა.

— რატომ სვიმონს არ გაუგონე, რატომ? — ვინ იცის მერამდენედ იძახდა სარდალი და უნუგეშოდ იგლეჯდა ჭოჩორს, მაგრამ უბრალო „ვიში“ საქმეს ვერა შველოდა. მთიულებს გზა ისე მაგრად შეეკრათ, რომ ჯარს აღარც წინ წასვლის, აღარც უკან დაბრუნების საშუალება აღარა ჰქონდათ და თუ თავიანთი გაჟუჟვა არ უნდოდათ, გაუნძრევლად უნდა დარჩენილიყვნენ.

— რა ვქნათ, რა? — დაფანტვით კითხულობდა და თავს ჩაჰკიდებდა.

— რა მოგახსენოთ! — მხლებელნი ერთხმად მისცემდნენ პასუხსა და ისინიც თავს ჩაჰკიდებდნენ.

— ასე დარჩენაც შეუძლებელია, — ჩაურთო ვიღაცა აფიცერმა. — შიმშილით გავწყდებით, სხვა რომ არა იყოს რა.

— მაზრის უფროსი მაინც აქა ყოფილიყო! — ინატრა ჯარის უფროსმა.

— ბრძოლა ძალიან გაგვიჭირდება, — დაუმატა მეორემ.

— დიახ რო გაგვიჭირდება... ნახე როგორ იბრძოდნენ? — მიუგო მესამემ.

— ეგენი კაცები-კი არა, ნამდვილი ქაჯები ყოფილან, ქაჯები!

— სწორეთ, მართალსა ბძანებთ.

აფიცრები ერთმანერთში ლაპარაკობდნენ, როდესაც ერთი ხანშიშესული წინ წადგა და ღენერალს მოახსენა:

— თქვენო აღმატებულებავ! აბა ერთი თარჯიმანს დაუძახეთ. ის აქაურია და იქნება რჩევა რამ მოგვცეს.

— სულ არ გადამავიწყდა! — უფროსმა შუბლში ხელი შემოიკრა და სიხარულით წამოიძახა: — მომიყვანეთ თარჯიმანი, ჩქარა მომიყვანეთ!

ბრძანება სწრაფად შეასრულეს და მათ წინ გულასპასშვილი, რომელსაც ამჟამად გაჭირვებიდგან დამხსნელს ანგელოზად უყურებდნენ, მოიყვანეს და გარს შემოეხვივნენ.

ყველამ დაუწყო ხვეწნა და მუდარა, რომ ჯარის გაჭირვება სვიმონისათკის როგორმე შეეტყობინა და ამოდენა ხალხი განსაცდელისაგან დაეხსნა, თვით გაამპარტავნებული ღენერალი დღეს დამდაბლებულიყო და თავმოკატუნებული ეუბნებოდა:

— ჩემო მეგობარო! ოღონდ ამ დღიდგან დაგვიხსენ და გაგამდიდრებ, გაგაბედნიერებ.

თარჯიმანმა მთიულების აზრი იცოდა და დარწმუნებული იყო, რომ თუ რუსები თავიანთ ქერქში დადგებოდნენ, ხალხიც ომს შესწყვეტამდა, მაგრამ მაინც საჭიროდ დაინახა ეთქვა:

— სვიმონ ჭკვიანი კაცია, რაისთვის არ დაუჯერეთ?

— ახ, ღმერთო ჩემო! რა ვიცოდი, რომ ასეთი საქმე დაგვემართებოდა?

— მაშ რაი გეგონა?.. ჩვენი კაცები ქუდების მაგიერ მანდილს თუ ატარებდნენ?.. მაგრამ რაიც მოხდა, მოხდა... რასაც აღარა ეშველების, იმას თავი დავანებოთ... მე წავალ, ვეცდები... მხოლოდ სანამ დავბრუნდებოდე, ადგილიდან არ დაიძრათ, თორემ, ღვთის მადლმა, ცოცხალს ბღავანსაც ვერ გაიყვანთ.

ამ სიტყვებით მოახტა ცხენს და ქვეშესკენ გაემართა; ღენერალმა-კი რამდენჯერმე პირჯვარი გადიწერა და ხატებს მანეთიანი კელეპტრები აღუთქვა, ოღონდაც არის მშვიდობით გადარჩენილიყო.

XXII

საკმაოდ მოთენდა, როდესაც რუსებისაგან სვიმონთან გაგზავნილმა კაცმა იმ ადგილს მიაღწია, სადაც მთიულებს გზები ზემოდგანაც შაეკრათ და მტერს ფხიზლად ჰყარაულობდნენ.

გაგზავნილი ისე პირდაპირ, მოურიდებლად მიდიოდა, თითქოს იმ ადგილებში არავითარი არეულობა არ მომხდარიყო და სრული მშვიდობიანობა სუფევდა. მგზავრი შევიდა იმ ადგილას, სადაც თხილის ტყის ხშირფოთლიანი ტოტები გზაზედ გადმოზნექილიყვნენ და ერთმანერთში გახლართულებს ფერხული დაებათ, ცოცხალი სასიამოვნო თაღი შაეკრათ.

გზა სიარულის გამო რაოდენადმე დალეულიყო და თავის ნაპირებზე დაბლა ჩასულს სიღრმავე შაედგინა; ამის გამო აქეთ-იქით მაღალი ბეგები კედლებივით ამოსულიყვნენ და მოსიარულეთათვის გზასა და ხეებს შუა საკმაო ვანძილს სტოვებდნენ. ხეებს შუა გახლართულიყო სვია და სხვა მხვევი მცენარენი; იმათ ძირიდგანვე წკვერტად მოყვანილი ხშირი ფოთლები მიზდევდნენ და მგზავრს ზაფხულობით საკმაოდ უჩრდილებდნენ და უგრილებდნენ, მხოლოდ ზამთრობით იფარავდნენ ძრიელის ქარიშხლისაგან და ჩუმქრისაგან.

გარშემო სრული მყუდროება სუფევდა. მხოლოდ მგზავრის ცხენის ფეხის ხმა არღვევდა სიჩუმეს. ესეც რომ არ ყოფილიყო, კაცს უდაბურ ადგილად მიაჩნდებოდა.

ერთბაშად შეიძრა ფოთლები, გაშრიალდა და მგზავრმა იგრძნო, რომ ვიღაცამ კისერში ძლიერი ხელი წაავლო; მაგრად დაუჭირა და მკაცრად უთხრა:

— ვინა ხარ?

— შუაკაცი, — დამშვიდებით უპასუხა მიმავალმა და დაუმატა: — კისერი-კი გაუშვი, თორემ ხუმრობა არ გცოდნია.

— სტყუი! — მკაცრად გააწყვეტინა უცნობმა, საყელო მოზიდა და ცხენიდან გადმოაგდო. ამავე წუთს რამდენიმე შეიარაღებული მთიული დაჭერილს გარს შემოერტყნენ და თოფები მიუშვირეს.

— თქვენს მოთავესთან მიმიყვანეთ და მაშინ გაიგებთ, გატყუებთ თუ არა.

— იარე, მაგრამ გაფრთხილდი-კია, რომ მზის სხივით უკა-

ნასკნელად არ სტკბებოდე. — ისინი გაბრუნდნენ, მგზავრს გარშემო შემოუდგნენ და ამგვარად მოთავესთან მიიყვანეს. რამდენიმე კითხვის შემდეგ სვიმონთან მიმავალს თავისუფალი გზა მისცეს და იმასაც აღარ დაუგვიანია.

შუაკაცი ამხედრდა, მაგრამ დიდხანს სიარული-კი არ მოუნდა, რადგანაც, რა წამს ხალხის მმართველს მთიულების და რუსების შეტაკება გაეგო, მაშინვე მათკენ გამომგზავრებულიყო და შუაკაცი გზაში შეხვდა და შორიდგანვე დაუძახა:

— არიქა, შენი კვნესა-მე! რუსები ჩახოცეს.

— მაშ ჩხუბი მოხდა? — ცხენის შეყენებით იკითხა უფროსმა.

— სისხლის ღვარი ადინეს, შენი კვნესა-მე!.. ეგრე გაუხადეს საქმე, რომ ვერც წინ და ვერც უკან ველარ განძრეულან... ვერა, აგრემც შემეწევა ლომისა.

— უფროსი რაღასა შვრება? — იკითხა სვიმონმა და ცხენი გაატარა.

— რას შვრება?.. ჯერ იბერებოდა და ეხლა კი მოკუნტული, წნორის ფურცელსავით ცახცახებს... წარმოსთქვა მოსულმა და დაუმატა: — კვეხნა საქმეზედ მარჯვე ყოფილა, შენი კვნესა-მე!

— ღმერთო!.. რა კაცებს აბარებენ ხალხის ბედსა და ქვეყნის მართვას?! — უკმაყოფილოდ წარმოსთქვა მმართველმა და დაუმატა: — არ გაიგონა ჩემი და ეხლა რაღა უნდა უშველო?.. ბევრნი დაიხოცნენ?

— ბევრნი, შენი კვნესა-მე, ბევრნი! გზაზედ მკვდრები ქვიშასავით ყრია.

— კიდევ სისხლი... უბრალოდ დაღვრილი სისხლი!.. სწორედ მაგას ვერიდებოდი და არ აგვცდა... რაი უნდა ქნან მართო ბედშავმა მთიულ-მოხევეებმა?.. რაი გაუვათ? მარტო ეგენი სწყდებიან და ქართლი კი ისე გაჩუმებულა, თითქოს დასძინებიაო!.. — მწარედ წარმოსთქვა სვიმონმა და ცხენს მათრახი გაუქნია, თითქოს ჯავრის ამოყრა იმაზედ უნდოდა.

ისინი მიეშურებოდნენ რუსების ბანაკისაკენ; დაღონებული მოსაუბრე თანამგზავრს ომის დაწვრილებულს ამბავს ჰკითხავდა. ბოლოს მიაღწიეს იმ ადგილს, სადაც მთიულთ ყარაულები იდგნენ და სვიმონთან გაგზავნილი კაცი ამ რამდენიმე საათის წინ ისე მკაცრად მიეღოთ.

ყარაულებმა თავიანთი მმართველი იცნეს, მოეგებნენ და მისალმების შემდეგ უფროსებთან წაიყვანეს.

— ცოტებს გამარჯვება! — მიესალმა სვიმონი მისვლის უმალ.

— უფალმა გადღეგრძელოს, — ერთხმად უპასუხეს ერთად შეყრილ თემის თავებმა.

სვიმონ ჩამოხტა ცხენიდგან, მივიდა ხალხთან და პირდაპირ დაიწყო:

— თქვენ დამპირდით, რომ სანამ გაგზავნილი კაცები ქართლიდგან არ დაბრუნდებოდნენ, ხელს არ გავანძრევთო... მთიულებს დღემდის სიტყვაცა და საქმეც ერთი ჰქონიათ, დღეს პირი რაისთვიღა გატეხეთ; რაისთვის არ შეასრულეთ დაპირება?

— რა ვქნათ, შენი კვნესა-მე? ნების-ნებად ჩვენც არ გვინდოდა, მაგრამ გავლა ძალად უნდოდათ და რაიღა გვექნა?.. იარაღის მეტი რაი შეაყენებდა?..

— ახლა საქმეს როგორ-ღა უშველოთ?.. ხალხი ხალხად გაწყდა და რუსებიც უსარგებლოდ გადავიმტერეთ.

— მოკეთენი როდის იყვნენ, ბატონო? — უპასუხა რამდენიმე კაცმა და შემდეგ ერთმა დაუმატა:

— უსარგებლოდ რაისთვი... მაგათ ეგონათ, რომ მანდილები გვხურამს და ჩვენ კი ქუდოსნებად დავხვდით... აქეთ რომ მოდიოდნენ, გული გალაღებული ჰქონდათ და კაცად არ გვაგდებდნენ, ეხლა გაფრთხილდებიან მაინც... კაცად ჩაგვაგდებენ... თორემ თემის ეგრე დაჩოლფოტებაც ხომ არ იქნება?.. ჩვენც ღვთის გაჩენილები ვართ, პირჯვარს მარჯვენა ხელით ვიწერთ.

— მართალია, მაგრამ სანამ მტერს ძალა აქვს, უბრალოდ გაბრაზება არ უნდა... — მიუგო სვიმონმა.

— ამაზედ მეტს რაღას გვიზამენ, შენი კვნესა-მე, ბატონო?.. დანა და ყელი ერთად-კი გვაქვს მიტანილი და...

— ეგ სალაპარაკო არ არის... ვაჟკაცს მოთმინება უნდა ჰქონდეს და დროს მოლოდინი იცოდეს... აგერ! უდროოდ საქმის დაწყობამ ქართლში რაი მოახდინა? ვინც განდეგილი იყო, დაუჭერიათ, და საწყალის ჭომაგი კი აღარავინ არის... არა,

რუსებს უნდა შეურიგდეთ როგორმე, თორემ საქმე გაჭირდება.

— არა, შენი კვნესა-მე, ბატონო!.. ღვთის სიტყვასა ბძანებ, მაგრამა სანამ ქართლიდგან გაგზავნილები არ მოგვივლენ და დაწვრილებულს ამბავს არ შეგვატყობინებენ, შერიგებაც არ იქნების.

ამ ლაპარაკის დროს ხალხში ერთი მთიული შემოერია, შემოვიდა წრის შუა და თავი ჩაჰკიდა. მისი დაღალვა, აჩქარებული ქშენა და არეული პირისახე აშკარად ამტკიცებდა, რომ მეტად ჩქარა ეარა და რაღაცა საშური, საჭირო საქმე უნდა ჰქონოდა.

— მეთაურნი სად არიან? — ბოლოს იკითხა იმან.

— აქა ვართ, რაი გინდა?

— აბდიამ გამომგზავნა...

— რაი ამბავია?

— ქალაქში გაგზავნილი კაცები დაბრუნდნენო...

— დაბრუნდნენო? — ერთბაშად იკითხა ყველამ და მოსულს გარს შემოეხვივნენ.

— რაი ამბავი მოგვიტანეს, რაი ამბავი?.. სთქვი ჩქარა!

— საქართველო დამშვიდებული არისო... — მგლოვიარეს ხმით წამოიძახა იმან, მოიგლიჯა ქუდი და მწარედ ჩაჰკიდა თავი.

ამ სიტყვებმა ელვასავით გაირბინა; ყველანი და ყოველისფერი გაჩუმდა. ყველას ერთბაშად ხმა ჩაუწყდა და ზედვე იმ ადგილზედ გაშეშდა, რომელზედაც მთიულის სიტყვებმა მოასწრო. ამ სამარის მსზგავს სიჩუმეში დარჩნენ და პირგამშრალებს სიტყვა ვეღარ მოეხერხებინათ. მოსულს ესმოდა თავის მდგომარეობა, ესმოდა, რომ მისგან მოტანილს ამბავს წყევლითა და ქოლვით მიიღებდნენ და ლაპარაკის გაგრძელება ვეღარ მოეხერხებინა. ყველას მძიმე ლოდად დააწვათ ეს ხმა და თავს დაცემულმა ზარმა ფეხებამდის გაუარა. ქალაქი, მათი იმედი ქალაქი, საქართველოს მოთავე ქალაქი ამისთანა დროს გაჩუმებულიყო, დადუმებულიყო და იმათ რაღა უნდა ექნათ, რაღა შეეძლოთ?

— ვოჟებო!.. დასაკლავს ხარს რაიღა ყურება უნდა?.. გვი-

ამბოს, რაიც უნდა გადაგვხდეს და გაათაოს! — ბოლოს წარმოსთქვა ერთმა.

— ჰაი, ჰაი, რო უნდა გვიამბოს, — სხვებმაც ხმა მისცეს და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ახლადმოსულმა ქუდი და ჯოხი დედამიწაზედ დაყარა, ცალ მუხლზედ დაიჩოქა და დაიწყო:

— იულონს და ფარნავაზ ბატონიშვილებს ცოტა რაიმე ხალხი მისდგომოდა, იმათ აელოთ თავზედ რუსების გარეკა... მაგრამ ამ ცის ჩამონგრევის დროს რაი ერთობა ექნებოდათ?.. ისინიც ერთურთს სჭამდნენ და გლეჯდნენ თურმე ამ უკანასკნელ დროს, იმერეთისკენ ყოფილიყვნენ, იულონ იქ დაუჭერიათ და ფარნავაზი კი გაქცეულა სადმე... დანარჩენი ქართველები კი ჯერაც გონს ვერ მოსულანო და ვერ გაუგიათ, საიდგან რაი მოსდითო... ყველანი გაჩუმებული და მიყუჩებული არიანო... აბდიამ შემოგითვალათ: ეხლა აღარა გარიგდება-რაო, დაიშალენით და რუსებს გზა მიეცითო...

— ქალაქი, ქალაქი რაიღას შვრება?.. ისიც ჩუმად არისო?

— რაიღას შვრება? — მწარის ღიმილით წარმოსთქვა მთიულმა. — რუსები მშვიდობიანად მიიღო და იმათ „რაი, რაი რატატაის“ შესცქერისო!

სანამ ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, გაჩუმებულს სვიმონს ფერი მიხდოდა და ყურს უგდებდა. კაცი ძნელად მიხვდებოდა იმის პირისახეზედ, ახარებდა ეს ხმა, როგორც რუსეთის ერთს მოსამსახურეს, თუ სხვა რამ გრძნობა ამღელვარებდა

— სხვა რაი-ღა დაგაბარა აბდიამ? — ჰკითხა ბოლოს სვიმონმა და ხმამ კანკალი დაუწყო.

— რაიღა უნდა დაებარებინა?.. დაიშალენით და თქვენ თქვენს კერას მიხედეთო.

— ვოჟებო! მაი, მეთაურნი აბდიასთან ავიდეთ და ყველაფერი ბეჯითად შევიტყოთ; უმაგისოდ დაშლა არ იქმნება, — წარმოსთქვა ერთმა უფროსთაგანმა.

— ავიდეთ, ავიდეთ! — მისცეს ხმა სხვებმა, რადგანაც დაშლა არ უნდოდათ და აბდიასთან ასვლით ეგონათ საქმე გაურიგდებოდათ რამე.

იმათი მდგომარეობა სწორედ ისეთი იყო, როგორც წყალწაღებულისა, რომელიც ხავსს ეკიდება და შველას მისგან მოელის.

— მეთაურნო! — დაიწყო ისევ სვიმონმა, — წადით აბდიასთან... კარგად მოიფიქრეთ, მოილაპარაკეთ!.. აბდია გონიერია, ურიგოდ არ დაგარიგებსთ... წადით და უთხარით, რომ მე რუსების ჯარში წავედ და სანამ არ ამოვიდე, არავითარი გადაწყვეტილება არ მოახდინო-თქო... ნურც ხალხი დაიშლება და ნურც ჩხუბს ასტეხამ-თქო.

— კარგი იქნება, შენი კვნესა-მე.

სვიმონი ცხენზედ შეჯდა და რუსების ბანაკისაკენ გასწია. რაწამს ჯარის უფროსმა მაზრის მმართველის მისვლა გაიგო, გახარებული გამოექანა, და ვისაც ამ რამოდენიმე საათის წინ რიგიანის პასუხის ღირსადაც არა ხდიდა, ეხლა თითქმის ფეხებ ქვეშ ჩაუვარდა და დამცირებულად ელაქუცებოდა.

— ახ, ბატონო სვიმონ! — ეუბნებოდა მათი აღმატებულება. — თქვენი მობრძანება, თქვენი გარჯა... ღმერთო ჩემო! არ ვიცი ჭეშმარიტად, მადლობა როგორ უნდა გადაგიხადოთ?

— მადლობა მეტია... — გააწყვეტინა სვიმონმა მკაცრად, — მე მხოლოდ ჩემს ვალს ვასრულებ...

— ახ, რასა ბრძანებთ, როგორ იქნება?.. ეგ ვალი-კი არა, განსაკუთრებითი გულკეთილობაა; კაცთსიბრალული, კაცთმოყვარეობა გქონიათ... შეგვიბრალეთ, ბატონო სვიმონ!.. ამ მდგომარეობიდან დაგვიხსენით... დაგიღუპე... ნახევარ ჯარზე მეტი გამიწყვიტეს!..

— რისთვის გაიჭირეთ საქმე? რატომ არ დამიჯერეთ?..

— ღმერთო ჩემო, რა ვიცოდი!.. ესე რომ მცოდნოდა, განა ფეხს გადმოვდგამდი?.. თქვენ არ გაგიგონებდით?

— მაგისთვის ცოდნა კი არა, რწმუნება და ნდობაა საჭირო... თქვენ კი არც ერთი არ გამოიჩინეთ ჩემდამი, — უსაყვედურა სვიმონმა და დაუმატა: — ჩვენი ხალხი გულწრფელი და პირდაპირია... რაკი ერთხელ სიტყვას მოგცემენთ, უკანასკნელს სულის ამოხდამდის მოგყვებიან, არ გიღალატებენთ და განზედ არ გაგიდგებიანთ, თუ იძულებული თქვენ თითონ არ გახადეთ.

— რა ვიცოდით, რა?!. — თმებში ხელის წავლებით წამოიძახა იმედდაკარგულმა ღენერალმა და ხელის გამოშვერით დაუმატა: — მაპატივეთ, მომიტევეთ!.. ღვთის გულისათვის, გულკეთილად შემინდეთ!

— ჩემთან ბოდიშის მოხდა საჭირო არ არის... მე მხოლოდ ის მაწუხებს, რომ სისხლი უბრალოდ დაიღვარა და იმოდენა ხალხი უსარგებლოდ გაწყდა, თორემ თქვენზედ გაჯავრებაც კი არ შემიძლიან... წავალ, ვეცდები... ჩემის მხრით ყოველს ღონისძიებას ვიხმარებ, რომ გადარჩენილი ჯარი მაინც მშვიდობიანად გავიყვანო. მხოლოდ თქვენც პირობა უნდა მომცეთ...

— მიბრძანეთ!

— ხალხს ყოველგვარი შეღავათობა უნდა მისცეთ... თანახმა ხართ?

— გაძლევთ სიტყვას, სიტყვას, როგორც პატიოსანი ოფიცერი!..

სვიმონმა ხელი მოჰკიდა, რაოდენადმე მიუახლოვდა და წყნარად უთხრა:

— ჩემთვის... პატიოსანი კაცის სიტყვაც კმარა.

ღენერალი გაწითლდა და ჩაახველა.

— გაძლევთ პატიოსანი კაცის სიტყვას: მთელს ჩემს სიცოცხლეში ვეცადო, ხალხს ყოველგვარი შვება მივცე და სადაც კი შემეძლება, შემწეობა აღმოუჩინო.

— გმადლობთ, — ხელის ჩამორთმევით უპასუხა მთიულმა.

ამის შემდეგ სვიმონმა უამბო იმ დროს საქმეთა ვითარება საქართველოში და შეატყობინა მთის ხალხის შესახებ ის უსამართლობა, რომელსაც სხვადასხვა ახლადგადმოსულები თუ უკვე დაბინავებული მოხელენი ჩაიდენდნენ; მასთანვე გააგებინა, რომ გზის ნაპირად მცხოვრები მთიულები დანარჩენ ქართველებზედ უფრო ხშირად ხვდებოდნენ რუსებსა და, მაშასადამე, რუსებზედ ხმის გავრცელება დანარჩენს საქართველოში, მთიულ-მოხევეებზედ იყო დამოკიდებული. არც ის დაუმალა, რომ ერთადერთს გზას აქეთ-იქით მცხოვრები ხალხი არა მცირედს სამსახურს უწევდა რუსის ჯარებს, რომელთაც სახლებში უყენებდნენ, შეშას უზიდავდნენ, მთაზე გადაჰყვანგადმოჰყვანდათ და გზებს უკეთებდნენ.

— ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი უნდა, თქვენო აღმატებულებავ! — დააბოლავა სვიმონმა. — თუ ეს ხალხი მომხრობილი, დაყვავებული და პატივცემული არ გეყოლებათ, აქედგან გადაიხვეწებიან და სხვა ადგილების მცხოვრებნი-კი მთაში ვერაფერს ვერ გააწყობენ... უბრალო ბურუსის დროს

ბარის კაცი გარეთ ფეხს ვერ გაზდგავს და მთის ხალხისთვის კი სულ ერთია... ყინვასა, თოვლსა და გაჭირვებას შეჩვეულია... ასეთი ხალხი და მერე ამისთანა ადგილას, არ შეიძლება, რომ არ დააფასოთ.

— წარმოიდგინეთ, ჰა! აბა ჩვენ, რუსებმა რა ვიცით ეგენი? — გაკვირვებით წარმოსთქვა ღენერალმა. — ვერც-კი მოვიფიქრებდი, რომ მთის ხალხი ოდესმე დაგვჭირდებოდა.

— მთის ხალხი ბევრის მომთხოვნი არ არის. კაცობრიული მოპყრობა და სამართლიანობა მათ გულს სამუდამოდ დაიმორჩილებს; მხოლოდ ისეთი მოპყრობა და საქციელი, როგორც თქვენმა ერთმა აფიცერმა ჩაიდინა, უეჭველია, ხალხსაც გაგიფრთხობს და მეგობრობის მაგივრად, მტრადაც გადაგიქცევსთ.

— მართალსა ბრძანებთ, მართალსა...

— თქვენი აფიცერი მეურმეებს ულმრთოდ, უსამართლოდ და შეუბრალებლად მოექცა და თქვენ არც-კი დასტუქსეთ... რასაკვირველია, თქვენი აფიცერი წაქეზდებოდა და შემდეგშიც ათას უსამართლობას ჩაიდენს... თქვენც, უეჭველია, ბევრჯერ უსიამოვნებას მოგაყენებსთ.

— მართლა, სულ არ გადამავიწყდა! — დაფაცურდა ჯარის უფროსი და დაიძახა: — მორიგ აფიცერს დამიძახეთ, — და აფიცერი იმავ წამს უფროსის წინ გამოიჭიმა.

— უფალო კაპიტანო! — უთხრა მოსვლის უმალ ღენერალმა, — ვხლავ მოახდინეთ განკარგულება, რომ მკაცრი გამოძიება დაინიშნოს იმ აფიცრის შესახებ, რომელიც მთაზედ ურმებს მოსდევდა და მეურმე მოხევეებს ისე უსამართლოდ მოჰქცეოდა. ყველაფერი დაწვრილებულად იქნეს გამოკვლეული და უკლებლად მომხსენდეს... მხოლოდ სანამ გამოძიება გათავდებოდეს, ხსენებული აფიცერი დაატუსაღეთ.

კაპიტანმა შუბლთან ხელი მიიტანა და გატრიალდა. ღენერალი კი სვიმონს მიუბრუნდა:

— რაც შეიძლება, მკაცრად მოვეპყრობი... კმაყოფილი ხართ?

— უკაცრავად, თქვენო აღმატებულებავ! მის დასჯას ჩემს დასაკმაყოფილებლად კი არ გთხოვთ, არამედ სამართლიანობა

მოითხოვს. თუ ჩემი სურვილი უსაფუძვლოდ მიგაჩნიათ, ნუ აღასრულებთ თქვენს განზრახვას.

— ახ, რასა ბრძანებთ, ბატონო, რასა?.. თქვენ უსაფუძვლო სურვილი როგორ გექნებათ? — დაიწყო ჯარის წარმომადგენელმა.

სვიმონ გამოეთხოვა და პირდაპირ აბდიასთან წავიდა. იქ შეყრილი მთიულთ მეთავენი მაზრის მმართველს მოუთმენლად მოელოდნენ და არ იცოდნენ, საქმე როგორ უნდა გადაეწყვიტათ.

პირველსავე მისვლაზედ სვიმონს შეატყობინეს, რომ ხევსაც, სანიბელ ოსებთან ერთად, ლარსის ხეობა შეუკრავსთ, იქ საკმაოდ უჟლეტიათ რუსები და აქეთ აღარ უშვებენო. მასთანვე აცნობეს, რომ ისინი მთიულების გადაწყვეტილებას ელიან და სიცოცხლეც და სიკვდილიც მათთან ერთად უნდათო. შუაკაცები პასუხს ელოდნენ.

სვიმონმა მოიწვია ხევის წარმომადგენელნიც და საქართველოს მდგომარეობაზედ ლაპარაკი საერთოდ დაიწყო. შავად და ბნელად გულში ჩასახოდა მას საქართველოს მდგომარეობა და ბნელის ფერადით უხატავდა მოძმეთ განხეთქილების მავნებელს მოქმედებას. დასუსტებული ხალხი სვიმონის სიტყვით გაყოფილიყო ათას ნაწილად და წინააღმდეგობისა და უთანხმობის გამო, თანდათან ერთმანეთს უფროდაუფრო ასუსტებდა. უბედურება საქართველოს ქსელსავით გარს შემოხვეოდა და ყოველს განძრევასთან ერთად მეტად და მეტად უხვევდა თვალებსა, აგრძნობინებდა თავის ძალას... გზააბნეულს ცხკარსავით უპატრონოდ, უდაბურს ტყეში დარჩენილს ქართველებს ვეღარ გაეგნოთ საით წასულიყვნენ. ყველანი ერთმანერთს ეჯახებოდნენ, აქცევდნენ ერთი მეორეს, ჰქელავდნენ ფეხით და ერთმანერთის დახრჩობაში თავთავიანთ შვებას ეძებდნენ... აი, ასეთს მდგომარეობაში ეხატებოდა სვიმონს საქართველო.

— ეხლა გავჩუმდეთ, ძმანო! გავჩუმდეთ იმად, რომ ერთმანერთისა აღარა გვესმის-რა. ეხლა ხალხი ავად არის ერთის ავადმყოფობით, საერთო სენით. მოვა დრო და ღრუბელი ჩვენშიაც გაიმჭრევის, მზე გამოიხედავს, დრო შეიცვლება და ავადმყოფი მოკეთდების; ძმა ძმას დაინახავს და შაერთებული

საქართველო, ერთ ხორცს და ერთ სულ გადაქცეული, აღსდგების!.. აღსდგების იმად, რომ მტერს მტრის საკუთნო მოუწყოს და მოყვარეს — მოყვრისა! ეხლა კი ჩვენც დავიშალნეთ, გავჩუმდეთ და ჩვენც ჩვენს ჭოხს მივხედოთ... გლოვის დროა და ვიგლოვოთ, ძმანო! — გააბავა სვიმონმა.

— მეტი რაი დღე გვაქვს, რომ არ დავიშალნეთ, შენი კვნესა-მე! — მწარის ღიმილით წარმოსთქვა აბდიამა და დაუმატა: — მაგრამ ვაი იმ გულსა, რომელიცა სცემს და იმ სისხლსა, რომელიცა სდუღს!..

— მხოლოდ ისე კი უნდა დავიშალნეთ, რომ რუსებმა ჩვენი საქციელი მათთან მეგობრობის სურვილად ჩასთვალონ... ჩვენ მდგომარეობაში მყოფისთვის ამგვარი საქციელი სირცხვილად ვერ ჩაითვლების... ნახვამდის, ძმებო!

ხალხი დაღონდა, დაფიქრდა და მალე წავიდ-წამოვიდა. იმავ ადგილას გაუნძრევლად, მარტოდმარტო აბდია დარჩა. აღშფოთებულს სულს და ნაღველმორეულ გულს მძიმე ლოდი დასწოლოდა, სულს უხუთავდა და სისხლისა და გონების მდინარეობას გზას აღარ აძლევდა. იმედდაკარგულს წარსულს დიდებასთან გამოსალმება მეტად უმძიმდა. დაღვრემილის სახით, გულდალახვრილი მოხუცი გასცქეროდა იმ გზას, სადაც ქართველის სმლის კრიალი თავის საკუთარ საქმისთვის უკანასკნელად ენახა. ერთბაშად საყვირის ხმა მოესმა, მთიელი შეკრთა და გული შეუთამაშდა, თითქოს ბრძოლად გაიზიდაო. გაიხედა, გაფითრდა და თავი დახარა: მან დაინახა გაშლილი ალმები გამარჯვებული ხალხისა, რომელთაც სუბუქი, ჩუმი და სურნელოვანი ნიავი წყნარად არხევდა და უალერსებდა. აბდია გაჟრჟოლდა, გააღრჭიალა კბილები და წყნარის მწუხარებით წარმოსთქვა:

აქამდის გულო ხალასო,
ეხლა რა სევდა დაგეცა?
არ სჯობდა სარჩო-საბადი
წინაღვე სხვისთვის მიგეცა...

XXIII

უკანასკნელის შემთხვევის შემდეგ დიდს ხანს აღარ გაუვლია, როდესაც რუსები საქართველოში დაბინავდნენ და სტუმრად მოსულთ მასპინძლობა დაიწყეს.

ხალხისთვის გულის შემატკივარნი ზოგნი დაიჭირეს, ზოგნიც აქეთ-იქით გაიქსაქს-გამოიქსაქსნენ და უპატრონოდ დარჩენილნი კი საკმაოდ დააშინეს. ხალხი წავიდ-წამოვიდა; ყველა თავის კერას მიუდგა და ვარამ გულში ჩათხრობილი ახალს მდგომარეობას გამოურკვევლად შეჰყურებდა. არც ღიმილი, არც მხიარულება, არც ხატობაში ჩვეულებრივი დროს გატარება არ ისმოდა. თითქოს ყველა გადავიწყებოდათ და განუწყვეტელის ფიქრით დაბორკილებულს გულს გასაღიმებლად ვეღარ მოეცალა. რუსები დაბინავდნენ, მაგრამ ხალხი მაინც ვერ შესჩვეოდა ახალს მდგომარეობას და ექსუებოდა. სვიმონიც თავის სახლში დაბრუნდა და მინდობილს თანამდებობის აღსრულებას შეუდგა; ელგუჯა-კი პირველში ისევ ხარანაულებისას წავიდა და იქ სცხოვრობდა თავის მზაღოთი, მაგრამ ბოლოს ვეღარ მოითმინა, რადგანაც მწუხარე გულმა თავის სამშობლოს მიწაწყლისკენ გაიზიდა, თუმცა იქ მისვლაც ვერ გაებედა. სვიმონ მართალია შურს არ ეძიებდა, მაგრამ ხალხის თვალად და მთის წესის დასაცავად მოსისხლეს მორიდებას ურჩევდა.

ელგუჯა მთის კაცი იყო და სვიმონის სიტყვები კარგად ესმოდა, აშკარად ხედავდა, რომ მთის მებატონე და მასთან ძალამჭონებელი უფრო მოყვარულად ექცეოდა, სანამ მტრულად; მოხევეს უმადურობით არ უნდოდა გადაეხადა და, მადლობის ნიშნად, თითონაც ერიდებოდა.

განვლო ხანმა ამ მოთმინებაში, მაგრამ გული ისევ მალე აუტოკდა, თვალმა ჩვეულებრივი სურათები მოითხოვა, სულმა კვნესა დაუწყო და წარმოუთქმელის ძალით ყირვანწვერისაკენ გაიზიდა... ელგუჯამ შეჰკრა ბარგი, შემოისვა ცოლი ცხენზედ და საცხოვრებლად თავის ადგილების მახლობლად დაბინავდა. იქიდგან განუწყვეტლივ სანადიროდ დადიოდა თავის მთებში და მთელს დღეებს გულის ცახცახით თავს დაჰყურებდა თავის გატიალებულს ქოხსა... აქედგან იგონებდა წარსული დღეების

სურათებს, აქედგან უგზავნიდა სალამს ყოველს კედელს, ყოველს ქვას, რომელიც კი ოდესმე იმის თავშესაფარს შეადგენდა.

ასე მიდიოდა დღეები ზამთრამდის და ელგუჯა ჯერ თავის სოფელში არ ჩასულიყო. ერთს ბნელსა და ცივს საღამოს, როდესაც ძლიერს ყინვას ხეები გაეჭირხლა და მთაბარისთვის თეთრი ზეწარი გადაეფარებინა, სვიმონის სახლში რაღაცა მოძრაობა იყო; გალავნის კარები უწყვეტლივ იღებოდა და შიგ სხვადასხვა ხალხი შედიოდ-გამოდიოდა. ყველა მიმსვლელს ხელში ეჭირა ან ჭურჭელი შინაურის არყით, ან კასრი ლუდით, ან ქათმები და კვერცხები, ან ღორი და ხაბიზგინები და სხვა. ხალხი სვიმონთან მოსაკითხად მიდიოდა, რადგანაც მძიმე ავადმყოფი შექმნილიყო და მთის ჩვეულებით-კი ამგვარს შემთხვევაში მოსაკითხად ძღვენმოუტანელი ვერავინ მივიდოდა.

უმეტესი ნაწილი მიმსვლელებისა იყვნენ მოხუცებულნი, ჭაღარაშერთულნი უფროსნი და ფრიად პატივსაცემნი. შესვლის უმალ სტუმრები ავადმყოფს ანუგეშებდნენ და გარს მოსდიოდნენ; ცდილობდნენ სხვადასხვა გვარის ამბებით დასუსტებულის გამხნევებას, მჭმუნვარების გულიდგან მოშორებას. ხანდისხან რომელიმე მათგანი აიღებდა ფანდურს, ჩაჰკრავდა ძალებს და წარსულის გმირების ცხოვრებას „დაძახილით“ მოუთხრობდა. დანარჩენები ხმაგაკმენდილი მოუსმენდნენ და ავადმყოფსაც გართობა ეტყობოდა. გაჩაღებულ ბუხარში ცეცხლს მხიარული გუგუნი გაჰქონდა და სრულიად არ მიემსგავსებოდა იქ მყოფთა გულის მოძრაობას, დაღონებულსა და მოწყენილ სახეს.

იქვე ტახტთან იდგა სვიმონის ცოლი, რომელიც სდნებოდა საყვარელს ქმართან შეალერსების სურვილით, მაგრამ ჩვეულების მონა ადგილიდან განძრევას ვერა ბედავდა და თვით ოხვრასაც კი კრძალვით, მორიდებით და ფარულად წარმოსთქვამდა. ის ცოლი იყო და ხალხის შეხედულებას-კი ქმრისადმი გრძნობის აშკარად გამოთქმა დასაძრახად მიაჩნდა. ქალს მხოლოდ ისღა რჩებოდა, რომ მწარე ნაღველი გულშივე დაეტრიალებინა და მით წყლული და მწუხარება გაეორკეცებინა. სვიმონის ორი შვილიც, ერთი თოთხმეტის და მეორეც იმის

მომდევნო, სტუმრებს თავს ადგნენ და შინაურს არაყს სთავაზობდნენ. ისინი კარგად ვერ მიმხვდარიყვნენ მამის საშინშს მდგომარეობასა, მაგრამ საერთო ჭმუნვარებას შეეპყრო და დაეღონებინა.

სვიმონის თავთან იჯდა მოხუცი ღინჯა, რომლისთვისაც გათეთრებული წვერი ხანსა და დროს რაოდენადმე შეეყვითლებინა. ეს იყო მთაში განთქმული მეფანდურე და ჭკუამახვილი, გრძნობით სავსე მოლექსე, მაშასადამე, ყველასაგან პატივცემული და საყვარელი სტუმარი. ტკბილი მოსაუბრე, ამაღლებულის გრძნობით აღსავსე, მოაზრებული ღინჯა ყოველ სიმის ჩაკვრაზედ ფანდურს ისეთს ხმას აღებინებდა, რომელიც კაცს გულს უწურავდა, ჟრუანტელს აღუძრავდა და ოფლს დაასხამდა.

დასუსტებული, ღონეს მოკლებული სვიმონი ტახტზედ იწვა და მწარედ ქშინავდა. გაჩუმებული, დაფიქრებული და ოდნავ შუბლშეჭმუხვნილი, ღინჯას სიტყვებს ყურს უგდებდა; ავადმყოფმა მიიხედა შვილებისკენ, დააკვირდა, დააკვირდა და თვალები გაუბრწყინდა. ამ დროს ღინჯამ სიმებს ჩაჰკრა და კვნესა ჩართულის-მწუხარე, გულის ჩამთუთქავის ხმით დასძახა:

ღარიბობა და ობლობა
ორივე გამომივლია,
სჯობს ღარიბობა ობლობას,
ობლობა მეტად ძნელია.

შესწყდა სიმების ჟღერა და მასთან ერთად სრული სიჩუმე ჩამოვარდა, თითქოს ყველანი თავთავიანთ გულს ჩაბრუნებოდნენ, ყველასგან განშორებული ცხოვრება შეჰქნოდათ.

— ობლობა... ობლობა მეტად ძნელია! — ძლივს წარმოსთქვა მიხრწნილის ხმით სვიმონმა და ცრემლები თვალებში მოერია.

ღინჯამ შეხედა სახლის პატრონს და გულისთქმას მიუხვდა.

— ბეჩაო ჩემო თაო! — უსაყვედურა მან, — რამ დაგაღონა?.. სამაგისო რაი გჭირს?.. თუ ეგრე იქ, ღვთის მადლმა, აღარც დაუკრავ და აღარც დავძახებ.

— არა, ღინჯაისი!.. დაუკარ, დაუკარ!.. სიკვდილისა არ მეშინიან, არა, ღვთის მადლმა!.. თუ სიკვდილის დრო მოვიდა,

დეე მოვკვდე, მაგრამ ესენი მებრალებიან... — წარმოსთქვა სვიმონმა და ობლებისკენ ხელი გაიშვირა: — ობლობა მეტად ძნელია... და მტერი კი ბევრი, ძალიან ბევრი მყავს.

— ვაჟკაცს მტერი არ დაელევის და ღვთის გაჩენილს-კი ღმერთივე დაარჩენს.

— პატარეებს დამიღონებენ, ღინჯავ, თორემ მტერი რას მიზამს?

— მაგათთვის ნუ სჯავრობ, სვიმონისი... ეგეთი დედა ჰყავსთ, ღვთის მადლმა, რომ არავის დააჩაგვრინებს... თავს არ დაანებებს და ცხო, რაი უნდათ?.. თუ გაუჭირდათ რასმე, თემი დიდია, მეზობლებიც გონჯი არა გყავს, მოუვლიან.

— თემი?.. — ნაღვლიანად ჩაიღიმა ავადმყოფმა, — ბარემ, თუ თემობა შეგვრჩა! მაგრამ: „რაიც ვიყავით — აღარ ვართ, რაცა ვართ — აღარ ვიქნებით!“ — წარმოსთქვა ლექსად, — მარტო დედაკაცი-კი რას გახდების?

— მაი, მაგას თავი დაანებე, შენაი ჭირაიმე!.. „ღმერთია კაცის გამჩენი, იგივე არის დამრჩენი!“ — უპასუხა ღინჯამ და შეხუმრებით დაუმატა: — მაგის მაგიერად შენი შვილების სადღეგრძელოდ ერთი სიკეთე დასთესე!..

— რაი სიკეთე?.. სთქვი.

ღინჯამ შეხედა, სახე გაუბრწყინდა, ტუჩები გაუღიმა და თვალებმა ჟუჟუნი დაუწყო. ქუდი მოიმარჯვა და უთხრა:

შე დაჭირების კულაო,
ჩოდი, დაგვიხსენ სულაო,
ყმად დაგვიწერე ყველანი,
წელში გაგვიგდე ცულაო!

• •

უფროსთა ხვეწნად მოსულთა
ხათრის შენახვა თქმულაო,
ხალხის პირისა გამტეხი
დამწვარამც, დადაგულაო.

სვიმონმა გაიღიმა, თითქოს რაღაცა მოაგონდა, მოცოცხლდა და თუმცა გაჭირვებით, მაგრამ ლექსითვე უპასუხა:

ღინჯავ, აჰა ჩემი თასი,
არა მყავს-რა შენი ფასი,

ვფიცავ თხოვნა აღგისრულო,
თუნდა გქონდეს ასჯერ ასი!

— მითხარი რაი გინდა? — დააბოლოა ავადმყოფმა და მიელუშა.

ღინჯამ ქუდი მოიხადა, იატაკზედ დააგდო და წამოიძახა:

— აი, შენი მუხლების ჭირი მომცეს უფალმა, რომ ხათრი შეგვინახე!.. წმინდა გივარგის გიყენებთ შუამავლად, ნუ გასწირავ შენს მოძმეს, შაირიგე ელგუჯაი!.. თავის მამა-პაპის საფლავიდგან ფეხს ნუ ამოაკვეთინებ, თავის ბიწა-წყალს ნუ დაანატრებ. ნუ, შენის შვილების სადღეგრძელოდ!..

— ელგუჯაი შავირიგო?.. მე არ ვეჩხუბები!.. არც თემის გადაწყვეტილებას გადავსულვარ!.. ცხო რაიღა გინდათ, რაღასა მთხოვთ?

— ბჭედ ამორჩეულნი გულჩვილობას ვერ მიჰყვებიხ!.. ისინი სამართალსა სჭრიან და მოსამართლე კი გულჩვილი ვერ იქნებიხ... რასაც მოსამართლე ვერ შეუნდობს, — კაცმა უნდა შეუნდოს, მოძმემ მიუტეოს.

— ბარემ, ღინჯავ! აგრე იქნებოდა, ღმერთი რომ ვიყვნეთ, მაგრამ რაი ვქნათ, რომ კაცნი ვართ?

— ჰაი, ჰაი, რომ ღმერთი ara ვართ, შენი კვნესა-მე! მაგრამ ღვთის სახეს ვატარებთ და იმის სიტყვას უნდა ვაღსრულებდეთ, იმას ვბაძამდეთ.

— მიუტევე, შენი შვილების სადღეგრძელოდ, შეირიგე. — წყნარად და მოწიწებით წარმოსთქვა სვიმონის ცოლმა.

— უნდა მიუტეო, ბატონო სვიმონ! უნდა შეირიგო, — ერთხმად წყნარად წარმოსთქვეს იქ მყოფთა და ქუდმოხდილები ფეხზედ წამოდგნენ.

— ხმა ღვთისა და ხმა ერისა!.. — ცოტა სიჩუმის შემდეგ წარმოსთქვა სვიმონმა. — ამოდენა ხალხს ეგრე გსურთ და ნება თქვენი აღსრულდეს.

— აი, შენი ჭირი მოგვცა ღმერთმა, შენი!.. — მოისმა გახარებული ხალხის ხმა.

— ღვთის მადლმა, კაციც შენა ყოფილხარ და ქუდიც შენა გხურებია!.. მაგ სიკეთეს უფალი არ დაგიკარგავს, უფალი გადაგიხდის.

— ღვთალი, იმისმა მადლმა! — პირჯვრის გადაწერით წარმოსთქვა ღინჯამ და მიუბრუნდა ერთ ბიჭს:

— მაშ შემოიყვანე. გვიანობისა აღარაა!.. დიასახლისო!.. ელგუჯაი შენც შვილად უნდა აიყვანო, — მიუბრუნდა ქეთევანს.

— თქვენი ნებაა, — დაედასტურა სვიმონის ცოლი.

— ნუ დაგიკარგოს წმინდა გივარგიმ!.. — უთხრა ღინჯამ და ერთს უფროს კაცს მიუბრუნდა: — წადი, შემოუძეღ!

ეს ამბავი ხალხს ისე რიგად გაეხარდა, რომ იმ სოფლის დიდი თუ პატარა, ქალი თუ კაცი სვიმონის სახლს მოაწყდა და მის დღეგრძელობას ღმერთს შეღაღადებდა.

ერთბაშად გაიღო კარები და ავადმყოფის ოთახში წყნარად რამდენიმე მოხუცი ელგუჯას შემოუძღვა. დიასახლისი, რომელიც აქამდის ზეზე იდგა, დედაკაცებმა „მარტო-შკამში“ ჩასვეს და გარს შემოეხვივნენ; გაუხსნეს გულისპირი, გამოუჩინეს მკერდი და მარჯვენა ძუძუ უბიდგან გაუნთავისუფლეს. ელგუჯა პირდაპირ იმასთან მივიდა და ძუძუზედ სამჯერ კბილის დადგმით, სამჯერ წარმოსთქვა:

— შენ დედა და მე შვილი, შენ დედა და მე შვილი, შენ დედა და მე შვილი.

იქ მყოფნი ამ სახალხო ჩვეულებას მოკრძალებით უყურებდნენ, იწერდნენ პირჯვარს და ახლად დანათესავებულებს ღმერთს ავედრებდნენ.

ელგუჯა ჯერ კიდევ იმავ ადგილზედ იდგა და ვერ განძრეულიყო, როდესაც ქალმა ხელი მოჰკიდა და უთხრა:

— ელგუჯავ! დღეის შემდეგ შენ ჩემი შვილი ხარ... შენა ხარ სისხლი ჩემის სისხლისა და ხორცი ჩემის ხორცისა.

ქალი გადაეხვია, როგორც მშობელი ღვიძლს ნაშობს და რამდენჯერმე აკოცა. შემდეგ მიიყვანა ქმართან, დააჩოქა ტახტის წინ და უთხრა:

— აჰა, მომიყვანია შვილი, დალოცე.

სვიმონმა გადმოხედა და თვალებში ცრემლები მოერია; შემდეგ გახურებული ხელი გადმოიღო, თავზედ დაადო და რამდენსამე ხანს გაჩუმებული გრძნობით უყურებდა.

ვინ იცის იმ წუთებში მომაკვდავს თვალწინ რა სურათები ეხატებოდა? რა გრძნობა ამღელვარებდა მის სულსა, რა ფიქ-

რები მოსდიოდა თავში და რა რიგად მოძრაობდა მისი გული? მოხუცის ტუჩებმა ხმის ამოუღებლად დაიწყეს მოძრაობა, თითქოს ჩუმად რაღაცა ლოცვებს წარმოსთქვამდნენ.

— ელგუჯავ, — ბოლოს დაიწყო დაღალულის კაცის ხმით ავადმყოფმა, — დღეის იქით შენა ხარ სისხლი ჩემი სისხლისა და ხორცი ჩემის ხორცისა!.. ვინც შენ გაწყენინებს, მე მაწყენინებს... ვინც შენ გატკენს რასმე, მე მატკენს... ვინც შენ დაგჭრის, მე დამჭრის!.. დღეის იქით შენა ხარ ჩემი შვილი და ნაწილი ჩემი გვარეულობისა!.. შენი ტკივილი ჩემი ტკივილი იქნება... ღმერთმა უღალატოს, ვინც შენ გიღალატოს, ჩემ გვარში ნუ დაინდოს ისა, ვინც შენ არ დაგინდოს...

— ამინ! — წარმოსთქვეს იქ მყოფთა.

— ხალხო! ჩემი საქმე თქვენ მოგანდევით, თქვენ გადასწყვიტეთ და მეც დაგმორჩილდით... გახსოვდესთ, რომ თემის სურვილი უფლის სურვილია... მე მომხედეთ და ხალხის სურვილს თქვენც ასე აღასრულებდეთ... ამასვე ანდერძად დაუგდებდეთ თქვენს შვილებს.

— ღვთის პირით ლაპარაკობს, უფლის მადლმა!

— მე ძალა მქონდა და შემეძლო ათი, ასი, ორასი კაცი, ჩემი სურვილის აღსრულებისათვის, ორ ბატკანსავით შემეწირა... შემეძლო ელგუჯას მზე გამექრო, ვცდილიყავ მაგის დასჯასა, მაგრამ თემმა მიბრძანა და იმის წინაშე მეც მუხლი მოვიდრიკე, ქედი მოვიხარე...

— მართალია, მართალი.

— რომელსა ასხმენ ყურნი სმენად, ისმენენ! თემის სიტყვას ყველა ისე უნდა დამორჩილდეს, როგორც ღმერთის ბრძანებას!

ავადმყოფი გაჩუმდა, ჩაფიქრდა და ქშენას მოუმატა, თითქოს შესუსტდა და ლოგინზედ მიელუშა.

— დიდი ხნის სიცოცხლე აღარ დამრჩენია, — დაიწყო ისევ სვიმონმა. — დაიხსომეთ ჩემი ნაუბარი: ერთობა ძალაა და ძალა კი ბედნიერებაა... ელგუჯავ!.. თემმა მთლად შენი მაცული, საბნავი და სათიბი, საძოვარითა და წყალითა, მთითა და ბარითა, სულ ერთიანად მე მარგუნა...

— ალალი იყოს, როგორც შენი დედის ძუძუ! — გატაცებით უპასუხა ელგუჯამ.

— არა, ელგუჯავ! რად მინდა?.. ჩემიც საკმარისი მაქვს. შენ რომ დამნაშავე იყო, შენის ბალღებისა რაი ბრალია?.. იმათ ულუკმოდ ვერ გაუშვებ. მართალია, ჩემს მკვდარსაც უგეშოდ ვერ დავკარგავ... ჩემის დაკლებულის ნიშნად დავიგდებ... შენს სათიბს, ხეთა შუაში რო გაქვს... თავადაც კარგად იცი, რომ მაგ მიწას მხოლოდ სახელადა ჰქვიან სათიბი, თორემ იქ ღორღის მეტი არა მოიპოვებარა და ღორღი კი ყველგან ბევრია, რომ ფასი რაიმე ჰქონდეს; ეგ სათიბი ამიღია და დანარჩენი-კი, აი ამ ხალხის დასწრებით და მოწმობით, შენთვისვე დამიბრუნებია... ღმერთმა ალალი ქნას შენზედ ისე, როგორც შენი დედის ძუძუ.

— აი, გადღეგრძელოს უფალმა! — დაიძახა სვიმონის გულუხვობით აღელვებულმა ხალხმა.

— შენი ჭირის სანაცვლოდ იყოს, შენი კვნესა-მე, ჩემი მამულიც და ჩემი თავიცა!.. ოღონდ შენა მყვანდე ცოცხალი და მამული რა შავ ქვად მინდა?.. რაი გამიჭირდების?

ამ სიტყვების დროს გარედგან რაღაცა ხმაურობა მოისმა; ერთბაშად გაიღო კარები და ყველამ გაკვირვებით იქით მიიხედეს. მთაში ავადმყოფთან მტერიც კი სიფრთხილით და მოკრძალებით შედის ხოლმე და ასეთმა დაურიდებლობამ ყველა გააოცა. კარებში გამოჩნდა რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი, რომელთაც სამხედრო ტანისამოსში გამოჭიმული ვიღაცა უფროსი წინ მიუძღვებოდა.

— ნაჩალნიკი! ნაჩალნიკი, — მოისმა ხალხის ჩურჩული და ყველამ გაიწ-გამოიწია.

მაზრის მმართველი იყო შუა ტანისა, გამხდარი და წელში მოხრილი; წინ წამოტეხილი შუბლი და ბანჯგვლიანი, გრძელბეწვიანი წარბები უშნოდ ამოსჯდომოდა და ბოროტების ბეჭედი დაესვა, გრძელი ცხვირი ჯერ მოხროდა და შემდეგ ბოლოში მოჰკავშოდა; მოკუმული და გაცრეცილი ტუჩები თითქოს გაღიმებას ცდილობდნენ, მაგრამ შხამის მორევას მაინც ვერა მალავდნენ; შავ-ყვითელი, გაჭიმული პირის კანი ალაგ-ალაგ მოჰფხუკოდა და მოუთმენლობის დაღი დაესვა. აჩქარებულს და მოუთმენელს სტუმარს ეტყობოდა, რომ კაპასი, შეუბრალებელი და ამპარტავანი უნდა ყოფილიყო. ესეთი გახლდათ მთიელთ მმართველი, რომელსაც სვიმონი უნდა გამოეცალა.

— უმაღლესის მთავრობის განკარგულებით თქვენს მაგიერ მთის მმართველად მე დამნიშნეს... დღესვე უნდა ჩამოგართვათ საქმეები და გამოძიება მოვახდინო თქვენგან ჩადენილის ზოგიერთა უკანონობის შესახებ... იმედი მაქვს იძულებულს არ გამხდით ძალა ვიხმარო და ყოველისფერს დაუბრკოლებლად აღმასრულებინებთ! — უთხრა იმან.

— ეგ გაფრთხილება სრულიად მომეტებულია, — უპასუხა გაკვირვებულმა სვიმონმა. — უმაღლეს მთავრობას დაუნიშნიხართ და უნდა დაგმორჩილდეთ... მე მაინც დიდი ხანია ამას მოველოდი, ვიცოდი... ამ უკანასკნელ დროს იმდენმა გულმოდგინე მოსამსახურეთ გამოიჩინეს თავი, რომ ეს ამბავი აუცილებელი იყო... მხოლოდ გთხოვთ ხვალამდის დამაცადოთ... დღეს მეტად სუსტადა ვარ.

— მაგის გარჩევას მე ვერ შევუდგები, — მკაცრად მოუჭრა იმან. — გამოსაძიებლად მოვსულვარ და დღესვე უნდა დავიწყო. მხოლოდ რამდენიმე კითხვა უნდა მოგცეთ იმ ჯარის შესახებ, რომელთაც ფასანაურის ვიწროებში, თქვენის მიზეზით, მთიელები დაეცნენ და იმდენი ერთგული მოსამსახურე გაწყვიტეს.

— ჩემის მიზეზით? — ჰკითხა ავადმყოფმა და სიცხისაგან აღგზნებული თვალები უფრო მეტად აღეგზნო.

— დიახ, თქვენის მიზეზით... ეგ დამტკიცებულია, და ვღარც თქვენ გადასთქვამთ. თვით ჯარის უფროსი, მათი აღმატებულება ამტკიცებს მაგას.

— ჯარის უფროსი? — გაკვირვებით წამოიძახა სვიმონმა და პირისახეზედ ალმური აედინა.

— დიახ, ჯარის უფროსი და იმის სიტყვების სიმართლეკი იმ მცირედიდგანაცა სჩანს, რაც ამ მალე ხანში შევიტყე...

— ის კაცი, რომელიც ღმერთსა და სჯულსა ფიცულობდა, რომ ქალაქში ჩასვლის უმალ ყოველ ღონისძიებას იხმარებდა, ხალხის სატანჯველი მთავრობისთვის შეეტყობინებინა, ის კაცი ჩამოვიდა და მაგეებს ლაპარაკობს?!. მაბეზღარობას მიჰყოლია?.. მომიტევეთ... არ ვიცი რა ვსთქვა, რა ვიფიქრო! მაგრამ მაგის მეტი რის მოლოდინი უნდა მქონოდა?!.

— მაშ თქვენ იმ აზრისა ხართ, რომ ხალხს აწვალებენ და შველა, გამოსარჩლება ეჭირვება? — ჰკითხა გამომძიებელმა.

— დიახ, აწვალებენ, უღმერთოდ ეპყრობიან და მათი გამოსარჩლება ყველა პატიოსანი კაცის ვალია.

— მაშ, უეჭველია, თქვენც ესარჩლებოდით?

— მე მოგახსენებთ, რომ ყველა პატიოსანის ვალია-მეთქი!

გამომძიებელი მიუბრუნდა მწერალს, რომელიც იქვე ახლდა და სტოლზედ ქაღალდები გადაეშალა.

— დაწერეთ, — უბრძანა მწერალს, — თვით მაზრის უფროსი საქვეყნოდ აღიარებს, რომ ხალხი გაჭირვებაში არის, აწვალებენ და უღმერთოდ ეპყრობიანო...

მწერალმა ბრძანება აღასრულა, გამომძიებელი კი ისევ სვიმონს მიუბრუნდა: — უეჭველია, თქვენც თქვენს მოვალეობადა სთვლიდით, რომ ხალხს გამოსარჩლებოდით?

— დიახ, ჩემს მოვალეობადა ვსთვლიდი.

— და... ხელსაც უწყობდით?

— დიახ... თუმცა, სამწუხაროდ, იმდენი ძალა არა მქონდა, რამდენადაც შემწეობის სურვილი.

— დაწერეთ, — ისევ მწერალს მიუბრუნდა: — „მთის მებატონე ყოველის პატიოსანის კაცის ვალად სთვლის დაიცვას ხალხის სარგებლობა, მათ ესარჩლებოდეს და ხელს უწყობდეს... თითონაც, მაზრის მართვის დროს, ამის კვალობაზედ იქცეოდა... ეხლაც მხოლოდ იმაზედა სწუხს, რომ ხალხის სურვილის ოდენი სამსახური ვერ გაუწია“ — ვგონებ ასე ბრძანეთ? — მიუბრუნდა სვიმონს.

— ნამდვილად.

— ამის გარედ, თქვენ უნდა მითხრათ აჯანყების მოთავეთა სახელები, რადგანაც მათი დაჭერა და, რაოდენადაც შესაძლებელი იქნება, მკაცრად დასჯა და სასტიკად მოპყრობა მაქვს ნაბრძანები.

ამ სიტყვებმა სვიმონს გულში ლახვრად გაურბინეს, თვალწინ წარმოუდგა ისეც დაწიოკებული მოძმეთ ოჯახობა. ხალხის ბედიღბალი ხელში ისეთს კაცს უვარდებოდა, რომელსაც არავითარი შეწყალება არ ექნებოდა და პირადის ანგარიშისთვის ქვეყანაზედ არავის არ დაზოგავდა. სვიმონ ძალზედ კვნესოდა, თუმცა საკუთარი სენი გაბრუებოდა და მთელი მისი არსება საერთო ტკივილს შეპყრობოდა. იმას უნდოდა დაეძახა:

— მთის ხალხი გულკეთილია, პატიოსანი, მართალი... დას-

ჯას რას ემართლებით?.. ისინი იცავდნენ თავიანთ ქვეყანას, ოადგანაც თავიანთ ვალად რაცხავდნენ... არ უნდოდათ ღალატი თავის მეფისა, თავიანთ სამეფოს მემკვიდრისა, თავიანთ ეროვნებისა და თვით მყოფელობისა...

მაგრამ რაკი თავის მოპირდაპირეს შეხედა, სიტყვა ჩაუწყდა და ამის მაგიერად გულიდგან მხოლოდ მწარე კვნესაღა აღმოხდა, ცივი ოფლი დაასხა და მწუხარებამ ღრღნა დაუწყო. კარგა ხანს იმაგრებდა თავსა, კარგა ხანს თავმოყვარეობა შეხვეწნის ნებას არ აძლევდა, მაგრამ ბოლოს ძმათ მოყვარეობამ დასძლია და გამომძიებლისკენ ხელები გაიშვირა.

— ღმერთია მოწამე, რომ ჩემთვის არა გთხოვდი, არ შევწუხდებოდი, მაგრამ ხალხი ბეჩავია... იქონიეთ შებრალება! მკაცრად ნუ მოექცევით... ჯავრობითა და შუღლით იმათაც დაღუპავთ და მართებლობასაც ვერაფერს არგებთ... ჩემზედ დასწერეთ, რაც გინდათ, ის მომიგონეთ, როგორც გინდათ, ისე დამაბეზღეთ, რაც გინდათ, დამაბრალეთ; ყველაფერზედ ხელს მოგიწერთ, ოღონდაც იმათ ჩამოეხსენით!.. ჩამოეხსენით, თორემ, თორემ... — ავადმყოფი მღალვარებამ შეიპყრო, სიტყვა ვეღარ გაათავა და დასუსტებული ბალიშებზედ გადაწვა.

— წყალი, წყალი! — დაიძახა გამომძიებელმა, რომელსაც ამ სურათის ნახვამ თითქოს კაცობრიული გრძნობა გაუღვიძა.

ოთახში შემოვარდა სვიმონის ცოლი და მოსამსახურენი, ავადმყოფს მიეხვივნენ და მოსულიერება დაუწყეს.

გამომძიებელი, შეხედა თუ არა ქეთევანს, მიხვდა, რომ სვიმონის ცოლი უნდა ყოფილიყო, მივიდა იმასთან და თავის დაკვრით უთხრა:

— თქვენის პატივისცემით გამოძიება ხვალამდის გადამიდვია, — და წუნარად გავიდა.

სვიმონი მობრუნდა მხოლოდ იმისთვის, რომ უკანასკნელად გამოსალმებოდა თავის ხალხს, უკანასკნელად გულში ჩაეკრა თავის ცოლშვილი და ყველასათვის უკანასკნელი მშვიდობა ეთქვა...

XXIV

გათენდა მეორე დღე და სვიმონის სიკვდილის ხმა მთელს მხარს მოედო. დაიძრა ხალხი და ყოველის კუთხიდან სატირლად მოესწრაფებოდა. ქალი და კაცი, დიდი და პატარა, შინ აღარავინა რჩებოდა, რადგანაც ყველას, ჩვეულებისამებრ, შესაწირავი უნდა მოეტანა, მიცვალებულისადმი უკანასკნელი ვალი გადაეხადა.

ყველამ იცოდა მთის ჩვეულება, ყველას ესმოდა, რომ ისეთის კაცის დამარხვა, როგორიც სვიმონი იყო, ჭირისუფლებს იაფად არ დაუჯდებოდა, სოფლებს სასოფლოდ და მოკეთეებს პირადათ ურიცხვი ძროხა და ცხვარი მოუდიოდათ, ერბო და ყველი მოჰქონდათ. ახლადდანიშნულმა მაზრის უფროსმა ნახა ხალხის თანაგრძნობა და დაპირების აღსრულება რამდენიმე დღით გადასდო; მას ეშინოდა სასტიკი განკარგულების მოხდენით ხალხში უკმაყოფილება არ გამოეწვია.

მიცვალებული გაბანეს, ჩააცვეს საუკეთესო ტანისამოსი, მოპარსეს წვერი და საკაცით „სამყოფო სახლში“ დაასვენეს. ჭირისუფალნი და მგლოვიარე ნათესავ-მოკეთენი სამის მხრით გარს შემოეხვივნენ, მხოლოდ ისე მოშორებით კი დადგნენ, რომ მოტირალთა და ცხედარის შუა კაცის გასასვლელი ადგილი დარჩენილიყო... ესენი განსაკუთრებით ქალები და დედაკაცები იყვნენ, რომელთაც თავშლები მოეხადათ, თმა გაეწეწათ და დამკლავებულნი სატირლად მომზადებულიყვნენ.

განუწყვეტლივ თითო და თითო სოფლის დედაკაცები ჯგუფ-ჯგუფად სამყოფი სახლის დერეფანზედ გროვდებოდნენ და ცალ-ცალკე გუნდებად, მთაში შემოღებულის თავისებურის ტირილით შემოდიოდნენ.

ამგვარად შემსვლელები კარებშივე ერთი მეორის უკან დამწკრივდებოდნენ და წინ უეჭველად უფროსს გამოიძღოლებდნენ... მოწინავე წყნარად და მწუხარეს ხმით დაიძახებდა: „დადაი“, და ლოყებში ცემით სხვები ბანს მისცემდნენ და პატარა ნაბიჯის გადადგმით წინ წაიწევდნენ. ამათ, ლოყებშივე შემოკვრით და სიტყვებით „ადაი“, ცხედართან მყოფი ჭირისუფლები უპასუხებდნენ და უსიამოვნო ყვირილი და ლოყებში ტყაპა-ტყუპი მოსულთა და სახლში მყოფთ შორის არა

სწყდებოდა. ეს ამბავი იქამდის გრძელდებოდა, სანამ ახლადმოსულები ძალიან წყნარის, ოდნავ შესამჩნევის ნაბიჯით მკვდარს სამჯერ გარს შემოუვლიდნენ. სანამ ერთი სოფლის დედაკაცები ამგვარს ლიტანიას არ გაათავებდნენ, მეორე სოფლის დედაკაცები დერეფანში ელოდნენ და მხოლოდ მაშინ დაიძახებდნენ „დადაის“, როდესაც პირველები დაიშლებოდნენ. გამოუცვლელად მხოლოდ ჭირისუფლები იდგნენ და ყველა ახლად მოსულებს „ადაით“ და თავპირში ცემით უნდა დახვედროდნენ.

ამბავი სრული შვიდი დღე გრძელდებოდა, რადგანაც სვიმონ, ეს სახელოვანი კაცი და პირველი გვარიშვილი იყო, საცხოვრებელი და განთქმული სახელი ჰქონდა და იმის დამარხვისთვის საჭირო სამზადისი ამაზედ ადრე ვერ მოესწრებოდა. ხანდისხან, როდესაც მოსულნი მთლად შემოიკრიბებოდნენ და დერეფანში აღარავინ ელოდა, სახლში მყოფთ შორის რომელიმე მოხუცი მანდილოსანი ცხედარის მკერდიდგან თოფს აიღებდა, ზედ დაეყრდნობოდა და მიცვალებულს ლექსად შესხმას ეტყოდა, მის ცხოვრებას ხალხს მოუთხრობდა. მომთქმელს დანარჩენები, დრო გამოშვებით, მისცემდნენ ბანსა და მოჰყვებოდნენ შემაწუხებლის ხმით, ზარით ტირილსა.

ყოველი მოქმედება, ყოველი სამსახური, ყოველი სახსენებელი საქმე, რომელიც მიცვალებულს ცხოვრებაში ჩაედინა, ეხლა საქვეყნოდ მოიხსენებოდა და მსმენელთა შორის თანაგრძნობას და მადლობას გამოიწვევდა.

მიცვალებულის სახელთან ერთად იმ დაკლებულთ სახელებსაც არ ივიწყებდნენ, რომელთაც ხალხისთვის ოდესმე შესამჩნევი სამსახური გაეწიათ და ვაჟკაცობის სახელი დაემსახურათ. ყველას, ვინც-კი იქ იყო და მომთქმელთ სიტყვებს სწვდებოდა, ამგვარი გამოსალმება უმაღლეს ჯილდოთ მიაჩნდა და მოძმეთაგან ამ პატივით მოხსენებას ნატრობდა.

როდესაც მოტირალი ლექსს გაათავებდა, წყნარად მივიდოდა მიცვალებულთან, თოფს ისევ გულზედ დაადებდა და მოწიწებით წარმოსთქვამდა: „შენ ცხონება და დამრჩენთ დღეგრძელობა“. ხალხი მიყუჩდებოდა და სანამ ახალი მომთქმელი წამოდგებოდა და ხელახლა დაიძახებდა: „ახა ვაითა ავი მე“, ყველანი ერთმანერთში კითხულობდნენ: ვინ იყო მოხსენებუ-

ლი ან რა სამსახური გაეწია? ამგვარად მთელი ხალხი ტყობულობდა თავიანთ გმირების სახელებს და მათი მოქმედების ამბავი საშვილიშვილოდ გადადიოდა.

ის იყო ერთმა მოხუცმა გაათავა ტირილი და მისმა გრძნობიერმა სიტყვებმა და გულის ჩამთუთქველმა ხმამ იქ მყოფნი მთლად დაიმონავა, როდესაც ერთბაშად მოისმა ფანდურის მკვნესავი, მგლოვიარე ხმა და ზედ ქვითინით დაძახილი. ძლიერი და მწვავე იყო ეს ხმა, რომელმაც ხალხი შეატოკა, აამღელვარა და მოძრაობაში მოიყვანა.

— ელგუჯაი მოდის, ელგუჯაი! — ნიავსავით წყნარად მოისმა სულ შეტაცებულთ და ხმა გაკმენდილთა შორის.

ხალხი ორად გაიყო და მათ შუა გამოჩნდა ლომებრივ ვაჟკაცი, რომელსაც თმა გასწეწოდა, საკინძი ჩამოსწყვეტოდა და გული გადაღეღოდა; შესაზარი იყო მისი მხნე და გმირული, ჭმუნვით მოცული და მდუღარე ცრემლებით დალორთხილი სახე.

ელგუჯას ხელში ეპყრა ფანდური და მთრთოლვარე თითებით სიმებს დასთამაშებდა. ის გამოვიდა შუა ადგილას და შესდგა; რამდენჯერმე გადაავლო იქ მყოფს ხალხს თვალი და ყველამ იგრძნო ნამდვილად შეწუხებულის კაცის გული, ყველა დაემორჩილა, გაჩუმდა, გაჩქურდა. იმ წამში ბუზი რომ გაფრენილიყო, იმის მოძრაობის ხმასაც კი გაიგონებდით.

მოხევემ ჩაჰკრა და ჩაჰკრა ფანდურის ძალებს, დაათამაშა თითები და ჰაერი მკვნესავის ხმით შეირყა. ბოლოს გაივლო ტუჩებს კბილები და ისე ძალზედ მოუჭირა, თითქოს მოკვნეტას უპირებსო, მოჰყვა უსიტყვოდ ზუზუნს და ამ ხმაზე ყველას გული ამოუჯდა, ცახცახი დააწყებინა. თითქოს თვით ჰაერსაც კი ეგრძნო ხევის მწუხარება და მისი გულის თრთოლას აჰყოლოდა.

მოხევემ ფანდურს კიდევ ჩაჰკრა, ჩაჰკრა და ერთბაშად დაიძახა:

შენ რომ გვშორდები, გმირთ-გმირო,
რაღას გვიპირებ ჩვენაო?
გიყურებთ, გული დუღდების,
ძლივს-ღა გვიბრუნავს ენაო!

წავიდა ჩვენი კაცობა,
ვეღარ ვიხილეთ ლხენაო,
ბღავის ცხორი და ბატკანი,
სადღაა იმათ სმენაო?!.

როდესაც ეს სიტყვები გაათავა, ფანდური უკუაგდო, მიცვალებულს დააცქერდა, დააცქერდა და ჩაწითლებულის თვალებიდგან ცრემლები ხელახლად ღაპა-ღუპით გადმოსცვივდა. კიდევ რამდენიმე გულის ჩამთუთქავი სიტყვა უთხრა და ხელის ჩაქნევით წარმოსთქვა:

— ფუი! „ცრუ და მუხთალო სოფელო!“

იმასთან მივიდა რამდენიმე ყმაწვილი ბიჭი, მიუახლოვდა, მოჰკიდეს ხელი და სიტყვებით: „კმარა, ელგუჯაუ, კმარა, თავს ხომ არ მოიკლავ?“ დერეფანში გაიყვანეს, სკამად გადებულს გრძელს ჭაჭზედ ჩამოსვეს, ჩიბუხი გაუვსეს და მისცეს:

— მოსწიე, მოსწიე, გულს მაინც გაგიბრუებს!

სატირლად მოსულს კაცებს, რომელნიც იქავ ისხდნენ და სვიმონის ავ-კარგიანობაზედ ლაპარაკობდნენ, მიცვალებულის ნათესაობა ხელთ ყავარჯენაღებულნი თავს ადგნენ და შინაურს არაყს სთავაზობდნენ. ამ დროს ეზოს კარებში ერთი უმცროსთაგანი გამოჩნდა და ხმამაღლა დაიძახა:

— სტუმრები, სტუმრები მოდიან.

დერეფანზე მყოფი მასპინძლები და რამდენიმე მოხუცი სტუმარი წამოდგნენ და წყნარის სიარულით კარებისკენ გაემართნენ. გალავანს მოშორებით რამდენიმე ხელჯოხიანი მოხუცნი წყნარად და დალაგებით მოდიოდნენ; როდესაც სტუმარ-მასპინძელნი ერთმანერთს დაუახლოვდნენ, დაუპირდაპირდნენ, დაეყრდნენ ყავარჯნებზედ და თავჩამოგდებულნი, მოწყენილის სახით დადგნენ. კარგა ხანმა გაიარა ამ სიჩუმეში და ორივე მხარე სიტყვის დაწყებას ერთმანერთს სთავაზობდა. ბოლოს სტუმართაგან ყველაზედ უხუცესმა აიღო თავი და მოუსამძიმრა.

— მოგიკვდესთ ჩემი თავი, დათუკაუ! — უთხრა იმან, — ის არა სჯობდა, რომ ჩემი სიკვდილი გაგეგონათ, სანამ ხევის ბურჯის წაქცევას გავიგონებდით?.. ბრალია, ღვთის მადლმა, რომ ხევის განმანათლებელს, ხალხის ნუგეშს, მოძმეთ შემნახველს შავი მიწა სჭამდეს!..

— სულ უფლის ნებაა, თორღავ!.. რაი უყოთ?.. უფალს ხელს ვერავინ შეაფარებს, — უპასუხა ყველაზედ უფროსმა მასპინძელმა და დაუმატა: — თქვენ იყავით მშვიდობითა, კარგადა და უვნებლადა... რაი უყოთ? სიკვდილს კაცი ვერსად წაუვა.

— ღვთის პირით ლაპარაკობ, დათუკაუ!.. ღვთის პირით!.. კარგი მოკვდა, უფლის მადლმა, მაგრამ: „კარგისა კარგი მოკვდების, — კარგივე წამოიზრდების“... მაგის დანაკლისი დღე უფალმა დამრჩომს შემატოს.

— უმაგისოდ რანი-და ვართ, თორღაისი, რანი?.. დაგვირჩა თქვენი თავი, რომ მოგვიგონეთ. თქვენთან ლხინსა და ჭორწილში მოგვიყვანოს უფალმა... სამხიარულო შესაწევრითამც გადაგვიხდია. გადმოხედით, თქვენაი ჭირაიმე, გადმოხედით... ბატარაი დაისვენეთ, შორიდგანა ხართ და დაღალულები იქნებით.

მასპინძელი სტუმრებს გაუძღვა, დერეფანზედ აიყვანა და იქ დასხდნენ; გამართეს ყალიონები და საერთო საუბარს გაებნენ.

დილიდგანვე მოსული კაცები და დედაკაცები საქმაოდ დაღალულიყვნენ და მოსვენება ეჭირვებოდათ; რადგანაც სახლის პატრონები დასაფლავების დღისთვის დიდს მზადებაში იყვნენ და სტუმრების დასახვედრათ აღარ ეცალათ, ამისთვის მათი პატივისცემა და დახვედრა მეზობელთა ვალი იყო და ისინიც სტუმრებს თავთავიანთ სახლში ეპატიჟებოდნენ.

სამყოფო სახლის კარებთან რამდენიმე ყმაწვილი კაცი შეჯგუფდა, მოისმა რაღაცა ტკაცანი და ხალხი იქით გაეშურა.

— მათრახებით მოდიან, მათრახებით, — დაიწყეს ერთმანეთში ჩურჩული. რამდენიმე დედაკაცი ჭირისუფალთაგან გამოერჩია, წავიდა კარებში მოგროვილს ბიჭებისაკენ და მათ მწკრივად უკან მოუდგა.

ცოტა ხანს შემდეგ, ვიღაცა დედაკაცმა კვნესით და ხმის კანკალით წარმოსთქვა: „ავაი!“ და სახლში დარჩენილთაგან პასუხად მიიღო: „ავ-დადაი“.

ყმაწვილი ბიჭები, მწკრივად დაწყობილნი, საკინძ-ჩამოწყვეტილნი და გულგადაღეღილნი, წყნარის ნაბიჯით წამოვიდნენ; ყველას მარცხენა ხელი შუბლზედ ჰქონდა მიფარებული

და მარჯვენაში-კი განსაკუთრებით ამგვარის შემთხვევისთვის გაკეთებული მათრახი ეჭირა. მარჯვენა ხელის შემოქნევით მათრახის ტარი თავზედ გადიზნიქებოდა და მეშის პრტყელი, გასანთლული ფარჩუმი ძალზედ კისერში ხვდებოდა. ყოველ „ავ-დადაის“ წარმოთქმისთანავე შემოიკრავდნენ მათრახებს და ყავარ-ყავარ დახეთქილი კისრიდგან სისხლი ჩქაფა-ჩქუფით გადმოსდიოდათ. მათ უკან მიდიოდნენ დამკლავებული დედაკაცები და მათრახის შემოკვრასთან ერთად ისინიც ლოყებში იცემდნენ. მოკლესა და პატარას ნაბიჯით ცხედარს სამჯერ გარს შემოუარეს; როდესაც გული საკმაოდ იჯერეს და მთაში შემოღებული წესი შეასრულეს, შუა ადგილას გავიდნენ და მათრახები გადაყარეს, მჯიღის გულში ჩარტყმით დაიძახეს: „ვაჰი“ და საჩქაროდ გავიდნენ.

რა თქმა უნდა, რომ მათიაც, ამ შემთხვევისთვის, მთიულებიდგან გადმოსულიყო და როგორც ბავშვი ისე ღრიალებდა.

მთელი კვირა სვიმონის სახლში ეს არეულობა იყო; ხალხი საკმაოდ დაიღალა, დასუსტდა და ყველაზედ მეტად გულის შემატკივარსაც-კი მოსვენება დასჭირდა. დასაფლავების დღეს დიდძალი საქონელი დაიკლა და უხრიცხვი „სიფროები“ გაიმართა, რომელსაც პატარა ბიჭები თავს დასტრიალებდნენ და პურის ჭამას მოუთმენლად მოელოდნენ.

მიცვალებული გამოასვენეს, უკანასკნელად გამოიტირეს, გარს შემოავლეს უკუღმა შეკაზმული ცხენი და ოდესმე მხურვალე გული ცივს მიწას მიაბარეს. დაქვრივებული ქეთევან, ჯერედ კიდევ ყმაწვილი და სიცოცხლით სავსე, მძიმე შავებჩაცმული, იგლოვდა თავის საყვარელ ქმარს, რომელმაც ამ არეულობის დროს თავის პაწაწები ასე უპატრონოდ დაჰყარა. მართალია, გულკეთილი მეზობლები ქვრივს პატივსა სცემდნენ, ყოველ საქმეში დაუზარებლად ეხმარებოდნენ, მზაღო ყოველს მის სიტყვას აღსრულებდა, მაგრამ მოსვენება მაინც ვერ მოეპოვა. ახლადდანიშნული მაზრის მმართველი მთიელთ არეულობის შესახებ გამოძიებაში იყო და განუწყვეტლის კითხვებით თავს აბეზრებდა; ითხოვდა, რომ ქეთევანს მიეღო და პასუხი მიეცა იმ კითხვებზედ, რომლის მაზრის უფროსს მისგან შეტყობა უნდოდა.

მთის ქალისთვის ამისთანა დროს უცხო კაცის მიღება თით-

ქმის შეუძლებელი იყო და მმართველისაგან-კი ეს საქციელი შეურაცხყოფად მიიღებოდა, ბრაზდებოდა და გულში გადახდევინების სურვილი ემატებოდა.

ელგუჯა და მათია თუმცა მოხევის სახლში ცხოვრობდნენ, მაგრამ ყოველდღე ქეთევანთან ჩამოდიოდნენ და უპატრონოდ დარჩენილს ოჯახში რიგს აძლევდნენ. ასე მიდიოდა იმათი დღეები, სვიმონის დაკლებას აშკარად გრძნობდნენ, მაგრამ ცხოვრება მაინც შესაძლებლად მიაჩნდათ.

XXV

საღამო იყო. ელგუჯას სახლის კერაში ცეცხლი წყნარად ენთებოდა და იქაურობას სასიამოვნო შუქით ჰფენავდა. საკედელზედ ჩამოკიდებულს ქვაბს ჩუხჩუხი გაჰქონდა და მადის გამღვიძებელს სურნელებას ჰაერში ატრიალებდა. სახლის პატრონი და მათია იქავ ცეცხლის პირას ისხდნენ და ლაპარაკობდნენ ხალხის იმ შეწუხებაზედ და უსამართლობაზედ, რომელსაც ახლადდანიშნული მაზრის მმართველი ჩადიოდა. მთიულეთიდგან ხმა მოდიოდა, რომ აჯანყების საქმეს გამომძიებელი მეტად გულმხურვალედ მოჰკიდებოდა და აღარავის არ იბრალებდა, არავითარს საშუალებას არ ერიდებოდა, ოღონდ რამდენადაც შეიძლებოდა, საქმე თავის სასარგებლოდ გამოეჩინა. ამ სიმკაცრისა და სასტიკობისთვის დიდს ჯილდოსა და პატივის მიღებას მოელოდა. ელგუჯა ერთი იმ დამნაშავეთაგანი იყო, რომლის დაჭერაც მაზრის უფროსს იმედს აძლევდა, რომ შესანიშნს სამსახურად ჩაეთვლებოდა, რადგანაც სვიმონის შემწეობით მთიელის დატუსაღება მთავრობას თითქმის შეუძლებლად მიაჩნდათ.

— ხვალ თოფის ხმა უნდა გავტეხოთ, — დაიწყო ელგუჯამ.

— დროა, შენი კვნესა-მე! — უპასუხა მათიამ, — მონადირენი დაღონდნენ და სოფელშიაც მხიარულება აღარ გაისმის.

— ჰაი, ჰაი, რო დაღონდნენ!.. აგერ როგორი ზამთარია?... თოვლმა ნადირები სულ დაბლა ჩამოჰყარა.

ოთახში მზაღომ კარები შემოაღო, თოვლიანი ფეხები დაიბერტყა და შემოვიდა.

— მოხვედ? — ჰკითხა ელგუჯამ.

— მოვედ.

— რაისთვი დაიგვიანე?

— სვიმონის „დედაკაცი“ არ მიშვებდა... ეგეთია ბეჩავი, რომ კაცს გულს მოუკლავს! თვალი არ შეშრობია... დღევანდლამდის ძილი არ მიჰკარებია.

— რაი საკვირველია, შენი კვნესა-მე? — ჩაურთო მათიამ. — ხუმრობა კი არაა, ხელმწიფის სწორი კაცი მოუკვდა...

ჩამოვარდა სიჩუმე; მზაღო მივიდა თაროსთან და ჭურჭელს ლაგება დაუწყო.

— მოიტა-ღა, გვაჭამე რამე, თორემ ცხოგან უნდა წავიდე და დამიგვიანდების.

— ამაღამ წახვალ? — ჰკითხა მათიამ და თითქოს ფერი ეცვალა.

— ეხლავ უნდა წავიდე, თორემ „სნოს წყალი“ შესანდობარზედ დაუპატიჟებელი დაგვრჩა და დაგვემდურებიან. არ გითხარ, ვახშამი-მეთქი?! — გაუმეორა ელგუჯამ ცოლსა და გაკვირვებით შეხედა, რადგანაც პირველი შემთხვევა იყო, რომ გამეორება დასჭირდა.

— ეხლავ, ეხლავ! — უპასუხა ცოლმა, თითქოს მხოლოდ მაშინ გამოფხიზლდაო და დაფაცურდა.

ქალმა მარდად მოიტანა ვახშამი და პურის ჭამა დაიწყეს.

მათია როგორღაც დაფიქრებული იყო და ხმას არ იღებდა; ბოლოს ერთბაშად ელგუჯას მიუბრუნდა.

— მაი, ელგუჯაუ, სნოს წყალზედ მე წავალ.

— ბეჩაო ჩემო თაო!.. ეგ რაი სთქვი? სტუმარი საქმეზედ გავგზავნო და ქვეყანას რაი-ღა პასუხი მივცე? — უთხრა ელგუჯამ და დაუმატა: — ის თუ არ გინდა, რომ სალექსოდ გამხადონ?

— სალექსოდ რაისთვი? რაი სტუმარი ვარ? შენი საბლი ჩემი არაა?.. ღვთის მადლმა, მე წავალ, არა მიშავს-რა, გული რასმე მიღონდების და გავერთობი!

— არა, მათიაისი, არა!.. შენ არც-კი იცი ვისთან მიხვიდე.

მზაღომ ჩირაღი კედელში გაამაგრა, მათიას გაფითრებული სახე განათდა და ტუჩებმა ცახცახი დაიწყო; იმან ვეღარ გაძლო, ნახევრად მიბრუნდა და სკამზედ ისე გასწორდა, რომ

შუქი ველარ მისწვდომოდა. ელგუჯამ შეჰკრა თვალი და ჰკრთხა:

— მათიაუ! რას მობუზულხარ?

— თავადაც არ ვიცი, — მოკლედ და ხმის კანკალით უპასუხა სტუმარმა.

— ავად თუ არა ხარ?.. ემანდა, კიდეც გაკანკალებს.

— მცივა, მაჟრჟოლებს რასმე.

— ქალაუ, მოიტანე-ღა ტყავი და წამოასხი. — ელგუჯა ცოლს მიუბრუნდა.

— ნუ ირჯები, არ მინდა, — უპასუხა მთიულმა, მაგრამ ტყავი მაინც გამოართვა, მოიჭუჭკა და ქუდი თვალებზე ჩამოიფხატა.

— არაყი თუ არა გვაქვს? — იკითხა ელგუჯამ და მოტანილი ჭურჭელი ცეცხლის პირას დადგა. — აბა, შენ შეექეცი და მეკი წავალ, თორემ მიგვიანდების... ბატარაი არაყი დალიოდე, კიდეც გაგათბობს და ოფლსაც მოგგვრის.

— მეც წამოვალ, — წამოიწია მათიამ, მაგრამ მოხევემ არ აუშვა.

— უგონოთ თუ არა ხარ, რას უბნობ? დაჯე, ღვთის მადლმა, — თორემ მაწყენინებ, — უთხრა ელგუჯამ და ძალად დასვა. შემდეგ ცოლს მიუბრუნდა და უთხრა: — თბილად დაუგე, არ შესცივდეს, თორემ ზამთრის სიცივე კაცს თუ ერთხელ ჯანში გაუჯდა, ძნელია... მშვიდობით, მათიაუ!

მოხევემ თოფს ხელი წამოავლო და კარებისკენ გაემართა; ცოლმა ჩირაღი აიღო და დერეფნამდის მიაცილა. ელგუჯა ერთბაშად შესდგა, ცოლს შემოხედა და, მაგრად მკლავ-მოხვეულმა, გულთან მიკრულს რამდენჯერმე ძალზედ აკოცა. მზაღო გაწითლდა და ქმრის გასვლის შემდეგ კარს ურდული გაუგდო, მოვიდა კერის პირს და თავისავე ადგილს დაჯდა.

მათიამ ჭალს ჩუმად გახედა. შეამჩნივა სიამოვნებისაგან გამოწვეული სიწითლე და ამოოხვრით ჩუმად წარმოსთქვა: „ბედნიერო!“

ისინი დიდხანს ისხდნენ გაყუჩებულნი და ხმაგაკმენდილნი, თითქოს ერთმანერთს გაბუტვიანო.

გაშმაგებული მთიელი ჭალს ისე გაჰყურებდა, როგორც მიმინო, რომელსაც მწყერი დაუნახავს და გაფათრვას უპირებსო.

ქალსაც ეგრძნო იმის თვალების ძალა და რაღაცა მოუსვენრობაში ჩავარდნილს, თავი დაეხარა. ორნივ ასე ისხდნენ და თავთავიანთს საგონებელს მისცემოდნენ; ორთავ რაღაცა ფიქრი გულს უმღელვარებდა, მათი აზრის გაგება კაცს ძნელად შაეძლო.

მათიას შუბლი ხშირად შაეკუმშებოდა ხოლმე, თვალები გაუბრწყინდებოდა და აღშფოთებულს ქშენას ასტეხდა. არა იშვიათად ტუჩებს გახსნიდა და თითქოს სიტყვის წარმოთქმა უნდოდა, მაგრამ თავშეკავებული ტუჩს კბილებს შუა მოიქცევდა და თავს გასაჩუმებლად ძალას ატანდა. კედელში გაკეთებულის სარკმლიდან ნიავი შემოჰქროდა და ჩირაღის ალს წყნარად ამღელვარებდა; ერთბაშად დაჰქროლა ქარმა, ჩირაღი გადმოვარდა და გაქრა. ორნივ იქ მყოფნი შეკრთნენ და ანგარიშმიუცემლად ფეხზედ წამოცვივდნენ. ოთახის განათება კერაში ანთებულს ცეცხლზედ-ღა მივარდა, და ამისთვის საკმაოდ ჩამობნელდა. ქალი ჩირაღს დასწვდა, მაგრამ მათიამ დაასწრო, აიღო და ცეცხლში ჩააგდო. ამ მოძრაობის დროს ქალს მოხვდა და თვალთ დაუბნელდა, წატორტმანდა და გონება არეულმა ქალს მაგრად ხელი გაავლო, მიიზიდა და გულში ჩაიკრა, გაშმაგებით დაეკონა და კოცნა დაუწყო.

— რას სჩადი, რას? — ფართხალებდა შეშინებული მზაღო, მაგრამ მთიელი ჭკუაზედ ვეღარ მოსულიყო.

დიდი ხნის შეგუბებულს გრძნობას ეს-ღა აკლდა, რომ წამალსავით აფეთქებულიყო და მთიულის არსება მთლად აღეგზნო, თავდავიწყებამდის მიეყვანა.

— რას სჩადი-მეთქი? — გაბრაზებით განუმეორა ქალმა და ხელი გულთან მიაბჯინა. — რას სჩადი?

— იმას რო დავილიე, უშენოდ სიცოცხლე გამწარდა და ჩემი უნდა იქნა! — მათიამ ისევ მოზიდა ქალსა, რომელიც განთავისუფლებასა ცდილობდა. ცეცხლში ჩაგდებული ჩირაღი ერთბაშად აენთო, იქაურობა გაანათა და მათიამ დაინახა შეშინებული სახე მზაღოსი, რომელსაც თავი უკან გადეგდო, თმა გასწეწოდა და თვალები გაბრწყინებოდა; შეხედა და გაშმაგებამ უმატა.

— ჩემი უნდა იქნა, ჩემი! — ხმის კანკალით წამოიძახა იმან და ისე მოსწია, რომ ქალის ძვლებმა ჭახჭახი დაიწყო. მზაღომ

დაიწივლა, მოქნილს სახრესავით მოიზნიქა და კაცი ჩააკვდა იმის სიცოცხლით სავსე ტუჩებს.

— უსირცხვილოვ!.. ნამუს დაკარგულო! ფუი შენს კაცობას, — მაღლა წამოიძახა ქალმა და დაუმატა: — მაშ შენთვის აღარც ნათესაობაა, აღარც ძმათ ნაფიცი!..

— არა, ღვთის მადლმა! მარტო შენ, შენის მეტი არვინ მინდა, შენის მეტი არვინ მახსოვს, შენ გადამავიწყე ყველა!

— მე არ მინდიხარ. მძულხარ, მძაგხარ და მეზიზღები! — შეჰკივლა ქალმა.

ამ სიტყვებზედ მათია შეკრთა, როგორც გველის ნაკბენი, სიმწვავისაგან მთლად დაიკლაკნა და მღელვარებით წარმოსთქვა:

— მაშ ის გიყვარს, მარტო ის არის ბედნიერი?

— ის მიყვარს, მარტო ის არის ბედნიერი, დამეხსენ, — გაანჩხლებით უპასუხა ქალმა.

მთიულმა მკლავზე მაგრა მოუჭირა და შემდეგ ხელის კვრით წამოიძახა:

— მაშ იმის სიკვდილი მოგდომნია და მოკვდება!

მზაღო შეკრთა ამ სიტყვებზედ, შეხედა მათიას და იმედი ჰქონდა, რომ სიბრალულს დაინახავდა; მაგრამ მთიულის სახე გაშმაგებულს ვეფხვს დამსზგავსებოდა, რომელსაც მსხვერპლის სიახლოვე ეგრძნო და სურვილად მხოლოდ მისი სისხლით გაძღომა მოსწადებოდა.

— მათიაუ, რას სჩადი? რას უბნობ, რაი მოგსვლია?

— ისა, რომ „გონთ“ გადამაგდე, ისა, რომ მე და იმის ერთად სიცოცხლე აღარ ხერხდება.

— რაისთვი არა, რაისთვი? განა შენ-კი არ მიყვარხარ?..

— მაშ გიყვარვარ!.. — სიხარულით წამოიძახა კაცმა და ისევ ხელები მოხვია. მზაღო გაუსხლტა.

— შენ ძმა ხარ და ძმასავით მიყვარხარ.

— კიდევ მოვტყუვდი? მაშ აჰა,—დასწვდა მთიული ცულსა, რომელიც იქვე ეგდო და დაუმატა: — დამკარი თავში და გამათავე.

— რას უბნობ? — უკან მიდგა შეშინებული ქალი.

— დამკარი, დამკარი-მეთქი, — არევით ეუბნებოდა კაცი, რომელსაც მოქმედებისთვის ანგარიში ველარ მიეცა. — დამკა-

რი-მეთქი, თუ ელგუჯას გადარჩენა გინდა, თორემ თუ აქედგან ცოცხალი გავედ, ღვთის მადლმა, რომ იმის მზე გამავდებისა!

— მათიაუ! შენაი ჭირაიმე, ღვთის მადლსა!..

— მაშ დამკარ და მორჩი!.. მორჩი, მორჩი-მეთქი!..

— ბეჩაუ!..

— ჰო, — გააწყვეტინა იმან. — ჩქარა, ჩქარა...

კაცი მთლად ცახცახებდა და ორი სიტყვა გადაბმით ვეღარ მოეხერხებინა. ამ დროს კარებიდან რაღაც ხმაურობა ჰოისმა და გახარებულმა ქალმა წამოიძახა:

— ელგუჯა! — და გასასვლელად გაბრუნდა, მაგრამ მათია წინ გადაუდგა.

— მოიცა!

— გამიშვი, კარი გაუღო!

— მომკალ!

— არა-მეთქი... გამიშვი!..

— არა?.. მაშ ცოდო შენზედ იყოს!..

ქალმა დაიწივლა და დაეცა, მათიამ კი ცული გადააგდო, გაიძრო ხანჯალი და გაბრაზებულის ხარხარით კარებისაკენ გაქანდა.

—

XXVI

მათიამ გააღო კარები, მაგრამ მაშინვე უკან მოაწყდა, რადგანაც მოხევის მაგივრად რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი დახვდა. ესენი მოჰყოლოდნენ მაზრის მმართველს, რომელსაც ელგუჯას დაჭერა განეზრახა.

მთიულმა კარების ჩაკეტა ვეღარ მოასწრო, ამ შემთხვევით ყაზახებმა ისარგებლეს და სახლში შევიდნენ.

— ელგუჯა შენა ხარ? — ჰკითხა ჯარის მეუფროსემ.

მათია გაშტერებით შეჰყურებდა და გაშიშვლებულს ხანჯალს ხელიდგან არ აგდებდა. რუსებსაც თოფის ჩახმახები ფეხზედ შემოეყენებინათ და მტრის დასახვედრად მომზადებულიყვნენ.

— ელგუჯაი არა ვარ! — ბოლოს უპასუხა მათიამ.

— ჩააგე ხანჯალი, — უბრძანეს იმას.

— ხანჯალი? — ჩაცინებით წარმოსთქვა ბითუღმა და ქუდი თვალებზედ ჩამოიფხატა. — რაისთვი?

— ჩააგე-მეთქი და წამოგვყევ! — გაუმეორეს ბრძანება.

— რაისთვი ჩავაგო, ან სად უნდა წამოგყვეთ? — მათიამაც ხმა აიმაღლა. — თქვენ ელგუჯას ეძებთ და მე-კი ელგუჯაი არა ვარ... ცსო რაიღა გინდათ?..

— ელგუჯა შენა ხარ, ვერ მოგვატყუილებ!.. გეუბნები, წამოგვყევ!

— გეუბნებით, რომ არა-მეთქი... ელგუჯაი რომ ვიყო, სახელს რაიღა დამამალვინებდა?

— ისა, რომ გეშინიან. წამოგვყევ, თორემ ძალათ წაგიყვანთ.

მათიამ თავის ჩამოქნევით ქუდი მოიმარჯვა.

— ლომისის მადლმა, ელგუჯაი არა ვარ, არც მეშინიან, თორემ სახელს თქვენ დამამალვინებდით?.. არც ამდენს გალაპარაკებდით.

— დაგვმორჩილდი-მეთქი, თორემ...

რუსმა სიტყვების გათავება ვერ მოასწრო, როდესაც მზაღო მუხლებ ქვეშ ჩაუვარდა და ხვეწნა დაუწყო. ყაზახმა წამოაყენა და უზრუნველად ხელი ჰკრა.

— გამეცალე!.. ქალებთან საქმე არა მაქვს! — დაიძახა ყაზახმა მკაცრად.

ამის მნახველი მათია მთლად გაფითრდა, თვალთაგან ნაწნწკლები გადმოსცვივდა და მთლად თრთოლამ აიტანა.

— დაიჭირეთ ეგ კაცი, — ჯარის უფროსმა მათიაზედ უჩვენა.

ყაზახები წინ წადგნენ, მაგრამ მთიული უკუ გადახტა, ამოეფარა გოდორს და მტრის მედგრად დასახვედრად მოემზადა. ყაზახებმა კიდევ მიიწიეს, მაგრამ მთიულმა კედლიდგან თოფის ჩამოღება მოასწრო და გაუძიზნა.

— შესდექით, ლომისის მადლმა! ნიშნდაუდებელს არ გაგიშვებთ.

— ელგუჯავ, დაყარე იარაღი და დაგვნებდი-მეთქი.

— იარაღს-კი არ დავყრი და თუ შეგიძლიანთ, ძალათ ამხსენით.

უფროსი განრისხდა, მაგრამ სროლა მაინც ვერ გაბედა,

რადგანაც ელგუჯას ცოცხლად მიყვანა ჰქონდა ნაბრძანები.

— მაშ კარგი! — დაემუქრა ყაზახი და მხლებლებს მიუბრუნდა: — ეს ქალი დაიჭირეთ.

შეშინებული მზაღო კედელს აჰკროდა და მთლადა ცახცახობდა; ყაზახები მისცვივდნენ, შეიპყრეს და წივილ-კივილით გარედ გაათრიეს.

მათიამ მოთმინება დაჰკარგა და თოფის გასროლის შემდეგ, გულამღვრეული, შეჯგუფებულს ხალხს გადმოერია. ყაზახები გამოცვივდნენ და ხანჯალ-მოწვდილი მათიაც უკან გამოჰყვა. პირველში შემკრთალი რუსები გარბოდნენ და მათია თავისუფლად ხანჯლამდა, მაგრამ მალე გონს მოვიდნენ, შემოეხვივნენ, ჩაიგდეს შუაში და ხმლები დაუშინეს.

რამდენიმე თოფი გავარდა, მაგრამ გახურებული მათია ვერ შეაყენეს; იმან ისიც კი ვერ გაიგო, დასჭრეს თუ არა. თვალწინ მხოლოდ მზაღრ ეხატებოდა, ხედავდა, რომ რუსები წივილ-კივილით მიათრევდნენ და ამ შეურაცხყოფის გადახდის მეტი აღარა ახსოვდა-რა.

მათია იბრძოდა გამწარებული და ყოველ მხარეს, საითაც გაიბრძოლებდა, ნიშანდაუდებლად არ გამობრუნდებოდა, მაგრამ იარებიდან გადმონაჩქებმა სისხლმა მალე ძალა მოუკლო და ჩაიჩოქა, მკლავი დაუსუსტდა, კანკალი დაიწყო და წუთის შემდეგ უსულოდ დაეცა... გამარჯვებული ყაზახები გახარებულის ყიჟინით მიეხვივნენ და თავიანთ ხმლების მჭრელობა გუფთასავით აკეფილს მთიულზედ კიდევ რამოდენჯერმე სცადეს.

სწორედ იმ დროს, როდესაც თოფები დაიცალა, ელგუჯა იქავ ახლო-მახლო სოფელში ყოფილიყო და გარედ გამოვარდნილიყო; დაენახა, რომ იმის სოფელში ჩხუბია და მთლად გაფითრებული იქითკენ გაიქცა. გზაში რამდენიმე ბიჭი მოეგება და შეატყობინეს, რომ ელგუჯას დასაჭერად ყაზახები მოვიდნენ და მათია დაჩეხესო; მოხევემ კბილები გაახრჭიალა და გონებადაბნეულმა უფრო ჩქარა გასწია.

— სად მიხვალ, სადა? — მეზობლები წინ გადაუდგნენ.

— არ გესმის, რომ შენს დასაჭერად მოვიდნენ?..

— დასაჭერად?.. ვნახავ!.. — წამოიძახა იმან შეუჩერებლივ.

— ნუ მიხვალ, შე ბეჩაო, შენა!.. იმდენ ხალხთან მარტო კაცი რაი გახდები! — კიდევა სცადეს იმის გამობრუნება, — მაი დაბრუნდი და ცხოფრივ მოუაროთ.

— მაშ სტუმრის სისხლი შევარჩინო? თავი სალექსოდ გავიხადო!..

— შენც მოგკვლენ...

— მომკვლენ და ალალი იყოს! კაცი ერთხელ დაიბადების და ერთხელ მოკვდების! — წამოიძახა მოხევემ. ბევრს ეხვეწნენ, ბევრი ეცადნენ, მრავალი საბუთები მოჰყვანდათ, მაგრამ ელგუჯას დაბრუნება ვერა ღონისძიებით ვერ მოახერხეს!.. ის სულ ერთსა და იგივეს გაიძახოდა: — ძმა მომიკლეს და სისხლი უნდა ავიღო!

ელგუჯას, რომელიც საზოგადოდ მოხერხებული, გაფრთხილებული და მოაზრებული კაცი იყო, ეხლა სრულიად გონება დაეფანტა და თავის მოქმედების ანგარიში ველარ მიეცა.

მოხევე მხოლოდ ერთს წადილს შეეპყრო და იმას მეტი აღარა ახსოვდა რა: იმას სტუმარი მოუკლეს და სამაგიერო უნდა გადაეხადა, თუნდა ამის აღსასრულებლად სიცოცხლის შეწირვაც დასჭირებოდა.

ელგუჯა გავიდა სოფელში და სწორედ იმ დროს მივიდა თავის სახლთან, როდესაც მკვდარს მათიას ვიღაცა უპატიოსნო, სულით დაცემული მასხარად იგდებდა და უშვერის პირითა ლანძღავდა. მოხევემ მკვდრის ამგვარი შეურაცხყოფა ველარ მოითმინა და თავდავიწყებულს ერთის ხელით მისწვდა საყელოში და თავისკენ მოიბრუნა.

— აქეთ მობრუნდი, დაუნდო ძაღლო, აქეთ, — და სიტყვებთან ერთად მოქნეული ხანჯალი ტარამდი მკერდში ჩაუსვა. გულჩანგრეული ყაზახი მათიაზედ დაეცა.

— ეს ერთი, მათიაუ!.. — წამოიძახა იმან სიბრაზით და დაუმატა: — ნუ გეშინიან, ჯერ კიდევ ბევრს გამოგაყოლებ.

გამობრუნდა და დანარჩენს ყაზახებში გაერია; იმათ მთიელი მხოლოდ მაშინ შენიშნეს, როდესაც რამდენიმე კაცი წაიქცა.

გაშტერებული ყაზახები ჯერ აირივნენ, რადგანაც ვერ წარმოედგინათ, რომ ერთი კაცი ამოდენა ჯარში ჩამორევას გაბე-

დავდა, და ღრუბელში შემალული მთვარე-კი საკმაოდ ადარ ანათებდა, რომ ნამდვილი დაენახათ.

მაგრამ რაკი ღრუბელმა გაიწია და მთვარემ იქაურობა გაანათა, ჯარმა დაინახა ერთადერთი კაცი, რომელსაც ხანჯალი ეჭირა და უწყალოდ, შეუბრალებლად იქნევდა. ყაზახები მიეხვივნენ და გზა შეუკრეს.

ელგუჯამ გაიბრძოლა. გასვლა დააპირა, მაგრამ წინ კიდევ რამდენიმე ხმალამოწვდილი კაცი გადაეღობა. იმათ შეხედეს ერთმანერთს, თითქოს თვალით აწონას უპირებდნენ. მოხევე შეიკუმშა, გადახტა, მაგრამ რამდენჯერმე ხანჯლის მოქნევის შემდეგ, თავშუაზედ გაჩეხილი მათიას გვერდით დაეცა.

— მათიაუ, ვერ მისაყვედურებ! მარტოდ არ დაგაგდე... მზაღო... შვილებო!.. — წარმოსთქვა იმან და საუკუნოდ დახუჭა თვალები.

ასე გათავდა ამ უბედურთ სიცოცხლე, რომლების გულიც სიყვარულის ცეცხლით სდუღდა და იმდენს მოელოდა დაუნდობელის სოფლისგან.

დასასრული

გაიარა წელიწადებმა, საქართველოში დამყარდა რუსის მართებლობა და კანონები. ხალხი დამშვიდდა, დაიწყო ახალი ცხოვრება. საუკუნობით დაღალული ბრძოლისაგან, ის თითქოს დასვენებას ეძლეოდა, ერთობა წუნარ-წუნარადა ჰქრებოდა და იმის სამაგიეროდ ყველანი თითქოს განსაკუთრებით ეხვეოდა თავიანთ საკუთარს სახვევში.

დაივიწყეს ბევრი წარსული ჩვეულება, წარსული აზრები, ურომლისოდაც მაშინ ცხოვრების შეძლება არ ეგონათ. დაივიწყეს ელგუჯა და მათიაც, როგორც სხვა მათი მედროვე ხალხი.

გარდაიცვალა სვიმონის ცოლი და იმის ადგილი დაიჭირა იმის უფროსმა რძალმა, რომლის ქმარიც სამხედრო სამსახურში შესულიყო და ისე ბედნიერად მსახურობდა.

მართებლობამ დაიწყო ბატონ-ყმობის, გვარ-ტომობის და მამულებზედ დავების გარჩევა. იმ საქმეების არეულობაში,

როგორიც მაშინ იყო, ყველა ცდილობდა მეტი კაცები დაეწერა თავიანთ სახელობაზედ ყმად, მეტი მამული დაეჭირათ და თავადებთ სიაში ჩაწერილიყვნენ, რომელსაც განსაცვიფრებელის გამოცდით ახერხებდნენ.

ერთ დღეს სვიმონის უფროსი შვილი დაბრუნებულიყო სამსახურიდგან შინ, რადგანაც იმის მამულსა სწვევოდა ჩინოვნიკი, რომელსაც მინდობილი ჰქონდა ყმებისა და სახელმწიფო გლეხკაცების კამერალური აღწერის შედგენა.

რასაკვირველია, ამ გვარს შემთხვევაში გულუხვი ქართველი მებატონის სახლი ისე არ დადგებოდა, რომ მსუქანი ვახშმები, გალაზათიანებული კარგის კახურის ღვინით არ გაემართა.

ამისათვისაც სვიმონის სახლში იყო გამართული ლაზათიანი ნადიმი იმ პირისათვის, რომლის კალმის მოსმაზედაც იყო დამოკიდებული გლეხკაცთ ყურმოჭრილ ყმად თუ თავისუფლად გახდომა.

გლეხკაცები, დარწმუნებულნი, რომ უპატრონოდ, უბატონოდ, ე. ი. უმოსარჩლოდ, იმ ხანში დარჩენილი, როდესაც დიამბეგს და ნაჩალნიკს უსუდოდ შეეძლოთ რაცა სურდათ ის ექმნათ, — ცხოვრება წვა და დაგვა იყო, გარბოდნენ და უცხადებდნენ რომელიმე შეძლებულ და ძალამჭონებელ მებატონეს ყმობას. ამგვარად ისინი ჰხდებოდნენ სხვადასხვა პირების საკუთრებად.

როდესაც ჩინოვნიკმა გაათავა თავისი მუშაობა, თქვენ რომ თვალი გადაგეევლოთ იმის რვეულისათვის, საბატონო ყმების სიაში ამორკითხავდით: „მზაღო ნასყიდაშვილისა, თავის ორი შვილით!“

დიაღ, მზაღო შეიქნა, თავის შვილებით ერთად, მებატონის საკუთრებად, და ეს ხალხი ამ შემთხვევამ ჩააყენა ისეთს მდგომარეობაში, რომ, სხვათა შორის, გულის ძგერით მოალოდნა იმ დროს, როდესაც ბატონ-ყმობის გადავარდნის ხმა გრგვინვასავით გაივლიდა საქართველოში და ათას წამებულს ლოცვით თვალებს მიაპყრობინებდა ზეცისკენ.

მამის მკვლელი

ნაწილი პირველი

I

იქნებოდა დილის თერთმეტი საათი, როდესაც ხევის ერთს სოფელში კერას პირს ისხდნენ ორი კაცი და ერთი დედაკაცი. ერთი ამათგანი, ონისე გელაშვილი, გამოქნილის სახით და მკაცრის გამჭვრეტელობით, ბანდულებს ამაგრებდა.

მეორე, ცოლი ონისესი, მახია, შუახნის დედაკაცი, დაღმეჭილის სახით და ბოროტის მოუსვენარის თვალებით, საჩოხე მატყლს ართამდა და შესცქეროდა ქვაბს, რომელიც იქავ ცეცხლზედ ჩუხჩუხებდა.

მესამეც იყო ონისეს ძმა, მთხოვარა გლახა, როგორც ყველანი ეძახდნენ ხოლმე. ბევრით მოხუცებულს თავის ძმაზედ, დაღვრემილს და გატეხილს მოხუცს ფანდური ეჭირა ხელში და დაღონებულის, შეწუხებულის ხმით დამღერდა ერთს იმ სიმღერებთაგანს, რომელიც მთაში საზოგადოდ შემოღებულია.

როგორც ხმაში, ისე პირისახეზედ, მთხოვარა გლახას ეტყობოდა, რომ ცხოვრებაში ბევრი გულსათუთქი წუთები და მღელვარება გამოევლო, რომელთაც შეუბრალებლად დაეღმიჭათ იმისი პირისახე, რომელიც, როდისღაც მშვენებით სრული, ეხლა წარმოადგენდა რაღაცა უსიამოვნო, შემაწუხებელს სურათს.

უცნაურად დაფლეთილი და მასუკან სხვადასხვა ფერის ნაკუწებით დაკონკებული ფარაჯა შეადგენდა იმის ტანსაცმელს, რომელსაც სიცივისგან და ავდრისაგან უნდა დაეფარა იმის დაუძლურებული სხეული და სიბერისგან ჩავარდნილი გული.

გლახამ ჩაჰკრა ფანდურსა და დასძახა:

როსტომ თქვა: მიწა რბილია,
სიტყვას მით უნდა რბილობა;
ვაჟკაცს რომ გაუჭირდების,
მაშინის უნდა ცდილობა.
როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა:
ერთხელ სჯობია სიკვდილი
სულ მუდამ დაღონებასა!..

— რაია, ღვთის მადლსა, სულ მაგის ჩხარა-ჩხური? — გააწყვეტინა მოთმინებიდგან გამოსულმა ონისემ.

მთხოვარა გლახამ ამოიოხრა და გადასდო ფანდური იქით.

— ახლა წახვალ ისევა და, უფალმა იცის, კიდევ გნახამთ როდისმე თუ არა; ვინ იცის სად მშიერი ივლი და სად მაძღარი?..

— ეჰ, ჰე, ჰე, ჩემო ძმავ! — მწუხარებით წამოიძახა მთხოვარა გლახამ და ამოიოხრა, — რა ხარჯს გაძლევთ, რომ ცხოთა კარზედ გამიტარებია ჩემი სიცოცხლე?.. შინიდგან არა მიმაქვსრა, არა გამიყიდნია-რა და არა შემიჭამია-რა... ჩემი სარჩოსაბადებელი თქვენთვის დამილოცია, ცხო რაი-ღა გინდათ?.. დავდივარ ქვეყანაზედ, ვთხოულობ და კეთილი ხალხის წყალობით ლუკმასა ვჭამ. რაი გაქვთ ჩემზედ სამდურავი?.. თუ ერთი ორი გროშა გადამრჩენია, ისიც თქვენთვის გამომიგზავნია.

— შინ იყო და იუფროსო, ის არა სჯობს? — გააწყვეტინა ონისემ.

— ეჰ, ჰე, ჰე, — კიდევ ამოიოხრა გლახამ და დაუმატა: — არა, ძმაო, არა... შენც კარგად იცი, კაცი თუ გარეთ სიარულს დაეჩვია, ის შინ ვეღარ გასძლებს... ან რაი-ღა ხელსაპყარი ვარ? „დავბერდი, დავჩაჩანაკდი, წვერი გამიხდა ჭაღარა, შინ ჯალაბთ მოვძულებულვარ, გარედ უნდივართ აღარა“, — დაუმატა გლახამ და ისევ ჩაჰკიდა თავი.

— რაისათვი ამბობ მაგასა, რაისათვი? აქ იყო, იუფროსო და რიგი მოგვცე, ის არა სჯობს? — წარმოსთქვა წყენით მახიამ.

— კარგია-ღა, მახიაისი!.. აბა რაღა რიგის მიცემა შეუძლიან ჩენისთანა ავარდნილ-გავარდნილს კაცს?

— რად არა?

— იმად, რომ... — აღარ გაათავა სიტყვა გლახამ და გაჩუმდა.

— დარჩი, დარჩი!.. ღვთის მადლმა, ჩემი ბალღები ეგრე შეგინახვენ, როგორც ბატონსა, — დაიწყო ისევ უმცროსმა ძმამ.

— შენც კარგად იცი, ონისეისი, დარჩენაც რომ მინდოდეს, ვერ დავრჩები... ჩუმად მოვსულვარ ჩემ ქალას სანახავად... გულმა ვეღარ გასძლო მეტი უნახაობა და ახლა ისევ ჩუმად უნდა გავიპარო... მე არა მინდა-რა, ყველა ღმერთმა თქვენ მოგახმაროსთ, ოღონდაც ჩემს ქალას მოუარეთ, უპატრონეთ და გაათხოვეთ.

— აბა, უფალს არ მოეტყუება, შენი ქალაი ჩემს შვილებს მირჩევნია, — უპასუხა მახიამ.

— ერთი იმას გეხვეწებით, ისეთს კაცზედ კი გაათხოვეთ, რომელიც გემრიელ ლუკმას შეაჭმევს... „გორსა“ და სიმდიდრეს ნუ გამოუდგებით... გლეხი ხალხი შრომისათვის ვართ გაჩენილი... ოღონდ ერთურთი უყვარდესთ და ცხო არა უნდათრა... მუშაობა ქალისთვის ძნელი არაა, თუ ჯალაბობაში მშვიდობიანობა ექნება.

— ღმერთი იყოს შენი თავდები, — უპასუხა ონისემ, რომელსაც ცრემლები მოერია თვალებში.

— შენს სასიძოდ თუ არავინა გყავს არჩეული? — ჰკითხა მახიამ.

— მე ამოდენი ხანია აქაური ღრუბელიც არ დამინახამს და ვინ მეყოლება ამორჩეული?.. ან რაი ჩემი საქმეა? ქალი თქვენია და თქვენმა სულმა იცის, როგორს პატრონობასაც გაუწევთ.

ჩამოვარდა სიჩუმე, ყველანი რაღაც აღშფოთებასა გრძნობდნენ. მოხუცის მკერდი ძალზედ ადიოდ-ჩამოდიოდა ჩქარის ქშენისაგან, ეტყობოდა, რომ იმის დამწვარი გული ჯერ არ გაქვავებულიყო და კიდევ შეეძლო დუღილი და ბრძოლა.

მართლაც მეტად ძნელი უნდა ყოფილიყო იმ მოხუცის მდგომარეობა, რომელსაც ცის ქვეშე ერთი ქალის მეტი არა ჰყოლოდარა და იმის ბედნიერებაზედ ზრუნვაც კი იძულებული იყო სხვისთვის დაეთმო.

როდესაც გლახამ გული დაიმშვიდა და თავი შეიმაგრა,

ისევ წყნარა გააგრძელა თავის საუბარი, თითქოს ანდერძს უგდებდა თავის ძმას და ცდილობდა ყოველი სიტყვა გარკვევით წარმოეთქვა და ჩაეგონებინა იმისთვის.

— მე ერთი, ხალხისაგანაც და ღმერთისაგანაც მოძულებული კაცი ვარ... ერთი ფეხი სამარეში მიდგა, დღეს თუ ხვალ მოვა სიკვდილის ჟამი და გავქრები... ნუნუს მამის სახლობა თქვენ უნდა გაუწიოთ... მაშ ეცადეთ საქმროც ეგეთი აურჩიოთ, რომ თქვენი გამოსადეგიც იყოს... თუ თითონ შეუყვარდა ვინმე, ეგ ხომ სულ კარგი და სულ კეთილი! ნუ დაუშლით.

— განა-ღა ბატარაია ნუნუ, ჩემო ყველავ! ეხლა თითონ უნდა აირჩიოს, თორემ ცხო ვის შეუძლიან! — უპასუხა მახიამ.

— თქვენ იცით, თქვენა! — ყრუდ წამოიძახა გლახამ, წამოავლო გუდას და ჯოხს ხელი და წამოდგა.

— აბა, ახლა კი წავალ.

ონისე და მისი ცოლი წამოდგნენ.

— ბატარა შეჭამე მაინც რამე, — უთხრა მახიამ.

— სანამ ნუნუც მოვა, — დაუმატა ონისემ.

— გიშველათ უფალმა, — უპასუხა გლახამ, — არა მინდა რა... ნუნუსაც რაიღა მოუცადო, უბრალო ცრემლები-ღა იქნება... მშვიდობით, ჩემო ძმაო, ჯერ ღმერთს და მერმე თქვენ გებარებოდესთ ჩემი ნუნუ... ვინ იცის, განახამთ კიდევ თუ არა!.. მშვიდობით, მახიავ, შენ იცი და შენმა დედაკაცობამ, როგორც უპატრონებ იმ ქალას.

ამ სიტყვებთან ერთად ის გაბრუნდა და წყნარად გადააბიჯა იმ კარის ზღურბლს, რომლის თავის დანებებაც ისე ეძნელებოდა. ონისე გაჰყვა თანა, მახია კი კარებიდგან გამობრუნდა.

— საღამომდინ მაინც მოიცდიდი! — დაიწყო ისევ ონისემ.

— რაიღა გავაკეთო?

— არ გიცნონ და...

— რაღას მიცნობენ, ღვთის მადლსა. ხალხს კიდეც გადავაეწყდი.

ამ ლაპარაკით იმათ მიაღწივეს ერთს ხევს, რომელსაც ყუროს უძახიან, იქ გამოესალმნენ ერთმანერთს და ონისე გამობრუნდა თავის სახლისაკენ. გლახა კი, რომელიც ღრმა ფიქრმა წაიღო, ჩამოჯდა ქვაზედ.

იმას მოაგონდა თავისი სიყმაწვილე, მოაგონდა თავისი ცო-

ლი, წარსული იმედები, ერთის სიტყვით, ყველა ის, რითაც კი ისე ტკბილი ხდება კაცის მწარე სიცოცხლე. მოაგონდა ეს ადგილები, სადაც როდესღაც ცხვარი დაუდიოდა საძოვრად, მოაგონდა ის წუთიც, როდესაც ივანობაზედ მხვეწარი ჩამოდიოდა და პირველად შეჰკრა თვალი იმ ქალს, რომელმაც სწრაფად აუდუღა სისხლი ძარღვებში. ეს ყველა წარმოუდგა იმის გონებას და მწუხარებით აუვსო გული. სად განქრა ეს ნეტარება, სად წავიდა?..

ხედავდა იმედებით და სიცოცხლით სავსე ყმაწვილის მაგიერ მოხუცებულს, დაუძლურებულს თავის თავს, როშელსაც ბედნიერების მაგივრად უკანასკნელი წუთებიც კი სხვათა კარზედ უნდა გაეტარებინა და სიკვდილის ჟამს თავის სახლობის ცრემლიც კი არა ღირსებოდა...

იმას ჯერ თითქოს რაღამაც ძალზედ მოუჭირა გულზედ, ბოლოს ის გახურდა, ადუღდა ცხლად და მწვავად წამოვიდა და ყელს მიებჯინა. იმან დაიწყო ყელში ხრიალი და მანამ ვერ დაისვენა, სანამ ცრემლებად არ ჩამოედინა ეს შეგუბებული სულის მღელვარება.

როდესაც გული იჯერა ტირილით, ის წამოდგა დასუსტებული, გახედა თავის სოფელს, ჩაიქნია ხელი და წამოიძახა: — აჰუ!.. მუხთალო სოფელო!

გაბრუნდა საჩქაროდ და მთვრალსავით ბარბაცით გაემართა ვლადიკავკაზისაკენ...

ონისე თუმც გამოქნილი კაცი იყო, რომელიც ძმის მოშორებისთვის არც აგრე აიტკიებდა თავს, რადგანაც ძმის წილობა იმასა რჩებოდა, მაგრამ ძმის გამოსალმებას არა მცირედი აეღელვა და გული მოელბო, ამიტომაც შევიდა ის ისე დაღონებული თავის სახლში.

— რაი მოგსვლია? — ჰკითხა ცოლმა.

— აბა რაი ვიცი? — დაღონებით უპასუხა ონისემ და მოიფშვნიტა ცრემლ-მორეული თვალები.

— იტირე ბარემ და, რაიღას ელი? — დაცინვით უთხრა ცოლმა და ჩამოჯდა ისევ კერას პირს.

— შენ ძმასთან დაშორება იქნება მართლა ადვილი გგონია?.. მართლადაც, უფალმა უწყის, კიდევ გვეღირსების ერთურთის ნახვა თუ არა?

— იმას მადლიც მოუვიდა წასვლითა!.. ო, ღვთის მადლმა!.. ჩვენა ვართ ბედშავნი, რომ, რაც გინდა ვქნათ, ვერ მოვშორდებით აქაურს მშრალა ქარჯინას.

— ეგ ყველა ყველა, ის წავიდა და ღმერთმა ხელი მოუმართოს... მაგრამ რაი უნდა უყოთ იმ ქალა-შავასა!

— ნუნუსა?.. მთხოვრები გვყავს, მივცეთ და მოვიშოროთ თავიდგან.

ონისემ თავი ჩაჰკიდა და ცოტა ფიქრის შემდეგ წამოიძახა:

— რაი ვქნა, ბიჭი არ მომწონს და ცხოთა შვილის ცოდოში საით ჩავდგე?.. თითონ იმ ქალა-შავასაც არ მოსწონს, თავს იკლავს — არ გავთხოვდებიო.

— იმან რაიღა იცის, ღვთის მადლსა? ვისაც ჩვენ ვეტყვით, იმას უნდა წაჰყვეს.

— მართალია, მაგრამ ნუნუს ცხო უყვარს და...

— რა უყოთ, რომ ცხო უყვარს? — გააწყვეტინა ცოლმა.

ამ დროს გაიღო კარები და წყლით სავსე ტაგანა-აკიდებული თექვსმეტ-ჩვიდმეტი წლის ქალი, ტანადი და მოხდენილი, წუნარა შემოვიდა ოთახში. წუნარა ჩამოიღო ტაგანა, მოხსნა თოკი და მოუბრუნდა იქ მყოფებს: — მამაი სადაა?

ამ უბრალო, დამამშვიდებელმა კითხვამ ისე არია ცოლქმარი, რომ დიდს ხანს პასუხი ვერ მოეხერხებინათ.

— მამაი სადაა? — ისევ იმ ხმით გაიმეორა ქალმა და ჩაციებით დაუწყო ყურება მახიას.

— წავიდა, — ბოლოს უპასუხა მახიამ.

— წავიდა? — რაღაც მწუხარებით იკითხა ნუნუმ და ხელები ჩამოუცვივდა.

იმას აშკარად ეტყობოდა, რომ ეს სიტყვები ლახვრად მოხვდა გულში და იქამდინ ძალა დაატანა, რომ რაოდენიმე ხანი მოუნდა, სანამ გონს მოვიდოდა და ტირილს მოახერხებდა.

— მე კი მეგონა... — წარმოსთქვა იმან, წუნარა დეეშვა იქავ მიწაზედ და დაიწყო ტირილი.

II

ის ტიროდა გულამომჯდარი, ცხარედ, ყოველი მახიას ცდა იმის დასამშვიდებლად რჩებოდა ამაოდ.

— რაი გატირებს, რაი? — მეათედ ეუბნებოდა ეს დედაკაცი.

— რაი მატირებს? — უპასუხებდა ნუნუ, — ის მატირებს, რომ მამაი ეგრე წავიდა, რომ არც კი მნახა.

— გაჩუმდი, გაჩუმდი, — თითქმის ბრძანებით უთხრა მოთმინება-დაკარგულმა მახიამ და ბოლოს უფრო დამშვიდებულმა დაუმატა: — აი ეხლა გაგათხოვებთ და სუყველაი გადაგავიწყდება.

— არ მინდა გათხოვება, მე არ გავთხოვდები!

— ახლა ეგრე ამბობ, მაგრამ მაშინ მაგას აღარ იტყვი, — დაუმატა ონისემ.

— აგეთ კაცს მიგათხოვებთ, რომ ყველა შენ შემოგნატროდეს. ო, ღვთის მადლმა!

— არ მინდა, არა! — რაღაცა გაბრაზებით უპასუხებდა ნუნუ, — მე ვიცი ვიზედაც გათხოვებას მიპირებთ, თავს დავიხრჩობ და იმას კი არ გავყვები.

— რაისთვი არა, რაისთვი?

ნუნუ კარგა ხანს ჩუმად იყო და პასუხს არ აძლევდა. ბოლოს გუნებაში გაურბინა, რომ გადახვეოდა მახიას, ჩაჰკროდა გულში და ყმაწვილი ქალების მინიჭებულის მორცხვობით ეთქვა: „მე ცხო მიყვარს, გებრალებოდე, მახიაისი“! მაგრამ რაწამს შეხედა თავის ძალუის მკაცრს პირისახეს და გაყინულს თვალებს, რომელნიც უწყალოდ გამოხედებოდნენ, ნუნუს სიტყვები პირში გაუწყდა. ის აშკარადა ჰხედავდა, რომ იმის წინ თანამგრძნობელი ადამიანი კი არ იდგა, არამედ პირი, რომელსაც წინადვე გადაეწყვიტა იმისი მომავალი და არავითარს საბუთს, არავითარს ხვეწნას გავლენა აღარ ექნება იმის გაქვავებულს გულზედ.

მართლადაც აღარ გამოიარა რაოდენმამე ხანმა, როდესაც მახიამ მკაცრად და გადაწყვეტით დაიწყო:

— კარგია, გაჩუმდი!.. მამაშენი წავიდა და შენი გათხოვება ჩვენ მოგვანდო, ვისაც ჩვენ ამოგირჩევთ საქმროდ, შენც იმაზედ უნდა გათხოვდე.

ამ სიტყვებზედ ნუნუმ მარტო შეხედა იმას დაღონებულის თვალებით, მაგრამ შეხედა ისეთის გარდაწყვეტილებით, თით-

ქოს ისინი ამბობდნენ: „თქვენ არ გინდათ იმას მიმათხოვოთ, ვინც მე მინდა, და ვნახოთ, სხვას როგორ მიმათხოვებთ!“

— ახლა კი წადი საჩალეში, წაიღე ხენცელი და სავალდახე, მოთიბე, — უთხრა მახიამ და გამობრუნდა. ნუნუმ აიღო ხენცელი და წავიდა სათიბლად, მაგრამ რა საქმის გაკეთება შეეძლო, როდესაც იმისი გული ათასის ლახვრით იხეოდა.

ის გადავიდა კალოში, ერთი ხელით შემოიყარა დოინჯი, მეორე კი ჩამოუვარდა ისე, თითქოს მოტეხილი ჰქონოდა. ასე მიდიოდა დრო, წუთი წუთით იცვლებოდა, მაგრამ ის მაინც იმავე მდგომარეობაში იდგა, ისევ ისე გასცქეროდა სივრცეს და ჰფიქრობდა თავის მწარე მდგომარეობაზედ.

— გამარჯვება შენ საქმესა! — შესძახა ერთმა ლაზათიანად მოყვანილმა ყმაწვილმა ბიჭმა, რომელიც ღობესთან მომდგარიყო და ღიმილით უყურებდა იმას.

ქალი შეკრთა, შეხედა და სირცხვილისაგან მთლად აინთო.

— კარგადაც მუშაობ! — ისევ იმ ღიმილით უთხრა ბიჭმა და გადისვა ხელი ახლად აშლილს ულვაშებზედ.

ნუნუმ ძლივს მოახერხა, რომ დახროდა ბალახს და მთრთოლარე ხელებით დაეწყო თიბვა.

ბიჭი წყნარა გადავიდა ღობეზედ, მივიდა ქალთან და უთხრა:

— მაი, მე მომე ხენცელი, მე მოგითიბ.

— არა, შენაი ჭირაიმე, არა! დამეხსენ, მე თავად მოვთიბ.

ბიჭმა დაუწყო ყურება გამომცდელის თვალებით, რადგანაც უკვირდა ნუნუს ამგვარი პასუხი, რომელიც პირველად ესმოდა.

— რაი მოგსვლია, ქალაუ! რაისთვი მელაპარაკები აგრე?

— არც რა, არც რა! — საჩქაროდ უპასუხა ნუნუმ და ჩქარადვე დაუმატა: — წადი, წადი, არვინ მოგვასწროს და...

— მოგვასწრონ, რაი იქნება? — ჰკითხა დაფიქრებულმა ბიჭმა და გულში გაუელვა რაღაც ეჭვმა.

ის დაფიქრდა კარგა ხანს და მერმე ჰკითხა:

— რა მოგივიდა, რად არ ჰეუბნები?

— ის მომივიდა, რომ ცხოს მიპირებენ მიცემას, — უპასუხა ნუნუმ და ცრემლები გადმოედინა.

— ცხოსა? — გაფითრებით იკითხა ახლად მოსულმა.

— ჰო, ცხოსა.

— მამაი რაღას ამბობს?

— მამაი აღარაა აქა, წასულა! — იმედ-გადაწყვეტით წამოიძახა ნუნუმ.

— წასულა? — ხმის კანკალით იკითხა უცნობმა, რომელიც უფრო ჩაფიქრდა და ჩაჰკიდა თავი.

კარგა ხანს ის იმ მდგომარეობაში დარჩა და სიტყვა ვეღარ მოეხერხებინა. ბოლოს ამოიოხრა, აიღო მაღლა თავი და უთხრა:

— მაშ იაგო მოჰკვდეს, თუ იმან სხვას დაგანებოს!.. იცი, რაი გითხრა: დღეს საღამოზედ, როდესაც ყველანი დაიძინებენ, გამოდი აქა. ჯერ მე თითონაც არ ვიცი რასა ვიქ, მაგრამ, წმინდის გივარგის მადლმა, მე შენს თავს არცვის დავანებებ, არცვის დაუთმობ!.. გამოხვალ, განა?

— აბა რაი ვიცი?

— იქნება შენ თითონაც აღარ გინდა ჩემზედ გათხოვება? — წარბებ-შეჭმუხვნით ჰკითხა იაგომ.

ქალმა, მართალია, ამ სიტყვებზედ არ უპასუხა, მაგრამ ისეთის თვალით შეხედა, რომ იაგო ჟრუოლამ აიტანა.

არის ხოლმე ისეთი შეხედვა, რომელიც აგრძნობინებს, აუხსნის კაცს ათასჯერ უფრო მომეტებულს, სანამ გატაცებული საუბარი გავარჯიშებული მოლაპარაკე კაცისა.

ნუნუს შემოხედვაც სწორედ ამგვარი იყო და მიახწივა თავის მიზანს.

იაგოს გადაავიწყდა გაფრთხილება, გადაავიწყდა მუხთალი მზის შუქი, რომელსაც შეეძლო გაეცა ყოველი იმათი მოძრაობა და თავდავიწყებით გადაეხვია.

— ნუნუ, ნუნუ! ჩემო ყველავ! — კოცნით ეუბნებოდა ის, — მოხვალ განა, მოხვალ?..

პირველმა სიტკბოების წუთებმა ნუნუც ისე გაიტაცა, რომ ისიც მიეკრა ძალზედ და რაოდენიმე სიყვარულის ბეჭედი დაასვა ტუჩებზედ.

— მაშ მოხვალ, განა, ამაღამ ამ ადგილს? — არ ეშვებოდა იაგო.

— აგრე, აგრე! ოღონდაც ეხლა კი წადი!

— წავალ, წავალ, ოღონდაც... ერთი გაკოცო კიდეკ...

ღმერთსამც ნუ ეჭნა, რომ იმათ ალერსისათვის ვისმეს თვალი შეეკრა, თორემ ძვირად დაუჯდებოდა იაგოს თავისი მოუფიქრებლობა, მაგრამ საბედოდ იმათ იღბალი შესწევდა და ალერსი შეუმჩნეველი დარჩა. ისინი გაიყარნენ იმ პირობით, რომ საღამოზედ ისევ შეყრილიყვნენ და გედეეწყვიტათ, თუ რარიგად მოქცეულიყვნენ შემდეგში. იაგო წავიდა თავის ნათლიისას რჩევის საკითხავად, ნუნუ კი დაადგა სათიბს, რომელზედაც დამშვიდებული მუყაითად მუშაობდა.

ის ამ მუშაობაში იყო, როდესაც გლახამ მიახწივა დარიალის ციხეს, სადაც უნდა შეერთებულიყო სხვა მგზავრებს და ჯარს, თუ მშვიდობიანად ჩასვლა უნდოდა ძაუგს.

მაგრამ, სანამ ჩემს მოთხრობას გავაგრძელებთ, მომეტებული არ იქნება, რომ უფრო დაახლოებით გაგაცნოთ მთხოვარა გლახას წარსული.

გლახა იყო ხევში ერთი შეძლებული გვარის შვილი, რომელიც მოეხარა ახალ წყობილებას და იმ ძალს, რომელიც ისე უღმერთოდ ამსხვრევდა ხალხის ჩვეულებას წარსულს საუკუნეში, თუმცა ამაყი მთის სისხლი ჯერეთ კიდევა ჩუხჩუხებდა და თვითეულს პირში იჩენდა თავს. ყმაწვილობაში გლახამ შეირთო ცოლი სიყვარულით და პირველში იმის დღეები წავიდა სანატრელის სიამოვნებით. ის ხარობდა თავის მშვენიერს ცოლთან, სტკბებოდა იმის სიყვარულით, როგორც ერთი უბედნიერესი კაცი, მაგრამ ეს სიტკბოება ჩქარა შეიცვალა სიმწარით. იმან შეამჩნივა, რომ იასაული გადაეკიდა მეტის-მეტად, ყველაზედ ჩქარ-ჩქარად დაჰყვანდა ბეგარაზედ, და თუმცა ის ხედამდა ამ უსამართლობას, მაგრამ ხმა ვერ ამოეღო, რადგანაც იმ დროში კაცი საჩივრის გზასაც ვერ გაიგებდა, არამც თუ რომელიმე სამართალი მიეღო. ერთს დღეს, როდესაც გლახა ბეგარიდგან დაბრუნებულიყო, მოვიდა იმასთან იასაული და ურმის თხოვნა დაუწყო. გლახამ უარი უთხრა, მაგრამ იასაული არ ეშვებოდა და ამისთვის კარგად სცემა თავის მომბეზრებელს.

ან დანაშაულობისათვის გლახა დაიჭირეს და სამი წლით ციხეში ჩასვეს, სადაც ყოველივე სივიწროვე, რაც კი კაცის აზრს შეუძლია წარმოიდგინოს, გამოიარა. მაგრამ რა სატან-

ჯველი იქნებოდა ისე ძნელი, როგორც სატრფო ცოლთან დაშორება, რომელსაც უხუგეშოდ სტოვებდა, რადგანაც იმისი ძმა ონისე ჯერ პატარა იყო და თავის-თავის მოვლასაც ვერ მოახერხებდა, არამც თუ რძალისთვის და სახლისთვის ზრუნვა შესძლებოდა.

რაწამს გლახა ციხეში ჩასვეს, ბატონი დიამბეგი, ერთი იმ დროის ღმერთთაგანი გლეხებისათვის, მობრძანდა გლახას სოფელში და გალახული იასაულის შემწეობით დაუწყო არშიყობა გლახას ცოლს, რომელიც სავაგლახოდ სადღაც ენახა და თვალში მოსლოდა. იასაული ბევრს ეცადა, ბევრი ელაპარაკა, მაგრამ გლახას ცოლი ვერ დააყაბულა ქმრის ღალატს. ბოლოს, რომ ვეღარა მოახერხა-რა, დაუწყო რჩევა, რომ ჩასულიყო დიამბეგთან და ეთხოვა თავის ქმრის გამოხსნა, რომელსაც, იმის სიტყვებით, ციმბირში ჰკარგავდნენ.

— რო ვთხოვო, დაიხსნის? — ბოლოს იკითხა დედაკაცმა.

— ჰაი, ჰაი, რო დაიხსნის! განა თითონ კი არ უნდა დახსნა, მაგრამ ხევის დიანბეგია, იმას მხოლოდ თხოვნა უნდა. ოღონდ კი სთხოვე და, ღვთის მადლმა, მაშინვე გამოუშვებს.

ქალი, მარტოობაში შეწუხებული ბეგარით და ათასი უსამართლობით, დაჰყაბულდა იასაულს და წავიდა იმასთან, ვისაც ხალხზედ ზრუნვა და იმათი კეთილდღეობის დაცვა ჩაბარებული ჰქონდა, რომ შეეტყობინა თავისი მწუხარება.

ქალმა ვერ მოასწრო ოთახის კარებთან მისვლა, როდესაც იასაულები უკანიდგან მიეპარნენ, მოიტაცეს და ერთს თვალის დახამხამებაზედ შეიტანეს დიამბეგის ოთახში.

დიამბეგმა, რომელიც ბოლთასა სცემდა და რაღაცა მღელვარებით მოელოდა ქალის მოყვანას, ერთბაშად გაიღიმა უმგზავსოდ და საზიზღრად გაიზმორა.

— თქვენ წადით, კარგია, — დაითხოვა იასაულები, რომელთაც საკმაო სამსახური გაუწიეს.

იასაულები გამოვიდნენ და პირუტყვს დარჩა საცოდავი ქალი, რომელიც მთლადა კანკალებდა შიშისაგან და ვერ გამოერკვია თავისი უბედური მდგომარეობა. დიამბეგი მივიდა, ჩაკეტა კარები და მიუბრუნდა ქალს, რომელსაც მოურიდებლად მოხვია მკლავები და ძალათი დასვა ტახტზედ...

ამის შემდეგ რა მოხდა იმათ შორის, რა იყო, — მაგაზედ

ლაპარაკი მომეტებული იქნება, მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ იქ ღამეს ბატონი დიამბეგი მოიქცა, როგორც უსვინდისო, პირუტყვი, რომლისათვისაც ქალის ნებას და ნამუსს ნამეტნავად გლეხიკაცისას, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

როდესაც დიამბეგი განსვენებაში იყო, ერთბაშად ფანჯარამ იჭეხა, მინებმა მოიღეს პოლზედ წკრიალი და ვიღაცა კაცი გადაფრინდა ოთახში. იმის შევარდნაზედ დიამბეგძა სკიჩკას გაჰკრა, ააწთო სანთელი და იცხო გლახა, რომელიც ანახურის ციხიდგან გამოქცეულიყო. იმას თვალები აღგზნებოდა მეტის ჯავრისა და მწუხარებისაგან.

რაწამს ცოლმა ის დაინახა, გაექანა ქმრისაკენ ხვეწნით, რომ ეშველა იმისთვის, მაგრამ ქმრამდინ ვეღარ მიახწია და დაეცა ქმრის ხანჯლით თავ-შუაზედ გაჩეხილი.

დიამბეგიც, რომელიც გულგახეთქილი ტახტის ქვეშ დამალვას აპირებდა, გამოათრია გლახამ, გაუყარა იღლიის ქვეშ ხანჯალი და დასძახა:

— შენ კი ღორი ხარ და ღორსავით მოგკლამ.

ამ მწარე დღიდგან გლახა გადაიკარგა იმ ადგილებიდგან და იმისი უპატრონოდ დარჩენილი ძუძუთა ქალი იზოდებოდა ჯერ გულკეთილ მეზობლებისას და მერმე ონისესთან, რომელიც დაქორწილდა.

ეხლა, რაკი შევიტყეთ გლახას ვინაობა და მალვის მიზეზი, შეგვიძლიან გავაგრძელოთ ჩვენი მოთხრობა.

III

გლახა მივიდა დარიელის ციხესთან, სადაც მოგროვ ლიყვნენ ვლადიკავკაზში მიმავალი მგზავრები და ის ჯარ , რომელთაც უნდა დაეცვა მგზავრები ძოუსვეხაო შაძრილ მოძრე მთის ხალხისგან

მისვლის უმალეს გლახას დაუხვდა უფროსი სალდ ა. , რომელმაც მკაცრად ჰკითხა:

— შენ ვინა ხარ?

— მე მთხოვარა ვარ.

სალდათმა შეხედა ეჭვნეულ დ. ა:თვალიერ-ჩაათ . ერა, გაიქნია თავი და წამოიძახა

— გიცნობთ, რა შვილებიცა ხართ! — და ცოტა სიჩუმის შემდეგ უფრო მკაცრად და მრისხანედ დაუმატა: — შენ მაგ ჩაცმულობით ვერ მომატყუებ! განგებ მოგიგონია გლახობა, რომ ვერ გიცნონ...

— მთხოვარა ვარ, ღვთის მადლმა! — უპასუხა გლახამ, რომელსაც ვერ გაეგო რაზედ ელაპარაკებოდა ეს რუსი.

— შენ შამილის მომხრე ხარ და საზვერლად მოსულხარ აქა!

გლახას გაეცინა ამ სიტყვებზედ, შეხედა თავისთან მოლაპარაკეს და განცვიფრებულმა უთხრა:

— რას უბნობ?

— აი, მე შევატყობინებ შენს საქციელს იმათ მაღალკეთილშობილებას და ისინი ოცდაოთხ საათში დაგხვრეტენ, — უთხრა სალდათმა ისე მშვიდობიანად, თითქოს კარგს სადილს ჰპირდებოდა.

— აბა შემომხედე კარგად, განა მე შემიძლიან-ღა რაიმე?.. მთის ხალხი, ვისაც კიდევ ბრძოლის გული შერჩენია, განა ჩემისთანა მოხუცებსა გზავნიან მაგგვარი საქმისთვის?

— ვიცით, ვიცით, რა შვილებიცა ხართ!

— დამეხსენ, ღვთის მადლსა, უბრალოდ შარს ნუ მკიდებ! რაი გინდა ჩემგან?

— მე მათ მაღალკეთილშობილებას კი შევატყობინებ და მერმე თითონ იციან.

გლახა ჩაფიქრდა თავის ბედიღბალზედ. ვერ გაეგო, თუ რა უნდოდა ამ სალდათს, ან რას ითხოვდა იმისაგან, ან რად ექცეოდა ასე მკაცრად, რისთვის უპირებდა დაბეზღებას ჯარის უფროსთან, როდესაც ისე დაბერებული და მიხრწნილი იყო, რომ იმისგან რომელიმე ვნების მოტანა შეუძლებელი იყო. იმას დაბეზღებას ჰპირდებოდნენ, ოცდაოთხ საათში დახვრეტას, მაშასადამე, უნდა გათავებულიყო ამოდენა სატანჯველი, დაბოლოვებულიყო იმისი მოუსვენარი და გულის მღრღნელი ღღეები. იქნება გლახა სიხარულითაც მოელოდა ამ დღეს, მაგრამ იმას უკვირდა, რომ ქრისტიანი ქრისტიანს ასეთს შარსა სდებს და ურწმუნოებზედ მეტად მოსწყურებია უღონო მოძმეს სისხლი. სალდათი უყურებდა იმას რაოდენიმე ხანს. ბოლოს მოავლო ხელი და გაიყვანა ცალკე.

— შენ ძალიან გინდა წასვლა?

— ჰაი, ჰაი, რო მინდა; თუ არა მდომოდა, მაშ აქ რად ჩამოვიდოდი?

— მაშ ერთი მანეთი მომე და წაგიყოლებ.

გლახას ისე გაუკვირდა სალდათის ამისთანა თხოვნა, რომ გაშტერებული შესცქეროდა. ბოლოს იფიქრა, რომ უეჭველად სმენამ უღალატა, გამოიფშვნიტა ყური და ჰკითხა:

— რაი მითხარ?

— მანეთი მომე და გაგიყოლებ, — გარკვევით უპასუხა იმან.

— მანეთი? — გაშტერებით წამოიძახა გლახამ და დაუმატა: — მანეთი ვინ მომცა, შე კაი კაცო?.. მანეთები მჭონდეს, ხომ ასე არ მეცმოდა. აბა კარგად შემოხედე ჩემს ტარავალს.

— შენ იცი! მაშ დაგაბეზღებ აფიცერთან.

— არა მაქვს, ღვთის მადლმა, და საით მოგიტანო!

კარგა ხანს ევაჭრა გლახას მშვიდობიანობის დამცველი, დიდს ხანს ეღიჯინა გლახაც, მაგრამ იმან ვერ მოალბო სალდათის გული. რუსს გარდაეწყვიტა, თუ ფული არ ექნებოდა მთხოვარას, მაშინ ტანისამოსიდგან მაინც რამე აეგლიჯა, მაგრამ, სამწუხაროდ, მთხოვარას ტანისამოსი ისე დაძველებული იყო, რომ არაფრად არ გამოადგებოდა.

— აი, ეს ჯაყო მაქვს, თუ გინდა, ეს აიღე.

სალდათმა დაინახა, რომ სხვა ვეღარას გამორჩებოდა, გამოჰგლიჯა ხელიდგან ეს დანა და გაიფიქრა: ერთს არაყს მაინც დავლევ ამის ნაფასურით.

ამგვარად ისინი მორიგდნენ, თუმცა ასე მცირე საშოვრით გულდაკლებული იყო სალდათი; და გლახა შეუერთდა დანარჩენს მგზავრებს, რომელნიც მეორე დღეს დილით უნდა გამართულიყვნენ ვლადიკავკაზისკენ.

ამ ხანში მოაღწივა საღამომ და ნუნუს სახლობა შეიყარა სამყოფო სახლში, სადაც კერას შემოსხდომოდნენ და ვახშამს ელოდნენ. ნუნუ, როგორც უმცროსი, სენაში ცომსა ზელავდა ხმიადებისთვის, რომელიც იქვე ნაცარში უნდა გამოეცხოთ. ამ დროს გარედგან მოისმა ძახილი:

— ონისე, ჰა, ონისე!

— გახედე-ღა, ვინ ჰკივის, — უთხრა ონისემ პატარა ბალღ-

სა, რომელიც იქვე კერას პირს იჯდა და ტიტველა, ტალახში აცოსვრილი ფეხები მიეშვირა ცეცხლისთვის. ბალღი წამოხტა, გავიდა გარედ და შესძახა:

— ვინაა, ვინა ჰკივის?

— ჩვენა ვართ, — უპასუხეს იმას ორმა ნაბდიანმა კაცმა, რომელნიც წამოდგნენ წინა და იკითხეს: — ონისე შინაა?

— შინაა, — უპასუხა ბალღმა და შებრუნდა შინა. ნაბდიანები გარედ დარჩნენ, რადგანაც მთის ჩვეულებით, სანამ მასპინძელი არ გამოვიდოდა და არ შეიპატიჟებდა, ისინი კარების ზღურბლს ვერ გადასცდებოდნენ, რათა მოულოდნელის თავწადგომით არ შეევიწროებინათ მასპინძლები.

— მოხვედით მშვიდობითა, მოხვედით მშვიდობითა, — უთხრა ონისემ და შეიპატიჟა მოსულები სახლში.

— მშვიდობა მოგცეს გივარგიმა! — უპასუხეს იმათ და შეჰყვნენ სამყოფოში.

მივიდნენ თუ არა კერასთან, სტუმრებმა დაიძახეს ერთხმად:

— აქა მშვიდობა!

— მშვიდობა მოგცათ უფალმა! — უპასუხა მახიამ, როგორც ოჯახობაში უფროსმა რძალმა და დიასახლისმა; მიგებებით გაუშვირა ორივე ხელი, რომელიც ზრდილობიანად ორივე ხელით ჩამოართვა ჯერ ერთმა და მერმე მეორე სტუმარმა.

— ცხო, როგორ გიკითხოთ, თავად, საქონლით, ჯალაბოთ? — ალერსიანად ეუბნებოდა მახია.

— დაგვირჩა შენი თავი! ვცოცხლობთ, ღვთის მადლით, ჯერ კიდევ სული გვიდგია.

ონისემ გადიწვია სტუმრები გძელ „შკამზედ“ დასასხდომად და სტუმრებიც წყნარა გადავიდნენ, წყნარა აიხსნეს ნაბდები, რომელიც უმცროსებმა ჩამოართვეს და წყნარადვე დასხდნენ. ბოლოს ერთმა სტუმართაგანმა, რომელიც უფრო ყმაწვილი იყო, გადიწია ჩოხის კალთა, ამოიღო ახალუხის ჯიბიდგან ბოთლით არაყი და გადასცა ბალღს.

— აბა, რად გინდოდათ, ღვთის მადლსა! — უთხრა ონისემ, — რაისთვი იხარჯებოდით?

— რა გვიშავ, შენი ჭირიმე, მტერი ხომ არა ხარ?

— ბედშაო ჩემო თაო! მტერი რომ არა ვარ, განა მე კი ვერ გიშოვნიდით არაყსა?

ამის შემდეგ ისინი დამშვიდდნენ და გაჩუმებულები იყვნენ იმ დრომდინ, სანამ მახია გამოვიდოდა სენიდგან.

— დაბძანდი, მახიაუ, ერთაი ორაი სიტყვაი გვაქვს სათქმელი, — დაიწყო ერთმა სტუმართაგანმა.

მახიამ მოიკეცა კერასთან, ონისე ჩამოჯდა „მარტო-შკამზედ".

— აბა, მოვსულვარ თქვენთან სახვეწრადა, — დაიწყო ისევ იმ სტუმარმა, რომელმაც პირველში დაიწყო ლაპარაკი, — მოვსულვართ და ჯერ ღვთის სახელს ვახსენებთ და მემრე იმას გეტყვით, რაიც გულში გვიძევს.

— ღვთის სიტყვას უბნობ, მამუკაო, ღვთის მადლმა! — უთხრა ონისემ.

— თქვით, ჩემო ყველაუ, ყური თქვენკენა გვაქვს, — დაუმატა მახიამ და გადაიგდო თავზედ შალის წვერი, რომელიც ყურზედ ჰქონდა ჩამოხვეული და სმენას უშლიდა.

— ჩვენ მოვსულვართ შუაკაცებად, ამ ქალასა გთხოვს გირგოლაი თავის ძმისთვის, — დაიწყო ისევ მამუკამ.

— ოჯახობა კარგია, ბიჭია-და — კაი ბიჭი, ღვთის მადლმა, არც რაით არ დაიწუნების, — დაუმატა მამუკას ამხანაგმა.

— გირგოლაია და ხემწიფის სამსახურში არის ჩაფრადა, ყველაფრით შემწეობა შეუძლიან.

— აბა ღმერთს ვერ შევცოდამ, ოჯახი კარგი აქვსთ, ხევში გათქმულია, მაგრამ გირგოლაის ძმა ნინიაი სულ ცხორში დადის, გირგოლას ჯალაბობა არავინა ჰყავს და ეგ ქალაი რას გააწყობს იმათ ოჯახში? — ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა ონისემ.

— რაი უშავს, შენაი ჭირაიმე, ბატარა ხომ აღარაა ნუნუ?

— ბატარა არა, მაგრამ სახლის პატრონობას დიდი თაური უნდა. გირგოლას სახლი დიდი აქვს და სტუმარი ბევრი მიზდის, ყველას დახვედრა უნდა.

— აბა ჩვენ კი მოვსულვართ, გეხვეწებით, — გაწბილებულს ნუ გაგვგზავნით, და ახლა თქვენ იცით.

— რაისთვი გააგდო გირგოლამ თავისი ცოლი? მოიყვანოს და მაშინის ორ რძალს ოჯახობაში არც რაი არ გაუჭირდების.

— მოიყვანს, მოიყვანს, მა რასა იქს?

— რაი ვქნა, მეტად უმხთოა გირგოლაი, თავის ცოლსაც სულ აგინებდა, სცემდა, თმით ათრევდა და რაი უნდა ვქნა, არ ვიცი! — კიდევ დაღონებით წარმოსთქვა ონისემ.

ამგვარმა ვაჭრობამ კარგა ხანს გასწია, თუმცა მახიას წინადვე ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ ნუნუ ნინიასთვის მიეცა და, რაც მახია გადაწყვეტამდა, ონისესთვისაც გადაუბრუნებელი კანონი იყო. მაშასადამე, გამარჯვებული უნდა შუაკაცები დარჩენილიყვნენ. ქალის პატრონები მხოლოდ ურვადის მოსამატებლად-ღა ლაპარაკობდნენ.

— ღონივრები არიან, შენი ჭირიმე, აჰკიდე მძიმედ და ისინიც ასწევენ... ცხო რაი-ღა ლაპარაკი გინდათ ურვადზედ, — უთხრეს შუაკაცებმა.

— თხუთმეტი ძროხა ურვადი, ერთაი თუმანაი მახიას — გასამზდელო, ერთაი ცხენი სადედისძმო, ხუთი მსუქანი ჭედილაი, თავის სატან-საპოხით.

— ოჰო, ჰო, ჰო!.. — თავის გაქნევით და მწარედ წარმოსთქვა მამუკამ, — ბევრია, ბევრი.

— ჩვენ ნაკლებ ქალს არ გავიყვანთ სახლიდგან, არა! — წყენით წამოიძახა მახიამ და მერმე დაუმატა: — თქვენს ხათრს რაი უყო, თორემ ცხვებიც ბევრი გვყვანდა მთხოვარი... აგრემც დამირჩებით, რომ ურვადსაც მეტს გვაძლევდნენ, მაგრამ ჩვენ „გორს“ ვეძებთ.

ისინი ჩქარა მორიგდნენ, აიღეს ნიშნად ხუთი მანეთი და გადასწყვიტეს ნუნუს გადაცემა იმ ოჯახობაში, რომელშიაც შესვლას ქალი სიკვდილს რჩეულობდა.

ნუნუ, მთის ხალხის ჩვეულებისამებრ, სენიდგან არ გამოდიოდა, მაგრამ ზოგიერთი სიტყვებიდგან კი ესმოდა, რომ ლაპარაკი იმას და იმის გათხოვებას შეეხებოდა. ის ცდილობდა — ყური დაეგდო, გაერკვივა, რითი გადასწყდებოდა იმის მომავალი, რომ გაეგო მართლა გამოიმეტებდნენ ისე უღმერთოდ და ადვილად გასაყიდად, — მაგრამ, საუბედუროდ, სამყოფო სახლი კარგა დიდი იყო და სენა დაშორებული მოლაპარაკეთაგან; ასე რომ, ნუნუმდინ კარგად ვერ აწევდა იმათი საუბარი.

იმას უდუღდა გული და უდუღდა იმისთვის, რომ თავის ახლეულები არც კი ჰკითხავდნენ იმას, მოსწონდა ნინია თუ არა.

ბოლოს ნუნუ მღელვარებამ იქამდინ დაასუსტა, რომ ამ სა-
განზედ ფიქრიც კი ეზარებოდა. იხ ჰფიქრობდა მარტო თავის
სატრფო იაგოზედ, რომელიც ეხლა, უეჭველია, კალოში
ელოდა.

იმან დაუწყო ღმერთს თხოვნა, რომ, რითიც იქნებოდა, —
დაჰპირდებოდნენ იმის თავს თუ არა, — ჩქარა გადაწყვეტილი-
ყო და სტუმრები წასულიყვნენ, მოშორებოდნენ თავიდგან.

ამ უკანასკნელ წადილის ასრულებამ დაუგვიანა და ჩქარა
გაშალეს ვახშამი და მოჰყვნენ ახალი დანიშნულების სადღეგ-
რძელოს.

IV

ამ ხანში იაგო მოუთმენლად ელოდა ნუნუს, რომლის დაგ-
ვიანებაც ისე აწუხებდა და აღშფოთებდა იმის გულს.

მთის ხალხი თითონ ბუნებისგანვე საზოგადოდ შეჩვეულია
მოთმინებით მოლოდინს, მაგრამ იაგოს ამ ჟამად სრულებით
დაჰკარგოდა ეს ჩვეულებრივი მოლოდინი და გული ძგერისა-
გან ვეღარ შეებორკილა.

ის, ვინ იცის, მერამდენედ მიიპარებოდა ღობესთან, გასცქე-
როდა აღგზნებულის თვალებით ნუნუს სახლს, მაგრამ იქ არა-
ვინ მოჩანდა და იმედ-გადაწყვეტილი ბრუნდებოდა ისევ მა-
ღალ ბალახებში, რომელიც იმასა ჰფარავდა კაცის თვალი-
საგან.

იმას ათასმა აღგზნებულმა, ეჭვით სავსე ფიქრმა გაურბინა
თავში და უხურებდა შუბლს. ამ მოუსვენარმა მღელვარებამ
იაგო იქამდინ მიიყვანა, რომ ვეღარც დაჯდომა მოეხერხებინა
და ვეღარც ფეხზე დგომა.

ბოლოს, როდესაც აზრი დაეღალა მუშაობისაგან, სხვადა-
სხვა სურათები შეუერთდა ერთად და გადაიქცა ერთმანერთში
გადახლართულს, არეულს საგნად, რომელსაც ის ვეღარ არ-
ჩევდა. იმას ვეღარ მიექცია აზრი განსაკუთრებით ერთი საგ-
ნისთვის. იაგო იქამდინ მივიდა, რომ თავბრუ დაეხვა, მუხლები
უნებლივ ჩაეკეცა და ღონემიხდილი ჩაჯდა. ასე თავდავიწყვ-
ბაში, თითქმის ბურანში, დარჩა ის რაოდენიმე ხანი. ბოლოს
თითქოს გამოღვიძებული ღრმა, მაგრამ მოუსვენარი ძილისგან,

რომელსაც არაქათი წაერთვა, ფერი მიეხდა იმისთვის, — წყნარად აიღო იმან დაღონებული თავი და ძნუსარებით შეხედა ცას, რომელზედაც გადაჭედილი იყო მხიარული ვარსკვლავები, რომელთა სხივიც მთრთოლარედ კამკამებდნენ სივრცეში. ცისკარი კარგად გადახრილიყო, მაშასადამე, ღამე ცოტა რჩებოდა და ნუნუ კი მაინც არა ჩნდებოდა.

იაგო წამოდგა წყნარა, მივიდა კიდევ ღობესთან და კიდევ გახედა ნუნუს სახლს, საიდგანაც ჯერ კიდევ შუქი გამობჟუტავდა.

იაგოს გაუკვირდა აქამდინ სახლის პატრონების ზეზედ ყოფნა, რადგანაც ამ დროს არც ბედნიერი დღე იყო და არც ავადმყოფი ჰყავდათ ვინმე, რომ იმისთვის ეთიათ ღამე. მაშ რა მიზეზი უნდა ყოფილიყო ნუნუს სახლობის უძილობისა?

ის წყნარად ავიდა და გადავიდა ღობეზედ, წყნარად და სიფრთხილით გასწია ქალის სახლისკენ, სადაც უნდოდა შეეტყო ნუნუს დაგვიანების მიზეზი.

ის მიდიოდა სიფრთხილით, რადგანაც ეშინოდა გზაში მოულოდნელად არავინ შეფეთებოდა და ამით მიზეზი არ მიეცა მეჭორე ხალხისთვის, რომელთაც ისე უყვართ სხვების საქმეზედ ლაპარაკი და სჯა. იაგო, სანამ დაადგამდა დედამიწას ფეხს, წყნარა შინჯავდა მიწის მდგომარეობას და თუ ქვას იგრძნობდა სადმე, ისე მოხვევდა ბანდულებიან ფეხის გულებს, რომ ქვა უნებლიედ არ განძრეულიყო, არ გამოელო ხმა და მით არ დაერღვია ღამის იდუმალი გაჩქურება.

იაგო მიახლოვდა სახლის კარებს, ნიავსავით წყნარად ავიდა დერეფანზედ და კარებთან კუჭულში მიიკუნჭა. იმას უნდოდა შეეტყო — რაზედ ლაპარაკობდნენ სახლში, ან ვინ არიან იქა, მაგრამ სახლიდგან ლაპარაკი კარგად ვერ გამოდიოდა და სარკმელი კი მეტად მაღლა იყო, რომ შეცქერა შესძლებოდა; ამისთვის ის გამობრუნდა ამ ადგილიდან, სახლს მოუარა უკანა მხარეს და ავიდა ბანზედ, იპოვა ერთი ერდოთაგანი, რომლებიც ისე ხშირად არის მოხვევების ბანებზედ და დაუწყო იქიდგან ყურება. იმის თვალს წარმოუდგა გაშლილი სუფრა, სახლის პატრონი, იმისი ცოლი და ორი სტუმარი, რომელთაც ვახშამი გაეთავებინათ და საყველაწმინდოს-ღა სვამდნენ.

რასაკვირველია, ორივე სტუმარი იცნო იაგომ, რადგანაც ესენი იმისი სოფლელები და მეზობლები იყვნენ.

მაგრამ რა უნდოდათ ნუნუს სახლში ამ დროს, — აი რის გაგება სურდა იაგოს.

— უფალმა კეთილი ჰქნას ჩვენი საქმე, კეთილი! — შემოესმა იაგოს სტუმრების ხმა და პირველი სიტყვებიდგანვე გაიგო. საცოდავმა მიჯნურმა, რომ ლაპარაკი ნუნუს გათხოვებას შეეხებოდა.

— მაშ ნუნუ დანიშნეს?! — უნებურად და მწუხარებით წამოიძახა იმან და გული ხელახლად აუდუღდა.

— ურვადისა კი არ დაივიწყოთ, — დაიწყო ონისემ.

— აბა ურვადს რაი-ღა დაგვავიწყებს, — მისცეს პასუხი.

— არ დაივიწყებთ და თქვენ პატივისცემასაც გადაგიხდით, ღმერთს მადლმა! — ჩაურთო მახიამ.

— დიდი მადლობელი, მადლობელი, მახიას დარჩენამა. ჩვენთვის მაგაზედ უკეთესი პატივისცემა რაი-ღა იქნების, რომ ჩვენს გაწბილებულები არ გაგვგზავნეთ, — მიფერებით ეუბნებოდნენ სტუმრები, რომელთაც ქეიფის გამო ენის დაბმა დასტყობოდათ.

— აბა, თქვენც კარგად იცნობთ იაგოსა, — დაიწყო ისევ მახიამა, — გულადობით გინდა თუ მუშაობით, ხევში გათქმული ვაჟია და ისიც კი გვთხოვდა ნუნუსა და თქვენის ხათრით იმასაც უარი ვუთხარი.

— რაია იაგო? — წყენით უპასუხა ერთმა სტუმარმა, — მებატონის ყმა, ცხო რაია?.. არცა მიწა იმისთვი, არცა სახლი და არცა კარი!.. იმას კაცობა რო ჰქონდეს, თავის მამის სისხლს არ აიღებდა?

— ჰაი, ჰაი, რომ აიღებდა! აიღებდა, უფლის მადლმა! — წამოიძახა ონისემ და მერმე დაუმატა: — ან ურვადს საით აუვიდოდა?

იაგოს ეს სიტყვები ლახვრად ხვდებოდა გულში და აგონებდა თავის წარსულს. იმას თვალ-წინ წარმოუდგა თავისი დედა, როდესღაც თავისუფალი, ღალატით და ძალით გაყიდული ერთს მებატონეზედ; მოაგონდა თავისი მამა, რომელმაც სული დალია მამულისთვის ბრძოლაში; მოაგონდა ბოლოს დაქვრივებული უპატრონო თავისი დედა, რომელიც უსამარ-

თლობით და ძალით ყმად იქნა ჩაწერილი, და ჩაჰკიდა თავი. ის წაიღო ღრმა ფიქრებმა, რადგანაც ის, თავის მეზობლების სწორი, როდესღაც განთქმული თავისუფალი გვარის, დღეს შექმნილიყო ყმად და სხვების უსამართლობას, სხვების ძალის მოტანას დღეს იმას უსაყვედურებენ, თითქოს ყველა ამაში ის ყოფილიყვეს დამნაშავე... ის მეზობლები, რომლებიც შემთხვევით გადარჩენილიყვნენ იაგოსთანა დღეს და მარტო შემთხვევით შეეძლოთ თავის თავისთვის დაეძახნათ სახელმწიფო თავისუფალი გლეხები, ისე მკაცრად ჰკიცხამდნენ იაგოს ქცევას.

საკვირველი და საწყენი იყო ონისეს და იმის სტუმრების სიამაყე, როდესაც იმათი მდგომარეობაც სანატრელი არ იყო და თითონ სიტყვაც „თავისუფალი გლეხი“ თავის მნიშვნელობას ჰკარგამდა.

მაშ რაღად აკლებდნენ იაგოს იმ ბედნიერებას, რომელზედაც ყველა ცის-ქვეშე ქმნილებას ნება ჰქონდა?

იმისთვის, რომ ის ყმად დაიბადა და შეიქნა?

განა იაგო იყო ამაში დამნაშავე?

ყველას ამას, თუმცა გაურკვეველად, მაგრამ ბუნდად მაინც, ჰგრძნობდა იაგო და ეს გრძნობა იყო ისე სატანჯველი, სამწუხარო იმისთვის, რომ გონება ერეოდა და ბრაზზედ მოჰყვანდა.

იმან ვეღარ გასძლო იმათი ყურება და წამოდგა, მაგრამ წამოდგომასთან ერთად იმას წარმოუთქმელად მოუნდა ნუნუს ნახვა, ერთი თვალის მოკვრა მაინც, რათა ენახა, შეეტყო, შეემჩნივა იმის სახეზედ — ისიც თანაუგრძნობდა იმ ხალხის გადაწყვეტილებას და აზრს თუ არა!

ალბათ ისიც თანაუგრძნობს, — გაიფიქრა იაგომ თავისთვის და გასცდა სენის ერდოს, მაგრამ ბანის პირს ვეღარ მიაღწივა და საჩქაროდ გამობრუნდა ამ ერდოსთან, საიდგანაც იმედი ჰქონდა თავის სატრფო დაენახა.

სენაში ჩაიხედა თუ არა, იმას დაუწყო გულმა ძგერა და დაინახა დაღონებული, მოწყენილი და თვალებ-ცრემლმორეული ნუნუ, რომელსაც სახეზედ ეტყობოდა ის მწუხარება, რომელიც გამოევლო ამ ცოტა ხანში.

იაგო კარგა ხანს უყურებდა იმას, თანაუგრძნობდა იმის მდგომარეობას, მაგრამ იტანჯებოდა, რომ ნუგეში ვერაფრით

მიეცა და სიშორის გამო ხმის გაცემაც ვერ გაებედნა; თუმცა იქნება ახლოც რომ ყოფილიყო, იმ მღელვარებაში ძნელად მოახერხებდა სიტყვის გაცემას.

ბოლოს იაგომ აიღო კენჭი, დაუმიზნა და წყნარად გაუშვა, კენჭი წავიდა ტრიალით და ქალს პირდაპირ კალთაში ჩაუვარდა. ნუნუ შეჰკრთა, წამოხტა და შემოიხედა მაღლა. იმან დაინახა იაგო, რომელიც გაშმაგებულის თვალებით უყურებდა და გაიღიმა.

რამდენიმე წუთის ცქერამ დაუმტკიცა იმათ, რომ ისინი ერთმანერთისთვის გაჩენილან და იმათი სიცოცხლე უერთიერთმანერთოდ შეუძლებელი შექმნილიყო!

იაგომ ვეღარ გასძლო და მთრთოლარე, მაგრამ გაფრთხილებულის, ჩუმის ხმით ჩასძახა:

– საჩალეში გამოხვალ?

– აკი გითხარ,— მისცა ნუნუმ პასუხი ისეთისავე ჩუმის ხმით.

— ჩამოვდნი შენის ლოდინითა.

— აბა რაი ვქნა? ფეხი აღარ წაიტეხეს სტუმრებმა და ჯერ არც ვინ დაწოლილა.

— მაშ მოგიცადო? — ჰკითხა იაგომ, რომელიც მაინც ვერ მოშორდებოდა ამ ადგილებს, თუ გინდ ნუნუს უარიც ეთქვა გამოსვლაზედ.

— შენ იცი! — მოკლედ უპასუხა ნუნუმ მხრების აწევით და ისეთის ხმით, თითქოს უნდოდა ესაყვედურა ამგვარის კითხვისთვის.

ამ დროს შემოვიდა მახია, რომელსაც სტუმრები გაეცილებინა და დასაწოლად მოდიოდა. იაგო და ნუნუ გაჩუმდნენ.

— რას უზიხარ, ქალაუ! რად არ დაწვები? — ჰკითხა მახიამ.

— ჯერ შენ არ დაწოლილხარ და მე საით დავწვებოდი? — წყნარად უპასუხა ნუნუმ.

— გაშალე საბან-გობანი და დავწვეთა.

ნუნუმ სიხარულით აასრულა მახიას სურვილი, საჩქაროდ გაუშალა ყველას საგებელი და დააწვინა.

მერე შეხვია კერაში ცეცხლი, დააქრო ჩირაღები და თითონაც მიწვა, ისე — გაუხდელი.

ღამე ცოტა-ღა რჩებოდა და, რასაკვირველია, უძილო ხალხს ჩქარა უნდა დასძინებოდა, მაგრამ წარმოიდგინეთ ნუნუს გაკვირვება, როდესაც ერთბაშად მოისმა მახიას ხმა:

— ნუნუ, წაგეძინა?

ნუნუმ თუმცა გაიგონა ეს კითხვა, მაგრამ ხმა გაკმენდა და ფშვინას მოუმატა, როგორც ხშირს ძილში მყოფმა ადამიანმა.

— ნუნუ, არ გესმის?

ქალმა კიდევ ხმა არ გასცა.

— რა ძილქუში დაგაწვა, რაი მოგივიდა?.. ნუნუ!

— რაი გინდა? — გაჯავრებით უპასუხა ნუნუმ.

— გობანაი ჩემკენ მოიწიე, მინდა რაიმე გითხრა.

— მახიაისი, მეძინების, რაი-ღა ლაპარაკისაა, საცაა გათენდების, — უპასუხა ნუნუმ და გადაბრუნდა ხვრენით მეორე მხარეზედ.

— მოიწიე-მეთქი, სათქმელი მაქვს რაიმე.

ნუნუმ გადაწყვიტა, რომ რამდენსაც უნდა ლაპარაკებოდა მახია, მაინც ხმა არ გაეცა და ამგვარად თავიდან მოეშორებინა უდროოდ, უბედოდ ავარდნილი დედაკაცი, რომელიც, უეჭველია, სასიამოვნოს არას ეტყოდა.

— ნუნუ!.. ქალაუ!.. აი, ნუღარ გაგაღვიძოს წმინდამ გივარგიმ, კაი ადამიანი შენა ხარ!.. არ გესმის? — იძახდა მახია, მაგრამ ჯავრობა და ლაპარაკი აღარ შველოდა, რადგანაც ნუნუ პასუხს არ აძლევდა.

მახიამ რამდენჯერმე წამოიწია ასადგომად, მაგრამ დაზარდა, კიდევ რამდენჯერმე ეცადა ძახილით ნუნუს გაღვიძებას, მაგრამ ძილმა ჩქარა თავი მოსჭრა და თვალები დაუხუჭა.

V

ნუნუ კიდევ რამდენიმე ხანი ხმა-გაკმენდილი ელოდა და ყურს უგდებდა მახიას. ბოლოს, გულის ძგერით, წყნარაღ წამოდგა, მივიდა კარებთან და გააღო. რაწამს გარეთ გამოვიდა, იმას დახვდა იაგო, რომელიც მოუთმენლად იქ ელოდა.

ნუნუს დანახვასთან ერთად იმან გაშალა მთრთოლარე ხელები და ჩაიკრა გულში მოხევის ქალი. ნუნუ, რომელიც ემზა-

დებოდა სალაპარაკოდ, რომელსაც ეგონა, რომ ლაპარაკისთვის მთელი საუკუნოები არ ეყოფა, ეხლა იდგა ჩუმად, თავდახრილი, გაწითლებული და სიტყვა ვერარ მოეხერხებინა. იაგო დასცქერდა თავის სანატრელს, ხედავდა, რომ იმათ ერთმანეთი ჯერ არსთ, ხედავდა, რომ ნუნუ ყველაფერს კისრულობდა იმისთვის, და ისიც ეძლეოდა წარმოუთქმელს სიხარულს.

ისე ტკბილი, ტკბილი იყო იაგოსთვის ეს წამები, რომ მღელვარება ვერ შეეყენებინა და თითონ გაფრთხილებაც კი გადავიწყებოდა.

იაგოს თავი წყნარად მოიხარა და მიუახლოვდა ნუნუს პირს, რომლის მხურვალებასაც ის აშკარად ჰგრძნობდა თავის სახეზედ; ეს ათრობდა, ჰბანგამდა, ხიბლავდა იმას... კიდევ, ოდნათი თავის მოხრა — და ნუნუს თმები, რომელიც ქარს გაეშალა და არხევდა — მოხვდა იმის სახეს და მთლად ჟრიალმა აიტანა.

იმან ვეღარ გასძლო და გიჟსავით დაეკონა გამშრალის ტუჩებით ნუნუს სახეს, გაშმაგებით და თავდავიწყებით დაუწყო კოცნა.

ბოლოს მოხვია ძრიელი მკლავები, აიყვანა როგორც პატარა ბავშვი და, რამდენიმე გადახტომის შემდეგ, გადაიყვანა საჩალეში.

ის ჰკოცნიდა და ჩასჩურჩულებდა: „მარტო შენა ხარ მთელი ჩემი სიხარული!.. სცადონ— შენი თავი წამართვან, თუნდ მთელი ქვეყანა ამიტყდეს, და ვნახოთ, ვნახოთ, როგორ მოახერხებენ!“

როდესაც ცოტა დამშვიდდნენ და იმათმა აღელვებულმა აზრებმა წესიერი მდინარეება მიიღო, როდესაც შეიძლეს უფრო დამშვიდებულად დაკვირვება თავიანთ მდგომარეობაზედ, აშკარად დაინახეს თავიანთი უპატრონობა და სამწუხარო მდგომარეობა.

იაგო მარჯვე, ყოჩაღი, გულადი და მოაზრებული ბიჭი იყო, მაგრამ ის იყო უმამულო, ყმა, საკუთრება მებატონისა, რომელსაც შეეძლო — დღესვე გაეყიდა, გადაეგდო. ეჩუქებინა ვისთვისმე და, მაშასადამე. იმ დამოკიდებულებაში, რომელსაც თავის ბედნიერებისთვის სხვის ნებართვა უნდა ეთხოვა; და თუ ეს სხვა, რომელიმე ანგარიშის გამო, არ მოიწადინებ-

და იმის იმგვარ ბედნიერებას, იაგო სამუდამოდ უნდა გამოსთხოვოდა თავის სატრფოზედ ფიქრს.

— რაი-ღა ვქნათ, რაი-ღა მოვახერხოთ? — ჰკითხა დაღონებულმა იაგომ: — შენ ცხოზედ დაგნიშნეს, სამუდამოდ სისხლი ჩამოგვიგდეს!

— რაი უყოთ, რომ დამნიშნეს?.. მე არცვიზედ არ გათხოვდები, შენს გარდა, მე ცხო არვინ მინდა.

— ბარემ მეც არვის დაგანებებ, მაგრამ რაისთვი მოიქცა შენი ბიძა აგრე? არ ეყოფა იმ უღმერთოს მამიშენის წილობა, შენც რომ არ გაგყიდოს?

ამ სიტყვებზედ ნუნუს ცრემლები გადმოედინა, მოაგონდა თავისი მამა, რომელმაც ასეთს დროს თავი დაანება და თავის ძმას ნება მისცა ასე უწყალოდ გასრისოს ყმაწვილი ქალის გრძნობა და სიყვარული.

— მამა განგებ გაგზავნეს, რომ მე, რაც უნდა, ის მიყონ, უღმერთონი არიან, უღმერთონი!

— ნუ სტირი, ჩემო ყველავ! გეფიცები წმიდა გივარგის მადლს, რომ მე შენს თავს არვის არ დავანებებ.

— ბარემდინ, მაგრამ შენც რაი უნდა ჰქნა, ბედშაო! აგერ ყველა იმას იძახის, შენი თავი შენ ხელთ არა გაქვს!..

— ყმა ვარ, რაი-ღა? — სიმწარით წამოიძახა იაგომ და ჩაფიქრდა, მერმე დაუმატა უფრო წყნარად, მაგრამ გადაწყვეტით: — რაი უყოთ, რომ ყმა ვარ?.. ღვთის მადლმა, თუ გაჭირდა, ყმობა მე ვერ დამაყენებს. ძალა იხმარეს ჩვენზედა, ძალად გამხადეს ყმადა, ძალათი წამართვეს ყოველი საცხოვრებელი და შენ თავსაც შემეცილნენ, მეც ძალას ვიხმარებ და მაშინის, ვისი დედა ატირდების, იმასაცა ვნახავთ. ოღონდ შენ გიყვარდე, შენ ნუ გამცვლი ცხოზედა და ქვეყანა დიდია, მტერს მოკეთედ გადავიქცევ და იქაც გაცხოვრებ.

— ავაი-მე დაღუპილსა! საით შემიძლიან შენი ღალატი? მე შენთვის მომიცია ჩემი გული და სიკვდილი-ღა გამყრის შენთანა.

— ჩემო ყველავ! — წამოიძახა იაგომ მკლავებ მოხვევით და კოცნით, — ოღონდ შენ კი გიყვარდე და, ღვთის მადლმა, პირდაპირ ჩეჩენში გავიყვან.

ამ დროს სოფლიდგან ხმაურობა მოისმა, მეშეშეები ამდგა-

რიყვნენ და ლარსისკენ გამგზავრებას აპირებდნენ. ნუნუს და იაგოს მოაგონდათ, რომ იმათ გაყრის დრო იყო, თუ შეუმჩნეველი და გაუჭორებელი დარჩენა უნდოდათ.

— გათენებულა! — წამოიძახა ნუნუმ.

— წადი, წადი შინა, არვინა „ნახას“. ბევრი მოგვიცდია, ბატარაიც მოვიცადოთ, მოვიფიქროთ, მეც მოკეთეები, ამხანაგები მყვანან, გავიგებ, რჩევას ვკითხავ და, თუ აქ არა მოხერხდა-რა, შამილთან გავიდეთ ჩეჩენში. შენ თუ არ გეშინიან ქისტებისა?

— შენთან რაისი უნდა მეშინოდეს?

— ჩემო ყველავ! — პასუხად კიდევ ეს, ხევში საყვარელი სიტყვები გაიმეორა იაგომ და მერმე დაუმატა: — ხვალ გამოხვალ აქა?

— გა...

— გამოდი, გამოდი, ჩემო ყველავ! უშენოდ გული მიღონდების, — უთხრა იმან, აკოცა, ერთხელ კიდევ მიიკრა გულზედ და მოშორდა, მარდად გადახტა ღობეზედ და ჩქარა მიეფარა კედლებს.

ნუნუმ წყნარა ამოიოხრა, გახედა იმ მხარეს, საითაც იაგო მიეფერა კედლებს და წარმოსთქვა:

— წმიდა გივარგი იყოს თავდები, ნუნუ ან შენი ცოლი იქნების, ან წყალში დაიღრჩობს თავსა.

ამ სიტყვების შემდეგ ის გადავიდა ღობეზედ და წყნარა გაემართა თავის სახლისკენ, სადაც შეუმჩნეველი შევიდა და შეუმჩნეველივე ჩაწვა თავის საგებელში.

იაგო გასცდა თუ არა რამდენიმე სახლს, ერთბაშად თავის მხარზედ იგრძნო ვიღასიც ხელი, რომელმაც შეაკრთო და შეაყენა.

— ბიჭავ! კარგა ხანს არ გძინამს! — უთხრა უცნობმა.

იაგო გაკვირვებული უკან წადგა და გაკვირვებითვე წამოიძახა:

— დიამბეგი!

დიახ, იმას თვალ-წინ წამოუდგა დიამბეგი, რომელსაც თან ახლდა რამდენიმე შეიარაღებული ყაზახი. ეს ბატონი ახლად გადმოსულიყო რუსეთიდგან ბედის საძებნელად ჩვენს საქართველოში და პირველადვე დაენიშნათ ხევში... ამგვარს მოწყა-

ლებისთვის, რასაკვირველია, ბ-ნმა დიამბეგმა საჭიროდ დაინახა, რომ ამ გაუნათლებელ ხალხში, უეჭველად, ყოველი აზრი, თითონ პატივისცემა და სიყვარული მათრახით დაედგინა და ამისთვის ყოველ დანაშაულისთვის, თუნდ მცირედიცა ყოფილიყო ის, მათრახით ახდევინებდა. ამის გარედ, რადგანაც თითონ ხალხს სრულებით არ იცნობდა და არ იცოდა იმათი ენა, იმას ნებაუნებლიედ უნდა გაეჩინა ენის ბომტანები, რომელნიც წყნარ-წყნარად შეიქნენ იმის მაგიერ ამ ადგილების მმართველნი, და დიამბეგი კი — ბრმა ამსრულებელი ამ პირების სურვილისა. იმასთან მხლებელნი ვინც კი იყვნენ, შედგენილი იყო ყველა ან მთის ოსებისგან, რომლებიც ძმას გროშზედ გაჰყიდიან და დედას მშობლად არ უყურებენ, ან კიდევ იმ მოხევეებისაგან, რომელთაც დაეკარგათ უწინდელი სვინიდისი და პატიოსნება, გარყვნილიყვნენ ახალი წყობილობისაგან და დაევიწყნათ ხალხთან ის დამოკიდებულება, რომელიც უწინდელ დროში ისე წმინდად ინახებოდა; და, მაშასადამე, შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა-რიგი სამართლიანი იქნებოდა იმათგან მოტანილი სიტყვები! რასაკვირველია, ისინი ყოველ დროს და ყოველგან ხელმძღვანელობდნენ მარტო თავისი პირადი სარგებლობით და ბ-ნ დიამბეგს კი აღასრულებინებდნენ თავიანთ პირადს სურვილს. როგორც დიამბეგი იყო დამოკიდებული ამ გარსშემოხვეული უსვინიდისო ხალხისაგან, ისე თავის მხრით ნაჩალნიკი — დიამბეგისაგან და ამისთვის უღმერთოებას და უსამართლობას საზღვარი აღარა ჰქონდა.

აი, ერთს იმგვარ დიამბეგს შეხვდა იაგო ამ უდროოდროს და შეხვდა სწორედ იმ დროს, როდესაც მხლებლებს მოეხსენებინათ დიამბეგისათვის გალაშქრება ერთი გლეხკაცის სახლზედ, სადაც ვითომც უნდა ნაქურდალი საქონელი ეპოვნათ; მაგრამ რადგან ეს დაბეზღება ერთი იმ პირადი სურვილის მისაწევი იყო დამბეზღებელისგან, როგორც ზევით იყო აღწერილი, და მეორეს მხრით კი ამავე დამბეზღებელის მეგობრებს დუქნის კარში უნდა გაექურდათ მეაქლემეები, ამისთვის დიამბეგის სოფელში გატყუებით, რომელიც, უეჭველია, ყაზახებს თან წაიყოლიებდა, ქურდებს თავისუფალი დრო დარჩებოდათ და თავისუფლად გასცარცვავდნენ დაუფარველ მეაქლემეებს.

დიამბეგმა, როგორც ყოველთვისინ ხდებოდა, ვერაფერი

იპოვა გაჩხრეკილ გლეხკაცის სახლში და ამისთვის მოდიოდა ცეცდ გუნებაზედ, რომელსაც კიდევ დაემატა დუჭნის კარში შეაქლემეების გაჭურდვის ამბავი. ის ჯავრობდა, ანჩხლობდა და ვერ გაეგო, რაშია თავისი შეცდომილება და რად ვერ ახერხებს ქურდობის და ავაზაკობის თუ არ მოსპობას, ამხანაგობას მაინც. ამისთვის ის ხმარობდა მათრახს და უსამართლობას, თუმცა ეს არც ქურდების, არც ავკაცების რიცხვს არ ამცირებდა.

ამ გაბრაზებაში იყო ის, როდესაც შეხვდა იაგოს და გაუხარდა, რომ ჯავრის ამოყრა შეიძლო ვიზედმე.

— რას აკეთებდი აქა ამ დროს? — მკაცრად ჰკითხა დიამბეგმა.

პირველში იაგო ისე გააკვირვა ამ შემთხვევამ, რომ სიტყვა ველარ მოახერხა, მაგრამ, როცა გონს მოვიდა, დამშვიდებით უპასუხა:

— მოკეთეებისას ვიყავ და ეხლა შინ მივდივარ.

— მე ვიცი, რა მოკეთეებთანაც იქნებოდი! — უთხრა იმან დაცინვით და მერმე მიუბრუნდა ყაზახებს: — დაიჭირეთ, შეუკარით ხელები!

ყაზახები, რომელთა შორის ნუნუს საქრმოც იყო, მისცვივდნენ იაგოს, რომელიც უკან გადახტა და გაიძრო ხანჯალი.

— ჩვენებურნო, თქვენ იქით მიდექით, დეე თითონ ეგ მოვიდეს! — შესძახა და უჩვენა დიამბეგზედ.

VI

დიამბეგი, რომელსაც არამცირედი შეეშინდა ამ სიტყვებისა, უკან მიდგა და შესძახა ყაზახებს:

— რას უდგეხართ? დაიჭირეთ, შეჰკარით!

იასაულებმა ვერ შესწონეს იაგოს, რომელიც ანთებულის და გაცეცხლებულის თვალებით პირდაპირ დიამბეგს უყურებდა, იაგომ ამის გამო ვერ შეამჩნივა გირგოლას მოძრაობა, რომელიც ჩუმათ უკანიდგან უვლიდა.

მტანჯველს მდგომარეობაში გაატარეს რამდენიმე წუთი.

ერთბაშად იაგომ იგრძნო უკანიდგან მოხვეული გირგოლას ხელები, რომელთაც მაგრა ჩაებოჭათ ისა.

იაგომ შეიბრძოლა და თუმცა ვერ გაეშვებინა, მაგრამ თითონაც ხელის გავლება მოასწრო.

გირგოლა იყო მაღალი, მხარ-ბეჭ გადგმული და ღონიერი. ამისთვის პირველ დაქნევაზედ ის ყოჩაღად გაუმაგრდა იაგოს, რომელიც ცდილობდა მხოლოდ თავის განთავისუფლებას იმის ხელიდგან.

— გირგოლაუ! რაი მმართებს შენი? გამიშვი, მომშორდი, თორემ, ღვთის მადლსა, სისხლი მოვიდა ყელში! — გაანჩხლებით და კბილების ხრჭიალით უთხრა იაგომ.

გირგოლამ პასუხის მაგივრად ის ძალზედ დაიქნივა, მაგრამ იაგოს ადგილიც ვერ აცვლევინა.

— დაჰკარით, დაჰკარით! — უბრძანა დიამბეგმა.

— რაისთვის მრევ მეზობლების სისხლში? შენ თითონ მოხვიდე, თუ გულს გერჩის?

ამ სიტყვების გათავება ძლივს მოასწრო იმან, როდესაც უკანიდგან ხმლის ყუა მოხვდა თავში და თვალთ დაუბნელდა.

— აი, თქვე უღმერთონო, დაუნდობნო! — ძლივს მოასწრო იმან და მოუქნია გირგოლას ხანჯალი, მაგრამ ხმალი მეორედ მოხვდა და დარეტიანებული დაეცა მუხლებზედ.

ამ დროს დიამბეგისგან წაქეზებული ოსის ყაზახები მისცვივდნენ და მაგრად შეჰკრეს.

იაგო ჩქარა მოვიდა გონს, წამოხტა ფეხზედ, გაიბრძოლა რამდენჯერმე, მაგრამ თოკებმა, რომელიც ჩასჭირებოდა ხელებში, სისხლი შეუყენეს ძარღვებში და მკლავები იქამდინ დაუდუნეს, რომ მოძრაობაშიაც კი ვეღარ მოჰყვანდა.

— გირგოლავ! რაისთვი მომექეც ეგრე! რაი ჯავრი მოგაგონდებოდა? აჰუ, დიაცი ყოფილხარ!

— გაჩუმდი! — გააწყვეტინა დიამბეგმა და რამდენჯერმე გადაჰკრა მათრახი.

იაგომ კბილები გააღრჭიალა ჯავრისაგან და თავდავიწყებით მივარდა იმას. მაგრამ ხელებშეკრული რას დააკლებდა და მეტის მწუხარებით რამდენიმე მსხვილი, ცხარე ცრემლი-ღა გადმოსცვივდა.

— უღმერთო, უსამართლო! უთხარ, ამჩეხონ მაინც, თუ არა და, რას მემართლები?

— მაგას ხვალ შეიტყობ! — უპასუხა დიამბეგმა მკაცრად.

იაგო წაიყვანეს ისე შეკრული, რათა შეეგდოთ იმ ოთახში, რომელსაც სატუსაღოს ეძახდნენ და რომელიც ზაფხულობით იყო საბუდარი ყოველგვარი ქვემძრომებისა და ჭიაღუებისა, ზამთარში კი — საყინულე, რადგანაც ცეცხლს იქ არ ანთებდნენ და დამსხვრეულის ფანჯრებიდგან ქარი თავისუფლად შემოქშუტუნებდა.

იაგო თუმცა ყმა იყო და, მაშასადამე, დაჩვეული ყოველგვარს ჯაფას და მოთმინებას, მაგრამ მთის წმინდა ჰაერსაც და იქაურს ჩვეულებასაც იყო შეჩვეული. ის თავს იკლავდა და გულს იხეთქავდა ამ შემთხვევით. იმას მაგალითად ჰქონდა თავის მამა-პაპათ ცხოვრება, იმათი სირცხვილი ჯერ კიდევ სირცხვილად მიაჩნდა და სახელი — სახელად. ის ჯერ კიდევ არ გარყვნილიყო იმ ახალ ნიადაგზედ, რომელზედაც ის დაეყენებინა ახალ ცხოვრებას და წყობილებას; ამისთვის მისი შეგდება სატუსაღოში, მეზობლისაგან ღალატი, რომელიც, ჩვეულებისამებრ, პირდაპირ არა მტრობდა, უსამართლო მტრისაგან მათრახით ცემა გულს უთუთქავდნენ და აგონებდნენ წარსულს ნეტარებას, როდესაც მტრობა თუ მოყვრობა აშკარა და პირდაპირი იყო...

ის იტანჯებოდა ამ სატუსაღოში, სადაც შეეგდოთ და, თუმცა გათენებამდის მხოლოდ რამდენიმე საათი რჩებოდა, იმას ყოველი წუთი საუკუნედ ეჩვენებოდა.

იაგოს მებატონე ერთი იმ დაცემული სახლთაგანი იყო, რომელთაც ყველა ნაჩალნიკის წინ ზურგის ხრა უნდება, მაშასადამე, იმას ამ მხრიდგან არავითარი შემწეობის იმედი არა ჰქონდა.

— რაისთვი დამიჭირეს, რას მემართლებოდნენ? — ათასჯერ ჰკითხავდა იაგო თავის თავს, მაგრამ ყოველთვისინ ერთსა და იმავე გადაწყვეტილებაზედ მიდიოდა: — უღვთონი არიან, უსამართლონი!

ის კიდევ ამ სიტყვებს იმეორებდა, როდესაც მზე ამოვიდა და კარგა ადგილი მოიარა.

ბატონმა დიამბეგმაც ინება გაღვიძება და თვალების გახილებასთან ერთად მოიწოდა თავისი ერთგული იასაული გირგოლა, რომელიც კარებთანვე ელოდა.

— გირგოლა! — მოისმა დიამბეგის ძახილი.

— ბატონო! — იყო პასუხი და შეაღო გირგოლამ კარები.

— ჭაღები გაწმინდე?

— დიახ, შენი ჭირიმე.

— მომართვი.

გირგოლამ მოართო ჭაღები, ჩააცვა ტანთ და პირსაბანად იარაღი მოუმზადა.

დიამბეგმა მსუქანს ხელებზედ წყნარად ჩადაიკეცა პერანგის სახელოები და დაიწყო პირისბანა.

ეს წუთები გირგოლამ, — რომელიც დიამბეგს იქაც კი ეხმარებოდა, სადაც დახმარება სრულებით საჭირო არ იყო, — საუკეთესოდ დაინახა, რათა ლაპარაკი დაეწყო.

— წუხელის ძალიან კი მოვასწარით, შენი ჭირიმე, ის ბიჭს.

— ხომ არ გატეხილა?

— აბა, უთქვენოდ იმასთან ლაპარაკს ვინ გაბედავდა?

— სწორედ ეგ გაჭურდავდა მეაქლემეებს, სხვა არავის! შენ როგორა გგონია?

— მაგის მეტი ვინ იქნებოდა, შენი ჭირიმე, — დაუკრა კვერი გირგოლამ და ცოტა სიჩუმის შემდეგ გაქნილი კაცის ღიმილით გააგრძელა:

— ღმერთმა მოგცესთ — იღბალი გქონიათ, შენი ჭირიმე! დიამბეგს იამა ეს სიტყვები და გაიღიმა.

— მაინც ძალიანა სცნობთ ავ კაცსა, — დაუმატა გირგოლამ, — აი ეხლა მთელს ხევში ისე მოგახსენებენ, შენი რისხვა არა მაქვს, რომ თქვენ არა გამოგეპარებათ-რა.

დიამბეგი უფრო აღიტაცა ამპარტავნებამ.

— შენ მე ყოჩაღი მყევხარ, გირგოლა, ყოჩაღი! წუხანდელი ქცევისთვის მე შენ უთუოდ ჯვარზე წაგადგენ.

— შენი წყალობა ნუ მომაკლოს ღმერთმა.

— იაგოს ბატონი ხომ არ მოსულა? — იკითხა დიამბეგმა.

— როგორ არა, შენი ჭირიმე, კარებზედ გახლავსთ.

ამის შემდეგ ლაპარაკი გადავიდა იმ საგანზედ, თუ რას უზრდა იაგო მოპარულს ფარჩას. გირგოლამ დაარწმუნა დიამბეგი, რომ ფარჩას არამც თუ თავის ბატონთან მიიტანდა, რომელსაც თითქმის კუჭი უხმება შიმშილით, არამედ — რომ თითონ ბატონიც, უეჭველად, ერეოდა ამ საქმეში.

ეს ერთგული ყმა, რომელსაცა სურდა იაგოს დაღუპვა, და სვინდისიანი ბატონი, რომელიც ისე ბრმად ემონებოდა თავის იასაულ-მოსამსახურის სიტყვებს, ამ საუბარში იყვნენ, როდესაც გარედ მომჩივანი, — ვინ იცის საიდგან სად და რა უბრალო საქმეზედ მორეკილნი, — მოთმინებით ელოდნენ იმის გამობრძანებას.

თითონ იაგოს ბატონიც კი რამდენჯერმე თითის წვერებზედ, რათა არ შეეწუხებინა ბატონი დიამბეგი, მიდიოდა იმის საწოლის კარებთან და წყნარად ჰკითხავდა იქ მდგომს იასაულებს:

— ბატონმა გაიღვიძა თუ არა?

— გაიღვიძა, მაგრამ ჯერ არ გამობრძანებულა, — მიიღებდა პასუხად და წყნარა, სულგანაბული ისევ თითის წვერებზედ გამობრუნდებოდა. დანარჩენს მომჩივართ კი აი, რა ლაპარაკი ჰქონდათ ერთმანერთში:

— გაგიაუ! რამ მოგიყვანა ამ ყელის-ჭრა მუშაობაში? — ჰკითხა ერთმა მოხუცმა მეორეს, რომელიც, სხვათა შორის, ქვაზედ ჩამომჯდარიყო და სწევდა ჩიბუხს.

— აბა რაი ვიცი, შენი ჭირიმე! თავად დამიბარეს, თორემ რაი მომიყვანდა მაგ შარიანებთან!

— მეც არ გამიკვირდა, საჩივრად თუ ჩამოვიდა-მეთქი.

— რაისთვი ჩამოვალ საჩივრად? თუ სადაო რაიმე გამიხდა, ჩემი მეზობლები გვერდს არ მყვანან? შევყრი ბიჭებსა და ისინი გაგვასამართლებენ.

— მაინც, რაის თაობაზედ დაგიბარეს? — ჰკითხეს კიდევ იმასა.

— აბა რაი ვიცი, — გაიმეორა ამან და მერმე დაიწყო: — ჯვართვაკეს რომ საძოვრებია, თემმაც იცის და ხალხმაც, რომ ადამის ჟამიდგან ჩვენი სოფლისა ყოფილა. როგორც უწინ იყო, წელსაც ჩვენმა სოფელმა იქ გაგზავნა საძოვარზედ თავიანთი ცხვარი და ჩემი ბალღაი სარჭლად ამოირჩივეს. მერე მოსულიყო რაიმე ყაზახები, დაეჭირათ ცხვრები და დახოცვას თურმე უპირებდნენ...

— მაგათზედ უღმერთონი კი აღარავინ იქნება, ღვთის მადლმა! — ჩაურთო ვიღამაც.

— ჩემ ბალღას ველარ მოეთმინა და ყაზახისთვის დაეკრა...

— აი, შერჩა ხელები! — მოიწონეს მწყემსის საქციელი.

— ეხლა გვეუბნებიან, რომ ყაზახს საექიმო უნდა მისცეთო და ადგილი კი ნაჩალნიკის „ყორაულის“ არისო...

— ნაჩალნიკის „ყორაული“ საიდგან-ღა მოვიდა?

— აბა რაი ვიცი!.. მთელმა თემობამ იცის, რომ ის ჩვენი ადგილია, ჩვენ კი საბალახეში სამოც ცხვარსა გვთხოვენ!.. ან მაგდენი ცხვარი საით მოუყვანოთ, ან ადგილს რაისთვი გვართმევენ?

— ურჯულონი არიან, ურჯულონი... სად-ღაა სამართალი!

ამ სიტყვებზედ დიამბეგი გამობრძანდა, ხალხი წამოცვივდა ზეზედ და ქუდები მოიგლიჯეს თავიდგან.

მებატონე მივიდა, მდაბლად დაუკრა თავი, დილა-მშვიდობისა მოახსენა, მაგრამ დიამბეგმა, ვითომც ვერ შეამჩნივა, სურგი შეაქცია იმას.

მებატონეს აშკარად შეეტყო პირისახეზედ ის წყენა, რომელიც იქონია იმაზედ დიამბეგის უსვინიდისო სიამპარტავნემ და ოხვრაში გამოითქვა ეხლა ისე გამწარებული წარსულის სიტკბოება.

იმის გულში აღიძრა სიამაყე, იმან დაიხურა ქუდი და თითქოს წელშიაც გასწორდა. ბოლოს დიამბეგი მობრუნდა იმისკენვე და მოელოდა, რომ ისევ მებატონე თავის დამდაბლებით დაიწყებს ლაპარაკს, მაგრამ მოსტყუვდა, რადგანაც ის გაჯავრებულის აღგზნებულის თვალებით უყურებდა.

დიამბეგმა გააღო პირი, რომ შეტევით დაეწყო ლაპარაკი, მაგრამ, რა შეხედა მებატონის გაანჩხლებულს სახეს და არეულს თვალებს, შეშინებული რამოდენიმე ნაბიჯი უკან წადგა და დაბალის ხმით დაიწყო:

— ა-ა, თქვენა ბრძანებულხართ?

— დიახ, მე გახლავართ და, ვგონებ, დროც იყო ყურადღება მოგექციათ.

— უკაცრავად, ვერ დაგინახეთ.

მებატონემ შეხედა და ღიმილი მოუვიდა პირისახეზედ.

— რისთვის დამიბარეთ? რა გნებავსთ ჩემგან?

— უკაცრავად, რომ შეგაწუხეთ, — დაიწყო იმან ბოდიშით, — მაგრამ ხომ მოგეხსენებათ ჩვენი მდგომარეობა? ჩვენ სამსახურის კაცნი ვართ და...

— მოკლედ მიბრძანეთ, რაცა გნებავსთ, — გააწყვეტინა დიამბეგსა.

— მე წუხელის შემატყობინეს, რომ მეაქლემეები გაუცარცავთ. მეც გიახელით გზების შესაკრავად და თქვენი ბიჭი შეგვხვდა, რომელიც დავიჭირეთ.

— ნაქურდალი უპოეთ რამე?

— არა, ბატონო, მაგრამ ქურდი სწორედ ეგ არის.

— მაშ მე რაღად მიბარებდით, თუ კიდეცა გცოდნიათ, რომ ქურდი ეგ არის?

— მე მინდოდა თქვენთვის მეკითხა, შემეტყო... ჰო, იმას მოგახსენებდით... — აერია ლაპარაკი დიამბეგს, რომელიც ემზადებოდა სხვის შეშინებას და თითონ კი შეემთხვა ეს უბედურება.

— ჩემთვის რა კითხვა გინდოდათ? გამოიძიეთ და, თუ დაუმტკიცებთ ჩემს ბიჭს ავაზაკობას, გადაახდევინეთ ისე, როგორც კანონი ითხოვს. — ამ სიტყვებთან ერთად ის გამობრუნდა და გასწია ბინისკენ. დიამბეგი კი გაშტერებული დარჩა ამ მოულოდნელის შემთხვევით.

VII

როდესაც ცოტა ხანმა გაიარა და დიამბეგი გონზედ მოვიდა, ის გაშმაგებით მივარდა იქ მყოფ გლეხებს, რომელნიც ქუდმოხდილნი ელოდნენ, თუ როდის ინებებდა დიამბეგი იმათ ცოგონებას და გასამართლებას.

— რა გინდათ? რად მოსულხართ? — დაუყვირა იმან.

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე, თქვენ დაგებარებინეთ და ჩვენც გიახელით, — მდაბლა თავის დაკვრით უპასუხეს იმათ.

— თქვენ დაგებარებინეთ, თქვენ დაგებარებინეთ! — გაუკირცხლა დიამბეგმა, გაიარ-გამოიარა და მერმე დაუმატა: — რა ვუყოთ, რომ დაგიბარეთ? ეხლა მე თქვენთვის არა მცალიან.

გლეხკაცებმა შეხედეს ერთმანერთს და ტოკვა დაიწყეს. იმათ ვერ გამოერკვიათ — ბატონი დიამბეგი ეხუმრება თუ მართალს უბრძანებს.

— რაღას უდგეხართ?.. წადით-მეთქი! — ცოტა სიჩუმის შემდეგ კიდევ დაუყვირა დიამბეგმა და შეიჭმუხნა წარბები.

— მოგვისმინე, შენი ჭირიმე, ბატონო, — დაიწყო ერთმა ჭაღარა-შერეულმა მოხუცმა.

— სწორედ მოგახსენოთ — შენის მეტი საქმე არა მაქვს, — დაცინვით წარმოსთქვა ხევის მმართველმა. — წადით, წადით, ეხლა არა მცალიან თქვენთვის: მე დღეს ქვეშეთს ვივდივარ; თუ გინდათ, თქვენც იქ გადმოდით.

— შე დალოცვილო! ამ ყელის-ჭრა მუშაობაში მოგვაცდინე და ახლა კიდევ ქვეშეს უნდა წავიდეთ?.. მთის ხალხი თუ თიბაში გააკეთებს რასმე, თორემ სხვა როდის, ან რა უნდა იმუშაოს?

— ხმა გაიწყვიტეთ! — დასჭყივლა დიამბეგმა და დაუბარტყუნა ფეხები.

— ნუ გაგვიწყრები, შენი ჭირიმე, ბატონო, — დაიწყო ისევ იმ მოხუცმა, — ჩვენი სიცოცხლისა და სიკვდილის დღე ეხლა გახლავს და...

— მე რა?.. ჯანიმც გაგვარდნიათ, თუნდს ერთს დღეს გასწყვეტილხართ! აი დარდი!

— ბატონო...

— ყაზახებო! — გააწყვეტინა დიამბეგმა, — მათრახები მაგათ!

იქამდისინ შემაძრწუნებლად დაინახეს ეს ბრძანება, რომ იმისთანა გარყვნილ იასაულებმაც კი, როგორიც გირგოლა იყო, ვერ მოახერხეს ხელის გამოღება. ამის გამო ყაზახებს, რომელნიც იმ დროში დიამბეგების და ნაჩალნიკების განკარგულებაში იყვნენ, შეხვდათ ბრძანების აღსრულება.

— უღმერთონო! უსამართლონო! შეუბრალებელნო! გაგვწყვიტეთ ბარემა, დალიეთ ჩვენი სისხლი! — გასძახოდნენ გლეხკაცები, რომელთაც მათრახებით უღმერთოდ და შეუბრალებლად სცემდნენ. ცხვირი, პირი, ყურები აღარ გააჩნდათ საცოდავებს და თქრიალით გადმოდიოდათ სისხლი...

ჩქარა შემოფანტეს ეს ხალხი, რომელთ მწუხარებას რაღაცა სიამოვნებით უყურებდა ამ ბრძანების მიმცემი და ხანგაზოშვებით აქეზებდა ერთგულ აღმსრულებლებს...

— აგრე, აგრე... ყოჩაღ, ყოჩაღ!

როდესაც ცოტა გული იჯერა ამ სურათით დიამბეგმა, რიგი მიერგო იაგოს, რომელსაც ისე დღის გამწარებას უპირებდა.

— აბა, ახლა ის ბიჭი მომიყვანეთ! — დაიძახა ამან ბოლოს.

— იაგო, შენი ჭირიმე? — იკითხა გირგოლამ.

— ჰო, იაგო.

იაგო მოიყვანეს რამდენიმე ყაზახმა, რომელნიც თოფებგაშიშვლებულები მოსდევდნენ იმას, როგორც ერთ ავაზაკს.

— რა უყავი ცალები? — დაუყვირა დიამბეგმა იაგოს მოყვანის უმალეს.

— რა ცალები? — იკითხა იმან და გაშტერებული დაუწყო ყურება.

— ერთი ამას უყურეთ-და!. ვითომ არც-კი იცის!.. ის ცალები, რომელიც წუხელ მოიპარე.

— მე არ მომიპარავს, — მტკიცედ და გადაწყვეტით უპასუხა იმან.

— უბრალოდ ცდილობ ჩემს მოტყუებას, მე კარგად ვიცი, რომ ქურდი შენა ხარ.

— ღვთის მადლმა, არა ვარ.

— არა ხარ?

— არა.

— შენ არ გინდა სთქვა და ვნახოთ, გათქმევინებ თუ არა?.. მაშ წუხელ, შენი დაჭერის წინ, სად იყავ?

— თქვენ რაი გინდათ?

— მე ის მინდა, რომ უნდა მითხრა! — დაუყვირა დიამბეგმა.

— რაისთვი უნდა გითხრა? მთელმა სოფელმა იცის, რომ ქურდი არა ვარ და ცხო, საცა გინდა ვყოფილიყავ, თქვენ რაი?

— გათქმევინებ კი არა, ჯანს გაგაგდებინებ, ჯანს!

— ძალა თქვენს ხელშია და ხმალი! ჰაი, ჰაი, რომ გამაგდებინებთ, მაგრამ იმას კი არ გეტყვით, საცა ვიყავ.

— მოიცადე, და თუ არ გათქმევინებ, მაშ კაციმც არა ვყოფილვარ!

— ღვთის მადლმა, ცოცხალს ვერ მათქმევინებ და მკვდარი ხომ სულ ვეღარას ვიტყვი.

— გაჩუმდი! — დაუყვირა დიამბეგმა და გადმოუბრიალა თვალები.

— რაისთვი გავჩუმდე? რაისთვი დამიჭირეთ?

— გაჩუმდი-მეთქი, მე შენ გიბრძანებ!

იაგოს რაღაცა აზრმა გაურბინა თავში და გარდაწყვიტა, რაც უნდა ეთქვათ იმისთვის, თუნდა ეს იმის საკეთილოც ყოფილიყო, მაინც პასუხი არ ეძლია და ეჯავრებინა დიამბეგი, რომელიც ასე უსამართლოდ ექცეოდა.

— არ გავჩუმდები.

დიამბეგი მივარდა და შემოჰკრა შემდეგის სიტყვებით:

— შენ როგორ ჰბედამ, რომ აგრე მეპასუხები?

— რაისთვი მცემ? — უთხრა იმან.

დიამბეგმა პასუხის მაგიერად კიდევ შემოჰკრა.

— ძალუმ კაცობა არაა ხელშეკრულის ცემა! — უთხრა იაგომ და გააკრაჭუნა კბილები.

— წაიყვანეთ, გამაცალეთ! — დაიღრიალა დიამბეგმა, — გამაცალეთ-მეთქი, თორემ შემომაკვდება ეს ასეთ-აგეთი.

ყაზახები მისცვივდნენ და წაათრიეს იაგო, რომელსაც შეუყარეს ფეხებში ბორკილები და გაგზავნეს ქვეშეთს. ცოტა ხანს შემდეგ დიამბეგი შევიდა თავის ოთახში და დაიწყო მზადება, რადგან თითონაც რამდენიმე საათს უკან ქვეშეთს უნდა გამგზავრებულიყო.

გირგოლა, რომელიც თან ახლდა და ემსახურებოდა, ერთბაშად მივიდა კარებთან, გაიხედა გარედ, მერმე მაგრა მოიხურა კარები და იდუმალებით დაიწყო:

— გველეთიდგან ქისტები გახლავან.

— რაო? — განსაკუთრებითი ყურადღების მიქცევით ჰკითხა დიამბეგმა და მოუთმენლობა დაეტყო პირისახეზედ.

— ვერცხლეული და ფარჩა რაიმე აქვსთ ნაქურდალი.

— მერე?

— ნაჩალნიკთან მიჰქონდათ საჩუქრადა, მაგრამ მე იქ არ გავუშვი — თქვენთან მოვიყვანე.

დიამბეგს სიამოვნების ღიმილი გამოეხატა პირისახეზედ.

— ყოჩაღ! — შეაქო იმან, — მეც გადაგიხდი სამსახურს, ჩემო გირგოლა.

— ღირსი არ ვარ შენს წყალობას, შენი ჭირიმე! — თავის დაკვრით უპასუხა იმან. — მაშ, როგორ მიბრძანებ?

— აქ ნუ მოვლენ, დაინახამს ვინმე და კარგი არ არის, —

უპასუხა დიამბეგმა და ჩაფიქრდა. — იცი რა? ამაღამ მე კობ'ში დავრჩები, ისინიც იქ ამოვიდნენ და იქ მომიტანონ.

— კარგი, შენი ჭირიმე.

ამ დროს დიამბეგის კარებთან მოისმა ზარების წკრიალი და გაჩერდა ტროიკა, შებმული სამი ჩერქეზულის ცხენით, რომელთაც კოხტად გვერდზედ ეჭირათ თავები და მოუთმენლად ფეხებს აბარტყუნებდნენ გატკეპნილს მიწაზედ.

ჩქარა გამობრძანდა დიამბეგი, ჩაბრძანდა ტროიკაში, იამშჩიკმა დაზძრა ვოჟები და მკვირცხლი, მარდი ცხენები მხიარულად, მერცხალივით გაფრინდნენ კობისაკენ...

სოფელმა გაიგო იაგოს დატუსაღება, იმის გაგზავნა ქვეშეთში და გადასწყვიტა, რომ ის ვეღარ დაბრუნდებოდა და თავის სამშობლოს ღრუბელს ვეღარ დაინახავს. რამდენიმე ბიჭი, რომელთაც შორი-ახლოდგან ეყურებინათ და გაეგონათ იაგოს ლაპარაკი, უამბობდნენ დანარჩენებს და ისინიც ქებას ასხამდნენ იაგოს იმგვარის გულადობისათვის.

— აბა, ღმერთს არ მოეტყუება, რომ ბრალია იმისი დაღუპვა, — წარმოსთქვა ერთმა.

— ბრალია და აგეთი?..

— მართლა ან ქურდი ყოფილიყო, ან ავი კაცი — კიდევ ჰო, თორემ რაისთვის მოგვდის აგრე?.. ყველაზედ მეტი სამსახური ჩვენ გვადგია, ყველაზედ მეტი ჯაფა ჩვენს ხალხს მოზდის და მოსვენება კი ალარსადაა ჩვენთვის.

— ეჰ, ჰე, ჰე, ჰე! — ოხვრით წარმოსთქვა კიდევ ერთმა, — სადღაა ჩვენთვის ან ღმერთი, ან შეწყალება? ვიღაა ჩვენი პატრონი? რაიც უნდათ, იმას გვიშვრებიან... თითოროლაი „მაჭყირობელაი" მოვა და რაც უნდათ, იმას ჩადიან.

— უწინ თათრობა იყო, ღვთის მადლმა, მაგრამ ეგეთი გაჭირვება არ გვინახავს... უწინ იარაღი გვეჭირა ხელჩიგა და ვინც ჩვენზედ ძალის მოტანას მოისურვებდა, იარაღით გავცემდით პასუხს: ან დავიხოცებოდით, ან არა-და, უსამართლობას არ ავიტანდით.

ესენი ამ საუბარში იყვნენ, როდესაც გაიგონეს გზირის ხმა, რომელიც ციხეზედ შემდგარიყო და იქიდგანა ჰკიოდა:

— სოფელო! ჯარი მოვიდა, ბეგარაი არის წასაღები, კომლზედ ურემი გამოიტანეთ.

ხალხი ზარმაცად და უკმაყოფილოდ დაიძრა: ზოგი მამასახლისისაკენ, რომ მოეხერხებინათ ბეგარის თავიდგან აცდენა, ზოგიც ურმების გასამართად...

ამ ხანში ნუნუს ყურამდინაც მიაღწივა იაგოს დაჭერამ და ქვეშეს გაგზავნამ.

იმ დროს ის წყალზედ მიდიოდა ტაგანა-აკიდებული, იმას მეემატნენ კიდევ რამდენიმე დედაკაცი: ზოგი ტაგანებით, ზოგიც თულუხებით. ყველანი მხიარულის მოღიმარის სახით შეხვდებოდნენ ერთმანერთს, რადგანაც აქ ყველა პოულობდა თავის გულის მეგობარს, რომელსაც უშიშრად ანდობდა თავის გულის გრძნობას, თავის ნაღველს და გაიგონებდა თანამგრძნობელ, დამამშვიდებელ სიტყვას.

მთელი დღეები მუშაობაში გამტარებელი დედაკაცები, რასაკვირველია, სიამოვნებით შეიყრებოდნენ ერთმანერთთან, სიამოვნებით დაიწყებდნენ საუბარს და მთელი დღე მარტოობაში შეგუბებულს მოაზრებულს ეხლა თავისუფალი ბდინარეობა მიეცემოდა.

ნუნუმაც, რომელსაც პირისახეზედ საერთო მხიარულება არ ეტყობოდა, გასწია ერთი ქალისაკენ; ამ უკანასკნელმა დაუწყო ლოდინი მოღიმარის პირისახით, მაგრამ, რა ნუნუს შეამჩნია მჭმუნვარება, მაშინვე თითონაც სახე გამოეცვალა და თანაგრძნობით წამოიძახა:

— რაი მოგსვლია?

— დავიღუპე, მარინეისი, დავიღუპე! — უპასუხა ნუნუმა და ცრემლები გამოერია თვალებში.

იმათ გაიცადეს დედაკაცები და თითონ უკან დარჩნენ, რათა არავის დაეშალა ლაპარაკი.

— რაი ანბავია, მითხარი ჩქარა? — ჰკითხა მარინემ.

— რაი-ღა რაი ანბავია, იაგო... — წარმოსთქვა ნუნუმ და სიტყვები ველარ გაათავა.

— რაი მოუვიდა? თქვი-ღა ჩქარა? — უთხრა დედაკაცმა, რომელსაც წარმოუთქმელი მღელვარება დაეტყო.

— დაიჭირეს.

— ვინ დაიჭირა?

— დიამბეგმა.

— დიამბეგმა? — გაიმეორა მარინემ და სიტყვა გაუწყდა პირში. — რაისთვი დაუჭერია, როდისა?

— წუხელისა, ქუოდობა დაუბრალებიათ.

ამის შემდეგ რამდენიმე ხანი ორივე დედაკაცები გაჩუმდნენ და ხმა ველარ ამოელოთ.

— რაი უშავს, ბედშავო ჩემო თავო! გამოუშვებენ ისევ, — ბოლოს ხმადა დამშვიდება მარინემ.

— დიახ, გამოუშვებენ!.. ჩემი დაღუპაი უნდოდათ, იმათ დაიჭირეს და ვიღა გამოუშვებს იმას! — იმედ-გარდაწყვეტით წარმოსთქვა ნუნუმ და მერმე დაუმატა: — იმათ უნდათ სხვაზედ გამათხოვონ, მაგრამ არ გავთხოვდები, არა... თუ ძალა დამატანეს — წყალი ხომ ჩემ ხელთაა.

მარინემ დაუწყო ნუნუს დამშვიდება, თუმცა იმასაც მწარედ გულს უცემდა თავის „გულის საყვარელს“ ძმადნაფიც იაგოსთვის. იმას ბევრისა გაეგონა ასე შარმოკიდებით გადაღუპა თავის ქვეყანიდგან, გადაღუპა დიამბეგებისაგან, რომელთაც იმ ხანში მინიჭებული ჰქონდათ ისეთი წარმოუთქმელი და წარმოუდგენელი ძალა.

ბევრი ლაპარაკისა და რჩევის შემდეგ ისინი მივიდნენ ერთს გადაწყვეტილებამდის, რომელსაც ნუნუ უნდა გადაერჩინა ძალდატანებული ჯვარისწერისაგან.

VIII

ნუნუ და იმისი მეგობარი, რამდენადაც შეიძლებოდა იმათ მდგომარეობაში, დამშვიდდნენ, გადასწყვიტეს იაგოს მოლოდინი, რომელიც, იმათის აზრით, უეჭველად, კარგად თუ ავად, უნდა განთავისუფლებულიყო და ჩქარა მოსულიყო.

ამ გადაწყვეტილებით ისინი დაბრუნდნენ თავთავის სახლში და დაადგნენ თავთავიანთ საქმეს. დიამბეგს კი ამ დროს კობში მოელოდნენ, სადაც ერთის მედუქნისას, რომელსაც სასტუმრო ჰქონდა გამართული, უნდა ჩამომხტარიყო. ის ოთახი იქამდისინ შესანიშნი იყო, რომ პირველსავე შეხედვაზედ შეამჩნევდით რაღაცა განსაკუთრებითი მოწყობილობას: შუა კედელთან

ჰქონდა გამართული თლილი ქვის ბუხარი, რომლის აქეთ-იქიდგანაც, კედლის ნაპირობაზედ, ტახტები გადაეჭიმათ; ერთი კარი შედიოდა გალავნიდგან და მეორე კი იმის პირდაპირ გადიოდა მინდორზედ, საიდგანაც ხალხის შეუხვედრად შესვლა და გასვლა შეიძლებოდა.

მით უფრო სახერხო იყო ეს ადგილი იდუმალ სასიარულოდ, რომ ეს დუქანი სოფლის განაპირად იყო და მგზავრის ფეხი არ ხვდებოდა მინდორს, რომელზედაც უკანა კარი გადიოდა. თითონ ტახტის ფიცრები, რომელიც დალურსმული არ იყო, თავისუფლად აიხდებოდნენ, და ძირს იყო გათხრილი სხვადასხვა სიდიდის ორმოები, რომელიც მსახურებდნენ თავის პატრონს სხვადასხვა დაფარული საჭიროებისთვის.

დაგვილი, დაწმენდილი ოთახი, გაჩაღებული ბუხარი, თუმცა ზაფხული იყო, და შეიარაღებული სომეხი — დუქნის პატრონი — მოელოდნენ დიამბეგს, რომლისთვისაც დაუზოგავად ბეგარა შეშას ეზიდებოდა ნაცვალი თავის იასაულებით.

ერთი იასაული უვლიდა იქ მყოფს მედუქნეებს და ატყობინებდა იმ დროის ღმერთის სწორი კაცის მოსვლას, რომლისათვისაც ვახშამი უნდა მოემზადებინათ.

ერთს იასაულსაც მოერეკა სოფლებიდგან ხალხი, რომელთაც ჩამოერეკათ ძუძუთა ბატკნები და ელოდნენ დუქნის კარზედ.

ბატკნები, რომელთაც თავები ამოეყოთ ხურჯინებიდგან და იმედ-გადაწყვეტილად თავები გადაეგდოთ გვერდზედ, თვალებდახუჭულნი მოელოდნენ თავიანთ მომავალს. ზოგი იმათგანი დროგამოშვებით შემაძრწუნებლად დაიბღავლებდნენ და ეს ხმა, ეს მოგონება, ძახილი თავის მშობლისა კაცს ჟრუანტელს გაუტარებდა გულში. დიამბეგი, მოსვლის უმალეს, შებძანდა მომზადებულს ოთახში, სადაც შეჰყვა ქუდ-მოხდილი ნაცვალი.

— გამარჯვება შენი, — უთხრა დიამბეგმა.

— შენი წყალობა ნუ მომიშალოს, — თავის დაკვრით უპასუხა იმან.

— ვინ არიან დუქნის კართან?

— არავინ, შენი ჭირიმე... საკლავები მოგართვეს.

— ბევრია? — ჰკითხა პირდაპირ მმართველმა.

— თხუთმეტიოდე გახლდებათ.

დიამბეგმა სიამოვნებით გაიღიმა და გაიარ-გამოიარა. შემდეგ მივიდა ნაცვალთან, დაჰკრა მხარზედ ხელი და უთხრა:

— ბარაქალა, ბარაქალა... შენი ერთგულება მეც არ დამავიწყდება.

— ღირსი არა ვარ შენს წყალობას, შენი ჭირიმე!

— არა, ხარ ღირსი, ჩემო იაკობა, ხარ!

— ბატონს სამსახური უნდა, შენი ჭირიმე, მაშ როგორ იქნება?

— ყოჩაღ, ყოჩაღ!.. აბა ახლა შენ ის მითხარ, ხომ არავინ გაჯავრებს ან არ გაწუხებს?

— არა, შენი ჭირიმე, არავინა, მხოლოდ ერთი მედუქნე მეხირება რასმე და შენის წყალობით იმასაც მალე მოუგრეხ კისერს.

— როგორ თუ მედუქნე? — იკითხა იმან და შეიჭმუხნა შუბლი, — რომელი მედუქნეა?

— აი, სოსიკაანთ ბიჭს მოგახსენებენ.

— კარგი, ხვალ მომიყვანე აქა და მე ვაჩვენებ... იაგო გაატარეს?

— დიახ, შენი ჭირიმე, ყაზახებმა გაატარეს... ეხლა გუდაურში იქნებიან.

ამაზედ ლაპარაკი შესწყდა, რადგანაც შემოიტანეს ბარგი და დუქნის პატრონიც შემოვიდა. დიამბეგმა ღიმილით შეხედა იმას, რაღაც ანიშნა თვალით და ჩახველებით უთხრა:

— იქნება?

— ვა, მაშ არ იქნება? — ღიმილითვე უპასუხა მასპინძელმა.

ამ დროს მოვიდნენ მედუქნეები სხვადასხვა ფადნოსებით, რომელზედაც ეწყო ქათმები, მთელ-მთელი ყველის კვერეულები, გრაფინკები და დოქები ღვინოებით და დაბეჭდილი ბოთლები ევროპულის სასმელებით.

დიამბეგმა ეს ყველა მიიღო, ყველას უთხრა თითო-ოროლა სიტყვა და დაითხოვა.

იმასთან დარჩა მარტო სახლის პატრონი, გირგოლა და რამდენიმე ყაზახი.

როდესაც ფეხის ხმა მიწყნარდა, უკანა კარები გაიღო და

გირგოლა შემოუძღვა სამს ქისტს, რომელთაც მოართვეს თავიანთი ნაქურდალი ვერცხლის დანა-ჩანგალი, კოვზები, თასები და სხვა.

ღირსეულმა მმართველმა მადლი გადაუხადა ღირსეულ ქვეშევრდომებს, დაჰპირდა იმათ თავის წყალობას და მფარველობას.

რა ისინიც გაისტუმრა და მარტონი დარჩნენ, უკანა კარი კიდევ გაიღო და დუქნის პატრონი შემოუძღვა მორთულ მოკაზმულს დედაკაცს, რომელსაც პირისახეზედ ჩამოეფარებინა მერდინი.

ამის შემდეგ ჩამოვარდა ფარდა და ხევის მმართველის სადგურში ხდებოდა ისეთი სისაძაგლე, რომელიც კი შეუძლიან ჩაიდინოს სვინიდისისაგანაც და ნამუსისაგანაც ხელაღებულმა გარყვნილმა კაცმა.

როდესაც დიამბეგი ამ განცხრომაში იყო, იაგო ბორკილების ჩხარაჩხურით მიჰყვანდათ ქვეშეთისკენ. ერთს ადგილს ისინი შესდგნენ და შეისვენეს. იაგოც ჩამოჯდა.

თუმცა ზაფხული იყო, მაგრამ იმ ადგილებში, თოვლების სიახლოვით, საკმაოდ ციოდა, მაგრამ სიარულით და ფიქრებით გახურებული იაგო ვერ ამცნევდა ამ სიცივეს.

იმას გასწყვეტიყო საკინძი, გული გადაღეღოდა და აშკარად გამოსჩენოდა ვაჟკაცი ძარღვიანი მკერდი, რომელიც ქშენისაგან ძალზედ ადიოდ-ჩადიოდა.

იმას იმ დროს დავიწყებოდა თავისი მდგომარეობა, დავიწყებოდა ბორკილები, ყარაულები და მთლად მისცემოდა თავის ნუნუზედ ფიქრს.

იმას ეხატებოდა თვალ-წინ მშვენიერი ყმაწვილი გოგო, რომლის ტანიც ალვის ხესავებ ირხეოდა; მოღიმარი პირისახე და ცოტად გაღებული ტუჩები თითქოს დალაპარაკებას აპირებდნენ, ჟუჟუნა თვალები მხიარულად ეპატიჟებოდნენ თავისკენ. იაგო იქამდინ გაიტაცა ამ სურათებმა, რომ ჰგრძნობდა ქალის მოახლოვებას, სუნთქვას, ჰგრძნობდა, რომ ხელი მოეხვია იმისთვის წელში და უპირებდა გახურებულს გულზედ მიკვრას.

ეს სურათები ისე სასიამოვნოდ, ისე ნუგეშიანად უალერ-

სებდნენ იმას, როდესაც მოხვდა მათრახი ბეჭებში და გიჟივით წამოაგდო ზეზე.

— დაგეძინა განა, შე ზარმაცო? — ჰკითხა ყაზახმა, რომელმაც ისე უწყალოდ გადაჰკრა.

— რადა მცემ? რა დამიშავებია? — ჰკითხა იაგომ და შეხედა შეწუხებულის თვალით.

— გაიარე, კარგი! ბევრს ნუ ლაპარაკობ. — მისცეს იმას პასუხი და კიდევ გადაჰკრეს მათრახი.

— ახ-მე! — კბილების ხრჭიალით და თავის გაქნევით წამოიძახა დაბორკილებულმა: — სად არის სამართალი? სად არის ღმერთი?

ისინი ჩავიდნენ ქვეშეთში, სადაც იაგო გადასცეს ეტაპის სალდათებს, რომელთაც შეაგდეს საპყრობილეში და გადმოუკეტეს კარები.

იქ იაგომ თავი უფრო მოსვენებით იგრძნო, რადგანაც თავისუფლად ფიქრი მაინც შეეძლო.

დაღალული, დაწყვეტილი არა იმოდენა სიარულით, რაოდენიც ფიქრისა და მღელვარების გამო, ის მიეგდო პოლზედ და დახუჭა გახურებული თვალები, რომელნიც მოსვენებას ითხოვდნენ.

თუმცა ის იწვა დახუჭულის თვალებით, მაგრამ ძილი მაინც გაფრთხობოდა და ამის მაგივრივ ფიქრი ფიქრზედ ებადებოდა.

იმას ცხოვლად წარმოუდგა თავისი მდგომარეობა, ის უსამართლობა, რომელიც იმისთვის მიეყენებინათ და ის კი ვერ გაეგო, თუ რა უნდათ იმისგან, ან ასე უწყალოდ რა დანაშაულისათვის ექცევიან?

ის არ იყო ქურდი და ქურდობას სწამობდნენ!

ის არ იყო ავაზაკი და ავაზაკობას აბრალებდნენ!

იმას უყვარდა და საყვარელს საგანს აშორებდნენ!

სცემდნენ, აწვალებდნენ, ამტყუვნებდნენ და გამართლების ნებასაც კი არ აძლევდნენ!

რისთვის? რად? ვის რა შეემატებოდა ამისა წვალებით? რად ხდებოდა ეს ასე?.. ყველა ეს კითხვები გაურკვევლად ტრიალებდა იმის თავში და დაბოლოება კი არა ჩანდა.

IX

მეორე დღეს დილით, როცა მზემ კარგად მოიარა, დიამბეგი გამობრძანდა გარედ, სადაც თან გამოჰყვა ერთგული და ბრძანების აღმასრულებელი ნაცვალი.

ხალხი, რომელთაც საჩივარი ჰქონდათ და იქ შეყრილიყვნენ, პატივისცემის ნიშნად ქუდები მოეხადნათ, შორიახლოს იდგნენ, — როდის ინებებდა ხევის ბატონი მათზედ ყურადღების მიქცევას და იმათ საჩივრის მოსმენას. ყველას მოუთმენლობა ეტყობოდა პირისახეზედ, მაგრამ მაინც ვერავის გაებედნა წინ წამოდგომა და თავის ნაღველზედ ლაპარაკის დაწყება.

დიამბეგი დუქნის კარებთან ტრიალებდა, იპრანჭებოდა და ბოლთას სცემდა; ის ისე იქცეოდა, თითქოს ვერც კი ამჩნევდა იქ მყოფებს. ნაცვალი ქუდ-მოხდილი, თითის წვერებზედ, სიფრთხილით უკან დასდევდა, რათა ფეხის მოულოდნელი ხმაურობით არ დაეშალა იმის ფიქრებისათვის.

— ნაცვალო! — ბოლოს დაუძახა დიამბეგმა.

— შენი ჭირიმე! — იყო პასუხი და წინ გამოჭიმული წადგა ნაცვალი.

— წუხელ შენა სთქვი, რომ ხალხმა საკლავები მოგართვესო? — ისე ჩუმათა ჰკითხა დიამბეგმა, რომ სხვების სმენას არ მისწვდომოდა იმის სიტყვები.

— დიახ, შენი ჭირიმე.

— სად არიან?

— ქორფა ბატკნები გახლავან, მეშინოდა სიცივეს არ დაედურაღა და თავლაში შევაყრევინე.

— ბატკნები? — ჩაფიქრებით წარმოსთქვა დიამბეგმა და სახეზედ უსიამოვნობა დაეტყო.

— დიახ, შენი ჭირიმე.

დიამბეგი რაოდენიმე ხანს ჩაფიქრდა და კიდევ გაიარ-გამოიარა და მერე შეუტია ნაცვალს:

— ქორფა ბატკნები რად მინდოდა-მეთქი? — გარკვევით და ჩაცივებით გაიმეორა იმან.

ნაცვალი, რომელიც მადლობას მოელოდა თავის გულმხურვალე მეცადინეობისთვის, არია ამ მოულოდნელმა გაჯავრებამ და თითონაც არ იცოდა რა ეპასუხა.

— რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე, — ბოლოს მოუაზრებლად წარმოსთქვა იმან.

— არა, თექვსმეტი ბატკანი, და ისიც ქორფა, რად მინდოდა?.. მედუქნე ხომ არა ვარ, რომ მომეხარშა, კერძებად დამეწილადა და ისე გამეყიდნა?.. მიპასუხე: მედუქნე ხომ არა ვარ?

— არა, შენი ჭირიმე, არა ბძანდებით.

— მაშ რად მინდოდა? — თანდათან ცხარდებოდა დიამბეგი.

თუმცა ნაცვალს ვერ გაეგო, რაზედ ცხარდებოდა დიამბეგი, მაგრამ მაინც კი სცადა იმისი დამშვიდება.

— გავყიდოთ, შენი ჭირიმე, და ფული იქნება.

დიამბეგმა შებღვირა და უფრო შეიჭმუხვნა წარბები.

— რაო?.. მე უნდა გავყიდო ბატკნები?.. აი, შე ბრიყვო ბოხეევ, შენა! მიკიტანი ხომ არა ვარ, რომ ბატკნებით ვივაჭრო?.. შენ არ იცი, რომ ცოლშვილით დაგღუპავ მაგ სიტყვებისთვის?.. ციმბირში ამოგიყოფ თავს!

საცოდავს ნაცვალს არა სახუმროდ შეეშინდა, რადგანაც დიამბეგს, თუ მართლა მოეწადინა, კიდეც შეეძლო იმისი დაღუპვა და ამისთვის გაფითრებულმა შიშისაგან რაღაცა ლუღლუღი დაიწყო.

— ნუ გაგვიწყრებით, შენი ჭირიმე, — ბოლოს ძლივ გაიგონა ენა, — გლეხები ვართ, უგუნურები... იქნება ჩვენის უცოდნელობით გაწყენინეთ რამე, მოგვიტევე.

— გლეხკაცები! — გაუკირცხლა დიამბეგმა, — გლეხკაცები კი არა, სუყველანი ეგეთები ხართ. გასწი ეხლავ, მაგ ბატკნების დედებიც ჩამოარეკინე ჯვართვაკეს ჩემ მწყემსთან, თორემ არ ვიცი რა გიყო!..

— ბატონი ბძანდები, შენი ჭირიმე, — უპასუხა ნაცვალმა თავის დაკვრით, — ოღონდ შენ ნუ გამიწყრები და თუნდა მთელს ფარას აქ ჩამოვარეკინებ.

— არა, შე მხეცო, ძუძუთა ბატკნები რომ დედისთვის მოგიშორებიათ, კაცობა აღარ არის თქვენში? გული აღარა გაქვს? არა, რამ უნდა აცხოვროს ძუძუთა ბატკნები უდედოდ?

— რა ვქნათ, შენი...

— კარგია, ბევრს ნუ ყბედობ! — გააწყვეტინა დიამბეგ-

მა, — ამ ზაფხულს მოსწოვენ და შემოდგომაზედ დედებს ისევ პატრონებს დავუბრუნებთ! გასწი, კარგია.

— ბატონი ხარ, შენი ჭირიმე!

— კარგია, წადი.

ნაცვალი სახჭაროდ აირია ხალხში და ჩუმად წაიბუტბუტა: — ბატკნები რას ეყოფა მაგ ცოდვიანს!

ამ დროს გამოჩნდა გირგოლა, რომელმაც დიამბეგს მოახსენა:

— ცხენები მზად გახლავს.

— მზად არის?

— დიახ. მე ოას მიბძანებთ: თქვენთან გიახლოთ?

— არა, შენ შეგიძლიან დაბრუნდე. ქვეშეთში საჭირო არ იქნები. შენს სახლობას მიხედე.

— შენი ჭირი მომცა ღმერთმა.

— კარგა თვალ-ყური კი გეჭიროს, თუ გაჩნდა სადმე რამე... ხომ გესმის?

— მესმის, შენი ჭირიმე... შენს ხელს იქით არსად წავა.

— აბა, შენ იცი.

გალავნიდგან გამოვიდა ტროიკა ბარგ-ჩალაგებული და მომზადებული. დიამბეგი გამოეთხოვა მასპინძელს და წუნარა ჩაბრძანდა ტროიკაში.

მომჩივრებმა, რომელთაც დაინახეს, რომ დიამბეგი წასასვლელად ემზადება და ყურადღებას არ აქცევს იმათ, წინ წამოიწიეს და ძლივს გაბედეს სიტყვის წარმოთქმა:

— ჩვენ შენთან გახლავართ, შენი ჭირიმე, — დაიწყო ერთმა.

— რაო? — შეუტია დიამბეგმა და მიუბრუნდა იამშჩიკს: — გასწი!

იამშჩიკს, რომელსაც პირი დაეღო და შესცქეროდა ამ ხალხს, ვერ მოესმა დიამბეგის ბრძანება და ამისთვის გაუნძრევლად იმავე მდგომარეობაში დარჩა, როგორშიაც ბრძანებამდინ იყო.

— საჩივარი გვაქვს, შენი ჭირიმე! მოგვისმინე, — დაიწყო კიდევ ერთმა გლეხკაცთაგანმა.

— შენ არ გესმის? გასწი-მეთქი! — დასჭყივლა დიამბეგმა და ისე წაჰკრა კისერში იამშჩიკს, რომ იმანაც შეშინებით საჩ-

ჭაროდ გამოსწია ვოჟებს, გადაჰკრა შოლტი ცხენებს და თვალის დახამხამებაზედ ტროიკა და ზედ მსხდომნი მოეფარნენ ცხვირ-წამოწვდილს კლდეს.

გლეხკაცები ისე გაშტერებულნი დარჩნენ რაოდენიმე ხანს. ბოლოს ერთი იმათაგანი დაეხარა ქვას, აიღო და გაჯავრებით მიაყოლა მიმავალ ტროიკას უკან.

— წასვლა შენი და აღარ მოსვლა! — დასძახა ისეთის სიბრაზით, თითქოს მართლა ამ ქვაზედ ყოფილიყოს იმ დიამბეგის ბედიღბალი.

გლეხკაცები იქ დარჩნენ კიდევ რამდენიმე ხანი, შესჩივლეს ერთმანერთს თავიანთ მწუხარე მდგომარეობაზედ, მოიფხანეს თავები და დაიშალნენ სიტყვებით:

— აღარცა სამართალია, აღარცა შეწყალება!.. როდემდის უნდა ვიტანჯნეთ ასე!..

ქვეშეთში ნაჩალნიკი სადილს ემზადებოდა, როდესაც დიამბეგი გამოჭიმული და მხარზედ ხმალ-გადაკიდებული მოწიწებით და კრძალვით შევიდა იმასთან.

დიამბეგს ქალალდში გახვეული რაღაცა ეჭირა.

— ა-ა! — გააგრძელა ნაჩალნიკმა, რაწამს შეამჩნივა დიამბეგი და მერმე დაუმატა: — შენა ხარ?

— მე გახლავარ თქვენს ბრწყინვალებას.

— შენ ნახე, როგორი იმერული მეძებრები მომივიდა? — დაიწყო ნაჩალნიკმა პირველის სიტყვიდგანვე.

— არა, ჯერ არ მინახავს, თქვენო ბრწყინვალებავ.

— ოჰ, ჰო, ჰო, აღარ შეიძლება იმისთანები! სწორედ კალმით ნახატები არიან!.. მაგრამ მოიცა, ეხლავე გაჩვენებ. ბიჭო, ბიჭო! წადი ერთი, ის მეძებრები შემომიყვანე, იმერეთიდგან რომ მომივიდა, — მიუბრუნდა ნაჩალნიკი თავის ძახილზედ შემოსულს ბიჭს.

— უეჭველია, კარგები გახლდებიან, თორემ თქვენს ბრწყინვალებას უხეიროებს როგორ გამოუგზავნიდნენ?

— ქება აღარ ითქმის! გუშინ მყვანდა სანადიროდ და სულ ერთის საათის განმავლობაში შვიდი კურდღელი წამოაგდეს!.. გესმის, შვიდი კურდღელი!

— საკვირველი გახლავს.

— მერმე რა რიგად ეძებენ და... რაკი ერთხელ კვალს და-

ადგებიან, იმათგან დაკარგვა ხომ აღარ შეიძლება!.. ზედ კურდღელზედ მიგყვანენ!.. შვიდი კურდღელი წამოაგდეს და შვიდივე დავიჭირეთ...

— რაღას წაუვიდოდა თქვენი ბრწყინვალების მწევრებს, ნამეტნავად მერცხალას.

— ნაზიას, — გაუსწორა ნაჩალნიკმა.

— დიახ, დიახ, ნაზიას, — საჩქაროდ წარმოსთქვა დიამბეგმა, ჩაახველა რამდენჯერმე, წადგა წინ და გაუშვირა ის ხელი, რომელშიაც შეხვეული რაღაცა ეჭირა.

— ეგ რა არის? — ჰკითხა ნაჩალნიკმა.

— ეს ვიშოვე, თქვენო ბრწყინვალებავ, და თქვენ მოგართვით.

ნაჩალნიკმა გამოართო, წყნარა გახსნა ქაღალდი და თვალებმა სიამოვნების ნიშნად გაუღიმეს.

— ახ, რა მშვენიერია! — წამოიძახა იმან და ამოიღო მოზდილი ძველებური ხელობის ჩარექა და დაუწყო სინჯვა. — სად გიშოვნია?

— გზაში ოქრომჭედლები შემხვდნენ, თქვენო ბრწყინვალებავ, ეს მომეწონა და კნეინასთვის ვიყიდე.

— ახ, დიდათა გმადლობთ, დიდათ... ვეცდები გადაგიხადოთ... ვეცდები.

— თქვენი კეთილი თვალი ყველა საჩუქარზედ ძვირფასი გახლავსთ ჩემთვის.

ნაჩალნიკმა ისევ ჩარექას დაუწყო სინჯვა და სიჩუმე ჩამოვარდა ისევ.

— თქვენო ბრწყინვალებავ! — ბოლოს დაიწყო დიამბეგმა წყნარი და გამოქნილის ხმით, — ერთი კაცი დავიჭირე და აქ გაახელით.

— ვინ კაცია?

— იაგო გოგობაიძე.

— მერე?

— ქურდობაზედ დავიჭირე.

— ქურდობაზედ თუ დაიჭირე, სამაგალითოდ უნდა გადახდეს.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ, მეც მაგასა გთხოვთ. მაგაზედ ავაზაკი და რაზბოინიკი ხევს კაცი არ მოიპოება.

— გადავახდევინოთ...

— ეგების გავაგზავნინოთ, — დაუმატა დიამბეგმა.

— გავაგზავნინოთ, რა! — ისევ წარმოსთქვა ნაჩალნიკმა, თითქოს წყალი მოსწყურებია და წყალს ითხოვსო.

— მაგის დაკარგვა საჭირო გახლავს, თქვენო ბრწყინვალებავ! იაგოს გაგზავნა ხალხისთვის კარგი მაგალითი იქნება.

— გავგზავნოთ, გავგზავნოთ, — მშვიდობიანად გაიმეორა ნაჩალნიკმა და ისევ ჩარექას დაუწყო სინჯვა.

ამ დროს შემოიღო კარები და შემოცვივდნენ ძაღლები. ნაჩალნიკს ყველაფერი გადაავიწყდა, დააგდო ჩარექა და დაუწყო ძაღლებს ალერსი. ბოლოს აიღო შჩოტკი და დაუწყო ერთ ძაღლს იმითი წმენდა და ფხანა. დიამბეგი აღტაცებით ქებას შეასხამდა ძაღლების მშვენიერებას, ლაპარაკობდა რაღაცა ნიშნებზედ, რომელიც ვითომც იმათი ყნოსვის ძალას ამტკიცებენ; ნაჩალნიკმა იმას გადასცა შჩოტკი და იმანაც მხიარულის სახით დაუწყო ძაღლებს წმენდა.

— მე ჩემს ცოლს გაუტან ამ ჩარექას და ვეტყვი, რომ შენ მოუტანე.

— ჩემს მაგიერად კნეინას მდაბლად თავის დაკვრა გამოუცხადეთ.

— კარგი, კარგი, — მოაძახა კარებიდგან ნაჩალნიკმა და დაუმატა: — სანამ შენ კარგად გაწმინდე ეგ ძაღლები... რაც იაგოს შეეხება, შეადგინე ქაღალდები და გავგზავნოთ სუდში...

ამ სიტყვებით გავიდა ნაჩალნიკი და, რა დიამბეგი მარტო დარჩა, გაჯავრებით გადასტყორცნა შჩოტკი და წიხლი ამოუქნია მეძებარს, რომელიც წმუკუნით განზე გახტა.

— ძაღლების მლოცველნი არიან ეგ ოხრები, თუ რა არის? — წარმოსთქვა იმან გაჯავრებით.

ამის შემდეგ ის წავიდა კანცელარიაში, სადაც დაიწყო ქაღალდის შედგენა იაგოს ავკაცობის და მავნებელ მოქმედების შესახებ; იმ ქაღალდში გამოყვანილი იყო უეჭველი საჭიროება იაგოს მოშორებისა დანარჩენი ხალხისაგან და ვაგზავნა იმისი ციმბირში.

ეს ქაღალდი, გამოგზავნილი ერთი კაცისაგან, იყო საუბარი გამომძიებლისა, პროკურორისა და მსაჯულისა, რომელზედაც რამდენიმე დღის შემდეგ მოაწერა ხელი ნაჩალნიკმა და გაგზავნა მაზრის სასამართლოში ბრალდებულთან ერთად.

X

ამ ხნის განმავლობაში ნუნუს ცხოვრება ჩვეულებრივ მიდიოდა, ესე იგი დილიდგან საღამომდე მუშაობა, საღამოზედ ქათმებთან ერთად დაწოლა. თუმცა ძილი ბევრჯელ გათენებამდინაც არ მოსდიოდა და დახუჭულს თვალებს მარტო იაგოს სახე ელანდებოდა, ხან ბედნიერად, ხან იმის სასიამოვნოდ და უფრო ჩქარ-ჩქარად კი უბედურად, ტანჯულად და წამებულად.

იმის შეუხედლივ, — სასიამოვნო თუ საძულხარო იყო ეს სურათები, — ნუნუ იტანჯებოდა, რადგანაც ორივე დროს მღელვარება ერთგვარად სტანჯავდა, აწუხებდა იმის გულს და ეს კი უღალავდა და უსუსტებდა აგებულებას.

ნუნუს მდგომარეობა მით უფრო ძნელი იყო, რომ იმას ვერავისთვის მიენდო თავის გულის მოძრაობა, თავის აზრები, რომელიც გულში ებადებოდა და ისევ გულში ემარხებოდა, რადგანაც თანამგრძნობელს ვერავისა ხედავდა. თავისი მეგობარი მარინეც ამ ხანში სხვა სოფელში დედის ძმებისას იყო და, მაშასადამე, ნუნუ ამ მარტო ერთი მეგობარი ქალის ნახვასაც მოკლებული იყო.

მახიამაც კარგა ხანი იყო, რაც თავი დაანება იმასთან ჩხუბს და ათასში ერთხელ თუ შეხედავდა დამცინავის, გველურის თვალით, რომელიც ყველა ლანძღვასა და თრევაზედ უფრო დამჩაგრავი, შემაწუხებელი იყო ბედშავი ნუნუსთვის.

იმას მეტად სტანჯავდა იაგოს უამბობა, რომელსაც თითქო მიწა გახეთქიყო და თან ჩაეტანა; იმისი მნახველი და ამბის მომტანი აღარავინ გამოჩნდა.

ერთხელ მახია აუტყდა ნუნუს, რომლის ძალათი გათხოვება გირგოლას ძმაზედ უეჭველად უნდოდა მოეხერხებინა, მაგრამ ნუნუ ისე ყოჩაღად დაუხვდა თავის ძალუას, რომ მეორედ ამგვარი ძალდატანებით ლაპარაკი ვეღარ გაებედა. ის ჩამოეხსნა ნუნუს, თუმცა გულში კი გადიწყვიტა, რომ, კარგით თუ ავით, ეს ქორწილი უეჭველად მოეხერხებინა.

გირგოლა, რომელიც ამ ხანში დაბრუნებულიყო, ჩქარ-ჩქარად დადიოდა მახიასთან და ესენი, რაკი ერთად შეიყრებოდნენ, ყოველთვისინ რაღაცა საჩურჩულო საგანსა პოულობდნენ.

ონისე, რომელიც მუდამ სამუშაოდ დადიოდა, თითქოს ვერ ამცნევდა ამ ლაპარაკსა და ხანდისხან განგებ თავსაც კი არიდებდა იმათ.

ერთს დღესაც გირგოლა სწორედ ისეთს დროს მოვიდა, როდესაც ონისე მთელის ჯალაბობით და ერთი მოხუცი სტუმრით შინ იყო. ნუნუმ, რომელსაც თვალის დასანახავად ეჯავრებოდა გირგოლა, რა წამს გაიგონა გირგოლას ხმა, წამოდგა და გარედ გასვლას აპირებდა, მაგრამ სტუმარმა, რომელიც კარებში შეხვდა, გადუღობა ხელი და შეაყენა.

— ქალაუ! რაისთვი გარბიხარ, რაისთვი მერიდები? — უთხრა იმან.

— გამიშვი, დაგიბრმა თოლები! — შებუზღუნა ნუნუმ.

— რაისთვი გეჯავრები, რაი დამიშავებია შენთვის? — გულნატკენად წარმოსთქვა გირგოლამ.

— „მარი, მარი-მეთქი"! — გაუმეორა ნუნუმ და გაუძვრა იღლიის ქვეშ.

გირგოლა შესდგა და დაღონებულის თვალით გახედა მიმავალს ქალს, ამოიოხრა მძიმედ და თავისთვის წარმოსთქვა:

— გამტანჯე, ღვთის მადლმა, მაგრამ ხელიდგან მაინც ვერ წამიხვალ, თუ გინდ რაც უნდა მამივიდეს.

ამ დროს ონისე და იმის მოხუცებული სტუმარი „პაპა" მოვიდნენ და მიესალმნენ გირგოლას, რომელიც სახლის პატრონმა შინ შეიწვია.

— გარდმოხე, მახიაი გიმასპინძლებს, ჩვენ კი „ცხოგან" უნდა წავიდეთ, საქმე გვაქვს.

— ნუ, ონისესი, ნუ წახვალ, — უპასუხა გირგოლამ და დაუმატა: — აი პაპაიც ღვთის კაცია, ეგეც დარჩეს, ეგეც სიტყვას იტყვის; უფროსია, გვირჩევს რასმე.

ონისე შესდგა და ისეთის თვალით შეხედა, რომელიც ეუბნებოდა: „ემანდა ჩემი ცოლი, რაც გინდათ, ისა ჰქენით! ჩემგან რაღა გინდათ".

გირგოლა მიხვდა იმის გულის პასუხს და ამისთვის გააგრძელა თავის საუბარი.

— შენთანა მაქვს საქმე, შენთან მოვედ სალაპარაკოდ.

— ჩემთანა? — გაიკვირვა ონისემ.

— ჰო, შენთანა.

ონისე კიდევ ჩაფიქრდა რაოდენიმე ხანს და მას შემდეგ წყნარად უპასუხა:

— კარგი... შევიდეთ შინა და იქ მითხარ, რაიც გინდა.

— მე კი წავალ, — წარმოსთქვა პაპამ და გაემართა კარებისკენ.

— არა, არა, — საჩქაროდ შეაყენა გირგოლამ, — შენც აქ იყავ, უფროსი კაცი ღვთის წყალობაა.

ამ სიტყვების შემდეგ ისინი შევიდნენ სახლში, სადაც მახია მხიარულად და ღიმილით მოეგება.

პირველი მისალმების შემდეგ ისინი დასხდნენ გაჩუმებულნი. ყველას პირისახეზედ რაღაცა მღელვარება, მოუთმენლობა და ჩქარა სიჩუმის გაწყვეტის სურვილი ეტყობოდათ.

— აბა, რას გვეტყვი, გირგოლაო, რაი საქმე გქონდა? — როგორც იყო დაიწყო პაპამ.

— გვითხარი, რაი საქმეა? — დაუმატა ონისემ.

— საქმე როგორ და არა მქონდა, თქვენაი ჭირაიმეთ, საქვეყნოდ თავი მეჭრების.

— რაისთვი, რაისთვი? — ჰკითხა ონისემ.

— იმისთვი, რომ ქალს აღარ გვაძლევთ! . თუ არ გინდოდათ მოცემა, ურვადი რაღად აიღეთ, და თუ ურვადი აიღეთ, ქალს რაღად არ გვანებებთ?

ამ სიტყვების შემდეგ ისევ მძიმე სიჩუმე ჩამოვარდა.

— რაისთვი არას მეუბნებით? — დაიწყო ისევ გირგოლამ.

— აბა რაი გვეთქმის? რაი უნდა გითხრათ? — უპასუხა დაღონებულმა ონისემ.

— მითხარი რამე... თუ გვარს მიწუნებთ, ისა სთქვით, თუ ურვადი გეცოტავებათ, ის მითხარით, თუ არა და, რაისთკი მარცხვენთ თემობაში? არა, პაპაისი? — გირგოლა მიუბრუნდა მოხუცს.

— ჰაი, ჰაი, რო უნდა გითხრან რაიმე... რაისთვი არას ეტყვი, ონისე?

— რა ვქნა, ქალაი თავს იკლავს! არ ნდომულობს მაგის ძმას და ძალად საიდგან დავაჯერო?

— ჰოო! — გააგრძელა მოხუცმა, — თუ ქალს არ უნდა, ეგ ცხოა.

— მაშ ურვადი რაღად აიღეს, რაღად მაიმედებდნენ?.. —

დაიწყო ისევ გირგოლამ, — ღვთის მადლმა, ორნი ძმანი ვართ, ორნივე მაგ საქმეზედ გავწყდებით და მაგ ქალს კი თავს აღარ დავანებებთ.

— მაგას რაისათვი უბნობ, გირგოლაისი, რაისათვი?.. სიყვარული ძალად არ იქნების! — დაიწყო პაპამ, რომელსაც ეგონა, რომ იმის მოაზრებულს სიტყვებს გავლენა ექნებოდა გირგოლაზედ.

— ურვადი რაისთვი-ღა აიღეს, თუ ქალის იმედიც არა ჰქონდათ? — იმეორებდა ისევ თავისას.

— რაი უყოთ, რომ აიღეს? პირველი ხომ არაა მაგისთანა საქმე ხევში?.. ბევრჯელ ყოფილა მაგისთანა მაგალითი ჩვენ თემობაში, ღვთის მადლმა, თემობას ჯვარდაწერილებიც ბევრი გაუყრიათ და გაუშორებიათ ერთურთისაგან... თუ კი სიყვარული და გემრიელობა არ ექნებათ, რაღა ცოლქმრობა იქნების!

— ეგ იქნება უწინ იყო, იქნება უწინ თემობას ჰქონდა მაგისთანა ძალა, მაგრამ ეხლა თათრობა ხომ აღარაა? ეხლა ქრისტიანების ხელში ვართ, ღმერთმა უშველოს რუსებსა, ეხლა სუყველა ზაკონის კანონზედ არის... არა, პაპაუ, ურვადი აუღიათ, ქალი უნდა მამცენ, მე რად მინდა ან თემი და ან სხვა? მე წინანდელს ჩვეულებას კი არ მივყვები, წავალ, ერთს სიტყვას ვეტყვი დიამბეგს, ნაჩალნიკსა და ქალსაც წავიყვან და ონისესაც დავღუპამ! ღვთის მადლმა, ცოლშვილით დავაღუპინებ!

— გირგოლაუ, ნუ, ნუ სჩადით მაგას! ღვთის გულისთვი, ნუ სჩადით! აბა ძალად ჯვარის წერა რაი ქრისტიანობაა, რაი სამართალია? ან რაისთვი გინდა ან დიამბეგი, ან ნაჩალნიკი? რაისთვი გინდა იმათთან ჩივილი? შენმა მეზობელმა თუ გაწყეინა რაიმე, შენივე მეზობლები შეყარე, მონახე უფროსი კაცები და, რაიც იმათ გითხრან, ის გაიგონე.

— არა, პაპაუ, მე თემის ხალხი არ მინდა, მე ზაკონის გზა კარგად ვიცი, — მკაცრად წამოიძახა გირგოლამ და წამოიწია.

— ზაკონის გზა ის თუა, რომ ქალს, რომელსაც არ უყვარს შენი ძმა, ძალად ჯვარი დასწეროთ იმაზედ? — გაჯავრდა პაპა.

— მე ხელმწიფის სამსახურში ვარ, მე ეგრე ადვილად როდი ამაგდებინებენ მასხარად. — ცხარობდა გირგოლა.

— თემის პირს ნუ არღვევთ! ნათქვამია: „ხმა ღვთისა და ხმა ერისაო“...

— თემი, შენი ჭირიმე, — დაცინვით წამოიძახა გირგოლამ, — ძალიან რამე არაა ჩვენი თემი!.. მე ზაკონით გესაუბრებით, ზაკონით... მაგრამ რას გელაპარაკებით, მაძლევთ ქალსა თუ არა? — მიუბრუნდა ისევ ონისეს.

— ვინ გიჭერს ქალსა, ვინა? — დაიძახა ონისემ, რომელსაც კარგად ესმოდა გირგოლას ძალა.

— სულ ეგრე იძახით და ბოლო კი აღარა ჩანს.

— თუ კი არ უყვარს შენი ძმა, საიდგან უნდა მისცენ? — ჩაუმატა ისევ პაპამ.

— არა, პაპაისი, ჩვენ მაგის დღე არა გვაქვს, რომ ქალი დაუჭიროთ, — გაურია სიტყვა მახიამ, რომელიც აქამდინ ჩუმად იჯდა და ლაპარაკში არ ერეოდა.

— ეგ ხელმწიფის სამსახურშია, — წარმოსთქვა ისევ ონისემ, — ჩვენ მაგასთან ბრძოლის თავი ვინ მოგვცა? დეე წაიყვანოს ის ქალაშავაი.

— რაი სთქვი ეგა? — წამოხტა გაჯავრებით პაპა. — ფუი შენს ნაშუსს! ქუდი აღარ გხურამს თავზედ? დიაცი ყოფილხარ, ონისე, დიაცი!.. ძალამ ისე როგორ უნდა შეგაშინოს, რომ ოჯახიდგან ქალი გაიყვანო და ისეთს კაცს მისცე, რომელიც თქვენ ქალს არ უყვარდეს?.. აჰუ! მშიშარაი ყოფილხარ, მშიშარაი, მოკვდეს შენისთანა კაცი! — ხელის ჩაქნევით და სიბრაზით წარმოსთქვა პაპამ.

— რაისთვი სჯავრობ, პაპაისი! — დაიწყო მახიამ, — მაშ ისა სჯობს, რომ ყველანი ციმბირს გაგზავნონ ერთაი ქალა-შავას გულისათვი?

— ციმბირს რაისთვი გაგზავნიანთ?.. მაშ სამართალი აღარა ყოფილა! ხალხი გაწყვეტილა! — ცხარობდა პაპა. — ემისთანა მაიმუნებმა უნდა შეგაშინონ? ვაი ჩემო ყმაწვილბიჭობავ, რა გითხრა, თორემ მე ვაჩვენებდი ემას თამაშას.

— ღვთის მადლმა, თუ ნუნუ არ მომცეს, ეგრე მოვაშორებ ონისეს აქაურობას, რომ აქაური ღურბელიც ვეღარ დაინახოს, — დაიკვეხა გირგოლამ.

— ვინა? შენა?.. აი შე ბუგრიანო, სადა მაქვს ეს დაშნა ტიალი, რომ ეხლავ ხმას არ გაგაწყვეტინებ?

ამ სიტყვებით საჩხუბრად მიიწია პაპამ გირგოლაზედ, მაგრამ ონისე და მახია შუაში ჩაუდგნენ და გააშველეს.

პაპა თუმცა მოაშორეს, მაგრამ ის მაინც არ მშვიდდებოდა და იწევდა გირგოლაზედ, რომელსაც თავის მხრით დაედო ხანჯალზედ ხელი და ისე მოელოდა იმას. ონისემ, როგორც იყო, პაპა გაიყვანა გარედ, გაისტუმრა და თითონ კი ისევ შინ შემოვიდა.

— დამაცადოს მაგ გაშტერებულმა და თუ ბეგარაში სული არ ამოვართვი, მე გირგოლაი არ ვიქნები! — დაემუქრა იასაული.

ამის შემდეგ ისინი ისევ დამშვიდდნენ და დაიწყეს თავიანთ საქმეზედ ლაპარაკი.

— არა, შენი ჭირიმე, ჩვენ ქალს არ გიჭერთ; მოდით როცა გინდათ, წაიყვანეთ თქვენი ქალი, — უთხრა ონისემ.

— ოღონდ შენ კი დასტური დამეც და ვინც წამართოს, ალალი იყოს. ღვთის მადლმა, თუნდა დღესვე გავიტაცებდი.

— აქედგან ნუ, გირგოლაისი, თორემ მაგათაც მამის ძმები ჰყავსთ, უხიფათოდ არ დაგანებებენ, — გააფთხილა მახიამ.

— მაშ საითა?

— მაშ ან მთაში, ან წისქვილში გავგზავნით და მაშინ შეგატყობინებ, გაიტაცეთ და რაიც გინდათ, ის უყავით.

— რამდენიმე ხანი გახიზნება კი მოგინდებათ ამ სოფლიდგან, — დაუმატა ონისემ.

— მაგისი კი მე ვიცი, — წარმოსთქვა მხიარულად გირგოლამ, — მაგრამ როდისა, როდის?.. აგერ ორი კვირაა ჩემი ძმა შინა მყავს, მეცხვარედ ცხო დავიჭირე და ის დადის ცხორში. ნინიაიც ჩქარა უნდა გავგზავნო, თორემ, თუ საქონელში პატრონის თვალი არა ბრუნავს, წყალსავით დაილევის.

— დაილევის, ღვთის მადლმა, დაილევის, — დაემოწმა ონისე.

— თოლ-ყური ჩვენკე გქონდეს, მზად იყავ და, რაწამს საქმე ხერხად მოვა, მე მაშინვე შეგატყობინებ.

ამ სიტყვების შემდეგ ისინი კიდევ რამდენიმე ხანი დარჩნენ ერთად და ცოტა მუსაიფის შემდეგ დაიშალნენ.

გირგოლამ იმავე დღეს დაიბარა რამდენიმე შეიარაღებული

ოსი, რომლებიც ხევში განთქმული იყვნენ თავიანთი ავაზაკობით და უპატიოსნო მოქმედებით.

ამ დღიდგან ის მზად იყო ნუნუს გასატაცებლად და ელოდა მხოლოდ მახიას კაცს, რომელსაც დრო და ადგილი უნდა შეეტყობინა.

XI

ერთ დღეს მთელი სოფლის ყმაწვილ-ქალობა გერგეტის მთაში, სადაც ჭუბი და შავი ხილი უნდა მოეკრიფათ, წასასვლელად ემზადებოდნენ. ამგვარად ისინი ყოველ ზაფხულს რამდენჯერმე შეიყრებიან ხოლმე და არა იმდენად ხილის მოსაკრეფად, რამდენადაც დროს გასატარებლად და გულის გასართობად, გაისეირნებენ ხოლმე.

ქალები გროვდებოდნენ ფოლორცაში და ელოდნენ თავთავიანთ მეგობრებს, ამხანაგებს.

— მახიაისი, მეც ხილობ წავალ! — მიექცა ნუნუ თავის ძალუას.

— წადი, რაი მენაღვლების? — უპასუხა იმან და როგორღაც უცნაურად გაიღიმა. — მე თითონ მინდოდა გამეგზავნე, გულს გაირთობ, თორემ აგერ რამდენი ხანია, პირზედ ღიმილიც არ მოგსვლია.

ნუნუმ ამოიოხრა, წყნარა აიღო კალათა ხელში და პასუხმიუცემლივ გავიდა გარედ.

ნუნუს გასვლაზედ მახიას სრულებით შეეცვალა სახე და განსაკუთრებითი ზრუნვა დაეტყო.

ის მივიდა, გააღო წყნარა კარი და იქიდგან დაუწყო ყურება ნუნუს, რომელიც მიეშურებოდა თავის ტოლსწორ ქალებისკენ. რა წამს ნუნუ მოეფარა სახლებს, მახიამ მოუთმენლად დაუწყო ძახილი ერთს პატარა ბიჭს, რომელიც იქვე კოჭებს თამაშობდა.

იმან მოირბინა საჩქაროდ, ჩაიყარა კოჭები ჯიბეში და დაუწყო ყურება დედას.

— გაიარე ჩქარა და გირგოლას უთხარ — ეხლავ აქ მოვიდეს. უთხარი, რომ ძალიან საჭირო საქმე მაქვს-თქო.

ამ სიტყვებზედ ბალღი გაბრუნდა და სირბილით წავიდა,

მახია კი შინ შევიდა, სადაც მოუსვენრად მოელოდა გირგოლას, რომელსაც უნდა აღსრულებაში მოეყვანა თავისი სურვილი, რომელსაც ისე შემწეობდა ნუნუს გერგეტის მთაში წასვლა.

ქალები მხიარულად, სიმღერით და თამაშით გაემგზავრნენ გერგეტისაკენ. იმათ ოხუნჯობას და ერთმანერთში ლექსობას ბოლო აღარა ჰქონდა.

მთელის თვეობით დამწყვდეულნი და მუშაობით თავმობეზრებულნი, ეხლა ისინი ჰგრძნობდნენ სრულს თავისუფლებას და ნამდვილს გულწრფელს მხიარულებას ეძლეოდნენ.

ამათ მისდევდა ნუნუ, როდესღაც მხიარულების, ლხინის და თამაშობის მოთავე, დაღონებული, შეწუხებული და დაფიქრებული. მარინეს, იმის მეგობარს, რომელიც ჩამოსულიყო სხვა სოფლიდგან და გვერდით მისდევდა, ვერ გაებედნა ხმის გაცემა თავისი მეგობრისთვის, რათა ნუნუს დამაღონებელის საგნის შეხებით მეტად არ დეელბო იმისი გული და ცრემლები არ გადმოსდენოდა იქ მყოფი ქალების სასაცილოდ და საოხუნჯოდ.

ასე მხიარულად და ლაღობით ქალები შევიდნენ წმინდა სამების ტყეში, რომელიც ხატის ტყედ ითვლება და ამ შემთხვევას იმ გარეგანი შეხედულების დასამშვენებლად გადაურჩენია.

ყველანი გაეკიდნენ მარწყვს, ხახამას, შავ ხილს და ჭუკსა, ასე რომ ნუნუ და მარინე სხვების შეუნიშვნელად დაშორდნენ ამხანაგებს, ჩავიდნენ მდინარე ჩხერის პირსა, სადაც პირები დაიბანეს და დასხდნენ.

ისინი კარგა ხანს ისხდნენ ჩუმად და ერთმანერთს ხმის გაცემას მაინც ვერ უბედავდნენ.

— რაი ამბავია, რად არას მეტყვი? — ბოლოს გაწყვიტა სიჩუმე მარინემ.

— რაი-ღა გითხრა? — მხრების აწევით წამოიძახა ნუნუმ. — ჩვენებმა ურვადი სულ აიღეს, მე საქორწილო ტარავალს მიკერამენ. გირგოლაიც ქორწილს ემზადება თურმე და იაგოსი კი არა ისმის-რა, — წარმოუდგენელის მწუხარებით დაიწყო ნუნუმ და ცრემლები მოერია თვალებში.

— მაშ არ იშლიან, ნინიაზედ გათხოვებენ?

— მათხოვებენ, — დაღონებით უპასუხა ნუნუმ და მწარე ღიმილით დაუმატა: — ღვთის მადლმა, საქორწილო ტარავალი სუდარად გადამექცევა და ნინია კი თავის სახლში ვერ მნახამს.

— მაშ რასა იქ?

— მაგას ქვეყანა და თემი გაიგებს.

— ბედშაო ჩემო თაო! მაშ იაგო რომ არ მოვიდეს, აღარ გასთხოვდები?

— არა.

— რაისთვი არა?.. იქნება იაგო კიდეც გამოეშვას და ვინ იცის საით წავიდა!

— რას მეუბნები, მარინეისი! — გაიკვირვა ნუნუმ.

— მართალს ვანბობ, ღვთის მადლმა.

— ნუ მეუბნები მაგას, თორემ გიშუღლებ! — გაჯავრებით შესძახა ნუნუმ და შეიჭმუხნა წარბები. — იაგო მე საით მიღალატებს, ერთ-ურთისთვი ღვთის ფიცი გვაქვს მიცემული!..

— შენ იცი, — უპასუხა მარინემ და ჩაფიქრდა.

მარინე თითონაც იყო შეყვარებული, თითონაცა ჰყვანდა „გულის საყორელი“ და თითონაც არავიზედ და არაფრისთვის გასცვლიდა თავის სატრფოს, არ უღალატებდა იმას, მაგრამ, რა ნუნუს მწუხარებას ხედავდა და იაგოს დაბრუნება კი საეჭვოდ შექნილიყო, ამისთვისა სცადა იმის სახელის ამოფხეკა ნუნუს გულიდგან. მაგრამ, რა შეამჩნივა ნუნუს ისეთი გაჯავრება ამ სიტყვებზედ, ის მაშინათვე გაჩუმდა და ნანობა დაიწყო წარმოთქმული სიტყვებისთვის.

— მაშ ვერ დაივიწყებ იაგოს? — ჰკითხა რამდენიმე ხნის სიჩუმის შემდეგ.

— ვერა, ვერა, მარინეისი, სიკვდილს ვირჩევ იმის თავის დანებებას... ის ჩემი გულისთვის დაიჭირეს, დაჰკარგეს და მე საით-ღა უღალატო?

— მართალს ამბობ, არ გელალატების, — დასთანხმდა მარინეც.

— რაით-ღა უშველო, რაი-ღა მეწამლების? ჩამოვდნი, ჩამოვხმი იმის მოლოდინით და ჩემთვის ნუგეში აღარსაით გაჩნდა. რომ საითმე შემეძლოს, თავს გავიყიდი და იმას კი გადავარჩენდი.

ამ სიტყვების დროს გადაიწია ტყის შტოები და რამდენიმე

შეიარაღებული კაცი გადმოხტა შეშინებულ ქალებთან, რომლებიც წამოცვივდნენ და ერთმანერთს მიეჭუჭკნენ.

ამ კაცებს შორის ქალებმა იცნეს გირგოლა, რომელიც პირდაპირ მივიდა ნუნუსთან, მოგლიჯა თავის მეგობარს და დაცინვით უთხრა:

— ახლაც უარს იტყვი?

ნუნუ შიშისაგან ცახცახებდა და მთლად დაკარგულიყო. მარინეც გაფითრებული ერთს ადგილს გახევებულიყო.

— მოვიდეს და გიშველოს იაგომ, — გაიმეორა გირგოლამ დაცინვით. — გამოიარე, წავიდეთ, — თითქმის ბრძანებით უთხრა გირგოლამ და გადმოუბრიალა თვალები.

— სადა? — დაფანტვით იკითხა ნუნუმ.

— მაგისი მე ვიცი! — კიდევ ჩაიცინა გირგოლამ და გამოსწვდა მაჯას. ნუნუ თითქოს მაშინ მოვიდა გონს, გირგოლასთვის მოულოდნელად გაიბრძოლა და გაეშვებინა.

— არ წამოვალ ცოცხალის თავით! — შეჰყვირა იმან და თვალები გაღუებულს ნახშირივით აენთო. — არ გავთხოვდები შენ ძმაზედ, ის მე მეჯავრება, შენცა მძაგხარ, ორნივ დიაცები ხართ, მშიშრები...

— გამოიარე-მეთქი! — დაუღრიალა გირგოლამ და გაავლო ხელი.

— ჰაჰაი! დიაცებო, დიაცებო! ქუდი რაისთვი-ღა გხურავთ, თუ კი დედაკაცზედ ეგეთს ძალას მიიტანდით, მაი ჩემი მანდილი მოიხვიეთ, ეგ თქვენ უფრო დაგშვენდებათ! — იბრძოდა ნუნუ, მაგრამ რას გახდებოდა გამხეცებულს გირგოლასთან, რომელსაც მაგრა გაევლო ხელი და მიათრევდა.

— მომეშველენით, — დაუძახა გირგოლამ თავის ამხანაგებს, რომელნიც დოინჯ-შემოყრილნი იდგნენ და ისე იყურებოდნენ, თითქოს იმათ თვალ-წინ არა ხდებოდა-რა. ისინი გირგოლას სიტყვებზე მისცვივდნენ ნუნუს, ასწვეს ცივ-ცივ და წაყვანა დაუპირეს.

მარინე, რომელიც იქამდინ უსიტყვოდ იდგა, ეხლა მოვიდა ერთბაშად გონს, მოიგლიჯა თავიდგან მერდინი და კაცებს ჩაუგდო შუაში.

— ჩემს მერდინს დასდეთ პატივი, ჩემს მერდინს აპატივეთ! — დაიძახა იმან, დარწმუნებულმა, რომ ეს საზოგადოთ

მთის ჩვეულება შეწყნარებული იქნებოდა იმ კაცებისაგანაც.

შვილის მამკვლელზედ გამწარებულ მამას იარაღით ხელში რომ მიეწია, ისიც სცემდა ქალის თხოვნას პატივს და რაკი მერდინი გაეფინებოდა ფეხთან, ისიც უკან დაიხევდა, მაგრამ დიამბეგებთან გარყვნილი გირგოლა, რომელსაც გადაელახა მთის ხალხის ნამუსი და ჩვეულება, რას დაგიდევდა ქალის თხოვნას, ქალის ლეჩაქს, რომელსაც ისეთი საპატიო მნიშვნელობა ჰქონდა როდესღაც მთაში.

— აჰუ! — ხელის ჩაქნევით დაიძახა მარინემ. — თქვენ კაცები აღარა ყოფილხართ! ნამუსიც დაგიკარგავსთ და სირცხვილიც.

— იყბედე, იყბედე, ეგრე, ბევრს გააწყობ! — ნიშნის მოგებით და დაცინვით უპასუხა გირგოლამ.

— მე არ გავაწყობ, მაგრამ მაგასაც მამის ძმანი ჰყვანან, არ შეგარჩენენ, გირგოლაისამ.

— ქალაუ, რას გადამეკიდე, რაი გინდა?

— ის მინდა, რომ ნამუს ნუ გვხდით! კაცები ხართ, ქუდები გხურავსთ.

— ონისეს ნებითა ვარ აქა, იმან დამარიგა, რომ გაიტაცეო, რაი გინდა, ვის ქმობად გამოდიხარ?.. ახლა კი მომშორდი, ღვთის მადლმა, თორემ ემაგ ალაგზედ გაგაქრობ.

— ვის გააქრობ, შე წუწკო დიაცო, შენა? — შესძახა იმასა და გაავლო ხელი ერთმა ბიჭმა, რომელიც გადმოხტა ტყიდგან, — აქეთ მოდი, თუ კაცობა რაიმე გაქვს, აქეთა.

გირგოლამ იცნო კობა, მარინეს გულთ ძგერის მიზეზი, რომელიც მთაში სანადიროდ მიმდინარიყო და ხმაურობაზედ შემობრუნებულიყო იმ ტყეში.

კობა და გირგოლა მოხვდნენ ერთმანერთს და დაიწყეს ბრძოლა; ორნივ ძალოვანები შეხვდნენ და ორნივ ხერხიანად უვლიდნენ ერთმანერთს.

გირგოლა ცდილობდა კობას ფლატეზედ გადაგდებას, მაგრამ კობამ შეუტყო ეშმაკობა, მოიკრიფა უკანასკნელი ღონე და ძალზედ დასცა გირგოლა. მასუკან ამოიღო ხანჯალი და, რა გულში ჩაცემას უპირებდა, უკანიდგან გირგოლას ამხანაგი მოეპარა, დაჰკრა თოფის კონდახი კობას შემაღლებულს ხელში და ხანჯალი გააგდებინა. გირგოლამ ისარგებლა ამ წუთით და

წამოდგა ზეზე. კობა მარცხენა ხელით დასწვდა ხანჯალს და გამწარებულმა შეუტია ოსს, რომელმაც ხანჯალი გააგდებინა.

ოსმა წადგა რამდენიმე ნაბიჯი უკან და მიუშვირა თოფი. კობა მარდად გადახტა, აუკრა თოფის ტუჩს ხელი და თითონ ასეთს ძალით ჩასცა ხანჯალი მკერდში, რომ ტარიც ნახევრამდინ ჩაიმალა იარაში.

კობამ გამოაძრო ჭრილობიდგან ხანჯალი, მიიხედ-მოიხედა და თავის გვერდით ვეღარავინ დაინახა. გაიქცა იმ მხარეს, საითკენაც დანარჩენი ოსები ნუნუს მიათრევდნენ, და სერზედ შეამჩნივა რამდენიმე ცხენოსანი, რომელნიც მიაჭენებდნენ. ესენი გახლდნენ გირგოლა და იმისი ამხანაგები, რომელთაც პატარძალი მიჰყვანდათ გირგოლას ძმის ნინიასთვის.

კობამ ჯავრით კბილები გაუხრჭიალა, რადგანაც ცხენოსნებს ვეღარ მოსწვდებოდა.

— დამაცადე, გირგოლაო, დამაცადე! — დაემუქრა კობა და მოუქნია მუშტი, — თუ შენ ხელიდგან წამიხველ და ჩემი ჯავრი შეგარჩინე, ეს ულვაშებიმც ნუღარ მესხმის.

მაშინ მოაგონდა თავისი საყვარელი მარინე, რომელსაც ბრძოლის დროს შიშისაგან გულს შემოჰყროდა და გახურებულს და აღელვებულს კობას კი ვერ შეემჩნივა.

როდესაც დაბრუნდა კობა ბრძოლის ველზედ, იმან პირველად მოკლული ოსი დაინახა, რომელიც გულაღმა გადმობრუნებულიყო და სიკვდილს მწარედ დაემახინჯებინა, დაელმიჭა პირისახე.

კობამ ზიზღით შეხედა იმას და დაიძახა:

— რაზედ მომაკვლევინე თავი, რაზედ გამრიე შენს სისხლში?

მერე მობრუნდა, დაინახა გულშემოყრილი მარინე და შეშინებული გაქანდა იმისკენ.

იმას ეგონა, რომ მარინეც დაჭრილი იყო და ამისთვის მწარედ წამოიძახა:

— დიაცების ხოცვის დროც მოვიდა, განა? სიკვდილი არა სჯობს ამ სიცოცხლეს?!

მაგრამ რაწამს დაეხარა თავის საყვარელს, ის მაშინვე გონს მოვიდა, და რა კობა ფათერაკს გადარჩენილი, უვნებელი და

კარგამყოფი დაინახა, გულმა აღარ გაუძლო და მადლობის ნიშნად ცრემლები გადმოედინა.

ის მაგრა მოეხვია კობას და, დარწმუნებული, რომ ყველა უსიამოვნება ასცდათ, დაუწყო იმას გატაცებით კოცნა და ალერსი.

სამწუხაროდ, გრძნობისაგან აღელვებულები ჩქარა უნდა გამოსულიყვნენ სასიამოვნო თავდავიწყებიდგან და მწარე ჭეშმარიტება გაეგოთ, და ეს კი კობას, როგორც კაცის მკვლელს, აშორებდა თავის ქვეყანას, თუ თავის ტუსაღად ჩაგდება ან სიკვდილი არ უნდოდა.

ისინი შეჰკრთნენ, დაფიქრდნენ, მაგრამ ჩქარა გაიგეს თავიანთი მდგომარეობა. ამიტომაც ისე საჩქაროდ გამოეთხოვნენ ერთმანერთს, თუმცა ეს დაშორება ყველაზედ ძნელი იყო იმათთვის.

ქალი გაერია დანარჩენს ქალებს, კობამ კი თოფს წამოავლო ხელი და გასწია, ვინ იცის, საითკენ...

ამავე საღამოს, იმის შეუხედავად, რომ ნუნუ ხმამაღლა უარს ამბობდა თავის გათხოვებაზედ, იბრძოდა და არა დგებოდა, სოფ. ხ. საყდარში ღვდელმა ნუნუ და ნინია ძალად შეაუღლა იმ უღლით, რომლიდგანაც დაშორება ხალხის ხელში აღარ იყო...

ნაწილი მეორე

I

არშის ცხე, რომელიც თავის სიმაგრით განთქმულია არა მარტო ხევში, არამედ საქართველოს ისტორიაშიც, თითქოს განგებ შემოზღუდულა ამაღლებული კლდეებით, რომელსაც კაცი, გარდა ერთის მხრით, ვერა ღონისძიებით ვერ მიუდგება. ის ერთი მხარეც ისეთი გასაჭირი ასასვლელია, რომ ერთს კაცს შეეძლიან მთელი ქვეყნის ჯარი შეაყენოს, რადგანაც ბილიკი, რომელიც წვრილს სარტყელსავით მისდევს სიპს კლდეს, ერთს ადგილს იქამდინ ვიწროა, რომ ერთს კაცსაც კი უჭირდება თავისუფლად გავლა.

ამრიგად შემოზღუდული არშის სიმაგრე შუაში შეიცავს მშვენიერს მწვანე მინდორს, ათასის სურნელოვანი ყვავილებით და ისეთი ცივის წყაროთი, რომ კაცს უკვდავება ეგონება. აქ გაკეთებულია გამოქვაბულები, რომელშიაც კაცს თავისუფლად შეუძლიან თავის შეფარება. ამ ციხეს დიდი ხანია რაც თავი დანებებული აქვს, აქ აღარავინა სცხოვრობს; მხოლოდ წელიწადში ერთხელ შეიყრება ხალხი, რომ ადიდოს არშის წმინდა გიორგის დროშა, რომელიც იქვე ერთს გამოქვაბულში ასვენია.

რამდენიმე ნაბადი, რომელიც გამოფენილი იყო მზეზედ, და ერთის გამოქვაბულის გახეთქილის კედლებიდგან ამომდინარი კვამლი ამტკიცებდა, რომ აქ ვიღაცანი უნდა დასახლებულიყვნენ.

მზე გადაიწვერა, როდესაც ერთი მოხევე, დაღონებული და შეწუხებული, გამოვიდა სადგურად გამხდარის ქვაბიდგან, მივიდა წყაროს პირს, დადგა რაოდენიმე ხანი, ამოიოხრა და დაჯდა.

იმისი დაფიქრებული სახე, გაშტერებული მიჩემება ერთი მხრისკენ ამტკიცებდა, რომ ის ღრმა ფიქრს მისცემოდა და იმისდაგვარად ეცვლებოდა პირისახის გამომეტყველება, რარიგი აზრიც გაურბენდა თავში. ბოლოს კიდევ მძიმედ ამოიოხრა, მიუშვირა მუჭა მჩქეფარე წყაროს და დალევის შემდეგ ძალზედ ამოიქშინა.

— რაი ვქნა, მიყვარს და რაი უყო? — წამოიძახა იმან და ისევ ჩაჰკიდა თავი.

ამ დროს სახლიდგან გამოვიდა მეორე კაცი და გასწია წყაროსთან მჯდომისაკენ. ის ისე მივიდა, რომ პირველმა ვერ შეამცნია.

— ნინიაუ! — მხარზედ ხელის დაკვრით უთხრა ახალ მოსულმა.

— ჰე! — შეკრთომით წარმოსთქვა ნინიამ და ცოტა სიჩუმის შემდეგ გააგრძელა: — შენა, გირგოლაუ?

— ჰო, მე ვარ, — მიუგო გირგოლამ და ისევ რაოდენიმე ხანს სიჩუმე ჩამოვარდა.

— ახლა ცხორს აღარ მიხედამ? — გაწყვიტა სიჩუმე ისევ გირგოლამ, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო და ისევ თვითონვე გა-

ნაგრძო: — დაილია, ბიჭავ, საქონელი, რაითა-ღა უნდა ვიცხოვროთ? ჩვენი სარჩო-საბადი ეგაა.

— მე რაი უყო? ოხრადამც დარჩენილან! — დაღონებით უპასუხა ნინიამ.

— რაისთვი, რაისთვი?..

— იმისთვი!

— სულ ხომ დედაკაცს არ მოუჯდები გვერდსა, სირცხვილია, ღვთის მადლმა! ქვეყანა დაგცინებს.

— წყალსამც უზიდნია ცხორიცა და ქვეყანაცა!

— აჰუ! — ჩაიქნია ხელი გირგოლამ, — მაშ რაი გინდა, რა?

— რაი ვქნა, გირგოლაისი? მე თავადაც არ ვიცი, რაი მინდა. ვილევი, ვდნები და იმას კი არა აქვს ჩემი სიყვარული!.. რაისათკი შემრთე, რად ჩასდეგ ჩემ ცოდვაში?.. მიშველე, მიწამლე რაიმე... ღვთის მადლმა, ეგ ქალა-შავაც მებრალების.

— აბა რაი გიყო, რაი გიწამლო?.. ჩემი ცოლი ყოფილიყო, მე გავაგებინებდი, და შენ რომ არა შეგიძლიან-ოა, მე რაი უნდა გიყო?.. ქალაი ხარ, ქალაი!..

— რაი ვქნა, რაი? — ხელების მტვრევით და თითქმის ტირილით წამოიძახა იმედ-დაკარგულმა ნინიამ.

— რაი უყო? კაი-კაი მათრახები იმას და, ღვთის ბადლმა, იფნის სახრესავით მოიქნების.

— კიდევ მათრახები, კიდევ ცემა? — წარმოთქმელის მწუხარებით წარმოსთქვა ნინიამ, — განა ცოტა ვცემე?.. ალარ შემიძლიან! გული მიკვდების! იმას რომ ვცემ, ასე მგონია, მე მცემენო...

— გეუბნები, ქალაი ხარ-მეთქი!.. მაგის მეტი თუ არ შეგიძლიან და ცხორს მაინც მიხედე... სანამ მე ვეცდები, ეგების მოვარჯულო...

— წავალ, წავალ, მა რაი-ღა უნდა გავაკეთო? აგერ ორი თვე შესრულდა, რაც შევირთე, მაგრამ იმან არც ცემით და არც დაყვავებით მიმიკარა.

— გეუბნები, მე ვეცდები, შენ კი წადი.

— აგრე, აგრე.

— მაშ როდის წახვალ?

— აი, გზიურ წავალ... შინ რაისთვი-ღა შევიდე?.. — უთხრა ნინიამ, რომელიც მივიდა გამოქვაბულის კარებთან, შესდგა

რაოდენიმე ხანი, მერე აიღო გუდა, შესდგა კიდევ, აიღო კომბალი, წასდგა რამდენიმე ნაბიჯი სადგურისაკენ, მაგრამ ისევ თავი შეიკავა, გამობრუნდა საჩქაროდ და მოვიდა ძმასთან.

— გირგოლაუ, მე მივდივარ და შენ იცი!.. ღვთის მადლს, ძალიან ნუ შეაწუხებ... რაი უყოთ, რომ არ უყვარვარ, ის ლამაზია და მე... მე კი გონჯი.

ამ სიტყვების შემდეგ ნინია მღელვარებისაგან ბარბაცით გაემართა ციხის გასავლისაკენ და ჩქარა მიეფარა აქა-იქ ცხვირ-წამოწვდილს კლდეებს.

გირგოლა კარგა ხანს უყურებდა თავის უშნო ძმას, რომელიც უმადურად მიიზლაზნებოდა ბილიკზედ და, საზოგადოდ ისეც პატარა, ეხლა თითქოს ერთი-ორად გალეულიყო.

გირგოლა იდგა და უყურებდა რაღაცა-გვარის თვალებით და კაცი ძნელად გადასწყვეტდა — ამ დროს რასა ჰგრძნობდა იმისი გული: ეს გამოხედვა იყო სიზიზღე, სიბრალული თუ სიხარული თავის ძმის უხეირობისა!

პატარა ტანის ნინია, კუზიანი და ბლუ, მართლა შესაბრალს სურათს წარმოადგენდა; გალეული და გაცრეცილი პირისახე, პატარა, უსიცოცხლო თვალები კიდევ უფრო ამახინჯებდნენ იმას.

გირგოლამ უკანასკნელად შეხედა და თითქოს ზიზღით წამოიძახა:

— ეგ საით ჩემი ძმაა!..

ამ სიტყვების შემდეგ ის წყნარად გამობრუნდა და გასწია ბინისაკენ, სადაც დამწყვდეული ნუნუ ჰყავდათ.

ჯვრისწერის შემდეგ ესენი გამოიხიზნენ ამ სიმაგრეში, რადგანაც ეშინოდათ ქალის მამეულებს არ გადაეხადათ იმათთვის. იქ ელოდნენ შერიგებას და კაცებს უგზავნიდნენ ერთმანერთს. ყველაზედ მეტად მახია და ონისე ცხარობდნენ, რადგანაც ქვეყნის თვალად თავის გამოჩენა უნდოდათ.

ამ შუაკაცობაში თუმცა დრო მიდიოდა, მაგრამ ნუნუ ვერა საშუალებით ვერ დაიმორჩილეს. ის ვერც მოფერებამ, ვერც ჯავრობამ, ვერც ცემამ ვერ მოაჭკვიანა და ვერ შეაჩვია თავის მდგომარეობას, თავის ქმარს.

ბევრმა ძალდატანებამ ქალი გაბ̆ადა, ჩამოახმო, მაგრამ ხასიათის ძალა მაინც ვერ გაუტეხეს და ვერ მიაკარეს ნინიას.

ყოველ ქალის უარს, წინააღმდეგობას ნინიაზედ დამამორჩილებელი მოქმედება ჰქონდა და ბოლოს თითონ ნინია, ოთმელიც მბრძანებელი უნდა შექხილიყო, მოულოდნელად გაოდაიქცა ქალის ბრძანების აღმასრულებლად. ის იქამდინ დაიმორჩილა ნუნუმ, რომ მარტო შეხედვით კანკალს დააწყებინებდა.

ამას მიემატა სიყვარული, რომელმაც ყურთამდრე ყმად გახადა ნინია; ეს დიდი ხანია აასრულებდა ნუნუს სურვილს, თავს დაანებებდა და გაუშვებდა შინ, მაგრამ, პატარაობიდანვე დაჩაგრული, დამორჩილებული თავის უფროსი ძმისაგან, ვეღა ჰბედავდა იმის ბრძანების გადასვლას. ერთის სიტყვით, ნინია ორ ცეცხლს, ორ მბრძანებელს შუა იყო და რა დროსაც რომლის მბრძანებლის გვერდით იყო, იმ დროს იმის ბრძანებას ასრულებდა, თუმცა კი ორივე შემთხვევაში ერთ-რიგად იტანჯებოდა, იდაგებოდა.

გირგოლა არ ჰგვანდა იმას. ის, ღონიერი, ძლიერი, ჰხარბეჭ-გადგმული, იყო ჯიუტი და შეუპოვარი. იმისი გაქვავებული გული, რაკი ერთხელ მოიწადინებდა რასმე, საშუალებას აღარ დაერიდებოდა იმის აღსასრულებლად; ვეღარც ხვეწნა, ვეღარც მწუხარება, ვეღარც ცრემლები შეაყენებდნენ: მოუვიდა თავში აზრი — და გათავდა, უნდა აესრულებინა თავის გუნების სურვილი.

როდესაც გირგოლა მივიდა ქოხის კართან, მზე გადაწვერილიყო და უკანასკნელს სხივებს ოქროსფრად მოეფარათ უსწორ-მასწოროდ აშვერილი კლდის წვერები. იმათ თითქოს უკანასკნელად ესალმებოდა ეს შუქი და შეწუხებულს მთის წვერებს ამგვარის უბედურებით ფერი სცვლოდათ. ჩრდილოეთიდგან მთა-მთა, როგორც მოწინავე ჯარი, წყნარად მოიპარებოდა ნისლის პატარა ნაჭრები და ამათ ცოტა დაშორებით შემოჭედილიყო შავად მოქცეული ნისლი. წინ უხვდებოდა კვირცხლი ნიავი, შლიდა, აბრუნებდა, ატრიალებდა, მაგრამ ნისლს თანდათან ემატებოდა; ის იზრდებოდა თანდათან და ჯერ შეუმცნევლად, თითო ნაბიჯით მოიპარებოდა; მერე ერთბაშად დაჰბერა ჩრდილოეთის ქარმა და გამოსწია შეუპოვარმა ნისლმა. აქამდისინ მხიარული დღე ერთბაშად მოიქცა პირქუშ მგლოვიარედ. ცა და დედამიწა მოიფერა ტყვიის-ფრად და ეს ფერი თითქოს მძიმე ღრუბს ადებდა ადამიანის გულს.

ბოლოს ერთბაშად შეცხა, შეჩერდა ქარი, გაჩუმდა ყოველივე ბუნებაში; თითონ ჩამონადენი წყლის ჩხრიალიც კი უფრო ყრუდ მოისმოდა; კაკბების კაკანი და შურთხთ შტვენა, ისე ჩვეულებრივი საღამოს, აღარ მოისმოდა.

ერთბაშად იჭექა ცამ, მოისმა გრიალი და ამას მოჰყვა წვრილი, მაგრამ ჩქარი ხორხოშელა, წვიმასთან ერთად ნარევი. მთა, მინდორი, ღელეები ერთბაშად თითქოს მდინარებად გარდაიქცა და გალექებული წარმოუთქმელის ძალით გაქანდა თავქვე.

გირგოლა თითქოს გაექვავებინა ბუნების ძალას, შიგ გაჰქვაბულის კარებში გაჩერებულიყო.

ნუნუ მწარედ დაღონებული, მობუზული იჯდა კერის პირას და ჰფიქრობდა თავის მწარე დღეებზედ; იმისი პირისახე დამზგავსებოდა წმინდა სანთელს და ჟუჟუნა, მომღიმარი თვალები თითქოს სადღაც ჯურღმულში ჩასცივნოდა.

პირველმა დაქუხებამ ორნივ იქ მყოფი შეაკრთო. ნუნუმ გადაიწერა პირჯვარი და გირგოლა კი შინ შევიდა.

II

ქოხში საკმაოდ ჩამობნელდა და მხოლოდ ჩქარ-ჩქარი ელვა ანათებდა იქაურობას. გირგოლა მივიდა, ჩამოჯდა „მარტოშკამზედ“ და ჩაფიქრდა. ნუნუ მთლად ცახცახებდა. მობურვილი დღის მიზეზით თუ სხვა რომელიმე გრძნობით მღელვარების გამო იმას გული უდუღდა და ცრემლები მორეოდა თვალებში. კარგა ხანს ასე ჩუმად ისხდნენ.

— ქალაუ! — ბოლოს გაწყვიტა სიჩუმე გირგოლამ და იმის ხმა გამოისმა როგორღაც ყრუდ, უსიამოვნოდ. ნუნუ, რომელიც თითქოს ამ სიტყვებს ელოდა, შეკრთა, გაჟრჟოლდა და ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოედინა.

— შენი ქმარი გავგზავნე... — გააგრძელა გირგოლამ და ისევ გაჩუმდა. — არ მოგდის? — დაიწყო ისევ გირგოლამ.

— რაი ვუყო, რომ გაგზავნე? — უპასუხა ნუნუმ.

გირგოლა კარგა ხანს დააცქერდა და მერე ჰკითხა:

— რაისთვი არ გიყვარს შენი ქმარი?.. რაისთვი არ მოწონს?

— მე ქმარი არა მყავს, — მისცა მოკლედ პასუხი.

— ღვთის მადლმა, მართალს უბნობ! — უპასუხა გირგოლამ და გაიხარხარა. — ეგეთი ქმარი თუნდ იყოს და თუნდ არა!.. შენ ეგეთი ქმარი კი არ გინდა. აბა, რაი კაცია ჩემი ძმა?!

— მაშ რაისთვის-ღა მომიტაცეთ, რაისთვი ჩადეგით ჩემს ცოდვაში? — დაღონებით და საყვედურით უპასუხა ნუნუმ.

— რაისთვი?.. — იკითხა გირგოლამ და ჩაიცინა.

— ჰო, რაისთვი!

გირგოლა გაფითრდა და ცოტა სიჩუმის შემდეგ წყნარად, მაგრამ გარკვევით უპასუხა:

— იმისთვი, რომ მიყვარხარ.

ნუნუ არ მოელოდა ამ პასუხს, რომელმაც სიტყვა გაუწყვიტა პირში. გირგოლა წამოდგა და გაიარ-გამოიარა.

— გაიგე ახლა, რადაც მოგიტაცე? — ის მივიდა ქალთან ახლოს და ხელის მოხვევას უპირებდა.

— შორს!.. — ხელის კვრით მოიშორა ნუნუმ, — ცოდვიანო, შენი ძმის ცოლს მაგას რას მეუბნები!

— ქალაუ! მოვკვდი, ჩამოვდნი, დავილიე შენის ცქერით. ღმერთი არა გწამს, არ გებრალები?

— შენ გიყვარდი და შენ ძმაზედ დამწერე ჯვარი?!. კარგია-ღა, კარგი!.. გეყოფის-ღა სიცილი.

— ღვთის მადლმა, მიყვარხარ და არცვის არ დავუთმობ შენს თავს... ჩემი ძმის სიკვდილიც რომ დამჭირდეს, ემ ხანჯალს ტარამდინ ჩაუსვენ გულში და იმასაც არ დაგანებებ.

— რას უბნობ, შე ცოდვიანო, რასა?.. მაგით უნდა შემაშინო?..

— მაშ რაითი დაგაჯერო, რაითი შემოგფიცო?

— ან ღვთისა აღარ გეშინიან, ან ხატისა?

— ნუნუ, ნუ მტანჯავ, ნუ მაწვალებ, ნუ, ღვთის მადლმა, თორემ არ ვიცი რაი აგიტეხო შენცა და ჩემს თავსაცა!

— რად არ ჩამომეხსნები, რაი გინდა ჩემგან?

— შენი სიყვარული!

— შენ... შენ შეგიყვარო!.. შენ, რომელმაც დაღუპე, ცოცხალი მიწაში დამარხე იაგო?.. შენ, რომელმაც ულმერთოდ დამიბნელე დღე?.. შენ, რომელმაც იმედი გადამიწყვიტე ყო-

ველ სიხარულზედ... რაის-ღა პირით მეუბნები, რომ შეგიყვარო?..

— ძმაც შენი გულისთვი დავკარგე, ქვეყანასაც შენთვინ გამოვაკლდი...

— შენს ძმაზედ რაღად დამწერე ჯვარი, თუ კი შენ გიყვარდი? — გააწყვეტინა აღელვებით ნუნუმ. — ეგეც ჩემი სიყვარულით მოგივიდა?

— ჰაი, ჰაი, რომ შენი სიყვარულით... მე ჯვარდაწერილი ვიყავ, მეორედ აღარ დამწერდნენ ჯვარს. ცოლიც შენის გულისათვის გავაგდე, ჩემს ძმაზედაც შენის სიყვარულით დაგწერე ჯვარი... ჩემი ძმა მე ვერ მომშორდების და იმას კი — ჯვარდაწერილი ცოლი.

ნუნუ გაშტერებული, გონებადაბნეული ყურს უგდებდა ნამუსდაკარგული კაცის ლაპარაკს, ცდილობდა კარგად ჩაესმინა ეს ურცხვი ლაპარაკი, მაგრამ მაინც არა სჯეროდა, რომ ადამიანის შვილს ამ სიმცირემდინ მისვლა შეეძლო. იმას ეგონა, რომ გირგოლა მარტო ან გამოსაცდელად ელაპარაკებოდა, ან არა-და, დასცინოდა.

— ქალაუ, ჩაიგონე! შენ ჩემი უნდა იქნა, ჩემთვის მოურგიხარ წერას.

— ჩემს სიკვდილს უფრო მალე ნახამ, სანამ მაგას!

— ქალაუ, შენ ხუმრობ, მაგრამ მე კი აღარ მეხუმრების! — გაიქნია თავი გირგოლამ. — აქამდინ დაგაცადე, ხათრად ეგეცა კმარა!

ამ სიტყვების შემდეგ ის მივიდა ქალთან და ხელი გაავლო. ნუნუმ გაიბრძოლა, მაგრამ ღონივრად ჩავლებულს ხელს ვერ გამოუსხლტა.

— გირგოლაუ, გრცხვენოდეს! — დაიძახა იმან.

— რაი-ღა სირცხვილისაა, ღვთის მადლსა? — უპასუხა იმან ურცხვად და მიიკრა გულზედ.

— შენი ძმის ცოლი ვარ... არშის წმინდა გივარგის სტუმარი, იმის ხათრი შეინახე!.. აჰუ! კაცი არა ყოფილხარ! დამეხსენ, იწამე ღმერთი! — ეუბნებოდა ხვეწნით ნუნუ, მაგრამ ვინ იყო იმისი მსმენელი.

აღელვებულს გირგოლას ქალისთვის გაშმაგებით ჩაევლო მკლავებში ხელი და ისე ძალზედ უჭერდა, რომ ძვლებს ჭახ-

ჭახი გაჰქონდა. გირგოლას შეჭმუხვნილი წარბების ძირიდგან გაღუებულს ნაღვერდალსავით გამოიყურებოდნენ შესაზიზღი თვალები. კბილებმოჭერილი და ცხვირის ნესტოებ გაგანიერებული მძიმედ, მაგრამ ძალზედ ძლივსღა იქცევდა სულსა. იმას იმ დროს ყოველისფერი დავიწყებოდა და მარტო ერთს პირუტყვულს წადილს დაემორჩილებინა, შეეპყრო.

ნუნუმ უნებურად შეხედა იმას და, რა დაინახა იმის დაპრანჭული სახე, დარწმუნდა, რომ სიტყვას არავითარი გავლენა აღარ ექნებოდა გამხეცებულს კაცზედ. ის იწოდა, იტანჯოდა თავის მდგომარეობით და დადუნებული, თითქოს რკინის ჭახრაკ მოჭერილი მკლავები წარმოუთქმელს ტკივილს აგრძნობინებდა.

გირგოლამ მეორე ხელი მოხვია წელზედ, მიიკრა ახლო და აცახცახებულის, ნერწყვ-მოსულის ტუჩებით საკოცნელად მიიზიდა; მაგრამ იმან მიახლოება ვერ მოასწრო, როდესაც ცამ ძალზედ იჭექა და უსიამოვნო გოგირდის სუნი დატრიალდა; ეტყობოდა, ახლომახლოს სადმე მეხი უნდა ჩამოვარდნილიყო.

ამ ჭექამ გირგოლა შეაკრთო და თავისავე უნებურად ხელები გააშლევინა. რაწამს ნუნუს თავი თავისუფლად დარჩა და პირველი გაშტერებიდგან გამოვიდა, ის წამოვარდა, მივარდა ცულს, რომელიც იქვე ეგდო, აიტაცა და ისე გამოვარდა გარედ.

გირგოლამ, რომელიც უკან გამოეკიდა, წინ გადაუბრინა და გზა გადაუღობა.

— ქალაუ, ხუმრობ თუ?! — დაცინვით შესძახა იმან. — ღვთის მადლმა, აგრე ადვილად ვერ წახვალ.

— გამეცალე, შე თათარო, ურჯულო!.. გზა! — შეჰკივლა ქალმა და შეუმაღლა ცული.

გირგოლა გვერდზედ გახტა, ძალზედ მოქნეული ცული კი ზუზუნით წამოვიდა, მოხვდა ველიანს მიწას და ყუამდინ შიგ ჩაჯდა. გირგოლამ ძალზედ გაიხარხარა, გადმოხტა საჩქაროდ და, სანამ ნუნუ ცულის ამოღებას მოასწრობდა, ძალზედ მოხვია ხელები, ასწია გულშემოყრილი ქალი და შეიტანა ოთახში.

იმან მიიტანა საგებელთან, რომელზედაც დაასვენა, და დაუწყო გატაცებით კოცნა. ცოტა ხანს დამშვიდებული გირგოლა

თითქოს ისევ სიგიჟემ შეიპყრო და თავდავიწყებით, გაბრაზებით დაუწყო ალერსი...

გულ-შემოყრილმა ნუნუმ, როდესაც გონს მოვიდა და თვალები გაახილა, დაინახა თავის მტარვალის სახე, რომელსაც მასხარად აეგდო, დაემცირებინა იმისი ყმაწვილ ქალობა, იმისი ნამუსი!

რაწამს ნუნუ გონს მოვიდა, ზიზღით წამოვარდა და დაიწყო ტირილი. ისა ხედავდა თავის თავს გაუპატიურებულს, შერცხვენილს და ნამუს-ახდილს... ცოდვილს ღმერთისა და კაცის წინაშე. იმას სიტყვა ვეღარ ამოეღო სირცხვილით და ჯავრით, მაშინ, როდესაც გირგოლა, წამოწოლილი მხართეძოზედ, ღიმილით უყურებდა.

— მოდი, ქალაუ, სად გარბი?.. ეხლა მაინც ჩემი ხარ, — უთხრა გირგოლამ და ქალისაკენ მოსაზიდად გაიშვირა ხელი.

პირველივე მოძრაობა ნუნუსი კარისკენ გაქცევა იყო, მაგრამ მოაზრებულს გირგოლას მაგრა დაკეტა არ დავიწყებოდა და ამისთვის იმედ-გადაწყვეტილი ნუნუ უნდა შემდგარიყო.

— რაია?.. ვერ გააღე? — დაცინვით ჰკითხა გირგოლამ.

ნუნუ თავდაღუნული გამობრუნდა, მოვიდა შუა ადგილს, შესდგა რაოდენიმე ხანს, თითქოს რაღაზედაც დაფიქრდა, მერე გაბრუნდა ერთბაშად და გავიდა მეორე ოთახში, რომელიც იქვე გამოქვაბულში იყო.

გირგოლამ კარგად იცოდა, რომ იქიდგან გასასვლელი არ იყო, ამისთვის არ შეიწუხა თავი და ისევ ისე მხართეძოზედ წამოწოლილი ნებიერობდა, დარწმუნებული, რომ დღეის შემდეგ ნუნუ იმას დარჩა, იმას დაეკუთნა. და ნუნუს სიჩუმე და ცრემლები კი, იმის აზრით, იყო შედეგი ყმაწვილი ქალის გამოსალმება წარსულთან და მიგებება მომავალთან.

— ჰაი, ჰაი, რო იტირებს, — ფიქრობდა გირგოლა, — პირველად გაიგო სიყვარული... ქალია, სცხვენიან და ხმას იმად არ იღებს... ეხლა აღარსად წავა, ჩემი იქნების, მე მეკუთვნის და ცხოს — არავის.

ის ამ მოაზრებაში იყო, როდესაც მეორე ოთახიდგან რაღაცის ბრახუნი მოისმა, თითქოს მძიმე რამ დაეცა მიწაზედ, და ეს ხმა ყრუდ გამეორდა გამოქვაბულში. გირგოლა შეჰკრთა და

თავისავე უნებურად ფეხზედ წამოვარდა; მიიხედ-მოიხედა და გაქანდა ძეროე სამყოფისკენ.

ის შევიდა და გაშტერდა: ცეცხლის შუქზედ, რომელიც მცირედ ანათებდა, დაინახა ჭერძი ჩამოკიდებული ნუნუ, რომელსაც სახე დაპრანჭოდა უკანასკნელი წუთების მოახლოვებით; კბილებ-დაკრეჭილს, თითქოს უფრო გაგრძელებულს, შესაზარი სახე დასდებოდა, დაჭყეტილი თვალები, რომელსაც სიცოცხლე დაეკარგა, თითქოს ყვედრებით უყურებდა როგორც გირგოლას, ისე ხალხს, მთელს ქვეყანას. ჩაძოხრჩობილი ჯერ კიდევ წყნარად ირყეოდა, როგორც ფურცელი სუბუქს ნიავისგან.

გირგოლა გაექანა, გადასჭრა თოკი, რომლითაც ნუნუ ჩამოკიდებულიყო, და საჩქაროდ შეხსნა ყელიდგან საბელი.

III

ნუნუ ჯერ კიდევ თბილი იყო, ამისთვის გირგოლამ საჩქაროდ გაუწყვიტა ქამარი და გაუფხრიწა ახალუხი, იქვე იპოვნა ლიტრით წყალი, რომლითაც დაუწყო ბრუნება. ის კარგა ხანსა წვალობდა, მაგრამ ნუნუ გონს არ მოდიოდა, როდესაც იმედგარდაწყვეტილი გირგოლა წამოდგა, მოისმა ქალის ამოქშენა. გირგოლა ხელ-ახლად დაეცა მუხლებზედ და ხელ-ახლად იმედ მოცემულმა დაუწყო ბრუნება.

რამდენიმე წვეთი წყალი, რომელიც ქალს მოხვდა მკერდზედ, საკმაო იყო, რომ ნუნუ სრულებით გამობრუნებულიყო. გაახილა თვალი რუ არა, წყნარად მოათვალიერა იქაურობა და წყნარადვე წარმოსთქვა:

— სადა ვარ... რაი მომდის?

— ბედშაო, რაი მოგივიდა, თავს რაზედ იკლავ? — მიატანა გირგოლამ და გაუშვირა ლიტრით წყალი, — დალიე, გულს გიპოვის.

ქალი ჯერ კიდევ სრულს გრძნობაზედ არ მოსულიყო და ამისთვის თავისავე გაუგებრივ აასრულა გირგოლას სიტყვები.

ნუნუმ კიდევ ამოიქშინა და თითქოს მიელულა — ეტყობო-

და, რომ ის მწარედ უნდა დაეღალა, გაელახა იმ გრძნობათა მღელვარებას, რომელიც იმას ამ დღეებში გამოევლო.

— თუ არა გტკივა-რა? — ჰკითხა გირგოლამ.

— არა, — უპასუხა მოკლედ და წამოიწია წამოსადგომად, მაგრამ იმან განძრევა ძლივს მოასწრო, როდესაც კვნესით ისევ დაეცა და დაბუჭა თვალები.

— რაია? — ჰკითხა რამდენჯერმე გირგოლამ, რადგანაც პირველ კითხვებზედ პასუხი ვერ მიეღო.

— თავს რეტი მესხმის, კისერი, მხრები მტკივა... რაისთვი?.. ვინაა აქა?.. — დაუმატა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— მე ვარ.

— შენა?.. შენ ვინა ხარ?..

— მე, გირგოლაი!

— გირგოლაი?.. — დაფანტვით წარმოსთქვა ნუნუმ და ჩაფიქრდა კიდევ.

გირგოლამ მოხვია ხელი და წაიღო მეორე ოთახში, სადაც ჩალის საგებელზედ წმინდა ნაბადი იყო გადაფარებული. ნუნუმ წინააღმდეგობა არ გამოაცხადა და, როგორც მორჩილი ბავშვი, ისე აჰყვა გირგოლას. იმან წყნარად დააწვინა საგებელზედ, აანთო ჩირაღი და თავს დაადგა დაღონებული; პირისახეზედ კაცი ძნელად შეამჩნევდა რა მოძრაობდა იმის გულში: შიში, რომ ამ მოულოდნელს შემთხვევას შეეძლო მოეგლიჯა, მოეშორებინა საყვარელი საგანსა, თუ ამ მოშორების შემდეგ კიდევ სისხლის დავალება, რომლისათვისაც კანონს გამოდავება შეეძლო და ქალის ნათესაობას — გადამტერება და გადახდევინება.

ქალი შეკრთა, რამდენჯერმე გააზმორა და დაიწყო ცახცახი, რომელიც კარგა ხანს გრძელდებოდა. აშკარად დაეტყო, რომ იმას გააცია.

გირგოლამ მიაყარა, რაც კი სახლში ებადა, მაგრამ ქალს ხელ-ფეხი მაინც გაყინული ჰქონდა და არ უთბებოდა. გირგოლა თანდათან მოუსვენრობაში შედიოდა; იმან გადააფურთხა რამდენჯერმე, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და ძალზედ ამოიოხრა. ის მივიდოდა ქალთან, დაელაპარაკებოდა, მაგრამ, რა პასუხს ვერ მიიღებდა, ისევ მოუსვენრად და მღელვარებით დაიწყებდა სიარულს. ვინ იცის, რასა გრძნობდა იმისი გული?

იქნება იმას გულში გაუელვა პატიოსნების ნაპერწკალმა და ეს მოუსვენრობა იყო შედეგი თავის ბოქმედების სინანულისა!

ქალმა ამოიქშინა და ხელების გადმოქნევით გადაყარა ზედსახური. წამოჭარხლება, რომელიც დაეტყო ლოყებზედ, აჩტკიცებდა, რომ ციების შემდეგ სიცხემ მოიცვა ის და ტანჯვასთან ერთად როტვასაც ჩქარა დააწყებინებდა.

მართლადაც, არ გამოიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც ნუნუმ საშინლად დაიწივლა და მოჰყვა ტირილს.

— ახრჩობენ, ჰკლავენ!.. არ დაგანებებთ, არა... იაგო, იაგო! მოკვლას უპირებენ! — ბოდავდა უაზროდ და გადაუბმელად ავადმყოფი, რომლის გახურებულს გონებასაც, უეჭველია, საყვარელი საგანი წარმოსდგომოდა.

გირგოლა შესდგა, მივიდა ახლოს და ყური დაუგდო. რამდენჯერაც ქალი იაგოს სახელს ახსენებდა, იმდენად გირგოლას წარბები შეიჭმუხნებოდა და კბილების ღრჭიალით წამოიძახებდა:

— ძილშიაც ის აგონდების, ის ელანდების..

— მოდი, მოდი ჩემთან... ჩემი ხარ... ნურვის დამანებებ... შენ მირჩევნიხარ ყველას, შენ ჩემი გულის საყვარელი ხარ!..

გირგოლამ მოკუმშა მუშტები და მუქარით დაიძახა:

— რით ვერ გაიგე, რომ იაგო მოკვდა, ალარაა შენთვის! — და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — მოგკლამ, დაგლევ და იაგოს კი გადაგავიწყებ!

ამ დროს გარედგან შემოისმა ძაღლის ყეფის ხმა, რომელმაც გირგოლა შეაკრთო და თოფს ხელი წამოავლებინა.

ის საჩქაროდ გავიდა გარედ და ციხის კართან საფრად გაჭეთებულს კედელს მოეფარა. ვიწროებში ცის ტატნობაზედ გამოჩნდა ორი კაცი, რომლებიც გულადად და შეუპოვრად მოდიოდნენ.

გირგოლამ გადაუშვირა თოფი და, რამდენადაც ღამის სიბნელე ნებას აძლევდა, ნიშანში ამოიღო.

— ვინა ხართ, ვინ მოდიხართ?

— გირგოლაუ, შენა? — მოსცეს პასუხად.

— მე კი — მე ვარ, მაგრამ თქვენ ვინა ხართ, ან რაი გინდათ ამ დროს?

— ჩვენა ვართ — პეტრიკი და გახუტა, ღიამბეგმა გამოგვგზავნა.

— იასაულები ყოფილან, — წაიბუტბუტა თავისთვის გირგოლამ და დაუმატა: — რაი საქმე უნდა ჰქონდესთ...

ამ ხანში პატრონის ხმით გაგულადებულმა ძაღლმა ჩააღწივა მომავალ კაცებთან და ძალზედ ტანება დაუწყო. ისინიც, მთის ჩვეულებისამებრ, ძაღლს ისე უჯავრდებოდნენ, რომელიც უფრო წაქეზება იყო, სანამ მართალის გულით გაჯავრება. არც ერთს იმათგანს არ უცდია ჯოხის ან ქვის დარტყმა, რადგანაც დასამცირებელია მთის კაცისთვის ძაღლის რისიმე დაშავება პატრონის ერთგული სამსახურისთვის.

— გირგოლაუ, მოგვაშორე ეს ძაღლი, გზა აღარ მოგვცა, — დაუძახეს იასაულებმა, რომელთაც წინ ჩასდგომოდა და გაბრაზებულს თითქოს ბრძოლაში სიკვდილი ერჩია, სანამ პატრონის უნებურად გზის დათმობა მომავლებისთვის.

— აბა, ბროლიაუ, აქა! — დასძახა გირგოლამ და მორჩილი ძაღლი ერთბაშად გამობრუნდა, სირბილით და კუდის ქნევით მოვიდა პატრონთან, რომელსაც დაუწყო ლაქუცით ალერსი.

გირგოლამ რამდენჯერმე გადაუსვა ხელი და წყნარის ლაპარაკით ალერსიანად უთხრა:

— ა, ბედშაო, ბროლიაუ!.. მოკეთე ველარ გიცვნია? აჰუ!..

ბროლიამ დაუწყო ხელების ლოკვა და მერმე ისევ ღრენით გაექანა მომავლებს, რომლებიც ამ ხანში მოახლოვდნენ ციხის კარს.

— ასგამ, შე ტიალო! — დაუყვირა პატრონმა და ეს საკმარისი იყო, რომ ძაღლი თავდაღუნული მოშორებოდა იმათ, გასულიყო ქედზედ და იქ დაწოლილიყო ყარაულად.

— მოხვედით მშვიდობით! — უთხრა გირგოლამ.

— მშვიდობა მოგცეს უფალმა, — მისცეს პასუხი ახლად ჩოსულებმა.

— რაი ანბავი?

— დიამბეგმა გამოგვგზავნა.

— რაისთვი?

— იაგო გაქცეულა.

— იაგო?! — იკითხა გირგოლამ და თავსზარდაცემულსავით დაეშვა დედამიწაზედ. კარგა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა იმათ

შუა, სანამ გირგოლა სიტყვას მოახერხებდა. — როდის გაქცეულა, საიდგან?

— დღეს მესამე დღეა... ანანურის ციხიდგან გაქცეულა.

— რას უბნობთ, ღვთის მადლსა?.. იქიდგან საით გაიქცეოდა?

— აბა რაი ვიცით? გაქცეულა კია და... ეხლა დიამბეგი მოვიდა, ყაზახები მოიყვანა და სოფლებში ჩააყენა. ყველგან გზები შეუკრეს... ჩვენც შენთან გამოგვზავნა.

გირგოლა ჩაფიქრდა. იმას ძალიან კარგად ესმოდა, რომ იაგო, რა ერთხელ გამოვიდოდა, დღეს გაუმწარებდა და მოსვენებას აღარ მისცემდა. ისიც კარგად ესმოდა, რომ საქმე ითხოვდა იმის საჩქაროდ წასვლას, რადგანაც იმასავით მუყაითად და გულმხურვალედ არავინ ეცდებოდა იაგოს დაჭერას; მაგრამ მეორე მხრით მომაკვდავი დედაკაცი, რომლის გულისთვისაც მოახდინა ყველა ეს ამბავი, დააჭერინა იაგო, გადაიმტერა ორი გვარეულობა, — ეხლა სულთმობრძავი შინ უწვა და პატრონი კი არა ჰყვანდა, რომ იმასთან დაეგდო არამც თუ დამცველად, არამედ მომვლელად მაინც არის.

— სამი დღეა, რაც გაიქცა? — ბოლოს იკითხა იმან.

— ჰო.

— აქამდისინ სად იყვნენ? რას აკეთებდნენ? — დაიწყო იმან გაჯავრებით, — ეხლა, მგონია, ცხრა მთა ექნების გადავლილი და ჩვენ კი აქ უნდა შეუკრათ გზები.

ამ სიტყვების შემდეგ იმან შეატყობინა თავისი მდგომარეობა, მარტოობა სახლში და ავადმყოფის ყოლა, რომელსაც წყლის მიმწოდებელიც არა ჰყავს.

ისინი შევიდნენ შინ, სადაც ცოტა რჩევის შემდეგ გადასწყვიტეს, რომ არშიდგან ამოიყვანდნენ გირგოლას ნათლიდედას და იმის თექვსმეტი წლის შვილს, რომელთაც დააგდებდნენ ავადმყოფის მოსავლელად და თვალყურის დასაჭერად; რაც შეეხებოდა იაგოს, ის ვერ გაბედავდა აქ მოსვლას, რადგანაც დილიდგანვე დიამბეგს დააყენებინებდა, ერთი ან ორი რუსის ყაზახის ზედამხედველობით, არშელთ ყარაულებს ციხის კართან.

ამის შემდეგ ერთი ახალმოსულებთაგანი მაშინვე გაგზავნეს გირგოლას ნათლიდედასთან, რომელიც იმ ღამესვე ამო-

ვიდა თავის შვილით, და სამი ერთგული მოსამსახურე კი მეო-
რე დღეს ადრიან გაემგზავრნენ იაგოს დასაჭერად.

IV

როგორცა სთქვა გირგოლამ, ისეც მოიქცა. ჩაცივდა თუ არა სოფელს არშაში, მაშინვე ხალხი შეჰყარა და გამოუცხადა, რომ ბატონი დიამბეგის ბრძანებით, — თუმცა დიამბეგს ის ჯერ თვალითაც არ ენახა, — კომლზედ კაცი უნდა გასულიყო არშის ციხის გზის შესაკრავად.

არშავლებმა მოისმინეს დიამბეგის ბრძანება, დაღონდნენ, რომ ამ მუშაობის დროს იმათ იაგოს დევნა მოუხდებოდათ; შესწუხდნენ, რომ, ვინ იცის, ვინ და რის გულისთვის თავის მეზობელის მტრობა უნდა დაეწყოთ.

— ჩვენ კერ გავალთ, გირგოლაისი! რაი დაუშავებია იაგოს ჩვენთვის, რომ მოსისხლედ ჩაუდგეთ, — დაიწყო ხალხმა ერთხმად.

— ვერ გახვალთ? — წყნარად იკითხა გირგოლამ და ჩაცინებით დაუმატა: — გაგიყვანთ, ღვთის მადლმა.

— რაისთვი გაგვიყვანთ, გირგოლაისი, რაისთვი? — ხელის ქნევით უპასუხა ერთმა.

— იმისთვი, რომ იაგო ქურდია, იმისთვი, რომ იაგო გამოიქცა ციხიდგან, იმისთვი, რომ დიამბეგი გიბრძანებსთ, — უპასუხა იასაულმა.

— რა უყოთ, რომ გვიბრძანებს?.. იმან ერთურთის გაწყვეტა რომ გვითხრას, უნდა დავიჯეროთ? — წარმოსთქვა იმავე ბიჭმა.

— ჰაი, ჰაი, რომ უნდა გასწყდეთ!

— მაშ ღმერთი არ ყოფილა ჩვენს გაჩენაში? რაიც იმათ უნდათ, იმას გვიზმენ.

— ჰაი, ჰაი, რომ გიზმენ.

— ღვთის მადლმა, რომ არ გავალთ! — გადაწყვეტით უპასუხა იმანვე. — აბა რაისთვი?.. იაგოს ჩვენთვის რაი დაუშავებია, რაი მტრობა აქვს ჩვენთან? ურიებისგან თავი დაუხსნია — ღმერთმა ხელი მოუმართოს!

— იქნება შენც იმის ამხანაგი ხარ? — ულვაშების გრეხით მიუბრუნდა მოლაპარაკეს გაჯავრებული გირგოლა.

— მე არც ამხანაგი ვარ და არც მტერი... ტყუილად ქურდობა დააბრალეთ ხევის თვალს, აწვალეთ, გასტანჯეთ და ახლა გინდათ ჩვენ კი შეველიენეთ!.. რაისთვი? ჩვენი რაი საქმეა?.. თუ მტრობა აქვს ვისმე იმასთან, დეე იმანვე მონახოს და გადუხადოს.

— კარგი, კარგი, მეც ეგრე ვეტყვი დიამბეგს... შევატყობინებ, რომ არშავლები არ ასრულებთ იმის ბრძანებას; ვეტყვი, რომ გამოგზავნოს ყაზახები და „ზეკუციად“ ჩაგიყენოსთ.

ამ სიტყვების შემდეგ გირგოლა თავის ამხანაგებით გაბრუნდა და გაემართა სოფელ სტეფანწმინდისკენ, სადაც დიამბეგი იმყოფებოდა. ხალხი კი იქ დარჩა და ერთი ხორხორი ასტეხა ამ შემთხვევაზედ.

იმათთვის ადვილი გასაგონი არ იყო ყაზახების ჩაყენება, რადგანაც იმათი მოსვლა ყოველგვარ უსამართლობას, ჩაგვრას და შეწუხებას მოაგონებდა ხალხს. დედაკაცებთან მოკრძალებული მთის ხალხი, გაფრთხილებული და ზრდილი ლაპარაკში, რაკი მანდილოსანს ხედავდნენ, რასაკვირველია, ზიზღით უყურებდა ყაზახებს, დაუფერებელს, ბინძურ-მოლაყბედარეთ... რასაკვირველია, ჭირის ჩასახლება ერჩივათ ყაზახის ჩაყენებას, რომლებიც, თავის ჩვეულებისამებრ, ქალებთან დაიწყებდნენ თავისუფალ ლაყბანდარობას და შეუდგებოდნენ ყოველგვარ სოფლის ნამუშავრის გაჩანაგებას.

იმ მიზეზით სოფელი გაიყო ორ მხარედ და ზოგნი, უფრო მოაზრებულნი და დროებისგან გაეშმაკებულნი, იძახდნენ, რომ გასულიყვნენ გზების შესაკრავად, მაგრამ იმ პირობით, რომ იაგო, თუნდ ენახათ, არ დაეჭირათ, და მეორენი კი, რომელთაც ჯერ კიდევ უწინდელი პირდაპირობა და აშკარა ჭცევა მოსდევდათ, უარს ამბობდნენ.

ერთნი იძახდნენ:

— წავიდეთ, ხალხო, დავდგეთ გზებშია და, თუ შეგვხვდების იაგო, ის ჩვენი ძმაა, ძმურად გავისტუმროთ.

მეორეები კი ამბობდნენ:

— რაისთვი უნდა მოვცდეთ მუშაობას? სხვის მტრებს რაისთვი უნდა შეკეხოცნეთ?.. ნურც გავალთ, ნურც გავინძრევით!

— ყაზახებს ჩაგვიყენებენ!

— ჯარემ ერთბაშად დაგვხოცონ ყველანი და მოგვასვენონ! თუ არა და, რაღა, ღვთის მადლსა? აქა-და გირგოლაი ეჯიბრების იაგოს, მთელი სოფელი უნდა აგვრიონ!

ისინი ჯერ კიდევ ასე ლაპარაკობდნენ და გადაწყვეტილება ვერა მიეღოთ-რა, როდესაც სტეფანწმინდის სტანციის ოთახში გირგოლა დიამბეგს ეახლა.

— ბატონი ადღეგრძელოს ღმერთმა! — მდაბლად თავის დაკვრით მოახსენა იმან შესვლის უმალ.

— აჰ, გირგოლა! — სიამოვნებით და სიხარულით წარმოსთქვა დიამბეგმა. — როგორა ხარ?

— ვკოცხლობთ შენის წყალობით, შენი ჭირიმე!

— გიგე, რომ იაგო გაგვექცა?

— დიახ, შენი ჭირიმე, მითხრეს.

— ახლა, როგორ უნდა დავიჭიროთ?

— თქვენი სახელი დიდია, შენი ჭირიმე, სად ჯანაბაში წაგვივა? — დიამბეგი გაიბერა ამ ქებით.

— არა, წასვლით კი ვერსად წაგვივა, მაგრამ მე მინდოდა მალე დაგვეჭირა.

— თუ დედამიწაში არ ჩაძვრა, სად დაგვემალების?.. მალე დავიჭერთ, შენი ჭირიმე!

— აბა როგორ?

— როგორ-და, გზები შეუკრათ... გამოვრეკოთ სოფლის ხალხი და ყველა გასავლებში ყარაულები დავაყენოთ... ზოგიერთს სოფლებში, სადაც იაგოს მოკეთეები ჰყავს, ყაზახები უნდა ჩავაყენოთ...

— ეგ ძალიან კარგი იქნება, — მოუწონა დიამბეგმა და გაიფიქრა თავის გუნებაში: საკვირველი მოაზრებული კაცია ეს გირგოლა!

— თუ ყაზახებს არ ჩავაყენებთ, შენი ჭირიმე, ის მოკეთეებისას დაიმალების და ხელში ვეღარ მოვიგდებთ.

— აბა რომელ სოფლებშია?

— ფანშეტს, კარკუჩას, გორის-ციხეს და არშაში.

— კარგი... ათ-ათი კაცი ეყოფა?

— არშას მოუნდების ოცამდინ კაცი, თორემ სხვაგან ხუთ-ხუთიც ეყოფის.

— არშაში რაღად უნდა ეგრე ბევრი?.. იქ სულ შვიდი კომლია, მგონი.

— ცხრა გახლავს, შენი ჭირიმე.

— თუნდ ცხრა იყოს. ოცი კაცი რად უნდა?

— იმად, რომ იმ სოფელში ყველანი იაგოს მოკეთეები არიან.

— ჰო, ეგ სხვა არის.

— მე ასე მგონია, შენი ჭირიმე, რომ იაგოს გაქცევაშიაც ისინი უნდა ერივნენ.

— ეგ სულ სხვა არის... მაშ ოც-და-ხუთი კაცი ჩაუყენოთ.

— კარგი იქნება, შენი ჭირიმე.

ლაპარაკი ცოტა ხანს ამაზედ შესწყდა. მერე დიამბეგი კიდევ მიუბრუნდა გირგოლას.

— როგორ გგონია, სად უნდა იმალებოდეს იაგო ან სად უფრო შეჰხვდებიან?

— აბა, რა მოგახსენოთ, შენი ჭირიმე.

— მაინც?

— ის ჯერ მთაში იქნება, ბარად ჩამოსვლას ვერ გაბედამდა.

— მერე მთაში რა აცხოვრებს?

— არშის მთაში დიდძალი ცხვარი დგება, მეცხვარეებთან იქნების.

— მაშ იქ გავგზავნოთ დასაჭერად.

— იქ ვერ დავიჭერთ, დამალვენ.

— მაშ რა ვქნათ?

— არშის ციხის კარი შეუკრათ. იმაზედაა გზა, და თუ მოასწრეს, იქვე ჩააძაღლებენ.

იმდენი უარა და ილაპარაკა გირგოლამ, სანამ თავის სურვილი არ წარმოათქმევინა დიამბეგს, და წარმოათქმევინა ისე, რომ დიამბეგი დარწმუნებული დარჩა, რომ საკუთრივ იმის სურვილი და მოაზრება სრულდება.

— მაშ შენ დღესვე წაიყვანე ყაზახები და ჩაუყენე არშავლებს. იქიდგან გამორეკე რამდენიც საჭირო იყოს არშაველნი, ჩააბარე ოთხ ყაზახს და, სადაც საჭირო იყოს, გზები შეაკრევინე.

— ბატონი ხარ, შენი ჭირიმე.

გირგოლამ და დიამბეგმა ამით გადაწყვიტეს და იასაული ყაზახებით წავიდნენ არშას.

სოფელმა ბევრი ხორხორისა და ლაპარაკის შემდეგ გამოიყვანა კომლზედ კაცი, რომელთაც ყაზახების ზედამხედველობით შეჰკრეს არშის ციხის კარი. გირგოლა კი ისევ დიამბეგთან დაბრუნდა დანარჩენი ბრძანების აღსასრულებლად.

აქ მოთხრობის მდინარეობა ცოტას ხნით უნდა შევწყვიტოთ და ცოტა უკან დავიწიოთ, რათა გიამბოთ: რა იქნა იაგო, სად იყო აქამდინ, რა ცხოვრებითა სცხოვრობდა, ან როგორ გაიქცა ანანურის ციხიდგან.

V

ანანურის ციხეში, იმ წარსული საუკუნის ჯურღმულში, სადაც ასობით სული ჰხდებოდათ ალალს და მართალს თუ შარმოდებულ პყრობილებს, სხვათაშორის იტანჯებოდა იაგოც, რომლის საქმის გარჩევა თითქოს გადავიწყებოდათ.

იაგო პირველში დარწმუნებული იყო, რომ იმას ჩქარა გაამართლებდნენ და გამოუშვებდნენ, მაგრამ დღეები დღეს მისდევდნენ, თვეები — თვეს და საქმის დაბოლოვებაზედ კი ჩამი-ჩუმიც არ იყო.

ბოლოს იმას გარდაუწყდა იმედი და დარწმუნდა, რომ იმისთვის არც-არავინა ჰფიქრობს და არც თავს იტკიებს.

— როგორ? — ჰფიქრობდა ის, — ნუთუ მთელი ჩემი სიცოცხლე აქ უნდა გავატარო? აქ ამომხდეს ასე ძაღლუმადურად სული? შეუბრალებელი, გაუკითხავი, გაუსამართლებელი?!. არა, არ შეიძლება, იაგო მთის კაცია, იაგო ვერ მოითმენს მაგას, იმას სიკვდილი, სიკვდილი ურჩევნია ამ ცხოვრებას!..

მაგრამ როგორ მოკვდეს, როგორ გაათავოს თავის სიცოცხლე?.. ისე უსახელოდ სალდათის შუბს ხომ ვერ წაეგებოდა? იაგოს უნდოდა სიკვდილი, მაგრამ სიკვდილი ვაჟკაცურად, სახელით, ისეთი სახელით, რომ მთის ყმაწვილი ქალების ზარით ტირილში სამაგალითოდ მოხსენებულიყო იმისი სახელი და სივაჟკაცე.

შუადღე იქნებოდა, როდესაც ის მიწოლილი აყროლე-

ბულს, ნახევრად დამპალს ჩალის საგებელზედ იწვა, შეჰყურებდა ნოტიო, სევდის ამშლელს კედლებს და იგონებდა თავის მთებს გამაცოცხლებელის წმინდა ჰაერით და ჯურნელებით სავსე ბალახით.

იმის გვერდით იწვა, იმავეგვარ საგებელში, მოხუცი ტუსაღი, მძიმე ხუნდებ-შეყრილი. ისიც დაღონებულ თვალით შეჰყურებდა კედლებს.

— ეს, ეს უნდა იყოს ჩვენი საგებელი! — წამოიძახა იაგომ ჯავრიანის ხმით და ხელის წამოკვრით გაფანტა ჩაღა.

— რაი ვუყო იაგოისი? ძალა აქვსთ და აგრე იქად გვექცევიან, — მისცა პასუხი მოხუცმა.

— ძალა, ძალა!.. — მოუთმენლად წამოიძახა იაგომ. — ძალა კი არა, დიაცნი შევიქმენით, თორღავ, მშიშარები!!. წარღვნა მაინც მოსულიყო, რომ სულ წაველეკნეთ!.. აბა რაი-ღა სიცოცხლეა?

— სულ ეგრე არ იქნების, ღვთის გაჩენილებს ღმერთივე გვიშველის.

— ღმერთი, ღმერთი!.. — თანდათან მღელვარებდა იაგო,— სადღაა ჩვენთვის ღმერთი?..

— რაი ვქნათ, რაი ვქნათ!.. — დაღონებით წარმოსთქვა მოხუცმა და ჩაჰკიდა თავი, — ცოლი, შვილი, ქალები... დამაგდებინეს... ვინ-ღაა იმათი პატრონი!

ჩამოვარდა რამოდენიმე ხანს სიჩუმე. ორივე პყრობილი თავთავიანთ საგონებელში წავიდნენ.

— არა, ველარ გავძლებ, არ შემიძლიან!.. — ერთბაშად წამოვარდა იაგო, როგორც გიჟი, და თვალები თითქოს ცეცხლივით აენთო.

მოხუცმა პირველი გაშტერების და შეშინების შემდეგ დაუწყო იმას დამშვიდება:

— რას სჩადი, შე ბედშაო, რასა?.. რას გიშველის ეგ ჯავრობა?

— მომკლან მაინც! მადლი მოჰივა!

ამ სიტყვებით დაიწყო იმან წარმოუთქმელი ყვირილი და აქეთ-იქით წყვეტება.

მოხუცი თანაგრძნობით და შეშინებული უყურებდა იმას, რადგანაც ეგონა, რომ თავისუფლებას და წმინდა ჰაერს დაჩ-

ვეული იაგო ჭკუიდგან შესცდა. თორღას ყველა მეცადინეობა იაგოს დასამშვიდებლად ამაოდ რჩებოდა: ის ღრიალებდა და გიჟივით აწყდებოდა აქეთ-იქით.

ამ ხმაურობაზედ მოვარდნილმა ყარაულმა შეშინებულის ხმით გააბა ყვირილი და უფროსის ძახილი, რომელიც საჩქაროდ მოიჭრა.

უფროსმა ჯავრობა დაუწყო იაგოს, მაგრამ რად ჩააგდებდა თავზედ ხელაღებული კაცი იმის ფეხების ბარტყუნს.

ციხის ზედამხედველმა გააღებინა კარები, შეიყვანა რამდენიმე სალდათი და შორი-ახლოდგან ჰკითხა აღელვებულს იაგოს მიზეზი ამგვარი ქცევისა.

— მიზეზი ის არის — ასე წყნარ-წყნარად სიკვდილს, ერთბაშად მაინც მომკალით.

— შეუყარეთ მაგას კიდეკ ხუნდები და ხელები უკან ისე გაუკარით, რომ განძრევის თავი აღარა ჰქონდეს! — უბრძანა უფროსმა თავის სალდათებს.

სალდათები, რომელთაც რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგეს, ერთბაშად შესდგნენ, რადგანაც იაგომ იქ მდგარ სკამეიკას წამოავლო ხელი და მოემზადა იმათ დასახვედრად.

— არ მოხვიდეთ, არა-მეთქი, თორემ, ვინც მოვა, ღვთის მადლმა, თავს შუაზედ გაუჩეხ! — შეჰყვირა იმან და მთლად თრთოლამ აიტანა.

მოხუცი სულგაკმენდილი, გულის ძგერით უყურებდა ამ კაცის მოქმედებას, რომელიც სასოწარკვეთილებას ამ წარმოუდგენელს თავგადადებამდინ მიეყვანა.

— თოფები! — დაიძახა უფროსმა და კარებში გამოჩნდა რამდენიმე თოფიანი სალდათი.

— დააგდე ეგ სკამეიკა! — დაუყვირა უფროსმა.

ამ ბრძანებაზედ იაგომ გადიხარხარა.

— დააგდე, თორემ ძაღლსაკით მოგკლამთ!

— ძაღლს ძაღლური მოქმედება ექნება, ცხო რაი შეგიძლიანთ, თუ არ უიარაღო კაცის მოკვლა?!

— დააგდე, თორემ ეხლავ დაგახვრეტინებ!

— ურჯულონო, უღმერთონო, მეც ეგ მინდა, რომ მომკლათ.

— მაშ იმედი გადაწყვიტე, აგრე არ მოგკლამთ!.. — უპა-

სუხა უფროსმა და უბრძანა სალდათებს, რომ მისულიყვნენ იაგოზედ და შეეპყრათ.

სალდათები გაექანენ, იაგო დაუხვდა იმათ და პირველი მისული იქვე თავგაჩეხილი გააგორა. შეამაღლა მეორეთ თავისი იარაღი, მაგრამ ბორკილებ-შეყრილი ხელები და ტუსაღობით დასუსტებული მაჯები თავისუფლად ვეღარ მოქმედებდნენ; აცახცახებულმა ძარღვებმა ვეღარ გასძლეს: მოქნეული სკამეიკა ჭერს მოხვდა და გავარდა ხელიდგან.

ის დაიჭირეს, შეჰკრეს მაგრა და დაუწყეს უწყალოდ ცემა, მერე წაიყვანეს უფროსის ბრძანებით და დაოსებული, დარუმბებული შეაგდეს ერთს ისეთ ბატარა ოთახში, სადაც კაცი დაჩოქილიც ძლივს იმართებოდა, გამოუხურეს კარი და დასტოვეს.

იაგო კარგა ხანს ეგდო ამ მდგომარეობაში და, როდესაც გონს მოვიდა, თვალის გახელასთან ერთად იმას მიადგა მთვარის შუქი პატარა ფანჯრიდგან. პირველში იაგოს ვერ წარმოედგინა, თუ რა მოსდის, ან სად არის. არ ეწმოდა ასე რად სტკივა ყოველი სხეული, ან რად ეძნელებოდა განძრევა.

ბოლოს იმას მოაგონდა თავისი ცემა, მოაგონდა უფროსის ბრძანება, თავისი მდგომარეობა და სიბრაზით გაახრჭიალა კბილები.

ამ მწუხარე მდგომარეობაში იყო, როდესაც ოთახი, სადაც ის ეგდო, თითქოს დაბნელდა. იაგომ რის წვალებით წამოიხედა და აშკარად დაინახა, რომ ფანჯარას ვიღაც აჰყუდებოდა და იმას დაებნელებინა მთვარის შუქი. პირველში იმას ეგონა, რომ მეტის ნაცემობით თვალთ უბნელდებოდა. დახუჭა თვალები და, როდესაც გაახილა, მთვარე ისევ თავის ნაზს შუქს ჰფენდა ოთახის კედლებს.

— აკი ვსთქვი, თვალთ მიბნელდება-მეთქი—ამ შუაღამისას ვინ გაბედავდა ფანჯარასთან მოსვლას? — იფიქრა იმან და მიეცა ისევ თავის საგონებელს.

საკვირველია კაცის მდგომარეობა! წარმოუთქმელს ბედხიერებაში თუ უბედურებაში, მხიარულებაში თუ მოწყენაში, — არ შეიძლება, რომ თავის საყვარელი საგანი არ წარმოუდგეს თვალწინ! არ შეიძლება, რომ იმას არ შეეალერსოს გამხიარულებული, თუ დაღონებული გული, რომელიც ჰმუნ-

კით და კვნესით ნატრობს იმის სიახლოვეს, იმის ალერსის გაგონებას, იმის დანახვას, იმის თანაგრძნობას!..

სწორედ ამ მდგომარეობაში ჩავარდა იაგო: იმას წარმოუდგა თვლწინ თავისი ნუნუ! ნუნუ, რომელიც ვერა მწუხარებას, ვერა სატანჯველს ვერ მოეშალა იმის გულიდგან.

გარკვევით ებეჭდებოდა გულში იმისი სახე.

ეს ყველა სტანჯავდა, აწუხებდა, არ ასვენებდა იმას, მაგრამ თითონ ეს ტანჯვა, მწუხარება, მოუსვენრობა ისე ტკბილი, ისე სასიამოვნო იყო იმისთვის, რომ ქვეყანაზედ არაფერზედ გასცვლიდა იმათ...

ამ ტკბილსა და შემაწუხებელ ოცნებაში იყო, როდესაც ფანჯრიდგან რაღასიც ჭახანი მოისმა.

იაგო შეკრთა, წამოიწია და სულგანაბულმა ყურის გდება დაუწყო ხმაურობას, მაგრამ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა.

ცოტა ხანს შემდეგ კიდევ გამეორდა ეს ხმა და ამის შემდეგ აშკარად გაიგონა წყნარი გაფთხილებული ჩურჩული:

— წყნარა, წყნარა, არ გაგვიგონ მაგ ურჯულოებმა... — შემოესმა იაგოს და ის მთლად სმენად გადაიქცა.

— ვინ არიან, რასა შვრებიან? — უნებურად გაუელვა თავში და გულმა რაღაცა წინასწარგრძნობით ღელვა დაუწყო.

კიდევ ცოტა ხანს შემდეგ აშკარად დაინახა, რომ ფანჯრიდგან ერთი ქვა მოშორდა და იმასთან ერთად სიმაგრისთვის გარდი-გარდმო გახიდული რკინები.

იაგომ წამოიჩოქა ფანჯარასთან და დაუწყო იქიდგან ყურება. იმან გაარჩია ორი კაცი, რომელიც ფანჯრიდგან გადმოღებულს ქვას წყნარად მიწაზედ სდებდნენ.

ისინი მობრუნდნენ ისევ ფანჯარასთან და ერთბაშად შესდგნენ.

— ვინა ხართ ქრისტიანები! მიშველეთ! — წყნარად და მღელვარებით ჰკითხა იაგომ.

კაცები, რომელნიც პირველში შეაკრთო ამ სიტყვებმა, ცოტა ფიქრის შემდეგ მოუახლოვდნენ ფანჯარას.

— სუუ! ჩვენა ვართ! — უპასუხეს იმათ ჩუმად და გაფთხილებით.

— ქართველები, ქრისტიანები ხართ?.. — წამოიძახა კაცს დანატრებულმა იაგომ.

— იაგო! შენა? — წყნარად წარმოსთქვა ერთმა და დაკვირვებით დააცქერდა.

— ჰაი, ჰაი, რო მე ვარ!.. მაგრამ შენ ვინა ხარ? ვერა გცნობ.

უცნობმა, სანამ იაგოს უპასუხებდა, წყნარად ქუდი მოიხადა, მიაპყრო ზეცას თვალები და წარმოსთქვა:

— იდიდოს შენი ძალა, დიდებულო წმინდავ გივარგი! — ამ სიტყვების შემდეგ კიდევ გადაიწერა პირჯვარი და მერე მიექცა იაგოს: — მაშ ვერ მიცან, ვინა ვარ?

— ღვთის მადლმა, ვერ გიცან!.. ლაპარაკზედ გატყობ მოხევე უნდა იყო, და რაი გავიგო ბნელაში?

— მე კობაი ვარ, შენი ძმადნაფიცი.

— კობაი?! — გაკვირვებით წარმოსთქვა იაგომ და ისე გაშტერებული დარჩა რაოდენიმე ხანს. მერე ჰკითხა: — საით? აქ საით მოსულხარ?

— რაი გეკითხების? ან რაი დრო არის? ყველას მერე გიამბობ, ეხლა კი შენ უნდა გაგიყვანოთ აქაით.

— მაშ ჩემთვის მოხვედა? არ დაგვიწყებივართ, გმადლობ შენ, წვერისა სპარს-ანგელოზო!

— ბედშაო! ძმადნაფიცს რაი-ღა დამავიწყებდა? ტოლომანი გარეიდ იცმების, გულს ხომ არა სცვლის?.. მაი, ეხვია, ნულარ ვგვიანობთ, გავხსნათ კედელი, — მიუბრუნდა კობა თავის ამხანაგს.

— მეც გიშველთ, ხელები გამიხსენით როგორმე, — უთხრა იაგომ.

— რაი? — გაკვირვებით ჰკითხა ძმადნაფიცმა.

— ხელები გამიხსენით-მეთქი.

— მოგიკვდეს ჩემი თავი!.. აქამდინ ხელშეკრული ხარ? აჰუ! მოკვდი, კობავ, ახია შენზედ!.. მობრუნდი, მობრუნდი ჩქარა!

იაგო რის წვალებით მიბრუნდა ამ პატარა ოთახში და შეკრული მკლავები მიანდო სარკმელს. კობამ შემოჰყო ხანჯლიანი ხელი და წყნარად გაუჭრა საბლები.

— აჰა ხანჯალი, ფეხებზედაც დაიჭერ თოკები. — იაგო ცდილობდა ხანჯალი გამოერთმია, მაგრამ თოკის მაგრა წაჭრით ძარღვებში სისხლი შესდგომოდა და მკლავები დაბუჟე-

ბოდა. — რაი მოგივიდა, გამომართვი ხანჯალი! — განიმეორა კობამ.

— რაი ვქნა, მკლავებს ველარ ვხმაროობ.

— მაშ ბატარაი დაისვენე და ძალა მოგივა ხელში, — უთხრა კობამ და მიუბრუნდა ამხანაგს, რომელსაც პატარა რკინის ლომი ეჭირა. — შენ რაღას უყურებ, ავჩქარდეთ, თორო გვიანდების, გათენება მოგვასწრობს.

ამხანაგები შეუდგნენ მუშაობას. იმათ ხერხიანად მოქცევა ამტკიცებდა, რომ ამგვარს საქმეზედ პირველად არ იყვნენ.

რამდენიმე წუთს შემდეგ სარკმელი იმოდენად ჩამოაქციეს და გააგანიერეს, რომ იაგოს თავისუფლად გამოძრომა შეეძლო.

პყრობილი გამოიყვანეს თუ არა, შეუდგნენ რკინის ბორკილების ქლიბვას და ის-იყო გაათავეს, როდესაც ფეხის ხმა მოისმა: ეს იყო ყარაულები, რომელთაც ციხე უნდა დაეთვალიერებინათ.

VI

— ვიღაცეები მოდიან! — დაიძახა თორღამ და დაუწყო იმ მხარეს ყურება, საიდგანაც ფეხის ხმა მოისმოდა.

სხვებმაც მიიხედეს იქით: მთვარის შუქზედ აშკარად გამოჩნდა შუბიანი თოფები და ცოტა ხანს შემდეგ რამდენიმე სალდათი, რომელნიც უზრუნველად, ლაზღანდარობით და სიცილით მოდიოდნენ, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იქ არავინ შეხვდებოდათ. ისინი ვერ წარმოიდგენდნენ, რომ სიმაგრეს მოუდგებოდა ვინმე, რადგანაც იმ მხარეს, იმათის აზრით, ამოუსვლელი კლდე იყო.

— სალდათები არიან! — პირველივე შეხედვაზედ დაიძახა კობამ და თოფი გაიძრო ბუდიდგან.

— მეც მომეცით იარაღი! ერთის სისხლი მაინც დავლიო და მერმე რაიც უნდა მომივიდეს! — დაიძახა იაგომ, რომელიც ისე მიესუსტებინა წმინდა ჰაერს, რომ ფეხზედ ძლივს-ღა იდგა, მაგრამ თავისუფლების დაკარგვის შიშმა და უსამართლო წვალებისაგან გაბრაზებამ თითქოს ერთბაშად მოუკრიფა იმას ძალა.

— ეგრე ნუ! —.დაიძახა თორღამ, — თორემ უბრალოდ გაგვწყვეტენ.

— მაშ რაი ვქნათ?

— აგერ, იმ კლდეს ამოვეფარნეთ და, როდესაც მოჯლენ, ერთბაშად დავესხათ... ისინი აქ არავის ელიან, ჩვენ რომ ერთბაშად გადავცვივით, წინა უკანას ველარ გაიგებს.

— მართალს ამბობ, ღვთის მადლმა!

— თუ გაიქცნენ, ხომ გაიქცნენ, და თუ ძალა გაბედეს, რაი გაუვათ — ხუთნი არ არიან?

— კლდესთან, კლდესთან! — ნიავსავით წყნარად წამოიძახა კობამ და ყველანი თვალის დახამხამების უმალ კლდეს მოეფარნენ.

სალდათები მძიმედ აბარტყუნებდნენ ლურსმნით ნაჭედს ჩექმებს. ისინი თანდათან უახლოვდებოდნენ სულგანაბულ ამხანაგებს, რომელთაც ხანჯლები შეეპყროთ ხელში. მოუთმენლად, პირ-მოკუმულნი და წარბებ-შეჭმუხვნილნი გაქვავებულებსავით წაჰკროდნენ კლდეს და ელოდნენ.

სალდათები ვერა ხედავდნენ იმათ და, ძალიანაც რომ დაჰკვირვებოდნენ იმ ალაგს, ძნელად გამოარჩევდნენ ქვებიდგან თავ-გადადებულს მეგობრებს.

ღამე იყო ჩინებული, მშვიდი, მთვარიანი, სიოც არსაიდგან ინძრეოდა, ყველას გაეკმინდა ხმა, თითქოს ბუნებას მიეძინებინა თავისი შვილები, და მთვარე გამოსულიყო, რომ დამტკბარიყო ამ მოწყობილის მშვენიერებით. ათასში ერთხელ დაუცხრომელი ბულბული კვნესით ჩააკაკანებდა ალერსიანს, სევდიანს ხმას. უეჭველია, ძილში თავისი სატრფო მოლანდებოდა.

სალდათები მოახლოვდნენ და შესდგნენ იმ კლდესთან, რომლის იქიდგანაც იმალებოდნენ იაგო და იმისი ამხანაგები.

— მოდით, ჩიბუხებს მოუკიდოთ, — დაიძახა ერთმა, როდესაც კლდეს მიახლოვდნენ.

— კარგი იქნება, — მისცეს პასუხად, თოფები მიაყუდეს და დასხდნენ. სხვებმაც მოუკიდეს ჩიბუხებს და გამართეს ლაპარაკი.

— გუშინ სოფელში გამგზავნა ნაჩალნიკმა, — დაიწყო ერთმა.

— ქათმების სასყიდლად, — დაუმატა მეორემ.

— მივედი სოფელში, — გააგრძო მეორემ, — და დავიწყე სოფელში სიარული... ვიკითხე ერთგან, მეორეთგან, არავინა ჰყიდის ქათმებს?

— ჰფიქრობენ, სალდათს ქათამს ნუ მივყიდითო! ეგეთი წყეული ხალხია ქართველები!

— ბუსურმანები არიან, — დაუმატა გრძელ-ულვაშიანმა რუსმა.

— ვფიქრობ: „დამაცადეთ და მე გიჩვენებთ ამბავს“... ერთბაშად მივედი ერთს სახლთან, კარებში ინდოურები დადიოდნენ, მოვიქნიე ჯოხი და მოვდე ერთს ინდოურს. ძაღლის ყეფაზედ ვიღაცა დედაკაცი გამოვიდა და დაიწყო თავიანთ ბურუსმანის ენაზედ რაღაცის ჯიყჯიყი. მე ინდოურს წამოვავლე ხელი. ის ჩემკენ გამოექანა... ვეზიდებით ორნივ ამ ინდოურს — სასაცილო იყო. მე არ ვანებებ. გაბრაზებულმა დედაკაცმა წამოავლო ჯოხს ხელი და აკი დამკრა. ოხ, ეშმაკის შვილო, ვამბობ მე, დამაცადე, რა გიყო... ბევრი აღარ დამიგვიანია, ავდექი და ეზოში კი გავიშალე... გავინაბე სული... მოვიდა ხალხი, ლაპარაკობენ, მე მაბრუნებენ, წყალს მასხმენ, დედაკაცს კი ეჩხუბებიან, — იმათ ეგონათ, რომ მართლა მოვკვდი, — ეშინოდათ, რომ ხემწიფის მოსამსახურის სიკვდილისთვის გადაჰხდებოდათ. როცა იყო, გავახილე თვალი და ვითომ მაშინ მოვედი გონსა. წამოვხტი, გავავლე ხელი ერთს კაცს, ვეუბნები:

— წამოდი ნაჩალნიკთან, შენ დააშავე ხემწიფის მოსამსახურე... ვინა ხარ შენა? მუჟიკი!.. როგორ შეგიძლიან ხემწიფის სალდათს სცემო? — იმას შეეშინდა, სულ გაფითრდა, მეხვეწება, თავი დამანებეო... მე კი არ ვეშვები... მოშცეს სამი ინდოური, შვიდი ქათამი და მაშინ დავანებე თავი.

— ყოჩაღ, ყოჩაღ! — მოუწონეს სხვებმა.

— ნაჩალნიკთან რომ ეჩივლათ, რაღას იქმოდი?

— ნაჩალნიკს მე თვითონ უანბე.

— მერე?

— მადლობა მითხრა და ბევრიც იცინა.

— აი, ყოჩაღად შენ მოქცეულხარ! — მოუწონეს იმას.

— არ იქნებოდა — ნაჩალნიკმა მიბრძანა ქათმების სყიდვა

და ის დაწყევლილები კი არ მაძლევდნენ, მა რა უნდა მექნა?

ყველა ნატრობდა ამ ამბის მთქმელის ადგილს ყოფნას, რათა ბუსურმანი ქართველები გაეტანჯა. ჩიბუხები დიდი ხანია გაკეთებული ჰქონდათ და ელოდნენ სპიჩკის ანთებას, როშელიც ჰქონდა ერთს იმათგანს და დასველებოდა ჯიბეში. ის უფხაკუნებდა თავის ტოლამანზედ, მაგრამ ცეცხლი მაინც არ უჩნდებოდა. ბოლოს, როცა იქნა, იფეთქა სპიჩკამ და ერთბაშად გაანათა იქაურობა, შემდეგ, როცა სპიჩკა გაჰქრა, ყველას ერთბაშად თვალთ დაუბნელდა.

ამ წამსვე სამმა სალდათმა წამოიწივეს, მაგრამ ისევ მიწაზედ დაეცნენ და დაიწყეს ფართხალი.

იაგო და იმისი ამხანაგები, რომელნიც დროს არჩევდნენ ამ კაცების თავს დასასხმელად, სწორედ იმ დროს გამოცვივდნენ, როდესაც სპიჩკამ იელვა. წინადვე გამოანგარიშებული მანძილი და ხანჯლისთვის ამორჩეული ადგილი იქამდისინ სისწორით იყო, რომ არც ერთს ამხანაგს არ აუცდენია თავისი იარაღი.

ორი გადარჩენილი სალდათი გულგახეთქილები წამოცვივდნენ და ღრიალით გაიქცნენ ციხისკენ.

როდესაც იაგომ გული მოიჯერა და იმის წარმოუთქმელმა წადილმა კმაყოფილება მიიღო, ის წყნარ-წყნარად მოვიდა გონსა და სისუსტე შეეპარა.

იმას დაუწყო მუხლებმა ცახცახი, დეეხვა თავს ბრუ და თვალთ დაუბნელდა. ის თავისავე უნებურად დაეშვა დედამიწაზედ და წყნარად წარმოსთქვა:

— ერთი, ერთის ჯავრი მაინც ამოვიყარე!..

VII

იმ დროს მისი ამხანაგები, რომლებიც გაიქცნენ სალდათების დახოცვის შემდეგ, ერთბაშად შესდგნენ და დაინახეს, რომ იაგო იმათთან აღარ იყო. იმათ დავიწყებოდათ იაგოს სისუსტე და ამის გამო ჰგონებოდათ, რომ მოხევე იმათთან სიარულს შესძლებს.

— იაგო რაი იქნა? — იკითხა პირველად კობამ.

— აბა, რაი ვიცი, — უპასუხა თორღამ.

— იაგო! — გაიმეორა იმან, მაგრამ ეს ხმა მეორედაც ისე უპასუხოთ დაიკარგა ჰაერში, როგორც პირველად.

— ვაი თუ მომიკლეს! — დაიკრა მუხლებზედ ხელი კობამ და ორნივ ამხანაგები სირბილით წავიდნენ იმ მხარისკენ, სადაც რამდენიმე წუთის წინად სისხლის ღვრა მოხდა.

ისინი მირბოდნენ გულის ხეთქით, რადგანაც ეშინოდათ, რომ იაგო ან არ დაეჭირათ, ან არ მოეკლათ.

კობას მოაგონდა იაგოს სისუსტე და მაშინ მოიაზრა, რომ შესაძლებელი იყო იმას ისე შემოჰყროდა გულს და ამხტომ მოშორებოდა იმათ. თუმცა ეს მოაზრება კობას ამწვიდებდა ერთის მხრით, მაგრამ მეორე მხრით უფრო შემაწუხებელმა ფიქრებმა გაურბინეს თავში:

— ახლა რომ იქ მოასწრონ და დაიჭირონ, რაიღა მეშველებისა?

— იმ ურჯულოებმაც ღრიალი შექნეს, — დაუმატა თორღამ.

— ნეტავ ისიც არ გაგვეშვა და მოგვეკლა, — ჯავრით წარმოსთქვა კობამ..

— ლომისა შეგვეწევის! — მიხცა იმედი თორღამ.

ისინი მივიდნენ იმ ადგილას და ჩქარა იპოვნეს გულშემოყრილი იაგო, რომელიც თორღამ წამოიკიდა, და გასწიეს ჩქარის სიარულით თავის გზაზედ.

სალდათები, რომლებიც გადარჩნენ და გაიქცნენ ყვირილით და რომლებისაც ისე ეშინოდათ კობას და იმის ამხანაგს, მიმალულიყვნენ ბუჩქებში და ცახცახით, გულგახეთქილები გათენებას ელოდნენ.

როდესაც ყველაფერი დამშვიდდა, განთიადის სიომ დაჰკრა, ისინი წყნარა და სიფრთხილით გამოძვრნენ თავიანთის სამალიდგან, გაჰედეს იმ ალაგს, საიდგანაც ისე გულგახეთქილები გამოიქცნენ და დაინახეს თავის სამი ამხანაგი, რომელთათვისაც სიკვდილს სახე დაეპრანჭა და გულღმა ეყარნენ.

ისინი წყნარად მივიდნენ, აიღეს თავ-თავიანთ თოფები, რომლებიც იქვე ეყარა და დაფიქრდნენ თავიანთ მდგომარეობაზედ. იმათგან არც ამხანაგების შებრალება, არც სხვა რომელიმე კაცობრიული გრძნობა! იმათ მხოლოდ ეშინოდათ თა-

ვისი უფროსისა, რომელიც უეჭველად გადააბდევინებდა აქამდინ სიჩუმისთვინ.

— რა ვქნათ? — სთქვა ერთმა.

— ნაჩალნიკი როზგით ტყავს გაგვაძრობს, სულს ამოგვაართმევს! — დაღონებით უპასუხა მეორემ.

კარგა ლაპარაკისა და ფიქრის შემდეგ, რომელიც მარტო იმათ პირად საქმეს შეეხებოდა, იმათ გადაწყვიტეს, რომ გაისვრიან თოფებს, გაიქცევიან ციხეში და მოიგონებენ, ვითომც მთელი ჯარი დაეცა, გატეხეს ციხე და პყრობილები წაიყვანეს. იმათ ორი მარჯვე სროლით მტრებს მოუკლეს ორი კაცი. მაგრამ იმათ დახოცილები თან წაიღეს და შეშინებულები გააქციეს.

— აგრე ხომ წყალობასაც მოგვცემენ! — სიამოვნების ღიმილით წარმოსთქვა ერთმა.

როგორცა სთქვეს, ისეც მოიქცნენ: ესროლეს თოფები და გაიქცნენ ღრიალით ციხისკენ.

მოისმა ბარაბნების ხმა, რომელზედაც განგაშს სცემდნენ და ტკბილის ძილიდგან გამოღვიძებული ციხის უფროსი თმაგაწეწილი და ფეხშიშველი გამოვარდა გარედ.

— რა ამბავია? — შეშინებულის ხმით დაიძახა იმან.

— რა მოგახსენოთ, თოფები გაცვივდა, — უპასუხა კარებთან მდგომმა ყარაულმა.

სალდათები გამორბოდნენ. გზაში იკეთებდნენ თავიანთ სამკაულს, რადგან შეშურვა შინ ვერ მოესწროთ.

წარმოუთქმელი არეულობა იყო, მით უფრო, რომ ჯერ არავინ იცოდა, რა ამბავია, ან ვისთან ექნებოდათ საქმე.

ამ დროს შემოცვივდნენ ის სალდათები, რომელთაც ისეთი არეულობა მოახდინეს თავიანთი თავის დასაცველად. ისინი მივიდნენ პირდაპირ ნაჩალნიკთან.

— რა ამბავია? — შორიდგანვე დაუძახა იმან.

— მტერი გამოჩნდა, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! უფროსი დაიფანტა, თმა უფრო აებურძგნა.

— ვინ მტერი? სად? როგორ? — არევით იკითხა იმან.

— ციხეს დაეცნენ, გატეხეს, ტუსაღები წაიყვანეს.

— რას მეუბნებიან? — გულგახეთქით წამოიძახა აფიცერმა, რომელსაც პირისახე დაუმახინჯა შიშმა.

— სამი სალდათი მოგვიკლეს, ჩვენც ორი მოვკალით, მაგრამ დახოცილები თან წაიღეს და თითონაც გაიქცნენ.

რა რომ სიტყვა „გაიქცნენ“ გაიგონა და დაინახა, რომ იმის სიცოცხლეს აღარავინ ერჩოდა, გული მოეცა, მაგრამ მაინც პირველი იმისი ფიქრი იყო პირადი საქმე.

— მაინც პასუხისგებაში მიმცემენ! — დაიძახა იმან და წაივლო თმებში ხელი.

ის შებრუნდა შინ, ჩაიცვა საჩქაროდ და გასწია სალდათებით და კიდევ ერთის იქ მყოფის უფროსით ბრძოლის ველზედ.

იქ მივიდნენ, ნახეს დახოცილი რუსები, ნახეს ციხის გახსნილი კედელი და შეიტყეს იაგოს გაქცევა, რომელიც ყველაზედ მეტად ეწყინა მბრძანებელს.

ციხის უფროსმა ერთი აფიცერი და რამდენიმე სალდათი გამოუყენა გაქცეულებს, რომელთ რიცხვიც ასორმოცდაათს კაცს უნდა გადასჭარბებოდა სალდათებისგან მოტანილის ცნობით; თითონ კი დაბრუნდა ციხეში, სადაც სასტიკი გამოძიება უნდა მოეხდინა.

ამ ხანში იაგო თავის ამხანაგებმა გაიყვანეს ერთი მთის სერზედ, სადაც მოაგროვეს სველი ბალახი, ზედ გადააფარეს ნაბადი და იმაზედ დააწვინეს დასუსტებული...

იაგოს, რომელიც დაეღალა სიარულს, მოუსვენებლობას და წარსულს ცხოვრებას, ეძინა, როგორც მკვდარს. იმისი ამხანაგები კი სადილის ზრუნვას შესდგომოდნენ და ირმებზე სანადიროდ წასულიყვნენ.

ესენი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც განრისხებული ციხის უფროსი შევიდა სწორედ იმ მოხუცთან, რომელიც იაგოსთან იყო დამწყვდეული.

ამათ შესვლაზედ მოხუცი, რომელიც ჩალაზედ იწვა, გადაბრუნდა და თვალები მოარიდა შესულებს.

— შენ, ეი! არ გესმის, ვინ შემოვიდა? — დაუყვირა უფროსმა და დაუბრიალა თვალები.

მოხუცმა ხმა არ გასცა.

— არ გესმის? — გაუმეორა უფროსმა.

— მესმის, — უპასუხა პყრობილმა.

— მერე უფროსს ეგრე უხვდებიან?

ქიდევ პასუხი არ მიიღო და ამან უფრო გააცეცხლა.

— ადეგ! — დაჭყივლა იმან ერთბაშად და შემოჰკრა სილა.

— რადა მცემ?.. რას შემართლები?..

— ადექ-მეთქი! — გაუმეორა ნაჩალნიკმა.

— არ შემიძლიან, მუხლები დაზიებული მაქვს.

— ააყენეთ! — უბრძანა იმან იქ მყოფ სალდათებს და ისინიც მისცვივდნენ.

— ულმერთონო! დახედეთ ჩემს მუხლებს! — უთხრა მოხუცმა და გადმოაშვირა მუხლი, რომელსაც საფარი შემოგლეჯოდა და ნაფლეთების ქვეშიდგან ტიტველა ხორცი გამოსჩენოდა. მაგრამ, ოჰ, ღმერთო! რა ხორცი იყო! გამხდარი, ცარიელა ტყავი, რომელშიაც წყალი ჩამდგარიყო და, დარუმბებულს, კანი იქამდის გათხელებოდა, რომ შიგ შუქი გადიოდა.

გასიებული ფეხი და მუხლი კოჭებთან მოჭერილს ბორკილს ჩაეჭამა და ხორცი დაფარულიყო იარებით; უწამლობისა და რკინისაგან მუდამ ჩაჭმის გამო ერთ ალაგს ძვალი გამოეჩინა და ზედ შემხმარი სისხლი და ჩირქი შესაზიზღ ტალახის ფერად გარდაქცეოდა. ალაგ-ალაგ სილურჯე აძტკიცებდა, რომ ამ მდგომარეობას ჩქარა ბოლო უნდა მოეღო ამ წაჰებულისთვის.

— უკაცურნო, დახედეთ!.. კაცობა აღარა გაქვსთ?

სალდათებმა ყური არ უგდეს იმის ლაპარაკს და წამოაგდეს მოხუცი, რომელიც ტკივილისაგან იკლაკნებოდა და ძლივს-ღა იდგა.

— დადეგ, დადეგ, ძაღლი კოჭლობით არ მოკვდება! — ტუჩების ღრღნით უთხრა უფროსმა და დაუწყო ყურება.

ის უყურებდა დიდხანს რაღაცა სიამოვნებით და თითქოს სტკბებოდა მოხუცის მწუხარებით და ტკივილით; უფროსი იგრეხდა ულვაშებს; ხანდისხან წარმოსთქვამდა რაღაცა გაძოურკვეველ ხმებს და დროგამოშვებით ანძრევდა ერთს ფეხს. ბოლოს შესწყვიტა სიჩუმე და ერთბაშად შეუტია:

— სად არის იაგო?

მოხუცმა გაკვირვებულის თვალით შეხედა, რადგანაც ვერ გაეგო რასა ჰკითხამდნენ.

— რას დაგიჭყეტია თვალები? მიპასუხე — რა იქნა იაგო?

— იაგო?! — კიდევ ვერ გამოერკვია მოხუცს, რასა ჰკითხამდნენ.

— ჰო, იაგო!

— იაგო თქვენ წაიყვანეთ! თუ მოჰკალით, სხვას რას უზამდით — რაი გამოგივათ ხელიდგან?

— ნუ ეშმაკობ, მაგით ვერ მომატყუებ.

— ჰე არ ვეშმაკობ, მართალს გეუბნები.

— სად გაიქცა ან ვინ უშველა?

— გაიქცა?! — მღელვარებით წარმოსთქვა მოხუცმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუშატა: — ღმერთმა ხელი მოუმართოს, თუ გაიქცა.

— შენ ხომ იცოდი, რომ გაიქცეოდა? უეჭველია გეტყოდა.

— არ ვიცოდი და არც უთქვამს.

— სტყუი!

— მე მთიული ვარ.

— მითხარ ყოველისფერი, თუ თავი გებრალება.

— მე სიკვდილი არ მაშინებს და არც ტყუილს ვიტყვი.

— გათქმევინებ, ყოველისფერს გათქმევინებ! — მივარდა უფროსი და დაუწყო წვერ-ულვაშის გლეჯა.

მთიული მთლად გაფითრდა ამგვარად დამცირებისთვის.

— ურჯულოს მეტი კაცის ულვაშს ვინ შეეხება?.. რაიც გინდა ქენით, ლომისის მადლმა, კაცობა არა გაქვსთ...

— გაჩუმდი, გაჩუმდი, შე ავაზაკო, კერპო შენა, თორემ შემომაკვდები!

მოხუცს თავში გაუელვა აზრმა, რომ ეს საუკეთესო წუთი იყო თავის სურვილის აღსრულებაში მოსაყვანად და ეს სურვილი კი იყო სიკვდილით გადარჩენა...

VIII

— მაშ არ იცი, არა? — ცემით ეუბნებოდა უფროსი.

— ვიცი, — უპასუხა მოხუცმა, თითქოს შეწუხებამ წარმოათქმევინა უნებურად.

— ძლივს! — წარმოსთქვა უფროსმა და ღიმილით დაუმატა: — თითქოს არ გინდოდა თქმა?

— ძალა აღმართსა ხნავს! მეტი რა დღე მჭონდა, რომ არ მეთქვა!

— არ იცოდი, რომ ეგრე იქნებოდა?.. აბა მიამბე ყველაფერი დაწვრილებით.

მთიულმა ჩაიცინა და უპასუხა:

— გიამბო?.. რაისთვი გიამბო? ყველაფერი ვიცი, მაგრამ არ გიამბობ, ლომისის მადლმა!

— რაო? — მიუახლოვდა გაოცებული აფიცერი.

— მე ყველაფერი ვიცოდი, — ვიცოდი, რომ იაგო უნდა გაქცეულიყო, ვიცოდი, ვინც იმის ამხანაგები იყვნენ, ყველაფერი ვიცოდი, ყველაფერი, მაგრამ შენ კი არ გეტყვი.

— მოგკლავ, ჩამოგახრჩობ! — მივარდა უფროსი.

— რაც უნდა მიყო, ლომისის მადლმა, არ გეტყვი.

— მაშ არ მეტყვი?

— არა.

აფიცერმა გაიარ-გამოიარა და მიუბრუნდა კიდევ:

— გირჩევ მითხრა, თუ თავი გებრალება.

— სიკვდილისა თქვენ გეშინიათ, დიაცები თქვენა ხართ, მე რაი მათქმევინებს?.. არ ვიტყვი, აგრემც შემეწევა პირიმზე.

უფროსის ყოველი მეცადინეობა, ალერსი, მუქარა თუ დაყვავება ამაოდა რჩებოდა და მოხუცმა სიტყვა არ გააწყალა იაგოს გაქცევაზედ. ან რა უნდა ეთქვა, როდესაც თითონაც არა იცოდა-რა და მხოლოდ ისე ტყუილად მოიგონა უფროსის გასაჯავრებლად.

— მაშ არ იტყვი, რაღა? — უკანასკნელად ჰკითხა პყრობილს.

— არა.

— აბა! — ანიშნა თვალით იქ მყოფ სალდათებს და ერთს წამზედ იმათაც როზგები მოიტანეს.

— წამოაქციეთ! — უბძანა ციხის ბატონმა და იმათაც აასრულეს ბძანება.

თავზედ და ფეხებზედ დაასხდნენ სალდათები, ორნიც აქეთ-იქით დაუდგნენ და დაუწყეს ტიტველა ხორცზედ უწყალოდ ცემა. პირველ დაკვრაზედვე ხორცი ჯერ გაწითლდა, მერმე ლურჯად გადაიქცა, ბოლოს ყავარ-ყავარ დასქდა და სისხლმა ჩქეფით დაიწყო ამოდენა. წკეპლები დაიმტვრა და

რამდენჯერმე გამოიცვალეს ახალ-ახალი კონები; გამოიცვალნენ მცემლებიც, რომელთაც ოფლი წურწურით გასდიოდათ დაღალვისაგან, მაგრამ გაკერპებულს ტუსაღს სიტყვა ვერ წარმოათქმევინეს.

— ყველაფერი ვიცი, — გასძახოდა ისა, — მაგრამ ძაღლებს არ გეტყვით, არა!

ყოველ დაკვრაზედ ინსტიქტიური თრთოლა ამტკიცებდა წარმოუდგენელს ტკივილს. ხორცი ცემით ისე დაეკეპა, როგორც გუფთა და ბოლოს ნაფლეთ-ნაფლეთი სდევდა წკეპლებს და ცვივოდა აქა-იქ. მოხუცი თანდათან სუსტდებოდა, მაგრამ იმის პირს არც ხვეწნა და არც მუდარა არ წარმოუთქვამს. უკანასკნელმა მიხრწნილმა ხმამ კიდევ ლანძღვა და წყევლა გააგონა უსამართლო მტარვალებს და ამ სიტყვებთან ერთად იმან დაჰკარგა გრძნობა. ამ მდგომარეობაში კიდევ კარგა ხანს სცემეს, მაგრამ მოხუცი აღარ ინძრეოდა.

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, აღარ ინძრევა, — შენიშნა სალდათმა, რომელიც თავზედ აჯდა.

— ტყუილად იგონებს სიკვდილს! — გულგრილად წარმოსთქვა ბრძანებელმა და დაუმატა: — აბა კიდევ რამდენიმე ცხელ-ცხელი მიარტყით, მაშინა ვნახამთ.

სალდათები თუმცა ცდილობდნენ ბძანების აღსრულებას, მაგრამ მოხუცი გონს აღარ მოვიდა, მკვდარსავით ეგდო.

როცა კარგად გული იჯერეს და დარწმუნდნენ, რომ მოხუცი არ ეშმაკობდა, იმათაც ხელი აიღეს ცემიდგან. დამახინჯებული, დაფლეთილი შეაგდეს ერთს ოთახში, სადაც ჩქარა სული დალია უბედურმა, საშინელს ტანჯვასა და სულის ბრძოლაში. ის უკანასკნელად თითქოს მხოლოდ იმისთვის მოვიდა გონს, რომ უფრო ეგრძნო თავისი სიმარტოვე, უპატრონობა. იმას არ დაიტირებდნენ არც ცოლი, არც შვილი, არც ნათესაობა! იმის გვერდით არ იმყოფებოდა ისეთი პირი, რომელსაც წმინდა გულით შენანებოდა იმისი დაკლება, შენანებოდა ისე კი არა, როგორც ხარი, ცხენი, რომელიც საცხოვრებელს აძლევდა, არამედ ისე, როგორც დასახლებული იმის გულში, რომელსაც ამისი სიკვდილით გულიდგან მართლა რაღაცა სწყდებოდა.

მოხუცმა გაახილა თვალები, მოიკრიფა უკანასკნელი ღონე,

რომ წამოეწივა. მასუკან წამოახრიალა ყელში შვილების სახელი, სალდათების წყევლა და უკანასკნელს სიტყვებთან დალია სული...

ამ ხანში თორღას და კობას წყლის ბილიკი შეეკრათ ირმის ჯოგისთვის და მოუთმენლად ელოდნენ იმათ გამოჩენას.

გაიარა რაოდენმა ხანმა ამ ლოდინში, მაგრამ ირმები, თითქოს განგებ, არ ჩნდებოდნენ, თუმცა კვლავად ისინი ამ ადგილებში შეუხვედრად არ დარჩენილიყვნენ, რადგანაც იქ აუარებელი რიცხვი ჯოგ-ჯოგად დადიოდა მლაშეზედ სალოკად და წყლის სასმელად.

იმედ-დაკარგულნი ის იყო უნდა წამომდგარიყვნენ მონადირეები და წასულიყვნენ ბინისკენ, როდესაც მოისმა ხმელი ფოთლების ფაჩი-ფუჩი და ხმელი წიწკების მტვრევა.

— მგონია, ღმერთი გვაძლევს, — წყნარად წასჩურჩულა თორღამ და ორთავ დაუწყეს ყურება იმ მხარეს, საიდგანაც ფეხის ხმა ისმოდა.

IX

დიდმა ხანმა ალარ გაიარა, როდესაც მოისმა ტყის გამხმარი ტოტების ლაწი-ლუწი და გამოჩნდა ამაყად მომავალი ხარი ირემი, რომელსაც ყურები დაეცქვიტა; მაღლა ამაყად აეღო თავი და თეთრი მკერდი თითქოს ნიშანში ამოსაღებად გამოეჩინა. ის მოდიოდა წყნარად, ხანდისხან შეჩერებით და აბრიალებდა შავს, კუპრის მსგავს თვალებს. ყოველი მიხრა-მოხრა ამტკიცებდა, რომ იმას დიდი ხანია გაუმარჯვნია თავის მეტოქეებზედ და უშიშრად უარშიყდებოდა ფურებს, რომელნიც, უეჭველია, იმას ირჩევდნენ პატარა უღონო წალებს. ის ისე რიგად მოდიოდა, თითქოს საბრძოლველად იწვევდა ყველას, ვინც კი გაბედავდა წინ გადადგომას და ეს მიხრა-მოხრა იქამდინ მედიდური და ამაყი ჰქონდა, რომ კობას გადაშვერილი თოფი ისე დარჩენოდა და გატაცებული სტკბებოდა ამ მშვენიერის სურათით. ირემი შესდგა, დაიფრუტუნა და გაიქნია თავი; თითქოს გაჯავრდა, რომ არავინ შეხვდა თავის ღონის საცდელად. ბოლოს ის შეიკუმშა, გადახტა, შეჰკრა რამდენიმე

კამარა და რქებით დაეტაკა იქვე მდგარს მუხის ხეს. ის კარგა ხანს ებრძოდა იმას და იკლავდა ბრძოლის ჟინს, როდესაც თორღამ გამოიყვანა კობა თავდავიწყებიდგან და უთხრა:

— დასაკლავ ხარს რაი-ღა ყურება უნდა? ახალე, თორემ იაგოც მარტოკა გვრჩების.

— ჰო, ჰო, მართალი ხარ... დასაკლავს რაი-ღა ყურება უნდა, — განიმეორა კობამ ოხვრით და გაუმიზნა თოფი.

ირემი ამ დროს გაშორდა მუხას და გაანჩხლებული, რომ იმის ძალას ასე უმაგრდებიან, თავგანწირვით გაექანა ხელახლად, მაგრამ მუხამდინ ვეღარ მიაღწია: გავარდა თოფი და ირემი დაეცა ჯერ წინა მუხლებზედ და, ცოტა წამოსადგომად ცდის შემდეგ, გაიშალა მინდორზედ.

— გაუმარჯოს შენს მარჯვენას! — დასძახა თორღამ და გადაფრინდა ირმისკენ, რომელსაც ყელში დანა გაუგდო.

ირემმა შემოხედა გონივრულის თვალით, მწარედ დაიბღავლა და რამდენიმე გაჟრჟოლების შემდეგ დალია სული.

კობა თუმცა კარგი მონადირე იყო და ბევრი ირემი დაეჩოქებინა იმის „მაჟარს“, მაგრამ მაგალითი არ ყოფილა, რომ მოკლული მეტის-მეტად არ შენანებოდა, ან ისე დროს გასატარებლად მოეკლა ნადირი. ეხლაც ის დაღონებული სწმენდამდა თავის თოფს, მაშინ, როდესაც იმისი ამხანაგი სიხარულით ირემს ტყავს ხდიდა.

იყო იმისთანა მაგალითები, როდესაც კობა მთელი საათობით თოფ-გაშვერილი იჯდა და გაჰყურებდა რომელიმე ნადირის ლაღობას.

— მოდი, მიშველე, ვეღარ დავერიე ამ ბაითალს! — მოუბრუნდა თორღა, როდესაც იმან დასერა ირემი ტყავის გასახდელად.

კობამ წყნარად დადო თოფი, წყნარადვე მივიდა და ხელი გაავლო ირემს.

— დახედე, დახედე, რამოდენა რქები ჰქონია! — იძახდა სიხარულით. ირემი ჩქარა გაატყავეს, გამოშიგნეს, ამოიღეს გულ-მუცელი, კუჭმაჭები და სამწვადეები. დანარჩენი ხორცი აკაფეს, გაახვიეს ტყავში, უფეთქეს გარშემო თოფის წამალი, რათა წამლის სუნზე ნადირი ვეღარ მიჰკარებოდა, და გაჰბრუნ-

დნენ ბინისკენ. გზაში თორღა შედგა და დაიკრა მუხლზედ ხელი:

— რაი ამბავი? — ჰკითხა კობამ.

— ვაი შენს თორღას! ფაშვი აკი დამავიწყდა!

— ფაშვი რაღად გინდა? — ჰკითხა ამხანაგმა.

— ხორცს მოვხარშავთ, წვენს გაუკეთებთ იაგოს... წვენი კარგია, გულს უპოვნის ავადმყოფს.

ამ სიტყვებით თორღა გაბრუნდა, მივიდა, გამოშიგნა ფაშვი, წმინდად გარეცხა იქვე ჩამონადენ წყაროში და გაუდგა თავის ამხანაგს.

როდესაც ისინი მივიდნენ, იაგო ჯერ კიდევ ხშირს ძილში იყო და ამისთვის იმათ წუნარა მოაგროვეს ხმელი შეშა, დაანთეს ცეცხლი, გააკეთეს სამფეხა საკიდელი, რომელზედაც შემოჰკიდეს თან მოტანილი ფაშვი, გამსებული წყლით და ირმის ხორცით.

მერე მოკაფეს ფოთლიანი ფიჩხი და მოუჩრდილეს იაგოს, რადგანაც მზეს მეტად გაეხურებინა იქაურობა და თითონ მძინარესთვისაც საკმაოდ ძალა დაეყენებინა, რადგანაც გამონახეთქი ოფლი მარგალიტსავით სახეზედ დაჰყროდა.

როდესაც საქმეებისაგან მოიცალეს, ისინიც უზრუნველად გაწვნენ და დაღალულები მიეცნენ ტკბილ ძილს.

მზე გადიწვერა და საღამოს ნიავმა დაჰქროლა, როდესაც იაგოს გაეღვიძა და დაჭერის შემდეგ პირველად იგრძნო გამაცოცხლებელი წმინდა ჰაერის მკურნალი ძალა.

ის თავის თავს გრძნობდა როგორღაც სუბუქად, მხიარულად და დიდი ხნის მოკლებული თავისუფლებას, ძალზედ აღებდა პირს და შეისუნთქავდა ყნოსიერებით სავსე ჰაერს.

ყოველი ბალახი, ყოველი ყვავილი გამაცოცხლებლად მიიზიდავდა იმის თვალს და წარმოუთქმელად ახარებდა იმის გულს.

რამდენიმე ამოსუნთქვა საკმაო იყო, რომ ეგრძნო წარმოუთქმელი შიმშილი, რომელსაც აგრძნობინებდა იმისი დასუსტებული სხეული, რომელიც ითხოვდა დაკლებულის შევსებას და გამაგრებას.

მაგრამ თითონ ეს შიმშილიც გადაავიწყდა, რადგანაც გიჟივით წამოვარდა, როდესაც თავისი თავი დაინახა თავისუფ-

ლად და დარწმუნდა, რომ დღეს თუ ხვალ ის შეუერთდება თავის სანატრელს ნუნუს.

იქამდისინ მიაღწივა იმისმა სიხარულმა, რომ ადგილზედ ვეღარ დადგა და ჩავიდა იქვე ჩამომდინარს წყაროსთან, სადაც სახე და თავი გაიგრილა.

ამ ხანში იმისი ამხანაგებიც წამოდგნენ და ყველანი ჩავიდნენ წყაროსთან, სადაც გახარებულნი ეხვეოდნენ და ულოცავდნენ ერთმანერთს ასე მშვიდობიანად გადარჩენას.

როდესაც პირველმა მღელვარებამ გაიარა, ისინი ავიდნენ ბინაზედ და დასხდნენ სადილად. ნადირის მწვადები მადის გამხსნელს სუნს ატრიალებდნენ ჰაერში.

ისინი სჭამდნენ, როგორც კი დამშეულს ხალხს ჭამა შეუძლიან — უსიტყვოდ და გაჩუმებულნი. მხოლოდ იაგოს აფრთხილებდნენ, რომ ხორცს გადაჩვეულს კუჭს მეტი არ მოსვლოდა.

შიმშილი მოიკლეს.

იაგოს გული არ უსვენებდა და უნდოდა ჩქარა გაეგო ნუნუს ამბავი, რომელსაც, იმისი აზრით, თვალები უნდა გასწყალებოდა სატრფოს ლოდინში.

მაგრამ კობა თითქოს გასჯიბრებოდა და განგებ არას ეუბნებოდა იმაზედ და საზოგადოდ ფრთხილობდა თავის მხრის შეხებას.

იაგო ფიქრობდა: „რაი მოუვიდა, რაისთვი მაწვალებს?.. რაისთვი არას მეუბნების?!“

კობა კი ფიქრობდა: „საიდგან დავიწყო ლაპარაკი, რაი უთხრა, როგორ გავაგონო ნუნუს გატაცება?“

ამგვარად ორნივ მოუსვენარს და უხერხულს მდგომარეობაში იყვნენ. ბოლოს იაგომ ვეღარ გასძლო და შორიდგან დაიწყო:

— კობავ, რაისთვი არ მიამბობ შენს თავზედ გადასახადს?

— რაი გიამბო — კაცი შემომაკვდა, სისხლი დამედო და გამოვიქეც.

— კაცი შემოგაკვდა, სისხლი დაგედო? — შეწუხებით იკითხა იაგომ და დაუმატა: — რაისთვი, ვინ შემოგაკვდა?

— ოსი.

იაგო რომ სხვა ქვეყნის კაცი ყოფილიყო, მაშინვე დაუ-

წყებდა დარიგებას, რომელიც ყველრებით სავსე იქნებოდა, მაგრამ იაგო მოხვევე იყო და იცოდა, რომ დარიგებით და ყველრებით საქმეს ალარ ეშველებოდა და ამ მხრით სიტყვების დაკარგვა ამაო იქნებოდა. ამისთვის პირველი აზრი, რომელმაც თავში გაურბინა, იყო — როგორ უშველოს თავის ძმადნაფიცს, როგორ მისცეს მოსვენებული ცხოვრება და როგორ დაიფაროს მოსისხლეებისაგან? ამასთან იმას უნდოდა გაეგო — რაგვარად შეემთხვა ეს უბედურება: ოსის სრკვდილი იყო შემთხვევით, ჭალაჩუნად, საფარიდგან, თუ ვაჟკაცურს ბრძოლაში, როგორც შეჰფერის მებრძოლს, ომით გაუმაძღარს ხალხს!

ყველა ამას თავისი მნიშვნელობა ჰქონდა და გულს კანკალით მოელოდა — რას გაიგონებდა კობასაგან.

— რაისთვი მოჰკალ? როგორ იყო? — ჰკითხა იმან და მთლად სმენად გადაიქცა.

— ნადირობ მივდიოდი, ტყიდგან ქალის კივილი წემომესმა და გადაველ. იმას რამდენიმე კაცი გაწბილებას უპირებდნენ, მე წავეშველე და ერთი ოსი შემომაკვდა.

— ვაჟკაცი ნიადაგ ვაჟურად მოიქცევა! — სიხარულით წამოიძახა იმან.

ამ ლაპარაკში თორღამ, რომელსაც ძმადნაფიცების მარტოდ დაგდება უნდოდა, აკრიფა ჭურჭელი და წაიღო წყაროზედ დასარეცხად.

— ეხლანდელი სამართალი შენც იცი: შინ ალარ დამედგომებოდის და წამოველ! — დაიწყო კობამ, როცა მარტონი დარჩნენ.

— რაი ვუყოთ, ერთად ვიცხოვროთ! — უპასუხა იაგომ.

— შენი დატუსაღება მაღონებდის და ველარ გავძელ... ე თორღაიც მთიულია, ეგეც კაც-ნაკლავია: ყაზახი მოჰკლა... ერთად შევიყარენით, ძმად გავიფიცეთ და მერმე შენს გამოსახსნელად წამოვედით; თორღამ ციხის ანბავი იცოდა და წმინდა გივარგიმ კი ხელი მოგვიმართა.

— განა იცოდით, რომ მე იმ ოთახში ვიყავ დამწყვდეული?

— არა... ჩვენ იმ ოთახიდგან ციხეში გვინდოდა შესვლა და მერე რაიც უფალი გვაგონებდა, იმას ვიქმოდით.

— ვაჟად გიცნობდი და არც მოვტყუვდი, — შეაქო იაგომ.

ჩამოვარდა ისევ სიჩუმე.

X

— ცხო რაისთვი აღარას მეუბნები? — ჰკითხა იაგომ.

— რაი-ღა გითხრა? — უპასუხა კობამ და დახარა თავი.

— მითხარ რაიმე, ღვთის მადლსა!

— რაი-ღა გითხრა ჩვენი სიბედშავის მეტი!.. გვახჩობენ, სულსა გვხდიან და ჩვენ კი გაჩუმებულები ვართ.

— არ ვიცი, რაი ღმერთი გაწყრა? სულ დიაცებად გადაიქცნენ თუ რაი მოუვიდათ?..

— არ ვიცი, არა... ჩვენ კი აღარ გვეცხოვრების და...

ჩამოვარდა კიდევ სიჩუმე, რომელიც დაარღვია ისევ იაგომ.

— ცხო? — იკითხა იმან.

— ცხო რაი-ღა?

— რაისთვი არას მეუბნები იმაზედ?

— ვიზედ? — მოარიდა პირი კობამ.

— არ იცი, ვიზედაც გკითხავ?.. რაისთვი ეშმაკობ, რად არ მეუბნები? ადამიანი ჭირსაც უნდა მოელოდეს — ლხინსაცა. რაისი გეშინიან, მითხარ ყველაფერი.

— ჰო, ჰო, რაი დაგიმალო: ნუნუ გაიტაცეს, — კარგა ყოყმანის შემდეგ უთხრა კობამ.

ეს ამბავი იაგოს ზარსავით დაეცა და თვალთ დაუბნელა. ასე რომ, კარგა ხანს ხმა ველარ ამოიღო.

— ვინ გაიტაცა? — ბოლოს ძლივს წარმოსთქვა იმან.

— გირგოლამ.

— გირგოლამ? — კბილების კრაჭუნით წარმოსთქვა იმან.

— რაი-ღა დავმალო, იმის გატაცებაში მოვკალ ოსიც.

— ო-ო! ჩამივარდება როდისმე ის უღმერთო ხელში და, ღვთის მადლმა, დედის ხსენს ვარწყევინებ პირიდგან.

კარგა ხანს შფოთავდა იაგო და კობა კი ამშვიდებდა.

— ტყუილი ჯავრი რაი ვაჟკაცთ წესია?

— ჰაი, ჰი, რომ გადუხდი! ღვთის მადლმა, ეგრე გადუხდი, რომ თითონაც არ მოელოდეს!

ამის შემდეგ იაგო თითქოს დაწყნარდა და სთხოვა კობას, რომ ყველაფერი დაწვრილებით ეამბო.

კობაც მოჰყვა თავიდგან და ბოლომდის გავიდა. შეატყობინა იმათი არშის ციხეში გახიზნება და თავისი ამბავი, რომელიც იაგოსავით შეყვარებული იყო, და გირგოლას უკაცურობამ კაცი შემოაკლა და საყვარელს გააშორა.

კარგა რჩევის შემდეგ იმათ გარდასწყვიტეს, რომ გაიტაცებდნენ თავიანთ საყვარლებს და, რადგანაც თავის ქვეყანაში აღარ ეცხოვრებათ, გადავლენ შამილთნ, რომელსაც კარგად ხმა გაუვარდა და რომელზედაც მთელს მთის ხალხს თვალი ჰქონდა მიპყრობილი, რადგან დახსნას და შველას მოელოდნენ.

ამ დროს ამოვიდა თორღა.

— თორღაუ! შენ კობას ძმადნაფიცი ჰყოფილხარ, დღეის იქით ჩემიც ძმა იქნები.

— მტერზედ მოქნეული ხმალი ტარშიმც გადუტყდეს შენს მოღალატეს, — უპასუხა თორღამ და ამოიღო მასრიდგან ტყვია: — აჰა, ჩემი ტყვია.

იაგომაც თავის სასწრაფოდგან, რომელიც კობას მოეტანა იმისთვის, ამოიღო ტყვია.

— აჰა, ჩემიც.

ორთავ ერთს დროს გაიშვირეს ხელები და, სანამ გასცვლიდნენ ტყვიებს, წარმოსთქვეს:

— ჩემი მარჯვენა შენს მარჯვენას ემსახუროს, ჩემი თვალი — შენს თვალს, ჩემი მუხლი — შენს მუხლს; მოღალატეს რისხამდეს ლომისა.

— ამინ, — წყნარად წარმოსთქვეს სამთავ.

იაგომ და თორღამ ტყვიები შეცვალეს, მოეხვივნენ ერთმანერთს და სამჯერ ჩაიკრეს გულში ერთმანერთი.

მთვარე, რომელიც გაკაშკაშებულიყო ლაჟვარდის ცის სივრცეში, თითქოს განგებ გამოსულიყო, რომ მოწმად დასწრებოდა იმათ შეერთებას.

ამის შემდეგ იმათ გადაწყვიტეს, რომ ერთს კვირას ამ ადგილს არ მოშორდებიან, რადგანაც დასუსტებულს იაგოს ეჭირებოდა დასვენება და ჯანის მოკრეფა, და ასეთს ყოველის მხრით შემკობილს ადგილს ვერსად იპოვნიდნენ.

როდესაც იაგოს დაატყობდნენ მოკეთებას, ისინი წავიდოდნენ, გაიტაცებდნენ თავიანთ გულის საყვარლებს და პირდაპირ გალაშკაში გავიდოდნენ.

ესენი აქ ასე ცხოვრობდნენ და ნადირობაში ატარებდნენ დროს, როდესაც გამწარებული გირგოლა ყაზახებთან ერთად ხან რომელს მეცხვარეს დაეცემოდა, ხან რომელს და ეძებდა იაგოს, მაგრამ იმის მოცადინეობა ამაოდ რჩებოდა და ამ შემთხვევით გაცეცხლებული მწყემსებზედ ყრილობდა ჯავრს.

ჯერ თხუთმეტამდინ ალალმართალი მწყემსი დაეჭირათ და დამწყვდეული ჰყვანდათ, თუმცა იმათ იაგოს ამბავი არა იცოდნენ-რა.

ერთ დღეს ნაროვნის მთაში მეცხვარეებს ის-იყო მოერეკათ ცხვარი და სწველავდნენ, როდესაც მოისმა ცხენების ფეხის ხმა და გირგოლა ოცის ყაზახით თავზედ წაადგა.

მწყემსები წამოცვივდნენ, მიესალმნენ და ჩვეულებისამებრ მიიწვიეს.

— ვინ არის სარჭალი? — ბატონურად იკითხა გირგოლამ, რომელმაც მადლობის გადახდაც კი საჭიროდ არ დაინახა მწყემსების მისალმებაზედ.

— მე, — უპასუხა ერთმა წამოსადეგმა შუახნის კაცმა, რომელსაც ახალუხი ეცვა და თუშური ქუდი კოხტად გვერდზედ მოქცეოდა.

— აქ გამოდი!

— რაი გინდა? — უპასუხა გაკვირვებულმა მწყემსმა, რადგანაც არ იცოდა, რისთვის მიეწერა გირგოლას ბრძანებლობით ლაპარაკი.

— აქეთ გამოდი და მაშინ გაიგებ.

— იცი, რაი გითხრა... თუ სტუმრად გვეწვიე, ჩამოხე ცხენიდგან, საკლავს დაგიკლავთ, პურს გაჭმევთ და გაგისტუმრებთ, თუ არა-და, ღვთის მადლმა, ბატონობით ვერც რას ვერ გაიტან.

გირგოლამ შეხედა მეცხვარეს და გულმოსულობა შეატყო სახეზედ, რომელზედაც ალმური ასდიოდა. გირგოლას სულაც არ უნდოდა მეცხვარესთან ჩხუბი და იმისი წყენინება, მაგრამ როდესაც კაცი უსამართლოდ ძალას მოიპოვებს, მაშინ ამგვა-

რი ცხოვრება სრულიად აბრიყვებს კაცს და ავიწყებს სხვის პირადობას. არამც თუ წყენინება არ უნდოდა იმას, არამედ დამეგობრებაც კი ეჭირებოდა მწყემსთან; და თუ პირველად შეუტია, შეუტია მხოლოდ იმისთვის, რომ ეგონა შეაშინებდა, დაიმორჩილებდა და ამის შემდეგ თავის ყურმოჭრილ ყმად გაიხდიდა და რასაც უნდოდა, იმას აქნევინებდა, მაგრამ, რა მეცხვარის მამაცად დახვედრა ნახა, ხმის და თავისს საქციელის გამოცვლა ამჯობინა.

— მე შენთვის არა მიწყენინებია-რა, რაისთვის ჯავრობ? — უთხრა იმან.

— აი, აგრე არა სჯობს ლაპარაკი? — კითხვით უპასუხა მწყემსმა.

— მე სტუმრად მოვედ, მეგონა მწყემსებმა სტუმრის დახვედრა იცით, და შენ კი მეჩხუბები.

— თუ სტუმრად მოხვედ, აჰა ჩემი თავი: შენ ბატონი და მე ყმა, — უპასუხა მეცხვარემ, მოიხადა ქუდი და ჩაუგდო გირგოლას ცხენს ფეხებში, — ჩამოხე და ნახამ — ვიცით სტუმრის დახვედრა თუ არა.

ამ სიტყვებთან ერთად იმან ერთი ხელი მაავლო გირგოლას ცხენის ჯილავს და მეორე უზანგს მოჰკიდა. როდესაც სტუმარი ჩამოხტა, მწყემსი გაუბრუნდა იქ მყოფს ერთს მეცხვარეს:

— გასწი, თოლშია, დოლა-ჭედილა რომაა, ჩამოიყვანე, დაჰკალ და ჩაჰყარეთ. თქვენც ცეცხლი დაანთეთ, ჩქარა! — მიუბრუნდა მეორე მწყემსებს. — მოდით, თქვენი ჭირიმეთ, მოდით! — ეპატიჟებოდა სარქალი სტუმრებს, რომლებიც ამ ჟამად ცხენებიდგან ჩამოხტნენ.

ყველანი დასხდნენ და დიდი ხნის აღმა სიარულისაგან დაღალული მუხლები დაასვენეს. ზოგნიც წამოწვნენ მწვანე მინდორზედ და დასუსტებულის თუ დაზარმაცებულის თვალებით გასცქეროდნენ ქაფისგან რძესავით გათეთრებულს მაღალი კლდიდგან გადმონაჩქეფს წყალს, რომელიც ათას წინწკლებად იქცეოდა, ათასგვარ ფერადად შესთამაშებდა მზის შუქს და მერე ხშირის ფარდახტით ნამავდა ბალახს.

რამდენიმე წუთში საკლავი დაჰკლეს, მოამზადეს გემრიელი სადილი, ისეთი სადილი, რომელიც მხოლოდ მწყემსებისაგან

მზადდება და იმაზედ უგემრიელესს კაცი ვერაფერსა სჭამს.

ყველანი ჩუმად და საჩქაროდ სჭამდნენ, სანამ შიმშილს მოიკლავდნენ, მაგრამ რა შენაყრდნენ, დაიწყეს ლაპარაკი. მასპინძელმა პირველმა დაიწყო:

— გირგოლაუ!.. შენ უსაქმოდ არ გაირჯებოდი! ეხლა გავძეხით, გვითხარ, რაი გინდა?.. თუ ოჩხარის გაკეთებას აპირებ, მითხარ, და სხვა მწყემსებსაც შევყრი.

— მე შენი გაცნობა მეწადის, ოჩხარი რად მინდა!..

მეცხვარემ გაკვირვებით შეხედა.

— ჩემი გაცნობა?.. მე რაი ისეთი კაცი ვარ, რომ ჩემი გაცნობა მოგეწადოს?..

— ცხო არც-რა, ღვთის მადლმა, შენი გაცნობა და შენი ძმობა!

— ჩემი ძმობა რაში გეკადრების: მე ერთი მეცხვარე, გაუთლელი მთის კაცი და შენ კი ხემწიფის სამსახურისა!

— აი რაისთვის, ყური მომიგდე! — უთხრა იმან და თვალი მოავლო იქ მყოფს ხალხს, თითქოს იმათ დასწრებით ლაპარაკს ერიდებოდა.

მწყემსი მიხვდა და უთხრა:

— მითხარ, რაიც გინდა, მე მაგათთან დასარიდები არა მაქვს.

— ჩემი საქმე ისეთია, რომ სხვასთან ვერ გეტყვი.

— მაშ კარგი, გავიდეთ იქით, — უპასუხა მწყემსმა და წამოდგა.

ისინი გავიდნენ ცალკე და ისე მოშორებით დასხდნენ, რომ იმათი ხმა ამხანაგებს ველარ მისწვდებოდა.

— შიოლაუ, — დაიწყო გირგოლამ, — შენც ხომ იცი, რომ ამ მთას სახელმწიფოდ გედავებიან.

— ჰაი, ჰაი, რომ ვიცი!

— ისიც იცი, რომ ჩამორთმევას გიპირობენ?

— გვიპირებენ, მაგრამ გავწყდებით, ღვთის მადლმა, და არც ვის არ დავანებებთ.

— რაისთვი, რაისთვი? — სიჩქარით უპასუხა გირგოლამ, — რაისთვი უნდა გასწყდეთ?

— იმისთვი, რომ ჩვენს მამას სჭერია ეს მთა და ჩვენს პაპას, საიდგან მოვიდა აქ სახემწიფო ალაგი?

— მაგას ვიღა არჩევს, ბედშაო!.. მოინდომებენ — წაგართმევენ.

— ცოცხლებს?.. არა მგონია!

— რაი გამოვა თქვენის სიკვდილით?

— რაიც უნდა გამოვიდეს, მოვისვენებთ მაინც. თუ ეგ მთა წაგვართვეს, ღვთის მადლმა, აღარ გვეცხოვრების, ისევ სიკვდილი სჯობია.

— მე რომ ისე გაგირიგოთ, რომ თქვენვე დაგრჩესთ? — ცოტა სიჩუმის შემდეგ წყნარად და გარკვევით უთხრა გირგოლამ და დაუწყო ყურება.

— შენა?

— ჰო, მე.

— თუ კი მაგათ შარს მოგვაშორებ, ღმერთს არ მოეტყუების, რასაც დაგვისახელებთ, იმით გემსახურებით.

— მაშ კარგი, არ დაივიწყო შენი სიტყვა.

— რაი დამავიწყებს?

— მე შენ გაგირიგებ მაგ საქმეს, მხოლოდ შენც სამაგიერო უნდა გადმიხადო.

— აი, ეს ცხორანი მყავს და თუ გინდ შუაზედ გაგიყოფ.

— მე ცხორი არ მინდა, ძოღანვე გითხარ.

— მა რაი გინდა, რაი გვაქვს შენი მოსაწონი?

— ძმობა, მეგობრობა!

მწყემსმა წყნარად შეხედა და პასუხი ვერ მოახერხა. ის იცნობდა გირგოლას, იმის გაუმაძღრობას და თვალხარბობას და ეხლა თითქმის საცხოვრებელს აძლევდნენ და ის კი უარზედ იდგა!

მაშ რა უნდოდა ამ მოძმის მოღალატეს? რისთვის დასჭირდა ეს მწყემსი, რომლის თავის დაკვრაზედ კვლავ დროს პასუხსაც არ აღირსებდა და ეხლა კი ერთბაშად ძმობა და მეგობრობა მოეწადნა?!

ის ირეოდა ამ აზრებში და პასუხი ვერც თავის თავისთვის მიეცა და ვერც სტუმრისთვის.

— შიოლაუ! შენ განთქმული სარჭალი ხარ, თემობაში გამოჩენილი... რაისთვი გიჭირდების პასუხი!

— ცხო დრო მოვიდა, გირგოლაუ, ცხო დრო!.. უწინ რომ ყოფილიყო ეს ამბავი, თემს შევყრიდი, იმათთან ვიჩივლებდი

და რაისაც ისინი იტყოდნენ, იმაის დავადგებოდი... მაგრამ ეხლა სამართალი აღარაა, დანდობა განჭრა, ძმა ძმას ვეღარ ენდობის.

— უწინ რაი იყო?.. ეხლა სულ ზაკონის კანონით არის. დალოცა ღმერთმა ხემწიფე იმპერატორი! — სთქვა გირგოლამ.

ამ სიტყვების შემდეგ კიდევ რამოდენიმე ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, რომლის დარღვევაც გირგოლას მოუნდა, რადგანაც შიოლა ღრმა ფიქრმა წაიღო.

— მითხარი, გინდა თუ არა?

— მაი, გირგოლაისი, პირდაპირ მითხარ, რაი გინდა ჩემგან?

— აგრე... პირდაპირ გეტყვი: მე მაგ მთის საქმეს გაგირიგებ, შენ იაგოს დაჭერას მიშველე.

— მე გიშველა? — ფიქრით იკითხა შიოლამ.

— ჰო, შენ.

— მე საით უნდა გიშველა? საით შემიძლიან?

— თუ მოინდომებ, კიდეც შეიძლებ. იაგოს ცხო.დღე არა აქვს, თუ მეცხვარეებში არ იარა... ბარად ის ვერ ჩამოვა. როცა გესტუმრების, ჩუმად შემატყობინე და მეც ყაზახებით თავს დაგესხმებით.

— რაი? — მოკლედ იკითხა მეცხვარემ.

— როცა გესტუმრების, შემატყობინე-მეთქი...

— სტუმარს უღალატა, პურ-მარილი ვგმა?.. რას მესაუბრები, გირგოლაისი?

— რაია, რისა გეშინის?

— სუ!.. აღარ გაიმეორო! — წარბებ-შეჭმუხვნით წარმოსთქვა შიოლამ. — შენ იძახი — საქმეს გაგირიგებო, ძალიან კარგი — გაარიგე და დაასახელე გასამრჯელოდ რამდენი ცხოარი, თუ ცხოარი არ გინდა, ფული სთქვი, და სტუმრის ღალატი კი არ შეიძლების.

— შენ იცი. მე იაგოს დაჭერის მეტი არა მინდა-რა.

— აბა, მაშ ვერ მოგატყუებ. თუ იაგო მესტუმრა, პური და მარილი გატეხა ჩემთან, იძას ვეღარ ეღალატების.

— მაშ ის შაინც მითხარ, სადაა ეხლა?

— ღმერთს არ მოეტყუების, არ ვიცი, და თუნდა ვიცოდე კიდეც, არ გეტყოდი.

— რაისთვი არა, რაისთვი?

— იმისთვი, რომ იაგო ყველგან განთქმულია, ყველას საყვარელი, შენ კი ურჯულოებს უნდა მისცე ხელში. შენთვის რომ დაეშავებინა რამე, როგორც მეზობელი, ვეცდებოდი მომერიგებინე, მაგრამ შენთვის იმას არა დაუშავებიარა: ეშმაკის მუშა გამხდარხარ და მეზობელს დასაჭერად დაზდევ.

— შიოლაუ! ნაჩალნიკს ეგრე აქვს ჩაგონებული, რომ იაგო შენთან იმალება, შენთან დადის.

— რაი საკვირველია, რომ აქ დადიოდეს? იაგო ჩემი მოძმეა, ჩემი მეზობელი. იმას შარსა სდებენ, ტყუილ-უბრალოდ აწვალებენ და რაი საკვირველი იქნებოდა, რომ დამემალა!

— ნუ, შიოლაუ, აგრე ნუ, თორემ დაგლუპვენ, დაგანელებენ...

— რაიც უნდა მიყონ, თუ სტუმრად მეწვია ვინმე, ვერ უღალატებ.

— გაფთხილდი.

— რაი-ღა გავფთხილდე?.. მამული აღარ შემარჩინეს და საცხოვრებელი! ახლა სტუმრის მოღალატედაც უნდა გამხადან?!

— გადაწყვეტილია, არ გვიშველი, რაღა?

— არა!

— მაშ დიანბეგთან უნდა წამოხვიდე.

— რაისთვი?

— ეგრე მაქვს დაბარებული... ჩამოდი, თავად მოელაპარაკე.

— არ წამოვალ! — ცოტა ფიქრის შემდეგ უპასუხა შიოლამ და ამ სიტყვების შემდეგ ის წამოდგა და გაემართა ცხვრის ბინისაკენ, სადაც ეს არის ეხლა სადილი ჭამეს.

გირგოლა, რომელმაც აღარ იცოდა, რითი მოემხრო ეს ძალა მჭონებელი მეცხვარე, უკან გამოუდგა. იმან გარდაწყვიტა, რომ, რითიც იქნებოდა, გადაეხადა შიოლასთვის ამგვარი სიჯიუტე.

XI

როდესაც იმათ მიაღწიეს ბინას, გირგოლამ დააყენა შიოლა და უთხოა:

— შიოლავ, დიანბეგი გიბარებს, უნდა წამოხვიდე!

— ამოდენი საქონელი და მწყემსები მე მაბარია, თავი საით დავანებო?

— ეგ ჩემი საქმე არ არის, უნდა წამოხვიდე.

— არ წამოვალ.

— წაბოხვალ კი არა და, მეტსაც იქმ.

— ღვთის მადლმა, არ წამოვალ.

გირგოლა დააცქერდა.

— აბა დაიჭირეთ! — უბძანა გირგოლამ იქ მყოფს ყაზახებს და ისინიც მისცვივდნენ.

მწყემსი გადახტა უკან, გაიძრო ხანჯალი და შესჭყივლა:

— მოდით, ვისაც თავი არ გებრალებათ!

ყაზახებმა, რომელთაც მოიწადინეს შიოლას დაჭერა, ცოტა უკან დაიწიეს.

ამ ხანში მოცვივდნენ მწყემსები და კომბლებ-მომარჯვებულნი გვერდს მოუდგნენ თავიანთ სარჭალს.

— გაგვშორდი, გირგოლაუ! — დაუძახა შიოლამ. — სტუმრად მოსულხართ, პატივი გვიცია და ახლა კი თავი დაგვანებეთ.

— დაიჭირეთ-მეთქი! — პასუხის მაგივრად ყაზახებს შეუტია გირგოლამ. ყაზახები წახალისდნენ ამ ბრძანებით, მიიწიეს, მაგრამ მწყემსების გძელი კომბლები ერთბაშად სეტყვასავით წამოვიდა.

ყაზახებმა იშიშვლეს ხმლები, მაგრამ მწყემსები გრძელის შვინდის კომბლებით განზედ გაუდგნენ და ახლოს არ იკარებდნენ.

ამათ ყვირილზედ და ხმაურობაზედ ჩამოცვივდნენ სხვა მწყემსებიც და დაირეკეს ყაზახები ცემა-ტყეპით.

გირგოლამ, რომელმაც ისეთის ტრაბახით დაიწყო, რა ნახა მწყემსების ერთი პირი, მოახტა ცხენს და დაჰქუსლა თავქვე. ჩქარა ყველანი დაშოშმინდნენ, რადგანაც გირგოლასგან თავდანებებულმა ყაზახებმა ხვეწნა დაუწყეს, რომ თავი დაენებე-

ბინათ და ნაცემ-ნატყეპები, თავპირ დამტვრეულნი დაბრუნდნენ შინ; მწყემსებმა კი გადაწყვიტეს, რომ ყოველის ღონისძიებით ეცადნენ იაგო დაეხსნათ მტერთა ხელიდგან...

ამ ხნის განმავლობაში ნუნუ ისევ არშის ციხეში იყო დამწყვდეული და ჯერ კიდევ ვერ მოკეთებულიყო, რადგანაც ჩამოკიდების დროს კისრის ძარღვები მეტად დაჭიმიდა და თითონ მთელი სხეულიც რაღაცა ყრუ ტკივილსა გრძნობდა.

მიჩენილი დედაკაცი, გირგოლას ნათლიდედა, თავს არ ანებებდა და ყოველ ნაბიჯზედ სდევდა. პირველში ის მეტის-მეტად მკაცრად ექცეოდა ნუნუს, რადგანაც ამ უკანასკნელს უყურებდა, როგორც ქმრისა და ოჯახის მოღალატეს, ჰაშასადამე, მთის ხალხის შეხედულობით, ყოველი ტანჯვის ღირსს.

მაგრამ საზოგადოდ დედაკაცთ მინიჭებულის გრძნობით ის ჩქარა მიხვდა ალალმართალი ნუნუს მწუხარებას და აქან ისე შეიპყრო და დაიმონა ეს დედაკაცი, რომ თითქმის ყველა იმას აგრძნობინებდა, რასაც თითონ ნუნუს; ის ერთბაშად მტრისაგან ისეთ გულითად მეგობრად გარდაიქცა, რომ მზად იყო ეშველა, ეწამლა რითიმე საცოდავ წამებულისთვის, მაგრამ, რადგანაც არ იცოდა რითი და როგორ ეშველა, ამისთვის მარტო თანაუგრძნობდა.

იმ ხანში ვაჟკაცებიც კი დაემონებია, დაემორჩილებინა შეუწყალებელს უსამართლო ძალას და დედაკაცის მდგომარეობა რაღა იქნებოდა? რას გააწყობდა, ან რას მოახერხებდა ისეთი ოხერი უპატრონო ქვრივი გირგოლასთანა კაცთან?

მაშ რაღა რჩებოდა, რომ ცოტათიც არის, შეემსუბუქებინა ნუნუს მწუხარება? იმასა რჩებოდა მარტო ერთი თანაგრძნობა და დედაკაცის იარაღი — ცრემლი; ისიც თანაუგრძნობდა და ტიროდა ნუნუსთან ერთად.

ყოველ იმის სიტყვაში, ქცევაში, მიხრა-მოხრაში ისეთი თანაგრძნობა და გულკეთილობა გამოითქმოდა, რომ კაცი უნებლივ ჰკითხავდა თავის თავს: „ნუთუ ამ მკაცრის სახის გამომეტყველების ქვეშ იმდენი გულ-რბილობა იფარებოდა?“

ერთს საღამოს ნუნუ ქვეშაგებში იწვა და ლოყები წამოსჭარხლებოდა სიცხისაგან; ის წამდაუწუმ წყალს ითხოვდა, რათა გამშრალი პირი გაესველებინა. მოხუცი დედაკაცი, რო-

მელიც დაღონებულის სახით გვერდს უდგა, ზრუნვით ეუბნებოდა:

— ბევრს ნუ დალევ, გრილია, გაწყენს.

— მაწყინოს! — წყნარად და გარკვევით, თუმცა იმედდაკარგული, უპასუხებდა ნუნუ.

— გული რად გაგტეხია?.. რაისთვი შეშინებულხარ?

— მე არ მეშინის.

— ბევრი მოგითმენია, ბატარაიც მოითმინე.

— რაიღა მოვითმინო, ვისთვის?

— ღმერთი დიდია.

— ჰაი, ჰაი, რო დიდია... მაგრამ რაი უყოთ?.. ჩემი სიცოცხლე აღარ იქნების, ან რადღა მინდა გაწბილებული სიცოცხლე?

ჩამოვარდა სიჩუმე, რადგანაც ეს უკანასკნელი სიტყვები ისეთის მწუხარებით იყო წარმოთქმული, რომ მოხუცი დედაკაცის გულს თითქოს მდუღარე გარდაესხა.

ეხლა იმან იცოდა ნუნუს მწუხარების მიზეზი, იცოდა, რომ ის არამც თუ დამნაშავე იყო ვისთანმე, არამედ თითონ იმასთან იყვნენ დამნაშავენი, რადგანაც მოეგლიჯათ თავისი სატრფოსთვის, ძალად დაეწერათ სხვა კაცზედ ჯვარი და ძალადვე პყრობილსავით ინახავდნენ.

ერთ დღეს ეს მოხუცი ჩავიდა წყაროზე, სადაც გაშალა სარეცხი და დაუწყო რეცხვა. ამ დროს იქვე მოფენილს ქვების იქიდგან ერთი ყმაწვილი ბიჭი, თავით ფეხამდინ შეიარაღებული, გამოვიდა და წყნარად, სიფრთხილით მიუახლოვდა დედაკაცს.

— გამარჯვება შენს საქმესა, დარეჯან! — შესძახა იმან.

დედაკაცმა თავი აიღო და, რა დაინახა ეს ბიჭი, ისე გაშტერდა, რომ ხმა ვერ ამოიღო.

— ველარ მიცან? — ჰკითხა იმანვე.

— გიცან, კი გიცან, მაგრამ საით გაჩნდი?

— აბა რაი ვიცი, აქ კი ვარ-და, — უპასუხა ღიმილით უცნობმა.

— აქ კი ხმა ისე დააგდეს, რომ ვითომც მტერი და დუშმანი რუსებმა მოჰკლესო... მადლობა უფალსა, რომ ცოცხალი ყოფილხარ... გამეხარდა, ღვთის მადლმა!

— დამირჩა შენი თავი.

— კობაისი, სად იყავ აქამდინ? რაისთვი არსადა სჩანდი?

— მოიცა, მაგას გაიგებ... ჯერ შენ მითხარ — რას აკეთებ აქა?

— აქ გირგოლასასა ვარ... ქალაი რასმე ავადმყოფობს, თითონ გირგოლაი შინ არ არის და მე უვლი.

— უვლი თუ ჰყარაულობ? — წყნარად წარმოსთქვა კობამ და დააკვირდა; დედაკაცმა შეხედა, გაწითლდა და თავი ჩაღუნა.

— რაისთვი არ მიპასუხებ? — ჰკითხა ისევ კობამ, — ქალაი ძალად გადმოიტაცეს, ძალად დასწერეს ჯვარი, ძალად ინახამენ და შენ კი ყარაულად დასდგომიხარ!.. სირცხვილი, სირცხვილი!

— არა, კობავ, ღვთის მადლმა, არა!

— მაშ რას აკეთებ აქა?

— აკი გითხარ: ავადმყოფს უვლი-მეთქი.

— დაიღუპოს ეხლანდელი დრო, დაიღუპოს, უწინ მაგას არც ერთი დედაკაცი არ ჩაიდენდა, მთელი თემი შეიყრებოდა და მთელი სახლობით მოიშორებდა გირგოლას, შენ კი ხელს უმართავ! სადაა შენი მანდილი?!

— ნუ მიხსენებ მანდილს, კობავ! ღვთის მადლმა, დამნაშავე არა ვარ.

— მაშ რად უმართამ ხელსა?..

— პირველში მე მეგონა ნუნუ მართლა მოღალატე იყო თავის ქმრისა და სახლისა, მაგრამ ახლა კი დავრწმუნდი, რომ სულ ტყუილ-უბრალოდ სტანჯამენ, და მეც მომეწადა იმის შველა.

კობამ შეხედა, რადგანაც უნდოდა დარწმუნებულიყო მოსაუბრის სიტყვების ჭეშმარიტებაში.

— უფალმა უწყის, მართალს ანბობ თუ სტყუი და თვალთმაქცობ!

— აჰუ! — გააწყვეტინა დედაკაცმა, — მანდილი არვის მოუხდია ჩემთვის, ნამუსი არვის წაურთმევია — რაისთვი ვიტყუები?

— რაი ვიცი?.. დროება გამოიცვალა, ძმა ძმას ვეღარა სცნობს, და — დასა!.. მაშ მართლა გწადის შველა?

— მწადის, ღვთის მადლმა! მაგრამ რაი შემიძლია?

— კარგი, მაგასაც გავიგებთ... თუ აგრეა, ეხლავ წამიყვანე ნუნუსთან.

— იარე, — უპასუხა დედაკაცმა, რომელიც უმიშრად წინ გაუძღვა.

ეს იყო სწორედ იმ დროს, როდესაც მზე მაღალ მთებს გადაფარებოდა და ბრწყინვალე მთვარეს ჯერ წვერი არ ამოეყო და არ მოეფინა იქაურობა თავის შუქით.

ამ ლაპარაკის დროს ნუნუს მოსწყენოდა მარტოობა და ლოგინში წოლა, ამისთვის ის ამდგარიყო, გამოსულიყო გარედ და დასუსტებული წმინდა ჰაერზე, კარებთან დამჯდარიყო.

იმის თვალ-წინ მოჩანდა არშის სიმაგრე, სადაც ისე უკაცურად და შეუბრალებლად ძალდატანებული შეიქნა და იმის იქით — მწვანე ველიანი მთები, რომელზედაც ალაგ-ალაგ გაშლილიყო რიყეს ზემოდ წვერებიდგან ჩამონაშალი კლდეებისა.

იმან მიაქცია ერთს ადგილისკენ თვალები, სადაც კლდისათვის განსაკუთრებითი ძალა დაეტანებინა ჭარიშხალს და ავდარს, გამოფუღრულიყო, გაჟვენილიყო ნესტით და წყნარად, მაგრამ განუწყვეტლივ იშლებოდა და წვრილს ქვიშად და აუარებელს ლოდებად ჩამოდიოდა ქვევით, ხევში. უყურა, უყურა და გულამომჯდარმა წარმოსთქვა:

— მეც ეგრე გამიჯდა სნეულება, მეც ეგრე ვიშლები.

როდესაც თვალი მოეღალა ამ სურათის ყურებით, რომელიც ისე მიემსგავსებოდა იმის მდგომარეობას, იმან უნებურად გახედა იმ ადგილს, სადაც დარეჯანა სარეცხსა რეცხდა. არ გამოიარა რამდენიმე ხანმა, რომ ამ დედაკაცთან ვიღაცა კაცი მოვიდა და დაუწყო ლაპარაკი. ნუნუ სიშორის გამო ვერ არჩევდა ამ კაცის სახეს და ამისთვის ვერ იცნო.

ადამიანს დანატრებული ნუნუ თავის თავს ეკითხებოდა უცნობის ვინაობას და წარმოუთქმელის სურვილით იწადდა იმის სახელის შეტყობას. ერთბაშად თავში ელვასავით რაღაცა აზრმა გაურბინა და გამოურკვევლად წარმოუდგენელის სიჩქარით აუკანკალდა გული.

იმან კიდეც წამოიწია ზეზედ და სიხარულის ხმა აღმოხდომას აპირებდა იმის პირიდგან, მაგრამ ეს ხმა ყელშივე შესწყდა,

ერთბაშად გაფითრდა და შუბლზედ დაიდო ხელი; წაბარბაცდა და წყნარად დაეშვა მიწაზედ.

— მაგას ვიღა მაღირსებდა მე ბედშავსა! — წარმოსთქვა მან წყნარად, მაგრამ გულის გამაწყალებელის მწუხარებით.

— იაგო რუსებს ჩაუვარდა ხელში და ვინც კი რუსებს ჩაუვარდებათ, განაღა დაიხსნის თავსა? მაშ ვინ უნდა ყოფილიყო? — ისევ მწარის მწუხარებით ეკითხებოდა თავის თავს.

— გირგოლაი?! — ერთბაშად წამოიძახა იმან და ეს სიტყვები გახურებულს ნაღვერდალად მოხვდა გულს, — გირგოლაი იქნება, მაშ ცხო ვინა?.. ამ დროს ვინ მოვიდოდა?..

ის ჩაფიქრდა და მოაგონდა თავის დამოკიდებულება თავის ბაზლთან, მოაგონდა იმის შეუბრალებელი უწყალო სახე, რომელიც ისე უკაცურად ფეხქვეშ ლახავდა ყმაწვილი ქალის თავმოყვარეობას და ისე მასხარად იგდებდა იმის სურვილს... მოაგონდა ის სატანჯველი საღამო, როდესაც თითონ ბუნებაც კი განრისხებულიყო და ჭექა-ქუხილით აგონებდა ხალხს თავიანთ უსამართლობაზედ... მოაგონდა და გული გაეტენა ნაღველით.

გირგოლა თუმცა აქამდინაც დადიოდა ნუნუსთან, მაგრამ ის მოდიოდა დღე, შევიდოდა მხოლოდ რამდენიმე წუთით ქოხში, იკითხავდა ავადმყოფის მდგომარეობაზე და მაშინვე გამობრუნდებოდა თავის სამსახურის აღსასრულებლად. ეხლა კი ეს მოსულიყო საღამოზედ, როგორც ეტყობოდა, აქ აპირებდა დარჩენასა.. რათა, რისთვის? რა უსამართლობა უნდა მიეყენებინა კიდევ ამ ქალისთვის?

XII

ნუთუ გირგოლას ჰგონია, რომ ნუნუს დაავიწყდა, რა უსამართლობაც მიაყენა იმას? ნუთუ ჰგონია, რომ მოსტეხა, დაიმორჩილა იმისი გული და ეხლა მშვიდობიანად შეეძლო დაბრუნებულიყო იმასთან ცხოვრებით! მაშ თუ აგრეა, ერთხელ ხომ გადამარჩინეთ სიკვდილს და მეორედ კი ვეღარ, ღვთის მადლმა!

ამ სიტყვებით ერთად ის საჩქაროდ წამოვარდა და შევიდა

გამოქვაბულში, იქიდგან გაძვრა ქანქანად გაყვანილს ხვრელში და გავიდა ისეთს ადგილს, საიდანაც თავისუფლად და შეუმჩნევლად შაეძლო ყურება. იქიდგან დაუწყო ყურება უცხობს და დარეჯანას.

როდესაც კობა და დარეჯანა ქოხისკენ გამოიმართნენ და ნუნუ დარწმუნდა, რომ ისინი იმასთან მოდიან, ის გავიდა თავის საფარიდგან, მოირბინა იქვე პატარა გორაკი, რომელიც ჰფარავდა მომავლების თვალიდგან და წყნარად გავიდა ციხის კარებში. რაწამს თავის თავი თავისუფალი ნახა, გზაზედ დადგომის მაგივრად, ის აღმა შეუდგა ყირვანწყვრისაკენ და გადავიდა ვერგეტულ მთაში, მაგრამ ისე რიგად დასჭირსტდა, რომ მუხლებ-მოკრილი დაეცა და იქვე დაეძინა.

სანამ ეს ამ მგზავრობაში იყო, დარეჯანა შეუძლია კობას გამოქვაბულში და რადგან იქ ვერავინ იპოვეს, წყნარად წამოიძახა:

— ნუნუ, რაი იქენ? — მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. დარეჯანა შევიდა მეორე გამოქვაბულში, მაგრამ ისევ ჩქარა გამობრუნდა, რადგანაც იქაც ვერავინ იპოვა. — არიქა, მიშველე, დავღუპულვარ! — შესძახა იმან კობას, რომელსაც არ ესმოდა რა ხდებოდა.

— რაი ამბოვია, რაი არის?

— ნუნუ აღარსადაა.

— მაშ რა იქნებოდა?

— რაი ვიცი.

დარეჯანა ისევ შებრუნდა გამოქვაბულის მეორე ოთახში, იმას შეჰყვა კობა, ეძებეს ბევრი, მოათვალიერეს ყოველი კუნჭული, მაგრამ იმათ ვერავინა ნახეს. დარეჯანამ მაშინვე იფიქრა, რომ ნუნუს თავი უნდა მოეკლა და ამისთვის შესტირა ცხარე ცრემლებით. რასაკვირველია, რომ კობამაც შესაძლოდ დაინახა ეს შემთხვევა, რადგანაც იმას უამბეს, რომ ამ წინაზედაც ნუნუმ კინალამ ჩამოიღრჩო თავი.

ისინი გამოცვივდნენ გარედ, მოხვდნენ აქეთ-იქით, მოირბინეს მთელი მინდორი, გადააბრუნეს იქაურობა, მაგრამ ქალი ვეღარსად იპოვეს და გადაწყვიტეს, რომ უკანა კარიდგან უნდა გასულიყო.

— რა იქნებოდა, სად მოიხაფრებოდა? — მეასედ იმეორებდა კობა.

— აბა რაი ვიცი, რაი... — უპასუხებდა დაღრეჯით დარეჯანა.

— თუ თავი მოიკლა სადმე, მკვდარი მაინც უნდა გვეპოვნა... მიწაში ხომ არ ჩაძვრებოდა?

ამ სიტყვებით ისინი ხელახლად იწყებდნენ ძებნას, დარბოდნენ არშის ციხეში და ყოველ ადგილას, ყოველ ქვის უკან მოელოდნენ ნუნუს პოვნას, მაგრამ ამაოდ. ბოლოს დაქანცულებმა ქალის ძებნით იმედი გადაიწყვიტეს და დაღონებულები შეიყარნენ მოედანზედ.

— რაი-ღა უთხრა იაგოს? — შეწუხებით წარმოსთქვა კობამ, რომელზედაც მტირალმა დარეჯანამ პასუხი არ მისცა.

თუ კობას აწუხებდა თავისი მდგომარეობა და არ იცოდა — რა ეთქვა თავის მეგობრისათვის, ამ დედაკაცს უფრო მეტი საბუთი ჰქონდა, რომ შეწუხებულიყო. გირგოლამ იმას ჩააბარა ნუნუ, გირგოლა ხელმწიფის სამსახურში იყო, გირგოლას იმისი აკლება შეეძლო, და ამისთანა კაცისთვის რა პასუხი უნდა მიეცა? იაგოს ნახვა რომ მოესწრო ნუნუს, რომ ის კიდეც გაქცეულიყო იმასთან, მაშინ მოსარჩლედ ის გამოუვიდოდა და იმდენს ძალას ვეღარ მიიტანდა გირგოლა იმაზედ. მაგრამ ეხლა რა უნდა ექნა? ვერც იაგოს გული მოეგო და ვერც ნუნუ შეუნახა გირგოლას.

საცოდავი დედაკაცი შიშით ცახცახებდა, რადგანაც თვალწინ წარმოსდგენოდა თავის აკლებული სახლი, რომელსაც შეუწყალებლივ სცარცვავენ და ანადგურებენ იასაულები, და ამის შემდეგ რა მოელოდა იმის შვილებს?.. სიღარიბე, მუდამ სხვის კარზედ ყოფნა, აღარც ცოლი, აღარც ოჯახობა!.. უნდა მოსპობილიყო იმის მამისშვილობა და აღარ დარჩენილიყო იმათი სახელის მხსენებელი.

ზოგიერთებს ჰგონიათ: რა კაცი გლეხკაცად გაჩენილა, იმათ არა აქვსთ იმგვარი გონებითი მუშაობა, როგორიც სხვა წოდების ხალხს, მაგრამ მოიგონეთ ხალხის გამოთქმული ანდაზა, რომ „კაცის გული ზღვაა, რას არ გაჰფიქრებს“, და მაშინ დარწმუნდებით, რომ ეს სიტყვები აშკარად ამბობს იმ გონებით ცხოვრებაზედ, რომელსაც ისე უსაფუძვლოდ გლეხკაცობას ართმევენ ზოგიერთნი.

ამ მწარე დუმილში იყო დარეჯანა, როდესაც კობამ დაიწყო ლაპარაკი.

— რაიც მოხდა — აღარ ეშველების, ის ბეჯითად შინ გაიქცა, ან აქედგან გაიპარა, რომ ცხო ადგილს მოეკლა თავი.

— რაი-ღა მეშველების დაღუპულსა? — მწარედ წარმოსთქვა დარეჯანამ.

— რაი უყოთ, ღმერთს ხელი არ შაეფარება!

— მოვა გირგოლაი და ამიკლებს!

— სათ აგიკლებს, ქვეყანა, ხალხი აღარაა?

— „აავ, დადადაი!".. რაი შეუძლიან ხალხს გირგოლასთან — ხემწიფის სწორი კაცია!

— ნუ გეშინის, დარეჯან! ნათლიაია შენი, რას გიზამს?

— ბედშაო ჩემო თაო! რაი ნათლიაობისა იცის, ჩემო ყველავ, გირგოლამა!

— აჰუ! — უკმაყოფილოდ ჩაიქნია ხელი კობამ.

— სადღაა ნათელ-მირვნის დანდობა?.. უწინდელი დრო ხომ აღარაა, რომ ან ღვთისა ეშინოდესთ და ან ერისა.

ორნივ გაჩუმდნენ რაოდენიმე ხანს და ორნივ თავთავიანთ საგონებელმა წაიღო: კობას თვალწინ უდგა მოხუცებული დედაკაცი, რომელიც იტანჯებოდა, ილეოდა შიშისგან, რომელიც მოელოდა, რომ დაუნაშაოდ გასტანჯავდნენ, გააწვალებდნენ და იქნება სამუდამოდაც კი ამოფხვრან და მერმე ვინ? იმისივე სწორმა კაცმა, რომელიც თავის გარყვნილობით, რომლისათვისაც დახვრეტა ცოტა იყო, „ბატონის" ნაჩალნიკის საყვარლად შეიქნა. ამ წამად ის ნატრობდა, რომ ის თავისუფალი კაცი და ნათესავი ყოფილიყო დარეჯანისა, რათა შესძლებოდა აშკარად გამოსარჩლება, და მაშინ აჩვენებდა გირგოლას რაიც კაცი იყო.

— დარეჯან! აი რაი გითხრა: შენ მამეულებისას წადი, იქ დარჩი ბატარა ხანს და, სანამ გირგოლას საქმისას გაიგონებ რასშე, იქ იყავ.

— იქაც არ მომისვენებს, ჩემო ყველავ, არა! — პირზე ხელების დაფარებით უპასუხა.

— შენ ნუ გეშინიან, თუ ცოცხლები დავრჩით... — აღარ გაათავა კობამ.

— აბა თუ მიშველით რასმე, თქვენა, თუ არა და, პირი უნდა ავიხვიო და წყალში გადავარდე.

გასაკვირველი იყო ეს მდგომარეობა! მოწყობილს მართველობის დროს, როდესაც ნაჩალნიკები, დიამბეგები, სუდი, ნაცვლები და სხვა ათასი მოხელე ხალხი ჭიანჭველებსავით ირეოდნენ და მართლმსაჯულებდნენ, ალალმართალი დედაკაცი კაცისმკვლელს ეხვეწებოდა, რომ დაეფარა უსამართლოებისაგან!

— ჩადი და იქ მოიცადე... თავად მე შეგატყობინებ გირგოლას ამბავს, ახლა კი ნუნუს გზას გაუდგები.

ამ სიტყვებით ისინი გაშორდნენ ერთმანერთს, დედაკაცმა გასწია თავის სოფლისაკენ და კობა კი შეუდგა მთებს, საითკენაც უნდა წასულიყო ნუნუ, თუ გაქცევა გაბედა, რადგანაც სხვა გზები მცველებით იყო გავსებული და ნუნუც ვერ გაბედავდა იმაზედ წასვლას.

ამ ხანში ნუნუ გასცდა არშის მთას და გადავიდა გერგეტულს მთაში, სადაც თავის სიყმაწვილეში ისე ხშირად დადიოდა „ხილობ".

აქ ამან სიარული ვეღარ შესძლო დაღალვისა და სისუსტის გამო და, თუმცა შიშით ძალზედ უცემდა გული, მაგრამ ბუნებამ თავისი გაიტანა: როგორც ზევითა ვსთქვით, იმას დაეძინა ტკბილისა და მძიმე ძილით.

გათენებისას იმას გამოეღვიძა და გასწია დათვიას ტყისაკენ, სადაც სურდა ღამემდის დაფარული ყოფილიყო, რათა შეუმჩნევლად გასულიყო თავის სოფელში. ის მივიდა დანიშნულს ადგილს და დაღონებული დაჯდა წყაროს პირს ტყესთან, რომელიც ისე ამშვენებს იქაურს დიდებულს ბუნებას და იმ გარეგანს, უზარმაზარად აყუდებულს კლდეებს და ყინულიანს მთებს.

ქალი იჯდა წყაროს პირს, რომელიც იქვე კლდიდგან გამოჩუხჩუხებს, და ჰფიქრობდა თავის მწარე დღეებზედ, როდესაც ერთბაშად მოესმა საშინელი ღრიალი. ნუნუ შეკრთა, წამოხტა ფეხზედ და ჯერ ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის, როდესაც ერთი უზარმაზარი დათვი წყნარად და ბუტბუტით გამოვიდა ტყიდგან. ის შესდგა ცოტა ხანს, მოათვალიერა იქაურობა, გადმოდგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა ისევ და თითქოს გაკვირვებულმა დაუწყო ნუნუს ყურება, რომელიც შიშით ცახცახმა აიტანა. დათვმა აიღო მაღლა თავი და დაუწყო ჰაერს სუნთქვა, თითქოს დარწმუნება უნდოდა, რომ ნუნუ მოჩვენება

არ არის, მერე დაალო პირი, რამდენჯერმე გადაისვა ტუჩებზედ სისხლსავით წითელი ენა, დაღუნა თავი და ღრიალით დაუწყო ტოტებით და ფრჩხილებით მიწას თხრა, თითქოს იმათი სიმწვეტე უნდა გამოეცადა.

ნუნუს გასაქცევად გზა აღარა ჰქონდა დარჩენილი, რადგანაც ის ერთადერთი ბილიკი, რომელიც წყაროდგან მოდიოდა, დათვს დაეჭირა და ისე გულის გამხეთქად წამდაუწუმ ეს მხეცი მსუნაგად ილოკავდა თავის ტუჩებს; ის თითქოს ელოდა, რომ მადა მეტად გაღვიძებოდა და ამისთვის შესთამაშებდა თავის მსხვერპლს.

ნუნუმ იმედი გადაიწყვიტა და ელოდა, როდესაც დათვი მოიგუნებებდა იმის გაფათვრას, მაგრამ მხეცი, დარწმუნებული, რომ მსხვერპლი ვეღარ წაუვა ხელიდგან, არა სჩქარობდა.

ბოლოს დათვს თითქოს მოსწყინდა ამგვარი დროს გატარება; თვალებ-ჩასისხლებულმა მეტად შეღრიალა, მეტად დაუწყო მიწას თხრა, მერე შეიკუმშა როგორღაც და წყნარად შესდგა უკანა ტოტებზედ, საშინელის ღრიალით გაემართა ქალისკენ, რომელიც მიკუმშულიყო და აჰკრობოდა კლდეს. დათვი ისე მიახლოვდა, რომ ქალი აშკარად ჰგრძნობდა იმის გახურებულს ქშენას, მაშინ, როდესაც ნუნუს სუნთქვა შესწყვეტოდა. ის-იყო ტოტი შემოუქნივა, როდესაც გავარდა თოფი და დათვი, დაღრიალების შემდეგ, შეხტა, გადატრიალდა კისერზედ და დაეცა ქალის წინ. ვიღასიც მარჯვენამ შიგ თვალში ჩაუსვა ტყვია, რომელმაც ისე მსწრაფლად ზედ იმ ადგილზე გააცივა ეს გამძვინვარებული პირუტყვი.

ნუნუმ მიიხედა და რამდენიმე ნაბიჯზედ დაინახა ვიღაცა ყმაწვილი ბიჭი, რომელსაც ღიმილი ეფინდა სახეზედ და წყნარად თოფსა სწმენდავდა.

— ქალაუ! მარტოდ სიარული საშიში თუ არაა? — შეეხუმრა.

— შეგრჩეს მარჯვენაი! თუ შენ არა, ეხლა მკვდარი ვიქნებოდი! — წარმოსთქვა ნუნუმ და ერთბაშად გაშტერდა. ყმაწვილი ბიჭიც გაშტერებულსავით დარჩა, ეტყობოდა, რომ რაღაც ხდებოდა ამათ შორის. — იაგო! — ბოლოს წყნარად და ძლივს წარმოსთქვა ნუნუმ.

— ნუნუ! ჩემო ყველავ! — დაიძახა იაგომ და მოჰხვია ხელები თითქმის გონება-მიხდილს ქალს.

XIII

იაგოს ასე სწრაფად და დროზედ გაჩენის მიზეზი დათვიას ტყეში იყო ის, რომ ეს რამდენიმე ხანია, რაც ამან და კობამ აქ შეიფარეს თავი, როგორც ერთს საუკეთესოდ დასამალს ადგილს. ეს ადგილი მით უფრო სახერხო იყო, რომ მწყემსებთანაც ახლო იყვნენ, რომლებისგანაც საჭმელს ეზიდებოდნენ არშის ციხიდგან და სოფ. სტეფანწმინდიდგანაც, მაშასადამე, უფრო ადვილად შეეძლოთ ნუნუს ამბისა და თავის საქმის მდგომარეობის შეტყობა.

როდესაც კობა არშის ციხეში წავიდა, იაგო გასულიყო სანადიროდ ჯიხვებზედ, მოეკლა ერთი კარგი ხარი, ჩამოეტანა ბინაში და თითონ წყალზედ მოდიოდა, რათა დაებანა სისხლითა და მტვრით გასვრილი ხელები და პირისახე. აქ იმან გაიგონა დათვის ღრიალი, რომელსაც წყნარად და ჩუმად დაუწყო მიპარება და, რა წყაროსთან გავიდა, ნახა, რომ დათვი ვიღაცა დედაკაცზედ აპირებდა შებმას და ნადირობას. ის ვერა ხედავდა, ვინ იყო ეს დედაკაცი, რადგან იმათ შუა ჩაყრილი ღორღი უშლიდა სახის დანახვას, და ეს იყო მიზეზი, რომ იმან შესძლო ასე დამშვიდებით მოქმედება.

მაგრამ რა ერთმანერთი იცნეს, რა ერთმანერთს მიეკარნენ, იმათ გადაავიწყდათ ყოველისფერი და გაშმაგებით დაუწყეს ჭრა. არის ისეთი წუთები, როდესაც სიტყვას ადგილი აღარა აქვს კაცის მდგომარეობაში და ყოველი შეხედვა, ყოველი ამოსუნთქვა, ყოველი მიკარება ერთი-ათასად კაცს მეტს აგრძნობინებს, მეტს გადასცემს, სანამ მთელი ქვეყნების ენიდგან გამორჩეული ტკბილი და ძლიერი სიტყვები. სწორედ ამ მდგომარეობაში, ამ თავის დავიწყებაში იყვნენ ისინი და კიდევ დიდხანს დარჩებოდნენ ასე, თუ კობას არ მოსწყენოდა იმათი ყურება და არ გამოეყვანა ამ გაუთავებელის ტრფიალებიდგან.

კობა, რომელიც აჰყოლოდა ნუნუს გზას, სწორედ იმ ადგილს მოვიდა, სადაც არშიყნი შეყრილიყვნენ და ერთმანერთს ეხვეოდნენ, მაგრამ, რადგანაც არ უნდოდა იმათი სიტკბოების შეწყვეტა, ამისთვის მოჰშორებოდა და შორი-ახლოს ელოდა, სანამ შეამჩნევდნენ იმის მოსვლას. მაგრამ დიდი ხნის დაშო-

რებულნი, ასე მოულოდნელად შეხვედრილნი, არა ჰფიქრობდნენ იმაზედ; იმათ კობა კი არა, მთელი ქვეყანა, თავიანთი თავიც კი გადავიწყებოდათ.

— არ გეყოფათ მაგდენი ხვევნა-კოცნა? — უთხრა კობამ და დაუმატა: — ტუჩები გაგიცვდებისთ, სხვა არა იყოს-რა.

შეყვარებულები შეკრთნენ, გაწითლდნენ და გაიყარნენ. კობა მივიდა ახლოს.

— ქალაუ, ეშმაკის ფეხი გქონია!.. კინაღამ სული ამომხდა შენს ძებნაში და შენ კი აი, სად ყოფილხარ!

აქ იმან უამბო თავის თავ-გადანახადი, უამბო დარეჯანას მდგომარეობა და, ბოლოს, ნუნუს უკან გამოკიდება.

— ბატარას მოიცდიდი, რას მორბოდი? — ბოლოს მიუბრუნდა ნუნუს.

— რაი ვიცოდი, ჩემო ყველავ, რომ შენ იყავ, შენ მოხვიდოდი?

— გულმა თუ გითხრა, რომ აქ იაგოს შეხვდებოდი?

ქალმა დაღუნა თავი და გაწითლდა.

— აბა რაი ვიცი, ჩემმა ილბალმა კი აქ მომიყვანა-და.

ცოტა მუსაიფის შემდეგ იაგომ და კობამ ტყავი გააძვრეს დათვსა და ნუნუსთან ერთად წავიდნენ ბინაზედ, სადაც ჰაერი ჩქარა მოიფინა ჯიხვის მწვადების სუნით.

როდესაც პურის ჭამა გაათავეს და ნუნუმ თავისი თავგადასავალი უამბო, იმათ დაიწყეს თავიანთ საქმეზედ სჯა, რომელიც შეეხებოდა ჩუჩენში გაქცევას, სადაც შამილის სახელი ჯერედ კიდევ ბრწყინავდა.

— ამაღამვე უნდა წავიდეთ, — დაიწყო იაგომ, — თორემ, თუ ნუნუს გაქცევა შეიტყეს, ერთი-ორად გაამრავლებენ ყარაულებს.

— ამაღამ საით წავალთ, გზები სულ შეკრულია, — უპასუხა კობამ.

— ყინვარზედ გავიდეთ სანებისკენ და იქიდგან ჯარიანს გავალთ.

— სანებას ოსები დგანან, ისინი ეგრე არ დაინდობებიან, როგორც ძაღლი...

— მაშ რაი ვქნათ?

— ისევ ორიოდ დღე დავიცადოთ, გავიგოთ ხდეს ვინ,

დგანან ყარაულად. თუ ჩვენებურებია, თავად გვიშველენ, და თუ რუსები, მაშინ ძალადაც გავალთ, მთაში ჩვენ ვერ მოგვყვებიან და გზებიც ჩვენსავით არ იციან.

— აბა, გვიანობისა კი აღარაა და შენ იცი.

— ეს ჭალაი არა გვყვანდეს, ჩვენ ვიცოდით, საითაც წავსულიყავით, მაგრამ მაგას რაი უყოთ?

— იარაღი მიშოვნეთ და მეც თქვენთან მოვკვდები, — უპასუხა ნუნუმ.

ორივე ბიჭებმა შეხედეს ნუნუს, რომელსაც ამ სიტყვებზედ თითქოს თვალები ცეცხლებრ აენთო. იმის გამხდარს და გაყვითლებულს პირი-სახეზედ მღელვარების სიწითლე თამაშობდა; იმ დროს ვისაც გინდა შეეხედნა ამ ჭალისთვის, მაშინვე იტყოდა, რომ იმას ყველა შეუძლიან, ყველას შებედავს, ყველას აიტანს, იქამდისინ ენერგიულად გამოიჭვრეტდა იმისი სახე.

ბევრი ლაპარაკისა და რჩევის შემდეგ იმათ გარდასწყვიტეს, რომ ისინი ამაღამ ხდეს გავლენ, იქ გაიმართავენ ბინას, სანამ იქ მყოფი ყარაულების ვინაობას შეიტყობდნენ და მომხრეთ გაიჩენდნენ. მხოლოდ მგზავრობისათვის იმათ ის ბილიკი კი არ აირჩიეს, რომელიც ამ ხეობაზედ გზად ითვლება და გველივით იკლაკნება მდინარე ხდის წყალის პირზედ, არამედ ყუროს მთის კლდეებზედ უნდა გადასულიყვნენ, ერთს იმ ბილიკთაგანზედ, რომელიც გაკეთებული არის ჯიხვების მლაშეზედ სიარულით, თუმცა ეს გზები ვიწრო, უხერხული და საშიში არის: ბევრს ადგილს სიპ კლდეზედ, ალაგ-ალაგ გამოშვერილს კლდის ნატეხებზედ კაცს ხტომით გასვლა უნდება, მაშინ, როდესაც ქვეშ, უფსკრულში ჩალესილი ფიწალო, ვინ იცის, რამდენს ას საჟენზედ მიდის, მაგრამ ეს ბუნებრივი გაჭირვება ირჩივეს იმათ, კაცების შეხვედრას.

იმათ მოიცადეს მზის გადაწვერამდინ და, რა მზემ უკანასკნელის თავის სხივით ოქროს გვირგვინი დაახურა ყირვანწვერს, ისინიც გზას გაემართნენ.

დათვიას ტყიდგან ისინი ჩამოჰყვნენ პატარა მდინარე ჩხერს, რომელიც ისე თავის-გუნებაა და ერთს დღეს ათასგვარად იცვლის ფერს და კუპრსავით შავიდგან იცვლება ყვითლად, ჩა-

ლის ფრად, წითლად; არა-იშვიათად დაწმინდდება და ანკარა ლურჯად, ქაფმოდებული ჩხრიალით ჩამოდის.

ისინი მოახლოვდნენ თერგს, გაიარეს ცალ-დირე ხიდი, რომელზედაც მთის ხალხს ცხენები ჭენებით გაჰყავსთ. იქიდგან „ყუროძდინ“ ჩაუხვიეს თერგის პირად და შეუბრუნდნენ „ზედა-ნიშისაკენ“, რომლის ჯვაროზაშიც მთელი ხევი იყრებოდა საჯირითოდ და სამხედრო თამაშობაში სავარჯიშოდ. აქ საშიში არა იყო-რა, რადგანაც ათასი ბილიკები მიდის მთისაკენ, და თუმცა შეუჩვეველი კაცისათვის იქ გზა არ არის, მაგრამ მთის ხალხისთვის კი თავისუფალი სასიარულოა. შეუდგნენ მთას და გათენებისას გავიდნენ ყუროს მთის ჩონჩხებთან, სადაც შეისვენეს „კიდობანა“ ქვასთან — ვეება ოთხკუთხ კლდესთან, რომელიც ზევით წვერებიდგან ჩამოქანებულა თუ ჩამოგორებულა მწვანე ველზედ და უცნაურად, თითქოს განგებ, აყუდებულა ამ ადგილას, რათა თავ-შესაფარი შეიქნეს იქ მოსიარულე ხალხისთვის, და ეს კი ეჭირება, რადგანაც იმ ადგილში განუწყვეტლივ ზევით მთის წვერებიდგან ჩამოდის ქვა.

მეორე დღე იმათ აქ გაატარეს საღამომდინ, რადგანაც დღე სიარული ვერ გაებედათ, რომ თვალი არვის მოეკრა.

ისინი ამოჰფარებოდნენ კიდობანას და უშიშრად უყურებდნენ თუ ქარისაგან, თუ ავდრისაგან დაფუღუროებული კლდეები როგორ იშლებოდნენ, როგორის ხტომით და რახრახით მოგორავდნენ ზეიდგან ქვები, რომელთაც ერთმანერთის წაკვრის დროს ელვასავით შუქი გამოჰკრთებოდა, გაიფშვნიტებოდა და ჩადიოდა ქვევით ყუროს ხევში, სადაც გროვდებოდა და კედელსავით ეგებოდა ერთმანერთზედ. მეორე მხრიდგანაც წყნარად მოცურავდა რბილი შავი ქვიშა, წყალგამჯდარი და დანოტიებული, რომელიც ზედ ეფარებოდა ქვებს და ამგვარად ამაგრებდა ამ ბუნებრივ კედელს, რომლის იქიდგანაც გუბდებოდა წყალი. ყუროს მთის წვერები, შემდგარი რბილის შავის „ჭაჭიდგან“, დანოტიებული, იფშვნებოდა როგორც ქვიშა და უცნაურად დაეხრამა ადგილები. ცოტა ქვევით გამოჟონავდა ანკარა წყაროები, ისეთ რიგად ცივი, რომ კაცი სტაქანს ვერ დალევდა უსვენებლივ.

ჩვენი მგზავრები მოუსვენრად მოელოდნენ საღამოს, როდესაც ამ მთებს დაუპირდაპირდა მზე და დააჭირა სიცხემ.

იქამდის ძლიერი იყო მზის სიცხე, რომ ზოგ ადგილებს ოშხივარი ავარდა და თითქოს ამ ოშხივარის ძალით მოძრაობაში მოვიდა წვრილი ქვიშა. თვალს უჩვენებოდა ისე, თუ მართლა მოძრაობდა ეს ქვიშა — კაცი ძნელად იტყვის, მაგრამ მოისმა ერთბაშად ჭახანი და ხრიალით გამოსქდა წყალი ამ მთიდგან, რომელიც წარმოუთქმელის სიჩქარით გაემართა ქვეყვით, ხევისაკენ.

იქამდინ ძლიერი და ჩქარი იყო იმისი მიმსვლელობა, რომ ვერა ქვა, ვერა კლდე ვეღარ აყენებდა იმის მდინარეობას და წყალი, ქვიშა, აუარებელი ლოდები, რომელიც თითო კლდედ ჩაითვლებოდა, არეული და გაზელილი ერთმანერთში, მიეშურებოდა თავქვე მოგროებულს ქვიშასა და ქვის კედლისაკენ. იქ შემაგრებული კედელი გაუძალდებოდა წუთს და, ბოლოს, ისიც, დამორჩილებული, გაერეოდა ახლად-და-ახლად მოხუულს ძალას და დამაყრუებლის ხუილით, ქვების ერთმანერთზედ ლესით, ფშვნეტით და ხრიალით ჩადიოდა თერგში, რომელსაც თითქოს კისერზედ შემოიგდებდა; თერგიც ებრძოდა თავის მხრით, ახტებოდა ზედ, გადადიოდა და წარმოუდგენელს სურათს წარმოადგენდა, რადგანაც ყუროს თავნი, თერგის ქვეშ გამძვრალი, მიეშურებოდა დასავლეთისაკენ და თერგი კი ზედ გადამდენი, გაცოფებული და აქაფებული, განრისხებით მიეშურებოდა ჩრდილოეთისკენ.

კაცმა უნდა ნახოს ეს ორი ძალა, ჯვარედინად შეტაკებული ერთმანერთს, უნდა ნახოს იმათი ბრძოლა, აქაფება, იმათი ხრიალი, ჩქეფა და ტალღების ჰაერში სროლა, რომელიც ათას ნამჭრევად რამდენიმე საჟენის სიმაღლეზედ იფანტება ჰაერში, რომ შესძლოს წესიერად დაფასება ამ დიდებული სურათისა. აქ თქვენა ხედავთ ძალას, ტირილს, კვნესას, მუქარას, ღრიალს, ბრძოლას ერთმანერთში არეულს, და იქამდისინ მიჰყევხართ, რომ რაღაცა გულის კანკალით თითქოს თქვენ გინდათ ჩაგრიოთ ამ უცნაურს ბრძოლაში!

კარგა ხანი იყო, რაც მზე ჩავიდა და მთვარემ მოჰფინა ნაზის სხივით მთის წვერები, მაგრამ მოუსვენარი გაჯიბრებული ყურო და თერგი ისევ ერთმანერთს ებრძოდნეხ, ისევ არ ისვენებდნენ, თითქოს ეს ორი ძალა ვერ მოთავსებულიყვნენ. ჩვენი მგზავრები გაუდგნენ თავის გზას, გავიდნენ ზედ ყუროს

წვერზედაც, საიდგანაც გულისძგერით უკანასკნელად გაეცხედეს თავის ქვეყანას, უკანასკნელად გაიგონეს ხსენებული მდინარეთ ბრძოლის ხმა, რომელიც თითქოს უძახდა: „ძალას — ბრძოლა!“

გადადგეს საბიჯი და ჩაეფარნენ მთას; აქედგან ხევი აღარა ხჩანდა, აქედგან ერთი ხდის ხეობის გავლა, გვირგალას წვერის გადაკვლა და... სხვა ხალხი, სხვა ქვეყანა!

გადრჩლიან მშვიდობით? ნახვენ-ღა თავიანთ სამშობლოს?

ეს კითხვები მეტად მძიმე, მეტად მწარენი იყვნენ, რომ ლაპარაკის თავი ჰქონოდათ; ისინი წარსულიყვნენ თავთავიანთ ფიქრში. თავთავიანთ გულში, რომელიც სცემდა, მღელვარებდა, ღრინავდა და სიტყვას ადგილს აღარ აძლევდა.

იქამდინ ძლიერი იყო იმათი მღელვარება, რომ თვით იმ დროს, როდესაც ხდის ტყეში ჩავიდნენ, სადაც ბინა უნდა გაემართათ, იმათ ვერ მოეხერხებინათ ლაპარაკის გაბმა და მოკლედ თითო-ოროლა სიტყვას თუ წამოიძახებდნენ, რომელზედაც ისეთივე მოკლე პასუხი მიეცემოდათ.

XIV

დაბინავების შემდეგ იმათ საჭაროდ შეჰამეს მწვადები, რომელიც მოიმზადეს თან მოტანილი ნადირის ხორცისაგან. ნუნუს მისცეს ნაბადი, რომელშიაც გაეხვია; კობა და იაგო კი ცეცხლის პირას ჩიბუხს ეწეოდნენ.

— მე ხვალ გათენებისას გვირგვალას წვერზედ გავალ მწყემსებთან, იქ გავიგებ ყარაულად ვინები არიან, — დაიწყო კობამ.

— ხევსურები იქნებიან, სხვა ვინა? — უპასუხა იაგომ.

— ეგ სულ კარგი და სულ კეთილი! ისინი გზას არ დაგვიჭერენ.

— მალე კი გაიგე ყველაფერი.

— მალე გავიგებ.

— გირგოლაი ეშმაკია, თუ მიგვიხვდა აქეთ წამოსვლას, მაშინ ჩამოვლენ და ყველა გზებს შეგვიკვრენ, აჩქარება უნდა.

— ჰაი, ჰაი, რომ უნდა.

კობამ ვერ გაათავა ეს სიტყვები, როდესაც გაღმა მთის გვერდზედ გავარდა თოფი, იმას სხვა ადგილიდგახ, ცოტა მოშორებით, უპასუხა რამდენიმე თოფმა და მთვარის შუქზედ ველიანს მინდორზედ გამოჩნდა ორი ჯგუფი ხალხისა, რომლებს შორის ასტყდა თოფის სროლა.

ორივე ამხანაგი წამოცვივდნენ და დაუწყეს ცქერა, როდესაც მინდორზედ თოფის ცეცხლი ხან აქ გაიძაბებოდა ენასავით, ხან იქ, და ცოტა ხნის შემდეგ მოისმოდა გრიალი. ვინ იცის ვის ართმევდა სიცოცხლეს, ვის სახლში შეჰქონდა ტირილი და ვაება?

დიდხანს არ გაგრძელებულა ეს სროლა, რადგანაც ერთმა ჯგუფმა დაიწივა უკან და ტყეში შემოცვივდა; მეორე ჯგუფმა თუმცა ყიჟინა დააყარა, მაგრამ აღარ გამოჰკიდებია, რადგანაც ამ შუალამისას გადევნება უსარგებლო იქნებოდა, და თითონ ტყეში შეცვივნულებიც უკეთეს პირობაში ჩადგნენ.

— ეგენი, ბეჯითად, ჯარიახლები იქნებოდნენ, — წარმოსთქვა იაგომ.

— ჯარიახლები იქნებოდნენ: არწია ე მანდვე გვირგალაის იქით არაა?

— მეცხვარეებს თუ უპირებდნენ დაცემას და გაუგეს.

— ბეჯითად.

— ჩქარა კი შემოცვივდნენ ტყეში.

— მაშ ტყუილად რაზედ დაიხოცავდნენ თავებს? იმათ ცხვარი ენდომებოდათ, და რაკი მწყემსებმა გაუგეს, რაღას დაანებებდნენ.

— მაი, მაგათ შევერთდეთ.

— აგრე.

— მაშ წავალ, მოვნახამ. — წამოიწივა იაგომ.

— შენ რაისთვი, მე აქ არა ვარ? — წამოდგა კობა.

— მე რაიღა მიჭირს? მე წავალ, — გადაწყვეტით უთხრა იაგომ.

— შენ აქ დარჩი, ნუნუს უყარაულე.

— აბა, მაშ შენ იცი, სიფთხილით კი იყავ.

— ფიქრი ნუ გინდა.

— ერთბაშად არ შაეფეთო, არ მოგკლან.

— არა.

— ძმობა უთხარ.

— აგრე.

— უთხარი, რომ აბრაგები ვართ, რომ მაგათას სტუმრად მივდივართ.

— აგრე.

— მაშ ნუღარ იგვიანებ, ღმერთმა მოგიმართოს ხელი.

კობამ აიღო თოფი, გადაიწერა პირჯვარი და რამდენიმე გადაბიჯების შემდეგ დაიმალა ტყეში.

იაგომ თვალი გაადევნა იმას, კარგახანს უყურა იმ ადგილს, სადაც ის დაიმალა ფოთლებში, და ბოლოს გამობრუნდა ნუნუსკენ, რომლისთვისაც მგზავრობას ძალა დაეტანებინა და მისძინებოდა.

მოხევე მიუახლოვდა, შესდგა, დაუწყო ყურება იმის პირისახეს, რომელსაც მთვარის შუქი მიჰფენოდა, და აშკარად ღიმილი გამოსჭვრეტდა. იაგო უყურებდა დიდხანს სიყვარულით და თვალი ვერ მოეშორებინა იმის მიმზიდველის სახისთვის, რომელსაც გაწეწილი თმები უსწორ-მასწოროდ დაჰყროდა; სუბუქი, მაგრამ თავისუფალი, სუნთქვა არხევდა იმათ, რომელიც, უეჭველია, სასიამოვნოდ უღუტუნებდა, რადგანაც არც იღვიძებდა და არც ღიმილი ეკარგებოდა სახიდგან, ან იქნება დიდი ხნის უბედურს თავის სატრფოსთან ძილშიაც ტკბილი სიზმრები ეზმანებოდა და ეს იყო იმის მხიარული სახის მიზეზი.

ცოტა ხანმაც გამოიარა, გაელო ტუჩები, რომლებიც წყნარად შეინძრნენ და ისე ტკბილად და მღელვარებით სავსე გრძნობით ახსენეს იაგოს სახელი, რომ იმან ვეღარ მოითმინა ცქერა, დაეცა მუხლებზედ და წყნარად, სიფრთხილით დაუწყო კოცნა. ნუნუმ, რა გახურებული ტუჩების მიკარება იგრძნო, შეიძრა და დაზარმაცებულის თუ დაქანცულის ზმორებით მოხვია მკლავი კისერზედ.

იაგო თითქმის დაიბნიდა იმის მიკარებაზედ, იქამდინ გამტაცებელი, ძრიელი იყო იმის მიხლოება.

ორნივ სტკბებოდნენ, ორთავ გულისცემა ფართხალად გარდაჰქცეოდათ, ორნივ ერთსა და იმავე თავ-დავიწყებაში და სიტკბოებაში იყვნენ, რომელიც, მთელი საუკუნო რომ გაგრძე-

ლებულიყო, სანანურად არ გაუხდებოდათ. ისინი ჰკოცნიდნენ და ითვრებოდნენ ერთმანერთის ეშხით.

რა მოსდიოდათ, რას შვრებოდნენ, რად მოქმედებდნენ ასე და სხვარიგად არა, ამას ვერც ისინი გეტყოდნენ, ვერც სხვა. მხოლოდ იმათ ესმოდათ, რომ ისინი შეეპყრო რაღაცა უხილავ ძალას, რაღაცა სიტკბოებას, წაერთო გონებისთვის მოაზრება და თავის ქნიფი, ლტოლვილება თითქმის სადღაც მიათრევდა თავის ნებაზედ და ისინიც მისდევდნენ, რადგანაც ძალა აღარა ჰქონდათ წინააღმდეგობისა! ისინი შესწყვეტდნენ ალერსსა, რომ ერთმანერთის თვალებში ჩასცქეროდნენ, რომლიდგანაც თითქოს ახალ ძალას ამოიღებდნენ, ახალ მოუსვენარს გრძნობას შეიძენდნენ და ისევ შეაწებებდნენ ტუჩებს.

ეგეთია სიყმაწვილე და მასთან წმინდა, უანგარო სიყვარული! ღმერთო! რამდენ ნეტარებასა გრძნობდა იმათი გული იმ წუთებში!..

ისინი კიდევ ამ სიტკბოებაში იყვნენ, როდესაც კობა გავიდა იმ ადგილს, სადაც ბინად უნდა დაბინავებულიყვნენ ტყეში შემოფარულნი მეომარნი. იმ ადგილს პატარა მინდორს გარს შემორტყმოდა ხელუხლებელი ტყე, რომელშიაც დარწმუნებულნი იყვნენ — ეს ხალხი ვერ განდევნიდნენ და, მაშასადამე, თავისუფლად უნდა მოწყობილიყვნენ!

კობა სიფრთხილით მივიდა ამ მინდვრის ნაპირად, წყნარად გასწივა ფოთლებს და მის თვალს წარმოუდგა დანთებული პატარა ცეცხლი, რათა მაღლად წასული შუქი მთხრობლად არ გამოსულიყო და გზის მაჩვენებლად არ დასდგომიყო იმათ მოწინააღმდეგეებს.

იმან დაინახა ათიოდე კაცი, რომელნიც ისხდნენ ცეცხლის გარეშემო, სწმენდდნენ თოფებს და ელოდნენ ვახშმის მომზადებას, რისთვისაც რამდენიმე შამფურზედ შიშხინებდა ჯიხვის მწვადები.

ცოტა ხანს უყურა კობამ და იცნო, რომ ისინი მართლა ჯარიახელი ქისტები ყოფილან, რომელთა შუა ერთი ნაცნობიც ერია; ეს იყო გამოჩენილი ცელების მკეთებელი ფარჩო, რომლის წამოსადეგობა და ვაჟკაცობა იმ ხანში ფარულად არა ყოფილა.

ღონიერი და გონიერი ბუნებით, იყო წარმოუთქმელი მარ-

დი, მხნე და გულადი; იმას არა-ერთხელ აეტირებინა ყაზახების ცოლ-შვილი, არა-ერთხელ გამოერეკა იათი ჯოგი და საქონელი.

მაგრამ ამას რა უნდოდა ხევში, სადაც მოკეთეებით სავსე იყო და ბევრგან პურ-მარილ-ნაჭამი?

ნუთუ ხევის წინააღმდეგ სადავლოდ წამოსულა? ნუთუ დავიწყებია პურ-მარილი და მთის ხალხის ჩვეულება, რომელიც, გარდა ოსებისა, ისე წმინდად ინახება ყველასაგან? არა, ფარჩო ჩეჩენია, მეტად ვაჟკაცია, რომ დაარღვიოს მთის ჩვეულება, ის სადავლოდ არ იქნება აქა!

ამ ფიქრში იყო კობა, როდესაც ფარჩო ერთბაშად წამოხტა, გაავლო თოფს ხელი და დაიძახა:

— ვინა ხარ მანდა?

— სტუმარი, — უპასუხა კობამ და პირდაპირ გავიდა მინდორზედ.

— სტუმარი ღვთისაა, რაღად იმალება? — უპასუხა ფარჩომ და შეხედა გამომცდელის თვალით. — მაგრამ თუ გვატყუებ, ღმერთმანი, ძვირად დაგიჯდება შენი საქციელი.

— ტყუილი გიაურებს შეჰფერის, მე მოხევე ვარ! — ამაყად უპასუხა მოხევემ. — ჩემი ქვეყნის ხალხს არც გული აქვს გაყოფილი, არც ენა.

— ღმერთმა დაგლოცოს მაგ სიტყვისთვის! გვეწვიე, — მიპატიჟა ფარჩომ.

ამ დროს სხვები მიეგებნენ კობას, პატივის ნიშნად თოფი ჩამოართვეს, მიესალმნენ და მიიყვანეს ბინაში.

ფარჩომაც იცნო კობა, მოიკითხეს ერთმანერთი, იკითხეს „ხაბარი“, ერთმანერთის შინაურობა, საქონლის მდგომარეობა და ჩქარა დასხდნენ პურის საჭმელად.

კობას, როგორც სტუმარს, და ფარჩოს, როგორც იქ მყოფების უფროსს, ცალკე მიართვეს, დანარჩენები კი ერთად დასხდნენ.

აქამდისინ ლაპარაკი შეეხებოდა სრულიად გარეშე საგნებს, თითქოს ზრდილობა ნებას არ აძლევდა ფარჩოს, რომ ეკითხა კობასთვის იქ ყოფნის მიზეზი და არც კობა ჩქარობდა ამ ამბით და, მთის ჩვეულებას-და კვალად, ელოდა უფროსისაგან კითხვას.

როდესაც პურ-მარილმა, რომელსაც ისეთი მნიშვნელობა აქვს მთის ხალხში, რაოდენათმე დააკავშირა ისინი, როდესაც ყალიონებს მოუკიდეს, ფარჩომ პირველმა დაიწყო:

— სტუმარო, შენ მეცხვარე ხარ, საქონელს ისე არ დაანებებდი თავს... თუ სათქმელი გაქვს რამე, გვითხარი, ყური შენკენა გვაქვს.

— კაც-ნაკლავი ვარ, სისხლს მოვშორდი, თქვენი მასპინძლობა მწადის.

— კაცის მოკვლა ცოდო არ არის: თუ გიმტრობს, პასუხიც უნდა მოგცეს. მარტოკა ხარ?

— არა.

— მაშ?

— მე ვარ, ჩემი ძმადნაფიცი და იმისი ცოლი...

— მოდით. — ცოტა ფიქრის შემდეგ წარმოსთქვა ფარჩომ, — სტუმარი ღვთისაა და მასპინძელი კი კარს ვერ დაუკეტს. ჩემი სახლი თქვენი სახლი იქნება.

— სიპურადეში ჩეჩნელთ არ დაგეძრახებათ.

— სტუმარი ღვთისაა, ლუკმაც ღვთისაგან გვაქვს მოცემული.

ამის შემდეგ კობამ უამბო თავისი და იაგოს ამბავი, უამბო ნუნუს ძალად ჯვარის დაწერა, უამბო ციხის გატეხა და გამოქცევა, რომელიც სავსე იყო თავ-გადადებულის ვაჟკაცობით, და იმიტომაც ისეთის სიამოვნებით ყურს უგდებდა ფარჩო და იმისი ამხანაგები.

ბოლოს ფარჩო წამოდგა, ამოიღო მასრიდგან ტყვია და მისცა კობას.

— მოიტა, შენც მამე, ძმადგაფიცვა მწადს შენთან.

კობამაც მისცა თავისი ტყვია და ისინი სამჯერ გადაეხვივნენ ერთმანერთს. ამ დღიდგან ისინი შეიქნენ ერთმანერთთან დაკავშირებულნი, როგორც ალალი ძმები, რასაც ყველანი სიამოვნებით ულოცავდნენ იმათ.

XV

ესენი ამ მილოცვაში იყვნენ, როდესაც ნუნუსა და იაგოს ჯიდევ არ მოსწყენოდათ ალერსი და ისევ მუსაიფში და ტრფიალში იყვნენ. სწორედ იმ დროს, როდესაც იაგომ თავი გადი-

ხარა ნუნუს საკოცნელად და იმანაც აღგზნებული ტუჩები გამოიშვირა საპასუხოდ, მოისმა ხმაურობა და რამდენიმე კაცი, გირგოლას წინამძღოლობით, ხმლებ ამოწვდილნი გადმოცვივდნენ.

იაგო წამოხტა და პირველისავე დამბაჩის სროლით მიაწვინა იქვე ერთი კაცი, მერე მოიკრა ხმალს ხელი და შეიქნა მწარე და ფიცხელი ბრძოლა, მაგრამ რა გაუვიდოდა ერთს ოცდა-ათამდინ კაცთან, რომლებიც ძაღლებსავით გარს ეხვეოდნენ.

დაიჭრა რამდენიმე კაცი გირგოლას მხრით, თითონ იაგოსაც თქრიალით გასდიოდა სისხლი ჭრილობებიდგან, თუმცა არც ერთი ჭრილობა არა ჰქონდა იმას მძიმე და არ უშლიდა ბრძოლას, რადგანაც ხალხის სიმრავლე იფარავდა იმას; ყველას უნდოდა იმისი დარტყმა, ეხვეოდნენ ერთს ადგილს, ერთმანერთს უშლიდნენ ხმლის მოქნევას და მით იფარებოდა სიკვდილისგან მოხვევე, რომელიც ლომსავით ტრიალებდა იმათ შუა, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ სისხლის დაღვრასთან ერთად ღონეც თანდათან აკლდებოდა.

იმ დროს, როდესაც იმას თავს ბრუ დაესხა, თვალთ დაუბნელდა და წაქცევას ლამობდა, ერთბაშად მოისმა რამდენიმე თოფის ხმა და გირგოლას კაცებთაგანი შვიდნი დაეცნენ ძირს, დანარჩენები კი შეცვივდნენ ტყეში, რადგანაც ამ მოულოდნელობამ გულები დაუხეთქათ.

ეს იყო კობა, ფარჩო და იმათი ამხანაგები, რომელთაც გაეგონათ იაგოს დამბაჩის ხმა და ისე დროზედ მოშველებოდნენ ჯერედ უცნობს მეგობარს.

რა რომ ეს მოულოდნელი ქომაგები დაინახეს, გირგოლას მომხრე ყაზახებმა პირი გაიბრუნეს საჩქაროდ და შეერივნენ ტყეში. კობას ამხანაგებმა კი აიყვანეს გულ-შემოყრილი იაგო და თითონაც სიმაგრე მონახეს.

ნუნუ, რომელიც ბევრი ეძება, კობამ იქ ვეღარ იპოვა. რა ასე მარტოდ მომწყვდეული იაგო ნახა გირგოლამ, იმის დაბოლოება ყაზახებს მიანდო და თითონ რამდენიმე კაცით კი ნუნუ მოაშორა იმ ადგილს.

იმისთვის, რომ მკითხველებს აუხსნათ, თუ საიდგან გაჩნდა

ასე მოულოდნელად გირგოლა თავის ყაზახებით, ჩვენ ცოტა უკან უნდა დავიხიოთ.

სტეფანწმინდას დიამბეგი იდგა სტანციის ერთს ოთახში და ღილებ-გახსნილი, პერანგა, განსვენებას ეძლეოდა, თუმცა ჯერ არ დასძინებოდა.

გირგოლა, რომელიც იქვე ახლდა, მოახსენებდა, თუ რამდენს ეძებდა იაგოს, რა განკარგულება მისცა იმის დასაჭერად, ვინ იყო ცუდი და ბუნტი კაცი, როდესაც ერთი ოსი წყნარად შემოიპარა ოთახში და გამოიჭიმა კარებთან.

— ვინ არის ეგა? — იკითხა დიამბეგმა.

— ტუღა გახლავს, შენი ჭირიმე, — უპასუხა გირგოლამ და მიუბრუნდა ოსს: — რაი ამბავი?

— იაგო ვიპოვნე.

— სადა? — მიატანეს დიამბეგმა და გირგოლამ ერთად.

— ყუროს მთაში სანადიროდ ვიყავ, იქა ვნახე.

— მარტოკა?

— არა, სენი ჭირიმე! იმასთან კოზა გახლდათ და ერთი ყმაწვილი ქალი.

— ქალი? — აღელდა გირგოლა.

— ქალი, ჰო!

— ქალი ვინ იქნებოდა? — იკითხა თავისთვის დიამბეგმა.

— რა მოგახსენოთ, — აღელვებით უპასუხა გირგოლამ.

— ვერ იცან? — მიექცა დიამბეგი ოსს.

— როგორ არა, შენი ჭირიმე, გირგოლას რძალი იყო.

ამ სიტყვებზედ გირგოლა გაფითრდა, მთლად აკანკალდა და გაბრუნდა.

— სად მიხვალ?

— უნდა ზედ შევაკვდე, შენი ჭირიმე.

— აბა, მაშ ხალხი წაიყვანე.

— ხალხი არ გამომადგება, მიბრძანეთ ყაზახები წავიყვანო.

— ხალხი რატომ არა?

— ისინი იაგოს არ დაიჭერენ, გაუშვებენ. ჩვენი ხალხი ძალლი ხალხია.

— მაშ ყაზახები წაიყვანე. აბა ჩქარა!.. ვინძლო ცოცხლები დაიჭირო, და თუ არ იქნა, დაახოცვინე.

— ბატონი ბრძანდები, — უპასუხა გირგოლამ, თუმცა გა-

დაწყვეტილი ჰქონდა, რომ დაჭერის მაგივრად უეჭველად მოჰკლავდა იაგოს, რადგანაც ეს უფრო ადვილიც იყო და მკვდარი მტერი აღარც ისე საშიში იქნებოდა.

გირგოლამ შეჰყარა ყაზახები, წაიყვანა თან ის ოსიც, რომელმაც ჯაბავი მოიტანა და გასწია ხდეს, რათა ტყის თავი შეეკრა.

ეს ველარ მოახერხა, თუმცა ნახა იაგო, კობა და ნუნუ ტყეში ჩასულები, რომელთაც ტუღა გააყოლა სათვალთვალოდ და თითონ ყაზახებით კი იქ დაიმალა.

ტუღა ჩაჰყვა იმათ ბინამდინ, მერმე გამოვიდა გირგოლასთან და ისინი ერთად, წყნარა და სიფრთხილით თავს წაადგნენ შეყვარებულებს.

აი ეს იყო მიზეზი, რომ გირგოლამ ისე მოულოდნელად შეიპყრო იაგო, მისცა ის სასიკვდინოთ შეუბრალებელს ყაზახებს და თითონ კი რამდენიმე კაცით ქალი გააქცივა.

— არ გცოდნია პატივის ატანა და ეხლა მიყურე! — უთხრა გირგოლამ ქალს და რამდენჯერმე მათრახი გადაჰკრა.

ქალი, რომელიც გაფითრებულიყო და არ იცოდა, რა ექნა, შეკრთა ინსტინქტიურად, თუმცა ვერც ხვეწნა გაიგონეს და ვერც ცრემლი დაინახეს იმის თვალზედ.

— ძაღლო! ძაღლო! — უპასუხა ქალმა, — რომ მომკლა, მაინც არ მეყვარები.

— არც მოგკლამ და არც გაცოცხლებ... დამაცადე... — დაემუქრა გირგოლა და კიდევ მათრახი გადაჰკრა.

გასკდა შემოწუთხული კაბა და სისხლმა შადრევანსავით გადმოასხა. ქალმა მიუშვირა ხელი, გაივსო მუჭა და პირში შეასხა სიტყვებით:

— ურჯულოო, უღმერთოო! გაძეხ ჩემი სისხლით!.. აჰა, დალიე!

გირგოლა ამოწვდილის ხანჯლით გაეჭანა, მაგრამ იმ დროს წამოეწივნენ ყაზახები, იმათი უფროსი და ხელიდგან გააგდებინეს ქალი.

მაშინ შეიტყო გირგოლამ, რომ რამდენიმე კაცი მოშველებია იაგოს და ის დაჭრილი ხელიდგან გაუგდებინებიათ.

ის იქამდინ გაცეცხლდა, რომ ჭოჭორს თავის ხელებით იგლეჯავდა, მაგრამ რაღას უშველიდა?

ძლივს ჩაიგდო იაგო ხელში და ეხლაც, ვინ იცის, იქნება ცოცხალი გადარჩა! თუმცა საეჭო იყო, რომ ოცდაათს ერთი კაცი უვნებლად გადარჩენოდათ, მაგრამ ვინ იცის?

ის ჩქარა დაარწმუნეს თუ დააყაბულეს, რომ იაგო მოკლულიც რომ არა ყოფილიყო, ჩქარა უნდა მომკვდარიყო, რადგანაც გუფთასავით დაკეპილის მორჩენა ძნელი-ღა იყო.

ისინი საღამოზედ ამოვიდნენ სტეფანწმინდაში, შეატყობინეს დიამბეგს, რომ იაგოს ბევრით მეტი ამხანაგები ჰყვანდა, სანამ მოელოდნენ, ისინი ყველანი გაწყვიტეს, ქალი, რომელიც ძალად წაეყვანათ, წაართვეს, თუმცა რამდენიმე ყაზახი იმსხვერპლა ამ ბრძოლამ.

დიამბეგმა ამისდა-კვალად შეადგინა ქაღალდი, სადაც თავის აზრით სავსე განკარგულება ჩაუმატა და გაუგზავნა ნაჩალნიკს, იმან ეს ქაღალდი გადააკეთა თავის გემოვნებაზედ და თავის სახელიც ჩაურთო და გაუგზავნა გუბერნატორს, იმან თავის მხრით დაუმატა თავის განსაცვიფრებელი ქვეშევრდომების მოქმედება და ეს ქაღალდი, ჭეშმარიტებით სავსე, მიუვიდა უმაღლეს მთავრობას, რომელმაც ყველას დაჯილდოება იპოვნა საჭიროდ.

ვის რად მიაჩნდა ორიოდე ყაზახის სიკვდილი, როდესაც ისეთი ავაზაკები გაწყვიტეს, როგორც იაგო, კობა და იმათი ამხანაგები? ყაზახების ადგილს სხვა ყაზახები დაიჭერდნენ, — განა ცოტანი არიან სტანიცებში?

რა სტეფანწმინდას მოვიდნენ, ნუნუ გირგოლამ გამოართვა, როგორც თავისი ოჯახობის საკუთრება, და წაიყვანა შინ, თავის სახლში, რომელშიაც იმის არშაში გადასვლის შემდეგ აღარავინ მდგარა. შეიყვანა სენაში, გამოუკეტა კარები და უთხრა:

— ემანდ ეგდე ძაღლსავით, სანამ მე ამოვალ.

თითონ კი გამოვიდა გარედ, სადაც მოეხვია ხალხი და ამბავს ჰკითხამდა.

— რაი გიანბოთ, რაი გითხრათ? ჩავხოცეთ ძაღლებსავით და გადავყარეთ.

— აი, ბედშავო იაგო! — შენანებით იძახდა ხალხი, — ბრალი არაა შენისთანა ბიჭი ემავრე უსახელოდ წახდეს!

რამდენიმე ყმაწვილმა ბიჭმა იქვე ჩუმად შეჰკრეს პირობა,

რომ ეხლავ წასულიყვნენ და იაგო თავის ამხანაგებით მიწისთვის მაინც მიებარებინათ.

გირგოლა კი ჩავიდა გახარებულს დიამბეგთან, რომელმაც ალარ იცოდა, როგორ ეთქვა მადლობა ამ ხემწიფის ერთგული კაცისთვის, რომელიც ასე სამაგალითოდ ემსახურებოდა იმას და ასრულებდა ბრძანებას.

იმან ჩქარა დაითხოვა გირგოლა, რომელიც, უეჭველია, დაღალული უნდა ყოფილიყო და განსვენება ეჭირვებოდა.

— წადი, წადი, ეხლა დაისვენე, ჩემო გირგოლავ, და ხვალ ჩამოხვალ... თუ თემლაკი არ ჩამოგკიდე მაგ ხმალზედ, კაციმც ნუ ვიქნები!

— შენი წყალობა ნუ მამიშალოს ღმერთმა, — დაბლა თავის დაკვრით უპასუხა გირგოლამ და გავიდა.

კობა თავის ამხანაგებით გავიდნენ კლდის ძირობაში, სადაც შემოზღუდული ქვები ერთის მხრით, და მეორეს მხრით კი ჩამოლესილი, თითქოს განგებ ჩამოთლილი კლდე კარგს სიმაგრედ და საფრად ჩაითვლებოდა. პატარა ბილიკი, სიგრძით ათითხუთმეტი საჟენი, რომელზედაც ნწკრივად თითო კაცი ძლივს დაეტეოდა, უფრო ამაგრებდა იმ ადგილს.

აქ დაანთეს ცეცხლი, მობანეს იაგოს ჭრილობანი, რომელიც რიცხვით მრავალი იყო, მაგრამ, როგორც ზევითა ვსთქვით, არც ერთი არ იყო საშიში, მოაყარეს გამამთელებელი წამალი „მელის კუდა“ და მაგრად შეუხვიეს. რასაკვირველია, მარილის მოყრაც არ დაივიწყეს, რათა არ დაეხავრა.

მერმე დაინთეს ცეცხლი, დააყენეს ერთი ყარაულად და დანარჩენები მიწვნენ, ვისაც სად შეხვდათ, გახვეულები თავთავიანთ ყისინებში. იაგო ჯერ გონს არ მოსულიყო და ამისთვის კობამ საჭიროდ დაინახა ღამე ეთივა იმისთვის.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე, რომელსაც დაარღვევდა წყლის ხუილი, რომელიც თითქოს ნანას ეუბნებოდა იქ მყოფებს.

XVI

გათენებისას ცეცხლი ჩამქრალიყო და, რადგანაც დილის სიო მეტად მოუჭირა, ხალხს გამოეღვიძა. ყველანი წამოდგნენ, გაანთეს ხელახლად ცეცხლი და მოუსხდნენ გარშემო.

იქ არა სჩანდა მარტო კობა, რომელიც იაგოს ვერ მოჰშორებოდა და ისეთის მღელვარებით თავს დაჰყურებდა.

რა ცეცხლთან მსხდომებმა ყალიონებს გაუკიდეს, ფარჩომ დაიწყო:

— ეგ მოხევები ჩვენ შემოგვეხიზნენ, ჩვენ უნდა გავიყვანოთ აქედგან.

— ჰაი, ჰაი, რომ უნდა გავიყვანოთ.

— წადით, ერთ-ერთმა იაგოს მიხედეთ და კობა კი აქ გამომიგზავნეთ. — ამ სიტყვებზედ ერთი ყმაწვილი ქისტი წამოხტა და მივიდა კობასთან, რომელიც მაშინვე წამოვიდა ფარჩოსთან.

— მოდი, გათბი, — მოიწვიეს მოხევე, რომელსაც ქისტებმა ადგილი მისცეს.

— არა მიშავს-რა, ნუ ღრჯებით, — უთხრა კობამ და მოუჯდა ფარჩოს გვერდით.

ცოტა სიჩუმის შემდეგ ფარჩომ დაიწყო:

— კობავ, დრო არის წასვლაზედ ვიფიქროთ.

— ჰაი, ჰაი, რომ დრო არის, მაგრამ დაჭრილს რაი უყოთ? — დაღონებით წარმოსთქვა კობამ.

— ეგეც თან უნდა წავიყვანოთ.

— ბარემ, თქვენი ჭირიმეთ, მაგრამ საით ივლის, სულ დაჩეხილია!

— უნდა წავიდოთ, მაგრამ იმ ბილიკზედ ვერ გავიტანთ, რომელზედაც გასვლას ვაპირებდით, და გვირგალაზედ კი თქვენებური ყარაულები დგანან... შენ როგორ გგონია, გაგვიშვებენ?

— ბედჩაო ჩემო თაო! მაშ ურჯულოების ხელში ხომ არ ჩაგვყრიან!

— რა ვიცი? — უპასუხა ფარჩომ, — გირგოლაიც თქვენებური...

— ჩვენებური, ჩვენებური, მაგრამ რაი უყოთ? — მწარედ და დაღონებით წარმოსთქვა კობამ, — განა ყველა ეგეთია?

— ჰეი!.. ეგეთები რომ არ იყვნენ, გიაურებს ვაჩვენებდით თავიანთ დღესს... რაი გინდათ, რაი?.. თქვენ რაი გაცოდვილებსთ?.. რაისთვი უჩვენებთ გზებს?..

— გაირყვნა ქვეყანა, ფარჩო, გაირყვნა! მოთავე ხალხი

ვინც არიან, ისინი იმათია, და ჩვენისთანა ბეჩავს კაცს რაი შეუძლიან?.. განა ჩვენ კი გვინდა?

— მართალი ხარ, მართალი, მაგრამ ღმერთი დიდია!..

ჩამოვარდა რაოდენიმე ხანი სიჩუმე, რომლის დროსაც ორნივ თავთავიანთ აზრში წაიღო.

— მაგას კი თავი დავანებოთ, — დაიწყო ისევ ფარჩომ, — მაგრამ აი რას გეტყვი: შენ ვერ მოელაპარაკები თქვენებურებს, რომ გაგვიშვან?

— რაისთვი ვერა! ვეტყვი.

— რომ არ დაგინდონ და დაგიჭირონ?

— საით დამიჭერენ! — ამაყად წარმოსთქვა კობამ.

— აბა, მაშ თუ იმედი გაქვს, გასწი ეხლავე, შაგრამ, თუ გეფიქრება, უბრალოდ ნუ ენდობი, სანამ იაფად მოყიდება, აქაც გავმაგრდებით.

— არა, ფიქრი არაა. — წამოდგა მოხევე.

— მაშ მიხვალ?

— წუთში აქავ გავჩნდები.

ამ სიტყვებით კობამ გადიკეცა ჩოხის კალთები და მგლის ძუნძულით გასწია გვირგვალას წვერისაკენ.

იმას იქამდინ სურვილი ჰქონდა, რომ ქისტები დაერწმუნებინა თავის ქვეყნის ხალხის ერთობაზედ, რომ იმან პირდაპირ გასწია ყარაულების ბინისკენ, საიდგანაც გადმოშდგარიყო რამდენიმე მოხევე და უყურებდნენ მომავალს.

— ეს ვინ იქნება? — ეკითხებოდნენ ისინი ერთმანეთს, რადგანაც ამ დროს არავის მოელოდნენ.

კობას ყველანი იცნობდნენ და, რა მიახლოვდა, იცნეს და გაუკვირდათ იმისი იქ მისვლა, მერმე ისე პირდაპირ, როდესაც იმის თავი დაფასებული იყო და თვალ-ხარბი ხალხი კი ქვეყანაზედ არ დაილეოდა. ის ისე გულადად, ისე უშიშრად და უზრუნველად მიდიოდა, რომ ნება-უნებლივ თანაგრძნობას უღვიძებდა მაყურებლებს.

— გზა მშვიდობისა, კობავ, გზა მშვიდობისა! — მიგებებით ეუბნებოდნენ ყარაულები, რომელთაც ისე მოეწონათ ამ ყმაწვილი ბიჭის სიგულადე.

— მშვიდობა მოგცესთ ღმერთმა, მშვიდობა! — უპასუხა იმან და მიესალმა.

— საით? რაი ამბავი? — მოხევეები არ აცლიდნენ ერთმანერთს კითხვას, რადგანაც ისე მოწადინებულხი იყვნენ კობას ამბის შეტყობას, რომელთანაც, უეჭველია, იაგოს თავგადასავალიც გადაბმული უნდა ყოფილიყო.

კობამ მოკლედ გადასცა თავისი მოსვლის მიზეზი, შეატყობინა, რომ ეხლა იმისი თავი იმათ ხელს არის და, თუ კაცობა და სვინიდისი ნებას მისცემსთ, გასცენ, გზას ნუ დაანებებენ.

ვერც ერთმა ყარაულმა, ვერც ერთმა მოხევემ ვერ გაბედა წინააღმდეგობის წარმოთქმა! რამოდენიმე ხანი ისე გაჩუმებულნი დარჩნენ კობას სიტყვების შემდეგ და მერმე უველამ ერთბაშად დაილაპარაკეს:

— რაისთვი, რაისთვი, შენი ჭირიმე!.. აი გზა და აი კვალი! მოგიკვდეს თქვენი გზის დამჭერი.

— დამირჩა თქვენი თავი... მადლი უფალს, რომ ჯერ კიდევ ძმა ძმასა სცნობს!

— წადი, კობავ, ასჩქარდით, თორემ, ვინ იცის, რა ჟამი მოვა... მოდით, გაიარეთ... თქვენს მოღალატეს უფალმა უღალატოს!

— ღმერთმა ისე ნუ მამკლას, რომ მეც არ გადაგიხადოთ.

ამ სიტყვებით კობა გამობრუნდა, ჩავიდა ქისტებთან, რომლებსაც მოეარათ იაგოსთვის, შეეხვიათ ჭრილობა და ისე მოუთმენლად ელოდნენ გაგზავნილის დაბრუნებას.

კობამ შეატყობინა ყარაულების პასუხი, იმათი თანაგრძნობა და ბევრი აღარ მოიგვიანეს: ჩააწვინეს იაგო ყისინაში, ასწიეს და შეუდგნენ მთას, სადაც მოხევე ყარაულები მოეშველნენ და თითონვე აიტანეს თავიანთ ბინამდინ. იქ დაისვენეს რაოდენიმე ხანი, სჭამეს სადილი, გამოესალმნენ ერთმანერთს, უსურვეს გამარჯვება და გაეყარნენ ერთმანერთს იმისთვის, რომ კობა და იაგო მოჰშორებოდნენ თავიანთ მოძმეთ, თავიანთ სამშობლოს და ყარაულები კი დარჩენილიყვნენ, რათა რამდენიმე დღის შემდეგ დაბრუნებულიყვნენ შინ და ყოველგვარი უსამართლობა გამოეარათ დიამბეგებისაგან, ნაცვლებისაგან და გირგოლას მსგავსი ხალხისაგან.

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც გირგოლა მივიდა თავის სახლის კარებთან, გააღო დაკეტილი კარები, გაჰკრა სპიჩკას და შევიდა თავის სახლში. იმან აანთო ჭონის სანთე-

ლი, მივიდა სენასთან, გააღო კარი და გამოიყვანა ხელებუკან გაკრული ნუნუ, რომელიც სანთელსავით ჩამომდნარიყო. ეს სამი დღე იქნებოდა, რაც ნუნუს ასე დამწყვდეულს, უჭმელსუსმელს ინახამდა და ყოველგვარს უწესოებას აყენებდა.

გირგოლამ მიიყვანა ის დედა ბოძთან და მიაკრა.

— ეგრე იყავ, ძაღლო! ჩაკვდი! — ნიშნის მოგებით და გაბრაზებით უთხრა ნუნუს, რომელმაც ხმა არ გასცა და თავი გაიბრუნა, რომ იმის საზიზღარი სახე არ დაენახა.

გირგოლა მივიდა, დაჯდა სკამზედ და დაუწყო ყალიონს წევა. არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც კარები დააბრახუნა ვიღამაც, გირგოლა მივიდა კართან და წყნარად იკითხა:

— ვინა ხარ?

— მე ვარ, ჯღუნაი.

გირგოლამ გააღო კარები და შემოუშვა ახლად მოსული, რომელსაც ერთს ხელში ხონჩა ტილო-გადაფარებული და მეორეში თუნგიანი ეჭირა.

იმათ მიკეტეს კარები, შევიდნენ და პურის საჭმელად ისე დასხდნენ — ნუნუს პირდაპირ ეყურებინა და უფრო მომეტებულად ეგრძნო შიმშილით ტანჯვა.

მსუქანს ცხვრის ხორცს, ერბოში მომწვარს ვარიებს, ერბოკვერცხს, ახლად გადმოღებულებს ცეცხლიდგან, ოშხივარი ასდიოდათ, ეს სწვდებოდა ქალის ყნოსვას და გაღვიძებული მადა წარმოუთქმელს ტანჯვად გახდომოდა. იმის ნაწლევებს თითქოს ცეცხლი ეკიდებოდა, თვალთ უბნელდებოდა და დიდი-ხნის წყალ-მიუკარებელი ყელი გაშრობოდა და დასიებოდა.

— უჰ, უჰ, უჰ! რა მსუქანია-და! — ყოველს ლუკმის აღებაზედ წამოიძახებდა გირგოლაი.

— ძალუმია, ღვთის მადლმა, — დაუმოწმებდა ტუჩებიშ მწლაკუნით ჯღუნა.

ნუნუს თუმცა წარმოუთქმელად შიოდა, მაგრამ ის ძალდატანებით იბრუნებდა იქით სახეს, რათა არ დაენახა ამ უღმერთოების პურის ჭამა, მაგრამ რაღაცა ძალა იმის უნებურად მიაბრუნებინებდა თავს სუფრისაკენ და თვალებს მიაცეცებდა საჭმელს. როდესაც გირგოლამ გადაჰკრა რაოდენიმე ღვინო, აიღო ერთი ხორცის ნაჭერი და წავიდა ნუნუსკენ.

— ქალაუ, ნახე — როგორი მსუქანია?

იმან მიუტანა ტუჩებთან და ზედ მოუსო. ქალმა ვეღარ გაძლო და ინსტინქტიურად, ბევრი ცდის შემდეგ, ძლივს გააღო პირი, მაგრამ გირგოლამ მაშინვე გამოაცალა პირიდგან და ხარხარით თავის ალაგსვე დაჯდა.

— უღმერთონო! — დასუსტებულის ხმით ძლივს წარმოსთქვა ნუნუმ და ჩაიჩოქა. — წყალი, წყალი... ღმერთი აღარ გყავსთ?.. — წაიქცა ქალი და თითქმის სული გაკმინდა.

— მაი, გირგოლავ, მივცეთ ბატარა წყალი, არ მოკვდეს!

— ძაღლია, მაგას რაი მოჰკლავს... მაგრამ მიეც, ბატარაი კი დაალევინე, — ცოტა ფიქრის შემდეგ წარბებ-შეჭმუხვნით წარმოსთქვა იმან.

ჯღუნა წამოდგა, მივიდა ნუნუსთან, მიიტანა წყალი, მაგრამ ქალს კრიჭა შეჰკვროდა და პირი ვეღარ გაეღო, თუმცა თვალები ღია ჰქონდა და ეტყობოდა, რომ გრძნობა არ დაჰკარგვიყო, რადგანაც ტუჩებს ანძრევდა.

მოხევემ ამოიღო ხანჯლის დანა, ჩაუგდო კბილებ-შუა, პირი ძალად დააღებინა და რამდენიმე წვეთი წყნარ-წყნარად ჩაუშვა პირში.

რა ქალის სასას მიეკარა გამაცოცხლებელი წყალი, იმას მაშინვე დაუბრუნდა სუნთქვა და ყელის მოძრაობა, ის მიეკრო ჭურჭელს და ყოველი წვეთის ჩაყლაპაზედ აშკარად ჰგრძნობდა სიცოცხლის მობრუნებას.

— ეყოფა, კარგი, — უბრძანა გირგოლამ.

— ბატარაი კიდევ, ღვთის გულისთვის! — შეშინებით მიჰყვა ჭურჭელს ნუნუ, რომელიც ჰშორდებოდა იმას.

ჯღუნამ კიდევ მოაწაფა, მაგრამ წყნარად წაიღო თავი იმისკენ და გირგოლას შეუმჩნევლად ყურში ჩასჩურჩულა:

— ბატარაიც მოითმინე... — და მერმე ხმამაღლა დასძახა ჭურჭლის ტუჩებიდგან წართმევით: — გეყოფის, კარგია!

ნუნუ მიხვდა ჯღუნას სიტყვებს თუ გაძღა, გაჩუმდა და იქვე ბოძთან მიჯდა.

გირგოლამ და ჯღუნამ ისევ ქეიფის წევა დაიწყეს.

— მაი, გირგოლავ, — ცოტა ხნის უკან წასჩურჩულა ჯღუნამ, — ბატარაი ხორცი შევაჭამოთ, არ მოგვიკვდეს!

— სამაგისო ხორცი სად-ღაა? — მკაცრად მიუგო იმან.

— ისე უნდა ვქნათ, რომ არც მოკვდეს, არც ცოცხალი

დარჩეს, თორემ რაი გამოვა? წვალება არ გინდა მაგისა? თუ კი მოჰკლავ, საით-და აწვალებ?

— ჰო, ჰო, წვალება მინდა, წვალება!.. შენ რომ იცოდე, მაგ ეშმაკის კერძმა რამდენი მაწვალა... ოო! — გააღრჭიალა კბილები გირგოლამ, — მეც გადაუხდი!

— მაშ, მივცე ხორცი?

— შენ იცი.

ჯღუნამ კითხვა აღარ გაიმეორა და მაშინვე მიუტანა საჭმელი საცოდავს ქალს, რომელსაც ჯერ თითონ აჭმევდა და, როდესაც ცოტა მოსულიერდა, ჩუმად გაუჭრა საბელი, რომლითაც ხელები ჰქონდა შეკრული და კიდევ ჩასჩურჩულა:

— მე კარებთან გელი, გამოდი, რაწამს გირგოლას დაეძინოს.

ამ სიტყვების შემდეგ ის მოშორდა და მივიდა გირგოლასთან, რომელსაც ღვინო იქამდისინ მოჰკიდებოდა, რომ თვლემა დაეწყო.

— რას სჩადი, ბედშაო! გეძინება?.. — და მერე შემოღრა: — „დალიე, დამალევინე, სული ნუ დამალევინე!“

— ჰა?! არა, — უპასუხა გირგოლამ, — მომე, მომე, — და გაუშვირა ყანწი.

ჯღუნამ გაუმსო და გირგოლამაც თუმცა მოიყუდა, მაგრამ ველარ გაათავა, გადააგდო ყანწი, შაიჭმუხვნა და უთხრა:

— აღარ მინდა, კარგია... ახლა კი წადი შინა.

ჯღუნა გამოესალმა და გავიდა, გირგოლამ ბარბაცით მიაცილა კარებამდინ, რის ყოფით გაუგდო ურდული და გამობრუნდა კედელ-კედელ, რადგანაც თავი ველარ დაეჭირა. რაკი შიგნით სახლში შევიდა, იმან დაიწყო გაუბმელი და არეული ლაპარაკი, თუმცა კედლისათვის ხელი ვერ მოეშორებინა, რადგანაც წაქცევისა ეშინოდა.

— როგორ მალე დავთვერ!.. რაი მომივიდა?.. ნუნუ, ეხლა მაინც ჩემი ხარ... მოდი... მოდი-მეთქი, მაკოცე!.. მაშ არ მოდიხარ?.. არა?.. მე მოვალ შენთან!

ის ამ ლაპარაკის დროს უპირდაპირდებოდა ნუნუს, რომელიც ბოძთან იდგა და სიზიზღით უყურებდა იმ კაცს. ერთბაშად გირგოლამ მოაშორა ხელები კედელს და ტორტმანით, თავ-წინ-დაღებული წავიდა ნუნუსკენ, რომელიც სწრაფად

გამოეცალა; გირგოლამ თავი ველარ შეიმაგრა და ისეთის სიძრიელით შეახალა შუბლი ბოძს, რომ უკან გადმოვარდა და რამდენიმე დალუღლუღების შემდეგ იქვე ხვრინვა ამოტეხა.

ნუნუ გულის კანკალით გამოქანდა კარებისკენ, გასწია ურდულს და გამოვიდა გარედ, სადაც ჯღუნა დაჰხვდა.

— დაეძინა? — მოკლედ და ჩუმად წასჩურჩულა იმან.

— დაეძინა, — უპასუხა ჩუმადვე ქალმა.

— მაშ იარე, შენი ნათლიაი გელის, — უთხრა ჯღუნამ და გაუძღვა წინ.

ქალი ხმა-ამოუღებლივ გაჰყვა იმას, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ თავის ნათლია, ჯღუნას ცოლი, ყოველ ღონისძიებას მოიხმარებდა ნუნუს დასამალად.

ის იმედობდა, რომ გირგოლას მოსწყინდებოდა იმისი დევნა და ბოლოს თავი უნდა დაენებებინა და, თუ არ დაანებებდა, მაშინ თავისი თავი ხომ ხელთა ჰქონდა, — თითონ იცოდა, რასაც უზამდა იმას.

იმათ გაიარეს რამდენიმე გზა, შეუბრუნდნენ აღმა, გავიდნენ სოფლის თავს პატარა კოხტა სახლში და იქ დაჰხვდა თავისი ნათლია, რომელმაც მიიღო იმედ-გადაწყვეტილი და ნუგეშდაკარგული ქალი.

ჯღუნამა და იმისმა ცოლმა დაამშვიდეს ნუნუ, რამდენადაც კი იმის დამშვიდება შეიძლებოდა, და თუმცა თითონაც ჯერ ნამდვილად არ იცოდნენ-რა, მაგრამ ის კი დაარწმუნეს, რომ იაგო ცოცხალი არის და, უეჭველია, ისე თავს არ დაანებებდა.

მეორე დღეს გირგოლას გამოეღვიძა და რა ნახა, რომ ნუნუ ხელიდგან წასვლია, ის გიჟსავით გამოვარდა გარედ, გადააბრუნა მთელი სოფელი, შესძრა მთელი ის მხარე, შეატყობინა დიამბეგს და სხვა მოხელე ხალხს ნუნუს დაკარგვა, მაგრამ ძე ჭორციელი ვერ იპოვნეს იმისი მნახველი და გადასწყვიტეს, რომ ნუნუმ უეჭველად წყალში თავი დაიხრჩო.

ასე მიდიოდა ნუნუს დღეები, რომელიც წინა ცხოვრების შედარებით ეხლა სამოთხესა ჰგრძნობდა, და თუ სევდა შემოაწვებოდა გულს, — ეს იყო იაგოზედ ფიქრი, რომლის ამბავიც ჯერ ვერ გაეგო.

ნაწილი მესამე

I

სოფელს არწიაში ფარჩოს სახლობამ მიიღო იაგო და მისი ძმადნაფიცი კობა, როგორც ნამდვილი ამ სახლის შვილი და ყოველის ღონისძიებითა ცდილობდნენ იმათი სურვილის აღსრულებას.

ექიმი, რომელიც დაუყენეს იაგოს, იმედობდა, რომ რამდენსამე დღეზედ ფეხზედ წამოაყენებდა ავადმყოფს, და იაგოც მოთმინებით მოელოდა ამ დღეს, რადგანაც წარმოუთქმელად გული ეღრინებოდა გირგოლაზედ, რომელმაც ისე უკაცურად გააბა ხათაბალაში, გახადა კაცნაკლავად, წაართვა საცოლე და მოაშორა სამშობლოს.

აქ იმოდენი საბუთები იყო გადახდევინების სურვილის აღსაძვრელად, რომ არამც თუ თავმოყვარე მთის კაცი, რაინდულის შეხედულებით და ხასიათით, რომელსაც ცხოვრების მიზნადა აქვს გამხდარი: „სიკვდილი სახელოვანი სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა“, არამედ დამშვიდებულს კაცსაც კი გონებას დააკარგვინებდა და მოთმინებიდგან გამოიყვანდა.

ასე მიდიოდა დღეები და კობა განუშორებლივ გვერდს ჰყვანდა ძმადნაფიცს. ყოველთვისინ, რა მარტონი დარჩებოდნენ, მოჰყვებოდნენ ლაპარაკს თავიანთ მდგომარეობაზედ, მოაგონდებოდათ თავიანთი სამშობლო, იქაური ღრუბელი და იმის დანახვის სურვილი ლევდათ.

ამგვარი ღამეები გათავდებოდა გულის ამდუღების ფანდურის ხმით, რომელსაც ისე მშვენივრად უკრავდა კობა და გმირულს ლექსებს ნახევარ-ხმაზე დასძახოდა.

ამგვარი ფანდურის ხმა, რომელიც თითქოს აღელვებს ავადმყოფს, ამასთანავე ერთად ამშვიდებს თუ ასიამოვნებს, ავიწყებს წუხილს, სატკივარს, ჭრილობას და მკურნალი ძილი უხუჭავს დასუსტებულს თვალებს, რომელიც ისე მკურნალად მოქმედებს. მხოლოდ იმას შეუძლიან ამ დაძახილის ღირსეულად დაფასება, ვინც ავადა ყოფილა და გაუგონია ეს ხმა, უგრძვნია თავის თავზედ ის ნეტარების და უკვდავების ნექტარი, რომელსაც ეს ხმა თითქოს წვეთ-წვეთად უსხავს ავადმყოფს სხეულს და აგებულებაში.

გაიარა კარგა ხანმა, იაგო დადგა მოკეთებაზედ, მოუვიდა მადა, ძილი, და თუმცა ჯერ კიდევ სუსტად იყო, მაგრამ დერეფანზედ გამოსვლა წმინდა ჰაერზედ კი თავისუფლად შეეძლო.

— იაგო, — ერთს ამისთანა დღეს უთხრა კობამ, — მთაჩი წავალ ნადიროზ.

— ბედშავო ჩემო თაო! შინ ჯდომა მოგწყინდა განა? — დაღონებულმა უპასუხა იაგომ.

— შენთან რაი მომაწყენდა, რად მეუბნები მაგას!

— აბა რაი გულის გადასაყოლია სულ ავადმყოფთან ყოფნა?.. წადი, წადი, თვალს გაახელ...

— წავალ, ეგების ჩვენებური მონადირე ვინმე შემხვდეს, შინაობისას გავიგებდი რასმე!

— შენ იცი, — უპასუხა იაგომ და პირი მოარიდა, რათა ამხანაგს სიწითლე არ შეემჩნია.

იმას მოაგონდა ნუნუ და დიდი ხანი იყო, რაც უნდოდა ეთხოვა კობასთვის, რომ იმის ამბავი შეეტყო, მაგრამ რცხვენოდა და ვერ გაებედნა.

— ეხლა, წმინდის გივარგის მადლით, შენც აღარა გიჭირსრა. ბატარაი კიდევ-და ზეზეც წამოდგები. მარტოობა თუ არ მოგწყინდების?

— რაისთვი? არა, არა! — საჩქაროდ წამოიძახა იაგომ, რომელსაც შეეშინდა, რომ კობას არ გადაეგუნება მთაში წასვლა და კიდევ მეტად დასატანჯად არ დაშორებოდა ნუნუს ამბის შეტყობა. — წადი, გაიარე, იქნება მართლა ნახო ვინმე, — დაუმატა უფრო დამშვიდებით დაჭრილმა მოხევემ.

კობა მოემზადა, გამოესალმა ყველას და გასწია ხდეს სანადიროდ და უფრო კი ნუნუს ამბის შესატყობად.

ჯერ კიდევ არ დაბნელებულიყო და მზე უკანასკნელს სხივებს ესროდა მთის წვერებს, როდესაც იმან მიაღწივა ხდის ჩხატს, რომელიც თეთრ რძედ გადაქცეულიყო და ვარდებოდა აუარებელის სიმაღლიდგან; ღრიალებდა, ქაფდებოდა, იმქრეოდა წვრილს ნამად, რომელშიაც ბრჭყვინავდა, ელვარებდა და თამაშობდა მზის სხივი, შეხამებული ათასგვარ ნაზს ფერადად, რომელიც ორს-სამს ალაგას გროვდებოდა და ცისარტყელას მსგავსად იდგა.

ქვემოდ რგვლად შემორტყმული მშვენიერი მწვანე ტყე

იმის იქით მეორეს მთის მხრიდგან ჩამონადენი წვრილი შავი ქვიშა, ერთკენ მხარეზედაც პატარა გორაკი, რომელიც თავდებოდა რგვალის ზურმუხტოვანის, შემკულის ათასის ფერის სურნელიანის ყვავილებით მინდვრით; იქვე აუარებელი „ხახამა“, მარწყვი და „შავი ხილი“, რომლის სიმსხოც და გემოც გაგაოცებდათ; ცოტა ტყის იქიდგან ფიწალო ჩამოლესილი კლდეები, რომლის წვერებიც ისე უსწორ-მასწოროდ ამართულიყვნენ და იკარგებოდნენ ცის სივრცეში.

ხდის ხეობის ერთკენ მხარეს მოვიდა კობა და,~დაყრდომილი თავის თოფზედ, გაჰყურებდა ამ მიმზიდველს სურათს, სადაც ნაზი ფერი და მდებარეობა არეოდა გარეგნულს ამაყს და მკაცრს ბუნებას და ისეთის გარმონიით შეხამებულიყო.

დიდი ხანი იყო, რაც კობას ამგვარი სურათები აღარ ენახა და მით უფრო ტკბილი იყო, რომ მისი შეჩვეული ბუნება ითხოვდა ამგვარს გართობას, თვალისა და გრძნობის დატკბობას.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც მეორე მხარეს კლდის კინწრიხოზედ ამაყად გადმოდგა ხარი ჯიხვი, ვეებერთელა მოხრილის რქებით, თითქმის ნახევრად გადმოიზნიქა კლდეზედ და გახურებული შუბლი მიუშვირა ნიავს. ის იდგა ამაყად, უშიშრად: ჰგრძნობდა,. რომ თავის სამფლობელოში იყო.

მართლა თავდამავიწყებელს სურათს წარმოადგენდა ეს ჯიხვი, გადმოზნექილი მაღალ პლატოზედ, თითქოს ქვიდგან გამოჭრილი და შეერთებული ამ კლდეს, რომლის რქებიც, დაფერილი უკანასკნელი მზის სხივით, ისე აშკარად იხატებოდა ცის კიდურზედ. ის იდგა ისე გაუნძრევლად და კობასაც ეშინოდა განძრევა, რათა ხმაურობით არ დაერღვია სიამოვნება ამ ლაზათით სავსე პირუტყვისათვის.

ერთბაშად მოისმა შტვენის მიმამსგავსი ფრუტუნი და ნადირი ერთბაშად წატრიალდა. კობამაც მიიხედა იქით და დაინახა ისეთივე გალაღებული ხარი, როგორიც იდგა კლდის წვერზედ. ის მოდიოდა მეორე ჯიხვისკენ წყნარად, დარწმუნებული თავის უპირატესობაში და თავის ქნევით თითქოს მუქარას სთხოვდა. იმის იქიდგან გამოჩნდნენ რამდენიმე თხა და წალ~, რომლებიც შესდგნენ და დაუწყეს ყურება ამ ორს მე-

ტოქე ხარს, რომელთაც, უეჭველია, თავის გამოჩენა უნდოდათ ნაზი ქმნილების წინაშე. კლდეზედ მყოფი ხარ-ლაღიც წამოუბრუნდა, დაიფრუტუნა და წყნარისავე სიარულით, თავის ქნევით გასწივა მომავალისკენ. როდესაც ისინი მიახლოვდნენ ერთმანერთს რამდენიმე ნაბიჯზედ, შესდგნენ, დაუწყეს ერთმანერთს მრისხანედ ყურება და ფეხებით მიწას ცემა. როგორც ეტყობოდა, ისინი რაღაცას ანიშნებდნენ ერთმანერთს, არა სთანხმდებოდნენ და, რა ვერ დაჰყაბულდნენ, ერთმანერთს გაექანენ, რქებით დაეჯახნენ. ამის შემდეგ ისინი აწვებოდნენ ერთმანერთს რაოდენიმე ხანი ისე ძრიელად, რომ გატენილი ძარღვები ლამის ასკდებოდათ, მაგრამ ვერც ერთმა ვერ დაძლია, ვერ დაახევინა უკან.

ბოლოს ისინი გაშორდნენ ერთმანერთს, ერთი მათგანი წავიდა ხტუნაობით, მივიდა ზედ კლდის პირზედ, გამობრუნდა, გაიბოწკა ფეხები, გამაგრდა და მოიღერა კისერი; მეორე ჯიხვი კი ზეიდგან მოექცა. შედგა უკანა ფეხებზედ, წამოვიდა ისე და, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაეცა რქებით კლდის პირა მყოფს ჯიხვს რქებზედ. მასუკან ქვეითი გამოსცვალა ზეითმა და ეს დადგა ამავე გვარად კლდის ნაპირას და პირველი კი შეტოტდა და დაეცა. ყოველი იმათი შეტაკება, ყოველი იმათი რქების მოხვედრა ერთმანერთს ისეთს ხმას გამოიღებდა, თითქოს რამდენიმე თოფი ერთად გავარდაო. ღმერთსამც ნუ ექნა, რომ ქვეითს ეღალატნა ზეითისთვის: გამოსცლოდა იმ დროს, როდესაც მეორე მოდიოდა, თორემ იმას აღარა იხსნიდა-რა — რამდენიმე ასი საჟენის სიმაღლიდგან გადავარდნილს სული აღარ ჩაჰყვებოდა ხევამდინ. მაგრამ, დარწმუნებული ქვეითის უღალატობას, მოდიოდა ეს შნოებით სავსე პირუტყვი და მხოლოდ იმაზე-და ჰფიქრობდა, რომ რამდენადაც შეიძლებოდა, ძალზედ დაეკრა.

წალები და თხები კი თავიანთის ეშმაკურის სიმკვირცხლით ახტოდნენ იმათ ახლოს, თითქოს ამით უნდოდათ მეტად წაექეზებინათ მებრძოლნი, რომლების ქცევაც ასე მოსწონდათ.

კობა უყურებდა გატაცებით, გაშმაგებით და შენატროდა ამ პირუტყვთ ზნესა და ჩვეულებას, რომელსაც ერთი ერთზედ გამოჰყავდა და ერთს ერთთან ებრძოლებდა.

სწორედ იმ დროს, როდესაც ერთი ჯიხვი გამაგრდა და მე-

ორე ჯიხვი კი გადმოეშვა ზედ დასაცემად, გავარდა თოფი და გადაატრიალა ქვევით მდგომი ჯიხვი; მეორე ჯიხვმაც ველარ შეიმაგრა თავი და ორივე გადაცვივდნენ კლდეზედ. ვიღაცის უხილავმა ხელმა მოუღო ბოლო იმათ ბრძოლას, და ეს ვიღაცა წამოდგა, მოიხადა ქუდი და გაიქცა კლდისაკენ, სადაც გადაცვივდნენ ჯიხვები. იმან დაინახა ჩახოცილი ნადირები, რომელნიც წუთის წინად ისეთს სიცოცხლით სავსე ბრძოლაში იყვნენ.

კობამ უსიამოვნოდ გაჰხედა მონადირეს, რომელმაც ისე უწყალოდ და შეუნანებლად მოუსპო სიცოცხლე ამ პატიოსანს პირუტყვებს და არ დააცალა გამარჯვებით სიამოვნება.

მთის ჩვეულებით, ამგვარად შეხვედრილი მონადირეები მოვალენი არიან უეჭველად გაიყონ ნანადირევი და ამისთვის კობამ გასწია ქვევით, საითკენაც უცნობი მონადირეც თავის მხრიდგან ჩარბოდა. ცოტა კიდევ გაიარა და დაძახა კობამ:

— კვლავ უფრო, კვლავ უფრო! — შემოღებული მილოცვა მთის მონადირეთა შორის.

კაცი შესდგა, შემოხედა და მადლი გადიხადა. წარმოიდგინეთ ორთავეს სიხარული, როდესაც იმათ ერთმანერთი იცნეს.

— ჯღუნავ!.. გზა მშვიდობისა, ჯღუნავ! — მიეშურებოდა კობა მონადირისკენ.

— გაგიმარჯოს ღმერთმა, კობავ!.. საიდგან გაჩნდი აქა, საიდგან? — მოუთმენლად მოელოდა პასუხს.

— აბა, რაი ვიცი?! ალბად ჩემმა ბედმა და იღბალმა გადმომაგდო აქეთ.

ისინი მიესალმნენ ერთმანერთს და ამის შემდეგ პირველი იმათი კითხვა იყო იაგოზედ და ნუნუზედ.

— ღვთის მადლს, იაგოსი რაი იცი? — იკითხა ჯღუნამ.

— ბადლი უფალს! ეხლა კარგადაა. ჯერ სულ არ მორჩენილა, მაგრამ დერეფანში კი გამოდის...

— თუ არა დაუშავდა რა?

— არა, ხელს ვერ ხმარობს ჯერა, მაგრამ დაშავებით კი არა უნდა-რა. ნუნუსი რაი-ღა იცი, რა? იმის ჯავრი ლევს იაგოს.

— ბედშავი ჩემთანაა დაბალული. დაიღუპნენ იმისი მამის ძმანი, ერთი არ წამოეჭომაგა, მაგრამ იმათ რაი ენაღვლებათ, იმის მამის წილი სულ იმათ დარჩათ.

ამის შემდეგ ჯღუნამ დაწვრილებით უამბო ნუნუს თავგადასახადი იმისი მდგომარეობა და მალვა ხალხისაგან. ამასთანავე უამბო — რა გასაჭირია ამგვარი მალვა, რომელიც შეუძლიანთ დღეს ან ხვალ შეუტყონ და მაშინ ვეღარ გადურჩება გირგოლას.

— ქალას არა უჭირს-რა, მარტო იაგოზედ ნაღვლობს,— გაათავა ჯღუნამ.

— ო, ბედშავი! — წარმოსთქვა კობამ.

— კარგს იზამდი, უფლის მადლმა, რომ შენ ჩამოსულიყავ, თავად გეამბო თქვენი ამბავი, — უთხრა ჯღუნამ და დაუმატა: — დაჭერისი ნუ გეფიქრების, ეგრე ჩაგიყვან და ამოგიყვან, ღვთის მადლმა, რომ ადამიანის თვალმა ვერ გაგიცადოს.

— წამოვალ, შენი ჭირიმე, წამოვალ, იმათ როგორ შეუშინდები? შენ რომ არ მენახე, მაინც გუნებაში მქონდა ჩამოსვლა.

ამ გადაწყვეტილების შემდეგ ჯღუნამ შეჰკრა ერთი ნადირი, რომელიც კობამ, როგორც უმცროსმა, წამოიკიდა და მეორე ნადირი კი გამოშიგნეს, უფეთქეს გარშემო წამალი და იქ დააგდეს, რათა კობას ამოვლაზედ წაეღო იაგოსთვის და ნადირობაში აღარ დაგვიანებოდა.

ისინი შეუდგნენ მთებს, ჩქარა გადაიარეს ყუროს მთა და გათენებისას მიაღწივეს ჯღუნას სახლს, სადაც ისე ფარულად ინახამდნენ ნუნუს.

II

ჯღუნა და კობა წყნარად და ფრთხილად მივიდნენ სახლის კარებთან, რომლის დერეფანზედაც გამოდიოდა პატარა სარკმელი, საიდგანაც სახლის პატრონმა რამდენიმე კენჭი შეაგდო და ყური დაუგდო. სახლიდგან გამოისმა ხმა:

— ტიალი თაგვი! ჭერშიაც არ ისვენებს?

— კარს მოუარე, ჭერს ფიქრი არ უნდა, — წყნარად წარმოსთქვა ჯღუნამ.

ამ სიტყვებზედ შიგნიდგან მოისმა ხმაურობა და წუთს შემდეგ გაიღო კარები, რომელშიაც შევიდნენ ორნივ მოსულები და მაგრა მიკეტეს კარები.

— რაი ამბავი? — შესვლის უმალ იკითხა ჯღუნამ.

— მშვიდობა, — იყო მოკლე პასუხი.

— სარკმელი დახურე და ჩირაღი გაანთე... ნუნუ რას იქს?

— რაი უჭირს, სძინავს.

ამის შემდეგ გაანთეს ჩირაღი და ჩამოხსნეს ნადირი კობას, რომელიც მიესალმა ჯღუნას ცოლს; ეს გაშტერებით შეჰყურებდა იმას და თავის თვალებისა არა სჯეროდა.

ბოლოს ქმარმა უამბო, დაარწმუნა, რომ ის კობა არის, იაგოს ამბავი მოიტანა და, რადგანაც მშივრები იყვნენ, ვახშამი მოსთხოვა.

— ეხლავ, სუყველაფერი იქნება, — დაფაცურდა ჯღუნას ცოლი, — მაშ კარგადაა იაგო, ჩემო ყველავ! — ეუბნებოდა კობას გახარებული. — შენისთანა მახარობელს, ღვთის მადლმა, რიგიანი დახვედრა უნდა.

— მაგეებს თავი დაანებე და პური გვაჭამე, ეგ ეჯობინების, ღვთის მადლმა, — წამოიძახა ჯღუნამ და მიუბრუნდა მოხევეს: — არა, კობაისი?

— ეხლავ, ეხლავ, ბატარაი დაიცადე, — უპასუხა ცოლმა და გაბრუნდა.

— ძალიან კი კვეხულობ და არ ვიცი, რაი გაქვს?

— მტერსამც ნუ-რა ექნება-რა, თორემ ჩვენ ღვთის მოწყალება ბევრი გვაქვს.

— არაყი გაქვს?

— ჰაი, ჰაი, რომ მაქვს! ეგეთი შინაური არაყი მაქვს, ღვთის მადლმა, რომ რაი-და გითხრა.

— აბა, მაშ ბატარაი ცეცხლიც გაანთე, მწვადებსაც შევწვავთ.

— აგრე, — უპასუხა დედაკაცმა და წამზედ გაანთო ცეცხლი, მოიტანა შამფურები, პური, ერბო-ყველი, ნაზუქები და სხვა საჭმელები, ეტყობოდა, რომ ის დედაკაცი ქმარს მოელოდა და როგორც მზრუნველს, გამამხიარულებელს თავის ოჯახობისა, არ დავიწყებოდა ასეთის სამზადისით დახვედრა.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც ხმაურობაზედ გამოჰლვიძებოდა ნუნუს და, რა შუქი დაენახა და მოძრაობა გაეგონა, გულ-გახეთქილს წარმოედგინა, რომ გირგოლა მისულა იმათსა და იმისთვის არის ეს ალიაქოთი. ის მაგრა მიიჭუჭკა,

გაინაბა, გაკმინდა სული და გულის ცახცახით მოელოდა, რომ წუთით-წუთზედ შემოვიდოდნენ, იპოვნიდნენ და მაშინ ვაი იმის დღესა!

კარგა ხანს იწვა სამალავად გაკეთებულს სენაში და ასე შიშით მოელოდა, რომ გამოაჩენდნენ, იპოვნიდნენ, და თუმცა ყოველის ღონისძიებით ცდილობდა გაეგო ლაპარაკის საგანი, მაგრამ ხმაურობის მეტი არა ესმოდა-რა, რადგანაც გაფრთხილებული მოსაუბრენი ნახევარ-ხმად ლაპარაკობდნენ. იმან ვეღარ გაუძლო ამ სატანჯველს მდგომარეობას, წამოიცვა საჩქაროდ ტანისამოსი, მივიდა კარებთან და იქ ნახვრეტიდგან დაუწყო ყურება, თუმცა კვარის შუქზედ, რომელიც ძლივს ანათებდა, ვერა გაერჩივა-რა.

იმას ესმოდა, რომ სტუმარი სახლის პატრონებისთვის სასიამოვნო უნდა ყოფილიყო, რადგანაც ატყობდა მეგობრულს ლაპარაკს და გაშტერებით იძახდა თავის გუნებაში:

„ნუთუ ჯღუნამ მიღალატა? ნათლიამაც არ დამინდო?“ — და გულზედ მუხრუჭივით რაღაცამ მოუჭირა და წარმოუდგენელი ტკივილი აგრძნობინა.

— აჰუ, ამათშიაც მოვტყუვდი! — მწარედ წარმოსთქვა იმან და მოაგონდა წარსული სატანჯველი გირგოლას ხელში.

ის მთლად ჭირის ოფლში გაქანდა და გაიფიქრა: აი ეხლა მიმცემენ ჩემს მტარვალს, ის წამიყვანს, დამამწყვდევს, მაწვალებს, მტანჯავს და ბოლოს ისევ შიმშილის, ისევ წყურვილის ცეცხლი!.. მერე? მერე იაგოსაც ვეღარა ნახავს, ვეღარ დასტკბება იმასთან და ისე ძალღ-უმადურად უნდა აღმოხდეს სული... მაშ რაღად გამოიყვანა ჯღუნამ? რისთვისღა მალავდა ამოდენა ხანს, თუ ასე ჩქარა გასცემდა?

ამ მწარე ფიქრებით იდგა ნუნუ, როდესაც სუფრაზედ მარილი დასჭირდათ და ჯღუნა მიუბრუნდა თავის დედაკაცს:

— წადი-ღა, ბატარა მარილი გამოიტანე.

დედაკაცი ადგა, მივიდა სენასთან და, რა კარი შეაღო, დაინახა ნუნუ, რომელსაც სიტყვის თქმა არ დააცალა, გადაეხვია და დაუწყო კოცნა.

— ჩემო ყველავ! — ეუბნებოდა ის მაშინ, როდესაც ნუნუს ვერ გაეგო ამგვარი სიხარულის მიზეზი.

— ავაიმე, ნათლიაისი! მითხარ, რაი ამბავია? — ძლივს მოახერხა იმან კითხვა.

— კობაი მოვიდა, იაგო კარგადაა! ჩემო გულის საყვარელო! — კიდევ გადაეხვია, კიდევ დაუწყო კოცნა. — ეხლა კი გვეშველა!

ნუნუ ისე გააშტერა ამ სიტყვებმა, ისე მოულოდნელი იყო ეს ხმა იმისთვის, რომ ის მთლად გაშრა, ცახცახმა აიტანა და ხმა ველარ ამოელო.

მაშ იაგო გადარჩა, ის კარგად არის! სხვა რაღა უნდოდა ბედშავს? ცოტა ხანს შემდეგ, როდესაც გონება შემოიკრიბა, ის გიჟსავით გავარდა კობასთან, რომელსაც მოეხვია და გულამომჯდარმა უბე გაუვსო ცრემლით.

ნუნუ ეხვეოდა უსიტყვოდ, ეალერსებოდა და ამომჯდარი გული ველარ დაემშვიდებინა.

როცა იქნა, ქალმა მოახერხა რამოდენიმე ცვარი წყალის ჩაყლაპვა და ძლივს შეაჩერა გულისძგერა. გაჩუმებულს და დათეთქვილს ამდენის მოულოდნელობით ეჭირა კობას ხელი და მოხვევ კი უამბობდა იაგოს თავგადასავალს.

ყველანი წყნარ-წყნარად დამშვიდდნენ, დასხდნენ, მოისვეს ნუნუ გვერდით და სხვადასხვაგვარის ოხუნჯობით ძლივს მოგვარეს იმას პირზედ ღიმილი.

— ხუმრობა — ხუმრობად, მაგრამ რაი უნდა ვარჩიოთ, როგორ მოვიქცეთ? — დაიწყო ჯღუნამ, — ასე ყოფნა არ იქნება, უნდა გზა მოვნახოთ რაიმე...

— შენ გვირჩივე, შენ გვითხარ, — უპასუხა კობამ, — შენი მოაზრებისა ვინ იქნების?

— ეხლა გირგოლამაც შაიტყო, რომ იაგო გადარჩა, ხდეს რუსის ყაზახები ჩააყენეს და მონადირე ძლივს-და გადადის ხრიოკებზედ, იმაზედ ქალი ვერ გადაიყვანების.

— მაშ რაი გვეშველების? რაი ვქნათ?

— ნუნუ ძაუგში უნდა ჩავიყვანოთ და იქიდგან გატაცება უფრო გაადვილდების.

— ძაუგში?! — გაკვირვებით იკითხა კობამ, — ეგ საით მოხერხდების, გზები სავსეა ყარაულებით.

— მაგას მე მოვახერხებ...

— აბა შენ თუ, თორემ ცხო ვერვინ შეჰბედავს მაგას.

— იქ ნუნუს მამა მთხოვარობს, იმას ჩავაბაროთ, და ის შეგვინახამს იქამდე, სანამ თქვენ წაიყვანთ.

— ეგ კარგი იქნება, მაგრამ მე გზისა მეშინიან... თუ გაგვიგეს, ხომ ალარა გვიხსნის-რა?

— აი, ყური დამიგდე, — დაიწყო ჯღუნამ, — შენ ჯერ ბალღი ხარ, სისხლი გიდუღს, ყველგან ძალით გატანა გინდა და დროება კი ისეთი შეიქნა, რომ ძალა ალარ ხერხდების... ზოგჯერ ეშმაკობაც არაა გონჯი, არც დასაძრახისია... სტანციებში ტროიკები უკან რომ ბრუნდებიან, იმათ არავინ აყენებს, არავინ შინჯავს... იკითხამენ — „კტო იდოტ“, უპასუხებ — „აბრატნიო“ და გაივლი შენთვის. შევაბამ ტროიკაში ცხენებს, ჩავაწვენ შიგ ნუნუს, ზედ წავაყრი ბატარა თივას და ისე გავივლი ძაუგამდის, ღვთის მადლმა, რომ ხმაც არვინ გამცეს... მერე ძაუგში, როგორც მოახერხებთ, ისე მოიქცევით.

კობა იქამდინ გააშტერა ჯღუნას სიმართლით სავსე მოაზრებამ, რომ ენა ძლივს-ღა ამოაგნო. იმ ხანებში ტამოჟნა ლარსში იყო გაკეთებული და ამგვარად მთის ხალხს გაჰქონდა თამბაქო.

— ღვთის მადლმა, რომ საკვირველია! საით მოიაზრე?

— რას იტყვი, მოგწონს?

— აბა რაი-ღა ითქმის, უფლისგან დალოცვილი ხარ და ღვთის პირით ლაპარაკობ.

— დედაკაცო, შენ რაღას იტყვი?

— აბა, თქვენთან რაი მეთქმის? თქვენ უფრო არ იცით? მე წმინდას გივარგის შევეხვეწები, რომ ხელი მოგიმართოსთ, ცხო რაი შემიძლიან?

— ქალაუ, შენა?

— ოღონდაც კი გირგოლას მომაშორეთ და თუნდა წყალში გადამაგდეთ.

— მაშ აგრე, ყველანი თანახმა ხართ?

— ყველანი, — იყო საერთო პასუხი.

— მაშ ეხლა თითო საყველაწმინდო შევსვათ და დავიძინოთ, თორემ აგერ ყირვანწვერზედ ინათა და ჩვენ კი ჯერ არ გვძინებია.

კობა ჩაიყვანეს ქვეით სახლში, რომელშიაც დაუგეს რბილად თივა, გაუგდეს, გაამაგრეს კარის ურდული და იქ დააწ-

ვინეს, ჯღუნამ კი მიიხურა ნაბადი და იქვე კერას პირს გრძელს შკამზედ მიწვა. ქალები მოუდგნენ ჭურჭლის სუფთავებას და მეორე დღისთვის მზადებას, რადგანაც გათენდა და დაწოლის დრო აღარ იყო, თუმცა იმათი საქმე შესწყდებოდა ხან გახარებულის ნუნუს, ხან იმისი მზრუნველი ნათლიის დაყვავებით, ალერსით და ღვთის ხვეწნით, რომ იმას ხელი მოემართა და ხევური ჯვარ-ანგელოზნი დახმარებოდნენ ამ ძნელს საქმეში.

მზე ჯერ კარგად არ ამოსულიყო, როდესაც ერთი მთიული ამოდიოდა ჯღუნას სოფელზედ და კითხულობდა იმის სახლს. ამ მთიულს, როგორც ეტყობოდა, სოფელში არავინ იცნობდა და მასპინძელიც არა ჰყვანდა. სწორედ ამ მიზეზით, პირველი შემხვედრი მოხევე ჩვეულებისამებრ მიესალმა და დაელაპარაკა:

— მთიულო, გზა მშვიდობისა.

— მშვიდობა მოგცეს ლომისამ, შენი კვნესა-მე! — უპასუხა მთიულმა.

— მასპინძელი თუ არა გყავს, იარე ჩვენსა, — მიიპატიჟა მოხევემ.

— არა, შენი კვნესა-მე, მადლობელი ვარ, თოლიკიანთ ჯღუნაისას მივდივარ.

— თოლიკიანთ ჯღუნაი სოფლის თავსაა, შორია... იარე ჩვენსა.

— მადლობელი ვარ, შენი კვნესა-მე! იმისას საქმე მაქვს.

— ჯღუნას კაი ოჯახი აქვს, ღვთის მადლმა, მაგრამ სტუმრისთვის მეც ვიშოვი ლუკმას.

ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ჯღუნა ამდგარიყო და რაღაცა საქმისთვის ქვეით მოდიოდა. ამ ადგილს იმან სწორედ იმ დროს მიაღწივა, როდესაც მთიულს მოხევე ეპატიჟებოდა, და მთიული კი ჯღუნას სახლს კითხულობდა. იმან ვერ იცნო მთიული და ამისათვის მივიდა მოლაპარაკეებთან.

— დილა მშვიდობისა, სტუმარო! — მოუხადა იმან ქუდი.

— მშვიდობა მოგცეს ღმერთმა.

— რაი ანბავია, მახუტავ? — მიეჭცა მოხევეს.

— აი სტუმარს ვეპატიჟები და არ მიჯერებს, შენთან მოდის.

— სტუმარი ღვთისაა, იარე, წავიდეთ! — მხიარულად წარმოსთქვა ჯღუნამ და მიუბრუნდა მახუტას: — ეგ რაღა იცი, ჩე! ცხოთა სტუმარი შენ უნდა მიიპატიჟა?

— ნუ გეწყინების, ჯღუნაისი, მე მეგონა მასპინძელი არა ჰყავს-მეთქი...

— ვისის გორისა ხარ, სტუმარო? — ჰკითხა ჯღუნამ.

— ჯალაბაურიანთი, შენი კვწესა-მე.

— ჯალაბაურთ გორი მთაჩი განთქმულია! მადლი უფალს, რომ მეწვიე, ჩემი ბედჩავი სახლი იქადრე.

— მაი, ჯღუნავ, შენც წამოდი, სტუმარიც წავიყვანოთ და ბატარაითი ღვთის სახელი ჩვენც ვახსენოთ, — დაიწყო ისევ მახუტამ.

— სახლი მეცა მაქვს, მახუტავ, ღვთის მადლმა! თუ შენ წამოხვალ, ღმერთს არ მოეტყუების, მიამება.

რამდენიმე პატიჟის და ვაჭრობის შემდეგ, თუ სტუმარი ვის დარჩენოდა, ყველანი წავიდნენ ჯღუნასას, რომელსაც, მთის ჩვეულებისამებრ, დიდს სირცხვილად მიაჩნდა სტუმრის დათმობა, და თუ ერთხელ ნასტუმრები სხვისას მივიდოდა, მაშინ მიიპატიჟებდა იმას სახლში სადილად და საყვედურის ნიშნად ციკანს დაუკლავდა.

III

ისინი წავიდნენ ჯღუნასას, სადაც ჩვეულებისამებრ დახვდნენ ნადიმად. ჯღუნას კარგად ესმოდა, რომ, როდესაც უცნობი კაცი უცნობის სახლში მიდის, კითხვა-კითხვით დაეძებს ამ კაცის სადგურს, უეჭველია, საქმე უნდა ჰქონდეს რამე და გულით სურდა შეეტყო ამ საქმის შინაარსი, მაგრამ მთის ხალხის ჩვეულება და ზრდილობა ნებას არ აძლევდა დაეწყო ამაზედ ლაბარაკი, სანამ თვითონ სტუმარი არ დაიწყებდა, და ის კი, როგორც ეტყობოდა, არა ჩქარობდა თუ ერიდებოდა მეორე მოხვევეს.

როდესაც პურის ჭამა გაათავეს, მახუტამ თავის მოვალეობად ჩასთვალა გამოსთხოვებოდა სტუმარ-მასპინძელს, რათა მარტონი დაეგდო ესენი და თავისის იქ ყოფნით არ დაეშალა მოლაპარაკება იმათთვის.

როდესაც ჯღუნა და მთიული მარტონი დარჩნენ, მასპინძელმა ჰკითხა:

— პურმარილი გავტეხეთ და სახელი კი არ ვიცი შენი, რა გქვიან?

— მე ეფხიაი მქვიან, შენი კვნესა-მე.

— ვაჟკაცს ვაჟკაცის სახელი ექნების! — შეაქო ჯღუხამ, — კაი გორისა ხარ, ღვთის მადლმა, და კაი სახელიცა გქონია.

— ვაჟკაცობისა რაი გითხრა და მტერს კი არ შეუშინდები, ლომისის მადლმა! — ამაყად უპასუხა მთიულმა და დაუმატა: — ჯღუნავ! შენი სახელი განთქმულია ჩვენს მხარეს... შენი ტყვია ნიშანს არ ასცდების, შენი სტუმარი არვისგან დაიჩაგრების, შენგან ღალატი არ იქნების... საქმედ მოვსულვარ შენთან, თუ ვერ გამიტან, მითხარ და წავალ, მოგშორდები.

— მეზობელს საით ეღალატების? მეზობლის მოღალატე ღვთის მოღალატეა... მითხარ, რაი გაქვს სათქმელი და, წმინდის გივარგის მადლმა, სტუმრისთვის თავს გადავდებ.

— იაგო დასჭრეს, მოკლეს თუ რაი მოუვიდა? შენ მონადირე ხარ, სულ მუდამ მთაჩი დადიხარ და გეცოდინების, — პირდაპირ დაიწყო ეფხიამ და მიაპყრო თვალები.

— რას იცნობ იაგოს, რად გინდა ისა?

— ჩემი ძმადნაფიცია ისიცა და კობაც, უიმათოდ გულმა გველარ გასძლო, წამოველ, თუ ცოცხლები არიან, იმათთან ვიცოცხლო, და თუ მომიკლეს, იმათი სისხლი ავიღო... შენ მოკეთე ხარ იაგოსი — ხელი უნდა მომიმართო.

მოხევე ჩაფიქრდა რაოდენიმე ხანს.

— ეფხიაუ! ღვთის მადლმა, კარგი ვოჟი ხარ და კარგი გორისა! მაგრამ დროება გამოიცვალა და ნუ გეწყინების, თუ სიტყვას გიბრუნებ. უწინდელი დრო ყოფილიყო, პირდაპირ გიპასუხებდი, არ დაგეკითხებოდი, მაგრამ ეხლა დროება გამოიცვალა, ხალხი გაირყვნა, ძმა ძმას ველარ ენდობის, მოყვარე — მოყვარესა... ნუ გეწყინების და თუ მატყუებ, იაგოს სამტროდ გინდა ჩემი გამოცდა, პურ-მარილი გიჭამია ჩემს სახლში, მაი, მომშორდი!.. ნუ გმობ!..

— აბაიმე! მაგას რას მეუბნები?.. მე ჯალაბაურიანთ გორისა ვარ, ჩემი გორის კაცს ენაც ერთი აქვს და გულიც. ლომისის მადლმა, ქვეყანა გაირყვნა, მაგრამ ჩემი გორის კაცებს კი-

დევ იმდენად შერჩათ გული და ნამუსიცა, რომ მტერს პირდაპირ უმტრონ და მოკეთეს პირდაპირ უერთგულონ, ლომისა იყოს შენი თავდები... მითხარ, თუ იცი რამე.

ჯღუნამ კიდევ ბოდიში მოიხადა სიფრთხილისთვის და ბოლოს დაწვრილებით უამბო იაგოსა და ნუნუს ამბავი, კობას აქ ყოფნა და ამან ისე იმოქმედა ეფხიაზედ, რომ იმის ვაჟკაცურს პირისახეს ბავშური სიხარული დაეტყო.

— მადლი ლომისას, რომ აგრე გადარჩენილან! — წამოიძახა მთიულმა და ქუდის მოხდით პირჯვარი გადიწერა.

— სადაა კობა, მიჩვენე ჩქარა!..

— ქვეითა სძინავს, იქა მყავს დამალული... კარგა ხანია, რაც სძინავს, ეხლა გაღვიძებაც შეიძლების, — უპასუხა ჯღუნამ და დაუძახა თავის დედაკაცს, რომელსაც უთხრა: — ჩადი, კობაი გააღვიძე, უთხარ, ეფხია არის აქა-თქო, შენი ნახვაი უნდათქო... აქ კი ნუ ამოვა, ჩვენ ჩავალთ იმასთან.

დედაკაცი მაშინვე გაბრუნდა, ცოტა ხანს შემდეგ კაცებიც ადგნენ და სამყოფო სახლში ერდოდ ამოჭრილის ნახვრეტიდგან, რომელსაც უბრალო კიბე ჰქონდა მოდგმული, ჩავიდნენ კობასთან.

საზოგადოდ იმ მხრის მთის ხალხის ზენა სახლი ბნელია, თუმცა უმრავლესი ერდოები, კვამლის გასასვლელად ამოჭრილი, ჭერში რაოდენსამე შუქს უშვებს და ქვენა სახლი, რომლის ერდოც ამ ზენა ბნელს სახლში ამოდის და არავითარს შუქს არ აძლევს, წარმოიდგინეთ, რა იქნებოდა?

ამ ქვენა სახლში, საზოგადოდ, ზამთარში საქონელს აყენებენ და, რასაკვირველია, იქაური ყინვების შიშით, დასათბუნებლად რაც შეიძლება ცოტა სარკმელები აქვს და ისიც მუდამ დახურული, ამოჭედილი.

ამ ამგვარს სახლში ჩავიდნენ ჯღუნა და ეფხია, რომელთაც რაოდენიმე ხანი მოუნდათ შედგომა, სანამ სიბნელეს თვალს შეაჩვევდნენ. ჯღუნა, როგორც სახლის პატრონი და შეჩვეული თავის სახლს, გაჭედილს ბაგებით, პალოებით და კირკლებით, მიუძღვებოდა წინ, უკან სიფრთხილით მისდევდა ეფხია, რომელსაც ეშინოდა ფეხი არაფრისთვის წამოედო.

— ეფხიავ! მოხველ მშვიდობით! — ერთბაშად გადაეხვია მთიულს კობა, რომელიც ბნელაში ვერ დაინახა ეფხიამ.

— კობავ! შენი კვნესა-მე! — მოეხვია ისიც.

ორნივ მეგობარნი შეიყარნენ ისეთის სიხარულით, ისეთის სიამოვნებით, როგორც ნამდვილი ძმანი.

პირველი სიხარულისა და ერთმანერთის წარსულზედ კითხვის შემდეგ, ეფხიამ უამბო თავისი სურვილი იმათთან შაერთებისა, რადგანაც იმან ვერ გაუძლო ამდენს უსამართლობას და ყველა ძაღლის ბატონობას.

— შემომაკვდების ვინმე, შენი კვნესა-მე, შემომაკვდების, — გაათავა იმან თავისი ამბავი. — ეხლა ვაჟნი ისენი არიან, შენი კვნესა-მე, ვინც მოძმეთ გამყიდავია, მოღალატეა, ვინც მეზობელზე მთხრობლად გამოდის, იმათა აქვსთ ძალა, ისინი არიან ბატონები! რაიც უნდათ, იმას ჩადიან... ლომისის მადლმა, მე იმათთან ვერ გავძლებ!

— ნუ, ეფხიაისი, ნუ! რაისთვი უნდა მოიშალო სახლ-კარი? ჩვენ თავზედ ხელაღებულები ვართ, ჩვენ რას გვიყურებ? დავრჩებით — ცხვრის ტყავი ვართ, გავწყდებით — თხისა.

— სახლს რაღა მოშლა უნდა, შენი კვნესა-მე? მოშლილია და მოშლილი! სირცხვილი აღარსად და სამართალი! არა, კობავ, შენი კვნესა-მე, გული ვეღარა სძლებს, შემომაკვდების ვინმე და ძნელია.

ბევრი ლაპარაკის შემდეგ იმათ გადასწყვიტეს, რომ საღამოზედ კობა და ეფხია წავლენ არწიაში და ჯღუნა კი, რაწამს მოამზადებდა ტროიკას, ნუნუს წაიყვანს ძაუგს თავის მამასთან. საღამომდინ კობა მაინც ფარულად უნდა ყოფილიყო, და მთიულს კი მიზეზი არა ჰქონდა მალვისა, რადგანაც იმას არავინ ეძებდა და ამისი მოხვევებისას სტუმრობა კი ჩვეულებრივი იყო. თუ ვინიცობაა, ჰკითხავდა ვინმე მოსვლის მიზეზს, ის ეტყოდა, რომ იმას მწყემსად დადგომა უნდოდა.

თუმცა ეს ყველა მოხერხებით იყო შეთხზული და მთიულს ვერვინ გამოეკიდებოდა, მაგრამ ეფხიამ კობასთან დარჩენა ირჩია, რადგანაც დიდი ხნის უნახავი იყო და კიდევ ბევრი რამ ჰქონდა სათქმელი.

ჯღუნა გამოვიდა გარედ, ჩავიდა დუქნის კარში, სადაც ბ-ნი ნაჩალნიკი და ბ-ნი დიამბეგი ბძანდებოდნენ და ხალხი ჰყვანდათ შემოხვეული გარს.

ჯღუნა მივიდა ახლოს და გაიგო, რომ მილიციას ამზადებენ

ჩეჩნებთან საომრად და ამ ხალხს ჰპირდებიან ყოველ გვარს წყალობას ურჯულოებთან ბრძოლისთვის, რომლისთვისაც ჯილდოს მიიღებენ ჯერ ხემწიფე იმპერატორისაგან და მერმე ზეციურს — სარწმუნოების დაცვისთვის.

ხალხი ჩუმად იდგა და ყურს უგდებდა მოსაუბრეთა ენაწკვეტობას; იმათ შორის ბევრი ისეთი ხალხი იყო, რომელთაც ენახათ ჩეჩენი, იმისი მდებარეობა, გაუსვლელი, ხელუხლები ტყეები და ქარგად ესმოდათ, რა ძნელს საქმეზედაც ეზავნიდნენ იმათ.

ბოლოს ერთმა მოიხადა ქუდი, წადგა წინ და დაიწყო ასე:

— ჩვენ ვიცით, შენი ჭირიმე, ბატონო! ხემწიფეს სამსახური უნდა... ჩვენ ყინვასა და სიცივეში, — როდესაც ბუქი და ქარიშხალი ყოველ წუთს გვექადის ჩაგვჩუმქროს, როდესაც ყოველ წუთს გადმოწოლილი თოვლები გვექადის თავზედ დაგვცეს, — გავდივართ გზების საკეთებლად ჯარებისთვის... მარხილებით და ზურგით ამ გაჭირვებაში მთაზედ გადაგვაქვს იმათი ბარგი და საომარი იარაღი; ვეზიდებით შეშას, თივას და ხორაგს... ყველა ამას სიხარულით ვასრულებთ იმად, რომ ხემწიფეს სამსახური უნდა... უწინ ჩვენ ამდენი არ გვეხდევინებოდა, მაგრამ არ ვჩივით, თუ კი სამსახური შეგვიძლიან, ხემწიფის ჭირის ნაცვალი იყოს ჩვენი თავი... მაგრამ ჩეჩნებთან საომრად ნუ გაგვგზავნით. ჩვენ მეზობლები ვართ ქისტების სოფლებთან, ერთმანერთში მოყვრობა გვაქვს, მტრებად ნუ გადაგვაქცევთ, თორემ, ღვთის მადლმა, ერთმანეთს დავლევთ.

— ხემწიფის მოწინააღმდეგენი თქვენი მტრები ჯნდა იყვნენ. თქვენ უნდა წახვიდეთ საომრად, რადგანაც მთავარ-მართებელი ბძანებს.

— წასვლით წავალთ, მეტი რაი დღე გვაქვს, შენი ჭირიმე, მაგრამ ჩვენთვის ყველაზედ ძნელია იმათთან ჩხუბის აშლა. ღმერთს არ მოეტყუება, მტრისა არ გვეშინიან, არც სიკვდილს გავექცევით, მაგრამ ისინი არ არიან ჩვენი მტრები.

ამ ლაპარაკის შემდეგ ის იყო, რომ ნება-უნებურად უნდა მოგროვილიყო მთის მილიცია, ჩამოეტანათ თავიანთი წმინდა დროშები და რამდენიმე დღის შემდეგ, მთის მებატონის გოშპარაშვილის წინამძღოლობით, წასულიყვნენ დარღოსკენ, სა-

დაც აგროვებდნენ დიდს ჯარებს და ერთის ძრიელის იერიშით შამილის გატეხას და ჩეჩნის დაპყრობას აპირებდნენ. იმაზედ, თუ რამდენად გაუმართლდათ ეს იმედი, ჩვენ ქვევით გვექნება უფრო ვრცლად ნათქვამი და ამისთვის აქ მეტს აღარას ვამბობთ, გარდა იმ სიხარულისა, რომელიც აღუძრა გულში ამ ამბავმა მებატონეთ კეთილშობილობას.

გოშპარაშვილის გარდა კიდევ მრავალი ხალხი გროვდებოდა, თავადი თუ აზნაური, ამ ბრძოლისთვის და იმედი ჰქონდათ, რომ იაფად დაუჯდებოდათ ჩინები, რომელსაც ისეთი პატივი დაედო თავადი ვარანცოვის მმართველობის დროს; ამან შეაჩვია ევროპიულს განაზებულს დროსგატარებას ჩვენი მებატონეები და აღუძრა სურვილი იმოდენი საშუალების მოპოებისა, რომ შესძლებოდათ თავმართველის ბალებზედ სიარული და თავიანთი მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ამისთვის კი, პრიკაზის შემდეგ, ყველაზედ უადვილესად დაინახეს სამსახურით და ჩინებით სიმდიდრის მოპოება. იმიტომაც გარბოდნენ ისეთის სიხარულით.

რამდენიმე ყმაწვილი კაცი შეყრილიყო გოშპარაშვილთან, სადაც საერთო სიხარულს ეძლეოდნენ ჯარში წასვლის გამო. იქ ცოტანი იყვნენ ისეთნი, რომელნიც საფუძვლიანად დაჰკვირვებოდნენ თავიანთ საქმეს, რადგანაც იმათ მიზნად გახდომოდათ მარტო ბრძოლა, თავის გამოცდა, ჩინი, პატივი და განსვენება. მხიარულებას ბოლო აღარა ჰქონდა და ხალხის აზრს, მოთხოვნილებას განშორებულნი, დასხდომილიყვნენ ნადიმად, რომლის დროსაც მრავალჟამიერს შესცვლიდა აზარფეშა, ანუ მცვრიანი ჯიხვის მწვადი, ნათავაზები იქვე მოქეიფე მეზობლისგან.

IV

ესენი ამ ნადიმსა და ლხინში იყვნენ, როდესაც კობა და მთიული გამოესალმნენ მასპინძლებს და მიიპარებოდნენ ყუროს მთისაკენ; ისინი ისე ავიდნენ წვერზედ, ჩავიდნენ იმ ადგილს, სადაც მოკლული ჯიხვი დაეგდოთ კობას და ჯღუნას, რომ არავის შეხვედრიან. აქ ცოტა შეისვენეს, გაწვნენ ბალახ-

ზედ, რათა დაღალულს სხეულს ძალა მოეკრიფა. ამის შემდეგ ეფხიამ წამოიკიდა ნადირი და გასწიეს.

ისინი დაადგნენ გვირგვალას იქით ბილიკს, რომელიც მიდიოდა მდინარე ხდის პირობაზედ; გავიდნენ ჩხატისთავთან და ის იყო უნდა გადასულიყვნენ სამშვიდობოს, როდესაც გვერდიდგან ხმაურობა მოესმათ და აშკარად გაიგონეს რუსული ლაპარაკი.

— ვინ მოდის? — დაუყვირეს მიმავლებს.

მგზავრებმა ნახეს, რომ იქ გზა შეკრული ყოფილიყო ყაზახებისაგან და გამობრუნება კი აღარ მოხერხდებოდა; ამისთვის ისინი გადახტნენ გვერდზედ და მოეფარნენ იქვე აყუდებულს კლდეს.

— ვინა ხართ? — კიდევ მოესმათ იმათ.

— ჩვენა ვართ და აბა დედა შეირთეთ ცოლად, თუ თქვენი კაცობა არა სცადოთ! — ამაყად უპასუხა კობამ.

ამ სიტყვებზედ გავარდა რამდენიმე თოფი და ტყვიებმა ხრიალი მიიტანეს კლდეზედ, რომელსაც კობა და იმის ამხანაგი მოჰფარებოდნენ.

— აბა, თუ ხლაზეა, ახლა ჩვენ გვიყურეთ, — დასძახა მთიულმა, რომელიც გადაწვა კლდეზედ და კარგა ხანს ნიშანში იღებდა ვიღასაც, მაგრამ, რადგანაც ყაზახებსაც თავიანთი საფარი ჰქონდათ და ისინიც იმის იქით იმალებოდნენ, ეფხია კი ელოდა, რომ ამოჩენილიყო ვინმე.

— კობავ, მაი, ნადირი წამოიკიდე და დაადეგ მაგ ბილიკს, სანამ მე ამ ძაღლებს დავიმაგრებ.

კობამ აღარ გაამეორებინა სიტყვა, წამოიკიდა ჯიხვი და გასწია დასახელებულს ბილიკზედ, რომელსაც უჩვევი კაცისთვის გზის კვალიც არ ეტყობოდა. იმ ადგილში, თითქოს განგებ, სწორედ ჩამოჭრილს კლდეზედ, აქა-იქ გამოშვერილიყო ქვები, რომელიც გადაჰყურებდა უფსკრულს.

ამაზედ უნდა გასულიყო კობა, მიეღწივა სამშვიდობოს და იქ კი უშიშრად შაეძლო დასვენება, რადგანაც ეს ადგილი უფრო მაღლობზედ იყო, სანამ ის, რომელზედაც იმის ამხანაგი მთიული და ყაზახები იდგნენ. აქედგან იმას შაეძლო თავისუფლად მიშველება თავის ამხანაგისა და ეშმაკურს გზაზედ გამოსვლის დროს.

კობამ დააგდო ნადირი, ამოირჩია საუკეთესო ადგილი და თოფმომარჯვებული გადმოეყუდა კლდეს სწორედ იმ დროს, როდესაც ერთმა ყაზახმა საფრიდგან თავი ამოყო დასათვალიერებლად. იმავ წუთს გავარდა ეფხიას თოფი, ყაზახი თითქოს ინსტინქტიურად შეხტა, უცნაურად აიქნია ხელები, შორს გადასტყორცნა თოფი და თითონაც რახრახით და ტრიალით გადავარდა კლდეზედ. მთიული კი წამოხტა და გაიქცა კობასაკენ, რომელიც გატაცებით უყურებდა იმის მარჯვედ ხტომას გამოშვერილს კლდეებზედ.

ყაზახებმა შიშით თავი ვეღარ გამოჰყვეს და ეფხიამ კი მიაღწივა თავის მეგობარს, რომელმაც სიხარულით მიულოცა გამარჯვება. აქ ისინი უშიშარს ალაგს იყვნენ, რადგანაც ერთკენ გამოუსვლელი კლდეები ჰქონდათ და თავს ვერ მოუვლიდნენ და იმ გზაზედ, რომელზედაც ეს ორი თავზედ ხელაღებული კაცები გავიდნენ, ყაზახები ვერ შეჰბედავდნენ გასვლას და, თუნდაც შეებედნათ, თითო-თითოს მეტი ვერ დაეტეოდა და გაქცეულების მარჯვე სროლა კი უეჭველად ბოლოს მოუღებდა იმგვარს თავხედს; ისინი მით უფრო თავისუფლად მიეცნენ განსვენებას, რომ მთელი ასასვლელი გზა, როგორც ხელის გულზედ, ისე უჩნდათ.

ყაზახებმა უკეთესად დაინახეს — გორაკების მოფარებით და მალვით მოსცილებოდნენ მარჯვე მსროლელებს.

ეფხიამ და კობამ კარგა ხანს დაისვენეს, ამოიღეს გუდიდგან საგზალი და პურის საჭმელად დასხდნენ; ისინი იცინოდნენ უხეირო ყაზახზე, რომელიც ისე მასხარად „გადაკოტრიალდა“ კლდეზედ.

როდესაც იმათ საკმაოდ დაისვენეს, ისინი წამოდგნენ, გასწივეს თავიანთ გზაზედ და სადილობისას გავიდნენ არწიაში, სადაც იაგო გულის ლევით მოელოდა კობას მოსვლას.

იაგო დერეფანზედ იჯდა, როდესაც პატარა ბალღმა მიირბინა და დაუძახა:

— იაგო, იაგო! კობა მოდის, კობა!.. კიდევ სხვა სტუმარიც მოჰყავს თან.

— სად არის, სადა? — აჩქარებით და ადგომით ჰკითხა იაგომ.

— ა-იქ, — გაიშვირა ხელი პატარა ბიჭმა, — მთაზედ ამო-

დიან, ეხლა წყაროსთან იქნებიან... ისეთი დიდი ჯიხვი მოაქვსთ, ე-ემოდენა რქები აქვს... თვალები კი დაუხუჭავს... — ტიტინებდა პატარა.

იაგო წამოდგა, ჯოხზედ დაბჯენით ჩავიდა კიბეზედ და უთხრა პატარა ბიჭს:

— სულთი, გამიძეღ წინ, მიჩვენე სად მოდიან?

— აი, წავიდეთ, წავიდეთ, — ხტომით მირბოდა ბიჭი და წამდაუწუმ შესდგებოდა, რომ უკან დარჩენილის იაგოსთვის მოეცადნა და ეთქვა რამე.

ამ დროს გორის თავზედ ამოჩნდნენ მომავალნი და, რამდენადაც უახლოვდებოდნენ იაგოს, ამას გული იმდენად მეტად უძგერდა.

რას ეტყვიან? რას შეატყობინებენ თავის ნუნუზედ, თავის „გულის-ყველაზედ?“

მართლაც, ცოტა საფიქრი არ იყო, რადგანაც ისეთს არეულობაში დაჰკარგა ძლივს შეხვედრილი „საყორელი“, რომელთანაც ბედი თითქოს იმისთვის აახლოვებდა იმას, რათა მერმე მომეტებულად ეგრძნობინებინა დაშორების ძალა.

იაგოს ეგონა, რომ იმის მეგობრები განგებ გვიანობენ, განგებ ნელა მოდიან, რომ უფრო მეტად დასტანჯონ მოლოდინით, მაშინ, როდესაც იმათ ჩქარის სიარულით ხვირთქლი გადასდენოდათ სახეზედ. ბოლოს ისინი მოვიდნენ იაგოსთან, რომელმაც სიხარულით აღარ იცოდა, რა უნდა ექნა, და ისე იამა ეფხიას მოსვლა, რომ აღარ იცოდა რა ექნა, რა ეკითხა!

აქვე გამოვიდა ფარჩო მომღიმარის სახით და სტუმრებს მშვიდობა უთხრა.

როდესაც ყველანი დალაგდნენ, კობამ და ეფხიამ უამბეს ნუნუს ამბავი და იმის ძაუგისაკენ გამგზავრება, საიდგანაც იმათი სიტყვით, ისე უადვილდებოდათ ამ ქალის გატაცება.

ექიმი, რომელიც მოვიდა იაგოს ჭრილობის შესახვევად, არწმუნებდა, რომ ორ კვირაზედ იაგო სრულიად განთავისუფლდებოდა და ოთხ-კუთხით გზა ჰქონდა გახსნილი, და ამ დღეს კი ძმადნაფიცნი მოუთმენლად მოელოდნენ, რადგანაც ჩეჩნიდგან ხმა მოდიოდა, რომ შამილი დიდს ჯარებს ამზადებს და დიდს ომებს მოელის, სადაც „დედალ-მამლობა“ უნდა გამოჩენილიყო.

ესენი ამ მოლოდინში იყვნენ, როდესაც რუსის სარდლები მართლა დიდს ჯარებს აგროვებდნენ და თვით ვარანცოვის იქ დასწრებით ერთბაშად თავს დასხმას უპირებდნენ ჩეჩნებს.

ამათ ისე ჰქონდათ მოანგარიშებული, რომ რამდენიმე სიმაგრის აღება საკმარისი იქნებოდა ჩეჩნელთ დასამორჩილებლად და „რკინის კაცის“, შამილის, მოსახრელად.

ბევრნი ძალიან ადვილად უყურებდნენ ამ საქმეს და პეტერბურგშიაც იქამდინ დარწმუნებული იყვნენ, რომ შამილის დამორჩილება ერთის ძრიელის იერიშით შეიძლებოდა, რომ იქ ყველასთვის გადაწყვეტილი იყო ამ ქვეყნის ჩქარა და სამუდამოდ დაპყრობა. ავიწყდებოდათ მხოლოდ ერთი, რომ საქმე უნდა ჰქონოდათ მამულის მოსიყვარულე გმირებთან, რომელთაც თავი გამოეჩინათ ვაჟკაცობით და სიგულადით, რომელნიც ისე აფასებდნენ თავისუფლებას.

რუსეთი გაიზარდა, გაიწია განზედ, ის ველარ მოთავსდა თავის კალაპოტში და მიეშურებოდა სამხრეთისაკენ და, რაც კი გზაზედ ხვდებოდა, უნდოდა დაემორჩილებინა, დაეპყრო. ჩეჩნები გზაში ეჩხირებოდნენ ამ მდინარებას და ეს იყო პირველი მიზეზი შეტაკებისა.

იმდროინდელი რუსის პოლიტიკა არ იყო მიმართული მშვიდობიანს მორიგებაზედ, რომელიც ისე ადვილი იყო გონიერს და მიწის მუშა ჩეჩნებთან. უცნობლობის გამო მთელს რუსეთს ეს ხალხი გარეგან, ველურ ხალხად მიაჩნდათ და ამისთვის ეგონათ, რომ თუ არ ბრძოლა, სხვა არავითარი მორიგება არ გამოდგებოდა იმათთან.

ამასთანავე თავიანთი ხალხის სიმრავლე რუსებს ნებას აძლევდა თავაწყვეტით ეძახათ: „ქუდებით ამოვჟლეტავთ!“ და დიდი თუ პატარა დაუფიქრებლად გაიძახოდა: „წავიდეთ, წავიდეთ იერიშით!“

რადგანაც ეს ბრძოლა ხალხის სიმრავლეზედ იყო დაფუძნებული, ამისთვის ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა, ადგილობრივაც მეტი ხალხი მოეგროვებინათ და ესარგებლათ იმ რუსის ჯარებითაც, რომელნიც ოსმალეთიდგან დაბრუნებულიყვნენ და ამ ჟამად კავკასიაში იმყოფებოდნენ.

ესენი ამ მზადებაში იყვნენ, მაგრამ არც შამილი ჰკარგავდა უბრალოდ დროს: ის მთელს დაღესტანში და ჩეჩნეში აგრო-

ვებდა ხალხს, ამაგრებდა ციხეებს და აქეზებდა ხალხს, რომელსაც აგონებდა იმ უსამართლობაზედ, რაც არა ერთხელ გამოეცადათ გიაურებისაგან ჩეჩნელებს.

სოფლებს და ხალხს, რომელთაც კი მიჰკარებოდა მაშინდელი რუსის აფიცრობა, რომელთ მომეტებული ნაწილი კანტონისტებისაგან იყო შემდგარი, რომელთათვისაც არა-ერთხელ ერტყათ კბილებსა და ცხვირ-პირში, და ახლა რიგი იმათ რგებოდათ და ყველა შემხვდარზედ ესენიც იყრიდნენ ჯავრს. გალოთებულნი, უზნეონი, ყოველს უსამართლობას ჩაიდენდნენ, და ეს უფრო აჯავრებდა ხალხს, უფრო გულს უდუღებდა და უფრო უღვიძებდა გადახდის სურვილს.

ყოველ ნაბიჯზედ ხედავდით გადაბუგვილს სოფლებს, დამზადებულს თივას და სიმინდს, რომლის ალიც ზეცას სწვდებოდა. თუ სიმინდი შემოსული და მოჭრილი არ იყო, ხმლითა და ცელებით სთიბავდნენ, ცხენებს აქელინებდნენ ფეხ-ქვეშ და დამშეული მემამულენი, მოკლებულნი ყოველ სავანეს, გულადუღებულნი ფიცით მიდიოდნენ მთაში, რომ გადაეხადათ მტარვალებისთვის ეს უსამართლობა, ეს უკაცური საქციელი... ან რაღა რჩებოდათ ომის მეტი, როდესაც უსაჭმლოდ დარჩენილი საქონელი უწყალოდ ბღაოდა და ულუკმოდ დარჩენილი ბალღები მწარედ შეწიოდნენ!

შამილი, როგორც ჭკვიანი კაცი, ყველა ამ მდგომარეობით სარგებლობდა და ხალხს გულში თავგანწირულს მტრობას უღვიძებდა. ხალხი კი შამილს უყურებდა, როგორც ქომაგს, მსარჩელელს და თავდადებით იბრძოდა იმის სიტყვით და სამშობლოს დასაცველად.

შამილს ძალიან კარგად ესმოდა, რომ ის მარტო ჩეჩნელებით და ლეკებით ვერას გახდებოდა-რა და ყოველი ღონისძიებითა ცდილობდა სხვა ეროვნების ხალხიც მოემხრო, მაგრამ ვაგლახად ხედავდა, რომ იმათში ბატონყმობას ფესვი გაედგა და ბატონებს კი თავიანთი სიმდიდრისთვის და მოსვენებისთვის თავს შემოევლოთ საქვეყნო საქმე. ამ მთის კაცმა, გაუნათლებელმა, დაინახა, რომ საჭირო იყო, როგორც ჩეჩნელთ არ ჰქონდათ ჩვეულებად ბატონყმობა და ყველანი თანასწორად ითვლებოდნენ, ისე სხვაგანაც ეს წესები ჩამოეგდო და გაესწორებინა ხალხი, მაგრამ უბედურმა შემთხვევამ აღსრულებაში არ მოაყვანინა ეს აზრი.

აგრეთვე შამილი გულის ხეთქით და კვნესით უყურებდა რუსებისაგან ქართველების მიზიდვას, რომლებთანაც იმას სულით და გულით დაახლოვება, შეერთება უნდოდა და ამ აზრით ამაოდ გზავნიდა კაცებს მთებში. თითონ განთქმული ყაზი-მულაც კი რამდენჯერმე განგებ ამ აზრით ჩაუვარდა რუსებს ხელში, მაგრამ, რა ნახა ქართველთ მიმართულება, იმედ-გადაწყვეტილი ისევ შინ, მთებში გაიქცა, რომ ხელი მიეყო იარაღისათვის და მტერს მედგრად დასცემოდა ხან აქა და ხან იქ.

1845-ში ორივე მხარე, რუსებისა და ჩეჩნებისა, ამ მზადებაში იყვნენ, ორივე მხარე იგონებდა სხვადასხვა საშუალებას, რომ გამარჯვება იმას დარჩენოდა, და რაც კი შეიძლებოდა, მომეტებული მტერი გაეჟლიტა.

შამილს უნდოდა ვარანცოვი თავისის ჯარით იჩქერის ტყეში შაეტყუებინა, სწორედ იმ ტყეში, სადაც ისე დაამარცხა ამ რამდენიმე წლის წინად ღენერალი გრაბე, და რუსები კი ემზადებოდნენ, რომ ეს ტყე გაევლოთ თავიდგან ბოლომდინ და თავის იარაღისთვის დაემორჩილებინათ.

V

იაგო მორჩა და სრულიად განთავისუფლდა თავის ჭრილობისაგან. ის თავის ამხანაგებით დღე-დღეზე ემზადებოდა თავის გალაშკაში გასვლას, საიდგანაც უნდა შეერთებოდა შამილის ერთ-ერთს ჯარის ნაწილს და ებრძოლა ამ ხალხთან ერთად, რომელთაც მიიღეს და შეითვისეს.

ერთს დღეს სასტუმროში შემოვიდა ფარჩო და პირველის სალამის შემდეგ უთხრა:

— სტუმრებო, ჯარიახს ხატობაა, მე იქ უნდა წავიდე სალოცავად, თქვენ კი არ წამოხვალთ?

— რაისთვის არა, წამოვალთ, — უპასუხა კობამ ამხანაგების მაგიერადაც.

— იქ კაი დღეობა იცის, ახლო-მახლო სოფლის ქალები სულ იქ იქნებიან; ლხინი, თამაშობა იქნება.

— წავიდეთ, წავიდეთ, — დაუმატა იაგომ, რომელსაც უხაროდა, რომ გულს რითიმე გაირთობდა.

ამ დროს პატარა ბიჭმა შემოიტანა რგვალი „სიფრო“, რომელზედაც ელაგა მოხარშული ხორცი, ერბო-კვერცხი, ყველი და გარს მოწყობილი მჭადი.

იმათ ისამხრეს და მოემზადნენ ჯარიახის ხეობაში წასასვლელად, სადაც მაჰმადიანთ უნდა ედღესასწაულათ წმიდა გიორგის დღესასწაული. ოდესმე ამ ხალხს, მართლმადიდებელს ქრისტიანებს, აეშენებინათ აქ საყდარი და ესრულებინათ მართლმადიდებელთ წესი, მაგრამ ჟამთა-ვითარებამ შესცვალა სარწმუნოება და მთელი ქრისტიანების სოფლები რუსების ხელშიაც კი მაჰმადიანები ხდებოდნენ.

მთელი სოფელი მოძრაობაში იყო. ყოველ ადგილას ბღაოდა საკლავები, ჩამოყვანილი მთებიდგან; აქა-იქ დარბოდნენ პატარა ბიჭები; დედაკაცები ალაგებდნენ ქიშელებში ქადებს, ხმიადებს, ხაჭაპურებს და სხვა ხორაგს; კაცები ავსებდნენ ლუდით და შინაურის არყით ტიკებს და ჰკიდებდნენ ჯორებს, რომლებიც ისე მარდად დადიან მთებში; ყმაწვილი გასათხოვარი ქალები კი მორთულ-მოკაზმულნი დარბოდნენ ერთის მეზობლიდგან მეორესთან და თავიანთ მეგობრებთან ერთად ყოფნის პირობას სდებდნენ; ყმაწვილი ბიჭები გამოსულიყვნენ და საწყაოს ზომავდნენ თოფზედ, რადგანაც იცოდნენ, რომ იქ უეჭველად ნიშანში სროლა, — აუცილებელი დროს გატარება ამ გვარს შემთხვევაში, — გაიმართება და არწიელები კი შინ შერცხვენილნი არას დროს არ დაბრუნებულან.

მთიელ ქართველებსაც გაეყარათ თავიანთი თოფები და ისე გაეწმინდათ, რომ მზეზედ სარკესავით ლაპლაპებდნენ და ადამიანის სახეს აჩენდნენ.

იმათთვის რომ შეგეხედნათ, უფრო სალაშქრო სამზადისში იყვნენ, სანამ ხატობად მიმავალნი. მაგრამ ხატობა და დროს გატარება მთაში არის საომარი ვარჯიშობა და მომზადება ბრძოლისათვის. აქ ეჩვევიან სროლას, სირბილს, ცხენით და იარაღით აქა სცდიან ერთმანერთის ვაჟკაცობას და ხმარებას, ამის შემდეგ გადიან მტერზედ. სწორედ ეს მიზეზია, რომ ისინი გამოდიან საომრად მოწყობილნი, გამართულნი და მომ-

ზადებულნი, შეჩვეულნი იარაღის ხმარებას და მომზადებულნი ამ შემთხვევისთვის.

ამისთვისაც იბრძოდნენ თავგადადებით გასაოცარის გამოცდილებით ისინი, ვინც ასე აგრძნობინა რუსებს ბრძოლის დროს.

ცხვრები შეაერთეს, მიუყენეს რამდენიმე საერთო მწყემსი და გაგზავნეს; ხალხიც დაიძრა და ჯგუფ-ჯგუფად, გვარეულობად დაიყო. ყმაწვილი ქალები, მორთულნი სხვადასხვა ფერის ცხიარულის ტანისამოსით, გავიდნენ წინ და მაღალის ხმით დაიწყეს გმირული საომარი სიმღერა. ყმაწვილი კაცები, რომელნიც გვერდს მისდევდნენ ყიჟინით, ჭყივილით და თოფისა და დამბაჩის სროლით, ინთებოდნენ თვალ-ჟუჟუნა მომღერალთ სიტყვებით და ესენი კი აქეზებდნენ ამათ მტრებზედ; ცამდინ აჰყვანდათ გულადნი, თავგადადებულნი ვაჟკაცნი, მაშინ, როდესაც მასხარად იგდებდნენ მშიშრებს და ლაჩრებს.

ძნელად დარჩებოდა ისეთი ყმაწვილი ბიჭი, თუ გინდ ის ბუნებით მშიშარაც ყოფილიყო, რომ არ აეღთო ბრძოლის სურვილი მასში ამ ქალების სიტყვებს, წამლის სუნს და თოფების გრიალს, რომელსაც ბანსავით ყიჟინა და ჭყივილი უერთდებოდა.

აქვე მისდევდნენ მთიელი ქართველები და ყურს უგდებდნენ გულშემტაცებელს ხმას. ვერ მოასწრობდა ერთი ჯგუფი სიმღერის გათავებას, რაწამს მეორე ჯგუფი დაიწყებდა, მერმე მოჰყვებოდა მესამე, მეოთხე — და ამგვარად მიდიოდნენ ეს ნეტარ-სანახი ხალხი, რომელთ დღეგრძელობა და ერთობა შემდეგში ისე უღმერთოდ დაამჭრივა შეუბრალებელმა უგულო ძალამ.

შემობინდდა, როდესაც იმათ მიაღწივეს ერთს ველიანს გორაკს, რომელზედაც ოდესმე ბრწყინავდა მშვენიერი ეკლესია; ეხლა ნანგრევი, უპატრონო, გაოხრებული, ათას ადგილს დაბზარულის კედლებით მწარედ გულს უთუთქავდა მნახველს. აშკარად ეტყობოდა, რომ აქ როდესღაც სდუღდა ქრისტიანობა, გაბრწყინებული ამ სარწმუნოების მართლმომსახურეთაგან, რომელნიც არაფერს იშურებდნენ სახარების სიტყვის გასავრცელებლად, და ეხლა წარმოადგენდა დაკარგულს წარსულს.

საყდრის წინ დაცემული მოედანი სწორედ საჯირითოდ იყო მოწყობილი. მშვენიერი წყარო, ცივი, როგორც ყინული, და წმინდა, როგორც დათლილი ბროლი, გამოჩუხჩუხებდა იქვე საყდრის ძირიდგან და გადადიოდა ხევში, რომელიც მინდვრის ერთი მხრიდგან მოჩანდა.

ხევის იქით ამართულიყო უზარმაზარი ხეები, რომელთ შუაც გაბმული მაყვალი და სვია ისე ჩახვეოდა იმათ, თითქოს გაშმაგებული მიჯნური, რომელსაც სურვილი ვეღარ მოუკლავს.

აინთო ცეცხლები, გაისმა ხმაურობა, ყიჟინა, და გაჩუმებულს ადგილებს თითქოს ერთბაშად გამოეღვიძა და ერთბაშად ენა ამოიდგა; შორი მთები რამდენჯერმე იმეორებდნენ სიმღერას და ხმაურობას, თითქოს ბანს აძლევდნენ ამ თავისუფალს გულადობას. მაგრამ რამდენადაც ეს გამეორებული ხმა შორდებოდა, იმდენად უფრო ყრუდ და წყნარად მოისმოდა, მერე იქცეოდა მთრთოლარე ჩურჩულად და ბოლოს შორს იკარგებოდა — ვინ იცის სად!

ცეცხლების შუქზედ სურათები გაბრწყინდა და უფრო მედიდური სახე დაიდო; ყოველმა სულდგმულმა, ყოველმა არსებამ იცვალა ფერი და თვით ჩრდილოებმაც კი რაღაც საოცნებო ხასიათი მიიღეს.

ყველანი დღესასწაულს ძმურად ულოცავდნენ ერთმანეთს; ერთი ბინიდგან მიდიოდნენ მეორე ბინაზე, ყმაწვილი ქალები სთავაზობდნენ სასმელს, ქადებს და თავისუფლად ეოხუნჯებოდნენ ყმაწვილ ბიჭებს, რომელთაც სანატრელის ფიქრით აუძგერებდნენ გულს და აუჩუხჩუხებდნენ მდუღარე სისხლს.

ამ ღამეს ბევრმა ყმაწვილმა ბიჭმა ღვთის ფიცი მისცა ყმაწვილს ქალს შერთვისა, ბევრმა ყმაწვილმა ქალმა შეჰფიცა, რომ ყოველს წუთს მზად არის გაიქცეს თავის სატრფოსთან, და ეს ყველა ხდებოდა ისეთის სიწმინდით, ისეთის გულწრფელობით, რომ უპატიოსნო აზრს ადგილი არა ჰქონია.

ჩეჩნის ქალი ყველა მთის ხალხის ქალებზედ თავისუფალია და მისთვისაც ყველაზედ პატიოსანი. თქვენ ვერც ერთს უპატიოსნო ადგილს და უპატიოსნო ცხოვრებაში ვერა ნახავთ იმას, თუმცა კი კაცებთან ხუმრობისა, თავისუფალი ქცევის

ნება სრული აქვსთ. საკვირველია, რომ საყოველთაოდ გარყვნილს და ზნეობით დამახინჯებულს კაცებს, რომელთაც ყველგან თავმოსაწონადა აქვსთ გამხდარი თავიანთი გარყვნილობა და სიამოვნებით კვეხულობენ თავიანთ ცხოვრებას იქ, ჩეჩნებში, — იმ გაუნათლებელს და ველურს ხალხში, როგორც ჩვენ უყურებთ, — ვერა ნახავთ.

ჩეჩნელს თუ შეუყვარდა ქალი, იმისთვის შეუყვარდება, რომ შეირთოს; თუ შესძულდა ცოლ-ქმარს ერთმანერთი, ისინი გაშორდებიან და ამ გაშორებაში ბრალდებული ჯარიმას იხდის. ეს ყველა ხდება მეზობლების ბჭეობით, შინაურად და, მაშასადამე, მშვიდობიანად.

ისეთი უპატიოსნო ვინმე რომ გამოვიდეს, შეაცდინოს ქალი, მოატყუოს, ათასობით ხანჯლის წვერი დაემზადება ერობის უღირსო წევრისთვის გულის გასაგმირად და ქალს კი თავის მოკვლის მეტი აღარა რჩება-რა.

ესე მხიარულად მიდიოდა ხატობა. იაგოს თავის ამხანაგებით ხან აქ იწვევდნენ, ხან იქ და როგორც სტუმრებს, ღვთისაგან მიცემულს, ყოვლის ღონისძიებით ცდილობდნენ პატივი ეცათ და წესიერად დახვედროდნენ.

გათენებამ მოაღწია, როდესაც იაგომ და იმისმა ამხანაგებმა განაპირებით გამოირჩივეს ადგილი და მიიძინეს. დანარჩენი ღამის მთეველნიც მოიქანცნენ და აქა-იქ მიწვნენ, ათასში ერთს ადგილს თუ-ღა მოისმოდა რომელიმე მოუსვენარის გამარტოებული სიმღერა.

ღამე თბილი იყო და ცეცხლების გაძლიერება არ ეჭირვებოდათ, მით უფრო, რომ მთვარის შუქმა შესცვალა ცეცხლის შუქი და ბუნების გაჩენილმა მნათობმა დასძალა კაცის მოგონილი სინათლე.

კობას და ეფხიას დაძინებოდათ, მაშინ, როდესაც იაგოს ისევ ეღვიძა და ვერ მოესვენა; ისა ტრიალებდა თავის ალაგზედ. ოხრავდა, ქშინავდა და არ იცოდა, რა ექნა, როგორ და რითი მოესვენა. მთვარის შუქი, რომელიც პირდაპირ თვალებში სცემდა, თითქოს კიდეც უალერსებდა და კიდეც აჯავრებდა, რადგანაც ეს აგონებდა იმ ტკბილს და მწუხარებით სავსე ღამეებს, როდესაც ნუნუს თვალთ შესცქეროდა და იმას შორდებოდა.

ამ საღამოს იმან ნახა ჯერედ გაურყვნელი ხალხი, რომელიც გულწრფელად დროს ატარებდა, რომელთაც გულის მოძრაობისდაკვალად თავისუფლად შეეძლო ამორჩევა იმისა, ვინც კი შეუყვარდებოდათ, მაშინ, როდესაც ის ისე განდევნილი იყო ბედისგან! ჩეჩნები ბედნიერები იყვნენ, ის კი უბედური! და ამან მოაგონა ყველა უსამართლობა, გაცხოვლებული კანონის დამცველთაგან, რომელიც იმას მიაყენეს; მოაგონდა იმდენი წვალება, ტანჯვა, ძალის მიტანა იმაზედ და გულმა დაუწყო ღელვა.

— როდესღაც ჩვენი ხალხიც ასე ბედნიერი იყო, ასე გაურყვნელი, მაშინ მოძმე მოძმეს არ ღალატობდა! — იფიქრა იმან და გული აუდუღდა.—რად ავირიენით, რად ჩამოვარდა ერთმანერთის სიძულვილი, ჯიბრი? რა იქნა ხალხის ძალა, სიყვარული? რისი ან ვისი ბრალია ჩვენი ასე დამხობა? — გაურბინა იმას გულში და მწარედ, მაგრამ გარკვევით, ჩაიცინა და წარმოსთქვა:

ვაი რა დიდი ბრალია:
შავარდენი ჰყავს ძერასა,
გაუფრინდება, წაუვა —
შორით-ღა უწყებს მზერასა.

„მაგრამ გაუფრინდება-ღა?“ გაიფიქრა იმან და მერე მწარედ წამოიძახა: „ვაი, შენს მტერს!“

კობას, რომელსაც ძილში შეესმა იაგოს სიტყვები, გამოეღვიძა და უთხრა:

— იაგო, რას ჩადი, რაი მოგსვლია?

— რაი ვიცი, არ მეძინება.

— ეგ რაი-ღა იცი, — უპასუხა გაჯავრებით კობამ, —ძილის დროს ძილი უნდა.

— რაი ვქნა, მეც მინდა და თუ კი არ მეძინება!

— დახუჭე თოლები და დაგეძინება.

ამ სიტყვების შემდეგ კობა გადაბრუნდა მეორე მხარეს და ჩქარა დაეძინა, იაგომ კი კიდევ კარგა ხანს იტრიალა, კიდევ კარგა ხანს ესაუბრა თავის მოუსვენარს გულს და აზრებს, სანამ ძილმა დაუხუჭა თვალები.

მეორე დღეს, როდესაც ქართველთ გამოეღვიძათ, მზე ამოსულიყო და მლოცველნი ამდგარიყვნენ: ყველანი საკლა-

ვებსა ხოცამდნენ, წყალს ეზიდებოდნენ და საჭმლის თავდარიგში იყვნენ.

კაცები ერთს ალაგს გროვდებოდნენ და, როგორც ეტყობოდათ, იქ რაღაცა სასჯო ჰქონდათ. ამ დროს ფარჩო მოვიდა სტუმრებთან და უთხრა:

— შამილის კაცი მოვიდა, წავიდეთ, რას გვეტყვის.

ყველანი ზეზე წამოცვივდნენ ამ სიტყვებზედ, დაიბანეს საჩქაროდ ხელ-პირი და წავიდნენ მოსასმენად — თუ რა ამბავი მოიტანა შამილის გამოგზავნილმა კაცმა.

ისინი მივიდნენ და თვალ-წინ წარმოუდგათ თეთრ-წვერა მოხუცებული კაცი გონივრულის სახის გამომეტყველებით, იმისი აუჩქარებელი, დალაგებული ლაპარაკი წყაროსავით სასიამოვნოდ მომდინარეობდა. იმის ვაჟკაცური შეხედულება, შეჭმუხვნილი წარბები აშკარად ამტკიცებდა, რომ ამ კაცს მტრად გადაკიდება ადვილი არ იყო, თუმცა კი არც სიბოროტე, არც ფარისევლობა და ფანატიზმი არ ეტყობოდა. ისა ლაპარაკობდა დალაგებით. საქმეების მდგომარეობაზედ, ამბობდა, რომ გიაურები კავკასიელთ საერთო მტრები არიან, რადგანაც ცდილობენ შემუსრონ იმათი ჩვეულება, ძალა, ჩაიგდონ მდიდარი ადგილები ხელში და გააძლონ თავიანთი დამშეული ხალხი. იმის აზრით, ყველა მამულისშვილის მოვალეობა არის წინააღუდგნენ გიაურების გაუმაძღრობას.

VI

— დღე არ გავა ისე, — დაიწყო მოხუცმა, — როგორც მშიერი ძერა გიაურები ისე არ დაეცნენ ჩვენს მიწებს, არ მოგვტაცონ ჩვენი ნამუშევარი და იმით არ მოიბრუნონ გაუმაძღარი ლეში. რასაც ველარ ერევიან, ხვალისთვის უფიქრელნი, ფეხ-ქვეშ ჰქელენ და სწვამენ... სოფელი არ დარჩენიათ გზაზედ, რომლისთვისაც ცეცხლი არ წაეკიდებიათ, ქალი არ დარჩენიათ, რომლისთვისაც უპატიურება არ მიეყენებინათ, არ გაეწბილებინათ! გიაურებს ყველგან გიაურობა, ყველგან უსამართლობა და უკაცურობა გამოუჩენიათ.

ამ სიტყვებზედ ხალხი შეიძრა, გამოისმა მუქარის ხმა და

მერმე ისევ სულგაკმენდილი მიაპყრეს ყური მოხუცის სიტყვებს.

— განა უნდა მოვითმინოთ წმიდა მაჰმადიანებმა უწმინდური გიაურების ეს საქციელი?

— სიკვდილი გიაურებს, სიკვდილი!—იყო საერთო პასუხი.

— აქამდინ ღმერთი ჩვენის ცოდვებისათვის გვახდევინებდა, ახლა ისევ ჩვენკენ მოიხედა... სადაც ჩვენი ხალხი შეხვდება გიაურებს, ესენი დიაცებსავით გარბიან და ჩვენები მისდევენ ხოცით და ჟლეტით... ეხლა გიაურებს მოუწადინიათ კიდევ გამოსცადონ იჩქერის ტყე, სადაც ისე სამარცხვინოდ გავაბრუნეთ ღენერალი გრაბე. გაიგონეთ, მართლმორწმუნენო! შამილი ლაშქარს აგროებს, ემზადება კიდევ იმისთანავე ცხარე დღე დააყენოს გიაურებს და ბოლო მოუღოს იმათ გაბედულებას... ვინა ხართ მართლმორწმუნენი? ვინ დაიზარებს საერთო მტერზედ გალაშქრებას?

— არავინ, არავინ! — ყვიროდა ხალხი თოფებ-მაღლა-აშვერილი, რომელთაც მრისხანედ იქნევდნენ.

— წამოდით, გამოიჩინეთ ვაჟკაცობა... მაგისთვის თქვენ მოგელით ძვირფასი ნადავლი, ლამაზი ქალების ქება და ალერსი! თქვენი სახელი კიდით-კიდემდე გაითქმის და თვალ-მოჟუჟუნე ქალები თქვენს ქებას წარმოსთქვამენ ნაზის ტუჩებით... თქვენ შეიქნებით ყველასგან თითით საჩვენებელნი!..

— წავალთ, წავალთ!

— ვინც შინ დარჩება, ის ქალაჩუნა იქნება, ყველასგან მასხარად აგდებული!.. იმას არ ექნება მოსვენება ხალხისგან საააქაოს და საიქიოს მაღლის ღმერთისგან იქნება დასჯილი, ის ვერა ნახავს მაჰმადისაგან გამართულს ედემს, რომელშიაც უმშვენიერესი ქმნილებანი, ნაზისა და ნარნარის ხმით, მარტო წმინდა მუსულმანებს და მამულისათვის თავდადებულებს ემსახურებიან.

დიდხანს ილაპარაკა კიდევ მოხუცმა ვაჟკაცობის სარგებლობაზედ და ლაჩრების სამარცხვინო მდგომარეობაზედ; კიდევ ბევრს ეცადა, რაც შეიძლებოდა, ხალხი მეტად აეღელვებინა, თუმცა ეს მეცადინეობა სრულიად არ ეჭირებოდა იმას. ბუნებით ვაჟკაცნი, ამაყნი, შეჩვეულნი თავისუფლებას, ჩეჩნები ისეც ვერ ეხერხებოდნენ რუსებს, რომელთ მოთაურე-

ბიც თავიანთის საქციელით თითქოს განგებ ცდილობდნენ უსამართლობის ჩადენით, რაც შეიძლებოდა, მომეტებული წინააღმდეგობა ჩამოეგდოთ ამ ორს ტომს შორის.

ამ ადგილებში გამოუცდელი რუსები, შეუჩვეველნი ხალხის წესებს და ადათებს, იმათ შეხედულებას და სულიერ მდგომარეობას, სრულიად იკარგებოდნენ და არ იცოდნენ, საქმე საიდგან დაეწყოთ; სრულიად სხვარიგად აღზრდილი რუსები ბევრჯელ უნებლიედაც აწყინებდნენ, ამზადებდნენ ჩეჩენთ თაკმოყვარეობას. მაგალითად, ლოთობა ჩეჩნებში დიდ სირცხვილად ითვლებოდა და კანონისაგანაც ჰქონდათ აღკრძალული, რუსი აფიცრები კი ყოველს ჟამს ლოთობდნენ, ანგარიშში ვეღარ მიეცათ თავიანთ მოქმედებაში. ამას ემატებოდა უწმინდური, დაურიდებელი ლაპარაკი ქალებთან, რომელთაც ყოველ ჟამს ხდიდნენ თავიანთ პირუტყვულის გაშმაგების სათამაშოდ, და თუ ამგვარი მოქმედებისთვის რუსსა და ჩეჩენს შუა წინააღმდეგობა ჩამოვარდებოდა, საქმე საჩივრად გახდებოდა, ოფიცერი ყოველთვის გამართლებული დარჩებოდა, ჩეჩენი კი გამტყუნებული.

ახლა დაუმატეთ სოფლებისა და შიგ ჭირნახულების ბუგვა და წვა (აუცილებელია ამგვარს ბრძოლაში), მოხუცებისა, დედაკაცებისა და ბალღების ხოცვა, და ყველა ეს ერთად მოგროვილი, ნახული და ნაგრძნობი ჩეჩნელთაგან, შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა მტრობასაც ჩამოაგდებდა. ვეღარა კაცობრიული მორიგება, ვეღარა საბუთები ვეღარ დაიჭერდა, ვეღარ შეაყენებდა იმათ გამწარებას და გაცხარებას.

ამ გრძნობით აღელვებული ხალხი, მოწადინებული ბრძოლას და შუღლს, გაიფანტა იმისთვის, რომ მეორე დღეს შეკრებილიყვნენ და გაეწიათ შამილთან, იმ განთქმულს ნაიბთან, რომელიც ისე მამაცად ეხმარებოდა იმათ გულის მოძრაობას და ჯავრს აყრევინებდა და გულს მოაფხანინებდა განრისხებულს მტერზედ აქა-იქ დაცემით, აქა-იქ იმათზედ გამარჯვებით. ამ შევიწროვებისაგან ისინიც არ იყვნენ დაფარულნი, რომელნიც თითონ შერიგებოდნენ, და ამისთვისაც, რასაკვირველია, ყოველ შემთხვევაში ღალატობდნენ მტრებს.

იაგო და მისი ამხანაგები, რომელნიც ფარჩოსას იდგნენ,

გულისძგერით და შურით უყურებდნენ ამ ხალხის საერთო აღელვებას, ერთობას და ერთს პირს; ღმერთს მადლობას აძლევდნენ, რომ შემთხვევამ ნება მისცა გადაეხადათ რუსებისთვის, რადგანაც დიამბეგის და გირგოლასთანა კაცების სიხაძაგლის ჩადენას იმათ აბრალებდნენ.

როდესაც ისინი გაბრუნდნენ შინისკენ, საღგანაც შამილთან წასვლას აპირებდნენ, ფარჩო მიუბრუნდა იაგოს:

— თქვენ რუსებთან ერთის სჯულისა ხართ?

— აბა რაი ვიცი?.. ეგრე ანბობენ, მაგრამ არა მჯერა... რაიც ხატები გვქონდა, სუყველაი წაგვართვეს, წმინდა ადგილებიდგან ჩამოიტანეს და საყდრებში დაკეტეს; დეკანოზები რომ გასულიყვნენ ხატთან, ორი კვირა საწმენდად უნდა გასულიყვნენ და მერე ისე მივიდოდნენ ხატთან და ეხლა კი...

— გაწმენდა რაი-ღაა? — გააწყვეტინა ფარჩომ.

— ისა, შენი ჭირიმე, რომ დეკანოზი გაშორდებოდის სოფელს, ხალხს, უწმინდურს ადარას შაეხებოდის, დღეში სამჯერ იბანებოდის მდინარე წყალში და ისე ხვეწნითა და ლოცვითა მიუდგებოდის ხატს... მაშინ ხალხსაც ეშინოდა, იმის ფიცს ვერავინ გასტეხდის, მოძმეს მოძმე უყვარდის და ეხლა კი აბა რაი-ღაა?! ღვდლები პირსაც არ იბანენ, ისე შადიან საყდრებში. რაიც საწირი შაზდის, სულ თითონ ხოჭამენ, იყრიან ჯიბეში... შიგვე საყდარში ერობისთვის იგინებიან, ილანძღებიან, ჩხუბობენ დიაკვნებთან და ხალხთან, და ხალხმაც დაკარგა ხატის შიში და პატივისცემა... ისინიც არას სჩადიან, არვის ღწყრებიან; არ ვიცი, ისინიც რუსებმა დააშინეს თუ რაია?

— მაშ ერთი სარწმუნოებისა არ ყოფილხართ, — გადაწყვეტით უთხრა ფარჩომ.

— ალბად!.. ზიარება, ნათლობა და ჯვარისწერა კი ერთი გვაქვს.

— მაშ ერთი რჯული გქონიათ.

— არ ვიცი და ავრე ანბობენ; მე კი არა მჯერა.

აქ ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა და მასუკან ისევ ფარჩომ დაიწყო:

— შენოვის დიანბეგს და გირგოლას დაუშავებია, იმათ რად არ ჯადაუხდი, რუსებმა რაი დაგიშავეს?

— აბაიმე! — გაიკვირვა იაგომ, — რუსებისაგან არ არიან

ისინი დაყენებულნი? იმათგან არ მიეცათ იმათ ძალა?.. თუ რუსები არ ყოფილიყვნენ, გირგოლაი საით მოიტანდა ჩემზედ ძალას? თითონ რომ შესძლებოდა, თემი როდის გაუშვებდა?— აუხსნა იაგომ. — დიანბეგი! დიანბეგი საით მოვიდა, რას გვიცნობს, რაი იცის ჩვენი ანბავი? ენა იმას არ ესმის ჩვენი და ჩვეულება!.. რაიც გირგოლასთანა კაცებს უნდა, ისინიც იმას ჩაიდენენ, და ქვეყანაზედ გირგოლასთანა კაცი კი არ დაილევის.

— მართალი ხარ, ღვთის მადლმა! ძნელი ყოფილა თქვენი საქმე.

— ოჰ, ოჰ, ოჰ, ოჰ! — მოხევემ მწარედ გაიქნია თავი, — ძნელია, ძნელი! ღვთის მადლმა, აღარ გვეცხოვრებოს!

იმათ ყველაზედ გვიან მიაღწევს თავიანთ სახლს, რადგანაც გზაში დაწორდნენ დანარჩენებს და მოდიოდნენ სვენებ-სვენებით და მუსაიფით. სოფელში ჯერ არ დაეძინათ, არ დაწოლილიყვნენ, რადგანაც ხატობას გამხიარულებულნი ჯერ კიდევ ვერ მოქანცულიყვნენ და არ მობეზრებოდათ „ტაშ-ფანდურა“.

— ჩვენ სატაშ-ფანდუროდ აღარა გვცალიან, — უთხრა ფარჩომ.

— დაწექით, ეხლავ დაიძინეთ და ხვალ ღმერთი ვახსენოთ. ლაშქართან ერთად თუ არ წავალთ? — იკითხა კობამ.

— არა, იმათ გალაშკაში შეუერთდებით.

— მაშ ჩვენ მარტონი წავალთ? საით?

— ჩვენ სახელი უნდა გავიკეთოთ და ისე მივიდეთ შამილთან. თუ ეგრე მივედით, სირცხვილიცაა.

— მართალია, ლომისის მადლმა! ჩვენი კაცობის გეში უნდა მივიტანოთ, — დაუმატა ეფხიამ.

— მაი, ფარჩო, ჩვენ ლაშქარს სულაც ნუ გავერევით, — დაიწყო იაგომ, — ჩვენთვის შევყაროთ ცალკე ჩვენის გუნების ბიჭები და იმათთან ერთად, როგორც საჭიროდ დავინახოთ, ისე მოვიქცეთ. რას იტყვით, ვაჟებო? — მიუბრუნდა ამხანაგებს.

— საითაც შენ — ჩვენც იქით წავალთ, შენი კვნესა-მე! — უპასუხა ეფხიამ.

— ჰაი, ჰაი, რომ იქით წამოვალთ! — დაუმატა კობამ.

— ჯერ გავემგზავრნეთ და მერე, რასაც ღმერთი ჩაგვაგონებს, ის იქნების — ღმერთის ნებას კაცი ვერ წაუვა.

— ვერა, ღვთის მადლმა! — დაემოწმნენ ქართველები.

— მაშ ხვალა, რაიღა? — იკითხა იაგომ, რომელიც ძლივს განთავისუფლებულიყო ჭრილობისაგან და ისევ ომის სურვილით ინთებოდა.

— ხვალ, ხვალ! — უპასუხა ფარჩომ, — გათენებისას ყველანი სამ ბუჩქთან, სამაშკას ტყის გვერდით რომ არის, იქ შეიყარნეთ და იქ გადავწყვიტოთ, საითაც წავალთ... მე კი ამაღამვე სხვა სოფელში უნდა გავიდე.

— აგრე, — უპასუხეს სამმა ამხანაგმა, გამოესალმნენ მასპინძელს და შევიდნენ სასტუმროში, სადაც ქალებს რბილი ქვეშსაგები გაეშალათ.

ქართველები მიეყარნენ და ცოტა ლაპარაკის შემდეგ, რომელიც შეეხებოდა იმათ მომავალს მგზავრობას, დაიძინეს.

გარედ კი აღელვებული ხალხი დადიოდა სიმღერით და ღმერთის დიდებით.

ისინი გროვდებოდნენ ხან ერთს ადგილს, ხან მეორეს და პირობას სდებდნენ, რარიგად წასულიყვნენ შამილთან, ვინ აერჩიათ უფროსად, ვინ იმის შემწედ და ვინ დარჩენილიყო მხოლოდ უბრალო მეომრად. ამ ღამესვე ბევრი ყმაწვილი კაცი დაღონებულის და შეწუხებულის სახით ესალმებოდა თავის სატრფოს, რომელსაცა სტოებდა მარტოდ, სთმობდა იმის ალერსს სამშობლოს გულისთვის და, ვინ იცის, ბრძოლიდგან დაბრუნდებოდა-ღა?.. და თუ დაბრუნდებოდა, არ ჰპოვებდა თავის თვალ-ჟუჟუნას გულს შეცვლილს?.

VII

მზემ წვერი ამოჰყო და სუნჯის ტყის ფოთლები მოჰფინა ოქროსფრად. აქამდისინ გაჩუმებული ბუნება თითქოს ღიმილით მიეგება მოღიმარს მნათობს. ყველა ცხოველი გრძნობდა, რომ ის ცოცხალია და მისთვის ეძლეოდა თავისუფალს მხიარულებას; თვით უძრავნი ყვავილნიც კი თითქოს შეინძრნენ, გადიშალნენ, იცვალეს მკრთალი ფერი და ღამის ნამით გა-

ღორძინებულნი, მსწრაფად გაცხოვლდნენ, რათა უმანკო სურნელთ ნაზად და კეკლუცად მზისკენ მიექციათ თავიანთი ნაზი სახე. გაუმაძღარი და შეუბრალებელი შუქი მოუსვენრად დაძვრებოდა ხლართულ ფურცლებს შუა, რათა თვალი შეეკრა იმათთვის და დამტკბარიყო სიამოვნებით. წყარო ანკარა და წმიდა, როგორც ცის ნამი, წყნარად ჩამოჩხრიალებდა და უალერსებდა ერთმანერთის მოარშიყე ბუნების ქმნილებათ. მოუსვენარი ფუტკარი, გამოსული დილის სამუშაოზედ, არ კმაყოფილდებოდა ერთის ადგილით. იმას იზიდავდა სხვადასხვა სურნელები თავიანთის სიკეკლუცით და სინაზით, რომელნიც ათასფერად შეხამებულიყვნენ.

ერთბაშად ამ საერთო გარმონიას შეუერთდა ხმელი წიწკების მტვრევის ხმა: აშკარადა სჩანდა, რომ რაღაცა სულდგმული გამოსულიყო ამ ადგილებში, — უთუოდ იმასაც უნდოდა გამტკბარიყო ბუნების საერთო მოწყობილის მშვენიერებით. ამისთვის იზრუნა ბუნებამ, ამისთვის ეცადა, ამისთვის შეამკო დედამიწა, რომ სულდგმულთ ყოველივე ნეტარებით ისიამოვნონ, ისარგებლონ.

არ გამოვიდა რამდენიმე ხანი, როდესაც სამი კაცი წყნარად და ფრთხილად, თვალიერებით გამოჩნდნენ. ისინი დამწკრივებულნი ერთმანერთს მოსდევდნენ; იმათი შეიარაღება და სამგზავრო ტანისამოსი ამტკიცებდა, რომ ისინი შორს გზას უნდა გამგზავრებულიყვნენ.

როდესაც ისინი ტყის ნაპირს მოახლოვდნენ, მოწინავემ ხელით ანიშნა, უკანები შესდგნენ და თითონ კი სიფრთხილით მიახლოვდა ტყის ნაპირს, საიდგანაც დაუწყო თვალიერება წინ დაცემულს ტრიალს მინდორს. ტყის შორი-ახლოდ მოჩანდა სამკუთხად ბუჩქები, რომელთ შუაც რჩებოდა კეკლუცი სამკუთხივე პატარა მინდორი. სწორედ ამ ალაგს ჩასცივებოდა ახალმოსული და უყურებდა.

იმან იქ უთუოდ ვიღაცანი გაარჩია, რადგანაც პირში ჩაიდო ორი თითი და სამჯერ ძალზედ დაუსტვინა. ამ ხმაზედ ორი შეიარაღებული კაცი გამოვიდა, რომელთა შორის ერთში ფარჩოს იცნობდით, და ხმამაღლა დაიძახა:

— აქ გამოდით, იაგო! რაი მოგივიდათ ამდენს ხანს?

ტყეში მყოფნი გამოვიდნენ და მიესალმნენ იქ მყოფებს.

— რად დაიგვიანეთ? — იკითხა კიდევ ფარჩომ.

— რაი ვიცი, აბა, არსად მივბრუნებულვართ კია და, — უპასუხა იაგომ.

— ელბერდ, დაურთე მწვადები, — მიუბრუნდა ფარჩო თავის ამხანაგს და თითონ კი წაჰყვა იაგოს და მის ამხანაგებს წყაროზედ, რადგანაც ნამგზავრებს ხელ-პირის დაბანა უწდოდათ.

— აქ ვჭამოთ პური, დავისვენოთ ცოტა და გაუდგეთ გზას, — უთხრა ფარჩომ, როდესაც ქართველებმა პირი გაიგრილეს ცივის წყლით.

— კარგი იქნება, ცოტა კიდეც აგრილდების, — უპასუხა იაგომ.

— აქ საბემწიფო გზასთანაც ახლო ვართ და ტყესთანაც, თუ შეგვხვდა რამე, კიდეც ვიხელთოთ.

— აგრე, — იყო ისევ პასუხი და მესაუბრენი შეუდგნენ ბუჩქებს შუა.

მგზავრები საჭმაროდ შენაყრდნენ და წინა დღეებიდგანვე დაჭანცულნი მიეყარნენ, ვისაც სად შეხვდათ. მარტო ელბერდ არ დაწვა, რადგანაც ამხანაგებს ყარაულობა ეჭირებოდა, რათა უცაბედად თავს არვინ წამოსდგომოდათ.

საღამო ესენი ამ განსვენებაში იქნებიან, მეტი არ იქნება გაგაცნოთ ეს ახალი პირი, რომელიც შემდეგში არა მცირედს მონაწილეობას მიიღებს ჩვენს მოთხრობაში.

ელბერდ იყო ოცდაათს წელს მიღწეული, ტანადი და მხარბეჭკადგმული ვაჟკაცი; იმას დიდი ხანია, რაც თოფი აელო ხელში და ხან მარტო, ხან რამდენიმე ამხანაგით დაეხეტებოდნენ იმ გზებზედ, სადაც მოძრაობდა რუსის ჯარი. პატიოსანი, გულადი და ვაჟკაცი ელბერდ წუთით-წუთს და მოულოდნელად ელოდა ხოლმე, რომ დასცემოდა გაუფრთხილებელს მგზავრს რუსებს, გაეცარცვა ისინი, მოეტაცნა საქონელი, ცხენები და, თუ მოხერხდებოდა, თითონ კაცებიც და ტყვედ ჰაეგზავნა შამილთან, ან კიდეც შეხვდებოდა ვისმე გამოპატრულს, გამოქცეულს შერიგებულთაგანს, ან სალდათებს. როწელნიც დაწუხებულნი ომიცრების მკაცრის საქციელით და ზოპყრობით, წამდაუწუმ თავს ირჩენდნენ შამილთან გაბრძნებით, ის გზას უჩვენებდა. ამგვარი ხალხი, რასაკვირველია, შა-

მილისაგანაც დიდის სიხარულით მიიღებოდა, რადგანაც ისინიც თავგანწირვით იბრძოდნენ და ზოგთ ზარბაზნების მოვლაც იცოდნეს, და ამგვარი მცოდნე ხალხი კი ასე ეჭირებოდა იმას. მაშასადამე, ელბერდი ერთი ისეთი სასარგებლო კაცთაგანი იყო ან ბრძოლების დროს, რომელსაც ყველანი, და შამილი განსაკუთრებით, აფასებდა.

ელბერდი იცნობდა ყველას, ყველგან ძმადნაფიცები და მეგობრები ჰყვანდა, ყველას იმასთან საქმე ჰქონდა. ურიცხვი შემთხვევების გამო მოაზრება იქამდინ გახსნოდა, რომ რაც უნდა გაჭირვება შეხვედრიყო, სწრაფად მოიაზრებდა, თუ როგორ გამოსულიყო საშიშს და უსიამოვნო მდგომარეობიდგან.

ის ათასჯერ ყოფილა მომწყვდეული და სწორედ იმ დროს, როდესაც დარწმუნებულან, რომ დაიჭირეს, ჩაჰკლავენ ძაღლივით, ელბერდ ერთბაშად და მოულოდნელად ხელიდგან გაუსხლტებოდა, ქაჯსავით გაქრებოდა და პირდაღებულს რუსებს გაკვირვებით ხელებს გააშლევინებდა.

ის ყველგან იპოვიდა გზას, ყველგან გაძვრებოდა, ყველგან გამოსჩრეკდა საშუალებას და მით სანატრელი გზის მჩვენებელი და ამხანაგი იყო იმ არეულობის დროს, როდესაც ათასობით სახლკარგადამწვარნი წარმოუთქმელის წადილით გულში და თავშეუწყალებლად მტრის გადახდევინებას დაეძებდნენ. თითონ ელბერდიც როდესღაც დამშვიდებული მემამულე იყო, ჰყვანდა ცოლი, პატარა შვილი და სცხოვრობდა ტყეში გამარტოებით, რადგანაც ფუტკარი გაეჩინა და იმათ უვლიდა; მაგრამ ერთს დღეს დაეცნენ ამ ადგილს ყაზახები, გადუწვეს სახლი, რომელშიაც ჩაიწვა იმის პატარა შვილი, ცოლი წაიყვანეს ტყვედ და თითონ ელბერდი კი რაღაცა მანქანებით, დაშორილი რამდენიმე ადგილს, გაექცათ. ამ დღიდგან მოსწყდა იმას შურისძიება, აღარ თოფი ხელში და ბევრს აუტირა დედა, ბევრს შეუღება პერანგი სისხლის ფერად.

ელბერდ გაჰყურებდა გზას და ამ ყურებაში კარგა ხანმა გაიარა, როდესაც საღამოს პირობას მტვერი ავარდა გზის ერთს მხარეს. ის დააცქერდა და უკანასკნელს მზის სხივებზედ აშკარად გააჩნია ყაზახის ჯარი, რომელთაც წინ მოუძღოდა რამდენიმე ოფიცერი. იმას მაშინვე გული აუცახცახა სურვილმა, რომ რამდენიმე კაცი გამოეგლიჯა ამ ხალხისგან. იმან

მოათვალიერა ადგილი და შეამჩნია, რომ იმათ და ყაზახებს შუა ჩამოდიოდა დიდი ხევი, წარსული ავდრის გამო წყალი აღელვებულიყო და თან მოჰქონდა აუარებელი ქვიშები, რომლებსაც ჩხირსავით აბრუნებდა. ტყე ერთს ადგილს წყლამდინ ჩამოდიოდა და წყლის პირს პატარა ჭალა გადაშლილიყო; ამ ჭალის პირდაპირ, გაღმა, მოჩანდა რამდენიმე ბუჩქები, თითქოს განგებ ვისმე ჩაეყარა პატარა ბილიკის ნაპირებზედ, რომელიც უთუოდ წყლის დასალევ გზად ჩამოდიოდა. როდესაც ყველა ეს მოათვალიერა, იმან ისევ ჯარს გახედა, რომელიც, დარწმუნებული უშიშარს მდგომარეობაში, რადგანაც ეს ადგილი ვლადიკავკაზს არ იყო დაშორებული, სრულიად უზრუნველად მოდიოდა. იმათ არავითარი, ამგვარს მგზავრობაში საჭირო სიფრთხილე არ მიეღოთ. ელბერდმა გაიღიმა რამდენჯერმე და სიამოვნებით ჩაიცინა, ეტყობოდა, რაღაცა მოაზრება მოუვიდა თავში. ის მივიდა საჩქაროდ თავის ამხანაგებთან და გამოელვიძა ისინი.

— რა ანბავია? — იკითხეს იმათ.

— აგერ, — გაიშვირა ხელი ჯარისკენ.

ყველამ მიიხედა იქით და დაინახა ყაზახები.

თუ სავაჟკაცოდა ხართ წამოსულნი, შემთხვევასაც ღმერთი გაძლევსთ...

— აქედგან ვესროლოთ? — იკითხა ფარჩომ.

— აქედგან მეტად შორია, რას გავაწყობთ? — დაუმატა იაგომ.

— აქედგან ტყვიაც ვერ მისწვდება. გაღმა ჭალაში უნდა გავიდეთ, — გადაწყვეტით უთხრა ელბერდმა.

ყველას მოეწონა ეს აზრი.

— წყალში საით გავიდეთ? — ცოტა სიჩუმის შემდეგ იკითხა ფარჩომ.

— ა-იქ ხიდი არის, — უპასუხა ელბერდმა და მოუბრუნდა დანარჩენებს: — ნუღარ ზოზინობთ, დაგვიგვიანდება.

— ჩვენ მზადა ვართ, — იყო საერთო პასუხი.

ამხანაგებმა ღმერთის სახელი ახსენეს, ქრისტიანებმა პირჯვარი გადაიწერეს და ელბერდის წინამძღოლობით გასწიეს ჭალისკენ. ისინი მალვით და შეუმჩნეველნი გავიდნენ გაღმა, შევიდნენ ბუჩქებში და ამოირჩიეს ადგილი ისე, რამდენადაც სახერხო იყო სასროლად.

გზისა და იმათ შუა სულ არ იქნებოდა სამოც-ოთხმოცი საჟენი და ელოდნენ უფრო მოახლოვებას, როდესაც ამხანაგები დააბინავა ელბერდმა, თითონ მაშინვე სადღაც წავიდა და იქამდისინ არ დაბრუნებულა, სანამ ყაზახები ჩასაფრებულებს არ გაუსწორდნენ. ის-იყო თოფები მოიმარჯვეს მეომრებმა და ნიშანში იღებდნენ ყაზახებს, როდესაც ელბერდმა ერთბაშად წასჩურჩულა:

— არ ესროლოთ, არ ესროლოთ!

— რაი ამბავია? — ჰკითხეს გაკვირვებულმა ამხანაგებმა.

— აგერ, — მოკლედ უპასუხა იმან და გაიშვირა ხელი მოსავლებისაკენ.

ყველამ მიიხედა იქით და დაინახეს, რომ სამი ოფიცერი გამოცალკევდა ჯარს და დაადგნენ წყლის ბილიკს. იმათ უთუოდ უნდოდათ ესარგებლათ წყლის სიახლოვით და დაელევინებინათ ცხენებისთვის წყალი.

ისინი მოდიოდნენ უზრუნველად, სიცილით და მხიარულად, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ აქ მშვიდობიანს ადგილს იყვნენ და ფიქრი არაფრისა ჰქონდათ.

სამთავეს სახე დარუმბებოდათ წარსულს ღამეს ბახუსთან მუსაიფის გამო. ისინი იქამდინ მოახლოვდნენ მყარაულებლებს, რომ აშკარად მოისმოდა იმათი ლაპარაკი.

ოფიცრები ლაპარაკობდნენ თავიანთ ჩეჩენთ სოფელ აჩლიყში ყოფნასა და იქ დროს გატარებაზედ.

— მე მომცეს სადგურად, — დაიწყო ერთმა — ერთი ჩეჩნის სახლი... ისეთი მშვენიერი ცოლი ჰყვანდა, ისეთი, რომ რაღა გითხრათ!.. ტანადი, თვალადი, ყმაწვილი — თითქმის ბავშვი!.. თვალებიდგან სულ ცეცხლს აფრქვევდა... მე დაუწყე არშიყობა, ისიც იცინოდა და მე დავრწმუნდი, რომ იმასაც მოვწონდი, მაგრამ დრო ვერ ჩაგვეგდო ხელში, — ქმარი არა შორდებოდა... ერთს საღამოს ამხანაგები შეიყარნენ ჩემთან, გადავკარით კარგად, ყველანი ჩემს სახლის პატრონის ცოლს შემომნატროდნენ და დამცინოდნენ, რომ აქამდინ ვერა გავაწყე-რა. ბოლოს სტუმრობა დაიშალა, მე დავრჩი მარტოკა... სახლის პატრონი კაცი შინ არ იყო და მე საუკეთესოდ დავინახე ეს სალამო, ქალს გავარშიყებოდი... შევიპარე იმის სახლში, მაგრამ ქალმა ყვირილი გააბა და ერთბაშად შემოვარდა

იმისი ქმარი, რომელიც დაბრუნებულიყო და გარედ ცხენს უვლიდა. კიდევ კარგი, რომ იარაღი არ გაჰყოლოდა თან, და სალდათები კი ახლოს იყვნენ, ყარაულად დადიოდნენ და ხმაურობაზედ შემოცვივდნენ, თორემ სწორედ ხანჯალზედ ამაგებდა ის პირუტყვი!..

— და! რასაკვირველია, ისინი ისეთი ველური ხალხია. რომ იმათგან ყველა დაიჯერება! — ჩაურთო სიტყვა მეორემ.

— პეტრ ნიკოლაევიჩ! ნუ უშლით, გაათაოს, — დაუმატა მესამემ, რომელიც წერწყვის ყლაპით ყურს უგდებდა ამხანაგის ცინიკურ ლაპარაკს და თავისთვისაც ნატრობდა ბედნიერს შემთხვევას.

— ახ! უკაცრავად, მერე?

— მერე რა? დაიჭირეს ჩეჩნელი, დაინიშნა გამოძიება და რამდენიმე დღის შემდეგ ჩამოახრჩეს, როგორც მოღალატე, რომელმაც მოიწადინა აფიცრის სიკვდილი.

— ახიც იყო იმ ავაზაკზედ! — მოუწონეს იმას.

— რამდენსაც მეტს ჩამოახრჩობენ მაგ ქურდებს, იმდენად უკეთესი იქნება, — დაუმატა მეორემ.

— ცოლი რაღა იქნა? — იკითხა პირველმა.

— ცოლი? — ღიმილით უპასუხა მოამბემ, — ცოლი ჩემს ხელთ არ იყო?.. ის ჯერ დავაჭერინე, მერე, ჩემო ბატონო... ჰი, აქ დავალეინოთ ცხენებს წყალი, პეტრ ნიკოლაევიჩ! — ერთბაშად შეცვალა საუბარი მოლაპარაკემ, რადგანაც წყალს მიახლოვდნენ და შერცხვა ცილის წამებისა.

VIII

მოწყურებული ცხენები წყალს დაეწაფნენ და, რადგანაც წარსული დღის სიცხეს ისინი მეტად გაეხურებინა, გაუმაძღრად სვამდნენ.

მზე ჩქარა ჩადიოდა და ხეების ჩრდილი უსწორმასწოროდ და გძლად დედამიწას ათას-გვარ სახედ ეცემოდნენ.

— ეხლა რომ აქ ჩეჩნელები გაგვიჩნდნენ! — ერთბაშად წამოიძახა ერთმა აფიცერმა.

— არც ეგეთი გულადები არიან, — უპასუხა მეორემ.

— მოვიდნენ და ვაჩვენებთ თამაშას, — დაიტრაბახა მესამემ.

ესენი ამ საუბარში იყვნენ, როდესაც ხუთი მეგობარი წყნარად ეპარებოდნენ იმათ და ისე ახლო მოსულიყვნენ, რომ ერთის გადახტომით აფიცრების ხელის გავლება შეეძლოთ.

ცხენებმა დალიეს წყალი, აიღეს თავი და, რა გამობრუნდნენ, დამალულნი მთიელნი მარდად გადახტნენ, თითო ხელი წაავლეს ცხენის ჯილავებს, თითოთიც დამბაჩები დაუმიზნეს გულში. შეშინებულმა აფიცრებმა პირი დააღეს დასაყვირებლად; შიშს მწარედ დაეპრანჭა იმათი სახე.

— კრინტი, თორემ მოვიდა თქვენი აღსასრული! — დასჭყივლა იაგომ.

— დაყარეთ იარაღი! — უბრძანა ფარჩომ.

აფიცრები მზად იყვნენ აესრულებინათ ეს ბრძანება, მაგრამ შიშისგან იქამდინ დაფანტულიყვნენ, რომ აღარ იცოდნენ რა ექნათ, ან როგორ მოქცეულიყვნენ.

— მოდით, შემოხსენით იარაღი, — დაუძახა ელბერდმა იმ ორს ამხანაგთ, რომელთაც თოფები გაშიშვლებული ეჭირათ და ისე იყვნენ.

კობა და მთიული მისცვივდნენ ბრძანების შესასრულებლად. იმათ შემოხსნეს ხრმლები, დამბაჩები, გაუძღვნენ წინ და წაიყვანეს.

ჯარმა მხოლოდ მაშინ შეამჩნია თავიანთი აფიცრების მდგომარეობა, როდესაც ისინი გალმა გაიყვანეს, გაიარეს ჭალა და გავიდნენ მინდორზედ, მაგრამ საშველად გვიან-ღა იყო: სანამ მდევარი ხევს გავიდოდა, მანამ მთიულებმა ტყეში შეასწრეს, იქ ძებნა კი უბრალო შრომა და ამასთანავე საშიშიც იყო.

ჯარი დაბრუნდა დაღონებული, შეწუხებული და დარცხვენილი. იმ საყვედურის გარედ, რომელსაც უფროსებისაგან მოელოდნენ, სირცხვილიც არ უსვენებდათ, რადგანაც მთელს კავკასიის ჯარში თითით საჩვენებელნი გახდებოდნენ: დღით, მინდორზედ, მთელი ჯარის თვალ-წინიდგან სამი აფიცერი მოსტაცეს!.. მართლა რომ ღირდა რაზედ დაღონებულიყვნენ!

ესენი ამ მწუხარებაში იყვნენ და გულის კანკალით უაზღოვდებოდნენ ვლადიკავკასს, როდესაც ჩვენმა სტუმრებმა მიახწიეს გალაშკის მახლობლად ერთს მინდორს.

— გათენებამდინ ბევრი აღარ დარჩა, — დაიწყო ელბერდმა და შესდგა.

— მერე? — იკითხა ფარჩომ.

— აქ დავისვენოთ და ხვალ დილით გალაშკას გავალთ, თორემ ამ შუაღამისას ვის კარს მივადგებით?

— რას იტყვი, იაგო? — ჰკითხა ფარჩომ.

— აბა მე რაი ვიცი? ჩვენ თქვენი სტუმრები ვართ, რაც გინდათ, ისა ჰქენით.

— მაშ ეგრე ვქნათ, როგორც ელბერდ გვირჩევს.

ყველანი დათანხმდნენ, ჩამოსვეს ცხენებიდგან ამცირები, შეუკრეს მაგრად ხელ-ფეხი, რომ გაქცევა ვერ გაებედნათ, და მიყარეს ერთი ხის ძირს.

— კობაუ, — უთხრა ფარჩომ, — თვალ-ყური დაიჭირე, უბრალოდ კი ნურას აწყენინებ: გიაურები არიან, მაგრამ მაინც კაცებია... მხოლოდ, თუ გაქცევა მოიწადა ვინმემ, როგორც ძაღლს, ისე ნუ დაინდობ.

— აგრე, — მოკლედ უპასუხა კობამ.

— ჩვენ კი შეშას მოვაგროვებთ.

კობა მოუდგა ტყვეებს, დანარჩენები გაიფანტნენ ტყეში, ჩქარა მოაგროვეს ჩინჩხვარი და მოიტანეს კუნძები. არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც მოისმა ტყრშიალი, დაგუგუნდა ცეცხლი და იქაურობა გაანათა წითელმა შუქმა.

საზოგადოდ იმ ადგილებში დღეები თუმცა მეტად ცხელი იცის, მაგრამ ღამე ყინულიანი მთები და ნოტიო ადგილი ისეთს სიოს უშვებს, რომ ცეცხლს ერთი ათად ემატება ფასი და ღირსება. ამხანაგები ყისინაწამოგდებულნი შემოუსხდნენ გარს; ეფხიამ მოიტანა გუდა, ამოიღო ვახშამი და ყველანი მოუსხდნენ გარშემო.

იმათ ჩქარა შეჭამეს პური, როგორც მგზავრებმა, რომელნიც დროს დაკარგვას დაჩვეულნი არ არიან, ერთი მოუყენეს ყარაულად ტყვეებს და დანარჩენები მიწვნენ, ვისაც სად შეხვდათ...

დანარჩენი ღამე იმათ გაატარეს მშვიდობიანად და გათენებასთან ერთად გაუდგნენ გზას, რათა გასულიყვნენ სოფელს გალაშკას, საიდანაც შამილთან გამგზავრებას აპირებდნენ.

როდესაც ამ სოფელში შევიდნენ, მზეს კარგად მოეარა, მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ხალხი არსადა სჩანდა, რადგანაც

იმათ მისვლაზედ, მარტო პატარა ბიჭები მოეგებნენ, რომელნიც გაოცებით შეჰყურებდნენ ოფიცრებს. დანარჩენები გაშორებოდნენ, რომ ჩქარა შეეროთებოდნენ თავიანთ სოფლის ბიჭებს და იმათთან ერთად მიეღოთ მონაწილეობა ამ საეროთო სიხარულში.

დიდი თუ პატარა მოსვლის უმალ მარჯვენა ხელის აქნევით უძახდა:

— მარშოლ! — მიდგებოდნენ იქით, დაიწყებდნენ ჩურჩულს და თითით ოფიცრებზე ჩვენებას.

სოფლის ბოლოს ერთი უფრო მოზრდილი ახალგაზრდა შემოხვდათ იმათ და მისალმების შემდეგ ფარჩომა ჰკითხა:

— ბალღო! რაი ამბავია, რომ სოფელში კაცი არავინა სჩანს?

— ვისაც იარალის ზიდვის თავი ჰქონდა, ყველანი შაშილთან წავიდნენ... იქ ფიაურებს ეჩხუბებიან. ასე ამბობენ, რომ წელს შამილმა გიაურები სულ უნდა გაწყვიტოსო...

— მაშ სოფელში კაცი არავინ არის?

— მარტო მოხუცებულები და ავადმყოფები არიან, ისინიც ტყეში წავიდნენ შეშობ.

— ყველანი ერთად?

— ღმერთმანი, ყველანი!.. იმ დღეს ერთი კაცი წავიდა ტყეში და ვიღამაც მოკლა, ამბობენ — გიაურები იყვნენო. ეხლა მარტო კაცი ვეღარ დადის სამუშაოზედ, სულ სოფლობით და იარალით დადიან.

ისინი გაუსწორდნენ სოფლის დასაწყისში პირველ სახლს, როდესაც ბალღმა ჰკითხა:

— მასპინძელი ორა გყავსთ?

— არა, — მისცეს პასუხი.

— აი, ჩვენი სახლი, ჩვენსა წამოდით.

— შენ ვისი ბალღი ხარ?

— ეხლერი შალსაგისა... ისიც საომრად არის, ჩემი ორი უფროსი ძმაც იქ არიან.

ამ ლაპარაკის დროს სახლიდგან გამოვიდა შუახნის, მშვენიერი სახის მქონე დედაკაცი და მშვიდობა უთხრა მგზავრებს.

— აი, დედაჩემი, — უთხრა ბიჭმა და მიუბრუნდა დედას: — აი, სტუმრები არიან, მასპინძელი არა ჰყავსთ და ჩვენსა კი არ მოდიან.

— სტუმარი ღვთისაა, წამოდით, მალსაგიანთ სახლის კარი თავის დღეში სტუმარს არ დაჰკეტია.

— მასპინძელი შინ არაა, — წასჩურჩულა კობამ ფარჩოს, მაგრამ დედაკაცმა ყური მოჰკრა და უპასუხა:

— ენდრი შინ არაა, მაგრამ განა სახლი ზურგთ აიკიდა და თან წაიღო?.. რაცა გვაქვს, ღვთისგან გვაქვს მოცემული. და სტუმარიც ღვთისაა... გამოიარეთ.

სტუმრებმა უარი ვეღარ უთხრეს ამ გულწრფელს პატიჟზედ და შევიდნენ მშვენივრად დაგვილ-დაწმენდილს ეზოში, რომელშიაც გაცალკევებით იდგა ისეთივე წმინდად გალესილი სასტუმრო.

სტუმრებს მიესალმნენ, ჩამოართვეს ცხენები და შეიყვანეს ოთახში, სადაც ერთკენ მხარ-ძირიდგან ზეითამდინ აგებული საბან-გობანი და ბალიშები მწახველს გააკვირვებდა; მეორე მხარეს იდგა განიერი ტახტი ადგილობრივ მომზადებული, ჩილობებ მოფენილი; მესამე მხარეს მოჩანდა ირმის გაჭიმული მთელი, თავარიელა თანგატანებული ტყავი ნამაზისთვის; იქავე ალთაფა და ტაშტი იმავე საჭიროებისათვის. ვიდევ რამდენიმე სინი და ლანგარი სპილენძისა იქავე გვერდით ეკიდა და გამოღებულს თახჩაში ეწყო წმინდად გაკრიალებული სამოვარი თავის იარაღით; მეოთხე მხარეს დაინახავდით ფანჯარას, ბუხარს და კარებს; ოთახი — წმინდად გალესილი და გატკეპნილი, ისე რომ ქვის პოლი გეგონებოდათ.

შესვლის უმალ ოთახში შემოვიდა მშვენიერის სახის მქონე მოღიმარი ყმაწვილი ქალი, მიესალმა სტუმრებს და თავისი ხელით შემოხსნა იარაღი, რომელიც ისე რიგად ჩამოჰკიდა ბოძის კაპებზედ, რომ ადვილად აღება შესძლებოდათ პატრონებს, თუ დასჭირდებოდათ რისთვისმე.

სტუმრები დასხა ქალმა, დახადა ფეხთ და გაანთო ცეცხლი — ეს მასპინძლის გულუხვობის და მხიარულების ნიშანი.

— ქალო, შენ ლამაზი ხარ და სახელიც შესაშვენი გექნება... გვითხარ რაი გქვიან?

— მე გონჯი ვარ, — სიცილით და კეკლუცობით უპასუხა იმან, — და სახელიც ეგეთივე გონჯი მაქვს.

— ჩვენც კარგად ვიცით ავისა და კარგის გარჩევა, რაი გქვიან?

— ბელჰანა.

— ღმერთს არ მოეტყუებაა, არ შემცდარა მაგის დამრჭმევი! — წამოიძახა ფარჩომ.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა ამ მხიარულს ლაპარაკში, როდესაც შემოვიდნენ რამდენიმე ყმაწვილი ქალები, რომელთაც დაიწყეს სიმღერა-თამაშობა და შექება სტუმრებისა, რომელთაც ულიცამდნენ სამი აფიცრის დატყვევებას, თუმცა ზდილობა ნებას არ აძლევდა ეს უკანასკნელები, როგორც უბედურები, მასხარად აეგდოთ.

ტყვეებს ყველანი ისე ექცეოდნენ, როგორც სტუმრებს და ყოველის ღონისძიებით ცდილობდნენ არ შეხებოდნენ იმათ კაცობას. იმათ პირადობას, რადგანაც ამგვარს მდგომარეობაში მყოფი ადამიანის მასხარად აგდება არ ეთანხმებოდა იმათ შეხედულებას. კაცი უბედურია, იმას რაღა დაცინება, დამდაბლება ეჭირება? ყველას ესმოდა, ყველას ჰქონდა მხედველობაში ეს და კიდეც იმისთვის ექცეოდნენ ისე ზრდილობიანად.

ამ დროს გატარებაში იყვნენ, როდესაც სტუმრებს ხელები დააბანინეს და სადილი მოუტანეს. სუფრა სუფრით იცვლებოდა, ერთს საჭმელს მეორე საჭმელი შესცვლიდა. ბოლოს ჩამოურიგეს ჭოშებით წვენიც, ის აუცილებელი საჭმელი ყველა მდიდარი და ღარიბი მთის კაცისა.

სადილს შემდეგ სტუმრებს თავი დაანებეს, რათა ისე მოესვენათ, როგორც თითონ მოიწადინებდნენ, და ყველანი წავიდწამოვიდნენ, რომ საღამოზედ ხელახლად შეყრილიყვნენ, ხელახლად გაეწიათ ქეიფი და გაეტარებინათ დრო.

როდესაც სტუმრები მარტონი დარჩნენ, იმათ გადაწყვიტეს, რომ აქ მოიცადონ იქამდინ, სანამ ისეთს კაცს იშოვიდნენ, რომელიც მიიყვანდა პირდაპირ შამილთან ვედენოში, სადაც ამჟამად ის იმყოფებოდა.

ისინი ამ მოაზრებასა და რჩევაში იყვნენ, როდესაც გარედ სრულებით სხვა ამბავი ხდებოდა.

სოფლის დედაკაცები განუწყვეტლად მოდიოდნენ და მოჰქონდათ ქათმები, კვერცხები, ერბო; ზოგს ბიჭებს მოუდიოდათ საკლავები. ესა ნიშნამდა, რომ მეზობლის სტუმრები სათემო სტუმრად ითვლებოდნენ და ვისაც რით შაეძლო, ცდილობდნენ მეზობლის ხელის გამართვას, შემწეობას. ისინი თავის

დღეში შეუწევრად არ დააგდებდნენ თავის მეზობელს არც ჰირში და არც ლხინში, ისინი შველოდნენ ეხლა მალსაგიანთ სახლს, დარწმუნებულნი, რომ თავისდაკვალად ესენიც არ დააგდებდნენ უნუგეშოდ კუთხილს მეზობლებს. აქა სჩანდა რაღაცა ერთობა, რაღაც შემაკავშირებელი ძალა, რომელიც გარწმუნებდათ თქვენ, რომ ეს ერთი სახლობა იყო შეერთებული ერთის აზრით, ერთის საჭიროებით, ერთის მწუხარებით. ეს ჯერ არ იყო გარყვნილი იმ სისაძაგლით, რომელიც სიხარულით გააგონებს მეზობელს მეზობლის როშელსამე უბედურობას. ამის სამაგიეროდ ესენი ცდილობდნენ, რომ სტუმრებს სახულიანად და წესიერად დახვედროდა თავიანთი შეზობელი, მით უფრო ცდილობდნენ, რომ სახლის უფროსი ამ დროს შინ არ იყო და არც იმდენი კაცი ჰყვანდათ, რომ ყველაფერს გასწდომოდნენ.

აფიცრები სრულის თავისუფლებით სარგებლობდნენ, რადგანაც პატიოსანი სიტყვა მისცეს, რომ გაქცევას არ ეცდებოდნენ.

IX

ერთს დილით სტუმრები და ტყვეები გაშოსულიყვნენ ქარებზედ და ჩამომსხდარიყვნენ გაკუთხულს ხეებზედ. ეს მესამე დღე მიდიოდა, რაც ისინი ელოდნენ ისეთ ვინმეს მოსვლას, რომელსაც გზა ეჩვენებინა და წაეყვანა შამილთან. ისინი ამ მოუსვენებლობაში იყვნენ, როდესაც ელბერდმა, რომელიც ჩვეულებისამებრ ჩხირსა სთლიდა, დაიწყო:

— აგერ მესამე დღე გასრულდა და ჯერ გზის მჩვენებელი არავინა სჩანს.

— რად ვქნათ აბა?.. ჩვენც შოგვწყინდა ლოდინი, შაგრამ რაი გაეწყობა? — უპასუხა იაგომ.

— მოდი, გავიაროთ საითმე.

— სად წავიდეთ?

— ძაუგისკენ.

— ძაუგისკენ კარგი იქნება, შაგრამ ტყვეებს რაი-ღა ეყოთ, — გააწყვეტინა ფარჩოშ.

— ტყვეებს რაი უნდათ, დედაკაცებიც მოუვლიან, — უპასუხა ელბერდმა და დაუმატა: — სად ჯანაბაში წავლენ?

— არა, ეგრე არ იქნების, თუ გინდათ, წავიდეთ შამილთან, შენც წამოგვყევ და გვიჩვენე გზა, იქიდგან დავბრუნდეთ ძაუგს.

— იქით მაინც წავიდეთ, თორემ გული აღარ მისვენებს.

ყველას გაუხარდა ელბერდის გადაწყვეტილება და ამისთვის ისინი ამავე დღეს მოემზადნენ წასასვლელად.

თვალ-ყუყუნა ბელჰანამ და იმისმა დედამ დაუმზადეს საგზალი, მოხუცმა კაცებმა დაულოცეს გზა, უსურვეს ყოველი კეთილი და ყოველგან გამარჯვება, ყმაწვილმა ქალებმა უმღერეს თავბრუდამხვევი საომარი სიმღერები და გაისტუმრეს.

იაგო, კობა და ფარჩო ცხენებზედ შესხდნენ, ელბერდი და ეფხია კი ქვეითები გაჰყვნენ, რადგანაც იმათი აზრით ქვეითად მგზავრობა უფრო მარჯვეც იყო და მალიც.

მართლადაც, გაბმული უდაბნო ტყეები, გახლართული სვიით და სხვა ხვეულის მცენარეებით, განუწყვეტლივ აყენებდნენ ცხენოსნებს, აძებნინებდნენ უკეთეს გზას, მაშინ, როდესაც ქვეითები კი შიგა ძვრებოდნენ და გზაში არა ბრკოლდებოდნენ.

— გზაში ცხენს უყარაულო თუ ჩემს თავს,— იტყოდა ხოლმე მთიული და დაუმატებდა: — არა, შენი კვნესა-მე, ასე მირჩევნია.

წინ მიდიოდა ელბერდ, როგორც ბელადი და გზის მჩვენებელი, იმას მისდევდნენ სამი ტყვე და იმათ დანარჩენი ცხენოსნები.

რაკი ისინი გასცილდნენ გალაშკას, სულ ტყით მოუხდათ სიარული, რადგანაც გზებზედ ეშინოდათ, უცაბედად რუსის ჯარებს არ შეჰყროდნენ და ძვირფასი საჩუქარი, რომელიც შამილისთვის მიჰყვანდათ, ხელიდგან არ წასლოდათ.

გაიარეს აჩხოი, მიახლოვდნენ გროზნას და შეუბრუნდნენ ვედენოსკენ ხეობას. ისინი გასცდნენ უკანასკნელს ყაზახების პიკეტს და გავიდნენ უშიშარს გზაზედ. ეხლა იმათ იცოდნენ, რომ სამშვიდობოს იყვნენ და ფიქრი აღარ უნდოდათ.

აქეთ-იქიდგან გადმოშვებული შტოები იხლართებოდნენ ერთმანერთში, არ უშვებდნენ მზის სხივებს და აბნელებდნენ გზას. ვერ მოასწრეს გადადგმა რამდენიმე ნაბიჯისა, როდესაც გაიგონეს:

— ვინა ხართ! შესდეგით, თუ თავი გებრალებათ! — და ცხენს გარდიგარდმო გაკეთებულის სანგლიდგან გადმოეშვირა ორივენი.

მგზავრები შესდგნენ და უპასუხეს:

— ჩეჩნელნი ვართ, შამილთან მივდივართ.

— ეგ გიაურები ვილა არიან? — უჩვენეს აფიცრებზედ.

— ტყვეები.

— მამულისა და მოძმეთ მოღალატეს ზევით ღმერთი სჯის და აქ ხალხი, სწორედ სთქვით!

— ჩვენც კაცნი ვართ, ჭკუდი გვბურავს, რაც გულში გვაქვს, ის ენაზედ, ღმერთი და ჩვენი ნამუსი იყოს თქვენზე თავდებ! — მისცეს პასუხად მგზავრებმა.

ამ სიტყვების შემდეგ სანგალზედ გადმოვიდა რამდენიმე ჯაში, მიესალმნენ ახალმოსულებს და გაუძღვნენ წინ. ისინი დააკმაყოფილდნენ ამ ფიცით.

რაკი ისინი შეუერთდნენ ათიოდე ყარაულებს, მაშინვე ცხენი მოეხვივნენ, ჰკითხავდნენ აფიცრების დატყვევების ამბავს, მოხევეების ვინაობას და ჰკვირდებოდნენ იმათ სიგულადეს, ქებას ასხამდნენ იმათ გაბედულებას და ვაჟკაცობას...

ამ ადგილიდგან იწყებოდა სანგლები და თითქმის ყოველ ნაბიჯზედ ამართული იყო მიუდგომელი კედელი: აქ ამზადებდა შამილი მტრის ჯარების სამარეს, აქ უნდა ჩაეფლო თავის ეროვნების გამანადგურებელნი და მართლადაც, რომ შეგებედნათ ამ ადგილებისთვის, ფრუანტელი დაგივლიდათ ტანში, იქამდინ რაღაცა მედიდური იდუმალებით სავსე ადგილები იყო. ეს იყო ის ტყე, რომელშიაც ისე მედგრად დასცემოდნენ გრაბეს და დღე გაემწარებინათ იმისთვის.

ქარგა ხანს მოუნდათ სიარული ამგვარს გზაზედ, სანამ ტრის მინდვრიანს მთაზედ გავიდოდნენ, რომელიც, თითქოს განგებ, მოტიტვლებულიყო, რომ ხალხისთვის საჭირითო ადგილი დაეგდო. აქ იდგა ბანაკად შამილის რაოდენიმე ჯარი, რომელთაც შეატყობინეს, რომ თვით იმამიც გამოვიდა თავისი სადგურიდგან და დიდძალის ჯარებით აქ მოდის.

ეს ხალხი პირ-მოკუმვილნი, შუბლ-შეჭმუხვნილნი ლესავდნენ და უვლიდნენ თავიანთ იარაღს. ყველას პირისახეზედ რაღაცა ზრუნვა, რაღაცა იდუმალებით სავსე სიჩუმე ეტყობო-

და. არ მოიცმოდა არც ჩვეულებრივი ყიჟინა, არც მომეტებული სმაურობა: აქ იყო სიჩუმე წყნარი და მოაზრებული, რომელიც აშკარად ამბობდა: დღეს თუ ხვალ უნდა გადაწყდეს — ვიყვნეთ თუ არა!

ყველას ესმოდა, ყველა ჰგრძნობდა თავიანთ მდგომარეობას, ყველა ემზადებოდა მომავალის ბრძოლისათვის და იცოდა, რომ აქ მარტო უბრალო სროლა არ გაიმართებოდა და ექნებოდათ საქმე ძალასთან, რომელსაც გადაეწყვიტა, რაც უნდა დასჯდომოდა, მაინც უეჭველად გაეარა ეს ადგილები, გაეტეხა ჩეჩნელთ სიგულადე და სიმაგრეები და თვითონ დაგვირგვინებულიყო ამ ადგილებში მბრძანებელ ბატონად.

უნდა მოსულიყო სხვა ხალხი, შემოეტანა სხვა ჩვეულება, სხვა წესები, — ვინ იცის, როგორი გასაჭირი იქ მცხოვრებელთათვის, — გაბატონებულიყო სხვა გვარტომობის ხალხი და ჩეჩენში ჩამოვარდნილიყო უსამართლობა, ძალა, გაუპატიურება ქალთა და რძალთა... მერე სულ მუდამ სხვა კაცის ბრძანებლობის ქვეშ ყოფნა, იმის წინ ქედის დრეკა და სამსახური!.. მერე ეს სხვანი ვინ იყვნენ? — გიაურები!.. არა, ჩეჩნელები სიკვდილს ირჩევენ იმათ ხელში ჩაცვივნას!..

ასე ჰფიქრობდა, ასე ამბობდა ყველა ჩეჩენი და ასეცა ჰქონდა გადაწყვეტილი; ამისთვის იბრძოდნენ ისე თავგანწირვით, ამისთვის ემზადებოდნენ ისე თავგადადებულ ბრძოლას. ამ საეროო შეხედულებას შორდებოდა მარტო ის მცირედი რიცხვი ფანატიკებისა, რომელთაც ფიცი დაედვათ გაწყვეტილიყვნენ სარწმუნოების გულისთვის (ყაზავათ), მაგრამ ეს რიცხვი ისე მცირედი იყო, რომელზედაც ლაპარაკი არა ღირს.

რადგანაც შამილი აქ უნდა ჩამოსულიყო, ამისთვის იაგომ თავის ამხანაგებით გადასწყვიტეს, რომ დაეცადნათ იმისთვის და ჩამოსვლის შემდეგ მოელაპარაკნათ იმასთან; მერე ისე მოქცეულიყვნენ, როგორც ჰკუა გაუჭრიდათ.

იმათ ყველანი ისე უყურებდნენ, როგორც სტუმრებს, ყველანი პატივსა სცემდნენ; თითონ გულადნი და ვაჟკაცნი ჩეჩნები სტუმრების გულადობას და ვაჟკაცობასაც აფასებდნენ. იმათ ჩამოართვეს ტყვეები, რომელთაც მოუყენეს სხვა ყარაულები და მით სტუმრები გაანთავისუფლეს ამ უკანასკნელის ზრუნვისაგანაც.

გაიარა რამდენიმე დღემ, როდესაც ერთს მშვენიერს დილას ხალხში რაღაცა მოძრაობა შეიქნა, ყველანი აღელდნენ, დარბოდნენ წინ და უკან და ერთბაშად მოისმა:

— მოდის, მოდის! — და ამ დროს მინდვრის ზენა მხრიდგან, ტყეში, გაისმა „ლაი-ლაჰა-იალას“ ხმა.

ყველას თვალები მიეპყრო ამ მხარეს და გაჩუმებულნი, სულგაკმენდილნი უყურებდნენ იმ მხარეს, საიდგანაც სიმღერის ხმა მოდიოდა.

ცოტა ხანმაც გაიარა და ჯერ ტყის შტოებს შუა აქა-იქ გაელდა მომავალთ იარაღი და ცხენთა მორთულობა, და ცოტა ხნის შემდეგ გამოჩნდა მშვენიერი შეხედულების მოხუცი, თეთრის წვერით და თეთრისავე ჩალმით თავზედ. თეთრს გასუქებულს ცხენებს, რომელიც გედივით მოცურავდა, მაღლა და ამაყად თავი აეღო, თითქოს გრძნობდა, თუ რა მხედარი მოჰყვანდა.

ეს გახლდათ შამილი, იმამი ჩეჩენისა და დაღესტნისა, რისხვის შემყრელი მტერთა, ერთგული და თავგადადებული თავის მოძმეთა და მამულისთვის!

იმისი დამშვიდებული სახე, გონივრული და გამომცდელი გამოჭვრეტა აშკარად ამტკიცებდა ჭკუას, ვაჟკაცობას და სიამაყეს, თხელი ტუჩები — გრძნობას, და რამდენიმე ხაზი პირისახეზედ — ხასიათის სიმტკიცეს.

ყმაწვილი ხალხი, რომელიც წელანვე მომზადებულიყო, აშხედრდა, რა თავისი საყვარელი მბრძანებელი დაინახა, მიეგება ცხენების ჭენებით და თოფის სროლით. შამილი მიესალმა იმათ ღიმილით და სიამოვნებით უყურებდა მარჯვე მოვარჯიშეთ და სიცოცხლით სავსე ყმაწვილებს, რომელთაგანაც ზოგს ძლივს აშლოდა წვერ-ულვაში და ლოყები პირველს ბალანს შაემოსა.

პირველი ღიმილის შემდეგ შამილს შუბლი მცირედ შაეჭმუხა და წყნარად ამოიოხრა. მაგრამ ისე სისწრაფით მიიღო ისევ მხიარული სახე, რომ კარგი გამოცდილი თვალი უნდა ყოფილიყო, რომ ეს მოძრაობა შაემჩნია.

რა აზრმა გაურბინა გულში ამ დროს კავკასიის შავარდენს? რამ შეუკრთო ფერი, რამ ამოაოხრა? იქნება იმას ეშინოდა, რომ რუსები ამ ბატონობას, დიდკაცობას წაართმევდნენ? ეში-

ნოდა სიცრუისა? არა, შამილს არ ეშინოდა მაგისი, შამილი დიდი ხანია შრომას იყო შეჩვეული. მაგრამ ის იყო კაცი და ამასთანავე წარმოუდგენელი გულკეთილი, ვაჟკაცი და გულადი, რკინასავით შედუღებული, ნაწრთობი ბრძოლის ცეცხლში, იმას არ დაეკარგა ის გულის სინაზე და ლმობიერება, რომელიც განსაკუთრებითი მინიჭებული ღირსებაა სულით ამაღლებულის ხალხისა. თუ საჭიროება მოითხოვდა, ის დაუფიქრებლივ მაძულის კეთილ-დღეობას შესწირავდა პირველივე უკანასკნელს კაცამდინ. თითონაც შიგ ჩაენაყებოდა წამლად, მაგრამ, რა შეხედავდა სიცოცხლით და მშვენიერებით სავსე თავის მამულისშვილებს, რომელთაც სიყმაწვილე ნებას აძლევდა მხიარულს და ბედნიერს ცხოვრებაზედ, რა მოაგონდებოდა, რომ რომელიმე გზადაკარგულს ტყვიას შეუძლიან გაუხუნოს ლალისფერი ტუჩები, გაუქროს აღგზნებული სიცოცხლით სავსე თვალები, მოძრავნი, მოტიტინენი, ერთბაშად უძრავს და უსულო საგნად გარდააქციოს — შამილს გული უდუღდა, მწარის ოხვრით წარმოათქმევინებდა ღვთის სახელს და წარმოუდგენლად სტანჯავდა. შამილი მამა იყო, დანაშრჩენი ამის შვილები; შამილი გრძნობდა იმას, რასაც ჰგრძნობს მშობელი, როდესაც თავის თვალით უყურებს მებრძოლს შვილს და თან ყოველი დაკვრა, ყოველი ტკივილი მშობელს მწარე ხაზად ესმება გულში! მაგრამ სამშობლოს სამსახურს, მამულის თავისუფლებას ის მაღლა აყენებდა თავის მშობლიურ გრძნობაზედ, თავის პირად შეხედულებაზედ. შამილი იბრძოდა იმისთვის, რომ თავის სამშობლოს დღეგრძელობას და ბედნიერებას თავისუფლებაში ხედავდა, და დღესვე რომ დაერწმუნებინათ, რომ იმის მოძმეთათვის მეტი საბედნიერო სხვა რაღაც მოეხერხებინა — ის ბრძოლას თავს დაანებებდა, აიღებდა ყავარჯენს და მწყემსად ცხვარს მოუდგებოდა*.

შამილი შემოერია ხალხს, რომელნიც ყიჟინით და ხმაურობით მიეგებნენ, მიესალმნენ. ყველანი უკვირდა, ყველა

---

* რომ შამილი სწორედ ასეთი იყო და არა თუ დაქინებული დესპოტი, რომელიც გულის განზრახვას ანაცვალებს ყველა საბუთებს, მტკიცდება იმის ცხოვრებიდგან ათასის მაგალითებით, როგორც ყაზი-მახამეთის და შამილის განბეთქილება, სადაც პირადი კმაყოფილება ენაცვლება თავის ქვეყნის სარგებლობას და სხვა (ავტორი).

შესტრფოდა და თითონ შამილიც, დაკმაყოფილებული ამგვარის მიღებით, სიამოვნებით ღმერთს ავედრებდა თავის ხალხს და იმათი საქმის წარმართობაში მოყვანას. ისა ჰგრძნობდა, რომ ამ ხალხს უყვარს, ეს ხალხი ენდობოდა მას და ისიც ხარობდა, როგორც ბედნიერი მშობელი!

ის მივიდა იმისთვის აშენებულს ქოხთან, ჩამოხტა ცხენიდან, შევიდა იარაღის ასახსნელად. ნოხუცებული, მაგრამ მრუღალავი იმამი, მაშინვე ისევ გამოვიდა, რათა მოესმინა ნაიბისგან ყოველისფერი და მიეცა საჭირო განკარგულება. იმას შემოეხვივნენ, უამბეს ჯარის მდგომარეობა, ადგილებისა და გზების გამაგრება; მისცა რამდენიმე შენიშვნა და მერე მიუბრუნდა ხალხს:

— ხალხო!.. შვილს მამის სიყვარული და ნდობა უნდა ჰქონდეს!.. ნაიბი მამა არის იმ ხალხისა, ვისაც წინ მიუძღვება ბრძოლის დროს და ვინც მშვიდობიანობის დროს თავის საზოგადოების საქმეს განაგებს. ვინ არ არის კმაყოფილი თავის ნაიბისა? მითხარით.

ხალხში რაოდენიმე ხანი სიჩუმე ჩამოვარდა, ისინი დაიყვნენ საზოგადოებად და დაიწყეს რჩევა. გამოდგა, რომ მარტო კანტუშის საზოგადოებამ გამოაცხადა უკმაყოფილება თავის ნაიბზედ.

— ხალხო! — დაიწყო ისევ შამილმა, — ნუ დაგავიწყდებათ, რომ თქვენ ნაიბს სამართლიანობის გარედ ვაჟკაცობა, სიგულადე და მოაზრებაც უნდა ჰქონდეს... ნუ დაგავიწყდებათ, რომ დღეს თუ ხვალ გიაურებს უნდა შევებნეთ და გამოცდილი მეომარი ძვირადა ღირს თქვენთვის... კანტუშის ნაიბი განთქმულია ბრძოლაში.

— არ გვინდა, არა! — იყო საერთო პასუხი.

— თქვენ იცით, მაგრამ კარგად იფიქრეთ... გულაჩქარებით წამხდარი საქმე თავის დღეში აღარ გასწორდება. იფიქრეთ.

— ვიფიქრეთ, ბევრი ვიფიქრეთ, მაგრამ ძველი ნაიბი აღარ გვინდა, — მისცეს ისევ პასუხად.

შამილმა აღარა ჰკითხა მიზეზი, რატომ არ უნდოდათ. იმისთვის საკმარისი იყო ხალხისგან უკმაყოფილების გამოცხადება; ხალხს არ უნდოდა ძველი ნაიბი, ხალხს გული არ ედო იმისკენ და, შამილის აზრით, ის სარგებელსაც ვეღარ მოუტან-

და ვერც იმ ხალხს, რომელიც იმას აღარ ენდობოდა, და ვერც იმ საქმეს, რომლისთვისაც აქ შეყრილიყვნენ. ის მიუბრუნდა კანტუშის ნაიბს, რომელიც იქვე გაფითრებული იდგა.

— კანტუშის ნაიბო! გაიგონე?.. შენს ხალხს აღარ უნდიხარ ნაიბად... აიხსენ ნაიბის ნიშანი.

ნაიბმა ხმა-ამოუღებლივ, მთრთოლარე ხელით აიხსნა ნაიბობის ნიშანი და დასდო შამილის გვერდით, მერე გამობრუნდა. ის შეიქნა უბრალო მეომრად და იმის ბრძანების აღმასრულებლად, რომელსაც თითონ გუშინ უბრძანებდა და დღეს ხალხისგან იქნა ამორჩეული.

— ვის ნიშნავთ ახალ ნაიბად? — იკითხა შამილმა.

— მალსაგს! მალსაგს! — ყვიროდა ხალხი, საიდგანაც გამოცალკევდა ლამაზად მოყვანილი შავ-წვერა ყმაწვილი კაცი და მივიდა შამილთან, რომელმაც აიღო ნაიბობის ნიშანი.

— მალსაგ! შენმა საზოგადოებამ ამოგარჩივა ნაიბად, დღეიდგან იმათ ბედიღბალი შენს ხელთ იქნება... რაც მეტი სიხლი შენის მიზეზით და მოუაზრებლობით დაიღვრება, მაჰმადი მოგკითხავს იმის ანგარიშს... გამარჯვებითამც გივლია! — დააბოლავა მოკლე სიტყვა შამილმა და ჩამოჰკიდა ნაიბობის ნიშანი.*

ამის შემდეგ შამილი ნაიბებით შევიდნენ ქოხში, სადაც საერთოდ უნდა გარდაეწყვიტათ, თუ როგორ მოქცეულიყვნენ შემდეგს ბრძოლაში.

X

იმათი მოაზრება თავსატეხი არ იყო. იმათა ჰქონდათ გადაწყვეტილი — შემოეტყუათ რუსის ჯარები სწორედ იმ მინდვრამდინ, სადაც შამილი ამჟამად იმყოფებოდა და აქ ემწყვდიათ იმ ხანამდინ, სანამ შიმშილი და გაჭირვება მტრის ჯარს

---

*ყველგან არა ჰქონდათ ნაიბების ამგვარად არჩევის ნება, იმ ადგილებში, სადაც რუსები ყოფილიყვნენ და მერე ისევ იმას დაენარჩენებია, შამილი თითონ ნიშნავდა ნაიბებს, რადგანაც ვერა ნდობოდა, ცოტას ხნით მაინც არის, მიკარებულებს გიაურებთან (ავტორი).

იძულებულს არ გახდიდა იარაღი დაეყარათ. რასაკვირველია, სურსათი, რომელიც ჯართან იქნებოდა, უეჭველად უნდა წაერთვათ; დღე და ღამე არ მოესვენათ და მით, რამდენადაც შეიძლებოდა, გული გაეტეხათ, დაესუსტებინათ რუსის ჯარი, რომელიც თითქმის მთლად მოდიოდა შამილზედ და მით ჩეჩნელთ უადვილებდა ერთბაშად საქმის გათავებას.

შამილმა კარგად იცოდა, რომ საქმე ამით არ გათავდებოდა, თუმცა ხალხს არწმუნებდა, რომ ამის მეტი რუსის ჯარი აღარ მოვიდოდა, მაგრამ იმას უნდოდა ერთი ძრიელი და საგრძნობელი ზარალი მიეცა მტრებისთვის, რომ კარგა ხანს ველარ გაებედნათ იმისი შეწუხება, და ამ ხანში კი მთელი თავისი ძალა მიემართა სხვადასხვა ხანების დამორჩილებაზედ და იმ ხალხის შემოერთებაზედ, რომელიც რუსებს დაემორჩილათ. ის დარწმუნებული იყო, რომ თუ ერთხელ ეს წვრილი ადგილები შეუერთდებოდა ჩეჩენ-დაღესტანს, მაშინ ის უძლეველი შეიქნებოდა.

რამდენად გაუმართლდა შამილს იმედი, დრომ დაგვანახვა. მაგრამ, რომ იმის შეხედულება ბევრით მაღლა იდგა, ვიდრე უბრალო, გაუნათლებელი მთის კაცის თავმოყვარეობა და სისხლის ღვრა, ამას ეჭვი არ უნდა.

როდესაც მოლაპარაკება გაათავეს და ყველამ დაიფიცა, რომ ამ ბრძოლაში თავი არავინ შეიშურვოს, — ჭოხში შემოიყვანეს ერთი ჩეჩენი დაგლეჯილის ტანისამოსით და ღარიბად ჩაცმული*.

— შენ ნახე რუსის ჯარი? — ჰკითხა შამილმა.

— ვნახე, დიალაერ! (ღმერთმანი).

— ბევრია?

— ოჰ, ჰო, ჰო, ჰო! — გაიკვირვა ჩეჩენმა.

— „თეთრი ღენერალიც“ მოსდევს? (ასე ეძახდნენ ვარანცოვს).

— აგრე ანბობდნენ ბაზარში და არ ვიცი...

— როდის აპირებენ წამოსვლას?

— ხკალ, — აგრე ლაპარაკობენ.

— ქართველები ბევრია?

---

* იმ ხანში მოდად იყო დაგლეჯილი ჩოხის ტარება; ეს „ოზდნობასაც“ ამტკიცებდა და ვაჟკაცობასაც (ავტორი).

— ძალიან ბევრი, ძალიან!

შამილი ცოტა ხანს გაჩუმდა და მერე მიუბრუნდა ნაიბებს:

— საკვირველია მაგათი საქმე! მაგათ რაღა უნდათ ჩვენგან? — და მიუბრუნდა ისევ ამბის მომტანს: — ოსები?

— ოსებიც ბევრია, ჩერქეზებიც, მაგრამ ქართველები კი ყველაზედ მეტია.

ჩამოვარდა კიდევ სიჩუმე, რომლის დროსაც შამილის სახე რამდენჯერმე შეიცვალა: სჩანდა, იმის გონება რაღაზედაც მუშაობდა. ის მიუბრუნდა ნაიბებს:

— ეცადენით, რაც შეიძლება ერიდენით ქართველებს და ჩერქეზებს... სხვა რა ანბავია კიდევ, რას ლაპარაკობენ?

— იმათ იმედი აქვსთ, რომ შენ დაგიჭერენ.

შამილმა გაიღიმა და დაუმატა:

— ჩემის დაჭერით ხალხი გაბედნიერდება?.. ჩეჩნელნი ვაჟკაცნი არიან, უჩემოდაც არავის დანებდებიან.

— შენი დაჭერაც არ არის ადვილი, — უპასუხა ამბის მომტანმა.

— მეც აგრე მგონია, — კიდევ გაიღიმა შამილმა.

ამის შემდეგ ენდრი მალსაგი წადგა წინ და შეატყობინა შამილს, რომ სტუმრები მოვიდნენ, რომელთაც სამი ტყვე მოუყვანიათ.

— ვინ არიან?

— ბაცოები თუ ბეინები (თუშები თუ მოხევები), კარგად ვერ გავიგე.

— ქართველები?

— ჰო, ქართველები.

— ტყვეები?

— ტყვეები რუსის აფიცრები არიან.

— აფიცრები? — სიხარულით იკითხა შამილმა.

— ჰო, აფიცრები.

— ეგენი სათვალიერებლად კი არ წამოსულიყვნენ!..

— ჯარიახელი ფარჩოა მაგათი მასპინძელი, ის სანდო კაცია.

— დაუძახეთ ფარჩოს! — გასძახა შამილმა გარედ მყოფს ყმაწვილ ჩეჩენს, რომელმაც მსწრაფად მოიყვანა ფარჩო.

ის შემოვიდა, მიესალმა შამილს და ხანჯალზედ ხელდადებული, ფეხებ-გადაჯვარედინებული მიეყუდა კედელს.

აშკარად იყო, რომ გაჭირვებაში ფარჩო თავს დასდებდა შამილისთვის; დიდი სიყვარული და პატივისცემა ჰქონდა მისი და ეს თავისუფალი დგომა უფრო დააახლოვებულს, ნათესაურს დამოკიდებულებას ამტკიცებდა, სანამ უფროსის წინაშე მოვალეობით გამოჭიმვა.

— მიამა შენი ნახვა, ფარჩო, ხომ მშვიდობითა ხარ?

— მადლი უფალს, ვცოცხლობ... რაკი შენ გხედავ კარგად, სხვა რაი გამიჭირდება!

— სახლობა ხომ მშვიდობითა გყავს?

— მადლი უფალს, სცოცხლობს.

— სტუმრები მოგიყვანია, ვინ არიან?

— ჩემი ძმადნაფიცნი.

— შენ ყოჩაღი ხარ, უბრალოს ძმად არ გაეფიცებოდი!.. ხომ შეიძლება ვენდოთ?

— როგორც მე, — მოკლედ უპასუხა ფარჩომ და შამილიც დაკმაყოფილდა ამით. იმან იცოდა, რომ ფარჩო არ მოატყუებდა.

— ტყვეები სადღა დაიჭირეთ? — ჰკითხა შამილმა.

— გზაში.

ამის შემდეგ იმან უამბო იაგოს და იმის ამხანაგების თავგადასავალი, ყოველი უსამართლობა, რაც კი იმათთვის მიეყენებინათ, და გაკვირვებული შამილი ყურს უგდებდა.

— კიდევ ვერა ხედვენ, რომ გიაურებისგან ხერხიანი არა გამოვა-რა! — წამოიძახა იმან, როდესაც ფარჩომ გაათავა ლაპარაკი. — წადი, მოიყვანე შენი სტუმრები, მე თითონ მინდა მივესალმო ვაჟკაცებს.

ფარჩო გავიდა შამილის სურვილის აღსასრულებლად და შამილი კი მიუბრუნდა იქ მყოფებს:

— ძრიელები არიან გიაურები, ძალიან ძრიელები და იმათ რომ ცოტა კეთილი გული და მოაზრება ჰქონდესთ — ხთელს ქვეყანას ხელში დაიჭერდნენ.

— კიდეც ეგ არის, რომ გული არა აქვსთ, — უპასუხა ერთმა ნაიბმა.

— საცა შევლენ, ყველგან მათი წესი ჩამოვარდება, — გა-

აგრძელა თავისი საუბარი შამილმა. — მაგათ როგორ უნდა დავმორჩილდეთ?

— ღმერთმა ნუ ქნას, ღმერთმა! ისევ სიკვდილი გვირჩევნიან, — უპასუხეს ნაიბებმა.

—ღმერთი არ გვიზამს მაგას, ღმერთი, ღმერთი დაგვიფარავს! — წარმოსთქვა წყნარად და რწმუნებით შამილმა და დაუმატა: — იმათ ბოლო არსადა აქვსთ. ემორჩილებიან იმათ მისთვის, რომ ძალა აქვსთ.

ამ დროს შემოვიდა ფარჩო, რომელსაც შემოჰყვნენ მთიელი ქართველები. იმათ შემოსვლაზედ შამილი წამოუდგა ფეხზედ, მოეგება კარებთან და მიესალმა.

— გაუმარჯოს განთქმულს მთიელებს! მე მიხარიან, რომ ჩემს საწყალს ქოხში თქვენ სტუმრად გხედავთ.

— გიშველოს უფალმა! — უპასუხა იაგომ. — ჩვენთვის ბედნიერებაა შენი ხილვა; შენი კეთილი „თოლი" ჩვენთვის ღვთის წყალობაა.

— გადმოდით, დასხედით! — მიიწვია შამილმა.

— რაი ღირსნი ვართ შენთან დასხდომას, შენაი ჭირაიმე, ასეც არა გვიჭირს-რა.

— სტუმარი ღვთისაა, ის ყოველთვისინ მასპინძელზედ უფროსად ჩაითვლება, — უთხრა შამილმა სიამოვნების ღიმილით.

— როგორს მასპინძელთან, შენი ჭირიმე, როგორთან!.. შენ ღვთის ხელითა ხარ ნაკურთხი.

შამილი დაჯდა; მთიელები და დანარჩენი ნაიბები თავს დაადგნენ.

— გმადლობთ, მთიელნო, კარგი საჩუქარი მოგიყვანიათ! — ანიშნა აფიცრებზედ, რომელნიც იქავ კარებთან მოჩანდნენ. — ვაჟკაცი ყველასთვის საყვარელია და თქვენ კი ვაჟკაცნი ყოფილხართ! ფარჩომ მიამბო თქვენი თავგადასავალი.

— ჩვენ რაი, შენი ჭირიმე! სულ ფარჩოსა და ელბერდის საქმეა მაგათი დაჭერა... ჩვენ ერთი საწყალი ხალხი გახლავართ, ველარ გაუძელთ და შენს კალთას შემოვაფარეთ თავი.

— ვფიცავ მაღალს ღმერთს, რაც შემეძლება, არ შეგიშურო!.. ჩემი საწყალი ქოხი ყოველთვის ღია იქნება თქვენთვის!

— უფალმა გილხინოს მაგ სიტყვებისთვის. „ბედჩავი" სტუმრები შენ ისე მიიღე, როგორც შეძლებულნი, ღმერთი არ

დაგიკარგავს, — უპასუხა იაგომ და მერე ქუდის მოხდით დაუმატა: — ჩვენცა ვფიცულობთ ზეით ღმერთს, ქვეშ დედამიწას, ვფიცავთ ჩვენს ჯვარ-ანგელოზებს, ვფიცავთ ვაჟკაცის სახელს, რომ შენთვის თავი გადავდოთ, შენთვის თავი არ შევიშუროთ!.. შამილ! ჩვენ მთიელნი ვართ, ჩვენი ჰო, ჰო არის და არა — არა!

შამილი წამოდგა მხიარულის სახით და მთიელნი რიგრიგად ჩაიკრა გულში. იმას ესმოდა, რომ მთიელის სიტყვები გულწრფელი იყო და გამოწვეული ნამდვილის გრძნობით; ეს არ იყო მოძრაობა, მოსყიდული ფულით, რომელიც ისე ადვილად შეიცვლება, დაივიწყება, ეღალატება. შამილი აფასებდა ამ ხალხის მეგობრობას, იმან იცოდა, რომ ამ დღიდგან ისინი ჭართლაც თავს ალარ შეიშურვებდნენ იმისთვის და თავგადადებული ვაჟკაცი კი იმისთვის ძვირადა ღირდა.

როდესაც ყველანი დამშვიდდნენ, შამილმა წარუდგინა თავის ნაიბებს იაგო და იმის ამხანაგები შემდეგის სიტყვებით:

— ნაიბნო! ესენი სახალხო სტუმრებია! თქვენ არ გესწავლებათ, თუ როგორ უნდა სტუმარს დახვედრა, მაგრამ ერთს კი გეტყვით: ვინც ამათ აწყენინებს — მე მაწყენინებს, ვინც ამათ ატკენს რასმე — მე მატკენს!

— სტუმარი ღვთისაა, სტუმარი საით ეწყეინება! — ერთხმად მისცეს პასუხი.

ამის შემდეგ შამილმა ნება მისცა იაგოს, კობას და ეფხიას თავისუფლად ემოქმედათ: უნდათ შეუერთდნენ ჯარს, უნდათ წავიდნენ შამილის სახლში და უნდათ თავისუფლად ცალკე იმოქმედონ ომის დროს. მთიელებმა უკანასკნელი ირჩივეს და გავიდნენ ქოხიდგან, რათა ნაიბებს წარედგინათ თავის ხალხისთვის, რომელთაც სიხარულით მიიღეს.

იაგო და იმის ამხანაგები ჩეჩენთ უბრალოს სიტყვებით, უბრალოს დახვედრით, მაგრამ გულწრფელის საქციელით და მიღებით იქამდინ იყვნენ მოხიბლულნი, რომ თავიანთ მოვალეობად რაცხდნენ, იმათთვის თავი გადაეღოთ; ისინი გრძნობდნენ რალაც უხილავს მიმზიდველს ძალას, რომელიც ნება-უნებლიე ალტოლვებდა ამ სხვა გვარ-ტომის ხალხს.

— რაიც ჩვენში გაგვიგონია მამა-პაპათგან, აქაც ის ყო-

ფილა, — დაიწყო კობამ, როდესაც ჩავიდნენ წყლის პირს და იქ დასხდნენ.

— იყო, შენი კვნესა-მე! და ახლა კი აღარაა! — უპასუხა ნთიფლმა.

— რაისთვი გატეხეს თემის პირი?!. საკვირველია, ღვთის მადლმა!.. ის არ სჯობდა — ყველანი ძმასავით ყოფილიყვნენ? ავ კაცსა და კარგ კაცს გარჩევა ჰქონოდა? — დაფიქრდა კობა.

— ჰაი, ჰაი, რომ სჯობდა, მაგრამ ძალა აღმართსა ხნავს! — ოხვრით წარმოსთქვა იაგომ და გაიშვირა ჩეჩენთაკენ ხელი: — აი ესენი ბუსულმანები არიან, მაგრამ ძმობაცა აქვსთ, სიყვარულიცა და კაცის შებრალებაცა. ჩვენ კი ვითომ ქრისტიანები ვართ, ერთმანერთის შურით ლამის თვალები წამოგვცვივდეს!..

— ბედნიერები! მაგათ მოსამართლის არჩევა თავად შეუძლიანთ. ჩვენ კი ვინ იცის, ვის გვინიშნამენ! — დაუმატა კობამ.

— კანტუშის ნაიბი როგორ ამოირჩიეს?.. ბიძა ჩემი მიამბობდა, უწინ ჯარის თავად და სოფლის უფროსად ჩვენშიაც ეგრე ამოირჩევდნენ თურმე...

— აბა, შიში და სამართალი მაშინ იყო, აი! ეხლა რაიღაა?

ესენი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ზეით ჯარში ერთი მოძრაობა შეიქნა და აღელდა ხალხი. ყველანი ჩქარობდნენ, კაზმამდნენ ცხენებს, ყველანი ირეოდნენ ერთმანერთში, თუმცა წესიერება კი არ ირღვევოდა და უბრალო ხმაურობა არ მოისმოდა. ხანდისხან შემოგესმოდათ რომელიმე ნაიბის ბრძანება და ეს განკარგულება სწრაფად და დაუყოვნებლივ აღსრულდებოდა.

აქამდის თანასწორს ხალხს, რომელნიც ერთგვარად და ძმურად ექცეოდნენ ერთმანერთს, ეხლა დაეტყო მბძანებელი და აღმსრულებელი. მეთაურნი ამაყად და წარბ-შეჭმუხვნილნი ისე უბძანებდნენ და აღმასრულებელნი ისეთის სისწრაფით და სისწორით ასრულებდნენ ამ ბრძანებას, რომ მნახველს ეგონებოდა ამ ხალხს მთელი თავიანთი სიცოცხლე ამგვარს ცხოვრებასა და სამსახურში გაუტარებიაო. უფროსს უფროსობა ეტყობოდა, უმცროსს — უმცროსობა, ორთავ კი — ერთმანერთთან თანხმობა და პატივისცემა.

იაგო და იმისი ამხანაგებიც, გატაცებულნი ამ საერთო მოძრაობით, წამოცვივდნენ და ამოვიდნენ ხალხში. იქ ფარჩომ

შეატყობინა, რომ რუსის ჯარები დაძრულიყვნენ, ტყეს მოახლოვებულიყვნენ და ხვალიდგან ბრძოლა უნდა დაწყებულიყო.

— ძლივს! — ქუდის მოხდით და სიხარულით წამოიძახა იაგომ.

— ძლივს! — ამავეგვარად უპასუხეს იმას ამხანაგებმა და სამთავ მოისურვეს იმ ნაიბთან წასვლა, რომელიც გზიურ მიდიოდა თავის ხალხით პირველი სანგლების გასამაგრებლად.

მოისმა „ილალაის“ ხმა და ათასამდინ კაცი გამოვიდა ნაიბი ჰაბის წინამძღოლობით, რომელსაც ნაბძანები ჰქონდა — ჩაეჭსა ხალხის პირველის სანგლის უკან, წინააღდგომოდა რუსის ჯარის მოძრაობას, მაგრამ, რა იერიშს მიიტანდნენ იმაზედ, ხალხი ტყეში უნდა გაფანტულიყო და მოგროვებულიყო მეორე სანგლის უკან. ამგვარად მეორე სანგლიდგან მესამეზედ უნდა გასულიყო და ასე იმ ადგილამდინ, სანამ ამ მინდორთან მახლობელს უკანასკნელს სანგალს ააღებინებდა რუსის ჯარს. ამ მოძრაობაში ის უნდა ცდილიყო, რაც შეიძლებოდა მეტი ზარალი მიეცა რუსის ჯარისთვის და რაოდენიმე ხალხი უკან წოექცია იმათთვის. ამ უკანასკნელებს კი, რამდენადაც მეტი შეიძლებოდა, პროვიანტი და ბარგი უნდა წაერთვათ მომავალი ჯარისთვის.

როდესაც რუსები უკანასკნელს სანგალს აიღებდნენ და მინდვრად გავიდოდნენ, ჩახის ხალხი სულ უკან მოჰქცეოდნენ და გაემაგრებინათ ისევ სანგლები და, თუ რუსები გაბრუნებას მოიწადინებდნენ, ყოველი ღონისძიება უნდა ეხმარა ნაიბს, რომ არ გაეშვა. აგრეთვე უნდა შეეყენებინა, თუ შესაშველად ახალი ჯარი წამოვიდოდა. თითონ შამილს ამ ხანში უნდა დაეცალა მინდორი, გაეყო ჯარი შუაზედ, ნახევარს ზიეშველებინა ჩახისთვის, ნახევრითაც წინ შეეკრა სანგლები. ამგვარად მომწყვდეულს რუსებს ან იარაღი უნდა დაეყარათ და ტყვედ ჩასცივნოდნენ ჩეჩნებს, ან არადა, უნდა გაწყვეტილიყვნენ უკანასკნელს კაცამდის.

როდესაც ჩახი თავის ჯარით გაემართა გზას, იაგო მოვიდა იმასთან:

— ჩვენც შენთან მოვდივართ.

— ჩემს გვერდით, ჩემს სახლში და ჩემს გულში თქვენ ყოველთვის ადგილი გაქვსთ, — სიამოვნებით უპასუხა ნაიბმა.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც ფარჩო, იავო და ამისი სამი ამხანაგი შეუერთდნენ რუსებთან საბრძოლველად მიმავალს ჯარს.

XI

ჯერ მზე არ ჩასულიყო, როდესაც იჩქერის ტყის ბოლოში მინდორი აჭრელებულიყო ურიცხვის კარვებით. სხვადასხვა ადგილებში მოგროვილი სალდათები მღეროდნენ და ბარაბანს უკრამდნენ; მზარეულები კეტებით ურევდნენ ვეება ქვაბებს, რომელშიაც მზადდებოდა საჭმელი; აფიცრები განუწყვეტლივ დარბოდნენ კარვების შუა და დაჰქონდათ ჯარის უფროსის ბრძანება.

თუმცა თქვენ აქ მხიარულებასაცა ნახავდით, სიცილსაცა, ხანდისხან ოხუნჯობასაც გაიგონებდით, მაგრამ პირისახეზედ მაინც რაღაც მზრუნველობის ნიშანი ედოთ და აშკარად ეტყობოდათ, რომ ეს მხიარულება უფრო თვალთათვის თავისივე გულის გასამაგრებლად იყო მომხდარი, სანამ გამოწვეული ნამდვილის მხიარულებით. ყველას შეამჩნევდით იმ მთრთოლარს მოუსვენებლობას, რომელიც კაცს მოიცავს ბრძოლის მოლოდინში. ყველამ იცოდა, ყველას ესმოდა, რომ ისინი მოდიოდნენ რაღაცა ძნელის საქმისათვის, რომ იმათი მოძრაობა არ გათავდებოდა მარტო უბრალო სროლით და რამდენიმე კაცის მსხვერპლით, მაგრამ რაში მდგომარეობდა ნამდვილი საქმე, ყველასათვის საიდუმლო იყო და იცოდა მხოლოდ ჯარის სარდალმა და კიდევ რამდენიმე იმის დაახლოვებულმა პირმა.

თუმცა ჯარში ამ გადაწყვეტილებაზედ არა იცოდნენ-რა და ვინც იცოდა, ისიც თავის მოვალეობადა სთვლიდა დაემალა, მაგრამ შამილი მაინც ყოველთვისინ პოულობდა საშუალებას, რომ რუსების ყველა მოძრაობა, აზრი და სურვილი შეეტყო. ამის მიზეზით შამილი ყველგან მომზადებული ხვდებოდა და ღირსეულად გამოისტუმრებდა მებრძოლთ, როდესაც რუსებმა ბეჯითად არ იცოდნენ იმის მოძრაობა, ძალა, — სიტყვით, დაწვრილებული ამბავი.

ყველანი ემზადებოდნენ მკვირცხლი და ძრიელის ბრძოლისათვის, როდესაც სარდალთან შევიდა დაბარებული ჩერქეზი ათაჟუყო და გამოიჭიმა.

— აი, ბატონო პოლკოვნიკო! მე ძალიან მოხარული ვარ, რომ მოხვედით.

— დავებარებინე თქვენს ბრწყინვალებას! — უპასუხა ჩერქეზმა.

— დიაღ, მე მინდოდა ზოგიერთი ადგილების შესახებ მეკითხა თქვენთვის, — უპასუხა სარდალმა და მიიყვანა სტოლთან, რომელზედაც გადაშლილი იყო ამ ადგილების კარტა, გავსებული მძივის სხვადასხვა ფერის ქინძისთავებით: უეჭველია, ეს ნიშნავდა ჯარის სხვადასხვა ნაწილებს და მოძრაობას, რომელიც ამათ უნდა მიეღოთ.

— იმდენი შეცდომებია ამ ჩვენ კარტებში, რომ კაცს ნაბიჯის გადადგმა ვერ გაუბედნია... თქვენ კარგად იცნობთ ამ ადგილებს, ვერ მიპასუხებთ ზოგიერთს კითხვებზედ?

— რატომ!

— აი, დახედეთ... — მიიწვია სარდალმა და უჩვენა კარტაზედ: — ჩვენი მარშრუტი ეს არის.

ჩერქეზმა დახედა და კარგა ხანს დააკვირდა სხვადასხვა ფრად დახაზულს ქაღალდს.

სარდალი ასახელებდა ადგილებს.

— აი, ეს მინდორია, აქეთ ესა და ეს მთა არის, აი აქაც ხეკია, ეს ტყე არის, — ეუბნებოდა ის.

ჩერქეზმა კარგა ცქერის შემდეგ თავი აიღო და მოახსენა:

— მე არ მისწავლია, არა მესმის-რა მაგ დაბღაჯნილის ქაღალდისა... უბძანეთ ქაღალდი და კარანდაში მომცენ, მეთითონ დაგიხატავთ ჩვენს გზებს, მე თითონ გიჩვენებთ ადგილებს.

სარდალმა მოაწოდა ქაღალდი და კარანდაში. ისინი დასხდნენ. ჩერქეზმა შეუჩვევარს ხელში აიღო ეს სამხატვრო იარაღი და ხელის ცახცახით გაუსვა რამდენიმე დაკლაკნილი ხაზი.

— აი, ჩვენი გზა ეს არის, — უთხრა იმან, — სულ ტყიანია, მარტო აი აქ შაგხვდება მინდორი, მერე ისევ ტყე დაიწყობა... გზის ნაპირს სულ ხევი მისდევს.

— გზაში ისეთი მაღლობი არსად არის, რომ ზარბაზნები

გაგვემაგრებინა და იქიდან ყუმბარები გზას მისწდომოდა?.. მაშინ ჯარი დაფარული იქნებოდა მტრისგან.

— გარშემო სულ მაღლობებია და მთები, მაგრამ ტყის სიხშირით იქ ზარბაზნებს ვერ გავიტანთ; ქვეითა კაცსაც კი გაუჭირდება იქ გასვლა, არამც თუ ცხენების გაყვანა და ზარბაზნების გატანა შეიძლებოდეს.

ცოტა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, რომელიც ჩერქეზმა დაარღვია:

— ჯოჯოხეთი ადგილია, ჯოჯოხეთი, თქვენო ბრწყინვალებავ!

— მე არ მეშინიან!.. ამ ჯარით მთელს ოსმალეთს გადავაბრუნებ, არამც თუ ჩეჩენს და დაღესტანს! — ამაყად უპასუხა სარდალმა.

— გრაბეც ავრე ამბობდა, — გაიფიქრა ჩერქეზმა და მერე ხმამაღლად წარმოსთქვა: — ბუნებასთან არა გაეწყობა-რა.

სარდალმა უსიამოვნოდ შეხედა.

— ბატონო პოლკოვნიკო, მე გამიგონია — ჩერქეზნი გულადნი არიან, თქვენ მალე შეგშინებიათ.

— მე არ მეშინიან, თქვენო ბრწყინვალებავ! თუ გნებავსთ, მიბძანეთ და მარტო მე გეახლებით ჩეჩნებზედ, მაგრამ მართალს კი ყოველთვის მოგახსენებთ, — წყენით წარმოსთქვა ჩერქეზმა.

— მართალს, მართალს! მე არ მინდა შენი მართალი!.. მე დაგიმტკიცებთ, რომ ეს უკანასკნელი ბრძოლაა შამილთან: იმას ჩვენ დავატყვევებთ!

— ღმერთმა ბძანოს! — ეჭვნეულად უპასუხა პოლკოვნიკმა, — მე დღეს რუსის სამსახურში ვარ, და ჩემი სურვილიც ეგ გახლავსთ!.. ხომ აღარას მიბძანებთ?

— არა! შეგიძლიან წახვიდე.

ჩერქეზმა თავი დაუკრა და გამოვიდა.

დანარჩენმა დღემ მზადებაში გაიარა. იმოდენი ხალხი შეყრილიყო, მტერი მოყვარეს ველარ იცნობდა.

აქ იყო: ჩერქეზი, ქართველი, ოსი, იმერელი, რუსი, თათარი და ეს ყველა ერთმანერთში ირეოდა, ყველა ემზადებოდა ღენერლობის მიღებას, ყველა გამდიდრებას, აქ ყველა საჩუქრის მისაღებად წამოსულიყო, ყველა ბედნიერებას მოელოდა.

ძნელად იპოვებოდა ისეთი პირი, რომელსაც გულში სამშობლოს სამსახური და სახელი სდებოდა.

დაღამდა, ჩამობნელდა და აქა-იქ გაჩაღდა ცეცხლები, რომელიც შორიდგან მბრწყინავს ვარსკვლავებად მოჩანდა. დაჰკრეს ზორი და ნელ-ნელა ფეხის ხმა მიწყნარდა. სიჩუმეს მარტო ცხენების ჭიხვინი და ყარაულად მოსიარულე სალდათების წაღების ტყაპა-ტყუპი დაარღვევდა. ჯარის გარსშემორტყმული „სეკრეტები“ ჩამსხდარიყვნენ განგებ ამოთხრილს ორმოებში და იქ სულგანაბულნი ელოდნენ თავიანთ გამოცვლას. ყაზახების პიკეტები, კარგა დაშორებული გზას და ჯარს, ჩაწოლილიყვნენ მაღალ სიმინდებში, სადაც დაჩვეული ცხენები გვერდს მოეწვინათ და მთლად სმენად გადაქცეულიყვნენ, რათა არავითარი ხმაურობა არ გამოჰპარვოდათ.

არ გაიარა რაოდენიმე ხანმა, როდესაც ტყიდგან, წყნარად და სიფრთხილით, ხუთი კაცი გამოვიდა და აიტუზა ხეებთან. იმათაც თავის მხრით სული გაენაბათ და ყურ-დაცქვეტილები სმენად გადაქცეულიყვნენ. უეჭველია, მკითხველები მიხვდებოდნენ, რომ ეს ფარჩო, იაგო და იმისი ამხანაგები უნდა ყოფილიყვნენ.

— მშვიდობიანობაა, — წყნარად წარმოსთქვა ერთმა.

— მაშ წავიდეთ, — უპასუხა მეორემ.

რამდენიმე გადახტომის შემდეგ ისინი შაეფარნენ სიმინდების მაღალ ტაროებს; იქიდგან იმათ გასწიეს ისეთივე სიფრთხილით და აუჩქარებლად. ერთბაშად მოწინავე შესდგა და ხელის უკან გამოშვერით შეაყენა სხვებიც.

— რაი ანბავია? — ნიავსავით ჩუმის ხმით ჰკითხა იაგომ.

— სუსსს!.. — ჩუმადვე უპასუხა ელბერდმა, რომელიც თან წამოჰყოლოდა ამ თავგადადებულს ხალხს.

მართლადაც ეჭირებოდათ ეს გაფრთხილება, რადგანაც იმ წუთში, რამდენიმე ნაბიჯზედ ცხენმა დაიჭიხვინა: ისინი თავს წარსდგომოდნენ სადარაჯოდ გამოსულს ყაზახებს.

მოუსვენარს ელბერდს და იმის ამხანაგებს მოსწყენოდათ სანგალზედ ლოდინი და წამოსულიყვნენ, რომ ეხელავათ რამე, თუ იღბალი შესწევდა, მაგრამ პირველსავე ნაბიჯზედ ისინი თავს წასდგომოდნენ ყაზახებს. იმათ დაიწიეს უკან, რათა ასცდნენ ყაზახებს, ჩავიდნენ ხევში და მიახლოვდნენ

ჯარს იმ ნახრიდგან, სადაც არტილერიის ცხენები, დაბმული ერთს გაბმულს თოკზედ, მშვიდობიანად თივასა სჭამდნენ. იმათ მოაძრეს წყნარად სიფრთხილით პალოები, რომელზედაც თოკი იყო გაჭიმული, წყნარად გააბრუნეს გათქვირებული ცხენები ჯარისკენ და მოულოდნელად თოფების სროლით დასჭყივლეს ცხენებს, რომელნიც დაფრთხნენ, ჭიხვინით და ტლინკების სროლით წავიდნენ მძინარა ჯარზედ; თითონ გაცივნულები კი გამობრუნდნენ და სრბოლით გამოემართნენ ტყისკენ.

გავარდა თოფი, მეორე, დაჰკრეს ბარაბანს, გარნისტები მისცვივდნენ საყვირს და მთელი ჯარი, დარწმუნებული, რომ ჩეჩნები დაეცნენ, აირივა ერთმანეთში. დამფრთხალი ცხენები ამ კიჟინზედ და თოფის სროლაზედ უფრო მეტად გადაირივნენ და თითონ ჯარიც გადარიეს. ყვირილი, ჟღივილი, ლანძღვა, თოფის სროლა, საყვირისა და ბუკის ხმა ისეთს ხმაურობას და ისეთს არეულობას ახდენდა, რომ კაცს ჭკუიდამ შეშლიდა.

დილამდინ ისეთი არეულობა იყო ამ ჯარში, რომ მეორედ მოსვლასა ჰგვანდა, მხოლოდ დღემ აღმოაჩინა, რომ არეულობის მიზეზი ცხენები იყვნენ და ამ არეულობის მსხვერპლად რამდენიმე ათი კაცი შექმნილიყვნენ. კიდევ იღბალი, რომ ადგილობრივ მილიციას ერთი მხარე ეჭირა, სრულებით მოპირდაპირე, საიდგანაც ცხენები დაფრთხა, თორემ ტანისამოსის გამო იმათ ჩეჩნებში ვერ გამოარჩევდნენ, უეჭველად მტერი ეგონებოდათ და დაუწყებდნენ უწყალოდ ჟლეტას.

მეორე დღეს ისინი მარხავდნენ თავიანთ დახოცილებს და ემზადებოდნენ გადაეხადათ ჩეჩნებისთვის ამგვარად მასხრად აგდება. იაგო და იმისი ამხანაგები კი სიცილით უამბობდნენ ნაიბს ჩახს წუხანდელს ამბავს.

დილით აღრიან გზა უნდა გაეწმინდა უმთავრესის ჯარისთვის, და ეს კი ფეხით-ფეხს უნდა მიჰყოლოდა იმათ; ამათაც უკანა ჯარი ბარგი-ბარხანით არ უნდა მოშორებოდა.

მოწინავე ჯარს სარდალი იმგვარი შეხვდა, რომელმაც. რაკი ერთხელ გზას გაუდგება, უკან მოხედვა აღარ იცის, და ამისთვის პირველი სანგლის მიღწევის უმალ იმან დააწყო ჯარი და მიიტანა ორჯერ იერიში, რომელიც ორჯერვე უკან გა-

მოაბრუნეს სროლით და ყიჟინით; მესამე იერიშზედ ჩეჩნები ბრძანების უმალ გაიფანტნენ ტყეში და გზა დაანებეს იმ ჯარს, რომელმაც ჩქარის სიარულით გასწია წინ და ამავეგვარად აიღო მეორე სანგალი. გაზვიადებული ჯარის უფროსი ამგვარის გამარჯვებით, თუმცა იმის ჯარს მრავალი ხალხი აკლდებოდა ყოველ იერიშის მიტანაზედ, ყველა სანგლის აღებაზედ, უკან მოუხედავად წინ მიიწევდა; და, სანამ ის მეორე სანგალს იღებდა, პირველს სანგალს ისევ ამაგრებდნენ ჩეჩნები; ერთხელ აღებული სიმაგრე ხელახლად უნდა აეღო უმთავრეს ჯარს და ამგვარად რუსებს ერთი-ორად ჯაფა უნდებოდათ, ერთი-ორად ხალხის მსხვერპლი.

ამის გამო მოხდა, რომ, როდესაც მოწინავე ჯარი გაამპარტავნებულის და გაზვიადებულის სარდლით დანიშნულს მინდორზედ გავიდა, უმთავრესი ჯარი ტყის შუა ადგილს დიდს გაჭირვებაში იყო და გზის სივიწროვის გამო ზოზინით და ტაატით მიბობღავდა. არ გაიარა რამოდენიმე ხანმა, როდესაც უმთავრესს სარდალს შეატყობინეს, რომ უკანა ჯარს და ბარგს დაეცნენ ჩეჩნები და, თუ არ მიეშველნენ, ბარგი მთლად დაეკარგებოდათ. ამისთვის ჯარს შეჩერება დასჭირდა და მიშველება ბარგისა, რომელიც ნახევარზედ უმეტესი ჩეჩნებს წაერთვათ, სანამ უმთავრესი ჯარი ხელს მოაწვდიდა, და ცოცხალი ხალხიც გაეწყვიტათ.

მოწინავე ჯარის სარდალმა რა ნახა, რომ უმთავრესი ჯარი ძნელად არის, ის გონს მოვიდა და გამობრუნდა უკან, მაგრამ გულგასახეთქად დაინახა, რომ წელან აღებული და დანგრეული სანგლები ისევ გაუმაგრებიათ და ხელახლად შრომა უნდებოდა იმაზედ, რაც ერთხელ გაკეთებული იყო.

ის წამოვიდა უმთავრეს ჯარისკენ, მაგრამ პირველს სანჯალს ვეღარ გამოაღწივა და ნება-უნებლივ გამაგრდა მინდორზედ.

სამი დღე და ღამე ამ ჯოჯოხეთს ალაგს და ჯოჯოხეთის ცეცხლის შუა ჰყვანდათ უმთავრესი ჯარი, და მხოლოდ ამის შემდეგ მიაღწივეს მინდორს, სადაც ამოსუნთქვას მაინც არის მოელოდნენ. მაგრამ ვაი იმ გასვლას! ბევრის დედა აატირა, ბევრი თავმომწონე ბიჭი ააკვნესა და მშობლის სახელთან ერთად სული დაალევინა მტრის ტყვიამ. ნახევარი ბარგი და

თითქმის მეოთხედი ჯარი დარჩა იჩქერის ტყეში და უმთავრეს სარდალს კი მოაგონდა ჩერქეზის სიტყვები, რომელიც ისე გონივრულად ურჩევდა, რომ ამ ტყეში არ შესულიყვნენ, მაგრამ გვიანღა იყო! ისინი გავიდნენ მინდორზედ სურსათ-შემოკლებულნი, ნახევარ ბარგ-დაკარგულნი; წინ და უკან იყო უდაბნო ტყე, გამაგრებული ისე ძნელად ასაღების სანგლებით და ჩეჩენთ გაუტეხელის გულადობით!..

გავიდოდნენ-ღა უკან? კიდევ ეღირსებოდათ თავის სახლობის ნახვა? ეგ მარტო ღმერთმა იცოდა და შემთხვევამ, იქ მყოფებს კი იმედი ჰქონდათ გადაწყვეტილი.

XII

დამშეული, გაწვალებული, დაღონებული რუსის ჯარი გამაგრდა მინდორზედ, მაგრამ ვაი იმ გამაგრებას! ყოველის მხრიდგან შეკრული გზები, ყოველს წუთს შიში, რომ რომელსამე გზადაკარგულს ტყვიას რომელიმე კაცი არ გაეციებინა, ან კიდევ თავზედ ხელაღებული ჩეჩნები არ დასცემოდნენ და დღე არ გაემწარებინათ იმათთვის! ამათ გარშემო მოისმოდა განუწყვეტლივი სიმღერა გახარებული ჩეჩნებისა, რომელნიც განუწყვეტლივ გამოჰკიოდნენ ქართველებს, ჩერქეზებს და ოსებს, რომ თუ უნდოდათ, ამათ თავისუფალს გზას მისცემდნენ, რადგანაც ჩეჩნები იმათ კეთილ მეზობლებად სთვლიდნენ და იმათი ხოცვა არ უნდოდათ. მაგრამ ერთხელ გამწარებულნი კავკასიელნი, რომელთაც ახსოვდათ მოძმეთ სისხლი, ისე უწყალოდ დანთხეული წარსულ ბრძოლაში, გადახდევინების სურვილით ინთებოდნენ. მარტო ჩინისა და პატივისთვის წამოსულნი, ერთბაშად გამძვინვარებულ მტრებად გადაიქცნენ. ასეთია ომის ძალა, ასეთი მოქმედება აქვს სისხლის დანახვას და თოფის წამლის სუნს ადამიანზედ!

ამ მინდორზედ ელოდა სარდალი, ელოდა თითონ ჯარიც, მაგრამ რას ელოდნენ — თითონაც არ იცოდნენ, რადგან არსაიდგან მოშველების იმედი არა ჰქონდათ და აშკარად ხედავდნენ, რომ დღეს თუ ხვალ შიმშილის გამო უნდა იარაღი დაეყარათ და ტყვეობა ეკისრათ, რადგანაც უკან გასასვლელად რამ-

დენიმე ცდამ ამაოდ ჩაუარათ და ურიცხვი ხალხი დააკლოთ.

ყველანი დამშეულნი, შეწუხებულნი, დაღვრემილის სახით და გულგატეხილნი, დღითი დღე ატარებდნენ წარმოუთქმელს მწუხარებაში და თანდათან შიმშილი მეტად აგრძნობინებდა თავის მოქმედებას.

სარდალმა უეჭველს საჭიროებად დაინახა, რომ ფრეიტაგისთვის შაეტყობინა თავისი მდგომარეობა და ჯარის გაჭირვება, რათა იმას მოეგვარებინა და მოეშველებინა დანარჩენი ჯარები, მოეტანა სურსათი და ამგვარად სულმობრუნებულს ჯარს უკანასკნელად ეცადა უკან გასვლა; მაგრამ ვინ იქნებოდა ისეთი გამბედავი, რომ თავს შაედო იმ ტყეში გასვლა, სადაც ჭიანჭველასავით ირეოდა ფრთხილი და გამოჩენილი მებრძოლი ჩეჩნები?

სარდალს არ უნდოდა ნება-უნებლივ სხვა გვარ-ტომობის ამგვარს საქმეებში უყურებდა ყაზახებს, ამისთვისაც მიექცა ამ სურვილით იმათ, მაგრამ ისეთი კაცი არ აღმოჩნდა, რომელსაც მთელი ჯარისთვის თავი გადაედო. სჩანდა, რომ ათზედ ასის მისვლა უფრო ეადვილებოდათ იმათ, სანამ მართლა სარაინდო მოქმედება.

სარდალს არ უნდოდა ნება-უნებლივ სხვა გვარ-ტომობის პირისთვის მიენდო ასეთი სავაჟკაცო საქმე, რადგანაც სახელის დამსახურება რუსებისაგან უნდოდა და პირველში ამათ მეტსაც არავის ენდობოდა.

მაგრამ, რადგანაც ამ საქმის შემსრულებელი რუსებთაგანი არვინ აღმოჩნდა, ის ნება-უნებლივ მიექცა მთელს ჯარს. რაწამს გაახსენა თავისი სურვილი, რაწამს ბაგე დასძრა, ასამდინ მსურველი გამოვიდა ჩერქეზებთაგან, თუშებთაგან და დანარჩენ მთიელ ქართველებთაგან. გახარებულმა სარდალმა აარჩივა ათი კაცი, რომელთ შორის ერია პოლკოვნიკი ათაჟუყოც, სწორედ ის ათაჟუყო, რომელსაც ამ რამდენიმე დღის წინ სილაჩრე შესწამა.

— როგორ, ბატონო პოლკოვნიკო! თქვენ გინდათ მიიღოთ თქვენს თავზედ?.. — გაკვირვებით შეხედა სარდალმა.

— დიაღ, თქვენო ბრწყინვალებავ! ჩემისთანა ლაჩრები ხანდისხან გაჭირვებაში გამოდგებიან ხოლმე, — მოაგონა ათაჟუყომ წარსული ლაპარაკი.

სარდალი გაწითლდა და უთხრა:

— მე ყოველთვისინ დარწმუნებული ვიყავ კავკასიელთ გულადობას... ეხლა მთელი ჯარი თქვენს ხელთ არის. თქვენ იცით, როგორც მოიქცევით.

— ისე მოვიქცევი, როგორც ღმერთი მაგონებს და ჩემი ნამუსი მეუბნება.

— ვის წაიყვანთ თანა?

— არავის! მე ჩემი იარაღი მეყოფა.

სარდალმა გაკვირვებით შეხედა იმას და ჰკითხა:

— ჯარი რომ წაგეყვანათ, მგონია, აჯობებდა!

— თუ გაველ, მარტოკაც გავალ, თუ არა-და, ჯარი ვერას მიშველს.

— მაშ არც ეს დანარჩენი ხალხი გინდათ?

— მე კი არ მინდა და, თუ გნებავსთ, ცალკე წავიდნენ, იქნება მე შემემთხვას რამე და ეგენი ჩემზედ ბედნიერები იყვნენ!

სარდალმა გადაწყვიტა, რომ დღეს ათაჟუყოს გაისტუმრებდა, ხვალ კიდევ რამდენიმე კაცს და ამგვარად ყოველდღევე შიკრიკებს გზავნიდა. ამგვარად იმას იმედი ჰქონდა, რომ ერთიც იყო, მიზანს მიაღწევდა და დაიხსნიდა ჯარს გაჭირვებისგან, თორემ აგერ თორმეტი დღე იყო, რაც მომწყვდეული ჯარი ექვსის დღის სურსათით სცხოვრობდა. ეხლა ჯარს სრულებით აღარ ჰქონდა-რა და ცხენებს თუ მიჰყოფდნენ ხელს. თითონ სარდალი იმ მდგომარეობამდის მისულიყო, რომ ერთს აფიცერს როგორღაც შერჩენოდა რამდენიმე დაყენება ჩაი და ნახევარ გირვანქამდის შაქარი, რომლის სათხოვნელად თავის ფეხით მივიდა, და ამ აფიცერმა შუაზედ გაუყო ეს უყუათო სასმელი.

აქედგან შეგიძლიანთ წარმოიდგინოთ, რა მდგომარეობაში უნდა ყოფილიყო დანარჩენი ჯარი, თუ თითონ სარდალი ამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

შემოღამდა და სარდლის ქოხში მივიდა ათაჟუყო. რომელსაც ცრემლიანი თვალებით გამოესალმა ჯარის უფროსი. ეხლა ის ლოცავდა მამაშვილურად ჩერქეზს და ისურვებდა ყოველს კეთილს იმისთვის. სარდალი პირდებოდა ყოველგვარს შე-

წეობას და წყალობას, თუ ღმერთი აღირსებდა ამ ეშმაკთ-საცხოვრებლის ტყიდგან მშვიდობიანად გამოსვლას.

ათაჟუყომ უკანასკნელად ახსენა ღმერთის სახელი და გამოვიდა გარედ. ხშირი ბურუსი, რომელიც დაბლა ჩამოწოლილიყო და კუნთ-კუნთად იდო დედამიწაზედ, ძალზედ აბნელებდა იქაურობას. ათაჟუყო გაბრუნდა სწორედ იქითკენ, საითკენაც რუსის ჯარი არას გზით არ გაბედავდა წასვლას და, მაშასადამე, ჩეჩენთ მცველები ამ მხრით უფრო უზრუნველად უნდა ყოფილიყვნენ.

ის, რა მიახლოვდა ტყეს, გაწვა და გველსავით მიცურავდა ბალახებში, სანამ პირველ ბუჩქებს მოეფარებოდა. აქ წამოდგა, გაიმართა და ყური დაუგდო კარგა ხანს. იმას მარჯვენა მხრიდგან რაღაცა ლაპარაკი მოესმა და გაარჩივა ცეცხლის შუქი, რომელიც ისე გამობჟუტამდა სქელს ნისლში, თითქოს ცეცხლი ფარდას უკან ენთებოდა. იმან სიფრთხილით წარსდგა რამდენიმე ნაბიჯი და იქამდინ მიუახლოვდა იმ ადგილს, რომ აშკარად გაარჩივა რამდენიმე ჩეჩნელი, რომელნიც ცეცხლს შემოსხდომოდნენ და მხიარულად ლაპარაკობდნენ.

— დაიცა! რაღაცა ხმაურობა მომესმა, — წარმოსთქვა ერთმა და ყველანი გაჩუმდნენ.

— არაფერია, აქეთ ვინ მოვა? — უზრუნველად უპასუხა მეორემ, — უთუოდ მოგეჩვენა.

— მეტს სიფრთხილეს თავი არა სტკივა, — წამოიძახა ისევ პირველმა, — კორი, ადეგ, ერთი მიიარ-მოიარე.

კორი, რომჭლიც ყველაზედ უმცროსი იყო, წამოდგა, აიღო თოფი ხელში, მიიარ-მოიარა, რამდენჯერმე გაუარა გვერდს ათაჟუყოს, რომელიც სულგაქმენდილი ხეს აჰკროდა, და რადგანაც სიბნელისა და ნისლის გამო ვერავინ შეამცნივა, ისევ ამხანაგებთან მივიდა და დაჯდა.

— არავინაა.

იმათ დაიწყეს ისევ უზრუნველი ლაპარაკი, რომელიც შეეხებოდა წარსულს ბრძოლასა და, ბოლოს, გადავიდნენ იმაზედ, რომ შამილმა მთელი ჯარი ქვეიდგან მოუქცია რუსებს და ესენი ეხლა ველარა ღონისძიებით ვერ გავიდოდნენ. ამ ლაპარაკიდგან ათაჟუყომ გაიგო, საითკენ უფრო ბევრნი იყვ-

ნენ ჩეჩენნი და საით ცოტა და, მაშასადამე, უფრო ლუშმრად მგზავრობა შეიძლებოდა.

ის წუხარად გამორდა მესაუბრეთ და ტყეში შევიდა. ის სრულებით იმის პირდაპირ. უკან მიდიოდა, სადაც ჩასვლა უნდოდა; მერე შეუხვია გვერდზედ და ისე იარა ჯარგა ხანს, ალიონმა აიწია, როდესაც იმან სრულებით მოპირდაპირე მხრიდგან მშვიდობიანად მიალწია ფრეიტაგის ბანაკს და მიართვა უმთავრესი სარდლის წერილი.

ფრეიტაგმა საჩქაროდ მოაგროვა, რისაც მოგროვება შეიძლებოდა, მოამზადა ჯარები და გაემართა გაჭირვებულის, მომწყვდეულის ხალხის მისაშველად. დიდის გაჭირვებისა და ბრძოლის შემდეგ იმან მიალწია ტყის შუა ადგილს, სადაც მოეშველა ნამწყვდევი ჯარი, რომელიც გაძლომის იმედმა ერთი-ორად გაავაჟკაცა, და რის ყოფით სულის მოსაბრუნები სურსათი გაიტანეს. აქ დარჩნენ სამს დღეს, რომლის შემდეგაც გამობრუნდნენ უკან და ბრძოლის განსაკუთრებითი გულადობით და თავგანწირულის ვაჟკაცობით გამოვიდნენ უკან.

ამ უკანასკნელმა ბრძოლამ ვარანცოვს დაანახვა, რომ მარტო ჯარის სიმრავლე და შეუპოვარი ძალის მიტანა არ კმარა ჩეჩენთ დამორჩილებისთვის: მდებარეობა და ხალხის თავგანწირვით ბრძოლა სთრგუნამდა რუსების მოცადინეობას, ძალას და შეუპოვრობას. იქ სხვარიგი ბრძოლა ეჭირვებოდა, დაჭერილს ადგილებზედ ყაზახების დასახლებით, და ამ დღიდგან დაიწყეს ამგვარი ბრძოლა.

შამილმაც, თუ სულ არა, ნახევრად მაინც შეასრულა თავისი დაპირება: იმან ნახევრად გააჩანაგა იქ მყოფი რუსების ძალა, მაგრამ ახალახალი ჯარი, მოსული რუსეთიდგან, ხელახლად იჭერდა დაკლებულების ადგილს და ხელახლად მოიბრძოდა წინ.

შამილმა ვერ მოასწრო ყველა წვრილი საზოგადოების ერთმანერთთან შეერთება, სანამ რუსის ძალა ხელახლად თავს მოეყრიდა და ხელახლად დაიწყებდა იმის წინააღმდეგს მოქმედებას.

იაგომ, ფარჩომ და იმის ამხანაგებმა, რა ნახეს, რომ აქ საქმე გათავდა, გამოეთხოვნენ შამილს და წამოვიდნენ საად-

რაგოდ, როგორც მაშინ უსახლკარო, ცარცვით მცხოვრებს ხალხს ეძახდნენ.

პირველი იმათი მოქმედება იყო ახლად დასახლებული სტანიცებიდგან ჯოგების ტაცება და ჩეჩენთ მხარეს გაყვანა, სადაც ჰყიდდნენ ნახევარ ფასად.

ისინი, გაფიცულნი ერთმანეთთან, ღვთის რისხვად შეიქმნენ ახლად დასახლებული გამოუცდელი რუსებისათვის, რადგანაც მოულოდნელად ხან სად გაუჩნდებოდნენ და ხან სად.

იმათ ბევრი ცხენი გაიტაცეს, ბევრს გასუქებულს ხარს გაუგდეს ყელში დანა, და, ბოლოს, მიახლოვდნენ ძაუგს, სადაც ღამე უშიშრად შედიოდნენ, თუმც მთელს ქალაქს დარაჯებად გარს შემორტყმული ჯარი ჰყვანდა და თითონ ქალაქშიაც ცოტა მცველები არ დადიოდნენ.

ესენი ამ ცხოვრებაში იყვნენ, როდესაც ერთს საღამოს სოფ. სტეფანწმინდის მახლობლად, ყუროს ხევში პოვოსკა სამ ცხენ-შებმული იდგა. კაცი, რომელსაც იემშიკის ხალათი ეცვა, მოუთმენლად დადიოდა ცხენების წინ, რაღაცას ბუტბუტებდა და ხანგამოშვებით შეჰყურებდა ცას.

— დაიგვიანებენ, ბეჯითად დაიგვიანებენ! — ბოლოს წამოიძახა იმან და მოუთმენლად გადააფურთხა.

ამან ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც ბნელაში რიყეზედ ჯერ გაფრთხილებული ფეხის ხმა მოისმა და მერწე ცის ტატნობზე ორი კაცის სურათი გამოჩნდა.

— ძლივს! — მოუთმენლად წამოიძახა აქ მყოფმა, რა უცნობები მოახლოვდნენ, — რაი მოგვიდათ?

— დრო ვერსაით დავახელეთ, შენი ჭირიმე, დრო! ჯარი რაიმე მოვიდა, სახლებში აყენებდნენ, ხალხი დადიოდა, — უპასუხა მოსულმა.

— აბა, ნუღარ გვიანობთ, ჩაჯე, ნუნუ.

ერთმა მოსულთაგანმა გადიგდო ნაბადი და გამოჩნდა ნუნუ, რომლის ძაუგს წაყვანა ძლივს მოეხერხებინა ჯღუნას.

ნუნუ ჩააწვინეს ტროიკაში, გადააფარეს ნაბადი, დააყარეს ზედვიდგან თივა; ჯღუნა, კუჭრის ტანისამოსით, დაუჯდა ტროიკას, დასტვინა ცხენებს და მოისმა თვლების რახრახი.

კაცმა, რომელიც იქ დარჩა, მოიხადა ქუდი და შესძახა:

— ღმერთმა ხელი მოგიმართოსთ! თავის წყალობა გაგატანოსთ სპარს-ანგელოზმა!

ტროიკა, რომელსაც ნუნუ მიჰყვანდა, მიგრიალებდა ვლადიკავკაზისკენ და სადაც კი ყარაულები შეხვდებოდნენ და დაუძახებდნენ:

— ვინ მოდის?

ჯღუნა უპასუხებდა დამშვიდებით:

— ფოჩტის ტროიკაა, უფროსი რაიმე მყვანდა და ცოტა მომიგვიანდა სოფელჩი... თამბაქო თუ არავის გაქვს?—სთხოვდა ის, რათა დაენახვებინა ყაზახებისთვის თავისი უზრუნველობა.

ყაზახები ცხენ-და-ცხენ გადახედამდნენ, მისცემდნენ თამბაქოს და, რა ცარიელს, მარტო თივით, ტროიკას დაინახამდნენ, დამშვიდებულნი, თავიანთ გზას გაუდგებოდნენ.

XIII

ვლადიკავკაზს, მოხევების უბანში, რომელიც იმ ხანებში განირჩეოდა სიღარიბით და ტალახით, გაცალკევებით ერთი ძველი სახლი იდგა, რომლისთვისაც ქარს ყავარი აეგლიჯა და ავდრისთვის გამოეჩინა ორი პატარა ოთახი, სადაც თავისუფლად ჩადიოდა და ატალახებდა იქაურობას. ჩამტვრეულს და გამოღებულს ფანჯრებს და კარს რაღაცა ჭუჭყიანი და ძველი დაგლეჯილი ჭილობები ჰქონდა ჩამოფარებული და თავისუფალს გზას აძლევდა ქარს, რომელიც იქაურობას აყინულებდა, რადგანაც გრილს შემოდგომას სიცივეს უმატებდა ახლო-მახლოდ ჩამოთოვლილი მთები. ამ სახლის გარშემო, აქა-იქ მოჩანდა ხეები, რომელნიც ამტკიცებდნენ, რომ აქ ოდესმე ბაღი ყოფილიყო, მაგრამ ეხლა უპატრონობით და მოუვლელობით გავერანებულიყო.

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც ამ ადგილს გამოჩნდა ერთი კაცი, რომელიც წყნარის სიარულით და კვნესით მიუახლოვდა ამ შენობას, წყნარად მოუარა გარეშემო, უეჭველია, მოსათვალიერებლად, ასწივა ჭილობს და შევიდა შიგ.

არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც ბუხარში ნაცრის

გაქექვის შემდეგ გამოჩნდა დარჩენილი ნაღვერდალი, რომელზედაც მოსულმა დააყარა ჩინჩხვარი და კიდევ რამდენიმე წუთს შემდეგ ოთახი განათდა აბჟუტებულის ცეცხლით.

ნახევრად განათებულს ოთახში თქვენ წარმოგიდგებოდა მოხუცი, გათეთრებულის წვერით და თმით, რომელსაც კარგა ხანია არ მიჰკარებოდა სავარცხელი და უცნაურად აბურძგვნილი თმა ნაბადსავით შესთელოდა. იმისი გამხდარი, დაღვრემილი და გაცრეცილი სახე, უწყალოდ დაღმეჭილი და გამხმარი, დაგარწმუნებდათ, რომ იმის გულს მცირე დუღილი და ბრძოლა არ გამოევლო. თვალებჩაცვივნული, ჩალურჯებულის თვალის ძირებით, დაგრძელებული პირისახე, მთრთოლარე და გახუნებული ტუჩები, რომელიც ყავარ-ყავარ დახეთქოდა, შესაწყალს სურათს წარმოადგენდა; იმისი ჩქარი ქშენა, განუწყვეტლივი ხველა და გამხდარი ხელების ცახცახი აშკარად ამტკიცებდა, რომ გაჭირვებაში და მწუხარებაში ცხოვრებას საკმაოდ დაედუნებინა იმისი სხეული, რომელიც მოსვენებას და ზრუნვას ითხოვდა. წამოცმული ძველი დაფლეთილი ფარაჯა, დაკონკილი უმრავლესის ძონძებით, ძლივს ჰფარავდა იმის გამხდარს და დასუსტებულს სხეულს, თუმცა საკმაოდ კი ვეღარ ათბობდა.

მოხუცი ცახცახით მივიდა ცეცხლთან, ჩამოჯდა ქვაზედ და მიუშვირა სითბოს გაყინული ხელები, რომელსაც ძალზედ იფშვნეტდა.

როდესაც ცოტათი გათბა და სული მოიბრუნა, ის წამოდგა და ისევ გარედ გავიდა, კიდევ ერთხელ ფრთხილად მოიარა სახლის გარშემო, ფრთხილად მოათვალიერა იქაურობა და, რა დარწმუნდა, რომ არავინ უყურებდა, საჩქაროდ შინ შევიდა.

მოხუცმა მთრთოლარეს ხელებით წამოავლო რკინის ბოლოიანს ჯოხს ხელი, გადმოწეწა საგებლად დაყრილი ყარტები, დაუწყო მიწას ჩიჩქნა და ჩქარა ამოიღო იქიდგან პატარა კოჭობი. ის განუწყვეტლივ შეშინებულის თვალით იყურებოდა აქეთ-იქით, რადგანაც ყოველი ჭილობის განძრევა, ყოველი ქარის დაზუზუნება იმას შეაკრთობდა და მთრთოლარე ხელებს უფრო აუთრთოლებდა შიში. იმას ეჩვენებოდა, რომ ვიღაცა უყურებს, ვიღაცა ეპარება, და ეს ფიქრი მწარედ სტანჯავდა

იმას; იმ წუთებში ის სცდილობდა დაეფარა, დაემალა თავის კოჭობი სხვის თვალისგან და ხელი ნებაუნებლივ ადგილს ეძებდა, სად დაემალა ეს იმისთვის ძვირფასი განძი, მაგრამ, რა დარწმუნდებოდა თავის შეცდომაში, მაშინვე დამშვიდდებოდა და გააგრძელებდა თავის საქმეს.

ბოლოს, ამ ტანჯვით, წვალებით და გულის ცახცახით, იმან მოხსნა კოჭობს გადაკრული „სერა“, რამდენჯერმე ჩაიხედა შიგ და ისე დადგა ძირს; მთრთოლარე ხელი შეიყო უბეში, გამოიღო რაღაცა გამოკრული ძონძში, გახსნა და ხელის გულზედ წამოიყარა რამდენიმე ვერცხლი და გროშები. მოხუცმა წყნარად და რამდენჯერმე გადათვალა, ჩაყარა კოჭობში და თავის ჯოხზედ დააჭდია, მერე ჩაფლა ისევ კოჭობი, მიაყარა მიწა, გაასწორა საგებელი და ჭდეების თვლა დაიწყო.

— ცოცხალი თავად ვიცხოვრებ და მოვკვდები სხვის დასამარხი არ გავხდები, სამარხიც თავად მაქვს! — ოხვრით წარმოსთქვა იმან.

როდესაც ამ ანგარიშისაგან მოიცალა, მიიტანა ცეცხლთან გუდა, ტაბაკის ნატეხზედ წამოყარა პურისა და ხორცის ნამცეცები, რომელიც ბედნიერებს გადარჩენოდა და არ შეაშურვებინათ ამ შესაბრალის მოხუცისთვის.

მოხუცმა გადაიწერა პირჯვარი, ახსენა ღმერთი და ისიყო ლუკმა აიღო პირში ჩასადებად, როდესაც კარებიდგან ჭილობის შრიალი მოესმა და ცივმა ქარმა იქით მიახედა. გაშტერებულს მოხუცს ლუკმა ისე დარჩა, რადგანაც ბნელ ოთახში გაარჩივა ვიღაცა ადამიანი, თუმცა ვერ გამოერკვივა. ქალი იყო თუ კაცი.

— ვინა ხარ? — ძლივს მოახერხა მოხუცმა წარმოთქმა, — თვალთ ვეღარ ვაჭრევინებ.

შემოსული ცოტათი შეიძრა, მაგრამ პასუხი არ მისცა, თუმცა ძრიელი ქშენა და ჩუმი ტირილი კი მოისმა.

— ვინა ხარ, ბატარა წინ წამოდეგ, — განიმეორა მოხუცმა, — რაისთვის მოსულხარ ამ შუაღამისას? რაი გინდა?

— მამავ! — თავი ვეღარ შეიმაგრა მოსულმა, გადიგდო ნაბადი და ვიღაცა ქალი, ფერმიხდილი, აღელვებული და გონება-დაბნეული, გაექანა მოხუცისკენ.

— ნუნუ! — წამოიძახა მოხუცმა და მთრთოლარე ხელებით

თავის გულს მისწვდა, თითქოს ამ მოძრაობით ამის ძგერის გაჩერება უნდოდა.

ის შეეპყრო რაღაცა წარმოუთქმელს მღელვარებას, აღეშფოთებინა მისი გული, და გაღვიძებულს მშობლიურ გრძნობას და სიხარულს, ერთმანერთში არეულს, იქამდინ შეეპყრო, რომ აღარ იცოდა რა ექმნა... ის ჰკოცნიდა, ეხვეოდა თავის ნაშობს, თავის ნუგეშს, მაგრამ ერთბაშად მოხუცი შეიცვალა სახეში, წარბები შეიჭმუხნა, წაბარბაცდა და გამჭრალს, გაციებულს თვალებში რაღაცა ელვარება გამოკრთა:

— შორს! — დაუძახა იმან ქალს და მკერდიდგან მოიშორა ნუნუ.

მოხუცის ყურამდინ მიეღწია ხმას, რომ იმისმა ქალმა ქმარს თავი დაანება, გაექცა, დაჰკარგა ნამუსი და პატივი! ამ ხმის გაგონების შემდეგ იმან დამარხა თავისი ქალი. თუმცა პირველ შეხვედრაზედ მშობლიურმა გულმა დასძლია სიძულვილს.

ნუნუ, შეჩვეული შრტიალს, შეჰკრთა და უკან დაიწია, მაგრამ ისევ საჩქაროდ წადგა წინ და მოსახვევად გაიშვირა ხელები.

— მამავ, მამაისი, ვეღარ მიცან?.. შენი ქალი, შენი ნუნუ!..

— შორს-მეთქი! — განიმეორა მიხრწნილის ხმით მოხუცმა და ხელი მიაგება, რომ არ მიჰკარებოდა თავისი ნაშობი.

ქალი დაიბნა და დაფანტულმა უკან დაიწია.

— მე ქალი აღარა მყავს! — ყრუდ და მწარის მწუხარებით წარმოსთქვა მოხუცმა და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — მე როდესაც მყვანდა ქალი... ის ანგელოზი იყო, ის ბროლსავით წმინდა იყო... შენ ანბობ, რომ ჩემი ქალი ხარ?.. აბა, შეხედე შენს თავს: შენ ისეთი ხარ, როგორიც ჩემი ქალი იყო? ხა, ხა, ხა, ხა! — მწარედ გაიცინა მოხუცმა და დაუმატა: — მამშორდი-მეთქი! შენ არა ხარ ჩემი ქალი!

— ვაიმე, დაღუპულმა! — შეშინებით წარმოსთქვა ნუნუმ, რომელიც ძლივს მიხვდა მამის სიტყვების აზრს.

მოხუცი მღელვარებდა, იმას მწარედ ეპრანჭებოდა სახე მეტის მწუხარებით.

— შენ ვინა ხარ?.. ჩემი ქალი?.. ამ შუაღამისას!.. ძაუგში!.. მარტოკა!.. შენა ხარ ჩემი ქალი?.. არა, არა, ჩემი ქალი მანდამდინ არ მივიდოდა!.. მაშ ვინა ხარ, ვინა? რაი გინდა ჩემგან, რისთვის მოსულხარ?

მოხუცი მივარდა მთრთოლარეს ხელებით და ანძრევდა გულგახეთქილს ქალს, რომელიც შეშინებით ეხვეწებოდა:

— მამავ, მამაისი! შენაი ჭირაიმე... გამიგონე, ყური დამიგდე...

მაგრამ მოხუცს ყველაფერი დავიწყებოდა და მარტო თავის უბედურებას შაეპყრო. იმას აღარ ესმოდა ქალის ხვეწნა, ის ჰხედამდა მხოლოდ ერთს, რომ იმას ნამუსი აჰხადა თავისმა ქალმა, შეარცხვინა, და ეს იქამდინ აჯავრებდა, რომ თითონ იქ მყოფსაც კი ვეღარ არჩევდა.

ყოველთვისინ ამგვარს აღშფოთებას წყნარი, მილუშვილი მწუხარება მოსდევს, და მოხუციც ერთბაშად მოდუნდა, მიილუშა, ჩაეკეცა მუხლები და ღრიალით დაეცა მიწაზედ. იმან წაიშინა თავში ტირილით და მოთქმით, თითქოს ამითი შაეძლო თავიდგან მოეშორებინა თავისი მწუხარება, უბედურება.

ნუნუ უყურებდა ამ სურათს, ილეოდა და იტანჯებოდა მამის მწუხარებით, უნდოდა დასამშვიდებელი ეთქვა რამე, დაეძახნა, რომ ის უბრალოა, მაგრამ ის იქამდინ მოეცვა მამის მდგომარეობას, იქამდინ აეღელვარებინა ამ სურათს, რომ ხმა ვეღარ ამოეღო და გულის დუღილით შესცქეროდა მშობელს.

— ღმერთო!—წარმოსთქვა მოხევემ,—რა შეგცოდე ისეთი, რომ ამ დღეში ჩამაგდე? არც ბალღობას მოსვენება, არც სიბერეში!.. სადაა შენი სამართალი, სადაა შენი შებრალება?.. მომკალ, მომკალ მაინც, შე დალოცვილო.

— მამავ! — წაიწია კიდევ ნუნუმ.

— ნუ მეძახი მაგ სახელს, მე შვილი აღარა მყავს! მე მყვანდა ცოლი — წამართვეს და ამ ხელებით მომაკვლევინეს ის!.. მჭონდა ბედნიერება — მომისპეს... სახლკარს მოშორებული, ერთი შენ-ღა შეგტრფოდი... ვფიქრობდი შენ მაინც არ გააქრობდი მამის სახელს, შემიბრალებდი, მაგრამ... შენც... — აღარ გაათავა მოხუცმა და ჩაიქნია ხელი.—რას მემართლებოდი, რასა? ეხლა მარტო, მარტო-ღა დავრჩი... მოვკვდები მეც და გათავდება ჩემი სახელი... ამ ქვეყანას აღარა გამოაჩენს-რა ჩემს სიცოცხლეს, აღარავინ ახსენებს ჩემს სახელს, აღარავინ მოიგონებს ჩემს სულს... ახლა?. რაიღა გინდა, რაღ მოსულხარ?.. ხომ ნახე შენგან გაუბედურებული მამა? ხომ ნახე იმის მწუხარება? ხომ დასტკბი?.. ახლა მაინც მამშორდი თა-

ვიდეან! — ღიმილი მოსუცმა და მიაქცია მწუხარებით შეწუხებული სახე.

— ვაიმე, ვაიმე! — პირზედ ხელების დაფარებით წარმოსთქვა ნუნუმ და ძალზედ შესტირა: — მე მეგონა მამა მყვანდა, შემიბრალებდა, გამიგონებდა... შენ ეგრე მექცევი, საით-ღა უნდა წავიდე, ვის მივმართო მე დაღუპულმა. მეგონა... იმედი მქონდა... — აქ ქალს გაუწყდა სიტყვები და გოდებად გადაექცა. ნუნუ წყნარად გაბრუნდა კარებისკენ, შესდგა, კიდევ გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი, შესდგა და მოიხედა:

— მშვიდობით, მამავ!.. ღმერთია მოწამე, დანაშაული არა მაქვს არც შენთან და არც ღმერთთან! მშვიდობით!.. — ქალი გაბრუნდა და გაემართა ლასლასით კარისკენ.

ამ უკანასკნელს სიტყვებზედ მოხუცი დაეყრდნო ერთს ხელზედ, წყნარად წამოიწივა და მოიბრუნა თავი მიმავალ ქალისკენ; ნუნუს ყოველი ფეხის გადადგმა, ყოველი განძრევა იმას შეაკრთობდა, მეტად მიახრეინებდა იმისკენ თავს, მეტი მწუხარება და ცეცხლი გამოჰკრთებოდა იმის თვალებიდგან.

ნუნუ მიახლოვდა კარებს, გაავლო ხელი ჭილობს, მაგრამ რაღაცა ძალამ მიიზიდა, შესდგა და კიდევ ერთხელ მიიხედა მამისკენ, რათა სამუდამოდ გამოსთხოვებოდა. მაგრამ, რა მოიხედა, ის გაჩერდა, გაშტერდა და ადგილიდგან ვეღარ დაძრულიყო. ნუნუმ იგრძნო მშობლის მომლბალი გული, რომელსაც გაეღვიძნა, ეგრძნო თავისი მოვალეობა; ხედამდა, რომ იმას ხელები გაეშვირა ქალისკენ, სურდა მისი დაძახება, მაგრამ მღელვარებას და სულის მოძრაობას პირში სიტყვა გაეწყვიტა მისთვის.

ნუნუმ ვეღარ გასძლო, გაექანა გულდაჩვილებულის მოხუცისკენ, რომელმაც პირუტყვის მსგავსის ღრიალით მკერდში ჩაიკრა, რადგან სიტყვა ვეღარ მოეხერხებინა...

როდესაც ორნივ ცოტა დამშვიდდნენ, ნუნუმ უამბო თავისი თავგადასავალი, რომელიც მოხუცისთვის სრულიად სხვარიგად ჩაეგონებინათ, და მამა ღმერთს მადლობას აძლევდა, რომ ამ მხრით მაინც ეღირსა სიხარული.

— მაშ ძალად გაგათხოვეს?.. — მეასედ ჰკითხავდა გლახა.

— ძალად, — უპასუხებდა ქალი, — იაგო დაჭერილი იყო და ვინ-ღა გამომესარჩლებოდა!

— სამართალი, ხალხი, თემი სად-ღა იყო? — იკითხავდა მოხუცი, რომელსაც წარსული თემის სამართლიანობა მოაგონდებოდა და მერმე თითონვე დაუმატებდა: — სადღაა ან სამართალი და ან თემობა... ეხლა გირგოლასთანა კაცების დღეა!.. ახლა რას აპირებ?

— აბა, თუ გირგოლამ შემიტყო, ასე კი არ დამაყენებს, და რაი ვიცი...

— იაგო, ამბობენ, ჩეჩენში გავარდა?

— ჰო, იქ წავიდა და, უფალმა იცის, გადარჩა ჩხუბებს თუ არა. — მღელვარებით წარმოსთქვა ნუნუმ.

— ღმერთი მოწყალეა, ის შეგვიბრალებდა, ის დაიფარამდა, — უპასუხა მოხუცმა და გადიწერა პირჯვარი...

— თუ გადარჩა, ის მოუსვლელი არ დადგება, მაგრამ, თუ ღმერთმა ისიც წამართვა, წყალში ჩავარდნის მეტი აღარა მეწამლება-რა. — ოხვრით წარმოსთქვა ნუნუმ და მოიწმინდა ცრემლმორეული თვალები.

— ღმერთი დიდია, იმის გულთახილვას ვერავინ მიხვდება... იაგო მოვა და წავალთ ჩეჩენში.

— მამაისი! შენც ჩვენთან წამოხვალ? — ჰკითხა ქალმა და მიეკრა მამას.

— ჰაი, ჰაი, შვილო, რომ წამოვალ! — ოხვრით წარმოსთქვა მოხუცმა. — ჩემს ხანში თავის ქვეყანას და მიწაწყალს თავს არ ანებებენ, მაგრამ რაი ვქნა? აღარსად სამართალი, აღარსად შებრალება!.. მეტი რაი-ღა გზა მაქვს, რომ არ წამოვიდე?.. ძნელია, ძნელი ჩემს ხანში სამშობლოს მოშორება, მაგრამ რაი ვქნა?.. გული დნების, გული ილევის, რომ სამართლის საძებრად ჩეჩნებში, ბუსულმანებში უნდა გადვიკარგნეთ!

— რაი უშავს, მამაისი! იქაც ხალხია, იქაც ჩვენს ნებაზედ ვიცხოვრებთ.

— ჰაი, ჰაი, რომ ხალხია და კარგი ხალხიც, ღვთის მადლმა! მაგრამ კაცისთვის თავისი მიწაწყალი ცხოა... ჩვენ რომ ჩვენი ქვეყანა ჩვენს ხელთა გვქონდეს, სამართალს ცხოგან რად უნდა ვეძებდეთ, ცხოგან რად უნდა ვცხოვრობდეთ? მაგრამ რაკი საქმე ცხო კარზედ საცხოვრებლად გაგვიხდა, ჩქარა მოსულიყო იაგო, თორემ აქაც ბილეთები გააჩინეს და ჩვენ საით უნდა მოვიტანოთ ბილეთები, ვინ მომცემს?

მოხუცმა ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც ფანჯრიდგან მოისმა ხმა:

— ხვალ შუაღამისას იაგო აქ იქნება.

მოხუცი და ქალი შეჰკრთნენ და, სანამ გარედ გამოსვლას მოასწრობდნენ, ამ სასიხარულო ამბის მომტანი იქ აღარ იყო: ის თითქოს მიწას ჩაეყლაპა. ძებნის შემდეგ ისინი შემოვიდნენ შინ და იმათ სიხარულს სამზღვარი აღარა ჰქონდა ამ ხმის გაგონებით. „მაშ იაგო ცოცხალია, მაშ იმას არა ასტეხია-რა!“ სიხარულით წამოიძახებდა ხან მოხუცი, ხან იმის ქალი და გადაეხვეოდნენ ერთმანერთს.

ორივე დაღალულებს და დასუსტებულებს თუმცა დასვენება ეჭირვებოდათ, მაგრამ ძილი არ ეკარებოდათ იმათ თვალებს. მაგრამ ორივე ისეც დასუსტებულნი საგათენებოდ უფრო მეტად დასუსტდნენ და ბუნებამ კი თავისი მოითხოვა — ორთავეს ერთად ძილმა თავი მოსჭრა.

XIV

იაგო თავის ამხანაგებით ერთს ღამეს არდონის სტაწიცას უპირებდნენ დაცემას და ჯოგის გარეკას.

ეხლა ყველანი ცხენებით იყვნენ, რადგანაც, ჩეჩენს დაშორებული, კარგა მანძილის მინდვრით გავლა უნდოდათ.

აქ წინ მიუძღვებოდა იაგო, რადგანაც ამ ადგილებს კარგად იცნობდა, და ამდენმა ხეტებამ და მაგალითებმა შეაჩვიეს ამგვარ მდგომარეობაში საჭირო სიფრთხილეს. ის მიუძღოდა წინ ყურებდაცქვეტილი და თვალებ-გაფაციცებული, რათა არ გამოჰპაროდა არავითარი საგანი, რომელზედაც იყო დამოკიდებული იმათი გამარჯვება და თითონ სიცოცხლეც.

ერთბაშად იმან შეაყენა ცხენი და სხვებიც შედგნენ; რაოდენიმე ხანი ასე გაჩერებული, მთლად სმენად გადაქცეულიყვნენ და რაღაცას ყურს უგდებდნენ, მაგრამ არავითარი ხმაურობა არ ესმოდათ.

— რაი ამბავია? — ბოლოს გაკვირვებით იკითხა ფარჩომ.

— დაიცა, — გააწყვეტინა იაგომ და ყურთან ხელი მიიდო.

— რას უგდებ ყურს, მე არა მესმის-რა! — დაიწყო ისევ ფარჩომ.

— ცხენოსნები რაიმე მოდიან და ის კი ვერ გამიგია საიდგან, — უპასუხა იაგომ.

— ღვთის მადლმა, მოგეჩვენა, თორემ ჩვენც გავიგონებდით, — უთხრა ფარჩომ და მიუბრუნდა დანარჩენს ამხანაგებს: — გესმისთ რაიმე?

— არა, — საერთოდ უპასუხეს იმათ.

— თუ მე ვარ ბელადი — დამაცადეთ, — წყენით უთხრა იაგომ, — თუ არა და, თქვენ დადექით ბელადად და მე მოგყვებით.

— ღმერთო! — წამოიძახა ფარჩომ, — განა საწყენად გითხარ, იქნება შენ მართალი იყო, რაიც გინდა, ისა ჰქენ.

ფარჩომ ვერ გაათავა ეს სიტყვები, როდესაც მსუბუქმა ნიავმა იმათ ყურსაც მიაღწივა ცხენების ფეხის ხმა, რომელიც ძალიან ჩქარად მოდიოდნენ.

იაგო გადმოხტა ცხენიდგან, დაეცა დედამიწას და ზედ დაადო ყური. რაოდენიმე ხანს შემდეგ ის წამოდგა და შეჯდა ცხენზედ.

— აჩქარდით, ჩვენსკენ მოდიან... კარგა ბლომად ხალხია!..

ამ სიტყვებით იმან გვერდზედ მიაბრუნა ცხენი, იმას გაჰყვნენ ამხანაგები და ჩქარა ჩაიმალნენ ჭალიანს ხევში. იქ მონახეს საუკეთესო სიმაგრე, ჩამოხდნენ ცხენებიდგან და ჩასაფრდნენ.

როდესაც იაგომ ყველაფერი დაალაგა, ყველას განკარგულება მისცა და ყველანი თავ-თავის ადგილს დააყენა, თითონ ამოვიდა ისევ ზევით, ჩაწვა ბალახებში და ისე ცურვით მიუახლოვდა გზის გვერდით ერთ ქვას, რომელსაც ისე გაეკრა, რომ, სანამ კარგად არ დააკვირდებოდით, ვერ გამოარჩევდით ქვებიდგან.

ასე გაჩუმებული, სულგაკმენდილი, ის დარჩა რაოდენიმე ხანს; ცხენების ფეხის ხმა თანდათან ახლოვდებოდა; ბოლოს ხალხის ლაპარაკიც მოისმა: აღმოჩნდა, რომ ათიოდე, თუ ცოტა მეტი, ყაზახი მოდიოდა გზების საჩრეკად და მშვიდობიანობის დასაცველად. რაწამს ისინი გაუსწორდნენ ჭალას, უფროსმა დაიძახა:

— შესდეგით! — და ყველანი გაჩერდნენ ერთს ადგილს...

— ბუხანცოვ! — დაიწყო ისევ იმან, — აქ კარგი დასადგომი იქნება, აგერ შეშაც ახლოა, წყალიც — ცხვარი მოვხარშოთ და ვახშამი ვჭამოთ.

— აქ მეტად ახლო ვართ მეცხვარეებთან, ისინი ეგრე თავს არ დაგვანებებენ.

— მით უფრო უარესი იმათთვის! — წამოიძახა პირველმა, — თუ მოსვლა გაბედეს, ძაღლებივით ჩავხოცთ! უთხრა ჯარს — ჩამოვიდნენ ხევის პირს და კაცები ჩაგზავნეს შეშისთვის.

ამის შემდეგ ის დოინჯ-შემოყრილი ჩაბრუნდა ხევისკენ, იმას მიჰყვნენ დანარჩენები და იქ ჩამოხტნენ, რა ცხენები გაუშვეს საძოვარზედ, ხალხი გაიფანტა, ზოგი ჭალაში შეშის მოსატანად, ზოგიც წყალზედ. ორი ყაზახი კი ცხენებს მოუდგა, რათა ძალიან შორს არ წასულიყვნენ; ბუხანცოვი და უფროსი კი ბინაში დარჩნენ.

იაგომ, რომელიც შეუმცნეველი დარჩა, გაიგონა იმათი ლაპარაკი, გაიგო, რომ რაღაცა უსამართლობა ჩაედინათ მწყემსისთვის, რომელნიც, თუ მოსვლას გაბედავდნენ, შეუბრალებლად და გადაუხდევინებლად ჩახოცავდნენ; მაგრამ რისთვის, რა მოხდა, რა მიზეზი იყო — იმან ვერ გაიგო იმათ ლაპარაკიდგან. ყაზახებმა ბინა ისეთს ალაგს ამოირჩიევს, რომ იაგოს შეუმცნეველად ამხანაგებთან ჩასვლა შეეძლო. ამისთვის ის გასხლტა და ჩქარა შეუერთდა ამხანაგებს, რომელთაც ჩუმად უამბო, რაც იცოდა ყაზახების მოსვლაზედ.

— შენი კვნესა-მე, ნუ დავახოცინებთ მეცხვარეებს. დიდი ცოდო იქნება. — უთხრა მთიულმა, რომლის გულიც აფანცქალდა, რა ცხვრისა და მეცხვარეების სახელი გაიგონა.

— ჰაი, ჰაი, რომ არ დავახოცვინებთ. რაი კაცობა იქნება, ჩვენთვის, რომ კაცის კვლას ისე უყუროთ?

ისინი ამ ლაპარაკში იყვნენ, როდესაც ოთხი ყაზახი, ჩინჩხვრის და ხმელის შეშის გროებით, მიახლოვდნენ დამალულებს.

— გზების საყარაულოდ გამოგვგზავნეს, — დაიწყო ერთმა, — და ჩვენ კი აი სადა ვართ!

— ეშმაკმა წაიღოს ეგ გზებიც! — უპასუხა მეორემ, — ჩვენ კი მოსვენება აღარა გვაქვს-და.

— ისეთი მსუქანი ცხვარია, რომ ცხენზედ ძლივს ამოვწივე.

იმან ვერ გაათავა ეს სიტყვები, როდესაც ოთხი მთიელნი სწრაფად გადმოხტნენ, ჩაიდვეს ძიძის ყაზახები და ხანჯლები დააჭირეს გულში.

შეშინებულმა ყაზახებმა პირები დააღეს დასაყვირად, მაგრამ იაგოს მბრძანებელმა ხმამ საჩქაროდ ჩააჩუმა ისინი.

— ჩუმად! — დასჭყივლა იმან და ყაზახები გაშეშდნენ.

— ესენი კი ბარემ მოვიშორეთ, — სიამოვნებით წარმოსთქვა მთიულმა. კობამ მოიტანა თოკები, მთიელთ მაგრად შეჰკრეს ყაზახები და მიათრიეს თავიანთ ბინაში.

ისინი ძლივს მორჩნენ ამ საქმეს, როდესაც ყაზახების მხრიდგან რაღაცა ხმაურობა და მაღალი ლაპარკი მოისმა. ამხანაგებმა გაიგონეს რამდენიმე ჩერქეზების და ყაზახების ხმამაღლა ლაპარაკი. ამხანაგები გაიქცნენ იქითკენ და მიეპარნენ შეუმცნეველად. იმათ დაინახეს ორი ჩერქეზი მწყემსი, რომელნიც ხელების ქნევით რაღაცას ელაპარაკებოდნენ დამტვრეულის რუსულის ენით, რადგანაც არც ერთმა ჩერქეზმა ეს ენა რიგიანად არ იცოდა და, რაც იცოდნენ, ისიც მღელვარებას გადაეცა.

ყაზახები, რომელნიც მოგროვილიყვნენ, იცინოდნენ იმათ რუსულის უცოდნელობაზედ და მასხარად იგდებდნენ. როდესაც პირველმა მღელვარებამ გაიარა და ჩერქეზები ცოტათი დამშვიდნენ, უფრო გარკვევით დაიწყეს ლაპარაკი.

— არ მეტყვით, თქვე ეშმაკის შვილებო, რა გინდათ? — დასძახა უფროსმა ყაზახმა, რომელიც ნაბადზედ გაწოლილიყო და ჩიბუხს სწევდა.

— შენმა ყაზახებმა ცხვარი მოგვტაცეს... გადაჰდევინე და ცხვარი დაგვიბრუნე, — უპასუხა ერთმა ჩერქეზმა.

— რომელმა მოგტაცა, მაჩვენე.

ჩერქეზმა მოათვალიერა იქ მყოფები და ბოლოს წამოიძახა:

— საით გავარჩიო, სულ პაჭუები არიან, სულ ერთმანერთსა ჰგვანან.

— მაშ ვიზედა სჩრვი?

— შენს ყაზახებზედ.

— აქ ბევრნი არიან, დამნაშავე რომელია?

— მე რა ვიცი დამნაშავე ვინაა! — წამოიძახა ჩერქეზმა, — მე ვიცი, რომ შენმა ყაზახებმა მომტაცეს ცხვარი და შენ უფროსი იმადა ჰყევხარ, რომ გადაახდევინო.

— შენ როგორა ჰბედავ ყველას გამტყუნებას?.. მაგისთვის იცი რას გიზამ?.. თუ ქურდობას აბრალებ ვისმე — კაცს გვიჩვენე, თუ არა და, გაეთრიე აქედგან, სანამ ტყავი არ გაუძვრიათ!

— ღმერთო! საკლავიც მე წამართონ და ტყავიც მე გამაძრონ?!

— ვინ წაგართვა, ვინა? — მივარდა ყაზახი.

— შენმა ყაზახებმა, სხვა ვინა! — უპასუხა გულმოსულმა ჩერქეზმა და ერთბაშად დაინახა ცხვარი, რომელიც დაეკლათ და იქვე ეგდო. — აგერ ჩემი ცხვარიც, — გაექანა საკლავისკენ და სერს დაუწყო შინჯვა.

ყაზახები თითქოს შეკრთნენ და ჩერქეზი კი წყნარად ლაპარაკობდა:

— არა გრცხვენიანთ, ნამუსი არა გაქვსთ?.. თუ საკლავი გინდოდათ, ითხოვდით და მოგცემდით, თუ არა-და, სირცხვილი არ არის?.. განა მაგისთვისა ხართ დაყენებულნი? მოდი, უვუჟიყო! — დაუძახა ამხანაგს, — წავიღოთ ცხვარი.

ჩერქეზები მივიდნენ და გაავლეს საკლავს ხელი, მაგრამ უფროსმა ყაზახმა დასძახა უმცროსებს:

— არ დაანებოთ!

ყაზახები მისცვივდნენ და დაუწყეს რთმევა; მეცხვარეები არ ანებებდნენ და იძახდნენ:

— ღმერთს არ მოეტყუების, გავწყდებით და ძალად არ დაგანებებთ!

— გაუშვით, დაანებეთ თავი! — ეჩხუბებოდნენ ყაზახები.

— გავწყდებით და არ დაგანებებთ!

— გაუშვით!

— არა.

— მაჯრახები!—დასჭყივლა უფროსმა და ის იყო ყაზახებმა შეუმაღლეს ხელი, როდესაც დამალული იაგო თავის ამხა-

ნაგებით გამოცვივდნენ და ხმლებით შეუტიეს ყაზახებს; იმათ მიეშველნენ გაბრაზებული ჩერქეზები და შეიქნა ჩხუბი. ყაზახები, შეშინებულნი ამ მოულოდნელის შემთხვევით, წესიერად ვეღარ იბრძოდნენ და ხვეწნაზედ გადავიდნენ. ისინი დაეცნენ მუხლებზედ და შეწყალებას ევედრებოდნენ.

ყაზახები შეკრეს, აჰყარეს იარაღი, მწყემსებს მისცეს თავიანთი ცხვარი, თითონ კი მოახტნენ ყაზახების ცხენებს, ზოგიც დაიჭირეს ხელში და გაჰქუსლეს.

ისინი მიახლოვდნენ ოსის სოფელს ხუმალაგს, სადაც მასპინძელად ოსი ჰყვანდათ და იმისას ჩამოხტნენ. ის დაუხვდა იმათ სიხარულით, რადგანაც იცოდა, რომ ნადავლში წილს დაუდებდნენ.

მეორე დღეს მასპინძელმა, რა ნახა ცხენები, თვალმა წასძლია და მოიაზრა, რომ უკეთესი იქნებოდა, თუ ამ ცხენებს დაინარჩომებდა სულ თითონ.

ამ დღეს იაგო და იმისი ამხანაგები ძაუგს ჩუმად შესვლას აპირებდნენ, რადგანაც დაძველებულს ტანისამოსს გამოცვლა ეჭირებოდა და ნუნუს ამბის შეტყობაც უნდოდათ. ეს პირველი არ იყო იმათგან ძაუგს მისვლა, სადაც არავინ იცნობდა იმათ, მით უფრო, რომ იმ დროს შერიგებული შეურიგებელისაგან ვერ გამოერჩივათ.

იაგომ და იმისმა ამხანაგებმა იცოდნენ, რომ ნუნუს მამა, მთხოვარი გლახა აქ იყო, მაგრამ აქამდისინ არ შეხვედრიყო, და ამ მხრითაც იზიდამდა იმათ ეს ქალაქი.

— მაშ ძაუგში მიხვალთ? — ჰკითხა ოსმა სტუმრებს.

— ჰო, მივდივართ, — უპასუხეს იმას, — ცხენებთან თუ არავინ დავაგდოთ?

— ცხენებს რაი უნდა, თივა ბევრი გაქს და ბალღებიც მოუვლიან, — უპასუხა ოსმა.

— შენც თუ არ მოდიხარ? — ჰკითხა კობამ.

— ჰო, მეც საქმე მაქვს, შენი ჭირიმე.

შემობინდდა, როდესაც სტუმრები და მასპინძელი შემოვიდნენ ძაუგში, მივიდნენ ერთს სადგურში და დააბინავეს ცხენები. იმ ღამეს იმათ ერთად გაატარეს დრო და მეორე დღეს ოსი დილითვე და დანარჩენები კი საღამოს გამოვიდნენ თავ-თავიანთ საქმეზედ.

კობა, რომელიც ბაზარში ასცდა თავის ამხანაგებს, მოულოდნელად შეხვდა ერთს მოხუცს გლახაკს, რომელიც მოწყალებას ითხოვდა. იმან თითქოს იგრძნო, რომ ეს მოხუცი მთხოვარა გლახა უნდა ყოფილიყო და ამისთვის მიუხდა იმასთან, მისცა შაურიანი და ჰკითხა ვინაობა. მოხუცმა ისე გადაკვრით დაუწყო ლაპარაკი, რომ კობასთვის გამოაშკარდა იმისგან თავის დაფარვის სურვილი. ამისთვის ყმაწვილი მოხეტე აღარ ჩააცივდა და გუნებაში კი გადასწყვიტა, რომ თვალი ედევნებინა მოხუცისთვის და ეცქვეტა იმის ვინაობა და ბინადრობა. ამისთვის იმას კარგა ხანი მოუნდა, სანამ მოხუცი წავიდოდა შინ, სადაც ფეხდაფეხ მიჰყვება კობა და შორიახლოდგან დაუწყო თვალიერება. არ გამოიარა ნახევარმა საათმა, როდესაც გლახასთან ვიღაცა შევიდა და მოისურვა იმათი ამბის უფრო დაწვრილებით შეტყობა. ის მიახლოვდა მოხუცის სახლის ფანჯარას და გაიგონა ნუნუს ხსენება. კობამ ფანჯარას წყნარად ახადა და იმას თვალწინ წარმოუდგა ნუნუ და იმის მამა, და ეს იყო მიზეზი, რომ იაგოს აქ ყოფნა ახარა და ისე საჩქაროდ იმისთვის გამობრუნდა, რომ უნდოდა, რაც შეიძლებოდა ჩქარა ეხარებინა თავის ძმადნაფიცისთვის ასეთი სასიამოვნო ამბავი, როგორც ნუნუს ჩამოსვლა და მოხუცის სახლის პოვნა.

ისა ჩქარობდა, რადგანაც იცოდა, რომ ღამე სიარული აღკრძალული იყო ქალაქში, და ვისაც ქუჩაში ცხრა საათის შემდეგ მოასწრობდნენ, იჭერდნენ; და ვისაც კი ერთხელ ხელში ჩაიგდებდნენ მაშინდელის წესის დამცველნი, იმას იმედი უნდა გადაეწყვიტა თავის დახსნაზედ. კობა ისე იყო გამოვიდა ქუჩაზედ, როდესაც ყარაული სალდათების ფეხის ხმა გაიგონა. ის შეუმცნეველი ვეღარ გაბრუნდებოდა და ღარწმუნდა, რომ იმათ ვეღარ გადარჩებოდა, გადასწყვიტა ძვირად გაეყიდა თავისი სიცოცხლე. სალდათებს ჯერ არ შეემცნიათ ის და დამშვიდებულნი, ტყაპა-ტყუპით მოდიოდნენ. კობამ გაივლო დამბაჩას ხელი, როდესაც დაინახა, რომ ბოგირზედ იდგა და სწრაფად გადასწყვიტა დამალულიყო იმის ქვეშ; თუ მაინც-დამაინც იმას დაინახავდნენ, იქიდგან თავის დაცვა უფრო ადვილი იყო, რადგანაც მხოლოდ ერთის მხრიდგან შეიძლებოდა

ბოგირის ქვეშ შესვლა, და ბოგირის მეორე მხარე კი თერგს გადაყურებდა, მაშასადამე, იქიდგან არამც თუ მოსადგომი იყო — გაჭირვების დროს თერგში გადავარდნაც შეიძლებოდა. ის შევიდა ბოგირის ქვეშ და სალდათები კი მოვიდნენ ბოგირზედ.

— დავისვენოთ ცოტა, — თქვეს იმათ და ჩამოსხდნენ ბოგირის გვერდზედ.

იმათ გააბეს ლაპარაკი საზიზღარს „ბუსურმანებზედ“, მოუკიდეს ჩიბუხებს და გათენებამდინ ისე გაატარეს. აშკარა იყო, რომ მოხევე ვერ შეემცნიათ.

კობას ბოგირის ქვეშ მოუნდა იმ ხანამდინ დარჩენა, სანამ სალდათები მოშორდებოდნენ და საშუალებას მისცემდნენ შინ წასულიყო, სადაც ამხანაგები მოუთმენლად ელოდნენ.

იმათ, რასაკვირველია, იამათ კობას მისვლა და, რა შეიტყვეს ნუნუს ჩამოსვლა და მოხუცის სახლის პოვნა, სიხარულს სამზღვარი აღარა ჰქონდა, და ნატრობდნენ ჩქარს შეღამებას, რათა ტრფიალნი ერთად შეყარათ.

XV

ამათი მასძინძელი ოსი, წარსული დღის განმავლობაში, უსაქმოდ არ დარჩა: იმან გადაწყვიტა, რომ დაეკმაყოფილებინა თავისი გაუმაძღრობა და, კარგით თუ ავით, სტუმრის ცხენები თავისთვის დაენარჩომა. იმას ბევრი ფიქრი არ მოუხდა ამ საგანზედ, რადგანაც გადაწყვიტა, რომ მთავრობისთვის შეეტყობინა აბრაგების ძაუგში ყოფნა, ან დაეჭერინა და ან დაეხოცვინა ისინი. ამისთვის ის, რაწამს გავიდა ბინიდგან, მაშინვე ნაჩალნიკთან წავიდა. ოსს გარდაწყვეტილი ჰქონდა, რომ შუადღეზე თავს დაახვევდა იაგოს და იმის ამხანაგებს ჯარსა და მერმე ორივ ერთი იყო დაიჭერდნენ, თუ იქაც დახოცავდნენ, ორივე შემთხვევაში ის განთავისუფლებული იქნებოდა სტუმრებისაგან და ცხენები იმას დარჩებოდა. მაგრამ გზაში ახალმა აზრმა გაურბინა თავში და იფიქრა: „აგრე მუქთად რად დაუჩვენო?“ და შესდგა რაოდენიმე ხანს. ერთბაშად რაღაცა ბოროტის ცეცხლით აენთო თვალები, წაიბუტბუტა,

სიამოვნებით როგორღაც გაიქნია ხელი, გაიღიმა და გასწია ჩქარის სიარულით. ეტყობოდა, რომ იმან იპოვა საშუალება, რა რიგად დაეკმაყოფილებინა აღძრული გაუმაძღრობა.

რამდენიმე წუთის შემდეგ ის ნაჩალნიკის ბალკონზედ იდგა და იასაულს ელაპარაკებოდა, რომელიც ცდილობდა გამოეკითხა, თუ რისთვის მოვიდა, მაგრამ გამოცდილის და გამოქნილის ოსის შეცდენა ისე ადვილი არ იყო.

— ნაჩალნიკის ნახვა მინდა, საჭირო საქმე მაქვს.

ოსი ამის მეტს ხმას არ იღებდა, თითქოს ამ სიტყვების მეტი არა იცოდა-რა. იასაულმა ნახა, რომ ვერ წააცდენდა ოსსა და თითონ ვერ გახდებოდა ნაჩალნიკისთვის სასიამოვნო მახარობელი, ჩაიქნია ხელი და უსიამოვნოდ შევიდა სახლში, რომ შაეტყობინა ბატონისათვის ოსის მოსვლა.

ნაჩალნიკი ჩქარა გამოვიდა კარებზედ და დაინახა ქუდმოხდილი ოსი, რომელმაც მდაბლად თავი დაუკრა.

— რა გინდა? — დაიწყო პირდაპირ ნაჩალნიკმა.

— საქმე მაქვს, შენი ჭირიმე, — და შეხედა იასაულს, რომელიც იქ ეხირა და გაფაციცებული უყურებდა იმათ.

ნაჩალნიკი მიხვდა ოსის აზრს და მიუბრუნდა იასაულს:

— მოგვშორდი... ეხლა მარტონი ვართ, მითხარ რა გინდა?

— აბრაგები ვიცი.

— ვინ აბრაგები?

— იაგო, ფარჩო, ელბერდ, კობა და მთიული.

— რას ანბობ? — სიხარულით წამოიძახა ნაჩალნიკმა, რომელიც ამ ხალხს გაგონებით იცნობდა, რადგანაც კვირა არ გავიდოდა, რომ იმათ სახელს იმის ყურამდინ არ მიეღწივა და რომელიმე მამაცური საქმე არ გაეგონა იმათგან მომხდარი. ერთი სიტყვით, ესენი განთქმული აბრაგები იყვნენ, რომელთ სახელი და ვაჟკაცობა შორს იყო გავარდნილი და რომელთ დაჭერისთვისაც ერთი და ორი უძილო ღამე არ გაეტარებინათ. ნაჩალნიკს თვალები გაუბრწყინდა სიხარულით: ჯერ ერთი, რომ ამ გაცვივნულის ხალხის თავები დაფასებული იყო კარგს ფასად და შეიძლებოდა იქიდგან სარგებლობა, მეორეც, რომ იმათი დაჭერით ის მიიღებდა ჩინს, მადლობას და გაითქვამდა სახელს.

— სად არიან? — იკითხა მოუთმენლად.

— აქ არ არიან, მაგრამ შემიძლიან მოვიყვანო.

— მართალს ანბობ?

— ხვცაუსტან! მართალს ვანბობ.

ნაჩალნიკი დააცქერდა და მერე ერთბაშად და პირდაპირ დაიწყო:

— რას ითხოვ მაგ სამსახურისთვის?

— ოცდაათ თუმანს კაცის თავს და აფიცრობას, — უპასუხა დაურცხვენლად ოსმა.

— ეგ ძალიან ბევრია, არ მოგცემენ, — უპასუხა ნაჩალნიკმა, თუმცა აბრაგების თავი მეტადა ჰყვანდათ დაფასებული.

— არ მომცემენ და როგორც მოვსულვარ, ისე წავალ.

ნაჩალნიკი დაფიქრდა და უთხრა:

— ათ-ათი თუმანი კაცის თავს იკმარე და წმინდის გიორგის ჯვარი.

— არა, შენი ჭირიმე, — ჩაცინებით უპასუხა ოსმა და გაბრუნდა.

— დაიცადე... მაშ რა გინდა? — შეაყენა ნაჩალნიკმა.

— აკი მოგახსენე.

— სულ ალარას დაუკლებ? — ევაჭრებოდა ის.

— შენ კარგი კაცი ხარ, პოლკოვნიკი, განთქმული... შენი გულისთვის კაცის თავს ათ-ათს თუმანს ჩამოვალ.

— ოც-ოცი? მეტად ბევრია.

კარგა ხანს ივაჭრეს, კარგა ხანს ილაპარაკეს და ბოლოს მორიგდნენ: თხუთმეტი თუმანი კაცის თავს და იუნკრობა უნდა მიეცათ ოსისთვის სამთხრობლო.

— მაშ როდის? — ჰკითხა ნაჩალნიკმა.

— ამ ორს დღეს დამიცადე და შეგატყობინებ.

ამ სიტყვებით ოსი გამობრუნდა და ნაჩალნიკი გახარებული შინ შევიდა, სადაც ხევის უჩასტკის დიამბეგი ელოდა, რომელიც ჩამოსულიყო იმასთან სხვა რაღაცა საქმეზედ. რასაკვირველია, ამ ხევის ბატონს გირგოლაც თან ახლდა და სწორედ იმ დროს, როდესაც ვლადიკავკაზის ნაჩალნიკს ეგონა, რომ ის მარტოკა ელაპარაკება ოსს, გირგოლას ყური მიედო კარებისთვის და თრთოლით მოისმენდა ოსის საუბარს. იმან გაიგონა იაგოს სახელი, იმან შეიტყო, რომ იაგოს ხვალ-ზეგ და-

იჭერდნენ ან ბოჰკლავდნენ, და იქამდინ აღელდა, იქამდინ გაეხარდა, რომ აღარ იცოდა რა ექნა. ვერც ხანმა, ვერც დრომ ვერ გადაავიწყეს იმას მტროობა და სიძულვილი!.. ეხლა, როგორც პირველ დღეს, იქნება იმაზედ მეტადაც, მოუნდა იაგოს გადახდა, რომელსაც თავის უბედურებაც და ნუნუს დაკარგვას აბრალებდა! მაგრამ ოსმა რომ მოატყუოს? გადაიფიქროს? — იფიქრა გირგოლამ და თმა აებურძგნა: „მაშ თავს აღარ დავანებებ იმას! სიკვდილამდინ ჩავყვები და, თუ იმან გადათქვა თავის სიტყვა, მე ვიპოვნი“! — გაიფიქრა ეს, გავარდა და გამოუდგა ოსს, რომელსაც ჩქარა მოეწია.

ოსი მიდიოდა გახარებული თავისის საქმით და ვერ ამცნეკდა გირგოლას, რომელიც მისდევდა და თავიდგან ფეხებამდინ ათვალიერებდა. ოსი მივიდა თავიანთ ბინაზედ, გირგოლაც მიჰყვა იქამდინ და შებრუნდა ამ სასტუმროს დუქანში.

იმან მოითხოვა ჩარექა ღვინო, ეშმაკურის ლაპარაკით გამოჰკითხა დახლიდარს — იქ იდგა ოსი თუ არა? მარტო იყო, თუ ამხანაგები ჰყვანდა, და, რა ყველაფერი დაწვრილებით შეიტყო, მაშინვე გადაწყვიტა, რომ იაგოც და იმის ამხანაგებიც იქ უნდა ყოფილიყო.

იმან იქირავა იქვე ოთახი და, რა შევიდა, სიამოვნებით გაიგონა, რომ ოსი და იმის ამხანაგები იმის მეზობლად ხმაურობდნენ, და თხელი ფიცრული კი, რომელიც იმათ აშორებდა, ნებას აძლევდა ყოველის სიტყვა და მოძრაობა გაეგონა.

ის მაშინვე გამოვიდა, იპოვნა დიამბეგი, შეატყობინა თავის დაგვიანების მიზეზი და გაგზავნა გუბერნატორთან, რომელსაც იმათ დასაჭერად განკარგულება უნდა მოეხდინა. თვითონ კი ისევ თავის სადგურში წავიდა, სადაც უნდა ეთვალთვალებინა აბრაგებისათვის, რათა არსად გაჰპარვოდნენ.

ის შევიდა თავის ოთახში სწორედ იმ დროს, როდესაც აბრაგები ბაზარში გასულიყვნენ, და მოუსვენრად ელოდა, სანამ ისინი დაბრუნდებოდნენ. რადგანაც იმათი მოსვლა გვიან მოხდა და რაღაცა მღელვარება და შესვლა-გასვლა შეამცნივა აბრაგებს, მიხვეზის შესატყობად დარჩა. ამ მოლოდინში გაიარა საათმა, ორმა და იქამდინ დაუგვიანდა, რომ ჯერ ალაყაფის კარები დაკეტეს, მერე თითონ დუქანიც და გამოსასვლელი ვეღა აღარა ჰქონდა.

იმან გაიგო, რომ ერთი ამხანაგი დაეკარგავსთ. და გულის

ხეთქით ელოდა, რომ გაეგო, დაკარგული იყო ხომ არ იქნებოდა. მერე აშკარად გაიგონა, რომ კობას სახელს ახსენებდნენ და, მაშასადამე, დაკარგული იყო არ უნდა ყოფილიყო.

ამგვარად იმან გაატარა ღამე და დიამბეგს ველარა შეატყობინა-რა. მთელს ღამეს არ დაუძინიათ აბრაგებს, რადგანაც კობას დაკარგვა აწუხებდა იმათ; არ დაუძინია გირგოლასაც, რომელსაც ეშინოდა, რომ იმათ ლაპარაკიდან სიტყვა არ გამოჰპაროდა... გათენებაზედ იმას შემოესმა რაღაცა სიხარული იმ ოთახიდგან, სადაც აბრაგები იდგნენ და აშკარად გაიგონა ნუნუს და გლახას სახელი. ის გიჟსავით წამოვარდა ტახტიდგან, რომელზედაც ის იყო მიწვა და, მთლად სმენად გადაქცეული, კედელს მიადო ყური; გირგოლას ყურებისა აღარა სჯეროდა, რადგანაც ნუნუს დიდი ხანია რაც თერგში ჭვებს შუა ჩამალულს სთვლიდა და ერთბაშად ესმოდა, რომ ის არამც თუ მკვდარი, სრულიად უვნებელია, თავის მამასთან არის და დღეს საღამოზედ იაგოსაც კი შეუერთდებოდა.

— მაშ ის ცოცხალია, ის იაგოს შეუერთდება და დაიწყებენ ბედნიერს ცხოვრებას?.. გირგოლა კი დაწუნებული, დამცრებული, ჯავრით დალეული, ისე უნდა დარჩეს?!.

ამ ქაცში გაიღვიძა პირუტყულმა გადახდევინების წადილმა და იმ დროს ნუნუ რომ იქ მდგარიყო, ის შეუბრალებლად გაუპობდა გულს, დაეწაფებოდა იმის სისხლს და სიამოვნებით დალევდა. ის მხოლოდ იმაზედ შესწუხდებოდა, რომ ეს სისხლი მეტად ჩქარა შესწყდა და საკმაოდ ვერ დააკმაყოფილა თავისი გამხეცებული წადილი.

კობა, რომელსაც დაწვრილებით ჰკითხავდნენ ნუნუს ამბავს, უამბობდა ყველაფერს. ბოლოს გადავიდა იმათ სადგურის აღწერაზედ და ისეთის დაწვრილებით ანიშნა, რომ გირგოლას, როგორც ხელის გულზედ, ისე დაეხატა იმათი სახლი. იმან იკბინა თითზედ და წამოიძახა:

— დამაცადეთ, დამაცადეთ და ნახავთ, რას გიზამთ... მაშ გირგოლა მოკვდეს, თუ თქვენ გაბედნიერდებით!

ის საჩქაროდ გამოვიდა თავის ოთახიდგან, გაქანდა დიამბეგთან, რომელიც მილიციის სოტნით გუშინიდგანვე მზად იყო, და შეატყობინა, როგორც აბრაგების სადგური, ისე თავისი აზრი, თუ როგორ დაეჭირათ, ან დაეხოცნათ მთიელნი.

— მაშ, შენ აგრე არჩევ?

— დიაღ, შენი ჭირიმე... სახლს ცეცხლი უნდა წაუკიდოთ, რომ გამოცვიცდნენ, თორემ სახლში ისინი არ დაგვნებდებიან და, თუ ღამემ მოგვისწრო, კიდევ ხელიდგან წაგვივლენ, შენი რისხვა არა მაქვს!

დიამბეგმა შეატყობინა ვლადიკავკაზის ნაჩალნიკს, მოიყვანეს კიდევ მთელი როტა, მიიღეს გირგოლას რჩევა მხედველობაში და საჩქაროდ ეს ხალხი აბრაგების სადგურს გარს შემოარტყეს.

რაწამს აბრაგებმა დაინახეს თავიანთი თავი ამ მდგომარეობაში, ისინი წამოცვივდნენ, კარებს მიაყარეს, რაც კი ოთახში შეხვდათ, გაიძვრეს თოფები და ფანჯარასთან დადგნენ. იმათ იცოდნენ, რომ აქედგან ცოცხლები ველარ გავიდოდნენ და, რა უბედურობა სწვეოდათ, სახელიანათ უნდოდათ სიკვდილი.

იმათი პირველი აზრი იყო, რომ ვიღამაც გასცა, და ყველამ ოსს შეხედეს, რომელიც გაფითრდა ამ შემთხვევაზედ.

— ღმერთმანი, მე არა მითქვამს-რა — წამოიძახა იმან.

— სტყუი, ძაღლო! — დასჭყივლა იაგომ და დააჭირა გულზედ ხანჯალი.

— ვაიმე, რათა მკლავ?.. ღმერთმანი, მე არა, მე არა!—დაიძახა იმან და ერთბაშად გამოტრიალდა ფანჯრისკენ, რომელიც ღია იყო, იშვირა ფეხი და გადახტა, მაგრამ ძირს რამდენიმე ადგილს გახვრეტილი დაეცა. სალდათებმა, რომელთაც ნაბრძანები ჰქონდათ, რომ ესროლათ, ვისაც კი იმ ოთახიდგან გამოსულს დაინახავდნენ, დახვრიტეს ისა. ოსი დაეცა, გაიბრძოლა, წამოიწივა კიდევ ერთი და დაიძახა:

— ამხანაგის მოღალატეს ასე მოუვა! მე დაგღუპეთ... ჩემი ბრა... ბრა.. — მაგრამ სიტყვები ველარ გაათავა, რადგანაც ახალმა ტყვიამ თავში გაუარა და თან გატანილი ტვინი კედელს შეანარცხა.

ოსი გაუნძრევლად, ხმაამოუღებლად დაეცა; იმან ამოსუნთქვაც კი ველარ მოასწრო, ისე დალია სული.

— აბრაგებო, გამოდით! — დაუძახა ჯარის უფროსმა, — გამოდით, თორემ თქვენც ეს დღე მოგელისთ, რაც თქვენს ამხანაგს.

პასუხის მაგივრად ხუთი თოფი ერთად გავარდა და ხუთი კაცი წაიქცა ჯარიდგან.

— ე, მანდა ჩვენი პასუხი!

ამ სროლაზედ მოისმა გრიალი და ასამდინ ტყვიამ ფანჯარასთან მიიტანა ხრიალი, მაგრამ ოთახში მყოფებს ვერა დააკლეს-რა, რადგანაც კედლებმა დაიფარა.

აბრაგებმა მოასწრეს კიდევ თოფების გატენა და კიდევ ხუთი კაცი წააქციეს. გაიმართა სროლა და აბრაგებმა დაუწყეს უწყალოდ ჟლეტა იქ მყოფს სალდათებს და ყაზახებს მაშინ, როდესაც კედლების წყალობით თითონ უვნებლად რჩებოდნენ.

მარტო ელბერდს მოხვედროდა მკერდში ტყვია, მაგრამ იმან საჩქაროდ გაიხია ახალუხი, გამოგლიჯა ბამბა და მაგრად დაიცვა ჭრილობა. ამის შემდეგ ის ისე იბრძოდა, როგორც უვნებელი.

— ბატონო, ხალხს რად ახოცინებთ, ცეცხლი მოუკიდოთ, თორემ მაგათ ჩვენ ვერ დავიმორჩილებთ, — მოახსენა გირგოლამ დიამბეგს.

დიამბეგმა მოახსენა ნაჩალნიკს და გადაწყვიტეს, რომ თივა მოეტანათ.

რადგანაც ეს ადგილი ბაზართან ახლო იყო, გაგზავნეს რამდენიმე ყაზახი და იქიდგან მოატანინეს თივა და გარს შემოუწყვეს სახლს. როდესაც ეს მუშაობა გაათავეს, აბრაგებს კიდევ დაუძახეს:

— რაც გინდა გაძალიანდეთ, რაც გინდა ქნათ, ბოლოს მაინც ხელში უნდა ჩაგვიცვივდეთ... გამოდით, იარაღი დაყარეთ, თორემ სახლს ცეცხლს წაუკიდებთ!

— თქვენ დედაკაცებს, ბალღებს, მოხუცებულებსაც არ იბრალებთ და სწვავთ, ჩვენ რომ დაგვწვათ — რა საკვირველი იქნება?! — უპასუხეს იმათ.

— მაშ, არ გამოხვალთ?

— არა!

— დაგწვავთ!

— დაწვა გვირჩევნიან თქვენს ხელში ჩავარდნას.

— წაუკიდეთ ცეცხლი, — მოისმა ბრძანება და ჯერ ავარდა კვამლი, მერე ოთხგან-ხუთგან გამოჩნდა ცეცხლი და ერთბაშად აბრიალდა ხმელი თივა.

— ო, ძაღლებო, ძაღლებო, სხვა რაი ვაჟკაცობა გაქვსთ,— კბილების ღრჭიალით დაიძახა იაგომ.

— იაგო! კარგად მოიხედე, მე ვარ... მე გადაგიხადე! — დაუძახა გირგოლამ.

იაგომ გამოიხედა და დაინახა გირგოლა, რომელიც ცარიელს ბოჩკას ამოჰფარებოდა და იქიდგან ელაპარაკებოდა.

იაგომ სწრაფად გადმოიტრიალა თოფი, დაუმიზნა, მაგრამ გირგოლამ მოასწრო ბოჩკის უკან ჩამალვა, ტყვიამ ქუდი და გადააგდებინა.

— შენი იღბალია და რაი გიყო! — დასძახა იაგომ.

ამ ხანში ცეცხლი სახლსაც გაედო, რომელსაც გუგუნი გაჰქონდა და წუთი-წუთს ჩამოქცევას აპირებდა.

— ძმანო! ნუ დავიმარხებით ცეცხლში, ვაჟკაცნი ვაჟკაცად გავწყდეთ! — დაიყვირა იაგომ, ჩამოიფხატა თვალებზედ ქუდი და გადაეშვა ფანჯრიდგან.

— გავწყდეთ! — მისცეს ხმა დანარჩენებმა და გადაჰყვნენ თან.

იმათ, ხმალ-ამოწვდილთ, ისეთის სისწრაფით შეუტიეს ერთ მხარეს, რომ მთელი ჯარი გააპეს და ის იყო უნდა გასულიყვნენ მეორე ნაპირას, როდესაც გონს მოსული სალდათები ისევ შემოეხვივნენ. მარდად და მამაცად ხმლის მქნეველნი, იარაღის მხმარებელნი, დატრიალდნენ ამ ჯარში და ვაი იმის დღეს ვისაც იმათი მოქნეული ხმალი მისწვდებოდა: ის თავ-შუაზედ გაჩეხილი ან მხარ-იღლივგადასხეპილი იქვე სულსა ლევდა ადგა კორიანტელი, ყვირილი, ტირილი, კვნესა, ძახილი და რკინების ერთმანერთის მოხვედრის ხმა!

ერთბაშად ხალხი შეჯგუფდა ერთს ადგილს, თითქოს ბურთსავით შეიკრა, ყველანი გაჩუმდნენ და მარტო რაღაცა გამოურკვეველი გრიალის ხმა მოისმოდა. რამდენიმე წუთს ხალხი გაიშალა და იქ მყოფების თვალს წარმოუდგა, სხვა დახოცილებთ შორის, იაგო თავის სამი ამხანაგით, რომელნიც გულადმა ეყარნენ და შესაზარს სურათს წარმოადგენდნენ. არ სჩანდა მათ შორის მარტო კობა, რომელიც ამ არეულობაში რაღაცა მანქანებით გასხლტომოდა, გადამჯდარიყო პირველ ცხენზედ და, სუბუქად დაჭრილი, შეჰფარებოდა ფუთხუზი ტყეს.

დილის ათი, თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ყველაფერი გათავდა, დახოცილები წაიღეს დასამარხად, სისხლი მიწით მოამშრალეს, და ამ სისხლის ღვრის ნიშნად მარტო გადამწვარი სახლის ბოძები იდგა, რომელიც ადგილ-ადგილ დარჩენილიყო, შეტრუსვილიყო. ხალხი მიდიოდ-მოდიოდა, შესდგებოდა, ოხვრით მოიგონებდა ვაჟკაცთ ვაჟკაცურს სიკვდილს და მერმე, გართული ისევ თავიანთის საქმით, ივიწყებდა შესაძრწუნებელს მოგონებას.

ნაჩალნიკი ის იყო შინ მივიდა, სადაც ხევის დიამბეგიც მიიწვია, როდესაც იმასთან შევარდა პოლიციელი და მოახსენა:

— თქვენო მაღალკეთილშობილებავ, კაცი მოკლეს.

— სადა?

— მოხევეების უბანში.

— ეგ-ღა გვაკლდა ამოდენა შრომის შემდეგ! — უსიამოვნოდ წარმოსთქვა იმან და დაუმატა: — ვინ კაცი?

— იქ ერთი მოხუცებული გლახაკი გახლდათ.

— გლახაკი?!. ვის მოუკლავს, ეჭვი არავისზედ გაქვს?

— როგორ არა... ეს ორი დღეა, რაც იმის ქალი ჩამოვიდა. ამბობენ, ცუდი ყოფაქცევისა გახლდათო... ის იყო თავის მამასთან, ერთს ოთახში ეძინათ და დღეს დილით მოხუცი თავის სახლში თავშუაზედ გაჩეხილი ვიპოვეთ.

— უეჭველია, თითონ ქალს მოუკლავს, — გადაწყვიტა ნაჩალნიკმა.

— თუ თითონ არა, ეცოდინება მაინც, ვინ მოჰკლა!

— ოსები არიან?

— არა, მოხევეები.

— მოხევეები?! — გაკვირვებით იკითხა დიამბეგმა.

— დიაღ, — მისცეს პასუხი.

— სახელად რა ჰქვიან ქალს?

— ნუნუ.

— ნუნუ? — გაკვირვებით იკითხა დიამბეგმა და მაშინვე დაუძახა გირგოლას, რომელიც ის იყო იქ მოვიდა. — ვინ ნუნუა, თავის მამა რომ მოუკლავს? წადი, შეიტყვე.

— მე კიდეც გავიგე, ჩემი რძალი გახლავს, — დაღონებით უპასუხა იმან.

— თითქო შენი რძალი წყალში დაიხრჩო?

— მეც აგრე მეგონა, მაგრამ აქ თურმე ყოფილა.

— შენ სად-ღა იყავ აქამდინ?

— დახოცილებს უყურებდი.

ამ დღიდგან დაიწყო გამოძიება, რომელმაც აღმოაჩინა, რომ ნუნუ, გარყვნილი და ცუდი ყოფაქცევისა, მოვიდა თავის მამასთან, რომელსაც გლახაკობით დიდი ფული ჰქონდა მოგროვილი, მოკლა მამა და ფული თავის საყვარელს მიაბარა, რადგანაც აქამდინ არ ამბობს, თუ რა უყო ეს ფული. თუმცა თითონ ნუნუ ამბობდა: „წარსულს ღამეს მე და მამაჩემი გათენებამდისინ ვისხედით. ბოლოს ძილმა თავი მოგვჭრა და, როდესაც მეორე დღეს გამეღვიძა, მზეს კარგად მოევლო, გლეხების სადილობა იქნებოდა. ოთახში ბნელოდა და მე მეგონა მამას კიდევა სძინავს და, რომ არ გამეღვიძებინა, წყნარად გავედი კარებზედ, დავიბანე პირი და იქ დავჯექი რაოდენიმე ხანს, მაგრამ, რაკი მამა არ იღვიძებდა, შევედ სანახავად, როდესაც ახლოს მიველ, ფეხებთან ტალახი ვიგრძენ. მე რამდენჯერმე დავუძახე მამას, მაგრამ ხმა არ გამცა და ხელით მინდოდა გამეღვიძებინა. რა ხელი მივაკარე, ვიგრძენი რომ სველი იყო, დავიხედე ხელზედ და სისხლში მქონდა გასვრილი! შეშინებულმა ჩამოვგლიჯე ფანჯრიდგან ჭილობი და ვაგლახად დავრწმუნდი, რომ მამაჩემი ვიღაცას მოეკლა“.

ასე ამბობდა, ასე ლაპარაკობდა საბრალო ქალი, მაგრამ ვინ დაუჯერებდა იმას, სად, ან ვინ იყო მოწამე?.. „ეჭვი არ არის, ნუნუ მამის მკვლელია!“ — იძახდნენ ნაჩალნიკი, გამომძიებელი, ხალხი და მსაჯულნი.

ერთს დღეს ვლადიკავკაზის ქვევით ბაზარში აეშენებინათ რაღაცა ფიცრის ესტრადა და ზედ აემართათ დაჭრელებული ბოძი, რომელზედაც მსხვილის ასოებით ეწერა: „სამარცხვინო ბოძი“. ხალხი გროვდებოდა აქ და ხმამაღლა ჩათვლით კითხულობდა ამ სიტყვებს. „რა არის ეს ბოძი, რა იქნება აქ?“ წამდაუწუმ მოისმოდა ხალხში, რომელსაც თანდათან ემატე-

ბოდნენ ახლადმოსულნი და რაღაცა მღელვარებაში შედიოდნენ.

ბევრმა არ იცოდა, რა უნდა მომხდარიყო აქ, მაგრამ მაინც მოელოდა ბოლოს, როდესაც ხალხი შეინძრა, მოისმა ბარაბანის ხმა და დაიძახეს: „მოჰყავსთ, მოჰყავსთ!“

ყველა იქით მიბრუნდა, საიდგანაც ბარაბანის ხმა მოისმოდა, და მაყურებელთ თვალწინ წარმოუდგათ რაღაცა უცნაურად გაკეთებული მაღალი პოვოსკა, რომლის ზეითაც ვიღაცა დედაკაცი უკუღმა იჯდა ტუსაღის ტანისამოსით; ჯვარედინად გადავლებული ჰქონდა ღვედები, რომელთაც გულზედ ეჭირათ ფიცარი ზედ-წარწერით: „მამის მკვლელი!“

თითონ ტუსაღს იქამდინ ჩამოვარდნოდა გულზედ თავი და თავსახვევი წამოჰფაროდა თვალებზედ, რომ სახე არ უჩანდა. ჯალათი, პირუტყულის და მოღიმარის სახით, გვერდს უჯდა და ეოხუნჯებოდა ქალს. ბოლოს იმან მკაცრად გადასწივა ხელსახოცს, გადაუღო უკან თავი და ხალხმა დაინახა ფერწასული, გონებამიხდილი ქალი, რომლისთვისაც მწუხარებას და სატანჯველს შესაზარად დაემახინჯებინა სახე. აშკარად სჩანდა, რომ ის ვეღარასა ჰგრძნობდა, რადგანაც, რა ჯალათმა ხელი მოაშორა თავს, ის ისევ ყინწმოწყვეტილსავით გულზედ ჩამოუვარდა.

პოვოსკა გაჩერდა ესტრადას წინ და ქალი ჩამოათრიეს, რადგანაც სიარულის თავი აღარა ჰქონდა, აიყვანეს ესტრადაზედ და ისე მიაკრეს ბოძს, რომ ზეზედ მდგომს ემსგავსებოდა.

— ქუდები! — დაიძახა ერთმა და ყველამ მოიხადა ქუდები. სამხედრო წოდების ხალხი გამოიჭიმა და მარჯვენა ხელი მიიტანა ქუდებთან. ნაკერ მუნდირში გამოვიდა ვიღაცა კაცი და დაიწყო გადაწყვეტილების კითხვა, რომელიც ხალხს აუწყებდა, რომ „ნუნუ მამის კვლისთვის საუკუნოდ იგზავნება ციმბირში, მადნებზედ სამუშაოდ“...

ხალხში ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა, რომ ბუზის გაფრენას გაიგონებდით. გაყუჩდა ყველაფერი, თითონ ნიავიც კი შესწყდა, თითქოს თავის ხმაურობით ეშინოდა დაეშალა ხალხის სმენისთვის. ყველას გული წარმოუთქმელადა სძგერდა და რაღაცა შემაწუხებელს მდგომარეობაში იყო. ამ საერთო სიჩუ-

მეში გამოვიდა მოხუცებული, თეთრის წვერით, მღვდელი, შემოსილი შავის სამოსელით; იმას ხელში ეჭირა ჯვარცმა და დაღვრემილის, ფერმიხდილი და შეწუხებულის სახით მივიდა უბედურთან. ყველანი მოშორდნენ.

— ნინო! — ჩასძახა მღვდელმა, — ნინო! — გაიმეორა იმან და მოჰკიდა ხელი.

ქალი შეკრთა, გაახილა თვალები, აიღო ცოტათი თავი და მიხრწნილის ხმით ძლივს წარმოსთქვა:

— წყალი, ცოტა წყალი, ღვთის გულისთვის!

იმას დაალევინეს წყალი და ისევ მოშორდნენ.

— შვილო! შენ ახდილი გაქვს ყოველი უფლება, შენ ცოცხლებს აღარ ეკუთვნი... მოინანიე შენი ცოდვა, რომ ზეციერმა მამამ შეგინდოს.

— რა ცოდვა? — დაფანტვით წარმოსთქვა ნუნუმ და მწარის ღიმილით დაუმატა: — ჰო, მე ხომ მამა მოვკალ, მე მამის მკვლელი ვარ!..

— მითხარ აღსარება, რა გაწუხებს?.. მე მლოცველი ვიქნები შენი სულისთვის, მე შეგავედრებ ზეციერს მამას, რომ მოგიტეოს ყოველისფერი.

ამ სიტყვებზედ ნუნუ თითქოს მოცოცხლდა.

— ჯვარი მომეც. — მიუშვირა იმან ხელები.

მღვდელმა მიაწოდა ჯვარი და ნუნუს რაღაც ცეცხლით თვალები აენთო; ის მისწვდა ჯვარს, მიიკრა ტუჩებზედ და საკმაოდ მაღლა, თუმცა ხმის კანკალით, წარმოსთქვა მდუღარების ფრქვევით:

— ვფიცამ გულთამხილველს ზეციერს მამას, ვფიცამ ამ წმინდა ჯვარცმას, ვფიცამ ჩემს ნამუსს, ვფიცამ ღაგოს სულს,— მე დამნაშავე არა ვარ!

ამ სიტყვების შემდეგ ის გაჟრჟოლდა, ძალზედ მიიკრა ჯვარი ტუჩებზედ, გაიჭიმა, დაიხრიალა და მოეშვა ისევ. ხელები ჩქარა ჩამოუქანდნენ და მღვდელმა მიაშველა ხელი, რათა ჯვარი ძირს არ დაცემულიყო. ის დააცქერდა საცოდავს წამებულს და მთრთოლარე ხმით წარმოსთქვა: „განუსვენე, უფალო, მხევალსა ამას შენსა!“ გადაიწერა პირჯვარი და მოშორდა.

როდესაც ჯალათი მივიდა, გახსნა შეკრულობა, ნუნუ მუხ-

ლებმოჭრილსავით დაეცა ძირს: მეტს მწუხარებას და სირცხვილს ვეღარ გაუძლო იმისმა გულმა და უკანასკნელმა მღელვარებამ ბოლო მოუღო!..

მაშ ვინ იყო გლახას მომკვლელი?.. მსაჯულნი დარწმუნებულნი იყვნენ, რომ ქალი, და ხალხში კი ეჭვი შევიდა.

მეორე-მესამე დღეს, ამ შემთხვევის შემდეგ, ფუთხუზის ტყესთან გამალებული ტროიკა მოდიოდა, რომელსაც მიჰყვანდა ხევის დიამბეგი და გირგოლა. ისინი ლაპარაკობდნენ წარსულს შემთხვევაზედ, მაგრამ გირგოლა, რომელიც გაფითრებულიყო, თავს არიდებდა და უგუნებოდ უპასუხებდა. ის დაესწრო ნუნუს სიკვდილს და კაცობრიულმა გრძნობამ გაუარა გულში. ამ დღიდგან ის მოსვენებას ვეღარ პოულობდა და ყველგან ნუნუს სახე ეჩვენებოდა. ამ რამდენიმე დღეში ის ისე ჩამომდნარიყო, ისე შეწუხებულიყო, რომ ადამიანი ვეღარ იცნობდა.

— რა მოგივიდა, ავად ხომ არა ხარ! — ჰკითხა დიამბეგმა.

— ჰო, შეუძლოდ გახლავარ რასმე.

— ნუ გეშინიან, აი მივალთ შინა და მალე მტერი მომიკვდეს, მალე იუნკრობა მოგიტანინო.

—შენი წყალობა მომცეს ღმერთმა, — რაღაცა უგუნებოდ უპასუხა იმან.

ისინი გვერდი-გვერდს ისხდნენ, რადგანაც წინ სხვა ყაზახი უჯდათ. გირგოლამ ვეღარ გაათავა უკანასკნელი სიტყვები, როდესაც ტყიდგან გამოვარდა თოფი, გახვრიტა დიამბეგი, რომელიც გადმოვარდა ტროიკიდგან და გვერდში დასჭრა გირგოლა, რომელმაც გაიგონა ხმა:

— მე ვარ კობა! ორნივ მე განაცვალეთ იაგოს!

ამ სიტყვებით ის გაქრა, როგორც მოჩვენება, რომ თავის დღეში აღარ გამოჩენილიყო; მკვდარი დიამბეგი და სასიკვდილოდ დაჭრილი გირგოლა კი წაიღეს შინ ცოცხალ-მკვდარი, მიიტანეს სტეფანწმინდაში, სადაც დააწვინეს, პირველი იმისი სიტყვები იყო ღვდლის მოკითხვა, რომელიც იმ წამს მოვიდა.

ყველანი გამოვიდნენ, მარტონი დარჩნენ მოძღვარი და მოწაფე.

გირგოლა წარმოუდგენელს აღშფოთებაში იყო, როდესაც მოძღვარი მიუახლოვდა, ამოიღო ზიარება და იმის შიშით,

რომ უზიარებელი არ მომკვდარიყო, უნდოდა მაშინვე მიეღებინა წმინდა საიდუმლო.

— ღირსი არა ვარ, მამაო!

— შენს მდგომარეობაში ყველა ქრისტიანი ღირსია, შვილო.

— არა, სანამ აღსარებას არ გეტყვი, არა... ოჰ, თუ ღმერთმა შემაძლებინა ყველას თქმა! ვგრძნობ, რომ სიკვდილი მიახლოვდება.

— სასიკვდილო რა გჭირს, შვილო?.. მაგრამ აჩქარდი, მოინანიე, ღმერთის გულუხვობას ვინ მისწვდება, ის მოგიტევებს, ეს გაპატიებს.

გირგოლა კარგა ხანს წვალობდა, და ბოლოს ძლივს დაიწყო:

— იაგოს მე მოუგონე ჭურდობა, მე განგებ შევწამე ცილი, რადგანაც ნუნუ ჩემთვის მინდოდა... ეხლაც მე გავაწყვეტინე იაგო და მისი ამხანაგები... ნუნუს მამაც მე მოვკალ და ქალს კი გადავაბრალე... ვილოცე, ილოცე, მღვდელო, ჩემის სულისთვის, ილოცე!..

— ჰო, შვილო!.. ვილოცავ, ვილოცავ...

— როგორა გგონია — ღმერთი მაპატიებს?

— ღმერთი მოწყალეა, ღმერთი დიდია!..

— გააგებინე ყველას, რომ მთხოვარა გლახას მკვლელი მე ვარ, რომ ნუნუს ბრალი არა ჰქონდა მის სიკვდილში... მე დასამალად არ გეუბნები აღსარებას... როდესაც იაგოს და იმის ამხანაგებს ცეცხლი წაუკიდეთ... მე... გულმა ვეღარ მამისვენა... წაველ გლახას სახლში... ქალსაც და მამასაც ეძინათ... მე მინდოდა ორნივ მომეკლა... მაგრამ ვიფიქრე.. ერთი წუთის წვალება განა გადამიხდიდა მთელი სიცოცხლის სატანჯველს?.. მე მიყვარდა ნუნუ... ო-ო. როგორ მიყვარდა... იმან უარმყო, იმან სხვა ირჩივა ჩემს თავს... მე თავმოყვარე, თავმომწონე ვიყავ... ვეღარ გავუძელ სატანჯველს... მაშინ... მაშინ ვიფიქრე, რომ მამა... მამა მომეკლა... გამოვპარულიყავ და იმის სიკვდილი ქალისთვის დაებრალებინათ... იმას გააწვალებდნენ, გასტანჯავდნენ, და მეგონა, ეს დამაკმაყოფილებდა... მაგრამ... აი, რა დღეში ჩავვარდი... სიცოცხლე არ მენანება,

მაგრამ საიქიოს, საიქიოს რა პირით წარვსდგე?.. — ამ სიტყვებით ის ჯერ მიილუშა, მერმე წამოიძახა: — აგერ!.. აგერ გლახა! არ მასვენებს, ის მომდევს; თვალები მოუქცევია ჩემკენ!.. ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ, ნუ მიყურებ! — თანდათან სუსტდებოდა გირგოლა და ბოლოს მწარე ქვითინად გადაექცა...

იმან გაკმინდა ხმა, გადავარდა ლოგინზედ და რამოდენიმე ხანი ისე თავდავიწყებაში იყო, ბოლოს წამოიწივა, გადაისო შუბლზედ მთრთოლარე ხელი, გადიწმინდა ჭირის ნაკადული და წყნარად წარმოსთქვა:

— ღმერთო, რა რიგად ვიტანჯები!.. — და მიუბრუნდა მოძღვარს: — მერგება ზიარება?

ღვდელმა მიუტანა პირთან კოვზი.

— მიიღე, შვილო, გერგება და კიდეც დაგამშვიდებს.

— მამაო! — ერთბაშად წამოიძახა იმან, — მაშ ღირსი ვარ?.. მომეც მომეც. — წაიწია მღვდლისაკენ, მაგრამ ერთბაშად გაიძაბა. წასწვდა გულს, ყელს, თავს და გადავარდა უკან. — ნუნუ!.. გლახა!.. მიშვე... მიშველე! — და სიტყვები ხრიალად გარდაექცა...

კიდევ ერთი გაბრძოლება. გაზმორება, დახრიალება ყელში — და გირგოლა გათავდა...

[1882]

ᲔᲚᲘᲡᲝ

ვლადიკავკაზის მახლობლად, მშვენიერს დაცემულს მინდორზედ, მოჩანდა ალყადშემორტყმული ურმები, გაჭედილი სახლის ვეჯეულობით. ამ ალყის შუა აქა-იქ გაჩაღებულს ცეცხლებზედ ჩუხჩუხებდა ქვაბები, რომლებსაც მისხდომოდნენ მოხუცებული დედაკაცები და საჭმელს ამზადებდნენ. იქვე მიმსხდარიყვნენ დანარჩენი მოხუცი ხალხი და გაჩუმებულნი ყალიონს სწევდნენ. იმათი მხნე და გმირული, თუმცა დაღონებული, სახე ცეცხლის შუქზედ რაღაცა საოცნებო სურათს წარმოადგენდა. ყმაწვილი ხალხიც, ჯგუფ-ჯგუფად შეკრებილი, თუმცა ცდილობდა ერთმანერთის გამხნევებას, გამხიარულებას, მაგრამ იმათი დაფიქრებული სახე ისევ ისე გაუღიმებლად რჩებოდა.

აქ იყო რაღაცა იდუმალი სიჩუმე, რაღაც იდუმალი სევდა, რომელიც ნებაუნებლივ სიტყვას აწყვეტინებს და ხმას აკმენდინებს კაცს.

ხანდისხან ისეთი წუთებიც შეხვდებოდათ, რომ თვით სუნთქვაც შეუწყდებოდათ და ასე, სამარის მსგავს სიჩუმეში, დარჩებოდნენ რაოდენიმე ხანს.

საღამო იყო ჩინებული, თბილი, ერთი იმისთანა საღამოთაგანი, რომელსაც კაცი ნეტარებაში შეჰყავს და სიამოვნების ნექტარს აღუძრავს ყოველის ძარღვის ხვეულში.

როგორც ბუნებით მხნე, ისე მხიარული ჩეჩნები, დღეს გაჩუმებულიყვნენ, დაყუჩებულიყვნენ ისე, როგორც ქარიშხალის წინედ ჰაერი, რომელიც ემზადება ამ სიმშვიდიდგან ერთბაშად გრგვინვად გარდაქცევას.

რას გაეჩუმებინა ეს სიცოცხლით სავსე ხალხი? რას გაეწყვიტა მათთვის პირში სიტყვა? რომელ უბედურებას დაემორ-

ჩილა ისინი, ვინც ისე სიცილით და უზრუნველად სიკვდილს წინ ეკებებოდა ამ რამდენიმე წლის წინად?

აჭამდის კიდევ აქა-იქ მოისმოდა თითო-ოროლა სიტყვა, ეხლა ისიც შესწყდა და ჩამოვარდა სრული სიჩუმე... ამ საიდუმლოებით სავსე სიჩუმეში, რომელიც მკვდართ სამფლობელოს მოგაგონებდათ, ერთბაშად გამოისმა ჭიანურის წყნარი ხმა და მას მოჰყვა წყნარივე ზუზუნი. მაგრამ, ღმერთო ჩემო, რა ხმა იყო ის! მე არ შემიძლიან გადმოგცეთ! აშკარადა სჩანდა, რომ ეს ხმა სწყდებოდა გულის საძირკვლიდგან, რომელიც ინთებოდა, სდუღდა, სწვავდა მთქმელს და გამგონს!.. იფანტებოდა შორს. შორს მინდორზედ, სადაც მსუბუქს ნიავს მიჰქონდა ყოველ ხესთან, ყოველ ბუჩქთან, ყოველ ბალახთან და, რა მიეკარებოდა, თითქოს იჭამდის ძლიერად აგრძნობინებდა თავის ჭალას, რომ მთლად აათრთოლებდა. ჩქარა ზუზუნი ერთის კაცისა გადაიქცა საერთო ზუზუნად, რადგანაც იმას ხმა მოსცეს სხვებმა; და მთელი ეს ადგილი მოიფინა მტანჯველ ხევდიანს გოდებით და გმინვით. ეს ხმა, უსიტყვოდ აღმომხდარი იმათ პირიდგან, ისეთს წარმოუთქმელ სატანჯველს გამოსთქვამდა. რომ სიტყვებზედ ერთი-ათად მეტს გაგრძნობინებდათ, მეტად გივსებდათ სევდით და ნაღველით გულს, ნებაუნებლივ თანაგაგრძნობინებდათ იმათ უბედურებისათვის. თქვენა გტანჯავდათ, გაწუხებდათ ეს ხმა, მაგრამ ყური ვერ მოგეშორებინათ

ეს იყო უკანასკნელი გამოსალმება სულთმობრძავის შვილისა, რომელიც სამუდამოდ ეთხოვებოდა თავის საყვარელს მშობელს, რომელთანაც ალერსს უსპობს შეუბრალებელი და შეუწყალებელი უსამართლო ძალა! ეს იყო ქვითინი უბედური დედისა თავის პირმშო შვილზედ, ეს იყო გოდება სანატრელთან დაშორებულისა, რომელიცა გრძნობდა, რომ უიმისოდ ვეღარ იბარებს, ვეღარ იცოცხლებს!..

ეს გმინვა, ეს ოხვრა, ეს გოდება მით უფრო მწარედ გეჩვენებოდათ, რომ ეს არ იყო მარტო ერთი კაცის წუხილი თავის უბედურებაზედ, ეს არ იყო ტირილი მარტო ერთის პირისა თავის დაკლებულზედ, — აქ გამოითქმოდა საერთო ვაება, საერთო წუხილი, საერთო ტანჯვა; აქა სცემდა საერთო ძარღვი და ერთის გმინვაში გამოითქმოდა გრძნობა და მდგომარეობა მთელის ხალხისა.

ეს მამულის მოსიყვარულე, იმისთვის თავგანწირული ჩეჩნები, ესალმებოდნენ თავის სამშობლოს, რომლის შესარჩენად და ასაღორძინებლად მამას შვილი არ შეუწყალებია, ცოლს— ქმარი და იმდენის ბრძოლის და მსხვერპლის შემდეგ ისინი უნდა გამოსალმებოდნენ იმას!

— ღმერთო! სადა ხარ? — იძახდა იმათი ცისკენ მიპყრობილი თვალები, მაგრამ მაშინვე დედამიწას დაეშვებოდა პასუხმიუღებელი.

ყოველი ბუჩქი, ყოველი ადგილი, ყოველი კუნჭული ამ ადგილებისა, რომელზედაც სისხლი დაენთხია რომელსამე გულის გამგლეჯს მახლობელს, იმათ მოაგონებდა თავიანთ მამაცურს ვაჟკაცობას. ყველა ადგილებთან მიკარება, ყოველი ნაბიჯის გადადგმა იმათ აგონებდა მწუხარე სურათებს, ეს უვლიდა გულში გახურებულს შანთებად და უსიტყვოდ მარტო გმინვას წარმოათქმევინებდა. არის ხოლმე ისეთი წამები, როდესაც სიტყვას ადგილი აღარა აქვს კაცის მწუხარებაში.

ვისაც ეს ხმა არ გაუგონია, იმას არ უგრძვნია, არ გაუგია გოდება ნამდვილად შეწუხებულის გულისა, იმას არ წარმოუდგენია, რა მწვავი ხმის აღმოხდენა შეუძლიან ნამდვილს მგლოვიარე გულს და რამდენად მეტს გაგრძნობინებდათ ეს ხმა ათასგვარად შეხამებულს სიტყვებზედ.

ყველას თვალები სევდიანად გასცქეროდა თავიანთ ნასოფლარს, გალაშკის ქედებს, სადაც როდესღაც ისე ამაყად იბრძოდნენ ეს წამებულნი და სადაც იმდენი სიტკბოებით სავსე წუთები გამოეცადნათ.

მაგრამ რა მიზეზი იყო იმათი გადასახლებისა, რა დაეშავებინათ ისეთი, რომ ეს სატანჯველი მიეყენებინათ, ასე უკაცურად დაესაჯათ?

იმის მეტი არაფერი, რომ იმ დროს ჩეჩნის მმართველებმა ისურვეს ერთბაშად გამდიდრება, ისურვეს გაუმაძღარი თვალების გაძღომა და მოიწადინეს ჩეჩნელთ მდიდარი მიწების ხელში ჩაყრა; ამისათვის ძველ მემამულეთ მოშორება დაინახეს საჭიროდ და კიდეც მოიშორეს.

II

ამ გადასახლებულთ საერთო გოდებას მოშორებოდა ერთი ყმაწვილი ქალი, წარმოუთქმელის სილამაზისა, გასულიყო წყლის პირად და იქ დამჯდარიყო მარტოკა. იმისი ნაზი, მშვენიერებით სავსე, მაგრამ გაცრეცილი სახე დაყრდნობილიყო ხელებზედ და ჟუჟუნა თვალები სევდიანად მისჩერებოდა ერთს ადგილს. ის წასულიყო ღრმა ფიქრში, რომელიც მით უფრო მძიმე ასატანი იყო, რომ იმის თვალებს ცრემლი არ მიჰკარებოდა და გულის ცეცხლს კი მეტად ჩაეწითლებინა ისინი.

იმას თითქოს საქმაოდ არ დაენახა საერთო გოდება და მწუხარება, რომელიც ამხანაგებთან ყოველთვის მეტის სიმსუბუქით აიტანება, და განგებ გაცალკევებულიყო, რათა მომეტებულად დაჰკვირვებოდა თავის მდგომარეობას და მომეტებულად ეგრძნო თავისი მწუხარება, თავისი უბედურება.

ეს გახლდათ შამილის განთქმულის ნაიბის ქალი ელისო, რომლის მამაც ანზორა ჩერბიე, ეხლა მოხუცებული, მოტეხილი, როდესღაც სიგულადის მაგალითი იყო.

ანზორა მოხუცებული, დავრდომილი, რომელმაც მთელი ყმაწვილკაცობა გაატარა მამულის დასაცველად ბრძოლაში, რომელმაც შესწირა სამი შვილი სამშობლოს თავისუფლებას, აწ თავის მარტო ერთი ქალით-ღა ესალმებოდა თავის ქვეყანას.

შუბლშეჭმუხვნილი ანზორა დაღვრემილი სახით და მფეთქავის გულით იდგა თავიანთ ურემთან და ხანჯალზედ ხელგავლებული ყურს უგდებდა მკვნესარს სიმღერას.

იმას რამდენჯერმე გადუარა შუბლზედ ცივმა ოფლმა, რამდენჯერმე გადაიწმინდა ეს ოფლი მთრთოლარე ხელით, მაგრამ მჭმუნვარება მაინც ვერ მოიშორა თავიდგან და აღძრული მოგონებანი წარსულის ცხოვრებიდგან ისევ ისე მწარედ უდაღავდა გულს.

იმას თვალწინ ეხატებოდა წარსული ყმაწვილკაცობა, მკვირცხლად დაცემა აქა-იქ მტრის ჯარზედ. მოაგონდა იმათი ჯოგების გამორეკა, მოაგონდა რუსებისგან წამოღებული ნადავლი, ჩეჩნის ქალების გახარება ამ შემთხვევით; მოაგონდა ის

დღეები, როდესაც ქარსავით ხან აქ გაჩნდებოდა, ხან იქ. როდესაც მთელს ჩეჩენში ლექსს ლექსზედ გამოსთქვამდნენ, ქებას ქებაზე შეასხამდნენ ხოლმე და მძიმე ფიქრებით დატვირთული თავი დაეხარა.

ბოლოს წარმოუდგა თვალწინ თავისი ცოლი მშვენიერს ყმაწვილ ქალად, რომელიც თვალსა და წარბში შესცქეროდა, რომ იმის სურვილისამებრ მოქცეულიყო; წარმოუდგა თავის შვილები, რომელთაგანაც შენახვას და დამარხვას მოელოდა, მაგრამ რომელნიც მამულის დაცვის დროს იმის თვალწინ იქმნენ განგმირულნი მტრის შეუბრალებელის ხელით, და მოხუცმა კიდევ ძალზედ გადაისვა ხელი შუბლზედ და მწარის ამოოხვრით შესძახა:

— ლაი ლაჰა, ილ ალაჰ!..

იმან მიიხედ-მოიხედა, თითქოს მწუხარე თვალები გასართობს ანუ სანუგეშო საგანს ეძებდა, და დაუძახა ერთს პატარა ბიჭს, რომელიც იქვე გარბოდა.

— კორა, ელისო არ გინახავს?

— ჰაი, ჰაი, რომ ვნახე, — უპასუხა ბიჭმა, — ის ა-იქ წყაროსთანა ზის, მე იქ ვიყავ, პირი დავიბანე... მარტოკა არის, ისეთი დაღონებულია, ისეთი რომ... — ბიჭმა აღარ გაათავა და გაიქცა.

— დაღონებული, დაღონებული! — მწუხარებით წარმოსთქვა ჩეჩნელმა, — დაღონებული იქნება, მა რა...

ამ სიტყვებზედ ის უმეტესად დაფიქრდა, ჩაჰკიდა თავი და ცოტა დუმილის შემდეგ მწარედ წარმოსთქვა:

— იმას უყვარს, უყვარს და მე კი მინდა გადავავიწყო, მე კი მინდა გავაშორო!

ანზორა გაბრუნდა წყაროსაკენ და გასწია წუნარის სიარულით.

ელისო, რომელიც წყაროსთან იჯდა, ეძლეოდა თავის მწუხარებას, მით უფრო მეტს საგრძნობელს, რომ ის მამულთან ერთად სტოვებდა თავის საყვარელ ვაჟიასაც.

ელისოს გაგიჟებით უყვარდა მოხევე ვაჟია, რომელსაც დაუახლოვდა იმის მეცხვარეობის დროს.

განთქმული გულადობით ვაჟია, მშვენივრად შეყრილი და კაი შეძლების მქონე, არავისგან დაირიდებოდა საქმროდ, მაგ-

რამ რადგანაც ვაჟია ქრისტიანი იყო და ელისო კი მაჰმადიანი, ამისთვის ქალმა კარგად იცოდა, რომ ნათესაობა არ დასთანხმდებოდა იმათს შეუღლებაზედ.

ელისოს არამც თუ ვაჟიაზედ გათხოვების ნებას მისცემდნენ. არამედ ლაპარაკსაც კი ვერავისთან ჰბედავდა ამ საგანზედ. ის ვერავის გაუშლიდა თავის გულს, ვერ ჩაახედებდა იმის მოძრაობაში, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ თანამგრძნობელს ვერ იპოვიდა თავის მოძმეთა შორის!

უწინდელს დროში რომ მომხდარიყო ამგვარი შემთხვევა და მაჰმადიანს „მთიელი“ ქრისტიანი შეჰყვარებოდა, მაშინდელის იქაურის ჩვეულებით, სარწმუნოება დამაბრკოლებელ მიზეზად ვერ შეიქნებოდა იმათ შეერთებისთვის; მაგრამ ეხლა, როდესაც ქართველები, ე. ი. ქრისტიანები „გიაურებს“ ანუ რუსებს წინ მიუძღოდნენ და გზებს უჩვენებდნენ, როდესაც ისინი გიაურებთან ერთად ებრძოდნენ დამოყვრებულს მეზობლებს, — ეხლა სულ სხვა იყო. ქრისტიანების შემწეობით დაიჭირეს გიაურებმა იმათი ადგილები, ქრისტიანების შემწეობით დაიმორჩილეს „მშიშარა გიაურებმა“ ისინი და ამის შემდეგ რაღა ერთობა შეიძლებოდა ამათ შორის!

ასე ჰფიქრობდა, ასე ამბობდა ყოველი ჩეჩნელი და, რასაკვირველია, ამის შემდეგ იმათ და მეზობელ ქართველებს შორის ყოველი კავშირი უნდა მოსპობილიყო და ოდესმე დამეგობრებული ორი ტომი ეხლა მოსისხლე მტრებად უნდა გადაქცეულიყვნენ.

ნაიბ ანზორა იყო ჭკვიანი და მოაზრებული, როგორც მომეტებული წილი მთის ხალხი, თუმცა ცოტათი უფრო სხვანაირად უყურებდა ქართველთა და ჩეჩნელთ წინააღმდეგობას და ამბობდა: ჩვენგან დაშორებული ქართველები ვინც არიან, ისინი სტყუვდებიან სხვადასხვა დაპირებით, მთის ქართველები კი ძალად გამოჰყავთ ჩვენზედ, მაგრამ, ასე იყო თუ ისე, „გიაურების“ გამარჯვებას მაინც ქართველებს მიაწერდა და ნებაუნებლივ გულით უნდოდა დაშორებოდა იმათ.

მაგრამ დახე იღბალს!.. თითქოს განგებ, მეტს სატანჯავად, იმის მარტო ერთს ქალს მოხვევე ვაჟია შეჰყვარებოდა!

იმან, მართალია, ზედმიწევნით არ იცოდა ეს, მაგრამ ეჭვი კი დიდი ჰქონდა.

მერე რა დროს მოხდა ეს საქმე? როდესაც ის შორდებოდა თავის მამულს, როდესაც უკანასკნელი მშვიდობა უთხრა თავის სახლს და მთრთოლარე ხელით, ფერმიხდილმა და გულდაწყვეტილმა, ცეცხლი წაუკიდა! ამ დროს, ამ მწუხარებისა და ტანჯვის დროს, იმის ქალის, მარტო ერთი ნუგეშის, გული დაესაკუთრა ქართველს, რომელსაც ნებაუნებლიე უნდა დაეშორებინა მშობლისათვის!..

იმან იცოდა, რომ ელისო, როგორც ჩეჩნის ქალი, მალე არ დამშვიდდებოდა, მალე ვერ დაიმორჩილებდა თავის გულს, რადგანაც ჩეჩნელი ძნელად შეიყვარებს, მაგრამ, თუ ერთხელ შეიყვარა, იმან არ იცის ნახევრად სიყვარული — ის ამ გრძნობას ეძლევა სულით და გულით.

ის თუმცა ასე ჰფიქრობდა, დარწმუნებული იყო თავის გარდაწყვეტილებაზე, მაგრამ მაინც დროს კლოდა, რომ იქნება აღძრული გრძნობა როგორმე გულიდგან გადავარდნოდა იმის ქალს, მაგრამ დაღვრემილის სახით უყურებდა ელისოს დღითი-დღე ჩამოდნობას, დღითი-დღე მეტად დაღონებას, და თუმცა ეს ყველა უსიტყვოდ და უჩივლელად ხდებოდა, მაგრამ მით უფრო მეტის ძალით და მეტის სიჩქარით უმოკლებდა მას დღეს.

ანზორა დღემდის მაგრობდა და არც ერთხელ არ გაუგებინებია თავის ქალისათვის, რომ ის ამჩნევს ამ მწუხარებას, მაგრამ დღეს, როდესაც უკანასკნელად ხედავდა თავის სამშობლოს მთის წვერებს, როდესაც, როგორც ავაზაკები, ტყვეები ჩააბარეს უგულოს და გაუთლელს სალდათებს, გულმა მოითხოვა თანამგრძნობელი, მარტოობას ვეღარ გაუძლო და სწორედ ამ მიზეზით გასწია თავის ქალისკენ.

ელისო ისე გართული იყო „გულის საყვარელზედ“ ფიქრით, რომ მამის მისვლაც კი ვერ შეამჩნივა.

— ელისო! — მისვლის უმალ, მხარზედ ხელის დადებით, უთხრა მამამ.

ქალი შეკრთა და წამოსადგომად წამოიწია.

— იჯექ, იჯექ! — არ აუშვა ანზორამ და თითონაც გვერდით მოუჯდა.

ისინი კარგა ხანს გაჩუმებულნი იყვნენ. ელისო დაღონებულის თვალით გასცქეროდა ტრიალს მინდორს, რომლის

იქიდგანაც სივრცეში იკარგებოდა ტყიანი მთის წვერები, მამა კი იმას დაჰკვირვებოდა, თითქოს უნდოდა იმის გულიდგან ამოეკითხა ყოველი იმის სულის მოძრაობა.

ბოლოს ამოიღო ნაკუწების ქისა, გაფშვნიტა თამბაქო ხელის გულზედ, გააკეთა ყალიონი და დაუწყო კვესება; აბედი დანოტივებულიყო თუ ცუდად იდო ტალზედ, არ ეკიდებოდა, და ამისთვის ანზორამ რამდენჯერმე გადმოიღო, გაუძენძა ნაპირები და ისევ ხელახლად შეუდგა კვესებას. ბოლოს, როცა იყო, გაედო აბედს კვესისგან გადმოცვივნული ნაპერწკლები და ანზორამ მოუკიდა ყალიონს. ის სწევდა კარგა ხანს, შეუწყვეტლივ და ძალზედ, თითქოს ბოლით უნდოდა გაებრუებინა გულის მოძრაობა, მოეკლა იმისი გრძნობა და გაეჭარვებინა მწარე ნაღველი, რომელიც გარს შემოხვევოდა.

კარგა სიჩუმის შემდეგ იმან დაღონებით წამოიძახა:

— მოგკვდა მამა! რად ნაღვლობ აგრე?

— მე არა ვნაღვლობ, — უპასუხა ქალმა და მიაპყრა სევდიანი თვალები.

— ვხედავ, ვხედავ, — თავის ქნევით და წარმოუთქმელის მწუხარებით უპასუხა მამამ და მერმე დაუმატა: — სწუხარ, იტანჯები და მე ბედშავს კი ველარ მიშველია!

— ჩემთვის ნუ სწუხარ, მამაისი! — უპასუხა ქალმა და დაუწყო ნაზად ალერსი.

— ხომ სწუხარ, ხომ იტანჯები?

— რად მოგატყუო, მართალი ხარ.

— მაშ რატომ არ მეუბნები, რად მიმალავ?

— შენ კი ცოტასა სწუხარ?.. ნეტავი შემეძლოს შენი მწუხარებაც მე მომეხვია თავზედ, — უთხრა ელისომ და მოეხვია ანზორას.

— მე! — მწარის ჩაცინებით წამოიძახა ანზორამ. — მე... ჩემი დღენი განვლე, სამარეში ფეხი ჩავდგი, ბევრი გადამხედია თავზედ, მაგრამ შენ კი ეხლა შედიხარ ცხოვრებაში.... ვინ იცის, რა იღბალი მოგელის... ე, ჰე, ჰე!.. ღმერთი დიდია,— გაათავა ოხვრით მოხუცმა.

— შენ იყავ მშვიდობით, მოსვენებით და მე სხვა არა მინდა-რა.

მოხუცმა შეხედა თვალებში, მაგრამ არა უპასუხა რა. ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო:

— რატომ არ მიხვალ შენ ტოლ-სწორებთან, რადა მარტოვდები?

— რა მინდა, რა გავაკეთო?

— რა გააკეთო!.. განა ისინი კი არ იტანჯებიან?.. განა იმათ გულში კი არა ბრუნავს ჯოჯოხეთის ცეცხლი?.. ბრუნავს მაგრამ მეზობლებთან ჭირიც ლხინია!.. აგერ ისინი ჭიანურს უკრავენ, ლხინობენ... ხანდისხან სტირიან კიდეც, შენც იტირე, ტირილი გულს გიპოვის.

— ბედნიერები! იმათ ტირილი მაინც შეუძლიანთ! —დაღონებით წამოიძახა ელისომ.

ანზორამ თანაგრძნობით შეხედა ქალს და წარბებშეჭმუხვნით წამოიძახა:

— დიაცთა უნდა იტირონ, მამაცთა — შური იძიონ! — და ამ სიტყვებთან ერთად გაივლო ხანჯალს ხელი.

ანზორას ჩაცვივნული, სიცოცხლეგამქრალი თვალები თითქოს ერთბაშად აენთნენ და რაოდენიმე ხანს ისე ელვარებდნენ, რომ კაცს უნებურად თავს მოახრევინებდნენ. ბოლოს თანდათან დამშვიდდა, შეხედა თავის ქალს და ტუჩები აუთრთოლდა.

— ელისო! — წარმოსთქვა იმან ბოლოს და ხმაში კანკალი დაეტყო, — რა გაწუხებს აგრე, რა გლევს?

— არ ვიცი.

— შენ კიდევ სხვა ნაღველი გაქვს და მიმალამ.

— მე არაფერს გიმალავ, მამაისი.

— შენი აგრე ყოფნა გულს მიწამლავს, უდროოდ სიცოცხლეს მართმევს.

— მე ხომ არა ვჩივი, სხვა რაიღა გინდა?

— ღმერთო! — წამოიძახა მოხუცმა, — შენი მოსვენება!

— მე მოსვენებული ვარ.

— არა ხარ, არა! და ეგ არის ჩემი უბედურება!

— მაშ როგორ მოვიქცე, რა ვქნა?

— მითხარ ყოველისფერი, გაუშალე შენს მშობელს შენი გული, ხომ იცი, რომ იმას მზე და მთვარე შენზედ ამოსდის; ჩემი გული უდროოდ დადნა, დაიწვა... თუ შენც აღარ გებრალები?!

— მამავ, მამავ!.. რას მეუბნები?.. მითხარ რითი დაგიმტკიცო სიყვარული, მითხარ თუ ჩემი სიცოცხლე გამოგადგება რადმე და ნახამ რაოდენად უყვარხარ შენს ქალს... ოღონდ კი მითხარი და...

ამ სიტყვებით ის მოეხვია მოხუცს და დაუწყო ლოშნა.

დიდის ხნის შეგუბებულს ცრემლებს ანზორას სიტყვებიღა აკლდა, რომ გზა მისცემოდა და ელისოს თვალებს გადმოსდენოდა მდუღარე ნაკადული.

— ვიცი, ვიცი, რომ გიყვარს და ეგა მკლავს უმეტესად! გიყვარვარ და არ მეუბნები, რა გტანჯავს; გიყვარვარ და ვერაფრით მიშველია შენთვის!.. იქნება ჩემის მიზეზით ეძლეოდე მაგ სატანჯველს?

— შენთვის ტანჯვაც სიხარულია!

— მაშ რაზედ-ღა ჰკვდები, რაზედ-ღა სდნები?

— არ ვიცი, არა. — და უფრო მეტად მოეხვია ქალი.

— იქნება გიყვარს ვინმე? — სიფრთხილით გაუტარა სიტყვა ცოტა სიჩუმის შემდეგ.

— მე ეგ არ მითქვამს, — სწრაფად უპასუხა ქალმა.

მაგრამ ამ სიტყვებზედ ელისოს მთრთოლარე ხელები უფრო ათრთოლდნენ და გულმა ისე ძალზედ ცემა დაუწყო, რომ ანზორას აშკარად ესმოდა იმისი მოძრაობა. ის მიეკრა მამას, რომელიც თითქოს საფრად ამოერჩია და, თუმცა თავის გრძნობის გამოთქმა ვერ გაებედნა, მაგრამ უნდოდა კი, რომ ანზორა თითონ მიმხვდარიყო.

— შენ ეგ არ გითქვამს, მაგრამ ეგ აგრეა! — თავის ქნევით წარმოსთქვა ანზორამ, — რა ვუყოთ!.. ეგ არის წესი... დრომ დაჰკრა, ბარტყი უნდა გაფრინდეს!.. გაუხსენ შენი გული შენს მამას, შეატყობინე იმას, ვინ ართმევს შენს თავს, და გეფიცები ჩემს წინაპართ საფლავს, ჩემი გული წინ აღარ გადაეღობება შენს სურვილს. ვინ არის, ვინ გიყვარს?

ამ სიტყვებზედ მამა მთლად სმენად გადაიქცა და გულის ძგერით ნატრულობდა — მოხევის სახელი არ გაეგონა.

— მამავ, მამავ! რად გინდა ყველაფერი მათქმევინო? რად გინდა ჩააღწიო ჩემის გულის საძირკვლამდის? გეფიცები, რომ, ვინც უნდა მიყვარდეს, როგორც უნდა მიყვარდეს, ჩემს

გრძნობას გულში მოვიკლავ, გულში დავიმარხავ და შენ კი თავს არ დაგანებებ!

გახარებული მამა მოეხვია თავის ქალს, იგრძნო, რომ თავის ნაშობს უყვარდა, სიკვდილის ჟამს თვალებს დაუხუჭავდა, სხვა რაღა უნდოდა? მაგრამ პირველის სიამოვნების შემდეგ იმან მოიშორა ქალი და უთხრა:

— დაიცა, ნუ ჩქარობ, უბრალოდ ნუ ფიცულობ!.. როგორც ბალახს უნდა დილის ნამი, ისე ქალს გათხოვება... ყველას თავისი დრო აქვს... მითხარ, ვინ გიყვარს?

— რად გინდა, ვინც უნდა იყოს!

— ვაჟია? — გულის კანკალით მოელოდა პასუხს მამა, რომელსაც კიდევ რაღაცა იმედი ჰქონდა, რომ ელისო რომელსამე ჩეჩენს დაასახელებდა.

ქალი პასუხის მაგივრად გადაეხვია თავის მშობელს, რომელსაც სიტყვა გააწყვეტინა პირში ამ შემთხვევამ.

— კიდეც მაგისთვის არ მეუბნებოდი, — ძლივს წარმოსთქვა იმან.

— რა გინდა, მამავ? რას დასდევ, ვინც უნდა იყოს?.. მე შემოგფიცე და არ მოგშორდები.

— ყოველი დღე კი ოხვრით და მწუხარებით გაატარო?

— ვეცდები, დავივიწყო...

— ვერ დაივიწყებ, ვერა! — პირზედ ხელების დაფარებით და მწუხარებით წარმოსთქვა მამამ.

— ვაჟია ქრისტიანია და მე ჩეჩნელი, — უნდა დავივიწყო.

— უნდა, თუ კი შესძლებ.

— გითხარ, რომ შევსძლებ-მეთქი.

— ელისო! ყური დამიგდე... მე მყვანდა ჩემი ჯოგი და მთელს ჩეჩნის მინდორზედ დამიდიოდა უშიშრად; მოვიდნენ გიაურები და წამართვეს... მე მყვანდა ჩემი ცხორი და ჩემს სახლს წინ სტუმარს არ გაუვლია, რომ არ მომეპატივა, საკლავი არ დამეკლა, — გიაურები დამეცნენ და წამართვეს... მე მქონდა სახლი და ის თავშესაფარი იყო ყველა შეწუხებულისა, ყველა გაჭირვებულისა, — მოვიდნენ გიაურები და დამიწვეს... ყველა ეს ქართველებისაგან მოხდა, ისინი მოუძღვებოდნენ ბელადად გიაურებს, ისინი უჩვენებდნენ გზას, ისი-

ნი გვეომებოდნენ... შემრჩა სამი ვაჟი, შენ და ჩემი იარაღი. მე გავიქეცი მთებში, იქიდგან მინდოდა გადამეხადა ამ უსამართლობისთვის, მაგრამ, რა ღმერთი კაცზედ ერთხელ ხელს აიღებს, ტყუილი-ღაა იმისი ცდა!.. აქაც გიაურები ქრისტიანების შეწყობით მოვიდნენ და სამივე შვილი რიგ-რიგად თვალწინ დამიხოცეს... მაღალო ღმერთო! რა დღე იყო ის დღე.... მე როგორ-ღა გადავრჩი ამის მნახველი!.. ერთი ეს-ღა მქონდა სანუგეშო, რომ ვაჟკაცნი ვაჟკაცად დაიხოცნენ: სამთავ მკერდი ჰქონდათ გახვრეტილი, ჩემს შვილებს ზურგი არ ეჩვენებინათ მტრისთვის...

აქ მოხუცს შეჩერება დასჭირდა. ძალზედ ამოიხვნეშა ანზორამ, გადისვა შუბლზედ ხელი და კარგა ხანი მოუნდა, სანამ ლაპარაკის გაგრძელებას მოახერხებდა.

— შვიდჯერ იერიშით მოსულნი გიაურები, შვიდჯერვე გავაბრუნეთ უკან და აქაც თუ ქრისტიანები (ქართველები) არ ყოფილიყვნენ, გიაურები ვერ აიღებდნენ ჩვენს სოფელს!.. ერთი მე, მე-ღა გადავრჩი ჩვენის სახლიდგან და ისიც იმისთვის, რომ ყოველგვარი ჯოჯოხეთის ცეცხლი დაბრუნებულიყო ჩემს გულში!.. დავბერდი, მოვუძლურდი და, როდესაც მოსვენება მეჭირვება, მომვლელს ვეღარ ვპოულობ, ვშორდები ჩემის მამა-პაპის საფლავს, ვშორდები ჩემის შვილების ძვლებს, რომელთაც ჩემი ძვლები ვეღარ შეეხება!.. ძნელია, ძნელი ჩემი ცხოვრება! მოძმეთ ცრემლიც კი აღარ ეღირსება უპატრონო ცხედარს... ეხლა მარტო შენ-ღა უნდა იყო ჩემს ნუგეშად, მარტო შენგან-ღა მოველი თვალების დახუჭვას, მაგრამ... თუ ვაჟია მართალის გულით გიყვარს, თუ ვერ დასთმობ იმას, მითხარ და... მაგ უკანასკნელს ნუგეშსაც... დავთმობ...

— არა, მამა, მე არ მოგშორდები, ასჯერ მომეტებულადაც რომ მიყვარდეს, მე არ მოგშორდები!.. დრო გაივლის... დამავიწყდება... განა დამავიწყდება, მამავ?..

მამამ მიიკრა გულში ქალი და მთრთოლვარეს ტუჩებით დაუწყო ლოშნა, მერე მიაპყრო ზეცას თვალები, დაწყნარდა, მაგრამ გულმხურვალედ წარმოსთქვა:

— გმადლობ შენ, ღმერთო, რომ ამ უკანასკნელს ნუგეშს მაინც არ მართმევ!

ანზორამ ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც ერთი მოწიფული ბიჭი, კოხტად თოფგადაგდებული მხარზედ და გვერდზედ თუშურ ქუდმოგდებული, თავს წამოადგა.

— მარშიოღულ! — შემოსძახა იმან მოსვლის ჟამალ.

ელისო ფეხზედ წამოვარდა ამ ხმაზედ, მთლად ჯაწითლდა და თავდახრილს ხმა ველარ ამოელო.

— გაგიმარჯოს, — უპასუხა ანზორამ ფეხზედ წამოდგომით. — სტუმარი ღვთისაა, წავიდეთ ბინაზე, რაიც ღმერთმა მოგვცა, იმით ვახსენოთ იმის სახელი.

— ჩეჩნელნი პურადნი არიან, იმათი გულუხვობა შორს არის განთქმული, მაგრამ პური არ მშიან...

— მგზავრი ყოველთვის მზად უნდა იყოს პურის საჭმელად, ვინ იცის, მეორე წუთს ექნება-ღა პურის საჭმელი დრო!

— ჰაი, ჰაი, რომ აგრეა, მაგრამ გზას მივეშურები... აქ იმად მოვბრუნდი, განთქმული ანზორა ჩერბიჟის სოფლელები თუ იქნებოდნენ, იმის ამბავს ვიკითხამდი.

— ანზორა ჩერბიჟ?.. ანზორა ჩერბიჟ მე ვარ, მაგრამ შენ ვინა ხარ, ვერა გცნობ, ბნელა.

— ანზორ! — დაიძახა უცნობმა და წინ მოიწია.

— ვაჟა! — წამოიძახა გაკვირვებულმა მოხუცმა.

— ღმერთო! ელისოც აქ არის? — ცოტა სიჩუმის შემდეგ წარმოსთქვა ვაჟამ: — რა ამბავია? საით გამგზავრებულხართ? ხატობას თუ მიხვალთ? — დააცქერდა ელისოს, რადგანაც პასუხს არავინ აძლევდა, ისევ ვაჟას მოუნდა ლაპარაკი.

— ქალაუ! ჩემის მხრის ქალები ხატში ლხინით და თამაშით მიდიან, შენ რაისთვის-ღა მოგიწყენია?

— ჩემის მხრის ქალებმაც ლხინის დროს ლხინი ვიცით და გლოვის დროს — გლოვა, — უპასუხა გულჩათუთქულმა ელისომ.

ამ სიტყვებზედ შეკრთა ვაჟია, რომელიც საზამთროდ ბინის დასაჭერად მიდიოდა ანზორას სოფელში და რომელმაც ამათი გადასახლების ამბავი არ იცოდა; ის ემზადებოდა ამავე ზამთარს ელისო ეთხოვა. ვაჟიამ წყნარად მოავლო თვალი იქაურობას და გადასწყვიტა, რომ იმათი სამხადისი ხატობაში წასვლას არ მიემზგავსებოდა.

— ანზორ, რა ამბავია? — იკითხა იმან შეშინებულის ხმით.

— სტამბოლს მივდივართ, — ყრუდ, მაგრამ გარკვევით უპასუხა მოხუცმა.

ეს სიტყვები ისე მოულოდნელი და წარმოუდგენელი იყო ვაჟიასთვის, რომ სიტყვაგამშრალს კარგა ხანი მოუნდა, სანამ ხმის ამოღებას მოახერხებდა.

— სად მიხვალთ? როგორ სთქვი? — ბოლოს წაილუღლუღა იმან.

— სტამბოლს, — მოკლედ მოუჭრა მოხუცმა.

— სტამბოლს? — გაიმეორა ვაჟიამ დაფანტვით და ჯერ კიდევ აზრები ვერ მოეკრიფა, — სტამბოლს?.. ეგ საით იქნების? მეხუმრები, ანზორ, განა?.. ოო, ელისო! შენ მაინც მითხარ მართალი.

— ანზორ მართალს ამბობს, სტამბოლს მივდივართ.

— ელისო, რას ამბობ?.. იფიქრე კარგად... მერე მე რაღა პასუხს მაძლევთ?

— შენ?.. — ჰკითხა მოხუცმა და სიტყვა ველარ გაათავა.

— ჰო, მე, მე!.. მაგრამ რაიღა დამალვისაა!.. ელისო მიყვარს, ელისოსთვის დნების ვაჟიას გული! შენ კი ამბობ, სტამბოლს მივდივართო!

— ჩემი ქალი გიყვარს, მაგრამ...

— მიყვარს, ღთის მადლმა, და ისე მიყვარს, როგორც თევზს წყალი, როგორც ფრინველს ჰაერი!.. ოო! ანზორ! მე უმაგისოდ ვერ გავძლებ... რაისთვის მირღვევ ბედნიერებას, რად მართმევ სიცოცხლეს?!

მოხუცი მთლად კანკალებდა და პასუხი ვერ მიეცა.

იმას თვალწინ ედგა ოცის წლის ყმაწვილი კაცი და თექვსმეტის წლის ელისო, ისინი ითხოვდნენ ბედნიერებას და ჰქონდათ კიდეც უფლება ამ ბედნიერებისა. რა საბუთი, რა უფლება ჰქონდა მოხუცს წინგადასდგომოდა იმათ?..

— ელისო, გესმის? უპასუხე შენ თავად, უპასუხე!

— ელისო! მითხარ, მითხარ, თორემ ნაღველი მისივდება, გული მელევის!..

თუმცა მამაც და ვაჟიაც ორნივ იწვევდნენ ელისოს სალა-

პარაკოდ, მაგრამ ის ისე გაქვავებულს სურათსავით იდგა, თითქოს მოლაპარაკეთ სიტყვები იმას არ შეეხებოდა.

ორნი მკითხველი გულისძგერით მოელოდნენ ელისოს პასუხს, თუმცა ორთავეს სრულებით სხვადასხვა პასუხის გაგონება უნდოდათ.

ელისო ჩუმად იდგა და ხმაამოუღებელს ეტყობოდა, რომ გულში ორს მოპირდაპირე გრძნობას წარმოუთქმელი ბრძოლა ჰქონდა. ერთკენ იდგა მამა და შვილის მოვალეობა იმის წინაშე, მეორედკენ — სატრფო და იმისი დათმობა. ამ ერთის წუთის წინ ელისოსთვის გადაწყვეტილი იყო, რომ გრძნობაზედ მოვალეობას უნდა გაემარჯვა, მაგრამ, რა თვალი შეჰკრა ვაჟიას, რა უხილავმა ძალამ გაირბინა იმის სხეულში, რა ვაჟიას ხმა გაიგონა, — ის მაშინვე გადაიქცა იმად, რადაც უნდა ყოფილიყო — დედაკაცად, და თუ ჯერ სიყვარულის გრძნობას სრულიად არ დაემორჩილა იმისი გული, გამარჯვება მოვალეობისათვისაც არ დაეთმო მას.

— ელისო! გაიმეორე ისა, რასაც წეღან მეუბნებოდი. თუ ვეღარ გაგიბედნია, რა ეს კაცი დაინახე?

— მამავ! — ძლივს გამოსთქვა ელისომ და გაჩუმდა ისევ.

— რაღასა გკითხამ! — გულდაწყვეტით წამოიძახა მოხუცმა, — დღე საით დაიმალების?! მომატყუე განა? — წყენით დაუმატა ანზორამ და მუხლები ჩაეკეცა. ისე დარჩა რაოდენიმე ხანი და სხვებიც გაჩუმებულნი იდგნენ. მშობლის უბედურებას დაემონებინა, თავი მოეხრევინა ყმაწვილურის გატაცებისთვის.

მოხუცის გული ილეოდა, ილეოდა ვაჟიას და ელისოს გულიც იმის ცქერით. ბოლოს მოხუცმა აიღო თავი და უნუგეშოდ მოათვალიერა იქ მყოფნი; მთრთოლვარე თითები თითქოს ხელმოსაკიდს საშველს საგანს ეძებდნენ. ბოლოს დაიფარა თვალებზედ ხელი და წარმოუთქმელის მწუხარებით სთქვა:

— მაშ ყველაფერი გათავდა ჩემთვის, ყველაფერი... სრულიად მარტო, მარტო უნდა ვიარო?.. არც შემბრალებელი, არც დამტირებელი! არც სამშობლოს მიწა-წყალი!.. ყველაფერი წამართვეს, ყველაფერი... — შენ, შენ, ვაჟიავ, გეჯავწებ! შენა გთხოვ, გემუდარები!.. გესმის, ანზორა ჩარბიჭი გეხ-

ვეწება, ანზორა ჩერბიჟი, რომელიც თავის დღეში კაცს არ შეხვეწნია... შენ ვაჟკაცი ხარ, გაიგებ ჩემი ხვეწნის ძალას... გაიგებ მოხუცის გულს... ნუ წამართმევ ამ სიბერის დროს მაგ მარტოდ ერთს ნუგეშს!.. შენ რა გიჭირს, ბედნიერო! შენ სახლი გაქვს, კარი, მამული, შენი მიწა-წყალი!.. შენ ძმები გყავს, ბედნიერო! ნათესაობა! შენ ყმაწვილი ხარ და კიდევ ბევრი ბედნიერება მოგელის — კიდევ ბევრს იპოვი თვალუუყუნა ქალებს, რომელნიც შენ გაგახარებენ, და მე?.. აბა შემომხედე... მე მოვხუცდი, ცალი ფეხი სამარემდის მიმიღწევია, ყველაფრით ცარიელი დავრჩენილვარ და ეს ქალიც რომ წამართო, რალა მრჩება?..

ამ სიტყვებზედ მოხუცს სული შესტაცა მღელვარებამ. იმან დაიწყო ნაწყვეტ-ნაწყვეტად ქშენა, რადგანაც სული ვეღარ ამოექცივა და უსიტყვოდ, ხელების მოძრაობით-და ანიშნებდა თავის სატანჯველს. აშკარად გამოხატოდა პირის სახეზედ იმ აღგზნებულის საკირის ძალა, რომელიც ანზორას გულში ინთებოდა.

ვაჟია გულკეთილი იყო და ამის მაგალითი არა ერთხელ ენახათ, მაგრამ ელისოს დათმობა იმისთვის შეუძლებელი იყო, რადგანაც თავისი არსებობაც ვერ წარმოედგინა უიმქალოდ.

ელისოს შეენანა თავისი მამა, ამ სურათმა მეტად მოულბო გული, ვაჟიას აღარ დააცალა პასუხი და აშკარა მღელვარებით და ხმის კანკალით, რომელიც წამდაუწუმ უწყდებოდა, წარმოსთქვა;

— ვაჟიაუ! იყოს თავდები ზევით ღმერთი და ქვეშ დედამიწა, რომ ელისოს შენს გარედ არავინ ჰყვარებია, არ უყვარს და არ ეყვარება!.. თავის დღეში შენს გარეთ სხვა კაცს იმის ჭმრის სახელი არ ერქმევა.

ამ სიტყვებზედ მამამ მწარედ დაიკვნესა. ვაჟიამ კი სიხარულით წინ წამოიწია.

— მაგრამ... მაგრამ ელისო თავის მამას თავს არ დაანებებს!

ამ სიტყვების შემდეგ მოძრაობა შეიცვალა:

მოხუცი მთრთოლვარე ხელებით ეპოტინებოდა ქალს, რომ იმისი სახე მიეზიდა თავის გახურებულს და გამშრალს ტუჩებთან, მაშინ როდესაც ვაჟია ზარდაცემულსავით იდგა და

გაბრუებულს არ ესმოდა, რა ხდებოდა იმის ირგვლივ.

იმას თვალები თითქოს ენთებოდა და ზედ წითელი რალაც გადაბლანდოდა, რომელიც წამდაუწუმ გაწითლებულს ცეცხლსავით ფეთქავდა; თავზედ თითქოს რკინის თალები შემოეჭირათ და მით სისხლის და აზრის მოძრაობა შეეყენებინათ.

მე ასე მგონია, რომ ვაჟია სწორედ იმ მდგომარეობაში იყო, რომელიც სიგიჟის წინა წუთებს მოასწავებს.

ბოლოს იმან ძალზედ ამოიქშინა, თითქოს ამით უნდოდა განთავისუფლებულიყო მძიმე ტვირთისაგან; გაიქნია რამდენჯერმე თავი, მოიკრა გულზედ ხელი და „ოხ-მე“-ს წამიძახებით საკინძე წელამდის ჩაიტანა.

ანზორა წამოდგა და ქალზედ დაყრდნობილი ცოხცახით გაბრუნდა. მერმე შედგა, მოუბრუნდა ვაჟიას და უთხრა:

— მშვიდობით, ვაჟიაუ!.. ღმერთმა კეთილი მოგცეს, იღბალს შეგახვედროს, — და ამ სიტყვებით გაბრუნდა, რადგანაც მეტი ველარა მოახერხა-რა.

— მოიცა, ანზორ! — წამოიძახა მოხევემ ერთბაშად და ხელებგაწვდილმა რამდენიმე ნაბიჯი წარსდგა წინ.

ანზორა შედგა.

— შენ ამბობ, რომ ელისო გიყვარს, მაგისთვის კეთილი გინდა... მერმე მე კი არ მიყვარს, მე არ მინდა კეთილი?.. ღვთის მადლმა, მე შენზედ მეტად მიყვარს! მე შენზედ მეტად ვიტანჯები უმაგისოდ!.. თუ ეგ არ მეყოლების, რაღამ უნდა მაცოცხლოს?

— ელისო! წაჰყევ, თუ გინდა! — უთხრა მამამ.

— მამავ, მე გითხარ, თავს არ დაგანებებ-მეთქი, რაღად მაწვალებ?..

— ვაჟიავ! ხომ გაიგონე, რომ ჩემი ქალი ჩემთან რჩება?

— და ის კი ველარ გაიგონე, რომ მე უყვარვარ? — მიატანა ვაჟიამ,—მე უყვარვარ და შენთან კი რჩება! ვერ გაიგონე, რომ ჩემის მეტი ქმარი არ უნდა?.. რაისთვის უმწარებ სიცოცხლეს?.. იმად, რომ მარტო შენ ისიამოვნო?.. აჰუ!.. შენ ჩემზედ ცოტად გყვარებია! მე ჩემის სიხარულისთვის მაგას ვერ გავტანჯავდი, ვერა, ღთის მადლმა!

— ო, ო, წყეულო, წყეულო! — კბილების ღრჭიალით წარმოსთქვა მოხუცმა, — გველი გარედგან არის ჭრელი და ადა-

მიანი შიგნიდგან!.. შენ გაწდა მაგ სიტყვებით დამათმობინო ქალი, ო, ო, წყეულიმც...

— მამავ! — გააწყვეტინა ელისომ, — რად სწყევლი, მე გითხარ, თავს არ დაგანებებ-მეთქი და...

— მაშ არ გიყვარვარ? — შესძახა ვაჟიამ და მთლად გაფითრდა.

— მიყვარხარ! ღმერთია მოწამე, მაგრამ მამას თავს არ დავანებებ.

— მაშ უშენოდ თავი რაღად მინდა! — წამოიძახა ერთბაშად მოხევემ.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მარდათ წამოიტრიალა თოფი, წამოაყენა ჩახმახი და წვერი მიიბჯინა გულზედ, ისე რომ სასხლეტს ფეხით მისწვდომიყო.

ელისომ დაიწივლა და გულშემოყრილი დაეცა, ანზორა მივარდა და თოფს ხელი აუკრა სწორედ იმ დროს, როდესაც მოხევე ფეხით დაცემინებას უპირებდა ჩახმახს. თოფი გავარდა, მაგრამ ანზორას წყალობით ტყვიამ ჰაერში გაიტანა გრიალი.

— რას სჩადი, შე ცოდვით სავსევ! — შესძახა ანზორამ.

— რად მიჭერ, თავი მოვიკლა... უმაგისოდ ჩემი სიცოცხლე მაინც არ იქნების.

— ნუ გამრევ შენს ცოდოში, შენ შენი ღმერთი, დადექ...

ამ დროს დაინახეს გულშემოყრილი ქალი და ორნივ იმისკენ გაქანდნენ, ორთავ თავიანთი თავი გადააგვიწყდათ და ცდილობდნენ ელისოს მობრუნებას; ბოლოს, როდესაც კარგა ხანმა გაიარა, ქალმა ამოიქშინა და იმის ამოქშენასთან მამამაც და ვაჟიამაც ძლივს თავისუფლად ამოისუნთქეს.

— გადარჩა! — წარმოსთქვა მოხუცმა.

— მადლი უფალს! — დაუმატა ვაჟიამ.

იმათ ორთავეს გადავიწყებოდათ თავიანთი წინააღმდეგობა, თავიანთი განსაცდელი, თავიანთი თავი და საზრუნველად მარტო ელისო-და გახდომოდათ — იმის მეტი აღარა ახსოვდათ-რა.

ელისომ წყნარად გადაისვა შუბლზედ ხელი, კიდევ ამოისუნთქა და წყნარადვე წარმოსთქვა:

— სადა ვარ... რა მომდის?

— ნუ გეშინიან, ნუ, ელისო!.. აქა ხარ, ჩემთან! — უპასუხა ანზორამ.

— ოჰ, მამავ!.. რა ამბავი იყო?.. რაღაც მოხდა, მაგრამ არ მახსოვს!

— არაფერი, თოფი გავარდა და შენ შეგეშინდა...

— ჰო, თოფი?! — წარმოსთქვა იმან და წამოიწივა, მერე ერთბაშად მოაგონდა ყოველისფერი და საშინელის წივილით წამოვარდა: — რა იქნა, რა? შენ მოჰკალ! მამავ, შენ... ვაიმე დაღუპულმა...

ამ სიტყვებით იმან გაიკრა თმებს ხელი, მაგრამ ვაჟიას გაშლილი მკლავები ჩქარა მოეხვია იმას და მიიკრა გულთან.

— ნუ გეშინიან, აქა ვარ, შენთან, ცოცხალი, კარგა მყოფი.

— ღმერთო ჩემო!.. მითხარ, ხომ არა იტკინე-რა, ხომ არ დაიჭერ... მართლა ცოცხალი ხარ, მართლა?.. ო, ო, შე უღმერთო, თავი რომ მოგეკლა, მე რაღას მეუბნებოდი?.. აღარ გებრალებოდი მაინც?! — ხვევნითა და კოცნით ეუბნებოდა ელისო ვაჟიას.

— ჩემო ყველავ! — იყო ვაჟიას პასუხი, რომელსაც სხვა სიტყვა ვეღარ მოეხერხებინა.

იმათ ყოველისფერი გადაავიწყდათ, რადგანაც მარტო სიყვარულის გრძნობამ-ღა შეიპყრა.

საცოდავი მამა, რომელიც სიყვარულს გადაევიწყებინა იმის შვილებისთვის, იქვე იდგა და ხმის ამოღებას ვეღარ ჰბედავდა. დარწმუნდა, რომ იმის შვილებისთვის შეერთების მეტი გზა აღარ იყო და ამისმა წინააღმდეგობამ კინაღამ ორივე ხელიდგან გამოაცალა, — ეხლა ვეღარ ბედავდა იმათ ბედნიერების შეხებას...

რაოდენიმე ხნის შემდეგ მამა ლოცავდა იმათ და მასუკან პირობასა სდებდნენ, რომ ხვალ ძაუგში გამოეცხადებინათ, რომ ანზორა თავის ქალით აღარ მიდის სტამბოლს. ამის მაგივრად ისინი წავიდოდნენ ვაჟიას სახლში, სადაც მოხევე იქორწინებდა ელისოსთან და მოხუცი მამა იქ გაატარებდა დანარჩენს სიცოცხლეს.

ამის შემდეგ ისინი გაბრუნდნენ ბინაზედ, საიდგანაც ისევ ის გულსაკლავი ჭიანურის ხმა მოისმოდა, რომელსაც აყოლებდნენ იმავე შესაზარს გმინვას, ზუზუნს და გოდებას.

წელან კიდევ მზისგან გახურებულ მიწას სითბო მისდევდა, მაგრამ ეხლა ღამეს აეშვა თავისი სიო და ასობით ავადმყოფები, დაყრილნი მინდორზედ, უჩარდახოდ, უექიმოდ, მწარე სურათს წარმოადგენდნენ. ერთს ალაგს ხედამდით გაქვავებულს მშობელს, რომელსაც შვილი ხელიდამ ეცლებოდა და საბრალო დედა მწუხარე თვალებს აბრუნებდა აქეთ-იქით, თითქოს უსიტყვოდ ეხვეწებოდა, რომ ეშველათ რამე იმის ნაშობისთვის, რომელიც ისე უპატრონოდ, უნუგეშოდ სულსა ლევდა მშობლის ხელში.

მეორე მხარეს კიდევ მშობიარე იკლაკნებოდა წარმოუთქმელის ტკივილებისგან, კბილების ღრჭიალით იწვევდა ღმერთს ამ უსამართლობის მოწმად; მესამე ადგილას მამა მიხრწნილის ხმით ესალმებოდა თავის შვილებს და გულისხეთქით ჰფიქრობდა, რომ სრულიად და სამუდამოდ შორდებოდა იმათ და განმარტოებული უნდა დამარხულიყო. ყოველ ადგილს მწუხარება, ყოველ ადგილს გაჭირვება, კვნესა და ამის ბანად ჭიანურის სევდიანი ხმა და მწარე, უსიტყვო გმინვა და ზუზუნი!

III

ამ ზუზუნით და გმინვით დააღამეს და ამავე ზუზუნით და გმინვითვე დახვდნენ ალიონს ეს ტანჯულნი...

ვაჟია, თავის აღზრდით და ცხოვრებით შეჩვეული გაჭირვებას და მოთმინებას, რაღაცა აღელვებულის და გაკაპასებულის გულით წარმოუთქმელად მოელოდა მზის ამოსვლას, როდესაც შეიძლებდა ამ შესაზარს სურათს მოშორებოდა.

და ან ვინ დარჩებოდა ისე უგულოდ, რომ არ ეგრძნო ამ საერთო მწუხარების ძალა, გარდა იმ სალდათებისა, რომლებიც მიჩენილი ჰყვანდათ გადასახლებულთ წესისა და მშვიდობიანობის დასაცველად.

მარტო ისინი იდგნენ მხიარულად, იცინოდნენ და ოხუნჯობდნენ ამ ხალხის უსიტყვოდ წუხილზედ. შეჩვეულნი მუდამ გარეგანს ცხოვრებას, მოშორებულნი საკუთარს სამშობლოს, სახლს, კარს, სახლობას, გულგაქვავებულნი სხვის მწუ-

ხარებისადმი არ გრძნობდნენ და არ ესმოდათ, რაზედ იკლავდნენ თავს ეს პატიოსანნი და ყოვლის სიკეთით სავსე მამულისშვილნი. შეჩვეულნი მუდამ ხეტიალს და წანწალს ერთის ადგილიდან მეორეზედ, თავიანთ სურვილს და წადილს მოკლებულნი და ძალდატანებით დამონებულნი, მუდამ სხვის წადილით და სურვილით მცხოვრებნი, ფიქრობდნენ, რომ სხვანიც ისე უნდა ყოფილიყვნენ და ვერ გაეგოთ, რომ სხვის სურვილით და ბრძანებლობით ცხოვრება ყველასგან ერთრიგად ვერ აიტანება.

მზემ წვერი ამოჰყო, მინდვრის მახლობელ ტყიდგან მოისმა ჭიკჭიკი და გალობა სხვადასხვა ფრინველებისა. ბუნებამ გაიღვიძა და ყოველი სულდგმული ქებას ასხამდა მის ძლიერებას. თვით ნამი, რომელიც მცვრად დასდებოდა ზურმუხტოვანს მინდორს, შემკულს ფერადოვანის და სურნელიანის ყვავილებით, შესთამაშებდა მზის სხივებს, რომლის მიკარებისთანავე ათასგვარად იცვლიდა ფერს.

რამდენადაც მშვენიერი იყო ეს ადგილები, რამდენადაც შეეძლო ამ უმანკოს, ძლიერს სურათებს კაცის გულის გამხიარულება, იმდენად მეტს ნაღველს უსხამდა გადასახლებულთ გულში, იმდენად მეტად აგრძნობინებდა მათ თავიანთ უბედურებას. გაიღვიძეს, ვინც კი ძილი შესძლო, წამოდგნენ ყველანი და ზარმაცად მიმართეს თავთავიანთ ურმებს, თავთავიანთ საქონელს, რომელიც იქვე პატარა ბიჭებს საძოვრად დაუდიოდათ.

იმათი მოქმედება იქამდის დადუნებული და დადამბლებული იყო, რომ ყოველ ნაბიჯზედ ავიწყდებოდათ, რისთვის მიდიოდნენ, რა უნდა გაეკეთებინათ. ათასჯერ თავსბრუხვევამდის ეძებდნენ ტაბიკს, ანუ კიდევ სხვა ურმის რომელსამე იარაღს, მაშინ, როდესაც ის იარაღი ხელში ეჭირათ. ან კიდევ მიმავალს რომელსამე საქმეზედ, ერთბაშად უხილავი ძალა შეაყენებდა, დააფიქრებდა და ისე დაღვრემილი რჩებოდა იმ წუთამდის, ვინემ რომელიმე გულკეთილი მეზობლის ან მბრძანებლის სალდათის ხმა არ გამოიყვანდა ამ თავდავიწყებიდგან.

— ანზორ, ახლა კი წავალ ძაუგს, — უთხრა ვაჟიამ გათენებისთანავე.

— კარგი.

— სანამ შენ ამოხვალ, ყოველისფერს მოვამზადებ, ვითხოვ...

— კარგი.

—ელისო მენახა!.. — გაუბედავად დაუმატა იმან.

— ელისოს ძლივ ჩაეძინა ურემში, დაეხსენ, ცოდოა!

ვაჟიამ პასუხი აღარ მისცა, ამოიოხრა და გასწია ვლადიკავკაზისკენ, სადაც პირდაპირ ნაჩალნიკთან მივიდა.

კარგა ლოდინის შემდეგ „დიდმა ბატონმა“ ნაჩალნიკმა ძლივს აღირსა თავისი ხილვა და გამობრძანების უმალ, ვაჟიას ქუდის მოხდაზედ, იკითხა:

— შენ ვინა ხარ?

— მე მოხევე გახლავარ, შენი ჭირიმე.

— რას ამბობს? — ჰკითხა თარჯიმანს, რომელიც იქვე ახლოს იდგა, იმანაც გადუთარგმნა მოხევის სიტყვები. — რა უნდა?.. უთუოდ ქურდობაზედ დაიჭირეს ეგ ავაზაკი!.. ახ, ღმერთო ჩემო! როდის იქნება, ერთი თავიდგან მოგვაშორონ ეს მოუსვენრები?

— მე ცხო გორისა ვარ, ქურდობაზედ ვერ დამიჭერენ!..— ამაყად უპასუხა ვაჟიამ, რომელსაც ცოტ-ცოტად ესმოდა რუსული, — მე საქმე მაქვს, იმად მოვედ.

— რა საქმე? ჩქარა მითხარ, არა მცალიან.

— ერთი მოხუცებული ჩეჩნელია, იმას აღარ უნდა გადასახლება და იმის მაგივრად გთხოვთ, რომ გაუშვათ.

— გაეთრიე! — დაუყვირა ნაჩალნიკმა, რაწამს შეიტყო ვაჟიას მისვლის მიზეზი.

— რად მიწყრები? პატრონი არავინა ჰყავს, ერთი ქალის მეტი და...

— მე რომ შემეძლოს, სუყველას, გესმის, სუყველას გადაგასახლებდით, თავიდგან მოგიშორებდით და შენ კი მთხოვ, ვინც ჩაწერილია, ისიც გავანთავისუფლო?.. წადი, წადი, მომშორდი თავიდგან.

— შენი ჭირიმე, ბატონო...

— მომშორდი-მეთქი, გეუბნები... შენთვის არა მცალიან.

— მაშ ვისთვის გცალიან? — უპასუხა გულმოსულმა ვაჟიამ, — საქმე მე მაქვს და ჩემთვის არა გცალიან?

— ეი! ყაზახებო! — დაიძახა ნაჩალნიკმა და უჩვენა ვაჟიაზედ, — კაი-კაი მათრახები მაგას!

ვაჟია მთლად გაფითრდა და უკან გადახტა.

— თქვენს ცოდოში ნუ გამხვევთ! — დასჭყივლა იმან ყაზახებს და გადმოიტრიალა თოფი.

ყაზახებიც, რომელთაც მიიწიეს ვაჟიასკენ, ერთბაშად უკან მიაწყდნენ და გულგახეთქილი ნაჩალნიკი კი ყვირილით ოთახში შევარდა.

ყაზახები, რომელნიც პირველში ისე შეფრთხნენ და ველარ მიჰკარებოდნენ ვაჟიას, ისევ გონს მოვიდნენ და შერცხვათ, რომ ერთს კაცს შეუშინდნენ.

— დაიჭირეთ, დაიჭირეთ! — დაიძახეს იმათ, მიიწიეს ვაჟიაზედ, რომელმაც ჩახმახი წამოაყენა და ისე ელოდა.

— ჩამომეხსენით, რაი გაქვსთ ჩემთან გასაყოფი! — შესძახა იმან.

— დაჰყარე იარაღი, დაგვნებდი! — უყვიროდნენ ყაზახები.

— სანამც გიკვნესიათ, სანამ ცოცხალს ვაჟიას იარაღი ვერ დააყრევინოთ!

— თოფები, თოფები! — დაიძახეს ყაზახებმა და რამდენიმე იმათგანი გაიქცა ბრძანების აღსასრულებლად.

რადგანაც ეს საქმე ბალკონზედ მოხდა, და ვაჟია ისე მოემწყვდა, რომ ჩასასვლელი კიბე ყაზახებს ჰქონდათ დაჭერილი, მიხვდა, რომ ცოცხალი ველარ გავიდოდა და ძვირად უნდოდა გაეყიდა თავისი სიცოცხლე.

— აი, ძაღლებო!.. ოცი ერთზედ გულადები ხართ, განა?.. აბა თუ ვაჟკაცები ხართ, თითო-თითოდ მოდით და ნახავთ ვისი დედა ატირდების...

ვაჟიას ნებისნებად არ უნდოდა კაცის სისხლში გარევა, მაგრამ არ უსვენებდნენ იმას და ისიც მოემზადა ძვირად გაეყიდა თავისი ყმაწვილკაცობა.

ამ დროს მოიხედა უკან და გაღებული ფანჯარა დაინახა, რომელიც გზას გადაჰყურებდა. ერთს თვალის დახამხამებაზედ ის შეხტა ფანჯარაზედ და გადახტა.

ქვევით ერთი ყაზახი ცხენებს ატარებდა, რომელიც ნა-

ჩალნიკისთვის მოემზადებინათ, რადგანაც მინდვრად ჩეჩნელთ დასათვალიერებლად გასვლას აპირებდა.

ვაჟია მივარდა ყაზახს, რომელიც ბავშვსავით აიღო და დასცა, წაართვა საუკეთესო ცხენი, წუთზე მოაჯდა და გაჰქუსლა ტყისაკენ.

გაშტერებული ყაზახები მისცვივდნენ ფანჯარას, მაგრამ გადახტომა ვერვინ გაბედა. ამ დროს მოიტანეს თოფებიც და ორი-სამი სროლა ძლივს მოასწრეს, სანამ ვაჟია სახლის კედელს მოეფარებოდა.

სხვა ყაზახები ჩაცვივდნენ, მოასხდნენ ცხენებს და გამოუდგნენ ვაჟიას, რომელიც მინდორზედ გავიდა და მიაჭენებდა ტყისაკენ.

იმას მისდევდნენ ყაზახები ჯერ ჯგუფად და თოფის სროლით, მერმე რამდენიმე ცხენი დაწინაურდა, ცოტა ხანს შემდეგ ორი ცხენი გავიდა წინ და, ბოლოს, ერთმა დაიგდო ყველანი.

თოფის სროლა შესწყდა, რადგანაც უკანანი ვეღარ ჰბედავდნენ, რათა წინა ამხანაგები არ დაეჭრათ და ყველაზედ მოწინავეს კი თოფი არ გაჰყოლოდა, მაგრამ იმისი მხეცსავით ჩასისხლებული თვალები აშკარად ამბობდნენ, რომ, თუ მოეწეოდა ვაჟიას, ის ისე არ შეიწყალებდა, როგორც უკანასკნელს მხეცს.

ვაჟია მიაჭენებდა თავის ცხენს და ხანდისხან დასჭყივლებდა ქუდის მოხდით და ქნევით, მაგრამ ნამთევს, გასუქებულს ცხენს ქშენა მალე მოეკიდა და ერთბაშად უკლო, მაშინ, როდესაც ყაზახის ცხენი ისევ ისე მირბოდა, რადგანაც გამოწურულს და მომზადებულს თითქმის ფერდები ერთმანერთს გაჰკროდა.

თანდათან ყაზახის ცხენმა მოკრიფა ვაჟიას ცხენი და ამან კი დაინახა, რომ ტყეში ვეღარ შეუსწრობდა. სხვა ყაზახები, რომლებიც ყიჟინით ამხნევებდნენ ამხანაგს, კარგად დაშორებოდნენ მას.

ვაჟიამ მოიხედა უკან და ისე წინ მიუხედავად უყურებდა; ყაზახს გაეძრო ხმალი და წუთით წუთს ელოდა ვაჟიას წამოწდომას. ვაჟიამ გადმოიბრუნა თოფი და დაუმიზნა, ყაზახი სწორედ იმ წამს გადაწვა ცხენზედ, როდესაც თოფმა გრიალი

მოიღო და ტყვიამ მარტო ქუდი-ღა გაუკენწლა, ის გაიმართა ისევ ცხენზედ და დასდგა. მოხევეს დრო აღარა ჰქონდა თოფის ხელახლად გასატენად და ამისთვის მხარზედ გადაიგდო, როგორც იმჟამად გამოუსადეგი იარაღი და გაიქრო თვითონაც ხმალი... კიდევ წუთი და დასაკრავად შემაღლებულის ხმლით ყაზახი წამოეწია; ვაჟიამ სწორედ იმ დროს წაიბრუნა გვერდზედ ცხენი, როდესაც ყაზახმა ხმალი მოუქნია. ყაზახის ცხენი ოდნავ გასცდა ვაჟიას ცხენს, მაგრამ იმ წუთში იყლა მოხევის ხმალმა.

ეს ყველა ისე სწრაფად მოხდა, ისე საჩქაროდ, რომ კაცი ძლივს მოასწრობდა თვალს. ყაზახის ცხენი გავიდა წინ, ვაჟიაც გაიმართა. უთუოდ ორნივ გადარჩნენ!.. რაოდენიმე ხნის შემდეგ ყაზახის ცხენი ყალხზედ შედგა. თითქოს პატრონმა ჯილავს მოსწია ძალზედაო. ყაზახი შეტორტმანდა, გადმოიზნიქა უკან, კიდევ წუთი და ის ჯერ გადმოეკიდა ცხენს, მერე ავუანდიდგან ფეხი დაუსხლტა და გაგორდა მიწაზედ; ვაჟიას ხმალს თავი შუაზედ გაეჩეხა იმისთვის.

განთავისუფლებული ცხენი მოუსვენარ პატრონისგან შესდგა და ხანგამოშვებით, ფრუტუნით ბალახს წიწკნა დაუწყო. ვაჟია, რომელიც იმას გაუსწორდა, გადასწვდა ჯალავს, დაიჭირა ცხენი და ერთს წუთში თავის ცხენიდგან იმას მოექცა ზურგზედ.

რამდენიმე თოფის ხმაზედ, რომელიც მიმართეს ვაჟიას ყაზახებმა, მოხევემ დასჭყივლა ცხენსა და შეეფარა ტყეში... საიდგანაც ყაზახები ბევრი ძებნის შემდეგ ცარიელები დაბრუნდნენ და ამ შემთხვევამ კი ნაჩალნიკი წამოაძახა:

— აკი მოგახსენებთ, რომ ყველანი ღვთის რისხვა და გარეგანი არიან!.. რაც შეიძლება და რითაც შეიძლება, საჭიროა მაგათი ჩქარა მოშორება თავიდგან!

— მართალსა ბრძანებთ, მართალს! — თავის კანტრუშით ეთანხმებოდნენ, თუ ეჩვენებოდნენ თანახმად, იქ მყოფნი, რომლებიც ჩეჩნელთ გადასახლებით ისე გახალისდნენ, რომ ქართველობასაც ამასავე უპირებდნენ.

IV

•ჩეჩნელები მიახლოვდნენ ვლადიკავკაზს. გამწკრივებული ჭრიჭინა ურმები ზარმაცად მოგორავდნენ და გულს უწყრილებდნენ ადამიანს. ურმებს მოსდევდნენ ფეხშიშველა ბავშვები, რომელთათვისაც სიცხეს და წვრილს ქვას, ქვიშაში არეულს, ყავარ-ყავარ დაეხეთქათ ტიტველა ხორცი, შიგ ჩაკდომოდათ მტვერი და წაღმა-უკუღმა ლურჯად დაეხაზათ. უეჭველია, წარმოუთქმელს ტკივილსა ჰგრძნობდა იმათი კანი, რადგანაც წამდაუწუმ კელობდნენ, აიტაცებდნენ ფეხს და, თუ არ შესტირებდნენ, მწარედ მაინც დაიკვნესებდნენ და იღრიჯებოდნენ.

იმათ ჯაიარეს ძაუგი, სადაც ხალხი მიეგება და იმათ ნახვაზედ ხმაგაკმენდილნი გულის დუღილით და თანაგრძნობით შესცქეროდნენ ვინ იცის ვისის მიზეზით წამებულებს, მაგრამ რა იყო იმათ ხელს? რითი შეუმსუბუქებდნენ ვარამს?

ელისო იტანჯებოდა ამ სურათის ცქერით და ვაჟიას მოლოდინით, რომელიც არსადა სჩანდა, მოხევეს თითქოს გადავიწყებოდა თავისი სატრფო, რომლისთვისაც გუშინ კინაღამ თავი მოიკლა.

ანზორამაც არ იცოდა ვაჟიას თავგადასავალი და ამისთვის უკვირდა, რომ მოხევე არ დახვდა იმათ ქალაქის ბოლოს და არ წაიყვანა ნაჩალნიკთან, როგორც წინადვე პირობა ჰქონდათ დადებული.

ქალი და მამა დახოცილებსავით იყვნენ და ერთმანერთს თვალს არიდებდნენ, რათა უცაბედო კითხვით თავიანთ უნებლივ მწარე საგანს არ შეხებოდნენ.

ან რა-ღა ლაპარაკი უნდოდათ იმაზედ, რაც ისე აშკარა იყო? ვაჟია უნდა დახვედროდა ძაუგის ბოლოს და ისინი აგერ მეორე ბოლოშიაც გავიდნენ, მაგრამ მოხევე არსადა სჩანდა.

აი იმ ადგილამდინაც მიაღწიეს, სადაც ღამე უნდა დამდგარიყვნენ და გააჩერეს ურმები, შემოარტყეს ისევ ალყა და იმათ გარეშემო დააყენეს მცველებად სალდათები და ყაზახები.

მზე ჯერ არ ჩასულიყო, როდესაც ამ ადგილების ნაჩალნიკი თოლმაჯებით და ყაზახებით მოვიდა იქ, გამოახმო კაცები და უთხრა:

— თქვენ თქვენის სურვილით მოიწადინეთ ოსმალეთში გადასახლება და ჩვენც ნება მოგეცით. ეხლა ჩემს ყურამდის მოაღწია ხმამ, რომ ზოგიერთს ისევ დარჩენა მოუწადინია... გიცხადებთ რომ, ვინც ერთხელ ჩაეწერა გადასახლებულთ სიაში, იმისი აქ დარჩენა ყოვლად შეუძლებელია. რომ გაქცევა ვერ გაბედოთ, თქვენი მცველები ერთიორად გავამრავლე და... იცოდეთ, ვინც გაქცევას მოიწადინებს, იმას შეუბრალებლად მოჰკლამენ. აგრე აქვსთ ნაბრძანები.

ამ სიტყვებით ის უკანვე გამობრუნდა და იორღა ცხენით ამაყად გასწია ვლადიკავკაზისკენ.

ხალხი რაოდენსამე ხანს ისე ჩუმად დარჩა და უსიტყვოდ, წყნარის ოხვრით დაიშალა. ან რა უნდა ეთქვათ?.. ვის რას გააგონებდნენ?

ყველანი მოჰყვნენ თავიანთ ბინის გამართვას.

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც ოსმალეთში მიმავლების ბინა ისევ უწინდელს სურათს წარმოადგენდა. აქაიქ ცეცხლები, რომელთა შუა ჩრდილსავით დადიოდნენ კაცები და დედაკაცები. ერთი განსხვავება ეს-ღა იყო, რომ ხალხი ეხლა მეტად დაღონებულიყო, მეტად შეწუხებულიყო... ჭიანურის ხმაც კი აღარ მოისმოდა... არ შეწყვეტილიყო მხოლოდ უსიტყვოდ ზუზუნი, უსიტყვოდ კვნესა, უსიტყვოდ სულის გმინვა და გოდება!..

ესენი გასცქეროდნენ თავიანთ მინდვრებს, თავიანთ მთებს, რომელნიც ღამის სივრცეში ცის კიდურზედ იხატებოდნენ. აქედგან უგზავნიდნენ ჩუმს, სევდიანს სალამს და დანარჩენი კი ისევ კვნესასა და ზუზუნში გამოითქმოდა.

ერთბაშად ავარდა ერთს ადგილს კორიანტელი, თითქოს მიწიან ადგილს ქარმა დაჰბერაო. გაჩნდა კვამლსავით პატარა ნისლი და მაშინვე განქრა. გაჩნდა მეორე ადგილს და განქრა... მასუკან რამდენსამე ადგილს ერთად გამოჩნდა ეს ნისლი, რომელიც თითქოს მიწიდგან იზრდებოდა, და აირია ჰაერი.

ქარი ზუზუნით დაჰქროდა და უერთდებოდა ხალხის ზუზუნს; უნუგეშოდ დარჩენილს მშობელს გული ვეღარ მოებრუნებინა თავის პირმშოს დაკარგვით! კიდევ წუთი და, ცა ტყვი-

ისფრად მოიქცა! აშკარად გაავდრებას აპირებდა; ეტყობოდა, ბუნებაც შეირყა ამდენის საცოდავობით და იმ ადგილს ცას არ უნდოდა თავის ქვეყნის შვილებთან უცრემლოდ გამოსალმება.

ჩავარდა ქარი, ჩამოცხა. გაჩუმდა ყოველისფერი, ჰაერი დამძიმდა, სუნთქვა გაძნელდა!.. ჩამოვარდა წვეთი, მოჰყვა მეორე. იჭექა ერთბაშად და წამოვიდა წვრილი, მაგრამ გამუდმებული წვიმა. ერთს წუთში მწვანე მინდორი წყლით დაიფარა, რომლიდგანაც დაბალს ბალახებს თავები ამოეყოთ და წყნარად მღელვარებდნენ. წყალი გუბდებოდა ორო-ჩოროებში, რადგანაც გამძღარი მიწა ვეღარ ისუტავდა. ქარი ისევ ამოვარდა, ხანგამოშვებით, ზუზუნით უბერავდა და აყინულებდა ყველაფერს. წამდაუწუმ ელვა და ქუხილი უერთდებოდა იმის ზუზუნს.

ბავშვები ტიროდნენ შიშით და სიცივით. მშობიარე დედაკაცები გოდებით წარმოსთქვამდნენ იმათ წყევას, ვინც ისინი მიიყვანა ამ დღემდის, და წყევლასთან ერთად ლევდნენ სულს. კაცები წარბებშეჭმუხვნილნი, ხანჯალს ხელგავლებულნი ჩუმად იდგნენ და უყურებდნენ თავიანთ დღეს, თითქოს სამართალს ელოდნენ, მაგრამ ვისგან?

ერთს ადგილს ავადმყოფი მოხუცებული დედაკაცი მიწოლილიყო და სიცივისგან მწარედ კავკავებდა. შემოფლეთილი ტანისამოსი, რომლიდგანაც აქა-იქ დაწითლებული, დალურჯებული ხორცი გამოსჩენოდა, ამტკიცებდა, რომ ის უპატრონო და ღატაკი უნდა ყოფილიყო, საცოდავი, წუმპეში მწოლარე ებრძოდა სიკვდილს და ამ უკანასკნელს სულის ბრძოლაშიაც მოსვენება ვერ ეპოვა. წვიმა დასდიოდა ზედ. ანზორამ შეჰკრა თვალი და გადააფარა თავისი ტყავი, ბავშვები მიეხვივნენ და ცახცახით მოუწვნენ აქეთ-იქით, როგორც მფარველი ანგელოზები, რომელნიც თითქოს ლოცულობდნენ ამის სულისთვის... არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც დედაკაცმა წამოიწია, დაიხრიალა და სული დალია.

ნუთუ უხენაესი არ გაიგონებს, არ გადმოხედავს იმათ?..

დაბნელდა ძალზედ, წვიმამ ცეცხლებიც ჩააქრო და სიჩუმე დაირღვეოდა მხოლოდ განრისხებულის ბუნების გრგვინვით და ჩეჩნელთ ჩქარ-ჩქარის კვნესით და ღვთის ხსენებით.

იქნებოდა ღამის ათი საათი, როდესაც მგზავრების ბინისკენ, ბალახებში ჩაწოლილი წყნარად და სიფრთხილით ვიღაცა კაცი მიცურავდა. ის წამდაუწუმ შესდგებოდა, ამოჰყოფდა ბალახებიდან თავს და ათვალიერებდა იქაურობას. მაგრამ რაწამს დარწმუნდებოდა, რომ შეუმჩნეველი რჩებოდა, მაშინვე ისევ გაწვებოდა მიწაზედ და ისევ გაცურდებოდა; როდესაც მიუახლოვდა იმ ადგილს, სადაც ყარაულების წრე იყო შემორტყმული, იმან წყნარად აიღო თავი და ღამეში დაჩვეულის თვალებით სწრაფად გაარჩია, რომ ის ერთს სალდათს მეტად მიახლოვებოდა და გამობრუნება ამ მცველის შეუმჩნევლად გასჭირდებოდა.

მართლაც, სალდათი, რომელიც ავდრის წყალობით მობუზულიყო და თვალებდახუჭული ელოდა თავის გამოცვლას, ერთბაშად შეინძრა, გაახილა თვალები და უკან წარსდგა. ეტყობოდა, რომ მეტად ახლო მიცურებული კაცი შეამჩნია და, რა პირი დააღო დასაყვირებლად, ვაჟიამ სწრაფად ხანჯალი ჩასცა ყელში და ხმა გაუწყვიტა; მცველი იქვე დაეცა და დაიწყო ფართხალი.

ვაჟიამ წყნარად ამოაძრო ხანჯალი, გაწმინდა სველ ბალახზედ და ისევ ცურვით წავიდა ჩეჩნელებისკენ.

როდესაც მიუახლოვდა ურმებს, ის წამოდგა და უშიშრად შევიდა ჩეჩნელებთან, სადაც კითხვა-კითხვით ჩქარა იპოვა ანზორას ურემი, რომელშიაც ავდარს შეჰფარებოდა ელისო.

იმისი მამა თავშიშველი და თმაგაწეწილი, თითქოს ველარა გრძნობდა ამ ავდარს, მთლად მისცემოდა თავის ფიქრს, თავის მწუხარებას.

ეხლა, როდესაც თავის ქალის და ვაჟიას ასეთი თავგანწირული სიყვარული შეიტყო, როდესაც დარწმუნდა, რომ იმათი გაყრა სიკვდილს ეთანაბრებოდა, წარმოუთქმელის ძალით მოუნდა დარჩენა და ამ წადილის აღსასრულებლად თავსაც აღარ შეიწყალებდა.

— ჰე, ჰეი! — შესძახა მოხუცმა, რა მიახლოვებული კაცი დაინახა, — ვინა ხარ?

— ანზორ? — წყნარად და ჩუმად იკითხა მისულმა.

— ვაჟია! — სიხარულით წამოიძახა მოხუცმა და მოეგება.

— გვიანობისა აღარაა, უნდა გავიქცნეთ!

— ქვეითები?.. სად წავუვალთ? — პირდაპირ დაიწყო ჩეჩენმა, რადგანაც ცხოვრებამ შეაჩვია, რომ უბრალოდ დრო არ დაეკარგა.

— აქვე, განაპირებით ცხენები მყავს, მხოლოდ ჩქარა!

ანზორა რომ მარტო ყოფილიყო, მაშინ ის დაუფიქრებლივ გაჰყვებოდა ვაჟიას, მაგრამ ეხლა იმასთან იყო უკანასკნელი იმისი იმედი, რომლის ხიფათში მიცემას სიკვდილს ირჩევდა.

— ქალი როგორღა წავიყვანოთ? ვაი თუ...

— მე მზადა ვარ, — გააწყვეტინა ელისომ, რომელიც ურმიდგან გადმოვიდა, — მე ყველაფერი გავიგონე, წავიდეთ.

— ელისო! — შესძახა ვაჟიამ და გატაცებით მიიკრა მკერდზედ.

ანზორა ცრემლიანის თვალებით შეჰყურებთა ამ სურათს და ეშინოდა სიტყვის გარევით არ დაეშალა იმათი ბედნიერება.

— ღმერთი გაერთებსთ, კაცი ვეღარ გაგყრისთ! — ბოლოს წარმოთქვა გაფრთხილებულმა მოხუცმა, რომელიც ყოველ წუთს აფასებდა, — აჩქარდით, რაკი აგრეა.

ამ სიტყვებმა შეყვარებულნი გამოიყვანა თავდავიწყებიდგან და მოაგონა სამწუხარო ჭეშმარიტება.

— მართალს ამბობ, გვიანობა აღარ ვარგა, — უპასუხა მოხევემ, შეიბერტყა და ქუდის მოხდით დაუმატა: — ხევის ჯვარ-ანგელოზნო, თქვენ დაგვეხმარენით, თქვენ მოგვიმართეთ ხელი!

ვაჟიას წინამძღოლობით გასწიეს იმათ იმ გზითვე, რომლითაც მოვიდა ყმაწვილი მოხევე და, რა ურმებს გასცდნენ, ვაჟიამ წყნარად უთხრა ანზორას:

— აქედგან მუცლით უნდა ვიცურვოთ.

ორივე კაცი აქეთ-იქით გაწვნენ, შუაში ჩაიწვინეს ქალი და ისე ცურვით გასცილდნენ ყარაულთ წრეს.

თერგის პირთან იმათ ნახეს სამი ცხენი, რომლებზედაც ამხედრდნენ და გაჰქუსლეს მთებისკენ.

V

ისინი მიაჭენებდნენ ცხენებს და ცდილობდნენ, რაც შეიძლებოდა, ჩქარა გასცილებოდნენ ლარსს და დარიელას, ამ ყველაზედ ძნელს ადგილებს, სადაც კლდეები გახეთქილან და თითქოს განგებ ჩამოლესილან, რომ გაჭირვებულს კაცს ყოველი საშუალება მოუსპონ თავისუფალ სიარულისთვის.

აქ გავლა იმ ხანებში მით უფრო ძნელდებოდა, რომ მთელს გზაზედ გარდიგარდმო, უკეთა ვსთქვათ, ჯვარედინად, ღამე მცველებს აყენებდნენ და იმათ კი საშუალება ეძლეოდათ ყოველგვარი უსამართლობისა, რადგანაც იმათი მოქმედება ღამე, უმოწმოდ ხდებოდა და, მაშასადამე, უცხო თვალი ვერ დაესწრებოდა, ვერვინ გაარჩევდა მათ საქციელს და ვერც არვინ გაამტყუნებდა.

იქნებოდა საათის თორმეტი, როდესაც ვაჟია და მისი ამხანაგები ლარსის საფრთხეს მიუახლოვდნენ. ვაჟიამ, რომელიც წინ მიუძღოდა, ცხენი შეაყენა, მსწრაფლად გადმოხტა. ანზორამ და ელისომაც შეაყენეს ცხენები.

— რა ამბავია? — იკითხა მოხუცმა.

— ჩამოხტით ცხენიდგან! — მოკლედ უთხრა მოხევემ და მიეშველა ელისოს.

ანზორამ, რომელსაც ცხენის სადავეები მისცა ხელში, კითხვა აღარ გაიმეორა, რადგანაც მოხევის სიფრთხილე, მოკლე სიტყვები და ბრძანებლობის კილო ამტკიცებდა, რომ ისინი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ და მეტი კითხვა კი მეტი დროს დაკარგვა იქნებოდა.

ვაჟიამ ახსნა თავის უნაგირიდან ნაბადი, ამოიღო დანა და პატარ-პატარა ნაჭრებად დაუწყო ჭრა, მაღუკან პატარა აბგიდან ამოიღო წვრილი თოკი და იმით ცხენებს ჭაჩაჩზედ ნაბდის ნაჭრები მაგრად ამოაკრა. ანზორას, როგორც მინდორში აღზრდილს, არ ესმოდა ეს სიფრთხილე და ამისთვის გაკვირვებით უყურებდა მოხევის მოქმედებას.

— რას შვრები? — მოხუცს ვეღარ გაუძლო გულმა და ჰკითხა მოხევეს.

— აქ მცველები დგანან და ადგილი კი რიყიანია!

ამ სიტყვებით ანზორა მიხვდა, რომ ცხენის ფეხებს ამო-

კრული რბილი ნაბადი სიარულში ხმას აღარ გამოაღებინებდა და, როგორც ძველს მეომარს, ჯარის წინამძღომელს, მოეწონა ეს მოაზრება.

— შენ მოაზრებული ყოფილხარ!.. ბრალია შამილის დაჭერა, იმასთან სახელს მალე გაითქვამდი.

— შესხედით! — დასძახა ისევ ვაჟიამ და წუთის უკან გაემართნენ გზას იმავე წყობით.

მართლადაც, აქამდის ცხენების ფეხებს ისეთი რაკი-რუკი გაჰქონდათ ქვითა და ქვიშით გატკეპნილს გზაზედ, რომ მკვდარსაც კი გამოაფხიზლებდნენ, მაშინ, როდესაც ეხლა სრულიად აღარ ისმოდა იმათი ძოძრაობა.

ვაჟია მით უფრო დარწმუნებული იყო — მოატყუებდა მცველების სიფხიზლეს, რომ, როგორც ეტყობოდა, გამოდარებას არ აპირებდა და დაბლად ჩამოწოლილი ნისლი კი ისე აბნელებდა იქაურობას, რომ კაცი თვალთან მიტანილს თითსაც კი ვერ გაარჩევდა.

აქამდისინ ჩქარი სიარული მოხევემ ეხლა შესცვალა წყნარით; ის გაფრთხილებული, ყურებდაცქვეტილი, თითქოს სმენად გადაქცეულიყო, რათა არავითარი ხმაურობა არ გამოჰპარვოდა. ვაჟიას რამდენჯერმე მოესმა რაღაცა ხმაურობა, რამდენჯერმე შეაყენა ცხენი და კისერ წინგაწვდილი კარგა ხანს უგდებდა ყურს, მაგრამ დარწმუნებული, რომ საშიში არა არის-რა, ისევ აგრძელებდა გზას.

ისინი მიახლოვდნენ ბოგირს, რომელიც იქვე ჩარხის წყალზედ არის გადებული, და ცხენმა ერთბაშად დაიფრუტუნა, შეფრთხა და უკან დაიწია. ვაჟია გაუჯავრდა ცხენს და წყნარად მათრახის დაკვრით მიაგდო ბოგირს, მაგრამ ცხენი, რა წამს მიახლოვდა, ისევ უკან გამოხტა.

— ტიალო! რა ნახე? — ძლივს მოასწრო წარმოთქმა იმან, როდესაც ენებსავით გამოიელვა რაღამაც და მოისმა რამდენიმე თოფის გრიალი.

— ო, ო! ძაღლებო, ძაღლებო! — დასჭყივლა იმან და ზედ მიაგდო ცხენი, სადაც ელვამ გაანათა ათიოდე თუ უფრო მეტი თოფიანი რუსი. მოხევემ წამზედ გაიძრო ხმალი და პირველსავე მივარდნაზედ ერთს ისე ძალზედ დაჰკრა, რომ მხარიღლივ გადასხიპა, მაგრამ იმ წამსვე იგრძნო შუბის წვერი,

რომელმაც გულში ცივად გაუარა. ის დაბარბაცდა, გაჟრჟოლდა და დაეცა.

— უღმერთონო, უსამართლონო, ურჯულონო!.. ელი... ელისო! — და ამ სიტყვებზედ აღმოხდა სული.

ანზორა და იმისი ქალი, რომლებიც ცოტა მოშორებით მოდიოდნენ, თუმცა სრულებით დაეცხავებინა ტყვიებს, მაგრამ მოხუცს სიკვდილამდის კიდევ ერთხელ მოესწრო თავისი ქალის მკერდში ჩაკვრა და ისე დაელია სული...

ამ შემთხვევის შემდეგ მესამე დღეს, სწორედ ამ ადგილზედ, სადაც დახოცილები ჯერ კიდევ გზის პირად ეყარნენ და არავინ ჰფიქრობდა იმათ დასაფლავებას, გამოიარეს ანზორას ამხანაგებმა; ისინი უწინდელზედ მეტად შეწუხებულიყვნენ. ისევ ის ზუზუნი, ისევ ის შემაძრწუნებელი გლოვის ხმა, ისევ ის გოდება და გმინვა, რომელიც სწყდებოდათ გულის საძირკვლიდგან და იკარგებოდა ჰაერში!..

გასწიეს ამ საცოდავებმა ოსმალეთისკენ, მაგრამ ბევრმა ჩააღწია დანიშნულს ადგილს?

[1882]

ნაფუძვლარის მოგონებანი

I

მე 18... წელს გადავწყვიტე მეცხვარეობა დამეწყო და ამ ხელობის შემწეობით მომევლო მთა და ბარი, გამეცნო ხალხი და გამომეცადა ის შიშით და სიამოვნებით სავსე ცხოვრება, რომელიც მწყემსს განუშორებლივ თანა სდევს.

მე თითონ, როგორც მთის კაცს, მყვანდა რაოდენიმე ცხვარი, ცოტაოდენი კიდევ ზოგიერთს მიწებში გაცვლით მოვაგროვე, მივუმატე ჩემს ფარას, ავიღე ჯოხი და თოფი და ამ გვარად შევიქენ მეცხვარე.

რასაკვირველია, პირველი ჩემი ნაბიჯი ყველამ, განურჩევლად ყველამ, მასხარად აიგდო, რადგანაც ამბობდნენ, რომ მებატონეს და მასთან სახელიანი კაცის შვილს უბრალო მეცხვარეობა არ ეკადრებაო, მაგრამ მე ჩემი მიზანი მქონდა, ჩემი სურვილი და ეს იქამდის ძლიერი იყო, რომ არავითარს რჩევას ყური არ ვუგდე; მე მინდოდა მენახა ხალხი, მსურდა გამეგო იმათი სურვილი, მეცხოვრა იმათი ცხოვრებით, ჩემ თავზედ გამომეცადა ის მოთხოვნილება და გაჭირვება, რომელიც უკან სდევს მუშა ხალხს, და რაღა დამაყენებდა შინ. მივაღწიე ჩემს მიზანს, დავუახლოვდი, გავიცან ისინი, ვისიც გაცნობა და დაახლოვება ისე გულით მსურდა (თუ როგორ—ჩემი ნაწერების მკითხველებზედ მივაგდებ). აქ კი მინდა გიამბოთ ზოგიერთი ეპიზოდი ჩემის მეცხვაროობიდგან და მგონია, რომ ეს რაოდენსამე ინტერესს მოკლებული არ იქნება.

ჯერ კიდევ ზაფხული იყო. ცხვარი არ გაგვეშრო და დედალს ცხვარს მივსდგომოდი მოსაწველად. გზაში შემომხვდა ორი მოხევე, რომლებიც სრულიად არ მიცნობდნენ და ჩაცმუ-

ლობაზედ კი ვერ გამარჩევდნენ, უბრალო მწყემსი ვიყავ თუ მთაში სახელიანი კაცის შვილი.

— ბარაქა შენს ცხორსა! — წამომძახეს იმათ, რა წამს გამისწორდნენ.

— უფალმა გილხინასთ,—ვუპასუხე მე.

— ვისია ეგ ცხორი? — მკითხეს.

მე დავუსახელე ჩემი გვარი.

— ბედჩაო ჩემო თაო, მართლა იმათ სერია... დამღაც იმათ მეტს არვისა აქვს, — წარმოსთქვა ერთმა და დაუმატა: — შენ ვიღას ბალღი ხარ?

— მე არახვეთელი გახლავარ, შენი კვნესამე, — მოვუქცივ მთიულურად, — ბურდულიან იაკობასი.

— მოჯამაგირედა ხარ თუ ცხორი გყავს დაზიარებული?— კიდევა მკითხეს.

— ცხორი, შენი კვნესამე, — მივეც პასუხად.

ჩემი თანამგზავრები მომიდგნენ გვერდს და მშველოდნენ ცხვრის გამორეკას.

— ბალღო, რაი გქვიან?

— მამუკა, შენი კვნესამე.

— მართლა, შენი აღა თავად დადის ცხორში?

— დადის, ლომისის მადლმა! — ვუპასუხე მე.

— თავად დადის! — გაიკვირვეს იმათ.

— ჰო.

— საკვირველია, ღვთის მადლმა!

— რაისთვი? — ვკითხე მე და გულის ძგერით დაუწყე ყურის გდება.

— აბა, როგორ საკვირველი არაა, ხემწიფის სწორის კაცის შვილია და ცხორს ასდევნებია!.. აჰუ! — ჩაიქნია ხელი უცნობმა.

— მერე მანდ ცუდი რა არის?.. ცხორი ჰყავს და თითონ დასდევს.

— ცუდი?.. ხევის ბატონის შვილი და უბრალო მეცხორე! — გაიკამათა იმანვე.

— მაგის მამა-პაპასაც ჰყოლია ცხორი, მაგრამ თითონ კი არ უვლიათ, არა, ღვთის მადლმა, — დაუმატა მეორემ.

— აბა, ძალიან იკადრებდნენ მეცხოროაბას!.. სულ ჩინებით სავსე ჰქონიათ ყელ-გული.

— მაშინ სხვა დრო იყო და ეხლა სხვა, — ვცადე თავის მართლება.

— ცხო დრო კი არა, უხეირო ყოფილა, თორემ ქვეშეს პრისტავად იქნებოდა.

მეტად გული მატკინა ამ სიტყვებმა, რომ კიდევ ლაპარაკი გამეგრძელებინა. წამოვუარე ცხვარს და შევფინე მთაზე, სადაც კიდევ რაოდენიმე ხანი მინდოდა მეძოებინა, რადგანაც მოსაწველად მირეკა ჯერ ადრე იყო.

ჩემი უცნობები გამომეთხოვნენ და მე კი დავრჩი იმათ სჯით დაღონებული და ფიქრებმა გამიტაცეს.

წამოვიდა ნისლი და დაიწყო ჟონა; მეც წამოვისხი ყისინა, ბაშლუყა წამოვიგდე თავზედ და ცხვარს დავუდეგ წინ, რათა წინები შემეყენებინა და გაუმაძღრად სირბილის გამო მადიანს ძოვნას არ მოჰკლებოდნენ.

არ გაარა რამდენიმე ხანმა, როდესაც შევამცნიე, რომ ორი ვიღაცა კაცი წვერიანები და შტაცკურს ტანისამოსში მოდიოდნენ ჩემკენ. მე გაკვირვებით დაუწყე იმათ ცქერა, რადგანაც თუ მგზავრები იყვნენ, მაშინ იმათი გზა გაღმაზედ უნდა ყოფილიყო და იმ მხარეს ვერ მოხვდებოდნენ, საითკენაც მე ვიყავი.

ისინი მოვიდნენ ახლოს და მოიმარჯვეს ჯოხები, რადგანაც ჩემი „ბასარა“ ყეფით გაექანა იმათკენ, მაგრამ, რა მე დავუძახე ძაღლს, ისიც კუდის ქნევით მოვიდა ჩემთან. უცნობებმა ღიმილი დაიწყეს და დამტვრეულის რუსულის ენით ლაპარაკი დამიწყეს:

— Собак, собак... нет кусай...

— Нет кусай, — ვუპასუხე მეც ამგვარადვე.

— Баран, баран... — დაიწყო ერთმა და ველარ გაათავა, რადგანაც რუსული არ იცოდა და მიუბრუნდა ამხანაგს ფრანცუზულად: — როგორ უნდა ვკითხო, მატყლს სადა ჰყიდიან?

— მეც არ ვიცი, — ფრანციზულადვე უპასუხა მეორემ.

ბოლოს იმათ გააბეს ლაპარაკი მატყლის სიკეთეზედ და უკვირდათ იმოდენა ფარას მთაში როგორ ვათავსებდით. ბოლოს კიდევ მოიწადინეს შეტყობა: სადა ვყიდით მატყლს და რამდენი ფუთის მოგროვება შეიძლებოდა მთაში.

მე ვლაპარაკობდი ფრანცუზულს, გულმა ვეღარ გამიძლო და ამისთვის ვუპასუხე:

— მთაში ძალიან ბევრია ცხვარი, ხალხი თითქმის ამითი სცხოვრობს, მატყლს კი აქვე ყიდულობენ სომეხი ვაჭრები.

წარმოიდგინეთ იმათი გაშტერება, როდესაც რაღაცა უცნაურს და ველურს მთებს შორის, სადაც იმათის შეხედულებით ბარბაროსები სცხოვრობენ, რომელთაც ათზე მეტი თვლაც კი არ იციან, ერთბაშად უბრალო მეცხვარე, უბრალო მთის კაცი ფრანციზულად ელაპარაკება!

— როგორ! თქვენ ლაპარაკობთ ფრანცუზულად?! —გაშტერებით წამოიძახეს ორთავ ერთად.

— დიახ, ცოტაოდენს.

— რას ამბობთ, სად გისწავლიათ?.. არა, ეგ შეუძლებელია!

მე მომწადდა იმათთან ხუმრობა და ამისთვის უპასუხე:

— ჩვენში მწყემსები თითქმის ყველანი ლაპარაკობენ ფრანცუზულად... მე სხვა ადგილებში ვიყავ მოჯამაგირედ და კიდევ გადამავიწყდა, თორემ სხვებს ვერც კი გამოარჩევთ ფრანცუზებისაგან.

— რას ამბობთ?!. აი გასაშტერებელი საქმე! — ეუბნებოდნენ ერთმანერთს, — ჩვენ კი ველურ ხალხად მიგვაჩნია ეს ხალხი!

კარგა ლაპარაკის შემდეგ, როდესაც ისინი მოიღალნენ და მეც თავი მომაწყინეს ყბედობით, იმათ მთხოვეს საღამოზედ ყაზბეგის სტანციაში, სადაც ღამის გატარებას აპირებდნენ, მივსულიყავ და მეამბნა ჩვენი ხალხის ცხოვრება, ჩვეულება და ხასიათი. ბოლოს მკითხეს:

— შენ იცი ინგლისი ან საფრანგეთი?

— ვიცი, — თავის დაქნევით უპასუხე.

— აი ეს ფრანცუზია, მე ინგლისელი, — მიჩვენა ერთმა და დაუმატა: — რასაც შენ გვიამბობ, ჩვენ ქვეყანაში წიგნებში ჩავწერთ და ყველანი წაიკითხვენ... მოდი უთუოდ, — დაუმატეს იმათ, — ფულებსაც გაჩუქებთ.

— მადლობელი ვარ, გეახლებით, — უპასუხე.

ფრანცუზმა გაივლო ჯიბეს ხელი, ამოიღო მანეთიანი და გამომიშვირა:

— აჰა, ეს ბეითა გქონდეს საღამომდინ და საღამოზედ კიდევ გაჩუქებთ.

— გმადლობთ, — უთხარ დარცხვენით და გავწითლდი,— საღამოზედ გეახლებით და მაშინ მიბოძეთ.

— გამომართვი, ნუ გრცხვენიან.

— საღამოზედ, ბატონო.

— მაშ კარგი, საღამოზედ იყოს, — მიპასუხა იმან და ორნივ გამომესალმნენ, მეც გავიბრუნე ცხვარი ჩვენი სოფლისკენ და წყნარ-წყნარად გავრეკე.

საღამოზედ ჩემი ამხანაგი მწყემსი „ჩამომიდგა“. რადგანაც ის დაბრუნებულიყო მთიდგან, სადაც „მშრალს ცხვარს“ მარილი წაუღო, იმას მოსდევდა მეორე ბიჭი, რომელიც ყოველღამ საყარაულოდ ჩამოგვეშველებოდა ხოლმე.

— მოხვედით მშვიდობით, — მივესალმე მოსულებს.

— მშვიდობა მოგცეს უფალმა.

— ცხორი როგორ არის?.. — ვკითხე მთიდგან ჩამოსულს.

— აბა რა უჭირს?.. ბატკანი ყოველ დღე ყირვანზედ გაჰყავთ მწყემსებსა და ეგრე თამაშობენ, რომ რაღა გითხრა... ძალუმ დაკეთებულა...

— ბალახი როგორიღაა?

— უჰ! — მოწონების ნიშნად წამოიძახა იმან, — ბალახს რაიღა კითხვა უნდა, ცხორი კიტრსავით დაურგვალებია... მართლა, ქალბატონმა შემოგითვალა: ერთს წუთს აქ ამოდიო, სტუმრები მოგვივიდაო, — დაუმატა იმან.

— ვინ სტუმრებია? — ვკითხე მე.

— აბა რაი ვიცი, ქალაქიდან მოვიდნენ, აფიცრებია რაიმე.

— ქალებიც არიან?

— არიან.

— აბა, მაშ მე წავალ და როგორც თქვენი იმედი მქონდეს, კარგა ყური უგდეთ, ცხორი არ დაგსხლტესთ.

— ფიქრი ნუ გაქვს, ცხორს არას გაუჭირებთ.

მე გამოვესალმე, გადუსვი ხელი ჩემს ეროგულს ძაღლს, რომელიც ცხვარს ისე შეშჩვეოდა, რომ მოშორება ვერ მოეხერხებინა, და გავწიე შინისაკენ.

რადგანაც სალამო ჩინებული იყო და მთვარიანი, ყველანი პატარა ბაღჩაში გამოსულიყვნენ და ჩაის მიირთმევდნენ. მხი-

არულს სიცილზედ და ლაპარაკზედ შევატყე, რომ ისინი სასიამოვნო სტუმრები უნდა ყოფილიყვნენ და რამდენიმე ფეხის გადადგმის შემდეგ ხმაზედ გავარჩიე, რომ ერთი ჩემი ახლო ნათესავი ერია იმათში. მე ავჩქარდი იმათ ნახვას, რადგანაც დიდი ხანი იყო, რაც არ მენახა, და მოხუცი ნათესავი კი მამი-ჩემის მეგობარი გახლდათ, მინდოდა ტანისამოსი გამომეცვალა და ისე მივსულიყავ სტუმრებთან, მაგრამ იმათ თვალი შემკრეს და დამიწყეს ძახილი. მე ბოდიში მოვიხადე და მივედ; მართლაც რა მოსარიდი იყო ტანისამოსი ნათესავებისან? მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი მდგომარეობა, როდესაც ასვლის უმალ, ჩემი მოხუცი ნათესავი დამხვდა შემდეგის სიტყვებით:

— იფ, იფ!.. დამიხედეთ მთის მებატონის შვილს!

მე გაშვერილი ხელი ისე დამრჩა და მოხუცს გაშტერებით დავუწყე ყურება. ჩემი ყმაწვილი ნათესაობაც იქვე ახლოს მიკუნჭულიყვნენ და ჩუმად იცინოდნენ.

— არა გრცხვენიან? ნამუსი აღარ გაქვს?.. — მეუბნებოდა გაცხარებული მოხუცი.

— რადა მლანძღავთ, ბატონო! რა დამიშავებია? — ძლივს მოვახერხე სიტყვა.

— კიდეც რომ კითხულობს?.. ბიჭო! მამაშენი მეცხვარედა გზრდიდა? მაგისთვის დახარჯა შენი წონა ფული?.. თუ მეცხვარეობა გინდოდა, შე ჩემი ცოდვით სავსე, ან რუსეთს რაღად მიდიოდი, ან ფულს რაღადა ხარჯავდი?.. მიებარებოდი ჩემს სარქალს და ასეთს მეცხვარეობას გასწავლიდა, რომ უკეთესი აღარ იქნება...

— მამაჩემი სცხოვრობდა ისე, როგორც თითონ ესიამოვნებოდა და მეც ჩემს სიამოვნებაზედ მინდა ვიცხოვრო. — წყენით ვუპასუხე და შევატყე ჩემს თავს, რომ მთლად ავინთე.

— ხალხში გავიდა, იმათ დაახლოება უნდა, კნიაზო! — წამოტყვრა ერთი ყმაწვილი აფიცერი და გაიღიმა.

— ხალხში მინდა გარევა და დაახლოვება თუ არა, ეგ თქვენს ჭკუას არ ეკითხება, — ვუპასუხე მე და დავუმატე:— მაგრამ იმას კი გეტყვით, სიტყვების რახარუხს მე მეცხვაროობა მირჩევნიან, საქმე მაინც არის.

მე გავბრუნდი შინისკენ და, სანამ ოთახში შევიდოდი, მეც მოდა გაშმაგებული მოხუცის ყვირილი და ყმაწვილი ხალხის სიცილი. მოხუცი ყვიროდა:

— რის ხალხის დაახლოება, რის ხალხში გასვლა! თქვენ ისა ბრძანოთ, რომ ეხლანდელი ხალხი გამოუდეგარნი არიან, არაფრისათვის ვარგიან, ვერაფრისთანას ვერ გააკეთებენ.

აფიცერი კი ჭიჭინებდა:

— მავას რად ბრძანებთ? მარტო ერთის მაგალითით რად ადგენთ სხვებზედაც აზრს?.. ჩვენმა ნათესავმა მხოლოდ იმიტომ დაიწყო მეცხვარეობა, რომ თავის გამოჩენა უნდა; სხვებიც ხომ აგრე არ არიან?

— დიდი თავის გამოსაჩენია მეცხვარეობა, სწორე მოგახსენოთ... — უკანასკნელად გავიგონე მოხუცის სიტყვები და შევიხურე კარი.

ერთის მხრით ლანძღვა იმიტომ, რომ იმათ გაკვეთილს ბილიკზედ არ მივდიოდი და მიზნად არ გამეხადა „ჩინი და პატივი“, მეორე მხრით ლანძღვა იმისათვის, რომ განუწყვეტლივი ჭრიჭინის მაგივრად ძნელი საქმისთვის მომეკიდნა ხელი, და მესამე მხრიდგანაც — უნდობლობა, რადგანაც იმ ხალხს, ვისაც გულით ველტოდი, ვერ წარმოედგინათ კაცი, რომელსაც იმათი ცარცვა შეეძლო და ცარცვის მაგივრად იმათთან ერთად მუშაობას და ძმობას აპირებდა!

ასე დაიწყო ჩემი მეცხვარეობის დებიუტი, რა ხელობაშიაც შვიდი წელიწადი გახლდით და რაც ვნახე, გავიგონე და ვიგრძენ, შემდეგიდგან დაინახავთ.

II

მოვიდა შემოდგომა. მწყემსებმა და დანარჩენმა ხალხმა ნახეს, რომ მთელი ზაფხული მთაში ცხვართან გავატარე, ნახეს, რომ არც სახლი, არც კარი მჭონია იქ და, როგორც უმეტესობა მოელოდა, არც შაქარსავით დავმდნარვარ, არც მომწყენია, და არც ავად გავმხდარვარ, თუმცა კი ბევრი შხაპუნა წვიმა დამდენია თავზედ. ყველანი წყნარ-წყნარად დარწმუნდნენ, რომ გულით გამოვეკიდე ამ საქმეს და ადვილად თავს არ

დავანებებდი. ამ ხნის განმავლობაში მე დავუმეგობრდი რამდენსამე მეცხვარეს და ყველაზედ მომეტებულად ერთს სტეფანწმინდის მცხოვრებს სვიმონა გიგაურს, რომელიც პირველსავე შეხვედრის შემდეგ მაკვირვებდა თავის მოაზრებით და ჭკუის გამჭრიახობით.

სვიმონა სწორედ წარმომადგენელი იყო ნამდვილი მთის მეცხვარეებისა. მარდი, გონიერი, სამართლიანი, რომელიც უპრალოდ ჭიასაც არ აწყენინებდა, მაგრამ, თუ უსამართლობას ნახავდა, იმის გული აიმღვრეოდა ჯავრით და ყოველს ღონისძიებას ხმარობდა, გადასახდელად საშუალება ეპოვნა.

ლამაზი, ტანადი, სამართლიანი და ყმაწვილი სვიმონა ყველასგან საყვარელი იყო, ყველას სურდა იმისი „ნამგალაობა“ და, რასაკვირველია, ასეთი კაცი ჩემთვის სხვაზედ მეტად ფასობდა; იმის გამოცდილება და ცხვრის ხელის შეწყობა ხომ ხევში სამაგალითოდ იყო გამხდარი.

როგორც ზევითა ვსთქვი, მოვიდა შემოდგომა, მაგრამ მე ნაშგალა ვერ ავიჩინე და ვერ ავიჩინე! სწორედ უნდობლობა იყო მიზეზი და გადავწყვიტე, მარტოდ ჩემის მწყემსებით წავსულიყავ ჩეჩენში, სადაც ზამთრობით მთის ცხვარი იკვებება; და რამდენად ძნელია იმ აუარებელი რიცხვის ყაზახის სტანიცების გავლა მარტო ერთის ფარისათვის და ხუთიოდე ქვსის კაცისთვის, იმას თითონ ჩვენის მოგზაურობიდგან შეიტყობთ.

ერთს საღამოს, ის იყო ცხვარი საძოვრიდგან მოვრეკეთ ბინაში და ანთებულ ცეცხლს გარშემო უსხედით, როდესაც ძაღლი წამოვარდა და ყეფით გაეჭანა ბეგისკენ; ყმაწვილი ბიჭი, რომელიც იქვე იჯდა, გამოეკიდა ძაღლს, რათა მოეშორებინა ჩვენსკენ მომავალის კაცისათვის.

— საღამო მშვიდობისა, — მოსვლის უმალ წამოიძახა მოსულმა.

მწყემსები მოსულს, როგორც სტუმარს, ჩვეულებისამებრ წამოუდგნენ ფეხზედ და მიესალმნენ.

— მოხველ მშვიდობით, სვიმონაუ! — თითქმის ყველამ ერთად ვუპასუხეთ და მოვიწვიე ჩემს გვერდით დამჯდარიყო მთაში სახელგანთქმული მწყემსი. როდესაც ყველანი დავსხედ თ, შევჭამეთ ცოტაოდენი პური, სვიმონამ დაიწყო:

— მე შენთან მოვედ.

— რაი ანბავია?

— ნამგალაობა გვწადის შენთან.

მე გაკვირვებით შევხედე, რადგანაც მე თითონ ვეძებდი ნამგალებს და ვერ მეშოვნა.

— რაისთვი არა, მე თავად ვეძებდი ნამგალებს, — ვუპასუხე გახარებულმა, — მაგრამ რაისთვი დაიგვიანეთ, რაისთვი აქამდინ არ ბეშატყობინეთ, ხომ იცოდით, რომ მე თავადაც ვეძებდი ნამგალებს?

— ჰაი, ჰაი, ვიცოდით, მაგრამ ჩვენ არ გვჯეროდა, რომ მართლა ხელს მოჰკიდებდი მეცხვარეობას... ბე წინადვე მინდოდა შენთან მოსვლა, მაგრამ ამხანაგები არ შვრებოდნენ და იმათ კი ვერ უღალატებდი.

— შენ ანბობ, რომ ამხანაგებს არ უღალატებდიო და დაბეზღე კი. ახლა მე რომ გადავეკიდო იმათ?

— აუ!.. ეხლა შენ ჩვენი ნამგალა ხარ, შენთან დამალვა ღვთისაც საწყენია და კაცისაც... ამხანაგმა ყველა უნდა იცოდეს, ყველა, სპარს-ანგელოზის მადლმა!

— შენ რაღად გინდოდა ჩემი დაახლოება?

— რადა?.. იმად, რომ შენ მწიგნობარი ხარ.

— მერე?

— მერე ის, რომ ყაზახები შარიანები არიან და შენისთანა კაცი კი თავს გაიტანს იმათთან.

— ძალიან გაწუხებენ ყაზახები?

— ძალიან, წმინდა გიორგის მადლმა!.. აბა, მათი შარი არ იცი?.. ისინი უშაროდ ისე ვერ გასძლებენ, როგორც თევზი უწყლოდ...

ამ სიტყვებით გავათავეთ ჩვენი ლაპარაკი და ყველამ ავიღეთ ნაბდები, გავედით თეოზედ და მივწექით დასაძინებლად.

მხოლოდ არ ეძინა სამს მორიგ ყარაულს, რომელნიც გარს უვლიდნენ ცხვრებს და უფრთხილდებოდნენ, რომ არ გაჰპაროდნენ.

მეორე დილით, ალიონის აწევასთან ერთად, მოპირდაპირე მთიდგან მზემ ჯერ ამოიბჟუტა, მერე ამოიწვერა სხივებით და ჩქარა იქაურობა დაჰფერა ოქროსფრად.

ღამის ნამს გამაცოცხლებლად ეშოქმედა ხავერდის მსგავს

ბალახზედ და ყვავილებზედ, რომელთაც ფერი დასწმენდოდათ, სასიამოვნოდ გადაშლილიყვნენ, თითქოს მზის სხივები უნდოდათ დაეტკბოთ თავიანთი მშვენიერებით.

მწყემსები წამოდგნენ, დაიბანეს პირი და, ყაზახების დაშინებულებმა, ჩვეულებად დადებული სიტყვები წარმოსთქვეს: „ღმერთო, დამიხსენ რუსის (ვითომ ყაზახის) შარისაგან“.

ცხვარი გავიდა საძოვარზედ, მე და სვიმონა კი ბინაში დავრჩით, რადგანაც მოლაპარაკება გვინდოდა ჩვენს მომავალ მგზავრობაზედ და შესაერთებლად დღის დანიშვნა.

— თავა სარჭალი შენ უნდა იქნა, — დაიწყო იმან.

პირველში მე უარი უთხარ, რადგანაც ხამი ვიყავ, მწყემსების ჩვეულება და წესები არ ვიცოდი, მაგრამ სვიმონა იქამდინ გადამეკიდა, რომ აღარ ვიცოდი, უარი რა გვარად მომეხერხებინა.

— რად ითხოვ, რომ სარჭლობა ვიკისრო, როდესაც ბევრი ჩემზედ გამოცდილი და დაჩვეული მწყემსი არის?

— იმადა, — მიპასუხა იმან, — რომ შენ ყველგან მისვლა-მოსვლა შეგიძლიან, შენ, თუ გაჭირდა, თავსაც გაიტან და ჩვენ კი ბედშავები ვართ... თუ შენისთანა კაცი კრიჭაში არ ჩაუდგა ყაზახებს, ჩვენი კაცი აბა რაი გახდების?

როგორცა ხედავთ, ყველგანა სჩანდა ყაზახებისაგან შეწუხება მწყემსებისა, რომელთაც თავი ჰქონდათ მოძულებული ამ მშვიდობიანობისათვის დასახლებულებისაგან.

— მამასახლის-პრისტავიც ვეღარ გვაწვალებს, — დაუმატა სვიმონამ.

— განა ისინიც გაწვალებენ? ყაზახები რადად?

— ღმერთმა ნუ იცის იმათი თავი! — წამოიძახა გულ-დაწყვეტით, — სანამ ბილეთს მოგცემენ, კაცს სული ყელში მოებჯინების... ქვემოთკენ (ჩეჩენში) თუ არ პრისტავის ბილეთი, არ გამოდგები და პრისტავი კი მამასახლისის მოწმობასა გვთხოვს...

— ეგ რა გასაჭირია, წელიწადში ერთხელ გინდათ ბილეთი.

— ერთხელ? — ჩაიცინა მან, — ერთხელ უნდა, მაგრამ ვაი იმ ერთს აღებას?

— როგორ?

— აი როგორ: ჯერ ერთი — ბილეთი საერთოდ ფარას თა-

ვის მწყემსებით უნდა; მეორე — სამ კაცს თითო-თითო ბილეთი...

— სამ კაცს რაისთვიღა?

— იმისთვი, რომ ზოგი „ჯერისთვის“ იგზავნების, ზოგი თივისთვის, ზოგსაც საქმე გაუჩნდების რამე... მერე საქონელისათვის ბილეთი! ჩემი მტერი ჩავარდეს მაგათ ხელში!.. ეხლა რაი გიანბო, გაიცან ცოტა ჩვენი ცხოვრება და მაშინ გაიგებ, რაიც დღე მწყემსებს ადგას.

— შენ უთუოდ გაგაჯავრეს რაზედმე და იმიტომ ლაპარაკობ აგრე.

— ჰაი, ჰაი, რო გამაჯავრეს! შარშან, — დაიწყო სვიმონამ, — ასინსკაში ცხორი მედგა და მე კი შინ მოვედი, ჯალაბი მომიკვდა, დამარხვა უნდოდა, შუაგული ზამთარი იყო, როდესაც კაცი მოვიდა ცხვრიდგან და შემატყობინა, რომ ჩვენს ფარეხს ცეცხლი მოჰკიდებოდა... შენს მტერს შეექნას აგეთი გული, როგორც მე შემექნა. გამოვიქეც მამასახლისთან ბილეთისთვის. იმან პრისტავზედ გამიღირა ხელი და პრისტავი კი ქვეშეში სდგას; აქედან ქვეშემდე სამოცი ვერსი იქნება. წინ და უკან ას-ოცი ვერსის გავლა ხუმრობა არაა, მერე ზამთარში და მთაზედ გადასვლ-გადმოსვლა ხომ რაიღა გითხრა! მაგრამ მეტი ღონე რა იყო? ვთხოვე მოწმობა; იმ ურჯულომ მანამ არ მომცა, სანამ ბეჭდის ფული ხუთი მანეთი არ გამომართვა. წავედ, ღმერთმა ხელი მომიმართა, მთას გადავრჩი, მშვიდობიანად გადაველ, მაგრამ პრისტავს რაიმე საქმე გასჩენოდა თუ საქეიფოდ წასულიყო ქალაქში, შინ არ დამხვდა. იასაულებმა კი მითხრეს: ერთს თვეზედ ადრე არ დაბრუნდებისო. რაიღა უნდა მეთქვა? გული სისხლად ივსებოდა: ჩემი სარჩო საბადებელი ცხორი იყო, ფარეხს ცეცხლი მოჰკიდებოდა, და მე კი დაბეჯითებით არ ვიცოდი— სულ დაიწვა ცხორი, თუ გადარჩა რამე... ვიოხრე, ვიჯავრე და დაღონებული გამოვბრუნდი. გზაში ამიდგა ბუქი და კინაღამ თოვლმა დამარჩო... შინ რომ ჩამოველ, ვიფიქრე, ვიფიქრე და გულმა ვეღარ გამიძლო, უბილეთოდ წაველ. ვიფიქრე, ჩემ შავ დღეს შევატყობინებ, თავს შევაბრალებ და გამიშვებს-მეთქი. მაგრამ დარიელას ყაზახები დამხვდნენ, მთხოვეს ბილეთი და საით მოვუტანდი, რაიც არ მქონდა? დამიჭირეს, გამიკრეს ხელები და ძაუგს ჩამიყვანეს,

იქ ორი კვირა ვიყავ დაჭერილი; მემრე გამატანეს ეტაპს და ორი კვირა მომინდა, სანამ დუშეთს ჩავიდოდი. გული კი სივდებოდა და სივდებოდა!.. იქაც ერთი კვირა მომაგვიანეს და მერე გამომიშვეს... მადლი უფალს, ცხორი გადარჩენილიყო. მაგრამ ან რაიღა გული უნდა მქონდეს ამის შემდეგ მაგათზედ, ან რაი შემიძლიან, რითი გადაუხადო?!!

იმისმა ლაპარაკმა მეც დამაფიქრა და მწუხარებით წარმომადგენინა ის უბედური დრო, როდესაც პატიოსანს მუშას შემწეობა და დახმარება ეჭირება პატიოსანი შრომისთვის! დამაფიქრა იმ ხალხის მდგომარეობამ, რომელთ ბედ-იღბალი ჩავარდნიათ ხელში სხვადასხვა უთავო მოთაურებს და მართვენ თავიანთ გემოვნებაზედ, სდებენ თავიანთგან გამოგონილს წესებს, ჰკრეფენ ჯილდოებს.

III

გაიარა რამოდენიმე ხანმა, მე მოვამზადე საჭირო ბილეთები და სტეფანწმინდის პირდაპირ, თერგს გაღმა, შავხალიანთ სათიბეში ყველა ნამგალეები მოვგროვდით, დავურიეთ ერთმანერთს ცხვარი და, რადგანაც მეორე დღეს გამგზავრებას ვაპირებდით, ჩვეულებისამებრ გავმართეთ საღმრთო.

აქ ყველანი ისე იქცეოდნენ, ისე ლოცულობდნენ და ეთხოვებოდნენ მოწვეულს მეგობრებს და ნათესავებს, თითქოს საომრად მიდიოდნენ სადმე ანუ დიდს ფათერაკს ეძლეოდნენ. მართალია, ნოღებისა და ჩეჩნების მინდვრები კარგა დაშორებულია ჩვენგან, მაგრამ იქაც ხომ დამშვიდებული ხალხი სდგას; მაშ რისა ეშინოდათ ამ მშრომელს ხალხს, რომელიც ისეთს მშვიდობიანის საქმისთვის მიდიოდნენ. როგორიც საჭონლის მოვლა, გაკვება არის?.. მე ხამი ვიყავ, და ყველა გასაკვირველად მეჩვენებოდა, რადგანაც ვერ წარმომედგინა ყველა ის გაჭირვება და უსიამოვნება, რომელიც თურმე გზაში მოგველოდა.

ერთხმად გადასწყვიტეს იქ მოგროვილმა მწყემსებმა, რომ გზაში და ბინაზედ რიგის მიმცემად მე უნდა ვყოფილიყავ და სვიმონაც ჩემი სურვილისამებრ თანაშემწედ დამინიშნეს. პუ-

რის ჭამის დროს თასს თასზედ მიგზავნიდნენ, სმურს სმურზედ მეუბნებოდნენ და, საზოგადოდ, ლექსად გამოჰყვანდათ ის იმედი, რომელსაც ჩემგან მოელოდნენ.

მზემ გადაიხარა, როდესაც პურის ჭამა გავათავეთ. მე შევუდეგ ჩემი მოვალეობის აღსრულებას. მწყემსები იმღენს ლაპარაკობდნენ გაჭირვებაზედ, აუცილებელს შეტაკებაზედ, ქურდობაზედ, რომ პირველადვე ჩემი ყურადღება იარაღმა მიიქცია და ამისთვის მოვკრიბე მწყემსები და დავუსინჯე იარაღი, რომლითაც სრულიად კმაყოფილი დავრჩი; ყველას თოფები და დამბაჩები გაწმენდილი, ჩახმახები მომართული, ტალები ახალი და გამოპირული, ხანჯლები დაღესილი და ტყვია-წამალი საკმარისი ჰქონდათ. ერთი სიტყვით, ისე მზად იყვნენ, რომ, რა წუთსაც გინდოდათ, საბრძოლველად გაყვანა შეგეძლოთ...

ცხვარი იმ ღამეს იქ უნდა დარჩენილიყო და მეორე დილას გარიჟრაჟზედ უნდა გავმგზავრებულიყავით ყაზახების სტანიცა მახანიურტის ადგილებში, ბრაგუნში, სადაც საზამთროდ ადგილი გვქონდა დაჭერილი.

მე და სვიმონა გამოვედით ჩვენს სოფელში დანარჩენი საქმის გასარიგებლად, შინაობაში რიგის მისაცემად და გამოსასალმებლად.

— ძალიან კი ვემზადებოდით, სვიმონაუ, და არ ვიცი, რაი იქნება? — ვკითხე.

— მომზადება წინად უნდა, თორემ, როცა გაჭირდების, გვიანღა იქნების, — მიპასუხა იმან აუჩქარებლივ.

— შენ ისე ლაპარაკობ, თითქოს ჯარში მივდიოდეთ! — ღიმილით ვუთხარ, რადგანაც მინდოდა სალაპარაკოდ გამომეწვია და დაახლოებით შემეტყო, თუ რა მოგველის გზაში.

— რა ბედენია, შენაი ჭირაიმე, კაცი თუნდ ჯარში წასულა, თუნდა მწყემსად?.. ორგანვე იარაღს ვერ მოიშორებს.

— როგორ?

— როგორ და ისე, რო ცხორს ყველა ემტერების: ნადირე, კაცი, ამინდი — ყველა ცხორის მტერია, ყველა იმას ეტანების, — წარმოსთქვა იმან და დაუმატა: — მაგითია მეცხვარე ბედშავი. ყველა ხელობის კაცს შეუძლიან მოისვენოს, გადასდოს საქმე, მაგრამ მეცხვარეს კი არა... ავდარში ცხო მუ-

შა თავს შეაფარებს და მწყემსი კი ცხორთან უნდა მოკვდეს.. ღამეა და ცალი თვალი გახელილი უნდა ეჭიროს, ან ცხორი არ დაუფთხეს, ან ნადირმა არ გაიტაცოს და ან ქურდმა... მწყემსისთვის მოსვენება არც დღეა და არც ღამე!

მართლაც, წარმოიდგინეთ, მკითხველო, მწყემსის მდგომარეობა, ცის ქვეშ, ბნელსა და ცივს ღამეს; განუწყვეტლივი კოკებრივი წვიმა, რომელიც ასველებს და ჰყინავს რბილსა და ძვალს; ჭარიშხალი სადგისებსავით სჩხვლეტავს ჭარისაგან გადაგდებული ნაბდის ადგილს — და ცხვარს კი მაინც ვერ მოშორებიხარ, თავი ვერ შეგიფარებიათ, ამიტომ რომ ცხვარს ვერ მოაცდენთ საძოვარს და იქ კი გაფაციცებული, გაფრთხილებული თვალი ეჭირება.

ცხვარი ჯერ ბინიდგან არ აშლილიყო, როდესაც ჩვენ გავედით და ღმერთისა და ხეური ჯვარ-ანგელოზების ხსენების შემდეგ გავემართენით ჩვენს გზას.

ჩვენი სანამგალო ცხვარი გავყავით ხუთს ფარად, წინას გავატანე სვიმონა და მე თითონ უკანა ფარაში დავრჩი; თუმცა ჩემი თანაშემწე წინა ფარაში ყოფნას როგორღაც ზარობდა, მაგრამ იმ მოაზრების გამო, რომ უკანმყოფს არ ამცდებოდა, რაც კი წინეებს შეემთხვეოდა და უფრო ადვილად თვალ-ყურის დაჭერაც და მიშველებაც შემეძლო, — ჩემი ავასრულე.

ცხვარი გაიძაბა ვიწრო, ხვეულს ხეობაზედ და დაემსგავსა მოძრავს გრძელ ხორტს წყნარისა და ფრთხილის სიარულის შემდეგ მივახლოვდი დარიალას. უეცრად წინა ცხვარი შეაყენეს და რაღაცა ხმაურობა მომესმა; არ გაიარა რამდენიმე წუთმა, როდესაც ერთი მწყემსი წამოვიდა ჩემკენ რბოლით, მოვიდა და შემატყობინა, რომ ყაზახები ცხვარს არ უშვებენო. დარიელში მშვიდობიანობის დასაცველად დჯანან რუსის ყაზახები და იმათ სხვა უფლების გარედ ნება აქვსო მიცემული გამვლელ-გამომვლელს ბილეთები მოსთხოვონ, შეამოწმონ ბილეთში ჩაწერილის ნიშნებით სინამდვილე ქალალდის წარმოდგენისა და სხვა.

— რაისთვი დაგაყენესთ? — ვკითხე მე.

— იმისთვი, რო ყაზახებს კაცის წვალება უყვარსთ, — მოკლედ მიპასუხა მოსულმა.

მე გავწიე, ჩავედ და ვნახე შემდეგი: ჩვენზედ წინ წასუ-

ლი ფარები დეერიათ ერთმანერთში, შეერეკათ მოწნულს ბაკ-ში, რომელიც ტალახით სავსე იყო და წმინდად გაბანილი ცხვრები მუხლებამდის შიგ იფლობოდნენ!

რადგანაც დედალ-მამალი ყაზახებს დაერიათ ერთმანერთში, ცხვარი ნერბობდა და ბატკანი უეჭველია ადრე გამოვიდოდა, სწორედ ისეთს დროს, როცა ახალი ბალახი ჯერ არ იქნებოდა გაჩენილი, დედა რძეს ვერ მოუმზადებდა და, მაშასადამე, ან უნდა დაჩაგრულიყო ნორჩი, ნაზი ბატკანი და ან დახოცილიყო. დიდიხნის ნადგომი დამპალი და აყროლებული სხვადასხვა უწმინდურებით ტალახი კი ცხვარს ფეხებს „უყელამდა“, უფუჭებდა და დაკოჭლებული ცხვარი საძოვარზედ ვეღარ ივლიდა, ჭაჩებით თოვლს ვეღარ გასთხრიდა და ვერ ამოაჩენდა საძოვარ ბალახს. ეს გაალუბებდა ცხვარს და, თუ ზამთარს გადარჩებოდა, პატრონს სარგებელს მაინც ვეღარ მისცემდა, — მატყლი არ გაჰყვებოდა და ბატკანს ვერ აღზრდიდა.

რასაკვირველია, რომ ყაზახებს, შეჩვეულს მუდამ ტაციობით ცხოვრებას, სულით და ხორცით დამახინჯებულებს, გარყვნილებს, არ ესმოდათ ის ზარალი, რომელსაც თავიანთის ძალდატანებით და უსამართლობით მწყემსებს აძლევდნენ! მაგრამ მე გამიკვირდა ის თავაწყვეტილი არეულობა და თავისნებობა, რომელსაც ისინი ჰბედამდნენ.

მიველ თუ არა, შემომეხვივნენ ჩვენი და სხვა მწყემსები ხვეწნით:

— გვიშველე-ღა რამე, წმიდის გივარგის თავით გეხვეწებით!

— რად დაგაყენეს, რას ამბობენ?.. — ვიკითხე მე.

— შარი მოგვდეს, ცხო რაღა! — მიპასუხა ერთმა და დაუმატა:— ხუთ თუმანსა გვთხოვენ, თუ მოგვცემთ, გაგიშვებთო, თუ არა და არაო...

— ერთი თუმანი ვაძლიეთ და არ დაგვჯერდნენ, — დაუმატა მეორემ.

— რას ამბობ, რად უნდა მისცეთ! — ვუთხარ მე და მივუბრუნდი იქ ჩყოფს ყაზახებს, — ვინ არის თქვენში უფროსი?

— მერე შენ რა გინდა? — მივიღე პასუხად, — ნაჩალნიკი ხარ?

— მაგას გაიგებ, ვინცა ვარ, — ვუპასუხე გულმოსულმა და გავუმეორე კითხვა: — ვინ არის უფროსი?

— მე ვარ უფროსი, რა გინდა?

— რად გაგიჩერებია ცხვარი?

— ჩემი ნებაა და იმიტომ.

— შენ გესმის, რა ზარალსაც აძლევ მწყემსებს?

— სულაც რომ გაწყდნენ, მე რა მენაღვლება?..

აშკარად დავინახე, რომ ამ კაცთან კაცური ლაპარაკი არ გამოდგება და დავრწმუნდი კიდეც, რომ ცრუობდა — უფროსი ის არ უნდა ყოფილიყო, რადგანაც არავითარი ნიშანი არ ჰქონდა და უბრალო ყაზახი იყო.

მე მოვშორდი იმას და გავწიე კაზარმებისაკენ, სადაც კარებში შემხვდა მეორე ყაზახი.

— სად მიხვალ? — შემაყენა იმან.

— თქვენი უფროსი უნდა ვნახო.

— ისა ქეიფობს, შენთვის არა სცალიან.

— წადი, უთხარ, რომ იმის ნახვა მსურს, — მე დავუსახელე ჩემი სახელი და გვარი.

— შენ რა ჩვენი ნაჩალნიკი ხარ! — გაიცინა იმან. მე გული მომივიდა და ძლივს შევიმაგრე თავი. მშვიდობიანობის დამცველი ქეიფობს და როდესაც კაცი სამართლის სათხოვრად მიდის, ყაზახები მასხარადაც კი იგდებდნენ! რაღა მრჩებოდა?.. კიდევ კარგი, რომ რუსული წმინდად მაინც ვიცოდი, თორემ თუ ისეთი ვინმე შეხვედროდათ, რომელსაც ეს ენა არა სცოდნოდა, უმეტეს შეურაცხყოფასაც მიაყენებდნენ.

მე გამოვბრუნდი, დავძახე ბიჭებს, რომ გამოერეკათ ცხვარი და გაეწიათ თავის გზაზედ.

რაწამს საცოდავებმა გაიგონეს ჩემი ხმა, სიცოცხლე გაჩვსთ, ჩქარა გადმოამტვრიეს კარები და გამოუშვეს დამწყვდეული ცხვარი, რომელიც შეწუხებულიყო და, რა თავისუფალი გზა დაინახეს, ხტუნაობით გამოდიოდნენ.

ყაზახი მივარდა ერთს მწყემსს და დაჰკრა მათრახი, რომელმაც აანთო მეცხვარე; ისა სწვდა ყაზახს, გადმოიღო ღობიდგან, რომელზედაც შეხტა, ჩაიდო ფეხ-ქვეშ და, სანამ მე გავაგდებინებდი, კარგა ლაზათიანადა სთელა. იმის ყვირილზედ გამოცვივდნენ სხვა ყაზახები, დაერივნენ მწყემსებს, მაგრამ

რას გახდებოდნენ თხუთმეტიოდე ყაზახი ოთხმოც ხევში გამორჩეულს მწყემსებთან. მალე შეიქნა ყაზახების ხვეწნა-მუდარა, თითონ იმათი უფროსი, ურიადნიკი ბელოგოროვი თუ ბელაგორსკი, ეხლა კარგად აღარ მახსოვს, გამობრძანდა გახეთქილი და ძლივს ფეხზედ მდგომი, მარტო ცარიელა პერანგში. პირველი იმის დაძახება იყო: იარაღი.

მაგრამ რა დაინახა თავისი გაფანტული ყაზახები და ძალა სხვის მხარეს, ჩქარა იკადრა შინ შევარდნა, ჩოხის გადაცმა, ხმალიც კი გადაეკიდა მხარზედ და მოწიწებით მოვიდა ჩემთან, ხვეწნით და მუდარით, რომ გვეპატიებინა ყაზახების უწესოება.

ხალხი როგორც იყო დავამშვიდე, ცხვარი გამოვიყვანეთ და მწყემსების სასიამოვნოდ გავაგრძელეთ ჩვენი გზა.

IV

ვერ მოვასწარით დარიელის ფათერაკს აცდენა და ცხრა ვერსის გავლა, როდესაც ლარსის ყაზახები გადაგვიდგნენ წინ და ფარაზედ თითო ბატკნის თხოვნა დაგვიწყეს. რისთვის, რა მიზეზით, რომლის უფლებით გვთხოვდნენ — ეს ყველა გამოურკვეველი დარჩა და რადგანაც არ ვანებებდით, ისინი კი ითხოვდნენ — ჩხუბი აუცილებელი ხდებოდა. ღმერთმა უშველოს ლარსის აჭიზნის, რომელმაც შეატყობინა იმასთანავე მოსულს სოტნიკს ჩემი ვინაობა.

ამ შემთხვევამ გადაგვარჩინა მეორე ხათაბალას... მწყემსები მხიარულად იცინოდნენ და უკვირდათ მშვიდობიანი გადარჩენა „შარიან ყაზახებს“, როგორც ისინი ყაზახებს ეძახიან.

ჩვენ გავიარეთ კიდევ რაოდენიმე გზა და დავინახეთ ჩალხის წყალზედ რამდენიმე ადგილს გაძრიელებული ცეცხლი: ეს იყო ჩვენი „მობინავეები“, რომლებიც ვახშამს გვიმზადებდნენ, — ღამე აქ უნდა დავრჩენილიყავით. ცხვარი შევაბრუნეთ საძოვრად. გვინდოდა კარგად გაგვეძღო, რადგანაც მთელი დღე ფარას გასაშლელი ადგილი არ შეხვედრია და ვიწრო ხეობა კი, რომელზედაც ჩვენ მოვდიოდით, მთლად გაგლილ იყო ჩვენზედ წინ ჩამოვლილი ცხვრის ფეხისგან.

— აქ სიფრთხილე გვინდა, — მომესმა სვიმონას ხმა, რომელიც ჩემთან მოვიდა.

— აქ რიღასი შიშია? აქაც ხომ ყაზახები არ არიან? — ვკითხე.

— მგელი იცის და ოსებიც ყაზახებზედ უკეთესები არ არიან.

— როგორ?..

— როგორ და ისე, რომ ეხლა ჩვენ ბინაში რომ მიხვიდე, გაჭედილი იქნება ოსებით...

— მერე რა?

— მოიტანდნენ ერთს ბოთლს გაწყალებულს არაყს, ვითომ მწყემსების პატივის საცემლად, და თითონ კი თვალი იმაზედ უჭერიათ — ცხვარი როგორ დადგება, საიდგან უფრო მარჯვედ მოიპარების.

— ე, რას ანბობ, მაგას როგორ იზმენ?

— შენ ძალა გაქვს, ხემწიფის სწორი კაცის შვილი ხარ, იქნება შენთან ვერ გაბედონ, თორემ აბა მარტო ჩვენი კაცი იყოს...

— რას იქმოდნენ?

— მაგას თავად გაიგებდნენ! — აღარ გაათავა სვიმონამ და ქვა გადაუგდო მეტად უკან დარჩენილს ცხვარს, რომელიც ერთს ადგილს ჩასციებოდა და გაშმაგებით რაღაცასა სჭამდა.

— ტიალი მიწასა სჭამს, მარილი მოსდომნია! — წარმოსთქვა და მერე ისევ ოსებზე გადვიდა. — ნეტა გულადნი, პირდაპირი მაინც იყვნენ, თუ არა და, აბა რაია, ღვთის მადლსა!.. მოვლენ, ხელში მოგიკვდებიან, მიგინდობენ და დანდობაზე კი უფალს ჰკითხე.

— როგორც გეტყობა, ოსები ძალიან გეჯავრება?

— მოიცა-ღა, ბატარაი იარე, გაიცან და მაშინ შენთავად ნახამ.

ცოტა ლაპარაკს შემდეგ მე წავედ ბინაზედ, რათა არჩეული ადგილი დამეთვალიერებინა და, სწორედ გითხრათ, გავკვირდი ამ საბრძოლველად მოწყობილის ადგილის ამორჩევით!.. მე მომეგება მოხინავე, თუმცა არც ცერემონია და არც ის ფორმალური ქცევა ჰქონია, რომელიც სამხედრო ხალხში ჭიმვით და პრანჭიობით თავს იჩენს, მაგრამ ის აშკარად ხედავდა,

რომ საქმე ჰქონდა მინდობილი და მოვალე იყო აღესრულებინა წესიერად; აგრეთვე ის აშკარად თავის თავს მოვალედ ხედავდა, რომ ჩემთვის, როგორც სარქლისთვის, თავის მოქმედების ანგარიში მოეცა.

ადგილი იმ გვარად იყო ამორჩეული, რომ მთლად შემოზღუდულიყო პატარა გორაკებით, საიდგანაც ადვილად შეიძლებოდა თვალის დაჭერა. შუა ადგილას — საკმაო და ბალახიანი მინდორი, ერთ მხარეს — წყალი.

— ადგილი კარგია, მაგრამ ტყე რომ შორსა გაქვსთ? — შევნიშნე უფრო იმისთვის, რომ ეთქვა რამე.

— ტჷე მოშორებითა სჯობს.

— როგორ?

— ტყე რო მოშორებითაა, ცხვარი თუ ან მგელმა, ან კაცმა გაიტაცა, მალე ვერ შეეფარების, — მოკლედ მიპასუხა და რწმუნებით გაისწორა ქუდი, თითქოს უნდოდა ეთქვა: „მე მთის მწყემსი კარ, მაგგვარი საქმე მე არ ამერევა“. მეც ჩავჩუმდი და გავყევი, სადაც ცეცხლი დაენთოთ.

შორიდგანჷე შევნიშნე, რომ ცეცხლთან ბევრით უმეტესი ხალხი ირეოდა, სანამ ჩვენი ბინის კაცები იყვნენ, და სვიმონას სიტყვები მომაგონდა.

— იქ ბევრი ხალხი სჩანს, — გავუშვირე ხელი ბინისკენ,— ვინ არიან?

— კატები.

— ვინ კატები, რას ანბობ?

— ოსები, ცხო ვინა. მაგათ სულ აგრე იციან, რაკი ბინაში გაჩენილს ცეცხლსა ნახვენ, მაშინვე იქ ჩამოცვივიან... ეხლა გაიგეს, რომ შენ აქა ხარ და რაღას მოგშორდებიან, თუ არა მიეცი რა.

ჩვენ მისვლაზედ წამოცვივდნენ ოსები, თავისკვრით მომეგებნენ, მაიწმუნებდნენ, რომ წარმოუთქმელად ვუყვარდი იმათ, რომ მამაჩემის ამაგი საშვილიშვილოდ არ დაავიწყდებოდათ და ბოლოს გაათავეს სიტყვებით: „როცა „გლახას“, — ასე ეძახდნენ მამაჩემს, — ცხვარი ჩამოივლიდა, ყოველთვის საკლავს გვაჩუქებდა“.

ერთმა მაჩიჩემისგან ისეთს ნაჩუქარ ყოჩზედ მიამბო, რო-

მელიც, თუ სპილოს ოდენა არ იქნებოდა, კამეჩებზედ კი ბევრით დიდი უნდა ყოფილიყო.

ბოლოს, ისე რიგად გაბერეს ერთი ბოთლი არყის მოტანა, რომ გული გააწვრილეს. აღარ მომეხსნენ, დამსვეს ცეცხლაპირას და „ვარადა-ვარადას“ ბოლო არ მოეღო, სანამ მწყემსს თოხლი არ მოვაყვანე და არ მივეც.

როგორც იყო, ისინი თავიდგან მოვიშორე, თუმცა მთხოვდნენ, რომ ღამე ყარაულად დამდგარიყვნენ და იძახდნენ:

— აუ! სენ სტუმარი, ცვენ მასპინძელი, სენი წირიმე, ეგრე თავი როგორ დაგანებებ?

მაგრამ ჩემი მწყემსები ისე მტრულად უბღვერდნენ, რომ ოსების წადილის აღსრულება ვერ გავბედე. რაკი ოსები გავისტუმრე და მარტონი დავრჩით, მოვიდნენ მთრიგი ღამის ყარაულები, აიღეს თავიანთთვის საჭმელი და გასწიეს თეოზედ, სადაც თავ-თავის ძაღლი გაიყოლეს.

დანარჩენი მწყემსები დავსხედით პურის საჭმელად, და კარგად შევექეცით თბილს ალტამებს და დამარილებულ ხორცს, რომელიც თან საკმაოდ გვქონდა. მთელმა ვახშამმა გაიარა ხუმრობაში, ოხუნჯობაში და ლექსაობაში. სიამოვნებით ვუყურებდი იმ სიცოცხლით სავსე, თითქოს უზრუნველს და უდარდელს ხალხს, რომელიც ცხოვრებას ასე ჩაეკირკიტებინა, ასე გაემაგრებინა, რომ დაღალვაც კი არ ეტყობოდათ.

ცოტა ლაპარაკისა და ყალიონების მოწევის შემდეგ. ყველამ ავიღეთ ნაბდები და გავწიეთ თეოზედ, სადაც ცხვრის პირად უნდა დაგვეძინა. მთვარე ჩასულიყო და შავს სივრცეში ვარსკვლავები უფრო ძალზედ კამკამებდნენ და ამშვენებდნენ იქაურობას. მთები, რომელთაც პირი დაეღრინათ და გამვლელ-გამომვლელისთვის გზა მიეცათ, თითქოს უფრო გაზრდილიყვნენ და იკარგებოდნენ ღამის უფსკრულში. შორს მომდინარის თერგის ხმაურობა ათასში ერთხელ წყნარსა და მოალერსეს ნანად მოისმოდა. ნადირი არ ეტანებოდა ცხვარს და ძაღლებიც დამშვიდებულნი ფარეხს გარს უვლიდნენ.

ამ მშვენიერს, ყრუს და სასიამოვნო საღამოს, როდესაც ყნოსვას დაატკბობდა სურნელიან ყვავილებ-გარეული თივის სუნი, კაცი რაღაცა აღტაცებაში, შფოთვაში შედიოდა.

თქვენ გრძნობდით, რომ ცოცხალი ხართ, სიცოცხლე ტკბი-

ლია, არის რაღაცა ძალა, რომელიც გიალერსებსთ, გიზიდავსთ და რაღაც სიძსუბუქით და ნეტარებით გასუნთქებსთ!..

ასეთად მეჩვენებოდა ეს ღამე, ასეთი მოქმედება ჰქონდა ჩემზედ და, ვგონებ, დანარჩენებზედაც.

არ ვიცი, ამ დროს სხვები რასა შვრებოდნენ, და მე კი ძილი გამიკრთა, აიშალა ფიქრები და ვინ იცის სად არ მიმახეტა. რა არ წარმომადგენინა...

კარგა ხანმა გაიარა, როდესაც, თითქოს ღამთევრალს, დასუსტებულს თვალები დამეხუჭა და ის იყო ბურანში წავედი, როდესაც ერთბაშად შემოშესმა ძაღლების ყეფა, თოფის სროლის ხმა და მწყემსების ყიჟინა.

მე წამოვვარდი და ყველა მწყემსები ფეხზედ დამხვდნენ. ისინი მისდევდნენ შეშინებულს ფარას, რომელიც დამფრთხალიყო, დაეხარა თავი გზის გასაჭრელად და შეუყენებლივ გარბოდნენ. მეორე მხარეს, ცეცხლის-პირ შგელი დაეტრიალებინათ ძაღლებს, შუაში ჩაეგდოთ და თავგანწირვით ებრძოდნენ. ერთ წუთზედ შგელი დაეცა, მთელი ხროვა ძაღლები მისცვივდნენ და გაფათრეს.

მწყემსებმა ძლივს დაიმორჩილეს ცხვარი, რომელიც დაფრთხობის შემდეგ აღარაფერს არჩევს და გარბის, გარბის, სანამ წინ რამე არ შეხვდება, ან ქშენა სისხლს არ დაუყენებს, თავს ბრუს არ დაჰხვევს, ან მუხლს არ მოსჭრის.

ცხვარი ისევ დავაბინავეთ, ალიონმაც აიწია და მე კი ვიფიქრე: ან ძილი, ან მოსვენება როდისღა უნდა მღირსებიყო.

V

გათენდა დილა და სტვენასთან ერთად მოისმა მწყემსების ერთმანერთის ძახილი. ცხვარი ბინიდგან აიშალა და გაუდგა გზას. ვერ მოვასწარით ჩასვლა სოფ. ბალთას, სადაც ზასტავაში შეგვაყენეს და გზის ხარჯის თხოვნა დაგვიწყეს.

ჩვენ ეს ხარჯი უსამართლოდ გვეჩვენა, რადგანაც გზა-გზა არ გვივლია და სულ მინდორზედ ძოვნით მოგვიდიოდა ცხვარი. მაგრამ ჩვენს საბუთიანს ლაპარაკს ყურადღებას არავინ აქცევდა და გასასვლელს გზას არ გვანებებდნენ.

ჩეტი ღონე არ იყო, უნდა გავსწორებოდით და ამისთვის წარვუდგინეთ ბილეთები, რომელშიაც ცხვრის და ბინის მზიდავ საქონლის რიცხვი ჩაწერილი იყო, მაგრამ იმათ არ ირწმუნეს ეს ქაღალდები და დათვლა მოინდომეს.

წარმოიდგინეთ რვა ათასამდე ცხვრის გათვლა, ნამეტნავად ნამთევისა, დასუქებულისა, ან რამდენს ხანს დაიჭერდა და ან რამდენს ზარალს მისცემდა იმათ პატრონებს.

მე წაველ ზასტავის უფროსთან, მაგრამ ყოველი საბუთი, ყოველი ლაპარაკი, თხოვნა ამაოდ დარჩა: „უნდა გავთვალო!“ დაეჟინა იმას, თითქოს სხვა სიტყვები გადავიწყებოდა.

ცხვარი შეგროვდა გზაზედ, იმათ მოაწყდა ზეიდგან და ქვეიდგან მომავალი ურმები, ფურგონები, ტროიკები, აქლემები და წარმოუდგენელი არეულობა მოხდა. ყველანი ყვიროდნენ, ილანძღებოდნენ და ჩხუბობდნენ რადგანაც გზა შეიკრა.

მე გადავწყვიტე, რომ ცხვარი უკან გაებრუნებინათ იქვე პატარა მინდორზედ და იქ შეეყენებინათ, სანამ ვლადიკავკავში, რომელიც 12 ვერსზედ მდებარეობს ბალთიდგან, ჩავიდოდი, შევატყობინებდი ამ გვარს არეულობას ბ. დელაკრუას, რომლის განკარგულებაშიაც იყო ეს გზები და რომელსაც კარგად ვიცნობდი.

ის იყო გამოველ ზასტავის უფროსისაგან და ჩემს განზრახვის აღსრულებაში მოყვანას ვაპირებდი, როდესაც ერთი გზაზედ მოსამსახურე სალდათებთაგანი მომიდგა გვერდზედ:

— თქვენ უბრალოდ სწუხდებით, — დაიწყო იმან.

— როგორ უბრალოდ?.. — გავიკვირვე და დავუმატე გაჯავრებულმა: — არ გვივლია თქვენ გზებზედ, არა წაგვიხდენიარა და სრულიად უსაფუძვლოდ ფულსა გვთხოვთ... მაგასაც ხომ არ კმაყოფილდებით: გზის ქაღალდებს, პრისტავისაგან მოცემულს და სახელმწიფო ბეჭედით დაბეჭდილსაც არ ერწმუნებით და გინდათ, ჩვენდა საზიანოდ, ცხვარი გაგვითვალოთ!...

— ყველაზედ კანონია, ნაჩალნიკები გვიბრძანებენ...

— მე არა მჯერა, რომ უფროსები გიბრძანებდნენ ხალხი

აწვალოთ და აშკარად ხალხის სარგებლობის წინააღმდეგ მოიქცეთ!

— უბრალოდა ჯავრობთ, გარწმუნებთ! — მამშვიდებდა ჩემთან მოლაპარაკე რუსი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა კანტონისტებისაგან იყო და მწერლად დაეყენებინათ.

ამ ხალხს ყოველთვისინ რაღაც განსაკუთრებითი ბეჭედი აზის და საქციელი აქვს, რომელიც ათას კაცში გამოგარჩევინებსთ. ფერწასული, წმინდა ჩაცმა, ქუდი გვერდზედ, რომლის ქვეშიდგანაც ღორის ქონით გაპოხილი თმა მოჩანს; პირისახის გამომეტყველება „ვირ-ეშმაკური“, საპონწასმული და გაწკეპილი ულვაშები; ლაპარაკში ცდილობენ ტკბილის სიტყვებით შეაზავონ თავიანთი საუბარი და, თუ სიტყვა ველარ იპოვეს, მაშინვე შეთხზონ, იმის მიუხედავად — მოსახდენია ეს სიტყვა, თუ არა. ერთის სიტყვით, ჩემთან მოლაპარაკე ერთი იმგვარ ხასიათთაგანი იყო, რომლის ლაპარაკი კაცს უფრო მეტად აჯავრებს.

— როგორ? უბრალოდა ვჯავრობ? რას ამბობ? — არ ვისვენებდი.

— სამიოდე ბატკანი აჩუქეთ და გაგიშვებენ, — ამიხსნა იმან.

— სამ ბატკანს კი არა, სამ გროშს არ მივცემ.

— როგორც გინდათ, მაგრამ ეგრე კი სჯობდა, — მითხრა იმან, გახსნა კარდონის პორტსიგარი და მითავაზა: — არ ინებებთ?

— მადლობას მოგახსენებთ, — ვუპასუხე და მწყემსს დავუძახე ცხენი მოეყვანა.

— მაშ წასვლას აპირებთ? — მკითხა იმანვე.

— დიაღ, პირდაპირ დელაკრუასთან, უნდა შევატყობინო თქვენი საქციელი.

— მე კი ისეთი აზრი მაქვს... — დაიწყო იმან.

— თქვენ არავითარი აზრი არა გაქვსთ! — გავაწყვეტინე მოთმინებიდგან გამოსულმა.

მომიყვანეს ცხენი და, რა უზანგოში ფეხი შევდგი, სალდათი ხელახლად მომიახლოვდა.

— ორს ბატკანს მაინც მისცემდით?.. მე შევეხვეწები, რომ გაგიშვას.

გესმისთ!.. ვიღაც, ვინ იცის საიდგან მოხეტებული, შეეხვეწება ისეთსავე მოხეტებულს, რომ მშვიდობიანი კაცი, საქმეზედ მიმავალი, რომელსაც ყველა საჭირო ქაღალდები მზადა აქვს, სახელმწიფო გზაზედ გამიშვას! ღმერთო ჩემო! სადა ვარ? ვფიქრობდი იმ წუთებში და ანგარიში ვერ მიმეცა ჩემის თავისთვის.

— მაი, მივცეთ მაგ ძაღლებსა და აქ ნუღარ მოვგვიანდებით, — მითხრა სვიმონმა.

— არას დროს! — ვუპასუხე და დავუმატე: — ერთხელ მაინც უნდათ გაჩვევა მაგ მცარცველებს!

სვიმონმა ჩაიცინა და მიპასუხა:

— ბარემ, თუ კი გაეჩვევიან.

— მაშ რას იქმენ, როდესაც საყვედური მოუვათ?

— ზასტავის უფროსად სულ ხომ ეგ ღიპიანი არ იქნების? სანამ დავბრუნდებით, ცხო მოვა და ისიც ეგრე მოიქცევა.

— შენ რომ ყური გიგდოს კაცმა, ქვეყანა სულ ავაზაკებით არის გამსებული! — წარმოვსთქვი უკმაყოფილოდ.

— არა, ავაზაკებით კი არა და, უსამართლოებით კი არის... მაგრამ, აი რაი გითხრა: თუ არ დაგიშლია, აი წყალზედ გავიდეთ და გზას სულ ავცდებით.

— რას უბნობ, ბიჭავ! — გაერია ჩვენს ლაპარაკში მეორე მწყემსი,—შარშან ხდეზედ ავედით, ჯარიახზედ გავიარეთ და ისე ჩავედით ძაუგს, რომ სახემწიფო გზა თვალითაც არ გვინახავს, მაგრამ იქ კი ყაზახები დაგვწიეს და დამეტებით წაგვართვეს.

— როგორ?.. სახემწიფო გზაზედ სულ არ გაგივლიათ და ფული ისე გამოგართვესთ? — ვკითხე გაშტერებით.

— ისე, სპას-ანგელოზის მადლმა.

მე ეს შემთხვევა არ მჯეროდა იმ ხნამდინ, სანამ შემდეგმა მაგალითებმა არ დამარწმუნეს.

გულით მინდოდა სვიმონას რჩევა მიმეღო და ამ უსამართლობაშიაც დავრწმუნებულიყავ, მაგრამ სამწუხაროდ ხალხისგან გაკეთებული ხიდი იქაურს ინჟინერს ნ. ჩაენგრევინებინა და წყალი კი გასასვლელად მეტად დიდი იყო. ამისთვის ისევ ვლადიკავკავისკენ გავემართე, როდესაც ბალთას გრიალი მო-

იტანა გამალებულმა კალიასკამ, რომლიდგანაც გადმოხტა ბ. დელაკრუა.

მე მივედი იმასთან, ავუხსენ ჩემი გაჭირვება, რომლისთვისაც დასტუქსა ზასტავის უფროსი და სხვათა შორის უთხრა:

— მოწყალეო ხელმწიფევ, გარჩევა უნდა იცოდეთ, გარჩევა!.. ყველა ხომ ერთი არ არის?

მე გარჩევას კი არა, სამართალს ვითხოვდი და ამისთვის ვუთხარ:

— ბატონო პოლკოვნიკო! მე გარჩევას და ჩემს პირადს შემწეობას კი არ ვითხოვ, მე მინდა კანონიერად მომექცნენ.

— თქვენც ახირებული ხართ, — მივიღე პასუხად, — თქვენ და უბრალო გლეხუჭებს ერთგვარად ხომ ვერ მოვექცევით?

— ამ შემთხვევაში, ვგონებ, განურჩევლად უნდა მოგვექცეთ... კანონისთვის ერთნი უნდა ვიყვნეთ.

— ილაპარაკეთ, რამდენიც გინდათ, ეგ თავის დღეში არ მოხდება! — ჩაიქნია თავი.

ჩვენი ლაპარაკი კიდევ შორს გაგძელდა და გათავდა იმით, რომ ზასტავის ხარჯი სრულიად არ გამოგვართვეს, თუმცა ყოველი ღონისძიებით ვცდილობდი კანონიერად მომქცეოდნენ.

გავცდით ამ ადგილსაც და ჩავედით ძაუგის მინდორზედ, სადაც ქალაქის საძოვრების მოიჯარადრეებთან უნდა გვქონოდა საქმე.

VI

თვალწინ გაგვეშალა ფუთხუზის ფართო მინდორი, რომლის ბოლოშიც ბურუსსავით თეთრი კვამლი იდგა. ეს გახლდათ ძაუგი, რუსებისგან ვლადიკავკაზად გადანათლული.

ცხვარი ორი დღის მარხულობის და წვალების შემდეგ „გაწამდა“ მსუქანს და ნოყიერს ბალახზედ. მწყემსებმა თავისუფლად ამოისუნთქეს, რადგანაც ძაუგს იქით, თუმცა გაჭირვება და ძალა არ მოშორდებოდათ, ბიჯის-ბიჯ სდევდათ, მაგრამ მთის მწყემსებიც „დედაის ვოჟნი იყვნენ“, ისინიც მოახერხებდნენ წესიერად დახვედრას.

როდესაც კაცს ტრიალი მინდორი ანუ უდაბური ტყე ახლო აქვს, როდესაც სათავეში აქაფებული და გაცოფებული თერგი, მინდვრად ჩასული, ფართოდ იშლება და ბუტბუტით წყნარად, მაგრამ მძლავრად მიჰქანავს, კაცს თითონ მდებარება, ბუნება აგონებს — რა დროს როგორ მოიქცეს, რა ჰქნას. ვლადიკავკაზის მახლობლად მოგვეგებნენ რამდენიმე ცხენოსანი, რომელნიც შემოგველაპარაკნენ.

— ვისია ცხვარი?

— ჩვენია, — უპასუხა მწყემსმა.

— უფროსად ვინა გყავთ? — იკითხეს იმათვე.

ცხენოსნები მოვიდნენ და გამომიცხადეს, რომ დღე-ღა-

— აგერ, — გამოიშვირა მწყემსმა ჩემკენ ხელი.

მეში ცხვარზედ კაპეიკი უნდა ვაძლიოთ საძოვრის ფასი და მკითხეს — რამდენს დღეს მოვატრიალებდით ამ ადგილებში ცხვარს.

ჩვენ წინადვე გადაწყვეტილი გვქონდა, რომ ამ ადგილებში სამი დღე მოგვეგვიანა, რადგანაც რვა თვე მინდვრად და ველად უნდა გვეხეტიალა და იმისთვის რაოდენიმე მომზადება კიდევ გვეჭირვებოდა. მაგალითად, საქალამნე ტყავების ყიდვა, პერანგებისა, ჭედილების გაყიდვა და სხვა. მე მომცეს რაღაცა ქაღალდი, რომელზედაც ჩვენი მისვლის დღე უნდა ყოფილიყო დანიშნული, და მითხრეს:

— ეს ქაღალდი იმისთვის არის, რომ თქვენი მოსვლის დღე არ დაგავიწყდეთ. ჩვენ ქალაქის მოიჯარადრენი ვართ.

გამოვართვი ქაღალდი და დავხედე.

ჩვენ მივედით ექვს სექტემბერს და წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც ქაღალდში პირველი სექტემბერი ამოვიკითხე!

— თქვენ შეგცდომიათ, — ვუთხარ, — დღეს ექვსი სექტემბერია და ქაღალდში კი პირველი დაგინიშნავსთ.

— აბა სად არის, — მიპასუხა ერთმა და ცხენიდგან გადმოიხარა ისე, რომ ტუჩები ჩემ ყურთან მოიტანა. — რა გენაღვლება, ერთს თუმანს შენ მოგცემთ.

პირველში გამიკვირდა იმის სიტყვები, რადგანაც ვერ გამეგო, რაში უნდა მოეცა ერთი თუმანი, მაგრამ მალე მივხვდი „მებალახის“ სიტყვების აზრს. აქაც უკაცური და შეუბ-

რალებლელი გაცარცვა მოელოდა საცოდავს მწყემსებს.

საქმე რომ უფრო გამოგიაშკარაოთ, თუ როგორ ხდებოდა ამ გვარად მწყემსების ცარცვა, უნდა შეგატყობინოთ, რომ მთის ხალხი რუსულად არა ლაპარაკობს და ამგვარს მგზავრობაში კი ყოველ ნაბიჯზედ რუსები ხვდებიან, იმათთან უნდებათ ვაჭრობა და ლაპარაკი. ამისთვის მწყემსები ჭირაობენ რუსული ენის მცოდნეს, რომელმაც მგზავრობაში უნდა უთოლმაჯოს. რასაკვირველია, რუსულის მცოდნენი უფრო ხშირად იმ გარყვნილებთაგანი შეხვდებიან ხოლმე, რომელნიც ინჟინრებთან, აფიცრებთან და სხვა მოხელე ხალხთან გდებით გარყვნილან, უსწავლიათ „შალთაი-ბალთაი“, დაუკარგავსთ ნამუსი და სვინდისი და თუმნად კი არა, მანეთისთვისაც კი არ დაზოგვენ თავიანთ მოძმეს-დამჭირავებელს.

— შენ შეგცდა, ჩემო ძმობილო! — ვუპასუხე მე,— დღეღამეში ცხვარზედ ერთი კაპეიკი, ათას სულ ცხვარზედ თუმანს შეადგენს და ხუთ ღამეში ხუთს თუმანს, მე კი ათას სულ ცხვარზედ მეტი მყავს.

— შენ ცხვარზედ არას ავიღებთ, სხვა რაღა გინდა? — კიდევ წამჩურჩულა.

— ღმერთი არა გაქვს, — დაუძახა სვიმონამ ჩემთან მოლაპარაკეს, — რაც გერგება, აიღე, მეტს რაისთვიღა ითხოვ?

— დაიკარგე, შენ რა იცი? ვის ელაპარაკები? — დაუყვირა ცხენოსანმა.

— ემანდ გაჩუმდი, ღვთის მადლმა, — უპასუხა მეორე მწყემსმა, რომელიც იქ მოვიდა, — გაჩუმდი-მეთქი, თორემ მალე მტერი მამიკვდეს, მალე ცხენიდგან გადმოგიღო... შენც ხომ ყაზახი არა ხარ?..

ცხენოსანმა შებღვირა, გადააფურთხა, გააბრუნა ცხენი და წყნარად გაემართა ძაუგისკენ, სვიმონა კი მომიახლოვდა და მითხრა:

— ჩქარა კი იკადრა გაბრუნება.

— შარშანდელი ახსოვს და, — დაუმატა მეორე მწყემსმა.

— რა იყო? — ვკითხე მე.

— შარშან ერთი თოლმაჯი გვყვანდა, მებალახეს იმასთან შეეკრა პირი და ექვსი დღისა კი მეტი წაგვართვეს...

— მერე რა, იჩივლეთ? — ვკითხე მე.

— ვიჩივლეთ, — ჩაცინებით წამოიძახა მწყემსმა. — ჰაი, ჰაი, რო ვიჩივლეთ.

— მერე?

— მერე და, ისევ ჩვენ სამი დღე დაგვამწყვდიეს სატუსაღოში და ამ სამი დღის ფულიც წაგვართვეს, რადგანაც ამხანაგებმა თავი ვერ დაგვანებეს და ცხვარიც იქა ტრიალებდა.

— მეტი დღეებისაც წაგართვესთ?

— ჰაი, ჰაი, რო წაგვართვეს! სამართალს ვინ მოგვცემდა?

— კაცო, ან მოწმები არა გყვანდათ, ან მნახველი? — გამიკვირდა.

— რაი მოწმები, შენაი ჭირიმე, თავად მოგვცეს ქაღალდი, გვითხრეს: თქვენი მოსვლის დღე არის დანიშნულიო. ჩვენ კითხვა არ ვიცოდით და იმათ კი ექვსი დღე მეტი ჩაეწერათ... როცა სამართალში მივედით, იმათი ბარათი წარვუდგინეთ, და ამ ქაღალდმა კი ჩვენ გაგვამტყუვნა.

— თუნდა მნახველი ყოფილიყო, ვინ მოვიდოდა?.. — დაუმატა სვიმონამ.

— რატომ?

— შენი ჭირიმე, აუტკივარს თავს ვინ აიტკიებდა?.. იმათაც დაიჭერდნენ, ცხო რაი იქნებოდა.

— არა, რად დაიჭერდნენ, მოწმეების დაჭერა გაგონილა?

— შენისთანა ბედნიერს კაცს კაციც ეწევა და ღმერთიც,— მიპასუხა იმავე მწყემსმა და ოხვრით დაუმატა: — მაგრამ ჩვენისთანა ბედშავისთვის სადაა სამართალი?.. თუ ხვთიანი კაცი წეგვხვდა, იქნება შეიბრალოს ჩვენი ბედშაობა, თორემ სამართალს ტყუილად მონახავს მოხევე კაცი: სადაც წავა, ყველგან მტყუანია.

— ენა მაინც ვიცოდეთ, კიდევ იქნება გაგვეგონებინა რამე, — დაუმატა სვიმონმა, — თორემ ისინი თავისთვის ლაპარაკობენ, ჩვენ ჩვენთვის, მოვაწყენთ ერთურთს თავსა, დაგვიბრახუნებენ ფეხებს და გამოგვრეკენ. ვინაა პატრონი?

ჩვენ ამ ლაპარაკით მოვშორდით ცხვარს და ჩავედით ბინაში. სადაც ტანისამოსის გამოცვლა მინდოდა, რადგანაც ძაფს ვემგზავრებოდი. იქ მინდოდა მენახა ზოგიერთი იმ დროის მმართველები და შემეტყობინა ის უწესობა და არეულება,

რომელიც იმათ სამფლობელოში ხდებოდა. მე დარწმუნებული ვიყავ, რა იმათ ყურამდინ ეს უწესოება მიაღწევდა, ყველანი ყურადღებას მიაქცევდნენ, შესცვლიდნენ ხალხისთვის სამწუხარო და მართებლობისთვის არა სასარგებლო წყობილებას, მაგრამ წარმოიდგინეთ ჩემი გაკვირვება, როდესაც ჩემი სიტყვები დარჩა „ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა“.

ჩემი სიტყვები დიდხანს ამკობდნენ ძაუგის არისტოკრატთ სასტუმროებს და ერთი მეორეს ღიმილით გადასცემდა იმ შემთხვევაზედ, თუ ღენარლის შვილს როგორ აეღო ჯოხი ხელში და ცხვრებს დასდევდა!..

სამის დღის შემდეგ ჩვენ გავცდით ვლადიკავკაზს და პირველსავე შემთხვევაზედ მოგვივიდა ჩხუბი სტანიცა სუნჟის ყაზახებთან.

მიზეზი ჩხუბისა იყო გზა, რომელსაც ყაზახები არ გვანებებდნენ და კანონი კი ნებას გვაძლევდა უსასყიდლოდ გზის აქეთ-იქით ოცდაათ საჟენი გვესარგებლა.

კანონი გვაძლევს მაგ ნებას, მაგრამ რა არის კანონი და იმის დებულება ისეთი ხალხის ხელში, როგორც არიან საერთოდა და გამოურიცხავად უსამართლონი, უსვინიდისო, უგუნური და შარზედ აგებული ყაზახები; ყოველთვის ისე სწყვეტენ საქმეს, როგორც თითონ უნდათ, გონება უჭრისთ, და მწყემსი კი ვერ აიცდენს იმათ სამართალს, რადგანაც, როგორც გამვლელი ხალხი, სხვა ადგილს ვერ მიმართავს და უკან სადევნელადაც არა სცალიან.

ამისთვის ან თითონაც უკანონობა უნდა იხმაროთ და ძალით დაიცვან თავიანთი თავი, ან არა და, დამორჩილდნენ და რამდენიმე თუმანი მეტი დახარჯონ. ამისთანა სტანიცები კი გზაზედ ურიცხვი უძევსთ.

ჩვენ ვირჩიეთ პირველი საშუალება და ძალით გავიარეთ ის ადგილები, სადაც კანონი, ანუ, უკეთ ვთქვათ, კანონიერი დებულება უსასყიდლოდ გავლის ნებას გვაძლევდა და ყაზახების შარიანობა კი წინ გველობებოდა.

VII

მთელი ჩვენი მოგზაურობა მინდორზედ, ვიდრე ბრაგუნს გავიდოდით, ერთგვარად მიდიოდა. ყაზახების ურიცხვი სტანიცების ადგილებზედ ისე არ გაგვივლია, რომ შარი არ მოედოსთ და ჩხუბი არ აეტეხათ, მაგრამ მწყემსების სიმარჯვემ უფრო მეტად დაგვაკავშირა ერთმანერთს და ზურგი გაგვიმაგრა. თუ საჭიროება მოითხოვდა ხოლმე, ბრძოლით და ჩხუბით ვიკვალავდით გზას, რომელიც სამართლით ჩვენთვის თავისუფალი უნდა ყოფილიყო. მხოლოდ მაშინ გავიგე, რა მდგომარეობამაც ათქმევინა ჩვენს მწყემსებს „ღმერთო, გვარიდე ყაზახის შარს“, რადგანაც მშვიდობიანობის დამცველი ყაზახები უშფოთოდ და შარმოუკიდებლად ფეხს არ გვადგმევინებდნენ. მაგრამ რა განსხვავება იყო იმათ და ჩეჩენთ სოფლებ შუა, რომელთ ავკაცობაც, შეუბრალებელი გარეგნული ხასიათი ბავშვობიდგანვე ყურში გვქონდა ჩაწვეთებული!

ესენი დაგვიხვდებოდნენ თუ არა, ზრდილობიანად სოფლის ბოლოს მოგვესალმებოდნენ, თითქოს დიდი ხნის ნაცნობები არიანო, აიღებდნენ ხელში წკეპლებს და გვშველოდნენ სოფლის გაცილებას. ღიმილით და მზრუნველიანად გვკითხავდნენ ჩვენს მოსავალზედ, მშვიდობიანობაზედ და საზოგადოდ „გურჯეთის ხაბარზედ“, რომლის შეტყობა ისე უნდოდათ.

ხალხში აშკარადა სცოცხლებდა ამ ხალხთან მეზობლობის რწმუნება, უყურებდა გურჯებს, როგორც რაღაც მოძრავს ძალად, რომლის ბედ-იღბალიც თითქოს ენათესავებოდა ამ სიკეთით სავსე ხალხის ცხოვრებას.

თქვენ ვერა ნახავდით ჩეჩნის სოფლებში ისეთ გალექებულს დამთვრალს ხალხს, რომელიც დილით საღამომდე დუქნებშია; თქვენ ვერ ნახავდით ჩეჩნის ქალებს, რომლებიც აშკარა გარყვნილი ღიმილით, შეხუმრებით და ნიშნებით შეგიწვევდნენ სახლში; ვერა ნახავდით არამც თუ დამთვრალს დედაკაცს, არამედ ნასვამსაც.

ჩვენი მგზავრობა, ვიდრე ადგილზე ჩავიდოდით, გაგრძელდა სწორედ ხუთი კვირა, წყნარი და ზოზინით სიარულითა. ამ ხნის განმავლობაში ორი დღე ზედიზედ მზე არ გვინახავს, რადგანაც არაჩვეულებრივი წვიმა განუწყვეტლივ თავს გვესხმოდა.

წარმოიდგინეთ, რა სიხარულით მივაღწიეთ გროზნას, სადაც იმ ხანში ნაჩალნიკობდა ჩეჩნებისაგან დაუვიწყარი თავადი ნ. ერისთავი, რომელიც მშობლიურის ზრუნვით ეკიდებოდა ამ საცოდავს და დაჩაგრულს ხალხს; მარტო იმას მიაჩნდა ჩეჩენი ადამიანად, სხვებისთვის კი ეს სახელი გაიგებოდა, როგორც ავაზაკი, უეჭველად მტყუანი და ღირსი მათრახისა, გარდახდევინებისა და ბოლოს საღრჩობელისა ან ციმბირისა.

გამოვლილმა გზამ დამანახვა, რამდენი ხათაბალა სდევს ჩემგვარს მგზავრს ყაზახებთან შეხვედრის დროს, და მე მინდოდა მეთხოვა ნაჩალნიკისთვის ქაღალდი, რომლითაც სტანიცების მმართველებს შემწეობა მოეცათ წესიერების აღსადგენად ხალხში, რომელიც დაესახლებინათ განათლების გასავრცელებლად.

გროზნაში გავხსენი ჩემი ჩემოდანი, რომელიც გახვეული იყო ხალიჩაში, ზეიდგან გადაფარებული ნაბადი ჰქონდა, მაგრამ ავდარი შიგ გავარდნოდა და ტანისამოსი მთლად დასველებულიყო. აქედგან დაინახავთ, რა საშინელება უნდა გამოგვევლო გზაში და რამდენად დამეტებით შეგვაწუხებდა ყაზახებთან ვაივაგლახი.

მე მივიღე სასურველი ქაღალდი, რომლითაც ეცხადებოდა სტანიცების ატამანებს, რომ კანონიერი შემწეობა მოეცათ ჩვენთვის და ამ ქაღალდის ძალით დანარჩენს მგზავრობაში ისე აღარავის შეუწუხებივართ, როგორც აქამდინ.

ბრაგუნის მახლობლად მახან-იურტის სტანიცის ადგილი, რომელიც ჩვენ გვქონდა დაქირავებული, შეადგენდა მდიდარს საძოვარს, შემკულს ველ-ტყიანებით და წყლით.

თივა და ჯერი იაფად ისყიდება ჩეჩნების სოფლებში, რომლებიც გარს შემოხვეული აქვს ამ ადგილს და სადაც ისე ხშირად დავდიოდი ხალხის და ჩვეულების გასაცნობლად, რომელიც მაკვირვებდა და მაოცებდა.

ეს მგზავრობა გათავდა ფარეხების შენებით, რომელთაც მნახველს გააკვირვებს, ნამეტუ მწყემსებისგან შრომის გაწევა და მოუღალავობა. წარმოიდგინეთ მთელი სოფელი, ეზოებით, ბაკებით და ფარეხებით, რომლის გვერდებიც კეთდება ორპირის წნულით და შუა ადგილები იჭედება მიწით და დრებლით.

ყოველ დღევე შეუწყვეტელი მუშაობა, სიმღერა და შაირობა რაოდენადმე ართობდა კაცს.

ეს მოძრავი მხიარულება, რაკი ფარეხები გათავდა, შეიცვალა ერთსგვარს მუშაობად, რომელიც ყოველ დღევე შეუცვლელად მეორდებოდა: დილით ადრიან ცხვრის საძოვარზედ გარეკა, საღამოზედ მორეკა და დაბინავება ფარეხებში. ათასში ერთხელ ცხვარის საძოვრად გამრეკი მწყემსი მიჯნაზედ თუ შეხვდებოდა მეორე სასარქლე მწყემსს. ისინი თუ დასხდებოდნენ და ერთმანეთს გაუშლიდნენ გულს, უამბობდნენ თავიანთ თავგადასავალს და ამით ატარებდნენ დროს. ხანდისხან ღამის სიმშვიდე დაირღვეოდა ჩეჩნების მოტაცებულის ცხენების ბრაგი-ბრუგით და მდევრის თოფის სროლით, თორემ ცვლილებას ვერასა ნახავდით. მაგრამ კიდევ ერთი დროს გატარება დამავიწყდა, რომელიც მე ისე გამართობდა ხოლმე და დროს მატარებინებდა: ეს გახლდათ ზღაპრები, ამბები, რომელიმე სახელგანთქმული მწყემსის ან ყაჩაღის ცხოვრებიდგან და სხვადასხვა ლეგენდური მოთხრობანი.

აქ ვწყვეტამ ამ წერილებს, რადგანაც, რაც ვნახე და გავიგონე, როგორც ეს ყველა ჩავისმინე და გავიგე, გადავწყვიტე მოთხრობებად გადმოგცეთ და გაგაცნოთ იმ ხალხის ჩვეულება, ხასიათი და წესები, რომელიც ან საქართველოს ნაწილს შეადგენს, ან არა და, იმის აუცილებელს დამოყვრებულს მეზობლებს, რომლებთანაც უფრო მკვიდრი კავშირი არ აგვცდება ჩქარს მომავალში.

ხევისბერი გოჩა

I

იქნებოდა ღამის ცხრა საათი, როდესაც სოფელს ყანობს რამდენიმე შეიარაღებული ცხენოსანი და ორიოდე მარხილი მიუახლოვდა.

მხედრები სულ ყმაწვილები, ნარჩევი და ერთიერთმანერთზედ ლაზათიანები იყვნენ. ისინი მიდიოდნენ მხიარულად, სიმღერით და თოფის სროლით. აშკარად ეტყობოდათ, რომ ესენი სამტროდ არ მიემგზავრებოდნენ, რადგანაც არც სიფრთხილე ეტყობოდათ და არც ისე ბევრნი იყვნენ, რომ ასე გულადად და პირდაპირ შესულიყვნენ ხევის სოფელში, რომელიც თავისთავად მთელს, ძნელად ასაღებს სომაგრეს წარმოადგენს.

სოფელს რომ მიუახლოვდნენ, იმათ გამოეგებნენ იქაური ყმაწვილი ბიჭები და ორივე ცხენოსანთ გუნდი ერთმანერთისკენ ყიჟინით და თოფის სროლით გაექანნენ. ცხენები მიდიოდნენ თავბრუსდამხვევის სიჩქარით. მისი პატრონები ელვასავით ატრიალებდნენ თოფებს, ხან გადიზნიქებოდნენ, მიწას დასცემდნენ ხელს და ხან ისევ ისარსავით სწორედ გამართულნი, ნაზის, გულშემტაცებელის რხევით ერთმანერთისკენ მიესწრაფებოდნენ.

აგერ მიუახლოვდნენ ერთმანერთს, ცხენების თავები თითქმის ერთმანერთს სწვდებიან, საცაა შეეჯახებიან. მაგრამ სწრაფად, თითქოს მანჭანებით, ერთბაშად შეჩერებულნი, ქვისგან გამოჭრილს სურათებს დაემსგავსნენ და ჰაერში გაისმა მხიარული მისალმება:

— გზა მშვიდობისათ!

— მშვიდობითაც გივლიათ!

ამის შემდეგ მოკითხვა, სალამი, ქალამი და ყველანი ერთმანერთში არეულნი, გაემართნენ გაცალკევებულის სახლისკენ, სადაც სარკმლებიდგან გაჩაღებული ცეცხლის შუქი და მხიარული ტაშ-ფანდურას ხმა გამოდიოდა.

კარებთან გაცვივდა კიდევ თოფები და დამბაჩები, და ამ გრიალს შეუერთდა იქავ მოგროვილის ბავშვების ყიჟინის ხმა, და ცხენოსნები ჩამოხტნენ.

პატარები მისცვივდნენ ცხენებს, ჩამოართვეს და დაუწყეს წინ და უკან ტარება, რადგანაც გაოფლიანებულს ცხენებს ორთქლი კორიანტელსავით ასდიოდათ და სიარულში შეშრობა ეჭირვებოდათ, რომ ცივს ნიავს არ დაეკრა და არ დაეხუთა.

სტუმრები მოგროვდნენ კარებთან, შუაში ჩაიყენეს ერთი წარმოსადეგი, ახალ წვერ-ულვაშ აშლილი ყმაწვილი ბიჭი, რომელსაც ნაბადი ჰქონდა წამოსხმული და გვერდს მოუყენეს მეორე ყმაწვილი ბიჭი, უფრო მდიდრულად ჩაცმული და მთლად ოქრო-ვერცხლით შეჭედილი.

ყველანი გაჩუმდნენ და ჩამოვარდა ისეთი სიმშვიდე, რომ ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით.

ცოტა ხანიც და, გაისმა წვრილი წკრიალა ხმა „ჯვარულისა“. მას მისცეს ბანი და ჰაერი დაიფარა მედიდურის, ძრიელის და ამ ერთადერთის სავაჟკაცო სიმღერის ხმით, რომელიც თავის ჰარმონიით კაცს გაიტაცებს და სმენას დაუტკბობს, ძრიელებით ძვალსა და რბილს აუთრთოლებს, სისხლს აუჩუხჩუხებს და სახელის გამოჩენას მოაწყურვებს. ამ სიმღერას მხოლოდ მთაში მღერიან, მხოლოდ იქაურს მედიდურს ბუნებას შეეძლო ამისთანა ჰარმონიული ხმის დაბადება!..

ამ სიმღერას მღერიან ხოლმე მხოლოდ ომში, ხატებისა და დროშების გამოსვენების დროს და ქორწილში. ეხლა ქორწილი გახლდათ. ნაბდიანი კაცი, გუგუა ფიჩიტაური, იყო სასიძო და მის გვერდით მყოფი ყმაწვილი, მდიდრულად ჩაცმული — ონისე, შვილი განთქმულის „ხევისბერისა“ გოჩასი, რომელიც გუგუას ხელისმომკიდედ, მეჯვარედ მოჰყოლოდა.

II

სტუმრები შევიდნენ ხალხით გამოჭედილს სახლში, სადაც უფროსი კაცები მოეგებნენ, დაულოცეს სასიძოს გზა, შემოატარეს კერა და „ხელისმომკიდესთან“ და სახლის უფროსთან ერთად კერის პირას თავში დასხეს. აშლილი ხალხიც ისევ დალაგდა, გაიმართა ისევ ლხინი და თასების გაგზავნ-გამოგზავნა ჩვეულებრივის „სმურებით“.

აქ იყვნენ მარტოკა კაცები, ქალები არსად სჩანდნენ. მათი ხმა მოისმოდა სახლის უკანა კუთხიდგან, სადაც სენა იყო გამართული. იქ გაემართათ ტაშ-ფანდურა და იქვე მიეზიდათ ყმაწვილი ბიჭები, რომელნიც გატაცებით შესცქეროდნენ ლაზითით სავსე მოლეკურე ქალებს.

ყველანი მხიარულად თამაშობდნენ, მაცდურად გაუხტ-გამოუხტებოდნენ ყმაწვილ ბიჭებს, რომელსამე „შავ ბიჭს“ ეშმაკურად ჩაუკრენტდნენ თვალსა და ესეც, აღგზნებული რაღაცა ძალით, წახალისებული გაეკიდებოდა ხან წყნარად დამშვიდებულს წყალსავით მიმდინარს და ხან მთის ძდინარესავით გაცოფებულს და გაშმაგებულს ქალსა.

აგერ მირბის დამკრთალს არჩვსავით მოხევის რომელიმე შავთვალა ქალი. იმისი სახე სრულს შიშს გამოსთქვამს, რადგანაც არწივსავით მკლავებგაშლილი კაცი მისდევს თავის მსხვერპლს. ნაზი ქმნილება თანდათან დუნდება, კაცი ეწევა, აი წუთიც და გულში ჩაიკრავს შეშინებულს, ქედანსავით აკანკალებულს ქალს, მაგრამ მოლოდინი არ უმართლდება. ერთბაშად მარდად გატრიალებული ქალი ხელიდგან ეცლება და მეორე მხარეს გამხტარი ფეხებს ათამაშებს. გულდაწყვეტილი კაცი გასცქერის და ხედავს თავის მსხვერპლს მომხიბლავის ღიმილით და მოჟუჟუნე თვალებით, რომელნიც იმას იწვევენ, იპატიჟებენ და თითქოს ეუბნებიან: „დამიჭირე და მე გაგრძნობინებ სიცოცხლის სიტკბოებას!“

ონისე და გუგუა, რომელთაც დღეს დარბაისლობა უნდა გამოეჩინათ, ისხდნენ გაუნძრევლად, თუმცა გული და სული გამხიარულებულს ყმაწვილებთან ჰქონდათ და ჩუმ-ჩუმად გასცქეროდნენ იმ მხარეს, საიდგანაც ლხინის და თამაშობის ხმა მოდიოდა. გუგუა იწოდა სურვილით, რომ თავის სანატ-

რელის ძიძიასთვის თვალი შაეკრა და ონისე კი, რომ ჭორებრივი თვალი გაეყოლა ვისთვისმე განურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო ისა, ოღონდაც არის მის თვალებსაც ელვარება ჰქონოდა, ტუჩებს მიმზიდველობა, ლოყებს სიყმაწვილის ელფერი და გულს სისხლის ამაჩუხჩუხებელი ძალა.

არ გაუვლია რამდენსამე წუთს, როდესაც ხალხი გაიპო და მათ შორის გამოჩნდა ვიღაცა მოხუცებული დიაცი. ყველანი ზეზე წამოდგნენ და მიესალმნენ მოხუცს, რომელიც პირდაპირ „ხელისმომკიდესთან“ მივიდა, ჩაიკრა გულში და უთხრა:

— აბა, ჩემო ყველავ, ჩემ ქალაშავას შენ გაბარებ... შენ უნდა მოუარო, შენ უპატრონო, იმის გამჯავრებელი შენ უნდა გააჯავრო!

— ღმერთს არ მოეტყუების, ხაზუავ, რომ, რაიც ხელიდგან გამამივა, თავს არ შევიშურებ, — უპასუხა ყმაწვილმა კაცმა და დაუმატა არა სახუმრო კილოთი: — ვინც მაგას აწყენინებს, იმას ჩემთან ექნების საქმე და, ღვთის მადლმა, ჩემთან მასხარობას კი არც-ვის არ ურჩევ.

— გუგუაი ბალღია, — დაუმატა მოხუცმა, — და სოფელი კი ჭრელი... კაცის ენას რაი არ შეუძლიან, დაარიგოდე ეს ბალღი, ცხოთა ენას ნუ მიჰყვების, ქვეყანაზედ მტერი არ დარღვის და იმათ სიტყვას რო მიჰყვეს, ეგ მაგ ქალაშავას ჩამომიდნობს, დამილევს...

— რაისთვი, რაისთვი ანბობ მაგას, ხაზუაისი! — გააწყვეტინა ონისემ,. — გუგუაი, მართალია, ბალღია, მაგრამ არაა ლოთი და ავარდნილი კაცი... ამხანაგებს თავის მარჯვენა თოლსავით უყვარსთ, ყველა თავს დასდებს მაგისთვი, ამიტომ რომ თავად გუგუაც ეგეთია მეზობლებისთვი... გუგუაი ვაჟკაცია და, ღვთის მადლმა, ჯალაბობაშიაც თავს არ შეირცხვენს.

— შენს პირს შაჭარი, ჩემო ყველავ, შენს პირს შაჭარი!— უპასუხა მოხუცმა და დაუმატა: — ნუ დამძრახავ, ონისეისი!.. ცას შევაბერდი, ადამის ჟმისა შევიქენ და მაგ ერთაი ქალაის მეტი არა გამაჩნია-რა... მაგაზედ ამომდის მზე და მთორე, მაგაზედ-ღა ვიბრუნებ სულსა.

— კარგი-ღა, ხაზუაისი, სტუმარი ნუღარ შეაწუხე, —

დასძახა ვიღაც მოხუცებულმა კაცმა და დაუმატა: — წაიყვანე და ბატარძალი ჩააბარე.

— აგრე, აგრე, შენაი ჭირაიმე... იარე, ონისე! — მოხუცი დედაკაცი გაუძღვა ონისეს და გუგუამ კი შურით ავსებული თვალები გაადევნა, რადგანაც იქ უნდა დარჩენილიყო და ძიძიას ხილვამდის კიდევ რამდენიმე საათს უნდა გამოეცლო.

III

დაბნელებულს სენაში, რომელსაც ოდნავ ანათებდა შბჟუტავი კვარი, კასრებსა და ქილებს შუა იჯდა პატარძალი ძიძია თავის რამდენიმე ამორჩეულის მეგობრებით, რომელნიც მის გართობას ცდილობდნენ.

ძიძია იყო თექვსმეტის წლისა, მაშასადამე, ასაკში მოსული ქალი, სრულიად გაშლილი და გადაფურჩქნული, სიტყვით, იმ ხანში, როდესაც ძარღვებში აღელვებული სისხლი შაფდება, სდუღს და ჩუხჩუხით მომდინარეობს, როდესაც გული შიილტვის რაღაცა ჯერედ უცნობის ბედნიერებისაკენ და თრთოლით შესთამაშებს ყვავილებს და ბუნებას, სიცოცხლე ედემად ეშლება, ცხოვრება სიამოვნების ნექტარს ექადის. ის იყო ტანადი, ლამაზი, მშვენიერის დაკოკრებულის ლამაზის თხელის ტუჩებით, რომელნიც თითქოს საკოცნელად მომზადებულიყვნენ. თეთრს-ყირმიზს, ატლასის მსგავს სახეზედ დასთამაშებდა მხურვალების ნიშანი ელფერი, რომელიც თავის დღეში გატყაპულს სიწითლედ არ გადადიოდა; მოჟუჟუნე, ლურჯი ცისფერი თვალები მაცდურად უკამკამებდა და გულის გამგმირავს ისართ ისროდა; შავი გრძელი წამწამები გარს მცველებად მოსდგომოდა და წვრილი, ხავერდისებრი წარბები ჯძლად გადასჭიმოდა; სქელი შავი თმა ორს ნაწნავად თეთრ ბროლივით ყელს სუროსავით შემოხვეოდა, სიტყვით, ძიძია ნახატი მშვენიერება იყო და მისი მნახველი ვერ გასძლებდა, არ ეთქვა: „ცხონდეს შენი მშობელიო“.

ძიძიას შესტრფოდნენ ბევრნი, ძალიან ბევრნი, რამდენჯერმე მისი მოტაცებაც კი სცადეს, მაგრამ, როგორც ეტყობოდა, მისი ბედ-იღბალი გუგუა იყო და მას დარჩა.

რაკი გუგუამ თავისად დაასახელა ძიძია, რაკი ქალმაც პირობა მისცა, იმას ისე ადვილად ველარავინ გაუბედავდა რასმე, რადგანაც ამგვარს შემთხვევაში გუგუას ხუმრობა არ უყვარდა და მალე დააბნელებდა იმის მზეს, ვინც წინ გადადგომას მოიწადინებდა.

თუმცა ძიძია თხოვდებოდა თავისის სურვილით, თუმცა მოსწონდა თავის გუგუა და არა ერთი ღამე გაეთენებინა მასთან ჩქარა შაერთებაზედ ფიქრით, არა ერთხელ მოზმანებოდა მისი ლომებრივი, ვაჟკაცის სახე, მაგრამ დღეს, როდესაც ის უნდა გამოსალმებოდა თავის სახლს, მეგობრებს, ჩვეულებას, როდესაც ქალობიდგან დედაკაცობაში პირველი ნაბიჯი უნდა შაედგა, გული როგორღაც აუკანკალდა და წარსული შენანდა. ამ წარსულს ის კარგად იცნობდა, კარგადა ჰქონდა იგი შეთვისებული; ის იყო ყოველთვის და ყველასგან განებივრებული, ყველას უყვარდა, ყველა უალერსებდა და ვინ იცის, მომავალიც ამასვე მისცემდა?

ქალი ჰგრძნობდა რაღაც ინსტინქტიურს მღელვარებას და ანგარიში ვერ მიეცა თავისთავისთვის. ამ მდგომარეობას მოეპარა მისთვის ფერი, ნაზად გაეცრიცა და ამ ფერს კიდევ უფრო მეტად დაემშვენებინა მისი ანგელოზებრივი სახე.

მეგობრები ანუგეშებდნენ, ეხუმრებოდნენ, როდესაც მოისმა ხმა:

— ხელისმომკიდე მოდის, ხელისმომკიდე! — და ყველანი ზეზედ წამოცვივდნენ. ძიძიამ იგრძნო, რომ თითქოს მას გულში რაღამაც უჩხვლიტა, მთელს სხეულში გაურბინა რაღაცა უსიამოვნო გრძნობამ და ფეხზედ წამოდგომით საჩქაროდ ჩამოიფარა პირბადე.

ოთახში შემოვიდნენ ხაზუა, ვიღაცა მოხუცებული კაცი, ონისე და ყმაწვილი ქალები, რომელნიც შემოეხვივნენ ძიძიას. დაიწყეს გამოსასალმებელი სიმღერა, სადაც საგრძნობელის სიტყვებით ყმაწვილს ქალს თავის წარსულთან და მეგობრებთან ასალმებდნენ და ტირილით და კოცნით თითონაც ესალმებოდნენ.

ბოლოს შესწყდა სიმღერა, მოხუცმა კაცმა აანთო წმინდა სანთელი, წყნარად გადიწერა პირჯვარი, მივიდა ქალთან, გამოართვა ხელი, ახსენა ხეური ჯვარ-ანგელოზები და მიუბრუნდა ონისეს:

— ონისევ! აჰა, ჩაგვიბარებია თქვენთვის ქალი წრფელი და შეურცხვენელი... დღეის ამას იქით შენ აგვირჩევიხარ ამის ძმად. — ამ სიტყვებზედ იმან გადასცა ონისეს ქალის მთრთოლარე და გახურებული ხელი.

ონისემ რაწამს ამ ხელის მიკარება იგრძნო, როგორღაც შეკრთა, დაიბნა და თითონაც გაჟრჟოლდა, თუმცა ამგვარი მდგომარეობის მიზეზი ვერ აეხსნა.

— აბა შენ იცი და შენმა კაცობამ, როგორც დღეის ამას იქით მოუვლი და უპატრონებ... თქვენს სოფელში შენს მეტი პატრონი არვინ ეყოლების, შენ უნდა გაუწიო ძმობა.

— აბა, ღმერთს არ მოეტყუების, რომ თავს დავდებ მაგისთვის.

მოხუცი მივიდა, წყნარად ასწია პირბადე სწორედ იმ დროს, როდესაც ონისე ამბობდა:

— ეგ და, და მე—ძმა...

მაგრამ სიტყვა ნახევარზედ გაუწყდა, მთლად გათრთოლდა და მთვრალსავით წაბარბაცდა, მაგრამ თავი ისევ შეიკავა.

— რაი მოგივიდა? — მიეშველა მოხუცი.

— არც-რა, არც-რა, დამცხა, თავს ბრუ რასმე დამეხვა,— ძლივს-ღა წარმოსთქვა ონისემ.

— ბევრი თუ არ სვი?.. მაიტა-ღა წყალი, — მიუბრუნდა მოხუცი იქ მყოფებს.

— არ მინდა, შენაი ჭირაიმე, — უპასუხა კაცმა, რომელსაც ქალის ხელი ჯერ კიდევ არ გაეშვა, თუმცა ჰგრძნობდა, რომ ეს ხელი სწვავდა, სდაგავდა მას, უღელებდა სისხლს და გონებას აფანტვინებდა.

ონისემ მოისვა შუბლზედ ხელი, მაგრად მოიწურა ოფლი, პირდაპირ შეხედა ქალს და ხმამაღლა მტკიცედ წარმოსთქვა:

— იყოს თავდებად ზევით ღმერთი და ქვეშ დედამიწა, რომ ძიძია დასავით მეყვარება, გაუწევ ძმობას, მაგისთვის ძმაზედ უფრო მეტი ვიქნები! — ამ სიტყვებზედ ქალის ხელი კიდევ ერთხელ შეკრთა, კიდევ წყნარად გაჟრჟოლდა, ერთი შეხედა და მაშინვე თავი დახარა. წყნარმა, მაგრამ ძრიელმა ოხვრამ ონისეს სიტყვა გაუწყვიტა პირში და გული მოუსვენრად გაუფართხალა.

IV

ონისემ იგრძნო, რომ მას ზღვასავით მოაწვა აღელვებული სისხლი, რომელიც ჩუხჩუხით ხან გულისკენ გაჭანდებოდა და აატოკებდა, როგორც ზღვის ზვირთები უიალქნო ნავს, ხან თავს ეძგერებოდა და ნისლსავით ეხვეოდა, უბნელებდა თვალებს და გონებას.

ყმაწვილი ბიჭი ჯავრობდა თავის თავზედ, ჯავრობდა, რომ ასეთი გრძნობა ვეღარ შეემაგრებინა, ავარდნილი გული ვეღარ შეეყენებინა, ცდილობდა ქალისათვის დასამშვიდებელი სიტყვა რამ ეთქვა, მაგრამ პირგამშრალს, თითქოს ყელში რაღაცა გახირებიაო, ენას ვეღარ იბრუნებდა. იმან საუკეთესოდ დაინახა, მალე მოშორებოდა იმ საფრთხეს, სადაც მისი არსება ასე სწრაფად იქმნა დამორჩილებული, გული ასე მოულოდნელად გაქელილი.

ონისე გამოეთხოვა ქალსა და გავიდა სამყოფო სახლში, სადაც დანარჩენი სტუმრები მხიარულობდნენ: ყმაწვილი ბიჭები ერთმანერთს ებაასებოდნენ და მოხუცი ხალხი კი საქართველოს მომავალს მდგომარეობაზედ ლაპარაკობდა.

ჩქარა მოიტანეს სიფროები, გაავსეს „ფუნთუშებით“ და მოვლილის ჭედილების მსუქანის ხორცით.

რადგანაც ეს ამბავი ზამთარში ხდებოდა და იმ ღამეს კი თოვლი მოდიოდა, ამისთვის ყველანი ჩქარობდნენ, რომ პურის ჭამა მალე გაეთავებინათ და შინ დაბრუნებულიყვნენ, რათა ჩამოსულს ზვავებს სადმე გზა არ შეეკრა და ახალ ჯვარდაწერილები გარედ, ცის ქვეშ არ დარჩენილიყვნენ.

საყველაწმინდო თასმაც ჩამოიარა; გვარის უფროსმა, სუფრის თავს მარტოშკამზედ მჯდომარემ, აიღო წმინდა სანთელი, აბსენა ხეური ჯვარ-ანგელოზი და მეჭორწინენი ღმერთს შეავედრა. მერე მიუბრუნდა ონისეს და რამდენიმე სიტყვით შოაგონა ხელისმომკიდის მოვალეობა ქალისადმი და მოითხოვა მზითვის ყუთი, რომელიც ჩააბარა მაყრებს.

არ გაიარა წუთმა და ხელისმომკიდე ხელახლად წაიყვანეს სენაში, სადაც პატარძალი უნდა ჩაებარებინათ.

ონისეს ჯერ კიდევ ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის და გაბრუებული, რაღაცა უცნაურს მდგომარეობაში მყოფი,

სრულიად დაფანტული აღსრულებდა, რასაც კი ეუბნებოდნენ.

ის შეიყვანეს, მისცეს ქალის ხელი ხელში და მოისმა ისევ ჯვარული. ხელისმომკიდემ და ქალმა გამოსწიეს სამყოფი სახლისკენ, სადაც სიძე იყო, ამ სიმღერის ხმაზედ, რომელიც ონისეს დასაფლავების გალობის ხმად ეჩვენებოდა. იმათ გამოსვლაზედ გუგუა მთლად აინთო, ნაღვერდლად გაუბრწყინდა თვალები, შეკავებულმა სიამოვნების ღიმილმა შეუთამაშა ტუჩები და მორცხობამ თავი დაახრევინა.

ონისემ მიიყვანა ქალი და გადასცა სასიძოს, რომელმაც გაშმაგებით საჩქაროდ მიაშველა თავისი ხელი. მხოლოდ საკვირველი ეს იყო, რომ ქალი თითქოს რამდენჯერმე შეკრთა და ხელისმომკიდის ხელის გაშვება ეძნელებოდა, მაგრამ გუგუამ გაავლო ხელი და ისეთს რიგად მოუჭირა, რომ ქალს ძვლებმა ჭახჭახი დაუწყეს და ტკივილისაგან კინაღამ შეჰყვირა. ონისე გაუძღვა წინა და მას მიჰყვა მეფე-დედოფალი, სადაც საქრმოს მარხილამდე უნდა მიეცილებინა, და. იქ პატარძალზედ ზრუნვა ისევ ხელისმომკიდესათვის უნდა მიენდო. პირველ მარხილში ჩასხდნენ, ჩვეულებისამებრ,* მხოლოდ ხელისმომკიდე და პატარძალი. მეფე ცხენით უნდა წასულიყო, რადგანაც ქალს ჯვარისწერამდის ვერ მიეკარებოდა. მეორე მარხილზედ დაუწყვეს მზითევი და ამ სახით, მაყრების სიმღერით, თოფის სროლით და ყიჟინით გამოსწიეს შინისკენ.

V

ღამე იყო ცივი და ნისლიანი, თუმცა თოვლის გამო საკმაოდ განათებული. ხანგამოშვებით ქვენა ქარი ზუზუნით უბერავდა და წვრილი, მაგრამ ხვრიში თოვლი მიმავლებს პირისახეს უწკეპლავდა.

პატარა ბიჭი, მთლად ტყავში, ნაბადში და ყაბალახში

---

* ეს ჩვეულება ეხლა შეიცვალა: ამ ბოლოს დროს მეფე-დედოფალი და ხელისმომკიდე ერთად სხდებიან ქალის სახლიდამვე, რადგანაც ჯვარისწერა უმეტეს შემთხვევაში ქალის სამშობლოში ხდება (ავტორი)

გახვეული, ცხენს მიერეკებოდა, რადგანაც თოვლს გზა ჩაეჩუმქრა და ცხენს სიარული უძნელდებოდა და გასავლელი გზა კი ჯერ ბევრი ჰქონდათ.

მაყრიონი, გახურებული ჯირითობით და წარსულის ქეიფით, მარხილს კარგად დაშორებოდნენ და ხან ცხენების ერთმანერთზედ მიგდებით, ხან ერთისაგან მეორის ქუდის გატაცებით და გადაგდებით, მესამისაგან კიდევ გაჭენებულის ცხენიდგან გადაზნექით და ისე აღებით კიდეცა თბებოდნენ და დროსაც ატარებდნენ.

ონისე იჯდა მარხილზედ, გადაეგდო თავიდგან ყაბალახი, გადაეწია ქუდი და გახურებული შუბლი და სახე გამყინავის ქარისთვის მიეშვირა.

წმინდა ჰაერმა თუ ხანის გამოვლამ იმას თითქოს მოაზრების საშუალება მისცა და მხოლოდ ეხლა დააკვირდა თავის მდგომარეობას. მხოლოდ ეხლა იგრძნო პირველად გაღვიძებულის გრძნობის სიტკბოება და მასთან ის მტანჯავი მდგომარეობა, რომელიც ვალად სდებდა გვერდით მყოფს სატრფოს სრულიად სხვა გვარად მოჰქცეოდა.

იმას მიექცია პირი ქარისა და თოვლისაკენ, რომელთაც აღარაფერი უშლიდა და სხაპა-სხუპით სცემდა პირისახეში; ის მათგან მოელოდა რაოდენადმე შეღავათს და დამშვიდებას.

იმას ეგონა, რომ შუბლის გაგრილებისთანავე სისხლიც დაუმშვიდდებოდა და ავარდნილი გული თავისავე დონეში ჩავარდებოდა. მაგრამ, სამწუხაროდ, ფიქრი ატყუებდა და დაღონებული ხედავდა, რომ მის გულში აღმოუფხვრელად ჩასახულიყო ძიძიას სახე და წყნარად, ფრთხილად და სიამოვნებით არხევდა; არხევდა იმ სიფრთხილით და მზრუნველობით, როგორც მშობელი თავის პირმშოს, როგორც ყაჩის პარკს ნაზი ნიავი, რომელსაც ძვირფასის ქმნილების აღორძინება ბუნებისგანვე ჰქონდა მინდობილი.

ონისემ სიტყვა მისცა თავის თავს, რომ ქალისკენ არ მოეხედნა, არ დალაპარაკებოდა მას, რადგანაც იცოდა, რა საშიში განსაცდელი იყო მისთვის ამგვარი საქციელი.

იმას არამც თუ მიხედვისა და დალაპარაკებისა ეშინოდა, არამედ განძრევას, მომეტებულს ამოქშენასაც კი ვერა ბე-

დავდა, რათა რომელიმე მოულოდნელობით არ შაეწყვიტა ის საიათი, რომელზედაც მისი თავშეკავება ეკიდა.

ძიძიაც იჯდა გაჩუმებული, თავდახრილი და ხმას არ იღებდა. ვინ იცის, იმის გულში რა მოძრაობდა, მისი აზრები რაგვარს ტალღებს ააგორებდა, საითკენ და რა ძალით მიაქროლებდა, ან რომელს საგანს ჩასცივებოდა, რა სურათი წამოსდგომოდა თვალწინ და გაწამებული ზედ დაჰკდომოდა.

მაყურებლისათვის მისი გული ამ წამში იყო ბნელი უფსკრული, სადაც კაცი ვერაფერს გაარჩევდა, საიდგანაც ვერას ამოიკითხავდა, და მისი გულის მოძრაობის შეტყობის მსურველი პასუხისმიუცემლად, იმედგადაწყვეტილი უკანვე უნდა დაბრუნებულიყო.

ძიძია იჯდა გამოქარგულს თხელს ახალუხში და ზეიდგან წამოგდებული ჰქონდა შალი, რომელიც ავდრისა და ქარისაგან საკმაოდ ვერ იფარავდა. ის თანდათან თოშდებოდა, მაგრამ ხმას მაინც არ იღებდა, თუმცა სიცივე ძვალსა და რბილში გასჯდომოდა და მეტად აწუხებდა.

იმის ხელისმომკიდეს ეს შემთხვევა თავში არც კი მოსვლია, იქამდის გართულიყო თავის საკუთარის მდგომარეობით. იმას ცოტა ფიქრი არ უნდოდა, რადგანაც ნათესაობამ სათემოდ ძიძიას მომავალი მის სინიდისს და მზრუნველობას ჩააბარა. ამ ქალის სახელი და პატივი, ქმრის წინაშე დაცვაც კი მისი მოვალეობა გამხდარიყო, ხოლო მთიელთ შეხედულობით, „ანაბარი მგელმაც კი იცის“ და ამ დროს, როდესაც თითონ მას შესდგომოდა მაცდურად გრძნობა, ჩასლოდა სულის საძირკვლამდის და ძვალსა და ტვინს უწოვდა, შეუბრალებლად უღრღნიდა, ონისეს ამისთანა ძნელად შესასრულებელს მოვალეობასა სდებდნენ.

ქარმა, ავდარმა და სიცივემ თავისი იმოქმედეს: ქალმა ვეღარ გასძლო და გაჟრჟოლებულს ცახცახი დააწყებინა. მის პირველსავე მოძრაობაზედ ონისე გველის ნაკბენსავით შეკრთა და თავისავე უნებურად კისერი ქალისკენ მიეღრიჯა. იმან დაინახა თხელს ტანისამოსში ქალი და გული მოუკვდა. ძიძია, იმის ღმერთაი, სალოცავი, სიწმინდე ამ გაჭირვებაში იყო და იმას არც კი მოჰგონებოდა იმაზედ ზრუნვა!

ერთი თავის მიბრუნება, ერთი შეხედვა, ოდნათი მიკარე-

ბა საკმარისი იყო, რომ თოფის წამალსავით ეფეთქა და მთელს სხეულს ცეცხლი მოსდებიყო.

— ქალაუ, მოგიკვდა ჩემი თავი!.. მთლად გათოშილხარ და მე კი არც კი მომაგონდი! — წარმოსთქვა ონისემ და ხმა ისე აუკანკალდა, რომ მღელვარება დაეტყო.

— არა მიშავს-რა შენი ჭირაიმე, — წარმოსთქვა ქალმა ნაზის და, ვინ იცის, რა მიზეზის გამო ცრემლმორეულის ხმით.

— ბეჩაუ, არა მიშავს-რა რაია?.. შენ რომ ავად გახდე, მე რაიღა მეშველების? — ამ სიტყვებით ონისემ აიწია ნაბდის კალთა, წამოხურა ძიძიას, რომელსაც სველი შალი მოხსნა და იქვე მარხილში ჩააგდო. მემრე მაგრა მოიჭუჭკა ნაბადი და ნაზს წელზედ ხელმოხვეული ქალი მკერდზე მიიკრა. ამ ქალის მიკარებასთან ერთად ონისეს გული მეტისმეტად გათრთოლდა, შეიკუმშა და შესდგა, გათრთოლდა კიდევ, კიდევ და ერთბაშად აძაგძაგებულმა გზა მისცა გამოქანებულ ადუღებულ სისხლს, რომელიც მწვავად და სანეტარო აღმაშფოთებლად მთელს სხეულში დაიმქრა, რომელმაც სხეულის ყოველს ძარღვში დაჰკრა. ძიძიაც გაჩუმებული, გაწამებული და გაყუჩებული, თითქოს ამ კაცის მდგომარეობას შეშინებინა, დაემონებინა, თუ გაეგებინებინა მისი გაჭირვება, არ ეწინააღმდეგებოდა ონისესა. ამ კაცს დაეკარგნა მოაზრება, დავიწყებოდა თავისი თავი, თავის მოვალეობა და თანდათან უფროდაუფრო ხვევდა ხელს, უფროდაუფრო იკრავდა გულში და ყოველ მოძრაობაზედ გონებასა ჰკარგავდა.

ის შეეპყრო მხოლოდ ერთს გრძნობას, რომელიც ტკბილად ჩასჩურჩულებდა, რომ ის ბედნიერია, რომ ამ ბედნიერებას ქვეყანაზედ არა შეედრება-რა. რაღა საქმე ჰქონდა ან ხალხთან, ან ქვეყანასთან, სადღა ეცალა მათზედ საფიქრებლად. ონისეს თავი წყნარ-წყნარად ასრებოდა და უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, რომელსაც ძალზედ სწვავდა კაცის გახურებული ქშენა. ის თანდათან უახლოვდებოდა და ჩასჩურჩულებდა წარმოუდგენელის სიტკბოებით, იმ სიტკბოებით, რომლითაც მართლა წრფელის გულით შეყვარებულს შეუძლიან, როგორც შეყვარებულს კაცს. რომელსაც მრავალსიტყვიერება გადავიწყებია.

— გაჯავა, კიდევ გაცივა... ჩემო ყველავ! — მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ამბობდა ონისე, მაგრამ ამ ორიოდ სიტყვაში ხმას იმდენი მიხრა-მოხრა ჰქონდა, ისეთის ჰარმონიით იმკობოდა, რომ აშკარად შენიშნავდით აღგზნებულს საკირეს, მის გულში ანთებულს, გამხეცებულს სიყვარულს, მის მბრძანებლად გამხდარს.

ძიძია, კურდღელსავით განაბული, კაცს მიჰკრობოდა მკერდზედ და მისი ნორჩი გული შიშგარეულის სიხარულის ფართხალით უპასუხებდა ქალის მდგომარეობას. აქამდისა ჰფარავდა თავშეკავება, ამ წუთებამდის ძალა კიდევ შესწევდა გრძნობა დაეფარა, მაგრამ ეხლა, როდესაც ონისეს თავი თანდათან იხრებოდა, როდესაც იმის სახე თანდათან უახლოვდებოდა ძიძიას სახეს, უკანასკნელი ჰგრძნობდა კაცის გახურებულს ქშენას, ძიძიას გაუწყდა ხაიათზე ჩამოკიდებული მოთმინება, თვითონაც მოუთმენლად ამოიქშინა და მადლიერი თვალები მისკენ მიაქცია.

შეპყრობილთ ერთის გრძნობით, აღგზნებულთ ერთ რიგის წადილით, რაღაცა უხილავი ძალა ერთმანერთისკენ იზიდავდა. წუთიც და, სიტკბოებით დამთვრალ-დაბნედილთ ტუჩები მათსავე გაუგებრად ერთმანერთს ჩაეწებნენ.

VI

ვინ იცის, შეყვარებულთ ალერსი სადამდის გაგრძელდებოდა, თუ ერთს მოულოდნელს შემთხვევას არ დაეშალა. ერთს მაყარს მეტად შესცივნოდა და მოეწადინა არაყით გათბობა, ამისთვის შეეყენებინა ცხენი და მარხილს ელოდა, რომელშიაც ტიკჭორები ეწყო.

როდესაც მარხილი გაუსწორდა, დაინახა, რომ ონისეს, რომელიც თითქოს სიცივეს მოჰფარებოდა, თავი ნაბადში ჩაეყო. ამგვარი საქციელი მთის კაცს არ მოეწონა, რადგანაც მამაკაცს სიმხდალე დედაკაცისთვის არ უნდა ეჩვენებინა: ეს, მთიელთ შეხედულობით, სირცხვილიც იყო და დამამცირებელიც, და ამხანაგის საქციელი კი დანარჩენების სახელსაც იმდენად შეეხებოდა, რამდენადაც თითონ მომქმედს.

ამისთვის მაყარმა გადუქნია ონისეს მათრახი და თუმცა შეხუმრებით, მაგრამ საგრძნობლად უთხრა:

— რას სჩადი, ბუგრიანო, თუ არ გაიყინე?

ონისე შეკრთა და გაჟრჟოლდა. იმან წამოიხედა და ჯერედ კიდევ წარსულის წუთებით დაფანტულს თავისთვის ანგარიში ვერ მიეცა. პირველში ისა ჰგრძნობდა მხოლოდ, რომ მას დაურღვიეს სიტკბოება, დაუშალეს წუთის ბედნიერება. მაგრამ რადა, ვინა? ამაში ანგარიში ვერ მიეცა.

მაგრამ ამგვარს მდგომარეობაში მხოლოდ ერთს წუთს იყო. ონისე ჩქარა გონს მოვიდა და აშკარად დაინახა შეუწყალებელი ჭეშმარიტება, რომელიც უსპობდა არამც თუ ამ წუთის სიამოვნებას, არამედ მომავალს მოსვენებაზედაც კი იმედს აკარგვინებდა, და ცივი ოფლი დაასხა. წუთის წინ ის იყო შეპყრობილი მხოლოდ ერთის გრძნობით: მას უყვარდა ანგარიშმიუცემლად, ხარკს აძლევდა ამ ძალას; მაშინ ყველაფერი გადავიწყებოდა, ყველაფერი: ხალხიც, მათი მოვალეობაც, დებულებაც, თვით მოაზრებაც და მარტო მთრთოლარე გულის ფართხალს მისცემოდა, მით უფრო სასიამოვნოს, რომ ამითვე პასუხს აძლევდნენ; ეხლა კი ის იყო კაცი, რომელიც სჯიდა, ანგარიშს აძლევდა თავის მოქმედებაში და სწონავდა თავის მდგომარეობას.

ონისემ აშკარად დაინახა შეცდომა, აშკარად იგრძნო თავის წადილის აღსრულების შეუძლებლობა და სინანულის ნაპერწკალმა მწვავედ გაჰკრა გონებაში: „მაშ ტყუილად თრთოდა მისი გული სანეტარო მომავლის მოლოდინით?.. მაშ ტყუილად ენთებოდა და მოუსვენრად ტოკავდა მისი გული? ამაოდ სტყუვდებოდა და ამ გრძნობითვე აღელვებულს ძიძისაც ტყუილად იწვევდა საალერსოდ?“ ეს კითხვები სწრაფად ებადებოდნენ თავში, სწრაფადვე სცვლიდნენ ერთმანერთს და ერთს გადაწყვეტილებამდე მიდიოდა, ერთი პასუხი შეეფეთებოდა და ყურში მწარედ თითქოს ვიღაცა ჩასწივლებდა: „ტყუილად იკლავ თავს“.

— ბიჭაუ, რაი მოგსვლია, დამთვრალი თუ არა ხარ? — გასწყვიტა სიჩუმე მაყარმა, .რომელსაც ონისე გაშტერებით შეჰყურებდა.

— ჰა, რაი? — წარმოსთქვა ონისემ, რომელიც ჯერ კი-

დევ ვერ გაშორებოდა გულში და გონებაში ჩაჭედილს გრძნობას.

— ავად თუ არა ხარ? რას სჩადი?

— არ ვიცი, ღვთის მადლმა!.. ისე უგუნებოდ რასმე შევიქენ.

მაყარი მიუახლოვდა მარხილს, გადაიზნიქა ცხენიდან და პირდაპირ პირისახეში შეხედა ონისეს, რომელმაც თავი იქით მიიბრუნა და გაბრაზებით წარმოსთქვა:

— რას მიყურებ, რაი გინდა ჩემგან?

— არც რაი, — გაიკვირვა მაყარმა და დაუმატა: — მინდოდა მენახა, სიცხე თუ არ გქონდა, გაწითლებული თუ არ იყავი?

— ღამეში რაი უნდა დაინახო, ღვთის მადლსა? — იმავე კილოთი უთხრა ონისემ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — სიცხეცა მაქვს, თავიცა მტკივა და მიბრუვდება.

მაყარმა ისე შეხედა, თითქოს არ უჯერებდა, უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავშეკავებულმა ცხენს მკერდზედ მათრახი-ღა გადაჰკრა, ეტყობოდა, მას გონებაში რაღაცა აზრმა გაურბინა, რადგანაც სიცივეც გადავიწყებოდა და არაყიც, რომლის დასალევადაც აქ მოვიდა.

კარგა ხანმა გაიარა საერთო სიჩუმეში, ყველა თავის გულისთქმას ჩაბრუნებოდა, თავის საკუთარს აზრებს დაჰკვირვებოდა- და რაღაცა უცნაურს დუმილში ჩავარდნილიყო.

ისინი ამ მდგომარეობაში იყვნენ, როდესაც ჰაერში გაისმა მხიარული სიმღერის ხმა და მას მოჰყვა ლექსი:

გაუსვი და გამოუსვი,
ვითომ ჭიანურიაო;
მეზობლის ცოლს ხელს ნუ ახლებ,
ისიც შინაურიაო.

ამ სიტყვებმა მწარედ გაკენწლეს ონისეს გული, რომელსაც სიმღერა თანდათან უახლოვდებოდა, რადგანაც წინ წასული მაყრები შემდგარიყვნენ და მარხილების მოლოდინში ლხინი დაეწყოთ.

გაიარა რამდენიმე წუთმა და გამოჩნდნენ ცხენოსნები, რომელთაც მარხილი მიუახლოვდა.

ყმაწვილი მაყრები ხუმრობდნენ ერთმანერთში, ეხუმრე-

ბოდნენ ონისესაც, მაგრამ იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ, რადგანაც პირველად მოსულმა მაყარმა შეატყობინა, რომ ონისე ავად არის და იმათი ხუმრობისა არა სცხელა.

ამისათვის მაყრები დაშოშმინდნენ, მაგრამ მარხილს კი მაინც არა შორდებოდნენ.

მხიარულება ერთბაშად შესწყდა და მის მაგიერ რაღაცა ჭმუნვით სავსე სიჩუმე ჩამოვარდნილიყო; ხვრიში, წვნიკი თოვლი განუწყვეტლად მოჰქროდა ქვენა ქარისგან გამოტაცებული და მთლად ათეთრებდა ნაბდიანს მგზავრებს.

ამგვარად მიდიოდნენ გაჩუმებული მაყრები, გულჩახურული და ჩაბნელებული ხელისმომკიდე და მიჰყვანდათ გამოუცდელი ქალი, რომლის გულსაც ნამდვილი სიყვარული პირველად ეგრძნო, მის სიტკბოება ნახევრად გამოეცადა და ის კი არ იცოდა, მისი მომავალი რას შეამთხვევდა.

რამდენიმე წუთი და, ხშირს ნისლში გაიბჟუტა შუქმა და შენობების სურათები ბუნდად გამოჩნდა. კიდევ წუთიც და, ყველამ შეამჩნივეს, რომ სოფელს მიახლოვებულან. მარტო ონისე იჯდა გაფითრებული, თავდაღუნული და მწარე ფიქრებისგან წაღებული ვერაფერს ამჩნევდა.

მაყრებმა იგრძნეს, რომ მაყრიონის ასე ჩუმად მისვლა არ შეჰფეროდა არც იქაურს ჩვეულებას და არც იმათ სიყმაწვილკაცეს და ამიტომ დასჭყივლა ერთმა, გავარდა თოფი და მეორე გაქანდა მახარობლად. ყველა შეინძრა, აღელდა, სიცოცხლე გამოიჩინა. ჰაერში გაისმა სიმღერა და ყიჟინა, მიმავლებს სიცოცხლე დაეტყოთ.

გამოფხიზლდა ონისეც, მაგრამ ის სრულიად განშორებოდა დანარჩენებს. იმისმა გულმა სრულიად სხვა იგრძნო. იმან იცოდა, რომ სოფელში მისვლისთანავე ჰკარგავდა სატრფოს, რომლის გაწოუცდელობაც და სირცხვილიც ხალხის ჩვეულების წინააღმდეგ ვერ წაიყვანდა და მასთან ერთად დაჰკარგავდა მოსვენებასაც...

VII

აგერ შევიდნენ სოფელში, მიუახლოვდნენ საყდარს, რომლის წინაც იდგა ვიღაც წარმოსადეგი მოხუცი, გათეთრებული, როგორც თოვლი, და მხიარულად შეჰყურებდა მომავალთ. იმისი კეთილი სახის გამომეტყველება დახაზული იყო რაღაცა გვარის ხაზებით, რომელნიც პირველსავე შეხედვაზედ პატივისცემას გაგრძნობინებდათ და ჭკვიანი თვალები, გულკეთილობის გარეშე, მბრძანებლობით გამოიყურებოდნენ.

გათეთრებული, ლაზათიანის შეხედულებით, მბრძანებელის მიხვრა-მოხვრით და მედიდურის, მტკიცე სახის გამომეტყველებით ელოდა ხევისბერი გოჩა, მმართველი, მამა თავის ხალხისა, ახალგაზდებს. იმას პირველს უნდა დაელოცა მეჭორწინენი და მშობლიურის ლმობიერებით ესურვა მათი ბედნიერება. ონისემ შეხედა თავის მამას, რომლის წინაშეც მთელი ხეობა თავს იხრიდა და რომლის სიტყვაც გადაუბრუნებლად სრულდებოდა, და ფერმა მეტად გადაჰკრა, პირი მომეტებულად გაუშრა.

მარხილი შესდგა, მაგრამ ონისე იქამდის დაფანტულიყო, რომ გადმოსვლაც კი ვეღარ მოეხერხებინა, სანამ მამამ არ დასძახა:

— გადმოხე, რაღას ელი?

ყმაწვილი ბიჭი ჩამოხტა ანგარიშმიუცემლივ, დადგა იქავ და, მკვდარს დამსგავსებული, გაქვავებული შეჰყურებდა ხალხს, რომელიც იმის თვალში ბუზსავით ირეოდა.

პატარძალს მიეხვივნენ დედაკაცები, ჩამოსვეს და გოჩასთან მიიყვანეს, რომელმაც მოიხადა ქუდი, ახსენა ღმერთი და უთხრა:

— გაკურთხოს უფალმა. — ხელი გამოართვა და მაშინვე დაუმატა:—ბედჩაუ, მთლად გაყინულხარ... მთლადა კანკალებ.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მიაშველა მეორე ხელიც და ქალის ნაზს ხელებს ისე დაუწყო სრესა, თითქოს მათი გათბობა უნდოდა. მერე მოაშორა ერთი ხელი, გაუშვირა იქავ მდგომს გუგუას და საცოლეს ხელი ხელში ჩაუდო.

— უფალმა შეგაერთოთ, კაციმც ნუ გაგაშორებსთ! — მტკიცედ წარმოსთქვა მოხუცმა.

ამ სიტყვებზედ ქალი თითქოს უმეტესად გაჯავრდა და ქშენას მოუმატა, ონისე კი წატორტმანდა, მაგრამ იქაც მყოფმა ვილაცა კაცმა დაიჭირა. ხალხმა დაიძახა ჯკაოული და მეფედედოფალი საყდარში შევიდნენ, სადაც შეპოსილი მღვდელი ელოდათ და გოჩა კი შვილს მიუბრუნდა.

— რაი მოგსვლია? — ჰკითხა იმან და გამომცდელის თვალით დაუწყო ყურება.

— არც რა, — მოკლედ უპასუხა ონისემ და თავი დაღუნა, რადგანაც მამის ცქერისათვის ვერ გაეძლო.

— რაღა არც რა, რომ ადამიანის ფერი აღარ გაძევს და ფეხზედაც ძლივს-ღა სდგეხარ?

— უგუნებოდ რასმე შევიქენ.

— უგუნებოდ? — გააგრძელა მამამ და კიდევ დააკვირდა,— მაშ ჭორწილში რაი გინდა? შინ წადი და დაწექ... ხელისმომკიდე სხვა იქნება ვინმე.

ამ ლაპარაკში ჩამოერივნენ გუგუას ნათესაობა, დაუწყეს ონისეს ხვეწნა, რომ ამისთანა დროს თავი არ დაენებებინა და თავისი მეგობარი გუგუა მარტოკა არ დაეგდო, მაგრამ ონისეს გაუხარდა, რომ მისთვის მეტად სატანჯავს სურათს მოშორდებოდა და თავის უბედურებას თვალით მაინც აღარ უყურებდა. გაბრუნდა და ლასლასით გასწია თავიანთ სახლისაკენ, სადაც ბნელა „საწოლაში“ პირქვე დაეგდო.

გოჩა კი შევიდა და ჯვარისწერასთან ერთად უყურებდა პირბადე ჩამოფარებულს ქალს, რომელსაც წამდაუწუმ აჟრჟოლებდა და ხანგამოშვებით ქშენას ძალზედ უმატებდა.

რამდენიმე კაცი, რომელიც გოჩასთან იდგნენ, მიუბრუნდებოდნენ მოხუცს და გულმტკივნეულად ეუბნებოდნენ:

— ბეჩავი, როგორ შესცივნია!..

მაგრამ გოჩა, პასუხის მაგივრად, შუბლზედ ხელს გადაისვამდა და ისეც შეუმუხვნილს წარბებს მეტად შეიჭმუხვნიდა.

ჯვარისწერა ჩვეულებისამებრ მიდიოდა: ონისეს მაგიერად ხელისმომკიდედ სხვა ვილაცა ყმაწვილი ბიჭი გამოიყვანეს. ყველაფერი მომზადდა. მღვდელი მივიდა ჯერ კაცთან და ჰკითხა: სურვილით ირთავს ამ ქალსა და ჰსურს ჯვარისწერა, თუ არა? კაცმა გაიღიმა, შერცხვა და თავის დაქნევით თანხმობა გამოაცხადა. მერმე ამავე კითხვით მიუბრუნდა ქალსა, რომელსაც

სიცოცხლის ნიშანი მარტო სუნთქვაზედ და მხრების მოძრაობაზედ ეტყობოდა.

ქალმა პასუხის მაგივრად მარტო თავი დაღუნა და მის მაგივრად სხვა დედაკაცებმა, — ყოველთვის სხვის მაგიერ მოპასუხეთ, — ყაყანი დაიწყეს:

— ჰაი, ჰაი, რო სურს!.. რაღა კითხვა უნდა?.. თუ არ სდომოდა, აქ რაღად მოვიდოდა?.. — ართმევდნენ ერთმანერთს სიტყვას, მაგრამ ძიძია კი ჩუმად იყო.

— მაშ შენის ნებით იწერ ჯვარსა? — განიმეორა მღვდელმა.

— თავის ნებით იწერს, ჩემო ყველაო, თორემ მოძალადე ვინა ჰყავს! — მოისმა ისევ დედაკაცებისაგან და დაკმაყოფილებული მღვდელი შეუდგა მეშვიდე საიდუმლოს აღსრულებას.

VIII

ჯვარისწერამ გაიარა ჩვეულებრივის მხიარულებით: მოგროვილი ხალხი, მაყრები და მეტადრე დედაკაცები არ ისვენებდნენ და ყოველთვის საჩურჩულო მასალას პოულობდნენ და, ერთხელ მომზადებულნი სამხიარულოდ, შემთხვევას არ გაუშვებდნენ, რომ არ გაეხარხარათ, თუნდა სასაცილო არ მომხდარიყო-რა.

მარტო პატარძალი იდგა ქვასავით დამუნჯებული და გოჩა, რომლის სახეც რაღაცა დამყარებულის, პატივსაცემის სხივით ბრწყინავდა. იმას აშკარად ეტყობოდა, რომ გულწრფელის რწმუნებით იყო გატაცებული და მთლად მისცემოდა თავის გრძნობას და უზენაესს გულწრფელად ევედრებოდა.

გოჩა იყო მშობელი მამა თავის ხალხისა და, მაშასადამე, იმისთანა ამაღლებულის შემთხვევის დროს, როგორიც ჭორწინება არის, თავის შვილებისთვის რომ არ ელოცნა, არ იქნებოდა. ამასთანავე მას სწამდა, რომ ხალხისგან ამორჩეული, ღმერთისაგანაც ამორჩეული უნდა ყოფილიყო, რადგანაც, აღზრდილს ხალხის ჩვეულებათა შორის, ანდაზად გარდაქცეული რწმუნებაც, „ხმა ღვთისა და ხმა ერისა“, სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა. გოჩა დარწმუნებული იყო, რომ მისს გულ-

წრფელს ვედრებას უზენაესი შეისმენდა და რწმუნებით დაიმედებული, იმ კაცის სახე, გულმხურვალე ლოცვის დროს, რაღაცა ძლევამოსილს, ხალხის დამმორჩილებელს სურათს წარმოადგენდა.

ასეთი იყო მოხუცებული გოჩას სახე, რომლისთვისაც განუწყვეტლივ ზრუნვას, ფიქრს, გამოცდილებას და გონებრივ მუშაობას უფრო უმეტესის პატიოსნების, ჭკუის და ადამიანობის ბეჭედი დაესვა. ეს სახე ხანდისხან იცვლებოდა იმის კვალობაზედ, თუ მისი აზრები და გონების მიმდინარეობა რა საგანს შეეხებოდა და ამგვარადვე ეცვლებოდა ფერი პირისახეზედ.

ხანდისხან რაღაცა მჭმუნვარება შეუხრიდა წარბებს, შეუკრავდა შუბლს, მაგრამ ეს იყო ერთს წუთს მზეზედ გადაფარებული ღრუბელი, რომელსაც მხოლოდ წუთით შეეძლო მოჩრდილება, — მლოცველის თვალები, ცისკენ მიპყრობილნი, ისევ ძლევამოსილის, გამარჯვებულის შუქით აინთებოდნენ.

გოჩას აშკარად ეტყობოდა, რომ მისი მრავალგვარად გამოცდილი გული რაღაცა უბედურების მოახლოვებასა ჰგრძნობდა, მისი გამოცდილის თვალებისთვის შვილის ერთი დანახვა კმაროდა, რომ მის საქციელში, ავადმყოფობის მაგიერ, სხვა მიზეზი დაენახა, მაგრამ რა იყო ეს მიზეზი, საიდანა ჰქროდა ნიავი, რომელიც მას, როგორც ნადირს, სუნს აყრიდა და აკრთობდა, — მოხუცი ვერ მიმხვდარიყო.

გათავდა ჯვარისწერა, მეფე-დედოფალი წაიყვანეს სახლში, შემოატარეს კერას და გააშორეს, რათა დედოფლისთვის ქალებში მისვლით რაოდენიმე თავისუფლება მიეცათ, და ხალხი კი გოჩას თავმჯდომარეობით ვახშმად დალაგებულიყო.

რასაკვირველია, სიძეც, თავზედ ფოჩებიან გვირგვინით, იქვე შუა ადგილას დაესვათ, ტოლ-სწორები გარს შემოხვეოდნენ და ლაჟღანდაროებით გართულს და ბედნიერებით გახარებულს, დროს ატარებინებდნენ.

დაიწყო საერთო მხიარულება, სმა, სიმღერა და „სმურები“. ხანგამოშვებით რომელიმე მოხუცი გადმოიღებდა ფანდურს და თითების ჩაკვრით სევდიანს სიმებს ააჟღერებდა და ზედვე სევდიანად, მაგრამ საგრძნობლად დასძახებდა რომელიმე გმირის ლექსად მოთხრობილს მოქმედებას.

ამ წუთებში გამხიარულებული, აყაყანებული სალხის ხმაურობა ერთბაშად შესწყდებოდა, ჩამოვარდებოდა სრული სიყუჩე და გულის ძგერით ყურს მიაპყრობდნენ სახალხოდ წარმოთქმულს სიტყვას, სადაც ქვეყნისთვის თავგადადება და სამსახური, სივაჟკაცე და პატიოსნება ისე უხვად ჯილდოვდებოდა და სადაც კაცის მოვალეობა ცხოვრებაში ისე ნათლად იხატებოდა და შეისწავლებოდა...

ამას ისევ შესცვლიდა „სმური“, მერე „გოგოხა“ და ასე გრძელდებოდა გათენებამდის.

IX

ამ საერთო მხიარულების დროს, როდესაც გუგუას სახლში თავმოყრილთ გულები მხიარულად ყინულზედ გამოსულს უზრუნველს ბატკნებსავით თამაშობდნენ, ონისე პირქვე ეგდო და დამძიმებული, გახურებული თავი ბალიშიდგან ვერ აეღო. მას სისხლი მოსწოლოდა თვალებში და დროგამოშვებით ბრჭყვიალებით უელავდა, თავი ძალზედ გაჰბრუებოდა და საფეთქლებში თითქოს ჩაქუჩებსა სცემდნენ; ყურებში ხუილის ხმა გაისმოდა და ტანი ცეცხლსავით გახურებული რაღაცა მოუსვენრობაში ამყოფებდა. ჩქარ-ჩქარა და ძალზედ ქშენა აშკარად ამტკიცებდა, რომ რაღაც აწუხებდა და იმის მოშორება თითქოს მკლავების უაზრო წყვეტებით უნდოდა.

ამ მდგომარეობაში მყოფი ონისე ხან მთლად გაცივდებოდა და ცივ ოფლსავე დასხმული წამოტრიალდებოდა, წამოჯდებოდა, უსაგნოდ გაუშტერებდა რასმე თვალებს, თავი და მკლავები ჩამოუცვივდებოდა და, ნახევრად ტუჩებგახსნილი, რაოდენსამე ხანს ასე დარჩებოდა. მერე ისევ მოუსვენრად მიეგდებოდა და თვალწინ დაუწყებდნენ თამაშს სხვადასხვა სურათები, ერთი მეორეზედ უფრო საოცნებო, უფრო გასაშტერებელი, მაგრამ იმათ არავითარი გადასაბამი, შემაერთებელი ნასკვი არ მოსდევდა.

მაგრამ ეს თავდავიწყება იყო წუთისა, რადგანაც ონისემ ერთბაშად დაიკივლა და გაფითრებული ფეხზედ წამოიჭრა. შესდგა, წუთზედ მოიფშვნიტა გახურებული თვალები, რომ-

ლებშიაც ეკლებსავით რაღაცა სჩხვლეტამდა და სიტყვებით: „არ იქნების, არ მოხერხდების!“ კარებისაკენ გაქანდა.

— სად მიხვალ? — იქავ შეაყენა ვიღაცას ხმამ და კარების ზღურბლზედ გამოჩნდა გოჩა, რომელსაც ანთებული კვარი ხელში ეჭირა.

— გოჩა! — მოულოდნელობის გამო უკვე მოწყვეტით წამოიძახა ონისემ და შესდგა.

მოხუცმა შეხედა შვილსა, აათვალიერ-ჩაათვალიერა, შევიდა სახლში და ჩამოჯდა.

— დაიჭი, კედელში გაამაგრე, — გაუშვირა მამამ კვარი, რომელიც ონისემ გამოართვა და ბუხრიდგან გამოშვერილს ჭაჭზედ დადო.

— სად მოდიოდი? — ისევ იმ მბრძანებელის, თუმცა დამშვიდებულის კილოთი გაიმეორა ხევის ბერმა.

— არც სადა, — ვეღარა მოახერხა-რა ონისემ.

— ეგ პასუხი არაა, — შეიჭმუხნა წარბი მოხუცმა, რომელსაც უნდობლობა არ უყვარდა.

— ქორწილში ვაპირებდი წასვლას...

— რაიღა ქორწილისაა, ეხლა იქ გალექებული ხალხის მეტი ვინღაა?

— მთები ჩამოთოვლა და ნადირებს ქვეით ჩამოჰყრიდა; ვამბობდი, ქორწილში ვინმე მონადირე იქნებოდა, ნამგალად გავიხდიდი და ნადირობ ერთად წავიდოდით.

ონისემ ეს სიტყვები ხელად მოიგონა, რადგანაც მამა ჩასცქეროდა და მას კი გულის გადახსნა არ უნდოდა.

— ბალღო, რას ხუმრობ?

— რაისთვი ვხუმრობ? — მოუთმენლად შეხედა ონისემ, რომელსაც გადაჰკიდებოდნენ და აღარ ეხსნებოდნენ.

— ამ ფიფქს თოვლში სანადიროდ საით გაისვლების?.. ზოვმა სადმე ჩაგმარხოს, ის თუ არ გინდა?

ონისემ ერთბაშად ვერ მოიაზრა, რომ ფიფქს თოვლში ნადირობა მართლა საშიში იყო და ამისთანა მოუაზრებლობა, უმიზეზოდ ძალად გაჭირვების თავს მოხვევა გამოცდილს მოხევეს არ მოეწონებოდა.

— რაისთვი? — მოიწადინა შვილმა შეცდომის გასწორება, — ქარი იყო და ქედებზედ თოვლებს აღარ დააყენებდა.

მოხევემ კიდევ შეხედა და ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა:

— იყუჩე, ბალღო! შენ ცხო რაიმე გაქვს გულ'ში.

— რაი უნდა მქონდეს? — აჩქარდა ონისე.

— არ ვიცი და მაგას არცა გკითხამ, — მტკიცედ უთხრა მოხუცმა და დაუმატა: — შენ ისა სთქვი: იცი, ვისი გორისა ხარ?

ამ სიტყვებზედ რიგი ონისეს შეხვდა, — გაკვირვებით შეეხედა მოხუცისათვის.

— ჰაი, ჰაი, რო ვიცი.

— აბა, მაშ მაგას ნუ დაივიწყებ, — თითის ქნევით უთხრა მოხუცმა და სწავლების კილოთი გააგრძელა: — ვინძლო ქვეყანა არ გააცინო...

ყმაწვილმა ბიჭმა თავი ჩახარა, თითქოს დანაშაული იგრძნოვო, და ლოყები წითლად აენთო.

— აბა, მაშ წადი, — წამოდგომით გააგრძელა მოხუცმა, — წადი, სადაც გინდა, ოღონდ ჩემს სიტყვებს ნუ დაივიწყებ... გახსოვდეს, ვისი გორისა ხარ და კაცი კი ტანჯვისთვის არის გაჩენილი.

ამ სიტყვებზედ მოხუცმა კვარს ხელი დაავლო და შვილთან ერთად დერეფანში გავიდა. იქ კიდევ შესდგა, შეხედა შვილსა, თითქოს რაღაცა უნდოდა ეთქვა, მაგრამ ხმაამოუღებლივ გაბრუნდა და სამყოფო სახლში შევიდა.

ონისე კი რამდენსამე ხანს იმავ ადგილს დერეფანში იდგა და ანგარიშმიუცემლად ადგილიდგან ვერ დაძრულიყო.

იმას ესმოდა, რომ შვილის მდგომარეობას მამა მიმხვდარიყო, მაგრამ სადამდე მიუღწევია ამ მდგომარეობას, მოხუცს ჯერ ვერ გამოერკვია, თუმცა ესმოდა, რომ ეს მდგომარეობა მის სახელსაც შეეხებოდა.

მამა ეუბნებოდა: „გახსოვდეს, ვისი გორისა ხარო“, და სწორედ ამ სიტყვებით აგონებდა იმ მოვალეობას, რომელიც ერთს პირს მთელს სახლობასთან აკავშირებს და მისი საქციელი მთელი ოჯახობის გამაპატიოსნებელი თუ დამამცირებელი არის. მაგრამ, თუნდა ასეც არ ყოფილიყო, ონისესაც კარგად ესმოდა თავისი ვალი, წუთის თავდავიწყებას საკმაო დანაშაულად სთვლიდა, ფიცულობდა, რომ აღძრულს გრძნობას გულიდგან ამოიფხვრიდა და სწორედ ამ წადილმა წამოაძახა:

— წავალ, შევალ ქორწილში... ულვაში მაქვს, ქუდი მხურავს და გული კი უნდა დამშორჩილდეს.

ამ სიტყვებთან ერთად ის გაბრუნდა კიბისკენ, რამდენიმე გადახტომაზედ ჩავიდა ქვევით და მივიდა გუგუას სახლში, სადაც ჯერ კიდევ გაცხარებული ტაშ-ფანდურა და მხიარულება იყო, თუმცა გათენებას უკვე მოეღწია.

ყველანი სიხარულით მიეგებნენ ონისეს, რომელიც მისვლის შემდეგ ყველაზედ მეტს მხიარულებდა, ყველაზედ მეტს მღეროდა, ყველაზედ მეტს ოხუნჯობდა...

X

გათავდა ქორწილი. მხიარულების პირველმა დღეებმაც გაიარეს. პატარძალიც სწორებმა წაიყვანეს, ჩვეულებისამებრ, წყლის მოსატანად, იქ გაუჭრეს ხაბიზგინები და უმღერეს ამ შემთხვევისთვის შემოღებული ლექსი:

ჩემო ხელისმომკიდეო,
ტაგანაი მომკიდეო...

და ცხოვრებამ მიიღო ჩვეულებრივი სახე.

ძიძია გამოდგა ჩინებული, მორჩილი ქალი, რომელიც არასოდეს არა ზარობდა და საქმესა და სახლს მუყაითად ექცეოდა. მისგან არც ჩხუბი, არც წინააღმდეგი სიტყვა არ მოისმოდა და უფროსი რძლები, ყოველთვის უმცროსების დამჩოლფოტებელნი, ძიძიას ნამდვილ დასავით უვლიდნენ.

გუგუა, რომელიც შესტრფოდა თავის ცოლს, ისე შინ არ შემოვიდოდა, რომ ცოლისთვის ან ჩურჩხელის ნაჭერი, ან წითელი ვაშლი არ მოეტანა და გატაცებულის გრძნობით არ დაეკოცნა. მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ საზოგადოდ გაჩუმებული ძიძია, ყოველთვის მარტოობას ეძებდა. და მისი ფერდაკარგული, გაცრეცილი ტუჩები თავის დღეში არ გაიღიმებდა.

ყველანი ცდილობდნენ მის გამხიარულებას, შედარებით ხევის სხვა რძლებთან თავისუფლებას აძლევდნენ, დაჰყვანდათ ხატობაში და სატირალზედ, იმ ერთს თავმოსაყრელს ადგილს,

სადაც მთელის წლობით დაშორებული ნათესავები და მეგობრები ერთმანერთს ხვდებიან და დიდხანს შეგუბებულს შთაბეჭდილებას სხვასთან გასანაწილებლად გზას აძლევენ. მაგრამ ძიძია მაინც ისევ ისე გულჩათხრობილი რჩებოდა, თუმცა მას ყველაფერი ჰქონდა: საჭმელიც, სასმელიც, ჩასაცმელიც; არ აკლდა არც მზრუნველები, არც მოსიყვარულე გული, მაგრამ მის არსებას რაღაც ჩაგრავდა, რაღაცა აღონებდა და ჰლევდა...

პირველში ბევრსა ცდილობდნენ გაეგოთ, რა მოსდის საბრალო ქალსა, მაგრამ ჩქარა იძულებულნი იყვნენ თავი დაენებებინათ, რადგანაც მის გულის სიღრმეში ვერ ჩასწვდნენ და გადასწყვიტეს, რომ ასეთი ხასიათისა ყოფილაო.

ამ ხანში ონისე კი ფშავს წასულიყო, სადაც დედის ძმები ჰყვანდა, და იქ ნადირობაში და მეცხვარეობაში ატარებდა დროს გატარებას და ნაღველის გაქარვებას, მაგრამ, როდესაც სადმე ქედზედ გასული თავის ბედს დააკვირდებოდა, მაშინვე ძიძიას სახე განმანათლებლად ჩაეშუქებოდა და სანეტარო ტკბილს მკვნესავს ოხვრაში შეიყვანდა.

ცა, ღრუბელი, ვარსკვლავი, მთვარე, ბუნების მდიდარი სურათები ონისესთვის მდიდარნი და სიტკბოებით სავსენი მხოლოდ იმიტომ-ღა იყვნენ, რომ მათთან ერთად ეხატებოდა ძიძიას სურათი, მათ სატრფოსთან დადარებით თავდავიწყებადის ეალერსებოდა.

XI

გაიარა ბნელმა და გულჩათხრობილმა ზამთარმა და მასთან ერთად გაქრა სევდის ამშლელი ტყვიისფერი ღრუბელი, რომელიც მწუხრის ზეწარსავით აბნელებდა მთის წვერებს და ხევებს. მასთან ერთად გაჰქრნენ ჩრდილოეთის ცივი ქარებიც, რომელნიც ბაიყუშურის ზუზუნით გაყინულს თოვლს აყრიდნენ დედამიწის გაცოცხლებულს სურნელოვანს ფარდაგს და სულშეხუთულს ახმობდნენ, ფშვნეტდნენ და მტვრად აქა-იქ აბნევდნენ. ბუნება შეიცვალა; მოუსვენარი ზუზუნა ქარების ადგილი წყნარად მრხეველმა ნიავმა დაიჭირა, მიწა შეთბა და მოაცოცხლა მცენარენი, ბალახმა იგრძნო თა-

ვისი ძალა, წამოიწია და თეთრად გადაფარებული თოვლის სუდარი ჯერ დედამიწას ააშორა და მალე, მზის დახმაებასთან ერთად, წყლად აქცია და ქვევით ხევებში ხრიალით და უგზოუკვლოდ გააქანა. მძიმე, უსიამოვნო ტვირთისგან განთავისუფლებულმა კავკასიის მთებმა თითქოს თმები შეიბერტყეს და დამასევდიანებელის ყინულის მაგიერ მწვანე ხავერდი გადაიფარეს. გაიღვიძეს ყვავილებმა და ნაზად თავის გადაგდ-გადმოგდებით დაუწყეს ერთმანერთს არშიყობა. გაშმაგებული მზის სხივი მოუსვენრად ლამოდა მათის მშვენიერებით დატკბობას, მაგრამ მდელოთ კეკლუცნი მორცხვად პირს არიდებდნენ. ბარტო დაუსვენარს ფუტკარს ვერ ემალებოდნენ და ნებას აძლევდნენ სურნელიანი ფერფლი მოეკრიფა თავის ნაზის, რბილის, ბუსუსიანის ფეხებით და გაშმაგებულს ამოეწოვა აქ სანეტარო ნექტარი.

დილის ნამი მარგალიტსავით ესხმოდა სიცოცხლით სავსე მწვანე ფოთლებს და მზისგან მეტად გახურებულს მცენარეთა რაოდენადმე აგრილებდა.

ჰაერში გაისმა გალობა და ჭიკჭიკი ფრინველებისა, რომელთაც მთელი სამოთხის ნეტარება მოელოდათ; ტკბილის ძახილით მოუსვენრად იწვევდა ამხანაგი ამხანაგს ამ ნეტარებისთვის. ყველა გაცოცხლებულიყო, ყველას გული სცემდა და მიიბრძოდა ტოლთან საფართხალოდ.

ბუნების ამ საერთო მეჯლიშს დასჰყურებდა ონისე, რომლის გულსაც ჯერ გაზაფხული არ სწვეოდა და ზამთრის ღრუბელსავით ნისლმოხვეული მწარედ ჩაბნელებულიყო.

ყველასთვის ტკბილი, გასახარებელი იყვნენ ეს მედიდური სურათები, მაგრამ ონისეს გულს კი მარტო ნაღველს აწვეთებდნენ და სიტკბოების მაგივრად ძირმწარეს აპკურებდნენ.

ონისე ოხრავდა, ქშინავდა, მოსვენება ვერ ეპოვა და დაჭრილს ლომსავით გამედგრებული გმინვით დადიოდა მთა-ბარად.

ისა სწუხდა და ღონდებოდა, უნდოდა თავის ქვეყანაში დაბრუნებულიყო, უნდოდა თავიანთი ანკარა წყაროს ჩუხჩუხი გაეგონა, რადგანაც სხვა ქვეყნის წყალის არამც თუ გემო, არამედ ხმაურობაც კი ისეთს მოალერსედ აღარ ეჩვენებოდა, როცორც ვეფხსავით გააფთრებულის, კლდიდგან კლდეზედ მხტუნავის

თერგისა. ონისეს ეხლა თავის ქვეყნის იმ ადგილების ნახვაც კი სანატაროდ გახდომოდა, რომელნიც უწინ თვალდასანახად ეჯავრებოდა, მაგრამ თავის მხარეში მიბრუნება ვერ გაებედა, რადგანაც ეშინოდა, ღონეს არ ეღალატა და მამის სიტყვები: „იცი, ვისი გორისა ხარ?.. ქვეყანა არ გააცინო“, რომელსამე უცაბედო შემთხვევას არ გადაევიწყებინა.

ონისეს იმედი ჰქონდა, რომ ძიძიასთან დაშორება გულის ცეცხლს გაუქარვებდა; ამავე აზრით ეარშიყებოდა თუშის ტანად ქალებს; იმედი ჰქონდა, რომ მათი ალერსი დააკმაყოფილებდა, მაგრამ რაწამს ტკბილს სიტყვას ვისმე ეტყოდა, რაწამს მიუახლოვდებოდა რომელსამე თვალუჟუნას, მაშინვე ძიძია მაცდურად დაებადებოდა თვალწინ და კეკლუცის, ჭკუის ამრევის ღიმილით დაუწყებდა ცქერას; დაუწყებდა ცქერას, აღუშფოთებდა სისხლს, გულს, მთელს არსებას. ის შემოსცინებდა და ამ ღიმილში გამოიხატებოდა სიტყვები: „თავს უბრალოდ აწყვეტ, ვერსად წამიხვალ“. და ეს საკმარისი იყო, რომ ანკელოზის სახე ონისეს ეშმაკად მოსჩვენებოდა.

ამგვარად ატარებდა ონისე დროსა და უიმედოდ, უბრალო ბრძოლაში ლევდა ყმაწვილკაცობის გრძნობას და ცეცხლსა.

ძნელი და მწარე იყო მისი ცხოვრება, მაგრამ მაინც ყოველთვის მისი ფიქრები ერთისა და იმავე გადაწყვეტილებით თავდებოდა და ეს გადაწყვეტილება იყო, რომ ძიძია არ უნდა ჰყვარებოდა და უნდა დაევიწყა.

XII

ერთს დღეს, არხოტის ერთი მთის ძირას, სადაც თუშებს საზაფხულოდ ცხვარი ედგათ, მწყემსები შეყრილიყვნენ და საღმრთო გაემართათ. მწყემსთა შორის მრავალი მოხევეები იყვნენ, რომელთაც თუშების ცხვარი „დაეზიარებინათ“ და აქ ელოდნენ ყავლის გასვლას.

საკლავები მოხარშულიყო და მოგროვილი ხალხი ერთმანერთს ეთავაზებოდნენ, რომ რიგზედ უფროსობით დამსხდარიყვნენ; ნახევარი წილი ხალხისა კიდეც დალაგებულიყო, როდესაც ქედზედ გამოჩნდა ვიღაცა კაცი, გაშიშვლებული

თოფი გადაეგდო მხარზედ, წამოეკეცა ჩოხის კალთები და გაძალებული მოაბიჯებდა; მოხდილი ქუდი ხელში ეჭირა და მით ჩქარ-ჩქარად იწმენდდა შუბლსა, რომელზედაც ხვითქი გადმოსდიოდა.

როგორც ეტყობოდა, მომავალი შორის გზიდგან უნდა ყოფილიყო და უეჭველად საჭირო საქმეზედ წასული, რადგანაც ყოველ ფეხის გადმოდგმაზედ ცდილობდა ნაბიჯისთვის მოემატებინა და მით გძელი გზა შეემოკლებინა. მთაზედ მყოფმა ხალხმა მომავალს შეჰკრა თვალი და ყურება დაუწყო. მთაში მგზავრი ძნელადა ხვდება და ამისთვის ახლადმოსულისაგან ყველა ახალ ამბავს მოელის ხოლმე; ყველას იმედი აქვს, რომ თავის სოფლის თუ სახლობის მდგომარეობაზედ რასმე გაიგონებს და ამის გამო მომავალის ყოველ ნაბიჯს მოუთმენლობაში შეჰყავს მომლოდინე და გულის ძგერით ასურვებს მის ჩქარა მოახლოვებას.

სწორედ ასე იყო ეხლაც. ყველანი წამოიშალნენ და სიტყვებით: „ვინ იქნება, ძალუმ ჩქარა კი მოდის...“ დაუწყეს ყურება.

მზე მომავლის მხარიდგან იყო და, რადგანაც მწყემსებს შუქი პირდაპირ სახეში სცემდა, ამისთვის იმათაც ხელებით მოეჩრდილებინათ თვალებისთვის და ისე გასცქეროდნენ. მაყურებელთ შორის ონისეც ერია, რომელსაც მოუთმენლობა ყველაზედ მომეტებულად დასტყობოდა და ყველაზედ წინ გასულიყო, რომ უცნობს სხვაზედ ადრე შეჰყროდა.

უცნობი ჯერ შორს იყო და ღელე ჰქონდა გამოსავლელი, რომელშიაც ჩქარა ჩაეფარა. ონისე თვალს არ აშორებდა ამ ადგილს, სადაც ის კაცი უკანასკნელად დაინახა.

მომავალმა ამოიარა ღელე, თავი ამოჰყო ფერდობზედ და ონისემ ერთი შეჰკივლა და სიხარულით მომავლისკენ შავარდენსავით გაქანდა. იცნო თავისი მეზობელი და თავისთან ერთად შეზრდილი მოხევე.

— გზა მშვიდობისა, დათაუ! — შორიდგანვე შესძახა გახარებულმა ონისემ.

— მშვიდობა მოგცეს უფალმა, — გადაუხადა სალამი დათამ.

ორნივ მიახლოვდნენ ერთმანერთს, შესდგნენ და გადაეხვივ-

ნენ. მასუკან გაშორებულნი რაოდენსამე ხანს ჩუმად დარჩნენ. ონისეს ვერ მოეხერხებინა ეკითხა რამე, რადგანაც ძალზედ მოწოლილი სურვილი ათასი ამბის ერთად შეტყობისა ნებას არ აძლევდა, რომ ერთ-ერთიდგან დაეწყო გამოკითხვა და დათა კი თითქოს გასჯიბრებოდა და განგებ არას ეუბნებოდა.

ახლადმოსული მეტად დაფიქრებული იყო, რომ მის მხრით ეს სიჩუმე ონისეს ხუმრობად მიეღო; უეჭველია, იმას რაღაცა უბედურება მოელოდა და დათა იმიტომ აგვიანებდა ხმის ამოღებას.

ონისემ შეხედა და ფერი ეცვალა.

— რაი ამბოვია, მითხარ? — თითქმის ხვეწნით და ხმის კანკალით წარმოსთქვა ონისემ და უნუგეშოდ ხელები წინ გაიშვირა, თითქოს ეშინოდა არ წაქცეულიყო.

— ამბოვი... მივიდეთ ბინაში და გეტყვით, ყველას გიამბობთ.

ონისეს, როგორც მარტო ერთს საგანზედ დაფიქრებულს, სხვა ვერა წარმოედგინა-რა, რომ საქმე ძიძიას შეეხებოდა და ეგონა, რომ ასლადმოსული სიბრალულით არ უმჟღავნებდა.

იმ წუთებში ონისე ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ დათამ იმის მდგომარეობისა არა იცოდა-რა და, მაშასადამე, მის სიბრალულსაც ვერ იგრძნობდა.

აღგზნებული გონება ფარვანად გადაჰქცეოდა, მისთვის მხოლოდ ერთს ადგილს ანათებდა სიწმინდის ლამპარი და მას დასტრიალებდა, მას ევლებოდა თავსა. სხვა საგანი არც მის გულს, არც მის აზროვნებას არ ეკარებოდა.

— მითხარი, ბალღო, ნუღარ მიმალავ, — ძლივს წარმოსთქვა ონისემ და დაუმატა: — დასაკლავს ხარს რაიღა ყურება უნდა?

ახლადმოსულმა შეხედა ონისეს და დაინახა, რომ სამარის ფერი დასდებოდა. იფიქრა, რომ ონისეს უეჭველად ეგონა, შინ რაიმე უბედურება შეემთხვა და ამისი შეეშინდაო.

— ბეჩა, რაი მოგსვლია? ყველანი მშვიდობით არიან.

— ნუ მომატყუებ, ღვთის მადლსა!

— არა, სპარს-ანგელოზის მადლმა, აბა რაისთვი მოგატყუებ.

ლაპარაკი ისევ შესწყდა. დათა გაბრუნდა მწყემსებისკენ და ონისეც ინსტინქტიურად უკან გაჰყვა.

— დათაუ, მაშ რად არ მეუბნები, რაი ამბოვია? — ისევ ეჭვმა გაურბინა გულში.

— მშვიდობის მეტი არა ვიცი-რა.

— მოიცა-ღა! — შეაყენა ონისემ, მაგრამ ლაპარაკის გაგრძელება კი ვეღარ მოახერხა; სიტყვა ძიძიაზედ უნდოდა ჩამოეგდო, მაგრამ მისი სახელის წარმოთქმა ვერ გაებედნა. დათა იდგა და ლაპარაკის გაგრძელებას ელოდა.

— რაი გინდა? — ჰკითხა იმან ბოლოს.

— მე... მე... მამაი კარგადაა? — ძლივს გაიგონა ენა. ახლადმოსულმა გაოცებით შეჰხედა.

— გონსა ხარ, ბიჭაუ, თუ არა?

— მაშ მიამბე, მითხარ... მითხარ ყველაფერი, ყველას ამბავი, — აჩქარებით დაიწყო ონისემ და ისეთის მუდარებით შეხედა, რომ კაცს შეეცოდებოდა.

— გოჩაც მშვიდობითაა, შენი ბიძაცა, ღვთის მადლით, შენი ჯალაბობა, ყველა მშვიდობითაა. ისრე არიან, ღვთის მადლმა, თიკნის ყურიც არ დაჰკლებიათ.

— მაშ რაი ამბოვია?

— რაი ამბავია და, ნუგზარ ერისთავს ჩვენი ყმად გახდომა გაუზრახავს.

— რაო? — გაიკამათა ონისემ ისეთის ხმით, თითქოს არ სჯეროდა.

— თუ არ დამმორჩილდითო, ლაშქრით თავს დაგესხმით და ამოგწყვეტავთო.

— სანამ ნურასა სჭამს, სანამ ხევი ვერც ამოსწყვიტოს და ვერც ყმად გაიხადოს, — ამაყად წარმოსთქვა ონისემ და შუბლი შეიჭმუხნა.

ამ ლაპარაკში მოვიდნენ სხვა მწყემსებიც.

— აბა ეგ ნიადაგ აგრე იქნების, მაგრამ ნუგზარის მოუსვენრობა სათემოდ გავარდნილია... რაკი ერთს იტყვის, თავადაც იცით, რომ უსისხლოდ აღარ დადგების...

— მაშ ხევში რას აპირობენ? — იკითხეს იქეთ-აქეთ.

— ემზადებიან... თუ ძალა მოინდომეს, უჩხუბრად ვერ

მოვრჩებით. მთებში ყველგან ბიჭები გაგზავნეს, რომ საცა ჩვენი მწყემსები არიან, მოაგროვონ, მეც აქ გამომაგზავნეს. მთელი მთიულეთი შეუყრია, ოსებიც მას მისდგომიან და ჩვენზედ წამოსულან... ეხლა თრუსოს ხეობაში თურმე დგანან.

— წავიდეთ, წავიდეთ! — გაისმა რამდენიმე კაცის ხმა, რომელთაც იარაღს გაივლეს ხელი, თითქოს ეხლავ ომში უნდა შერეულიყვნენ.

— ოსებს რაიღა უნდათ? — იკითხა ონისემ, რომელსაც ამ საქმემ ძიძია ერთის წუთით დაავიწყა.

— ოსები ვითომ შუაკაცობენ და საქმით კი წყალს ამღვრევენ... თავად ჩვენთან ვერა გაუწყვიათ-რა და ახლა ნუგზარაის იმედი აქვსთ.

— აბა, ბიჭებო! გვიანობისა ალარაა! — დაიძახა ონისემ და დაუმატა: — რაიც ამბოვია, იქაც გავიგებთ.

— წავიდეთ, წავიდეთ! — მისცეს პასუხად და გაქანდნენ თავიანთ ბარგისა და თოფებისაკენ.

XIII

გარიჟრაჟი იყო. თერგის ხეობაზედ ხშირი და ბამბასავით გაპენტილი ნისლი შემოწოლილიყო, მოებურა მთელი მიდამო, სოფლები თითქოს შიგ გახვეულიყვნენ. რამდენიმე ადგილს ნისლი ამოეგლიჯა უმაღლესს მთის წვერებს და ისე მოჩანდნენ, თითქოს ჰაერში დგანანო. მათ ზევით ლაჟვარდოვანი ცა შეწითლებულიყო მზის მოახლოვებულის შუქით. ვარსკვლავებს ეგრძნოთ დღის მოახლოვება და შემკრთალები ნაზის სხივით ძლივსღა ციმციმებდნენ. გათეთრებული მოხუცი კავკასიისა ამაყად გადმოჰყურებდა სამების წვერს, რომელზედაც ამავე სახელის ტაძარი, ძველი და საკმაოდ მოზრდილი, გამწვანებულს ყვავილიან ველზედ წარსულის მოსაგონებელ ნაშთად დარჩენილიყო. ქვეშ მიმდგარს თანასწორ ნისლს წმინდა სახსოვარი ჩვენის წარსულისა თითქოს დედამიწისაგან განეშორებინა.

ამ ადგილიდგან ყველაფერი მედიდურად მოჩანდა, ყველას ეძინა, გაყუჩებულიყო და თვით ეს გაყუჩება რაღაცა სევ-

დიანს დუმილს ჰბადავდა. თვით დაუდგრომელს ნიავსაც კი სული გაენაბა და ცელქად აღარ შესთამაშებდა კეკლუც სურნელებს. ათასში ერთხელ დამკრთალი ჯიხვის ფეხით გადმოგორებულის ქვის ხმაურობა თუ დაარღვევდა საზოგადო სიჩუმეს და შეუერთდებოდა მთებიდგან გადმონადენის ჩანჩქერის ჩხრიალს, რომელიც დაძინებულს ბუნებას მშობლიურს ნანას ეუბნებოდა.

ერთბაშად გაისმა გაგრძელებული სტვენა. ეს რომელსამე მოუსვენარს შურთხს ეგრძნო გათენების სიახლოვე ან სიზმრად ტოლი მოლანდებოდა.

გაწითლდა ყირვანწვერის თავი, მზის სხივებმა ოქროს გვირგვინი გადმოაფინეს, თეთრმა უმტვერო თოვლმა ნათლად ბრჭყვიალი დაიწყო. მას მოჰყვა კაკბის კაკანი, რომელიც გაშმაგებით ეძახდა გულის მეგობარს, რადგანაც ბუნების მშვენიერებით მარტო დატკბობა არ ესმოდა. შეფრთხა ჯიხვიც და არჩვიც, ღამემ საკმად დაუღალა მარდი და მკვირცხლი ფეხები, ვარჯიშობა ეჭირვებოდათ, თეთრი, ათასფერად მოკამკამე თოვლი სათამაშოდ იზიდავდა, სასიამოვნო სურნელება ტვინს უმღელვარებდა, თავბრუს ახვევდა და დაჭარბებული სიტკბოება ფრუტუნით უნდა მოეშორებინა. შორიახლო მყოფს „დათვიას ტყეში“ შაშვმაც გრძნობით შესჭიკჭიკა ბუნების სიტკბოებას. ერთბაშად დაჰკრა ზარმა და მისი ხმა ლტოლვით და თანდათან მისუსტებით ამოვარდნილმა ნიავმა გაჰფანტა მთებში. მოისმა მეორეჯერ და მას მოჰყვა ჩქარ-ჩქარი და ხანგამოშვებითი რეკა. ეტყობოდა, სამების ტაძარში მყოფს ყარაულებსაც გაეღვიძნათ.

დილის ნიავმა დაჰქროლა, ნისლი შეარყია, შეაღელვა, მოეშველა მზის შუქიც და ნისლი აღშფოთებულს საყვარელსავით, რომლისათვისაც განთიადს მოესწრო, წუნარად მთა-მთა დაიწყო გაპარვა.

გამოჩნდა ხეობა და მასთან ერთად გველსავით დაკლაკნილი, გამხეცებული და აქაფებული თერგი. სოფლებიც მოძრაობაში მოსულიყვნენ. ყველგან ხალხი მიდი-მოდიოდა, სოფლების წინ ჯგუფდებოდა და რაღაცას მღელვარებდა. ყოველს სოფელთან ხალხის შუა მოჩანდა სასოფლო დროშა, რომელიც ნიავისგან წუნარად ფრიალებდა.

ამ ხანში წმინდის სამების სამრეკლოზედ ზარების რეკა არა სწყდებოდა. ერთბაშად ხალხი შეინძრა, გაისმა „გერგეტულას“ სიმღერა და გრგვინვასავით ბანის მიმცემმა ხალხმა ქუდები მოიხადა. მედროშენი დროშებით დაუძღვნენ წინა; უკან წამოჰყვა მოწიწებით ხალხი, რომელიც თავის პატივის და სახელის ნიშანს, სახალხო წმინდანს ცეცხლშიაც წარბშეურხევლად გადაჰყვებოდა.

ყველანი სამებისკენ გაემართნენ; ისინი მიეშურებოდნენ იმ ტაძრისკენ, სადაც თემის ყრილობა უნდა მომხდარიყო, სადაც თემის საბჭო იყო გამართული და სადაც ერთხელ ხალხისგან გადაწყვეტილებას ყველა მთიელი ემონებოდა და განუკითხველად ასრულებდა.

მათ სამების საბჭოში მოელოდა ორი კვირით „საწმენდად გასული“ ხევისბერი გოჩა და მისნი თანაშემწენი, რომელნიც ორი კვირის მარხულობაში და ლოცვაში იყვნენ, რომ სათემო „დროშის თავის“ შეხების ღირსნი გამხდარიყვნენ.

დროშის თავი მათთვის სახუმრო არ იყო: მის წინაშე ნათქვამი სიტყვა ველარ გადაბრუნდებოდა, ყოველი მოხევე სიკვდილს ირჩევდა, მოშორდებოდა დედას, ძმას... გულის საყვარელსაც კი, მაგრამ ამ სათემო კავშირის ნიშნის წინ მიცემულს სიტყვას კი ველარ უღალატებდა.

არც სახუმრო საქმისთვის იყრებოდა დღეს თემობა. თავისუფალთ ყმობას უქადდნენ, დამოყვრებული მეზობლები ომს უცხადებდნენ, გაუმაძღარი ნუგზარ ერისთავი ლომსავით ბრდღვნიდა, მის განუსაზღვრელს წადილს ხალხის დამონებისას მარტო მთიულეთი ველარ აკმაყოფილებდა, მისი ბატონური მოთხოვნილება თავისუფალ მეზობლებთან ველარ თავსდებოდა, იმათი დამორჩილება უნდოდა და უნდა დაემორჩილა, თუნდა ამისთვის მოძმეთა სისხლით შეღებილიყო.

მოხეველებს ესმოდათ, რომ საქმე სახუმრო არ იყო და ღირსეულს ღირსეულად დახვედრას უპირებდნენ.

XIV

სამების ტაძარი სდგას ყირვანწვერიდგან თავქვე მინდვრად წამოსულს ქედის ბოლოზედ, სადაც პატარა გორას მრგვლად და მოხდენილად თავი აუმართავს და თერგის მხარეს კი ერთბაშად მძიმე დაღმართად დაშვებულა სოფელ გერგეტამდის. აშენებული თლილის ქვით საკმაოდ დიდი ტაძარი, სამრეკლო და საბჭო, რომელისთვისაც ჯერ ბუნებას შემოუვლია მაგარი კლდის კედელი და მერე ზოგიერთს ადგილებში კაცის ხელს კიდევ უფრო შეუმაგრებია, ამაყსა და სასიამოვნო სურათს წარმოადგენს.

ამ ადგილს ახლომახლოდ არა აქვს სათალი ქვა, რომლითაც ტაძარი აშენებული არის, წყალი საკმაო სიშორეზედ ქვევით ხევში ჩამოუდის. გზად მხოლოდ ერთი პატარა ხვეული ბილიკი შესდევს, რომელზედაც ქვეითი კაციც კი გაჭირვებით ადის. ასე რომ, პირველსავე შეხედვაზედ კაცი განცვიფრებაში მოდის და ნებაუნებლივ თავის თავს ეკითხება: საიდგან მოუტანიათ ამ ჩინებულის შენობისთვის მასალა ან რითი მოუზიდნიათ?

საკმაოა ამ შენობის ნახვა, რომ კაცმა გაიგოს, რა შეუძლიან ხალხის შეერთებულს ძალას და მათს ამაღლებულს სულიერს მდგომარეობას. ტაძრის კედელში მხოლოდ ერთს ადგილს ჩატანებულია მარმარილოს ქვა, რომელზედაც ქარსა და ნიაღვარს ჯერ ვერ მოუსწვრია სრულიად ამოეშალა ზედ წარწერა და მწიგნობარს კიდევ შეუძლიან გაარჩიოს სიტყვები „...ხარი ლომა... მწყემსი თევდორე...“ — ეს ორი სახელია, რომელთაც, უეჭველია, დიდი ღვაწლი მიუძღოდათ ამ ხევის წარსულის დიდების აშენებაზედ. მიმავალი ხალხი შეეფინა მთის გვერდოზედ და სწორედ იმ დროს, როდესაც ხალხი შეგროვდა მინდორზედ, ტაძრის გალავნიდგან ჯერ წვერი ამოჰყო დროშის ჯვარმა და მერე მთლად დროშაც გამოჩნდა, რომელიც გაშლილიყო და წყხარად ფრიალებდა. წუთზედ მთელი ხალხი მუხლებზედ დაეცა და მიწასთან გაერთებით თაყვანი სცა სახალხო წმინდანს.

კედელზედ გადმოჩნდა ქუდმოხდილი კაცი, გძელის გაშლილის თეთრი თმით და წვერით. ხამის უმტვერო თეთრი პე-

რანგი, რომელზედაც უბრალო თოკი ჭამრად შემოეჭირა, რა-ღაცა საოცნებოდ მოგაჩვენებდათ მოხუცს. გაბრწყინვებული, მაგრამ დამყარებული მოხუცის სახე, ზრუნვითა და მჭმუნვარებით სავსე, ყველას გულს იგებდა და მისვე უნებურად იმორჩილებდა. ხალხს მოშორდა სასოფლო დროშები, რომელნიც ტაძრის გალავანში შეიტანეს თეთრჩოხა მედროშეებმა, და რამდენიმე წუთს შემდეგ დროშის თავს გარს შემოახვიეს. ყველა გაჩუმდა, დაწყნარდა. ჰაერმაც კი იგრძნო, რომ უნდა დამშვიდებულიყო, თავი მოეხარა ამ სახალხო ყრილობის წინაშე, რომელსაც დღეს უნდა გადაეწყვიტა ხევის ბედი. მოხუცმა შეანძრია დროშა და ამ საერთო სიჩუმეში გაისმა პატარა ზარების წკრიალი, რომელმაც შეაკრთო მუხლმოყრილი ხალხი და ძარღვებში ჟრუანტელსავით გაურბინა.

— აწწყალობებენ, ამწყალობებენ! გოჩა ამწყალობებს! — ჩურჩულმა ხალხში ნიავსავით გაირბინა და შესწყდა.

გოჩამ კიდევ შეანძრია დროშა, კიდევ გააწკრიალა ზარები და პირჯვრის გადაწერით მოჰყვა წყნარად, ტკბილად და დინჯად ხალხის დალოცვას. საერთოდ ხალხის დალოცვის შემდეგ დაიწყო იმათი დამწყალობება, ვისაც სათემოდ თავი გამოეჩინა და შრომა და ჯაფა არ დაეშურებინა თავის ხალხის კეთილდღეობისთვის. დაამწყალობა ისინი, ვინც მტრის განსადევნად მდევარში პირველი გასულიყო, დაამწყალობა ის ვაჟკაცნი, რომელნიც იარაღს გამართულს ინახავდნენ და გაათავა უფლის ვედრებით, რომ მას ხევზედ ხელი არ აეღო და ყოფილიყო მისი მფარველი ყოველს გაჭირვებაში მრავალჟამიერ.

დამწყალობების დროს გოჩას ყოველს შესვენებაზედ ხალხში გრგვინვასავით გაირბენდა: „ამინ შენს მადლსა“. ამ ხმას მთები მისცემდნენ ბანსა და ათასგვარად შეცვლილ ხმად ჰაერში დაფანტამდნენ.

როდესაც გოჩამ დალოცვა გაათავა, ხალხს გამოუცხადა ნუგზარ ერისთავის სურვილი.

აქამდის მშვიდად და წყნარად მყოფი ხალხი ერთბაშად შეინძრა, ერთბაშად აღელდა და უკმაყოფილების გამო კარგა-ხანს ბორგავდა.

— გაჩუმდით! — რამდენჯერმე გაიმეორა ხმამაღლად გო-

ჩამ და ცოტა ხანს შემდეგ დაიწყო: — ღმერთი დიდია და გულუხვი!.. თავის გაჩენილს კიდეც დააარჩენს... ჩვენც არ დავგკარგავს... რაი უნდა ჩვენგან ნუგზარას, რაისთვი გვეჭრება ოჯახობაში?.. ჩვენ ვიცნობთ ქართველთა მეფეს და დღეც გაშავებია იმ მოხევეს, უკუღმართადამც მოჰქცევია იმ ქართველის დედას წუთი, რომელმაც მეფის გაჭირვებაში შვილი შეიბრალოს, ხალხისთვის სახლიც, ნაშობიც არა გასწიროს... ვემსახურებით ჩვენთა მოძმეთა და აგრეც უნდა იყოს... ბაშ ძმა რაისია, თუ გაჭირვების დღესაც ძმას არ მიეშველების?.. მაგრამ ნუგზარაი კი თავს იგდებს და დღეს გაძრიელებულს გაუმაძღარი თვალი ჩვენკენ მოუქცევია, ორი მეზობელი ერთურთს უნდა წაჰკიდოს, მოხევე და მთიულნი ერთურთს შეახოცოს და თავად კი გაბატონდეს... რას იტყვით, ჯამაათნო?.. ნუგზართან ბრძოლა ადვილი არაა, მთიულთაც ძმობა დავიწყებიათ და ჩვენზედ გამოლაშქრას აპირებენ... დავმორჩილდეთ?

დამშვიდებული ხალხი ისევ შეირყა და აღელდა; გრგვინვასავით გუგუნი ხალხისა გაერთებულიყო და ჰაერს მხოლოდ ერთი მედგარი სიტყვა არყევდა.

— არა, არა, არა! — განუწყვეტლად ისმოდა ხალხში.

ერთბაშად მინდორზედ ხალხის წინ ერთი ყმაწვილი ბიჭი გამოვიდა, რომელმაც ხელით ხალხს გაჩუმება ანიშნა და დაიწყო:

— გოჩაუ! რაისთვი გვეკითხები მაგას!.. ხევმა ძმობა იცის და, ღვთის მადლმა, მოკეთედ მყოფს მეზობლისთვის ჩვენგან ყველა თავს გადასდებს... მოკვდეს ის კაცი, ვინც მოძმეს ვერ გაიტანს, შერცხვეს ის ჭუდოსახი, ვიხც მეზობელს ღალატად შეადგების!.. მაგრამ ის მოხევეც და-მარხოს, ვინც ყმად გახდომა ისურვოს!.. ნუგზარაი ცხოგან გასცლებულა და ჰგონია ჩვენი დამორჩილებაც ადვილ იქნების. მთიულთაც დავიწყებიათ ჩვენი კაცობა და პურ-მარილი: ჩვენზედ მოდიან... ერთხელ დაბადებულებს ერთხელ გვინდის სიკვდილი... გავწყდეთ, ხალხო, და ცხო ხალხს კი ნუ ვიბატონებთ!

— გავწყდეთ, გავწყდეთ, — იყო ამ სიტყვების საერთო პასუხი.

მოლაპარაკეს მიუახლოვდა ვიღაცა მოხუცი, დაეყრდნო ჯოხზედ და მიუბრუნდა:

— ონისევ! ღვთის მადლმა, კარგი მამაის შვილი ხარ და თავადაც კარგი ვაჟობა გეტყობის... ჰაი, ჰაი, რომ ვაჟკაცს შერცხვენილს სიცოცხლეს სიკვდილი ურჩევნიან, გაწბილებას — ცოცხლივ მიწაში ჩამარხვა... რაიც სთქვი, ღვთის მადლმა, კარგადა სთქვი და აგრეც უნდა ყოფილიყო!.. მაგრამ მთიულნი ჩვენი ძმები არიან, იმათ მაცდურად შესდგომია ნუგზარაი, ჯერ ვეცადნეთ მათთან მორიგებას და ოსებისა კი რაი მორიდება გვინდა.

ამ სიტყვებზედ ხალხი ორ დასად გაიყო. ერთი ითხოვდა პირდაპირ შებმას განურჩევლად, ვინც უნდა ყოფილიყო მოწინააღმდეგე, მეორეს კი მოძმედ შეცდომისთვის მორიგების უცდელად შებმა არ უნდოდა.

ხალხი კარგა ხანს მღელვარებდა და არავითარს გადაწყვეტილებას არ ადგებოდა.

გაისმა ისევ ზარების წკრიალი, რომელმაც ხალხში ისევ სიჩუმე ჩამოაგდო.

— ხალხო! — დაიწყო გოჩამ. — გვიანობისა აღარაა, მტერი კარს მოგვდგომია, გამოვიდნენ თემის თავები... მტერსაც და მოყვარესაც ყველას დახვედრა უნდა... თემის კაცი! — დაიძახა იმან.

ამ სიტყვების შემდეგ ხალხიდგან გამოვიდნენ ჯგუფ-ჯგუფად ამორჩეულები და გასწიეს წმინდის სამების საბჭოში, სადაც ხევისბერი გოჩას თაოსნობით ხევის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო.

XV

მოთავეთ დიდხანს ლაპარაკი არ დასჭირდათ, რადგანაც ყველას წინადვე ან სიკვდილი, ან თავისუფლება ჰქონდათ გადაწყვეტილი. იქნენ ამორჩეულნი ჯარის მოთავენი, ბელადნი, ქამანდარნი და შუაკაცნი, რომელნიც მთიულებთან მოსალაპარაკებლად უნდა გაეგზავნა.

ყველაზედ უფროსობა და განკარგულების მიცემა კი უფლებისამებრ გოჩამ მიიღო თავის თავზედ.

ამ ჩვეულებრივი მოლაპარაკებისა და გადაწყვეტილების შემდეგ, რომელშიაც ხალხის სურვილი და წადილი გამოითქმოდა, გოჩამ შუაკაცები მთიულეთს გაამგზავრა და ყრილობა კი დაითხოვა, რათა სამის დღის განმავლობაში მომზადებულიყვნენ, მოწყობილიყვნენ და ქუდზედ კაცი სიონის მინდორზედ გამოსულიყო, რადგანაც მტერს ამ ადგილებში უპირებდნენ გზის შეკვრას.

ხალხი დაიშალა და წავიდ-წამოვიდა, გოჩას და სოფლის მედროშეთა გარდა, რომელთაც უკანასკნელად უნდა ელოცათ და ხევის კეთილდღეობა შეევედრებინათ ღვთისთვის.

მომავალ ხალხში, სხვათა შორის, ონისეც ერია და ძალზედ გამალებული მოდიოდა თავის სოფლისკენ, სადაც დიდხნის უნახავს ძიძიასთან შეხვედრის ნეტარება მოელოდა.

ტოლ-სწორნი, რომელნიც ონისეს გარს შემოჰხვეოდნენ, არ უსვენებდნენ თუშებისა და ფშავლების ამბის გამოკითხვით. მაგრამ ონისე მხოლოდ ერთს საგონებელს წაეღო და ამისთვის უსიამოვნოდ და მოკლედ უპასუხებდა.

ისინი ჩამოვიდნენ იმ ადგილს, სადაც ხევის ქალი და რძალი სამების ქედს მოსდებიყო: შავხილსა, ხახამასა და ქუბსა ჰკრებდა.

— უყურე-ღა, ონისევ! ქალები ცხორსავით არ მოსდებიან ამ ველსა. — უთხრა ონისეს ვიღაცა მოხევემ და გაიშვირა ქალებისკენ ხელი. ონისემ მხოლოდ იმისთვის მიიხედა იქით, რომ თავიდგან მოეშორებინა თავისმომძულებელი მოსაუბრე, რომელიც უშლიდა თავის ფიქრებს დაჰკვირვებოდა და მთლად გულის მოძრაობას ჩაჰბრუნებოდა. მაგრამ, რაწამს მიიხედა, რაწამს თვალი გადაავლო იქაურობას, გული როგორღაც შეუთამაშდა. რამდენჯერმე გაიბრძოლა და შესდგა. ონისე შეჩერდა, გაფითრდა და შუბლზედ ხელი გადისვა.

— რა მოგივიდა? — ჰკითხა ამხანაგმა, რომელმაც პირისახეზედ ცვლილება შეატყო.

— არც რაი, არც რაი... — საჩქაროდ უპასუხა ონისემ და ბოლოს დაუმატა: — ჭაჭმა ბანდული გაგლიჯა და ფეხიც გამიჭრა.

ამ სიტყვებით კოჭლობით მივიდა ქვასთან, ჩამოჯდა და ფეხსაცმელის ხდა დაიწყო.

— მაი, მე გაგხდი, — მიუახლოვდა პირველი მოსაუბრე.

— არა მინდა-რა, შენაი ჭირაიმე, არა!.. მე თავად გავხდი, — უპასუხა ონისემ, რომელმაც აღარ იცოდა, რა საშუალება ეხმარა, რომ მარტო დარჩენილიყო.

— ბეჩაო ჩემო თაო, — დაიწყო ისევ უცნობმა, — რას მეხათრები, ბალღი ხომ არა ხარ?.. მაი, გაგხადო! — გაიშვირა ხელები.

— არ მინდა, მე თავადაც გავიხდი, — ვეღარ მოითმინა ონისემ და შეუტია, მაგრამ ჩქარა ისევ თავი შეიკავა და დამშვიდებით უთხრა:

— აგერ მზე გადიწვერა, ნუღარა გვიანობ... მე დაღალული ვარ და პატარას დავისვენებ.

მეორე მოხევემ შეხედა, აღარა უთხრა-რა, ჩამოიფხატა თვალებზედ ქუდი და გასწია.

ონისე კი ღორღიანებში გადავიდა და იქ ისე მიიმალა, რომ ჩამომვლელებს ვერ შეემჩნიათ, თუმცა თითონ იმათაც ხედავდა და მოხილე ქალებსაც, რომელთ შორის ძიძიაც იყო, უთვალთვალებდა.

სამებაში მყოფი ხალხი მალე ჩამოიკრიფა, რადგანაც ყველა შინ მიეშურებოდა, რომ დანიშნულის დროისთვის მომზადება მოესწრო და ზოზინობისთვის ამხანაგების სასაყვედურო არ გამხდარიყო.

ონისე იჯდა თავის საფარში და გულის ძგერით გასცქეროდა ქალებს, სადაც ხილსა ჰკრეფდნენ და თავისუფლად ერთმანერთს ელექსებოდნენ.

მარტო ძიძია განმარტოებულიყო ამ საერთო მხიარულებას და ცალკე გასული, ფერწასული და დაღონებული თავაუღებლივ ხილსა ჰკრეფდა.

შორიდგან რომ შეგეხედნათ ქალებისთვის, მაშინათვე იფიქრებდით, რომ ძიძია იმათ თაბუნს არ ეკუთნოდა, იმათთან საერთო არა ჰქონდა-რა და არც არაფერი აკავშირებდა მათთან. ონისე გულამღვრეული, გონებადაფანტვით შესცქეროდა მოხევის გოგოს და ჰგრძნობდა, რომ მისი ფიქრების მიზეზი ის იყო; უნდოდა დაეძახნა: აქა ვარ, აქ მოდი, მე ვარ შენი ტოლი, მხოლოდ მე შემიძლიან შენი გახარება, მაგრამ სიტყვა პირში უწყდებოდა, რადგანაც ძიძიას ამხანაგებისთვის არ უნდოდა

შეეტყობინებინა არც თავისი სიახლოე და არც თავისი გულის პასუხი. ის ერიდებოდა ძიძიას სახელის გატეხას, მოყივნებას ქვეყანაში.

ქალები თანდათან უახლოვდებოდნენ იმ ადგილს, სადაც ონისე იყო დამალული, და მათს მოახლოვებაზედ კი მოხევეს ცახცახი ეკიდებოდა. ისა ჰგრძნობდა, რომ ძიძიას მოახლოვებასთან ერთად რაღაც ძალა ემატება, რომელიც თანდათან მაგრად ჰკრავს და ჰბოჭავს მოხევის გულს, თანდათან მეტის სიმძლავრით და მედგრად იზიდავს თავისკენ.

ერთბაშად ქალები გაბრუნდნენ სრულიად სხვა მხრისკენ და ონისემ კი სიხარულით კინაღამ შეჰკივლა, რადგანაც დაინახა, რომ ძიძია დანარჩენს ამხანაგებს გამოშორდა და პირდაპირ მოხევისკენ წამოვიდა.

ონისეს ჭშენამ იქამდის მოუმატა, რომ გულმა ძალზედ დაგრუგი დაუწყო და განუწყვეტლივ სულსა სტაცებდა.

ძიძია გადმოვიდა ღორღებზედ, დადგა კალათა და ჩამოჯდა იქვე მოჩუხჩუხე წყაროსთან, რომელსაც მიაპყრო სევდიანი თვალები და დაფიქრდა.

ონისე მიიბრძოდა ქალისკენ, მაგრამ რაღაცა გრძნობა ძალას ართმევდა და გაუბედაობაში აგდებდა. ხანდისხან იმ მდგომარეობამდისაც კი მიდიოდა, რომ პირმოკუმულს სუნთქვაც კი ველარ გაებედა, რათა ჰაერის მცირედის მოძრაობითაც არის მისთვის მყუდროება არ დაერღვია და ნაზი ჭმნილება არ ღაეკრთო.

ძიძიამ ერთბაშად ამოიოხრა, მოერია თვალზედ ცრემლები და წყნარის ზუზუნით მღერა დაიწყო. მერე მარგალიტსავით გადმოეკიდა გრძელსა და შავს წამწამებზედ ცრემლი; იმას ბოჰყვა მეორე და ქალმა წყნარად ტირილი დაიწყო.

ონისემ სატანჯავს ველარ გაუძლო და ჩუმად მიუახლოვდა.

— ქალაუ, რაი გატირებს? — ნიავსავით ჩუმის ხმით ჩასჩურჩულა ონისემ, მაგრამ ეს ხმა იქამდის ძლიერად ეჩვენა ძიძიას, რომ მხოლოდ შემოხედვა მოასწრო და გაშეშდა. ძიძია იჯდა გაქვავებულსავით, შესცქეროდა ონისეს და მხოლოდ ტუჩების მოძრაობა უმტკიცებდა, რომ რიღაცის თქმა უნდოდა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა.

— მითხარ, ქალაუ, მითხარ... — დაიწყო ისევ ონისემ და

ძიძიას წინ ჩაიჩოქა, — რაისთვი მერიდები, ვანა შენი ხელის-მომკიდე არა ვარ?

ძიძია შეინძრა, მის ლოყებს სიცოცხლის ნიშანი დაეტყო, ელფერი შეუთამაშდა, თვალებმა ბრწყინვა დაუწყეს და გაოცებულს ტუჩებზედ სიხარულის ღიმილი დაეტყო. ძიძია კარგა ხანს იყო იმ მდგომარეობაში, როდესაც კაცს გაოცება სებას არ აძლევს თავისი გრძნობა გამოირკვიოს. ბოლოს წინ გამოიშვირა ხელები და წყნარად, მაგრამ გარკვევით, წარმოსთქვა:

— ონისე!.. საით მოხვედი?

ონისე თანდათან უახლოვდებოდა ქალსა, რადგანაც ნახევრად მიწოლილი ხელებზედ დაყრდომილიყო და ხელები კი ცახცახით თანდათან ქალს უახლოვდებოდხეხ. მოხევე შესცქეროდა ძიძიას აღგზნებულის თვალებით და აშკარადა სჩახდა, რომ ამდენი ხნის განშორებას მის გულში ტრფიალობის ცეცხლი არამც თუ ვერ გაექრო, არამედ უფრო გაეძლიერებინა და მისი გული სატრფოსთან შეყრის სურვილს უფრო გაეკაპასებინა, მისს მეცადინეობას ამაოდ ჩაევლო, რადგანაც მხოლოდ ერთი შესვედრა ძიძიასთან, ერთი თვალის მოკვრა საკმარისი იყო, რომ ყოველი ელფერი ხელახლად გადაევიწყებინა და აკანკალებულის ხმით და მრთოლვარე ტუჩებით მარტო ამ ქალის სახელი შერჩენოდა, თითქოს მისთვის ქვეყანაზედ ამის მეტი სიტყვა აღარ მოიძებნებოდა...

— ძიძიაუ, ძიძიაუ!.. — იმეორებდა ის შეათასედ და ხმა ისეთგვარად ტრიალებდა, ისეთგვარად გამოისმოდა, რომ მართლადაც თავის გრძნობის გამოსათქმელად უკეთესს ვეღარას მოიგონებდა.

ეს სახელი ონისესთვის მეტად ძვირფასი იყო, რომ მის თანაბარი სხვა სიტყვა კიდევ რამ ჰქონოდა, ან ისეთის ძალით წარმოთქმა შესძლებოდა. აშკარა იყო, რომ ძიძიაცა ჰგრძნობდა ამ სიტყვებს, რადგანაც გაკვირვება თანდათან შორდებოდა; მისი ნაზი სხეული ონისესკენ იხრებოდა და კეკლუცი სახე, რომელიც თანდათან მეტად ენთებოდა, მოხევეს უახლოვდებოდა.

გაიარა წუთმაც და ორი დაბნედილი ქმნილება, ერთმანერთის სუნთქვისაც კი ერთმანერთში გადამნერგავნი, მიუახლოვდა

და გაშმაგებულნი შესცქეროდა ერთმანეთს. სწორედ ამ დროს ცელქმა და მოუსვენარმა ნიავმა დაჰქროლა და ძიძიას მოგლიჯა თავშალი. ხშირი და გრუზი შავი დალალები გადმოცვივდნენ და ონისეს სახეს ციგლიგი დაუწყეს. ეს-ღა აკლდა, რომ ორთავეს უკანასკნელი ძალაც მიხდოდათ და მათი ტუჩები წუთზედ შეწებებულიყვნენ.

ვინ იცის, სადამდის გაგრძელდებოდა, სადაძდის გასტანდა მათი ტრფიალი, თუ მოახლოვებული ქალების ხმაურობას შეყვარებულნი თავდავიწყებიდამ არ გამოეყვანა.

ძიძიას მოაგონდა თავისი მოვალეობა, რომელიც ხალხის რწმუნებით ხელისმომკიდეს ანათესავებდა, და ამ ფიქრმა გამსჭვალა. წარბები შეეკრა, სახე დაეპრანჭა და მეტისმეტმა ტკივილმა, რომელიც გულსა და ღვიძლში უვლიდა, გააფითრა. ქალმა ხელისკვრით მოიშორა ონისე და ფეხზედ წამოიჭრა, გაბრუნდა და უკან მოუხედავად გაემართა ამხანაგებისკენ. ონისე კი იმავ ადგილს დარჩა გაწამებული და დაღონებული, რადგანაც ჯერ კიდევ ვერ გაეგო, რა მიზეზი იყო ძიძიას ისე წასვლა.

ძიძია შეუერთდა ქალებს, რომელთაც ჩამოიარეს ღორღიანი ადგილი, და ონისე კი გულის ძგერით უცქეროდა თავის სანატრელს, რომელსაც ქორწინების შემდეგ ტუჩებზედ პირველად გადაშლოდა ვარდი, თვალებში გაბრწყინვებოდა სიამოვნების ნაპერწკალი და ჯეირანსავით ყელმოღერებული კოხტად მიგოგავდა.

ონისე უყურებდა გულის ძგერით და ნებაუნებლივ გუნებაში კითხვა ებადებოდა: ასე თავი რად დაანება, რატომ არა უთხრა-რა, ან კიდევ შეხვდებოდა როდისმე მასთან ალერსი?

ქალები გასცდნენ და ონისეც წამოდგა ზეზედ. ის გაიზმორა, მედიდურად მიიხედ-მოიხედა და რაღაცა ძალი იგრძნო, რომელსაც თავის თავს დღემდის ვერ ამჩნევდა. ძიძიას უყვარდა—ქვეყანა თვისი ეგონა...

XVI

სადაც ეხლა საქართველოდგან ჩრდილოეთისკენ გზა მიდის, სოფ. კობის ქვეიდგან, რაკი სამტვეროს მინდორს ჩამოსცდება, გზა გრკალსავით იხრება და სამმხრივ ჩამოლესილს სიონის კლდეს სარტყელსავით ერტყმება. ზედ კლდის წვერზედ ამაყად ამართულა მაღალი კოშკი, რომელიც მედიდურად და მტრის გულის გასახეთქად სდარაჯობს იმ ხეობას. ეს ადგილი მბრძანებლობს იქ გასავლელს ადგილებზედ და მოსავლელი მხოლოდ ნაროვანის უღელტეხილიდგანა აქვს. შემკობილი მშვენიერის საძოვრით, წყალითა და ტყითა, ბუნებითვე ძნელს გასატეხს სიმაგრედ შექნილი, ხევისთვის წარსულს ცხოვრებაში ერთსა და უპირველეს სანუგეშო ადგილად ითვლებოდა. სიონის კლდის თავზედ გადაშლილიყო პატარა მინდორი და ზედ გაეშენებინათ ჭაჭით და ბასრი ქვით აგებული სახლები, რომელნიც ბუნებისგანვე გამაგრებულს ადგილს უფრო მეტად ამაგრებდნენ.

აი ეს ადგილი გახლდათ, სადაც ხევი იკრიფებოდა, როდ წარსულის დროს მტარვალის წადილს წინ გადასდგომოდა. და მისი მოსისხლე სურვილი შეემუსრა.

რადგანაც გოჩას ხევის დასაცველად მეტად ბევრი ხალხი სჭირდებოდა, ამისათვის ხევისბერმა გასცა განკარგულება, ვინც ხევში იარაღის ტარება შეეძლებოდა, ყველა ბრძოლის ველზედ გამოსულიყო, ხოლო რათა დედაკაცებიც უსაქმოდ არ დარჩენილიყვნენ ამ საერთო საქმეში, ვალად დაედოთ მთებიდგან, სადაც ცხვარი საწველავად ედგათ, ჯარისთვის ყველი, ერბო და რძე ეზიდათ. პური კი ყველას თავთავიანთ სახლიდგან უნდა მოსვლოდა.

ამგვარად მოზიდული ხორაგი ყველას თანასწორად ეძლეოდა, თუმცა მიმღებთ შორის ისეთნიც ერივნენ, რომელთაც საკუთარი ცხვარი სულაც არა ჰყვანდათ.

ტყვია საკმარისი ჩამოჰქონდათ ხდიდგან; გვარჯილას ჰკრეფავდნენ შიგვე სოფელს სიონში გამოქვაბულს კლდეებში, სადაც თეთრ მარილსავით მიწაზედ ეყარა, და გოგირდი კი წინადვე ჰქონდათ დამზადებული. იქვე სწვავდნენ არყის ხესაც და ამგვარად ამზადებდნენ თოფის წამალსა.

მოხევენი ამაგრებდნენ აგრეთვე სიონის წინ მდებარე სამტვეროს ტყესა და საზოგადოდ ისე ემზადებოდნენ, თუ ბედი უკუღმა დაუბრუნდებოდათ, ძვირად დაესვათ თავიანთი დამარცხება.

ერთს ბნელა ღამეს, როდესაც კაცი თვალთან მიტანილს თითსაც კი კერ გაარჩევდა, სამტვეროს თავში მოისმა წყნარი ხმაურობა რამდენიმე მომავალი კაცისა. ისინი მოუახლოვდნენ იმ ადგილს, სადაც ბილიკი ტყეში შედიოდა, მაგრამ ერთბაშად იძულებულნი იქმნენ შემდგარიყვნენ, რადგანაც გაიგონეს რამდენიმე კაცის ხმა.

— ვინაა? შესდგეს, თუ თავი ებრალება.

ამ სიტყვებთან ერთად მომავალთ იგრძნეს, რომ მათ მკერდებს თოფის ტუჩები შეეხოთ.

ისინი შესდგნენ.

— ვინა ხართ? — იკითხა ისევ იმ უცნობმა, რომელიც პირველში გამოელაპარაკა.

— ჩვენა: წმინდი-სამების ყმები, — იყო პასუხი.

— სად მიხვალთ?

— გოჩასთან.

— საიდგან მოდიხართ?

უშიშრად ეპასუხებოდა ერთი მომავალთაგანი, რომელმაც დაუმატა: — ონისე, შენ არა ხარ?

— ჰო, მე ვარ, — უპასუხა ონისემ და პირისახის ახლო მიტანით ჩააკვირდა უცნობს: — აჰუ, ველარ გიცან, თოლიკაუ!.. მოხვედ მშვიდობით.

— მშვიდობა მოგცა უფალმა, — უპასუხა ახლადმოსულმა და დაუმატა: — გოჩა სადაა, იმისი ნახვა გვესწრაფის.

— იარეთ, —მიუგო პასუხად ონისემ და გაუძღვა წინ.

თოლიკე იყო ერთი იმ შუაკაცთაგანი, რომელნიც მთიულებთან იყვნენ გაგზავნილნი და ყოველი მოხევე გულის თრთოლით მოელოდა მათს დაბრუნებას.

რასაკვირველია, ონისესაც გულით უნდოდა შეეტყო, რა პასუხი მისცეს მთიულებმა, მოუხდებოდათ დამოყვრებულ ხალხთან ჩხუბი, თუ მშვიდობიანად მოშორდებოდნენ ერთმანერთს, მაგრამ რომ საზოგადოებისთვის სასარგებლო საიდუ-

მლოება არ გამოაშკარავებულიყო, — კითხვას ვერც კი ბედავდა.

იმას არც კი შეუმჩნევია, რომ ამ გამოკითხვის სურვილი ჰქონდა და თავის სიმუნჯით ამ საგანზედ ამტკიცებდა, რაოდენად პატივსა სცემდა ხალხის სარგებლობას და რაოდენად ესმოდა სიჩუმის საჭიროება.

შუაკაცებიც ქვასავით გაჩუმებულები მისდევდნენ ონისეს და იმ წუთს რომ ასო-ასოდ დაეჭრათ, მინდობილს პასუხზედ საჭიროებამდე ხმას ვერ გააწყალებინებდნენ. იმათ კარგად ესმოდათ, რადგანაც საუკუნოებით შესჩვეოდნენ, ერთს მომეტებულს სიტყვას ხანდისხან რა ვნების მოტანა შეუძლიან.

ისინი მივიდნენ გოჩასთან, რომელიც მოსულთ დანახვისათანავე ფეხზედ წამოიჭრა, შეიყვანა შუაკაცები საწოლაში და დასხა უბრალო ფიცრის ტახტზედ, რომელიც ხევისბერს სარეცლადა ჰქონდა გაკეთებული.

ონისე, რომელიც იქვე იდგა, ელოდა გოჩას ბძანებას და მოხუცმაც დიდხანს არ დააგვიანა.

— ბალღო, ამათ მოჰყევ? — ჰკითხა მან ონისეს.

— ჰაი, ჰაი, — იყო პასუხი.

— კარგი, წადი, მიჰხედე შენს ამხანაგებს. ვინძლოთ, ფრთხილად იყვნეთ, — უთხრა გოჩამ და მბრძანებელის კილოთი დაუმატა: — არავინ გამოგეპაროსთ, თორემ თქვენის თოლების მეტი ვეღარა გიხსნით-რა.

— ბეჩაო ჩემო თაო! — ამაყად წამოიძახა ონისემ და მედიდურად დაუმატა: — ჭუდები არა გვხურავს?! მშვიდობით. — ოდნავ თავი დაუკრა და გამოვიდა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, — დალოცეს ახლად-მოსულებმა და მამამ კი თუმცა ხმა აღარ გასცა, მაგრამ ისეთის სიყვარულით გაადევნა თვალი, იმდენი სიამოვნება გამოიხატებოდა იმის სახეზედ შვილის პასუხის დროს, რომ ყველა აშკარად დაინახავდა, — მოხუცს მზე და მთვარე ონისეზედ ამოსდიოდა.

XVII

... ვიდრე მოხევენი სამზადისში იყვნენ და თავიანთ ადგილებს ამაგრებდნენ, ნუგზარ ერისთავიც არ იყო გულხელდაკრეფილი და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა თავისი ჯარი გაემრავლებინა, რათა აუარებელის რიცხვით ხევს თავს დასხმოდა და ერთბაშად ძლიერის შეტევით მოემტვრია მოხევეთა სიკერპე.

ის არ კმაყოფილდებოდა ოსების და მთიულების უმრავლესის ჯარით, იმას უნდოდა საქმეში ჩაერია ხანდოსხეველნი, ჭართლელნი და გუდამაყრელნი, რომლებთანაც კაცები გაეგზავნა და დღე-დღეზედ პასუხს მოელოდა. ამათ გარდა ის მოელოდა კიდევ ლეკებს, რომელთა დაპირებაც დიდად აიმედებდა.

ნუგზარ ამგვარს საქმეებში გამოცდილი იყო, კარგად იცნობდა ხევსა. თავს არ აიმედებდა, რომ საქმე სახუმროდ გათავებულიყო, ის ვაჟკაცი და შეუბრალებელი იყო, სისხლის ღვრა მისთვის დროს გასატარებელი მეჯლიში იყო, მაგრამ მას გოჩასი ეფიქრებოდა, რადგანაც ამის მოაზრების და გამოცდილების სახელიც მთელს მთაში გავარდნილი იყო.

ერთს დილით გარიჟრაჟზედ, მთიულების ურდოში შევიდა ტანად მოსული და კარგად ჩასხმული ვიღაცა წვერიანი კაცი. იმის ჯაჭვის პერანგი, თვალებით და მძიმედ ოქროთი შეჭედილი ხმალი, ოქროთივე ნაჭედი ჩაჩქანი ამტკიცებდა, რომ ის უბრალო მთიულებს არ ეკუთვნოდა და რომელიმე გამოჩენილი გვარისა უნდა ყოფილიყო. იმის ტლანქის პირისახის ნაკვთები, სქელი და რაოდენადმე გადმობრუნებული ტუჩები, მსხვილი მოგრძელო ცხვირი, განიერის ნესტოებით და პატარა, ჭუთუთოებ შეშუპებული თვალები ამტკიცებდნენ მის შეუბრალებლობას და დაუდგრომელს მხნე ხასიათს. ხშირი და გაერთებული შავი წარბები ნაოჭად შეკრულს შუბლთან ერთად უფრო მომეტებულს სიმკაცრის ბეჭედს ასვამდნენ იმის ისეც უსიამოვნო სახეს და რამდენიმე ხაზი, რომელიც თვალის კილოებიდგან სხვადასხვა მხარეს შუქსავით იბნეოდნენ, აშკარად გიჩვენებდნენ, რომ ცხოვრებაში მოთმინების მიმყოლი არ უნდა ყოფილიყო. იმის მისვლასთან ერთად მთიულების

ურდო შეიძრა და უფროსი კაცები მისალმებით მიეგებნენ.

ხალხი მისვლის უმალ ქედს უხდიდა და მდაბლად თავის-დაკვრით ეუბნებოდა:

— ბატონს ნუგზარს გაუმარჯოს, ბატონს ნუგზარს ვახლავართ! — და ისიც სიამპარტავნით და მედიდურად ოდნავ თავის მოხრით სალამის ღირსად ძლივსა ხდიდა.

ნუგზარ მივიდა იმ ადგილს, სადაც ურდოს შუაგულში ცეცხლის პირას ნაბადი იყო დაგებული და ზედ მოიკეცა. მთიულთა ჯარის უფროსნი გარს შორიახლო შემოეხვივნენ.

— დასხედით, სიტყვა მაქვს, — მოკლედ, მაგრამ მბრძანებელის კილოთი და ბოხის ხმით დაიწყო ნუგზარმა.

მთიულებმა მოიკეცეს ბალახიანს ველზედ და მოთმინებით ელოდნენ, რას ეტყოდა იმ ხანებში ქართლ'ში ნათესავების შემწეობით გამძლავრებული ერისთავი.

— ხალხო! — დაიძახა ნუგზარმა და ხმაში მრისხანება დაეტყო, — გუდამაყრელებსა, ხანდოსხეველებსა და ჭართლელებს უარი შემოუთვლიათ ჩვენს დახმარებაზედ, და ვფიცავ ანანურის ღვთისმშობელს, რომ მკაცრად გადავუხდი მაგ უარისთვის, გავუმწარებ სიცოცხლეს და მზეს დავუბნელებ... ვეცდები, რომ მათ სოფლებში იმდენი ყვავილი არ გაწითლებულიყოს, რამდენსაც მათი სისხლით შევღებავ, იმდენი ყორანი არ მოიპოვებოდეს, რამდენსაც შავად შევმოსავ... იმათ მოთავეებს ჩემის ხელით ამოვგლეჯ გულებს, სიამოვნებით გამოვწურავ სისხლს და ჩემი გული მაშინ დამშვიდდება, როდესაც ხელი იგრძნობს მათს უკანასკნელს ფართხალს...

აქ ნუგზარი შესდგა რაოდენსამე წამს. მისი თვალები ბოროტების ცეცხლით აინთნენ და ჩასისხლიანდნენ. მსმენელთ შორის ბევრნი ისეთნი იყვნენ, რომელნიც პირზედ ღიმილით სიკვდილს ათასჯერ პირმოცინარნი შეჰგებებოდნენ და განუწყვეტლივ ბრძოლაში გული კაჟად გადაჰქცეოდათ, მაგრამ იმათაც კი ვეღარ შეიმაგრეს თავი და ნუგზარის სიტყვებზედ რაღაცა აღშფოთებამ უსიამოვნო ჟრიანტელად გაურბინა სხეულში. ხალხში სრული სიჩუმე იყო, ყველას სული გაენაბა.

— მაგრამ ეგ შემდეგისაა!.. მოხევეებისთვის ჩვენცა ვკმარვართ... მე არ მინდოდა ბევრი ბრძოლა, ვფიქრობდი ერთბაშად გამესრისა ისინი, მაგრამ არა უშავს-რა... ხმლის თითო

მოქნევის მაგიერ ოროლჯერ მოვიქნიოთ და ისევ ის იქნება... ნუღარ ვიგვიანებთ, წავიდეთ დღესვე!

ნუგზარ, რომელიც თანაგრძნობის ყიჟინს მოელოდა, ერთბაშად შესდგა; ხალხში სიჩუმე ოდნავის შერხევითაც არ დარღვეულა. ნუგზარმა შეხედა იმათ და სახეს სიბრაზის ალმურმა გადაჰკრა.

— ხალხო, ეს რა ამბავია? — წარმოსთქვა იმან ცუდად დაფარულის თავშემაგრებით.

ამაზედაც სრული სიჩუმე იყო პასუხად. ნუგზარმა ველარ მოითმინა და მრისხანედ წამოიძახა:

— აქაც ღალატია თუ შიში?!.. ლაჩარო, დიაცებო... ვის გაბედავს ჩემს წინ უარს?! ვინ არ გამომყვება? — ნუგზარ გადგა განზედ და კრებას ისეთ რიგად დაუწყო ყურება, თითქოს თვალებით შეჭმას უპირებდა.

მთიულთა მოთავეთ შორის გამოვიდა ერთი და პირდაპირ ნუგზარს დაუდგა.

— მე, შენი კვნესა-მე!.. მე არ გამოგყვები.

ამ სიტყვებზედ ნუგზარმა თოფის წამალსავით იფეთქა, გაივლო ხმალს ხელი, მაგრამ თავი ისევ შეიკავა.

— შენა?.. შენ ამბობ მაგას?.. მაგრამ მართალი ხარ... შენი კაცობა ვის გაუგონია, შენი საქმე მანდილოსნებში ყოფნაა... წადი შინ, მოუჯექ დედაკაცებს, ბრძოლის ველზედ შენ რა ხელი გაქვს?.. შენს მაგიერ შენი ჯარი მოთავედ სხვას ამოარჩევს და, უეჭველია, ის შენზედ გულადიც იქნება.

მთიული, რომელიც მოთმინებით ელოდა ნუგზარის სიტყვების გათავებას, ერთბაშად გაიმართა წელში და მხოლოდ ხმის მცირედს კანკალზედ შეატყობდით, რომ საწყენი სიტყვები გულამდის ჩასწდომოდა.

— ჩვენი თავი, ნუგზარაუ, მეფემ შენ ჩაგაბარა... შენი სახელი დღეს მეფის სახელია და იცი, რომ იმის სახელი გიფარავს, მთიული ქართველთ მეფის წინ ხელს ვერ გასძრავს... რად მლანძღავ?.. ჩვენგან არც ერთი არ წამოვა, არც ვინ არ მოგექომაგება... რაი გვაქვს გასაყოფი მოხევეებთან?.. არა, ხალხო? — მიუბრუნდა მთიული დანარჩენებს.

— მართალია, მართალი, ლომისის მადლმა! — გრგვინვასავით გაირბინა ხალხის ხმამ. ამის ნახვაზედ ნუგზარი რაოდე-

ნადმე შეკრთა და აირია, რადგანაც ამგვარად საქმის დატრიალებას არ მოელოდა, მაგრამ, როგორც გამოცდილმა კაცმა, თავი მალე შეიკავა და უფრო დაწყნარებით ჰკითხა:

— მაშ სიტყვა რად მომეცით, რადა მპირდებოდით?

— შენ გვითხარ, რომ პირიქითელს ოსეთზედ უნდა გავილაშქროთო, გვითხარ, რომ ჩვენს მეფეს ეწინააღმდეგებიანო, მოგვატყუე, რომ მოხევეებს ოსების მხარე უჭირავსთო და იმად წამოგყევით.

— მართალი არის... მოხევეებს ოსების მხარე უჭირავსთ, უნდა გადავახდევინოთ.

— ტყუილია, ტყუილი! — ერთხმად იგრიალა ხალხმა.

ნუგზარ სიბრაზით ტუჩებს იკვნეტავდა და გულით უნდოდა შეეტყო, ვინ შეატყობინა მთიულებს ეს ამბავი.

— ვინ გითხრათ, რომ ტყუილია? — ერთბაშად წამოიძახა ნუგზარმა, რომელიც იმედობდა, რომ მოღალატის სახელს გაიგონებდა.

— თავად გვითხრეს, თავად! — მოისმა რამდენიმე კაცის ხმა.

— და თქვენც დაუჯერეთ?! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — ბოროტად გაიხარხარა ნუგზარმა.

— რად არ უნდა დაგვეჯერებინა?

— იმიტომ, რომ თქვენი შეშინებიათ და უნდათ თავიდგან მოგიშორონ.

— ტყუილია, ტყუილი! — განიმეორა ხალხმა საერთოდ.

ნუგზარ მთლად გალურჯდა სიბრაზისგან, რადგანაც ამგვარს პასუხს ის დაჩვეული არ იყო. იმ წუთში იმას რომ შესძლებოდა, იქავ ყველას გასრესდა, გაანადგურებდა, მტვრად აქცევდა და ქვეყანაზედ გაჰფანტავდა, მაგრამ ისეთს მდგომარეობაში იყო, რომ ნებაუნებლიედ თავი უნდა შეეკავებინა.

— მაშ იმათი სიტყვა გჯერათ? — იკითხა ნუგზარმა.

— გვჯერა, ლომისის მადლმა! — მისცა რამდენიმე კაცმა პასუხი, — გვჯერა იმდენად, რომ მოხევის კაცები იყვნენ, შემოგვფიცეს და ჭდე დასდეს... ჭდეს საით ელალატების! არა, ხალხო?

— არ ელალატების, არა!.. წავიდეთ, დავბრუნდეთ შინა! —

ყვიროდნენ მთიულები, რომელნიც აიშალნენ, აირივნენ და თავიანთ ბინას ხელი წამოავლეს.

კარგა ხანს გრძელდებოდა ჟღავილ-ჟღუილი და ჩოჩქოლი, რომელიც მხოლოდ მაშინ შესწყდა, როდესაც მთიულები პირველს ბეგობას გადაეფარნენ. დაცარიელებულს მინდორზედ მარტო ერთი კაცი-ღა დარჩა. იმისი დაღვრემილი სახე ღრმა ფიქრს წაეღო და მთლად გაფითრებულიყო.

კარგა ხანმა გაიარა, რომ ეს კაცი ასე გაქვავებული იდგა, თითქოს განძრევის თავიც აღარა ჰქონდა. მერე ერთბაშად აიქნია თავი, დააღრჭიალა კბილები და მუქარით წამოიძახა: — თქვენი ფეხი დამკარით, თუ დღევანდელი დღისთვის არ გადაგიხადეთ!

XVIII

თრუსოს ხეობის გამოსასვლელში, სადაც თერგი ვიწრო ხეობიდგან თავს აღწევს და იშლება კობის გადაჭიმულს ვაკეზედ, ოსების უკანასკნელს სოფელს ოქროყანასთან, საკმაოდ ხალხი მოგროვებულიყო და მხიარულის სიმღერით დროს ატარებდა. თუმცა ეს მხიარულება და განუწყვეტელი ყიჟინა ამტკიცებდა, რომ შეკრებილი ხალხი რაღაცა სიამოვნებაში იყო, მაგრამ აშკარად ეტყობოდა, რომ ისინი არც რომელსამე დღეობას შეეყარა, რადგანაც არც ერთი ქალი არ მოჩანდა მათ შორის, და არც რომელსამე სახალხო დროს გატარებას; ყველანი თავიდგან ფეხამდის შეჭურვილნი იყვნენ და ურიცხვი ბარგაკიდებული ცხენები ჭიხვინით ტოტებსა სცემდნენ მიწას და აქეთ-იქით მოუთმენლად მიიზიდებოდნენ.

ხალხი მოძრაობდა და რაღაცა მღელვარებაში იყო, ეტყობოდათ, რომ აქ დაბინავებას არ აპირობდნენ და მალე გზად უნდა გამართულიყვნენ.

ესენი ამ ლხინში იყვნენ, როდესაც თრუსოს ხეობის ხვეულს ბილიკზედ კორიანტელი ავარდა და მომღერლების ყურადღება მიიქცია.

ყველანი გაჩუმდნენ, გაიშალნენ და იმ ადგილს დაუწყეს ყურება, საიდგანაც მოჩანდა მტვერი. მტვერი თითქოს მოძრა-

ობდა, ადგილს იცვლიდა და შეკრებილს ხალხს თანდათან უახლოვდებოდა.

აშკარა იყო, რომ რამდენიმე მხედარი ცხენებს მოაჭენებდა, მაგრამ ცხენების ფეხით ავარდნილი მტვერი და გზის ნაპირას მყოფი ქვები მაყურებელთ უშლიდა მომავალნი დაენახათ. ცოტა ხანმაც ამ მდგომარეობაში გაიარა და ერთს ჩამოლესილს კლდის ნაპირზედ, ერთბაშად, თითქოს მიწიდგან ამოიზარდნენო, გამოჩნდა რამდენიმე ცხენოსანი. ამ ადგილს ბილიკი ისე ვიწრო იყო, რომ გეჩვენებოდათ, თითქოს მომავალნი კლდიდგან ცხენებს გადმოხტომას უპირებენო; ისე ჰქონდა კლდეს ცხვირი წამოწვდილი, რომ მომავალთა სურათი ცის ტატნობზედ იხატებოდა, მედიდურს და გულის შემტაცებს ოცნებად მოგეჩვენებოდა და გასურვებდათ მათთვის თვალი არ მოგეშორებინათ, მაგრამ სწრაფად გამოჩენილები სწრაფადვე ჩაიმალნენ ამაღლებულს ქედის უკან, ისე, თითქოს წუთზედ ამოჩენილნი წუთზედვე მიწამ ჩანთქაო.

თუმცა ამ სურათის ცვლილება წუთზედ მოხდა, მაგრამ შეყრილის ხალხისათვის ეს მცირე ხანიც საკმარისი იყო, რომ მგზავრები ეცნო.

— ნუგზარაი, ნუგზარაი მოდის! — დაიძახა სიხარულით ხალხმა და სიამოვნების ღიმილმა გაურბინა პირისახეზედ.

დიაღ, ეს გახლდათ ნუგზარი, რომელიც მოაჭენებდა თავის ერთგულის ოსების ურდოსკენ, სადაც პირობისამებრ ისინი უნდა მოგროვილიყვნენ, აქ შეერთებოდნენ მთიულებს და საერთო ძალით ხევზედ გალაშქრებულიყვნენ.

სიტყვა არ უნდა, რომ იმათ გულით უნდოდათ გადახდევინება იმ ხალხისა, რომელიც მათსა და ქისტეთს შუა სოლსავით შეჭედილიყო და დამეზობლებულ ხალხთათვის საშუალება მოესპო გადაუხდევინებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებს დასცემოდა.

ოსებს უნდოდათ გასრესა ამ ხალხისა, რადგანაც, შუა შეჭრილი, ყოველ მხრივ მტერშემორტყმული თავშეუწყვეტლივ იცავდა საქართველოს ალაყაფის კარს და მარჯვნივ თუ მარცხნივ მამულის სადიდებლად ბასრს გორდას იქნევდა.

რაღა თქმა უნდა, რომ ნუგზარის მიშველება იმათ წადილს ეთანხმებოდა და ამ ბრძოლის შემდეგ ისინი იმედობდნენ,

რომ ფართო ასპარეზი დარჩებოდათ თავისუფალის ავაზაკობისათვის.

ოსებს ძალიან გაეხარდათ ნუგზარის დანახვა, მაგრამ მისგან ისე ცოტა ხალხით მოსვლა მაყურებლებს მეტად აკვირვებდა, რადგანაც ნუგზართან ერთად მთიულებსაც მოელოდნენ: ოსებმა სრულიად არა იცოდნენ-რა მთიულების შინ დაბრუნებისა, რადგანაც უკანასკნელები პირდაპირ ლომისის მთაზედ გადასულიყვნენ და ოქროყანას მოგროვილ ოსებს ველარ შესვდებოდნენ.

— მარტო რად მოდის? საკვირველია, ღვთის მადლმა! — იძახდნენ ოსები, მაგრამ მალე მშვიდდებოდნენ ზოგიერთების პასუხით:

— ალბათ, ჯარი უკან მოდის და ეგ კი თავდარიგის მისაცემად წინ წამოსულა.

ამ სიტყვების შემდეგ ოსების ურდოდგან განცალკევდა რამდენიმე გამორჩეული მხედარი, ამხედრდა და თავსბრუ დამხვევის სისწრაფით ნუგზარის მისაგებებლად გაჰქუსლა.

ყველანი მიაჭენებდნენ სიჩქარით, თოფის სროლითა და ყიჟინით და თანდათან უახლოვდებოდნენ ერისთავს, რომელსაც ამხანაგებთან ერთად მთის ბილიკებიდგან ჩამოსვლა მოესწრო და გათქვირებულს ცხენს, მთლად ოფლში გაჭანებულს, მოაქროლებდა.

ოსები და ნუგზარ გაეჭანნენ ერთმანერთისკენ და ცხენებს ჯილავი მხოლოდ მაშინ მოსწიეს, როდესაც მათი შუბლები თითქმის ერთმანერთს შეეხო. პირდაღრენილი ცხენები უკან მოაწყდნენ, უკანა ფეხებით ჩაიჩოქეს და გაქვავებულებსავით შესდგნენ.

— და ფანდაგ რასტ! (გზა მშვიდობისათ) — მიესალმა ნუგზარ და პასუხად მიიღო:

— და ყუტა რასტ!

— სხვა?!. როგორა ხართ, რასა იქთ?

— კარგად ვართ, ღვთისა და შენის წყალობით.

— ჯარი მოგროვდა?

— მოგროვდა; ყველანი იქ არიან, — უპასუხა ერთმა, რომელიც მოსულს ოსებში თაობდა.

— ხომ არავინ დაჰკლებია? — მზრუნველობით კითხულო-

ბდა ნუგზარ და ცდილობდა მხიარულად სჩვენებოდა, თუმცა შუბლი შესჭმუხნოდა და პირისახეზედ მწარე დუმილის ბეჭედი დასტყობოდა.

— თუ კი შენ დაუძახებ, უარს ვინ იტყვის? — მოუქასურა ოსმა და დაუმატა: — ყველანი აქ არიან, შენი ჭირიმე, ყველას შენი სამსახურისთვის თავი გადაუდვია.

ნუგზარს სიამოვნების ნაპერწკალმა გაურბინა გულში, სახე რაოდენადმე გაუღიმდა, მაგრამ მაშინვე ისევ გაფითრდა, შუბლი შეიჭმუხნა.

— მადლობელი ვარ, მადლობელი, ჩემო ნავრუზ!

— აბა, რა მადლობას მიბრძანებ, შენი ჭირიმე, შენი სამსახურის ღირსიც კი არა ვართ, არა, ჩემა მზემ!.. არა, ბიჭებო? — მიუბრუნდა ოსებს.

— ჰაი, ჰაი, რო აგრეა, — დაუმოწმეს სხვებმა.

ნუგზარ გაჩუმდა, რადგანაც მისი გონება მეტად სატანჯავს საგანს დააკვირდა, მისი მდგომარეობა ადვილი არ იყო, რადგანაც ოსების გულადობა მხოლოდ მთიულების დაამხანაგების გამო წარმოსდგებოდა და კარგად იცოდა, რომ, თუ იმათ მოშორებას თრუსოელები გაიგებდნენ, მათი დაჭერაც ძნელი-და იქნებოდა.

მაშ როგორ მოქცეულიყო, რომ ოსები არ შემოჰფანტოდა და მათზედ გავლენა არ დაეკარგა, როდესაც ეს უკანასკნელები ჭეშმარიტებას შეიტყობდნენ? ეთქვა ყველაფერი პირდაპირ, თუ დროსთვის მოეცადნა?

აი ეს იყო ის მწარე ფიქრები, რომელთ გადაწყვეტასაც ნუგზარის მთელი არსება შეეპყრო და, ყოველთვის ამაყად მოსაუბრისთვის, დღეს პირში სიტყვა გაეწყვიტა.

— მართლა, შენი ჭირიმე, სულ არ დამავიწყდა! — დაიწყო ნავრუზამ.

— რა ამბავია? — მოკლედ იკითხა ნუგზარმა.

— ლეკებში გაგზავნილი კაციც დაბრუნდა!

— დაბრუნდა?! სად არის? მიჩვენე ჩქარა! — მოუთმენლად წამოიძახა ნუგზარმა და თვალები გაუბრწყინდა.

— იქ, ბინაზე არის.

— რა ამბავი მოიტანა?.. მითხარ, მითხარ ჩქარა!..

— ლეკებიც ამაღამ გადმოვლენო,—უთხრა ოსმა და ნუგზარ სიხარულით აინთო.

— მართალს ამბობენ, მართალს?! — დაფანტვით მივარდა ოსს, მაგრამ საჩქაროდ თავი შეიკავა, გასწორდა, გაიმართა ცხენზედ და კბილების ღრჭიალით წარმოსთქვა: — ახლა კი მე ვიცი.

ამ წუთის შემდეგ ნუგზარ ისევ გამოიცვალა და თუ წეღან რაღაცა მოლბობილი და თავმდაბლობის კილო გამოითქმოდა მის საუბარში, ეხლა სრული მბრძანებელი შეიქნა.

— მაშ გავწიოთ ბინაში და ხვალ მოხევეთა მზე დავაბნელოთ! — ეს წარმოსთქვა, შეიბერტყა, გასწორდა და გაათამაშა ცხენი მათრახის შემოკვრით. წუთს შემდეგ ისინი ოქროყანის ბანაკში გაჩნდნენ და ნუგზარ მბრძანებლობდა სრულის თავის მედიდურობით.

XIX

ნუგზარის მოძრაობა მოხევეთათვის ფარულად არა რჩებოდა, რადგანაც ერთის მხრით ოსებს უთვალთვალებდნენ თავგამოდებული მოხევეები, რომელნიც უშიშრად ხან საიდგან მოექცეოდნენ მტრის ჯარს და ხან საიდგან, დაწვრილებით ტყობულობდნენ მათს მდგომარეობას და მოძრაობას, და ყოველ დღევე ხევისბერს გოჩას უამბობდნენ; მეორეს მხრით ესის ტანტალს დაჩვეული ოსები საიდუმლოს ვერ ჰფარავდნენ და ყოველ ამბავს სიხარულით თითო კანძ მატყლად ჰყიდდნენ.

ერთ საღამოს მზე ჯერ არ ჩასულიყო, როდესაც გოჩამ შემოიკრიბა თავისი ხალხი და დამწყალობების შემდეგ დაიძახა:

— ხალხო და ჯამაათო! ნუგზარისგან მთიულების გაშორებამ ომი თავიდგან არ აგვაცილა... მათ მაგიერ ნუგზარს ლეკის ჯარი მოსვლია... რაისთვი დაგიმალოთ, ბრძოლა გაცხარებული იქნების. ბევრის დედაი ჩაიცვამს შავსა, ბევრი მშობელი გულში ვეღარ ჩაიკრავს თავის ნაშობს... იმად, რომ მტერი ძლიერია და ნუგზარ კი სისხლით გაუმაძღარი... იცოდეთ, სახუმრო საქმე არაა, მაგრამ რამდენადაც ბრძოლა გაცხარდების,

რამდენადაც საქმე გაჭირდების, იმდენადაც გამარჯვებას მეტი ფასი ექნების... რაი ვუყოთ, რომ ერთზედ ათი მოვა?! ასიც რომ მოვიდეს, მაინც გამარჯვება ჩვენი იქნების, იმად რომ, ჩვენ ღმერთთანაც და კაცთანაც მართალი ვართ... ჩვენ გვიცვივიან სახლში, ჩვენ გვიპირებენ აკლებას, ჩვენს დედაკაცებს გაწბილებას და ამგვარი საქმის საწინააღმდეგოდ სიკვდილი, ღვთის მადლმა, სანეტაროც არის!.. ვინა ხართ ბედნიერი, ვის გიცემსთ ქუდოსანთ გული, ვის გერჩით მკლავი?.. ყველა ერთისთვის და ერთი ყველასთვის!

— დედამც შეურთამს ცოლადა, ვინც კარს მომდგარს მტერს გამოექცეს, ვინც სიკვდილს შეუშინდეს... მოღალატეს რისხავდეს სამება!

— ო-ომენ! — იყო საერთო გრგვინვასავით პასუხი, რომელიც ახლო მყოფმა მთებმა ბანსავით რამდენჯერმე გაიმეორეს. ხალხი აღელდა და აიშალა, გოჩას თვალებს კი ცრემლი მოერია და გულმა ველარ გაუძლო, რომ შურით არ წამოეძახნა:

— ნეტავი თქვენ, რომ ყმაწვილები ხართ, ჯანი და ღონე გერჩისთ. ნეტავი თქვენ, რომ იბრძოლებთ. ნეტავი იმას, ვინც ამგვარს საქმეში მოკვდების, სასუფევლის გზა გაკაფული აქვს.

ამ სიტყვების შემდეგ ყველანი შემოჯგუფდნენ საყდრის გალავნის კედელთან, სადაც საარაყე ქვაბებში საკლავები იხარშებოდა, რათა საერთო პურის ჭამის დროს ერთმანერთს გამოსალმებოდნენ და თავიანთ ადგილებზედ გასულნი თავს მოვალეობას შესდგომოდნენ: ვინ იცის, ხვალ ვისი მზე დაბნელდებოდა, ვისი თვალი დაიხუჭებოდა სამუდამოდ, ვისი დედა ატირდებოდა მდუღარე ცრემლით.

XX

ბინდბუნდი იყო; დღე წყნარადა ჰქრებოდა. მზის უკანასკნელი შუქები სევდიანად ესალმებოდნენ მთის წვერებს. გაგულისებული ნისლი უშიშრად ამოდიოდა დედამიწიდგან და ოხშივარსავით ეფინებოდა მწვანე მინდორს. სოფლის სიონს სამრეკლოდან ღამის გუშაგებს თავთავიანთ ადგილებზედ გას-

ვლა ანიშნეს. ზარის ხმა დანოტიოებულს, გაჟღენთილს მძიმე ჰაერში როგორღაც მწუხარედ ჟღრიალებდა. მოხევეთა გუშაგებს რაღაცა განსაკუთრებული მოუსვენებლობა ეტყობოდათ. ყველას პირისახეზედ მზრუნველობის ბეჭედი დასტყობოდა; გაფრთხილებულნი სმენად და ჭვრეტად გადაქცეულიყვნენ; მცირედი მოძრაობა არ გამოეპარებოდათ და, თუ თვალით ვერ დაინახავდნენ, მოძრაობის ხმას ყურს მაინც არის მოჰკრავდნენ. ასეთია მდგომარეობა კაცისა, როდესაც იგი აღელვებულია, მოელის რასმე. მოხევეთაც გამოეცხადათ, რომ მომავალს ღამეს ნუგზარ უნდა დასცემოდა, და ყველანი ემზადებოდნენ გაუფრთხილებლობით არა წაეგოთ-რა და სხვა კი ღმერთზედ და შემთხვევაზედ მიეგდოთ.

ამ საერთო მზადების დროს გოჩას საწოლის კარები ვიღამაც შეაღო და იქავ კარებში შეჩერდა. მოხუცი ქუდმოხდილი და დაჩოქილი პატარა ჯვარცმის წინ იდგა და მხურვალედ ლოცულობდა. მას მაღლა აეღო თავი და თვალები ზეცისკენ მიეპყრო. შეხურებულ გულს სისხლის მოძრაობა აეჩქარებინა. მუდამ სწორედ დალაგებული თმა, ეხლა ძარღვთა ჟრიამულს აეშალა. გადაჭიმულს ყელზედ გამაგრებული და სისხლით გაჭედილი ნეშტვები ხნიერებისაგან მოღონჭილს კანქვეშ ამობურცებოდა. ის ხმას არ იღებდა, მაგრამ სახის მოძრაობაზედ აშკარად ეტყობოდა, რომ გრძნობის ალს მთლად მოებურა მისი არსება, შემორტყმოდა გულსა და სისხლს უჩუხჩუხებდა.

შემოსულმა ვერ გაბედა ამ წმიდა მყუდროების დარღვევა, წყნარ-წყნარად თითონაც დაემორჩილა ამ სურათის ძალას, ჯერ გახევდა, მერე წყნარ-წყნარადვე თავი მოეხარა, მუხლები ჩაეკეცა და დაჩოქილი დარჩა. მან იგრძნო, რომ მოხუცის ვედრებაში მისი სახელიც ისმოდა; კიდევ ერთი წუთიც და, აშკარად გაიგონა: „ღმერთო, პირნათლად ამყოფე ჩემი ონისე!“ და ამ სიტყვებზედ კარებთან მყოფი შეჰკრთა. შეჰკრთა მოხუციც მის მოძრაობაზედ; მოიხედა და დასუსტებული წყნარად წამოდგა. მივიდა შვილთან ლასლასით, დაადო თავზედ ხელი და აღელვებულმა მთრთოლარეს ხმით განიმეორა:

— ღმერთო, ჩემი შვილი პირნათლად ატარე!.. ადრევე მოუსპე სიცოცხლე, სანამ გაწბილდებოდეს, ქუდი მოეხდებოდეს!..

ამ სიტყვებზედ მოხუცს გამხდარ ღაწვებზე გადმოედინა მდუღარე ცრემლები, რომელნიც საჩქაროდ მოიწმინდა და გაფრთხილებით აქეთ-იქით მიიხედა, თითქოს ეშინოდა, რომ არავის დაენახა. ონისეს გულმა ვეღარ გაუძლო, მოხუცის მოჩვილების ხილვით თითონაც მოლბა და თვალები წვიმაში მზის მსგავსად გაუბრწყინდა. იმან იგრძნო, რა რიგად უყვარდა მამას, რა უნდა ეგრძნო მის გულს, როდესაც შვილი განსაცდელში იქნებოდა და ეს განსაცდელი კი იქავ ახლოს—ზურგს უკან ედგა; რამდენიმე წუთის შემდეგ მთვარის შუქზედ მახვილი გაკრიალდებოდა და ჰაერში სტვენით და ზუზუნით წამოსული, ვინ იცის, ვის პირზედ ღიმილს გააცივებდა, ვის გრძნობის მოჩუხჩუხე წყაროს ყინვასავით მოასწორებდა.

— მამაისი, რაი გატირებს?

— ვინ იცის, რაი შეგემთხვევა, — ჩურჩულით წარმოსთქვა მოხუცმა.

— რაი უნდა შემემთხვას? — გაუმაგრა გული ონისემ, — ღმერთი მოწყალეა!.. მტერს გავიბრუნებთ და თავად მშვიდობიანად დავრჩებით.

— ბძანოს უფალმა, — წარმოსთქვა მოხუცმა და ხელები აუთრთოლდა, — წადი, ონისე, დროა... ღმერთიმც იქნების შენი მფარველი... თუ სიკვდილი შეგემთხვა, ისიც უფლის ნებაა... ერთხელ ნაშობი ერთხელ მოკვდების!.. მაგრამ ვაჟკაცად კი მოკვდი... ისე მოკვდი, რომ ხევს შენი დამარხვა არ ეთაკილებოდეს.

— მაგას ნახავ!

— არ დაივიწყო, რომ სადაც შენი მამა-პაპა გაჩენილა და დამარხულა, სადაც მათი ძვლებია ჩაფლული, იმას გედავებიან და არ დაანებო... მათაც ცოტა ჭირი არ უნახავთ თავიანთ მიწა-წყლის დაცვის დროს, მათის სისხლის ნაკადულს მიწა ქვესკნელამდის გაუჟვენთავს... ახლა თქვენ იცით, რასაც იქთ...

მოხუცი შესდგა, დააცქერდა შვილსა, რამდენჯერმე სცადა კიდევ რიღაცის თქმა, მაგრამ სიტყვა გაუწყდა და მხოლოდ ცოტა ხანს შემდეგ ხელი გაუქნია და ძლივს-ღა წარმოსთქვა:

— წადი, კარგია...

ონისე სწრაფად გამოვიდა და გაემართა დანიშნულს ადგილისკენ, მოხუცი კი იმავ ადგილიდგან თვალს ადევნებდა იმ

დრომდის, ვიდრე შვილი სახლის კედლებს არ მოეფარებოდა.

მერე ოდნავ ამოიხვნეშა, გადისვა შეჭმუხვნილს შუბლზედ ხელი და წარმოსთქვა:

— ახლა ჯარს უნდა მივხედო.

XXI

ონისე გასვლის უმალ გაემართა ნაროვანისაკენ, სადაც მთის ბილიკებზედ უნდა გასულიყო და თავისი გუნდის უფროსის ბრძანებით მტერზედ თვალი დაეჭირა და მათი მოახლოვება დროზედ შეეტყობინებინა.

ის მიდიოდა ჩვეულებრივის სიფრთხილით, როდესაც მის წინ რაოდენიმე მანძილზედ ქვა ვიღამაც შეანძრია. ონისე ვეფხვსავით გადახტა გზას იქით, ამოესაფრა ქვასა და ღამის ბნელში დამრღვევს მოელოდა.

კარგა ხანმა გაიარა, სანამ ხვეულს ბილიკზედ გამოჩნდებოდა ვინმე, მაგრამ ფეხის ხმა, რომელიც თანდათან ახლოვდებოდა, აშკარად ესმოდა. წუთიც და, გზაზედ ქალი და კაცი გამოჩნდა, რომელთაც ერთი დატვირთული ვირი მოჰყვანდათ. აშკარად ეტყობოდა, რომ ესენი მწყემსები უნდა ყოფილიყვნენ, რომელთაც მთიდგან ჯარისთვის ყველი მოჰქონდათ.

ონისე დარწმუნდა, რომ მომავლები მოხევენი უნდა ყოფილიყვნენ და ის იყო თავის საფარიდგან გასვლას აპირობდა, როდესაც აშკარად გაიგონა თავის სახელი და სული განაბა.

მომავლები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და თითქოს მათ შორის უკმაყოფილება ეტყობოდა.

ორნივ გაუსწორდნენ ონისეს და დასასვენებლად ქვაზედ ჩამოსხდნენ.

— ქალაუ, — დაიწყო კაცმა, — ღვთის მადლმა, რომ მეტი მოთმენა აღარ შემიძლიან... ჩამოვდნი, დავრღიე შენის ლოდინითა და შენი გული ვერ გალხვა.

— რაი ვქნა, თუ კი არ მიყვარხარ.

— ვითმენდი და ამბა... აქამომდის ზღვას დააშრობდა,

რაც გულში ცეცხლი მენთების... მომკვდარიყავ მაინც, გზა მოგეცემოდის.

— რაისთვი თავს არ მანებებ!.. რაი გინდა ჩემგან? ძალად ხომ ვერ შეგიყვარებ?

— თავი საით დაგანებო? ცოლი ხარ, ქვეყანაში მეც ქუდი მხურავს.

— მაშ რაი გიყო?

— რაი გიყო და, ცოლობა უნდა გამიწიო.

— კარგია-ღა, ღვთის მადლსა, ბიჭაუ!.. გითხარ, არ მიყვარხარ-მეთქი და გათავდა!

კაცი გაჩუმდა რაოდენსამე ხანს და თავჩაკიდებული იყო. შემდეგ წყნარად წამოიხედა, მისი თვალები ელვარებდნენ.

— იყუჩე, ქალაუ, შენი თავი მაინც შეიბრალე, თუ მ[illegible] აღარ გებრალები.

ქალმა შეხედა და მხრების აწევით უპასუხა:

— შესაბრალებელი რაი მაქვს. მომკლავ და გული დამშვიდდების...

— მაშ აღარ იქნების?.. არც როდის არ დამიბრუნდები, არ შემიყვარებ?

— არა.

კაცმა ხანჯლის ტარს გაივლო ხელი, მაგრამ ისევ თავი შეიკავა.

— მაშ იმისი უნდა იქნა?.. გგონია, რომ დაგანებებ?.. დაგითმობ იმას?.. ღვთის მადლმა, შენც მოგკლავ, იმასაცა, ჩემს თავსაც ზედ დაგაკლავთ და შენით კი არავის ვახარებ.

— აი, მომკალ!.. ცხვებს რაისთვი ექადი, რას ემართლები! — ქალმა მიუშვირა მკერდი და სიბრაზისაგან აღგზნებულის თვალებით დაუწყო ყურება.

კაცი აიმღვრა და წამოვარდა.

— მაშ სიკვდილი გინდა?.. კარგი, მოგკლავ, მაგრამ მოგკლავ მაშინ, როდესაც ონისეს თავს მოგიტან...

ამ სიტყვებით კაცი გადახტა გზას იქით და უგზო-უკვლოდ ონისეს ბინისკენ თავქვე დაეშვა. ქალმა დაიკივლა, მივარდა იმ ადგილს, სადაც კაცი ბეგობას გადაეფარა და მწარედ შესძახა:

— გუგუაუ, გუგუაუ!.. ნუ დამღუპავ, რას ჩადი!.. ვაიმე

დალუპულმა! — წამოიძახა იმან და გაჭახდა ფრიალო კლდისკენ.

ის-იყო მიუახლოვდა კლდის ნაპირს და გადავარდნას აპირებდა, როდესაც ვიღამაც ხელი გაავლო და გულში ჩაიკრა.

ქალმა მოიხედა და ღონემიხდილმა ძლივს-ღა წარმოსთქვა:

— ონისე! — და კაცის ხელებზედ მიელუშა...

XXII

კარგა ღამემ გაიარა. მოწმენდილს ცაზედ მთვარეს კაშკაში გაჰქონდა და ნაზის სხივით იქაურობას ეკაძკამებოდა.

ონისე და ძიძია იმავ ადგილს ისხდნენ, სადაც ტრფიალების ცეცხლმა დასცა და დაიმონა; ორნივ ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ და დაბანგულებსავით სიტკბოების ნეტარებას ეძლეოდნენ. მთვარის შუქი ნაზად შესთამაშებდა ძიძიას დათენთილს სახეს, რომელსაც ონისე არ უსვენებდა და მთვარეზედ მობრუნებულს ხან გაშმაგებით ჩასცქეროდა, ხანაც ჯიქსავით ჰკოცნიდა და ეხვეოდა. ყოველი მათი ერთმანერთთან მიახლოვება, მიკარება ათრთოლებდა, როგორც მოუსვენარი ნიავი წნორის ფურცელს, და კვნესაშერეულის სიტკბოებით აღსავსე გულს აფართხალებდა. ორთავ დავიწყებოდათ სად იყვნენ, დავიწყებოდათ თავიანთი თავი და მხოლოდ ერთს-ღა ცდილობდნენ, რომ ერთი მეორეში გადაქცეულიყო.

ესენი ამ თავდავიწყებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად ჯავარდა თოფი და შეყვარებულები ფეხზედ წამოცვივდნენ.

ბედნიერებით გატაცებულს და თავდავიწყებულს ონისეს ჰხოლოდ ეხლა მოაგონდა თავისი ვალი და სამწუხარო ჭეშმარიტებამ გულზედ მწარე ჰახრაკი მოუჭირა. მის თვალწინ წუთხედ ვაირბინა მლოცავი გოჩას სურათმა, მოაგონდა იმის სიტყვები და თავმოყვარეობამ ცრემლები გადმოადინა. მას თვალწინ გადეშალა შესაძრწუნებელი სურათი მისის ამხანაგების ამოჟლეტისა, რომელნიც ონისეზედ დაიმედებულნი ინწოლილიყვნენ და უზრუნველად დაეძინათ.

ქვეით გაიმართა მკვირცხლი თოფის სროლა. თოფები ელ-

ავდნენ, ცეცხლები ენებსავით გრძელდებოდნენ და გრიალით განაქრობდნენ ლომებრივ მამაცთა სიცოცხლეს.

ონისემ შეხედა ძიძიას, გული აუდუღდა და გუნებაში გაურბინა სიტყვებმა: მაცდურად მომხიბლა და მაცდურად დამღუპა!.. მშვიდობით, ჩემო ვაჟკაცობავ!

ამ სიტყვებით ის გაჰქანდა თავქვე, რომ თავის ამხანაგებთან ერთად თავი დაედო და გამოესყიდა წუთით თავის დავიწყება, მაგრამ გვიან-ღა იყო: მტერს მათი სანგალი, სიმაგრედ გაკეთებული, აეღო და მათი დროშა ონისეს დახოცილი ამხანაგების ხროვაზედ ფრიალებდა.

XXIII

ონისე თავგადაგლეჯილი მირბოდა თავქვე და გონებადაფანტულმა აღარ იცოდა, რა უნდა ექნა.

მტრის ლაშქარს აეღო მოხვეთ პირველი სანგალი და მისი დამცველნი თითქმის მთლად გაეწყვიტა. საცოდავი გრძნობდა, რა ძვირად დაუჯდა წუთის თავდავიწყება, რომლის გამოც იმდენი მამაცი ბედის უცდელად, ბიჭობის გამოუჩენლად შეიმუსრა, და სინიდისის ყვედრებამ მწარედ დაუწყო ტანჯვა. გონება სინანულის მეტს ვეღარაფერზედ ვეღარას ფიქრობდა და დაძმარებულს გულს კი უწყალოდ რაღაცა ჰკუწავდა და ანადგურებდა.

ის გარბოდა და პირისახე გიჟს დამსგავსებოდა; ქუდი მოხდოდა, თმა ასწეწიყო და ტანისამოსი არეოდა. ამღვრეულს თვალებს თუმცა უნუგეშოდ, მაგრამ როგორღაც უცნაურად აქეთ-იქით ატრიალებდა. კაცი ვეღარ იტყოდა, იმ წუთში რას გამოსთქვამდა მისი სახე, რადგანაც მისი აზრის ტრიალი ელვასავით მკვირცხლი იყო და წუთზედ ათას რიგად იცვლებოდა. ის მირბოდა გამარჯვებულის მტრის რაზმისკენ, რადგანაც გონება პირველი აზრის გაელვებას შეეპყრო და მხოლოდ იმას მოჰყავდა მოძრაობაში საკუთარს წადილს მოშორებული მოხვევე. ეს იყო სიკვდილის წადილი და სიკვდილი უეჭველად იმ ხელით, რომელმაც მისი ამხანაგების სიცოცხლე გააქრო,

იმ მახვილით, რომელიც იმისი მეზობლების უბრალო სისხლით შეღებილიყო.

ის იყო ონისე იმ ჭალაში ჩავიდა, სადაც გამარჯვებული ოსები მხიარულის „ვარაიდათი“ ფეხვეშ ჰქელავდნენ მამულის დამცველთ პატიოსანს გვამებს და აპირებდნენ თავიანთ ბანაკისკენ გაბრუნებას, როდესაც წინ შეეფეთა რამდენიმე მოხევე, ალებულის სანგალის გუნდიდგან გადარჩენილნი.

— ვინა ხარ? — ერთბაშად ონისეს წინ გადაეღობნენ მოხევენი, რომელთაც თოფის ტუჩები დაადეს გულზედ.

— მე ვარ!—გაბრაზებით, მაგრამ თითქმის ტირილით შესძახა ონისემ, — მესროლეთ, მომკალით!.. მადლია თქვენთვის!

— აბაიმე, ონისე! — წამოიძახა ერთმა და ყველამ თოფები ჩამოუშვეს.

— მადლი უფალს, ცოცხალი გადარჩენილხარ, — დაუმატა მეორემ.

ონისემ დაღონებით შეხედა, მაგრამ მაშინვე თვალები ელვასავით გაუბრწყინდა: იმას ეგონა, რომ მოლაპაკარემ იცის მისი საქციელი და დასცინის. მთლად აინთო და იწოდა უხილავის ცეცხლით, რომელიც მით უფრო ძნელი იყო, რომ არ დარჩენოდა სახსარი, სადაც ძალზედ არ აღგზნებიყო და თავისი ძალა არ ეგრძნობინებინა.

— მომკალით, ღირსი ვარ, მომკალით!.. ღვთის მადლსა. ნუღარ დამინდობთ! — ემუდარებოდა ონისე და მდუღარება გადმოსდიოდა, — მომკალით, გეუბნებით, მადლია თქვენთვის!.. თუ დაბრმავდით, რომ ვაჟკაცი დიაცსავით ვტირი!..

მოხევეები გაშტერებულნი შეჰყურებდნენ ონისეს და ვერ გიმხვდარიყვნენ მის საქციელს.

— მაშ ალარ გებრალებით, ალარა?!. გინდათ ასე ვეწვალო?! მოსტყუვდით, ღვთის მადლმა! ეგრე არ იქნების... ონისე ქვეყნად ალარ ივლის, მტერს არ გააცინებს!.. გიხარიანთ, გიხარიანთ განა?! ჰა, ჰა, ჰა, ჰა! — მწარედ გადაიხარხარა ონისემ და გაჰქანდა მტრის ბინისკენ.

პირველის გაშტერების შემდეგ იქ მყოფნი მოხევენი გონს მოვიდნენ, გამოეკიდნენ ონისესა და დაიჭირეს.

— სად მიხვალ, რას სჩადი, ბეჩაო!.. გონთ-გამოსულხარ,

თუ რაია?!. — ეუბნებოდნენ ონისეს, რომელიც ძალზედ იბრძოდა და ცდილობდა გაშვებინებოდა.

— რაი გინდათ, რად მიჭერთ?.. სადაც ამხანაგები დამილიეს, მეც იქ უნდა ჩავეკაფვინო... მაშ, თუ ეგრეა, თავად მოვიკლავ თავსა! — წამოიძახა ონისემ და ჩახმახწამოყენებულის დამბაჩის ლულა პირში მიიცა, მაგრამ ვილამაც ხელიდგან გამოსტაცა და სიკვდილს ასე გადაარჩინა.

იქ მყოფთ ეგონათ, რომ ონისე მეგობრების გაწყვეტას აერია და, რადგანაც გონს ველარ მოეყვანათ, ამისთვის აჰყარეს იარაღი, შეჰკრეს და თან წაიყვანეს.

— უღმერთონო, რას მემართლებით? — გულსაკლავად წარმოსთქვა ონისემ და ჯავრისაგან გამოწვეული მდუღარე გადმოედინა. — რაი გინდოდათ, მოვეკალით... ჩემი სირცხვილი თქვენ რას შეგმატებსთ?

კიდევ ბევრსა ლაპარაკობდა ონისე, რომელიც თანდათან სუსტდებოდა და წყნარდებოდა, მაგრამ იმას ყურს აღარავინ უგდებდა, რადგან ყველანი საშიშ მდგომარეობაში იყვნენ და იმ ადგილისკენ მიესწრაფებოდნენ, სადაც გოჩა დანარჩენის ხალხით გამაგრებულიყო.

XXIV

ისინი მიდიოდნენ ჯგუფად, გაჩუმებულნი, დახოცილნი. ყველას პირისახე ზაფრანად გარდაჰქცეოდა, ტუჩები მოჰკუშოდა და თვალები ცეცხლებსავით ანთებოდათ.

მეტისმეტად ძნელი იყო მათი მდგომარეობა, რადგანაც მტერთან შებრძოლებაც კი ვერ მოესწროთ და ისე უნდა დამორჩილებულიყვნენ, ან დიაცებრ გამოქცეულიყვნენ, ან არა და, ცხვრებსავით კისერი მიეშვირათ, რომ სისხლით გაუმაძღარის ნუგზარის ჯარს შეუბრალებლად ხანჯალი ან ხმალი გამოესვა.

ბრძოლას გულით მოწადინებულებს თითო სროლაც კი ვერ მოეხერხებინათ, ისე დაეცნენ თავზედ და, ვინ იცის, რამდენი სალექსე ქებაშესასხმელი ბიჭი, მეზობელთ იმედი, ამხანაგებისთვის თავმოსაწონი, უცდელად გაფუჭებულიყო.

ვინც გადარჩნენ, ან იმათ რაღა მოელოდა? სათემოდ მოყივნება, რადგანაც მთაში გაუფრთხილებლობით საქმის წახდენა მასხარად ასაგდებია, დამარცხება კი — უბედურება!.. პირველ შემთხვევაში ყველასგან ზიზღი, დამცირება მოელის, მეორეში კი — სიბრალული და თანაგრძნობა.

მიმავალნი მოხევენი იქამდის დაეხოცა თავიანთ უბედურებას, რომ თავიანთ თავს იმის ანგარიშსაც ველარ აძლევდნენ. თუ როგორ მოეპარა მათ ნუგზარის ჯარი ისე, რომ მოძრაობა ვერც კი გაეგოთ.

იმათ მხოლოდ ერთი დასამშვიდებელი ის-ღა ჰქონდათ, რომ სამი კაცი შეკრული მიჰყვანდათ და მათის აზრით ესენი იყვნენ ოსების და ლეკების გზის მჩვენებლები. ამათ შემოეპარებინათ მათი ჯარი და მოხევეთათვის გარს შემოერტყათ.

ამ დაჭერილთ შორის იყო ორი ოსი, რომელნიც თავიანთ ხალხს ადრიდგანვე გამოქცეოდნენ და ხევს შემოხიზნებოდნენ, ამათგან გაცემა და ჯაშუშობა შესაძლებელი იყო, მაგრამ მესამე დაჭერილი უხეთქამდა მათ გულსა. ის იყო მოხევე და მისი საქციელი მთელს ხევს ჩირქად ეცხებოდა.

დაღონებული, დასუსტებული და სულიერად დაცემული ონისე მისდევდა ამ ხალხს და თვალი ვერავისთვის გაესწორებინა.

— ონისე, შენც დაგიჭირეს? — ერთბაშად გაიგონა იმან, შეკრთა, მიიხედა და გაშტერდა.

იმის თვალწინ იდგა გაფითრებული და აღელვებული გუგუა, რომელიც მთლად კანკალებდა.

— გუგუა! — ბოლოს ძლივს მოახერხა ონისემ და ანიშნა შეკრულს ხელებზედ: — რაი მოგსვლია, რაისთვი შეუკვრიხართ?

— ღალატს მაბრალებენ, — ყრუდ წარმოსთქვა იმან და მეტის სიბრაზით გადააფურთხა.

ონისე ამ კაცს კარგად იცნობდა, გამოცდილი ჰყვანდა და დარწმუნებული იყო, რომ მისგან ამხანაგების ღალატი შეუძლებელი იყო. ამის გარედ, ამ უბედურების შემთხვევის წინედ, გუგუა ძიძიასთან ერთადა ნახა, თავის ყურებით გაიგონა მათი ლაპარაკი და დაინახა, რომ სრულიად სხვა აზრით გასწია მოხევეთა ბინისაკენ. გუგუას ონისეს სიკვდილი უნდოდა, ონისე

იყო მისი მტერი, მისდამი აღვსებოდა გული მძულვარებით.

„მაგრამ, იქნება“... — ერთბაშად გაურბინა ონისეს თავში: „ამ კაცს ჩემი მტრობა ედო გულში, მაგ ჯარის მშვიდობიანობა მე მჭონდა მონდობილი და შურისძიების გრძნობამ მოღალატედ გახადა?“ — ონისეს წარბები შეეჭმუხნა და უსიამოვნო გრძნობა კბილების ღრჭიალზედ დაეტყო. გუგუა შესცქეროდა იმას, თითქოს რაღაცა პასუხს ელოდა.

— რაისთვი არას მეუბნები? — დაიწყო ისევ გუგუამ.

— რაი-ღა გითხრა?

— მაშ არა გაქვს-რა სათქმელი? — მწარედ წარმოსთქვა გუგუამ და დაუმატა: — იყოს, მეც გავჩუმდები... უფალს მადლობა უთხარ, რომ თავს ველარსაით ვიმართლებ, თორემ, ღვთის მადლმა, მზეს დიდხანს არ გაცქერინებდი... ეხლა დღე შენია. შენი ყვავილი გაიშალა, შენი მზე გაბრწყინდა... ალბათ, უფალს ეგრე უნდა და დეე გაბრწყინდეს... სიკვდილს არ ვნანობ, მაგრამ ვაი, ამითი რომ ყველასთვის მოძმეთ მოღალატე დავრჩები.

ამ სიტყვების შემდეგ გუგუამ ჩაჰკიდა თავი, თითქოს მძიმე ტვირთი დააწვა კისერზედ, მწარედ ამოიხვნეშა: „ოჰ-ჰ!“ და განშორდა ონისეს; ონისეს გულს კი ერთი წვეთი ნაღველი-ღა აკლდა, რომ გავსებულიყო და გუგუამ დამატებით ჩაუწვეთა.

XXV

ჯერ კიდევ დღე-ღამე არ გაყრილიყო, როდესაც სიონის სიმაგრეში მთელი ხევის ჯარი მოძრაობაში მოვიდა, მათ შეეტყოთ, რომ ნუგზარის შეერთებულს ჯარს მათი სანგალი აეღო და შიგ მყოფ მოხევეთ გუნდისაგან მხოლოდ მცირე რიცხვი-ღა გადარჩენილიყო. ყველა აღგზნებულიყო გადახდის სურვილით და თვალებანთებულნი, პირგამეხებულნი ხმამაღლად გადაძღევინებას ითხოვდნენ.

— სისხლი, სისხლი! მოძმეთ სისხლი ავიღოთ! — იძახდა მთლად ხალხი და იმ სიტყვის მეტი მათგან სხვა არა გაიგონებოდა-რა. მათ შორის მხოლოდ ერთადერთი კაცი იყო, რომელსაც არაფერი არ ავიწყდებოდა, როგორს მდგომარეობაშიაც

უნდა ჩავარდნილიყო და ყოველთვის დროსა პოულობდა საქმის ყოველივე მხრისათვის ყურადღება მიექცია.

ეს გახლდათ გოჩა და ამისთვისაც იმან დაიბარა სანგალზედ გადარჩენილი მოხევენი.

გოჩას დიდი იმედი ჰქონდა თავის შვილისა და ის კი იქ იყო; მაშ როგორ მოხდა, რომ მტერი შეუმჩნეველად დაეცა?

— მითხარით, ჩქარა მითხარით: საქმე როგორ იყო? — დაიწყო გოჩამ, რაწამს დაბარებულები დაინახა.

— რაიღა როგორ იყო, — დაიწყო ერთმა მოსულთაგანმა, — ოსი ბეჩირაი და თაფსირუყო წასულიყვნენ მტრებთანა, მოსავლელი გზა ეჩვენებინათ და მტერი სანამ თავს არ წამოგვადგა, ვერა გავიგეთ-რა...

მოსაუბრე გაჩერდა და გოჩა კი მთლად სმენად გადაიქცა. მისი გული თრთოდა და თითქოს რაღაცა უსიამოვნობას მოელოდა.

— ცხო? ცხო თუ აღარვიხ ყოფილა? — იკითხა გოჩამ ცოტა სიჩუმის შემდეგ და წარბები შეეკრა.

— ბარემდის, რომ იმის მეტი არვინ ყოფილიყო!

— ცხო ვიღაა? — საჩქაროდ იკითხა გოჩამ და თვალები ჭენთო.

ის ჩააცქერდა მოსაუბრეს, რომელსაც მოღალატის დასახელება თითქოს უჭირდებოდა.

— ვინაა-მეთქი? — მკაცრად გაიმეორა გოჩამ.

— გუგუაი.

— როგორა, როგორ სთქვი? — ზარდაცემულსავით წარმოსთქვა მოხუცმა და ყელმა ხრიალი დაუწყო. გოჩას ეგონა, რომ სმენამ უღალატა.

— გუგუაი! — გაიმეორა მოხევემ.

მეტისმეტად ძნელი გასაგონი იყო გოჩასთვის თავისი მეზობლის დასახელება, იმ მეზობლისა, რომელიც იმის სამწყოსს ეკუთვნოდა და, მაშასადამე, გუგუას ზნეობრივს მიმართულებაში მასაც წილი უნდა სდებოდა.

— უფალო, რაი შეგცოდეთ, რომ მოძმეთ ღალატიც გვაჩვენე! — წარმოსთქვა მოხუცმა და თვალები ზეცას მიაპყრო.

მის გულს მწარედ სდაგავდა ამგვარი შეურაცხყოფა მთე-

ლის ეროვნისა და კარგად ესმოდა, რომ შესაძლებელი იყო ამ მაგალითს ხალხზედ მეტად ცუდი გავლენა ჰქონოდა.

მოხუცი ისევ ჩაფიქრდა, გაჩუმდა და დიდხანს ხმაამოუღებელი იდგა. იმის პირისახე ამ ხანში მთლად მოძრაობდა და ააშკარავებდა, რომ მისი გონება შეუწყვეტლად მუშაობდა და მოაზრებაში იყო.

ბოლოს მოხუცმა გადაისვა შეჭმუხვნილს შუბლზედ ხელი, რამდენჯერმე შეხედა გამომცდელის თვალით მოსაუბრეს და პირველად დაეტყო გაუბედაობა. მისი თვალები თითქოს ხვეწნასა და საყვედურს ერთად გამოსთქვამდნენ. მაგრამ რა გასჩენოდა ხევისბერს, ხევის მმართველს უბრალო მეომართან ან სახვეწარი, ან სასაყვედურო? გოჩას ერთადერთი შვილი ჰყვანდა, ონისე დაღუპულის სანგალის დამცველთა შორის იყო და ის არსადა სჩანდა... მაშ რა იქნა, რატომ არ ეუბნებოდა რასმე ნოსაუბრე უბედურს მამას?.. თუ მოკვდა, რატომ მის გმირულის სიკვდილის ამბით არ ანუგეშებდა მშობლის სევდამოცულს გულს?

ყველა ეს მოხუცს სწრაფად წარმოუდგა გონებაში და ბედგრად მიწყვეტ-მოწყვეტა დაუწყო მის გულსა. მოხუცმა ველარ მოითმინა და კიდევ წყნარად შეხედა, მოიკრიფა უკანასკნელი ძალა და წარმოსთქვა:

— ონისე რაიღა იქნა, რას მიფრთხილდები?

— ონისე, ბეჩავი... კინაღამ გაგიჟდა... ჩვენ რომ არა ვყოფილიყავით, მტერს თავს შეაკლავდა, ღვთის მადლმა.

გოჩა ამ მხრით რაოდენადმე დამშვიდდა: იმისი შვილი ცოცხალი იყო და ვაჟკაცადაც ეჩვენებინა თავი. სხვა რაღა უნდოდა?

— ეხლა სადღაა?

— ეხლა ბატარაი დამშვიდდა და ამხანაგებთანაა, — უპასუხა ისევ იმ მოსაუბრემ და ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა: — ასეთია ბეჩავი, რომ დანა პირს ვერ გაუხსნის.

მოხუცი დაკმაყოფილდა ამ კითხვებით და დამშვიდდა, რაოდენადაც მის მდგომარეობაში დამშვიდება შეიძლებოდა.

— უთხარ, დამნაშავენი დაამწყვდიონ და კარგად თვალყური ადევნონ... ჩვენც კი ღმერთი ვახსენოთ და მტერს მოძ-

მეთ სისხლი მოვთხოვოთ, — წარმოსთქვა გოჩამ და გამოვიდა გარედ, სადაც ჯარი უკვე მოგროვებულიყო და მოუთმენლად ელოდა მტერზედ გალაშქრების წამს.

XXVI

გოჩას გამოსვლაზედ ხევის ჯარი წყნარად შეინძრა, გაიყო სამ რაზმად და ბელადების წინამძღოლობით მტრისაკენ გაემართა. იმათ გადაწყვეტილი ჰქონდათ ნუგზარისგან დაჭერილს სიმაგრეს სამ მხრივ დასცემოდნენ და საერთო იერიშის მიტანით მტრისათვის გადაეხადნათ. ყველასთვის აშკარა იყო, რომ ამ ბრძოლას უნდა გადაეწყვიტა ხევის მომავალი მდგომარეობა და ბედ-იღბალი.

ყველა მიდიოდა პირზედ ღიმილით, რადგანაც დარწმუნებული იყო, რომ წმინდა მოვალეობას ასრულებდა და, თუ სიკვდილი შეემთხვეოდა, მისი სახელი ხალხში დიდხანს მოიხსენებოდა და შორს მთებში ქაითქმებოდა. სააქაოს მოელოდა სანეტარო ხსენება და საიქიოს — ზეციერი ჯილდო. მაშასადამე, ამგვარი რწმუნების ხალხისთვის ბრძოლა თვითმყოფელობისთვის, თავის მიწა-წყლის დასაცავად მეჯლისში წასვლას ემსგავსებოდა. ბრძოლისა და მტერთან შეტაკების სურვილს უმეტესად უცხოველებდა მოძმეთ წამების მოგონებანი, რომელიც გულს ძალზედ უმღვრევდა და სისხლისთვის სისხლს მოაწყურებდა.

მიმავალ მოხევეთა შორის ონისეც იყო, რომელსაც მხიარული, მუდამ მოღიმარი სახე ჭმუნვარებით შესცვლოდა, და ძალზედ მოკუმულს ტუჩების გამო სახის კანიც გასჭიმოდა. თვალებაღგზნებულს ღაწვები თითქოს გამობურცებოდა და სიბრაზის ნიშნად ლოყების ძარღვები ძალზედ უცემდა.

ონისეს, ბუნებითვე ვაჟკაცს და თავგანწირულს, დღეს მეტი მიზეზი ჰქონდა ერთიორად გადაქცეულიყო, რადგანაც თავის შეცდომას და თავდავიწყებას ჰგრძნობდა და უნდოდა მეტის თავგანწირვით ცოდვა რაოდენადმე შეემსუბუქებინა.

იმასა ჰყვანდა ჩაბარებული რამდენიმე კაცი, რომელიც მოხევეთა ერთის გუნდის მოწინავე ჯარს შეადგენდა და მინდო-

ბილი ჰქონდა, რომ ყოველი ღონისძიება ეხმარა — მტრისგან სადარაჯოდ გამოყენებულს კაცებს შეუმჩნევლად მიჰპარებოდა და ან შეეპყრო, ან დაეხოცა. ამასთანავე ეს ისე უნდა მომხდარიყო, რომ მტრის უმთავრესს გუნდს ვერ შეეტყო, რათა ბათ მოხევეების დასახვედრად მომზადება ვერ მოესწროთ.

ონისე მიუძღვებოდა თავის პატარა რაზმს და ყოველგვარად ფრთხილობდა, ბრძანება გადაუბრუნებლად აღესრულებინა. უკანაზედ წინ მიდიოდა სმენადგადაქცეული ონისე და შემდეგ მწკრივად მისდევდნენ დანარჩენები, რომელნიც სიფრთხილით აბიჯებდნენ და ფეხს თითქმის იმავე ადგილას ადგამდნენ, რომელზედაც წუთის წინედ მათი ბელადის ფეხი მდგარიყო.

რიყიან ადგილზედ მეტად დიდი გაფრთხილება და ფეხის სიმარჯვე უნდოდა, რომ ქვების შენძრევით ღამის მყუდროება არ დაერღვიათ და მით თავიანთ მოძრაობაზედ მტრის ყურადღება არ მიექციათ. ბანდულებჩაცმული მოხევენი მიიპარებოდნენ და, სანამ დედამიწაზედ მაგრად დააბიჯებდნენ, რაოდენსამე ხანს ადგილის სიმკვიდრეს ფეხითა სცდიდნენ, ერთბაშად ონისე შესდგა და იმ ადგილზედვე ჩაწვა. სხვებიც ხმის ამოუღებლივ ამგვარადვე მოიქცნენ და მიწას გაკრულებმა ხანჯლები ამოიღეს.

გაიარა რამდენმამე წუთმა ამ სიჩუმეში და მოპირდაპირე მხრიდგან ხუთი კაცი გამოჩნდა, რომელნიც ამგვარადვე სიფრთხილით და გაჩუმებულნი მოდიოდნენ. ონისემ დააცალა, სანამ უკანასკნელი გაუსწორდებოდა და, რა მოუახლოვდა, სწრაფად ფეხზედ წამოიჭრა. მასთან ერთად წამოცვივდნენ დანარჩენებიც და წუთს შემდეგ ადგილის დასათვარიელებლად გამოგზავნილი ოსები მიწაზედ ფართხალობდნენ. და რამდენადაც სისხლი აკლდებოდათ, იმდენად სიკვდილს მეტრს გამწარებით ებრძოდნენ.

ყველა ეს ისე სწრაფად მოხდა, რომ ოსებმა დაყვირებაც კი ვერ მოასწრეს. რაკი მოხევეებმა ამათგან ბოლოცალეს, ისევ თავიანთ გზას გაუდგნენ და ალიონის აწევასთან ერთად მტრის ბანაკს მიუახლოვდნენ. იქ ჩასაფრდნენ და ამხანაგებს ლოდინი დაუწყეს. მტრის ბანაკში სრული მყუდროება სუფევდა, რადგანაც ერთის მხრით გაზვიადებულნი პირველის გამარჯვე-

ბით და მეორეს მხრით დარწმუნებულნი თავიანთ დარაჯების სიფრთხილეში თავისუფალს, დამშვიდებულს განსვენებას მისცემოდნენ. ნუგზარ დარწმუნებული იყო, რომ მოხევენი შეიძინდებოდნენ და მეორე-მესამე დღეს შუაკაცებს გამოუგზავნიდნენ. ის თავის დღეში ვერ წარმოიდგენდა, რომ ხევის ერთი ნუჭა ხალხი მასთან შებრძოლებას გაბედავდა, მით უფრო, რომ ძას ახლდა საკმაო რიცხვი ლეკთა გარაზმული და კარგად შეიარაღებული ჯარი.

მოხევეთა სამივე მხრიდგან წამოუარეს და შეუმჩნევლად მტერს გარს შემოერტყნენ.

გავარდა ერთბაშად თოფი და ეს ნიშანი იყო საერთო იერიშისა.

წამოცვივდა ნუგზარის ჯარი, მაგრამ მოულოდნელობის გამო მთლად აირია და გონებადაკარგული მებრძოლნი უაზროდ დარბოდნენ. შესეული მოხევენი დროს არ აძლევდნენ, რომ გონს მოსულიყვნენ და უწყალოდა ხოცავდნენ. ამ საერთო არეულობაში მხოლოდ ერთს ადგილს მოჩანდა თეთრი ცხენი და მაზედ ამხედრებული ნუგზარ, რომელსაც ხელში ხმალი ეჭირა და მარჯვნივ თუ მარცხნივ სხვეპამდა. მას გვერდს მოსდგომოდა რამდენიმე გამოჩენილი ლეკთა ვაჟკაცი და ღირსეულს მხარს უშვენებდნენ; აშკარად სჩახდა, რომ მათს გულში ვაჟკაცობის ცეცხლი უმეტესად ინთებოდა, ვიდრე იმ თრუსოელებისაში, რომელთაც შებმას გაქცევა-ერჩიათ.

ამ საერთო არეულობაში ონისე დამთვრალსავით დადიოდა და ვისაც კი შაეყრებოდა, მზისთვის დიდხანს აღარ აცქერინებდა. ის ეძებდა გაცხარებულს ბრძოლას და, სადაც იგი გაჩნდებოდა, სწრაფად შუაგულში მოექცეოდა, თუმცა სიკვდილის მძებნელი მოჯადოებულსავით ყველგან უვნებლად რჩებოდა.

მისი სიმამაცე, გულადობა და თავგანწირულება მაყურებელთ აოცებდა და ქებას წარმოათქმევინებდა.

ერთბაშად გორაზედ გამოჩნდა გოჩა, რომელსაც თეთრი თმა გაშლოდა და ნიავი უმღელვარებდა. დროშის თავი, რომელიც ხელში ეჭირა, სანუგეშოდ ფრიალებდა და წვერზედ გაკეთებულს ოქროს ჯვარს კრიალი გაჰქონდა.

გოჩას ცხენი ამაყად და მედიდურად მიაბიჯებდა, თითქოს

ჰგრძნობდა, რომ მისი მხედარი ხალხისაგან იყო არჩეული და მას არც ერთხელ თავის ამრჩევთაგან საყვედური არ მიეღო.

მოხუცმა შეუტია ცხენსა და გააქროლა იმ მხარისკენ, სადაც ნუგზარ რამდენიმე კაცით ჯერ კიდევ იბრძოდა.

— აბა, ბიჭებო!.. მომყევით, ვისაც გული გერჩისთ! — დაიძახა გოჩამ და ხალხი სწრაფად შეჯგუფდა, ბურთსავით შეიკრა ნუგზარის გარშემო.

ავარდა კორიანტელი; ყველა მტვრით დაიფარა; მზის შუქიც კი თითქოს მიბნელდა. აქამდისინ მოყიყინე, ეხლა გაჩუმებულიყვნენ და მყუდროებას მხოლოდ კბილების ღრჭიალი, იშვიათი დაკვნესება და იარაღის ჩახაჩუხის ხმა დაარღვევდა.

ხანდახან ნიავისაგან გაფანტულს მტვერში გოჩას დროშა გამოჩნდებოდა, რომელიც ისევ უვნებლად ფრიალებდა და მებრძოლთა გულებს ფოლადად უწრთობდა. ერთბაშად შეკუმშული ხალხი როგორღაც წამოტრიალდა, გაიშალა და ასტყდა ისევ ყიჟინა.

ჭარმა გაჰფანტა ბრძოლის მტვერი და წუთს წინედ სიცოცხლით სავსე მებრძოლთაგან კოშკად აშენებული დახოცილები-ღა გამოჩნდა. მათ შორის იდგა გოჩა, დაღონებული, გაფითრებული და სევდიანი თვალები ზეცისკენ მიეპყრო. შორს გზაზედ მტვერი მოჩანდა და იმის შუა ხანდისხან გამოჩნდებოდა ხოლმე ნუგზარ და რამდენიმე ცხენოსანი, რომელიც სიკვდილს რაღაცა მანჭანებით გადარჩენოდნენ.

XXVII

ხალხი დაწყნარდა; დაასაფლავა თავიანთი დახოცილები, მაგრამ ჯერ არ იშლებოდა, თუმცა დარწმუნებული იყო, რომ ნუგზარ ასე მალე ველარ მობრუნდებოდა და საკმაოდ დაფრთხობილს ოსებს ისე ადვილად ველარ დაიყოლებდა მოხევეებზედ გასალაშქრებლად.

ამ გორაკის ერთს ადგილას რგვალად შემოწყობილს ქვებზედ მოგროვილიყვნენ თემის და ჯარის თავები. იქვე მისულიყვნენ დეკანოზები სასოფლო დროშებით და ხევისბერს გოჩას

გარს შემოხვეოდნენ. ეს წრე მხოლოდ ერთის მხრით იყო გახსნილი და იქ დანარჩენი ხალხი მოგროვებულიყო, ყველას პირისახეზედ რაღაცა მჭმუნვარება ეტყობოდა; კაცი ვერ გაარჩევდა, ეს იყო გლოვა თავიანთ დაკლებულობისა, თუ რომელიმე უსიამოვნობის მოლოდინი. გოჩას და მასთან ერთად თემის უფროსებს თავები ჩაეკიდათ და ხმაამოუღებელნი რაღაცა ფიქრს ეძლეოდნენ. მეტისმეტი მძიმე მდგომარეობა იყო, სურათი შავად და ბნელად მოცულიყო, მაყურებლის გული ჰკვნესოდა მოლოდინით.

ერთბაშად გოჩამ აიღო თავი და იქაურობას სევდიანი თვალი მოავლო. ონისე, რომელიც ხალხში იდგა და გოჩას შეჰყურებდა, გაჟრჟოლდა, თვალი ვეღარ გაუსწორა მოხუცს და თავი დახარა.

გოჩა დააკვირდა ონისეს, მაგრამ ჩქარა ისევ თვალი მოაშორა და წყნარად, მაგრამ მტკიცედ წარმოსთქვა:

— მოიყვანეთ დამნაშავენი.

ხალხი შეინძრა, გაიპო ორად და თემისაგან არჩეულის მსაჯულების წინ წარსდგნენ ორი ოსი და გუგუა.

ხალხი ცახცახით უყურებდა ამ სურათს და მოელოდა იმ წუთს, როდესაც უზენაესის უფლება უნდა მიეღო და ვინ იცის რა უნდა გადაეწყვიტა.

— გაუხსენით ხელები, — ბძანა გოჩამ და მისი ბძანება მსწრაფლად აღსრულდა.

მის შემდეგ გოჩამ, ხევისბერმა, იდაყვი დაიდო მუხლზედ, ხელით თავი მიიბჯინა და, მთლად სმენად გადაქცეული, ისე დარჩა.

თემის თავებიდგან ყველაზედ უფროსი წამოდგა, გავიდა შუა ადგილას, დაიჩოქა და წარმოსთქვა:

— ხალხო და ჯამაათნო!.. სმენა იყოს და გაგონება... აი, თქვენს წინა სდგას ორი ოსი... ექვსი წელია მას შემდეგ, რაც ესენი ჩვენს თემობაში მოვიდნენ, შეგვაბრალეს თავი და შეგვატყობინეს, რომ თავიანთ ხალხში აღარ ეცხოვრებათ, რადგანაც კაცი შემოჰკდომოდათ და სდევნიდნენ... ჰაი, ჰაი, რომ ნებისნებად კაცის სიკვდილი არ ვარგა, ცოდოც არის, მაგრამ როცა კაცს გაუჭირდების, არამც თუ ცხოსა, თავსაც კი მოიკლავს ხოლმე... კაცის შემოკდომა უბედურებაა და უბედურები

ითხოვდნენ ხევისაგან ლუკმა პურსა და თავშესაფარსა... ხევი ჩვეული არაა სტუმარს დაემალოს, მთხოვარეი არ განიკითხოს; ხევმა მისცა მათ ბინა, აუშენა სახლი, დაუთმო სახნავები, ხევმა იძმო და მოსვენებული ცხოვრება მისცა... ამათ რითი-ღა გადაგვიხადეს მადლობა?.. ჩვენს მტერს უჩვენეს მოსავლელი ბილიკები, ჩვენს ჯარს მოულოდნელად თავს წამოაყენეს და ვინც ამათ ლუკმა მიაწოდა, საკიდელი ჩამოაკიდებინა, ისინი ღალატით გააწყვეტინეს... რას იტყვით, ხალხნო და ჯამაათნო!.. ყველა შეგატყობინეთ, ყველა გაგაგებინეთ, სახუმრო არ არის კაცის სიკვდილი.

მოხევე წამოდგა, დაუკრა ყოველს მხარეს თავი და თავის ადგილას დაჯდა.

— იმართლეთ თავი, თუ შეგიძლიანთ, — წარმოსთქვა გოჩამ, რომელსაც მდგომარეობა არ შეუცვლია.

მაყურებელნი მოუსვენრად ტოკავდნენ, მაგრამ საქმეში კი არ ერეოდნენ. ოსების დანაშაული მეტად აშკარა იყო, რომ კიდევ თავის მართლებას მოჰყოლოდნენ და ამისათვის დაეცნენ მუხლებზედ და ტირილით ეხვეწებოდნენ პატიებას, მაგრამ მსაჯულნი მათ მუდარისადმი ყრუდა რჩებოდნენ. ისინი შეჯგუფდნენ გოჩასთან, ცოტა ხანს რაღაცა არჩიეს და ისევ თავთავიანთ ადგილას დასხდნენ. მცირე სიჩუმის შემდეგ, გოჩამ აიღო თავი და წარმოსთქვა:

— ორნივ ჩაქვავდეს!

ამ სიტყვებმა ხალხში ჟრიამულად გაირბინა და ოსებს ფერი სრულიად დააკარგვინა. ერთი მათგანი მიუახლოვდა გოჩას, რომელმაც გადაწყვეტილების წარმოთქმის შემდეგ ისევ თავი ჩაჰკიდა და ღრმა საგონებელში წავიდა.

— გოჩავ, გემუდარები! — დაიძახა ოსმა, — ყმად გაგიხდები, ოღონდაც დამიხსენ.

— ჩაქვავდეს! — იმავ ხმით გაიმეორა გოჩამ.

— მაშ უნდა მომკლან, ჩამაქვავონ?! — დაიძახა ოსმა და ფეხზედ წამოეარდა. — დეე მომკლან, მაგრამ შენც აღარ გაცოცხლებ!

ამ სიტყვებთან ერთად ოსის ხელში გაიელვა ხანჯალმა, რომელიც ჩოხის ქვეშ ჰქონოდა დამალული. ხალხი ერთბაშად მიაწყდა იმ ადგილს, ბურთსავით შეიკუმშა და როდესაც გაიშალა,

გოჩა ისევ ისე მედიდურად იჯდა. ადგილიც კი არ შეეცვალა მოხუცს. მხოლოდ ზიზღი აღძროდა თვალებში, რომელნიც იქავ ჩახოცილს ოსებს დაჰყურებდნენ.

XXVIII

როდესაც ოსებისგან მოიცალეს, გოჩა ისევ ჩაფიქრდა და წყნარად და დამშვიდებით წარმოსთქვა:

— მოიყვანეთ გუგუა.

რამდენიმე კაცი მიუახლოვდა გუგუას, გაუხსნეს ხელები და წინ წააყენეს. პირველსავე განძრევაზედ მოხევეს თვალთ დაუბნელდა, წატორტმანდა, წაიბარბაცა, მაგრამ მაშინვე თავი შეიმაგრა და შედგა.

ბრალდებული გუგუა მთლად გაფითრებული და პირგამხრალი იდგა ხალხის წინ და უაზროდ თვალები ერთის ადგილისკენ მიექცია.

ხალხი სწყევლიდა, ლანძღამდა და ერთმანერთს თითით უჩვენებდა ამ ავაზაკზედ. როგორც წეღან, ეხლაც გამოვიდა ერთი თემის თავთავანი და შეუდგა გუგუას გამტყუნებას.

აღმოჩნდა, რომ როდესაც მტერი მოხევეთა ბინაზედ იერიშით მოდიოდა, გუგუა მათ წინ მოუძღოდა და, უეჭველია, ნუგზარის ჯარს გზას უჩვენებდა.

— გაიმართლე თავი, თუ შეგიძლიან, — უთხრა გოჩამ და გაჩუმდა.

გუგუამ ამოიხვნეშა, მოავლო იქაურობას თვალი და ონისე, რომელიც ისევ იმ ადგილზედ გაქვავებულსავით იდგა, დაინახა. გუგუას თვალები გაუბრწყინდა, პირისახე გაუწითლდა, გაიბრძოლა იმისაკენ, დატორტმანდა და თავი შეიმაგრა. გუგუა მობრუნდა მსაჯულებისკენ და მწუხარებისაგან დაღრეჯილი სახე შეაქცია. ბოლოს მოიგლიჯა ქუდი, რომელიც თითქოს თავსა სწვამდა, და დედამიწაზედ დააბეთქა.

— სთქვი, თუ სათქმელი რაიმე გაქვს! — გაიმეორა გოჩამ და ხმამ მხოლოდ ერთს ადგილას უღალატა, ერთგან გაისმა დანჯღრეულს სიმად.

— რაი ვსთქვა, რაი გითხრათ?.. — მწარედ წარმოსთქვა

გუგუამ. — უფალმა იცის, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ მტერის წინ მომძღოლი მნახეს და ვინ დამიჯერებს?.. რაისთვი-ღა მაწვალებთ. რაისთვი მალაპარაკებთ?.. მომკალით და თქვენც მოისვენებთ!

— ბალღო, სიკვდილი ძნელი არაა... — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ გოჩამ და ხმაში აღგზნებული სიყვარული დაეტყო, — მაგრამ გულს არა სჯერა, რომ ხევის მიწა-წყლის კაცი, ხევის ძუძუთი გაზდილი, მოძმეთ უღალატებდა, ამხანაგთ გაჰყიდიდა, მიწას შეარყევდა და ცას ჩამოანგრევდა!.. გული სამუდამოდ იკვნესებს, სევდა არ დაელევის, ნისლს ველარ გაიცლის, თუ მართლა მოძმეთ გამსყიდავად გიცნო.

გუგუას ამ სიტყვებმა გული მოულბო, იმან დაინახა, რომ მოხუცის გული მშობლურის მზრუნველობით ექცეოდა და გულით უნდოდა პატიოსნებით სავსე კაცი მაინც დაერწმუნებინა, რომ მართალი იყო.

— გოჩავ, უფლის მადლმა, დიდებულის წვერის სპარს-ანგელოზის მადლმა, ვფიცავ ყმაწვილკაცობის სიყმეს, ვფიცავ შენს სახელსაც, რომ დამნაშავე არა ვარ, მაგრამ თავს ვერაფრით ვიმართლებ და უნდა დავისაჯო, უნდა მოვკვდე.

— მტრის ჯარში საიდგან გაჩნდი?

— საიდგან?.. გინდა ყველაფერი მათქმევინო?.. თავი დამანებე, გოჩავ!.. ნუ მალაპარაკებ!.. ხომ ხედავ, რომ ლაპარაკი მიძნელდების?.. ყოველთვის გულკეთილს, დღეს ჩემი წვალება რაისთვი-ღა მოგიწადინია?

— ჩემი გულიც არ არის მოსვენებული, გუგუავ, უწყის უფალმა!.. ყოველ სიტყვაზედ, ყოველ კითხვაზედ ლახვარი მიტრიალებს გულში, მაგრამ თემი და მისი საქმე შენზედაც დიდია და ჩემზედაც... მაშ გვითხარ ყველაფერი.

— გითხრათ?.. კარგი!.. — წამოიძახა მოხევემ და საჩქაროდ მიბრუნდა იმ მხარეს, სადაც ონისე იდგა.

საცოდავს სახე მთლად დაჰპრანჭოდა და მძიმე ტვირთს თითქოს ოთხად მოეხარა. გაყვითლებულს პირისახეზედ სიცოცხლის ნატამალი აღარ ეტყობოდა. გუგუა ისევ შესდგა, შეიმაგრა თავი და მსაჯულებისკენ გამობრუნდა.

— გამიგონეთ... სიკვდილისა არ მეშინიან, თუნდა გამამარ-

თლით კიდეც, ღვთის მადლმა, თავს აღარ ვიცოცხლებ. რაისთვი-ღა მინდა ერთხელ გაწბილებული სიცოცხლე!.. მაშ გამიგონეთ... ყველას მართალს გეტყვით,.— მე მთიდგან მოვდიოდი და, როდესაც ჩამოვივაკე, მტერს შევეფეთე... გამოვიქეც, რომ საფარში შემეტყობინებინა, მაგრამ მტერი ფეხდაფეხ მომდევდა და ველარ მივასწარ... ისინი თოფს არ მესროდნენ, რომ ხმაურობაზედ ჩვენი მდევარი არ გამოსულიყო და მე კი თოფ-ტიელას ჩახმახი მომეშალა... ჩვენებმა მტრის ჯართან დამინახეს და მოღალატე გამხადეს... თუ ვსტყუოდე, მიწამც გამისკდეს და თან ჩამიტანოს!

— მთაში რაი გინდოდა? — ჰკითხა ერთმა მსაჯულთაგანმა.

— საქმე მქონდა.

— მარტო იყავ?

გუგუამ არა უპასუხა-რა და ამისთვის კითხვა გაუმეორეს:

— მარტო იყავ?

მოხევე ებრძოდა თავის გრძნობას და არ უნდოდა იმ ქალის სახელი მოეყივნებინა, რომელიც მაინც კიდევ ქვეყანას ერჩივნა.

— რაი ბედენაა, მარტო ვიყავ, თუ არა? — ბოლოს წარმოსთქვა გუგუამ და დაუმატა: „ თქვენთვის იმის გამოკითხვა იყო საჭირო, რომ გაგყიდეთ, თუ არა... მე გეუბნებით, რომ არ გამიყიდნიხართ, არ მიღალატნია თქვენთვის, ჩემს გაჩენაში გულშიაც არ გამივლია თქვენი წინააღმდეგობა, მოწამე ღმერთია!.. ცხოს ნუღარას მკითხავთ, პასუხი არ მიშველის და სიკვდილის წინა წუთებს კი მომიწამლავს!

ამის შემდეგ გუგუა გაჩუმდა, დაიკრიფა გულ-ხელი და გაჩუმებული დადგა. ყოველ კითხვაზედ ის მუნჯად რჩებოდა და მისი სიჩუმე მძიმე ლოდად აწვებოდა ონისეს.

ხალხი გაჩუმებული იყო და სულგაკმენდილი ელოდა თენის მოთავეთა გადაწყვეტილებას, რომელნიც გოჩას შემოხვეოდნენ. კარგა ხანმა გაიარა, ვიდრე მოთავენი რჩევაში იყვნენ.

ერთბაშად გაიშალა კრება და მსმენელთ გულის ძგერამ უფრო იმატა. მოუთმენლობამ უკანასკნელს სამზღვრამდის მიაღწია. ყველამ თავთავისი ადგილი დაიჭირა და საერთო სიჩუმის დროს წამოდგა გოჩა.

— ღმერთო, მოგვიტევე, თუ ვცდებით რაშიმე!.. რაც შენ გვაგონე, იმას წარმოვსთქვამთ... ხევის მშვიდობიანობა მოითხოვს, რომ გუგუა განწირული, მოშორებული იყვეს თემისაგანაც, სოფლისგანაც და ნათესაობისაგანაც... მარტო იმის ცოლს ეძლევა ნება თან გაჰყვეს... დღეის შემდეგ არც ვის არა აქვს ნება მას მიაწოდოს ცეცხლი, თუ უცეცხლოდა ნახა, მიაწოდოს წყალი, თუ მწყურვალი ნახა, მიუშვიროს პური, თუ მშიერი ნახა... ყველას სახლის კარი დახშული უნდა იყოს მისთვის, ყველა დამუნჯებული უნდა იქმნეს მისთვის პასუხის მისაცემლად, ყველა დაყრუებული უნდა იყოს მის ხვეწნის გასაგებად... ხევის ჯვარ-ანგელოზნო, თემის პირის გამტეხს და გადამბრუნებელს შენა რის...

— შესდექ! — ერთბაშად ვიღაცამ ხელი გაავლო გოჩას და სიტყვა გააწყვეტინა.

ხალხმა გაკვირვებით შეხედა ხევისბერის ხელის შემხებს, ნამეტნავად იმ დროს, როდესაც მას ხევის სიწმინდე, დროშის თავი, ხელში ეჭირა. მათ თვალწინ ონისე იდგა.

— შესდექ, ხევისბერო! გუგუა მართალია! — დაიძახა ონისემ, რომელსაც თმა აჰბურძგნოდა და თვალებში სისხლი ისე მოსწოლიყო, თითქოს წამოცვივნას აპირებენო.

ხალხი აიშალა, აირია და ყაყანი დაიწყო. გოჩამ შეარყია დროშა და ზარების ხმასთან ერთად ხმამაღლად მბრძანებლის კილოთი დაიძახა:

— იყუჩეთ! — და ამ ხმის გაგონებაზედ ერთბაშად ყველა გაჩქურდა.

— სთქვი, რას ამბობდი?

— გუგუა მართალია-მეთქი, ტყუილად ნუ დასჯით... გუგუას და მე მიზეზი გვაქვს ერთმანერთის მოსისხლენი შევქნილიყავით... ეგ მთიდგან რომ მოდიოდა, ბილიკებზედ იმად დაეშვა, რომ მე მოვეკალ... მაგრამ გზაში მტერს შეხვდა და მოღალატობას ტყუილად სწამობთ...

— ეგ ვიღამ გიამბო? — ერთბაშად წამოიძახა გუგუამ და ეჭვისაგან თვალები აენთო.

— ჩემის ყურით გავიგონე... როდესაც შენ ლაპარაკობდი, მე გზის იქით ვიყავ, ჩასაფრებული... რაიღა დავმალო?.. მოძმეთ ცოდო მე მაძევს კისერზედა, ჩემი ბრალია მათი გა-

წყვეტა... მე დავკარგე გონი, მტერი მე გამომეპარა!.. გუგუა უბრალოა! — ლაპარაკობდა გაჩქარებით და აღელვებით ონისე და მთლად კანკალებდა. ონისეს სიტყვები ხალხს მეხსავით მოხვდა და გაშტერებული შესცქეროდა.

ზარდაცემული მოხუცი მთლადა ცახცახებდა და კარგა ხანს გონს ვერ მოსულიყო.

ბოლოს ძალზედ ამოიხვნეშა, მოისვა შუბლზედ ხელი და ცვედრებით წარმოსთქვა:

— მაშ ეგრე გაიგონე ჩემი დარიგება? წყეულიმც იყავ, ყველასგან მოძულებულო, დედ-მამის საფლავიდგან ამომგდებო!.. რა სასჯელი არის, რომ შენ გადაგიწყვიტოთ!.. —ამ სიტყვების შემდეგ მოხუცი მსაჯულებს მიუბრუნდა: — მოძმეთ სისხლი ცაში ღმერთს შესჩუხჩუხებს და სამართალს ითხოვს, გადასწყვიტე, თემო!

კარგა მღელვარებისა და ჩოჩქოლის შემდეგ თემის თავნი მიუახლოვდნენ გოჩას და წყნარად წარმოსთქვეს:

— გოჩავ! შენს შვილს ხევი არ გაუყიდნია... მხოლოდ ყმაწვილკაცობას გაუტაცნია და თავდავიწყებაში ჩაუგდია...

— მით უფრო მეტი საბუთია, რომ მკაცრად გადახდეს... კაცს ულვაში ნამუსისთვის გამოუა... ონისე ეხლავე მკვდარია... მაგის სასჯელი ცეცხლში დაწვაა!

— გოჩაუ, — სცადეს მოხუცის შეყენება, მაგრამ პირგამეხებული ხევისბერი ცეცხლებსა ჰყრიდა თვალთაგან.

— უნდა მოკვდეს, მოკვდეს შეუბრალებელად... და თუ თქვენ ვერ გაგიბედნიათ სამართლიანად მოექცეთ... მე მიყუარეთ... — მოხუცმა გაიძრო ხანჯალი, გაქანდა შვილისკენ და შესძახა:

— მოძმეთ მოღალატე სიცოცხლის ღირსი არ არის!

ამ სიტყვებთან ერთად იელა ხანჯალმა და ონისემ მიწაზედ ფართხალი დაიწყო, მოხუცის მახვილს შვილისათვის გული ორად გაეპო. ეს მოძრაობა ისე სწრაფად მოხდა, ისე საჩქაროდ, რომ უბედურების შეყენება ვეღარავინ მოასწრო.

ხალხი შემოიფანტა და ახლო ვეღარ მიჰკარებოდა მოხუცს, რომელსაც ძარღვები ძალზედ უღმეჭავდნენ და უცნაურად უთამაშებდნენ სახეს.

— გოჩა! — ცოტა ხანს შემდეგ ვიღამაც ხელი გააქნია მოხუცს.

— ჰაი? — ანგარიშმიუცემლად წამოიძახა მოხუცმა და მოიხედა.

მის წინ იდგა გუგუა.

— გოჩავ! — განიმეორა იმან ხმამაღლა, — წეღან გითხარ, რომ დამნაშავე არა ვარ-მეთქი, მაგრამ ერთხელ მაგგვარის ცილის შეწამების შემდეგ აღარ ვიცოცხლებ-მეთქი... ვაჟკაცი ერთხელ გადაფურთხებულს ვეღარ ალოკავს... მშვიდობით, გოჩავ, მშვიდობით, ხალხო! — ამ სიტყვებთან ერთად მან გაიძრო დამბაჩა, მიიცა ლულა პირში და ტვინი ჰაერში შეასხა...

მოხუცმა მხოლოდ ამოიკვნესა, მიიხედ-მოიხედა შეშინებულის თვალებით და შეკრთა. ბოლოს დააწყებინა ცახცახი და გასისხლიანებული ხანჯალი, რომელიც ხელში ეჭირა, შორს გადასტყორცნა... რაოდენსამე ხანს ისე ჩუმად იდგა. დაესხა თავსბრუ და ჩაიკეცა, ის დაეკონა შვილს და რამდენჯერმე წყნარის ხმით წარმოსთქვა:

— შვილო, შვილო! — და ზედ გაეკრო.

კარგა ხანს დასტიროდა ონისეს გაყინულს სხეულს; ბოლოს წამოიხედა, გარეგნად დაწყო აქეთ-იქით ყურება და ერთბაშად შეშინებული წამოვარდა.

— შორს, შორს!.. — დაიძახა იმან და ჰაერში ხელები გაიშვირა. — სისხლი, ხანჯალი... შვილი, შვილი! რა იქნა ჩემი შვილი! — ძალზედ შეჰკივლა და ვეფხვივით ღრიალი დაიწყო...

გაიარა კარგა ხანმა, ხევი დამშვიდდა. ცხოვრებამ ჩვეულებრივი მდინარეობა მიიღო.

მხოლოდ სამტვეროს ტყე გადაიქცა ყველასთვის მოსარიდებლად, რადგანაც იქ ჩასახლდა ჭკუაზედ შემცდარი გოჩა და გამვლელ-გამომვლელს თავის შვილზედ ამბის კითხვით არ უსვენებდა. ის ყველას ეპატიჟებოდა თავის სახლში და უამბობდა, რომ შვილს მოელოდა შორის გზიდგან. მერე დაუწ-

ყებდა მუქარას, რომ შაეტყობინებინათ, რა მოუვიდა ონისეს, და ბოლოს შემზარავის ღრიალით გაათავებდა.

ასე მიდიოდა მოხუცის დღეები იმ დრომდის, სანამ ერთს ზამთარს თოვლს ვიწრო ხევში არ ჩაეჩუმქრა.

რაც შეეხება ძიძიას, ის იმ ღამიდგან, რაც ონისეს განშორდა, აღარავის უნახავს.*

[1894]

---

* ეს მოთხრობა სიტყვით-სიტყვამდე მიამბო ფრიად მოხუცმა მოხევემ ღინჯა ხულელმა (ავტორი).

მოჯღვარი

I

გუდამაყრის ხეობას, თითქოს განგებ, გაუპია კავკასიის მთების უმთავრესი ძარღვი და ვიწროს ხეობად შიგ შეჭედილა; ეს ხეობა ავდარსა და ნიაღვარს დაუხრამავს, მაღლობებიდ-გან ჩამონადენს ქვასა და ღორღსა უშველებელის ლოდებით გაუვსია და მეტისმეტად ძნელს გასავლელად შეუქნია. ხშირი და დაბურვილი ტყე, რომელიც ხეობას აქეთ-იქით ფერდობებზედ მისდევს, გახლართულა სხვადასხვა მხვევის მცენარეებით და ყოველი მოძრაობა უფრო მეტად გაუძნელებია. ხეობა თავდება თვალშეუწვდენელის ფრიალოთი, რომელიც, თითქოს განგებ, გზის მოსასპობლად სიგანეზედ გაჰხირებია და იქაურობას მუქარით და ამაყად გადმოჰყურებს. პირველისავე შეხედვით ეს ადგილი იქამდის მკაცრად, გულისდამხურავად და სევდისმომცველად გეჩვენებათ, რომ ნებაუნებლივ გაღონებთ და ამგვარის მდგომარეობის მიზეზი კი ვერ აგიხსნიათ. მუდამ დაბურული, დაღვრემილი და შეკუმშული ბურსაჭირის ფრიალო ნისლს არასოდეს არ იშორებს და იმ ერთადერთს ბილიკსაცა ჰფარავს, რომელიც ჭარსა და ავდარს გაუკვლევია; მკაცრი, მედიდური, შავად და ბნელად გადმოიყურება უზარმაზარი ფრიალო და, თითქოს განრისხებული, ყველას ექადის, ვინც კი მიკარებას გაუბედავს. ხშირი ჩურუსი, მეტისმეტად ვიწრო ბილიკი და ნესტი ფრიალოს წვერებს ანოტიოებს, შლის და ურიცხვს ხალხს და საქონელს იმსხვერპლებს ხოლმე, მაგრამ, თუ ასეთის უსიამოვნო შთაბეჭდილების მომხდენია ეს ფრიალო, ამის სამაგიეროდ, რაწამს გადასავალს გადასცდებით, თვალწინ მთელი ედემი გადაგეშლებათ. თქვენ დაინახავთ

საკმაო მანძილზედ გადაჭიმულს ღელეს, ნაზისა და სურნელოვანის ბალახითა და ყვავილით შემკულს. ვაკე ტაფობა, იმ საშინელის, გულის დამნაღვლებელის გზის შემდეგ, კეკლუც პატარძალსავით მორთული მიგიწვევს და მიგიზიდავს, თავბრუდამხვევის ალერსით შემოგხარით ნაზითა და დამყვავებელის ჰაერით; ვერცხლის გველსავით მინდორზედ დაკლაკნილის მდინარის ჩუხჩუხს ტკბილს დამამშვიდებელს ნანათ მოგასმენთ.

ბურსაჭირის ღელე ედემია, რომელიც კაცს დახურულს გულს გაუღებს, ჯავრს გაუქარწყლებს და სევდას აშორებს. ძნელად შესძლებს მგზავრის გული, როგორც უნდა მიეშურებოდეს, რომ აქ წუთს არ შესდგეს, წუთს არ გაგორდეს მწვანე მინდორზედ და მეტის სიამოვნებით დაქანცული თავი წუთს თვალის მოტყუებას არ მისცეს...

ბურსაჭირის ღელე ზაფხულობით უნდა ნახოს კაცმა, რომ სრულიად გაიგოს და იგრძნოს მთის ბუნების სიტკბოება, მისი მშვენიერება და ის წარმოუთქმელი ნეტარება, რომელსაც ადამიანს გაუღვიძებს!.. აღტაცებაში მოჰყევხართ ხავერდოვანს მწვანეს, სურნელოვანის ყვავილების ყნოსვა გათრობსთ და ტკბილის ძილისკენ მიგიზიდავთ, მაგრამ თვით თვალებდახუჭულსაც კი განუწყვეტლივ ედემის კეკლუცნი გეჩვენებიან, გიალერსებენ და სიცოცხლის სიტკბოებას გაგრძნობინებენ!

ამ ღელეს, თითქოს განგებ, დასამშვენებლად ორ ჯარად მისდევს უზარმაზარი, ცამდის ამართული მთები, რომლებიც ამ წალკოტს დარაჯად შემოსდგომია, რომ უღირსი არ მიაკაროს და უწმინდურის ფეხით არავის გააქელვინოს.

აი ასეთია საზაფხულო სადგური სნოსა და გუდამაყრის ხეობის მეცხვარეებისა, რომელთაც ლაღ ბუნებასთან ერთად თავადაც გული ულაღდებათ და წმიდა ადგილების სიყვარული ძვალსა და რბილში უჯდებათ...

ზაფხული იყო. ბურსაჭირის ღელეში ურიცხვი ცხვარი იდგა. მწყემსებს ჯალაბობა საწველად მიეყვანათ და ურიცხვს ყველსა და ერბოს ამზადებდნენ. ბუნებისგან დაყვავებული და გამხიარულებული მთიელები სიცოცხლის სიტკბოებას ეძლეოდნენ. ყველა მხიარულებდა, ყველა ხარობდა, ბუნების მშვენიერებით აღძრული გული მოუსვენრად ფართხალობდა, გა-

ლაღებული საქონელი თამამად დაფუნდრუკებდა. ნამით გაღვიძებული ყვავილები მზის შუქს ეკრძალვებოდა; გაშმაგებული ფუტკრები მინდვრის კეკლუცთ თავს ევლებოდნენ და წყნარი ნიავი მათ ცელქად შესთამაშებდა, მზის შუქი ცას აწითლებდა და ოქროსფერად მოჰფენოდა ურიცხვს გოლიათებს. ყვავილის კოკრებს, ახლადგამონასკულებს, ოდნავ გადაეხადათ მწვანე პირბადე და გაღიმებული სახე მორცხვად გამოეჩინათ. აქა-იქ მთის წვერებზედ მოჩანდნენ მწყემსები და ამ განთიადს მიეგებებოდნენ სიმღერით ან ჩამავალის მზის შუქს ესალმებოდნენ. ქალები ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ხილის საკრეფად და მწყემსებს შავი ყუჟუნა თვალები ისრად სხივს ესროდნენ. წყალზედ წასულნი მხიარულის ლხინით ერთობოდნენ და მაღლა გაჰკიოდნენ:

სიცოცხლეა გაზაფხული!

ყველგან მოძრაობა, ყველგან გრძნობა თავისი არსებობისა, ყველგან სიცოცხლის ნიშნად აღშფოთებული მოუსვენრობა და დაუცხრომელობა!.. სიტკბოების მჭმუნვარება, შერეული გამოურკვეველს წადილს, ყველგან ისე აფერადებდა სიცოცხლეს და იმდენის სიტკბოებით ავსებდა!

ყველა თვალ მოჟუჟუნე გოგოს გული სძგერდა გაცხოველებული, გამთბარი შავ ბიჭაის ალერსით, ყველა შავ ბიჭას ეგრძნო სანეტარო გულისძგერა; ბაგენი სიმღერას წარმოსთქვამდნენ, ხელები ტაშსა სცემდნენ და გული დათამაშობდა; ეს ყველა უერთდებოდა ბუნების მოკაზმულობას და საერთო მეჯლიშისთვის მომართულიყო.

ამ საერთო შეხამებას, თითქოს განგებ, უფრო მეტის განსხვავების გამოსაჩენად, განშორებოდა ერთი ყმაწვილი ქალი, გასაოცარის სილამაზისა და დაობლებული მარტოდ გასულიყო.

იმას ვერც ქალებში გარეულს ნახავდით, ვერც რომელსამე ფარეხში, ანუ ბინაში, ვერც ამხანაგთან და ტოლებთან! განცალკევებული დღე ღორღებში იმალებოდა, რადგანაც ტანისამოსი შემოსძარცვოდა და ხალხისა რცხვენოდა, რომ არ დაენახათ. თავის სამალავიდგან, ტყის ნადირსავით, მხოლოდ

მაშინ გამოძვრებოდა, როდესაც სხვები, მუშაობით მოღალულნი და დღის სიტკბოებით დამტკბარ-დასუსტებულნი, განსვენებას ეძლეოდნენ. ღამის სტუმარი გამოვიდოდა მთვარის შუქზედ, მავნე სულსავით დაფათურებდა მინდვრად, წყლის პირად და, დღის შუქს მოკლებული, მთვარის სხივებით კმაყოფილდებოდა.

ქალი იქნებოდა ჩვიდმეტ-თვრამეტის წლისა, მაშასადამე, იმ ხანში, როდესაც მთაში არც ერთი გული უტოლოდ არა რჩება და ეს კი მარტო, სრულიად მარტო, უგზო-უკვლოდ დადიოდა. სიყმაწვილესთან ერთად იყო ლამაზიც და ტანადიც, სიტყვით, ერთი იმ მთის ყვავილთაგანი, რომელსაც წუთს მოჯარშიყე არ აკლდება და ათობით და ოცობით თავმომწონე ბიჭებს მის დაპატრონებისათვის დაუფიქრებლად თავს გადაადებინებდა, საცხოვრებლიდგან ხელს ააღებინებდა და ათასი სიცოცხლე რომ ჰქონოდა, სუყველას ერთად მის ჟუჟუნას, თუმცა სევდიანს თვალებს შეაწირვინებდა. მაგრამ მისთვის არც შჯრუნველი, არც პატრონი, არც გამფრთხილებელი... ისიც კი თავით იცოდა, რითი სცხოვრებდა, რითი იკვებებოდა და სულს რითი იბრუნებდა!

აგერ მთვარემ ამოჰყო წვერი და, როდესაც ყველა ბინებში მიიძინეს, თვით ძაღლების ყეფის ხმაც კი შესწყდა, ქვის ძირიდგან მოჩვენებასავით გამოძვრა დასუსტებული და ჭმუნვარებამოცული ქალი. გაწეწილი თმა, დაფიქრებული სახე, ნაფლეთ-ნაკონკები, ტანისამოსის მაგივრად, უპატრონოს სწორედ ალს ამსგავსებდა.

გამოსვლისთანავე მიიხედ-მოიხედა, ამოიოხრა და მდინარესკენ გასწია; იქ დაჯდა, დაიბანა ხელები და პირი; დაღონებულმა გახედა მთვარის შუქით მოფენილს მთებსა და დაფიქრდა.

წუთის სოფელო! უფალმა
შეგამკო ათასგვარადა,
ერთი რო კარგად მოაწყე,
ცხოს რად არ აგდებ ფარადა!..

წარმოსთქვა მწუხარის ხმით უცნობმა და მთვარეს დააკვირდა. ვინ იცის, ამ დროს რა ოცნებამ წაიღო უბედურის გონება; ვინ იცის, რა სურათები ეხატებოდა თვალწინ; ვინ იც-

ის, რა წარსული გაჰყოლოდა და კიდევ რას მოელოდა ცრუ და მუხთალის ბედისაგან... იმის სახეს ეტყობოდა, რომ ყოველი მოგონება, ყოველი წარმოდგენილი სურათი მძლავრს სიცხეს აღუძრავდა, უწყალოდ უკუწავდა გულ-მუცელს და მდუღარე ცრემლად გადმოეღვრებოდა. ცოტა ხანმაც გაიარა და ქალმა დაიწყო მოთქმით ტირილი, მაგრამ ისეთის მოთქმით, რომელიც ქვას გახეთქავდა და მიწას აადუღებდა.

— ბეჩაუ! დაბრმები ამდენის ტირილითა! — მოისმა ხმა. უცნობი შეკრთა, გაჩუმდა და ზეზეც წამოდგა.

ახლადმოსული იყო წარმოსადეგის ტანისა, შუახნის დედაკაცი, გაბედულის, მაგრამ კეთილის სახით. ამხანაგად ჯოხისა, ხანჯლისა და ერთის ძაღლის მეტი არა ჰყვანდა-რა.

— რაისთვი ადექ?.. იჯექი, იჯექ!.. მეც ბატარას დავისვენებ, თორემ კარგადაი მთა მაქვს ასასვლელი... — დაჯდა ახლად მოსული და უცნობიც მოისვა გვერდით; მოიხსნა გუდა, ამოალაგა პური, ყველი და ხორცის ნაჭრები, მაგრამ მეორე ქალი ხელს არ ჰკიდებდა.

— აიღე, ქალაუ!.. აიღე, შე ბედშაო!.. შეჭამე ბატარაი, თორემ დაილევი, მოკვდები და სულს მავნეს მისცემ.

— უფალმა გილხინას... შენგან არ ვიკვებები?.. ცხო რაი მაშავია? — წარმოსთქვა ყმაწვილმა გოგომ და დაუმატა: — ძალად კი არ მოვიკლავ თავსა, მაგრამ ჩემთვის რა ბედენაა სიკვდილ-სიცოცხლე! სიკვდილი მომასვენებდა მაინც.

— სუ-ღა, სუ! უფალს ნუ აწყენ!.. აიღე და ჭამე.

— ჯერ არ მშიან.

— რაი გეშიება, რომ მთელი დღე და ღამე ტირი? — უსაყვედურა დედაკაცმა, აიღო ჯამი, ამოამსო წყალი და მისცა. — მოიბანე თვალები და ბატარაი კიდეც დალიე... გულს გიპოვნის და მადასაც გაგიხსნის.

გოგომ რჩევა მიიღო, მოიბანა თვალები, დალია წყალი და მეორე დედაკაცმა კი ჯაყოთი ხორცის ჭრა დაიწყო.

— მეც შენთან ვივახშმებ, რადგანაც პური არ მიჭამია... როგორი მკერდია!.. აიღე, ქალაუ, აიღე! — უთავაზებდა ხან ერთს ნაჭერს და ხან მეორეს.

დაღონებულმა ლუკმა აიღო, ჩაიდო პირში, დაღეჭა, დაღეჭა და გადმოყარა.

— ოჰ, ჰო, ჰო! როგორი მწარეა! — წარმოსთქვა იმან და ისევ წყალს დაეწაფა.

— კარგია-ღა, ჩე! რამ გაამწარა? აბა მე მიყურე, როგორა ვჭამ, — უთხრა მოულოდნელმა მასპინძელმა, რომელიც მართლა ისე ილუკმებოდა, თითქოს მთელი კვირა არა ეჭამა-რა,— ერთაი, ერთაი ლუკმა შეჭამე და მერე თავად მოგინდებაის.

გოგომ გაუგონა, ძალა დაატანა თავისთავსა და, მართლა, რამდენიმე ლუკმის ჩაყლაპის შემდეგ, მადა გაეხსნა.

ორთავ ჭამა დაიწყეს და პურის ჭამის დროს არც ერთს ხმა ალარ ამოუღია, მასპინძელს — შიშით, რომ ქალი არ შეეკრთო, და სტუმარი კი ბუნების მოთხოვნილებას თავდავიწყებამდის მიეყვანა.

როდესაც ორთავ საკმარისად გული იჯერეს და შიმშილი მოიკლეს, ახლადმოსულმა უთხრა:

— მაი, ქალაუ, ჩვენს ბინაში წამოდი!..

— ვერ წამოვალ, — ბეჩავად უპასუხა ქალმა და ცრემლები მოერია.

— რაისთვი ვერა, რაისთვი?

— იმისთვი, რომა... — ქალი ჯერ შესდგა, შემდეგ საჩქაროდ დაუმატა: — რაი დაგიმალა... შენ არსად გამცემ... და მოწყალებას არ მომაკლებ... თემს მოშორებული ვარ.

— თემსა! — წამოიძახა დედაკაცმა და უკან მიაწყდა, თითქოს უწმინდურის სიახლოვესაც კი შაეძლო გაემურტლა და რამდენსამე ხანს დააცქერდა, სანამ სიტყვას მოახერხებდა.— რაისთვი? — ბოლოს ძლივს იკითხა იმან.

— იმისთვი, რომ... ნუ, ჩემო ყველავ! ნუ მათქმევინებ.

დედაკაცი გაჩუმდა, ჩაფიქრდა რამოდენსამე ხანს და ბოლოს ჰკითხა:

— ვისის გორისა ხარ?

— რად გინდა?

— არც რადა, ეგრე გკითხე... რაი გქვიან, არც მაგას მეტყვი?

— რად არა, თუ ღვთის ფიცს მომცემ, რომ არავის გააგებინებ ჩემს აქ ყოფნას.

— არა, აგრემც შვილები შემრჩების.

— მაყვალა.

— მაყვალაი? — წამოიძახა დედაკაცმა და გაფითრდა. — ვიცი, ვიცი, ვინცა ხარ... ღვთის ფიცს გაძლევ, ქალობამც გამქრობია, თუ გაგცე... მაგრამ მაი, დედაის გულო, ჩამოდი ჩვენს ბინაში და ეგრე შეგინახავთ, ეგრე დაგმალავთ წმინდის გივარგის მადლმა, რომ მზის შუქმა ვერ დაგინახოს, ნიავი ვერ მოგეკაროს.

— არა, შენაი ჭირაიმე... უბედურს გზას მე დავადექ და შენც უბედურობაში ვერ გაგრევ.

— მე რაისთვი გამრევ?.. წამოდი... ერთაი შვილაი მყავს და ის ჩემს უნებურს საქმეს ვერ დაიჭერს... თუ გაგვიგეს, ორანი ცხორანი გვყვანან და, ღვთის მადლმა, მაგ საქმეზედ გადავაგებთ და შენ კი მასპინძლობას გაგიწევთ.

— გიშველოს უფალმა! ღვთის მადლმა, შენმა სიტყვებმა გული მოალბო, სული მოასვენა, — უპასუხა მაყვალამ და დაუმატა: — სამანი ჩამისვეს... დამწყევლეს, დამკრულეს მეცა და ისიც, ვინც ხელს მომაწვდის... სოფლის ყბად აღება ძნელია... აჰა, გატყობინებ და, თუ გინდა, ლუკმასაც ნუღარ მომაწვდი...

დედაკაცი დაფიქრდა და დაღონდა; მეტად ძნელი იყო ამ სიტყვების გაგონება. მთაში აღზრდილი ადამიანი, რომელსაც წყევლისაც და ლოცვისაც სრული რწმუნება აქვს, რომელსაც სჯერა, რომ ხმა ღვთისა ხმა ერისა არის, — ძნელად იკისრებდა ამისთანა განსაცდელში ჩავარდნას. აქამდის იმან არ იცოდა, ლუკმას ვის აწვდიდა; ისა ხედავდა ყოვლად უსავანოს, უნუგეშო ქმნილებას, რომელსაც სულის მოსაბრუნებელი არა ჰქონდა და ლუკმას აწვდიდა; მაგრამ ეხლა რა უნდა ექნა? ეხლა, როდესაც გაიგო, რომ მისგან მიღებული თემისგან განდევნილია, მისგან გაკითხული, შეწყნარებული — ხალხისგან შეჩვენებული ყოფილა?! არამც თუ მხოლოდ დამნაშავეს სახელი იყო სამანში ჩატანებული, არამედ იმისიც, ვინც განდევნილს წყალს მიაწოდებდა, ლუკმას გაუშვერდა.

დედაკაცს ეტყობოდა, რომ მის არსებაში ორს მოპირდაპირე გრძნობას ბრძოლა ჰქონდა და არ იცოდა, რომელს მიჰკედლებოდა. ერთის მხრით რწმუნება, რომ თემის დებულება უნდა შეესრულებინა და მის დარღვევისთვის პასუხისმგებელი უნდა შექმნილიყო კაცისაცა და ღმერთის წინაშეც; მეორე

მხარეს კი უბედური, რომელსაც მშველელი ხელი ეჭირვებოდა, უამისოდ ადამიანი იღუპებოდა და ქრისტიანი სული იკარგებოდა!.. მეტად ძნელი იყო გადაწყვეტა, მეტად ძნელი იყო უცნობისთვის არჩევა. ქვრივი ჯათია ობლისშვილისა მთელს გუდამაყარში გულკეთილობით განთქმული იყო, მისი მოძღვარი პირველს ქრისტიანად სთვლიდა და მართლაც რომ ქრისტიანული თავგანწირულებაც საკმარისი ჰქონდა.

— რა ვუყოთ, მაყვალაისი! — ბოლოს დაყვავებით უთხრა ჯათიამ. — ხალხი ცოდვილია და მხოლოდ ღმერთი — შეუცდომელი... ქრისტიანს ეგრე ვერ დაგაგდებ, წავიდეთ.

— ბეჩაო ჩემო თავო! და ხალხში განა თავათ-ღა გამოვყობ თავსა? — უპასუხა ქალმა და მწარედ დაუმატა: — მაყვალაი მოკვდა ხალხისთვის, მაყვალაი აღარ არის.

— ნადირი შეგჭამს, ცხო რომ არა იყოს-რა. ეგრე საით იცხოვრებ. ეხლა კარგი... ცხორი აქაა, სანამ აქ ვიქნები, როგორც ღმერთს ვერ ვუღალატებ, ისე შენა... შენს კერძს არ მოგაკლებ, მაგრამ ზამთარს, ქალაუ! ზამთარს რაღასა იქ?.. ცხორი წავა და რამ უნდა დაგარჩინოს?

— უფალმა იცის. — მხრების აწევით უპასუხა ქალმა და დაუმატა: — თუ იმას უნდა — დამარჩენს, თუ არა და, კაცისგან ხელით ვერ შაეფარების.

ბევრს ეცადა ჯათია, ბევრი ეწვალა, მაგრამ მაყვალა თავისას გაიძახოდა. ის ვერ მიეკარებოდა ხალხს, ის თავს ვერ გამოჰყოფდა იმათში, ვინც საუკუნოდ თავი მოსჭრა, ვინც სამუდამოდ მანდილი მოხადა.

ასე მიდიოდა მათი ცხოვრება მთელს ზაფხულსა. ჯათია თანდათან რწმუნდებოდა, რომ ქრისტიანის ამ დღეში ჩაგდება ღმერთის მოსაწონი არ უნდა ყოფილიყო, თუმცა ვერც ხალხს ამტყუნებდა, რომელიც სასტიკის მაგალითებით ნამუსის და პატივის დაცვას ცდილობდა. მხოლოდ ერთი ვერ გადაეწყვიტა: მან არ იცოდა, ჰქონდა უფლება, რომ ხალხისაგან განწირულისათვის მოწყალე ხელი მიეშვირა, თუ არა; და ამისთვის, როდესაც კი მაყვალასკენ გაემგზავრებოდა, ყოველთვის პირჯვარს გადაიწერდა და წყნარად წარმოსთქვამდა:

— უფალო, გული საშველად მერჯის და თუ ცოდოს ჩავდიცარ, შენ მაპატიე!

II

ზაფხულმა გაიარა და მშვენიერ, მწვანით მოსილს ბუნებას ფერი ჰკრთომოდა. დაჰბერა ჩრდილოეთის ქარმა, ყვავილებმა თავები დახარა, ბალახი მოიშუშა, მოდუნდა და დამჩვარდა; მწყერებმა დიდი ხანია თბილს ქვეყნებს მიმართეს და აღარც მერცხლების ჭიკჭიკი ისმოდა სადმე. მხიარული, მოღიმარე ცა ტყვიისფრად შეიცვალა და მოჭმუხვნილ-მობურული სატირლად ემზადებოდა, გასუქებული, გათქვირებული საქონელიც გაჩუმებულიყო და მხიარული ბღავილი აღარსად ისმოდა. ათასში ერთგან ყოჩი ყოჩს თუ დაჰკრამდა სადმე, რომ შეცივებული სხეული შაეთბო და გათოშილი სისხლი მოძრაობაში მოეყვანა. მწყემსებიც კი ძალზედ იჭუჭკებოდნენ ნაბდებში და დაბუზვილებს თავპირის გამოჩენა ეზარებოდათ. ღელეში ნისლი ჩამოწვა კუთ-კუთად და შავად ჩამოაბნელა იქაურობა; ყველაფერი დაღონდა, ყველას მგლოვიარის სახე დაედო, გული ჩაიხურა; ჰაერი დანესტიანდა, დამძიმდა და წყაროს მხიარულს ხმაურობას აყრუებდა. ღამეები გადიდდა, ნადირი ცხვარს ეტანებოდა უფრო მეტად და ძაღლები აღარ ისვენებდნენ. გამოდარებული, მოწმენდილი ჰაერი სწრაფად აიშლებოდა ხოლმე; აქა-იქ გაჩნდებოდა ნისლი, რომელიც თითქო მიწიდგან იზრდებოდა და ბოროტის ხელის მახვილსავით მთის წვერებზედ მიცურავდა, გამოჩნდებოდა მეორედგან და გაიძაბებოდა, მესამედგან მტვერსავით აღმა ავარდებოდა და ერთბაშად ტრიალს და რევას დაიწყებდა. ორპირი ქარი ერთმანერთს გრიალით შაეჯახებოდა და მედგრად ერთმანერთს მოხვედრილი, ორს თავგადადებულს ფალავანსავით, მოუტრიალდებოდა ერთმანერთს. ისმოდა სტვენა, ზუზუნი მოუსვენარი ქარისა და მას უერთდებოდა გახარებული ხარხარი მავნე სულისა. ძალდატანებული კლდე იშლებოდა და დაბლა გრიალით მოდიოდა; ავდრის წინამორბედი ჩკები და ყვავები ტრიალებდნენ და უსიამოვნო ჩხავილით სევდით გულსა ჰბურავდნენ. ტკბილი, სასიამოვნო, კაცისგულის დამყვავებელი ბუნება თითქოს სოდომათ გადაქცეულიყო, სადაც მთელის ქვეყნის მაცდურნი მოგროებულიყვნენ, გაემართათ მეჯლიში და საჯოჯოხეთო ხმაურობით დროს ატარებდნენ.

აიყარა ცხვარი და გასწია ჯერ სოფლებში ჩასასვლელად და

შემდეგ ზამთრისთვის უფრო თბილს ადგილებში გასამგზავრებლად. ყველანი ცდილობდნენ, რომ მგზავრობაში წინ მოქცეულიყვნენ, რადგანაც ბურსაჭირის გასავლელი ვიწრო იყო, დიდი სიფრთხილე უნდოდა და გავლის დროს მეტად აგვიანებდა, ზამთარი კი ახლოვდებოდა და მუდამ ჩაკუმშული ნისლი ამ ფლატო-ფრიალოებს არა შორდებოდა, ჟინჟღლავდა და ავდარს ეჭადებოდა. გაიკრიფა ყველას ცხვარი, გარდა ჯათიასი, რომელიც როგორღაც გვიანობდა. ბოლოს ისიც დაიძრა და დაცარიელდა გაცხოველებული ადგილები. მხიარული ხმაურობა შესცვალა სავაგლახო, უსიამოვნო, გულის მომწყვლელმა ხმაურობამ.

ცხვრის აყრის დროს ჯათიამ წამოავლო ხორაგით გაჭედილს გუდას ხელი, წამოიკიდა ზურგზედ და შვილს უთხრა:

— თქვენ გასწიეთ და სანამ ბურსაჭირის გასავალში მიხვალთ, მეც მოგეწევით.

— კარგია-ღა, ჯათიაისი, წამოდი! — უპასუხა მზრუნველობით შვილმა, — რაი დაგრჩენია აქა, რომ იგვიანებ?..

— სუ-ღა, იყუჩე! — შეუტია დედამ, — თავად ვიცი, რაიც დამრჩენია, შენ ცხორს მიხედე.

— მარტოკა რჩები ამ ჯოჯოხეთს ადგილსა და ვინ იცის რაი შეგემთხვას.

— ნუ სდარდობ.

— მაი, მეც აქ დავრჩები შენთან და მერე ერთად წავიდეთ. — არ უსვენებდა შვილი.

— შენ რაიღა უნდა გამირიგო, რო დარჩე? — ამაყად ჰკითხა დედაკაცმა და დოინჯი შემოიყარა.

— რაი ვიცი, ნადირს მაინც მოგაშორებ.

— ვაი!.. — ჩაიცინა დედაკაცმა და ხანჯალს ხელი გაივლო, რომელსაც არა შორდებოდა, — შერცხვეს ჩემი ქალობა, თუ შენისთანა შვიდი არ შევკარ!

ამ სიტყვებზედ შვილსაც გაეცინა და თავისათვის წაიბუტბუტა:

— ეხლა ამბობ ეგრე, თორემ აბა ერთი გაგჭირვებოდა... ეგრე გამოიქცეოდი, პირისმზის მადლმა, რო...

— ვინა, მე? — შეუტია დედაკაცმა, წაავლო ხელი და დასჭყივლა: — გამაგრდი, შე ლაჩარო, გამაგრდი! — მიიქნ-

მოიქნია, გამოჰკრა ფეხი და მიწაზედ გაშხლართა. შემდეგ წამოაყენა და შეხუმრებით უთხრა: — ბეჩაო! მაგრს გული გჭონდა?

— ლიჭყია და ფეხი მომისხლტა, — ცოტა არ იყოს დარცხვენით უთხრა შვილმა. ჯათია, მართალია, დედა იყო, მაგრამ მაინც დედაკაცი და დედაკაცისაგან ვაჟკაცის გალახვა... ადვილი არ იყო.

— ბეჩაო, ჩემო თავო! სულ მშრალი ადგილი სად მოგინახა? — სიტყვა მოუჭრა დედამ და დაუმატა უფრო მეტის მზრუნველობით: — კარგია, წადი, თორემ მეც მიგვიანდების.

შვილმა აღარა უთხრა-რა, გაბრუნდა ცხვრისაკენ და დედამ კი ღორღებიანს ადგილისკენ გასწია.

ჯათია მივიდა იმ ადგილს, სადაც ქალის სადგური იყო, მაგრამ იქ ვეღარავინ მოახელა. ეტყობოდა, რომ ქალს ქოხისთვის თავი დაენებებინა.

— ბედშავი! — თანაგრძნობით წარმოსთქვა დედაკაცმა და დაუმატა: — სიცივისთვის ვეღარ გაუძლია და წასულა სადმე.

ის იყო გამობრუნებას აპირებდა, როდესაც თავში გაუელვა აზრმა და ხმამაღლა წარმოსთქვა:

— იქნება არ წასულა და მე დამემალა. ეს ხორაგი მაინც იმის სახელზედ არის წამოღებული, დეე აქ იყოს; საკმელ-სანთელი თავის გზას არ დაჰკარგავს.

ამ სიტყვებით გუდა მოიხსნა, დააგდო იქა და თითონ კი გამოვიდა; მიიარ-მოიარა იქაურობა, მრავლისაგან მრავალი ეძება, უძახა, უყვირა, მაგრამ მაყვალა არსად გამოჩნდა.

მზე გადიწვერა და თოვლი წამოვიდა, დედაკაცი მეტს ვეღარ დაიგვიანებდა და გულმხურვალედ წარმოსთქვა:

— ღმერთო, დიდებულო სამებავ! ნაღვარევისა და წმინდა გივარგი, პირისმზის მადლო, თქვენ დაიხსენით საწყალი მაყვალაი განსაცდელისაგან! თქვენ მოუმართეთ ხელი და ნუ დაღუპავთ ბეჩავსა!

ამ სიტყვებით გამობრუნდა და ბურსაჭირის ფრიალოსკენ გასწია.

ის იყო ჯათია ქედს გადაეფარა, როდესაც მოპირდაპირე ღორღებიდგან ვიღამაც ამოჰყო თავი და მიმავალს ცქერა დაუწყო. ეს იყო მაყვალა, რომელიც ჯათიას დამალვოდა, რომ

არ გადაჰკიდებოდა და დასუსტებული, სულიერად დავარდნილი ქალი არ დაეძლია, არ დაეთანხმებინა და თან არ წაეყვანა. მაყვალას კარგად ესმოდა, რა პასუხისგებაშიაც ჩააგდებდა თავის გულკეთილს მასპინძელს და სიკვდილი არჩია ღვთიურის ადამიანის გაწირვასა. იმან ამოჰყო თავი და გამოაჩინა ფერმიხდილი, უკანასკნელს ნუგეშს მოკლებული პირისახე. უბედურს ტუჩები გალურჯებოდა და ძალზედ უთრთოდა. თითქოს რიღაცის თქმა უნდოდა; სევდიანი თვალები ჩასცქეროდა მიმავალს, და ყოველს ფეხის გადადგმაზედ ქალიც წამოიწევდა ხოლმე, თითქოს მასაც ვიღაცა ეზიდებაო; ერთი ხელი მიეტანა მკერდთან და ისე ძალზედ მოეჭირა, რომ თითები ხორცში ჩაესვა, მას თითქოს უნდოდა გაშმაგებულის გული ბრძოლა შეეყენებინა და ნება არ მიეცა ბუდიდგან ამომხტარიყო. თვალები ჩასცივნოდა და თვალის ძირები ჩალურჯებოდა. ქარს თმა გაეწეწა და მთლად მომაკვდავისთვის დაემსგავსებინა.

ერთბაშად დაჰქროლა ქარმა, ნისლი წამოაყარა და მაყვალას თვალთათვის ჯათია სამუდამოდ დაჰფარა. ქალი მისწვდა ყელს, რადგანაც თითქოს რაღამაც წაუჭირაო, თმები ტყრშიალით აღმა წავიდა და თავში ავარდნილმა სისხლმა გონება დაუბნელა, დაბარბაცდა, დაეცა და მდუღარე ცრემლები ნაკადულად გადმოედინა.

— წავიდა, განქრა!.. და მასთან მოისპო ჩემი სიცოცხლის იმედიც! — წარმოსთქვა წყნარად და მეტის გამწარებით ქვას თავის წყვეტება დაუწყო...

გაიარა ხანმა, დაოსდა, დასუსტდა და მიიღუშა. ადამიანი უბედურებას მალე ეჩვევა. გამწარებული სიცრცხლე გულს უთვისდება; რაც უწინ შეუძლებლად ეჩვენება, უბედურებაში ველარ ამჩნევს. მაყვალაც ასე იყო. მეტად ბევრმა მწუხარებამ შეიპყრო, მეტად ბევრმა ცრემლმა დაღალა მისი გული, მეტის-მეტად ძლიერმა ცეცხლმა ჩასწვა, ჩასთუთქა და ჩაფერფლა ისე, რომ გრძნობა სრულიად დაჩლუნგებოდა. მეტად ძნელს მდგომარეობაში იყო მაყვალა, რადგანაც ყინვარში ტანისამოსის ნაფლეთები მაყვალას კანს ვერა ჰფარავდა. მეტად ძნელი იყო მარტოობა ამ გულის მომწამლავს, სევდით სავსე ბუნებაში, სადაც ყოველს წუთს უნდა მოელოდნა, რომ ან დათვი დაჰფათ-

რავდა, ან მგლების კერძად შეიქნებოდა და ან კიდევ, რაც უფრო ძნელი იყო, თოვლში გახვეული მიწასაც კი ველარ ეღირსებოდა სამარედ!.. ასეთი იყო მაყვალას მდგომარეობა, მაგრამ იმან უკანასკნელად თვალები მოიწურა, უკანასკნელად ამოიხვნეშა და თავის ქოხისკენ გასწია. რომ ქარს მაინც არის მოჰფარებოდა და სულიერს ტკივილთან ხორცის გამწარება მაინც შეემსუბუქებინა. ამგვარად გაატარა რამდენიმე დღე, მაგრამ ყინვა გაძლიერდა, ზამთარი გაბრაზდა და გაშმაგებული სიცივე კი ყოველისფერს აყინულებდა. ქალი წარმოუდგენელს ტკივილებსა ჰგრძნობდა, საჭმელი შემოელია და ერთბაშად სული გაუტკბა, მასთან განშორება გაუძნელდა და დაფიქრდა თავის საშველად მოეხერხებინა რამე. ხევსა და მთიულეთს ვერ გავიდოდა. რადგანაც თემს მოშორებული იყო და არ მიიკარებდნენ. მაშასადამე, სულის მობრუნება მხოლოდ ქართლში-ღა შეეძლო, სადაც იპოვიდა რომელსამე გულკეთილს ოჯახობას, თავის ჯანს და ყმაწვილქალობას შეალევდა და მოუსვენარის შრომით ლუკმა-პურს მოიპოვებდა, მოიპოვებდა იქამდის, სანამ სიკვდილი თვალებს სამუდამოდ დაუხუჭავდა და მწარე ხვედრს მოაშორებდა. როგორც იფიქრა, ისეც გადასწყვიტა: მოემზადა, ჩაიცვა, რაც კი მოეპოვებოდა, და გაუდგა გზასა; თოვლი საკმაოდ მოსულიყო, ქარს ნამქერის მთები აეშენებინა და დასუსტებულს სიარული უჭირდებოდა. წინ ჯოჯოხეთად მოჩანდა ბურსაჭირის ფრიალო, რომელსაც ნისლი შემოხვეოდა და შავბედათ ჩამობნელებულიყო. რამდენიმე ყორანი თავზედ დასჩხაოდა, უკანასკნელად ესალმებოდნენ აუცილებლად დასაღუპავად განწირულს მსხვერპლს, მაგრამ, რამდენადაც ქალს გაჭირვება ხვდებოდა, იმდენად ძალა და გადარჩენის წადილი ემატებოდა, იმდენად მეტის მხნეობით ებრძოდა წინ გადაღობილს გაჭირვებას.

ქალი თუმცა დაიღალა, დასუსტდა, მაგრამ ბურსაჭირის გასავალს მშვიდობიანად მიაღწია. კიდევ ცოტაც და, სამშვიდობოს გავიდოდა. მაგრამ ერთბაშად ქარმა დაჰქროლა, ბოროტად დაჰხუხუნა და ყოველის უბედურების ერთად ქადილით სველი, უსიამოვნო თოვლი სახეში მოაყარა: ქალს სული შესტაცა. თვალთ დაუბნელა და ჰაერის ამოსუნთქვის ნება აღარ მისცა. ნისლი უფრო ჩამოწვა და ჩამოიხურა; ჩამოშნელდა,

ჩამოცხა და მოისმა ჭექა-გრიალი. აქამდის დაჩუმებული ადგილები ეხლა დამაყრუებელის ხმაურობით გაივსო, რადგანაც ქარისაგან მიყრილი თოვლი მთას ველარ ეკიდებოდა და, გამოსხლტილი, შურდულსავით დაბლა ხეობისკენ ჰიქანავდა. ქალი მოეფარა ერთს კლდეს, რომ ზვავს სადმე ქვეშ არ მოეტანა. გზის გაგრძელება შეუძლებელი იყო, რადგანაც ყოველი მეცადინეობა, რომ ფეხი გადაედგა, ამაოდ რჩებოდა, რადგანაც წამდაუწუმ თოვლს აყრიდა და შიგა ხვევდა. თბილოდა, მაგრამ ქალი ჟრიანტელსა გრძნობდა, ხორცი ეწოდა; დასუსტებულს თითქოს ძალა ელეოდა. ერთბაშად ჭალს ყურებმა შხუილი დაუწყო, სისხლი თითქოს უფრო ჩქარა დაეძრა და რაღაცა გვარს გაშტერება-გამოყრუებაში ჩავარდა. შემდეგ იგრძნო სასიამოვნო სითბო და მოუძლურება; ისე რიგად მოეშვა, თითქოს ტანი დაეშალაო და მოდუნებულს თვალები დაეხუჭაო. ქალს თავში გაუელვა, რომ იღუპებოდა, შეინძრა, შეშინებულმა თვალები გაახილა, მაგრამ იმავ წუთს ბურანსავით რაღაცა მოეხვია და წყნარ-წყნარად თვალები ისევ დაუბნელდა. წუთიც, და კლდეს მიყუდებული ქალი ხვრინავდა; ქარი კი მოუსვენრად თოვლს აყრიდა, თითქოს ნაზი არსების სიცივისგან დაფარვა უნდაო.

III

ხალხში რწმუნებაა, ვითომც გამძვინვარებული ბუნება მხოლოდ მაშინ შესდგება და გაყუჩდება, როდესაც ვისმე იმსხვერპლებს. მართლაც, დღეს ამის შემდეგ, ბურსაჭირშიაც სიცივე მოტყდა, ქარი ჩავარდა და განთიადთან ერთად ნისლი გაიმქრია. ცა მოიწმინდა და მზის შუქებმა იქაურობა გააანათა. გასაოცარს სურათად გადაქცეულიყო იმ ადგილების მდებარეობა. უფსკრულად ჩახეთქილი ხეობანი თოვლით ამოვსებულიყო და ყინვას გადაესალა. ჩამოსულის ზვავების მთები აშენებულიყო და ისეც დაოღრო-ჩოღროებული ადგილი ეხლა უფრო არეულიყო. მთლად თეთრად მოქცეულს ადგილების შუა, აქა-იქ ამოეხეთქა კლდეებს, რომელთაც თოვლი ვერ მიჰკარებოდა და შავად ამართულნი, წარსულის ღამის შავისა და ბნელის შემთხვევათა მოწმედ დარჩენილიყვნენ. ყვე-

ლაფერი გაჩუმებულიყო, ყველა დადუმებულიყო, თითქოს ყველას თავი მოეხარა მედიდურს ბუნების წინაშე.

ერთს ადგილს რაღაც შეინძრა და წუთს შემდეგ ვიღაცა კაცი გამოჩნდა. ის მოდიოდა წყნარად და დაფიქრებული, ფეხებზედ თხილამურებგაკეთებული მტკიცედ მოაბიჯებდა, მოხუცებულს სახე სარწმუნოებით და გონივრული გულკეთილობით უბრწყინავდა. თეთრი, ბროლსავით წვერი ხანისაგან რაოდენადმე შეჰყვითლებოდა და მკერდზედ რბილს აბრეშუმსავით ეყარა. მოხუცი ტანადი, ძარღვიანი და კარგად შეკრული კაცი იყო. თუ სახეზედ ეტყობოდა, რომ მას მცირე მწუხარება არ ენახა, სხეული უმტკიცებდა, რომ მისი კარგამყოფობა და ჯანი ბევრს ყმაწვილს კაცსა სანატრელად გაუხდებოდა. ის იყო ჩაცმული ამ ადგილების შესაფერად; თბილი ტყავი, რომელიც გარედგან თოკით ჰქონდა შემოჭირებული, და ამგვარივე ბატკნის ტყავის ბანჯგვლიანი ქუდი. ხელში ეჭირა ნიჩაბი და გზას მოიკვლევდა.

გვერდით მოსდევდა გონიერი, მოწითანო ძაღლი, რომელსაც უშველებელი ტუჩები თითქოს განგებ მოჰმუროდა.

მოხუცი არა ჩქარობდა, სინჯავდა და ათვალიერებდა იქაურობას, თითქოს ვიღაცას მოელოდა და თავისთვის უკმაყოფილოდ რაღაცას ლაპარაკობდა.

ეს გახლდათ გუდამაყრის ხეობის მოძღვარი, რომელსაც ხალხში ცხოვრება დამძიმებოდა, გამოსულიყო ბურსაჭირის გამოქვაბულში და თავის დღეებს იქ ღვთის ლოცვაში ატარებდა და გაჭირვებულს მგზავრებს შემწეობას აძლევდა ხოლმე.

— ტიალი! გონჯი ღამე იყო, — წარმოსთქვა ონოფრემ და დაუმატა: — თუ ამაღამ არავინ იმსხვერპლა, კარგი იქნება!— ამოიოხრა იმან.

ამ დროს ძაღლმა ყვავი დაინახა, რომელიც იქვე გზაზედ ჩამომჯდარიყო და გლოვის ზარად ჩხაოდა. გამოუდგა, მაგრამ ყვავი გაფრინდა და ძაღლი კი მივიდა იმ ადგილს, სადაც ყვავი იჯდა, შესდგა, დასუნა ადგილს და მწარედ შეჰყმუვლა.

— ჰა, ყურშა, ჰა! — დაუძახა მოძღვარმა, მაგრამ ძაღლი არა ბრუნდებოდა და არც ყმუვილსა შლიდა.

— ტიალო, რა გაყვირებს, რაი ნახე? — წარმოსთქვა ონოფრემ და გზა გააგრძელა.

ერთბაშად ძაღლმა ისევ ყმუილი გააბა; მოძღვარი შესდგა და ყური დაუგდო, მაგრამ მაშინვე ღიმილით წარმოსთქვა:

— ვერანა, ჯერ ლეკვია და გული მხიარული აქვს! ყვავს რა დააჭერინებდა?

მაგრამ ძაღლი მაინც არ ისვენებდა, მწუხარეს ხმით ყმუოდა.

— რაი მოსვლია? — წამოიძახა ისევ ონოფრემ და თავისთვის დაუმატა: — გზა თუ ვეღარ გამოიგნო? — გახედა იმ მხრისკენ, საიდგანაც პირუტყვის ხმა მოესმოდა, — აქა, ყურშა, აქა, აქა! — დაუძახა კიდევ იმან.

ძაღლი სწრაფად მოიჭრა, მოუსვენრად და წკმუტუნით მივარდა პატრონს, დაუწყო ხელების ლოკვა, ლაქუცი და განუწყვეტლივ ხტოდა. გონიერი თვალები პატრონისანის პირუტყვისა გრძნობით გაბრწყინებულიყო და აშკარად ეტყობოდა, რომ პატრონისათვის რიღაცის შეტყობინება უნდოდა; მაგრამ რადგანაც ყურშა ჯერ ლეკვი იყო, ონოფრეს არსად გამოეცადა და მისი მოქმედების ალღო ვერ აეღო, ამისთვის ვერ მიმხვდარიყო, ძაღლს რა სწადოდა, რას ითხოვდა იმისაგან. პატრონმა დაუძახა, დაუყვავა და რამდენჯერმე ხელის გადასმის შემდეგ, დარწმუნებული რომ ძაღლიც გაჰყვებოდა, თავის გზას დაუბრუნდა. როდესაც ყურშამ დაინახა, რომ პატრონს ვერა გააგებინა-რა და დამშვიდებული შინისკენ მიდიოდა, გაჭანდა და კალთაზე პირი წაავლო.

— თუ არ გაცოფდა ეს ტიალი! — ნიჩბის მოქნევით დაიძახა მოხუცმა და ძაღლი მოიშორა.

ყურშა წკმუტუნით უკან გაიქცა, მოიხედა და ჩაცუცქდა. აშკარად ეტყობოდა, რომ ჭკვიანს პირუტყვს რაღაცა აწუხებდა და გადაეწყვიტა პატრონს აღარ გაჰყოლოდა.

მოხუცი გაბრუნდა მისკენ, ძაღლი გამხიარულდა, წამოხტა და აცქვიტა ყურები და, სიამოვნების ნიშნად, კუდის ქნევა დაიწყო. მოძღვარმა შაჰხედა და ჰკითხა ხელის გაშვერით:

— იქითკენ წავიდეთ?

ძაღლი დათამაშდა, გახარებულმა მხიარული ყეფა დაიწყო და უკან გაბრუნებული გაიქცა.

— მეტი ღონე არ არის, უნდა გავყვე! — სთქვა მოძღვარმა და უკან გამოუდგა.

ყურშა გარბოდა კუდის ქნევით და მალ-მალ მოიხედავდა უკან.

ამგვარად იმათ გაიარეს რაოდენიმე მანძილი, როდესაც ძაღლი ერთს ადგილს შესდგა, დასუნა თოვლს, შეჰყმუვლა და თავდავიწყებით ფეხებით თხრა დაუწყო.

მოძღვარი გაფითრდა, გადაიწერა პირჯვარი და ფეხი გააჩქარა; მისვლის უმალ ნიჩაბი მოიმარჯვა და რამდენჯერმე ამოქნევის შემდეგ, კიდევ უფრო მეტად გაფითრებულმა წამოიძახა:

— ბეჯითად ვიღაცა ჩაუჩუმქრავს!

იმან თვალი შეჰკრა ძაღლსა, რომელიც მოუსვენარის წკმუტუნით გარს უვლიდა და მადლობის გრძნობა ანიშნა. ყურშამ გაიგო პატრონის მოძრაობა, თვალები გაუღიმდა, კუდი გაიქნია და სიამოვნებით ტუჩები მოილოკა.

ონოფრეს მუშაობა ბევრს ხანს აღარ მოუნდა, რადგანაც თოვლი ჯერ ფიფქი იყო და ნიჩაბს ადვილად ემორჩილებოდა, ერთბაშად გამოჩნდა საგულის ბოლო და მოძღვარმა საჩქაროდ ხელი წაავლო.

— ბეჩა! დედაკაცი ყოფილა. — შეწუხებულის ხმით წარმოსთქვა იმან, წამოსწია და თოვლს გამოაშორა. დედაკაცს ხშირი ეძინა და ძალზედ ხვრინავდა.

— კარგი, რომ თოვლს დაუფარამს, თორემ ბეჯითად გაიყინებოდა!

მოხუცმა ნაბადი საჩქაროდ გაშალა, ზედ ქალი დააწვინა, გააძრო ტანისამოსი და ჩოხის კალთიდგან მოხეულის ნაჭრით თოვლით სრესა დაუწყო; გათოშვილი არ იღვიძებდა, თითქოს სრულს განცხრომაში არისო და, როგორც ეტყობოდა, მოხუცის შალით ხეხას სრულიად ვერა ჰგრძნობდა. ონოფრე ისე გაცხარებული მუშაობდა, რომ ამ შუაგულს ზამთარში ხვითქი გადმოსდიოდა და გათოშილს იქამდის თავი არ დაანება, სანამ კანი მთლად არ დაუწითლა და დაუღუდუდა; შემდეგ, სადუმიდგან ამოიღო ბატის ქონი, წაუსვა მთლად სხეულზედ დაძინებულს და თავის ტანიდგან გახდილ ფართოს ტყავში ჩაათბუნა. რაოდენიმე ხნის განმავლობის შემდეგ. წელიდგან არყით სავსე პატარა ტიკჭორა მოიხსნა, ამოიღო რქის კოვზი და ზედ რაოდენიმე წვეთი დაასხა; მივიდა ქალთან, პირი დანით

გაუღო და შიგ ჩაუსხა. გათოშილი შეინძრა, დაიკვნესა, წუთით ახელილი თვალები ისევ დახუჭა და ძილს მიეცა.

— ბედშავი! ძალუმ არ შეწუხებულა! — წარმოსთქვა მღვდელმა და დაუმატა: — მზე გადიწვერა და აქ დგომისა აღარაა, თორემ ღამე აცივდების.

ამ სიტყვებთან ერთად იმან მიიტანა თოკი, დაშალტა ავათმყოფი და ტვირთსავით წამოიკიდა ზურგზედ. მოხუცმა გასწია თავის სახლისკენ ისე, ვითომ არავითარი სიმძიმე არ მიჰქონდა და მალე მიაღწია თავის ქოხს, სადაც ავათმყოფი რბილად აწეწილს თივაზედ დააწვინა, თბილად დახურა და კერაში ცეცხლი დაანთო.

როდესაც ქალმა პირველად თვალები გაახილა, დაინახა ცეცხლის შუქი და ისევ დახუჭა, რადგანაც თავი სიზმარში ეგონა, მაგრამ პირველსავე განძრევაზედ ისეთი წარმოუდგენელი ტკივილები იგრძნო, რომ მაშინვე დაიკვნესა და იქაურობას დაფანტვით თვალიერება დაუწყო.

— სადა ვარ? — წყნარად წარმოსთქვა იმან და უნდოდა ხელი შუბლზედ გადაესვა, მაგრამ მაშინვე ჩამოუარდა, რადგანაც მთლად შეშუპებოდა, დაბუჟებოდა და მოძრაობაში ვეღარ მოეყვანა.

— შენს სულიერს მამასთან, შვილო, რომელიც ზეციერმა მეუფემ შენს საშველად გამოგზავნა!

ქალმა ყური დაუგდო ამ სიტყვებს, უამა და სანუგეშოდ ეჩვენა, რადგანაც გრძნობით და გულმხურვალედ იყვნენ წარმოთქმულნი.

— სულიერი მამა... — თავისთვის განიმეორა ქალმა, ძლივს გახსნა შეშუპებული ქუთუთოები და ჯერ კიდევ ანგარიშმიუცემლად დაუწყო ყურება.

— რა ამბავი იყო, რა შემემთხვა?.. — იკითხა ისევ წყნარად და დასუსტებულის ხმით.

— არაფერი, შვილო, არაფერი, — მზრუნველობით უპასუხა ონოფრემ, — თოვს ჩაემჩუქრე და უფალმა გადაგარჩინა... ემთხვიე, შვილო, ემთხვიე წმინდა ჯვარსა, რომელმაც დაგიხსნა განსაცდელისაგან.

მოძღვარმა ტუჩებთან მიუახლოვა ჯვარი, რომელიც კედლიდგან ჩამოიღო, ქალმა წამოიწია, მაგრამ, მასთან მიკარები-

სავე უმალ, უკან გადავარდა და გულგასაგმირის მწუხარებით წარმოსთქვა:

— არ შემიძლიან!

ქალს გაახსენდა ყოველისფერი, მოაგონდა თავის წარსული და სიწმიდის შეხებისთვის თავისი თავი ღირსად ვერა სცნო.

მოძღვარმა შეხედა და შუბლი შეეჭმუხნა; ის მიხვდა, რომ უბედურს რაღაცა ამძიმებდა, და პირჯვარი გამოისახა.

— მეუფეო, მოხედენ დავრდომილთა და მიეცი ძალა, რათა ადიდონ სახელი შენი! — მოძღვარმა ჯვარი ისევ მიუახლოვა და დაუმატა: — ემთხვიე, შვილო, მან განუტევა ხორცი და დაანთხია სისხლი მოსატევებელად ცოდვათა.

ქალმა იგრძნო რაღაცა სითბოება, რწმუნება, რომელიც თითონაც ვერ გაეგო — რისგან ხდებოდა. ძალამოცემულმა წამოიწია და სასოებით ემთხვია ჯვარსა. სინანულის ცრემლები გადმოედინა თვალებიდგან და გულს თითქოს შვება მიეცა.

მოძღვარმა ჯვარი თავის ადგილას დაასვენა, დაიჩოქა მის წინ და ციურის ცეცხლით აღგზნებული თვალები ჯვარცმას მიაპყრა. ამ წუთში მოხუცი რაღაცა აღტაცებაში იყო, მის სახეს თითქოს ღვთიური ძალა გადმოფენოდა და რწმუნების მედიდურობა აშკარად დასტყობოდა. ისა ლოცულობდა ჩუმად, მოკლედ, მაგრამ გულმხურვალედ. მასა სჯეროდა, რომ იმ წუთში ზეციერი მამა მასთან არის, მოუსმენს და მიიღებს მის შუამავლობას. როდესაც მოხუცმა ლოცვა გაათავა, მივიდა ავათმყოფთან და უთხრა:

— შვილო, ვალი ქრისტიანისა აღვასრულეთ, ახლა დრო არის ხორცზედაც ვიზრუნოთ. ცოტა შეჭამე რამე.

— არა მშიან, მამაო.

— თავს ცოტა ძალა დაატანე, — უპასუხა მოძღვარმა და დაუმატა: — აგერ ხორცი შემოვდგი და ცოტა წვენი შეჭამე.

ქალი დამორჩილდა, მაგრამ მალე ისევ თავი დაანება, რადგანაც მადა სრულიად დაჰკარგოდა.

აქამდის ონოფრეს ამ ქალისთვის ვინაობა არ უკითხავს, რადგანაც ეშინოდა, რომ მწარის მოგონებით უმეტესს სატანჯველში არ ჩაეგდო, ეხლა, როდესაც რაოდენადმე დაასვენა, მიუახლოვდა და მზრუნველობით ხელი თავზედ დაადო.

— როგორა ხარ, შვილო?

— უკეთა, მამა, უკეთა, — უპასუხა ქალმა, — მაგრამ ყოველი ასო მტკივა, ხორცი მიბჟუის და ისე მჩხვლეტავს, თითქოს ეკლებზედ ვწევარო.

— რაკი ტკივილსა ჰგრძნობ, ეგ კარგია, შვილო. ნუ გეშინიან, უფალი მოგხედავს, უფალი, იმისმა მადლმა... მაგრამ ვინა ხარ, საიდგან? ჯერ ხომ არაფერი გითქვამს?

— ვინა ვარ? — მწარედ ჩაიცინა ქალმა და დაუმატა: — ბეჩავი.

— პატრონი არავინა გყავს?

— მყვანდა, როდესღაც მყვანდა, მაგრამ... — ქალმა მწარედ ამოიოხრა.

— მაგრამ რა?

— ეხლა აღარა მყავს.

— ბურსაჭირში ამისთანა დროს რაღამ მიგიყვანა?

— სიბეჩავემ, — მხრების აწევით უპასუხა ქალმა და თვალებზედ ცრემლები მოერია.

— შვილო! — ცოტა სიჩუმის შემდეგ თანაგრძნობით დაიწყო ისევ ონოფრემ, — გიძნელდება შენი ვინაობის თქმა და აღარც მე გკითხამ... იყავნ, ვინც უნდა იყო, ეგ ჩემთვის სულ ერთია... ჩემი ვალია, სული თუ ცოდოთი დამძიმებული გაქვს, ვეცადო მის შემსუბუქებას... მაგრამ შემსუბუქება ძალდატანებულის გამოთქმით ვერ მოხერხდება... დრო მოვა, იგრძნობ და შენანებული უფლის წინაშე ცოდვათა აღიარებ, ჭმუნვით დატვირთულს გულს გაანთავისუფლებ!.. ეგ მოვა თავის დროზედ და ამისთვის ეხლა თავი დავანებოთ... ეხლა ხორცი დაგდუნებია, მას მოსპობია ძალა და ეხლა მას ეჭირვება მოვლა და ზრუნვა!.. დარჩი აქა... ეს სადგური უფალმა მამცა და ამის ჭერქვეშ ყოფნა ყველა გაჭირვებულს და შეწუხებულს შეუძლიან...

ამ უბრალო კაცობრიულმა და გრძნობით წარმოთქმულმა სიტყვებმა ქალი აღტაცებაში მოიყვანა და რწმუნების სითბოება გულში გაუღვივა. მან დაინახა, რომ ქვეყნად დარჩენილიყო კიდევ კაცი, რომელიც ადამიანთა სთვლიდა, ფეხქვეშ არა ჰქელავდა მის პირადობას და გველსავით სულის საძირკვლამ-

დის არ უძვრებოდა, რომ მთელი მისი არსება აერია, მოეწამლა და დაეშხამა.

— გიშველოს უფალმა! — წარმოსთქვა ქალმა და მადლობის გრძნობამ გული აუდუღა, სიტყვები შეაწყვეტინა.— დაჩაგრულს დამიყვავე... იმედდაკარგულს ნუგეში მეცი... გული სულსა ლევდის და, ღვთის მადლმა, შენმა სიტყვებმა მოაბრუნა!.. ბეჩავს ტკბილი სიტყვა გამაგონე და ღმერთი, ღმერთი გადაგიხდის.

ქალს ცრემლები გადმოედინა, მაგრამ ეს ცრემლები იყო სიტკბოებისა, დაჩაგრულის გულისგან პირველად შეწყალების გრძნობისა, რომ სადაც შეცოდებაა, იქ შენანებაც შესაძლებელია. შემდეგ მიილუშა, ისევ ძილი მოეკრა და მოძღვარმაც თავი მიანება.

მოხუცმა იცოდა, რომ შერყეულის და აღშფოთებულის სულის დამშვიდებას განსვენებისთანა არა უშველიდა-რა...

IV

ეხლა, ვიდრე ჩვენს მოთხრობას გავაგრძელებდეთ, საჭიროა უფრო დაახლოვებით გაგაცნოთ მაყვალა და მისი ამ დღეში ჩავარდნის მიზეზი შეგატყობინოთ.

მაყვალა იყო ქალი ერთის მოხუცებულის გლეხკაცისა. ჰყვანდა ამორჩეული საქრმო და, თუმცა მამამ ჯერ არა იცოდა-რა, გულითა სჯეროდა, რომ მის ქორწინებას არა დაუშლიდა-რა; მომავალი ტკბილად ეალერსებოდა და სიტკბოების სრული იმედი ჰქონდა. მაგრამ ბედმა უმუხთლა, იმედი არ გაუმართლდა და ერთბაშად, მისავე მოულოდნელად, ყმაწვილქალობა მოუკლეს და სრულიად სხვა პირზედ გაათხოვეს.

მისი ქმარი გელა გოდერძიშვილი იყო წარმოსადეგი ვაჟკაცი, ყმაწვილი და ბუნებითვე ბევრის სიკეთით სავსე, მაგრამ, რადგანაც ფასანაურში დიამბეგთან იასაულად მსახურობდა და იმ დროში კი იასაული დიდი ძალის მქონებელი იყო, რაოდენადმე გარყვნილიყო, გალოთებულიყო და გათამამებულიყო. ამ მიზეზით თავს მეზობლებს არ უდარებდა და ბევრჯელ ისეთს უსამართლობას ჩაიდენდა ხოლმე, რომელსაც სხვა გარემოებათა შორის არასოდეს არ გაბედავდა.

გელას, მართალია, თუმცა მოსწონდა მაყვალა, მაგრამ სხვა პირობაში ჩაყენებული მის შერთვას არ გაბედავდა, რადგანაც ქალი ჯვარისწერამდი გულწრფელად გამოუტყდა, რომ მას სხვისთვის უცემდა გული, მაგრამ თავმომწონე ბიჭი ეხლა სხვარიგად უყურებდა თავის მდგომარეობას და ამპარტავნად იძახდა:

— მე იასაული ვარ, ხემწიფის სამსახურში მყოფი კაცი და სხვა მოხევესთან უნდა ჩავითვალო?.. არ დავანებებ მაგ ქალაშავას, ვინც უნდა იყოს და რადაც უნდა დამიჯდეს.

ქალის მამისთვისაც მოხუცებას ჭკუა გამოელია, ჟამთა ვითარებას გამოეთაყვანებინა და მისი შეხედულობით გელა მართლა მეზობლებზედ ბევრად უკეთეს პირად გამხდარიყო. ამასთანავე მოხუცს სმა უყვარდა და, თითონ საშუალებას მოსპობილი, გელას შემწეობით ხშირად გალექებული დადიოდა. ამგვარად იასაულმა მოხუცი მალე მოისყიდა და უფრო მალე გადააწყვეტინა, რომ ქალი მას მისცეს და ერთს დღეს თხუთმეტის წლის მაყვალას, მის უნებურად, გელაზედ ჯვარი კი გადასწერეს.

ამ შემთხვევის შემდეგ მოხუცი გარდაიცვალა და მაყვალა სრულს ობლად დარჩა გელასთან; ბედისგან დაჩაგრულს ქალს ქმარი არ უყვარდა, მაგრამ რაკი ბედის ჩალხი ამგვარად დაუტრიალდა, დაემორჩილა თავის ხვედრს და ერთგული ცოლი, ოჯახის მომვლელი და პატივის დამცველი დედაკაცი შეიქნა.

გელა სრულიად დააკმაყოფილა ქალის ქცევამ და გაამაყებულმა, რომ ცოლს თავი მოახრევინა, სრულს მორჩილებაში მოიყვანა, — ისევ თავის იასაულობას მიჰყო ხელი და შინ მხოლოდ იშვიათად, ბატონად, მობძანდებოდა ხოლმე; აქ დაიწყებდა ცოლზედ ბრძანებლობას, რომ მორჩილებას არ გადაჩვეულიყო და, როდესაც ალერსითაც დასტკბებოდა, ქალსაც საკმაოდ აწვალებდა და ატირებდა, დაკმაყოფილებული ისევ თავის სამსახურს დაუბრუნდებოდა ხოლმე.

რამდენიც მეტი ხანი გადიოდა, იმდენად გელა უსამართლობას ეჩვეოდა და მეტად აწვალებდა თავის ცოლს, რომელსაც ნებას არ აძლევდა, რომ მის სახლში ყოფნის დროს დამჯდარიყო, გაეკეთებინა რამე და იძულებულსა ხდიდა ათასი გვარი, ერთიმეორეზედ უსაფუძვლო, სურვილი ხმაამოუღებ-

ლივ აღესრულებინა. გელა სანამ ფასანაურში ჩავიდოდა, გაიცნობდა ბატონებს, ამათ ცხოვრებასა, ქალებთან დამოკიდებულებასა და არშიყობასა ნახავდა, — ნამდვილი მთის კაცი იყო, მთიელის რწმუნებით და შეხედულებით; მაშინ ქალი იმისთვის იყო პატივსაცემი ქმნილება, ცოლი — მეუღლე კაცისა, რომელიც თავის მოთავეს გვერდს უნდა მოსდგომოდა, მასთან ერთად ეშრომნა, ემუშავნა და, მაშასადამე, ოჯახობაშიაც იმის თანაბარივე უფლება ჰქონოდა. ახლა სრულიად სხვა იყო! მან გაიგონა ბატონების ლოთობის და ჰარიალალე-თარიალალოს დროს, რომ ქალი მხოლოდ კაცის სასიამოვნოდ იყო გაჩენილი; ნახა, რომ ცხოვრებაში მართლა ამ მიმართულებით ხელმძღვანელობენ; არაყთან და ღვინოსთან ერთად საქმითაც იგემოვნა ამგვარი ცხოვრების სიტკბოება — და ფრიად მომთმენი, ხასიათ-გაუფუჭებელი ერთბაშად შეიცვალა, ახლა ნაგემოვნებს დაემორჩილა.

ყოველ ჟამს ხედავდა ქეიფს, ქალებთან არშიყობას, დროსგატარებას, გელას გზავნიდნენ შუაკაცად, უყურებდნენ თავიანთ საკუთარს პირად, აღარას უმალამდნენ; გელა იყო ლამაზი, წარმოსადეგი, ქალებმა მალე აგრძნობინეს, რომ ის ბევრით უფრო სასიამოვნოა, სანამ სიყმაწვილის წვენგამოლეული მისი უფროსები, და გელამაც აღარ დაიგვიანა, ამ მდგომარეობით ისარგებლა...

მაყვალა მარტოკა სცხოვრებდა და ყველაზედ ძნელი მის ცხოვრებაში ის იყო, რომ, რასაც გელა გარეთა ხედავდა, ის შინ შემოჰქონდა, რა ცხოვრებითაც გარეთა სცხოვრებდა, იმ ცხოვრებას ოჯახობაში ითხოვდა. უხეირო სმა, უწმაწური ლაპარაკი, უსამართლობა მეზობლებთან, ყველას საკმაოდ აძულებდა მთიელის თავსა.

გელა გოდერძიშვილს საკმაო ცხვარი ჰყვანდა და მომვლელი ეჭირვებოდა, რადგანაც სახლში ერთის ბიძის მეტი, და ისიც ძალზედ მოხუცებულისა, არავინ დარჩენოდა. ბოლოს ეს ბიძაც მოუკვდა და გელა იძულებული შეიქნა სამსახურიდგან გამოსულიყო, რადგანაც ოჯახობას პატრონის თვალი ეჭირვებოდა.

ამ დღიდგან ყმაწვილი ბიჭი სახლს დაუბრუნდა, მოუდგა ცხვარსა და თუმცა ცხოვრების გამოცვლა რაოდენადმე უძ-

ნელდებოდა, მაგრამ მეცხვარეებში მაინც თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა. გელას დაესწავლა რაოდენადმე „შალთაი-ბალთაი“, იცნობდა სხვადასხვა ძალის მქონეთ, იყო მათგან მიღებული, რადგანაც მოხევის შემწეობით სხვადასხვა ბნელს საქმეებს ირიგებდნენ, — და ეს კი გოდერძიშვილს საშუალებას აძლევდა, ბილეთიც სხვებზედ ადრე მიეღო და მგზავრობის დროსაც გაჭირვებაში მოძალეთ სხვებზედ მომეტებულს სიტყვა-პასუხით დახვედროდა.

ნაიასაულარს ყველანი ხელსა ჰკიდებდნენ, ცდილობდნენ საქმე მასთან დაეჭირათ, რადგანაც ამგვარად ყოველ შემთხვევაში საქმე უფრო იაფათაც უჯდებოდათ და მალეც უთავდებოდათ, მაგრამ მასთან ძმური კავშირი არავისა ჰქონდა, რადგანაც თავის წინწაწევას ამხანაგებს მეტად ძვირფასად უსვამდა და თავის ღირსებით მეტად ამპარტავნებდა, მეტად თავი მოსწონდა.

მხოლოდ ერთადერთი უბედურება აბრაზებდა, გულს უხეთქამდა და საქმისთვის ვერა ეშველა-რა: მაყვალა ისევ განზედ გასდგომოდა, ვერ დაემორჩილა, ვერ მიეზიდა მისი გული და სიყვარული კი განუსაზღვრელი ჰქონდა. ვერც ჯავრობით, ვერც ცემით, ვერც ალერსით ვერ მოემხრო ცოლის გული, რომელსაც სიცოცხლე იქამდის გამწარებოდა, რომ ყოველის ღონისძიებით ცდილობდა ქმარი გაეჯავრებინა.

საქმემ იქამდის მიაღწია, რომ მაყვალა გაექცა კიდეც, გავიდა თავის სამშობლოში და, თუმცა ახლო ნათესავი არავინა ჰყვანდა, მაინც მოახერხა წმინდის სამების საბჭეოში თემის ყრილობა მოეხდინა. თემის ყრილობამ განიხილა საქმე და მათი განშორება გადასწყვიტა, რადგანაც აღმოჩნდა, რომ მაყვალა ძალად გაეთხოვებინათ; მაგრამ იმ ხანში თემობა ირღვევოდა, მის გადაწყვეტილებას ის საშუალება აღარა ჰქონდა, რომ თავისი წევრებისთვის ძალა დაეტანებინა — გადაწყვეტილება აღესრულებინათ. იმ ხანებში ნაჩალნიკ-დიამბეგობა ჩამოვარდნილიყო და კანონი კი იძახდა: „ცოლ-ქმრის განშორება შეუძლებელიაო!“

რასაკვირველია, გელა არ დამორჩილდა თემის გადაწყვეტილებას, რადგანაც მისდამი პატივი დაეკარგა და იცოდა, მშველელები სადაც და როგორც ეპოვნა.

მთიელი კრებიდგან გამოვიდა მუქარით და, ცოტა დროს გავლის შემდეგ, ცოლი კანონმა ხელახლად ქმარს დაუბრუნა. მაყვალა, ბუნებითვე მხიარული, მოცინარი და მალხაზი, დამშვიდდა, გაჩუმდა და თითქოს თავის ბედს დამორჩილდა. თუმცა ამგვარმა ძალდატანებულმა ცხოვრებამ ქმრისადმი სიმძულვარე ვერ შეუცვალა, მაგრამ ოჯახობის სახელის დამცველი სახლის უფროსის ბძანებას წარბშეუხრელად აღსრულებდა.

ამ დღიდგან გელა დარწმუნდა, რომ ცოლი სამუდამოდ დაიმორჩილა, მოაჭკვიანა და მისთვის სრული უფალი შეიქნა. ამისთვის თვით ალერსსაც კი ბრძანების კილოთი აღსრულებინებდა, არამც თუ ტრფიალს ანუ სხვა რომელსამე სამსახურს.

ონისე, რომელიც იყო მაყვალას გრძნობის საგანი, ქალის გათხოვების შემდეგ თავს მოტყუებულად სთვლიდა და გულმოკლული ცხვრიდგან შინ აღარ შემოდიოდა. ადუღებულს, აღგზნებულს გულს სიცოცხლე მოჰკლებოდა თუ ჩამწვარ-ჩადაგულს ფერფლი გადაჰფარებოდა, — ვეღარაფერსა ჰგრძნობდა.

მართალია, მცირეს იმედით გულმა გაუფართხალა, როდესაც მაყვალა ქმარს გაჰქცეოდა, მაგრამ რაკი კანონმა დაუბრუნა, რაკი მაყვალა დამშვიდდა და ქმრის წადილს დაემორჩილა, — ონისეც დაღონდა, გული ჩაეხურა და იმედი სამუდამოდ მოესპო. მან წარმოიდგინა, რომ გამხეცებული გრძნობა შეაყენა, წადილი დაიმორჩილა და მოსვენებულს ცხოვრებას შესძლებდა; მაგრამ ფიცი კი დასდო, რომ ცოლი თავის დღეში არ შეერთო და ქალს არასოდეს არ ნდობოდა.

V

ერთს ზაფხულის საღამოს, როდესაც გელამ ბერწი ცხვარი მთაში გაისტუმრა და მეწველი კი შინ დააგდო, რადგანაც ყინულების მახლობლად საკმარისი ბალახი ჯერ არ იქნებოდა, — ეს კაცი კარებთან ჩამოჯდა და ყალიონი გააკეთა. შემდეგ ამოიღო ტალკვესი, აბედი და კვესება დაიწყო;

კარგა ხანი ეწვალა, მაგრამ შრომამ ამაოდ ჩაუარა, რადგანაც ცეცხლი ვერ გააჩინა.

— დედაკაცო, ცეცხლი! — ბრძანებით დაიძახა იმან.

მაყვალამ არცისკანათი ცეცხლი გამოიტანა, მისცა და ის იყო გაბრუნებას აპირებდა, როდესაც ქმარმა შეაყენა:

— მოიცა.

ქალი გაშეშდა; გელა ჩიბუხს წყნარად უკიდებდა და ცოლს ხანგამოშვებით წყნარ-წყნარადვე შესცქეროდა.

— ქალაუ, აქ დაჯექ, — ბოლოს გაწყვიტა ქმარმა სიჩუმე, — რაიღაც უნდა გითხრა...

— რაი გინდა? — უპასუხა მაყვალამ უკმაყოფილოდ და დაუმატა: — მწყემსებისთვის ჯერი მიგვიანდების.

— აქ დაჯექ-მეთქი! — გელამ ხმა შეუმაღლა, თუმცა ტუჩები რწმუნებით უღიმდებოდა.

— არ მცალიან-მეთქი! — იმავე ხმით უპასუხა ქალმა, მაგრამ ადგილიდგან არ დაიძრა, — მითხარ, რაი გინდა და წავალ.

— დაჯექ, დაჯექ, ქალაისი! ჯერს კიდევ მოასწრობ, —ხმა მოიტკბო კაცმა, მოხვია ხელები და თავისკენ მიიზიდა.

ქალმა წინააღმდეგობა არ უჩვენა, მორჩილად მიჰყვა და, როდესაც გვერდს მოუჯდა, ქმარმა მხიარულად შეხედა.

— ძალუმი ხარ, ღვთის მადლმა! — წამოიძახა იმან და გრძნობით აკოცა.

მაყვალამ აქაც ხმა არ ამოიღო, მაგრამ გაწითლდა, წარბები შეიჭმუხნა და ის ადგილი, რომელსაც კაცი შეეხო, მკლავით მოიწმინდა. ქმარმა შეხედა, შეამჩნია მაყვალას ეს მოძრაობა და ჩაიცინა, გაშალა მკლავები, მოეხვია და ძალზედ მიიზიდა.

— კარგია-ღა, ჩე! — ვეღარ მოითმინა ქალმა, გაიბრძოლა, მაგრამ გელამ არ გაუშვა.

— დაჩუმდი, ჩემო ყველავ! რაისთვის არ გინდა, რომ გაკოცო? — ალერსით ეუბნებოდა გელა, მაგრამ ქალი მაინც არა ნებდებოდა და სახეს არიდებდა.

ბოლოს ქმარმა თავი მაგრად დაუჭირა, სახე გადმოუბრუნა და გაცხარებისგან აღგზნებულს ტუჩებში აკოცა.

— ფუი! — გადააფურთხა ცოლმა და მოუთმენლად დაუმატა: — ეგ რაი-ღა იცი?

— მაშ რაისთვის იწმენდ? — ნიშნისმოგებით მიუგო მთიელმა და პირზედ კმაყოფილების ღიმილმა გაუთამაშა.

— იმად, რომ მეჯავრები! — ვეღარ მოითმინა მაყვალამ.

გელამ შუბლი შეიჭმუხნა და წყნარად, თუმცა მტკიცედ და გარკვევით, უპასუხა:

— ღვთის მადლმა, რომ შემიყვარებ.

ამ სიტყვებმა ცოლი უფრო გააბრაზა და განრისხებით შებღვირა.

— ეგრე ნუ მიყურებ, ნუ, ღვთის მადლმა, თორემ კიდევ გაკოცებ. — ისევ გაუღიმა მთიელმა და თვალები შეუთამაშდა.

უბედურმა ამოიოხრა, რადგანაც არ იცოდა, ამ კაცის ალერსს როგორ მოშორებოდა.

— კარგი, კარგი, ნუ ჯავრობ, თორემ გეუბნები, რომ კიდევ გაკოცებ-მეთქი! გა, აგრემც შემეწევა სამება.

— არ ვჯავრობ, არა! — ძლივს წარმოსთქვა თვალებში ცრემლმორეულმა მაყვალამ და უფრო მოთმინებით გააგრძელა: — ბეჩა, მითხარ, რაისთვის მეძახოდი, ცომი გამიცივდებისს.

— კოცნა მომწადდა და იმად! — გაიხარხარა ნაიასაულარმა.

— დამიბრმეს თოლი!

— რა, არ მოგწონს?

— გამიშვი, გამიშვი! — ისევ გაიბრძოლა ქალმა.

— ქალაის გახარებამ, ტყუილად იბრძვი.

— რაი გინდა ჩემგან?

— მითხარი: არ მოგეწონა-მეთქი?

— ოჰ! — მოუთმენლად მოსცა პასუხი და სრულიად გაჯავრდა. — არ მომწონს, არა! ახლა?

— რაისთვის არა! კაი კოცნა ვიცი!

გელას ესმოდა, რომ ამ საქციელით საყვარელს ქალს აბრაზებდა და ამ საქციელში რაღაცა განსაკუთრებულს სიამოვნებასა ჰგრძნობდა.

— მაი, ერთსაც გაკოცებ და ისე გეტყვი, რაც მინდოდა.

— არაუ! — მაყვალამ სახეზედ ხელები დაიფარა.

— ჩემო ყველაუ!

— არაუ, არა-მეთქი!

— აი თუ არა! — კაცი ისევ ძალზედ მოეხვია, მაგრამ, რაწამს ქალი გულთან მიიკრა, მისი სიახლოვის სიტკბოება იგრძნო, ერთბაშად ხელები ისევ გაუშვა და ორნივ ზეზე წამოცვივდნენ.

ეზოს კარები ვიღაცა კაცმა შემოაღო, ცოლ-ქმრის არშიყობას თვალი შეჰკრა, შემკრთალი ისიც იმავ ადგილას გაჩერდა და თავი დაჰხარა.

ყველანი აჩქარდნენ, დაიბნენ და კარგა ხანმა გაიარა, სანამ ხმის ამოღებას მოახერხებდნენ.

— საღამო მშვიდობისა, გელაუ! — ბოლოს სტუმარმა ძლივს მოახერხა.

— ონისეუ! შენა?.. გამოიარე, გა!.. რაისთვის-და დადექი? — მიეგება მასპინძელი.

მაყვალაც გონს მოვიდა, მსწრაფლად გაბრუნდა და ჭარხალსავით გაწითლებული სახლში შევარდა. სტუმარი შემოვიდა და მასპინძლისგან ნაჩვენებ ადგილზედ დაჯდა.

ორნივ გაჩუმებულნი იყვნენ და ჯერ კიდევ პირველის შთაბეჭდილებიდგან ვერ გამორკვეულიყვნენ. ონისესთვის მისდა უნებურად, მოწმად დასწრობას თუ სხვა რომელიმე გრძნობას თავი ჩაეხრევინებინა და სახე ხანდარჩოდ გარდაექცია: გელა ჯერ კიდევ ისევ საყვარლის ლაზათიანობის შთაბეჭდილების ქვეშ იყო და რწმუნებით გუნებაში იმეორებდა: „სტყუის, უყვარვარ!“

ონისე არაბული გელას მეზობელი იყო, მაგრამ მის სახლში მაყვალას შესვლის შემდეგ აღარ გაეჭაჭანა. ეს ბიჭი, ბევრით ყმაწვილი გელაზედ, წარმოსადეგობითაცა და სილამაზითაც მასპინძელს ბევრად სჯალდობდა. ამასთანავე გამბედავი, პირდაპირი და პატიოსანი სტუმარი მთელს სოფელს ხელიხელ საგოგმანებლათა ჰყვანდა გამხდარი.

ონისეს, მართალია, გელასოდენი შეძლება არა ჰქონდა, მაგრამ შრომა უყვარდა, მუყაითობა იცოდა, მთელს სიცოცხლეს ცხვარში ატარებდა და გლეხკაცის კეთილდღეობა კი მხოლოდ ამაზედ არის დამოკიდებული. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ონისეს ყოველთვის გელაზედ მეტი შოვნა შეეძლო, სტუმარსაც და მტერსაც უკედ უხვდებოდა და თემობასაც მეტს ემსახურებოდა. ეს ლამაზი ყმაწვილი და მოხდენილი სწორედ

ის არაბული იყო, რომელსაც მაყვალა სიყმაწვილითვე გულში ისე ჩასჭედოდა, რომ თვით ჯოჯოხეთის ცეცხლსაც ვეღარ ამოებუგა და ქვეყნის ნიაღვარს ვეღარ წაელეკა.

სტუმარ-მასპინძელი დასხდნენ, მაგრამ რადგანაც ერთმანერთს ეხათრებოდნენ, შეყრის მიზეზზედ ლაპარაკის დაწყებას ერთმანერთს აცლიდხეხ.

— მაი, ვახშმად აქ დარჩი, — მოიწვია მასპინძელმა.

— დამირჩეს შენი თავი!.. ბარემ მეც მინდოდა შენთან ყოფნა, მაგრამ ხელმარტოობას რაი ვუყო?.. ცხორი ტიალად დამრჩა და მეღუპების.

— კარგია-ღა, ჩე!.. ცხორს რაი უნდა?.. მწყემსები იქ არა ჰყავს? — უთხრა მასპინძელმა და თხოვნა გაუმეორა: — დარჩი, ღვთის მადლსა!

— ვერა, ღვთის მადლმა, ვერ დავრჩები... შეხთან ბატარაი საქმე მქონდა და მთიდამ იმად ჩამოველ.

— რაი საქმე? — ჰკითხა გელამ და ახლო მიუჯდა, — აბა სთქვი.

— მითხრეს, მინდვრად ბინის დასაჭერად მიდისო და ამხანაგობამ გამომგზავნა — ადგილი ერთგან დავიჭიროთო.

— კარგი და კეთილი, — გაეხარდა მასპინძელს, რადგანაც ონისესთანა გაბედულის და გამოცდილის მწყემსის მეზობლობა ძვირად დასაფასებელი იყო. — რაისთვი არა?.. თქვენთან ნამგალობა (ამხანაგობა) ღვთის წყალობაა...

— თავადა ხარ ეგეთი, გელაისი, და ცხოს ნუღარ აქებ!.. ენა იცი და სამართალი, შენთან ვის გაუჭირდების?

— აი ხვალ ვაპირებ წასვლას; თუ შენც წამოხვალ, დაგიცდი.

— მე რაისთვის-ღა წამოვიდე?.. შენზედ უკეთესად ადგილს ვეო ავარჩევ და ვერ მოვურიგდები.

— არა, ონისეისი, თავად წამოდი, თავად ნახე შენის ბედნიერის თვალებითა, თავად მოათოლიერე და ასე ემჯობინების.

— მეტი კაცი — მეტი ხარჯია... ფულს მოგცემ, წადი და ღვთის ბედობაზედ სადაც დაიჭერ, ჩვენც შენთანა ვართ.

— როგორც გინდა, შენაი ჭირაიმე, ეგეც შენი ნებაა, როგორც გინდა. — ბოლოს დაეთანხმა მასპინძელი.

— ეგრე, გელაისი!.. დაიჭირე ადგილი და თუ გინდა ნამგალათ წამოვალთ, თუ გინდა და ცხვარს დაგირევთ.

— დავრიოთ, ონისეუ, დავრიოთ! ეგ ემჯობინების, ერთერთზედ უფრო გული შეგვივარდების, — უპასუხა გელამ და მხიარულად დაუმატა: — ახლა კი უვახშმოდ აღარ გაგიშვებ, ღვთის მადლმა.

— ნუ-ღა, გელაისი! ცხორი უპატრონოდ არის და პატრონს მოშორებულ საქონელს კი მავნე დაეპატრონების!

— ცხორს რაი გაუჭირდების? ეგეთი მწყემსები გყვანან, ღვთის მადლმა, რომ ცაში ფრინველს არ გააჭაჭანებენ და ქვესკნელს ჭიანჭველას. უვახშმოდ არ გაგიშვებ, წმინდის გივარგის მადლმა!.. ბეჩაუ, გზა მაინც დამილოცე... დედაკაცო, დედაკაცო, საყორელს სტუმარს საყორლად დახვედრა უნდა, მოგვიმზადე, რაც უფალმა მოგვცა.

ონისემ ჩააბარა ბეის მისაცემი და სახარჯო ხვედრი ფული და ვახშმად დასხდნენ.

პირველის ორიოდ ყანწის გამოცლის შემდეგ სტუმარს მოაგონდა წინანდელი დღეები, მოაგონდა, ოდესმე რა სიტკბოება უალერსებდა, რა იმედს უქადოდა მომავალი, და თვალწინ ათასფერად გამოესახა ის სანეტარო წუთები, როდესაც მაყვალას თავისად სთვლიდა, მისგან სულის გაცოცხლებას მოელოდა, გულის სიტკბოებას; მოაგონდა და გული შეეკუმშა, თითქოს ძალზედ რაღამაც მოუჭირაო. დაღონდა, დაფიქრდა და მოიღვრიმა. ეხლა ობლად, სრულიად ობლად მიაჩნდა თავისი თავი და მერე იმისთანა ობლად, რომელსაც თავის სიცოცხლეში ტოლი არ გამოუჩნდებოდა, საალერსო, გულის დამყვავებელს სიტყვას არ გააგონებდა.

მასპინძელმა დაღონება შეამჩნია და მხიარულებას მოუმატა, რომ სტუმარი გაერთო, ამისთვის შინაურს არაყს მოუმარჯვა, სადღეგრძელოები მოუხშირა, მაგრამ ერთხელ გულჩახურული ონისე ვეღარ გამობრუნებულიყო. ერთბაშად გელა წამოდგა და სტუმარს უთხრა:

— ბატარა ხანს შეექეცი და მეც ეხლავე მოვალ.

— გვეყოფის, ღვთის მადლმა! — უთხრა ონისემ და დაუმატა: — მეც მეტი აღარ შემიძლიან.

— კარგია-ღა, ძმობასა, ნუ ნოჰყვები! ბატარაი დაიცადე და

ეგეთი მხიარულება გავმართოთ, რომ მკვდრებიც კი სამარიდან ადგნენ ჩვენს საცქერლად.

— ნუ-ღა, გელაისი! დრო გადავიდა, ჯალაბობასაც ეძინებაის! — შეხედა მაყვალას, რომელიც იქავ კერასთან იჯდა.

— გესმის, მაყვალაუ! — დაუძახა ქმარმა,—სტუმარს გულდახურული რაისათვი ეჩვენე?

— არა, ღვთის მადლმა!.. სტუმარი ღვთისაა და, თუ კი ჩვენს სახლს იკადრებს ვინმე, უფალს მადლობას ვაძლევ.

— თუ ეგრეა, — წამოიძახა ისევ გელამ, — წმინდის გივარგის მადლმა, მზის ამოსვლას ლხინით უნდა დავხვდეთ... ბატარაი მომიცადე. — გაათავა მასპინძელმა და საჩქაროდ კარი გაიარა.

ადვილი იყო გელასათვის თქმა: „მზის ამოსვლას ლხინით უნდა დავხვდეთო!“ მაგრამ იმათთვის, ვისაც თავიანთი თავი ცოცხლადვე სამარეში ჩაუმარხავთ, ვისაც გული შავით შეუმოსავთ და სამუდამოდ დაკარგულს იმედზედ გლოვა დაუწყებინებიათ, იმათთვის მზის სხივების ლხინით დახვედრა საკმაოდ გასაჭირი უნდა ყოფილიყო.

რაც ონისეს და მაყვალას ერთმანერთი არ ენახათ, კარგა დროს გაევლო და ამ ხანში ორთავეს ნაღველი გულში ეგროვებინათ; აღძრულის გრძნობის მალვას შეჩვეულიყვნენ და ამისთვის ეხლა, როდესაც მარტონი დარჩნენ, მეტად ძნელს მდგომარეობას გრძნობდნენ. ორთავეს ეძნელებოდათ ლაპარაკი და ორთავეს კი იმდენი სათქმელი ჰქონდათ, ორნივ, — როგორც ყოველთვის შეყვარებულები არიან ხოლმე, — ერთმანერთს ემდურებოდნენ და საყვედურის თქმა უნდოდათ, ყელში მომდგარი სიტყვა მხოლოდ პირს გააღებინებდა, მაგრამ მეტისმეტი აღელვება მაშინვე ხმას გააწყვეტინებდა და ისევ ისე გაჩუმებული დარჩებოდნენ.

მაყვალა ჰფიქრობდა, რომ ონისეს გული უეჭველად სხვას შესთამაშებსო, რადგანაც მას მოშორებოდა და უბედურების დროსაც მშველელი ხელი არ მიეწოდა; ონისე კი ჰფიქრობდა, რომ, თუ მაყვალას თანხმობაც არ ყოფილიყო, გელაზედ ძალად ვერ გაათხოვებდნენ და. მაშასადამე, ვისზედაც გათხოვდა, ის სხვაზედ მეტად უნდა უყვარდესო.

ასე ისხდნენ ორნი, თავდაღუნულები, აღშფოთებულები,

თითქოს ერთმანერთს გაბუტვიანო და მხოლოდ გახშირებული ოხვრა-ღა ამტკიცებდა, რომ წარმოუთქმელს მოუსვენრობაში იყვნენ.

კარგა ხანმა გაიარა, როდესაც ონისე ერთბაშად შეჰკრთა და თითონაც არ იცოდა, როგორ წამოიძახა:

— ქალაუ! ბევრი ხანია არ მინახიხარ... შენი ანბოვი არ გამიგია, მიანბე, როგორა ხარ?

— რაი მიჭირს, — მწარეს ღიმილით და ამოოხვრით მიუგო მაყვალამ და მხრები აიწია, — სახლი მაქვს და ქმარი მყავს.

— მაშ ბედნიერი ხარ? — იკითხა ონისემ ერთბაშად, შეხედა, ხმა აუკანკალდა, მაგრამ, რაწამს ქალის სახე დაინახა, ისევ მოტყდა და წყნარად დაუმატა: — ინებოს უფალმა!.. ჩემთვის ყველა განჰქრა, ყველა მოკვდა და სიცოცხლე გამწარდა!.. შენ მაინც იყავ ბედნიერი.

ქალმა შახედა და გულში თითქოს რაღაცა აუდუღდა; თბილად, მოუსვენრად აღმა წამოვიდა, სასულესთან ცახცახი დაუწყო. ათრთოლებულის თითებით მისწვდა საკინძეს და ანგარიშმიუცემლად ჩამოიწყვიტა. მას ეგონა, რომ პერანგმა ძალზედ წაუჭირა, სული შესტაცა და ამოსუნთქვის ნებას აღარ აძლევსო.

ბოლოს ონისემ აიღო არყით სავსე ყანწი, ამოიოხრა და დალია; დალია ისე, რომ ქალმა აშკარად შეამჩნია, გულის გაბრუება უნდოდა და ნაღვლიანად შეჰხედა.

— რას მიყურებ? — ჰკითხა ონისემ და ამღვრეულის თვალებით ცქერა დაუწყო.

— მაგდენს რაისთვი სვამ? მოგკლავს. — თითქმის ხვეწნით წარმოსთქვა მაყვალამ და ყულანის ბოლოს ძენძა დაუწყო.

— მომკლავს-რა, — გულგრილად წამოიძახა ყმაწვილმა და შუბლზედ ხელის დადებით დაუმატა: — გებრალები?

— აუ! ადამიანი არა ვარ?

— ხარ, ღვთის მადლმა, ხარ.

ორნივ ისევ გაჩუმდნენ და თავი ჩაღუნეს, მაგრამ ონისემ ველარ გასძლო და უთხრა:

— ქალაუ! მითხარ რამე.

— აბა, რაი გითხრა? — ბეჩავად მიუგო მაყვალამ.

— უწინ ბევრს მელაპარაკებოდი! ბევრს მპირდებოდი!

— ეგ უწინ იყო და ეხლა კი ცხოა.

— თუ ასე იქნებოდა, რაისთვი ამებ-გამები?.. რაისთვი მომიხიბლე სიცოცხლე და გზას იქით გადამაგდე!.. არ გიყორდი და მასხარად მხდიდი, განა?.. შენს ღმერთს რაღას ეუბნებოდი?..

— ონისეუ!.. — დაიწყო ქალმა, მაგრამ კაცმა გააწყვეტინა.

— შენ დამივიწყე, მაგრამ მე კი ისევ ისე მიყორხარ, ღვთის მადლმა! ისევ ისე, როგორც ღმერთი!..

მაყვალას ეს-ღა აკლდა, რომ ნაღველს წვეთიც მომატებოდა და მდუღარე ნაკადულად გადმოსდენოდა; იმას ეგონა, რომ ონისეს დიდი ხანი იყო, რაც გულიდგან ამოეღო, გადაეგდო, დაევიწყებინა და ეხლა კი ესმოდა, რომ მოტყუებული იყო, სიცოცხლის სიტკბოების იმედი კიდევ შესაძლებელი იყო.

— ბიჭაუ, იყუჩე! — მოუთმენლად წამოიძახა ქალმა და მწარედ გააგრძელა: — იყუჩე, ღვთის მადლმა, თორემ თავს მომაკვლევინებ.

— რაისთვი?.. ვინც გიყორდა, შეირთე... ვინც გძულდა — მოიშორე... თავი რაზედ-ღა უნდა მოიკლა?..

— იყუჩე, გეუბნები! — ქალმა კიდევ უთხრა და ტირილი გაბრაზებად გადაექცა.

ონისე გაჟრჟოლდა, აღელდა და თავდავიწყებაში ჩავარდა. გრძნობამ გაიბრძოლა და აქამდის შეჩერებული მოთმინება გადმოხეთქა. საბრალომ იგრძნო, რომ თავს ვეღარ იმაგრებს და ძალის მოსაპოებლად ისევ არაყს მიმართა; მაგრამ ვეღარ მოასწრო ყანწის ტუჩებთან მიტანა, როდესაც ქალი ზეზე წამოიჭრა და გამწარებით მივარდა.

— კარგია, გეყოფის!

— რათ მიჯავრდები? შენს სადღეგრძელოსა ვსვამ, — უთხრა ონისემ.

მაგრამ ძლივს მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც იგრძნო კისერზედ მოხვეული ქალის ნაზი ხელები და თვალთ დაუბნელდა.

— ნუ სვამ, ნუ! შენაი ჭირაიმე... თავს ნუ იღრჩობ... არ მინდა, ბიჭაუ! გაიგონე-მეთქი, არ მინდა! — წყნარად და ტკბილად ჩასჩურჩულებდა მაყვალა; თრთოდა, ინთებოდა, ზედ ევლებოდა.

ონისეს გადაავიწყდა ქვეყანა, გადაავიწყდა სტუმრის მოვალეობა მასპინძლისადმი, გადაავიწყდა თავის თავიც და მხოლოდ ერთმა გრძნობამ შეიპყრო, ერთმა წადილმა დაიმორჩილა. მას ესმოდა, რომ მაყვალას უყვარდა, უანგაროს ტრფიალებით ეალერსებოდა, ესმოდა მისი გულისძგერა და წუთის თავდავიწყებას მისცემოდა.

ონისეს თვალები აემღვრა, სისხლი აუდუღდა, აუჩუხჩუხდა, მკლავები გაეშალა და წუთს შემდეგ ძვირფასს ქმნილებას გულში ძალზედ იკრავდა, ნექტარის სიტკბოებას ჰგრძნობდა.

ორთავეს სიტყვა გაუწყდათ, სულთქმა გაუძნელდათ და მის მაგიერად ხანგამოშვებითი აღშფოთების ქშენა-ღა ისმოდა...

არავინ იცის, ეს საღამო რითი გათავდებოდა: ქალს ცოლის მოვალეობის გრძნობა გაეღვიძებოდა და ტრფიალისგან აღგზნებულს ცეცხლის ჩაქრობას მოახერხებდა, თუ თავდავიწყებული ბუნებრივს მოძრაობას მონად გაუხდებოდა, ყველას დაჰკარგავდა, დასთმობდა, ფეხქვეშ გაჰქელამდა, ოღონდაც ონისე შერჩენოდა?!

ამ თავდავიწყებაში, სულისა და გრძნობის კვეთებაში იყვნენ, როდესაც ერთბაშად გარედგან სიმღერის ხმა მოესმათ.

ორნივე შეჰკრთნენ და შეშინებულნი სმენათ გადაიქცნენ. მათ აშკარად გაიგონეს:

ვაჟკაცსა ცოლის სიავე
შუა გზას მოაგონდება;
წავალის საგონებელში,
გზას იქით გადავარდება...

ონისე და მაყვალა გაიყარნენ; მაყვალა გაწითლებული სენაკში შევარდა და კაცი კი აღელვებული გრძელს სკამზედ მიეგდო; კარები ერთბაშად გაიღო და სახლში გელა და რამდენიმე მომღერალი შემოცვივდნენ.

გაიმართა ლხინი, ტაშ-ფანდურა და მასპინძელი, დაპირებისამებრ, სტუმრებთან ერთად მზის სხივებს მხიარულის „გოგონათი“ მიეგებნენ.

მზემ კარგად მოიარა, როდესაც გელას გამხიარულებული სტუმრები ვახშმიდგან აიშალნენ, ჩვეულებისამებრ გამოსამშვიდებელი თასები გამოცალეს და გაიყარნენ, რადგანაც მას-

პინძელი ჩეჩნისკენ უნდა გამგზავრებულიყო და სტუმრებს კი თავთავიანთ საქმისთვის მიეხედნათ.

როდესაც გელა განთავისუფლდა და მარტოკა დარჩა, გამობრუნდა სახლისკენ და შესვლის უმალ მზადება დაიწყო.

მაყვალა ამ დღეს როგორღაც გულმოდგინედ შველოდა და ემსახურებოდა, თითქოს რაღაცა დანაშაულსა ჰგრძნობდა, შენანების ნიშნად ქმრის მიშველებით დანაშაულის გამოსყიდვა უნდოდა.

როდესაც სახლის პატრონმა სამგზავროდ ჩაიცვა, შემოიკრა იარაღი და ცხენი შეკმაზა, ცოლს შემდეგი სიტყვებით მიუბრუნდა:

— ქალაუ! ძალიან კი მშველი მამზადებასა და, არ ვიცი, ჩემი წასვლა გიხარიან თუ გონს მოხვედი?

ქალმა პასუხი არ მისცა; მხოლოდ ოდნავ გაწითლდა და თავი დახარა. კაცი დააკვირდა კარგა ხანს და შემდეგ ისევ წარმოსთქვა:

— გული რასმე მებრძვის, მეუბნება, არ წავიდე, მაგრამ არ დავდგები... ვინძლო სახლს გაუფრთხილდე, მტერი არ გააცინა. — ამ სიტყვებთან ერთად მათრახს დაავლო ხელი და განაგრძო: — აბა, მშვიდობით... მაი, ერთაი მაკოცე და გახსოვდეს, რომ თუ სათემოდ შემარცხვინე, შენი თოლების მეტი ვერა გიხსნის-რა!

ქალი არ გაინძრა და არც თავი აიღო; მხოლოდ ქვეითა ტუჩის ცახცახზედ დაეტყო, რომ ქმრის სიტყვებმა გულზედ უკბინა.

— არ გესმის, ქალაუ? — ჟინიანად და ენის არევით გაუმეორა გელამ და მათრახი გადუქნია, — არ გესმის, ადამის გვერდო?

ქალი დაიკლაკნა ტკივილისაგან, მაგრამ არც შეჰკივლა და არც ცრემლი გადმოაგდო; ამის სამაგიეროდ წარბები ძალზედ შაეჭმუხნა, თვალები გაუბრწყინდა და სახეს მუქარის გამომეტყველება დაეტყო.

— ნუ იჭმუხვნამ წარბებსა, ნუ-მეთქი! — მკაცრად დაუმატა გელამ და მათრახი კიდევ რამდენჯერმე გადაჰკრა. — დედაკაცი და ცხენი ერთია — მათრახი კი ორთავესთვის გაჩენილი!

— კმარა, გეყოფა! — წყნარად უპასუხა ქალმა და დაუმატა: — ღვთის მადლმა, მათრახით თავს ვერ შემაყვარებ.

— ჰა, ჰაი! — ჩაიცინა კაცმა და ამავე კილოთი მიუგო:— ჯანს კი არ გაგაგდებინებ?

— ნუ-ღა, ნუ!.. ნუ ეცდები, თორემ განანებ! გა, აგრემც შემეწევა ზედანიში!

— აი, თუ მანანებ! — დაუჭყივლა არყისგან შეხურებულმა გელამ და ისევ მათრახი შეუმაღლა.

— მაშ თუ აგრეა, შენმა სულმა ზღოს! — უპასუხა ქალმა და სწრაფად გარედ გავარდა.

გელა არ მოელოდა, რომ ცოლი გაქცევას გაბედავდა და ამისთვის, მცირე გაოცების შემდეგ, რამდენჯერმე მაღლად დაუყვირა:

— მაყვალაუ, მაყვალაუ, დაბრუნდი, ღვთის მადლმა, თორემ სისხლს გარწყევინებ! — მაგრამ მის სიტყვებზედ არავინ შემობრუნდა, რადგანაც ქალი მეზობლისას დამალულიყო.

გელა გავიდა გარედ, შევიდა ბოსელში, ყველგან ეძება ცოლი, მაგრამ ვერსად იპოვნა და კარგა გულის ბრუნების შემდეგ გადასწყვიტა:

— სად ჯანაბას წავა, აქავ არ უნდა დაბრუნდეს?

ძლივს გაათავა მოხევემ ეს სიტყვები, როდესაც მასთან წამსვლელი მთიელები მოვიდნენ და გელა ისე გაუდგა, რომ მაყვალა აღარ უნახავს.

VI

წარსულს ღამეს, როდესაც სიტკბოება ასე მოულოდნელად ქმრისა და სტუმრების მხიარულებამ შეუწყვიტა მაყვალას, მათმა ქეიფმა და დროს გატარებამ საშუალება მისცა თავის მდგომარეობას დაჰკვირვებოდა. პირველმა თავდავიწყების წუთებმა გაიარა და მათი ადგილი ცხოვრების სინამდვილემ დაიჭირა, თვალწინ წარმოუდგა წარსული და მძიმე ლოდათ გულს შემოაწვა. ქალს მოაგონდა მწარე და ძნელად ასატანი წუთები ძალად გათხოვებისა, მოაგონდა ცრემლით გატარებული ღამეები, როდესაც თავის მოკვლას და

ეშმაკისთვის სულის მიცემას მხოლოდ სასწაულით გადარჩენილიყო, მოაგონდა მთელის წლობით მგლოვიარე გულის კვნესა და ბოლოს ის საიმედო შუქი, რომელიც ჩაბნელებულს ცხოვრებას თემის გადაწყვეტილებამ მიაყენა და სულმა თითქოს ნეტარებით თრთოლა დაუწყო; მაგრამ ეს მდგომარეობა დიდხანს არ გაგრძელდა, რადგანაც თვალწინ ისევ ძალა და უსამართლობა წარმოუდგა; მოაგონდა თემის გარდაწყვეტილების ფეხით გადალახვა და ჭმართან ძალად დასახლება; მწარე და სევდიანი დღეები, როდესაც ისე დასამცირებლად უნდა აღესრულებინა უხიაკი კაცის ბრძანება და მის მოთხოვნის წინაშე თავი მოეხარა; მოაგონდა და გული ჩაეთუთქა, რადგანაც ეს მოგონებანი მომავლისთვისაც არაფერსა ჰპირდებოდა. ონისესთან შეყრამ გააგებინა, რომ იმის საოცნებოდ გულის ამძგერებელს არამც თუ ჯერ არ დავიწყებოდა, არამედ პირველის შეყრის წუთების ძალით უცემდა გული, გრძნობა საკირესავით ანთებული ჰქონდა და სისხლი მთის ჩანჩქარსავით სცემდა და უდუღდა, მაგრამ რა გამოვიდოდა ამ სასიხარულო წუთებიდამ?.. მაყვალა რამდენჯერმე მოატყუა იმედმა, მოატყუა იქაც კი, სადაც მის მოსარჩლედ მთელის თემის ძალა გამოვიდა და ამის შემდეგ რაღა იმედი უნდა ჰქონოდა მარტოდ-მარტო ონისეს ბრძოლისა, თუნდა შეყვარებულს გულს სატრფო ლომადაც წარმოედგინა?

ეს ფიქრები მოუვდა თავში და გულს სევდამ ჭახრაკად მოუჭირა, მწარედ კვნესა დააწყებინა; მაყვალამ იგრძნო, რომ მათი შეყრა უბედურების მეტს არას მოასწავებდა და წუთის სიტკბოების გრძნობამ მხოლოდ ძველი ჭრილობანი, ძველი იარები აუშალა. ისა სწუხდა ონისესთან შეყრას, სწყევლიდა და ჰკრულამდა იმ წუთს, როდესაც ამ ბიჭა შავს გელასთან ნამგალაობის წადილი მოსვლოდა და ნახევარს სიცოცხლეს მისცემდა, რომ ეს საღამო იმის ცხოვრებიდამ ამორეცხილიყო.

ქალმა გადასწყვიტა, ყოველი საშუალება ეხმარნა, რომ ონისე. რაც შეიძლებოდა, ჩქარა დაევიწყნა, დაშორებოდა და ისიც დაერწმუნებინა, რომ აღარ უყვარს. სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ დიახლისი სტუმრება თავს არ დასტრიალებ-

და და შეყვარებულის თვალი ძვირფას საგანს ვეღარ ხედავდა. აღასრულებდა ამ გარდაწყვეტილებას, შესძლებდა აღძრულს გრძნობასთან ბრძოლას თუ არა, ამის თქმა ძნელია, მხოლოდ ის კი შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ მაყვალას წადილი გულწრფელი იყო და იქნება, სხვა პირობათა შორის რომ ყოფილიყო, თავში არც კი მოსვლოდა ეს განზრახვა.

ქმართან გამოსალმების დროს გელას მოუფიქრებელმა საქციელმა გუნება სრულიად შეუცვალა, ჯავრის ამოსაყრელად ონისესთან გაქცევა მოაფიქრებინა, მაგრამ რაკი შინ დაბრუნდა, ქმარი იქ აღარ დახვდა, ცოტა ოდნად დამშვიდდა და ისევ ოხვრით წარმოსთქვა:

— იმ თავით ამ თავამდე უბედურს გზას ვადგევარ, ჩემს საქმეში ბიჭაი რაისთვი-ღა გავაბა?.. არა, ღვთის მადლმა!.. მეტად მიყორს და იღბალს არ დავუკარგავ!..

ამ სიტყვებით მაყვალა პირველს გადაწყვეტილებასვე მიუბრუნდა და მტკიცედ შეუდგა მისთვის ძნელად აღსასრულებელს საქმეს — ონისეს გულიდგან ამოღებას.

ასე მიდიოდა დრო, ქვეყანა ჩვეულებრივ საქმეს დასდგომოდა და ერთმანერთის შურასით თიბა გაეხურებინათ; ამ საერთო ჰარმონიას მხოლოდ ონისე განშორებოდა, რადგანაც აღარც სამუშავოდ ეცალა და აღარც სახლის მისახედად.

ამ ბიჭის ყმაწვილკაცობა მეტად დაჩაგრულიყო, მის გულს მეტად ბევრი სევდა და მწუხარება გამოევლო, მეტად ბევრი ეკვნესა ობლობასა და სიმარტოეში, რომ ბედისაგან გაღიმებას სრულს თავდავიწყებამდის არ მიეყვანა. მართლადაც, წარსულის წუთების სიტკბოება მეტად ტკბილი და ძლიერი იყო, რომ არამც თუ ამ ნეტარების კარგა ხანს მომლოდინე, არამედ პირველად შემხვედრიც არ დაეტკბო, არ მოეხიბლა და შეტოკებული გული აღარ დაესვენებინა. გონებას ეხვეოდა მეტისმეტი ნათელი და ოცნება კი უხატავდა გაბრწყინებულს სურათებს; მკაცრის ყინვის შემდეგ ერთბაშად და მოულოდნელად დამყვავებელი ტკბილი სითბო ეგრძნო და ერთბაშად იმდენი სანუგეშო იმედები გაღვიძებოდა, რომ აზროვნებას, გარდა მაყვალასთან შეთამაშებისა, მასთან ბედნიერების წარმოდგენისა, აღარაფრისთვის არ ეცალა.

მართალია, მოხევეს გახურებულს გონებაში ათასში ერ-

თხელ ელვასავით აზრი გაურბენდა, რომ გელასთან სახუმრო ბრძოლა არ მოუნდებოდა, მაგრამ ეს ფიქრი იყო წუთისა, რომელიც ისევ ისე სწრაფად ჰქრებოდა, რაგორც იბადებოდა; ამ ფიქრს სწრაფად შესცვლიდა მაყვალასთან შეერთების იმედი, და ეს საკმარისი იყო წელში გამართულს ყოველისფერი გადავიწყებოდა, თავი მაღლად აეღო და გამხნევებულს, არამც თუ მარტოკა გელა, არამედ მთელი ქვეყანა ბრძოლად გამოეწვია. ამ წუთებში ონისე სატრფოს მფლობელადა ჰგრძნობდა თავისთავს და ეს საკმარისი იყო, რომ გულს გამარჯვების ბუკისთვის ეკრა და ღონე გაათებული ეგრძნო; მაყვალა მისი იყო და თავს ქვეყნის მფლობელად სთვლიდა! ვინ იქნებოდა ისეთი თავხედი, რომ შესცილებოდა?!.

შეყვარებულს ასეთი ფიქრები მოსდიოდა და სიცოცხლეს ათასგვარად უფერადებდა; ყოველს საგანს ბუნებაში ფასი დასდებოდა და ათასის მხრით, საალერსოდ, დამატკბობელად ეხატებოდა: ალერსის დროს შეყვარებული გული სატრფოს სიახლოვეს ითხოვდა, მაგრამ დღეები გადიოდა ოცნებაში და სატრფოს კი ვერსად შეხვედრიყო, ვერსად შეალერსებოდა და გაღიმებული გული მოუთმენლად გასძახოდა: „ტოლი მინდა, ტოლთან შაერთება მწადის!“

იძახდა და არ ისვენებდა: მოთმინებას თანდათან ძალა ელეოდა. და მისი ძახილი მალე შეუყენებელს, ადუღებულს და მჩქეფარეს წადილად გადაიქცა.

— სად ვნახო, როდისა, როგორ? — მეათასედ იმეორებდა ონისე, მაგრამ შემთხვევა არ ეძლეოდა, რომ წადილი აღსრულებოდა, რადგანაც ქალი შინ შეკეტილიყო და წყალზედაც კი აღარ გამოდიოდა.

ონისეს ვერ წარმოედგინა, რომ ქალი ერიდებოდა, და მისი უნახაობა კი მასთან შეხვედრის წადილს თანდათან უფრო უძლიერებდა.

პირველ ხანში ჯერ კიდეც მოაზრება შთააგონებდა, რომ მაყვალასთან პირდაპირ სახლში მისვლას, შეიძლებოდა, ქალის სახელისთვის ჩირქი მოეცხო, მაგრამ ამ ფიქრებსაც შეყრის წადილმა მალე დასძლია და საზრუნველად მხოლოდ მისი ნა-

ხეს შაეცსა; ცასთან ალერსი, სადაც უნდა და როგორც უნდა ეალბლიყო, მოთხოვნილებად გადაექცა.

— დღეს თუ ხვალ ხომ ჩემი უნდა იქნას, — იფიქრა იმან და ამას მოჰყვა შემდეგი გარდაწყვეტილება: — მაშ რაი ბედნახაა, სადაც უხდა შევხვდე?

სთქვა ეს, თოფს ხელი დააავლო და აღგზნებული ატაცებულსავით გარედ გაიჯოვარდა.

მთვარე ის-იყო მთის წვერიდგან ამოშუქებულიყო და ღრუბელს ნახევრად შეჰფარებოდა. ღაწვ ცათოის ძოარიყეთ, რაკი სატრფოს მიახლოვება ეგონათ, მოოცხვად შეწითლებულიყვნენ და მნათობისთვის გული გადაეშალათ, რომ ნაბნელებული სახე სხივით გაეშუქებინათ; წყნარი ნიავი ნასად მოქროდა და სიფრთხილით არხევდა მთის კეკლუცებს; სურნელებას სტაცებდა და მიდამოს ყნოსვის დამატკბობელის ჰაერით ავსებდა; მდინარე ამ ადგილს მდორეთ მოდიოდა და, გამედგრებულის ღრიალის მაგივრად, წყნარად და ტკბილად მოდუდუნებდა. ნაპირებზედ იდუმალად შემოჩქეფული ტალღები უკან იდუმალადვე მიქანავდა და წვრილის კენჭებიდგან ჩაწურული წვეთები გრძნობით აღსავსეს ჩუხჩუხით კეკლუცად ესალმებოდა.

ბუნება ონისეს მდგომარეობას უფრო ხელს უმართავდა, თითქოს განგებ ამ ღამეს ისე მოწყობილიყო, რომ გაბრძოლებულის გულისთვის წადილის გამღვიძებელი ნეკტარი მეტად გაეძლიერებინა.

მოხევემ ძალზედ ამოისუნთქა და წმინდას, სურნელოვანის ჰაერის მიკარებასთან ერთად გულმაც მეტად გაიფართხალა. მოიხადა ქუდი და შუბლი გამგრილებელს ჰაერს მიუშვირა, მაგრამ ადუღებული სისხლი მეტად შეჰხურებოდა, რომ შვება მისცემოდა და ჩქარის სიარულით, თითქმის სირბილით გელას სახლისკენ გასწია.

კარგა გვიან იყო და საწოლიდან შუქი აღარ გამოდიოდა; ეტყობოდა, სოფელში ყველას დასძინებოდა და წარსულის დღის შრომის შემდეგ ყველა ტკბილს განსვენებას მისცემოდა.

ონისეს სულმა შესტაცა, გულმა ძგერას მოუხშირა და თითის წვერებზედ შემდგარი, გაძაბული წინ წყნარად მიიპა-

რებოდა. თვალწინ მას ეხატებოდა სოფლისგან განცალკევებული სახლი გელასი, სადაც ამდენი ხნის ძოწესვენრობის მიზეზი იმყოფებოდა.

აღგზნებული თვალებით, შეწითლებული ლოყებით, ხმაგაკმენდილი ონისე, ისეთის სიფრთხილით და მოწიწებით მიდიოდა ამ სახლისკენ, თითქოს უწმინდესს ადგილს გულმხურვალე მლოცველი უახლოვდებაო; ყოველი ბიჯის გადადგმა უახლოვებდა საგანს და ყოველი მიახლოვება კი სანეტარო მოლოდინით აცახცახებდა.

მოხევემ მიაღწია დერეფანს და შესდგა, რომ სული მოეთქვა, რადგანაც გული ისე მაგრად უცემდა, რომ ძალზედ გავლებულის ხელით ოდნავაც ვერ შაეყენებინა.

ბოლოს მიუახლოვდა სარკმელს და მოუთმენლად სარკმელში შეიხედა. ოთახში ბნელოდა და ვერა დაინახა-რა. მხოლოდ კერაში ჩახვეულს ცეცხლში, რომელიც მთლად ჩანაცრებული იყო და შუქი ფერფლს დაებნელებინა, ერთს ადგილს ნაპერწკალი ბრწყინავდა. ონისე დააკვდა სარკმელს და რაოდენსამე ხანს გაწამებული, სულგაკმენდილი და კრიჭაშეკრული უყურებდა, მაგრამ მაინც ვერა გაარჩია-რა. ბოლოს აღო კენჭი და კერაში გადააგდო; ნაცარი გაიფანტა, ნაპერწკალები აცვივდა და ოდნავ გაშუქებულს კერის პირს გამოჩნდა ერთადერთი ლოგინი, რომელშიაც ვიღაცა იწვა და ძილი იქამდის გახშირებოდა, რომ ვერც ქვის გადავდების ხმაურობამ გამოაღვიძა და ვერც ცეცხლიდამ აცვინულმა ნაპერწკლებმა.

ონისე მოშორდა სარკმელს, წყნარად მივიდა კარებთან და ურდულს სიფრთხილით წვალება დაუწყო. ეტყობოდა, კარებს კედა კარგადა ჰქონდა გამაგრებული, რადგანაც მთიელის მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა და ურდული არ მორჩილდებოდა.

ცოტა ხანმაც გაიარა ამ მეცადინეობაში და ერთბაშად ხმაურობა მოისმა, თითქოს მძიმე, მაგარი რაღაცა ჭაჭით მოკირწყლულს კარების ზღუდეს დაეცაო. აშკარა იყო, ურდულის გასამაგრებელს შუკუნაში კარების დამკეტს კედის ბოლოში ქვა ჩაეჭედა, რომ კარები ვეღარ გაღებულიყო და ხმაურობა ამ ქვის ჩავარდნის გამო იყო.

ამ ბრახუნზედ ოთახში მწოლი შეკრთა და შეშინებული წა-

მოჯდა. კარგა ხანს ყურისგდების შემდეგ გაიღიმა და დამშვიდებით წამოიძახა:

— კატა ტიალამ ძილი გამიფრთხო! — გადაიწერა პირჯვარი, ისევ მიწვა და ისევ ღრმა ძილში შევიდა.

ონისემ ჩარჩოსა და კარის ფიცრის შუა ხელი შეყო და ურდულს ისევ წვალება დაუწყო. კედა შეინძრა, მიიწია უკან და კარები წუნარის ჭრიალით შეაღო.

სახლში მწოლარემ, რაკი ძილი ერთხელ დაჰკრთობოდა, ხმაურობა მაშინვე გაიგო და მიხვდა.

— ვინა ხარ? — დაიძახა შეშინებულის ხმით და საჩქაროდ საგულე გადაიცვა.

— სუ! სუ! ნუ ჰკივი! — მოესმა იმას პასუხად.

ამ ხმაზედ ქალი გაჟრჟოლდა, რადგანაც ონისე იცნო, მაგრამ გონება მაინც არ დაეფანტა და მტკიცედ უთხრა:

— კაიჲ-ღა ვიღაცა ხარ, თავს ნუ იგდებ, ღვთის მადლმა, თორემ უნიშნოდ არ გაგიშვებ!

— სუღა, სუ, მაყვალაისი!.. — ნიავსავით წუნარის, თუმცა აღგზნებულის ხმით უპასუხა დაუპატიჟებელმა და მიხურულს კარს ურდული ისევ გაუმაგრა. — ბეჩაო! ღმერთი აღარა გყავს?! — იმავე კილოთი გაიმეორა ონისემ და წუნარად კარისკენ გასწია.

იქამდის ძლიერი იყო ეს ხმა, იმოდენა ტანჯვა და მუდარა გამოითქმოდა ამ მოკლე სიტყვებში, იქამდის უბედურად, შესაწყალებლად გეჩვენებოდათ ეს კაცი, რომ ქალს გული მოულბო და ენა ჩავარდნილმა სიტყვა ვეღარ მოახერხა.

მოხევემ ქამარზედ ჩამოკიდებულის ჩანთიდამ ამოიღო გრძელი და წვრილი წმიდა სანთლის სანათებელი, რომელიც რგვალად იყო ერთმანერთზედ დახვეული, უპოვა თავი, გამოშალა რაოდენადმე, ცეცხლზედ აანთო და კედლიდგან გამოშვერილს ქვაზედ დადგა და გულხელდაკრეფილმა ცქერა დაუწყო ქალს.

ქალმა შეხედა, სცადა სიტყვის წარმოთქმა, მაგრამ სწრაფად ისევ თავი დახარა და მთრთოლარეს თითებით ნაწნავის წვერებს ძენძნა დაუწყო. ონისე მთლად გაფითრებულიყო და ისეთი სახე დასდებოდა, თითქოს მსაჯულისგან გადაწყვეტილებას მოელისო.

— ბიჭავ, რად მოხველ, რაი მოგსვლია! — ოდნავ გასაგონარის ჩურჩულით ჰკითხა ქალმა.

— რად მოვედ — ეგ თავადაც კარგად იცი და რაი მომსვლია — მაგას კი გეტყვი. — ონისემ შეისვენა, მძიმედ და ხანგრძლივად ამოისუნთქა, — ის მომსვლია, რომ მაწვალებ და გზას კი აღარ მაძლევ!..

— რაი გზა მოგცე, რაი გინდა ჩემგან? — ხმის კანკალით კითხვა გაუმეორა მაყვალამ.

— დავდნი, დავილიე, ქალაუ! და გადაწყვეტილს კი არას მეუბნები... მითხარი, რას მიპირებ? მითხარ, ღვთის მადლსა!

— ბიჭაუ! — თავდავიწყებით წამოიძახა ქალმა და ხელები ონისესკენ გაიშვირა, მაგრამ მაშინვე თავი შეიმაგრა და ხმა ჩაუწყდა.

— სთქვი-ღა, სთქვი! — მიაშურა მოხევემ და რამდენიმე ნაბიჯი წინ წასდგა.

ქალმა ღონე მოიკრიბა, სრულს თვითმფლობელობაში შევიდა და ხელების მიშველებით შეაყენა.

— მოიცა-ღა!.. რას სჩადი? — უთხრა იმან და დაუმატა:— რაისთვი მოხვედი ამ შუაღამისას... რაისთვი გამიტეხე სახლი?..

— იმადა, რომ მიყორხარ! — ისეთის ხმით შესძახა ბიჭმა, რომ მის გამგონე ქვაც კი დადნებოდა.

მაყვალა შეკრთა და წნორის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო, მაგრამ მაინც უპასუხა:

— რაი ვქნა, ონისეისი!.. შენ გიყორვარ, მაგრამ!..

— მაგრამ რაი-ღა? — გაფითრდა ონისე და ნაკადულსავით ცივმა ჭირის ოფლმა ხვითქად გადმოჰხეთქა.

— მაგრამ ისა, რომ მე არ მიყვარხარ.

— რაი სთქვი?! — წყნარად და გაგრძელებით იკითხა კაცმა და ხმა ჩაუწყდა.

ქალის სიტყვები მთიელს თავში ზარსავით დაეცა და ფეხებამდის ზრიალით გაურბინა.

— რაი სთქვი? — გაიმეორა იმან, — მაშ ეგრე?.. არ გიყორვარ?.. მაშ რაისთვი-ღა ბკოცნიდი, რაისთვი-ღა მეხვეოდი... რაისთვი-ღა მხიბლავდი და იმედს მაძლევდი?..

— მებრალებოდი და იმად.

— გებრალებოდი? — მყარედ ჩაიცინა ონისემ, — მაშინ გებრალებოდი, მაშინ, როდესაც გული ჩადნა, ჩაიწვა, გაბოუდა... მაშინ გებრალებოდი და სიბრალულით ცეცხლი ხელახლად მომიდე?.. ეგ იყო სიბრალული!.. აჰუ! მაყვალაუ!.. ძავნე, მაცდუოი ყოფილხაო და არ დაიხდობ...

— რაისთვი სჯავრობ?.. ღმერთძა და ხალხმა ცხოს მაკუთნა და უნდა დავმორჩილდე...

— სტყუი!.. ღმერთმა და ხალხმა კი არა, ძალამ გაკუთხა და შენც დაძორჩილდი... მოკვდე — ის არ გირჩევნიხ? ქვის გული გქონია, ღვთის მადლმა!

ქალს გული ამოუჯდა და იგრძნო, რომ სუსტდებოდა. ჰგრძნობდა, რომ ეს კაცი მეტად უყვარდა და მასთან შაერთება ათასს უსიამოვნობას მოახვევდა თავსა და სწორედ ამისათვის ცდილობდა თავის გადაწყვეტილებისთვის არ ეღალატნა.

— კარგი, ონისეისი!.. რაიც გინდა დამარქვი, ოღონდაც წადი, მომშორდი!..

— წავალ, მაყვალაუ, წა! რაისი გეშინიან? შენი ბედია, რომ დიაცი ხარ და დიაცზედ ძალას ვერ მოვიტან!.. მაგრამ იცოდე, იცოდე, ღვთის მადლმა, რომ ჩემის გაგდებით გელასა და ჩემში, თუ ორთავეს არა, ერთ-ერთს მაინც ჰკლავ!.. იყოს... რაიც მოგვივა, მოგვივიდეს, ჯანაბას ჩვენი თავი!.. შენ იყავ მშვიდობითა...

ამ სიტყვებით ონისე გამობრუნდა და წყნარის ნაბიჯით კარისკენ გასწია.

მაყვალა კი ერთს ადგილს მეხდაცემულსავით იდგა და განძრევაც ვეღარ მოეხერხებინა. აქ ქალს უნდოდა მთიელთან გაშორებით მისთვის მოსალოდნელი განსაცდელი აეცილებინა, ამ აზრით მსხვერპლად მოჰქონდა თავისი თავი, გრძნობა, მოსვენება და ათასრიგად წამებული გული და ერთბაშად დაინახა, რომ ამით განსაცდელს არამც თუ ვერ აშორებს საყვარელს კაცსა, არამედ გაბრაზებას მეტის ძალით უცხოველებს და ფათერაკს თავსა ჰხვევს.

— ონისევ! — გაჭანდა ქალი სწორედ იმ დროსა, როდესაც ონისემ ურდულს ხელი გაავლო.

ამ ერთ სიტყვაში იმდენი მდუღარე, აღშფოთებული გრძნ-

ბა გამოისმა, რომ მთიელი შეკრთა, გაჟრჟოლდა და თავისავე უნებურად კისერი მოაღრიჯა.

— რაი-ღა გინდა? — ცოტა სიჩუმის შემდეგ ჰკითხა იმ-ან, — ერთხელ მითხარი: არ მიყორხარო — და ცხელი ტყვია გულს გაგიტარე... ერთი ჭრილობა არ გინდა მაკმარო?..

ამ სიტყვებით გამობრუნდა, გადიწია მკერდი და გამწარე-ბულმა წარმოსთქვა:

— აჰა, ნუღარ შესდგები!.. მომკალ და გაათავე!

ცაყვალა შესდგა, ჩაღუნა თავი და წყნარად წარმოსთქვა:

— არა, არა... შენთვის გონჯი არ მინდა... არა, ღვთის მაღ-ლმა!.. მაგრამ, წადი, წადი! — ჩაიქნია ხელი.

ონისე გამობრუნდა.

— ქალაუ! რაისთვი-ღა მაწვალებ?.. კატა რომ თაგვს დაი-ჭერს, ნოჰკლავს, ათამაშებს, გულს მოიჯერს და გადააგდებს, და შენა? შენ კი აღარცა მკლავ და აღარც თავს მანებებ!.. ღმერთი მაინც აღარა გყავს?.. კაცი უნდა ყოფილიყავ, რომ გადამეხადა!

— ბიჭაუ! ღვთის მადლმა, სატანჯავადაც მებრალები... — ონისეს სახე გაუბრწყინდა, იმედმა გული გაუშუქა და ფართხი-ლი დააწყებინა.

— მაშ გებრალები? — წამოიძახა იმან და სმენად გადა-იქცა.

— მებრალები, მებრალები ისე, რომ თავის სიკვდილით შენი დახსნა რომ შემეძლოს — მოვიკლავდი...

— მაშ გულს რაღად-ღა მიკლავ, ცეცხლს რაღად მიდებ?!

— გასათხოვარი რომ ვყოფილიყავ, ცამც დამტეხოდა, თუ შენს მეტი ქმარი მესურვა, თუ გულში ცხო კაცის სახე ჩამეს-ვენა... მაგრამ ეხლა რაი გიყო?.. ქმრიანი ვარ და თემს ყბად ვერ ავეღებინები... წადი, ონისეისი... იცხოვრე, იცხოვრე მშვიდობიანად... ჯერ კიდევ ყმაწვილი ხარ... რაი გიჭირს, ბედნიერო... ვინ გეტყვის უარსა?.. მთა სავსეა ყვავილებით და მოწყვიტე, რაც მოგეწონოს... იყავ მშვიდობიანდ, ბედ-ნიერად და შენის ბედნიერებით მეც მომასვენე.

— მაშ მაგად მომაბრუნე? — ჩაახველა მთიელმა და და-ცინვით დაუმატა: — ქალაუ! იმისი თუ არ გეშინიან, რომ ქმარს მოგიკლავ?

— იმისი მეშინიან, რომ შენ არ მოგკლან! — გაიშვირა ჭალმა იმისკენ ხელები.

— მაშ წავიდეთ, გავიქცეთ! — აღგზნებულის ხმით წამოიძახა ონისემ.

— ნუ, ონისეისი, მაგას ნუ გამაგონებ!.. მანდილს ვერ მოვიხდი.

— გველო, დაშხამულო გველო! — ხელის კვრით მოიშორა ჭალი, — ნეტავ შემეძლოს, თავი გაგისრისო!

ამ სიტყვებით ონისემ ხელი ხანჯალს გაიკრა და სახეში აირია; ყელში ხრიალი დაიწყო და თვალებიდამ ნაწინწკლები გადმოსცვივდა, პირისახეზე ალმური აედინა. მაგრამ ეს იყო წუთის თავდავიწყება, რადგანაც წუთის შემდეგ ის მისწვდა თავის ყელს, ხელები ძალზედ წაიჭირა და რაოდენსამე ხანს ასე გაწამდა.

— არა, შენ არა, შენ არა... — ბოლოს მწარედ წარმოსთქვა იმან. — შენი რა ბრალია! ბედმა ცხოს მისცა შენი თავი და მეც იმას მოვეკვლევინები. მშვიდობით, მაყვალავ! შენ მაინც იყავ ბედნიერი.

ამ სიტყვებით მწარედ მოივლო მკერდს ხელი და მთვრალსავით ბარბაცით გარეთ გამოვარდა.

მაყვალა ონისეს სიტყვებმა შეაშინა, ძალა მოუსპო და მუხლებზედ დასცა. კარგა ხანი მოუნდა, სანამ გონს მოვიდოდა. როდესაც ზეზე წამოდგა, მოისვა თვალებზედ ხელი, წყნარად მიიხედ-მოიხედა, — ოთახი დაცარიელებული იყო და ოდნავ მბჟუტავს წმინდა სანთელს ღამის წყვდიადი სუდარასავით გარს ეხვეოდა.

VII

გაიარა დღემ, მაგრამ მაყვალა წარსულის შემთხვევით ისევ ისე გაბრუებაში იყო, გონება ვერ მოეკრიფა. არ ესმოდა, რას ელოდა, რას იდგა და რა უნდოდა. ერთს დილით ის წამოდგა და განსაკუთრებითი სიმძიმე იგრძნო. სული ეხუთებოდა, გული მოუსვენრად ტოკავდა და თვით ფიქრიც კი შეგუბებოდა და მოძრაობა აღარა ჰქონდა. გული უცემდა წყნა-

რად და ძალა-ნოკლებულად; ძარღვები მოსდუნებოდა და თითქოს მოძრაობის თვისება დაეკარგა; თვალებში სიცოცხლე აღარ ეტყობოდა და დახრილი უსაგნოდ მიწას მისჩერებოდა. გაცრეცილი, სიცოცხლეს მოკლებული, გახევებული იდგა ეოთს ალაგს და ქვისგან გამოჭრილს უსულო სავანს დამსგავსებოდა. მხოლოდ ათასში ერთხელ შეცივების ჟრიამულს გრძნობდა და ოდნავ გათრთოლდებოდა ხოლმე.

ერთბაშად ყურებში რაღაცამ ხმაურობა დაუწყო, თითქოს მდინარის მოძრაობის ხუილი არისო და გონება თითქოს გაუნათლა, აშკარად იგრძნო, რომ გულიდგან რაღაცა მწარე და უსიამოვნო დაიძრა, რომელსაც თანდათან სითბოება და მოძრაობა ემატებოდა; მის მოძრაობასთან ერთად მოგონებანი უცხოველდებოდა და გულს გრძნობიერება უბრუნდებოდა. ქალმა ერთბაშად ძალზედ ამოისუნთქა, შეკრთა და დაბლა დაშვებული თვალები მაღლა აიღო, კიდევ წუთი ასეთის გაშტერებისა და ერთბაშად შეჰკივლა:

— მაშ დავიღუპე?!. არა, ღვთის მადლმა, არა, მე მოვკვდები და ონისე კი იცოცხლებს!

ამ სიტყვებზედ გიჟსავით გამოვარდა გარეთ და გარბოდა იქითკენ, საითკენაც ონისეს წასვლა ეგულებოდა.

ქალი მიისწრაფოდა შეუყენებლივ, აღშფოთებული და სახეზედ ალმური გადასდიოდა. თავს შალი გადავარდნოდა და გაწეწილი თმები ქარს გაეწეწა.

ხანდისხან ნაწყვეტ-ნაწყვეტად და გადაუბმელად წამოიძახებდა: „ონისე თავს შეაკლავს... ონისე მოკვდება... მე რაღად მინდა სიცოცხლე?!“ და ისე რიგად ამოიკვნესებდა ხოლმე, რომ კაცი იტყოდა: გული თან ამოაყოლაო!

რამდენადაც მაყვალა დღემდის ცდილიყო, რომ გულწრფელი სიყვარულის გრძნობა შაეყენებინა, რამდენიც მეტი და სასტიკი მოთმინება დაეხვედრებინა გულის მოძრაობისთვის, იმდენად მეტის ძალით გაბრძოლებულიყო მის დაუკითხავად აღძრული გრძნობა. ყოველი მეცადინეობა მაყვალასი, ყოველი მოაზრება, რომელსაც გრძნობის მოძრაობას წინ უყენებდა, გადმოხეთქა გაშმაგებულმა წადილმა და თან წარიტაცა ქალის ნება.

მაყვალას რამდენსამე დღის წინად შაეძლო კიდევ სატ-

რფო, საყვარელი კაცი გაებრუნებინა, შაეძლო დაერწმუნებინა, რომ არ უყვარდა, მოეხერხებინა პირდაპირ ეყურებინა იმის ტანჯვისა და ტკივილისთვის და, თუმცა ეს ყველა ქალისთვის მეტად მძიმე სატანჯავი, მეტად ძნელი ასატანი იყო, მაგრამ ბრძოლიდგან მაინც გამარჯვებული გამოსულიყო. ეხლა, როდესაც ონისეს მოშორდა, როდესაც სატრფოსთან განშორების სიმწვავე იგრძნო — გაქვავებული გული მოულბა, გონება დამორჩილდა გრძნობას და სულმა იმისკენ გაიბრძოლა, რომელიც ქალის არსებობის უმთავრესს საგანს შეადგენდა.

ეხლა მაყვალა მთლად გრძნობას დამონებოდა, ეხლა მზად იყო ყველასთვის პირდაპირ, უშიშრად ეთქვა: „მე ვეძებ ონისეს, მასთან შაერთებისა არა მრცხვენის, ამიტომ რომ მიყვარს, ნამუსზედაც კი მეტად მიყვარს!“

მაყვალა მზად იყო მთელი თავისი სიცოცხლე მიეცა, ოღონდაც კი ეს კაცი დაენახა, ჩაეხვია ერთხელ, მხოლოდ ერთხელ მოესწრო ეთქვა: „ჩემო ყველავ!“ და მერე თუნდა სული დაელია.

იქამდის ძლიერად გაშმაგებულიყო ეს ქალი, იქამდის შეპყრო წადილს, რომ სრულს თავდავიწყებას მისცემოდა და სწორედ ამისთვის ვერ შეამჩნია ვიღაცა მწყემსი, რომელიც იმისკენ მოდიოდა.

უცნობი უყურებდა დედაკაცს, რომელსაც თმა გასწეწოდა, სახე შეშლოდა და გიჟს დამსგავსებოდა.

— აბაი-მე! — დაიძახა მწყემსმა, — რაი მოსვლია? ბეჩავი, გაგიჟებულა თუ! — წარმოსთქვა შენანებით და დაუმატა: — მაი, დავიჭერ, თორემ კლდეზედ სადმე გადავარდების და ცოდო-ბრალში გამხვევს.

ამ სიტყვებთან ერთად უცნობი კაცი მივიდა ქვასთან, ამოეფარა, რომ დედაკაცს ვერ დაენახა და უფრო გულდანდობილად ხელში ჩავარდნოდა.

თავის საფრიდგან უყურებდა გაკვირვებული მეცხვარე მომავალს ქალსა, რომელიც მისკენ მოისწრაფებოდა.

ერთბაშად მწყემსი შეკრთა და წამოზეზევდა. სახეზედ აშკარად გაკვირვება დაეტყო.

— აუ!.. მაყვალაუ არაა?.. ისაა, ღთის მადლმა! — ცოტა

სიჩუმის შემდეგ წამოიძახა კაცმა და დაუმატა: — რაი მოსვლია?

მწყემსს ფერი ეცვალა, გაფითრდა და იქამდის დაიფანტა, რომ თავის განზრახვა სრულიად გადააგიწყდა. გამოვიდა პირდაპირ და ქალისკენ გასწია.

— მაყვალაუ, მაყვალაუ! რაი მოგსვლია, ბეჩაო! — შორიდგანვე შესძახა კაცმა.

მაგრამ ქალი მეტად გართული იყო თავის საკუთარის ფიქრით, რომ ამ კაცის სიტყვები გაეგონა, ან თითონ ის შაემჩნია და ამისთვის პასუხმიუცემლად გასცდა.

მწყემსი რამდენჯერმე გადახტა, წაავლო ქარისაგან გაფრიალებულს საგულეში ხელი და დასჭყივლა:

— ქალაუ! რაი მოგსვლია?

მაყვალა შეკრთა, შეკივლა და შესდგა. მიიხედ-მოიხედა ამღვრეულის თვალებით და ერთბაშად კაცს მოეხვია.

— ბეჟიაუ, ბეჟიაუ! მითხარ, ღვთის მადლსა, რაი იქნა?— კაცმა არ იცოდა, რასა ჰკითხავდა.

— ვინა?

— ისა, ისა... აქეთ წამოვიდა... შენა ნახამდი... მითხარ, აგრემც შეგეწევა ლოცისა!.. — აჩქარებით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნებოდა ქალი და მის სიტყვებში მთელი მუდარა გამოითქმოდა.

— აუ, რას სჩადი! გამაგებინე სწორედ, ვისა კითხულობ და გეტყვი! — შეუტია კაცმა.

— ონ-სეს, ბიჭაუ, ონისეს!.. აქეთ წამოვიდა.

— თქვენს ნამგალასა?

— ჰო, ჰო, ბეჟიაისი!.. მითხარი, რა იქნა?

— ვნახე, — უთხრა კაცმა და კიდევ გაკვირვებით შეხედა, რადგანაც ქალისაგან უცხო კაცზედ ამგვარი კითხვა მთიელს ეუცხოვა.

— რაი იქნა, რა?

— ცხორში მიდიოდა. ეგეთი ლხინობდა, ღვთის მადლმა, რომ გეგონებოდა ქორწილიდგან მოდისო.

ქალი შეკრთა, გაფითრდა და ერთბაშად გაჩუმდა, თითქოს ცივი წყალი შეასხესო.

— ლხინობდა? — რაოდენიმე სიჩუმის შემდეგ წყნარად, მაგრამ გულტკივნეულად იკითხა ქალმა.

— ჰო, ლხინობდა... რაისთვი არ ილხინებდა?.. ცოლს ირთავს.

— ცოლს ირთავს? — კიდევ აჩქარდა ქალი.

— ირთავს.

მაყვალა ისევ გაჩუმდა და ფერმა თამაში დაუწყო. რამდენსამე ხანს ხმა ვეღარ ამოეღო და ისე გაყუჩებული იდგა, რომ სრულიად დამშვიდებული გეჩვენებოდათ. ბოლოს ერთბაშად თვალები აღეგზნო, სახეზედ გაბრაზება დაეტყო და სიანჩხლით წამოიძახა:

— სტყუი, სტყუი! ღვთის მადლმა.

კაცი არ მოელოდა ასეთს პასუხს და დაიფანტა.

— ბეჩაუ! რას ჯავრობ?.. არ ვსტყუი, აგრემც შემეწევა პირიმზე.

— აბა ვინ გითხრა, ვინა? — ჯერ კიდევ ვერ შაეკავებინა ქალს თავი.

— თავადა... ეგეთი ლამაზიაო, რო ციდგან ვარსკვლავს ჩამოიყვანსო...

ქალს სიტყვა გაუწყდა, პირი გაუშრა და ფერი სრულიად წაუვიდა.

— თავად გითხრა? — წყნარად წარმოსთქვა იმან და მხოლოდ მაშინ მოაგონდა თავშალი გაესწორებინა.

— თავად მითხრა... რაი იყო?

— არც-რა! — მაყვალამ სრულიად შეიმაგრა თავი და თავშალი კიდევ გაისწორა; შემდეგ ისე რიგად გაბრუნდა, რომ მარგალიტად გადმოკიდებული ორი ცრემლი მოსაუბრისგან დაემალა.

— უფალმა ხელი მოუმართოს... რაისთვი ან აქამდე არ შეირთა?.. სარჩო კარგი აქვს და ქონება. — დაუმატა ქალმა წყნარად და დამშვიდებით, მაგრამ ხმაში მაინც მწარე ნაღველი დაეტყო და შინისკენ გამობრუნდა.

ბეჟია დაედევნა უკან და ჯერ კიდევ ვერ აეხსნა ნახულის მიზეზები.

— მაყვალაუ! — ერთბაშად გაწყვიტა სიჩუმე მწყემსმა.

— რაი გინდა? — უპასუხა ქალმა და ხმაში უკმაყოფილება დაეტყო.

იმ წუთში სიცოცხლეს მისცემდა, ოღონდაც მარტო დარჩენილიყო, რომ შეგუბებულის ნაღველისთვის გზა მიეცა და ტირილით გული მოეჯერებინა. იმას კი ბეჟია მოსდევდა და, როგორც ეტყობოდა, ლაპარაკსაც აპირებდა. ქალს უნდოდა ეს კაცი თავიდგან როგორმე მოეშორებინა, მაგრამ ვერ მოეხერხებინა, რადგანაც ბეჟია იმათი მწყემსი იყო და ცხვარს უსაქმოდ არ მოშორდებოდა.

— ღვთის მადლსა, მითხარი: წეღან რაი მოგსლოდა?

— რაი მომსლოდა?! — შეუტია მაყვალამ და მწყემსს ხმა ჩააწყვეტინა.

— არა, ეგრე გკითხე. — ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა იმან.

— რაში გეკითხების, რაი მომსვლია? — უთხრა ქალმა და სიტყვა გადააბრუნა: — ცხვრიდგან რაისთვი მოსულხარ.

— ჯერი აღარ გვაქვს, მწყემსები მშივრები ვიხოცებით.

— რაისთვი არ ჩამოხვედით, ვისი ბრალია?

— აბა რაი ვიცი? სარქალმა სთქვა, რომ თავად ამოგვიტანენო და წველასაც ველარავინ მოვცდით.

— აბა საით ამოგიტანდით? სახლში ჩემს მეტი არვინაა და ცხენი კი მთაშია გაშვებული... დაფქულიც აღარა გვაქვს, რაი უნდა გიყოთ?.. — მზრუნველობით დაუმატა ქალმა.

— არ ვიცი და პური აღარა გვაქვს.

— სულ აღარა გაქვსთ?

— ეგაი! — გადუღო ხელი ბეჟიამ და დაუმატა: — ნამცეცაიც აღარა გვაქვს.

— მაშ ეხლავე წადი მთაჩიგა და ცხენი ჩამოიყვანე; მეც ამაღამ წისქვილს მინდს აუგებ და ხვალ კი პურს გამოვაცხობ.

— აგრე, — მოკლედ უპასუხა ბიჭმა და მაშინვე გაბრუნდა.

— მოიცა, შინ ჩამოდი, პური შეჭამე, დაისვენე და ისე წადი.

— არ მშიან.

— რაისთვი არა, რაისთვი? — შაებრალა მაყვალას, რო-

დესაც წელანდელი მკაცრობა მოაგონდა და დაყვავებით შენანება უნდოდა.

— ეხლა ვჭამე.

— მთიდამ მამლის ყივილამდის ვერ ჩამოხვალ და მშიერი მოკვდები, თან მაინც წაიღე!.. წისქვილში მინდის გატანასაც მიშველი.

მწყემსი დასთანხმდა და ორნივ, ცოტა სიარულის შემდეგ, შინ მივიდნენ. თუმცა მაყვალასთვის მეტისმეტად ძნელი იყო იმ წუთებში არამც თუ მუშაობა, არამედ ხელის განძრევაც კი, მაგრამ მთელი ქალები აღზრდამ შეაჩვია — უპირატესი ყურადღება სავალდებულო საქმისთვის მიექცია და ამისთვის დაწყვეტილის გულით მოუდგა სრავალის კეთებას.

ყოველი მოძრაობა, ხელის ყოველი აღება, ტაბაკის ყოველი აქნევა აბრაზებდა, აანჩხლებდა და გულში მწვავად გაისმოდა, მაგრამ მისი ხელი არ შემდგარა და ტომარა ჩქარად ივსებოდა გადატაბაკებულის სიმინდით.

საღამოსთვის მინდი მზად იყო; ბეჟიას შემწეობით ქალმა მძიმე ტვირთი ზურგზედ წამოიკიდა და გასწია პატარა წისქვილისკენ, რომელიც იქავ სოფლის მახლობლად იყო აშენებული.

მწყემსიც გამოემშვიდობა და მიმართა იმ მთას, სადაც ცხენებს საზაფხულო საძოვარი ჰქონდათ. ღამე თანდათან ახლოვდებოდა და მიწას ბნელს სუდარაში ხვევდა. ქვემოდ ხეობიდგან მზის შუქის ჩაქრობით გახარებული ნისლი წყნარად მოიპარებოდა, თითქოს საგულოს უმოწმოდ ხილვას ლამობდა; ყელმოღერებული გოლიათნი იდუმალებით სავსე სიჩუმეში ნეტარებას მოელოდნენ.

ამ ხნის განმავლობაში ონისეს მდგომარეობაც უკეთესი არ იყო: განშორდა მაყვალას დარწმუნებული, რომ გულიდამ ამოიგლეჯდა ამ ქალის სახეს და, თუ ამას ვერ მოახერხებდა, სიკვდილით მაინც მოიშორებდა ვარამს.

ასეთის რწმუნებით გამოვიდა ონისე და რაკი ეს გარდაწყვეტილება მიეღო, თითქოს რამოდენადმე დამშვიდდა.

ონისეს ეგონა, რომ ყველაფერი გათავდა და უკვირდა ასე ადვილად დაძლევა თავის გულისა, — მაყვალას მომხიბლავის თვალების გადავიწყება. მცირე ხანში აღმოჩნდა, რომ ეს

მდგომარეობა იყო ძალდატანებითი გრძნობის შეჩერება, რომელსაც მცირედი შემთხვევა უნდოდა, რომ სისხლი ისევ ასდუღებოდა და შეერთების წადილს შეუყენებლად გაებრძოლა.

ერთხელ ის იჯდა მწყემსებში და ვახშამსა სჭამდა. ყველანი ჩვეულებისამებრ ოხუნჯობდნენ, იცინოდნენ და მხიარულობდნენ. ონისე, თუმცა ლაპარაკში მონაწილეობას არ იღებდა, მაინც იმათ არა შორდებოდა და გაჩუმებული ყურს უგდებდა.

ერთბაშად მოისმა ფანდურის ხმა და ყველანი გაჩუმდნენ. მეფანდურემ ჩაჰკრა, ჩაჰკრა ძალებს. რამდენჯერმე ჩააკვნესა ფანდური და მგლოვიარის გულის დამღონებლად ლექსი დაიძახა.

ის ამბობდა გრძნობით, ხერხიანად და ძლიერს ადგილებზედ ხმას ხან მედგრად ატრიალებდა, ხან შეწყვეტამდის ასუსტებდა, როგორღაც გულში ჩაბრუნებულს რამოდენსამე ხანს აკანკალებდა.

შინაარსი ლექსისა იყო შემდეგი: „ერთი მონადირე მთაში ჯიხვებზედ სანადიროდ წასულიყო, ერთს ფიწალოზედ გადმოვარდნილიყო და კლდეზედ ბანდულის საბანდით ჩამოჰკიდებოდა. მონადირე თავის ძაღლსა სთხოვს, რომ სოფელში წავიდეს და საკუთრივ, მარტოდმარტო იმის საყვარელს შეატყობინოს მონადირის გაჭირვება. ძაღლი საყვარელს არ ენდობა, თუმცა პატრონის სიტყვას მაინც ატყობინებს და იმ ქალის გარედ მონადირის დედასთანაც მიირბენს.

„საყვარელი ქალი თავის სატრფოზედ ამბობს: „თვალიმც დაუდგება, თუ მთაში სიარული არ იცოდა, რაისთვი მიდიოდა?“ დედა კი ხმაამოუღებლივ ლოგინს წამოიკიდებს და გაფითრებული, მფეთქავის გულით შვილისკენ გაქანდება.

„შეიტყობს სოფელიც და მდევარი მიდის; მათ შორის გაჭირვებაში მყოფის საყორელიც მოსჩანს. მას გვერდით მისდევს კოხტა ბიჭი, რომელიც იგრიხება და იპრანჭება. ქალი ხშირად გახედავს ხოლმე და თვალს ჩაუკრენტს. ბოლოს ყველა მიაღწევს იმ ალაგს, სადაც კაცის გულის შემზარებელი სანახავი იყო. ფრიალო კლდეზედ კაცი თავჭვე გადმოკიდებული იყო. გამოშვერილს ჯაჭვზე საბანდი მოსდებოდა და ის-ღა

იმაგრებდა; წუთით წუთს ყველა მოელოდა, რომ საბანდი გაწყდებოდა და კაცი სულით ხორცამდის დაიკარგებოდა. დედას მდუღარება გადმოსდის, მკვდარს დამსგავსებია, სული ამოსვლას ლამობს. რბილად უშლის საგებელს და იმედობს, რომ თავის ერთადერთს ნუგეშს ამითი მაინც გადაარჩენს. მოვარდება ყმაწვილი ქალი, რომელიც გაჭირვებაში მყოფს უყვარს, გაუშლის მერდინს და შესძახებს:

— დიაცო, არა გრცხვენის შიშისა?! გაინძერ, საბანდი გაწყდება და მერდინით დაგიჭერ. მონადირეს საყვარელი რწმუნებას აძლევს, ენდობა ქალის სიტყვასა, შეინძრევა და, გადმოვარდნილი, ტვინგანთხეული, მიწას გაეცხობა. გამოსალმებასთან ერთად დედას სული ამოხდება და ყმაწვილს ქალს კი ქედზედ კოხტა ბიჭთან ხელიხელს გადახვეულს დაინახვენ“.

ჩაჰკრა უკანასკნელად მეფანდურემ სიმები, ამოიოხრა და დაიძახა:

— თქვენი გამარჯვებისა იყოს!

ყველას სული გაეკმინდა, განაბულიყო და მხოლოდ ფანდურის შეწყვეტასთან ერთად თავისუფლად ამოსუნთქვა ძლივს მოახერხეს.

— დედისთანა ტყუილია, ღვთის მადლმა! — დაიძახა ვიღამაც, და სხვებმაც კვერი დაუკრეს და ლაპარაკი გახურდა.

მხოლოდ ონისე იჯდა ისევ ისე გაუნძრევლად და სახე მწარედ შეჭმუხნოდა. ეტყობოდა, მის გულში ამ ლექსებს საკმაო ნაღველი მოეგროვებინა და სავაგლახო დუმილით მოეცვა.

კარგა ხანი იჯდა ისე გაჩუმებული, ხმაამოუღებლად. ყველანი წავიდ-წამოვიდნენ, მაგრამ ონისე არ გაინძრა.

— მაშ უღალატა? — ბოლოს მწარის ოხვრით წარმოსთქვა და დაუმატა: — იქნება მეცა მღალატობს და სხვა შეუყვარდა?.. რაისთვი, რადა? განა ჩემსავით სიყვარული შეუძლიან ვისმე?! არა, არა, ღვთის მადლმა! — გულის გასაგმირად წარმოსთქვა და აღგზნებულმა ცეცხლმა ორი, მაგრამ მეტად ცხარე, ცრემლი თვალთაგან გადმოსწურა.

ონისემ გააპარა ხელი, გაავლო თოფსა, წყნარად წამოდგა და იმ წუთიდან ბინაში აღარ მოსულა.

ათასში ერთხელ, ველად გავარდნილს ნადირსავით, თვალს თუ მოჰკრავდა ვინმე, თორემ სალაპარაკოდ ხომ ვეღარავინ დაუახლოვდებოდა.

VIII

ონისე, სრულიად გაგარეულებული, მთებში დადიოდა და ძე ხორციელს აღარ ეკარებოდა. ყოველი მისი ფიქრი, ყოველი სურათი დაბადებული აღელვებულის ოცნებისაგან, ყოველი ამოსუნთქვა მაყვალას შაეხებოდა და იქამდის ტკბილი იყო, რომ გარეშე პირის მიკარება ცოდვად მიაჩნდა.

მთელი სიცოცხლე მოხევისა ამ ქალზედ ფიქრად გადაქცეულიყო და როგორც ძუნწს ეშინიან, რომ მის სიმდიდრეს სხვა პირი არ მიეკაროს, ისე ონისეც განზე გასულიყო და მარტოდმარტო ხსნიდა გრძნობის კიდობანს, მარტოდმარტო, უმოწმოდ იხედებოდა შიგა.

ყოველთვის, როდესაც კი მოუვლიდა ჟინი მაყვალას დასაკუთრების, ხან გამედგრებულის მრისხანებით, ხან ნიავსავით ნაზის დაყვავებით შაეხებოდა სატრფოს; გადაჯდებოდა რომელსამე ქედობაზედ და შორს მანძილზედ გამოჩენილს მიდამოს, ხან განრისხებულის, ხან წყნარის და ედემის სიამოვნება მოდებულის სახით დიდ ხანს გასცქერდა ისე, რომ კაცი იტყოდა: „შორს გამოხატულის სურათების შესწავლაში არისო, ცდილობს მეტის დაკვირვებით უკლებლად შთაიბეჭდოს ყოველი მათი ხვეული, ყოველი მათი ხაზიო“. მაგრამ ონისე იმ დროს სინამდვილეს ვერა ხედავდა, მისი გონება შორს, შორს გაფრენილიყო და თვალწინ მხოლოდ მაყვალას სახე ხან გულკეთილს ანგელოზად, ხან გამედგრებულს, უწყალოდ მაცდურად ეჩვენებოდა.

ბევრჯელ შეხვდებოდა ხოლმე ისეთი წუთები, როდესაც ოცნება სასყიდელ მოულოდნელად უანგარო კეკლუცს წარმოუდგენდა; წარმოუდგენდა კეკლუცს ქმნილებას, რომელიც გაღიმებულ გულს მხოლოდ ციურის სიტკბოებისათვის-ღა მო-

მართავდა. იმ წუთებში ონისე იყო ბედნიერი, სტკბებოდა ამ სანახავით და აღარ ეცალა სხვა რომელსამე მოაზრებას მისცემოდა; მის არსებაში სხვა გრძნობისთვის ადგილი აღარა რჩებოდა; მაგრამ, რამდენადაც წარმოუთქმელს ბედნიერებას ამ მდგომარეობაში პოულობდა, იმდენად მეტის ძლიერებით გულს გალახვრავდა ოცნებაში გონების ჩარევა.

მისთვისვე გამოურკვევლად მეტისმეტად ძლიერი შთაბეჭდილება მოეხდინა მწყემსის სიმღერას და ამ დღიდგან ხშირად თავში გაურბენდა ფიქრი: „იქნება ქმარსაცა ღალატობს და მეცა?!“

რაკი ამ საგანს შაეხებოდა, ეს ფიქრი იქამდის მძიმეს ლოდათ დააწვებოდა გ̈თელს მის არსებას, რომ ველარ უძლებდა და მოღუნული, მთლად გასრესილი ბეჩავად, ღონე მოკლებულად გამოიხედებოდა; თითქოს გველი შემოხვევიაო, იდუმალი ძალა ისე ღრღნიდა, გულს უხოკდა და სისხლსა სწოვდა.

თუმცა ამგვარს, ძნელად ასატანელს და გასაძლებს ბრძოლაში იყო, მაგრამ უბედურებას ჯერ კიდევ ვერ დაემორჩილებინა და წუთის დასუსტების შემდეგ ამაყად თავაღებული წამოდგებოდა, გაიმართებოდა წელში და მედგრად წარმოსთქვამდა: „მაყვალა მიყვარს და ჩემი უნდა იქმნას!“ და ამ სიტყვებში სჩანდა წარმოუთქმელი ძალა, ძალა შეუყენებელი და შეუდრკენელი.

აშკარა იყო, რომ მის გრძნობას გაბრძოლების დროს წინ ვერაფერი გადუდგებოდა, ვერავითარი მოაზრება ვერ შეაყენებდა და მის მოსპობას მხოლოდ ყველაფრის მომსპობელი სიკვდილი-ღა შესძლებდა.

ერთს დღეს ონისეს გული მეტისმეტად ჩაჰბუროდა, ჩაბნელებოდა და ცივს, ვიწრო სამარედ გადაჰქცეოდა; ისეც ოდნავის ფეთქით კვნესის გამომთქმელს, თითქოს გარს რკინის თაღი შემოსჭირებოდა და თანდათან ჭახრაკის მობრუნებით კვნესის ნებასაც აღარ აძლევდა. უგუნებოდ შექმნილს გონება ერეოდა, თვალთ უბნელდებოდა და სიცხისაგან გამშრალი პირი უნაღველდებოდა. განუწყვეტელმა წადილმა მოქანცა, დაასუსტა და მოთმინება გაუწყვიტა. მისუსტებულ სხეულს მოსვენება დასჭირდა, თვალს ლული მოერია და თავისავე უნებურად მოეხუჭა. ის მიეცა რაღაცა უანგარიშობას, როდესაც ცნო-

ბიერებამ ძალა დაკარგა და რაღაცაგვარს გამოურკვეველობაში ჩავარდა. მას, მართალია, თვალები მოეხუჭა, მოსვენება ეჭირვებოდა და ტკბილი განცხრომა რაოდენსამე შვებას მისცემდა, ძილი თუმცა თავს დასტრიალებდა, გარს ეხვეოდა, მაგრამ სრულიად ვერ დაემორჩილებინა. ის იყო გამოურკვევს ბურანში და ვერც გაეღვიძა, ვერც ძილისათვის მიეცა თავი. ამ მდგომარეობაშიაც უგუნებლობა და უცნაური თავის მოსაბეზრებელი მდგომარეობა არა შორდებოდა. კარგა ხანმა გაიარა ასეთს გამოურკვეველობაში, როდესაც ბუნებამ თავისი მოითხოვა. მთიელმა იგრძნო ოდნავ გულის რევასთან ერთად მცრერდი თავბრუს ხვევა და ჯერ წამოსადგომად წამოიწია, მაგრამ მაშინვე ისევ დაეცა, გადმოიშხლართა და ძილმა ძლივს დასძლია.

ონისეს დაეძინა იმ ტკბილის ძილით, რომელიც შეუძლიან გამოსცადოს ძლიერს, სხეულით კარგადმყოფს, მაგრამ ისეთს კაცსა, რომელიც მოქანცულა და მის ბუნებას დაკარგულის ძალის აღსადგენად მოსვენება მოუთხოვნია.

დილიდგან დაძინებულს მოხვევს მზის გადახრამდის ისე ეძინა, რომ ერთის გვერდიდგან მეორეზედ არ გადაბრუნებულა, ხელი არ გაუქნევია. მხოლოდ პირისახეზედ ხანდისხან მჭმუნვარება დაეტყობოდა ხოლმე, შუბლი ნაოჭად შეეკროდა და მწარედ ამოკვნესასთან ერთად, ტუჩები მოძრაობაში მოჰყვანდა. ეტყობოდა, რომ სიფხიზლის დროს აღძრული სურათები გონებაში მტკიცედ ჩასჭედოდა და ძილშიაც აღარა შორდებოდა.

რამდენიც ხანი გადიოდა, პირისახე წყნარ-წყნარად უმშვიდდებოდა, შუბლის ნაოჭი ეშლებოდა და ქმენა უწყნარდებოდა, თანასწორი უხდებოდა. წუთშიც და, სახეზედ სიამოვნების ბეჭედმა შეუთამაშა; ტუჩებმა ოდნავ გაუღიმა და გულაღმა ამობრუნებულმა მარჯვენა მკლავი თავქვეშ ამოიდო. მთიელმა კიდევ გაიღიმა, სახე მთლად გაუბრწყინდა და გულით გადიხარხარა. ეტყობოდა, რომ მის ჩაბნელებულს გულს ნათელი სხივი ჩაშუქებოდა და წყვდიადით სავსე, სევდიანი უფსკრული ნათლად გაეშუქებინა. მეტისმეტი სიტკბოება დაეტყო ონისეს სახეზედ, მაგრამ ეტყობოდა, რომ ნაგრძნობი მეტად ძლიერი უნდა ყოფილიყო, რადგანაც მან ძილი შეუკრთო და

თვალი გაახილებინა. ონისეს სახე ჯერ კიდევ უღიმოდა და აშკარად სჩანდა, რომ სიზმრისგან აღძრული სიტკბოება ჯერ არ განქრობოდა; თვალების ახილებით აღძრული ნეტარება არ უნდოდა გაეწყვიტა; ასე დარჩა რაოდენსამე ხანს, მაგრამ მალე თვალები გაახილა, საჩქაროდ ფეხზედ წამოდგა და შუბლზედ ხელის გადასმით, უკმაყოფილოდ წამოიძახა:

— ტიალი! აღარ დამეძინა.

შემდეგ ამოიოხრა წყნარად და იქავ ახლოს ჩამომდინარს ანკარა წყაროსთან პირის დასაბანად და გახურებულის შუბლის გასაგრილებლად მივიდა.

როდესაც ცივი წყალი საკმაოდ ისხა თავზედ და სახეზედ, საკმაოდ გაგრილდა, ჩოხის კალთით შეიმშრალა პირი, რამდენჯერმე გადაისვა სველს თავზედ ხელი, მივიდა მთიდგან ჩამოგორებულს ქვასთან და ჩამოჯდა.

რამდენსამე ხანს, მოწყენილი, რაღაცა ფიქრებს ეძლეოდა და თავისათვის ჩუმად ლაპარაკობდა; ბოლოს წყნარად, სევდიანად შემღერა:

მთაო! გადმიშვი, მაღალო,
რას ნისლი მოგიხვევია?
შენს იქით ჩემი საგულო
ცხოს ვისმე ჩაუხვევია!..

წარმოსთქვა ეს და უკანასკნელს სიტყვებთან ერთად თვალები ცეცხლად აენთო.

— ცხოს ვისმე?! — ერთბაშად წამოიძახა იმან და წამოვარდა..

სახეს ალმური ავარდა, შუბლი შაეჭმუხნა და წუთს წინედ სასიამოვნო, დამშვიდებული სახე გამეხებულს ელვას დაემსგავსა.

— არა, ღვთის მადლმა, მაყვალაუ! თუ მე არა, ცხოსაც ვერ ერგები!.. მე ცხოზედ მეტად მიყვარხარ და საუკუნოდ ჩემი ხარ.

როსტომ თქვა: ერთი არა სჯობს
ამ ჩემსა მოგონებასა:
ერთხელ სჯობია სიკვდილი,
სულ მუდამ დაღონებასა!

— სჯობიან, სჯობიან, ღვთის მადლმა! — წამოიძახა იმან და თავქვე დაეშვა.

ის მიდიოდა გაჩქარებული, მგლურად და პირზედ ხვირთქლი გადასდიოდა. სახეზედ დასტყობოდა, რომ რაღაცა განზრახვა გადაწყვეტილებად გადაჰქცეოდა და მისი გაჩერება, წინ გადადგომა ველარავის შაეძლო.

ის-იყო ცხვირ-წამოწვდილს კლდეს მიაღწია, სწორად იმ ადგილს, სადაც სარტყლად შემოჰხვეოდა და კაცის თვალისთვის იფარებოდა, როდესაც მეორე მხრიდგან მომავალი კაცი წინ შემოეფეთა.

— ონისეს გამარჯვება! — შესძახა კაცმა და გაკვირვებით შეხედა, რადგანაც ონისეს პირისახეს არეულობა შეატყო.

— ბეჟიაუ, შენა? — შესდგა ონისეც და მიესალმა მგზავრსა, თუმცა გულში კი ათასგვარად სწყევლიდა ასე უდროოდ შეფერხებისათვის.

— საით გამგზავრებულხარ? — ჰკითხა ცნობისმოყვარულმა ბეჟიამ.

— არსად, მომწყინდა რასმე და ნადირობ წამოვედ.

— ოჰო! — გაიკვირა ბეჟიამ და მაშინვე დაუმატა: — ჯიხვის თავი, ჯიხვის თავი!* ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

თუმცა ბეჟია ასე ლოცავდა, მაგრამ ჩაციებულს, გამომცდელს თვალებზედ ეტყობოდა, რომ ონისეს სიტყვები არა სჯეროდა.

— ქვეითკენ რაღად მიდიხარ? — ვერ გასძლო მეცხვარემ და ჰკითხა.

— გალმა მთაში ვაპირობ ნადირობას.

— რაისთვი, რაისთვი? აქა სჯობია...

— აქ მწყემსები დადიან და ნადირი დამკრთალია.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს... ნეტა არ შეგხვედროდი მაინცა, გზა შეგიშალე.

— რაისთვი?.. იღბლიანი ბიჭი ხარ და შენთან შეხვედრა გონჯი არაა.

— იღბალი მოგცა უფალმა, — უპასუხა ბეჟიამ და გააგრძელა: — უნძრახი რკინის ბეჭედი არა გაქვს?

---

* სანადიროდ მიმავალს მონადირეს ყველა შემხვედრი ამ სიტყვებს ეუბნება. ხოლო მომავალს: — „კვალად უფრო, კვლავ უფრო“ (ავტორი).

— რაო?

— უნძრახი რკინის ბეჭედი-მეთქი.

— რად მინდა?

— აუ, რად მინდა, რაიღაა?.. კარგია, ჩემო ყველავ, კარგი.

— რაისთვი?

— აი გიამბობ... დიდ პარასკევს მჭედელი ადგების, ხმას არავის გასცემს; არც არას შესჭამს, არც არას დალევს, ეგრე უზმოზედ, უნძრახად დააყრის ჭურას ნახშირსა, გააღუებს, გამოსჭედს ბეჭედსა და ვინც იმას ატარებს, ველარც მავნე, ველარც ავი თოლი უზამს რასმე.

ონისე მოუსვენრად იდგა და მოუთმენლად მოელოდა ამ ამბის გათავებას, რომელიც აქამდის ათასჯერ გაეგონა.

— მშვიდობით, ბეჟიაუ! — საჩქაროდ უთხრა ონისემ, რაწამს მწყემსი გაჩუმდა.

— აუ, ბეჩავ! რას მიეჩქარები?.. ბატარა ხანს დავსხდეთ... მეც დაღალული ვარ და შენც დაისვენებ.

— არ მცალიან, მიგვიანდების.

— ბატარა ხანს, ჩემო ყველავ, ბატარა ხანს ვილაპარაკებთ რასმე... დროსაც გავატარებთ და დავისვენებთ კიდეცა.

— სად ყოფილხარ, რომ აგრე დაღალულხარ? — ჰკითხა ონისემ თავმომბეზრებელს მოსაუბრეს.

— აი, აქ ჩამოვსხდეთ, გიამბობ. — უჩვენა ქვაზედ, რომელიც იქავ გზის პირზედ ეგდო, — აი ასე... ეხლა ყველას გეტყვი...

ბეჟია დაჯდა; ონისემაც მოშორება ველარ მოახერხა და გვერდს მოუჯდა.

— ჯერ თხები, დასწყიას წმინდამ გივარგიმ, თხა ხომ ეშმაკია... კლდეში გასულიყვნენ, იქ დარჩენილიყვნენ და განთიადისას ჩამოსარეკად გამგზავნეს... ჩამოველ იქიდგან და გზიურ შინისკენ გამაგდეს, ჯერი ემდენაი აღარა გვქონდა! — ფრჩხილი კბილზედ ამოიკრა და ცოტა ხანს გაჩუმდა, — ჩავედი შინა და ცხენ ტიალაც მთაში გაეშვათ საძოვარზედ. ეხლა მთაში მივდივარ, უნდა ჩამოვიყვანო.

როდესაც ონისემ გაიგო, რომ ბეჟია შინიდამ მოდიოდა, ყურები აცქვიტა, რადგანაც იცოდა, რომ ეს კაცი მწყემსად გელას უდგა და „შინას“ იმის სახლს ეძახდა.

აქამდის მზად იყო ფულით მოეშორებინა თავიდგან, მაგრამ, — რაწამს გაიგო, რომ მაყვალა ენახვებოდა, იმისი ამბის შეტყობინება შაეძლო, — მზად იყო მწყემსთან თუნდა შუაღამემდის დარჩენილიყო. მაყვალა ონისესთვის დაუფასებელი იყო, მწყემსს მის სიახლოვეს ესუნთქა, ონისესთვის ამ წუთებში ბეჟიაც ფასდაუდებელი შექმნილიყო.

— რა ღმერთი გაუწყრა, — მოუთმენლად იძახდა გულში ონისე, — ერთი, ერთადერთი სიტყვა არა სთქვა მაყვალაზედ.

მაგრამ, თითქოს განგებ, ბეჟია ამ საგანზედ გაჩუმებულიყო და მაყვალას შესახებ ლაპარაკის დაწყობისთვის კრიჭა შეჰკროდა.

ყბედად გადაქცეული მწყემსი გაუჩერებლივ რატრატებდა მოშლილს წისქვილსავითა და ერთადერთი მარცვალი არ გადმოეგდო იმ თესლისა, რომელსაც ისე მშიერად მოელოდა ონისე.

— მაშ შინ იყავ? — ძლივს მოახერხა მიხევემ.

— შინა.

— საწყალო, რამდენი უწვალებიხართ?

— აბა, რაი უყოთ? — ბეჩავად უპასუხა ბეჟიამ, — ჯერ კლეხის გაჩენა სთქვი და მერე — მოჯამაგირისა!.. სადაა ჩვენთვის მოსვენება?.. შინ ძალზედ დაღალული მივედ, მინდოდა დამესვენა, მაგრამ მაყვალას ხათრი ვეღარ გაუტეხე.

— მაყვალას? — ჰკითხა ონისემ, ოდნავ გაწითლდა ამ ქალის სახელის გაგონებაზედ და მღელვარების შესაყენებლად წყნარად ხმა ამოიწმინდა.

— ჰო, მაყვალასა... რაც გინდა სთქვი-და, იმისთანა ჩვენს თემში არვინაა, ღვთის მადლმა! იმას კაცი ხათრს ვერ გაუტეხს.

— შენ იმაზედ როგორღაც ლაპარაკობ! — ღიმილით, მაგრამ ცუდად დაფარულის მღელვარებით, ვითომც შაეხუმრა ონისე და ხმაში კანკალი დაეტყო.

— რაისთვი არ ვილაპარაკებ? ღვთისნიერი ადამიანია... კაცს იმას არ ეტყვის, რომ თოლ ზევით წარბი შეხრილი გაქვსო... მერე გული?.. ხასიათი?!. სწორედ უფლის ნათლულია...

— მაშ კარგი გულისაა? — თანდათან მღელვარება ემატებოდა მოხევეს.

— ჰმ, — ჩაიგმინა ბეჟიამ, — კარგი და აგეთი!.. კაცი იმის

ქებას საით იტყვის?.. მაგრამ ბეჩავი! სახლში ხელმარტოა და ჯაფა ბევრი ეყრების.

— ბევრსა მუშაობს? — მზრუნველობით იკითხა მთიელმა.

— ოჰ, ჰო, ჰო! — გაიოცა ბეჟიამ და ტაში გაჰკრა. — მაგის შრომის ამტანის კაცის მნახველი არა ვარ!

— ბეჩავი! — ველარ გასძლო ონისემ და თავდავიწყებული გაჟრჟოლდა.

— მა რაი იქნება, შენაი ჭირაიმე! სახლი, დიდი საცხორებელი და საქონელი ბალახთ უმრავლესი, თითონ კი მარტო!.. გაძღოლა არ უნდა?.. — გადაუხარა თავი და ისევ თითონვე დაუმატა: — უნდა, უნდა, ღვთის მადლმა!.. მაგრამ რაი გაცახცახებს? — ერთბაშად გაწყვიტა ბეჟიამ და მოლაპარაკეს მიუბრუნდა.

ონისე შეკრთა და თავის შემაგრება სცადა. გაიგო, რომ ბეჟიამ აღელვება შეამჩნია და მაყვალას სახელი კი მისთვის მეტისმეტი სიწმინდე იყო, რომ ვისთვისმე სალაპარაკოდ პირში მიეცა.

— არც-რაი... ისე რასმე გამაჟრჟოლა.

— თუ არ გაცივებს?

— მთაჩი ციებას რაი ხელი აქვს, მაგრამ მცივა კი. — მოიბუზა ონისე და ნაბადი წამოიჭუჭკა.

— იქნება ბარად იყავ სადმე და იქიდამ მოგყვა. — გადაეკიდა ისევ ბეჟია.

— იქნება. — მოკლედ უპასუხა ონისემ და მოიწადინა, მაყვალას შესახებ თუ ბეჟიას ეჭვი რამ აეღო, სრულიად გაეჭარვებინა.

— მაშ ლამაზიც არის? — წყნარად იკითხა და ფრთხილად შეხედა.

— ვინა?.. მაყვალაი? ციდგან მოწყვეტილი ვარსკვლავია, ღვთის მადლმა.

ამ სიტყვებზედ ონისეს გულმა ისე გაუთამაშა, რომ, ყოველის მეცადინეობის წინააღმდეგ, ხმამაღალი ოხვრა მოსტაცა.

ბეჟიამ კიდევ შეხედა და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— რაი მოგდის?

— ბარად დამცადა! — ფრთხილად ჩაიღიმა იმან და ცოტა

სიჩუმის შემდეგ დაუმატა, — მე კი არ მომწონს ეგ თქვენი მაყვალაი და არ ვიცი...

— რაიო? — იკითხა ბეჟიამ გაკვირვებით და გარდიხარხარა, — უგონოთ თუ არა ხარ? რას რატრატებ? — კიდევ მეტის გაკვირვებით დაუწყო ცქერა: — ქალი ქვეყანას აგიჟებს და ამას კი არ მოსწონს! — გაიკამათა ბეჟიამ.

— ჰო-და, არ მომწონს, რაია?

— აუ! — სხვა ველარა მოახერხა-რა ბეჟიამ და გაჩუმდა.

— ქმარი არ მოსვლია? — კარგა სიჩუმის შემდეგ დაიწყო ფრთხილად ონისემ.

— არა... სადაც საზამთროდ ადგილი ეგულებოდა, მზეს გაუბუგავს და მოუშუშია... ახლა ქვევით წასულა ბინის დასაჭერად.

— ცოლი სულ მარტოდაა?

— სულ.

— ეგეთს ცოლს თავს მარტოდ რად ანებებს?

— რაი უნდა?.. ვაჟკაცის ოდნობა შეუძლიან.

— იქნება, მაგრამ მარტო ქალი ბეჩავია.

— სულ მაგას რომ მოუჯდეს და საქმეს აღარ მიხედოს, ისეც არ გამოდგების. მაყვალას ფიქრი არ უნდა, — იმას ვერავინ გააჯავრებს. — მტკიცედ უპასუხა ბეჟიამ და დაუმატა:— აი ეხლა სულ მარტოდმარტო წისქვილში მინდს უდგას.

ამ სიტყვებზედ ონისე გველის ნაკბენსავით წამოვარდა და გაფითრებულს თვალები ცეცხლად აენთო.

— რაი სთქვი! — გაგრძელებით წარმოსთქვა იმან და მოსაუბრეს მკლავში ხელი მაგრად მოუჭირა.

ბეჟიაც წამოდგა და შეშინებულმა დაფანტვით წამოიძახა:

— რაი ვსთქვი?

— მართალია, რომ მაყვალა მარტოდმარტო წისქვილში არის?.. სთქვი, სთქვი ჩქარა! — ონისე ძლივს-ღა სუნთქავდა, ძლივს-ღა ახერხებდა სიტყვებს და ხმა იქამდის აღელვებოდა, რომ ყელში ძლივს-ღა ხრიალებდა. ის ანჯღრევდა ბეჟიას ანგარიშმიუცემელად და ღონიერის, ძარღვიანის ხელებით მკლავებს ამტვრევდა შედარებით ბევრად უფრო სუსტს მწყემსსა.

ბეჟია გველსავით იკლაკნებოდა შიშისა და ტკივილისაგან;

სახე უცნაურად ელმიჭებოდა და არ იცოდა ონისეს გამედგრება რითი აეხსნა.

— მართალს ვამბობ, მართალს, ღვთის მადლმა! — შესაბრალის ხმით იძახდა მემცხვარე, რომელიც გულში სწყევლიდა თავის მოუსვენარს ენას, რომ ამ გაჭირვებაში ჩააგდო.

— მარტოა, სრულიად მარტოდმარტო?

— მარტოდმარტო.

— კარგი... — გაუშვა ხელი ონისემ და მედგრად ამოიოხრა: — წადი ეხლა, წადი და ვინძლო პირზედ კლიტე დაიდო... ეცადე არავისთან წამოგცდეს, რაც აქა ნახე, თორემ, ღმერთი იყოს შენი თავდები, შენის ორის თოლის მეტი ვერა გიხსნისრა.

— აუ, ბეჩაო, რაი დაფიცება მინდა!.. — უთხრა განთავისუფლებით გახარებულმა ბეჟიამ, — მიწამც ჩამიტყდების, თუ ძე ხორციელმა ჩვენი შეხვედრა გაიგოს.

— აბა, მე კი გაგაფრთხილე და შენ იცი. — არეულად ლაპარაკობდა ონისე.

მწყემსმა წამოკრიფა გუდა-ნაბადი, წამოიკიდა და შორიახლოდგან შესძახა:

— მშვიდობით, ონისევ!.. ნუ გეშინიან, ჩემგან ვერავინ რას გაიგებს.

ამ სიტყვებით გაბრუნდა, გაიღიმა და თავისუფლად ამოისუნთქა. ერთბაშად მოესმა:

— დაიცა ბატარაი.

— რაი გინდა? — გაუბედავად წარმოსთქვა ბეჟიამ და შესდგა.

ონისე ჩქარის სიარულით მიუახლოვდა იმას და ნახევარხმად დაუწყო:

— ნამდვილად წისქვილშია?

— წისქვილში.

— ეხლაც იქ არის?

— იქ.

— მარტოკა არის?

— მარტო.

— არც არავის მიელის? — დააცქერდა ონისე ისე, თითქოს უნდოდა ბეჟიას გულის საძირკვლამდის ჩაეღწია.

— არა, ონისევ, გეფიცები ზეცით ღმერთსა და ქვეშ დედამიწას!.. ბეჩაო, მაყვალაი განა ეგეთია?

— კარგი, კარგი, მაგრამ რა იცი, რომ იქაა?

— მე თავად მივიყვანე... საფქვავი იმას ეკიდა და შემბრალდა... მერე მე გამოვართვი და ნახევარ გზიდან მე მიუტანე.

— მშვიდობით, ბეჟიავ!.. მშვიდობით! — საჩქაროზედ დაუმატა ონისემ და უფრო საალერსოდ ხვეწნით გააგრძელა: — ძმობას გაფიცებ... გაფიცებ, რაც კი საფიცარი გაქვს, დაივიწყე დღევანდელი საღამო... ვითომ არც კი გინახივარ, სიტყვა არ გაგიგონია ჩემგან...

— აბა, ონისე, ღვთის მადლმა, გამოგიტყდები... წელან რომ გაჯავრებულს მისტუჭრებდი, ყველას ვეტყოდი, ყველას გავაგებინებდი, მაგრამ ეხლა... ეს ტყვიამც გინახავს ჩემს გულში, თუ გაგცე.

ამ სიტყვებთან ერთად ბეჟიამ მასრიდამ ტყვია ამოიძრო და გადასცა.

— ონისე მოკვდეს და შენ იცოცხლე! — სიხარულით წამოიძახა მთიელმა და თავისი ტყვია სამაგიეროდ მისცა.

ამ უბრალოს, მაგრამ მტკიცე ჩვეულების შესრულების შემდეგ ორი ძმა გაიყარა, ორი ძმა, რომელიც ველარც ჭირში და ველარც ლხინში ერთმანერთს ველარ უღალატებდნენ; ერთმანერთისთვის გაჭირვებაში თავს დასდებდნენ, სანამდის ერთმანერთის ღალატს შეუდგებოდნენ.

წუთს შემდეგ ცხვირ-გამოწვდილმა კლდემ განაშორა ისინი და ორივენი თავის საგონებელს მიეცნენ.

IX

შუაღამე იქნებოდა, როდესაც ონისემ სნოს ხეობის დაღმართს მოაღწია იმ დროს, როდესაც ზეცით მთვარე გაკაშკაშებულიყო, ქვევით ნისლი შემოჭედილიყო და, მთვარის შუქით განსპეტაკებული, თეთრს ბამბასავით გადაშლილი იყო. ონისე ჩამოსცდა ღმართს და ნისლში გაეხვია. მთვარე ღარა სჩანდა, მაგრამ ბურუსს სხივი მაინც აშუქებდა და სასიამოვნოს ფერს აძლევდა. ჰაერი, რაოდენადმე დანოტიო-

ებული, ჭარს მოძრაობაში მოჰყვანდა და მთიელს გახურებულს შუბლს დაყვავებით უალერსებდა.

ბუნების სურათებს თეთრი ფარდა გადაჰფარებოდა და კაცის თვალისთვის დაემალა სხივით დაშვენებული გოლიათნი. ათას'ში ერთგან, სადაც კი ნიავი ძალზედ დაჰქროლავდა, თეთრი საბურველი გაწყდებოდა და მის შუა თითქოს იმ წუთას მიწიდგან ამოიზრდებოდა უზარმაზარი, შავი, თვალშეუწვდენელი მთა, რომელიც გარს შემოხვეულს სითეთრეში მეტად და მეტად საოცნებო ხდებოდა.

სადმე, მაღლად აშვერილს კლდის წვერზედ, გვირგვინად მოდგმულნი მნათობნი გაიკამკამებდნენ, გაიბჟუტამდნენ და დარცხვენილს პატარძალსავით პირბადეს ჩამოიგდებდნენ. ნისლი ხან აიწევდა, თითქოს მიწის მიკარებისა დარცხვენიაო, ხან გაუმაძღრად დაეშვებოდა, თითქოს მინდვრის კეკლუცთ მიუზიდიაო.

ამ ბუნების სურათების მოუსვენარს ცვლილებათა შორის ჩქარის ნაბიჯით მოაბიჯებდა ონისე და მოუთმენლად გასცქეროდა იმ ხეობას, რომელიც ხან შორს მანძილზედ გამოუჩნდებოდა და გულს მეტად აუცახცახებდა, ხან ისევ ნისლში წაიხვეოდა და, თითქოს მანქანება, თვალ-წინიდგან მოსტაცებდა.

აგერ ჭარმა დაჰქროლა, ბურუსი შეარყია, შეაღელვა და მალე ისევ დარეული ნაგლეჯ-ნაგლეჯად მაღლა ასწია. ონისეს თვალწინ გამოუჩნდა სნოს მდინარე, რომელიც ვაკე ადგილას წყნარად, დამშვიდებული მიიკლაკნებოდა. მის ნაპირებზედ შავად მოჩანდა აქა-იქ გაბნეული კარკუჩის პატარა წისქვილები, რომელთაც ღამის გამო უბრალო ქვებიდგან ძლივს გამოარჩევდით.

ონისემ შეჰკრა მათ თვალი და გულმა ძლიერად ფანცქალი დაუწყო, ის მიდიოდა გაჩქარებული, რაც კი ძალა და ღონე ჰქონდა, თავს აღარ „სწყალობდა", მაგრამ მას მანძილი მეტად გრძლად ეჩვენებოდა, მოძრაობა — მეტად წყნარად და ზარმაცად, საგანი მისი მისწრაფებისა იყო ერთი ამ წისქვილთაგანი; მაგრამ, იქ რას მოელოდა, რა დაჰხვდებოდა და რა რიგი გრძნობა აღეძროდა, თითონაც არ იცოდა. მეტად ტკბილი იყო წუთი სატრფოსთან შეყრის მოლოდინისა, მაგრამ ბედისგან დაჩაგრულს, ვინ იცის, ეხლაც რა ექადოდა.

იქნება იმ დროს, როდესაც ასეთი წმინდა და ნათელი შუქი ონისეს გულს ჩაჰფენოდა, მაყვალას ეს ჟამი სხვის დასატკბობელად ამოერჩია, სხვა გაებედნიერებინა და ონისეს გულში საწამლავის ჩასხმით სხვის ვარდი გადაეშალა?!

ონისეს უნდოდა, უნდოდა, როგორც ქალს გათხოვება, როგორც თევზს წყალი, ფრინველს ჰაერი, რომ ჩქარა მიეღწია თავის მგზავრობის საგნისთვის, ჩქარა მიახლოვებულიყო იმ პატარა ქოხსა, სადაც მისი ედემის ვარდი ღუოდა, სადაც თელემაში მისი გვირტი კრთებოდა, მაგრამ იმავე დროს წარმოუთქმელი შიში გულს ათას ნაწილად უძიძგნიდა, მუხლთ ეჭრებოდა, ეკეცებოდა და სასოწარკვეთილებაში ვარდებოდა. რამდენიც მეტს უახლოვდებოდა წისქვილს, იმდენად აღძრული გრძნობა უძლიერდებოდა და ატეხილს ქარიშხალსავით გულს აქეთ-იქით აწყვეტებდა. ღელავდა მისი სისხლი, ღელავდა აზრი, გონება! ღელავდა სული და გული და ამ მღელვარებას თან მოსდევდა გამედგრებული ქარიშხალი, რომელიც უწყალოდ სწვავდა და აღძრულს ცეცხლს უძლიერებდა.

აგერ, წისქვილის სარკმლიდამ შუქიც გამოკრთა. მთიელს მოხვდა პირისახეში და შეაკრთო. ონისე შესდგა და ნაწყვეტ-ნაწყვეტად ქშენა დაიწყო. აღარც გული უსვენებდა, აღარც სულთქმა აცლიდა. რაღას შემდგარა შეშინებულს ლაჩარსავით? ტყვიისა ხომ არ ეშინიან, რომელსაც შაეძლო მისი სიცოცხლის წაღება? ან იქნება ბასრის ხანჯლისა, სიცოცხლის ისე ადვილად გამქრობელისა? თითქოს ონისემ შიში არ იცოდა?!

არა, ონისეს სიკვდილისა არ ეშინოდა, ონისე პირზედ ღიმილით დახვდებოდა განსაცდელს, ხარხარით დახვდებოდა იმ თავხედს, რომელიც შებმას გაუბედავდა, მის წინააღმდეგ გაჰკლავებას მოისურვებდა!.. აქ სხვა მიზეზი იყო. აქ შეხვდებოდა ქალი, შეჭურვილი ისრის მაგივრად ჟუჟუნა თვალთა ელვარებითა, ჭამანდის მაგივრად — მომხიბლელ ბაგეთა ღიმილით და ფარის მაგიერ — შეურყეველი თავშეკავებით, რომელმაც ისე დასცა, დათრგუნა და ძალა მოუსპო, რომელმაც მოსწამლა, მოხიბლა და მონად გაიხადა.

კარგა ხანი იდგა ონისე და ისე ცახცახებდა, რომ კბილს კბილზედ აცემინებდა. რამდენჯერმე სცადა ფეხის გადადგმა,

მაგრამ გაუნძრევლად იმავ ადგილზედ დარჩა. ბოლოს გადისვა შუბლზედ ხელი, შემდეგ მისწვდა მკერდსა და ძალზედ მოუჭირა, თითქოს მით აღშფოთებულის სისხლის შეჩერება უნდოდა, ამოიოხრა და გაბედა.

შესდგა თითის წვერებზედ, განაბა სული და წყნარად, სიფრთხილით შუქისკენ გასწია.

ონისე მიიპარებოდა, მიიპარებოდა ისეთის გაფრთხილებით, როგორც პატარა ბავშვი, რომელიც ჩიტს ეპარება დასაჭერად და ეშინიან მოულოდნელის განძრევით არ შევაკრთოვო.

კარგა ხანს შემდეგ ბიჭმა მიაღწია წისქვილის კედელს და ხელი მიაშველა, რომ არ წაქცეულიყო, რადგანაც თავს ბრუ დაეხვა და თვალთ დაუბნელდა.

ონისე მალე მოვიდა გონსა და თუმცა შუბლი თითქმის სარკმელთან ჰქონდა მიტანილი, მაგრამ შეხედვა ვერ გაებედა; დაშვებული თვალები ვერ აემართა, თუმცა მაყვალას სახეს ოცნება მაინც ცხოვლად უხატავდა.

კარგა ტანჯვისა და წვალების შემდეგ ონისეს მოულოდნელად მოეღრიჯა კისერი, სახე მიუახლოა სარკმელს და გაუშამდა.

მის თვალებს წარმოუდგა მაყვალა სრულის თავის მშვენიერებით პატარა წისქვილში, გაჩაღებულს ცეცხლის წინ ქალს გაეშალა ნაბადი და ზედ დამჯდარიყო. საგულე-გახსნილს პერანგის ღილიც გახსნოდა, საყელო ჩამოვარდნოდა და ბროლფიქალ-განიერი მკერდი გამოსჩენოდა. უკან დადებულს საფქვავით სავსე ტომარაზედ მოღალული თავი მიენდო და წმინდა სანთლისაგან ჩამოსხმულის მსგავსი ყელი გამოსჩენოდა. ლურჯი ძარღვები თეთრისა და ნაზის კანის ქვეშ გველსავით შეხვეოდა და თითქმის იქამდის მჭვირვალი შექმნილიყო, რომ თვით სისხლის მოძრაობაც კი სჩანდა. მოლულულს თვალებს დარაჯად მოხვეოდა გრძელი და გიშერსავით შავი წარბები; ოდნათ. გახსნილს პატარა თხელს ტუჩებს იქიდგან ბროლის სითეთრის წყობილი კბილები გამოსჩენოდა. სწორე და მოწყობილი ცხვირის ნესტოები, რომელთაც ცეცხლი წითლად აშუქებდა, სუთქვის დროს ოდნავ თრთოდნენ; ღეთიური ბეჭედი მის მიმზიდავს და ნაზს სახეს დასდებოდა და ამტკიცებდა რაოდენსამე სისუსტეს, მოდუნებას, მოქანცულობას.

ქალს სახე გაღიმებული ჰქონდა და ზედ რაღაცა სამაცდურო, მომხიბლავი ძალა დასთამაშებდა. გიშრის შავი ხუჭუჭნი ხშირს დალალებათ მაღალს და ჭკვიანს შუბლს გვირგვინად მოსდგომოდა; ოდნავ ბუსუსიანს, კარგამყოფს ლოყაზედ ერთს ადგილს მოწყობილი ხალი სიყმაწვილის და სიცოცხლით სავსეს ელფერებით შემკობილიყო, ერთი ხელი ჩაეგდო უბეში და გულთან მაგრად მიეტანა, თითქოს მის რწევას ლამობდა, მეორე — მუხლებზედ ჩასცურებოდა და უმტვერო ქაღალდსავით თეთრის პერანგიდგან ძლივს განირჩეოდა. ცეცხლის შუქზედ ქალი მეტად დამშვენებულიყო და ციურ-საჯოჯოხეთო მიმზიდველობა დასთამაშებდა.

ონისეს აბრაზებდა მისი ცქერა, გონებას აკარგვინებდა, წარმოუთქმელს სატანჯველს აგრძნობინებდა, მაგრამ თვალი ვერ მოეშორებინა. რამდენადაც წელან პირველი შეხედვა გასჭირვებოდა, იმდენად ეხლა სანეტარო სურათის თვალის მოშორება უძნელდებოდა; ყმაწვილი ბიჭი ჩასჩერებოდა, სთვრებოდა მისის ცქერით და რაღაც აუხსნელს აღტაცებაში შესულს მისი ჭვრეტა თანდათან მეტის ძალით სწყურდებოდა, ქალს არ ეძინა, მაგრამ რაღაცა მილუშვაში ჩავარდნილი, ეტყობოდა, ოცნების თავდავიწყებაში შესულიყო, მისი ფიქრი თითქოს სანატრელს, დამატკბობელს სურათებს შესთამაშებდა და გუნების მოძრაობა სახეზედ უაშკარავდებოდა.

ქალი ერთბაშად შეკრთა, გაახილა თვალები და აშკარად დაეტყო, რომ ეს შეკრთომა შეშინებისა არ იყო, რადგანაც მაყვალამ სიამოვნებით გაიღიმა, გაიზმორა და წინ გადმოცვივნული ნაწნავები უკან გადიყარა. შემდეგ წყნარად გადაისვა შუბლზედ ხელი და მძიმედ ამოიოხრა.

მის განძრევასთან ერთად ონისესაც თითქოს გულში რაღამაც გაჰკრა, ისიც შეკრთა, აღელდა და წარმოუთქმელის ძალით იგრძნო მასთან მიახლოვების, შეალერსების წადილი.

მაყვალამ ორივ ხელი ისევ თავ-ქვეშ ამოიდო, მიესვენა ტომარას და თავის სამფლობელო ოცნებაში შევიდა.

გაიცრა წუთმაც და ქალმა ნაზის ხმით დაამღერა:

მოფრინდი, ჩემო მერცხალო,
დამიჭიკჭიკე ბანზედა,
თითქოს ჰფიცავდი: მიყვარხარ!
მაშ რაღად დახვალ განზედა?

ქალმა ველარ გაათავა ეს სიტყვები, რომ კარებში ბრახუნი მოისმა.

მაყვალა შეკრთა, გაჩუმდა და სულგანაბულმა ხმა ველარ ამოიღო, განძრევაც კი ველარ მოახერხა.

მოისმა უფრო ძლიერი ბრახუნი და მოუთმენელი ხმა, რომელიც წამდაუწუმ სწყდებოდა:

— მაყვალაუ, მაყვალაუ!

მაყვალა წამოხტა და მფეთქავის გულით კარებთან მოვიდა.

— არ გესმის, ქალაუ!.. — აცახცახებულის ხმით დაიძახა კიდევ ონისემ.

— ვინაა, რაი გინდა?

— მე ვარ, მე... გამიღე კარი...

მაყვალა გაჩუმდა და აღარ იცოდა, რა ეპასუხა.

— გამიღე, ღვთის მადლმა, თორემ ჩემს სისხლში გაგრევ.

— ვინა ხარ, ბეჩა! — უპასუხა შეშინებულმა მაყვალამ, ურდულს ხელი გაავლო, მაგრამ ისევ შესდგა.

— მე ვარ, ონისე.

— რაი გინდა ამ შუაღამისას? — უთხრა ქალმა და, თუმცა ჰგრძნობდა, რომ დიდს უარს ველარ მოახერხებდა, მაგრამ მაინც დაუმატა: — არ, გაგიღებ, არა.

— ქალაუ!.. ღმერთი აღარ გყავს? მეჩვენე, მეჩვენე ერთხელ კიდევ და, ღვთის მადლმა, ჩემის ლეშით ყორნებს გავაძღობ... გააღე, გააღე-მეთქი!..

ისეთის გაშმაგებით და გამუდმებით ითხოვდა ონისე კარის გაღებას, ხმაში იმდენი თავგანწირულება და გადაწყვეტილება ეტყობოდა, ისეთი გაბრაზება, რომ ქალს შაეშინდა.

— ონისევ!

— ოჰ! — მოუთმენლად შეჰყვირა კაცმა და ხმაში დაეტყო, რომ გულს მწვავი რკინა მოხვედროდა, — გააღე, გააღე... ერთს გნახავ... წავალ... მოგშორდები... შენს უნახავად ნუ... ნუ მომაკვლევინებ თავსა... გამიღე... მე სასიცოცხლო აღარა ვარ... ქალაუ, გააღე-მეთქი!..

მაყვალას გული ამოუჯდა და შეშინებულს ეგონა, რომ ონისეს ცოცხალს ველარ ნახავდა. ხელი ერთბაშად აუცახცახდა, გონების დამორჩილება დაეკარგა, და პატრონისავე დაუ-

კითხვად, ანგარიშმიუცემლად, ურდული უკან გაცურდა.

გაიღო კარი და ონისე დამთვრალსავით რაცრაცით შევარდა, დაბარბაცდა და კედელს მიეყუდა. გაცრეცილი სახე სულთმობრძავისა შეჰქნოდა. კრიჭის შეკვრის გამო, ღაწვები ამოსჯდომოდა და ძალზედ გახილებულის თვალებიდგან ცეცხლებსა ჰყრიდა.

გონებადაფანტული ქალიც იდგა გაჩუმებული და ადგილიდგან ვერ დაძრულიყო; თავი დახარა, თვალები დაეშვა და წნორის ფურცელსავით თრთოლა დაიწყო.

ორნივ ისე იდგნენ გახევებულს საგნებსავით, თითქოს მოძრაობის ნიჭიც კი დაეკარგათ. აქამდის ორნივ ისეთის ძალით მიიბრძოდნენ ერთი ერთმანერთისკენ, რომ ქვეყანაზედ ისეთი ძალა არ გაჩნდებოდა, რომელსაც მათი ერთმანერთისადმი ლტოლვილება შეეყენებინა და ეხლა კი, როდესაც ერთმანერთისგან ასე ახლოს იდგნენ, ამოსუნთქვაც კი ვეღარ გაებედათ. ონისე უყურებდა მაყვალას, რომელსაც აღშფოთების გამო საგულის შეკვრაც კი დავიწყებოდა და გაჩუმებული თითქოს ელოდა, ლაპარაკი ქალს დაეწყო.

მაყვალა ჰგრძნობდა კაცის თვალების ძალას, რომელიც მოუსვენრად უციგლიგებდა და აღშფოთებაში შეჰყვანდა; სიამოვნების ჟრიამულს უტარებდა მთელს სხეულში და, თუმცა თვალები დაშვებული ეჭირა, გრძნობა მხედველობად გარდაქცეოდა, თითქოს ხედავდა ონისეს უწყალოდ დაღონებულს სახეს, რომელშიაც იმდენი სიყვარული, ხვეწნა და მუდარა გამოითქმოდა, ისე ბეჩავად გამოიცქირებოდა.

ქალსაც მეტისმეტად უძნელდებოდა ლაპარაკის დაწყება და ან კი რა უნდა ეთქვა?.. ესაყვედურა, რომ მოვიდა? მაგრამ როგორ ესაყვედურა, როდესაც მისი ნახვა ისე ძვირად ულირდა, ისე ნატრობდა, რომ ხატსა თუ ჯვარს, ყველა სალოცავებს ამ ბედნიერის წუთებისთვის ხვეწნით თავს აძულებდა! გრძნობისთვის ნება მიეცა და გული ტოლთან შესაერთებლად გაშვებას ვერა ჰბედავდა, რადგანაც სწორედ დღეს შეატყობინა ბეჟიამ, რომ ონისე მხიარულად არის და ცოლს ირთამსო. ქალის თავმოყვარეობა ნებას არ აძლევდა, რომ ნაბიჯი გადაედგა.

ერთბაშად კეკლუცი შეკრთა, უკანასკნელი ბეწვიც, რო-

მელზედაც მოთმინება ეკიდა, შესწყდა და წყნარად, თუმცა ცეცხლწაკიდებულის სიძლიერით, წარმოსთქვა:

— რისთვის მოსულხარ? — და გულმა ცახცახი დაიწყო, მთლად სმენად გადაიქცა.

— მიყვარხარ და იმადა. — მოკლედ და მტკიცედ წარმოსთქვა კაცმა. ამის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. ქალის გულს ნექტარის სიამოვნება აგრძნობინა ამ სიტყვებმა და გაღვიძებულმა იმედმა რაოდენადმე გაათამამა, თუმცა აზროვნება ჯერ მაინც ვერ მოეკრიფა და ლაპარაკის ანგარიში ვერ მიეცა.

— დიაღ, გიყორვარ? — ელვასავით შესტყორცა ჟუჟუნა თვალების სხივი და გაწითლებულმა მაშინვე ისევ თავი დახარა.

ონისემ რამდენიმე ნაბიჯი წადგა, გაიმართა წელში, იგრძნო — ბრძოლის ველი მას რჩებოდა და სახე გამარჯვებულის ძლევამოსილობით გაუბრწყინდა.

— ქალაუ! ორნივ ვიტანჯეთ, ვეწვალეთ და ვერ დავივიწყეთ ერთურთი. ერთურთი ვნახეთ და შეგვიყვარდა ერთმანერთი. ჩვენის ნებით არ მომხდარა ესა და ვერც ჩვენის ნებით გავიყრებით... ვეცადე, ქალაუ! ვეცადე, ღვთის მადლმა, რომ გულიდამ ამომეღე, შენი სიყვარული ფესვიანად ამომეგლიჯა, შენი სახე ცხელის რკინით ამომებუგა გულიდგან, მაგრამ დავდნი, დავილიე და აჰა, მაინც შენთან მხედავ.

ონისე ლაპარაკობდა წყნარად, გარკვევით და სრულის ცნობიერებით. აშკარად ეტყობოდა, რომ ეს სიტყვები ამოდიოდა გულის საძირკვლიდგან, სადაც აღგზნებულის, ალაპლაპებულის სიყვარულის ცეცხლით ხალასდებოდა და იწმინდებოდა.

ქალი შაეპყრო მათს ძალას და კაცის ყოველ სიტყვას, ყოველ ხმის მოტრიალების გავლენას აშკარადა ჰგრძნობდა. ქალი სდნებოდა და ზედ ეგლისებოდა, უხმოდ ეთანხმებოდა და უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

ონისემ მოხვია ხელები, მიიზიდა მკერდთან, მაგრად და ძლიერად მოუჭირა მკლავები, ჩახედა თვალებში და წყნარად, თითქმის ჩურჩულით უთხრა:

— ქალაუ!.. ჩემო ყველაუ!.. მითხარი!.. უკანასკნელად ვარ

შენთან და მითხარ, მთხარი: საით წავიდე, რაი ვქნა? იქნები ჩემი, თუ არა?!. — აქ კაცს სიტყვა გაუწყდა, ხმა აუკანკალდა და ჩუმად წარმოსთქვა: „არა“? — ქალი უფრო მიხვდა, სანამ გაიგონა ეს სიტყვები.

ამ ხანში მაყვალა გაჩუმებულიყო, განაბულიყო, როგორც კურდღელი, რომელიც არწივის კლანჭების მიახლოვებასა ჰგრძნობს და სუნთქვაც კი შესწყვეტოდა.

— მითხარ, ქალაქ! მითხარ! — კიდევ ძალზედ მიიზიდა კაცმა.

მაყვალამ იგრძნო რაღაცა სითბოება, სისუსტე-თან არეული, თითქოს ტანში მოიშალა, გონება დაებნა და უხილავის ძალის გავლენის ქვეშ მყოფმა დაიკვნესა, წნელსავით გადმოიგრიხა და ორივე ხელი ყელზედ მაგრად გველსავით შემოაჭდო. პასუხად აღგზნებული, ხანგრძლივი კოცნა კაცისა გაისმა...

— მაყვალაუ! — თავბრუს დახვევით წამოიძახა ონისემ, ბუმბულსავით ხელში აიტაცა, ძალზედ მიიკრა გულთან და დაოსებულს გიჟსავით კოცნა დაუწყო...

კერაში აბჟუტებული ცეცხლი ჩაქრა; წისქვილში სინათლე წყნარ-წყნარად სუსტდებოდა, ღამის უფსკრულს დაეძალა მისი შუქი და შთანთქმას ექადოდა. ნაღვერდალს ფერფლი ეფარებოდა და მიდამო იდუმალებით ივსებოდა; ყველაფერი გაჩუმებულიყო, გაყუჩებულიყო და სრული სიჩუმე ჩამოვარდნილიყო.

ამ საერთო იდუმალების დროს ათასში ერთხელ გაისმოდა შეყვარებულთა კოცნის ხმა, რომელნიც ერთმანერთს ზევით ღმერთს აძლევდნენ თავდებად და ქვეშ დედამიწას, რომ საუკუნოდ შაერთდებოდნენ, რომ ერთმანერთით ისულდგმულებდნენ.

X

პირველი დღეები მათის ტრფიალებისა წარმოუდგენელის სიამოვნებით მიდიოდა; ერთმანერთისთვის გაჩენილნი, დიდის ლოდინის შემდეგ, ერთად შეყრილიყვნენ და ეს მდგომარეობა

მეტად თავდამავიწყებელი იყო, რომ მათ სხვა რისთვისმე მოეცალათ.

ისინი შეიყრებოდნენ ხოლმე ყოველდამ გლეხების ვახშმობის დროს და აღგზნებული სიყვარული წუთს არ აძლევდა თავისუფალსა, რომ თავიანთ მდგომარეობას დაჰკვირვებოდნენ, მომავლისთვის მოაზრებას შესდგომოდნენ.

ასეთია კაცის სიცოცხლის გაზაფხული! მისი სტუმრობა ისე ძნელია, ისე იშვიათი, რომ, როდესაც ეწვევა ვისმე, ყველას და ყველაფერს გადააავიწყებს.

დრო მიდიოდა და გელას მოსვლაც ახლოვდებოდა, მაგრამ შეყვარებულნი ამ მხრივ ისე დამშვიდებულნი იყვნენ, თითქოს რომელიმე უბედურება არამც თუ მოსალოდნელია, არამედ შეუძლებელიც.

ერთს საღამოზედ ონისე, ჩვეულებისამებრ, დანიშნულს დროზედ მოვიდა და კარებშივე, მისალმებასთან ერთად, ქალი გულში ჩაიკრა.

— რაისთვი დაიგვიანე? — წყნარად და ალერსიანად ჰკითხა ქალმა.

— არ დამიგვიანებია! — აკოცა კაცმა და ხელი გაუშვირა ერთს ვარსკვლავზედ: — აგერ, გახედე...

მაყვალამ შეხედა, გაიღიმა და თვალები აუჟუჟუნდა. ვარსკვლავს ჯერ დანიშნულს ადგილამდის არ მიეღწია და, მაშასადამე, ონისე კვლავინდელზედ უფრო ადრეც კი მოსულიყო.

— რაი ვიცი, — კეკლუცად შეაქერსა ქალი, — მე კი ისე მეგონა, რომ გათენება მოვიდა-მეთქი.

— ჰაი-ჰაი! — ჩაიცინა კაცმა და უალერსა, — ძალუმ ეშმაკაი კი ხარ, ღვთის მადლმა!

— რაისთვი, რაისთვი! — თავს ევლებოდა მაყვალა და ცდილობდა ონისეს სიახლოვით დამტკბარიყო.

ორნივ შევიდნენ სახლში და გრძელს სკამზედ ჩამოსხდნენ. ქალი მიეყრდნო მკერდზედ და თავი კეკლუცად მხარზედ მიანდო. ონისე ჩაფიქრდა და სახეზედ რაღაცის მოსაზრება დაეტყო, ქალმა შეხედა და ეს მდგომარეობა კაცისა გაუკვირდა; რამდენსამე დღის ბედნიერებამ გადააჩვია იმ აზრს, რომ ადამიანს მოწყენაც შეუძლიან. მაყვალას ბევრი მწუხარება გამოევლო, ბევრი ვარამი ეწვნია, მაგრამ საყვარელ კაცთან დაახ-

ლოება წამლად შერგებოდა, დაკოდვილს გულს მკურნალ[illegible] ჭა-
ლამოდ დასდებოდა და გამხიარულებულს გადავიწყებოდა ძვა-
რე დუმილისაგან აღძრული უსიამოვნოება.

„ონისეს უყვარს და ეგეც უყვარსთ... — ფიქრობდა ქალი,—
ცხო რაი-ღა უნდა, რაი-ღა აღონებს?“

— ბიჭაუ! — ვეღარ გასძლო ქალმა და ხმამაღლა წამოი-
ძახა.

— რაი გინდა?

— ნუ დაღონდი, ღვთის მადლმა, თორემ ტირილს დავი-
წყებ.

ონისემ სიყვარულიანად შეხედა და სახეზედ მადლობის
ბეჭედი დაეტყო.

— შენთან რაი დამაღონებს, მაყვალაისი?! ბნელს გულში
მზის შუქად ჩამესახე და რაი-ღა დამაღონებს!

— მაშ რაისთვი გაჩუმდი? რაისთვი არას ლაპარაკობ?..

— ისე დავფიქრდი რასმე.

— არ მინდა ფიქრი, არ მინდა ჯავრი! — ჟინიანად წამოი-
ძახა ქალმა და დაუმატა: — მელაპარაკე, მელაპარაკე გაუწყ-
ვეტლივ, შენთან ლაპარაკი მწადის!

— ჩემო ყველავ!.. რაი გიყო, რითი გიალერსო ისე, რომ
შენის სიყვარულით გავძღე!

— აბა რაი ვიცი! — უპასუხა გაღიმებულმა ქალმა.

— შენ საით-ღა გადაგიხადო, რა მოვახერხო, რომ თავის
დღეში არ გაწყენინო, არ დაგაღონო?

— თავად ნუ დაღონდები და მეც სულ მხიარულად ვიქ-
ნები.

ონისემ ამოიოხრა და ისევ ჩაჰკიდა თავი. ქალმა შეხედა და
შეუბუზღუნა.

— რაია, რა? ჩე!

— მაცალე მაყვალაისი, საფიქრებელი მაქვს რამე.

— რაი-ღა გაფიქრებს?

ონისემ შეხედა ყმაწვილს ქალს, რომელსაც ქვეყნის ვარა-
მი გამოევლო, მაგრამ ისევ ისე გამოუცდელი დარჩენილიყო.

— ისა, მაყვალაისი, რომ დღეს ამბოვი მომივიდა.

— რაი ამბოვი? — საჩქაროდ ჰკითხა ქალმა და სახე შაე-
ცვალა.

— გელაი მოდისო.

— გელაი? — შეკრთა ქალი და ფერი წაუვიდა, — ვინ გითხრა?

— ჩეჩნით მწყემსები მოვიდნენ და იმათა სთქვეს. ამ დღეებში გაჩნდებაო.

ქალი გაჩუმდა, ჩაგონდა და შუბლი შაეჭმუხვნა. ეტყობოდა, რომ ამ ხმამ ლახვრად გაურბინა გულში. კაცსაც თავი ჩაეკიდა და ღრმა საგონებელში წასულიყო.

— ქალაუ! — ბოლოს აიღო თავი ონისემ და მიუბრუნდა მაყვალას, — სიყორულმა ყველა გადაგვავიწყა... მოემზადე, უნდა წავიდეთ.

— რაი მომზადება მინდა?

— რაი ვიცი? ან შესაკერი გექნების რაიმე, ან გამოსაჭრელი. ბევრს კი ნურას გამოუდგები, თორემ ვეღარ მოასწრობ.

— მე არც რაი არ მინდა...

— მაშ როდის წავიდეთ?

— თუნდა დღესვე.

— ახლა არ იკითხავ, სად მივალთ?

— რაი კითხვა მინდა?

— იქნება გულმა ცხოგან დაგთხოვოს?

— შენთან ყველგან სამოთხეა.

— მაყვალაისი! აგეთი კარგი რამა გშობა? — მოეხვია ვაჟი და დაუმატა: — ზეგისთვის მეც მზად ვიქნები და ვახსენოთ ღმერთი!..

— თუნდა დღესვე-მეთქი.

ამ ლაპარაკის შემდეგ ისინი კიდევ რამდენსამე ხანს დარჩნენ ერთად და ალერსში გართულნი საქმეს აღარ შეხებიან. გარიჟრაჟმა მოაღწია, როდესაც ონისე მაყვალას გამოეთხოვა, კარი გამოიარა და მთაში მოსამზადებლად წავიდა.

იქ უნდა ცხვარი გაეყიდა, ფული მოეგროებინა და ისე გადასახლებულიყო, რომ პირველში, სანამ მოეწყობოდა, ოჯახს გაიჩენდა, მაყვალასათვის გაჭირვება არ ეჩვენებინა.

სანამ ეს კაცი მთაში ავიდოდა და ცხვარს დაინახავდა, სანამ გული ლაღადა ჰქონდა და სრულიად დამშვიდებული აზროვნებდა; მაგრამ, რაკი ცხვარი დაინახა, რაწამს შეჰხედა ფერ-

დოებს, სადაც ფარა ისე მშვენივრად შეფენილიყო, გულმა აღშფოთება აგრძნობინა და პოუსვენებლობაში ჩააგდო.

მთიელი მხოლოდ ამ წუთებში მიხვდა, რა მწვავი მოქმედება ჰქონდა იმ ადგილების განშორებას, სადაც ბავშვობიდგანვე აღზრდილიყო, იმდენი მწუხარება და სიტკბოება ენახა. ის დაბადებიდგანვე შესჩვეოდა იქაურს ბუნებას, შესთვისებოდა ყოველ მთას, ყოველ ღელეს, ყოველ კუნჭულს, მათ შორის მისცემოდა გულის მღელვარებას და თვით მოაზრება, ჭკუის მუშაობაც კი უეშათოდ არ ესმოდა და ეხლა მათთან გამოსალმებას, იქნება საუკუნოდაც, ემზადებოდა. ამ ადგილების წყალს ონისეს სმენისთვის სრულიად სხვაგვარი, ნშობლური და დამყვავებელი გავლენა ჰქონდა; უზარმაზარს, სხვისთვის მხოლოდ ჩანიფხეკილს, უნაყოფო კლდეებს ონისესთვის გამცოცხლებელი, სულის ჩამდგმელი ძალა ჰქონდა და თვით ცხვრის ჯპრალო დაბღავლებაც კი შეჩვეულს ყურს დამამშვიდებელს ნანად მოესმოდა.

ყველაფერს, სრულიად ყველაფერს, — დაწყებული მედიდურის ლაჟვარდოვანის ციდგან, ამაყის და დიდებულს მთებიდგან, უკანასკნელს მცირედს ნატამლამდის, სიტყვით, ყოველისფერი, რაც კი ამ მთაში მოიპოებოდა, ონისესთვის დაუფასებელი იყო, მის არსებაში ადგილი ეჭირა და მათთან განშორება ეთანხმებოდა ნახევარის სიცოცხლის განწირვას. მაგრამ საქმეში მაყვალა იყო ჩარეული და ეს საკმარისი იყო!.. იმის დასაკუთრებისთვის, შერჩენისთვის მთელი სიცოცხლეც რომ დასჭირვებოდა, წუთს არ შესდგებოდა, დაუფიქრებლად მისცემდა.

ონისეს აგონდებოდა, რომ ცხვარი უნდა გაყიდოს და საუკუნოდ განშორდეს იმ მშვენიერებით სავსე პირუტყვებს, რომელზედაც იმდენი ამაგი ჰქონდა, რომლების ყარაულობაშიც იმდენი ბნელი და ჯოჯოხეთი ღამეები გაეტეხა, ათას ფათერაკს წაჰკიდებოდა და გული მიეშვირა მოუსვენარის, დაუცხრომელის, მტრად გადაკიდებულ კაცთა თუ მხეცთათვის.

ჰგრძნობდა მათ მოშორებასთან ერთად გულის მრავალს ტკბილად დამყვავებელ გრძნობათა მოშორებასაც, მაგრამ საქმეს მოეტანა, შემთხვევა ითხოვდა და უნდა განშორებოდა...

ონისემ დაუძახა მწყემსებს, გამოუცხადა, რომ ცხვარსა ჰყი-

დის, რადგანაც ფული ეჭირვება, და სთხოვა, რომ მუშტარი მოეკითხათ. ეს ამბავი ყველას გაუოცდა, ყველას ეწყინა და პირში სიტყვა გაუწყვიტა. მათ კარგად იცოდნენ, რომ თუ ონისეს განსაკუთრებით რამ არ შემთხვეოდა, ცხვარს არ გაჰყიდდა, და თუმცა გულით უნდოდათ ამგვარი განზრახვის მიზეზის გაგება, მაგრამ კაცის სულის საძირკველში ჩახედვა, გაქექა ვერ ეკისრათ.

ყველამ, ვისაც კი ეს ხმა მისწვდა, გულითადი მწუხარება და თანაგრძნობა გამოუცხადა ონისეს და ყველას სიტყვებში ეტყობოდა, რომ ამგვარი გადაწყვეტილება ერთს უპირველეს უბედურებად მიაჩნდა.

თუ ონისეს მეცხვარეები ასე მოიქცნენ და ონისეს მოქმედების წინააღმდეგობა ვერ გაბედეს, დანარჩენმა ხალხმა საქმეს სხვარიგად შეხედა.

იმ დროში ხალხისთვის ერობას ჯერ კიდევ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თემობას თავის საზოგადოება ერთს ოჯახად მიაჩნდა და ყოველი თვითოეულის წევრის უბედურება საერთო ზარალად, საერთო დასაკლისად მიიღებოდა. მაშინ თემობა თავის მოვალედ ხადიდა — დაეცვა სარგებლობა თვითოეულის წევრისა, ეზრუნა მისთვის და ყოველ შემთხვევაში გამოსარჩლებოდა. თემი თვითოეულს წევრს ისე უყურებდა, როგორც შემადგენელს ნაწილს მთელის ერობისას და მის ტკივილში საერთო ტკივილი გამოითქმოდა. ამითივე უხდიდა თვითოეული წევრიც, რადგანაც თემს განშორებული, განცალკევებული ცხოვრება თითქმის შეუძლებელი ხდებოდა და მის მფარველობის ქვეშ მყოფი კი დაჩაგრული არავისგან დარჩებოდა. ყველა წევრმა იცოდა, რომ მის მოსარჩლედ მთელი თემობა იყო. მისი შეურაცხყოფა — მთელის თემობის შეურაცხება იყო, და ამისთვის გული ამაყდებოდა, ძალა თავს ველარ ახრევინებდა.

როდესაც თემმა შეიტყო ონისეს განზრახვა, მან მოისურვა თავის წევრის ანგარიშის მოთხოვნა და გამოჩენა იმ უფლებისა, რომელიც პირად მის შინაურს საქმეებშიაც კი ერეოდა.

უფროსები შეიყარნენ არა მარტო იმ აზრის ხელმძღვანელობით, რომ მათ ჯალაბობას ერთი შეძლებული ოჯახი აკლდებოდა, არამედ იმ მოაზრებითაც, რომ ერთის მოქმედება სხვებისთვის სამაგალითოდ არ გამხდარიყო და ერთხელ შერ-

ყეული საერთო ოჯახობის მშვიდობიანობა მრავალთა მოშორებით სრულიად არ შესუსტებულიყო. ამგვარად, მთიელის განზრახვას ორის მხრით ეხებოდა თემობა და, თუმცა თვითეულის საკუთრების შეხების უფლებას არ აცხადებდა, მაგრამ თავს მოვალედ ხადიდა ყოველი საშუალება ეხმარა თავის წევრისთვის გუნება შაეცვალა და მიღებულის განზრახვის უსაფუძლობა დაენახვებინა.

ონისე მწყემსებთან ლაპარაკობდა, როდესაც მასთან ბეჟია მოვიდა და შეატყობინა, რომ ვაკე მთას თემის უფროსობა შეყრილა და გიბარებსო.

— იარე, — მაშინვე უპასუხა ონისემ და გაბრუნდა, მაგრამ ისევ შესდგა და მწყემსებს მიუბრუნდა: — ღვთის მადლსა, მუშტარი მოიკითხეთ, ლოდინის დღე აღარა მაქვს.

ამ სიტყვების შემდეგ გამობრუნდა და სიარულში ბეჟიას დაელაპარაკა.

— თემი რაისთვი შეყრილა?

— რაი ვიცი!.. ამბობენ, შენს საქმეზედ შეიყარაო.

— რა საქმეზედ?

— ცხორსა ჰყიდისო.

— მერე, იმათ რა?

— აბა რაი ვიცი!.. არ გავასყიდინებთო.

— აბაი! — გაიკვირვა ონისემ, — ჩემს ცხორს საით არ გამასყიდვინებენ?!

— მართლა ჰყიდი? — ჰკითხა ბეჟიამ.

— მართლა.

— აუ! — სხვა ველარა მოახერხა-რა მეცხვარემ და გაჩუმდა.

— რაია?

— ისა, რომ ცხორს საით-ღა გაჰყიდი?

— რაისთვი არა?

— არ ვიცი, ღვთის მადლმა! მაგრამ, აი მე ბატკანი რაია, ბატკანი?.. გასაყიდათ იმასაც ველარ გამოვიმეტებ...

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ ნაამაგდარევია... კაცს თუნდა შვილი გაუსყიდია, თუნდა ცხვარი... რაი ბედენაა, ორივე გაგიზრდია, ორივეზედ ამაგი გაქვს.

— მაშ სტუმარს ცხორს რომ დაუკლამ ხოლმე, რატომ შვილს არ დაუკლამ? — მწარედ ჩაიღიმა ონისემ.

— შვილი საით დაიკვლების?.. შვილი ადამიანია.

— მაშ თითქო ერთიაო?..

— ერთი არაა, მაგრამ სიტყვაა და კაცი იტყვის... — ბრძენის კილოთი წარმოსთქვა ბეჟიამ, — ღმერთისაგან ეგრეა დადებული, შენაი ჭირაიმე, რომ ცხორი დაიკვლების და სტუმარი კი ღვთისაა, თორემ რაზედაც ამაგი გაქვს, უფლის მადლმა, შვილში არ გამოირჩევა.

ამ ლაპარაკით მიაღწიეს ვაკე მთას, სადაც საკმაო ხალხი მოგროვილიყო, რგვლად შემომსხდარიყო მწვანე მინდორზედ და გახურებული სჯა ჰქონდათ.

ონისე მისვლის უმალ მიესალმა, მშვიდობა შეუძრახა და ფეხზედ წამოდგომილებს უთხრა:

— დასხედით, დასხედით, თქვენაი ჭირაიმე! მე რაი ღირსი ვარ, რომ ფეხზედ ამიდგეთ.

— რაისთვი არა? კაი ოჯახის შვილი ხარ და კაი გორისა! — უპასუხა ერთმა უფროსთაგანმა და ხალხი დალაგდა.

ჩამოვარდა სრული სიჩუმე და რაოდენსამე ხანს გასტანა. ათასში ერთხელ მეზობელი თუ მიუბრუნდებოდა მეზობლის თავსა და ჩუმად რასმე წასჩურჩულებდა, თორემ ხმამაღლა დალაპარაკებით ან უხეიროს თავაწყვეტილის სიცილით მყუდროობა არვის შეურყევია.

ყველანი ისხდნენ ჩაფიქრებულნი, თავჩაკიდებულნი და იმ მწუხარე გამომეტყველებით სახეზედ, რომელიც მგლოვიარე, მოსამძიმრე გულს დაეტყობა ხოლმე.

— აბა, ფარეშაუ, დაიწყე! დღე მიდის, გვიანდების და ლოდინისა აღარაა, — მიმართა რამდენმამე მოხევემ ყველაზედ უფროს, თმა-გათეთრებულს მოხუცებულს.

ფარეშამ ჩაახველა, გადაისვა ულვაშებზედ ხელი და დაიძახა:

— სმენა იყოს და გაგონება!.. ონისევ, აქ მოდი.

მოხევე გამოვიდა უნცროსებიგან, რომელნიც კრებისან შორი-ახლოს იდგნენ, მოწიწებით მივიდა თემობასთან, შეჩერდა მათ შუა და გაჩუმებული, მოკრძალებით დადგა.

წელან, როდესაც ონისე მოვიდა, ყველას ისე შეხვდა, რო-

გორც სწორი; არავინ უპირატესობას არ იჩენდა; თუ ონისე ვისმე განსაკუთრებითს პატივს აძლევდა, ეს იყო მხოლოდ ჩვეულებრივი ზრდილობა ხნიერებით უფროსისადმი და სხვა არაფერი. ეხლა კი სრულიად სხვა იყო: შეყრილს თემობას ძლევამოსილი დიდებულება დასტყობოდა, ამაყად და უფლების მჭონებლად გამოიხედებოდა მათი ყრილობა. ონისეც ჰგრძნობდა ამ ძალას, ემორჩილებოდა მის დიდებას და სრულიად დარწმუნებული იყო, რომ ის წევრია ამ საერთო ოჯახობისა, არის მასთან შაერთებული და მისგან დამოკიდებული; ჰგრძნობდა, რომ ამ ხალხს გავლენა, უფლება აქვსთ მის პირადობაზედ და ემორჩილებოდა საუკუნოებითვე ხალხის სისხლსა და ძვალში გამჯდარს ადათსა და წყობილებასა.

— ონისეუ! — დაიწყო ფარეშამ, — ხალხში ხმა არის, რომ ცხორსა ჰყიდი. მართალია?

— მართალია, — წყნარად წარმოსთქვა ონისემ.

— მაშ ოჯახსაც მოშლი?

— მო, თქვენაი ჭირიმე!

ამ სიტყვების შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა და ხმამაღლივი ლაპარაკი შესწყდა. მხოლოდ ისმოდა ხალხში წყნარი ჩურჩული, რომელიც გრგვინვასავით დაჰქროდა და გამოურკვეველს შრიალად გამოისმოდა.

— ონისეუ!.. თემობა კარგად გიცნობს, — ბოლოს დაიწყო ისევ ფარეშამ და გააგრძელა: — გიცნობს და გაფასებს კიდეც... ღვთის მადლმა, კაი ბიჭი ხარ, მაგრამ გონჯიც რომ ყოფილიყავ, მაინც გულში ექნებოდი, გულიდგან ვერ ამოგიღებდა... ჩვენი სისხლი ხარ და ჩვენი ხორცი... თავადაც გესმოდა ესა და მეზობელი გაჭირვებაში არ დაგიგდია, რომ არ გეშველა!.. სტუმარი არ გაგიშვია, რომ მასპინძლობა არ გაგეწია!.. თემს არ გასჭირებია ისე, რომ მდევრად პირველი შენ არ გვენახე, არ გაგიტეხია ხალხის პირი და დაუზარებელს მუშას მუდამ ვაჟკაცად გიცხოვრია...

მოხუცს ლაპარაკში ხმა უკანკალებდა, თუმცა აშკარად ეტყობოდა, რომ მისი საუბარი იყო წმინდა, ცბიერება გაურეველი და გულით ნაგრძნობი. აშკარადა სჩანდა, რომ ონისე მართლადაც თავის მოსაწონი იყო თემობისთვის, და ეხლა ღირ-

სეულს საქვეყნოდ აჯილდოებდნენ თემობის წარმომადგენელნი.

მოხევემ იგრძნო უძლიერესი საჩუქარი. ჰგრძნობდა, რომ თავისი ხალხი, თავისი სისხლი და ხორცი აფასებდა ნას და ერთგულს სამსახურს არ უქარწყლებდა.

მოსაუბრეს ლაპარაკის შეწყვეტა დასჭირდა; ონისემ ისარგებლა მის გაჩუმებით და მეტისმეტად ბედნიერების გრძნობით ატირებულმა გულმა ქუდი მოახდევინა და წამოაძახა:

— ხალხო!.. თქვენამც შემოგევლებისთ ონისეს თავი! ონისე მოკვდეს და თქვენ იცოცხლეთ!.. ღვთის მადლმა! მაგ სიტყვების ღირსი არაა ონისეი!.. რაი მიქნია, რა მიმსახურია... ყველა თავადა ყოფილხართ ჩემი შემწე, ჩემი მომშვენებელი... ღმერთს ლუკმა-პური მოუცია და ეგ სულ თქვენი წყალობაა!.. თქვენი, აგრემც შემეწევის უფალი!..

— მოიცა-ღა! — გააწყვეტინა ფარეშამ, — ჰაი, ჰაი, რომ თემობა ბევრს შაგეწია! ჰაი, ჰაი, რომ კაცი თემობას დაშორებული ვერ იცხოვრებს!.. რასა იქმ მარტო კაცი? მარტო კაცი ბეჩავია!.. ბიჭაუ! თემობა შვილად გიყურებს... და თემობამ იცის, რომ გაჭირვება მოგდგომია და თავისიანს უნდა გიშველოს... თუ გაჭირვება არ გქონდეს, ოჯახს არ მოშლიდი... რაი მოგივიდა, უთხარ შენს ძმებს.

ონისე გაფითრდა და ფერი ზაფრანად გადაექცა. თემობა, ის თემობა, რომელსაც სულით და გულით ემორჩილებოდა, ითხოვდა, რომ გული გაეხსნა, და წადილს ვერ უსრულებდა. უნდა მოეტყუებინა?.. რა უნდა ექნა? ხალხი პასუხს ელოდა.

— ხალხო, თქვენი ჭირიმე! — ბოლოს დაიწყო ონისემ,— თავი მომიტანია სახვეწრად... რასაცა მკითხავთ, იმას ვერ გეტყვით და, სანამ მოგატყუებდეთ, თქვენგან ჩაქოლვას ვირჩევ!..

ჩამოვარდა ისევ წუნარი ჩურჩული და ერთმანერთის დაკითხვა.

— კარგი... — დაიწყო ისევ მოთავემ, — კაცს გული დახურული იმადა აქვს, რომ შიგ ყველამ ვერ ჩაიხედოს... თემობა ითხოვს, რომ ოჯახობა არ მოშალო, სახლი არ გაანადგურო, ხალხს ცუდი მაგალითი არ უჩვენო და მით ცხვებსაც გონჯი საქმე არ აჩვენო... რას იტყვი ამაზედ?

— მაგაზე? — იკითხა გახარებულმა ონისემ,—აი რასაც სადაც უნდა ვიქნა, ღვთის მადლმა, რომ ჩვენის თემობის ყურმოჭრილი ყმა ვიქნები... მაგათი ღალატი თუ გულჩი გავიტარა, ფეხქვეშ მიწამც ჩამნგრევია, მეზობელთ ცრემლიმც ნუ მღირსებია... მაგრამ რაი ვქნა? აქ ცხოვრება არ შემიძლიან...

— დარჩი, დარჩი! — გაისმა რამდენიმე ხმა.

— რაი ვქნა, როგორ ვქნა?.. თუ გინდათ, თუ გამოგადგებით რადმე, მითხარით და აქვე თავს მოვიკლავ!.. ღვთის მადლმა, ეხლავ!..

— რაისთვი, რაისთვი! — შეიქნა ხალხში ჩოჩქოლი.

— ჩუმად! — გააყუჩა ფარეშამ და ონისეს მიუბრუნდა:— სთქვი, რას უბნობ?

— თემობა ძმას მეძახის, უნდა სამსახური გამიწიოს... თანახმა ვარ... მართალს ამბობთ, ძმა ვარ თქვენი და თქვენი სამსახურიც უნდა მივიღო!

— სთქვი, რაი გინდა?

— სთქვი, სთქვი.

— ათას სჭარბია, იმდენაი ცხორი მყავს... ოცანი ძროხანი მეყოლების... შვიდაი ცხენაი... შუაზედ გავყოთ... ნახევარს გავყიდი... მეც ცხოვრება მინდა... ნახევარიც თემობისთვის მიმიცია... გაეყოს იმათ, ვინც ბეჩავად არის.

— არ იქნების, არა, ღვთის მადლმა! — აღელდა ხალხი და კარგა ხანს ხმაურობდა.

ბოლოს მშვიდობიანობა ისევ ჩამოვარდა და ერთმა თემის ყრილობის წევრთაგანმა დაიწყო:

— ონისეუ! სულ კარგი ხარ და სულ კეთილი... ღვთის მადლმა, ხალხს რომ უჭირდეს, საქონელს კი არა, სულსაც არ შეიშურვებ... ცხორიც შენია, ძროხაცა, ჩემო ყველავ... ცხენიცა... ყველა შენის ოფლით არის მონაგარი, ყველა შენის შრომით ნაშოვნი... უფალმა მოგახმაროს ისე, როგორც გინდოდეს, შეგარგოს, როგორც დედის ძუძუ!.. განა შენი საქონელი გვინდა?.. არა, ღვთის მადლმა! ძმა ხარ და შენი თავი გვენანების, თორემ საქონელი რაია?.. აი თემობა, — აიშვირა ხელი მოხუცმა, — თემობა ეს ხუთი თითია... რომელიც გინდა მომჭრა, ტკივილი გულს მოხვდების, გულს შეაღონებს... ონი-

სეუ... ონისეისი!.. ნუ წახვალ, ნუ მოგვშორდები!.. გთხოვთ, ძალას კი არ გატანთ.

კარგა ხანს გრძელდებოდა ეს ლაპარაკი, რომელიც გულს უთუთქამდა მოხევეს, მაგრამ ღვთის ფიცი, მიცემული მაყვალასადმი, და მის წინაშე მოვალეობა, რომელიც თავის თავზედ მიეღო, მეტად მძიმე ტვირთი იყო, რომ ამ კაცის გადაწყვეტილების შერყევა ვისმე შესძლებოდა.

ხალხმა გადასწყვიტა, რომ ონისეს გზა მისცენ და ჩამოეხსნენ, რადგანაც უეჭველი იყო, რომ ამ მოუდრეკელობისთვის მეტად მძიმე მიზეზები უნდა ჰქონოდა.

— ონისეუ! — უკანასკნელ სიტყვად დაიწყო ფარეშამ,— არ იშლი, მისდიხარ და ჩვენი გული კვნესით გესალმების!.. უფალმა მშვიდობათ გამყოფოს, ნუ დაგავიწყოს შენი მიწა-წყალი, შენი მოძმენი... ნუ დაგავიწყოს შენი სალოცავები, შენი დედ-მამის ძვლები... გახსოვდეს, რომ იმათი სისხლი და შენ მოძმეთ გული სიხარულით შეინძრევა, თუ კიდევ ღაბრუნდი, თუ შენი სიახლოე იგრძნო... ნუ დაივიწყებ ძუძუს, რომელმაც გაგზარდა, ნუ დაივიწყებ გულს, რომელიც შენმა მოშორებამ ააღელვა!.. გახედე მთებსა! — გაუშვირა მოხუცმა ხელი და თვალებში ცრემლები გაუბრწყინდა, — აქ უცხოვრიათ შენს მამაპაპათ, აქ მოუკლიათ სევდა, აქ აღძგერებიათ გული... აქ უცოცხლიათ და აქ დახოცილან... შეხედე და ნუ დაივიწყებ!.. შენია, შენი! — მოხუცი გადაეხვია და მდუღარე ნაკადული თვალთაგან გადმოსცვივდა.

XI

როდესაც ონისე ყველას გამოესალმა, ყველა დაჰკოცნა, გამწარებულის გულით იგრძნო, თემობისთვის რა ძნელი იყო ერთის დაკარგვა და იმ ერთისგან შეჩვეულის ცხოვრების გამოცვლა.

ონისე ვერც იმას დააყაბულეს, რომ დარჩენილიყო და ვერც იმას, რომ ნახევარი საქონელი მამაპაპის სულის მოსახსენებლად თემის ბეჩავთათვის არ დაეგდო.

ხალხი დაიშალა და ონისემ თავის ცხვრისკენ გასწია. იქ

ელოდნენ მუშტრები, რომელნიც მოხევის ნათესაობასთან პატივისცემით შესატყობლად და ნების მისაღებად, რომ იმათ ნათესავის ცხვარი ეყიდათ.*

ცხვრის პატრონმა საქონელი შუაზედ გაჰყო, შემდეგ ნასევარი თემისთვის ჩააბარა რამდენსამე ამორჩეულს კაცს და ნახევარში კი მუშტრებს ფული გამოართვა.

ორად გაყოფილი ფარა ჯერ კიდევ იქ იდგა, როდესაც ონისე დაღონებული შეჰყურებდა. მის გულს მწარედ გაჰქონდა დაგადუგი, სევდით იბურებოდა და ემღვრეოდა. კაცი ცხვარში უნდა ყოფილიყო აღზრდილი, რომ მისი გულის მოძრაობა გაეგო, მისი გრძნობა შეეგნო. ცხვარი დაიძრა, და ონისე ჩომბახს დაყუდებული, ხმაგაკმენდილი თვალს ადევნებდა. ცხვრების გამოსვლისთანავე მას აგონდებოდა წარსულის ცხოვრებიდგან სხვადასხვა შემთხვევანი. აგერ გამოიარა პირჯროლა შიშაქმა და მას მოაგონდა მისი დაობლება ბატკნობაში. მოაგონდა, როგორა ზრდიდა ხელზედ და როგორ ანებივრებდა; აგერ კიდევ ის ჭედილა, რომელსაც მშვიდობიანობის დამცველნი წართმევას უპირებდნენ და უსამართლობას კინაღამ თავი შეაკლა. აგერ ის ვაცი, რომელიც „ძაუგში“ გასასყიდს ცხვარს ქეჩად გააყოლა და ვიღაცა ღიპიანმა შარი მოსდო, რომ ისიც ვითომ გასყიდული იყო.

მოაგონდა ონისეს ამ ქეჩისთვის თავის გამოდება, საჩივარი და ხარჯი... მოაგონდა უსამართლობით დაჩაგრულის ადამიანის ვარამი. მოაგონდა, რომ თავის საკუთრების შესარჩენად თხუთმეტ ჭედილამდის გაიღო. აგერ იმ ბოქაულობამაც გამოიარა, რომელიც ონისეს საჭიდაოდ დაჰყვანდა და დამარცხებით პატრონი არც ერთხელ არ შეურცხვენია; მოაგონდა მისი ხალისი ბრძოლის ველზედ, მისი კამარა და გრგვინვის მსგავსი ჯახუნი, რომელსაც მთიელი აღტაცებაში მოჰყვანდა! ყველას, ყველას მათგანს ონისეს წარსულში რომელიმე დამოკიდებულება ჰქონდა. ყველასთან მისი ცხოვრება რომელიმე შემთხვევით გადაბმულიყო. ყოჩმა იცნო პატრონი, იცნო ის კაცი,

---

* მთაში ჯერ ეხლაც უცხო პირი რომ უცხოსაგან ყიდულობდეს რასმე, სანამ გამსყიდავის ნათესაობა ნებას არ დართავს, ხელსაც ვერ მოჰკიდებს (ავტორი).

რომელთანაც იმდენჯერ სახელით ევლო; პირუტყვი თითქოსა ჰგრძნობდა თავის სამსახურს, მან გამოსწია ონისესკენ თავაღებული, გაამაყებული და მედიდურად მოაბიჯებდა; დიდსა და ხვეულს რქებს, რომელიც შუბლთან თითქოს ერთმანერთს შეერთებოდა, წყნარად, ამაყად იქნევდა. როდესაც პატრონს მოუახლოვდა, აიღო თავი მაღლა, გაიძაბა კისერი და ზემოთა ტუჩგაწვდილი სიამოვნებით ჰაერს იზიდავდა; შემდეგ სრულიად მიუახლოვდა კაცსა და მუხლზედ რქების ხრეშა დაუწყო, თითქოს ბრძოლის ჟინმა მოუარაო.

მოხევემ დიდხანს უალერსა გაამაყებულს ყოჩსა, რომელსაც თითქოს ესმოდა, რომ პატრონს საუკუნოდ ესალქებოდა და უკანასკნელის ალერსით უნდოდა დამტკბარიყო.

ცხვარი კარგა განშორდა იმათ და ონისემ დაინახა, რომ ყოჩის მეტს ხანს დაჭერა არ იქნებოდა და გააგდო. პირუტყვმა გადასდგა რამდენიმე ნაბიჯი, ამგვარი მოპყრობა პატრონისა თითქოს ეუცხოვა, იუკადრისა, შესდგა, მოიხედა, დაცქვიტა ყურები და ისეთის სიყვარულიანის, სევდამოცულის თვალებით შემოხედა მთიელს, რომ უკანასკნელმა ვეღარ გასძლო, ჩაიქნია ხელი და საჩქაროდ გამობრუნდა.

მალე მოაჯდა ონისე ცხენსა, მეორე დაიჭირა ხელში და ჩქარის სიარულით, გლეხების ვახშმობის დროს, გელას სახლს მიუახლოვდა. აქ ჩამოხტა, ორივე ცხენის აღვირები ერთი მეორის ტახტაზედ ისე გადააცვა, რომ პირუტყვებს გაქცევა ვეღარ შეეძლოთ, და თითონ შენობისკენ გასწია. მისი აზროვნება შაეხო მაყვალას სიახლოვეს, წასვლისთვის გაფრთხილებას, და მძიმედ დაწოლილი ლოდი თითქოს გულიდგან ჩამოეხსნა.

დღეიდგან მაყვალა მასთან მიდიოდა, მას ეკუთნებოდა, მისგან ვეღარავინ გაჰყრიდა, და ამ ძლივს მიღწეულმა, მთელის სიცოცხლის წადილმა მეტად სიტკბოებით შესთამაშა გულსა, რომ ყველაფერი არ გადავიწყებოდა.

ონისე მიდიოდა გულდაგულ, დარწმუნებით, თუმცა სმენად და ჭვრეტად გადაქცეული, რომ თუ ფათერაკი რამ წაეკიდებოდა, მოუმზადებლად არ შეხვედრიყო.

ის იყო მიახლოვდა გალავნის კარებს და ზღრუბლზედ ფე-

ხის გადადგმას აპირებდა, როდესაც ხელი ვიღამაც გაავლო და წყნარად უთხრა:

— მოიცა, სად მიხვალ?

ხმა მოლაპარაკესი იყო აღელვებული, თუმცა წყნარი და ნაზი. ონისე შეკრთა და უკან მოაწყდა.

— მაყვალაუ! შენა? — გაკვირვებით იკითხა მან.

— სუ-უ! მე ვარ, — უპასუხა ქალმა.

— რაი ანბ...

— სუ-უ! — გაიმეორა ქალმა და ხმის გასაკმენდათ პირზედ ხელი დააფარა.

ონისე გაჩუმდა, რადგანაც ქალი ამას ითხოვდა და გაშტერებულმა ყურება დაუწყო.

— ამაღამ ვერ წავალთ. — მოკლედ, ნიავსავით წყნარის ხმით წასჩურჩულა მაყვალამ.

— რად არა? — ერთბაშად ფერი ეცვალა კაცსა და ცივმა ოფლმა დაასხა.

— არ იქნების.

— არ იქნების კი არა, ეხლავ, ემ წუთას!.. გვიანობისა აღარაა. — მტკიცედ უთხრა მთიელმა და შუბლი შეიჭმუხნა.

— ამაღამ ნუ, ჩემო გულო, ამაღამ ნუ! — თითქმის მუდარით გაიმეორა ქალმა და ხმა შიშისაგან აუკანკალდა.

ონისეს წარბები შეეჭმუხნა და ქალს ისე დააკვირდა, თითქოს თვალი გულის საძირკვლამდის უნდოდა ჩაეწვდინა.

— ქალაუ!.. რად არა? — მტკიცედ და ბრძანების კილოთი ჰკითხა კაცმა.

მაყვალა ჩუმად იდგა და პასუხის მაგივრად მთრთოლარეს ხელებით ნაწნავის წვერებს სძენძავდა.

— ქალაუ! — მოჰკიდა ონისემ ხელი და ძალზედ მოუჭირა, — არ გესმის? მითხარ-მეთქი, რად არა? ან აქ რაისთვი დამაყენე, წავიდეთ სახლში. — გაბრუნდა ონისე.

— სად მიხვალ, სადა? — ერთბაშად შეაყენა გულგახეთქილმა ქალმა.

— შინა, — უპასუხა კაცმა.

— შინ რაი გინდა, რაი საქმე გაქვს?.. მოიცადე აქა და ეხლავ გამოვალ, ეხლავ წავიდეთ!.. — ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეუბნებოდა ქალი..

ონისემ მიუახლოვა პირისახეს თავი და მთვარის შუქით განათებულს ცქერა დაუწყო. ქალმა თავი დახარა და თვალები მოარიდა.

ონისეს სახე დაეპრანჭა, გული გემსავით გაქანდ-გამოქანდა და ყელში მომდგარმა სისხლმა ძალზედ წაუჭირა.

— მაყვალაუ! — ბრაზმორეულად წარმოსთქვა იმან და ხელი სახლისკენ გაიშვირა, — ვინაა?

— გამიშვი, ბეჩაო... არც ვინა.

— არც ვინა? — მწარედ იკითხა იმან, — არც ვინა და სახლში კი არ მიშვებ.

— რაი გინდა, გამიშვი და ეხლავ წავიდეთ; ცხო რაი-ღა გინდა?

— ვინ არის-მუთქი იქა, ვინა?

— მე ხომ მოგდევ და ცხო რაი-ღა გინდა?

— ისა, რომ ამაღამ ან იმის სისხლი უნდა გაშრეს და ან ჩემი!.. ფუი, მავნევ, მაცდურო დიაცო!

ამ სიტყვებით ქალი ხელის კვრით მოიშორა და გაბრაზებულმა სახლისკენ გასწია, მაგრამ მაშინვე უკან მოაწყდა, რადგან სახლის კარებიდგან გაიგონა:

— ბიჭაუ, გულადად კი მოხვალ, შენმა გაზდამ, და უკან როგორ-ღა გაბრუნდები, არ ვიცი.

მოლაპარაკეს მთვარის შუქი არა სწვდებოდა და გელამ ვეღარ იცნო, ვინ იყო; მაგრამ თოფი, რომელიც უცნობმა გადმოიტრიალა, კარს გადმოსცდა და შუქზედ გაკრიალება დაინახა. ონისეც გადმოხტა უკან, ამოეფარა იქავ მდგარს ურემს და წუთზედ თოფი გაუმიზნა. იმ წუთს ის ხედავდა მხოლოდ მტერს, რომელმაც გულს საყორელი მოსწყვიტა, სული დაუკოდა და მხოლოდ გადახდევინების წადილს-ღა ჰგრძნობდა. მის თავში ამის მეტს ფიქრს არ გაურბენია, ამის გარედ დანარჩენს მოაზრებას ადგილი აღარა ჰქონდა.

ორი მტერი, ორივ გამგელებული, ორივ აღგზნებულის წადილით გულში, იდგნენ ერთმანერთის პირდაპირ და ერთმანერთს აღგზნებულის თვალებით ზომავდნენ.

გონდაკარგული მაყვალა იქავე ეგდო და ძლივს-ღა ფეთქავდა.

— დიაცო! გამოდი გარედ, — დაუძახა ონისემ, — დავინახოთ ერთურთი და ვისიც მზე გაშავდების, ნახავ.

— ბიჭავ, შენმა გაზრდამ, განვშორდეთ ერთმანერთსა, ის ემჯობინების.

— მშიშარაუ, მშიშარაუ!.. აჰუ!.. შერცხვეს ის კაცი, ვისაც იარაღი ხელში უჭირავს და შერიგებას უბნობს.

— მაშ შენმა სულმა ზღოს.

ამ დროს მოისმა ორი ჩახმახის ფეხზედ ერთად შემოყენება და წუთის სიჩუმე ჩამოვარდა. ყველაფერი გაჩუმდა და თითქოს კიდეც ჩამობნელდა. მოისმა გრიალი, — და ორის მოპირდაპირე მხრიდგან ორი ცეცხლი ენებსავით გამოგრძელდა, ორი ტყვია გაჭანდა ორის მზის ჩასაქრობლად. დაჰბერა ქარმა, შემოფანტა შემოხვეული კომლი და ორში ერთს გაჰხვრეტოდა მკერდი და სისხლში გათხვრილი მიწაზედ ფართხალობდა; მეორე დამშვიდებული თავს ადგა და თოფსა სწმენდავდა.

დაჭრილი იყო ონისე, ხოლო ზეზე იდგა გელა. გამარჯვებულს პირი უღიმდებოდა და სულთმობრძავს სიამოვნებით დაჰყურებდა.

მაყვალა, რომელიც თოფის ხმაზედ გონს მოსულიყო, სატრფოს ზედ დაჰკდომოდა. გელამ შეჰკრა თვალი და ხელი წაავლო.

— ურცხო! ჩემთანაც აღარა მალამ?.. — დასჭყივლა იმან და დაუმატა: — მაინც ეგ გიყვარდა და შენც მაგას გაგაყოლებენ.

ის იყო ხანჯალი შეუმაღლა, როდესაც სოფლიდგან, ვისაც თოფის ხმა გაეგონათ, მოცვივდნენ და ცოცხალ-მკვდარი ქალი ქმარს ხელიდგან გააგდებინეს.

ონისე წაიყვანეს და ექიმი დააყენეს; ძლივს დააშოშმინეს ორი გვარეულობა, რომელიც სისხლის საძიებლად იარაღით გამოვიდა. მაყვალა კი ამ დღიდგან განჭრა და მისი ამბის გამგები აღარავინ ჩნდებოდა. გელაც სადღაც გადაიკარგა, რადგანაც სისხლი დაედო და, თუ სადმე მოასწრობდნენ, მზეს ეაუშავებდნენ.

XII

უბედურის შემთხვევის შემდეგ კარგა ხანმა გთარა და თუმცა აღარც ონისე, აღარც გელა და აღარც მაყვალა საქვეყნოდ აღარ გამოდიოდნენ, მაგრამ ხალხი ჯერ კიდევ მღელვარებდა, საუბედურო შემთხვევაზედ ლაპარაკობდა.

განადგურდა ონისეს სახლ-კარი, მაგრამ გელას შეძლებასაც უკეთესი დღე არ დაადგა, რადგანაც ამას სისხლი „დაემართა“ და იძულებული იყო დაჭრილის გვარეულობას მორიდებოდა; ორივე გვარეულობა შეიარაღებული დადიოდა, რადგანაც ყველა მათგანი უსაბაბოდაც უსიამოვნობას მოელოდა. მათ შორის თემის მდგომარეობაც სახუმარო არ იყო, რადგანაც ორი ოჯახობის განადგურების გარედ, კიდევ სხვა მრავალი უსიამოვნობა მოელოდა და უბედურების ასაცდენად მთელი სოფელი დარაჯათ უნდა გადაქცეულიყო, რომ მოწინააღმდეგეთ ერთმანერთში ჩხუბი და აუცილებელი მკვლელობა არ მოსვლოდათ.

მთელს თემობაში კაცი არ იყო, რომელიც ზიზღით არ მოიხსენებდა სამივე დამნაშავეს, რომელთა მოქმედებაც ხალხის ღირსებას, დებულებას და წესს ისეთს შეურაცხყოფას აყენებდა, ისე სამარცხვინოთ არღვევდა. დამნაშავეთ საქციელს ხალხი აი რა თვალით უყურებდა:

გელა, მართალია, წინააღუდგა თემის დებულებას, და მათი გადაწყვეტილების შემდეგ ცოლი ძალად მოიყვანა, მაგრამ, ალბათ, მაყვალას ნებაც იყო, თორემ ქმართან არ დადგებოდა და მაშინ თემი გამოესარჩლებოდა. ეს ქალი ქმართან მშვიდობიანად სცხოვრებდა, მის პირისაგან უბრალო საჩივარიც კი არავის გაუგონია და აქედგან შემდეგი დასკვნა გამოჰყვანდათ: ალბათ, ერთმანერთის კმაყოფილი იყვნენ, ერთად ცხოვრება შესაძლებლად მიაჩნდათო.

მაგრამ ამასთანავე იცოდნენ, რომ გელა იყო ლოთი. ჭირვეული და, საზოგადოთ, ადამიანის უსამართლოდ მწვალებელი, ცოლს არამც თუ დიდს ჯაფას აყრიდა და მთელის ოჯახობით თავს ანებებდა, არამედ ლანძღავდა უშვერის პირით და ხშირად კიდეცა სცემდა. ამ საქციელმა ქალი გაწბილებამდის მიიყვანა, დაღუპა სახლი და ბოლოს მეზობლის, მოძმის სისხ-

ლიც კი დააღვრევინა. ქალი, მართლა-და ცუდს მდგომარეობაში იყო, ძნელი გასაძლებელი ცხოვრება დასტეხოდა, მაგრამ, ხალხის რწმუნებით, არავითარი უფლება მაინც არა ჰქონდა ოჯახობისთვის ამგვარად ეღალატა. მათ თემის ხმის ძალის იმედი კიდევა ჰქონდათ და იძახდნენ: „მაყვალას ქმართან გაყრის უფლება აქვს და შაერთება ვისთანაც მოისურვებსო, მხოლოდ ქმართან ყოფნის დროს მოტყუება და ღალატი არც ღმერთისაგან და არც კაცისაგან არაოდეს არ ეპატიებაო“.

ონისეზედაც ამბობდნენ, რომ მას, მართალია, ქალი უყვარდა და „სიყორული“ კი კაცს გზას იქით გადააგდებსო, მაგრამ წვეროსანს ულვაშ იმადა აქვს და ქუდი იმად ჰხურავს, რომ ნამუსის ყურებოჭრილი ყმა იყოსო. ონისემ შეურაცყო თემის ზნეობრივი რწმუნება და თემი არ მოუთმენდა.

ხალხი ამ რწმუნებით იყო და გადაწყვეტილება დამნაშავეთა შესახებ გულში ნათლად და გარკვევით ჩასჭედოდა; მათ უყურებდნენ, როგორც ერთის ხიდგან მოწყვეტილს და შორს გატყორცნილს შტოსა, რომელთანაც აღარაფერი კავშირი, აღარაფერი საერთო არ მოიპოებოდა.

გელა. სადღაც წასული, იმალებოდა. ონისე თუმცა უკედ შექმნილიყო, მაგრამ მაინც ჯერ ვერ ამდგარიყო და გარედ ვერ გამოდიოდა, მაყვალა კი ეხლავე ყველას დაშორებოდა, რადგანაც ნათესაობის სახლის კარიც დახშული შექნილიყო ლეჩაქ-მოხდილის ქალისათვის.

ერობაში, ხატობაში, მთაში თუ ბარში, ყველგან ისმოდა სიმღერა, ლექსები ამ შემთხვევის შესახებ; ყველა ამაში ხალხის შეუწყალებლობა გამოითქმოდა იმ პირთა მიმართ, ვინც თემოსნობის დიდების დარღვევა და შეურაცხყოფა მოიწადინა.

ხალხი, დღემდის გაბრაზებული, მწუხარებით იგონებდა ამ შემთხვევას და მღელვარებდა.

მაყვალა იმალებოდა ციხის ნანგრევებში, მაგრამ არ შეიძლებოდა, რომ ხანდისხან არ გამოსულიყო, ერთხელ-ორჯელ შეხვდნენ, დაინახა ხალხმა და მისი გაბრაზება იქამდის მივიდა, რომ თემის ყრილობამ საქვეყნოდ განშორება მოითხოვა, რადგანაც მათი სოფელთან სიახლოვეც კი შეურაცყოფად ჩასთვალეს; ამას ზედ დაერთო მეორე შემთხვევა, რომელმაც სრულიად გარდასწყვიტა უბედურთა საქმე.

ზედანიშის ჯვაროზა იყო და დიდძალი ხალხი შეკრებილიყო. დიდი და სწორე ტაფობა, სადაც ეს ხატობა იმართებოდა სოლმე, ხალხს ნებას აძლევდა სხვადასხვა თამაშობა გაემართა და ვარჯიშობაში თავი გამოეჩინა.

აქ იმართებოდა ნიშანში თოფის სროლა, ფარხმალობა,* გუდურ-გუდურა, „ქვის გადაწევა“, ცხენების თამაშობა და სხვა ათასი ვარჯიშობა, სადაც სიმარდე და მოსაზრებული ხერხიანობა თავს გამოითქვამს.

ერთს ადგილს შეიკრიბნენ ყმაწვილი ბიჭები და მოისმა: „ქუდის გატაცება, ქუდის გატაცება ვის გინდათ?“ მიაწყდა იქით ხალხი და თამაშობის მსურველნი წყვილ-წყვილად გავიდნენ. ეროი წყვილი განშორდა ყველას და მასთან რიგ-რიგად მიდიოდნენ დანარჩენი წყვილები. მისვლის უმალ წინად გასულებთაგანი ერთი იტყოდა: „არჩევანი მე“, მეორე დაასახელებდა ერთ-ერთს შემდეგ მისულთაგანს და ამგვარად მოთამაშენი გაიყოფდნენ თამაშობაში მონაწილეობის მიმღებთ. აიღეს ერთი სიპი რგვალი კენჭი და, ზედ დაფურთხების შემდეგ, მშრალი მხარე ქვისა ერთმა მიიღო თავის ნიშნად და დასველებული მხარე—მეორემ. შეაგდეს მაღლა, რომელი გვერდიც, სველი თუ მშრალი, ზეიდგან მოჰყვებოდა, იმ გვერდის ამრჩევ ბიჭებს ქუდი უნდა დაეცვათ და მეორეს კი გაეტაცნა.

— თქვენია, თქვენია! — დაიძახა ერთმა მხარემ.

— დასხედით, დასხედით! — მოისმა მეორეს ხმა და თამაშობა გაჩაღდა.

პირველ ნაწილმა მოთამაშეთა ცალ მუხლზედ ისე დაიჩოქეს, რომ ზურგი ერთმანერთსა ჰქონდათ შექცეული. ხალხი გაიშალა, გზა დაუგდო და მოთამაშეთ მეორე ნაწილმა დაუარა. ამათ ქუდი უნდა გაეტაცნათ და საკმაოდ მოშორებულს დანიშნულ ადგილზედ მიეტანათ, ხოლო მსხდომთ ან ქუდი არ უნდა დაენებებინათ, ან დაეჭირათ მისკენ გაქანებული მტაცებელი და თუ ვინიცობაა გაიტაცებდნენ, მსხდომნი წამოუცვივდებოდნენ, გამოუდგებოდნენ და ერთმანერთის მიშველებით უნდა წაერთვათ.

კარგა ხანს გრძელდებოდა თამაშობა, ბიჭები მხიარულად

* იმ ხანში ფარი და ჩაჩქანი ჯერ კიდევ არ მოსპობილიყო ხევში (ავტორი).

და ყიჟინით დარბოდნენ, გაიტაცებდნენ ქუდსა, იჭერდნენ გაქცეულებს. მსხდომნი იცვლებოდნენ და მაყურებელნი მხიარულის ყიჟინით აქეზებდნენ.

მოთამაშეთ შორის, რასაკვირველია, გელას და ონისეს გვარეულობის ბიჭებიც ერივა და თუმცა ერთმანეთს ნამდურავები ხმას არა სცემდნენ, მაგრამ საერთო თამაშობაში მონაწილეობას მაინც იღებდნენ.

თამაშობა წესზედ მიდიოდა. ერთბაშად მოესმა ყიჟინა და ზეზედ მყოფებმა იერიში მიიტანეს. ყოველის მხრიდგან მედგრად ეტანებოდნენ დაჩოქილებს, მაგრამ ისინიც ფრთხილად იყვნენ და შოწინააღმდეგეთ მარდად ეჭცეოდნენ. ვარსკვლავსავით მოსწყდა ვიღაცა ახალუხა თხუთმეტ-თექვსმეტის წლისა, შეჰკრა რამდენიმე კამარა და, თვალის დახამხამებასთან ერთად, ქუდ მოტაცებული მიჭროლამდა; წამოიშალნენ ყველანი, გამოუდგნენ გამტაცებელს, მაგრამ დაწინავებული ბიჭი საკმაოდ დაშორებოდა და, დარწმუნებული თავის სირბილზედ, მხიარულად მითამაშებდა.

— არიქა, გივარგი, არიქა, თორემ ქუდი წაიღო! — მიუბრუნდა ერთი ბიჭი მეორეს, რომელიც იქავ ჯგუფობაში გარბოდა და ეკუთვნოდა მსხდომარეთ მხარეს.

— ონისეს სახლის კაცი არ იყოს, თავად ვიცოდი, მაგრამ ეხლა რაი ვქნა? — უპასუხა ყმაწვილმა ბიჭმა.

— რაი ონისე? — იკითხა პირველმა და გაჯავრებით დაუმატა: — რა დროს ონისეა, ღვთის მადლსა, ხედავ, ქუდი წაიღო!

— სისხლი გვმართებს და მორიდება გვინდა.

— აუ! — გაიკამათა პირველმა, — სისხლი კი არა, ისა სთქო, ვერ დავეწევი და შერცხვენისა მეშინიან-თქო.

— აბა, მაშ მიცქირე! — დაიძახა გივარგიმ და გაიპარტა.

გადახტა და გაიძაბა, გაიმაგრა და იქამდის თავს ძალა მიაყარა, რომ ნეშტვები სისხლისაგან ამოებურცა. მალე დაეტყო, რომ სირბილში გივარგი სჯობნიდა, რადგანაც წინ წასულს თანდათან ჰკრეფამდა.

— არიქა! — თანაგრძნობით უძახდა ხალხი და აქეზებდა.

— გაიქე, გუგუაუ, გაიქე! — მიჰყიჟინებდნენ მეორენი ქუდის წამღებს.

გუგუამ მოიხედა, თვალი შეჰკრა, რომ ვიღაცა დააახლოვებია, გაიღიმა და რბოლას მოუმატა.

ორნივ მირბოდნენ, რაც კი ძალი და ღონე ჰქონდათ, ორნივ გაჩუმებულიყვნენ და ცდილობდნენ გამარჯვება ერთმანერთისთვის არ დაეთმოთ, მაგრამ გივარგი თანდითან უახლოვდებოდა.

გუგუა ჩინებულად გარბოდა, მარდად იცვლიდა ფეხებს, დაღალვა არ ეტყობოდა, მაგრამ მეორე წამოსწვდა და თავმოწონებულმა შესძახა:

— სად წახვალ? — გაიშვირა ხელები და სწორედ იმ დროს, როდესაც ხალხმა დაიძახა: „დაიჭირა, დაიჭირა!“ — გუგუა განზედ გაუსხლტა და მეორის გაწვდილი ხელები აიცდინა; გიორგიმ თავი ვეღარ დაიმაგრა და მიწაზედ გაიშხლართა.

ხალხმა სიცილი დააყარა და უკან მოცქერილმა გუგუამ დაცინვით წამოიძახა:

— ბიჭაუ! მიწაზედ რაი ეგდო?.. წილი მეც მერგების!

წაქცეული გაწითლდა, მარდად წამოხტა და მალე ისევ წამოეწია. გამარჯვებით გათამამებულმა სცადა წელანდელი ხერხი ეხმარა, მაგრამ მეორეც გაფრთხილებული დაუხვდა. გუგუას გაბრუნებაზედ ახალუხის ბოლოები ქარმა გაუფრიალა და გივარგის პირდაპირ ხელში მისცა. დაჭერილმა რამდენჯერმე გაიბრძოლა, მაგრამ მეორემ არ გაუშვა და ახალუხი გაიხა.

— ეხლაც დაიკვეხე, გუგუაუ! — თავის რიგობაზედ გიორგიმაც ჩაიცინა და მკლავები მოხვია.

გუგუამ მხოლოდ ეხლა დაინახა, ვინც ებღაუჭებოდა, და მოსისხლე იცნო.

— გივარგი! კარგია! — შეუტია დაჭერილმა და დაუმატა: — რას პირით მოსდიხარ?

— რაიც პირი მაქვს! — იმავე კილოთი მიუგო დამჭერმა.

— სისხლი გმართებსთ, არ იცი? მორიდება წესია და ადათი!

— ჩვენ კი არა, თქვენა გმართებსთ... თქვენ გაგვიწბილეთ ოჯახობა, ძმა დაგვაკარგვინეთ და მე უნდა მოგერიდო?

— გამიშვი! — დაუყვირა გუგუამ და ორივე ხელი გულში ჰკრა.

ორნ'ივ ყმაწვილები, მაგრამ თავმომწონე და საკმაოდ გულადნი იყვნენ, ორთავეს მთის ჩვეულება და ხასიათი სისხლსა და ხორცში გასჯდომოდა; უეჭველი იყო, რომ ისინი მშვიდობიანად ველარ გადარჩებოდნენ; მაგრამ, საბედნიეროდ, მათგანს არც ერთს იარაღი ზედ არა ჰქონდა, რადგანაც თამაშობაში იარაღის შემოხსნა სავალდებულო იყო.

— გამიშვი, გამიშვი! — დაუყვირა ისევ გუგუამ და ხელი გაავლო.

— არ გაგიშვებ, — უპასუხა გივარგიმ და ორთავ ერთმანერთს ხელი გაავლეს, შეუთამაშდნენ, შემოტრიალდნენ და განიყარნენ.

განწ გასულები რაოდენსამე ხანს ერთმანერთს თითქოს თვალით ზომავდნენ და შემდეგ ისევ ერთმანერთს მიუახლოვდნენ, დაჰკრეს, დაიწყეს ჩხუბი და ცემა.

ხალხს, რომელიც მათგან საკმაოდ შორს იყო, ვერ მოეაზრა მათი ჩხუბის მიზეზი, როდესაც ერთბაშად იქავ მოესმა ყიჟინა, ხმაურობა, მუქარა და იარაღის ჩხარა-ჩხური. გუგუას და ონისეს ნათესაობისთვის ეს მცირედი შემთხვევა საკმარისი ყოფილიყო, რომ იარაღით ხელში ერთმანერთს დასტანებოდნენ.

მოჩხუბარნი ერთმანერთზედ მიდიოდნენ და ხალხს მათ დასამშვიდებლად ცოტა ჯაფა არ მოუნდა; ყველა გამშველებლად ჩაიჭრა, ყველა ამშვიდებდა, იჭერდა და მხოლოდ მშვიდობიანობა გამშველებელთ სიმრავლემ დაიცვა.

აღელვებული ხალხი საჩხუბრად აღარ გაუშვეს და ჩხუბის შედეგი კი მხოლოდ ორიოდ კაცის სუბუქად დაჭრა იყო.

ამას ბევრად არაფრადა სთვლიდნენ, რადგანაც ნასვამის ხალხისაგან ბევრად უფრო მომეტებული უბედურება იყო მოსალოდნელი.

გაიმართა შუაკაცობა, დამშვიდება, ჩაერია თემის სახელი.

ხალხი რაოდენადმე დაწყნარდა, მაგრამ მხიარულება კი აღარსად ისმოდა; საქეიფოდ მოსულნი შუაკაცებად გადიქცნენ და ერთხმად დაიძახეს: „თემის ყრილობით გადაწყდეს, თემმა გაარჩიოს ეგ ორი გვარეულობა“.

ყველამ აშკარად დაინახა, რომ უამისოდ დიდი ცოდო-ბრა-

ლი დატრიალდებოდა და თებოჩასაც დიდი ზარალი მიეცენოდა.

ამ დღიდგან ამ საქმეს ხალხმა მოჰკიდა ხელი და ერთის კვირის შემდეგ სამების საბჭოში თემის ყრილობა გაიმართა და შემდეგი გადაწყვეტილება დაადგინა:

„მაყვალა, როგორც მიზეზი ყველა ამ უბედურებისა, მოღალატე ქმრისა და მოვალეობისა, შემრცხვენი თემობისა და სახლისა, გამწბილებელი ოჯახობისა და ნათესაობისა, — შეკრულ იქნას და განდევნილ ხევიდგან.

„ონისე, როგორც დიაცის გამწბილებელი და მეზობლის ოჯახობის შეურაცხმყოფელი, შემრცხვენი ქუდოსანთ სქესისა, დამრღვევი თემის წესისა, გამტეხი მეზობლის სახლისა, — შეკრულ იქნას და განდევნილ ხევიდგან.

„გელა, როგორც მეზობლის და მოძმის სისხლის დამღვრელი, მიზეზი ცოლის ყოფაქცევისა, დამნაშავე თემის მშვიდობიანობის დარღვევით, გამტეხი თემის პირისა (რადგანაც თემის გადაწყვეტილების წინააღმდეგ ცოლი ძალად დაიბრუნა), — შეკრულ იქნას და განდევნილი ხევიდგან.

„სამთავ ჩაესვათ სათემო სამანი, სანინო თემისაგან მოწყვეტილ და შეჩვენებულ იქმნენ.

„დღეის იქით, — გააგრძელა თემის ნების დადგინების გადმომცემმა, — მოწყვეტილმც იქნებიან ჩვენის თემიდგან, მოშორებულნი ჩვენის კერიდგან, ჩვენის მიწიდგან და წყლიდგან... მათ აღარ ეღირსების არც ჩვენი ცრემლი, არც ჩვენი სამარე, არ შაეხება არც ჩვენი სალმრთო, არც ჩვენი საწირი. წყეულიმც იქნება, ვინც მაგათ ხელს გაუწვდის, მოწყურებულს წყალს მიაწვდის, შეცივებულს დაათბუნებს და შებრალებულს ჰყოფს; წყეულიმც იქნება და განდევნილი თემისაგან“.

— ომენ! — გაისმა ამ სიტყვებზედ ხალხის ხმა და გრგვინვასავით შეარყია ჰაერი. ძლევამოსილი დიდება ისმოდა ამ გადაწყვეტილებაში.

ყველა ჰგრძნობდა რაღაცა იდუმალებას, რაღაცა ძალას, რომელსაც ანგარიშმიუცემლად ემორჩილებოდა, ემონებოდა და ყმად უხდებოდა.

ხალხი მიეხვია მიწას, მოთხარა ღრმა ორმო და ამისთანა შესაძრწუნებლის შემთხვევის მოსაგონებლად მაღალი ჯაჭის ქვა სამნად ჩასვა.

ამ დღიდგან გადამტერებული ორი გვარეულობა თემის შუაკაცობით შერიგდა და ორ მოსისხლეთ მაგიერ, ორს, ძმობით დაკავშირებულს, ერთმანერთისთვის თავგადადებულს, სახლობად გადაიქცა.

ხალხი დამშვიდდა, გამართა სალმრთო და საოჯახო ლხინის დროს გელას და ონისეს გვარეულობაში უფროსნი ძმად გაიფიცნენ, უმცროსები უფროს დედაკაცებს ძუძუზედ კბილს ადგამდნენ და შვილობილად უხდებოდნენ და ამგვარად საერთოდ ნათესავდებოდნენ.

განდევნილთათვის ძნელი ასატანი იყო თემის გარდაწყვეტილება, რადგანაც ამ დღიდგან ყოველისფერს ჰკარგავდნენ და თვით სულის მოსაბრუნებელი საშუალებაც კი ესპობოდათ...

მათ თემობაში ადგილი აღარა ჰქონდა და ამისთვის დაწყვეტილის, მოკლულის გულით გამოესალმნენ თვით წვრილს კენჭებსაც კი, რომელთაც მათთვის ეხლა ფასი დასდებოდა და ისე ტკბილი, სანეტარო შექმნილიყო.

XIII

ქვეყნის ამაოებით თავმობეზრებული მოძღვარი ონოფრე, როგორც მკითხველებმა უკვე იციან, ხალხს განშორებოდა და განდეგილად სცხოვრებდა ბურსაჭირის კლდეებში. მისი სახელი, გონივრობით და გულკეთილობით, სიწმინდით და თავგანწირულებით, მთაში შორს გავარდნილიყო. დაუზარებელი მლოცველი განუწყვეტლად მარხულობდა არა თუ მხოლოდ ხორცით, არამედ ყოფაქცევითაც, რათა ხორცის შეწუხებით სული ღირსეულს სიმაღლემდის აეყვანა და მოძღვრის საპატიო სახელი დაემსახურებინა. ის იდგა უბრალოს გამოქვაბულს კლდეში, რომელიც ორს ოთახად განიყოფებოდა; სადგურის მორთულობას შეადგენდა ტახტად შეკრული სიპი ქვა, თავისგანვე უბრალოდ გაკეთებული ხის სტოლი და რამდენიმე სკამი.

ამის გარდა ჰქონდა ქვისგან აშენებული საკურთხეველი, რომელზედაც ჯვარი და სახარება ესვენა. კედლებში რამდენსამე ადგილს გამოთხრილს თახჩებში ელაგა სხვადასხვა ბალა-

ხები, თიხის ჭურჭელი და სხვა იარაღი, რომელიც ექიმობის დროს სჭირდებოდა ხოლმე. ყოველთვის მარტოდ-მყოფელი სახორციელო ნაკლულევანებას სულიერის სიმდიდრით ივსებდა და სიღარიბეშიაც ახერხებდა თავის ცხოვრებით და მდგომარეობით კმაყოფილი შექმნილიყო. მუდამ მლოცავი, სულიერს განწმენდაში მყოფი, დაუზარებლად სამწყსოში მხოლოდ მაშინ გამოვიდოდა, როდესაც ვინმე ავადმყოფი სულით ან ხორცით მის სამსახურს მოითხოვდა. ამ შემთხვევაში, ღვთიურ სითბოებით აღსავსეს, დარწმუნებულს თავის მოქმედების სიწმინდისა, — მოხუცებულს ძალა ეძლეოდა განსაცვიფრებელინ ბეჯითობისა და მუყაითობისა. ავადმყოფთან ის იყო ექიმი, დამყუჩებელი ტკივილისა, მოძღვარი და მჩვენებელი გზისა მართალთასა და მოამბე, მომგონებელი კაცთა დიდებისა.

ონოფრე ემსახურებოდა ხალხსა, სცხოვრობდა მისთვის და მაშინაც კი, როდესაც ყველასაგან განმარტოებული უზენაესს სულით უერთდებოდა, არ ივიწყებდა მოძმეთ, გულმხურვალე მოციქულად შექმნილი, სცდილობდა ქვეყნის კეთილდღეობისთვის. არასოდეს მამა ონოფრეს არ ენახა განსაცდელში მყოფი კაცი ისე, რომ თავის თავზედ ზრუნვა არ გადავიწყებოდა, პირველადვე სხვის შველის გულისთქმა არ გაღვიძებოდა.

ამგვარი კაცი არ შეიძლება, რომ ხალხს არა ჰყვარებოდა, რწმუნება არა ჰქონოდა მისი და ამის გამო სულით და სხეულით მრავალ დავრდომილთათვის მოძღვრის დანახვაც კი საკმარისი იყო გასამხნევებლად.

ხალხი უზიდავდა მას საზრდოს, როგორც მისთვის თავდადებულს, აფასებდა მის სამსახურს და მით აკმაყოფილებდა მის გაურყვნელს და მარტივს მოთხოვნილებას.

მოძღვარს თავის თავი იქამდის მოკრძალებით ეჭირა, რომ ნების ნებად არც ერთს ცხოველს, არც ერთს ქმნილებას, ბუნებისგან გაჩენილს, ხელს არ ახლებდა, არ მოუსპობდა სიცოცხლეს და ცოდვათა სთვლიდა ქვეყნის საერთო მშვენიერებისგან მის გამოკლებას.

ერთხელ თავის მოგზაურობის დროს მან ნახა მთიელი, რომელიც გაცხარებული კეკლუცად ამართულ ხესა სჭრიდა და მით დამშვენებულს ადგილს საუკეთესო სურათს აკლებდა.

მთიელმა მოძღვარს თვალი შეჰკრა, მოიხადა ქუდი და მოწიწებით ლოცვა-კურთხევის მისაღებად მივიდა.

— შენდობა, მამაო! — გაუშვირა ხელები მთიელმა.

— შენდობილმც იქნები, შვილო! — უპასუხა მოძღვარმა, მაგრამ ხელი კი არ მისცა სამთხვევლად.

მთიელმა, უეჭველია, დიდს უბედურებად ჩასთვალა ამგვარი შემთხვევა, რადგანაც ონოფრეს საქციელი წყრომად მიიღო და ვინც გიყვარს, ვისაც თავის ცხოვრებით პატივი დაუმსახურებია, მისი წყრომა ადვილი ასატანი არ არის.

— მამაო, მომეცი ხელი, გემთხვიო.

— მოიცა, შვილო!.. — უპასუხა მოძღვარმა, მაგრამ ხელი მაინც არ მისცა და გაჩუმდა.

მთიელი გაფითრდა, იქამდის საგრძნობელი იყო ონოფრეს მოქმედება მისთვის.

— რა დავაშავე, მამაო? — ჰკითხა მან და, ცოტა სიჩუმის შემდეგ, განაგრძო: — მგონია, უქმი არ გამიტეხია, მარხვას არ შევრეულვარ.

— ცოდო მარტო ეგ არ არის.

— მაშ რა ვქენ, მამაო?

— შენ მოუსპე სიცოცხლე იმას, ვისაც ღმერთმა ქვეყნის დასამშვენებლად მიანიჭა იგი.

— ვისა, მამაო? — მთლად დაიბნა მთიელი.

— აი, შეხედე, — გაიშვირა მოძღვარმა ხელი და უჩვენა ნახევრად გადაჭრილი ხე.

— რას მიბრძანებ, მამაო? ხეს ყველა სჭრის, — ცოტა სიჩუმის შემდეგ უპასუხა მთიელმა, თუმცა აღშფოთება ეტყობოდა.

— და ყველა ცოდოს სჩადის, ვინც გაუჭირვებლად სიცოცხლეს უსპობს შემოქმედისაგან გაჩენილს... ვინც ეგრე იქცევა, ის აკლებს ქვეყანას ლაზათს და ლაზათის მიმცემს სიცოცხლეს... ეგეცა ხარობს, შვილო, და სცოცხლობს... რად წაართვი სიხარული, რად მოუსპე სიცოცხლე?

— შემინდე, მამაო! — მოიხარა თავი მთიელმა, რომელსაც მოძღვრის საუბარი ჯერ კარგად ვერ შაეგნო, მაგრამ მისმა ნდობამ, მასზედ რწმუნებამ დააჯერა, რომ მშვენიერის ხის მოჭრით მართლა ცოდვას შვრებოდა.

— შეშა აღარა გვქონდა და გზასთან ევ ხე უფრო მარჯვედ იდგა.

— ვიცოდი, რომ შეშად გინდოდა... შენი ურემი ვნახე და ნახევრად სავსე იყო... შეშად რადა სჭრი მაგას, როდესაც ღმერთს მაგისთვისაც უზრუნვია? უფალი უხვია და გონიერი... ტყისთვისაც ხარკი არ აუცდენია... უზენაესის განგებით ტყე ხმელს შეშას გიმზადებს და წაიღე, რამდენიც გინდა...

— გზასთან მარჯვედ იყო და... — სცადა მთიელმა კიდევ თავი გაემართლებინა.

— მარჯვედ?.. მარჯვედგან რომ შენ წაიღებ, შენს შვილს რაღას ეუბნები, რომელსაც შრომას უძნელებ... მარტო სიმარჯვისთვის არა გაქვს ნება მცენარესაც არის სიცოცხლე მოუსპო.

ამგვარად კარგა ხანს ელაპარაკა მოძღვარი და სანამ სრული ლოცვა-კურთხევა არ აღირსა, სანამ არ დაარწმუნა, არ ჩააგონა, რომ ამგვარი შეუნანებლად დაუზოგველობა ქვეყნის სიმდიდრისა მართლა ცოდვა არის.

ასე სცხოვრებდა მოძღვარი, ასე ასწავლიდა თავიანთის სიმდიდრის გაფრთხილებას, შებრალებას თვით იმ ქმნილებათაცა, რომელთაც არამც თუ ლაპარაკი, არამედ დაკვნესებაც არ შაეძლოთ.

აი ეს მამა ონოფრე იყო ის გულმხურვალე მლოცველი, ის გულკეთილი მზრუნველი, რომელმაც სალხინოდ განდევნილი და სიცოცხლისგან განწირული მაყვალა თოვლიდგან ამოიღო, სიკვდილს გადაარჩინა და თავის ჭოხქვეშ შეიფარა.

ეს დედაკაცი საკმაოდ წვალებულიყო, რომ ადვილად გამობრუნება შესძლებოდა, მით უფრო, რომ მის გულს განუშორებელი სევდა მოსვენებას არ აძლევდა, და ამისთვის ონოფრემ მთლად თავისი ყურადღება, ექიმობის ცოდნა და მზრუნველობა მას მიაქცია. მოძღვარი აშკარად ხედავდა, რომ ქალს, გარდა სხეულისა, სულიც დამძიმებოდა და მას განწმენდა და განსპეტაკება ეჭირვებოდა; მაგრამ გონიერი, გამოცდილებით განვითარებული მოხუცი ყოველთვის არამც თუ ხელს, არამედ სიტყვას, თვით შეხედვასაც კი არიდებდა, რომ უნებურად მტკივანს ადგილს არ შეხებოდა. წყლულის თვის ამოწვა და

კვნესა არ დაეწყებინებინა და მით დასაახლოებელი გული არ განეფრთხო.

მას კარგად ესმოდა, რომ მძიმე ცოდვით დატვირთულს სულს მხოლოდ გამოთქმა მისცემდა შემსუბუქებას, მაგრამ ისიც აშკარად იცოდა, რომ ამ გამოთქმას აუცილებელის სარგებლობისთვის უეჭველად შენანებაც უნდა თან მოჰყოლოდა.

უამისოდ მარტო გამოთქმა, აღსარება შეუნანებლად ვერ აკრძნობინებდა იმ ამაღლებულს იდუმალების ძალას, რომელსაც სულით ხორცამდის დაღუპულის აღდგინება და ჩათხრილის, ჩაწყვდიადებულის გულის შუქით განათება შეუძლიან.

მოძღვარი არ სცდილობდა წაცდენით დაეწყებინებინა ლაპარაკი ცოდვილისთვის, როგორადაც ამ ხანში ონოფრე მაყვალას სთვლიდა, არამედ ათასის მაგალითებით უნდოდა გული მოელბო მისთვის, თავის თავად მოეყვანა შენანებაში და უანგარო რწმუნების ძალა გულის სიწრფელით ნათლად დაუნახვებინა.

როგორც ღვთის მლოცველს და უანგარო ქრისტიანეს, ონოფრეს სწამდა, რომ ღმერთის უნებურად თმაც არ შეიძრობოდა თავზედ. რასაკვირველია, ამგვარი კაცი მაყვალას გადარჩენას და მასთან მთაში შეხვედრას განგებას მიაწერდა. კაცობრივის გულკეთილობის გრძნობის გარეშე, მოძღვარს უბედური ისე მიეღო, როგორც ღვთისაგან დანიშნულს, რომელსაც გულმოდგინე სამსახურით მაშვრალი სული ერგო გამოეხსნა. განდეგილი ლოცულობდა, უქადაგებდა ჯვარცმის წინაშე და ნათლად უხატავდა იმ კაცის ცხოვრებას, რომელსაც ხორცი განუტევა და სისხლი დაანთხია მოსატევებლად ცოდვათა.

ერთს შაბათს საღამოს მოძღვარი ლოცვაზედ დადგა; დაჩოქილი მაყვალა გულმოდგინედ ღმერთს ევედრებოდა, რიდესაც მოძღვარმა უკანასკნელად შეავედრა მეუფეს ღარიბნი, ღატაკნი და დავრდომილნი ხორცითა და სულით, ქვრივნი, ობოლნი და უსავანონი, უკანასკნელად წარმოსთქვა „ამინ“, უკანასკნელად დაიწერა პირჯვარი, როდესაც მწარე და კაცს შემზარებელი ქვითინი შემოესმა.

მოხუცმა მოიხედა და დაინახა, რომ დაჩოქილი მაყვალა, პირმიწას გაერთებული, სტიროდა და გოდებდა. მოძღვარი და-

აცქერდა, სახე გაუბრწყინდა და რწმუნებით ჯვარცმას ხელი მოჰკიდა. შემდეგ წყნარად მიუახლოვდა მტირალს და გამარჯვებულის ხმით წარმოსთქვა:

— ემთხვიე, შვილო!.. ზეციერი მამა შეგიწყნარებს, ჯვარი პატიოსანი შვებას მოგცემს... ილოცე, ილოცე, შვილო, რამე თუ ლოცვა განსწმენდავს სულსა და მძიმეს ტვირთს შეუმსუბუქებს... იესო ტკბილი ქვეყნად მაშვრალთათვის იყო მოსული, მათ დასახსნელად გასწირა თავი და უკვდავმა სიკვდილი მიიღო.

— მამაო, მიშველე! — საბრალოდ წარმოსთქვა ქალმა და გულმხურვალედ განაგრძო: — არ ვიცი ლოცვა, არ ვიცი სიტყვა, რომ ღმერთს შევკადრო.

— ლოცვა მრავალსიტყვაობაში არ არის. — რწმუნებით და თანაგრძნობით უთხრა მოძღვარმა, — ყოველი სიტყვა, გულის სიწმინდით წარმოთქმული, ყოველი ამოსუნთქვა ზეციერის მამისაგან მიიღება, შვილო... არა სიტყვათა სიმრავლე იხსნის სულსა განსაცდელისაგან, არამედ გულისა სიწმიდე განანათებს გზასა უფსკრულსა ჯურღმულისასა.

— ო-ო, მამაო! — შვებით ამოიოხრა ქალმა და თვალები გაუბრწყინდა, — მაგ სიტყვების გაგონებაზედ გული მინათდების, ზეციერი მამა შეისმენს ჩემს ვედრებას! ჩემგან დაღუპულთ ისევ გზას მისცემს.

— საკვირველი ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი! — წარმოსთქვა მოძღვარმა და მტკიცედ დაუმატა: — არა არს ცოდვა, რომელიც სრულის მონანიების შემდეგ არ მიეტევოს!..

— დიდება მის ძალას და სულგრძელობას! — წარმოსთქვა ქალმა და აღგზნებული თვალები ჯვარცმას მიაპყრო.

ორნივ ასე იდგნენ გაჩუმებულნი, გაუნძრევლად და აღტაცებულნი. ორნივ განწმორებულნი ამ სოფელს, სულით შაერთებოდნენ მოწყალე შემოქმედს, რომელიც მწუხარებაში იმდენს შვებას აძლევდა და დაკარგულს კვლავ სასარგებლოს წევრად უბრუნებდა ხალხს.

ერთბაშად მაყვალა გაფითრდა და შეკრთა; თვალი ვეღარ გაუსწორა ქვეყნისთვის წამებულის სურათს და აღშფოთებით თავი დახარა; მან დაიფარა თვალებზედ ხელი და კარგა ხანს

ასე სულის კვეთებაში დარჩა. მას მოაგონდა ონისე, მოაგონდა გელა, რომელნიც მსხვერპლად მიეცა ხორცის ფუფუნებისთვის, მოაგონდა მთელის თემობის შერყევა, მათი ზნეობის და ჩვეულების დარღვევა მხოლოდ წუთის სიამოვნებისათვის, და გული მწუხარებამ გაუგმირა. პირველად იგრძნო ასე სამძიმოდ თავისი დანაშაული, პირველად ჩასთვალა თავისი თავი სრულს ცოდვილად. ჩასთვალა და იქამდის შეძრწუნდა ამ გრძნობით, რომ თავს მიტევების ღირსად აღარ ხადიდა და ღვთისადმი ლოცვით მიმართვა უზენაესის შეურაცხყოფად მიიღო.

— შვილო, რა მოგივიდა? — ჰკითხა ქალის გულისხმას მიხვედრილმა მოძღვარმა და ლმობიერად თავზედ ხელი დაადო.

— მამაო! — მუდარებით და ხმის კანკალით წარმოსთქვა ქალმა, — სული მიშფოთავს... მოუსვენრობას ვგრძნობ; ვეღარ ვლოცულობ!..

— ღირსეული რწმუნება ვერ მოგიპოებია და მშვიდობაც სრული ვერ იქნება!.. თუ ცოდვა გაწევს რამე, მიანდე შენს მოძღვარს, იგი გიშუამდგომლებს ზეციერის მამის წინაშე.

დედაკაცმა მწარედ ამოიოხრა, შეხედა მოძღვარს, მაგრამ მაშინვე თავი დახარა.

— შვილო!.. ვისაც მონანიება უნდა, მეტი რწმუნება და ნდობა უნდა ჰქონდეს!.. არ მენდობი?

— გენდობი, გენდობი, მაგრამ ლაპარაკი მიძნელდების, მიჭირდების.

— შვილო! შენ ხარ უმოწმოდ უზენაესისაგან დანიშნულს შუამავალთან... ამ წუთებში შენთან კაცი არ არის... არის მხოლოდ მოძღვარი, რომელიც მოისმენს იმას, რაც ზეციერს მამას უნდა გადასცეს და ეხსომება მხოლოდ მაშინ, როდესაც მასთან სულით იქნება შაერთებული... სხვა შემთხვევაში მოგონება გაგონილისა მიღალატებს, ნახული დამავიწყდება, ენამ ვერ ვერრობა დამიდუნდება. ისმინე, რამეთუ ჰო — ჰო არის და არა—არა!

— მამაო, მჯერა, მრწამს შენი სიტყვები, როგორც ღმერთისა, — წარმოსთქვა მაყვალამ და დაწვრილებით, თავიდგან ბოლომდის უამბო თავის თავგადასავალი.

მოძღვარი მოუსმენდა სრულის ყურადღებით, თანაგრძნო-

ბით და მის უბედურებას უერთდებოდა. მას კარგად ეწამოდა, რომ ამ წუთებში მოძღვრის მძიმე მოვალეობას აღსრულებდა და ქალის სიტყვებს განსაკუთრებითს ყურადღებას აძლევდა. ონოფრე თავის მოვალეობათა სთვლიდა, გარდა უბრალო მოსმენისა, ეშველა გაჭირვებულისათვის, მიეცა დასუსტებულის სულისთვის შვება და დაუძლურებულის, იმედგადაწყვეტილისათვის ხელახლად ნუგეში ცხოვრებისთვის საჭირო ყავარჯნად მიეშველებინა.

მოძღვარმა დახრილი და ფიქრით მოცული თავი აიღო, მიაპყრო თვალები ღვთისმშობლის ხატს და კარგა ხანს შეჰყურებდა. ეტყობოდა, რომ ლოცულობდა, ევედრებოდა მას, რათა შეძლება მისცეს, რომ ქალს გზა მართალთა დაანახოს და შერყეული ძალა ხელახლად აღუდგინოს.

— ცოდვილი ვარ, მამაო, და შემინდე! — წყნარად და გულის ცახცახით წარმოსთქვა ქალმა, როდესაც მღვდელმა პირჯვარი გადაიწერა.

მოხუცმა ერთი ხელი თავზედ დაადო, მეორე მაღლა აიშვირა და თვალებ ზეცისკენ აპყრობილმა წყნარად წარმოსთქვა:

— ყოვლად წმინდაო მეუფეო!.. მხილველო ადამიანის გულისაო!.. შენ უწყი ყოველისფერი... შენ მოწყალე და ლმობიერი ხარ... შეუნდე ცოდვილთა, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ!

ამ სიტყვებით მოძღვარმა ჯვარი მაყვალას ტუჩებთან მიუახლოვა და დედაკაციც რწმუნებით ემთხვია.

არც ერთს სიტყვაში, არც ერთს მოძრაობაში, არც ხმაში, არც კილოში მოძღვარს საყვედურის წარმოთქმის სურვილი არ დასტყობია და მისთვის უალერსა ისე ტკბილად, ისე მიელხო მაყვალას გულს სარწმუნოება.

რამდენადაც ძნელია მდგომარეობა, როდესაც გულს ნაღველი ვერ ამოუღვრია, იმდენად დამამშვიდებელს ნექტრად შეერგო უბედურს მაყვალას ახლად გაღვიძებული გრძნობა.

ამ დღიდგან, ამ წუთებიდგან მაყვალამ სიცოცხლე შესაძლებლად ჩასთვალა და შესაძლებლად დაინახა ქვეყნისათვის და ხალხისათვის თავის ცხოვრებით სარგებლობა მოეტანა. მალე შაეჩვია სამკურნალო ბალახების ცნობას და მოძღვართან ერთად ჰკრეფავდა, აგროებდა და შველოდა სნეულთათვის წამლების მომზადებას.

XIV

ერთს ბნელსა და ავდრიანს ღამეს, როდესაც თითქოს ცა გახეთქილიყო და მიწას წვალეკას უპირებდა, — ჭექა-ქუხილს ისეთი გრიალი გაჰქონდა, რომ კაცს ყურთასმენა ეკარგებოდა, წამდაუწუმ გაიელვებდა, თითქოს დედამიწას ცეცხლი ავარდაო, გაკვესებასავით რამდენჯერმე იფეთქებდა და ისევ შთაინთქებოდა, წყვდიადი უფრო მომეტებულის ძალით ჩამოაბნელებდა. სიტყვით, ღამე იყო ისეთი, რომ თვალში მ - ტანილს თითს ვერ დაინახავდით და ჩამონგრეულს, ნიაღვართან არეულს კლდეებს საჯოჯოხეთო გრიალი გაჰქონდა. ამას ემატებოდა გამედგრებული ქარიშხალი, რომელიც მაღალ ხეებს თავს ახრევინებდა, ძირიანათ ჰგლეჯდა და მცირე ხანს ჰაერში ტრიალის შემდეგ სადმე უფსკრულში გადასტყორცნიდა. ბუნება გამხეცებულიყო და ქვეყანას აღმოსაგველად შებრძოლებოდა.

ამ დროს მოძღვარი და მოწაფე მიმსხდარიყვნენ კერასთან, სადაც ცეცხლი გაჩაღებული იყო და გამოქვაბულს ანათებდა.

მაყვალა რაღაცა ბალახებს არჩევდა და მოხუცს კი მუხლებზედ მოქნილ-მოზელილი სუფთა ტყავი გადაეფარა; ზედ დაედო ერთი სიპი ქვა და მეორეთი ბალახებს ფშვნეტავდა და აფქვილებდა.

— მრავალძარღვაი კმარა, — უთხრა მოხუცმა და დაუმატა: — ახლა მელისკუდაი მომე.

— ბატარაი მეტი გავაკეთად, თორემ დაჭრილი ბევრი მოდის! — უპასუხა ქალმა.

— გვეყოფის. — მოკლედ მიუგო მოძღვარმა და განაგრძო: — ამით თუნდა დუნეას უწამლებ.

ქალი წამოდგა და სხვა ბალახი მიუტანა.

მოხუცი ისევ თავის საქმეს შეუდგა და ქალი კი სატოლე ქსელს ჩაუჯდა და ქსოვა დაუწყო. ჩამოვარდა ისევ სიჩუმე, რადგანაც სახლში ყველანი გაჩუმდნენ და გარედაც თითქოს ბუნებაც მოღალულიყო და შაესვენა.

ერთბაშად ბოროტად დასწივლა ქარმა, იელა და ყველაფერი გაანათა, თითქოს ჰაერს ცეცხლი წაეკიდაო და მოის-

მა გამედგრებული გრგვინვა; წამოვიდა შხაპუნა, მოუსვენარი კოკებრივი წვიმა და მას მოჰყვა გადმონგრეულის მთის გრიალი, გაქანდა თავქვე ხეობაში და საერთო დაყრუებულს ხუილში ხანგამოშვებით მეტის სიძლიერით ისმოდა ფრიალოზედ გადავარდნილის ლოდის დაცემა.

ქალი შეკრთა, პირჯვარი გადაიწერა და წარმოსთქვა:

— ტიალი, რა ღამეა?!

— ჯოჯოხეთია, ჯოჯოხეთი! — წარმოსთქვა მოძღვარმა და დაუმატა: — ბეჯითად უბედურებას რასმე მოახდენს.

— დაიხსენ, მეუფეო, ყოველი სული გაჭირვებისაგან!— სთქვა ქალმა.

— ამინ, — დაუმატა ონოფრემ და ისევ საქმეს შეუდგა.

ავდარი არა სწყნარდებოდა და ქარიშხალი ზუზუნს უმატებდა, თითქოს ხალხი უნდა დაერწმუნებინა, რომ არ მოღალულიყო და ძალა კიდევა ჰქონდა.

— ცა გასკდა თუ რაი მოუვიდა? — გაწყვიტა სიჩუმე მოძღვარმა.

— გონჯა გაავდარდა, — მიუგო ქალმა და განაგრძო:— წყლები ადიდდების და შენ კი წასვლა გინდა.

— რაი ვუყოთ?.. სულ უფლის ნებაა. — დამშვიდებით წარმოსთქვა ღვთიურმა, — ავდარი ვერ დამადნობს და დაჭრილებს კი შველა უნდა.

— თუ კი შენ მოჰკვდები, — დაიწყო ქალმა, მაგრამ მოძღვარმა გააწყვეტინა:

— ჯერ სხვა. და მერე შენი თავი... იზრუნე სხვისთვის, რათა სხვანიც შენთვის მზრუნველნი იქმნენ... ღმერთი დიდია და გულლმობიერი, — რწმუნებით სთქვა მოხუცმა და ბალახს სრესა დაუწყო.

— ამაღამ წახვალ? — ჰკითხა მცირე სიჩუმის შემდეგ მაყვალამ.

— ამაღამ... რაი გინდოდა?

— არც რა... მაგრამ... — შაფერხდა ქალი.

— მაგრამ რაიღა?

— გათენებამდის მოგეცადნა.

— რაისთვი?

— იმისთვი, რო... — აღარ გაათავა ქალმა.

— სთქვი-და, რაღა! — მცირე მოლოდინის შემდეგ უთხრა მოძღვარმა.

— ბნელა და გზას ვერ გაიგნებ... ავდარი გზას დახრამამდა, ხევებში წყალი ღორღს ჩაიტანდა და მთიდგანაც ქვა გორავს.

— ძნელია, მაგრამ უნდა წავიდე... ჩემის მიზეზით რო დაჭრილი ვინმე მოკვდეს, უფალს რაი-ღა პასუხი მივცე?

— აბა, რაი გითხრა! ღვთის პირით ლაპარაკობ... — სხვა ვეღარა მოახერხა-რა მაყვალამ და მხოლოდ ეს-ღა დაუმატა: — უფალმა ხელი მოგიმართოს!

— შვიდია, მაყვალაუ, დაჭრილი... შვიდი კაცი მიმელის ისე, როგორც სულის ცხონებას... იქნება შვიდივე ცოდვით დატვირთული სული მოძღვარს-ღა მიელის. შემიძლიან დარჩენა?

— არა, არა, ღვთის მადლმა!.. წადი, წადი, ნუღარ იგვიანებ... მე თავადაც რო შემეძლოს, გამოგყვებოდი!

მოხუცმა გაბრწყინებული სახით შეხედა და თვალებზედ სიხარულის ნათელი დაადგა. მივიდა ქალთან და თავზედ ხელი დაადო.

— მეუფეო! — წარმოსთქვა იმან, — ღირს არს მუშაკი სასყიდლისა. მოხედენ!

შემდეგ მივიდა ჯვართან, რამდენჯერმე მუხლი მოუყარა, გადიწერა პირჯვარი და წასასვლელად მზადება დაიწყო.

სანამ მოხუცი სამგზავრო ტანისამოსს იცვამდა, მაყვალა ტყავის პატარა ჩანთაში ულაგებდა წამლებს და ჭრილობისთვის საჭირო იარაღს.

— აბა, ქალაუ! მორჩი, თორემ მიგვიანდების.

— აი, მზადაა, — უპასუხა ქალმა და ჩანთა ქამარზედ ჩამოჰკიდა.

შემდეგ გაუშვირა ხელები, დახარა თავი და მოძღვარს ლოცვა-კურთხევა სთხოვა.

— შვილო, ილოცე ცოდვილთა და მწუხარეთათვის... ჩრუნვა ხალხისთვის უბედურს შვებას მისცემს, — უთხრა მოხუცმა და პირჯვარი გადასწერა.

ქალი ემთხვია ხელზედ, კარებამდის მიაცილა ონოფრე და

უკანასკნელის გამოსალმების შემდეგ წყნარად და გრძნობით წარმოსთქვა:

— ღმერთო, შენ მოხედე დაჭრილებს, ღმერთო, ხელი მოუმართე მათთვის მზრუნველთა, ღმერთო, მშვიდობით მიჩვენე ჩემი მოძღვარი!

ქალმა გადიწერა პირჯვარი და ოთახს ლაგება დაუწყო. მალე მოასურნელა იქაურობა და საკმაოდ მოღალულმა ძილის მოახლოვება იგრძნო. შეახვია ცეცხლი, გაიხადა ტანთა და ის-იყო ხელი აიღო, პირჯვარი უნდოდა გადაეწერა, როდესაც გაუნძრევლად გაშეშებული დარჩა.

მას მოესმა, თითქოს კარს ვიღაცა მოაწვაო, მაგრამ მაშინვე ქარის წივილი გაისმა და დაწყნარებით წარმოსთქვა:

— ტიალი, რა ღამეა! ღმერთმა ქნას, რომ მშვიდობიანად გაიაროს!

გადიწერა პირჯვარი და თვალები მოხუჭა. მაგრამ საკვირველი ეს იყო, რომ ძილი ერთბაშად გაუკრთა და ათასმა საგონებელმა წაიღო.

ქალი ვერ მიმხვდარიყო, რა მიზეზით არ ეძინებოდა, რადგანაც ამ წუთის წინეთ კინაღამ ზეზეურ წაიქცა, იქამდის დაღალვასა და მოსვენების საჭიროებასა გრძნობდა.

ეს არ იყო შიში მარტოობისაგან აღძრული, რადგანაც მაყვალა მარტოობაში ერთხელ არ ყოფილიყო და არა ერთხელ პირისპირ შეხვედროდა განსაცდელს.

ეს არ იყო არც მეტისმეტად დასუსტებულის ადამიანის ძილის გაკრთობა, რომელიც ძარღვებს უდუნებს და სახარგებლო განსვენების საშუალობას უსპობს. მაშ რა უნდა ყოფილიყო?

ამას თითონ მაყვალაც ვერ გეტყოდათ. ისა გრძნობდა მხოლოდ, რომ ძილი უნდოდა და ვერ დაეძინა; დამშვიდება უნდოდა და გული რაღაცა გამოურკვეველს ცახცახში იყო. მოელოდა რაღაცას, მაგრამ რას?

მაყვალა დიდი ხანია ქვეყნისთვის მკვდარი იყო, განშორებოდა სოფლის ვნებას და, თუმცა ქვეყნად დადიოდა, მაგრამ ქვეყნის ფუფუნებისთვის აღარ ეცალა.

ამ ქალს მოეკლა, ჩაემარხა ყოველისფერი, რაც კი ხორცს სიტკბოების ნეტარებას აძლევს, უარეყო კაცის უტკბილესი

მოაზოგვილებანი და, ხორცის მომკვლელი, სულის ამაღლებას და დიდებას შესდგომოდა.

მაშ რაღა უნდოდა?..

არ იცოდა, მაგრამ მოლოდინი კი ჰქონდა რიღასიცა და ეს მოლოდინი არ იყო გულის ნაზად მრხეველი, მისი დამყვავებელი და ნეტარების მქადნელი.

ის ელოდა რაღაცას, რომელიც გულსა ლევდა, უსიამოვნობას აღუძრავდა და, გამოურკვეველობაში ჩავარდნილს, რაღაცა უბედურება თითქოს ყურთან ბოროტად დასჩხაოდა.

მაყვალა უძლური შექმნილიყო სულით; მაგრამ კიდევ მოისმა კარების მოწოლის ხმა. გაჩუმდა... არავინ არის... ამოისუნთქა მაგრად და ძალად გამოიწვია ის, ვინც ისე გაშორდებოდა.

წუთს შემდეგ ქალი დაწუნარებით სუნთქავდა, რადგანაც დამშვიდებულს განსვენებას მისცემოდა.

დაწუნარდა ყოველისფერი და გაჩუმდა, მხოლოდ ქარი არ ისვენებდა და მაღლად ამართულს ასის წლის ხეებს თავს ახრევინებდა. ხანდისხან მთებს შეწყვეტებული წამოტრიალდებოდა და გამედგრებული გამოქვაბულის კარს მიაწყდებოდა. ქუხილი აღარ ისმოდა, მაგრამ მოჭმუხვნილს ცაზედ ჯერ კიდევ ელავდა და ანათებდა წარსულის ავდრით მოოხრებულს მიდამოს. თვით პირუტყვებიც კი თავთავიანთ სოროში მიმალულიყვნენ და გზაზედ გამოხედვა ჯერ ვერ გაებედნათ.

ერთბაშად იელა კიდევ და ქოხის კარი გაშუქდა. გამოჩნდა მოჩვენებად ცოცხალი კაცი, რომელიც ნაბადში გახვეჯლიყო და იქავ კლდეს მიჰკუნჭოდა. მობრუნდა, მოტრიალდა ქარიშხალი და ისევ ქოხის კარს მიუვარდა. მის ძალას, თუ სხვა რომელსამე შემთხვევას, ვეღარ გაუძლო კარებმა, გაიღო და, აქამდის შეუმჩნეველი, ნაბდიანი განქრა. მიწა გაუსკდა და თან ჩაიტანა თუ ფრთოვანს მავნეთ გადაქცეული ქარს გაჰყვა, — კაცი ვერ იტყოდა.

ჩაბნელდა და ჩაიხურა. ბუნებამ ისევ გამძვინვარებით ღრიალი დაიწყო, ცას ცრემლი ნაკადულად გადმოსცვივდა და ქარმა გლოვიარის გოდება და ზუზუნი დაიწყო... მცირე ხანიც და, მას შეუერთდა კივილი ღონემიხდილის ქალისა... ხმა ქარ-

მა გაიტაცა ჟღრიალით და ვინ იცის, საით გადაქმანჯა. კიდევ ხმა კივილისა და ზედ მოჰყვა დამაყრუებელი დაჭექება, იფეთქა ელვამ და ქვეყანა უფსკრულში გაეხვია...

XV

მეორე დღეს დილით ყველაფერი დამშვიდებული იყო და შეუბრალებელს, გამძვინვარებულს ბუნებას გული მოებრუნებინა. მოწმენდილი ცა გაკრიალებულიყო და მზის სხივი მთის წვერებს შესთამაშებდა. მართალია, მოოხრებული და განადგურებული დედამიწა მწუხრად გამოიყურებოდა, მაგრამ მზე მხიარულად ამოდიოდა და თითქოს ნუგეშის მისაცემად დასძახოდა:

— ნუ სწუხარ! კიდევ შევიძლებ შენს გათბობას, შენს გამშვენიერებას.

მთის სურნელოვან კეკლუცთ, მოსრესილთ წარსულის ღამის შეუწყალებლობით, მისწდომოდა ეს ხმა და იმედით გაბრწყინებულთ ნაზი თავები წამოეყოთ, გახარებული სახე გამოეჩინათ. ჭოხის ქვევით ფერდოზედ გამოჩნდა რამდენიმე კაცი, რომელნიც გამოქვაბულისაკენ მოდიოდნენ. მათ შორის იცნობდით მოძღვარსაც თავის გათეთრებულის წვერითა და თმითა, რომელთაც მზის სხივი ვერცხლის ფრად აბრჭყვიალებდა.

ყველამ მოაღწია ჭოხთან მახლობლად მდგარს ხესა, რომლისთვისაც ქარიშხალს თავისი ნიშანი დაედო და იქ დასხდნენ.

ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა იმ საედემო ადგილას, რადგანაც სევდა-მომცველის ღამის შემდეგ გაკაშკაშებულს დღეს ფასი უორკეცდებოდა. მართალია, ბუნება წუხელ მკაცრად მოჰქცეოდა ყველას, შეუბრალებლად დაეჩაგრა ყველაფერი, მაგრამ წყრომა დღეს მოწყალებად გადაექცივა, მობუზულ-დაღვრემილი მიწა კეკლუც პატარძლად მოერთო.

ყველანი ლაჟღანდარობდნენ, ხუმრობდნენ და კეკლუცად გაღიმებულს ბუნებას სიამოვნებით შესცინოდნენ. მათ შორის მხოლოდ მოხუცი დაღონებულიყო, დაფიქრებულიყო და რაღაცა უგუნებლობაში ჩავარდნილიყო.

— თუ არ დაიღალე? — მიუბრუნდა ერთი მთიელთაგანი, რომელმაც მოწყენა შეამჩნია.

— არ ვიცი, ღვთის მადლმა, და უგუნებოდ კი რასმე ვარ, — უპასუხა მოძღვარმა.

— ავადმყოფებთან როდის-ღა წახვალ? — ჰკითხა ვიღაცამ.

— ამაღამ არა უნდათ-რა და ხვალ, თქვენ რომ დაბრუნდებით, ერთად წავიდეთ. — სთქვა მოძღვარმა, შესდგა მცირე ხანს და განაგრძო: — მაინც შორი გზა გაქვსთ და აქ კი ძალუმ წყარო არის, მაი, ცოტა შენაყრდით, თორემ გზაში მოგშივდებათ.

— არა, შენი კვნესა-მე, არ გვინდა სულ მუდამ ჩვენი პატივისმცემელი ხარ,—უპასუხეს თანამგზავრებმა.

— რაი პატივისცემა!.. პატივცემული მე ვარ თქვენგანა, რო თქვენის წყალობით ვცხოვრობ.

— ეგ კი არა, შენ რომ პირი დაგებანა და წყალიც ბატარაი დაგელია, ღვთის მადლმა, გულს გიპოვიდა, — ურჩია ერთმა.

— უზმოზე რაი-ღა წყალისაა? — წარმოსთქვა მეორემ.

— დალევით კი არ დავლევ და პირს კი დავიბან, —სთქვა მოხუცმა და მივიდა წყაროსთან, რომელიც იქავ მხიარულად გადმოჩუხჩუხებდა.

მოძღვარს სახე უხურდა და ცივის წყლის მიკარებამ რაოდენიმე სიამოვნება აგრძნობინა, მაგრამ გული მაინც ვერ გაუხსნა.

— ღვთის მადლსა, ერთად შევჭამოთ რამე... თქვენთან მეც გულს გადავაყოლებ, თორემ გონჯად რასმე ვარ.

— შენ იცი, შენა. — ხათრი ვეღარ გაუტეხეს ონოფრეს, რომელმაც სიამოვნებით წამოიძახა:

— აი, ეხლა კარგად შევიქნები! — და გასწია შინისკენ.

მოხუცმა შეაღო გამოქვაბულის კარი და გაუკვირდა, რომ მაყვალა არ მიეგება. იფიქრა, რომ მეორე ოთახში იქნებაო, და იქით გასწია. შეიხედა და დაინახა, რომ ქალი თავის საგებელში იწვა და ნაბადი თავზედა ჰქონდა წახურული.

— მაყვალაუ! — წყნარად წამოიძახა მოხუცმა, — მაყვალაუ, გძინავს?

მოძღვარი დააცქერდა, რადგანაც ქალი არ ინძრეოდა და შებრალებით წარმოსთქვა:

— ბეჩავს, უთუოდ წუხელის არ ეძინა... იყოს, იყოს, არ გავაღვიძებ.

ამ სიტყვებით წყნარად და სიფრთხილით გავიდა ისევ პირველს ოთახში და საუზმის მზადება თავად დაიწყო; წუთს შემდეგ შინაური არაყი, პური, ყველი და მოხარშული ლორი მიჰქონდა სტუმრებისკენ.

ხალხმა იცოდა, რომ მოძღვარს ვიღაცა უბედური ქალი ჰყვანდა შეფარებული, მაგრამ მისი ვინაობის გამოკვლევას ვერავინა ჰბედავდა.

— აქ ერთი ქალაი მყავს, უპატრონოა ბეჩავი და თავი ჩემს ჭოხს შემოაფარა, — მისვლის უმალ დაიწყო ონოფრემ, — წუხელის ავდარმა თუ არ მოასვენა, მარტოკაი იყო და ეხლა კი დასძინებია.

— ბეჩავი, — უპასუხეს სხვებმა, ჩამოართვეს ხორაგით სავსე წონჩა და მინდორზედ დადგეს.

— მეტად ხშირი ეძინა და ვეღარ გამოვაღვიძე, — დაიწყო ისევ მოძღვარმა, — თორემ, ღვთის მადლმა, უკეთ დაგიხვდებოდით.

— ღვთის მოწყალება მრავალია, შენი კვნესა-მე, შენს შეწუხებას ღირსნი არა ვართ... რაი გვინდა ამაზედ მეტი? — ერთხმად უპასუხეს სტუმრებმა და ყველანი ხონჩას გარს შემოუსხდნენ. დაიწყეს პურის ჭამა და რამდენჯერმე მოიარა ყანწმაცა. არყით სავსე ჭურჭელი საკმაოდ მოზრდილი იყო, „შინაური“ საკმაოდ მაგარი და გამამხიარულებელი სასმელი გამოდგა, მოძღვარი — გულით ქართველი და, მაშასადამე, წესიერად მომლხენი; ყველა შეწითლდა, შეზარხოშდა და სახე გაუღიმდა.

პირველს ჭურჭელს მოჰყვა მეორე, მეორეს — მესამე, და გაიმართა „სმურები“, ე. ი. ლექსებად სიტყვის წარმოთქმა, რომელიც ისე ალაზათიანებს მთიელთ სუფრას და სიცოცხლეს აძლევს.

საუზმე სადილათ გადაიქცა, სადილი — სამხრათ და როდესაც აიშალნენ, მზე საკმაოდ გადახრილიყო.

გუდამაყრელები მთაში მიდიოდნენ; სასოფლო საბალახე

უნდა აეღოთ და, რაკი იქიდგან ხვალ უნდა დაბრუნებულიყვნენ, მოძღვარმა პირობა მისცა, რომ დაუცდიდა და უიმათოდ სოფელში არ წავიდოდა.

სტუმრები გამოესალმნენ მასპინძელს და თავის გზას გაუდგნენ, მასპინძელმა კი აალაგა ჭურჭელი და სახლისკენ გასწია.

ონოფრე, ცოტა არ იყოს, შეზარხოშებულიყო და ამისთვის წყნარად ღიღინებდა, როდესაც გამოქვაბულში ფეხი შედგა.

— აჰუ, მაყვალაუ! — კარებიდგანვე დაიძახა იმან, რადგანაც წელანდელსავით ქალი ეხლაც არ მოეგება და ეგონა, რომ ეძინა, — ამდენი ძილიც გაგონილა?.. ბეჩაუ! მზე გადიწვერა.

რადგანაც ქალმა კიდევ პასუხი არ მისცა, მოძღვარი შევიდა იმ ოთახში, სადაც წელან მწოლარე ქალი ნახა, და შესვლის უმალვე შესდგა და ყურება დაუწყო.

მაყვალა ისევ ისე გაუნძრევლად იწვა, რომ ამას იტყოდით ერთის გვერდიდგან მეორეზედაც კი არ გადაბრუნებულაო, ხელიც კი არ გაუქნევიაო.

— ქალაუ, რაი მოგივიდა?.. ავათ თუ არა ხარ? — სცადა გამოლაპარაკება მოძღვარმა.

პასუხად ისევ სამარის მსგავსი სიჩუმე ჩამოვარდა. ქალი არ შეინძრა.

— მაყვალაუ... მაყვალაუ! — გაფითრდა მოხუცი და ცივმა ოფლმა დაასხა. — მაყვალაუ! — გაიმეორა იმან და რაღაც აღშფოთება იგრძნო.

გაოცებული და რაოდენადმე შეშინებული მოხუცი მიუახლოვდა საგებელს და ნაბადი მოუთმენლად გადახადა და უკან მოწყვეტებულს, მუხლები ჩაეკეცა, გაფითრდა, გაჟრჟოლდა და პირისახეზედ ხელები დაიფარა. მთელს მის არსებას დაეტყო წარმოუთქმელი მწუხარება.

მოხუცმა დაინახა სისხლი, რომელიც მაყვალას მკერდზედ და პერანგზედ შეშრობოდა და შეამჩნია გულს ახლოს საკმაო ღრმა და განიერი იარა.

მოხუცს სასმელიც კი სწრაფად გამონელდა, იქამდის ძლიერი იყო ზარი, რომელიც მას დასცემოდა. გონებადაკარგულს ტვინი ენთებოდა, თვალთ უბნელდებოდა, გული ელეოდა, ეწურებოდა და ღონე ვეღარ მოეკრიბა.

გონებადაკარგული, თავდავიწყებული, ისა ჰგრძნობდა, რომ საშინელი უბედურება ეწვია, მაგრამ კარგა ხანს ანგარიში ვერ მიეცა თავის თავისთვის, — რაში მდგომარეობდა ეს უბედურება. შემდეგ, როდესაც მცირეოდნად გამოფხიზლდა, შესძლო ხელახლად დაეწახა გულის გამგლეჯი სურათი, მის შესახებ მოაზრება დაიწყო.

იმის წინ იდო გვამი მით უფრო თანაგრძნობის ღირსისა, რომ უბედურს უკვე ეგრძნო დანაშაული, ცოდვა მოენანიებინა და, ბოროტ გზას მოშორებულს, გზა მართალთა ამოერჩია.

მოძღვარი ჩასცქერდა შეწუხებული და გულმოკლული მაყვალას პირისახეს, რომელსაც თვალები ღია დარჩენოდა და დამცინველი ღიმილი ტუჩებზედ დასთამაშებდა, თითქოს მით საყვედურს ეუბნებოდა ხალხსა მათის უსამართლობისათვის.

მოხუცს თმა ტყრშიალით აღმა აეშალა და მწუხარე, სევდამოცულის თვალებიდგან ცრემლი ნაკადულათ გადმოედინა. აშკარად დაინახა, რომ ვიღაცის უწმინდურს ხელს მაყვალასთვის სიცოცხლე მოესპო, მზე დაებნელებინა!.. მაგრამ ვინ უნდა ყოფილიყო ის უღმრთო, შეუბრალებელი მტარვალი, რომელმაც ასეთი უკაცური სისასტიკე გამოიჩინა.

მოძღვარმა მოიკრიბა უკანასკნელი ძალაც და შეიქნა ისევ ის, რაც ყოველთვის იყო ხოლმე. მის გულს ახალი სევდა მისწვდა, რადგანაც ერთის ნაპოვნის მოკვლით მწყემსი ჰკარგავდა მეორე ცხოვარსა, რომელიც ონოფრეს გულისთვის მაყვალასთანავე საყვარელი და საზრუნველი უნდა ყოფილიყო.

ონოფრემ აღაპყრო ხელები და ცრემლით დალორთხილი თვალები მიაქცია ჯვარცმას და წყნარად, მაგრამ გრძნობით წარმოსთქვა:

— მეუფეო, სასუფეველსა შინა, წმიდათა შორის, მიიღე მხევალი შენი მაყვალა!.. მიუტევე შეცოდებანი ცოდვილთაცა, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ!

წარმოსთქვა ეს სიტყვები მღელვარებით, გრძნობით და პირველად, მხოლოდ პირველად გაურბინა თავში აზრმა — ჰქონდა მას უფლება მაყვალას მომკვლელისათვის უზენაესის წინაშე ეშუამდგომლა, თუ არა, და გაჩუმდა.

დიდ ხანს არ აშორებდა თვალებს მაცხოვრის ხატს, რო-

მელიც იქვე კედელზედ ეკიდა, დიდ ხანს შესცქერდა მოწყალების გამომთხოვნელის თვალებით და ამღელვარებულის სულის კვეთება სახეს ათასგვარად უცვლიდა.

ბოლოს გადიწერა პირჯვარი და რაოდენადმე იმედმიცემული წამოდგა და მტკიცედ წარმოსთქვა:

— არა არს შეცოდება, რომელიც ცრემლით არ იყოს განბანილ და მონანებით განწმენდილ.

ონოფრემ გახადა ცხედარს, გაბანა და მოასურნელა; გამოიტანა მეორე ოთახში, დაასვენა სკამზედ, აუნთო წმინდა სანთლები და დაჩოქილმა ისევ ლოცვა დაიწყო.

ლოცულობდა ამ დედაკაცის სულისთვის, ლოცულობდა მის მომკვლელისთვის, ლოცულობდა იმ ხალხისთვისაც, რომელთა მკაცრმა გადაწყვეტილებამ სუსტი ქმნილება ამ მდგომარეობაში ჩააგდო, იმ ხალხისთვისაც, ვისაც სახალხო წესთა და დებულებათათვის ხელი შაეხო.

ამ წუთში მოძღვარი მტრებს არა ხედავდა, მის თვალწინ იდგნენ ვნებით მოცულნი, სულით დავრომილნი ავადმყოფნი, რომელთათვისაც მოძღვარი ისე გულმხურვალედ განთავისუფლებას, გონების განათლებას ითხოვდა.

ონოფრე ლოცულობდა მხურვალედ და მიტევებაში წარმოუთქმელს სულგრძელობას გამოიჩენდა; განშორებული ცოდვილს მიწას და მის მცხოვრებთ, შაერთებოდა ზეციერს მამას და, ამაღლებულს სულით, კაცთა ვნებანი აღარ მიჰკარებოდა.

გაიარა კარგა ხანმა, სადილობა გადავიდა, შემოღამდა კიდეც, მაგრამ მოხუცი ისევ იმ ვედრებაში იყო, ისევ იმ ლოცვაში და ხორცდავიწყებული სულს ასაზრდოებდა.

ერთბაშად გარედგან ძახილი შემოესმა, მოძღვარი შეკრთა და ხმაზედ მთაში საბალახის ასაღებად წასული მწყემსები იცნო. გადიწერა პირჯვარი, გადასწერა ცხედარსაც და წყნარად გავიდა.

მოძღვრის დანახვის უმალ მთიელები მხიარულად მოეგებნენ და მშვიდობასა ჰკითხავდნენ. მოხუცმა შეხედა სევდა-მოცულის თვალებით და წყნარად წარმოსთქვა:

— ხალხო, სიცილის დღე აღარა მაქვს... გული სევდამ დასთრთვილა და დაადურაღა.

— რაი ანბოვია, რაი ანბოვი?! — მისცვივდნენ გუდამაყრელები თანაგრძნობით.

— ქოხში მკვდარი მისვენია, — მოკლედ წარმოსთქვა მოხუცმა და თვალებში ცრემლები მოერია.

— მკვდარი? — გაოცდნენ მთიელები და წუთის სიჩუმის შემდეგ ერთმანერთს კითხვას აღარ აცლიდნენ: — ვინაა, სადაურია, რამ მოკლა?

— იქ ასვენია, ჩემო ძმანო, საბრალო მსხვერპლი ვიღაცა გზადაკარგულის ბოროტმოქმედებისა... ჩვილის და უღონო ჭმნილებისათვის, რომელსაც თავის დაცვა ვერ შესძლებია, სამარცხვინო ხელს სიცოცხლე მოუსპია... მოკლული დედაკაცია..

— დედაკაცი! — მომეტებულად გაკვირდნენ მოსულები, რადგანაც დედაკაცის მოკვლაზედ უმეტესი დამცირება დამნაშავისა არ ესმოდათ.

ჩამოვარდა სიჩუმე, რადგანაც ამგვარმა შემთხვევამ ხალხი მეტისმეტად გააბრაზა. ყველა იქ მყოფი ავაზაკის მოქმედებას ისე უყურებდა, როგორც პირადს თავის შეურაცხყოფას და გულით ისურვებდა დამნაშავისთვის გადაეხადნა.

— მოგიკვდეს ჩემი თავი! — წამოიძახა ერთმა, — მოგიკვდეს, რომ იმ დროს ვერ შევხვდი!

— აი, ბედნიერი შეხვდებოდა! — ნატვრით დაუმატა მეორემ და პირისახეზედ ყველას ისეთი აღშფოთების ბეჭედი დაეტყო, რომ კაცს შესახედად შეზარდებოდა.

— მამაო, გვითხარ, ვინ მოჰკლა? გვითხარ! — ერთხმად წამოიძახეს მთიელთა და ხანჯლებს ხელი გაივლეს.

— არ ვიცი, შვილო!.. ცოდომორეულს, უბედურს ვერ მოვასწარი.

— არა, არა, მოძღვარო... შენა მალავ, იფარავ... მომკვლელმა ჩვენ მოგვაყენა სირცხვილი... სათემოდ ჩვენ მოგვეხვია თავზედ და დამნაშავე უნდა ვიპოვნოთ... ქალის სისხლი გადახდევინებას ითხოვს, თემის შერცხვენა — თავის გამართლებას... მოგვეც ჩვენი შემრცხვენი, რომ ვალი გადავუხადოთ.

— ძმანო!.. არა სისასტიკითა, სისხლითა და ხმლითა მოიშცევიან ცოდვილნი, არამედ შთაგონებითა შეინანებენ ცოდვათა თვისთა.

— მღვდელო!.. ღვთის კაცი ხარ და ღვთის სიტყვით ლაპარაკობ... მაგრამ მაგ საქმის დამალვა არ იქნების! ცოდო-ბრალი მოხდა და მომხდენი კი არა ჩანს... ყველას გული წაგვიხდების ერთურთზედ... ერთმანერთზედ ეჭვი გვექნების... ნდობა დაიკარგების და მეზობლობა დაირღვევის... გვითხარ, ვინ მოჰკლა?

— არ ვიცი.

— შემოგვფიცე.

— მე არ ვფიცულობ, რამეთუ ჩემი ჰო—ჰო არის და არა—არა. — უპასუხა მოხუცმა, გაიმართა წელში და ისეთის ღირსებით და ძლევამოსილებით შეხედა, რომ მთიელებმა თავი დახარეს და კითხვის გამეორება ვეღარ გაბედეს.

დარწმუნდნენ, რომ მოძღვარი მართალს ეუბნებოდა, მათ წინ გაეშალა გული და იმდენი სიგულადე შერჩენოდა, მომკვლელის სახელი რომ სცოდნოდა კიდეც, პირდაპირ ეტყოდა: — „მე ვიცი მომკვლელის სახელი, მაგრამ არ გეტყვით, არ გეტყვით, რამეთუ არა კაცია მსაჯული ცოდვილთა, არამედ მეუფე, მჯდომარე მარჯვენასა მამისა თვისისასა“.

— ქალი ვიღა არის? — იკითხა ბოლოს ისევ იმ მთიელმა, რომელიც დანარჩენებზედ მოხუცებული იყო და მასთან მყოფებზედ უფროსობდა.

— დავრდომილი, განწირული სოფლისაგან, რომელმაც თავშესაფარებელი და სულის დასამშვიდებელი ბინა ჩემს ჭოხში იპოვა... ისე იყო ცოდვილი, მაგრამ დიდსულოვანი... ხანგრძლივის შენანებით მან დაიმსახურა სასუფეველი... ვილოცოთ განსვენებულის სულისთვის, რამეთუ დაკარგული ხელახლად იპოვა იესომ. — მოძღვარმა დაიჩოქა და მის მაგალითს დანარჩენებიც მიჰყვნენ.

ყველამ მოიხადა ქუდი, გაკმინდა ხმა, გაჩუმდა და გაჩქურდა, რა სიტყვებით მიემართათ ღმერთისადმი, არ ისმოდა; მხოლოდ მათ სახეს რაღაცა დიდებულების ბეჭედი დასტყობოდა და თვალებში საიმედო ძალის მომცემი რწმუნება გამოხატვოდათ.

კარგა ხანი იდგნენ ამ სიჩუმეში; განძრევითაც კი არავინ განრძეულა, როდესაც მოძღვარი წამოდგა და წყნარად წარმოსთქვა:

— ძმანო, განქრა ერთი სანთელი, რომელმაც სიცოცხლითვე მოასწრო ქრისტიანობის ლაბპარი სარწმუნოებით გაეთუქებინა... გარდაიცვალა ქრისტიანე და მიშველეთ, ქრისტიანობის უკანასკნელი წესი შევუსრულოთ.

— გვიბძანე, შენი კვნესა-მე, გვი!

— მიწისგან გაჩენილი მიწასვე მივაბაროთ.

რამდენიმე საათს შემდეგ ვიწრო და ღრმა სამარე, ნოტიო, შავის მიწისა, მზად იყო.

გამოასვენეს წყხარად და მოკრძალებით ოდესმე სიცოცხლით სავსე მაყვალას გვამი და ერთის წუთით დაასვენეს სამარის პირს, რომ მოძღვარს უკანასკნელი სალამი ეთქვა, მოძმენი უკანასკნელად გამომშვიდობებოდნენ და ჩაასვენეს საუკუნო სამფლობელოში.

— მიწა ხარ და მიწად იქეც, — მოისმა უკანასკნელი სიტყვები და საფლავი მალე გაივსო, გაიჭედა მიწით, რომელმაც მაყვალა სამზეოს საუკუნოდ გამოასალმა...

ამ დღიდგან, თითქმის ყოველდღე მზის ჩასვლისას, ნახავდით საფლავის პირს ქუდმოხდილს, დაჩოქილს მოძღვარს, რომელიც უზენაესს ევედრებოდა განსვენებულის სულისთვის და შესთხოვდა, რომ მისი მომკვლელი მოებრუნებინა და მიეცა ძალა შაეგნო, მოენანია შეცოდება თვისი.

XVI

მაყვალას მოკვლა მეტისმეტად შემაძრწუნებელი შემთხვევა იყო, რომ ამაზედ ხმა მთელს მეზობელ თემობას სწრაფად არ მოსდებოდა და საზრუნველ-სალაპარაკოდ არ გახდომოდა.

ქალის მკვლელობა გუდამაყრის ხეობის თემის მაზრაში მოხდა და მთის კაცისათვის ასეთი წარმოუდგენელი შერცხვენა ამ ხალხს საჯაროდ დაედო.

ხალხი ჰგრძნობდა თავის მდგომარეობას, ცდილობდა დამნაშავე აღმოეჩინა და სირცხვილი თავიდგან მოეშორებინა. თუნდა ესეც არ ყოფილიყო, იმ ხანში თავიანთ საქმეებს ჯერ კიდევ ხალხი თითონ განაგებდა და, მაშასადამე, მოვალე იყო

დამნაშავე აღმოეჩინა და ღირსეული სასჯელი მიეყენებინა.

იმ ხანში თემობას ჯერ კიდევ ხელში ეჭირა ხალხის მართვა, რადგანაც ახლად შემოღებულს წესებს ჯერ კიდევ ფესვები ვერ გაედგა, ვერ გამაგრებულიყო და, თავის სურვილისავე წინააღმდეგ, ხელს ყველგან ვერ აწვდენდა. ის ჩაერეოდა ხოლმე მხოლოდ იმ საქმეებში, რომელიც გარეშე პირთა მეოხებით მათ ყურს მისწვდებოდა ხოლმე.

მაყვალას მოკვლის საქმე მხოლოდ ხალხში დარჩა და მისი გამორკვევა და გარჩევაც მას მოეხვია თავზედ. მაგრამ არც გულმოდგინე მეცადინეობა, არც გონივრული განკარგულება მათ არა შველოდა; დამნაშავე არსადა სჩნდებოდა, თითქოს ან მიწას ექნა მისთვის პირი, ან წყალს ჩაეყლაპა და ყველასთვის საუკუნოდ საიდუმლოებით დაფარულიყო.

ჰქონდათ მცირედი ეჭვი გელაზედ, ონისეზედ, მაგრამ ამგვარს საქმეში კაცზედ ბრალის მიტანა, მხოლოდ მცირედის ეჭვით, მეტად ძნელი იყო და საბუთი კი არა ჩნდებოდა-რა.

ხანი მიდიოდა წუნარ-წუნარად, ხალხი ძრწუნვით ითხოვდა ავაზაკის პოვნას და გადახდევინებას, მაგრამ საქმე იოტის ოდნათაც წინ არ მიდიოდა.

ერთ დროს თემობამ გელა და ონისეც კი დაიბარა, რომ მათთვის ეკითხნათ ამ საქმის შესახებ, მაგრამ გაგზავნილი კაცები უკან ხელცარიელნი დაბრუნდნენ, რადგანაც ვერც ონისე და ვერც გელა ვერ ეპოვნათ.

ეჭვი დარჩა ეჭვად, ხანმა და დრომ კი შემაძრწუნებელი შემთხვევა წუნარ-წუნარად გადაავიწყა.

ცხოვრებამ ჩვეულებრივი მდინარება მიიღო, როდესაც ერთს ზაფხულის საღამოს მოძღვარი ონოფრე თავის ქოხის კარებზედ კამოსულიყო და დაღონებულის სახით გუდამაყრის ხეობას გასცქეროდა.

საქონელი, რომელიც მწყემსებს მთაში მიჰყვანდათ, უცხოდ შეფენილიყო ზურმუხტოვანს ფერდოებზედ და მზის შუქზედ თეთრად ბიბინებდა. ცხვარი მიეზიდა ნოყიერს, სურნელოვან ბალახს და გაწამებულიყო. აქა-იქ ფერდოების თავზედ ამოჩანდნენ ნაბადწამოსხმული და ჭუდგვერდზედ მოგდებული მოდარაჯე მწყემსნი, რომელნიც ხანგამოშვებით ქვას დასწვდებოდნენ და ეშმაკად გადაქცეულს თხას, მუდამ კლდეების-

კენ მიმბრძოლავს, მოსაბრუნებლად ესროდნენ, დასჭყივლებდნენ და ჭყივილის შემდეგ მაღლად, ზარსავით უზადო წკრიალას ხმით შემღერდნენ:

მარტო ვარ, მარტო ვიმღერი,
არავინა მყავს მობანე,
მაისის წვიმავ, წამოდი,
გული სევდისგან გაბანე,
ნიავო, წყნარად დაჰქროლე,
ფოთოლს ტაშ დააკვრევინე,
სწორის არ გამტანს, უფალო,
ცხვირი სადმ წააკვრევინე.

მას ხმას მოსცემდა მეორე, მეორეს მესამე და ერთმანერთს შელაღებულნი, შაირით ბაასს გამართავდნენ, ლექსთა გამოთქმით გაჯიბრებულნი აღარ ისვენებდნენ. მათგან ყველამ იცოდა, რომ იქავ მეზობლად ქალებიც იყვნენ და ამისთვის უწმაწურს სიტყვებს ყველა ერიდებოდა.*

ონოფრე გასცქეროდა ამ მხიარულს, სიცოცხლით და მოაზრებით სავსე ხალხსა, რომელთა გულის ლაღობა ვერც მთის ბუნების სიძნელეს დაეჩაგრა, ვერც რომელსამე სხვა გარეშე ვითარებასა.

შესცქეროდა მოხუცი და თავისი სიყმაწვილე აგონდებოდა.

ონოფრეს სიცოცხლის გაზაფხული გამოევლო, ენახა აღშფოთებული, შჩქეფარე წუთები, გამოეცადა გულისა და სულის მღელვარება, სიტყვით, ის მთრთოლარე მდგომარეობა, როდესაც სისხლი სდუღს და გადმოდის, როდესაც თვით სიცოცხლეც კი განსაცდელს სიამოვნებით ეძლევა, განჭრა მთრთოლარე ყმაწვილობის ცეცხლი, მის მაგივრად გული გამოცდილებას მოეცვა, დაენახა სოფლის ამაოება და, განშორებული ყველას, შესდგომოდა იმის სახელს, რომელიც

---

* უნდა, ვსთქვათ, საზოგადოდ მთის ხალხის სასახელოდ, რომ მათ შორის უწმაწური ლაპარაკი და ლექსი ძალიან იშვიათია. ათასში ერთხელ, ისიც დამთვრალს თუ ამოსცდებოდა უმართებულო სიტყვა. თვით ჩხუბშიაც კი არ იციან უშვერი გინება და ერთმანერთს მხოლოდ ლაჩრობას, ტოლსწორის გაუტანლობას და მთხრობლობას აყვედრიან, რომელსამე მარცხს მასხარად აუგდებელს არ გაუშვებენ, მაგრამ სამასხაროდ გამოთქმულს ლექსში საგინებელი სიტყვები ძნელად არის ჩართული (ავტორი).

საწყალთ მოსარჩლის სინონიმად გადაქცეულიყო. თავის პირადობის უარმყოფელი, ჯმუხი მოხუცი დაჰკვირვებოდა ქვეყნის ცხოვრებას, მის ვნებათა და ამაოებათა. მოაგონდა იმ წუთებიც, როდესაც პირველად გაუბრწყინდა სხივი დიდებულის აზრებისა და პირადი განცხრომა ქვეყნის ბედნიერებისთვის ზრუნვას შესწირა.

ამ ფიქრებით მოცული გაჰყურებდა მეცხვარეებს და მათის სიხარულით თითონაცა ხარობდა, მაგრამ ხალხის მხიარულებით ვერა კმაყოფილდებოდა, მათთვის უმეტესს ბედნიერებას და დიდებას ითხოვდა.

მას ჰქონდა წარმოდგენილი ხალხის კეთილდღეობის იდეალი და გულის კვნესით ხედავდა, რომ მისი სამწყსო სხვადასხვა მიზეზების გამო მეტად დაშორებოდა სასურველს მდგომარეობას; ეკლიანს, ხლართულად მის მიმავლობას ათასი შემთხვევა წინ გადასდგომოდა და ცხოვრების კანონიერს მდინარეობას ხელს უშლიდა.

სანამ ფიქრი მოხუცისა ამ წმინდა საგანს ეხებოდა, ქვემძრომის, თვით თვალთუხილველის ფერფლის ვნებაც კი არ განიზრახებოდა მისგან, მაგრამ, როდესაც გონება მის მიმართულების ხელის შემშლელთ მიუბრუნდებოდა, წინაპართ წმიდა მამათა მაგალითებით გამხნევებული მებრძოლად გადაიქცეოდა; ჯვარითა და ცეცხლით ვნებას წინააღუდგებოდა, სამართლიანებისთვის თავი დასდებოდა, რათა ხალხისთვის თავგანწირულების დიდებულება დაენახვებინა. რამდენადაც მის გულში მთის შვილები თანასაგრძნობელს ღირსებას იჩენდნენ, რამდენადაც სიცოცხლის ძალა და ხასიათის სიმტკიცე მეტად ეტყობოდათ, იმდენად მოძღვარსაც მეტის ძალით მოსწყურებოდა მათთვის გზა გაეკვლია, გაეწმინდა ძეძვისა და ეკლისაგან.

მზე გადიწვერა და მწყემსებმა ღამის სადგურებს მიმართეს; ხმაურობა თანდათან სუსტდებოდა და ღამის უფსკრული მიდამოს ქურდულად ეპარებოდა. შესწყდა მოძრაობა; მთვარე ღრუბელს მოჰფარებოდა; ბნელით მოცულს მთის ფერდობებზედ მწყემსებს ცეცხლი გაეჩაღებინათ, უცნაურად დაკლაკნილს ადგილებს შუქი მისწდომოდა და სამაცდუროდ განათებულიყო. ათასში ერთხელ ძაღლის გამუდმებული ყეფა

ბანს მისცემდა ხოლმე მგლის ყმუილს: წყნარი ნიავი იტაცებდა ხმაურობას, აწვდენდა მთის ხვეულებს და ატრიალებდა. შორის ტყიდგან დათვის ბურდღუნი მოისმოდა.

მოხუცი ჩაფიქრებული, თავჩაკიდებული ისევ წელანდელს ადგილას იჯდა, ზრუნვამოცულს თვალებში თითქოს ღამის სურათი გადმოსახოდა და გაჩირაღდნებულს გოლიათთ გასცქეროდა. ფიქრი ზღვად გადაჰქცეოდა, ტალღებსავით მიქანმოქანავდა. სხვადასხვა სურათები გემსავით, რიგრიგად მოცურავდა და ერთს მეორე შესცვლიდა. გუნებაში იძახდა: „რატომ არ ძალმიძს ყველა გავაბედნიერო, ყველას განსაცდელი ავაცდინო?!“

მოძღვარი მთლად თავის ფიქრებს მისცემოდა, როდესაც ერთბაშად რაღაცა მოუსვენრობა იგრძნო და თვალები ცას მიაქცია. სწორედ იმ დროს, როდესაც თავი აიღო, შეამჩნია, რომ ერთი ვარსკვლავი სხვებზედ მეტად გაბრწყინვებულიყო, ციმციმებდა და თითქოს მოძრაობაში მოდიოდა; ვარსკვლავმა ერთბაშად იფეთქა, გაშუქდა და, ციდგან მოწყვეტილი, სწრაფად თავქვე წამოვიდა; მოძღვარი წამოხტა, გადიწერა პირ. ჯვარი და წყნარად წარმოსთქვა:

— უფალო, დაიხსენ სული ცოდვილისა და მიიღე მფარველობისა შინა შენისასა!* — ვერ მოასწრო ამ სიტყვების გათავება, როდესაც მოისმა თოფის ხმა და მის ახლომახლოდ თითქოს რაღაცა დაეცა.

მოხუცი შეკრთა, გაფითრდა და გასწია იქითკენ, საიდგანაც თოფის ხმა მოსწვდა.

ღამე იყო ბნელი და მოხუცს გზის გარჩევა უჭირდებოდა, მაგრამ, ადგილს შეჩვეული, მაინც მტკიცედ მიაბიჯებდა. ერთბაშად მოესმა კვნესა და შესდგა, კისერი გაიძაბა, ყურთან ხელი მიიფარა და სმენად გადაიქცა. მოხუცს კიდევ მოსწვდა კვნესის ხმა და აშკარად გაიგონა:

— ტიალო! გულს მაინც მომხვედროდი!

ონოფრე გაბრუნდა იქითკენ, საიდგანაც ლაპარაკი მიესმამა, და ცოტა სიარულის შემდეგ, ცის ტატნობზედ ვიღაცა კაცი გაარჩია.

* ხალხში რწმუნებაა, რომ ყოველ კაცს თავისი ვარსკვლავი ჰყავს და მის სიკვდილთან ერთად ვარსკვლავიც უნდა განქრეს (ავტორი).

ის წამომჯდარიყო, გაეხადა მარცხენა მხარე ტარავალისა და, როგორც ეტყობოდა, დაზიანებულს მკლავს იხვევდა.

ერთბაშად მთის წვერს მოხვეული შავი ღრუბელი განშორდა და მთვარე ტყვეობიდგან განთავისუფლებული გამოსხლტა და შუქი პირდაპირ დაჭრილს მიაყარა. მოხუცმა შეხედა მას და შესდგა. იქამდის შესაზარებლად ეჩვენა დაჭრილის სახე, რომ სიტყვა გაუწყდა.

უცნობს წვერი და თმა გაჰბურძგნოდა, ტანისამოსი შემოსძარცოდა და ნაფლეთებად-ღა ეკიდა, გამხდარი სახე უცნობისა გაფითრებულიყო და შავი, პატარა თვალები სადღაც ჯურღმულში ჩაჰკარგოდა და არაჩვეულებრივად ნაღვერდალსავით ულაპლაპებდა.

რაწამს უცნობმა მიახლოვებულს მოძღვარს თვალი შეჰკრა, ფეხზედ წამოიჭრა, დაავლო თოფს ხელი და გასაქცევად მოემზადა.

— შესდეგი, უბედურო! — მბრძანებელის კილოთი შესძახა მოძღვარმა და კაცი იმ ადგილზედვე გაწამდა, გაჩქურდა და ისე დარჩა.

ონოფრე მიუახლოვდა და მზრუნველიანად ჰკითხა:

— დაჭრილი ხარ?

— არა, არა, თოფი გავარდა და ტყვიამ გამკეს წ ლა.

მღვდელმა წადგა ფეხი, რადგანაც იარის გასინჯვა და შეკვრა უნდოდა, მაგრამ უცნობმა შეჰკივლა და ისევ გასაქცევად მოემზადა.

— არ მომეკარო, არ მომეკარო, — ხმამაღლად დაიძახა უცნობმა და შემდეგ უფრო დაწყნარებით დაუმატა: — ღირსი არა ვარ.

მღვდელი შესდგა, შეხედა და ჩააკვირდა; დაჭრილმა ვეღარ გაუძლო მის თვალების ძალას, დახარა თავი და წნორის ფურცელსავით ცახცახი დაიწყო; სცადა გასცლოდა, მორიდებოდა მოძღვარის თვალებს, რომელიც შეუბრალებელს ტყვიაზედ მეტად აშინებდა და აწუხებდა, მაგრამ მუხლები აუცახცახდა, ჩაეკეცა და მიწაზედ დაეცა.

მოძღვარი მივიდა და დაჭრილს საშველად ხელი მოჰკიდა; იარა საშიში არ იყო, მაგრამ ბევრის სისხლის დენას დაესუსტებინა. მოხუცი შეუდგა თავის საქმეს და მალე შეუხვია ჭრილობა.

— შენდობა, მამაო, — წყნარად, თითქმის ჩურჩულით, წარმოსთქვა დაჭრილმა.

მღვდელი ძიუახლოვდა, ამოიღო უბიდგან პატარა ჯვარი, რომელსაც ყოველთვის თან ატარებდა, და ტუჩებთან ძიუახლოვა.

— არა ჩემის სახელით, არამედ ცოდვათა მოტევებისთვის ჯვარცმულის სახელით, შენდობილ-ხარ, შვილო!

— არა, ეგრე არა! — წარმოსთქვა უცხობმა და აღშფოთებულმა ჯვარს თავი მოარიდა.

მოძღვარმა შეხედა და აშკარად დაინახა, რომ უბედურისთვის რაღაცა გრძნობას სახე უწყალოდ დაეპრანჭა და, თუ მტკნარ გიჟს არ დამსგავსებოდა, სულით ავადმყოფი მაინც უეჭველად უნდა ყოფილიყო.

— მაშ რა გინდა, რა მოგდის, შვილო?.. იქნება ჭრილობა გაწუხებს?

— არა, არა! — მოუსვენრად, ცრემლმორეულის ხმით წარმოსთქვა ავადმყოფმა.

— მაშ რა გაწუხებს?.. მითხარ.

— მაზიარე.

— ზიარებას მომზადება უნდა, შვილო.

— მაშ მომამზადე, მომამზადე... ჩქარა! — მოუსვენრად წარმოსთქვა დაჭრილმა და დასუსტებული მიიღუშა.

— ღმერთი დიდია, შვილო! მითხარ, რა მოგსვლია, რა გამძიმებს? — აჩქარდა მოძღვარიც, რადგანაც ავადმყოფი მეტად სუსტდებოდა და ეშინოდა ბევრის სისხლის დენას მთიელის მორჩენა შეუძლებელი არ გაეხადა და უზიარებლად ქრისტიანის სიკვდილი კი მომაკვდინებელს ცოდვად მიაჩნდა.

დაჭრილი წვალობდა, რადგანაც ლაპარაკი უნდოდა დაეწყო, მაგრამ სიცხისგან გამშრალი პირი ვერ გაეღო და ყავარყავარ დაბეთქილს ენას ველარ იმორჩილებდა. ონოფრემ შეამჩნია გაჭირვება და იქავ ახლოდგან მათარით წყალი მოუტანა, გაუღო პირი რქის კოვზით და რამდენიმე წვეთი ჩააყლაპა.

რაკი ავადმყოფმა გამცოცხლებელის სისველის მიკარება იგრძნო, პირი მალე გაუღია და თითქოს ძალაც მოემატა. ამასთანავე იგრძნო წარმოუთქმელი წყურვილი, მაგრამ მოხუცმა უპასუხა:

— მოითმინე, შვილო! მაგ ყოფაში მყოფს წყალი გაწყენს.

— ვიწვი, ვინთები, გულ-მუცელი მეხრაკება! — უნუგეშოდ წარმოსთქვა დაჭრილმა და ხვეწნით დაუმატა: — წკეთი მხოლოდ, ერთი წვეთი!

— კარგი, შვილო, კარგი! ოღონდაც დამშვიდდი! — უპასუხა მოძღვარმა და მათარიდგან კოვზით ამოიღო წყალი.

მოიხსნა ქამარზედ მობმული ჭისათ გაკეთებული ბატის ფრთა, საიდგანაც წამოყარა დაფქვილებული გამხმარი კოწახური და წყალს აურია. შემდეგ მიუტანა ავადმყოფს პირთან და უთხრა:

— აი, დალიე და მეტს კი ნუღარ ითხოვ.

უცნობს თვალები გაუბრწყინდა და მსუნაგად ჩაყლაპა რამდენიმე წვეთი სიმჟავისა.

— ოჰ! — სიამოვნებით წარმოსთქვა ამან, მოლულა თვალები და მიელუშა.

მოძღვარი თავს ადგა და ელოდა, სანამ ავადმყოფი ძალას კიდევ მოიკრეფდა და ლაპარაკს შესძლებდა, მაგრამ თავდავიწყებაში ჩავარდნილი დაჭრილი განსვენებას ეძლეოდა.

ერთბაშად მას სახე დაეპრანჭა, შუბლი შეეჭმუხნა და მწარედ დაიგმინა; გაიძაბა და წუთს შემდეგ ცახცახი დააწყებინა. ონოფრე მიხვდა, რომ ეს შედეგი იყო ჭრილობისა და საიმედო ნიშანს წარმოადგენდა; ამის გამო მოიხადა ნაბადი, დახურა უცნობს და იქვე გვერდით ხმაგაკმენდილი მოუჯდა.

კარგა ხანს გასტანა ამ მდგომარეობამ, მაგრამ არც ავადმყოფი მოდიოდა გონსა და არც მოძღვარს მოსწყენია მზრუნველობით ყურება. ონოფრე იჯდა დაფიქრებული და მდუმარებით სავსე თვალებით ჩასცქეროდა მწოლარის სახეს; ხანდისხან წყნარად მიიტანდა ავადმყოფის გახურებულს შუბლთან ხელს და მშობლიურის მზრუნველობით წარმოსთქვამდა:

— მადლობა ღმერთს!.. ციებამ გაუარა და სიცხე კი ძალიან ძლიერი არა აქვს...

ცოტა ხანს შემდეგ ავადმყოფმა მოუსვენრობა დაიწყო და მოძღვარმა საჩქაროდ შუბლზედ ხელი დაადო; სახე რაოდენადმე შეეჭმუხნა, აღშფოთება დაეტყო და წყნარად წარმოსთქვა:

— სიცხემ მოუმატა, მაგრამ არა უშავს-რა, ოფლი მოუვიდა, — ცოტა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იმან და ხვირთქლად გადმონადენი ჭირის ნაკადული გადასწმინდა.

ავადმყოფს, უეჭველია, რაღაცა აწუხებდა, ელანდებოდა, რადგანაც სახის გამომეტყველება განუწყვეტლივ ეცვლებოდა და ტუჩებს ხან სიამოვნების ღიმილი, ხან წარმოუთქმელის ტანჯვის გრძნობა დასთამაშებდა. ბოლოს რამოდენადმე გააღო პირი, ტუჩები აუთამაშდა და მოძრაობა დაიწყო, თითქოს ლაპარაკს აპირებსო. მოისმა ჩურჩული რაღაცა გაუგებარის სიტყვებისა და სმენად გადაქცეულმა მოხუცმა ყური ავადმყოფის ტუჩებს მიუახლოვა.

გამეორდა ჩურჩული და მოხუცი შეკრთა, თუმცა ვერც ყურის მოშორება მოახერხა და ვერც წამოდგა.

— მაყვალა, მაყვალა! — აშკარად გაარჩია მოხუცმა.

ონოფრე გველის ნაკბენსავით წამოვარდა, გაფითრდა და ისე გაშეშებული დარჩა.

ამ სახელის გაგონებამ მწარე ფიქრები აღუძრა თავში და მეტისმეტად შხამიანი მახვილი შაეხო მის გულს.

უცხო კაცი, ამ მდგომარეობაში მყოფი, ახსენებდა მაყვალას სახელს, იმ მაყვალას სახელს, რომელმაც ისე ბეჩავად, შეუწყნარებლად დალია სული! ვინ იყო ეს კაცი? რა იყო საერთო უბედურის და უცნობის სახელში კავშირი, — ამის გადაწყვეტა მოძღვრისთვის ადვილი არ იყო, მაგრამ გული კი მოუსვენრად უცემდა და თითქოს რაღაცა წარმოუდგენელს უბედურების გაგონებას ეჭადოდა.

— იქნება ეს არის?! — ერთბაშად გაუელვა მოხუცს თავში, დაეცა მუხლებზედ და, მთლად სმენად გადაქცეული, ავადმყოფს დააკვდა; მაგრამ დაჭრილი დამშვიდებულიყო, გაჩუმებულიყო და თანასწორის სუნთქვით განსვენებას ეძლეოდა. ერთი სიტყვა, ერთი ამოოხვრა არ გაუგონია ონოფრეს, რომელსაც ეჭვის ან გამართლება, ან გამტყუვნება შესძლებოდა და ისე კი სწყუროდა მისი გაგება!

ბოლოს ინანა იმგვარი მძიმე ეჭვის მიტანა იმ კაცზედ, რომლის გასამტყუნებლადაც არავითარი საბუთი არა ჰქონდა და უბედურის შესახებ აზრი მხოლოდ სიცხემორეულის ავადმყოფის ბოდვაზედ დაეფუძნებინა.

შეინანა, მხოლოდ ფიქრიც კი მიუტევებელს ცოდვად ჩასთვალა. დაიჩოქა, აღაპყრო ხელები ცისკენ და გრძნობით წარმოსთქვა:

— მეუფეო, შემინდევ, რამეთუ კაცი ვარ.

XVII

ღამის წყვდიადისთვის განთიადს ნისკარტი ეკრა და ფერი ეცვლევინებინა; წუნარი, დაშვიდებული, სიო წინამორბედი განთიადისა, წყნარად არხევდა და აღვიძებდა მინდვრის კეკლუცთ; ტკბილად ჩასჩურჩულებდა და ამზადებდა დღის დამამშვენებელის დასახვედრად. ცა მტრედის ფრად მოქცეულიყო და მიდამოს ნაზის შუქით გადმოჰფენოდა. ფრინველნი, ჯერ კიდევ ძილით მოცულნი, დღის მოლოდინით ჰკრთებოდნენ, სიო-ნაგრძნობნი შეჟრჟოლდებოდნენ, იბერტყებოდნენ და დროგამოშვებით სტვენით შეჰყეფდნენ შემოქმედს.

მოძღვარი ისევ იმ ადგილს თავშიშველი და თმა-გაწეწილი იდგა, ისევ ღმერთს ევედრებოდა, რომ მოეტევებინა მისთვის მიზეზ-მიუცემლად იმ მადალის ღირსების შეხება, რომელიც კაცის პირადობას ეკუთვნის. მოძღვარი თავის თავს დამნაშავედა ჰგრძნობდა და სამზღვარი არ ჰქონდა მის მოცადინეობას, რომ შეცდომა გამოესყიდა. ავადმყოფი, რომელიც ისევ იმ ადგილს იწვა, სადაც მოძღვარმა ნაბადი დახურა, ერთბაშად შეინძრა და თვალი გაახილა.

— სადა ვარ? — წარმოსთქვა იმან და იქაურობა მოათვალიერა.

— აქა ხარ, შვილო, აქა! — მიაშურა მოძღვარმა და დაუმატა: — ჩემთან, შენს სულიერს მამასთან, რომელიც გვერდითა გყავს და ზრუნავს შენთვის.

— მღვდელი! — წარმოსთქვა იმან და ისევ თვალები დახუჭა.

— მღვდელი კი არა, შვილო! ძმა და მამა, რომელსაც თავი შენთვის და შენის სამსახურისთვის მიუცია.

დაჭრილმა ისევ გაახილა თვალები და მადლობით ყურება დაუწყო.

— ჰო, ჰო! — წარმოსთქვა მთიელმა,—მახსოვს, მახსოვს... მართალია, ძმა ხარ, მამა და გული მიჩუყდების შენს ხმაზედ... იმედი მეძლევის.

— როგორა ხარ, შვილო?

— გონჯად, — ბეჩავად წარმოსთქვა დაჭრილმა.

— რადა, რადა?.. უკეთობა გეტყობა!

— გონჯადაც იმადა ვარ, რომ უკეთობა მეტყობა!.. რაი სასიცოცხლე ვიყავ, დვთის მადლსა!

— რათ ამბობ მაგას, რათა, შვილო?.. მაგ სიტყვებით ხომ ღმერთს აწყუინებ.

— სიცოცხლით რაღას ვაამებ?

— თუ ეხლა არა, შემდეგში შეგიძლიან აამო.

— შემდეგში? — იკითხა იმან და მწარედ ჩაიცინა, — შემდეგში! ეჰ, ჰე, ჰე, ჰე!

დაჭრილი გაჩუმდა და მოძღვარსაც ღლარა უთქვამს-რა, ორივე თითქოს ერთმანერთს ელოდნენ, რომ ლაპარაკი დაეწყოთ, თუმცა ორთავეს გული სავსე ჰქონდა ლაპარაკის დაწყების წადილით.

— გუშინა... გუშინ დამპირდი... — გაჭირვებით და ქშენით დაიწყო უცნობმა, მაგრამ ვეღარ გაათავა და გაჩუმდა.

აშკარად ეტყობოდა მთიელს, რომ სურვილის წარმოთქმა უძნელდებოდა და გაუბედაობა კი პირში სიტყვას აწყვეტინებდა.

— რას დაგპირდი, შვილო?.. მითხარ, ნუ მერიდები. — დამყვავებელის და ტკბილის ხმით გაამხნევა მოძღვარმა.

— დამპირდი, რომ... — შესდგა მთიელი, მაგრამ მაშინვე, თუმცა ჩუმად, მაგრამ მტკიცედ და მკაფიოდ დაუმატა: — დამპირდი, რომ მაზიარებდი.

— მართალი ხარ, შვილო! დაგპირდი... მე მინდოდა გუშინვე აღმესრულებინა შენი სურვილი, რადგანაც საშიშს მდგომარეობაში იყავი, მაგრამ მეტისმეტმა დასუსტებამ ძილი მოგგვარა და ჩემი განზრახვა აუსრულებელი დარჩა...

— დღესა, დღესა, მამაო? — აჩქარდა ავადმყოფი, გაუბრწყინდა თვალები და აჩქარებულმა ქშენამ მოუთმენლობა დაატყო.

— დღეს გაზიარებ, შვილო... ღმერთმა უკედ განსაჯოს, რომ დღემდის დაგვაცდევინა.

— როგორ?

— დასუსტებულს მოგცა განსვენება, სული დაგიმშვიდა და ღონე მოიკრიბე... დღეს ალსარებასაც მეტყვი.

— ალსარება? — ერთბაშად წამოიძახა ონისემ, გაფითრდა და სახეზედ ხელი დაიფარა.

— რა არის, შვილო, რა მოგივიდა?

— უნდა ყველაფერი გითხრა, უნდა ჩემის პირით გიამბო?

— მე კი არ უნდა მითხრა, ზეციერ მამას უნდა გაუხსნა შენი გული, შვილო!.. მე მხოლოდ მოწამე ვარ და შუამდგომელი.

— არ შემიძლიან! — მწარის ამოქშენით ძლივს წარმოსთქვა ავადმყოფმა და სულიერმა ბრძოლამ სახე დაუპრანჭა. — მომკალ, გული გალახვრე და ვერ ვიტყვი!.. — კარგა სიჩუმის შემდეგ დაუმატა იმან.

— შვილო! ცოდო გამქლავნებული სჯობს, — უთხრა მოძღვარმა და დაუმატა: — ან რასა მალავ მის წინაშე, ვინც ყველას გულის მხილველია...

— არ შემიძლია, არა! — პირზედ ხელის დაფარებით გაიმეორა უცნობმა და ხმაში ცრემლების მორევა დაეტყო, — მოგონებაც კი სულსა მხდის, ღვთის მადლმა, და ლაპარაკი რაიღა იქნების!

— შვილო! არა არის საიდუმლო, რომელი არა გამოცხადდეს... შენს წინა დგას მოძღვარი, მზრუნველი შენის სულისთვის... რაი უწამლოს ექიმმა, თუ მიზეზი სნეულებისა არ უწყის?..

— მართალია, მაგრამ რაი ვქნა, რო მიძნელდების?!

მოძღვარი დააცქერდა და, სახეგაბრწყინვებულს თვალებმა ლაპლაპი დაუწყო; მას რალაცა ცვლილება დაეტყო და რწმუნებით აღტაცებულმა დიდებულებამ ძლევამოსილად გაჰხადა. თვით ხმაც კი შეეცვალა: მოურბილდა და მიმღხობელ-სანდო გაუხდა. ნაზი, წყნარი და მომხიბლავი კილო მოძღვრისა იმავე დროს იყო ხმა დიდებულისა, ძლევამოსილისა, რომელიც იმორჩილებს ქვეყანას, თავს ადრეკინებს დიდსა თუ პატარას და

დამთრგუნველი უსამართლობისა მაღალის რწმუნების ლამპარს გულში აღუგზნებს.

— შვილო! — წარმოსთქვა მოძღვარმა, რა რაოდენსამე ხანს გაჩუმდა.

მომაკვდავს დამსგავსებული, დავრდომილი, ძალას და ღონეს მოკლებული ავადმყოფი შეკრთა, მან გაიგონა ხმა, რომელმაც ყურს მშობლურად უალერსა, გულს საიმედო რწმუნება აგრძნობინა და დაიმორჩილა. ის ჩავარდა იმ გამოურკვევს მდგომარეობაში, როდესაც კაცი უანგაროდ ეძლევა რომელსამე გრძნობას და ანგარიშმიუცემლად ემორჩილება ხმის ძალას, მის ღვთაებრიობას... ავადმყოფმა იგრძნო, რომ ამ ერთს, ერთადერთს სიტყვას, წარმოთქმულს გულის სიწრფელით და ძლევამოსილებით, მის არსებაზედ გავლენა ჰქონდა, გავლენა განუსაზღვრელის ძლიერებისა.

— შვილო! — განიმეორა მოძღვარმა და განაგრძო: —გაუხსენ გული ძმასა და მამას, რომელიც შენს ტკივილში ჰგრძნობს თავის ტკივილს და შენს მწუხარებაში ხედავს თავის მწუხარებას; გაუხსენ, შვილო, გული, გაუხსენ მას, რომელიც შენს განშორების დროსაც შენთან არის და შენთან ერთადა ჰგრძნობს სატანჯველს, გმინვას გულისას და გოდებას შეწუხებულის სულისას... ირწმუნენ! შვილნო და ძმანო!.. ირწმუნენ, ფარისეველნო და ურწმუნონო, რომ ვისიც გული ერთხელ იგრძნობს მოძმეთ სიყვარულის დიდებულებას, მისი გული საუკუნოდ გადაებმის ხალხის გულს, გადაებმის და მას შემდეგ ყოველი დაკვნესება მათი სახმილის ცეცხლად გაისმის მათთან დაკავშირებულის გულში, ყოველი ტკივილი თვითეულისა მძაფრად მოედება მათთვის თავგადადებულს... ირწმუნე შენცა, შვილო, და გამიხსენ გული, რამეთუ შენთან ერთად მეცა ვგრძნობ განუქრობელს ცეცხლს, მეც ვიტანჯები და სული მიშფოთავს!.. გამიხსენ გული, შვილო!.. რამეთუ შენს წინაშე დღეს მე ვარ უზენაესის მაგიერ; მიყვარხარ მისგან მოძღვრებულის სიყვარულით და მისის სახელით შემიძლიან სულს მივცე შვება და გულს — მოსვენება... ირწმუნე, რამეთუ შევუდექ უფალსა და მით დაგიახლოვდი!

— მღვდელო, მღვდელო! — კარგა ხანს სხვა ვეღარა მოახერხა-რა დაჭრილმა, რომელსაც მდუღარება გადმოსდიოდა,—

რაი გიყო, რითი გადგიხადო ბეჩავმა მაგ სიტყვებისთვის?!. ბეჩავს ონისეს ერთი სიცოცხლე-ღა შერჩენია და შენამც მტლედ დაგედების!..

— ონისე?! — შეკრთა მოძღვარი და გონება ერთს წუთში ათას მოგონებას შაეხო: — ონისე... მაყვალა... — გადუბმელად წარმოსთქვა მოძღვარმა და ღრმა საგონებელში წავიდა.

მას მოაგონდა უცნობის წუხანდელი ბოდვა, როდესაც მან მაყვალას სახელი ახსენა; მოაგონდა ისევ სურათი ამ ქალის მოკვლისა, მოაგონდა მთელი ჯოჯოხეთი, რომელიც გამოიარა ამ შემთხვევის დროს და გულმა ისევ კვნესა დაუწყო. შემდეგ გაახსენდა წუხანდელი ეჭვი, რომლისთვისაც თავი გაიკანონა და მთელი ღამე მოსანანიებელს ლოცვაში გაატარა; მოაგონდა და ამ აზრმა დღესაც ისევ გონებაში გაურბინა, ისევ მოუსვენარი ეჭვი გულს შემოეხვია და უწყალოდ ღრღნა დაუწყო.

კარგა სიჩუმის შემდეგ მოძღვრის მოძრავი სახე, რომელიც ამ დუმილის დროს წამდაუწუმ იცვლებოდა, დამშვიდდა. მოხუცმა ამოიოხრა, რამდენჯერმე გადისვა შუბლზედ ხელი, გადაიწმინდა ხვირთქლად გადმოდენილი ჭირის ნაკადული და მივიდა ონისესთან, რომელიც უცრემლოდა ქვითინებდა და წარმოუდგენელს მწუხარებაში იყო. მოძღვარმა მოჰკიდა ხელი, აუღო თავი და წყნარად უთხრა:

— შვილო, მე გავიგონე შენი სახელი და, როგორც კაცს, მეშინიან შენის ამბის შეტყობისა... მაგრამ ვინ მისწვდება ზეციერის მამის ლმობიერებას!.. სთქვი, სთქვი შენი აღსარება.

ონისე შეკრთა, აღელდა და მცირე სიჩუმის შემდეგ საჩქაროდ და წარმოუთქმელის აღშფოთებით ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო.

ჩამოვარდა სიჩუმე, იქაურობა მოიცვა იდუმალებამ. ონისეს თავი დაეხარა და მთლად თავის საგონებელს მისცემოდა. მოხუცის სახე არა ჩნდა, რადგანაც მის წინ მყოფს ქვაზედ დაედო თავი და ისე მოისმენდა უბედურის გულის პასუხს. აშკარადა სჩანდა, რომ აქ რაღაცა განსაკუთრებითი დიდებული, განსაკუთრებითი ძლიერი ხდებოდა და მის სიძლიერის წინაშე ყველა გაჩქურებულიყო, ყველას თავი მოეხარა... თვით დილის ნიავიც კი შემდგარიყო, რომ საიდუმლოების იდუმალება

არ შაერყია, უნებლიედ მოტაცებული სიტყვა უცაბედად მთასთან, ხესთან, ყვავილთანაც არის არ მიეტანა და მით არ დაერღვია აღსარების საიდუმლოების დიდებულება.

ამ სახით მოძღვარი ისმენდა ონისეს მოქმედების ამბავს და, როგორც მოძღვარს, ესმოდა მხოლოდ მისთვის, რომ ერთადერთს უზენაესისთვის გადასაცემად ხსომებოდა. ამ წუთებში ონოფრე ჩვეულებრივი მომაკვდავი არ იყო აქა და მისგან მოსმენილი კაცთათვის გამჟღავნებული ვერ შეიქმნებოდა.

ყოველი სიტყვა, ყოველი ხმის ამოღება ონისესი, ეტყობოდა, რომ მოძღვრის გულს გახურებულს შანთად ეხებოდა; სწვამდა, სდგამდა და წარმოუდგენელს ტკივილს აგრძნობინებდა, ხანდისხან მოხუცს ისე ძლიერად მოხვდებოდა ონისესგან წარმოთქმული სიტყვა, რომ შემკრთალი ცახცახს დაიწყებდა.

კარგა ხანი იყო, რაც გაათავა მთიელმა თავისი საიდუმლო, კარგა ხანი ელოდა დამამშვიდებელს მოძღვრის ხმას, მაგრამ მოხუცი ისევ ისე იდგა გაუნძრევლად, თითქოს ქვიდგან გამოჭრილი სურათი არისო.

ბოლოს ონოფრემ აიღო თავი და პირისახე გამოუჩნდა. ძდუღარე ცრემლს დაელორთხა მწუხარებით და ზრუნვით დაღარული ღაწვები და გაფითრებულს სახეს განუსაზღვრელის ტანჯვის ბეჭედი დასდებოდა.

რა უთხრა ონისემ, რა შეატყობინა მოძღვარს, ეს ყველასთვის საიდუმლოდ დარჩა, მხოლოდ საქმის სიმძიმის მიზეზით მოძღვარი პირველად დააფიქრა ამ კითხვამ: ჰქონდა მას შენდობის უფლება, თუ არა?

— საბრალოვ, რა ჰქენ? — პირველად მიეცა მოძღვარი თავდავიწყებას, მაგრამ მაშინვე თავი შეიკავა და გადაიქცა იმად, რადაც უნდა ყოფილიყო. ონისეს წინ იდგა მზრუნველი დავრდომილთათვის და გულშემატკივარი მლოცველი უბედურთათვის. ის აღსრულებდა უწმინდესს წესს ქრისტიანობისას და აგონებდა იესო ჯვარცმულს, რომელმაც დაანთხია სისხლი და განუტევა სული ტანჯულთა და შეწუხებულთათვის.

როდესაც მოძღვარმა ჩვეულებრივი წესი წმინდა საიდუმლოს მიღებისა გაათავა, გაბრწყინებულის სახით მივიდა ონისესთან და გულითადის თანაგრძნობით ცხოვრებისთვის ახალის გზის ამორჩევა მიულოცა.

— შვილო! გახსოვდეს დღევანდელი დღე, — უთხრა იმან დამრიგებლის ხმით, — დღეს დაკარგული გპოვა ზეციერმა მამამ და მისი გული ხარობს, რომ დაუბრუნდი განბანილი ცრემლით და განწმენდილი შენანებით... ეცადე დღეიდგან არ დაივიწყო შენი მეუფე, რომელიც ზრუნავს შენთვის და ძალას მოგცემს; რომ კაცად გაჩენილმა კაცის მოვალეობა შეასრულო მომავალში... დღეის შემდეგ აჰყვავდეს ხე და გამოსცეს ნაყოფი ჭეშმარიტებისა...

— მამაო, მამაო! — წარმოსთქვა ონისემ, რომელიც ჯერ კიდევ ვერ დამშვიდებულიყო და დასვენება ეჭირვებოდა, — კარგი ხარ, კარგს მეუბნები, ღვთის მადლმა, და ონისე მოკვდების შენთვის.

რამდენადაც მოხუცი ტკბილად, დაწყნარებით და სიყვარულ-ალერსიანად ელაპარაკებოდა, იმდენად ონისეს გული ჩვილდებოდა და მორჩილი ხდებოდა; მაგრამ მასთანვე ერთად წარმოუდგენელს აღშფოთებას და ტკივილსა ჰგრძნობდა. მთიელის აზრით, თავის დანაშაულისათვის ყოველგვარის გადახდევინების ღირსი იყო, ჰფიქრობდა, რომ ყოველ კაცს მასთან მიკარება უნდა ზიზღებოდა და დღეს კი მის წინ იდგა ფრიად პატივსაცემი მოხუცი, გაბრწყინვებული ციურის სხივით, დიდებულის და ძლევამოსილის გამომეტყველებით, რომელიც მშობლიურად ექცეოდა, კაცადა სთვლიდა და განუსაზღვრელს სიყვარულს უცხადებდა.

რითი დაიმსახურა ამგვარი მოპყრობა ყოვლად ღვთიურის კაცისა — კარგად ვერ შეეგნო ონისეს და სწორედ ამისთვის მოძღვრის მოქმედება ერთსა და იმავე დროს წარმოუთქმელს ნეტარებასაც აგრძნობინებდა და სულის შემტაცებელს ტკივილსაც.

იმ წუთებში ონისესთვის ბევრად უფრო ადვილი ასატანი იყო—გაეგონა კიცხვა, ჯავრობა, გადახდევინების ქადილი, რადგანაც თვით მისი გული ჰკიცხავდა თავის საქციელს. ონისე ჩვეულებრივი კაცი იყო, ჩვეულებრივს პირობაში აღზრდილი და, როგორც უმეტესობას, მასაც არ ესმოდა დიდებულება მიტევებისა, ნაყოფი მისგან გამოცემული.

— შვილო!.. ახლა მოსვენება გეჭირვება, უფალმა იზრუნა შენთვის და პირველს თავშესაფარებლად ჩემთან გაგიჩინა

ბინა!.. წავიდეთ, შვილო, ჩემს ქოხში... დაასვენე ხორცი და სული... ვიცხოვროთ ერთად, ერთადვე ვეცადნეთ აღძრულის გრძნობის შემაგრებას და ერთად ვილოცოთ ხოლმე. როდესაც მოკეთდები, ძალა და ღონე მოგეცემა, დაგილოცავ გზასა, შვილო, და წადი... წადი, სადაც გინდა, საითაც გული გაგებრძოლება... ქვეყანა დიდია და ადგილს ყველგან იშოვნი, მაგრამ ერთი გახსოვდეს... გახსოვდეს ყველგან და ყოველ ჟამს... სადაც უნდა იყო, როგორც უნდა იყო... უბრალო დღიური ლუკმის მუშად რომ დარჩე, თუ შეიქნე მბრძანებელი მბრძანებელთა ზედა, — ნუ დაივიწყებ, რომ კაცი ხარ და შენს გარს მყოფნიც შენისთანავე კაცები არიან!.. შენსავით მათაც გული აქვთ, რომელიც შენს გულსავით მოძრაობს, შენს გულსავით ჰგრძნობს... დაიხსომე სიტყვა და განახორციელე იგი... „მოგვიტევენ ჩვენ თანანადებნი ჩვენნი, ვითარცა ჩვენცა მიუტევებთ თანანადებთა მათ ჩვენთა...“

ამ მოძღვრობის დროს, ვიდრე ენამჭევრის და ტკბილმოსაუბრის მოძღვრის სიტყვები ტკბილად, წყალსავით მომდინარებდა, ონისე აღტაცებით ყურს უგდებდა. ყველაფერი გადავიწყებოდა და საღმრთო კანონთა შესწავლას მისცემოდა, იმ საღმრთო კანონთა, რომელშიც იმდენი კაცობრიობა გამოითქმოდა. მაგრამ, როდესაც ონოფრე გაჩუმდა და მთიელი თავის ქოხისკენ მიიწვია, ონისეს მღელვარება დაეტყო, თავი დახარა და მთრთოლარეს ხელებით ჩოხის კალთას ძებნა დაუწყო.

— წავიდეთ, შვილო! — გაუმეორა მოძღვარმა.

— ვერ წამოვალ. — წყნარად წარმოსთქვა ონისემ და ისევ გაჩუმდა.

— რას ამბობ? — გაუკვირდა მოხუცს. — რატომ ვერ წამოხვალ?

— არ ვიცი, არა, შენაი ჭირაიმე! მაგრამ, ღვთის მადლმა, ვერ წამოვალ, — მიუგო მთიელმა და ხმაში ისეთი მუდარა დაეტყო, რომ მოძღვარს შაებრალა.

— იქნება მე მერიდები?

— მოკვდეს ონისე, თუ შენ გერიდებოდეს! — ისეთის გულის სიწრფელით წამოიძახა იმან, რომ ონოფრეს ეჭვი სრულიად მოუსპო.

— მაშ რატომ არ მოდიხარ? — წუთის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ისევ მოხუცმა.

— იმიტომ... — შესდგა ონისე და მაშინვე ისევ აჩქარებით და ნაწყვეტ-ნაწყვეტად დაიწყო: — არ შემიძლიან... არ იქნების, მარტოდ დარჩენა მინდის!

ონოფრე დააცქერდა და კარგა ხანს ასე უყურებდა. ონისეს თავი დახრილი ჰქონდა, თვალები დაშვებული და, თუმცა მოძღვარს ვერა ხედავდა, მაგრამ აშკარად კი ჰგრძნობდა მის ცქერას და თვალების ძალას.

— სად წახვალ? — ბოლოს ჰკითხა ონოფრემ.

— აქავ, მთებში.

— რა გაცხოვრებს, ონისე, რა?

— ნადირი ბევრია... ვინადირებ და ვიცხოვრებ...

— იქამდის მაინც დარჩი, სანამ მოკეთდები.

— რაი მიჭირს, შენაი ჭირაიმე!.. ბატარაი სისხლმა დამასუსტა და ორს დღეს კარგად შევიქნები...

— მაგ ორ დღეს მაინც დარჩი.

— შენაი ჭირაიმე! — დაუჭირა ხელები მოძღვარს და ხვეწნით ლოშნა დაუწყო. — ნუ, ნუ მეტყვი... თუ კიდევ მითხარ, შენს სიტყვას ვერ წაუვალ... გული კი მელევის, სკდების და მეც ბეჩავი ვარ!.. გამიშვი, მთად წავიდე... ბატარა ხანს მარტოდ ვიქნები, ვინადირებ... ჯიხვს მოვკლავ... გულს გადავაყოლებ... ღვთის მადლმა, შენთანაც ჩამოვალ ხოლმე... გული უშენობასაც ვეღარ გაძლებს... გამიშვი, გამიშვი, ნუ მიჭერ, აგრემც შენთვის ჩამოვდნები...

— შენ იცი! — ოხვრით უპასუხა მოხუცმა და დაუმატა:— „საგძარი“ მაინც წაიღე.

— არა მინდა-რა, ღვთის მადლმა.

— არ შეიძლება, უნდა წაიღო, თუ ჩემი წყეინება არ გინდა.

— აუ!.. შენი ნებაა.

მოხუცმა მთელი გუდა აუვსო საგძრით, აჰკიდა და უკანასკნელად უთხრა:

— წადი, ონისე, წადი, არ გიჭერ, მაგრამ თუ ხშირად არა მნახე ხოლმე, იცოდე, ძალიან, ძალიან მაწყენინებ... ეს გული შენია და ნუ დააჯავრებ.

— ონისე მოკვდეს, თუ კვირაში ორჯერ არ გნახო! — უპასუხა მთიელმა და დაიჩოქა. — დამლოცე.

მოძღვარმა დაადო თავზედ ხელი და მტკიცედ წარმოსთქვა:

— მეუფეო, აჰა, შენანებული და დაბრუნებული შენს წინაშე! ნუ არიდებ მოწყალე თვალსა... ნუ მოაკლებ შენს მფარველობას... მიეც მეტი ძალა, რათა ადიდოს სახელი შენი და შეიძლოს ხალხსა და ქვეყანას ემსახუროს.

ონისე ემთხვია ხელზედ და წყნარის სიარულით განშორდა. მოძღვარი კი კარგა ხანს უყურებდა მიმავალს და მხოლოდ მაშინ გამობრუნდა, როდესაც მთიელი ქედს გადაეფარა.

— ბეჩავი!.. მართლაც ძნელი იყო იმისთვის ქ ცხოვრება! — წარმოსთქვა მოხუცმა და სახლისკენ გასწია.

XVIII

ონისესთან განშორების შემდეგ მოძღვარი ჩვეულებრივზედ მეტად დაფიქრდა, დაღონდა; აშკარად დაეტყო, რომ გონებას რაღაცა განსაკუთრებული დუმილი უმღელვარებდა. ისიც ხშირად მლოცველმა, ეხლა კიდევ უფრო მოუმატა ღვთის ვედრებას და მთელი ღამეები ჯვარცმის წინ დაჩოქილი გულმხურვალე ვედრებაში ატარებდა ხოლმე.

აშკარადა სჩანდა, რომ მაზედ ემოქმედნა ონისეს აღსარებას და მისგან აღიარებული ბევრს ზრუნვას, მოაზრებას და გამორკვევას ითხოვდა. უეჭველია, მთიელისგან ნათქვამი მეტად მძიმე და ძნელი რამ უნდა ყოფილიყო და მის მისატევებლად მოხუცის გული ლოცვას და ძალის მოპოებას საჭიროებდა.

მოძღვარს კარგად ესმოდა, რომ ცოდვათა მისატევებლად, სულის დასამშვიდებლად და ხასიათის გასამაგრებლად მხოლოდ აღსარების თქმა და წმინდა საიდუმლოს მიღება არა კმაროდა; გამოცდილი და ნიჭიერი, მცოდნე კაცის გულისა, მოწაფეს მხოლოდ მაშინ ანებებდა თავსა და თავისუფალ ცხოვრების ნებას აძლევდა, როდესაც სრულიად დარწმუნდებოდა, რომ ერთხელ გრძნობას მოსულმა, არამც თუ გაიგონა მაღალი სწავლა და კაცის მოვალეობა, არამედ სრულიად შთაიგონა,

რწმუნებად გადაექცა და ძვალსა და რბილში გაუჯდა. უამისოდ მას არ ესმოდა მაღალი მნიშვნელობა და სარგებლობა არც ერთის საქრისტიანოს მაღალთა დებულებათა და დარწმუნებული იყო, რომ ყოველი გვარი წესის აღსრულება უნაყოფოდ დარჩებოდა.

ის იყო ექიმი სულით დავრდომილთა და თავის ავადმყოფს დამშვიდებულად ჩასთვლიდა მხოლოდ მაშინ, როდესაც სრულიად განკურნვილს იხილავდა, როდესაც სენმორეულს მსხვერპლს სრულიად განთავისუფლებულს იხილავდა.

მოძღვარი ონისეს თუმცა გრძნობაზედ მოსულს ხედავდა, დარწმუნებული იყო, რომ ყოველი ამოსუნთქვა, ყოველი სიტყვა, ყოველი შენანება იყო ნაყოფი გულის სიწრფელისა, მაგრამ მასთანვე ისიც იცოდა, რომ მთიელს ბევრი სატანჯველი გამოევლო, გულის ტრიალი და მოუსვენრობა ენახა, ბრძოლასა და სინანულს მისი სული და სხეული მეტად დაეჩაგრა, დაესუსტებინა და ამ ყოფაში მყოფს კი ათასს შემთხვევასთან ბრძოლისთვის კარგა ხანს წამლობა ეჭირვებოდა.

ონოფრეს უნდოდა ავადმყოფის სიახლოე, რომ მის ცხოვრებისთვის თვალი არ მოეშორებინა, მშობლიურის მზრუნველობით და მოვლით გაემაგრებინა სხეული და მხოლოდ მაშინ დაენებებინა თავი, გაეშვა თავისუფლად, როდესაც ბრძოლისთვის სრულიად მომზადებული შეიქნებოდა, როდესაც შესძლებდა ცხოვრების შეუბრალებელ ტალღებს მტკიცედ დახვედროდა, მასთან ბრძოლას მოახერხებდა.

ონისემ არ იკისრა მოძღვართან ცხოვრება, უარჰყო მისი წინადადება და ალბათ მიზეზიც ჰქონდა რამე, — მაგრამ ამან აღაშფოთა უბედურთათვის მზრუნველი, მათს შეწუხებისათვის გულმტკივნეული.

ყოველთვის ამგვარის ფიქრების შემდეგ მტკიცეს და ბეჯითს ონოფრეს, კაცს, რომელსაც ძალა ჰქონდა და გრძნობდა თავის სიძლიერეს, რწმუნება ისევ უბრუნდებოდა და იმედი ხელახლად ეძლეოდა. ის ამბობდა: „არ ინებებს უფალი, რომ ერთხელ გრძნობაზედ მოსული ხელახლად განიშოროს და განსაცდელში ჩააგდოს! ერთხელ გრძნობას მოსულს გზა ხელახლად დააკარგვინოს და განსაცდელს მისცეს!“ და იმედმოცემული გავიდოდა წყაროსთან, სადაც მოწაფეს მოთმინებით ელ-

ოდა ხოლმე. ონისემ არ მოატყუა მისი მოლოდინი, ჰთიელი ყოველს დანიშნულს დროს იქ დახვდებოდა და მოწიწებით სთხოვდა შენდობას და ლოცვა-კურთხევას.

მოხუცი აღტაცებით უქადაგებდა, სიყვარულიანად ესაუბრებოდა და მოლაპარაკების შემდეგ დაყვავებულს დაიოხოვდა.

როდესაც ისინი ერთად შეიყრებოდნენ, კაცი ვერ გაარჩევდა, რომელი იყო მათში უფროსი, რადგანაც აქ არც მბრძანებელის კილო ისმოდა და არც დამონებულის, შეშინებულის პასუხი. მოხუცი უამბობდა, მოჰყვანდა მაგალითები, უხსნიდა მთიელისთვის ძნელად გასაგებსა და ცხოვრების მოქლენათა სხვადასხვაგვარის მოაზრებით ურკვევდა, მაგრამ იმას კი არასოდეს არა ცდილობდა, რომ რომელიმე აზრი, შეხედულება მსმენელისთვის გაუგებრად თავს მოეხვია; არამც თუ ამას მოძღვარი არა ცდილობდა, არამედ ყოველ ღონისძიებას ხმარობდა, მოწაფე სასაუბროდ გამოეწვია, გაეგო მისი შეხედულება შესახებ იმ საგნისა, რომელზედაც ელაპარაკებოდა. და ყოველს საშუალებას ხმარობდა აზრი გამოერკვია, გასაგები გაეხადა და მისი მიღება სრულის გაგებით მოეხდინა. ისინი ლაპარაკის დროს გეჩვენებოდნენ მამად და შვილად, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არც ერთი მათგანი მეორეზედ არავითარს უფლებას არ იჩენდა და, თუ ერთი ჩაგონების მზრუნველობაში იყო, მეორე შეგნებას სრულის ყურადღებით მეცადინეობდა.

ონისე ყოველს ორს, სამს დღეში ერთხელ ჩამოდიოდა მოძღვართან და, როგორც კარგს მეთოფურს, ურიცხვი ნანადირევი ჩამოჰქონდა. ონოფრე სიამოვნებით მიიღებდა და, — რადგანაც ლორებს და ძეხვებს უმზადებდა ზამთრისაგან ანუ სხვა რომელიმე შემთხვევით გაჭირებულ მგზავრებს, — უხაროდა, რომ მთიელი, რითიც შეიძლო, ხალხს ემსახურებოდა და თავის ნაშრომს შეწუხებულთ უზიარებდა.

მთიელსაც ერთხელ არ გაუტარებია გულში, რომ მოძღვართან სასყიდელი მიჰქონდა; არამც თუ ამას არა ფიქრობდა, არამედ გულითადს სიხარულს ეძლეოდა, რომ თუმცა მცირედით, მაგრამ მაინც თავის ოფლით ნაშოვნი გაჭირვებულთ შემსუბუქებას აძლევდა. მთიელის ცხოვრების შესახებ მოძღვრის შეხედულება სარდუმლო არ იყო, რადგანაც მოძღვარი

პირდაპირ ეუბნებოდა, რომ იმისი მოქმედება ქვეყნის სამსახური იყო და ეს გარემოება ონისეს ძალას უმატებდა და ამხნევებდა.

რასაკვირველია, რომ ამგვარის რწმუნების გაღვივება იმედგადაწყვეტილის არსებისთვის მცირე სანუგეშოდ არ იყო, მცირე შემწეობას არ აძლევდა. დარწმუნებული იყო, რომ ქვეყნად ამაოდ არა გდია, მისი არსება უქმი და უნაყოფო არ არის და, ერთხელ კეთილის ჩამდენს, მომავლისთვის გული უხალისდებოდა.

სიტყვით, მოძღვრის შიში ონისეს მომავლის შესახებ თითქმის სრულიად გაიფანტა და მზრუნველი გული დაკმაყოფილდა ონისეს საქციელით.

ერთადერთი შემთხვევა იყო, რომელიც მოხუცს ხანდისხან კიდევ აღაშფოთებდა ხოლმე, მაგრამ ჰფიქრობდა, რომ დრო და ხანი მასაც სრულიად განაქარვებდა, გაანიავებდა და ჯერედ კიდევ მთიელის ჩვილს, თონთლო ბუნებას სრულიად აღადგენდა, გაამაგრებდა და წელში გამართამდა და მისი ცხოვრება ჩვეულებრივს მდინარეობას მიიღებდა; მაგრამ იმედი იმედათა რჩებოდა და ამ მხრივ უმჯობესობა თავს არ იჩენდა.

საქმე ის იყო, რომ ონისე, თუმცა დამშვიდდა, დაწყნარდა და უწინდელი აჩქარება აღარ ეტყობოდა, მაგრამ ყველა ეს კარგამყოფის კაცის თვისებას არ მიემსგავსებოდა და ყველაფერში გადაჭარბება ეტყობოდა. მუდამ დაფიქრებული და დაღვრემილი დადიოდა, მისგან გაღიმება არ შეიძლებოდა და ხშირად კრთებოდა, თითქოს ვიღაცამ შეაშინაო. სახეზე ფერი არ მოსდიოდა და მუდამ გაცრეცილს ხანდისხან თვალები აეშღვრეოდა, აზროვნობის, სიცოცხლის გამომეტყველება დაეკარგებოდა.

მოძღვრის გამოცდილს თვალს არ გამოეპარა ეს შემთხვევა, შეამჩნია არაჩვეულებრივი გაყუჩება და ხმაამოუღებელი დარდი, რომელიც გულს ბურუსსავით გარს ეხვეოდა და მის გასაფანტველად წამალი ვერ ეპოვნა. აშკარა იყო, რომ მის სულსა და გულში ზადი რომ უნდა დარჩენილიყო, რომელიც სწამლავდა, ნაღვლავდა და აჭლექებდა ონისეს არსებას... მაგრამ რა უნდა ყოფილიყო მიზეზი? ეს არ იცოდა მოხუცმა და მის გამოცნობისთვის ცოტას არა ფიქრობდა.

ონოფრე ხედავდა, რომ ონისეს რაღაც საიდუმლო ჰქონდა, კიდევ რაღაცა დარჩენილიყო, რომელსაც მის ცხოვრებაზედ გავლენა ჰქონდა. თითონ მალავდა ამ საიდუმლოს და მოძღვარს კი პირდაპირ დალაპარაკება არ უნდოდა, რომ საქმე არ წაეხდინა, მაგრამ ასე თავის მინებებაც არ შეიძლებოდა.

მოხუცი მოელოდა, რომ, დღეს თუ ხვალ, ონისე უეჭველად თითონ გაუხსნიდა გულსა და ყველაფერს შეატყობინებდა, მაგრამ ხანი მიდიოდა, მთიელი თანდათან დნებოდა და მწუხარების მიზეზს კი არ ამბობდა.

ონოფრემ ნახა, რომ მისი მოწაფე მეტად ჩამოიღია, თვალები ჩაუცვივდა, ხანგამოშვებით, ხან რაღაცა არაჩვეულებრივის ცეცხლით გაუბრწყინდებოდა, ხან სრულიად ჩაუქრებოდა, აემღვრეოდა და, სიცოცხლეს მოკლებული, უსაგნოდ დააცქერდებოდა რასმე. ამის გარედ დასჩემებოდა უმიზეზოდ სიტყვების წამოსროლა, რომელიც მათ ლაპარაკს არ შაეხებოდა და, უთავბოლოდ დარჩენილი, გაუგებარი ხდებოდა.

მოხუცმა შეხედა და იმ გადაწყვეტილებამდის მივიდა, რომ ამ კაცს თავის გულში თავის საკუთარი ცხოვრება გაუჩენია, თავადაც მას ჩაბრუნებია და მას შთაუნთქავს მთელი მისი არსება.

ონისეს ეჭირვებოდა მშველელი ხელი, რადგანაც ის იდგა უფსკრულის ნაპირზედ და ერთი, მხოლოდ ერთი ნაბიჯი-ღა ეყოფოდა, რომ სამუდამოდ შთანთქმულიყო.

მოძღვარი და მოწაფე წყაროს ნაპირას ისხდნენ და ორნივ გაჩუმებულიყვნენ, რადგანაც ონოფრე მთიელის მდგომარეობის შესახებ ფიქრით იყო გართული და ონისე კი, როგორცა სჩანდა, ცდილობდა თავისი მდგომარეობა მოძღვრისთვის არ შაემჩნევინებინა.

ონოფრეს შუბლი ხან იჭმუხვნებოდა, ხან ისევ იშლებოდა და აშკარად ეტყობოდა, რომ გასაჭირს მდგომარეობაში იყო. მას გადაეწყვიტა, რომ პირდაპირ მთიელისთვის გამოეკითხა ამ დღეში ჩავარდნის მიზეზი, მაგრამ არ იცოდა, დაწყება საიდგან უფრო სახერხული იქნებოდა და არჩევდა.

— შვილო, ონისე! — ბოლოს გაწყვიტა იმან სიჩუმე, — რათა ხარ აგრე დაღონებული?.. რად გახდი და რად დაკარგე ფერი?.. შეუძლოდ ხომ არა ხარ?

— ვინა, მე? — ერთბაშად წამოიძახა მთიელმა, მთლად გაწითლდა და აღშფოთებული ქშენა დაიწყო.

— ჰო, შვილო, შენა... სწორე გითხრა, შენი მდგომარეობა მაწუხებს.

— მე კარგადა ვარ... მე არა მიჭირს-რა! — ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოსთქვა იმან და ქშენას მოუმატა.

— არა, შვილო!.. შენ რაღაც გემიზეზება. რაღაცა გიღრღნის, გიკლავს გულსა და მოსვენებას არ გაძლევს!.. ხედავ, გახდი, დაღონდი და ცოცხალის ადამიანის ფერი აღარა გაქვს... მითხარ, შვილო, რა მოგდის?

— რაი გითხრა?..

— მე იმედი მქონდა, რომ მშობლად მიყურებდი; მეგონა შენი ნდობა დავიმსახურე-მეთქი, დარწმუნებული ვიყავ ყველაფერს მეტყოდი და...

— და რაი?.. მე კი დაგიმალე განა?—გადიხარხარა ონისემ.

მღვდელმა შეხედა და გაოცდა. მთიელს სახე დაჰპრანჭოდა, თვალები ამოსჯდომოდა და სისხლი მორეოდა, თვით სიცილიც არ იყო სიცილი კარგა მყოფის კაცისა.

— ონისეუ, შვილო!.. შენს გულს ზადი შეჰპარვია და მითხარ, თორემ ბოლოს ინანებ და გვიან-ღა იქნება... გაუხსენ შენს მშობელს გული, ჩაახედე შიგა, რომ მიზეზი იცნოს და გიშველოს...

— ჩემს გულში, ჩემს გულში! — ბრაზიანად წამოიძახა მთიელმა და დაუმატა: — რაია ჩემს გულში, რაია, რაიცა ვიცოდი, გითხარ... ახლა ტყუილს კი ვეღარ მოვიგონებ.

— შვილო, შვილო! — წარმოუთქმელს მწუხარებით და წყენით წარმოსთქვა მოხუცმა, — რად ჰკუწამ მაგ პასუხებით იმ გულს, რომელიც შენ გეკუთვნის, შენია და შენთვის ილევა?

ონისე ერთბაშად შეკრთა, გაჩერდა და ორივე ხელით თავი დაიჭირა. ჩამოვარდა სიჩუმე... მოისმოდა მხოლოდ მთიელის გულისცემა, რომელსაც თითქოს ბუდიდგან ამოვარღნა განეზრახა, მოხუცი უყურებდა შემბრალებელის თვალებით და აშკარად ეტყობოდა, რომ სიბრალულს დაემდურა.

— მღვდელო, მღვდელო! — გულის გასაგმირად დაიძახა

ონისემ და მუხლებზედ დაეცა, — შემინდევ, მაპატიე, შემიბრალე... ბეჩავი ვარ!.. არ ვიცი, რას ვჩადი, რას ვშვრები.. თავი მისკდების... გულს ცეცხლი ეკიდების... რაი ვქნა, როგორ ვქნა! თავი მოვიკლა, როგორ მოვიკლა?..

— შვილო, დამშვიდდი... მოიგონე ღმერთი!.. — უთხრა შეწუხებულმა ონოფრემ და დაუმატა: — რას შვრები... რად აძლევ მაცდურს სულსა?..

— ჰა? სულსა?.. მაცდურს?.. აბა რაი ვიცი, რა?.. ღვთის მადლმა, არ ვიცი და გული კი სკდების, ინთების და ცეცხლი ეკიდების.

— რა მიზეზია?

— მიზეზი? — იკითხა იმან ბეჩავად და წუთის სიჩუმის შემდეგ ახჩარებით განაგრძო: — არ ვიცი, არა!.. დამეხსენ, ღვთის მადლსა!..

მოხუცმა შეხედა და წყნარად უთხრა:

— ონისე, მოდი, შინ წამომყევ!.. ამაღამ დაგასვენებ და კარგად შეიქნები.

— ვერა, ვერა! — დამშვიდების შემდეგ აღელდა ისევ და ხელები გაასავსავა, — ახლა კი მთაში წავალ.

— მთაში რას გააკეთებ?.. ცოტა დაისვენე და ისე წადი.

— არა მიჭირს-რა, შენაი ჭირაიმე!.. ეხლა მოვგონდი. — დაწყნარებით უპასუხა მთიელმა და გრილი წყალი სახეზედ შეისხა, — მშვიდობით, მღვდელო!

— მოიცა... რა გაჩჩარებს? — დაფაცურდა მოძღვარი.

ონისემ შეხედა და ტუჩები გაუღიმდა; სახეს იდუმალება დაეტყო, გადიხარა თავი მოხუცისკენ და ჩუმად წარმოსთქვა:

— მეძახიან.

— რას ამბობ, ვინა?

— სუ-სუ! — ტუჩებზედ თითების დადებით წარმოსთქვა იმან და ფრთხილად გასწია.

— ონისე, ონისე!

— რაი გინდა? — უპასუხა იმან, შესდგა და თავი მოიბრუნა, — დანიშნულს ვადაზედ კიდევ მოვალ, ცხო რაიღა გინდა?..

მღვდელი მიუახლოვდა და სალაპარაკოდ მოემზადა, მაგრამ ონისემ ისევ გააჩუმა.

— სუ-სუ!.. მოვალ-მეთქი, მოვალ... ბეჯითად მოვალ!.. — გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი და ტყეს შაეფარა.

მოხუცს ვერ მოესწრო თავის თავისთვის კარგად ანგარიში მიეცა ყველა ნახულისა, როდესაც მთიელი ისევ უცბად გამოვიდა, დაეცა მის მუხლებთან და მდუღარე ცრემლებით ხვეწნა დაუწყო:

— დამლოცე, დამლოცე, ღვთის მადლსა, შენი ლოცვა ჩემთვის ღვთის წყალობაა! დამლოცე და ისე წავალ.

— უფალო, მოხედენ და იხსენ განსაცდელისაგან! — ძლივს წარმოსთქვა მოძღვარმა, როდესაც მთიელი მარდად წამოხტა, საჩქაროდ ემთხვია ხელზედ და წუთ შემდეგ ღამის უფსკრულში შთაინთქა.

XIX

გაიარა დღემ, მეორემ, კვირამ... თვემ და ონისე აღარსად გამოჩნდა. ამაოდ დადიოდა მოძღვარი წყაროზედ, ამაოდ შესთხოვდა უზენაესს — მთიელი ერთხელ კიდევ გაეცდევინა თვალწინ, ამაოდ ელოდა ამ სანატრელს წუთებს, — ონისე არსადა სჩანდა!

ამ მოლოდინში მიდიოდა ონოფრეს დღეები და წუთით წუთს თანდათან შიში და აღშფოთება ემატებოდა. მისი ფიქრი სულ მუდამ ონისეს დასტრიალებდა გარშემო და მისი მდგომარეობა ათასს შემაძრწუნებელს სურათად ეხატებოდა თვალწინ; წარმოუდგებოდა, რომ განსაცდელში, რომელსამე გაჭირვებაში იყო, მშველელი ხელი ეჭირვებოდა და მისი ლმობიერი გული განშორების გამო იტანჯებოდა, ჰსურდა ეშველა და ხელი კი ვერ მიეწვდინა.

ამ მდგომარეობაში იყო მოძღვარი, როდესაც სული-წმ ნდის დღესასწაულმა მოაღწია და განთიადთან ერთად მოხუცი ცისკრად დადგა. დიდხანს ლოცულობდა თავის განმარტოებულს ჭოხში ხალხს დაშორებული მოძღვარი, დიდხანს და გულმხურვალედ შესთხოვდა უფალს გზა-დაკარგულთათვის ცხარეს ცრემლით მათ შველას, ნუგეშინის ცემას და გამხნევებას ევედრებოდა. მოხუცმა გაათავა ცისკარი, უკანასკნელად

კაღა წერა პირჯვარი და გარედ გამოვიდა, რომ იმ გორაზედ გამოსულიყო, სადაც ყოველ ბედნიერს დღეს ცისკრის შემღეგ წირვამდის დროს ატარებდა.

საკმაოდ მოზრდილს და რგვალს ტაფობას, თითქოს განგებ, დარაჯად გარს შემორტყმოდნენ უზარმაზარი გოლიათნი და წმინდა ადგილს უწმინდურის ფეხის მიკარებისგან იცავდნენ. ტაფობის შუა ადგილს მოჩანდა რგვლად ამაღლებული პატარა გორაკა, რომელსაც ფერდოები შამოსილი ჰქონდა ვერხვის ტყითა. ხეები, სწორედ ამართულნი, ასულიყვნენ გორის თავამდის და იქ, თითქოს განგებ, გაჩერებულიყვნენ, რომ კაცის თვალისთვის საედემო წალკოტი არ დაეფარათ. ამ მაღლობის სათაური იყო ტიტველი და მოწმენდილი; აქ ტყის ადგილი დაეჭირა ნაზს, თვალის დამყვავებელს, მწვანე ჩახუჭუჭებულს ბალახს, რომელთა შორის თავები გამოეყოთ მთის სურნელოვანთ კეკლუცთა და ნაზად გვერდზედ მოეხარათ. შუა ადგილს ამართულიყო მუხის ჯვარი, ხანისა და ავდრისგან გათეთრებული, მზის სხივზედ ვერცხლად კრიალებდა და კაცს სასოებას უღვიძებდა. თითქოს თვით იქ რგულს ხეებსაც კი ეგრძნოთ მისი სიწმინდე, ცოდვილ დედამიწიდგან აეგლიჯათ და თავზედ შედგმულს ედემს დიდებას ეუბნებოდნენ. ჯვარის ქვეშ მოჩანდა კაცის ხელით ამაღლებული, ბელტებ შემოწყობილი მიწის გროვა და ზედ დადებული უზარმაზარი ნახეთქი დიდის კლდისა. იქ არავინ დადიოდა, არავინ ეკარებოდა ამ ადგილს, გარდა ონოფრესი და იმ ნიავისა, რომელიც ათასში ერთხელ ყვავილთ მყუდროების დასარღვევად ცელქად ჩაიჭრებოდა ხოლმე. ეს ადგილი ამოერჩია ონოფრეს მაყვალას საფლავად და აქ გამოდიოდა ყოველ ბედნიერ დღეს მიცვალებულის მოსახსენებლად.

მოძღვარი დღესაც აქ მიდიოდა, აქ უნდა მოეგონებინა სიცოცხლითვე ხალხისგან განდევნილი და სიკვდილს შემდეგაც მარტო დარჩენილი.

მოძღვარი, რომელმაც მაყვალას სიცოცხლეში იმდენი სიტკბოება გააცნობინა და განუსაზღვრელი კაცობრიობა უჩვენა, თავის მოწაფეს სიკვდილის შემდეგაც თავს არ ანებებდა და მის სულის მოსახსენებლად ლოცვაში მთელს საათებს ატარებდა. მაყვალას სახელთან არ ივიწყებდა უბედურის ამ დღე-

ში ჩამგდების სახელსაც და ზედ ურთობდა ქვეყნის კეთილდღეობის შეთხოვნას უზენაესის წინაშე.

ონოფრე უახლოვდებოდა წმინდა ადგილს, რომლისთვისაც თავის მზრუნველობის ნაყოფი და შემდეგ მსხვერპლი ბოროტმოქმედის ხელისა მიებარებინა, გველსავით დაკლაკნილის ბილიკით, რომელიც ტყეში იმალებოდა და გორის თავზედ გაჰყვანდა. ის მოდიოდა წყნარად, დაფიქრებული და გზიდგან ფრთხილად იშორებდა კეკლუცად გადმოზნექილს გაფოთლილს ტოტებს. მოძღვარი ცდილობდა, რომ შტოების გაწევის დროს, უცაბედო მოძრაობითაც არის, გაფურჩქვნილის ფოთლებისთვის არა ევნო-რა და მით საედემო მშვენების ჰარმონია არ დაერღვია.

მოძღვარი გასცდა ხვეულებს, გადაიარა წყაროც, რომელიც იქავ გორიდგან ჩამოჩუხჩუხებდა და ხელი გაავლო იმ უკანასკნელის ხის ტოტს, რომელიც ველიანს მაღლობს აშორებდა. გასწია, აიღო ფეხი გადასადგმელად, მაგრამ გაოცებული სწრაფად შეფერხდა.

ონოფრე იდგა ისე გაუნძრევლად, თითქოს იმ ადგილს გახევებულაო, და ჩაცრეებით გაჰყურებდა თოვლსავით უმტვერო თეთრს ჯვარსა.

იმის გაოცების მიზეზი იყო ვიღაცა კაცი, რომელიც მოძღვრისკენ ზურგშემოქცეული დაჩოქილი იდგა და ცივს სამარეს მხურვალეს ცრემლებით გათბობას უპირებდა. უცნობი ჩაჰკვროდა საფლავის ქვას და ზედ დასწებებოდა; ცახცახით ლოშნიდა და მდუღარე ნაკადულით ლორთხავდა. ათასში ერთხელ მედგრად, ძლიერად ამოიხვნეშებდა და იმედდაკარგულის კვნესით სიპს ქვას თავს ახეთქებდა.

სურათი იყო მეტად დიდებული, გოდება — მეტად მტკივნეულის გულისა, რომ მოძღვარს ამ იდუმალების დარღვევა გაებედნა. ნუგეშმოკლებული ტიროდა მდუღარედ, მწარედ და გრძნობის გამოსათქმელად მხოლოდ უსიტყვოს გმინვას აღმოახდენდა. ხმა იყო ცხარე, მწვავი, ხმა ნამდვილად აღგზნებულის გულისა, რომელსაც იტაცებდა ნიავი, მიჰქონდა თრთოლით და ბეჩავის ძახილისთვის კლდეთა და ღრეთა ბანად ზარს აძლევინებდა.

თითქოს მწუხარების წინაშე თვით ბუნებასაც მოეხარა თა-

ვი და ყოველი ქმნილება გაჩუმებულიყო, გაწამებულიყო, რომ მწვავი ხმა მტკიცედ შთაებეჭდათ, ეგრძნოთ მისი ძალა და ყრუდგამეორების შემდეგ ცრემლად დაფრქვეულიყვნენ. თითქოს თვით ცაც კი შეჯერებულიყო უბედურის მწუხარებით და მწარედ შეჭმუხვნილი, ადგილ-ადგილ ჩაშავ-ჩაკუპრებული ტყვიისფრად გადაქცეულიყო. დაიწყო წყნარი და ჩუმი ნამვა, რომელიც ყმაწვილის ქალის ჩაწყვდიადებულს თვალთაგან გადმონადენს ცრემლს მიემსგავსებოდა.

კაცმა წუთით აიღო თავი, დაიკრიფა გულ-ხელი და ჩასისხლებულის თვალებით დააცქერდა შავსა და ცივს მიწას, რომელიც ყრუდ რჩებოდა აღგზნებულის გულის ხვეწნისადმი. შემდეგ დაეცა ისევ, დაეკონა საფლავს და გამწარებულმა გაშმაგებით კოცნა დაუწყო. ეტყობოდა, ნაღველი უიმედობისა უნდოდა ამოეღვარა, მოეშორებინა თავიდგან, მაგრამ ყოველ კოცნაზედ, ყოველ განძრევაზედ ვარამი თანდათან ემატებოდა, თანდათან უძლიერდებოდა. ბიჭი დაოსდა, დასუსტდა და გაწამდა, გაწამდა და რაოდენსამე ხანს ასე დარჩა. ბოლოს წამოიწია, წყნარად წამოდგა ფეხზედ და კვალად საფლავს დაუწყო ცქერა, წადგა რამდენიმე ნაბიჯი და ჯვარს მიენდო. უცნობს სახე გამოუჩნდა. მოხუცმა დაინახა და განცვიფრებით წამოიძახა:

— ონისე!

დიაღ, ეს გახლდათ ონისე, ონისე, რომელიც სტიროდა თავის დაუვიწყარს მაყვალას, სტიროდა თავის გაჩენის დღეს და ჰკრულავდა თავის ჩაბნელებულს გულს, რომელსაც მოსვენება წაერთო, სიცოცხლე გაემწარებინა და საშუალებას არ აძლევდა, წუთითაც არის, თავდავიწყებას მისცემოდა.

მაყვალა, რაც კი თავი ახსოვდა ონისეს, იყო მისი სიცოცხლის შემადგენელი ნაწილი და მის სიკვდილთან ერთად ესეც სრულს სიცოცხლეს ვეღარა ჰგრძნობდა. ყველგან და ყველაფერს მისთვის რაღაცა აკლდა, სისრულეს ვერ შეადგენდა. მაყვალა იყო ონისესთვის ყოველისფერი და მის სიკვდილთან ერთად უბედურს მთიელს აღარაფრისთანა აღარა დარჩენოდა, რომელსაც მისი შეალერსება შესძლებოდა, მისთვის მზე გაეშუქებინა და ქვეყნისთვის ფასი დაედო.

ის იდგა გაყინული, გაციებული, ტუჩებმოკუმული და იგონებდა იმ ქმნილებას, რომელიც, ბნელს ჩაწყვდიადებულს სამარეში ჩაჭედილი, დღესაც ყველას, ყველაფერს, თავის თავსაც კი ერჩივნა.

თემისგან განშორებულს, თავის მიწა-წყალიდამ დაკარგულს ონისეს მაყვალასთან შეყრის იმედი-ღა ასულდგმულებდა, მისი სიცოცხლე მხოლოდ მასთან ტრფიალის იმედზედ ეკიდა და ეს უკანასკნელი ძაფიც მაყვალას სიკვდილს შაეწყვიტა... რაღას უნდა ესულდგმულებინა მომავალში დაკარგული?

ეს კაცი მთელი კვირაობით დადიოდა, ხვდებოდა ღრესა და ტყესა, ხვდებოდა მთასა და ველსა და, გართობის მაგივრად, მხოლოდ ნაღველს იგროვებდა, იგროვებდა და ცრემლად დასანთხევად ამ უწმინდესს ადგილს მოდიოდა.

ასე დადიოდა ხოლმე მთიელი მოხუცის უკანასკნელს შეხვედრამდის, აქ იკლავდა ჯავრსა და ბოროტს, აქა სდნებოდა, ილეოდა და წვეთ-წვეთად ისპობდა სიცოცხლეს.

ონისეს, რომელსაც ყოველისფერი შაეტყობინა მოძღვრისთვის, გაეშალა გული და შიგ ჩაეხედვინებინა, მაინც კიდევ შერჩენოდა ერთი საიდუმლო კუნჭული, რომელსაც ონოფრე ამჩნევდა, ისეთის ხერხიანობით უვლიდა გარს და შეტყობას სურვობდა... მაგრამ მთიელი უფრთხილდებოდა მას, უფრთხილდებოდა ისე, როგორც მარჯვენა თვალსა და ყოველის ღონისძიებით მეცადინეობდა ყველასთვის, თუ შესაძლებელი იქნებოდა, თვით ღმერთისთვისაც კი დაფარული შეექნა. მას ეშინოდა, რომ ონოფრეს მისი საქციელი ცოდვათ არ ჩაეთვალა და არ აღეკრძალა ის უკანასკნელი სიტკბოება, რომელსაც მაყვალას საფლავთან ტრფიალში პოულობდა.

აქ დადიოდა ონისე, აქა სდნებოდა, აქა სტოებდა თავის ჯანმრთელობას; ეს იყო ის საიდუმლო, რომელიც მოძღვარს ისე უნდოდა შაეტყო და მოწაფე კი ისეთის გამუდმებით და სიფრთხილით მალავდა.

მძიმე განსაცდელი, რომელიც ონისეს ეტვირთნა, იყო არშიყობა აღგზნებულის გულისა ცივის, ჩაწყვდიადებულის სამარესი, ალერსი უსულოსა და უგრძნობელის გვამისა, გამოსალაპარაკებლად გოდებით ჩაძახილი აწ ყრუდ-გადაქცეულის,

მიწად ქმნილის, ოდესმე გულის გამხარებელის ქმნილებისადმი!..

გოდება და ტირილი, მუდამ წადილი შეუძლებელისა, განუწყვეტლივ მოგონება დაკარგულის ედემისა მთიელს აღშფოთებდა, ღალავდა და წყნარ-წყნარად ძალას ართმევდა; ამას ემატებოდა წადილის დაუკმაყოფილებლობა და უბედური უცებლად იწვებოდა, იდაგებოდა და განწირულებამდის მიდიოდა.

ონისემ იგრძნო სიძნელე თავის მდგომარეობისა, იგრძნო, რომ ყოველი მიკარება მაყვალასი, ყოველი მიკარება იმ მხარისა, იმ ადგილისა, იმ ედემის კუნჭულისა, სადაც ერთხელაც არის სატრფოს ამოესუნთქა, შეუბრალებელს გულის მკუწველად გადაჰქცეოდა, იგრძნო, რომ მათ სიახლოეს ველარ გაძლებდა და გადასწყვიტა — გაქცეულიყო, წასულიყო, გადაკარგულიყო ისეთს ადგილს, სადაც ამ შავად და ბნელად გადაქცეულის ადგილების ხმა ყორანსაც ველარ მიეტანა.

დღეს, სულისწმინდის მოფენის დღესასწაულს, ონისე უკანასკნელად მოსულიყო იდუმალს საფლავთან, სურნელოვანის ყვავილებით შეამკო მკაცრად გამომზირალის სიპის ქვის სახე, რომელიც ისე შეუბრალებლად, მძიმედ და უგულოდ დასწოლოდა ნაზის ქმნილების სამარეს.

ონისემ უკანასკნელად დახარა თავი, უკანასკნელად ჩააკვდა სამარეს და, თრთოლვა-მორეული, თითქოს ზედ დაეწება, გაწამდა და დიდს ხანს დარჩა ისე გაუნძრევლად, თითქოს სული შავს მიწას დაანთხიაო.

ბოლოს წამოხტა, ორიოდ ნაბიჯი გადასდგა, გაჩერდა და გულხელი დაიკრიფა. მან იგრძნო რაღაცა ძალა, ძალა მიუწდომელი და განუსაზღვრელი, რომელიც მას სამარისკენ იზიდავდა, იზიდავდა ისეთის სიძლიერით, რომ განძრევაც კი ველარ მოეხერხებინა. ერთბაშად კისერი წყნარ-წყნარად მოეღრიჯა, მოიბრუნა თავი ჯვარისკენ და მწარედ, მწარედ დაღრეჯილი წარმოუდგენელის მწუხარებით გაშეშდა.

მოძღვარს დღეს პირველად მიეცა საშუალება — ონისეს სახეს დაჰკვირვებოდა და პირველად იგრძნო ის აუტანელი ჯოჯოხეთი, რომელსაც სამფლობელოდ მოხევის გული ამოერჩია. ონოფრემ თვალები დახუჭა, რადგანაც მეტი ცქერა ვე-

ღარ შესძლო უბედურების გამომხატველის პირისახისა; ონისე იდგა დაღვრემილი, გაფითრებული და ნუგეშ-მოკლებული; ის მოხრილიყო, თითქოს მძიმე ლოდი დასწოლიაო და მის შეუბრალებელს სიმძიმეს ჩაუკეცვინებია, ჩაუჭუჭკავს და ლომებრივი შეხედულობა მედგრად დაუჩაგრავსო. იდგა უაზროდ, სიცოცხლეს მოკლებული და ჩაჰკვირვებოდა ერთს ადგილს; ჩაჰკვირვებოდა, მაგრამ ვაი ამ ცქერას!.. აქ სჩანდა კვნესა დაოშლებულის სულისა, აქ იყო შენანება თავის სიცოცხლისა, აქა სჩანდა ხვეწნა, მუდარა გატეხილის კაცისა, რომელიც დამონებოდა შეურყეველს ძალას და არსად, არავისგან შველას არ მოელოდა. ონისე იდგა ისე, თითქოს მიწა გახეთქილაო და მის შთასანთქავად პირი უქნიაო, თითქოს ცა ჩამონგრეულა და სამუდამოდ ჩაქოლვას უპირებსო.

მაგრამ არა, მე ვერ ავწერ მის სახეს, მისი გამომეტყველების სიძლიერეს. უნდა ნახოს კაცმა, ნახოს და იგრძნოს მისგან აღძრული შთაბეჭდილება, რომ გაიგოს, დაინახოს რამდენის ურიცხვის ხაზებით დაეღარა მთიელის სახე გულიდგან გადმონახეთქს მწუხარებას.

მხოლოდ მთას შეუძლიან მიანიჭოს ადამიანს ეს გრძნობიერება და მხოლოდ მთის შვილს შეუძლიან გამოიჩინოს მისი ძალა; ის ძალა, რომელმაც თვით მოხუცს, იმის გაფოლადებულს გულსაც კი მუხლი მოადრეკინა, თავი მოახრევინა და ძლევამოსილებით სავსე ენამჭევრობა გააწყვეტინა.

ამ წუთებში მოხუცს შეეძლო მხოლოდ ცქერა, ხილვა და, ძლიერის სურათით დამორჩილებულს, ბედ-გაშავებულისადმი თანაგრძნობა.

ერთბაშად ონისე შეკრთა, გასწორდა და თავი მაღლა აიღო.

— მშვიდობით! — წარმოსთქვა იმან გულდამდუღვრილმა, — მშვიდობით, მაყვალაუ!.. რა გიჭირს, ბედნიერო, შენ მოკვდი და მოისვენე!.. ვაიმე... ვაიმე, რომ ცოცხალსაც აღარ მეცხოვრების და სიკვდილ ტიალაც აღარ მომერგო!.. მშვიდობით, მაყვალაუ!.. მშვიდობით!!. ველარ გავძელ სიახლოვე... მაგრამ, ვაი წასვლას და ვაი არ წასვლას!

მთიელი დააცქერდა საფლავს, დააცქერდა და თვალებს თითქოს კუპრი მოერია და ცხარე, მდუღარე ნაკადულმა გადმოჰხეთქა.

— მიყურე... მიყურე-ღა, ვაჟკაცი ვტირი! — წამოიძახა ერთბაშად, გაალრჭიალა კბილები და გულში მჯიღის შემოკვრით მწარედ წარმოსთქვა: — ოხ-მე!..

მთიელი გაბრუნდა, წატორტმანდა და ძალა-მოკლებულმა დაჭრილს ლომსავით ლასლასით გასწია.

— ონისე, ონისე! — ძლივს მოახერხა მოძღვარმა,—ონისე, შესდეგ, შე უბედურო!

მოხევე შეკრთა, წუთს შეფერხდა, მაგრამ მაშინვე ნაბიჯს მოუმატა და ისე გასწია.

— დაიცა, სად მიხვალ? — გაავლო ხელი მოხუცმა, რომელიც რამდენსამე გადახტომის შემდეგ წამოეწია.

მოხევე შესდგა და აზრმოკლებულის თვალებით შეხედა; შემდეგ იდუმალებით ტუჩებზედ ხელი დაიდო და წყნარად, ნიავსავით ფრთხილის ხმით წარმოსთქვა:

— სუ, სუ!.. დაიცადე... აგერ მეძახიან და უნდა წავიდე.

— რას ამბობ, შვილო, ვინ გეძახის?

— სუ-უ! — გაიმეორა იმან, — სუ, თორემ დააკრთობ და გაიქცევა.

მთიელი ჩაფიქრდა, გაჩუმდა და კისერი ისე გაიძაბა, თითქოს ვიღაცას ყურს უგდებსო. ერთბაშად შეკრთა, თვალები სივრცეს გაუშტერა და უთავბოლო სიტყვების წამოსროლა დაიწყო:

— მაყვალაი!.. მაყვალაი ვინაა?.. — წარმოსთქვა დაფანტვით, რამდენსამე ხანს გაჩუმდა და ერთბაშად მოძღვარს მწუხარებით მიუბრუნდა: — მითხარ, მითხარ, ღვთის მადლსა, მაყვალაი ვინაა?.. არ იცი, განა?.. ჰო-ო... მე კი ვიცი... ვიცი, ღვთის მადლმა... ის უფლის ნათლულია... რაი?..

— შვილო, შვილო!.. — დაიწყო მოძღვარმა, მაგრამ იძულებული შეიქნა ისევ გაჩუმებულიყო, რადგანაც მთიელმა პირზედ ხელი დააფარა.

— სუ-მეთქი... მეძახიან! — თანდათან აჩქარდა და ტყისკენ გასწია.

მოძღვარს შაეშინდა, რომ შეშლილი არ გასხლტოდა და ხელი გაიწოდა დასაჭერად, მაგრამ მთიელმა ისეთის საზარელის ხმით დაიკივლა და სახე ისე უწყალოდ დაეპრანჭა, რომ ონოფრე უკან მოაწყდა.

სანამ მოძღვარი გონს მოიკრეფდა და ანგარიშს მისცემდა თავის თავს, ონისე ტყისკენ მიდიოდა და გადასავარდნს ადგილს უახლოვდებოდა.

— შესდეგ, შე უბედურო! — წამოიძახა გულგახეთქილმა მოძღვარმა, მაგრამ გვიან-ღა იყო.

მთიელმა იშვირა ფეხი და ტყეში ჩაერია.

მღვდელი გაქანდა იქითკენ და, როდესაც გორის კიდეს მიაღწია, ორგან-სამგან, შტოებს შუა მთიელის ჩრდილი დაინახა.

ონისე გადარჩა ძნელსა და საშიშს ნახტომს, მაგრამ დიდს ხანს ივლიდა სამზეოზედ?

XX

გაიარა დღემ, მეორემ, კვირამ, თვემაც და გულჩათუთქულმა მოხუცმა ონისესი ვეღარა გაიგო-რა. თემობას მოშორებულს, ხალხისგან დავიწყებულს და მზრუნველ გულს მოკლებულ ონისეს არავინ ეძებდა, არავინ ზრუნავდა მისთვის.

მხოლოდ ერთადერთი გული არ ისვენებდა, ერთადერთს გულს არ ავიწყდებოდა უბედურის სახელი და იხსენებდა თავის ლოცვებში. ეს გახლდათ დაღონებული მოხუცი, რომელიც არ გაუშვებდა არც ამვლელს, არც ჩამომვლელს, რომ მთიელის ამბავი არ გამოეკითხა, მაგრამ პასუხი ყოველთვის ერთი და იგივე იყო: „არა, არ გვინახავს, არა გაგვიგია-რა!..“

თუმცა კარგა ხანს ონოფრემ თავის მოწაფის ამბვისა ვერა გაიგო-რა, მაგრამ სასოებას არა ჰკარგავდა და იმედს ეძლეოდა, რომ უზენაესი ქრისტიანის სულს არ დაჰკარგავდა: ოდესმე მთიელის არამც თუ გადარჩენას გააგონებდა, არამედ სრულიად მორჩენასაც. იმედმა არ უმტყუნა და მის ყურს გულდასამშვიდებელი ხმა მოსწვდა.

ერთ დღეს პირიქითელი ხევსურები ჩამოვიდნენ და ბურსაჭირის გამოქვაბულის კლდის წყაროსთან დაისვენეს. როგორც ეტყობოდა, მგზავრები დაღალულები უნდა ყოფილიყვნენ, რადგანაც თვალისმოტყუებასთან ერთად ცხენებსაც ბორკილები შეუყარეს და ბალახზედ მიუშვეს.

მოხუცმა შეჰკრა თვალი უცნობებს და, ჩვეულებისამებრ, აიღო ხონჩა ხორაგით გაჭედილი, შინაური არაყი და მათკენ გამოსწია. სტუმრები დასხდნენ პურის საჭმელად, მოძღვარიც გვერდით მოუჯდა და, წუთს შემდეგ, გონიერს, ტკბილს მოსაუბრეს ხევსურნი ყურს უგდებდნენ, მგზავრებს თუმცა მოძღვარი თავის დღეში არ ენახათ, საკმაოდ დაშორებული იყვნენ ამ ადგილების მიწა-წყალს, მაგრამ წმინდა მამის სახელი მაინც მისწდომოდათ. რაკი შეიტყეს ონოფრეს ვინაობა, ისეთი მოკრძალებით სავსე პატივისცემა აღმოუჩინეს, როგორც უფალს ეკადრებოდა. მათ შორის საუბარი გაიბა, და, როგორც ყოველთვის მთაში არის ხოლმე, ლაპარაკი მხნეობას, ვაჟკაცობას და ნადირობას შაეხო.

ერთმა მგზავრთაგანმა მოიგონა „მოხნიაი“ (მოხევე) მონადირე, რომელიც დიდი ხანია, რაც იმათ მთაში ჩასახლებულიყო და მას აქეთ ქისტებს დედას უტირებდა.

— თიკნის ყური აღარ იკარგებოდის, რაც ის მოხნიაი მოვიდა... — წარმოსთქვა ხევსურმა და აღტაცებით გააგრძელა:— მაშინვე დაედევნების, გზას ჩაუსაფრდის და მთის არწივს მტერ ვეღარ წაუვიდის.

— საკურველ არისა! — დაუმატა მეორე ხევსურმა, — კაცს არ მიეკარებისა, სახლში არ შევიდისა, ნადირსავით სულ მთად სულადობსა და იწმინდებისა.*

— როგორი სახისაა? — ჰკითხა მოძღვარმა და გულის ძგერით ყური მიაპყრო.

— თუ გითხარ, მოხნიაი, — უპასუხა ხევსურმა, შემდეგ აღუწერა მისი ტანი, შეყრილობა და შეატყობინა, რომ ან ავად უნდა იყოს, ან „მოვნე“ დაცემული და ან ხატისაგან დამიზეზებული, რადგანაც ვეძას ნადენს მიწასავით გაყვითლებულა.

ონისეს წინანდელი ჩვეულება არ მოეშალა, რადგანაც სულ დაღონებულ და მოწყენილ დადიოდა, თითქოს ლაშთ გართხმა ეზარებისო.

---

* როდესაც დეკანოზებმა დროშას ხელი უნდა მოჰკიდონ, ერთის თვით განშორებულნი სცხოვრობენ და მარხულობენ, ამაზედ იტყვიან რომ იწმინდებაო (ავტორი).

— სახელად რა ჰქვიან? — იკითხა თანდათან აღტაცებაში შესულმა და გულაძგერებული სმენად გადაიქცა.

— ონისეი... მოხნია, ონისე არის, გადაღმეველი...

ამ სიტყვების გაგონებაზედ მოძღვარი აინთო, აღეგზნო სიხარულის ცეცხლით და ღმერთს მადლობა მისცა, რომ არ ინდომა უბედურის განწირვა და დაღუპვა; რომ მისი ცხოვრება ხალხისთვის ისევ სასარგებლო შრომას მიმართა.

მას ონისე სრულს გიჟად მიეღო, მაგრამ ის მხოლოდ ყოველ წუთის მოუსვენებლობას მეტად მოექანცა, დაესუსტებინა და განუწყვეტელს სატანჯველს და ფიქრს ჭკუაც რაოდენადმე მოეღალა.

იმ ადგილებს განშორებულს მთიელს, სადაც ყოველი სურათი სატრფოს მოგონებას მწვავად აღუძრავდა, რაოდენსამე ხანს შესვენება საკმარისი გახდომოდა, რომ გონება დაემშვიდებინა და, თუმცა მწარე, მაგრამ შესაძლო ცხოვრება დაეწყო.

მართალია, მას სრული განცხრომა ვერ ეპოვა, მაგრამ რაკი გულის მომწამლავს, გამბრაზებელს ადგილებს მოშორებოდა, ცხოვრებაც უფრო თანასწორი შეჰქმნოდა და მასთან ერთად სულსაც მოესვენა იმდენად, რამდენადაც მის მდგომარეობაში მყოფს და მისის ბუნების მქონე კაცს შეეძლო.

მზე გადიხარა, აგრილდა და მთიელები წავიდნენ; მოძღვარი შინ დბრუნდა გამხიარულებული. იქამდის აღტაცებაში მოსულიყო ონისეს კარგამყოფობის გაგონებით, რომ მაყვალას საფლავთანაც კი ასულიყო და ეხარებინა განსაცდელში მყოფის გადარჩენა.

დღეს მოძღვარი თავის თავს დაჯილდოებულად სთვლიდა, რადგანაც კეთილს ბოროტებაზედ გაემარჯვა და მაცდური დამარცხებული შექმნილიყო.

მოხუცს სახე უბრწყინავდა და ის-ის-იყო ემზადებოდა მაცხოვრის წინაშე დაჩოქებას, რათა უზენაესისათვის სამადლობელი ლოცვა გადაეხადა, როდესაც შემოესმა ცხენის ფეხის ხმა. მოძღვარი გაჩუმდა და ყური დაუგდო. ხმაურობა შესწყდა; აშკარა იყო, რომ ცხენი მის კარებზედ გაჩერდა.

— ვინ უნდა იყოს? — წარმოსთქვა მოხუცმა და სიტყვე-

ბი ჯერ არ გაეთავებინა, როდესაც გარედგან ძახილი შემოესმა.

მოძღვარი გარედ გამოვიდა და ერთი მთიული დაინახა, რომელიც ჭუდმოხდილი მისკენ წყნარად მიდიოდა.

ცხენი, რომელითაც ეს კაცი მოსულიყო, ქოხისგან საკმაოდ მოშორებით დაეყენებინა, რადგანაც ეს ადგილები წმინდა ადგილებად ჰქონდათ მიღებული და ცხენით მისვლა შეურაცხყოფად ჩაითვლებოდა.

მთიული მივიდა მოძღვართან, ემთხვია ხელზედ და თავი დაუკრა. მოძღვარმა პირჯვარი გადასწერა და ჰკითხა:

— ვინა ხარ, შვილო?..

— იასაული გახლავარ.

— ვინ გინდა?

— თქვენთან გიახელ.

— ჩემთან?.. ჩემთან იასაულს რა ხელი აქვს? — გაიკვირვა მოხუცმა.

— მენა, შენი კვნესა-მე, ნაჩალნიკის იასაული გახლავარ.

— კეთილი, მაგრამ მაინც არ მესმის რა გინდა?.. საქმე გაქვს რამე?.. ხომ არავის დაეძებ?

— არა, შენი კვნესა-მე! დავეძებ კი არა, შენთან გიახელი.

— ჩემთან?! — გაიოცა მოძღვარმა. — რისთვის?

— ნაჩალნიკი გიბარებს, შენი კვნესა-მე!

მოხუცს ეგონა, რომ სმენამ უღალატა, იქამდის შეუძლებელად ეჩვენა იასაულის სიტყვები. ნაჩალნიკთან არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდა-რა და არ იცნობდა, მაშ რა უნდოდა?

— უთუოდ შეგცდა, ჩემთან არ იქნები, შვილო...

— არა, შენმა მადლმა! პირდაპირ შენთან გამომგზავნა.

— ნამდვილად? — განიმეორა ონოფრემ და ეჭვნეულად შეხედა.

— ჰო, შენი კვნესა-მე, შენთან.

— რისთვის?

— აბა რა ვიცი? — მოკლედ მოუჭრა მთიულმა.

— უეჭველია, სხვასთან ვისთანმე გაგზავნიდა, ვერ გაგიგია და ჩემთან კი მოხვედ.

— არა, ლომისის მადლმა!.. სით შემცდებოდა? მთვრალი

ხომ არ ვიყავ, რომ ვერ გამეგო... სამჯერ მიბრძანა თქვენი სახელი. ისიც კი დაუმატა: თავი არ დაანებო, უეჭველად ჩამოიყვანეო.

— მაშ საჭირო საქმე იქნება რამე?

— ღმერთმა ნუ იცის იმისი თავი.

— საკვირველია! — წარმოსთქვა კიდევ მოძღვარმა და დაუმატა: — მოიცადე, შვილო, ჯოხს ავიღებ და წავიდეთ.

როდესაც მოხუცი გამოვიდა, იასაულმა თავისი ცხენი მიართვა და, თუმცა მოძღვარი შეჯდომას არ უჯერებდა, მაგრამ მთიელი არ მოეშვა და დააყაბულა.

ისინი მიდიოდნენ ჩქარა და შეუსვენებლივ, რადგანაც მთიული იძახდა, რომ მოძღვარს ძალიან საჭირო საქმისთვის იბარებდნენ. მთელი ღამე მიმავლობაში გაატარეს და დილის ათი საათი ძლივს იქნებოდა, როდესაც სოფელს ანანურს, სადაც ადგილობრივი მმართველი სცხოვრებდა, ძლივს მიაღწიეს.

მოძღვარი დაუყოვნებლად იახლა თავის დამბარებელს, — კაცს მოხუცებულს, გამხდარს და პატარა ტანისას; მას აშკარად ეტყობოდა, რომ ზაფრა აშლილი უნდა ჰქონოდა, რადგანაც სიყვითლე თვალებშიაც ჩასვლოდა და ხაიათის ძაფის მსგავსი ხაზები ბადესავით თითქოს ზედ გადაჰფარებოდა. უფროსი მოუსვენრად დადიოდა, ხანგამოშვებით ახველებდა და, თუნდა მიზეზიც არ მისცემოდა, ხშირად აღელდებოდა ხოლმე.

ონოფრეს შესვლის უმალ მასპინძელი მოეგება და ცდილობდა გონივრებასთან ერთად მიხვრა-მოხვრაც ლაზათიანი გამოეჩინა; მაგრამ მისი მეცადინეობა ამაოდა რჩებოდა, რადგანაც მთელი სიცოცხლე სამხედრო სამსახურში გაეტარებინა და მაშინდელი მხედართ ცხოვრება და მიმართულება კაცს ყოველს ლაზათიანობას აკარგვინებდა. ის მოეგება, მოესალმა, გაუღიმა მოწყალედ, მაგრამ ისე კი, რომ თავისი ღირსებაც არ დაეკარგა და მით მთიელისთვის დაენახვებინა, რომ იგი ბრძანებელის წინა სდგას.

— მობრძანდით, მობრძანდით, — შორიდგანვე დაუძახა მასპინძელმა და მოხუცი შემოვიდა.

დაბალი ოთახი, სადაც ისინი იყვნენ, რაოდენადმე დანო-

ტიოებულიყო და უსიამოვნო სუნი აეშვა; მას მიმატებოდა დაობებულის ქალალდების სუნი და ჰაერი მოეწამლა. ამგვარს მოწყობილებას შეუჩვევარი მთიელი უსიამოვნო მდგომარეობასა ჰგრძნობდა და, ისეც ფიქრით მოღალულს, თავბრუ ეხვეოდა.

მოძღვარი შევიდა, მოიხადა ქუდი, გადაიწერა პირჯვარი და თავი დაუკრა თავის წინ მდგომს მასპინძელს, რომელიც ღიმილით შეჰყურებდა მოხუცის დაწყნარებულს და მშვიდობიანს მოძრაობას. ის არ იცნობდა ძველს მთიელებს და ამისთვის ონოფრეს ყოფაქცევა და თავის დაჭერა აკვირვებდა.

— თქვენა ხართ მამა ონოფრე? — მიუახლოვდა უფროსი და ჰკითხა მთარგმნელის პირით, რომელიც იქავე ახლდა.

— დიაღ, მე გახლავართ.

— თქვენთანა სცხოვრებდა ის მოკლული ქალი... ისა... ისა... ახ, ღმერთო ჩემო, რა ერქვა? — მიუბრუნდა იქავ სტოლთან მჯდომარს, ოთხად მოკეცილს მწერალს, რომელიც ფთის კალამს ქალალდზე აკვნესებდა და უსიამოვნოდ აწრიპინებდა.

— იმასა ჰქვიან, იმასა ჰქვიან... — გადაშალა მწერალმა ქალალდები, წამოდგა და ერთბაშად წამოიძახა: — მაყვალა, თქვენო აღმატებულებავ.

— ჰო, ჰო, მაყვალა.

ამ სახელის გაგონებაზედ მოძღვარი შეკრთა, გაფითრდა და პირში სიტყვა გაუწყდა.

— პასუხს ველით, — მოკლედ უთხრა უფროსმა, — მიბრძანეთ.

მოძღვარმა შეხედა, გასწორდა, გაიმართა წელში და მიუგო:

— დიაღ, მაყვალა ჩემთანა სცხოვრებდა.

— მღვდელთან დედაკაცი! — მხრების აწევით მიუბრუნდა მთარგმნელს და უთხრა: — ჰკითხეთ, მაგასთან რას აკეთებდა და რად იყო?

თარჯიმანმა მოძღვარს გადასცა კითხვა და შემდეგი პასუხი მიიღო:

— ის იყო დავრდომილი სულითა და ხორცით... განწი-

რული ხალხისგან... ჩემი ქოხი ყველა დავრდომილთათვის თავშესაფარია.

ონოფრე შეჰყურებდა იმათ და ყველაფერი ეუცხოებოდა, უკვირდა, „რისთვის მკითხამენ, რა უნდათ ჩემგან, რა უნდათ შეიტყონ?“ — ფიქრობდა გუნებაში და გადაწყვეტილი პასუხი ვერ მიეცა... ერთბაშად შეამჩნია, რომ ყოველს სიტყვას, რომელსაც ის წარმოსთქვამდა, სტოლთან მჯდომი მწერალი ქაღალდზედ სწერდა ხოლმე.

— მაშ იმისი მასპინძელი შენ იყავი? — ჰკითხა მმართველმა იმავე დამცინავის კილოთი, რომლითაც პირველს შემოსვლაზედ მოძღვარს დახვდა. მოხუცმა იგრძნო, რომ რაღაცა განსაკუთრებული ხდებოდა, მიხვდა, რომ მის ლაპარაკს არ ერწმუნებოდნენ და გაწითლდა.

— კაი მასპინძლობა გაუწევია! — თავისთვის წამოიძახა უფროსმა და ერთბაშად მღვდელს მიუბრუნდა: — ვინ მოკლა?

— ვინ მოკლა? — გაიმეორა კითხვა მოძღვარმა და წყნარად უპასუხა: — ცოდვილმა, რომელსაც სასჯელი არ ასცდება, თუ არ მოინანია.

— ეგ ყველა კარგი, მაგრამ სახელი ბოროტმოქმედისა? მითხარ, რა ჰქვიან?

მოძღვარს თავის სიცოცხლეში ტყუილი არ ეთქვა და ეხლა ისეთს მდგომარეობაში ჩავარდა, რომ აღარ იცოდა, რა ექნა. მოხუცი ჩაფიქრდა, საგონებელში ჩავარდა.

— სახელი-მეთქი! — გაუმეორა კითხვა სახლის პატრონმა ბრძანების კილოთი.

— არ ვიცი. — მტკიცედ უპასუხა მოხუცმა.

— არც ეჭვი გაქვს ვიზედმე?

— არა.

მასპინძელმა იჭვნეულად შეხედა, რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა და ჰკითხა:

— როგორ მოხდა, რომ შენს ქოხში, სადაც სცხოვრებდი, ქალი მოკლეს და შენ კი სრულიად ვერა გაიგე-რა?..

— როდესაც ეს უბედურობა მოხდა, მე შინ არ ვიყავ.

— ზღაპარია!.. — მხრების აწევით წამოიძახა გამომძიებელმა.

— ნამდვილს ვამბობ, — უპასუხა ონოფრემ და ისეთის თვალით შეხედა, თითქოს არ ესმოდა, როგორ არ მიჯერებენო.

— წაუკითხეთ ჩვენება მთიულებისა,—უბრძანა უფროსმა მწერალს და იმანაც აღასრულა ბრძანება.

აი რას აჩვენებდნენ ის გუდამაყრელები, რომელთაც ქალის მოკვლის დროს მთელი დღე მოძღვართან ერთად გაეტარებინათ:

„მთელი დღე ერთად ვიყავით. მღვდელი შედიოდა თავის ჭოხში და გამოდიოდა... იქიდგან გამოჰქონდა საჭმელ-სასმელი და ერთად ვსადილობდით... შემდეგ ჩვენ მთაში გავემგზავრენით... მეორე დღეს ჩამოვედით და ონოფრემ გამოგვიცხადა, რომ დედაკაცი, რომელიც მასთანა სცხოვრებდა, ღვინის მოუკლავსო“.

— სრული ჭეშმარიტებაა, — წარმოსთქვა მოხუცმა, — ეგრე იყო.

— სახლში პირველად რომ შეხვედი, რა ნახე? — ჰკითხეს იმას.

— მაყვალა თავის სარეცელში იწვა, ნაბადი ჰქონდა თავზედ წაფარებული და მეგონა, რომ ეძინა...

— კარგი, პირველში, ვსთქვათ, გეგონა, შემდეგ?.. როდესაც მეორედ, მესამედ შეხველ?.. მოწმეები ამბობენ, რომ იმათ მთელი დღე შენთან გაატარეს და შენ კი რამდენჯერმე შესულხარ სახლში... დედაკაცი რომ არ იღვიძებდა, არ გაგიკვირდა?.. არა სცადე გაღვიძება?.. საეჭვოდ მაინც არ გეჩვენა ქალის გამუდმებული ძილი?

— მაყვალა ისეც ავადმყოფი, დასუსტებული იყო, ბევრსა ლოცულობდა, დაუცხრომელად მუშაობდა... წინა ღამე გონჯი, ავდრიანი იყო... ქარიშხალი იქაურობას ანგრევდა; ძალზედა ჰქუხდა და სწვიმდა; ქვეყანა წახვევას აპირებდა... ვიფიქრე: ღამე გაუტეხია-მეთქი... შემბრალდა და ველარ გავაღვიძე... ძილი დასუსტებულისთვის უკვდავება იყო.

— წარმოუდგენელია!

— წარმოუდგენელია თუ არა — არ ვიცი, მაგრამ ასე კი იყო.

მასპინძელი დააცქერდა და ცოტა სიჩუმის შემდეგ უთხრა:

— მთელი დღე და ღამე ქალი იწვა და თქვენ ისიც არა ჰკითხეთ, წყალი ხომ მაინც არ სწყურიან?

— რა კითხვა უნდოდა? თუ მოსწყურდებოდა, თავადაც დალევდა. — მოკლედ მოუჭრა მოხუცმა, რომელსაც ამდენი ლაპარაკი მოსწყინდა და მოუთმენლად დაუმატა: — ეგ ყველა კარგი, მაგრამ სამწყსოსთვის თავი დამინებებია, ავადმყოფები უპატრონოდ დამიგდია და უნდა მივხედო... მიბრძანეთ, რა გინდათ ჩემგან?

უფროსმა გაკვირვებით შეხედა და უსიამოვნოდ ჰკითხა:

— გიჟი ხომ არა ხარ? არ იცი, რომ იმ ქალის სიკვდილს შენ გაბრალებენ?

— როგორ? — მოძღვარსაც გაკვირვების რიგი ერგო, —რა სთქვით?

— ისა, რომ იმ ქალის სიკვდილს თქვენ გაბრალებენ და, სამწუხაროდ, ყველა საბუთები, რაც კი ეხლა ხელში გვაქვს, ეჭვს აძლიერებს.

— ვინ არის ცოდვილი, რომელმაც მაგ საზიზღრობაში ცილის დაწამება გაბედა? — გაიმართა ონოფრე და თვალებიდგან თითქოს ნაწინწკლები გადმოსცვივდა.

— ნუ სჯავრობთ... თქვენ გამტყუნებენ, პირდაპირ თქვენ.

— ვინ არის!.. მოვიდეს, გაბედოს, პირდაპირ შემომხედოს!

მოძღვარმა მაღლა აიღო თავი და სახეზედ ისეთი მრისხანება დაეტყო, რომ თვით მასთან მოლაპარაკეც კი რაღაც ხნამდე გაწითლდა და მოიკუნტა. კაცი, რომელიც დანაშაულსა ჰგრძნობს, მისგან ამგვარად რწმუნებით ლაპარაკი შეუძლებელი იყო, და უფროსმა იფიქრა, რომ მოძღვრის სიმართლე შესაძლებელი არისო.

— თვით მოკლულის ქმარი ამტკიცებს მაგას, — უთხრა მცირე სიჩუმის შემდეგ და განაგრძო: — ბრალდებულად თქვენა გხდისთ და კანონი მოვალეა სიმართლე აღმოაჩინოს.

— თქვენ მართალი ხართ: კანონმა სიმართლე უნდა აღმოაჩინოს, იგი ვერ მიჰყვება პირმოთნეობას...

— მაშ რას იტყვით?.. როგორც გეუბნებით, ის ამტკიცებს, რომ ქალი თქვენ მოჰკალით.

— ამტკიცებს? — იკითხა მოძღვარმა მწუხარებით და ცოტა ფიქრს შემდეგ წარმოსთქვა: — მაშ მოვიდეს და პირში მითხრას.

— მოიყვანეთ გელა.

— გელაა?! — წამოიძახა მოხუცმა და წამალსავით იფეთქა: — გელა აქ არის, გელა, მაყვალას ქმარი?

— დიაღ, აქ გახლავს და ეხლავ თქვენ წინ წარმოადგენენ.

— მაღალო ღმერთო! — მიაქცია თვალები ზეცას ონოფრემ და თავი შეიკავა. — მოვიდეს, მოვიდეს ცოდვილი... მე მსურს ჩემის თვალებით ვნახო და ყურებით გავიგონო, რასა იქს და რას იტყვის?

გაეღო კარები და ოთახში გელა შემოვიდა; მისი სახე რაღაცა ურცხვის, ნამუსგატეხილის სიამპარტავნით ლაპლაპებდა, თავი მაღლა აეღო და საერთო შეხედულობა თითქოს იძახდა: „შემომხედეთ — მე ვარ, ვინცა ვარ!“ მთიელი შესდგა კარებთან, როგორც გამამტყუნებელი, რომელიც თავის სამართლიანობაში დარწმუნებული არის და შუბლშეჭმუხვნილი გაჩუმდა.

მოძღვარიც იმის წინ იდგა დამშვიდებული, თუმცა თვალები გაბრწყინვებოდა, თმა ოდნავ აჰბურძგნოდა და პირისახეს ფერი დაეკარგა; ონოფრე იდგა გულხელდაკრეფილი, თავი აეღო მაღლა, სახე გამოეჩინა და მობეზღარს პირდაპირ უყურებდა.

პირველში გელამ გაბედა შეხედა მისთვის და რაოდენსამე ხანს მოხუცის ცქერას გაუძლო, მაგრამ მალე აღშფოთება დაეტყო და დაფანტვით აქეთ-იქით ყურება დაიწყო. ისჯგრძნობდა რაღაცა უხილავს ძალას, რომელიც მასზედ მოქმედებდა, არ უსვენებდა და გამოურკვეველს აღშფოთებაში შეყვანდა. აქ იყო ნათლად გამოხატული სურათი დიდებულებისა, რომლისთვისაც სიმართლის რწმუნებას ძლევამოსილების ბეჭედი დაესვა და მისგან გასრესილი, დამცირებული, რომელსაც გრძნობა გაღვიძებოდა და ესმოდა თავის შეცდომილება. პირველი ემსგავსებოდა ამაღლებულს, ამაყს სულს, რომელსაც საფრად ჭეშმარიტება ამოერჩია და რომლის მომტვრევა შეეძლო ძალას და არა მოხრა, მოზნექა; მეორე მხარეს იდგა

სულით დაცემული, რომელიც ჰგრძნობდა თავის დამარცხებას და უხუგეშო თვალებით მშველელს, შემწეს ეძებდა.

მოძღვარმა წარსდგა დამდენიმე ნაბიჯი, შესდგა და წყნარად, გრძნობიარეს ხმით წარმოსთქვა:

— მართლა მე მაბრალებ მაყვალას სიკვდილს? — უთხრა იმან და გაჩუმდა.

გელამ ოდნავ თავი აიღო, აღშფოთდა, მოუსვენრად და მძიმედ ამოიქშინა და ისევ თავი ჩაჰკიდა.

მოხუცმა შეხედა და აღგზნებული ცეცხლი გულს ლახვრად მოხვდა. გელა ცილსა სწამებდა და, მაშასადამე, სცოდავდა; სცოდავდა ისეთის ცოდვითა, რომელიც კაცს ამცირებდა, ართმევდა ადამიანის ღირსებას და თვით პირუტყვზედაც კი დაბლა აყენებდა. ონოფრე იყო მოძღვარი, მზრუნველი მამა თავის შვილებისა და დამცირებულის დანახვამ გულს ფეთქა დააწყებინა. გელაც თუმცა ჰგრძნობდა, რომ მართალი არ იყო, მაგრამ ერთხელ წამოროშილის უარის თქმა ვეღარ მოეხერხებინა.

უფროსი იდგა და ელოდა, რით გათავდებოდა მათი საქმე. ძლიერს შთაბეჭდილების მომხდენს სურათს უფროსის გონებაც მოეცვა და, ყველაფერს გადავიწყებული, შესცქეროდა. გაიარა კარგა ხანმა, როდესაც ეს უკანასკნელი გამოერკვია, დაფცურდა და გელას მიუბრუნდა:

— რას გაჩუმდი? სთქვი!

გელამ აიღო თავი და ნუგეშმოსპობილი თვალები ხვეწნა-მუდარით შეაქცია უფროსს.

— რა ვსთქვა? — წყნარად წარმოსთქვა იმან.

— როგორ თუ რა სთქვა?.. რისა გეშინიან?.. გაიმეორე ისა, რაც ერთხელ კანონის წინ გითქვამს.

მოძღვარმა წარსდგა რამდენიმე ნაბიჯი და წყნარად, დაყვავებით უთხრა:

— სთქვი, აღიარე... მსაჯულთა ქვეყანასა ზედა სიმართლის შეტყობა ჰსურთ, შეატყობინე.

გელა გათრთოლდა, ხელებმა ცახცახი დაუწყო, მაგრამ სიტყვა მაინც ვერ მოახერხა. უფროსმა შეხედა და მისი საქციელი უბრალო შიშად ჩასთვალა. გელა ერთგულად ემსახურებოდა, ყოველგვარს ბრძანებას დაუყოვნებლივ და მტკიცედ

უსრულებდა და უფროსს უნდოდა გამოსარჩლებით სასარგებლო შრომაზედ წაექეზებინა. ამისთვის მიუახლოვდა იასაულს, დაუყვავა და უთხრა:

— რისა გეშინიან... რატომ არ ამბობ?.. ცოლი მოგიკლეს და სრული უფლება გაქვს, კანონიერი უფლება, რომ დამნაშავე აღმოაჩინო... გესმის?.. ცოლი, საყვარელი ქალი მოგიკლეს!

ამ სიტყვებზედ შეკრთა მთიელი, შუბლზედ ხელი გადისვა და წამოიძახა:

— ჰო, ჰო, ცოლი მომიკლეს, ღვთის მადლმა, და მე თავადაც ქვეყანას გამომაკლეს.

— თუ იცი რამე, სთქვი, შვილო!.. სთქვი, რამეთუ ზეციერს მამას არა დაემალება-რა...

გელა ერთბაშად გამოიცვალა, სახე დაეპრანჭა და შუბლი შაეჭმუხნა; თვალები ბოროტების ცეცხლით გაუბრწყინდა და გულს მორეულმა ნაღველმა სახე სიმწარით აუვსო.

— გინდა, რო ვსთქვა? — წარმოსთქვა იმან და მწარედ განაგრძო: — აგრე!.. შენ მოჰკალ მაყვალაი, შენგამეტი ვერვინ მოჰკლამდა... შენს სახლში იყო სტუმრადა... მასპინძელი შენ იყავ და სისხლიც შენზედ არის.

ამ სიტყვების დროს გელა ხან ყვითლდებოდა, ხან წითლდებოდა და თვალებში სისხლი ერეოდა. ლაპარაკის დროს ეტყობოდა, რომ მღელვარება ყელსა სწდომოდა და ლაპარაკის ნებას აღარ აძლევდა.

— შვილო, შვილო!.. შენ ამბობ მაგას? — ძლივს წარმოსთქვა გელასთვის უფრო შეწუხებულმა, სანამ თავისთვის, — მოიგონე, შვილო, რომ ზეცაში არის კიდევ მსაჯული, რომელსაც არა დაემალება-რა...

— რაი-და არ დაემალება? — შეჰყვირა მთიელმა, რომელსაც სიბრაზე თანდათან გონებას აკარგვინებდა. — შენ მოჰკალ, შენა და ცხო არავინა!.. შეგიბრალა?.. რაისთვი?.. განა მე კი შემიბრალა ვინმე?.. სახლი გამიწბილეს, ყველას გამაშორეს, მომკლეს, დამტანჯეს... და როცა გული გატყვრა... სული მოკვდა და ეხლა შეგივალად... არა, ღვთის მადლმა, ეს გული თქვენ მოკალით და არც ვის არ შეგივალებსთ... შენა ხარ, შენა, მომკვლელი, მღვდელო! ტყუილად ნუღარ იმალები.

— ნუ ჰგმობ ღმერთსა და ნუ დამორჩილებიხარ ეშმაკს.

— შენ მოჰკალ, შენა, მღვდელო! ტყუილადა ცდილობ, თავს ვეღარ დამალავ...

— მე მივიღე გაყინული და გავათბე... ვნახე ცოდვილი და მოვაბრუნე... რა სარგებელი მექნებოდა მისი მოკვლით?

— მაყვალაი მთხოვრად დადიოდის, — უსირცხვილოდ უპასუხა გელამ, — ბევრი ფული ჰქონდა ნაშოვნი და მოჰკალ იმისთვის, რომ იმის სარჩო დაგესაკუთრა... მოჰკალ და ახლა კი გეშინიან?

— შენამც თემის შეძულებული... — თავდავიწყებით წამოიძახა მოძღვარმა, მაგრამ მაშინვე შესდგა და წყნარად განაგრძო: — მეუფეო, შეუნდევ, რამეთუ არა იციან, რასა იქმონენ.

ონოფრე გამობრუნდა, დაიკრიფა გულხელი და დადგა. მისი თვალები ელვარებდა და გული იძახდა:

— უფალს ჩემი გამოცდა ჰსურს და მის მოწყალების ღირსიც არა ვარ!

— რას იტყვით, მღვდელო? — ჰკითხა უფროსმა.

— რა ვსთქვა, რა მეთქმის? — მიუგო მოხუცმა და ხელით გელაზედ უჩვენა: — ეს კაცი მამტყუვნებს და კანონმა უნდა გამასამართლოს.

— დღესვე თბილისს უნდა გავგზავნოთ, აქ თქვენი გასამართლება არ შეიძლება.

— აღსრულდეს ნება უფლისა... მის განზრახვას წინ ვინ წაუდგება?

— გირჩევდით კი, რომ გულწრფელად ყოველისფერი აღგეარათ, კანონი ისე სასტიკად აღარ მოგექცეოდათ.

— მე მყავს უმაღლესი მსაჯული, რომელიც ყველას გულთამხილავია... როდესაც მის წინაშე წარვსდგები, პირზედ ღიმილ-მოსული ვეტყვი: „მეუფეო, მიუწყე კეისართა კეისრისა და ღმრთისა — ღმერთსა“.

ამ სიტყვებს შემდეგ მის ბაგეთ სიტყვა აღარ წარმოუთქვამთ, თუმცა ყველა იქ მყოფი ცდილობდა წარმოეცდინათ რამე, რომელსაც მაყვალას მკვლელობის საქმის განათება შესძლებოდა.

გელა, რომელიც თემისგან განდევნის გამო დიდხანს სხვა-

დასხვა ადგილებში დადიოდა და ხან ვის შეაფარებდა თავსა, ხან ვისა, — ამ უკანასკნელს ხანში ისევ მთიულეთს მოვიდა და ანანურის აღმსრულებელთან, რომელიც მთელს მთის ხალხზედ მბრძანებლობდა, იასაულად დადგა.

მართალია, ხალხი განდევნილს, როგორც საერთო სხეულიდგან მოკვეთილს, არ იკარებდა და მისგან შინ დაბრუნება, ოჯახობის ხელახლად გამართვა შეუძლებელი იყო, მაგრამ, მთავრობისაგან დაფარული, თავის სოფლის ახლომახლო ცხოვრებას კი ახერხებდა.

ხალხისგან განდევნილი, რომელსაც ყველა ერიდებოდა, ხმას არავინა სცემდა, რომელთანაც მეზობელნი პურის ჭამასაც კი უკადრისობდნენ, — თანდათან ბრაზდებოდა და, ისეც წინადვე გაბოროტებულს, ეხლა გადახდევინების წადილი თანდათან ემატებოდა. გელა შეუწყალებლადა სდევნიდა ყველას და ვაი იმის ბრალი, ვისაც უბედური შემთხვევა მას ხელში ჩაუგდებდა. იასაული არამც თუ დაინდობდა, არამედ დანაშაული სრულიად ყურადსაღებიც რომ არა ყოფილიყო, ყოველ საშუალებას ხმარობდა— გაეზვიადებინა, გაედიდებინა და საქმის ათასგვარ გაძვრენ-გამოძვრენით ცდილობდა უფროსთათვის ყურადსაღებ შემთხვევად დაენახვებინა.

მაშინდელი მდგომარეობა მართველთ საშუალებას არ აძლევდა საქმე ბეჯითად გამოეკვლიათ, საქმე ზედმიწევნით შეტყოთ და ამისთვის ბევრჯელ საქმის გადაწყვეტა მხოლოდ გელასთანა ხალხის სიტყვებზედ ფუძნდებოდა.

ბევრის დედა აატირა ამ კაცის ენამ, ბევრის ცოლს გაუშავა მზე, ბევრის ობლები დაყარა უპატრონოდ და მათთვის ზრუნვა მეზობლებს მოახვია თავზედ; ბევრჯელ ესმოდა გმინვა და გოდება, წყევლა და კრულვა მათგან, ვისთვისაც გელას დაშხამულს ენას გულში საწამლავი ჩაესხა, მაგრამ მათი მდგომარეობა ნამუსდაკარგულს კაცს სიმღერად ესმოდა, ძალას უმატებდა და თანდათან მეტად სწყურდებოდა მათი გადახდევინება.

თითქოს სიტყვის ტუჩებზედ გამყინავს ტყვიასაც კი დაეკარგა თავისი თვისება, და გელა გადაუხდევინებელი რჩებოდა. ამ ხანში გელას უყვარდა მაყვალა თუ არა, ვერ გეტყოდათ, მაგრამ მისდამი გაბრაზება კი იმდენი ჰქონდა, რომ, —

რა დროსაც უნდა შეჰყროდა, რა მდგომარეობაშიაც უნდა მიესწრო, — მკერდს გაუპობდა, გულს ამოუღებდა, გაუმაძღრად უკანასკნელ წვეთამდის სისხლს ამოსწოვდა და მაინც ვერ გაძღებოდა.

ერთბაშად მაყვალა მოკლეს და ხმამ მთელი მთა მოირბინა, ყველგან გავრცელდა. გელას, რომელიც გადახდევინების წადილს გაემხეცებინა, ეს ხმა არ უამა, რადგანაც სიკვდილის მიზეზი სხვა გამხდარიყო და თითონ ვერ დამტკბარიყო მისი მთრთოლარე გულის ხელებში ჯიჯღნით.

მაყვალას სიკვდილმა ვერ დააკმაყოფილა მისი პირუტყვული შურისძიების წადილი და, რადგანაც ეს ქალი ხელიდგან გამოაცალეს, იასაულის მტრობა პირდაპირ მომკვლელზედ გადავიდა.

გელამ ბევრი ეძება, მაგრამ ბოროტმომქმედი ვერ იპოვა და უფრო მომეტებულად გაბრაზდა, გაშმაგდა და დაუნდობელი შეიქნა.

„ონოფრემ გამომაცალა ხელიდგან!“ — გაუელვა ფიქრმა და მთელი წადილი გადახდევინებისა მოძღვარზედ გადავიდა.

ამ დღიდგან ის შეიქნა დაუძინარი მტერი მოხუცისა და მას საშუალება არ შეუშურვებია, რომ ონოფრეს დასალუპად არ მოეხმარა, რომ ნამუსს ან სინიდისს არამც თუ შეეყენებინა, არამედ, წუთითაც არის, შეეფერხებინა.

ეხლა, როდესაც დაჭერილი მოძღვარი ციხეში იყო და მის საქმეს მსაჯულნი არჩევდნენ, ისიც აქვე ტრიალებდა და ყოველის ღონისძიებით ცდილობდა, საქმე თავის წადილისამებრ გაეთავებინა.

XXI

საზიზღარი და ენისაგან წარმოუთქმელი მკვლელობა მოხდა; დედაკაცი, რომელსაც წინააღმდეგობის და თავის თავის დასაცავი საშუალება არა ჰქონდა, ვიღაცა სულით დაცემულის ავაზაკობის მსხვერპლად შექმნილიყო. ამ საქმემ მთავრობის ყურამდის მიაღწია და დამნაშავე გადაუხდევინებლად ვერ დარჩებოდა.

ყოველსავე მოაზრებას ამ საქმის შესახებ დამნაშავედ მოძღვარი ონოფრე გამოჰყვანდა; თუმცა, მართალია, ერობა ერთხმად ღაღადებდა, რომ მისგან ამ საშინელების მოხდენა შეუძლებელი იყო, მაგრამ გელასაც არ ეძინა და მათ ჩვენებას ხერხიანად აჭარწყლებდა. მაშ ვინ იყო დამნაშავე? ვინ მოკლა მაყვალა? ონისემ?.. მთავრობისგან შედგენილს ქაღალდებში აღნიშნული იყო, რომ ეს კაცი ქალის მოკვლაზედ ბევრით ადრე გადაცვალებულიყო და თითონ გელა კი ამ საგანზედ გაჩუმებულიყო, რადგანაც იქაც საკუთარს მსხვერპლს იმზადებდა... იქნება, თითონ გელამ მოკლა? — იმანაც არა, რადგანაც გელა ხელმწიფის სამსახურში იყო და, როდესაც მაყვალა სამზეოს გამოასალმეს, გელა რაღაცა საქმისათვის მთავრობასთან დასაჯილდოებლად გაგზავნილი იყო და თბილისში იმყოფებოდა.

მოძღვრის გარდა მასთან არავითარი დამოკიდებულება არავისა ჰქონია, უცხო ძე ხორციელი ქოხში არ შედიოდა და, თემისგან განდევნის გამო, თვით ქალიც ვერავის ეჩვენებოდა.

აშკარა იყო, რომ მომკვლელიც ამის მეტი არავინ უნდა ყოფილიყო. ამ რწმუნებას მით უფრო ყველა ეძლეოდა, რომ ონოფრე ყველას და ყოველს კითხვაზედ ერთსა და იმავე პასუხს აძლევდა: „არ ვიცი, ვინ მოკლა მაყვალა, მე არ ჩამიდენია ბოროტმოქმედება!“

დამშვიდებული და დაწყნარებული მოხუცი აუჩქარებლად იმეორებდა ამ სიტყვებს და დანარჩენი კი ყველა უფლის მზრუნველობაზედ მიენდო. მან იცოდა, რომ მართალი იყო. ცილი, რომელსაც სწამებდნენ, მიაჩნდა უზენაესისაგან გამოცდად და დარწმუნებული იყო, რომ მოვალეობის აღმსრულებელი დაუჯილდოვებელი არ დარჩებოდა.

დიდი ხანი იყო, რაც მოხუცი ციხეში დაეჭირათ, რაც განუწყვეტლივ მასთან გამომძიებელნი დადიოდნენ და ათასის კითხვებით თავს აბეზრებდნენ; სასულიერო წოდებას აეყარა მისთვის მღვდლობის სახელი და განედევნა თავის წოდებისგან, მაგრამ მოხუცი იდგა მაგრად, კლდესავით და იძახდა: „უფალო, ნუ გულისწყრომითა შენითა მომხედავ მე!“ და ამ სიტყვებით გაფოლადებული გული, რწმუნებას შეთვისებული

მოძღვარი იდგა შეურყევლად, ძლევამოსილად და თავის სიმაღლიდგან ჭიანჭველად მონაჩენს ხალხს გადმოჰყურებდა.

რწმუნება ჰქონდა მტკიცე, სული ამაღლებული და ხასიათი ქვითკირად შედუღებული. მისთვის თითქოს არავითარს ძალას მნიშვნელობა არა ჰქონდა, ყოველს იერიშს, მის რწმუნებაზედ მიტანილს, ბურჯად ახვედრებდა რწმუნების შეუდრეკნელობას და დღემდის მსაჯულთ მეცადინეობა ამაოდ ზედ ელეწებოდა.

მან იცოდა, რომ ადვილად შეიძლებოდა ხელი ვისთვისმე მოეკიდა, მაგრამ ამგვარი საქციელი კაცის დამამცირებელი იყო. იცოდა, რომ ამგვარი მოქმედება ამცირებს ქვეყნის ბედნიერებისათვის მზრუნველის სახელს და მიწა რომ ჩასტეხოდა ფეხქვეშ, ცა რომ ჩამონგრეოდა თავზედ, ერთს სიტყვას არ გააწყალებდა ამის შესახებ, ერთხელ წარბის შეხრითაც არ გამოიჩენდა, რომ სხვის დასჯით თავად უნდოდა სასჯელი აეცდინა. გულის ხმა არ წასჩურჩულებდა: „სთქვი რამ და თავს უშველეო!“

ასე მიდიოდა მოძღვრის ცხოვრება და მის სულს მცირედ ზადი არ დასტყობოდა, იოტის-ოდნად არ შერყეულიყო, თუმცა, თავისუფლებას დაჩვეული, წმინდა ჰაერში აღზრდილი და მუდამ ვისთვისმე მზრუნველი მოძღვარი, ვიწროსა, მყრალსა და ბნელს ციხეში იყო დატყვევებული.

ყველაფერს განშორებოდა, ყველაფერი დაშორებოდა, რაც ოდესმე მის გულს ნათლად აშუქებდა და სულს, ციურის ლამპარით განათებულს, გუნდრუკს უკმევდა. თუმცა მოხუცი, აღჭურვილი რწმუნებით, გამოცდილებით და გონების განათლებით, ხალხს ბევრად წინ გასცდენოდა, სჯეროდა, რომ სამართლიანობა ოდესმე თავს იჩენდა, ნათელი ბნელზედ გაიმარჯვებდა, მაგრამ ისიც ესმოდა, რომ არც ერთი ცვლილება ქვეყანაზედ უმსხვერპლოდ არა ხდებოდა და თავის თავის გამართლებაზედაც დიდი იმედი არა ჰქონდა.

„ადამიანი იმიტომ არის ადამიანი, რომ შეცდომა მისი წესია, უამისოთ კაცი ღმერთი იქნებოდა!“ იტყოდა ხოლმე ხშირად მოხუცი და ეს შეხედულება აძლევდა იმ განუსაზღვრელს ძალას შენდობისას და მოტევებისას, რომელიც ჩვეულებრივის კაცის თვალს და გონებას გააოცებდა.

მაგრამ ასე იყო თუ ისე, მაინც ცხოვრების გამოცვლამ ამოქმედა ხანშიშესულის ონოფრეს აგებულებაზედ და მისი ჯარგადმყოფობა შეირყა.

ონოფრე თუმცა სამოცდაათს წელიწადს გადასცილებოდა, თმა და წვერი მთლად გასთეთრებოდა, მაგრამ მარტივა ცხოვრებას, მთის ჰაერს და თავის ცხოვრებით კმაყოფილებას დღემდის ჯანმრთელად და ღონემოუკლებლად შაენახა. ამ მოკლეს ხანში კი თვალები ჩასცივნოდა, თვალის ძირები ჩაშაგებოდა და სახეს ავადმყოფის ფერი დასდებოდა. თეთრი, ხშირი წარბები შუაში მეტად დანაოჭებოდა და გაშლილი მაღალი შუბლი ფიქრსა, დუმილსა და ნაღველს დაეღარა.

ასეთი იყო მოხუცი, როდესაც, სამარის მსგავს სიჩუმეში მყოფი ოთხს ვიწროს, დაბალს და ნოტიოს კედელს შუა მყოფს, მოესმა მძიმე ხმაურობა. ეტყობოდა, რომ მომავალს ნალურსმი ჩექმები ეცვა და მისი მოძრაობის ხმა ყრუ და გულის სევდით მომცველად გაისმოდა. ვიწრო და გრძელი, ქვით მოგებული დახურული გამოსავლელი ჯურღმულად გათხრილს ხვრელად ეჩვენებოდა; ყოველი განძრევა, ყოველი ხმის ამოღება, დახველებაც კი ამ სიბნელეში რამდენჯერმე უსიამოვნოდ ერთგვარად მეორდებოდა და განუწყვეტლივი ერთგვარობა კი თავს აბეზრებდა, გულს უშფოთებდა და სიცივის ჟრიამულად უვლიდა მთელს სხეულში.

მოხუცი იჯდა თავის საპატიმროში და ყური ვერ მოეშორებინა უსიამოვნოს ხმისათვის, თუმცა ყოველს ღონისძიებასა ხმარობდა სხვა რომელსამე საგანს დაჰკვირვებოდა და მით წესაზარი ხმა გადაევიწყებინა.

არ გაიარა დიდმა ხანმა, როდესაც უცნობი ონოფრეს კარებთან მოვიდა, გაავლო დიდს კლიტეს ხელი და ჯაჭვების ჩხარი-ჩხურით კარები გააღო.

— წამოდი, — უთხრა ბრძანებით მცველმა, რომელიც მოხუცის წინ შესდგა და აზრი თავის გადმოქნევით დაუბოლოვა.

— სადა? — ჰკითხა მოხუცმა და წამოდგა, მაგრამ ბევრის ჯდომით ფეხები დაბუჟებოდა და, რომ არ წაქცეულიყო, კედელს მიეყუდა.

— მაგას იქ გეტყვიან, — მკაცრად მიუგო მცველმა და

ისევ თავის გადაქნევით და გაჯავრებით ხმა შეუმაღლა: — გამოიარე, გამოიარე!

— მოვდივარ, მოვდივარ, მხოლოდ ცოტა ფეხთ დამიბუჟდა.

— მე რა გიყო, რო დაგიბუჟდა?.. გამოიარე. — დაუყვირა იმან.

ონოფრემ შეხედა, ამოიოხრა და ხმაამოუღებლივ გადმოდგა ფეხი; ჯერ კოჭლა-კოჭლაობით წავიდა, შემდეგ გასწორდა და თუმცა სწორედ გაიარა, მაგრამ მუხლებში დასუსტება დაეტყო. მცველი გაუძღვა წინა, მოხუცი მისდევდა უკან და ორნივ ციხის ერთს ოთახში შევიდნენ, სადაც ერთი კაცი იჯდა დასიებულ-გაწითლებულის ცხვირით და სქელის, გრძელის, ყორნის ფთასავით გაშავებულის ულვაშებით.

მოძღვრის შესვლა იმან თითქოს ვერც კი შეამჩნია და ბოლოს დაუძახა ერთს მცველთა მეუფროსეს, ჩააბარა ტუსაღი, მისცა ორი თოფიანი დარაჯი და ყველანი სამსჯავროში გაგზავნა, სადაც ონოფრეს საქმის შესახებ გადაწყვეტილება უნდა გამოსცხადებოდა.

სამსჯავროში დიდხანს არ ალოდინეს, რადგანაც საქმე აშკარა იყო და მაყვალას მკვლელი მოხუცის მეტი არავინ იქნებოდაო.

ამ სიტყვით წარმოუთქმელის ავაზაკობისათვის ონოფრეს გამოუცხადეს: „აეყაროს ღირსება, პატივი და ოცდაოთხის წლით გაიგზავნოს კატორგაში. მაგრამ იქმნეს მიღებული მხედველობაში ონოფრეს ხნიერება და შუამდგომლობა გაეწიოს მათი უდიდებულესობის ხელმწიფე იმპერატორის წინაშე, რათა გადაწყვეტილი ვადა ნახევრად შეუმცირდეს...“

ეს სიტყვები მოხუცს ზარსავით თავში დაეცა და ჟრიამულით ფეხებამდის გაუარა... მას მოაგონდა მთა, თავისი ქოხი, ჰაერი, იმ ადგილების ცა და ღრუბელი, სადაც ნიავი მშობლურად უალერსებდა!.. მოაგონდა თავისი მრევლი, რომელსაც ისე მუყაითად ემსახურებოდა, ისეთის მშობლურის გულის ტკივილით თავს ევლებოდა; მოაგონდა თავისი შრომა და ოფლი, რომლითაც თავისი წარსული ცხოვრება მოერწყო, და წაბარბაცდა... გული გათრთოლდა, შეკუმშა და შემდეგ განზედ გასულმა კვნესა დაიწყო... ყველას უნდა მოშორებო-

და, ყველას უნდა გამოსალმებოდა, სადაც კი შობილიყო, აღზრდილიყო და სიცოცხლე გაეტარებინა. ყველა უხდა დაჰკარგოდა, რაზაც კი გული ელხვებოდა, ადხეოდა და ჯეთაშაბებდა!.. ყელში მობჯენილმა სისხლმა ხრიალი დააწყებინა და წუთს შემდეგ თვალთაგან მდუღარე ცრემლად გადმოედინა.

მოხუცის არსებაში კაცმა გაიღვიძა და მისი გული კაცის ვნებამ გააფორთხალა.

ონოფრე შესდგა, ამოიქშინა რამდენჯერმე, მოიწურა ცრემლები, გასწოდა და თავძაღლააღეულძა იქაურობაა თვალი მოავლო.

— კრებულნო!.. ღმერთია გულთამხილავი, რომ დამნაშავე მე არა ვარ... დღეს განმაშორეთ ჩემს მოძმეთ, ჩქმს მიწასყალს, ჩემს წინაპართ საფლავს... დღეის იქით მარტოდ, ობლად, სრულს ობლად ვიქნები, სრულს ობლად დავლევ ჩემს სიცოცხლეს... მოვკვდები და მოძმეთ ცრემლიც არ ეღირსება მაოტოდ გამქრალს გულსა... ჩემის ქვეყნის ღრუბელიც კი ვერ მოაღწევინებს ჩემს ქვეყანაში მოკრეფილს წყალსა, რომ ცრემლის მაგიერ იმან მაინც დანამოს მკერდი... მოჰაშორეთ ყველას, ყველაფერს, რაც კი კაცს სადიდებლადა აქვს, რაც ადამიანს აცხოველებს, კაცის სახელს აძლევს... დამსაჯეთ, მაგრამ, ვიმეორებ, შესცდით-მეთქი, და ამ შეცდომისთვის მოგიტეოსთ უზენაესმა!.. — აქ მოხუცს ხმა აუმაღლდა, სახე გაუბრწყინდა და ხელებ-მაღლა აღპყრობილმა დიდებულად წარმოსთქვა:

— მეუფეო, ცხოვრებისა ჩვენისაო! მიუტევე შეცდართა, რამეთუ არა იციან, რასა იქმენ!..

აღარ განვლო ამ დღიდგან დიდმა ხანმა, როდესაც თეთრს დუქანთან ჩხარი-ჩხური მოისმა და მზის სხივზედ შუბებმა ლაპლაპი დაიწყო.

თბილისიდგან ტუსაღნი მოჰყვანდათ, რომელნიც დუქნის ახლოს შეასვენეს. უმეტესი წილობა პყრობილთა საციმბიროდ იყვნენ გაგზავნილნი და წყლისფერს ხალათებს, რომელიც მათს ტანსაცმელს შეადგენდა, ზურგზედ ოთხკუთხად ყვითელი მაუდი ჰქონდა მიკერებული ზედ წარწერით: „ციმბირში“.

ყველა გაჩუმებულიყო, ყველა დადუმებულიყო, თითქოს ყველას ევრძნო სიძნელე თავის ქვეყნის განშორებისა. მაგრამ დაღვრემილი, გაცრეცილი სახეები ამტკიცებდა, რომ გულს გლოვის ეერანგი ჩაეცვა და კაცთათვის დამალულის იდუმალებით გულშივე ჩაიტიროდნენ.

სხვებისგან განცალკევებით, გზისთვის დამტვრეულს ქვის ხროვაზედ იჯდა ერთი ტუსაღთაგანი, რომელსაც ორივ ნიდაყვი მუხლებზედ დაეწყო და დახრილი თავი ხელებზედ ისე დაებჯინა, რომ სახე აღარ უჩანდა.

ხანგამოშვებით თრთოლა და კანკალი უმტკიცებდა, რომ ან აცივებდა, ან ცეცხლმოდებულის გულის მოძრაობას აჰყოლოდა და მასთან ერთად თრთოდა, ცახცახებდა.

უცნობმა ერთბაშად თავი აიღო, მიაპყრო ღმერთს თვალები და მტკიცედ, გულმხურვალედ ერთხელ კიდევ წარმოსთქვა:

— მიუტევე, მამაო, რამეთუ არა იციან, რასა იქმენ!

XXII

წვერის სპარსთ-ანგელოზობა იყო, — ხატობა მთელს მთაში განთქმული და სახელგავარდნილი. ეს დღეობა ეხლაც დიდს ძალს ხალხს მიიზიდავს ხოლმე, რადგანაც ორი სოფელი, სნო და სტეფანწმინდა, მლოცველთ მასპინძლად უხვდებიან და ერთიერთმანერთს პურადობასა და სტუმრის დახვედრაში ეცილებიან.

ეს ხატები ასვენია ყუროს მთის გადმოსწვრივ სამხრეთით, ერთს ამაღლებულს ჩონჩხიანს გორაზედ, რომელიც მიუდგომელს სიმაგრეზედ აღმართულა, ისეც ძნელად სავლელს და მისადგომს კლდეებში.

ძველს დროში აქვე ინახებოდა სახალხო საუნჯენი, შეწირულობანი და საერო ქვაბები ლუდისა, არყისა და საკლავის მოსახარში. ეს წმინდა ადგილები ხალხისაგან მით უფრო პატივსაცემლად იყო გამხდარი, რომ იქ ესვენა სათემო დროშები, რომელთანაც ხალხს თავისი წარსული ბედ-იღბალი შაეერთებინა, რომელნიც არა ერთხელ და ორჯელ ამოვლებუ-

ლიყო მთიელთ სისხლში თავის ქვეყნის, სარწმუნოების და ეროვნების დაცვისათვის ადრინდელს არეულობის დროსა.

აქ შეფარებული დაჭრილი ჯიხვი მონადირისაგან ხელშეუხებელი რჩებოდა, რადგანაც წმინდა ადგილს ველარავინ გადალახავდა; ამ წმინდა ადგილებს მიღწეული დევნული მტრის დევნისაგან სრულიად თავისუფლდებოდა, რადგანაც წვერის სპარს-ანგელოზს თავის ფრთა გადაეფარა. ეს იყო ხევის უმაგრესი ადგილი და უმთავრესი საგანძე, სადაც ურიცხვი შეწირულებანი მლოცველთა ინახებოდა.*

რა თქმა უნდა, რომ ეს ადგილი ცოტა ხალხს არ მოიზიდავდა და ცოტა საკლავს, საწირს და ზედაშეს არ მოიტანდა.

თუმცა ამ ადგილს ეკლესია არ იყო, მაგრამ მისი ადგილი ეჭირა ნიშსა, რომელიც თეთრის ბროლის ქვით აეშენებინათ და მზეზედ ვერცხლად ბრჭყვიალებდა. ოთხ-კუთხად აყვანილი ნიში სათაურში ვიწროვდებოდა და ზედ სათაურზედ ოქროთი ნაწერ-ნახატი რკინის დიდი ჯვარი ედგა.

მას ჰქონდა გალავანი აშენებული ჯანგნარევის ქვით, რომელიც ოქროსავით ბზინავდა და მის თავზედ ურიცხვი დროშები გაფრიალებულიყვნენ.

სხვადასხვა ფერად აჭრელებული ხალხი მიდიოდა და ზოგ ჯვარს იხსნიდა ყელიდგან, ზოგი ბეჭედს იძრობდა თითიდამ, ზოგი — ვერცხლის უღელს, რომელიც, შეთქმისამებრ, მთელს წელიწადს ყელზედ ეტარებინა; სხვებს მიჰქონდათ კრძედ თასები, აზარფეშები, შანები და სხვა ძვირფასი ნივთები თვლებით მოჭედილი. ყველა სასოებით მუხლს იყრიდა და მოკრძალებით ჯვარს შეაბამდა თავის საწირავს. გარსმოდა დროშის ზარის ჟღრიალი და დეკანოზებისგან დამწყალობნება შემწირავისა, რომელიც უკანასკნელს ნივთს საზოგადო სიმდიდრეს უმატებდა.

— სწყალობდეს! — დაიძახებდა ხალხის მმართველი, დეკანოზებზედ უფროსი ხევისბერი, და ჰაერი დაიფარებოდა გრგვინვასავით ხალხის ძლიერის ხმით; ამა ხმას მოჰკრავდა

---

* წვერის სპარს-ანგელოზის ეკლესიაში მოუვიდათ ორი ხატი. ერთი მაღალი არის შემოსილი ნაკვერის ვერცხლით. მეორესაც ვერცხლის გვირგვინი აქვს. აგრეთვე სხვა ეკლესიებსაც ახალი ხატები მოუვიდათ (ავტორი).

ხელს სუბუქი ნიავი, გაიტაცებდა ზრიალით და ყოველ მთას, ყოველს ხეობას, ყოველ კენჭსაც კი აგონებდა — ვინ რა შეწირულება გაიმეტა ღმრთისა და ეკლესიისათვის.

ამ ადგილს ერთობა, ერთი-ოჯახობა იქამდის თავს იჩენდა, რომ დაკლული საკლავები, ქადები სულ ერთ ადგილას, ნიშის ახლოს მოჰქონდათ. აქა ჩუხჩუხებდა საერთო საარაყე ქვაბები, რომელშიაც საერთოდ იხარშებოდა მთელ-მთელი ცხვრები და, მომზადების შემდეგ, იმის გაურჩევლად, რომელი საკლავი ვისგან იყო მოტანილი, ხალხის რიცხვზედ უწილადდებოდა. ამ კერძს ერქვა ხატის წილი და მას ძუძუ მწოვარასაც ვერ დააკლებდნენ, რადგანაც მით ერთის ოჯახობის მონაწილეობა მტკიცდებოდა.

ბევრნი იყვნენ ხატობაში ისეთნიც, რომელთაც ან ადგილის სიშორის, ანუ სხვა რომელისამე მიზეზის გამო ხატში სრულიად არა მოეტანათ-რა. მაგრამ აქ ერთი ოჯახი იყო, ცარიელად მოსული — მისი წევრი და მას არა თუ მიიწვევდნენ, არამედ ვერაფერს დააკლებდნენ, რადგან თავის ხატის წილის მოთხოვნა ყოველთვის შეიძლო.

დაამწყალობნეს ხალხი, დეკანოზებმა საკლავის მომტანს ჩვეულებისამებრ შუბლზედ სისხლის ჯვარი გაუკეთეს და ხალხი ნიშის მოშორებით ველზედ შეგროვდა; სადილი ჯერ არ მომზადებულიყო და ხალხს ჯვარულისა და დიდების შემდეგ ტაშფანდურა გაემართა. გახურდა „გოგონა“ და გაბრწყინდა ყმაწვილი გოგო-ბიჭების თვალები. მღერაში მომთჭმელ-მოლექსენი ცდილობდნენ, ერთმანერთზედ უფრო მწვავს, გულის ამღელვებელს და ძლიერს სიტყვებს იგონებდნენ. თამაშობით შეხურებულნი ყმაწვილნი შეწითლებულიყვნენ და თვალ-გაჟუჟუნებული გოგოები „საგულოს“ დაეძებდნენ, რომ კეკლუცის გაღიმებით მოეხიბლათ, თვალის ჩაკრენტით გაებედნიერებინათ.

უფრო მოხუცი დარბაისელი ხალხი ჯგუფ-ჯგუფად დაყოფილიყო და ზოგნი თავთავიანთ ბინებში ისხდნენ, ზოგნიც ერთის ბინიდგან მეორეში ესტუმრებოდნენ, რათა შემთხვევა არ დაეკარგათ და, ვინ იცის, რამდენი ხნის უნახავ ნათესავებთან დამტკბარიყვნენ და დრო გაეტარებინათ.

ყოველს ბინაზედ მრავალი ჰქონდათ: შინაური არაყი, ლუ-

დი და სტუმრის მისვლისთანავე გაიმართებოდა თასების გზავნა და „სმური“, — გალექსული სიტყვის შესხმა მისულისადმი.

ყველაფერი რიგზედ მიდიოდა, როდესაც სამი კაცი შემოჩნდა ქვევით გვერდოზედ. სამივ გაჩქარებული მოდიოდნენ და ეტყობოდათ თავისათვის ძალა მიეყარათ, რადგანაც, უეჭველია, დასცხომოდათ და ქუდები „ჭალას“ მხრივ ისე დაეხურათ, რომ ქუდის სათაურებს მზე მოეჩდილა. სამთავეს ჩოხის კალთები გადაეწიათ, რომ მუხლებს დრეკისა და მოძრაობის დროს ნაკლები ძალა დასდგომოდა. ისინი თვალთათვის სამდევროდ მოდიოდნენ და ამის გამო ხალხის ყურადღება მიიქციეს.

— ვინ იქნებიან... ძალუმ ჩქარა კი მოდიან... ეგენი უსაქმოთ არ იქნებიან... — ლაპარაკობდნენ აქა-იქ ხალხში და მომავალთ ყველა მოუთმენლად ჩასცქეროდა.

ბიჭებმა მოაღწიეს სერსა, ამოხდნენ და ხალხმა იცნო ისინი. სამნივ სიონლები იყვნენ. მათ მოსვლის უმალ ხალხს შეუფერხებლივ „წყალობა ხატისა“ შეუძრახეს, მიიღეს პასუხად — „თქვენიმც მწყალობელია“ და ხმა გაუცემლივ ნიშისკენ გასწიეს. როდესაც წმიდა ადგილს მიუახლოვდნენ, დაყარეს ჯოხები, ქუდები, წარსდგეს რამდენიმე ნაბიჯი და პირჯვრის წერით დაიჩოქეს. დეკანოზებმა შეჰკრეს თვალი ახლად მოსულებს, აიღეს დროშები და დაამწყალობნეს. ბიჭები ადგნენ, ავიდნენ ნიშთან და დროშის წინ მუხლის მოხრისა და შეევედრების შემდეგ საწირ-სანთელი ნიშის კედელში დატანებულს თახჩაში შეაწყეს.

დეკანოზებმა დროშები თავთავის ადგილას დაასვენეს და ერთმა მათგანმა ახლად მოსულებსა ჰკითხა:

— რაი ანბოვი იყო, რომ ისე ჩქარა მოდიოდით?

— გონჯი ამბოვი, ღვთის მადლმა! გონჯი... — უპასუხა ერთმა.

— რაი ანბოვია, რაი ანბოვი? — მიეხვივნენ დანარჩენი დეკანოზები.

— რაი-ღა რაი ანბოვი, ონოფრეი დაჰკარგეს.

— ვინ ონოფრეი, რას უბნობ!

— აუ! ონოფრეი არ იცი? მღვდელი, აქიმი, ბურსაჭირის ჭოხში რო სცხოვრებდა...

— რას უბნობ, ბიჭაუ!.. ვინ დაჰკარგა, როგორ? — აღელდნენ იქ მყოფები.

— რაი-ღა ვინა, ციმბირს გაგზავნეს.

— რაიო? — განუმეორეს კითხვა, რადგანაც ამგვარს შემთხვევას ვერც ერთი მათგანი ვერ წარმოიდგენდა.

მაშს საუბარში ხალხი ჯერ მონაწილეობას არ იღებდა, რადგანაც ნიშს საკმაოდ დაშორებულნი იყვნენ და ლაპარაკი არ მისდიოდათ.

— ონოფრე გაგზავნეს-მეთქი, ციმბირჩიგა, — გაიმეორა მოსულმა.

— ონოფრე... ციმბირჩიგა?! — დაიწყო ერთმა.

— იმას ვიღა გაგზავნიდა, „უფლის ნათლული“ იყო, — დაუმატა მეორე დეკანოზმა.

— ტყუილი იქნების... მოაჭორებდა ვინმე და... — წარმოსთქვა მესამემ და ამბის მომტანს მიუბრუნდა: — სირცხვილი არაა, ბიჭაუ, რო, სადაც რაი გაიგონა, პირში აღარ დაგადგების?.. გაიგონებ ჭორსა და ხალხი უნდა არიო.

— რაი არიაო? — წყენით უპასუხა სიონელმა. — ჭორად კი არა, მე თავადა ვნახე, აი ემ თოლებითა. — თვალებზედ ხელები დაიდო.

— შენ ნახე? — გაიკვირვა ყველამ.

— ჰაი, ჰაი, რომ მე ვნახე...

წუთს ყველანი გაჩუმდნენ, თითქოს მეხმა დაჰკრა და ყველას სული გააკმენდინაო, მაგრამ მაშინვე ისევ აყაყანდნენ და ერთიერთმანერთის შორის დაიწყეს კითხვა:

— სადა ნახე, როგორა, მართლა მიჰყვანდათ, რას ანბობდა, როგორ იყო?

— დაფერხდით, დაიცადეთ, ყველას გეტყვით.

— იყუჩეთ, იყუჩეთ! — დაუმატა უფროსმა დეკანოზმა და ყველანი სმენად გადაიქცნენ.

— სტეფანწმინდას ჩაველ, — დაიწყო ამბის მომტანმა,— ხატში წამოსვლა მინდოდა და სანთელი არ მქონდა... ის იყო გამოვედ დუქანჩიგათა და ბორკილების ჩხარა-ჩხური მომედინა. გავიხედე და ტუსაღები ბუზსავით ირეოდნენ... მე ვთქვი ჩემ გულში: „სად დაუხვეტიათ-მეთქი, ამდენი, ცხვრები ხომ

არ არიან-მეთქი...“ ერთბაშად გავიგონე: „შვილო მამუკაო!“ გამიკვირდა, ვინ ამძრახდა-მეთქი... მივიხედე და ონოფრე კი იყო... ბეჩავი! ტუსაღის ტანისამოსში, ბორკილები ჰქონდა ფეხებჩიგა! და ძლივს-ღა მოიზლაზნებოდა... გავქანდი, მინდოდა ხელზედ მემთხვია, მაგრამ მცველმა თოფის ყონდახი დამკრა და არ მიმიშვა... აბა, ონოფრეს ვინ არ იცნობს... ვის არ ახსოვს იმის სიკეთე?.. აი მე თავადაც, დაჭრილი რო ვიყავ, სიკვდილს გადამარჩინა, ღვთის მადლმა!.. უნახავი საით დავდგებოდი?.. სამანი მანეთანი მქონდნენ... წავედი ნაცვალთანა, შევეხვეწე... ორანი იმას მივეც და ერთაიც რუსასა... სალაპარაკოდ მიმიშვეს...

— რაი გითხრა, რაი? — მოუთმენლად ჰკითხეს მამუკას.

— მაყვალაის სიკვდილი მე დამბრალდაო... გელამ მიღალატაო... ნამუსი დაკარგა და უფალი გმოო... მაგრამ ბეჩავი, სულ იმას იძახდა: შესცდა და ღმერთმა აპატიოსო!

— აი ბეჩავ ონოფრე! — ჩაიკრა მუხლებში უფროსმა დეკანოზმა ხელი და მწუხარებით დაუმატა: — მოგიკვდა შენი ვაჟიაი!.. შენ დაიკარგა და მე კი მზეს ვუყურებდე?.. ხალხი, ხალხმა რაღა ქნა? — დააბოლოვა იმან.

— რას იქმოდა?.. ყველა დაღონდა და ყველა ჩაგონდა... უნდოდა მშვიდობა ეთქვა და არ მიუშვეს... ძალუმ ჯარი ეხვია...

— ონოფრე რაღას შვრებოდა?..

— არ იცი, რასა იქმოდა? — კითხვით მიუგო მამუკამ.— ხალხსა ლოცავდა.

— მოიცა-ღა, მოიცა! — გააწყვეტინა მეორე დეკანოზმა,— დალაგებით, დაწვრილებით გვიამბე.

მამუკამ აღასრულა დეკანოზის სურვილი.

— მოკვდეს თემობა, თუ ეგ საქმე ეგრე ჩაავლია! — წამოიძახა უფროსმა დეკანოზმა, წამოავლო დროშათა თავს ხელი და ისე ძლიერად განრისხებით შეანძრია, რომ ზარების ჟღერით ჰაერი შეირყა.

ხალხში სიჩუმე იყო ჩამოვარდნილი, რადგანაც ეგრძნოთ, რომ მოსულებს, უეჭველია, უსიამოვნო ამბავი რამ მოეტანა და შეტყობას ელოდნენ. ზარის ხმამ შეაკრთო, შეაძრწუნა და ტანში ჟრიამულად გაურბინა.

— სმენა იყოს, სმენა!.. — აგუგუნდა ხალხი და ნიშისკენ გაემართა.

დეკანოზები თავთავის ადგილზედ იდგნენ, თავთავიანთ დროშები ეჭირათ და ქუდმოხდილებს ნიავი ბამბასავით თეთრაა თმასა და წვერს ურხევდა.

ხალხი შემოგროვდა ხიშის მაღლობის გარშემო და მოუთმენლად ყაყანებდა. შეინძრნენ დროშები და ურიცხვი ზაოების ჟღოიალი გამეორდა. მას მოჰყვა უფროსის დეკანოზის ხმა: — „სმენა იყოს და გაგონება!“ და ხალხი გაჩქურდა, გაჭიმდა და სული განაბა. თვით ძუძუმწოვარა ბავშვების ჩხავილიც კი აღარსად მოისმოდა, თუმცა სალოცავად მრავალი მოეყვანათ.

ჰაერიც შესდგა და შეგუბდა, თითქოს იგრძნო, რა სამწუხარო ამბავიც უხდა გაეგოხა თემობას; მზეს დარცხვა და იქავ ბყოფს ღრუბელს მოეფარა, რომ ხალხის ბრალი დღე არ ენახა.

— ხალხო! — გაისმა ამ სამარის მსგავს სიჩუმეში და მედგრად გაირბინა ხალხში, — ხალხო! მზე კრთება და ბნელდება სიცხვილისაგან... ცა გაიპო და მრისხანება ზარსავით დაგვეცა თავსა, გასკდა დედამიწა და თან ჩატანას გვიპირებს... ხალხო! თქვენა გყვანდათ მოძღვარი, რომელიც თქვენთვის თქვენზედ მეტსა ზრუნავდა, თქვენა გყვანდათ მამა, რომლის ბაგალითიც გზას გიშუქებდათ... თქვენა გყვანდათ მოძმე, რომელიც ღვთიურს ჭეშმარიტებას გასწავლიდათ... თქვენა გყვანდათ ღვთიური და ის უბრალო ჭიასაც არ ავნებდა... ის იყო თქვენი სახელი, თქვენი სიამაყე, თქვენ შეგეძლოთ ამაყად გეთქვათ: ეგ ჩვენია, ჩვენს მთაში ნაშობი და აღზრდილი, მთა ამაყობს, თემი ბედნიერია, რომ მაგგვარი კაცი ჰყავს, ჩვენში აღზრდილი და ჩვენში დაბადებული... ხალხო, მოიგონეთ, ვისა გტკივებიათ გული და შვება ვის მოუცია... ვინა ყოფილხართ დაჭრილი და ვის გახუკურნვიხართ; ვინ ყოფილხართ დაცემული სულით და ვის აღუდგენიხართ?

— ონოფრე, ონოფრე!.. — დაიძახა ხალხმა გრგვინვასავით ერთხმად.

— გული ხარობს, რომ თქვენთვის მზრუნველი დაგხსომებიათ!.. ბაგრამ იცით, რა შეემთხვა იმას?

— რაი შეემთხვა, რაი?

— ონოფრე გაგშორდათ, გაგშორდათ საუკუნოდ და ხალხი მოაკლდა მის მზრუნველობას.

— როგორ, რას უბნობ?.. გაგვაგებინე-ღა; ღვთის მადლსა!

— ონოფრეს დაბრალდა მაყვალას სიკვდილი და გაგზავნილ იქნა ციმბირს.

იმ წუთას მეხი რომ დასცემოდათ იქ მყოფთ, იმ შთაბეჭდილებას ვერ მოახდენდა, რა შთაბეჭდილებაც დეკანოზის სიტყვებმა მოახდინა. ხალხი გაჩუმდა და გაწამდა; ბუზს რომ გაეფრინა, მისი ფრთების მოძრაობის ხმასაც კი გაიგონებდით.

— ხალხო! — გაისმა ისევ იმ დეკანოზის ხმა, — ონოფრეს დაღუპვაში თქვენც წილი გიძევსთ... თქვენ გაწვებათ კისერზედ ცოდვათ, ონოფრე მომკვლელი ვერ შეიქნებოდა, თავადაც იცით...

— ვერა, ვერა, აგრემც შეგვეწევა წვერის სპარს-ანგელოზი!.. მაგრამ ჩვენ რაითა ვართ დამნაშავენი?

— ქალი მოკლეს და მომკვლელი არ იპოვეთ.

— მართალია, მართალი, ღვთის მადლმა! — ერთბაშად აყაყანდა ხალხი, მაგრამ დროშის წკრიალმა ისევ გააჩუმა.

— მაშ ვეცადნეთ, ვეცადნეთ, დამნაშავე ვიპოვოთ და მით ჩვენი ძმა, ჩვენი მამა, ჩვენი თავმოსაწონი მოძღვარი დავიხსნათ.

— ვიპოვოთ... დავიხსნათ! — აიშალა ხალხი და კარგა ხანს მოუნდა დროშის ზარებს ჟღრიალი, სანამ ისევ მშვიდობა ჩამოვარდებოდა.

— დავარისხოთ, ვინც ყველა ღონისძიება არ იხმაროს მკვლელის პოვნისთვის.

— დავარისხოთ, და!

.დეკანოზი წამოდგა, დააჟღრიალა დროშა და მაღალის, ძლიერის ხმით წამოიძახა:

— სმენა იყოს და გაგონება!.. ღმერთო, წვერისა სპარს-ანგელოზო, დარყისა წმინდაო გიორგივ, ივანე ნათლისმცემელო, ზედანიშისა წმინდაო გიორგივ, ლომისა მთავარ-მოწამეო, ოქროს ბურთუსოვანო, ხარხის წმინდაო გიორგივ, ნინო წმინდავ, პირიმზევ, ბეთლემის ღვთისმშობელო, ნაღვარევის წმინდაო გივარგივ, ღუდის ყველა-წმინდავ, წმინდაო სამებაო... გთხოვ მე და შემოგბღავი ამ ხალხის პირით, რომ ვინც

ჩვენს თემობაში არ ეცდება მაყვალას მომკვლელის პოვნას, არ ეცდება ჩვენის მოძღვრის, ჩვენთვის თავდადებულის გამოხსნას, შენი რისხვა გააყოლე ყველგან და გამარჯვებულს ნუ ავლევ.

— ომენ შენს მადლსა!—იგრიალა ხალხმა ისე, რომ ხმის მიმცემმა მთებმაც კი თითქოს ზანზარი დაიწყეს.

— ვინც ეს ჩვენი ფიცი გატეხოს, უფალო, მაღალო ღმერთო, ოჯახობაში სიტკბოებისა და გემრიელობის მაგიერ სიცოცხლემც გაუმწარდების!

— ომენ შენს მადლსა!

— გულით საყორელისგამც მოტყუებული დარჩების და ძალა კი ნუ ექნების — გადაუხადოს!

— ომენ თქვენს მადლსა!

— მტერთან შებმულსაც ხმალ ტარშიმც გადუტყდების!

— ომენ თქვენს მადლსა!

— წყალში შესულს ავჟანდამც გაუწყდების!

— ომენ შენს მადლსა!

— სამარის მაგიერ მგლის კერძათამც გახდების!

— ომენ შენს მადლსა!

— სამანი! — დაიძახა დეკანოზმა და დააყრიალა დროშა.

— სამანი! სამანი! — დაიძახა ხალხმაც და მიეხვია საქმეს. ყველანი მოჰყვნენ დროშების ყრიალს და მანამ არ შეუყენებიათ, სანამ ხალხმა სამანის საქმე არ გაათავა.

XXIII

როდესაც ისინი მორჩნენ ამ სახალხო ჩვეულებას, დასდვეს პირობა, რომ საქმეს მტკიცედ შესდგომოდნენ და ონოფრესათვის უეჭველად ეშველათ. გუდამაყრის თემობასაც შეატყობინეს თავიანთი განზრახვა და გადაწყვეტილება. მათ უამათ ხევის გადაწყვეტილება და თანამონაწილეობის წადილი მით უფრო სიხარულით გამოაცხადეს, რომ ჭალის მოკვლა მათ თემობაში მოხდა და სირცხვილიც ყველაზედ მეტი მათ მოეხვია თავზედ.

ამ მიზეზის გამო გადასწყვიტეს, რომ ბურსაჭირის ტაფო-

ბაზედ, როგორც შუა სამაზრო ადგილზედ, გაემართათ სამი თემობის ყრილობა: ხევისა, სნოსი და გუდამაყრისა.

ერთს დღეს ბურსაჭირის ღელისკენ ორივე მხრიდგან ხალხი დაიძრა. დანიშნული იყო თემის ყრილობა და ხალხი შედიოდა იმ გორაზედ, სადაც მომხდარი ავაზაკობის ნიშნად ონოფრეს გატიალებული ჭოხი მოჩანდა. აქ აღარავინ დადიოდა, რადგანაც ხმა გავრცელდა, რომ გამოქვაბულს მავნე სული დაეპატრონაო, ღამღამეობით აანთებენ ცეცხლსა და ტაშ-ფანდურას გაშართამენო. თუ კაცი ჩაიგდეს, აუცილებლად ფათერაკს წაჰკიდებენო, და ეს ხმა კი ხალხის რწმუნებამ შეითვისა და სრულს ჭეშმარიტებად მიიღო.

მალე გასცდნენ ამ ადგილებს და გავიდნენ გუდამაყრელები ბურსაჭირის ღელეში, სადაც მოხევენი უკვე მოსულიყვნენ.

ყველანი მოგროვდნენ, შეიყარნენ, აკლდა მხოლოდ ჯმუხა ჯალაბაური, ყველაზედ ხნიერი მთელს სამს თემში და ყველაზედ სახელგანთქმული მოსამართლე.

— ასე რად დაიგვიანა ჯმუხამა? — იკითხა ვილამაც.

— აბა რაი ვიცი, შენაი ჭირაიმე!—მიუგო მეორემა, —იქნებ უქეიფოდ არის.

— დაბერდა ბეჩავი, თორღავ, დაბერდა და დაზარმაცდა.

— ჰაი, ჰაი, რო დაბერდა!.. ბატარაი ხნისა კი აღარაა.

— მოდის, მოდის! — ერთბაშად მოისმა და ვაკეზედ გამოჩნდა გაბადრულის თეთრის წვერით მოხუცი რომელიც წყნარად მოდიოდა და ჯოხზედ ებჯინებოდა. მისი ჭკვიანი და აზროვნობით სავსე სახე გულკეთილობასაც გამოსთქვამდა და ეხლა მოკუჭული დიდრონი თვალები, უეჭველია, ოდესმე მოჟუჟუნენი, სიცოცხლის ცეცხლით აღსავსენი უნდა ყოფილიყვნენ.

ხალხი მიეგება როგორც უფროსს, ყველასგან პატივცემულს და საყვარელს კაცს. ჯმუხამ მადლი გადუხადა და წარმოსთქვა:

დავბერდი. დავჩაჩანაკდი,
წვერი შემექნა ჭაღარა;
შინ საქმეს ვეღარ ვაკეთებ,
გარედ ვარგივარ აღარა!

— რა-ს თვი, რაისთვი, ჯმუხავ? — უთხრა ერთმა მოხუცებულმა, — შენი სიცოცხლე ჩვენთვის ღვთის წყალობაა... შენ-

გნითა ვართ გარიგ-დარიგებულნი... შენ გოსწავლი ჭკუასა.

— ნუ, შენი კვნესა-მე, ჯმუხაისი, ნუ! გულს ნუ გაგვიტეხ!— დაუმატა მეორე მოხუცმა და ლექსადვე უპასუხა:

გაგვიძეღ, ბერო მინდიავ!
ნუხლი მოიბი მგლისაო;
ჩაგვიყოლივნე უნცროსნი,
ვისაც თავი აქვს ცდისაო.

— აბა მაშ მომყევით, — უპასუხა ჯმუხამ და დაუმატა:— დღეს ბევრი გვაქვს საცდელი, ბევრი, ღვთის მადლმა! — და გასწია ბინად ამორჩეულის ადგილისკენ.

ხალხი დალაგდა, დაიწყო ლაპარაკი იმ საშუალებაზედ, რომელიც უნდა მიეღოთ მკვლელის აღმოსაჩენად.

ყველა ცხარობდა, ამბობდა თავის აზრს და თავისი გამორჩეული საშუალება მოჰყვანდა, მაგრამ, როგორც ამგვარს შემთხვევაში ყოველთვის არის ხოლმე, ერთი მეორეს არა ჰყაბულდებოდა და საქმე გრძელდებოდა.

— მოიცადეთ-ღა! — დაიწყო ჯმუხამ და ხალხი გაჩუმდა,— „შინ დაბარებული გარედ არ გამოდგებისაო“, ნათქომია, და მართალიცაა. აქ რაიც გინდა სთქვათ, საქმის დროს ისე უნდა მოიქცეთ, როგორც თითონ საქმე მოითხოვს... ჩვენ ის დებულება უნდა დავდოთ, რომ ქალი თუ კაცი, დიდი თუ ბატარაი... სულ, სულ, სულ, რაიცა ვართ სამ თემობაში, უნდა გამოვიდეთ და, როგორც ჭკუა გაგვიჭრის, როგორც ღმერთი ჩაგვაგონებს, ისე გამოვუდგეთ მომკვლელის კვალსა... ეგრე არა, ნინიაუ, შენი კვნესა-მე?! — გადუბრუნა თავი მეზობელს, რომელმაც თავის ქნევით უპასუხა:

— ეგრეა, ღვთის მადლმა!

— ეგრე არაა, ხალხო და ჯამაათნო? — მოუბრუნდა ხალხსა.

— ეგრეა, ეგრე!.. აქ დარიგება არ გამოდგების.

— მაშ რაი-ღა?.. შევუდგეთ საქმესა...

— შევუდგეთ, შე, შენი კვნესა-მე!

— ხალხნო და ჯამაათნო!.. გწადისთ დამნაშავის პოვნა?

— გვწადის, ღვთის მადლმა! ეგრე გვწადის, როგორც მშიერს გაძღომა, ბერს — სულის ცხონება.

— აბა, მაშ მაგას დიდი ლაპარაკი არ უნდის. წადით, დაი-

შალენით და ძებნას შეუდექით.. გაწყდეს ის თემი, რამაც ერთის კაცის პოვნა მოინდომოს და ვერ იპოვას... ხმა ღვთისა და ხმა ერისა ერთი არისო, და ძალაც ერთი უნდა იქმნას... აბა, ვოჟებო!.. ბატარაი გაინძერით და საქმე მალე გაკეთდების... ქვეყანას ქვეყნისა შეუძლიან!..

მოხუცს ჯერ ლაპარაკი არ გაეთავებინა, როდესაც მოლაპარაკეთ შუა ვიღაცა კაცი შევიდა, მოიხადა ქუდი, დააგდო დედამიწაზედ და ცალს მუხლზედ დაიჩოქა.

ჯმუხას სიტყვა ნახევარზედ გაუწყდა; ყველანი გაჩუმდნენ და ახლად მოსულს გაოცებული შეჰყურებდნენ. იმის დაგლეჯილი და ხის ქერქით მიკონკილ-მოკონკილი ტანისამოსი ხორცს ძლივს-ღა ჰფარამდა. ადგილ-ადგილ, სადაც კანი გამოსჩენოდა, იმისთანა სიგამხდრე ეტყობოდა, რომ იტყოდით — ძვლები გადაეთვლებაო. გამხდარივე სახე გაჰყვითლებოდა, პირის კანი დასჩვილებოდა, დასთონთლებოდა, მოსდუნებოდა და, ძალას მოკლებული, როგორღაც უსიამოვნოდ ჩამოშვებოდა. პირისახე მკვდარსავით გაჰფითრებოდა და სევდიან-შეშინებული თვალები გაუბედავად გამოიხედებოდა. ქუდის ხმარებას, როგორც ეტყობოდა, დიდი ხანია გადასჩვეოდა და ამისთვის გრძელი თმა და წვერი გაბურძგნოდა, შესთელოდა და საზარელს, უსიამოვნო შეხედულობას აძლევდა, გულხელ-დაკრეფილი, ერთ მხარ ჩამოგდებული ისე დაჩაგრულად, უიმედოდ და ბეჩავად გამოიყურებოდა, რომ მისი ნახვით კაცი შეძრწუნდებოდა.

ვინ იყო, საიდგან მოსულიყო, ან ამ კრებაში რად შემოსულიყო, — არავინ იცოდა, ვერავინა სცნობდა. მეტად დაცემული, დამცირებული, გასრესილი იყო, რომ მის მნახველს გულში სიბრალული არ გაღვიძებოდა. საცოდავი იდგა დაჩოქილი, თითქოს შენდობას ითხოვსო.

— ბიჭაუ! ვინა ხარ? — გაოცებიდგან პირველი ჯმუხა გამოვიდა და კითხვა მოახერხა.

— ვინა ვარ?! — წყნარად, მაგრამ ასეთის ხმით წარმოსთქვა უცნობმა, რომ მსმენელთ სხეულში ჟრიამულმა გაურბინა...

ახლად მოსულს ეტყობოდა, რომ გულის ვარამს საკმაოდ

დაეხაშმა. ძლივს-ღა ქშენამდა, ხმა უსწორ-მასწოროდ უკანკალებდა.

— მე ვარ ცოდვილი და ღირსი სასჯელისა... — წარმოსთქვა და ხმა ჩაუწყდა, რამდენჯერმე სცადა ამოხველებით ხმა ამოეწმინდა, მაგრამ ნახველის მაგივრად ნაკუთ-ნაკუთი სისხლი ამოვარდა პირიდგან.

ავადმყოფი მისწვდა მკერდსა, დაიკლაკნა ტკივილისაგან და სახე დაეპრანჭა.

ხალხი იქამდის შეეპყრო განცვიფრებას და ავადმყოფის მდგომარეობის თანაგრძნობას, რომ ხმის ამოღება ვერავის გაებედნა.

— ღირსი ვარ სასჯელისა-მეთქი, და... იმად მოვედ, რომ დამსაჯოთ... რაისთვი გინდათ ჩემი სახელი... სახელი დაკარგული მაქვს... ჩემი სახელი დიდი ხანია მოკვდა და დაიმარხა... სახელი რად გინდათ?.. ვინ ვიყავ, თქვენთვის რაი ხელსაყარია?.. მე მოვკალ მაყვალაი, მე დავღუპე ონოფრე და ცხო რაი-ღა გინდათ?

ამ სიტყვებთან ერთად ბიჭი მთლად დაიგრიხა და ხალხში კი ძრწუნვის და გაშტერების გუგუნი გაისმა.

— რას გაჩუმდით? გაგიკვირდათ?.. ეჰ, ჰე, ჰე, ჰე!.. — მწარედ ჩაიცინა იმან. — მიყურეთ, მიყურეთ, ნახეთ, კაცს სადამდის შეუძლიან მივიდეს! ღვთის მადლსა, ნუ გაჩუმებულხართ!.. — ერთბაშად მღელვარებამ ძალა მისცა და საჩქაროდ დაიწყო: — დამკარით, მომკალით! ღვთის მადლმა, ღირსი ვარ და ეგრე ჩუმად კი ნუ ხართ!.. იქნება სიკვდილის ღირსიც აღარა ვარ?.. იარაღს წავბილწავ, რომ მომაკაროთ?.. ქვა მაინც აღარ გეპოვებათ, ქვა, ქვა!.. — გაბრაზებით დაიწყო ღრიალი და თავში ცემა.

— ბიჭაუ! შესდეგ, რაი მოგსვლია?

— გამიშვით, გამიშვით! — გაცოფებული იძახდა საცოდავი, — დღემდის ცხოს ველოდი და არ იქნა... არ მოვკვდი, არვინ ჩამაძაღლა... თქვენც აღარა მკლავთ... მაშ რაი ვქნა, რა?

— გვიამბე დაწვრილებით, როგორ იყო, — კარგა ფიქრისა და მჭმუნვარების შემდეგ იკითხა ჯმუხამ, რომელსაც ოფლი გადმოსდიოდა შესაზარის სურათის ცქერისაგან.

რაი-ღა გითხრა. ბეჩაო?! ხომ გითხარით, რომ მე მიც-

ქალ, ცხო რაი-ღა გინდათ? მე მოვკალ და სისხლი აიღეთ. სახელიც გინდათ?.. ონისე ვარ.

— ონოფრეს იცნობდი? — ერთბაშად ჰკითხა ჯმუხამ.

— ონოფრეს... ონოფრეს როგორ-ღა არ ვიცნობდი... ღვთის ნათლული იყო... იმანაც იცოდა ჩემი ცოდო... იმას ყველაფერი ვუთხარი...

— ხალხო, სმენა იყოს და გაგონება! — დაიძახა ჯმუხამ და სახე გაუბრწყინდა.

— იმან მაზიარა... აღსარება უთხარ, არა დაუშალე-რა...

— იმან იცოდა, რომ შენ მოჰკალ, არ გამოგაცხადა... შენ დაგფარა და თითონ თავი მსხვერპლად მისცა?!

— ის არ იტყოდა... ღმერთიური იყო, ღმერთიური, განა კაცი იყო! თავად მითხრა, აღსარება არ გაიცემაო... ლუკმა-ლუკმა რომ დამჭრან, ვერ მათქმევინებენო და... და არცა სთქვა.

— დიდება შენს სახელს, უფალო! — გადიწერა პირჯვარი ჯმუხამ, — დიდება შენის სახელის მადიდებელს, დიდება შენის სიტყვებით გაძლიერებულს!

ხალხს უკვირდა ონოფრეს მოქმედება და ღირსმოსაგონებელს სიმტკიცეს, სასახელოს ვაჟკაცობას და სამაგალითო მოქმედებას გულში იბეჭდამდა ისე ძლიერად, რომ მისი აღმოფხვრა ათას შემთხვევათ ჯერ კიდევ ვერ შესძლებია.

— ბიჭაუ! განწმორდი ხალხსა! — ბრძანებით წარმოსთქვა ჯმუხამ კარგა ფიქრისა და დუმილის შემდეგ.

— რაისთვი? — ისეთის შესაწყალის ხმით იკითხა უბედურმა, რომ ყველას შებრალება აღუძრა გულში.

იმას ესმოდა, რომ ხალხისთვის საზიზღარი შექნილიყო, მოშორებოდა მასა და მეტისმეტად ამცირებდა კრების ცქერა, მის შორის ყოფნა.

— თენმა შენს საქმეზედ უნდა მოილაპარაკოს.

— მე რაი-ღა მოსარიდებელი ვარ, შენაი ჭირაიმუ, ვიქნა აქა, რას დაგიშლით, ვინ დამერიდების?

ხალხში გაიმართა ჩურჩული და ბეჩავს გამოუცხადეს, რომ სანამ თემის თავნი მოლაპარაკებაში იქნებიან, გარეშე პირი ვერ დაესწრობაო.

დამნაშავე განშორდა, და კრებაში ლაპარაკი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა უყონ უბედურს მთიელს, რომელიც თავად,

ძალდაუტანებლად მოვიდა და ისე გულწრფელად აღიარა ყოველისფერი.

სჯა დიდხანს გრძელდებოდა, რადგანაც ერთის მხრით საზარელს სურათად ეხატებოდათ დამნაშავის მოქმედება და მეორეს მხრით მისი ბეჩაობა და დაცემა გულს ულბობდა, აბრალებდა და პატივების სურვილი სიმკაცრეს ხელს უშლიდა.

მათ წინ იდგა დავრდომილი, რომელიც ოდესმე თემის თავმოსაწონი, სასახელო იყო, ის ონისე, რომელიც მრავალთათვის თავგადადებული მტერს ტყვიად მოხვდებოდა და შიგ გავარდებოდა; ეხლა გალახული, მოგლილი, დაოსებული, რომელსაც მზის სხივიც კი შეზარებოდა.

მოლაპარაკება გათავდა და ჯმუხამ ისევ დაუძახა ონისეს, რომელიც გულის ცახცახით მოვიდა და შუა ადგილას დაიჩოქა. მთლად სმენად გადაქცეულს ჯმუხასთვის თვალები ვერ შეექცია, თუმცა წარმოუთქმელის წადილით უნდოდა იქ მყოფთა სახის-მეტყველებაზედ შეეტყო, რა გადაწყვიტეს მის შესახებ.

— ონისე!.. შენს მაგიერ ჩვენი მოწყალე და ჩვენი პატრონი დაიკარგა...

— დამკალით და წამლად დამადეთ, თუ ეშველების რამე! — საჩქაროდ წამოიძახა ონისემ.

— თემმა გადასწყვიტა, რომ ნამდვილი დამნაშავე ეპოვნა...

— და აგერ... აქა ვარ, თქვენაი ჭირაიმე!.. თავად უფალმა მომიყვანა, ღვთის მადლმა!

— თემსა ჰსურდა ნამდვილი დამნაშავე მიეცა მთავრობისათვის და უბრალოდ დასჯილი კი გადაერჩინა.

— თემი გონიერია, ადიდას უფალმა!

— მოიცა, ბიჭავ! — გააწყვეტინა ჯმუხამ... — ხალხმა გადაწყვეტილება შესცვალა... შენ არ გაგცემს... ხალხი, თემობა ითხოვს, რომ ონოფრე დააბრუნონ, ხალხს აჩუქონ. თემის თხოვნას წინ ვერვინ გადუდგება...

— არა, თქვენაი ჭირაიმეთ!.. მე მიმეცით, მე გამგზავნეთ... თუნდა გზაჩი მოვკვდე, გამგზავნეთ.

— ეგრეც მკვდარი არა ხარ, ბეჩაო! — უპასუხა ჯმუხამ და დაუმატა: — თემს რომ გაძლიერებული ენახე, გაუტეხელი, თავმოუხრელი — ჰაი, ჰაი, რო გიჩვენებდა ძალასა:

მოგგრეხდა და მოგტეხამდა... მაგრამ ეხლა ხელს არ გახლებს... არ გახლებს, მაგრამ თემობაჩიც ვერ მიგიღებს... წადი, იცხოვრე, იცხოვრე, სადაც გინდა, როგორც გინდა... შენ ერთხელ მოსწყდი თემობას და ვეღარ შეუდუღდები...

— ბეჩაუ! — დაიკვნესა ონისემ, — ვითომ მიბრალებთ?.. საით ვიცხოვრო, რაღამ მომასვენოს?.. ონოფრე ჩემს მაგიერ იკარგებოდეს და მე კი მზეს უცქეროდე?.. მოკვდეს ონისე, მოკვდეს, რომ მაგას უბედამენ...

— იყუჩე, ბალღო!.. თემი დალოცე, რომ სიცოცხლეს გარჩენს. თემმა ისურვა შენი დარჩენა და უნდა დარჩე... დარჩეს, თემო?

— დარჩეს, დარჩეს! — გაისმა ძლიერი ხმა მთელის ხალხისა.

ონისე გაჟრჟოლდა და სიხარულის ცრემლები გადმოსცვივდა: მეტად ძვირფასი გასაგონი იყო, ყველას მოსხლეტილის გულისაგან გაგონება, რომ მას კიდევ რადმე აფასებენ, კიდევ რაოდენადმე სიყვარულს უჩენდნენ. ის დაეცა მუხლის თავებზედ, მთრთოლარეს ხელებით ჯმუხას ჩოხის კალთას დაეძებდა, რათა დაელოცთხა და მადლობის გრძნობით დაელოშნა.

— არა, ხალხო, არა, ჯმუხავ! არა, აგრემც თქვენს ჭირს დავლევ!.. არა ვარ თქვენი წყალობის ღირსი... ეგ წყალობა დიდია, მაგრამ ძნელი, მეტად ძნელი... არა ვარ ღირსი არც იმ პურისა, რომელსაც მომაწვდენს... ვინც ლუკმას მომიშვერს, ის ლუკმა ალალი იქნების და მე კი არამი!.. ყელ ვეღარ ჩაუშვებს... ჯმუხაისი! შენაი კვნესა-მე... ხალხო, თემო!., აგრემც თქვენს ჭირს დავლევ... არ მინდა, მაგად არ მოვსულვარ.

— მაშ, რისთვის მოხველ, რა გინდა?

— იმად, რომ დამნაშავე ვარ... კაცი დაიკარგა ჩემის მიზეზით და მიშველეთ — დავიხსნა... მიშველეთ, თემი ხართ, დიდი შეგიძლიათ... დავიხსნათ და თუნდა ჩამქოლეთ.

ხალხი გაჩუმდა, იმან იგრძნო სრული სამართლიანობა ონისეს მოთხოვნისა; იგრძნო მისი მდგომარეობა, სინიდისის გაღვიძება და სატანჯველი; მიხვდა და სიტყვა გაუწყდა.

— მე მიყვარდა მაყვალაი, — დაიწყო ისევ ონისემ სულის კვეთებით, — მიყვარდა, ვფიქრობდი, იმედი მქონდა ბედ-

ნიერება მეწვევა-მეთქი, მაგრამ მოვტყუვდი... გული გაგიჟდა, გაბრაზდა, სისხლი ამერია... მაყვალაი ცხოსთვის ვერ დავთმე და მოვკალ!.. მეგონა მოვკლავ-მეთქი და მოვისვენებ მაინც, მაგრამ უფალი დიდი ყოფილა!.. დღენი მომეწამლა, სიცოცხლე გამიშავდა და გულს მეტი შხამი ჩაესხა... დავდიოდი, ვჭამდი, ვსვამდი, მეძინა თუ მეღვიძა — ვერ გამეგო... ყველა შავად, ნაღვლიანად და მწარედ მეჩვენებოდის... წყალი, წყალ-ტიალას რაღამ შეუცვალა გემო?! მზისთვის ვერ შემიცქერია, მთვარესთვის ვერ მიმიხედნია, მრცხვენის... მრცხვენოდის... ჩემი ჩრდილის დანახვაც კი მარცხვენდის... ონოფრე შემხვდა... მაზიარა... ყველა გავაგებინე, ყველა ვუთხარ აღსარებაში... იცოდა ჩემი თავგადასავალი... გითხართ და ვამბობ. ვამბობ თავმთელი და თავგატეხილი, ონოფრე არაა დამნაშავე, ონოფრე ცამდის მართალია, მე ვარ, მარტო მე, დამნაშავე და იმას უშველეთ!.. უშველეთ-მეთქი, და აჰა ჩემი გული!..

ონისე ისევ მუხლებზედ დაეცა და ხელების მოკვრით მკერდი გადაიღეღა; ტუჩები ჯერ კიდევ რაღაცას მოძრაობდნენ, სახე შეშლილი, გამწარებული ჯერ კიდევ რაღაცას ლუღლუღებდა; ხალხსაც გაეკმინდა ხმა, გაჩუმებულიყო; ნახულის და გაგონილის წინაშე თავი მოეხარა...

ერთბაშად კრება შეინძრა, ერთ მხარეს მდგარნი ორად გაიპო და ვიღაცა კაცი, ჩასისხლიანებულის თვალებით, ვეფხსავით გადმოხტა... მივიდა პირდაპირ ონისესთან, დასტაცა მხარი და წამოაყენა.

— ბიჭაუ! შემომხედე... — დასჭყივლა იმან, — შენ წამართვი მშვიდობიანობა... სახლი გამიწბილე, დამჭერი... მაყვალაი გიყვარდა?.. ღვთის მადლმა, რომ მეც მიყორდა, შენზედ მეტად მიყორდა... შენ მოკალ მაყვალაი, მაყვალაი ჩემი იყო და... თემს რასა სთხოვ? შენ მოკალ ჩემი და სისხლსაც მე ავიღებ!

ონისემ შეხედა და გაიღიმა.

— მომკალ, მომკალ! — დასძახა იმან გახარებულმა და მკერდი უფრო მეტად გადაიწია.

ხალხი გაშტერებული იდგა და ვერ გამოერკვია, რა ხდებოდა; ყველანი გაჩუმებულიყვნენ, გაყუჩებულიყვნენ ისე,

როგორც ქარიშხალს წინედ ჰაერი, რომელიც გრგვინვად გადაქცევას აპირებს.

— მოგკლამ, მოგკლამ, ღვთის მადლმა! — ერთბაშად მოისმა და ხანჯალმა ჰაერში იელა, გათრთოლდა და გაიკრიალა.

ხალხი შეირყა, გაჭანდა იმ მხრისკენ, მოეხვია მოჩხუბართ და შეჯგუფდა, ბურთად შეიკრა. რამდენსამე წუთს ასე გაუშლელად ღელავდა და გამოურკვეველს მოძრაობაში ტალღასავით მიქან-მოქანავდა; გაიშალა, გაიფანტა და ხმამაღლად ყვირილი დაიწყო:

— სიკვდილი მოღალატეს, სიკვდილი!..

იმ ადგილზედ, სადაც პირველად შეჯგუფებულიყვნენ, დარჩენილიყო რამდენიმე კაცი, რომელთაც გაბრაზებული, ფერმიხდილი და სახე არეული გელა ეჭირათ; და იქავ, იმათ ფეხებთან, ეგდო ონისე. გელას ხანჯალს მკერდი გაეპო მისთვის. ონისე სიკვდილს ებრძოდა და მწარეს ტკივილისაგან სულთ მობრძავი უწყალოდ იგრიხებოდა და აქეთ-იქით აწყდებოდა, ცდილობდა წამომდგარიყო, მაგრამ ძალა თანდათან აკლდებოდა და მისი მეცადინეობა ამაოდ რჩებოდა. ბოლოს შეკრთა, ორივე ხელები გაპობილს მკერდთან მიიტანა და ფერდაკარგულმა, მთრთოლარე ტუჩებმა ჩუმად, ნიავსავით წყნარის თრთოლით, მკაფიოდ წარმოსთქვა:

— უფალმა შეგიწყალოს, გელაუ!

კიდევ ერთხელ შეკრთა, გაიზმორა, გაჩხიმა, დაიკვნესა და საუკუნოდ გაუნძრეველი დარჩა...

მეტად ძნელი და შესაძრწუნებელი სურათი იყო, რომ მისი მნახველი ხალხი გულგრილად დარჩენილიყო; ძალდონეს მოკლებული, უიარაღო კაცი, თემს შემოხვეწებული, თემის ყრილობის დროს, თვალწინ მოუკლეს! გელას გაბედულობა მეტად საზიზღარი იყო, საკმაოდ დასამცირებელი კრების თავმოყვარეობისთვის, რომ უიარაღო კაცს მკვლელისთვის გულგრილად შაეხედათ.

— მოვკლათ, დავახრჩოთ, ჩავკუწათ! — იძახდა ხალხი და მისი ხმა ჰაერში ცის გრგვინვად გაისმოდა.

ყველა მზად იყო მონაწილეობა მიეღო ამ კაცის წვალებაში და ყველა ცდილობდა, რომ უმეტესი სატანჯავი მოეგონა მისთვის.

ერთადერთი ჯმუხა იყო თავჩაკიდებული, მწარედ ჩაფიქრებული და ხმა აძოუღებლად მწარე ფიქრს ეძლეოდა.

ერთბაშად აიღო მან თავი და მჭმუნვარება მოცული სახე გამოუჩნდა. აშკარად ეტყობოდა, რომ მის გულს სევდა ლოდად დასწოლოდა, ძალას ატანდა და თავის სიმძიმის ქვეშ უწყალოდ სრესავდა.

— თემო! — დაიძახა ერთბაშად და მისმა ხმამ თრთოლით გაირბინა ჰაერში.

ყველა სწრაფად გაჩუმდა, გაქვავდა და სმენად გადაიქცა.

— საძირკველი შეირყა და ცა ჩამონგრევას აპირებს... ხალხი წახდა და თემის პირი ირღვევის... ნახულით თოლთ მიბნელდების, გაგონილით სმენა მეკარგების!.. რაი ვთქვა?.. რაი გითხრათ?.. — ცრემლებ ქვეშ წამოიძახა ჯმუხამ და ქუდი მოიხადა. ჭმუნვარებით სავსე პირისახე მოხუცისა მთლადა თრთოდა, შუბლი დანაოჭებოდა და ცეცხლმოდებულის გულიდგან ამოხეთქილი ქშენა სულს ძლივს-და აქცევინებდა.

— რაი ვთქვა?.. რაი გითხრათ-მეთქი? — გაიმეორა იმან და ორი მდუღარე ცრემლი მარგალიტსავით გადმოეკიდა ჭუთუთოებზედ. — ვხედავ — ვილევით!.. ჩვენობა აღარაა... ვიტირა, თავს ვიცა... შეუნდო შემცოდეთა თუ შევაკვდე?!. თქვენ თავად ნახეთ, რაიც ჩაიდინა გელამა... მაგის სიკვდილი რაი გახდა?.. ერთაის მოკვლა თემისთვის არც მადლია და არც სახელი. კაცისკვლა არც უფალს იამების...

— არ იქნების, არა! — ერთხმად, თითქოს ერთის კაცისგან გაისმა თემის ძახილი: — გელა მოკვდების.

— სუთ-და, გაჩუმდით! — მაღლა შეჰყვირა ჯმუხამ და ისევ სიჩუმე ჩამოვარდა. — გული მეუბნების ნუ მოვკლავთ, ნუ მოვკლავთ-მეთქი, მაგრამ გუნება ცხოსაც მეუბნების...

— სიკვდილი, სიკვდილი გელას!

— იქნება სჯობდეს... არ ვიცი!.. იქნება ცოდო-ბრალი, რაიც ჩვენში ტრიალებს, მსხვერპლს ითხოვდეს... მე აღარ ვიცი, ხალხო, და რაი ვქნათ?..

— გელამ შეგვარცხვინა, გელამ გაგვაწბილა, გელას სიკვდილისგან ვერც ვინ ვერ იხსნის!.. — აყაყანდა ისევ ხალხი.

— ჩაგონდით, ხალხო!.. ცოდო-ბრალს კიდევ ცოდო არ მიუმატათ... ღმერთმა ხელი აიღო ჩვენგანა და მეტად ნულარ შევრისხავთ!

— სიკვდილი, სიკვდილი!

— კარგი... — წარმოსთქვა ჯმუხამ, მაგრად მოიწმინდა თვალები და დაუმატა: — გელა რო ჩემი ღვიძლი შვილი ყოფილიყო, ღვთის მადლმა, მე თავად, ჩემის ხელით გავუპობდი მკერდსა, ამოუღებდი გულსა და უკანასკნელს წვეთამდის გამოვწურავდი იმ სისხლს, რომელსაც ჩვენობა აღარ ეტყობა... გელა უცხოა. მარტო თავს ვერ ვენდე, გულს ვერ დაეჯერე... თქმულია „ხმა ღმრთისა და ხმა ერისაო“... იძად დაგეკითხეთ. გელა მოკვდეს. თქვენ გინდათ და მეც თქვენთახა ვარ... უთქვენოდ სულსაც ცხონება არ უნდის... გელამ გვიღალატა, გელამ თემის პირი გატეხა, გელამ ხალხი შეარცხვინა, მაშ მოკვდეს გელა!

— მოკვდეს, მოკვდეს! — აჩქარდა ხალხი.

— და მოკვდეს ისე, რომ მაგის სიკვდილი დამრჩოთ სახსოვრად დარჩეს.

— ჩავქოლათ, ჩავქოლათ! — იგრიალა ხალხმა და ხელში ქვააღებული მიეხვია გელას. ავარდა მტვერი ხალხის ჯოძრაობისაგან და ყოველისფერი დაფარა, მოისმოდა რაღაცა დაყრუებული გრგვინვა, გრიალი, ქვების ჩახი-ჩუხი. ბოლოს ყოველისფერი შესწყდა, გაყუჩდა და გაჩქურდა. ხალხი გამოვიდა ავარდნილის კორიანტელიდგან, რომელიც ჯერ ჰაერში ტრიალებდა და იმ ცოდვის ადგილისკენ აღარ მიუხედნია, ისე გასწია შინისკენ, დარწმუნებული, რომ თავისი ვალი აღასრულა.

დაცარიელდა კრების ადგილი. ყველა დაწყნარდა და დამშვიდდა. მხოლოდ ავარდნილი მტვერი ჯერ კიდევ ირეოდა. ერთბაშად დაჰბერა ქარმა და ისიც გაანქრია... მის მაგიერ იქ გამოჩნდა ერთს ადგილს მიგროებული ღორღი, რომელშიაც ხალხისგან ჩაქოლვილი გელა იყო ჩამარხული. ეს გახლდათ საქოლავი თემის მოღალატისა და ხალხისთვის მოსაგონებელი თავიანთ წარსულისა.

განვლო რამდენმამე წელიწადმა და აღწერილის თემობის მოძღვარის ონოფრეს განთავისუფლების შესახებ შემდეგი ცნობა მოუვიდათ:

„ონოფრეს ეპატია დანაშაული, მაგრამ ამ გადაწყვეტილებამ მოხუცს ვეღარ მიუსწრო: ქალალდის მიღებამდის იგი უკვე გარდაცვლილიყო“.

[1885]

ნიმო

სოფელს გერგეტში, ქვემო უბანს, რომელსაც გვერდით ხევი ჩამოუდის და მოვარდნის დროს არა იშვიათად სახლებს ეცუვარდება ხოლმე და აზარალებს მცხოვრებლებს, ყველაზედ საშიშ ადგილს იდგა ერთი პატარა, ძველი და ნახევრად დანგრეული სახლი. პირველსავე ნახვაზედ თქვენ დარწმუნდებოდით, რომ ამ სახლის პატრონები შეძლებულები არ უნდა ყოფილიყვნენ. რადგანაც ამისთანა საშიშს ადგილს ვერ მოსცილებოდნენ და სახლიც ვერ გაეახლებინათ. იქნებოდა ღამის ცხრა საათი, შუაგულს ზამთარში, როდესაც ამ სახლში კერაზედ ცეცხლი ოდნავ ბჟუტავდა, უფრო თვალის მოსატყუებლად, სანამ გასათბობად; კერას გარს შემოხვეოდა რამდენიმე ბალღი და ორი — ერთი ახლად მოწიფული და ერთიც კარგა მოხუცებული ქალი. იმათი ნაკონკი ტანისამოსი, აქა-იქ მიჩხლართულ-მოჩხლართული სხვადასხვა ფერის ძონძებით, ვერ აღსრულებდა თავის დანიშნულებას და ძლივს უფარავდა ხორცს. ყველგან ნაკლულოვანება აშკარად გიჩვენებდათ იმათ ბედშავობას და მწუხარებას. ოთახში ბნელოდა, რადგანაც ბჟუტავი ცეცხლი საკმაო სინათლეს ვერ აძლევდა. ყველანი გაჩუმებულიყვნენ და რაღაცა სევდიანს მწუხარებას მოეცვა. ათასში ერთხელ ბავშვები, შიმშილით და სიცივით შეწუხებულნი, თუ დაარღვევდნენ სიჩუმეს და იმათ პასუხად დედისგან გამოისმოდა გულ-დასაწყვეტი, ნაღვლიანი კვნესა, რომელიც აშკარად ამბობდა: „ნეტა მე ვიქცე შეშად, რომ გაგათბოთ, ნეტა მე ვიქცე პურად, რომ გაგაძღოთ!..“

ეს გახლდათ მახია გოდერძიანთი, თავისი მოზრდილის ქალით ნინოთი და სამის პატარა ვაჟით, რომელთ გაჭირვებაც უკანასკნელს საზღვრამდინ მისულიყო.

მახიას ქმარი ადრე მოუკვდა და სრულიად უპატრონოდ დარჩა და სულს მარტო მეზობლების გულკეთილობით-ღა იბრუნებდნენ.

მახია უყურებდა თავის ნაშობებს და გული სდნებოდა, რადგანაც ხედავდა თავის შვილებს გაჭირვებაში, ხედავდა იმათ შიმშილს, წყურვილს და სიცივეს, უნდოდა ეშველა რითიმე, მაგრამ რა შაეძლო ქვრივს, უპატრონო მოხუცს, როდესაც სახლს ისეთი არავინა ჰყავდა, რომელსაც შრომის ოფლით მოერწყო ოჯახობა და სისხლით ლუკმა ეშოვნა!

— დედავ! — დაიწყო ფშრუკუნი ერთმა ბალღმა, — მცივა, მცივა!

დედამ შეხედა შეწუხებულის თვალით და პირისახეზედ აშკარად დაეტყო ის მწარე მტანჯველი მოქმედება, რომელიც იქონია ამ სიტყვების გაგონებამ.

— გაჩუმდი, — წყნარად წარმოსთქვა მოხუცმა, — აი, — კვერს ამოგიღებ და გათბები.

— ოჰ, კვერს!.. არ მინდა კვერი, ცეცხლი მინდა! — ჭირვეულად გაიმეორა ბალღმა.

— სუ-ღა, სუ, იყუჩე!.. აგერ მგელი ყმუის! — იეშმაკა დედამ, რომელსაც უნდოდა ბავშვების ყურადღება სხვა საგნისთვის მიექცია და გაერთო რითიმე.

ბავშვები მართლა გაჩუმდნენ და დაუწყეს ყურის გდება, მაგრამ გარედგან მარტო ქარის ზუზუნი და წივილი მოისმოდა და გამშრალი, გაყინული თოვლის რაკი-რუკი ფიცრის კარებზედ. აშკარად ეტყობოდა, რომ გაშმაგებული ქარი ებრძოდა ყველას, რაც კი წინ შეხვდებოდა და თუ თან ვერ გაიტაცებდა, სუსხავდა და აყინულებდა.

— არ არის მგელი, პური მშია, მცივა!.. — ასტყდნენ ისევ ბავშვები.

— სუთ და „ლექსს“ (ზღაპარს) გიამბობთ, — უთხრა ნინომ, რომელმაც ის-იყო გადასწია ნაცარს და გამოსაცხობლად ჩაფლულს „გუდუნას“ „არცისკანით“ წყნარა დაუწყო სინჯვა.

ბავშვები მიეხვივნენ დას, რომელმაც ისე იცოდა იმათი გართობა. ის-იყო ნინომ პირი გააღო, რომ დაეწყო „ლექსი“, რრდესაც მოისმა კარებში რაკუნი და მოულოდნელობამ ყველა ერთბაშად შეაკრთო, ყველას პირში სიტყვა გაუწყვიტა.

ჩამოვარდა სიჩუმე, მოისმა კიდევ რაკუნი და ჩახრინწიანებული, უსიამოვნო ხმა.

— გაწყდით, თუ რაი მოგსვლიათ?.. რაისთვი ხმას არა მცემთ?..

— ვინა ხარ? — იკითხა მახიამ.

— მე ვარ.

— შენ ვინა ხარ?.. რაი გინდა ამ დროსა?

— ნაცვალია, — წასჩურჩულა დედას ქალმა.

— გააღე და გაიგებ... ჩქარა, გავიყინეთ! — აშურებდა გარეთ მყოფი.

მოხუცი წამოდგა, გაანთო „ჩირაღი“ (კვარი), ბუტბუტით მივიდა კარებთან და გასწია ურდულს. ოთახში შემოვიდა ნაბდით და ყაბალახ-მოხვეული კაცი, რომელსაც თოვლი დაზდებოდა და გძელს უშნო ულვაშებზედ ყინულები ჩამოჰკიდებოდა. იმან გადიგდო ბაშლუყი და შეიბერტყა ნაბადი.

— უჰ, ჰუ, ჰუ! ძალუმ არ ცივა!.. — წარმოსთქვა შემოსულმა და სიფრთხილით გადისვა ულვაშზედ ხელი.

— მოგიკვდა ჩემი თავი! ჩვენ კი არაყიც არ მოგვეძევება!— უთხრა მახიამ და დაუმატა: — აბა რითი-ღა გაგათბო, შეშაც აღარა გვაქვს!

— მე შეშა არ მინდა, — შეიჭმუხნა წარბები მოხუცმა, რა

გაიგო, რომ „ჩასაცეცხლებელი“ ასცდა, — აი, რუსები მოვიყვანე თქვენთან დასაყენებლად.

— რუსები?! — ცლდა-ხაკრავსავით წარმოსთქვა დედაკაცმა და გაცრთოებული გაძრა.

— ჰო, რუსები, სტეფანწმინდას აღარ დაეტია და აქ მოვიყვანე.

— ბედშაო ჩემო თაო! კაცი არავინა გვყავს და არა ცხო, საით ჩაიყენოთ ცხოთა კაცები?

— დედაისი, ხუ დავაყენებთ! — ხვეწნით მოეხვია ნინო მახიას.

— ჰაი, ჰაი, რო არ დააყენებდით, თუ თქვენს კითხვაზედ იყოს, — ჩაიცინა ნაცვალმა და მერე უფრო მკაცრად დაუმატა: — ხემწიფეს სამსახური უნდა, მაშ რაი გეგონათ?

— ბარემდის, თუ შეგვეძლოს, მაგრამ ბეჩავები, ღარიბები ვართ...

— თქვენთან ლაპარაკისთვის არ მცალიან, — გააწყვეტინა ნაცვალმა, გაბრუნდა კარისაკენ და დაუძახა სალდათებს, რომლებიც ბარტყა-ბურტყით და ყაყანით შემოვიდნენ.

დედაკაცმა გაიშვირა ხელები მიმავლის ნაცვლისაკენ, რომელმაც რუსებს დაუჩვენა ეს სახლი და გაბრუნდა. უნდოდა რაღაცა ეთქვა, შეხვეწნოდა, მაგრამ სიტყვა ვეღარ მოეხერხებინა.

ბავშვებმა რა გაიგონეს რუსის სახელი, მაშინვე ნინოს მიეკუჭნენ. თითქმის ზედ გაეკრნენ და შეშინებულები გამოიყურებოდნენ.

სალდათებმა მიიხედ-მოიხედეს, რამდენჯელმე დაურიდებლად, რუსულის წესით შეიგინენ სახლის მოუწყობლობაზედ და მიეხვივნენ კერას, საიდგანაც გათოშილი ბავშვები გაიქცნენ.

სალდათები დასხდნენ, დაიხადეს ფეხთ და ოფლისა და უწმინდურების გამო ფეხზედ სახვევებს დაუწყეს შრობა, მაგრამ ჩამწვარი შეშა მალე ჩანელდა და სიცივემ თავისი ძალა მალე აგრძნობინა.

— როგორა დგანან ამ ჯოჯოხეთში? — დაიწყო ერთმა სალდათმა.

— „ბუსურმანები“ არიან და რა საკვირველია, — უპასუხა მეორემ და მცოდნე კაცის კილოთი დაუმატა: — ბუსურმანები მხურვალენი არიან, იმათ როდი შესცივათ.

— აგრე უნდა იყოს, თორემ ჩვენი დედაკაცი თუ ფეჩის თავზედ კარგად არ გამოცხვა, რა გააძლებინებს?

— ეგ ყველა-ყველა, მაგრამ განა შეშა არ გვეკუთვნის? — იკითხა ერთმა, რომელიც აქამდინ ჩუმად იყო.

— რასაკვირველია, გვეკუთვნის, — უპასუხეს იმას.

— ვისგან გვეკუთვნის, მართველობამ უნდა მოგვცეს, თუ სახლის პატრონმა?

— რასაკვირველია, სახლის პატრონმა, ამიტომ რომ ეგ „მუჭიკია“, მუჭიკი უნდა ემსახუროს ხელმწიფეს, ჩვენ კი ხელმწიფის კაცები ვართ.

— აი, ეგ მართალია, — მოუწონეს დანარჩენებმა, — რასაკვირველია, მუჭიკი სალდათს უნდა ემსახუროს, რადგანაც სალდათი ხელმწიფის კაცია. მუჭიკი რაა? ფუ! — გადააფურთხა მოლაპარაკემ, — ამის მეტი არაფერია.

— მაშ რატომ არ მოაქვს შეშა იმ ეშმაკის ფეხს? — წარმოსთქვა მეორემ და მიუბრუნდა მახიას: — ეი, დედაკაცო, შეშა მოიტანე!

მახიას ესმოდა, რომ იმას ელაპარაკებოდნენ, მაგრამ ვერ გაეგო, თუ რას ეუბნებოდნენ, რადგანაც რუსული არ იცოდა, და თუნდაც სცოდნოდა, მაინც ვერ დააკმაყოფილებდა იმათ სურვილს, რადგანაც ერთი „წკირი “არ მოეძევებოდა სახლში.

— რა ეშმაკსავით დაგიჭყეტია თვალები? — შეუტიეს იმას. — შეშა, შეშა! „ცეცკლი!“

— ცეცხლი? — მიხვდა დედაკაცი. — საით მოგიტანოთ ცეცხლი?

— არა, არა! — გაბრაზებით და დაცინვით „გაუკირცხლეს“ მოხუცს. — თავში ქვა შემოიკარ და იშოვე.

— წმინდის გივარგის მადლმა, არა გვაქვს, — შეჰფიცა მახიამ, თითქოს რუსებს ესმოდათ იმისი ლაპარაკი.

— რას უყურებთ მაგას, ჩვენ თითონ მოვნახოთ და დავანთოთ, — არჩიეს სალდათებმა, — საცა იქნება, ვიპოვნით.

სამი სალდათის გარდა ყველანი წამოცვივდნენ და გაცვივდნენ დერეფანზედ, მაგრამ იმათ ვერა იპოვეს-რა. ბოლოს. ბევრი ძებნის შემდეგ, იმათ თვალი შეჰკრეს ერთს ურემს, რომელიც იქავ ეზოში ეგდო, და ყველანი სიხარულით და ყიჟინით მიეხვივნენ.

— აი, შეშაც ვიშოვეთ, შეშაც!..

მახია, რომელიც გამოჰყვა და კარებიდგან უყურებდა, მიხვდა იმათ აზრს და გაექანა ხვეწნით:

— ღვთის გულისთვის!.. ნუ დამღუპავთ!.. ცხოთა ურემია, შეშის მოსატანად მათხოვეს!..

მაგრამ სალდათები, დარწმუნებულნი, რომ შეშა უნდა მიეცა ვისმე, აღარ არჩევდნენ, რასა შვრებოდნენ; იმათ მხოლოდ ერთი ის-ღა ჰქონდათ აზრში, რომ ჩქარა დააგუგუნებენ ცეცხლს და გათოშილს, გაყინულს სხეულს გაითბობენ, სხვა რა ენაღვლებოდათ?..

არც ხვეწნა, არც მუდარა, არც თავის შებრალება აღარ გადიოდა! ისინი მისცვივდნენ „ურას“ ძახილით ურემს და რადგანაც ცული ვერ ეპოვათ, ხელებით დაუწყეს მტვრევა.

ამ ხნის განმავლობაში სახლიდგან მოისმა გულის გამგმირავი წივილი, რომელმაც მახია გააბრუნა სახლისკენ, სადაც შესვლის უმალ თვალ-წინ წარმოუდგა საშინელი და შემაძრწუნებელი სურათი:

ორიოდე სალდათი, რომელნიც სახლში დარჩენილიყვნენ, მისცვივნოდნენ ყუთებს, სენას და იქაურობას აბრუნებდნენ და აქოთებდნენ. ერთიც მივარდნოდა ლამაზ ნინოს და თავის დახეთქილს და უმსგავსო ხელებში სჯიჯღნიდა!.. შეშინებული ქალი გაფითრებულიყო და წივილ-კივილით ფართხალობდა, თავს არიდებდა უმსგავსო ტუჩებს, რომლიდგან ოტკის სუნი ამოსჩქროლდა. ქალი მაგრა მიეკრა მკერდში და დორბლიანის და მხეცურის წადილით დამახინჯებული ტუჩებით ლოშნიდა.

მოხუცს გული მოუკვდა ამ დანახვაზედ, მისწვდა ქმრის დაჟანგებულს ხანჯალს, გააძრო ქარქაშიდგან და ანგარიშ-მიუცემლად, თუ რასა შვრებოდა, ძალზედ ჩასცა გამხეცებულს სალდათს, რომელიც ღრიალით: მიშველეთ, მომკლეს! გასისხლიანებული იქვე დაეცა. იმის ყვირილზედ შემოცვივდნენ სხვა სალდათები, დაუწყეს მახიას უწყალოდ ცემა და მაგრად შეუკრეს ხელ-ფეხი. ხმაურობა შეესმათ სოფლელებს და შეცვივდნენ სახლში, რომ მახია ხელიდგან გაეგდებინათ გაბრაზებული სალდათებისთვის.

— ნინო, ნინოს უპატრონეთ! — ძლივს წარმოსთქვა მახიამ და გულშემოყრილი იქვე დაეცა.

ხალხმა ბევრი ეძება ნინო, რადგანაც ის სახლში აღარ იყო, ბევრს ეცადა, მაგრამ თითქმის ღამის უფსკრულს შთაენთქა,— ველარსად იპოვა.

ასე სამწუხაროდ გაუთენდა მახიას მეორე დილა, რომლის შემდეგაც იმის თვალს ცრემლი არ შეშრობია და გულს არ მოჰკლებია კვნესა... ჩქარა ისიც შეიბრალა ღმერთმა და მწვალებლების ხელიდგან სამარემ დაიხსნა.

ზამთარი შეიცვალა გაზაფხულით, მიწა აჭრელდა, მთიდგან თოვლები ზვავებად მოსხლტა. ყველგან გამდნარი თოვლი სხვადასხვა სისხო ნაკადულად ჟონავდა. ყველგან ხალხი სამუშაოდ ემზადებოდა და ღიმილით მოელოდა ზაფხულს.

ერთს დღეს რამდენიმე კაცს საჭონელი ჩაერეკათ ხევში წყალის დასალევად, მაგრამ, რადგანაც გზა ზამთარში ძალზედ „ჩაეჩუმქრა“, თოვლი უშლიდა გავლას, იმათ ნიჩბებით დაუწყეს გზას წმენდა. ერთბაშად ნიჩაბი თოვლის ქვეშ რაღაცას შეეხო და მუშამ დაიძახა:

— მიშველეთ, თოვლის ქვეშ რაღაცაა და არ ვიცი კი რაია!

ყველანი მიეხვივნენ, გადმოთხარეს და ერთბაშად მწარის მწუხარებით დაიძახეს:

— ნინო!

დიაღ, ეს გახლდათ საბრალო ნინო, რომელიც იმ უბედურს

ღამეს შეშინებული გამოვარდნილიყო, ქარიშხალს გზა აერია და ხევში გადავარდნილი თოვლს დაემარხა. პატარა ძაღლს, რომელიც იმას განუშორებლივ თან დაზდევდა, ეხლაც არ ეღალატნა და პატრონთან ერთად დამარხულიყო!..

მაგრამ, ღმერთმა იცის, რა ერჩივნა ნინოს: სამუდამოდ განსვენება, თუ ცხოვრება, რომელიც ვინ იცის კიდევ რამდენს განსაცდელს შეამთხვევდა?..

[1883]

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

„ელგუჯა“

პირველად დაიბეჭდა 1881 წელს გაზეთ „დროებაში“ (№ 125—251). ავტორს განზრახული ჰქონდა მოთხრობის ვრცელი და შესწორებული ვარიანტის ცალკე წიგნად გამოცემა. მოთხრობა კიდეც დაიბეჭდა წიგნად 1894 წელს, მაგრამ მეფის ცენზურამ აკრძალა ეს გამოცემა და ტირაჟი დაწვა. არსებობდა ცნობა, რომ ამ გამოცემის ერთი თუ ორი ცალი ასოთამწყობებმა გადამალეს და ასე გადაარჩინესო. მართლაც, 1933 წელს ასოთამწყობ ზ. კოტეტიშვილის მემკვიდრეების ოჯახში აღმოჩენილი იქნა 1884 წელს ცალკე წიგნად დაბეჭდილი „ელგუჯას“ ერთი ცალი. მას შემდეგ დამკვიდრდა „ელგუჯას“ ეს რედაქცია.

ესა და სხვა ნაწარმოებებიც იბეჭდება ალექსანდრე ყაზბეგის თხზულებათა აკადემიური გამოცემის მიხედვით, რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა მწერალმა“ ორ ტომად დაბეჭდა 1955 წელს.

„მამის მკვლელი“

პირველად დაიბეჭდა გაზეთ „დროებაში“ 1882 წელს (№ 6—230). ავტორს განზრახული ჰქონდა რომანის ცალკე წიგნად დაბეჭდვა 1890 წელს, კიდეც ჩაუსწორებია ტექსტი, მაგრამ „ქართველთა ამხანაგობამ“ ვერ გამოსცა იგი. დაიბეჭდა 1891 წელს ალ. ყაზბეგის თხზულებათა II ტომში. ზ. ჭიჭინაძის ცნობით, ალ. ყაზბეგს „მამის მკვლელი“ 1880 წლამდე თავდაპირველად პიესად დაუწერია მწერლის არქივში აღმოჩნდა პიესის მხოლოდ პირველი მოქმედების მოზრდილი ნაწილი.

„ელისო“

ავტორის სიცოცხლეში მოთხრობა სამჯერ დაიბეჭდა: „ივერიის“ ფურცლებზე 1882 წელს (№ 10), შემდეგ ცალკე წიგნად 1884 წელს და თხზულებანში 1885 წელს.

ალ. ყაზბეგს „ელისო“ პიესადაც ჰქონია დაწერილი, რომლის წარმოდგენის დროსაც თავად ასრულებდა ახზორის როლს.

„ნამწყემსარის მოგონებანი“

პირველად დაიბეჭდა „დროების“ ფურცლებზე 1882—83 წლებში (№ 268, 1982 წ. № 3, 15, 17, 29, 31), შემდეგ კი, 1892 წელს, თხზულებანში.

„ნამწყემსარის მოგონებანი“ ავტობიოგრაფიული თხზულებაა, ეხება ალ. ყაზბეგის ბავშვობის პერიოდს. მოთხრობაში დასახელებული ჯირები ზოგ შეძთხვევაში ავტორის ახლობლები არიან.

„ხევისბერი გოჩა“

პირველად დაიბეჭდა „დროებაში“ 1884 წელს (№ 171—238), მეორედ— ალ. ყაზბეგის თხზულებათა IV ტომში 1892 წელს. არსებობს „ხევისბერი გოჩას“ ხალხური ვარიანტები. ალ. ყაზბეგის ცნობით, ფოლკლორული წყარო მას ღინჯა ხულელისაგან ჰქონია მოსმენილი.

„მოძღვარი“

დაიბეჭდა ჯერ „ივერიაში“ 1885 წელს (№7—12), შემდეგ კი მწერლის თხზულებათა III ტომში 1891 წელს.

„ნინო“

პირველად დაიბეჭდა 1883 წ. „დროებაში“ (№ 9), მეორედ — 1892 წ. ალ. ყაზბეგის თხზულებათა IV ტომში.

მეთერთმეტე ტომი შეადგინა **ბურაბ გვერდწითელმა.**

სარჩევი

ელგუჯა 5
მამის მკვლელი 180
ელისო 426
ნამწყემსარის მოგონებანი 459
ხევისბერი გოჩა 491
მოძღვარი 571
ნინო 761
შენიშვნები 766

ГРУЗИНСКАЯ ПРОЗА

Книга XI

(На грузинском языке)

Издательство «Сабчота Сакартвело»

Тбилиси, Марджанишвили, 5. 1986

რედაქტორი ნ. აბესაძე, მხატვარი დ. დუნდუა, მხატვრული რედაქტორი ო. შარიფაშვილი, ტექნიკური რედაქტორი ნ. ჭავთარაძე, კორექტორები: ნ. მჭედლიშვილი, მ. ხვედელიძე, გამომშვები მ. წივწივაძე

ს. მ. № 5040

გადაეცა წარმოებას 26.06.85 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 20.02.86 წ.; საბეჭდი ქაღალდი № 2. 84×108¹/₃₂; გარნიტურა ვენა; ბეჭდვის ხერხი მაღალი; პირობითი ნაბეჭდი თაბახი 40,32; პირ. საღ. გატ. 40,32; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 36,08; ტირაჟი 100.000; შეკვ. № 2140

ფასი 3 მან. 30 კაპ.

გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი, მარჯანიშვილის, 5.

თბილისის ი. ჭავჭავაძის სახ. წიგნის ფაბრიკა, მეგობრობის გამზირი № 7.

Тбилисская книжная фабрика им. И. Чавчавадзе, пр. Дружбы № 7.